

მიხეილ
ქავთარაძე

ცხოვრების 100 წელი

იანიჩარები
წერილები
თარგმანები
ლექსები

თბილისი
2007

Indigenes Wissen



პედაგოგი:
ნანა ქავტარაძე

სარედაქციო კოლეგია:
გოგი დოლიძე
თამარ ლონღაძე
თამარ ბარბაქაძე
ჯვანრი კაშია

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და გეგმა: შპს „ეპიტეტი“

დიზაინი:
ლუკა გოცირიძე

ISBN 978-99940-944-2-4

სარჩევი

იანიჩარი და ოძროს ნაწნავი.....	7
შესავალი.....	19

იანიჩარები

I. გავშოვებისა და ყრმობის წლები	23
II. უცხოეთისაკენ.....	85
III. მიორა მსოფლიოში.....	111
IV. შიშის შიშები.....	182
რამდენიმე ეპიზოდი ჩემი ტაქსიზა მუშაობის პერიოდშიდან.....	207
ეპილოგის სანაცვლოდ.....	213
ახლა რაღა ვქნათ? ივერია 33.1989.....	218

წერილები

ერთგვარ ტურიზმის შესახებ. ივერია 11.1963.....	225
არჩილ ზურაბიშვილის გამოსათხოვარი. ივერია, 11.1964.....	227
ჩვენი დროის „სიზრდნე სიტყვისა“. ივერია, 12.1966.....	229
აბვისტოს აჯანყება. ივერია, 12.1966.....	239
გიორგი ყიფიანის ლექსები. ივერია, 13.1967.....	242
„საქართველო! ასე რომორ ნახდი?!“. ივერია, 15.1973.....	245
ლევან ზურაბიშვილის მოგონება. თავისუფლების ტრიბუნა 7. 1975.....	251
ჩვენ და რუსეთი. ივერია, 17.1975.....	254
როგორ მუშაობდა ვიქტორ ნოზაძე. კავკასიონი, 18.1976.....	258
მნიშვნელოვანი წერილები. 1976.....	262
სავერიან შირაქაძე. კავკასიონი, 18.1976.....	265
გამოსათხოვარი სიტყვა დიმიტრი სინჯიკაშვილის და სიკო კობიაშვილის დაკრძალვაზე. 1976 წელი.....	267
„ვის აძლევს ეს ხელს“. თავისუფლების ტრიბუნა, 16. 1977.....	269
სიმონ ბერბუიანის ხსოვნისათვის. კავკასიონი, 19.1978.....	275
ისტორიული პარალელები. ივერია, 19.1978.....	280
დათვის მოხინაურება. ივერია 19.1978.....	285
აპრილის დამონსტრაციის ბაკვეთილი. ივერია, 20.1978.....	289
უღიზარებელი ვანაძის მოგონებანი. ივერია 20. 1978.....	294

ნოე ცინცაძე. ივერია, 20.1978.....	304
საირიღონ კაღიბა. ივერია, 22.1979.....	306
ძარტული ფილმი. ივერია, 22.1979.....	326
„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“.	
ივერია, 23.1980. არნოლდ ჩიქობავას წიგნის შესახებ.....	327
ვინ იყვნენ ნანარები. კავკასიონი 20.1981	332
ზომისა ბამბაც ჩხრილავს. ივერია 25.1982.....	341
ბამოსამშვიდობებელი სიტყვა, წარმოთქმული მიხეილ ძავთარაძის მიერ მამა-შვილ მიხეილ და დიკა კაღიბას დასაფლავების დროს.	
„თავისუფლების ტრიბუნა“, 39.1983.....	352
ჩვენი მიზნობები სომხები. ივერია, 26, 1983.....	354
მიხეილ ჯავახიშვილი. ივერია, 26.1983.....	362
ჭაბუა ამირაძეები. ივერია, 27.1984	395
წმინდანები ჯოჯოხეთში. ივერია, 28.1985.....	418
შალვა კალანდაძის დაქრძალვა. „გუშაგი“, 14.1984	450
ელინა პატარიძის მოსაგონარი. „ივერია“, 28.1985	452
ბიძიკო ახვლედიანის ბამოსათსომარი. „გუშაგი“, 4.1985.....	454
ბანერალ გიორგი კვინიტაძის წიგნის გამო. „ივერია“, 30.1987	456
ციურიხელი ძარტველოვების ღირსეული სძმე. ივერია, 31.1987.....	459
„მტარი მტარსა ვერას აწეებს, რომე კაცი თავსა იწმებს“... ივერია. 34.1990.....	461
ჯანრი კაშია „გველის მტამელი“ გაგების ცდა. ივერია, 35.1990.....	478
შოთა მარგველაშვილის ხსოვნისათვის. ივერია, 36.1991.....	481
ცვლილება ჟურნალ „ივერიაში“. ივერია 36.1991.....	483

თარგმანები

ლუი არაგონ ფიროსმანის შესახებ. კავკასიონი 14.1970.....	489
შარლ ბოლდერი. კავკასიონი 21.1986.....	496
გიორგი შარაშიძის ახალი წიგნები. ივერია, 31.1987	499
ქოქაძის და პოლიტიკა გიორგი ბრწყინვალესი. კავკასიონი 20. 1986.....	503
პროვითა და ამირანი ბერძნულ და ძარტულ მითოლოგიაში.....	517
გიორგი შარაშიძე. პარიზი 1980 წელი.....	536

ლექსები

უტავი ეპიტაფია.....	539
პარიზიდან ტფილისამდე.....	539
მთვარევე!.....	540
ასინათის ალბომში.....	540
ძვეულნი რუსთა ველად.....	541
ბანწყობილება.....	541
ჩემი მიკროსამყარო	543
ვინე ძარტულ ენას	544

იანოზარი და ოქროს ნაწინაპი

მიხეილ ქეთარაძის ემიგრანტული მოგონებანი

ქეთარაძეები მუდმივი მყიდველები იყენენ აფხაზეთში მოყვანილი სიმინდისა.

ტველსენაკელი ქეთარაძენი.

მიხეილს, ამ გვარის ერთ-ერთ ყველაზე დრამატული ბიოგრაფიის წევრს, ბეშეობისას თავისი საგვარეულო შტოც უნახეს, მამამისის მიერ შეკვეთილი და დაღვნილი თავისი აზნაურობის საბუთად. მთავარი ამ სქემაში ის იყო, რომ უშუალო წინაპარი სასულიერო პირი ყოფილა და ეს შტო საეკლესიო აზნაურთა შტოს ეკუთვნოდა.

გენეალოგიური ხის სათავეში საბა ქეთარაძე მოჩანდა, ქუთაისის მიტროპოლიტის მიერ დანიშნული სენაკში.

მოგვიანებით ინანებდა მიხეილი, სიყმაწვილისას, სხვა ბეშეებისა არ იყოს, ნაკლებ რომ აინტერესებდა თარიღები და ამიტომაც არ დამახსოვრებოდა. ახლა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება გამოენგარიშებინა, რომ ის საბა XVIII საუკუნის დამდეგს მაინც უნდა ყოფილიყო მოსული ამ სამკვიდროზე.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქეთარაძეთა ოჯახები 20-მდე გამრავლებულიყვნენ და, სიმინდი აფხაზეთიდან რომ შემოაქონდათ, საფასურს პატრონებს გაყიდვის შემდეგ უგზანინდნენ.

წესად ასე დამკვიდრებულიყო.

ერთხელაც ასევე უნდა გაგზავნათ ფული.

თანხა ცალ-ცალკე კონვერტებში განაწილებულიყო და ერთ-ერთ ნოქარს ცვლებოდა მისი აფხაზეთში წაღება-დარიგება გამყიდველთათვის. ჩანთით წასაღები ფული მაგიდის უჯრაში ინახებოდა იმ ოთახში, რომელშიც თვითონ ნოქარს ეძინა. მეორე დღით, წასვლის წინ ამოულაგებია კონვერტები, ჩანთაში ჩაუწყვია, შემოხტომია ცხენს და სამურზაყანოსაკენ გაუწყვია. კარდაკარ დაუვლია მიწის პატრონები და, ყველა კონვერტი რომ დაურიგებია, შინ გამობრუნებულა.

ამ საქმეში არც ქეითრები არსებობდა და არც ხელისმწერა.

სიტყვა, პირობა ყველაფერს ნიშნავდა.

მიდის ცხოვრება თავისი გზით და ერთხელაც ნოქარს დასაღაგებლად სულ რომ გამოუღია თავისი უჯრა, უჯრის უკან ორ ფიცარს შორის განხერილი კონვერტი აღმოუჩენია, რომელზეც ერთ-ერთი აფხაზის გვარი ეწერა. იმ აფხაზს იცნობდა და მაშინვე მიმხვდარა, ეს ის კონვერტია, რომელიც უნდა წამელო და თურმე არ წამილიაო.

ამ ამბავს ძლიერ შეუწუხებია ერისტო ქეთთარაძე, მიხეილის მამა, სასწრაფოდ ამხედრებულა და, სამურზაყანოში რომ ჩასულა, კი არ მოუბოდიშებია, საყვედურით მიუმართავს იმ აფხაზისათვის: რა ღლეში მაყენებდი, წიფურას რომ ეს კონვერტი არ ეპოვნა, რა უნდა გეფიქრა ჩემზე, ხომ იცოდა, რომ ფული ყველა შენს მეზობელს დაურიგდაო.

იმან კი:

– ვიცოდი და იმედი მქონდა, რომ თვითონვე მიხვდებოდით ამ გარემოებას, მაგრამ თქვენ რომ ეს ფული კიდევ არ გეპოვნათ, ერისტო, როგორ გგონია, მე ამას განგებ ჩაღენილად მოვიღებდი?

ამ ეპიზოდს ხელიდან ვინ გაუშვებს – არც მწერალი, არც ისტორიკოსი, არც მემუარისტი, არც ფსიქოლოგი და არც სოციოლოგი თუ ფილოსოფოსი, და ყველას აღტაცება ამ უბრალოებით გამოითქმის:

– ასეთი ალემბიცემობის ზნეობა არსებობდა მე-19 საუკუნეში.

და მიხეილ ქეთთარაძისათვის ეს სწორედაც სამაგალითო ამბავია, რომელიც ნიშანსეტიკით უნდა იყოს წამომართული არამარტო ეპოქის სულის შესაცნობად, არამედ ორიენტირად – თუკი დღესდღეობით ეს ზნეობრივი გარემო სრულიად მოშლილა და წამხდარა, ხომ არსებობდა, აგერ ხომ ყოფილა კეკასიურ ყოფაში ეს თვისება თუ ნიშანი საზოგადოების ცხოვრებისა და მას კიდევ არის შესაძლებელი მისი აღდგენა, მთლად ისეთი სრულყოფილებით თუ ვერა, ის მაინც თვალნათლივია, საით უნდა იაროს ქვეყანამ, რა მორალს უნდა დაამყნოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური იდეალები.

მისეილ ქეთთარაძე თავის ემიგრანტულ მოგონებებში, „ინანიარები“ რომ დაურქმევია, საგანგებოდ გამოჰყოფს ამ ეპიზოდს არა პირადულ თუ ოჯახურ შემთხვევად, არამედ ისტორიული მნიშვნელობის ამბად, ქრესტომათიულ ეპიზოდად მოძველის საქართველოსათვის, რომლის გამოსხსნაც იმპერიული ზუნდებისაგან არასოდეს ეჭვებოდა და ამიტომაც მიბმოდა რედაქტორობისა და პუბლიცისტობის უღელსაც სამშობლოდან გადახვეწილი. განაპირუბას, თავის თავში ჩაკეტვას ვერ შეურიგდებოდა და მხურვალე გულით აწყდებოდა შემზარავ სინამდვილეს – იმ რკინის ფარდას, რომელშიც ერთი რა არის, ერთი ჭუჭრუტანაც არსად მოჩანდა.

ეს სახელი ჩემს ცნობიერებაში გამოჩნდებოდა 80-იანი წლების დამდეგს პარიზში გამოცემული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალის – „ივერია“ (1983, —26) – მეოხებით აქ მისი ლიტერატურული ნარკვევი თუ პოლიტიკური პამფლეტი იყო გამოქვეყნებული: „მიხეილ ჯავახიშვილი – ილიას კვალზე მუაღი და მისი ბედის ზიარი“. თუმც გინდ ლიტერატურული ნარკვევი დაგიჩქმევია და გინდ პოლიტიკური პამფლეტი, ღრმა გახლდათ, მასშტაბური და დიდი ექსპრესიითაც დაწერილი. კრიტიკულ-ესთეტიკური ანთოლოგია რომ შედგეს, ამ სტატიის გამოტოვება არ ფარგებს – ჯერ საერთოდაც, და მითუმეტეს, წარმოიდ-

გინეთ მისი გამოჩენის მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში იმეამად, როდესაც ცენ-ზურა კიდევ ერთხელ გამოიღებდა თავს. საბჭოთა ცენზურა ყოველთვის საბჭოთა ცენზურა გახლდათ, მაგრამ დროდადრო მაინც ვეება ტალღებად ატყვდებოდა თავს მწერლობას.

პარიზში გადახვეწილი მოღვაწე რაღაც გზებით ახერხებდა საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისათვის გულდასმით ედევნებინა თვალი მიტოვებულ სამშობლოში და ამ მხრით მისი ზოგიერთი დაკვირვება თუ შთაბეჭდილება ამ ნარკვევშიც ხელშეახებად წარმოჩნდება. იგი ყოველმხრით გარკვეულა, თუ იმეამად რა გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებ ღირებული მიხეილ ჯავახიშვილის ირგვლივ და, ისე მომხედებოდა გულზე, როდესაც რამდენიმე ფრაგმენტს დაიმოწმებდა ოთარ ჩხეიძის ესეიდან „ისევ „ჯავახოს ხიზნები“ და ასე განაზოგადებდა:

„აი როგორ ესმის ჯავახიშვილი ახალი თაობის ინტელიგენციის ელიტას“.

ესეის გამჭვირვალე მინიშნებანი და ღრმად დასაბუთებული მსჯელობა რელიეფურად წარმოაჩინდა მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ ღვაწლს საერთოდ და „ჯავახოს ხიზნების“ მხატვრულ-იდეურ თავისებურებას კერძოდ და კიდევ მოიხიბლებოდა ემიგრანტი, ვინც თავის მხრით სიმბოლურ მნიშვნელობას მიანიჭებდა იმ დეტალს, როდესაც წინამურის ტრაგედიის დატრიალებისთანავე ჯავახიშვილი საგურამოში ასულა და ღამე იქ გაუთუვია, სხვა რომ ვერაფერი მოუნახავს, თავითი ილიას სისხლით მოთხვრილი ბალიში სდებია.

ამ ბალიშს გრძნობდა თავითი ყველა, ვისაც ეს გზა სათავისოდაც მიაჩნდა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; და ნიშანდობლივია, რომ მიხეილ ქეთარაძე მემუარების სათაურად ილიასეულ ასოციაციას იყენებს – იმის „იანიჩარი“ აქ „იანიჩარებად“ ქცეულა, მოტივები და სულისკვეთება კი ზუსტად იგივეა: შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალებსაო.

შესაეაღში ასეთი სახელწოდების არჩევას იმით ხსნის: თუდაპირველად მხოლოდ ომის ამბების აღწერა მსურდაო.

ბავშვობის მოგონებათა შემოტანა შემდგომ გადაუწყვეტია, მაგრამ სათაური აღარ შეუცვლია: ჩემი მონაწილეობა მსოფლიო ომში ჩემი სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს ეპოქას წარმოადგენდაო.

და ასეთ დროს, ეს სიტყვა „იანიჩარი“:

– მშვენიერად ეკუება ქართველების მონაწილეობას იმ მსოფლიო ომში. ჩვენ ვიბრძოდით სხვისი ჯარის რიგებში ფორმალურად, თითქოს იმ სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველას საქართველოს აღდგენის ფიქრი გვაპოძრავებდა.

არც ის გამორჩებოდა, ქართველ მებრძოლთა ყოფა ძალიან რომ წააგავდა „მამულეკის“ ფინალურ სცენას.

თუნდაც თვითონ –

მიხეილი როდესაც ქერჩში იბრძოდა, იმავე მიდამოებში დაიჭრა მისი ერთადერთი ძმა ალექსანდრე.

ერთს გერმანული არმიის მუნღირი ეცვა, მეორეს – წითელარმიელისა.

სომ შვიძლებოდა, უშუალოდაც გადაწყვიტომოდნენ ერთმანეთს?!

ვერობის გაერთიანება თუ წარმატებით გაგრძელდა, ამ გაერთიანების მეთაური სახელმწიფო გერმანია არის და იქნებაო, – ამ რწმენას გამოთქვამდა მემუარისტი 2000 წლის მარტში, როდესაც „იანიჩარების“ წერას დაასრულებდა და დასძენდა: უკვე საკმარისად ცნობილია ფაქტები და არსებობს საბუთები, რომ წარსული ომის განმავლობაში ქართველებს და გერმანელებს გულწრფელად სწამდათ, რომ მათი ინტერესები ერთიანი იყო. ყველა ამის გამო, მიუხედავად ახლანდელი, თითქოს უიმედო მდგომარეობისა, ჩვენ იმედი არ უნდა დაუკარგოთ, რომ საქართველო კვლავ აღდგება და ამ საქმეში სწორედ ისე, როგორც პირველი ომის შემდეგ მოხდა, გერმანელები უპირველეს როლს ითამაშებენო.

სხვაგვარად გადაჯაჭვოდა გერმანულ ყოფასა და სულისკვეთებას. მათ მხარდამხარ მონაწილეობა ომში ძალიან დააახლოვებდა ამ ხალხთან და, რა გასაკვირია, ქართველთა უპირველეს გულშემატკივრებად და მეკავშირეებად მოჩვენებოდა და ახალი ასწლეულის მიჯნაზე კვლავაც მათი იმედი შეენარჩუნებინა. თითქოს გაყინულ დროში ცხოვრობდეს და ათწლეულთა გადაღლას ბევრი არაფერი კვალი დაეჩნის მის ცნობიერებაზე, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ შეხედულებებზე.

სანდო წყარო კი არის მისი მოგონებანი გერმანულ ჯარში ქართველთა შენაერთების – ემიგრანტებისა თუ ყოფილი სამხედრო ტყვეთა – შესახებ და თავისი მხრივ ავსებს გივი გაბლიანისა და შალვა მალაქელიძის ცნობებსა და მონათხრობს. ზოგადი სურათი სამივეგან ერთნაირია და ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველა ამ მემუარული ქმნილების სანდოობასა და საიმედოობას ამ ტრაგიკულ ისტორიულ მოვლენათა რაც შეიძლება სრული სურათის აღსადგენად.

ცნობები ცნობებად, მაგრამ მიხეილ ქავთარაძე ბელეტრისტის ხელოვნებით ახერხებს ორიოდ შტრიხით პიროვნებათა სილუეტების წარმოსახვას.

თუნდ იმ ეპიზოდში რად ღირს მამისა და იმ აფხაზის ხასიათთა ასეთი რელიეფური გამოხატვა.

ანდა ის მცირე ჩანახატები, ამბროსი ხელაიას, ნიკო ნიკოლაძის, ვასო აბაშიძისა და კონსტანტინე გამსახურდიასთან პირადი შეხვედრების რამდენიმე წუთის აღბეჭდვას რომ განიზრახავს, ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის ამ გაუნელებელი შთაბეჭდილებების.

ბიძაშვილებთან სტუმრობისას უნდა შეხედეს მემუარისტი კათოლიკოს ამბროსის, ახალგამოსულს მეტეხის ციხიდან, შინ რომ ჩაკეტულიყო და პირველად ახლა გამოჩნდებოდა საზოგადოებაში. მასპინძლის უმცროს ვაჟს ძალიან მოეწონებოდა დარბაზის წინ დერეფანში მოსასხამთან ერთად დატოვებული კათოლიკოსის კვერთხი, ვერცხლის თავს გარშემო თასმას მოაბამდა, ცხენოვით მოახტებოდა და ეზოს გასწვრივ გაკვირვებულ აივანზე გააჭენ-გამოაჭენებდა.

ბავშვს დატუქსაუდნენ და კათოლიკოსს მოუბოდიშებდნენ, ამბროსი ხელაია კი ღიმილით:

– უმანკო ბავშვმა რომ საქართველოს კათოლიკოსის კვერთხი სათამაშოდ მიიღოს, ამით არა გაფუჭდება რა, უბედურება ის იქნება, სხვებმა, უფრო პასუხისმგებლებმა არ მიიჩნიონ იგი სათამაშოდ.

ხელისგულზე მოჩანდა, რაც ხდებოდა და კვლავაც მოსალოდნელი გახლდათ და კათოლიკოსი თავისი ღიმილით მწარე ნაღველსაც ამოთქვამდა.

სხვებმა, უფრო პასუხისმგებლებმაო...

ნიკო ნიკოლაძისაგან ის ფრაზაც დაამახსოვრდებოდა: მე რომ ხუთი შვილი მყავდეს, ხუთივეს ვაჭრობა-მრეწველობაში გაუშვებდიო. მაშინაც გაუკვირდებოდა ეს სიტყვები და სიცოცხლის ბოლოსაც გაუგებრად ეჩვენებოდა, რადგანაც არც თვითონ ნიკოს აუჩრევია ეს ხელობა და არც შვილები აღუზრდია ამ გზით.

თუმც უხერხულიც რა უნდა იყოს – ნიკო ნიკოლაძე ამ ფრაზით ცხადყოფს ვაჭრობა-მრეწველობის აუცილებლობას ქართველთათვის. ეგაა, ამ საქმეს ისინი უნდა მოეკიდნონ, ვისაც შესაფერისი უნარიც შესწევთ, და თუ ნიკოსა და მის შვილებს ეს უნარი არ აღმოაჩნდათ, განა უფლება არ ჰქონდა ამ ხელობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ექადაგა ყოველი მარჯვე შემთხვევისას?

ვასო აბაშიძეს ერთხელ ტრამვიამდე რომ მიაცილებდა, გამოთხოვებისას გაეხუმრებოდა: მოუფრთხილდით, კიდევ არ მოგპარონ თქვენი ოქროს საათი, რადგან, ვინ იცის, ისეთმა ვინმემ მოიპაროს, რომელიც თქვენს სახელს არ იცნობს, თქვენი მოთაყვანე არ არის და უკან აღარ დაგიბრუნოს, როგორც პირველ შემთხვევაში მოხდაო, – ის კი მიუგებდა: მართალი ხარ, პატიოსანი და უპატიოსნო ჯიბეგირებიც არსებობენო. ვაგონში რომ შევიდოდა, ატყეფობოდა ჩურჩული ხალხში და რა ატყეფებოდა: ვასო აბაშიძე, ვასო აბაშიძეო.

კონსტანტინე გამსახურდიასაგან ერთი ფრაზა ჩარჩებოდა მწარედ ხსოვნაში. არასასიქადულოო, თვითონ ასე მოიხსენიებს და ჩვენთვის განვსაჯთო, საკუთარ სიდიდეზე გადაჭრბებული წარმოდგენა, ბაქიობა და მკეხხარობა მართლა ქართული ხასიათის გამოუღენაა თუ პიროვნული ბუნების?

– ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველოს შვილი ვარ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ მწელია და უბედურებაა დიდი მწერლისათვის პატარა ქვეყნის შვილობა.

როგორც გულმართალ კაცს სჩვევია, მიხეილ ქავთარაძე არ იბრალებს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობას, რადგანაც თბილისში ახალჩასულს ამბოხების მზადებაში ჩართულ ახალგაზრდობასთან ჯერ არავითარი ნაცნობობა და კავშირი არა ჰქონია. ამიტომაც მხოლოდ ორიოდ დეტალს აღნიშნავს, ამბოხების თავისებურ გამოძახილს.

აჯანყებისათვის დანიშნულ ღამით რუსთაველის პროსპექტზე იმყოფება თავის ბინაში და მასთან ერთადაა მისი სიძის ძმა, პოლკოვნიკი ვანო ანჯაფარაძე. მათ უკვე იციან, რომ ჭიათურაში ერთი დღით ადრე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები და ამ ნაჩქარეობამ აჯანყების მთელი გეგმა ჩაშალა. პოლკოვნიკი განლობილი რომ არის, მასპინძელი იმით მიხვდება, ის რომ ეტყვის: აქ ჰაემანი მაქვსო.

მთელ ღამეს ფანჯარასთან გაატარებენ და მიხურული დარაბების ჭუჭრუტანიდან გასცქერნიან პროსპექტს. ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის. მხოლოდ დროდადრო ხედავენ ვაკისაკენ მიმავალ საბარგო ავტომობილებს, რომელთაც ჩეკადან გამოყვანილი ტუსალები დასახერხებლად მიჰყავთ და სულ მალე ზოტბას შეასხამს კონსტანტინე ლორთქიფანიძე მათ ამ ნაბიჯმუშლელ სვლას „რევოლუციის მოღალატეთა“ გადაზიდვისათვის.

მაგრამ თბილისში რომ ამბოხება არ მომხდარა?

მემუარისტი მაშინვე მიხვდებოდა, ეს მასობრივი დახვერტები თვეებით ადრე დატუსაღებული ხალხს რომ მოეწია.

მეორე დილით ბიძაშვილის თხოვნით სურამში ფულს წაუღებდა მის ოჯახს და მატარებლის ფანჯრიდან ხედავდა, თუ როგორ ბომბაუდნენ ახლომახლო სოფლებს რუსების თვითმფრინავები. ხაშურში მატარებელი რომ გამოჩნდებოდა, მის გასწვრივ ჯავშნიანი მატარებელიც ჩამოდგებოდა, საიდან გასროლილი ყუმბარების ხმა მგზავრებს ადრეც ესმოდათ, ახლა კი ჯავშნიანი ფანჯრებიდან საზიზღარი სახეები გადმოხედავდნენ. იმ უბნამდე, სადაც უნდა მისულიყო, საზაფხულოდ ქართული ლეგიონი დაბანაკებულიყო.

დანარჩენს სხვათა ნაამბობებიდან და ემიგრანტთა მემუარული ჩანაწერებიდან შეიტყობდა.

პარიზის ქართველობაში გამორჩეულად მდიდარი არავენ შეუმჩნევეია, თუმც ზოგიერთს საკმაოდ შემოსავლიანი ადგილიც ეჭირა. ყველაზე გავრცელებული მათ შორის მაწენის წარმოება გახლდათ და ქართველები ერთი პირველთაგანი იყვნენ ამ დარგში. მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ ეს წარმოება მილიარდებს დაატრიალებდა, ქართველები კი მეტ-ნაკლებად კუსტარულ ღონეს ვერ გასცდებოდნენ. თუმც ეს საქმე მაინც ისეთი შემოსავლიანი აღმოჩნდებოდა, რომ მემუარისტი მათ ქართველთა შორის პატარა ბურჟუაზიად მოიხსენიებს.

იყო სხვა კატეგორიაც – მდიდარ ქალთა მეოხებით გამდიდრებულნი. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად მოიხსენიებს ჩვენი მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილ თავგადასავალს სამი ძმა მდონისა.

ქართული ემიგრაციის არსებობის გამართლებად უმთავრესად მაინც პოლიტიკური მიზანი ესახება და, თუმც არც მალავს მათ შორის საშინელი ქიშპობის არსებობას, დარწმუნებულია, უდიდესიდან უმცირეს ქართველამდე ყველა საქართველოზე ფიქრობდა და სწამდა, რომ საშობლოსათვის რაღაცას აკეთებდნენ.

და თუ მტყუნ-მართლის განსჯას ერიდება, მხოლოდ პიროვნული კეთილშობილების გამო: ერთ-ერთი ჯგუფის წევრი მეც ვიყავი და ამ ადამიანების მორალური მსაჯულობა არ შემიძლია და არც გამაჩნია ამის უფლებაო.

ემიგრაციის გარეგნული იერი მაინც ფრიად ღირსეულად წარმოუდგება.

ჩვენი ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნას, ცხადია, არ მიიჩნევს პარიზის მშენებელ, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქს რომ შეეფერებოდა, ეს საამაყოდ დაურჩებოდა.

– 26 მაისი იმართებოდა პარიზის საუკეთესო დარბაზებში, უმეტესად ვერტოფრეზებულ სამხედრო წრის სახლში, ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ დარბაზში. მაშინ ამ დღესასწაულს უმაღლესი მდგომარეობის ფრანგებიც ბლომად ესწრებოდნენ. ეს ხდებოდა, მე ვფიქრობ, ქართველთათვის თანდაყოლილი ხიბლის გამო, რაც ერთი ულამაზესი თვისებათაგანია ქართველის ბუნებაში.

სხვას იქნებ კიდევ ეკმარა ეს დაკვირვება, მაგრამ მიხეილ ქეთარაძე კიდევ უფრო უღრმავედა იმ გარემოებას, რაც მისთვის თვალნათლივია, არადა, უცხოელი დამსწრე ვერც წარმოიდგენს, თუ რაოდენ დაბალი სოციალური წრიდანაა გამოსული ამ დარბაზში მყოფი ქართული საზოგადოების უმრავლესობა. ვერც წარმოიდგენს, რადგანაც ეს ქუთაისელი,

სამტრედიელი, თელაველი თუ თბილისელი ახალგაზრდობა გარეხულად და თავისი საქციელითაც არაფრით არ ჩამოუვარდება ოქსფორდიდან გამოსული ლორდების შეილებს ან სორბონში აღზრდილ უცხოელ თანატოლებს.

ჩემი ნაამბობი ალბათ ბევრ ქართველს გაახარებს და სიამაყით აღეხვება, – დასძენს მემუარისტი. მაგრამ თვითონ ეთიშება ამ განცდებს და არამცთუ გაუხარდეს და გაამაყდეს, შეაფასებს, როგორც... სამწუხაროსა და საეღალლოს.

თუ აღფრთოვანებული არ დარჩენილა, ეს „სამწუხარო“ და „საეღალო“ მაინც რა არის?

მოკლედ მოჭრის:

– ყოველფე ეს ქართველი კაცის არსებაში წონასწორობის დარღვევის მარევენებელია. საბოლოო ჯამში ეს უარყოფითი მოვლენაა და არა დადებითი.

მეორე უკიდურესობაში გადავარდნილა.

მკაფიოდ ამჩნევს მოვლენის შინაგან წინააღმდეგობრიობას და სულაც არ ასდევს ილუზიებს, მაგრამ იმის შიშით, სიამაყის მათრობელა ბანგში არ გუჯებევო, სულიერი კრიტიციზმი გადამეტებულად უმძაფრდება და ეროვნული ხასიათის ამ თვისებას მხოლოდ მრუშე ფერებში გაიაზრებს.

ნაცვლად ტრაგიკომიკურობისა, მარტოდენ ერთ მხარეს – აღიქვამს ხასიათის იმ თავისებურებისა, ასე რელიეფურად რომ წარმოსახა დაეით კლდიაშვილმა თავის ბელეტრისტიკაში და უკუემირდება შუგრძნებას, რომ რაოდენ დამცრობილი და დასუსტებულიც უნდა იყო დღეს, ნახსლეთი და სულიერი მემკვიდრე ხარ ოდესღაც დიდ სიერცეზე გადაჭიმული სახელმწიფოსი და კულტურისა და ამიტომაც შინაგანად შეტოლებულად მიგაჩნია თეი ამჟამინდელ დიდ სახელმწიფოთა შეილებთან.

26 მაისის ზეიშეც ეს იგრძნობა პარიზში, სხვა კი არაფერი.

რაკილა ერთი სარკმელიდან შექყურებს, ამიტომაც ერთხელ კიდევ დაუბრუნდება მემუარების ფინალში, კვლავ მძაფრი გულისტკოფილით მოიხსენიებს: ვჯზომ უჯზომო და უდროო პოეტისში და არტისტიზშიო.

დამლალო, – ამასაც გამოტყდება.

სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მოჩანს ერის ხასიათის ეს თვისება, ხან უფრო მკვეთრად, ხანაც უფრო მკრთალად. შესაფერისადაც განიციდი – ხან დამშვიდებული, ხანაც ამდელვარებული.

და მაინც –

დასაძრახად არასოდეს არ უნდა მოიჩინოთ, ოცნებასა თუ სწრაფვაში მარტოდენ მოჩვენებითობა არ დაეინახოთ, ტრაგიკომიკური მარტოდენ კომიკურად არ ვალიაროთ, არც მარტო ტრაგიკულად.

პოეტისშემა თუ არტისტიშემა არ დაგვაფრთხოს, თუნდ უჯზომო და უდროო მოგვეჩვენოს.

ეს ის საფიქრალი თუ სატკოფარია, რასაც ჩემი „ქალღეას მონატრებაც“ უტრიალებს.

ფიქრი კვლავაც გრძელდება ამ მიმართულებით და თვალსაჩინოებისათვის მოხმობილ ნიშუშთა შორის მიხეილ ქეთარაძის ეს დაკვირვებაც თეის ადგილს იპონის.

გვაა, მისი შეფასება შესწორდება და მოვლენის ორმაგობა თუ ტრაგიკომიზმი ხელშე-
სახებად გამოიკვეთება.

ქართული ემიგრაცია თავის ოცნებებსა თუ დაუა-კამათშია... და, აი, გერმანიის ჯარებმა
რუსეთის იმპერიის საზღვრები გადმოლახეს.

ქართველობა სხვადასხვაგვარად რომ შეხვდა ამ მოვლენას – ზოგი აღფრთოვანებით,
ზოგი ეჭვით და ზოგიც დაიბნა – ისედაც ცნობილია და ადვილი მისახედრიც, მაგრამ
მემუარისტი იმ განწყობილებებს რომ გადმოგვეცემს, მის მონათხრობში შეიძწნევა საგუ-
ლისხმო ნიუანსები.

არიან ადამიანები, რომელთაც საქართველოს თავისუფლება კი სურთ, მაგრამ პაციფის-
ტური და პროგრესული იდეები უფრო იტაცებთ.

და არიან ადამიანები, რომელთაც ეს თავისუფლება განსაზღვრულ, მხოლოდ მათთვის
მისაღებ პირობებში სურთ – საქართველო რუსეთისაგან უნდა დაიხსნან დემოკრატიულმა
სახელმწიფოებმა და ეს ისე მოხდეს, რომ არაფის არაფერი ეწყინოს და არც ეტკინოს.

თითქოს ასე იდეალურად იყოს მოწყობილი წუთისოფელი!..

მემუარისტი ქართული ბუნების პერყეობითაც ხსნის, რომ იმ ემიგრანტებმაც კი, რო-
მელთაც ოცი წელიწადი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს და ამ ხნის
მანძილზე ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვნეს, ათვალწუნებით შეხედეს და შეძრწუ-
ნებითაც გერმანიის სამხედრო წარმატებებს – ეს რეჟიმი არ მოგვეწონს, რომელიც ამჟამად
განაგებს ამ სახელმწიფოს, თანაც ნაციისტური გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის ფრიად
სიმათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებაო.

მაგრამ მხოლოდ გერმანია რომ შეჯახებოდა იმ ძალას, რომლის დამხობის გარეშეც
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ვერაფრისდიდებით ვერ მოხდებოდა?

ასეა თუ ისე, როდესაც გერმანული ჯარები წინ მიიწევენ და გამარჯვებას გამარჯვე-
ბაზე აღწევენ, არ არსებობს არცერთი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია თუ ჯგუფი,
რომელიც მოშზადებული იყოს ამ მოვლენის შესახვედრად. ამიტომაც არაფის აქვს საქმიანი
ურთიერთობა გერმანელებთან.

ამასობაში გერმანელები ასიათასობით საბჭოთა ტყვეს რომ ჩაიგდებენ ხელთ, მათ შორის
20 ათასი კაცი ქართველია.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ დროს ბერლინში მყოფი ქართველი ემიგრანტი, რომელსაც
საკუთარი თავი სამშობლოს გათავისუფლებისათვის მებრძოლად მიაჩნია, მაგრამ არ არის
პოლიტიკოსი და არც ეპირება ამ ხელობას?

ეს ფიქრი იპყრობს მიხილ ქუთარაძის გონებასაც და ფუჭად ჯდომასა და მოლოდინს,
იქნებ რომელიმე ქართული ორგანიზაცია დაუკავშირდეს გერმანელებს და მეც საშუალება
მომეცეს ჩემი ქვეყნისათვის რაიმე ვიღონოო, ამჯობინებს გარჯას ქართველ ტყვეთა მდგო-
მარეობის შესამსუბუქებლად.

არასოდეს დაუიწყებდა ის წუთი, როდესაც ამ გადწყვეტილებას გერმანელ ქართველე-
ბს გაუზიარებს. ისე შემოხედვენ, თითქოს 7 წლის ბავშვს მამისათვის ეთხოვოს: თვითმფრი-
ნავი მიყიდე, მთვარეზე უნდა გუფრინდეთ.

მაგრამ ამ განხრახვის აღსასრულებლად პოლიტიკური გზა დახშულია.

რჩება ერთადერთი – მობალისედ ჩარიცხვა გერმანულ ჯარში, რაც თავისთავად ადვილი არ ყოფილა, რადგანაც ამ სახელმწიფოს არაქვეშევრდომი კერძაბტის წვერი ვერ გახდებოდა.

მიხეილ ქეთარაძე არ შეეპუებოდა არაეითარ წინააღმდეგობას და ბერლინის ქართული კოლონიის თემგჯდომარის ტიტუე მარგველაშვილის რეკომენდაციაც ძალიან წაადგებოდა. ასე მოხედებოდა განსაკუთრებული საქმის აღსასრულებელ ჯგუფში – ეიქტორ ნოზაძესთან, დავით ვაშაძესთან და ექიმებთან – კობა ხოჭოლაუასა და გოგი ჭავჭავიშვილთან ერთად, რომელთაც დაეულებოდათ ტყვეთა ბანაკების ჩამოულა და ქართველ ტყვეთა არჩევა – გამოსაყვანად სანდოებისა.

„ჩემი მარშრუტი“ – ასე დაასათურებდა 1941-46 წლების თავგადასაულის იმ მოკლე სქემას, თხრობაში რომ ჩაერთოდა, და უსათუოდ მოიხიბლებოდა ერნსტ კემინგუეი: აღტაცებას გამოთქვამდა, ასეთი ჩანაწერები სადმე და ეინმეს მხატვრულსა თუ დოკუმენტურ ქმნილებასი რომ აღმოეჩინა, აღტაცებას – თავგადასაულის მღელვარებითა და შთამბეჭდაობითაც და არანაკლებ სტილური ხერხითაც. ასეთი ჩამონათვალეები ისე მოსწონდა, ლამის ეპიკურ თხრობას ერჩენა.

მიხეილ ქეთარაძე კი, ვითომც აქ არაფერიო:

ბერლინში ჯარში ჩაწერიდან – ეენა-ოდიპესტი (რუმინეთი)-ბუდაპესტი-კრონშტადტი (იგფე ბრაზოუ, რუმინეთი)-სტრანსი (ბრესლაუს მახლობლად)-მიტენვალდი (ბუარია)-კელვ სტრანსი (ბრესლაუსთან)-კავკასიის ფრონტზე. ყოფილი კოლხოზი ჩრდილო კავკასიაში-სოფელი ყალმუხთა სტეპის მახლობლად-ნალჩიკი-ბელაია რეჩკა კავკასიონის ხეობაში-დახევა ქერჩისა კენ-ყირიმი-ოდესა (ლაზარეთში)-ლაზარეთი სუდიტის მხარეში (ჩეხიის სახლვარზე)-ბერლინი (საკეშირო შტაბი)-პარიზი-ანგლო-ნორმანდიის კუნძულები-ბერლინი-ნორმანდია-პარიზი-ბერლინი-კელვ საფრანგეთი (ქართული ლეგიონის ბანაკი ტულუზასთან)-ბერლინი-პრალა-მარლისა (სლოვაკიაში)-ბერლინი-იტალია: მაჩერატა-ბარე, ნეაპოლი, რომი, მილანო – გადასვლა საფრანგეთში.

ნეტა მე მომფიქრებოდაო – დავანებოდა ომებსა და ათასგვარ ხიფათ-განსაცდელში მოყოლილ ამერიკელს, თუმც... თუმც გამოჩნდებოდა კი მისი მარშრუტიც გარეგნულად ასეთე ეფექტური? გამოჩნდებოდა, როგორ არ გამოჩნდებოდა...

ამასობაში მემუარების აუტორს მიხეილ კელია უნდა შეხვედროდა და ეცნობებინა: მზადდება კავკასიური მაკავშირებელი შტაბის დაარსება, რაც ჩვენც და გერმანელებსაც ძალზე გამოგვადგება, რადგან ეს იქნება ჩვენი შეხედრის ადგილი თითქმის თანაბარ მოკავშირეთა დონეზეო.

ქართველთა შვიარადებული რაზმი „თამარა!“ გერმანელებს უკვე შეექმნათ „ბერგმანის“ დაარსებას კი ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოინდომებდნენ და შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსად საუკეთესო კანდიდატურას რომ ესიებენ, ეს ორნი გვი გაბლიანს დაასახელებენ უყოყმანოდ.

მემუარისტი იმასაც კი იტყვის:

– უკვე მოგაგენით, მაგრამ რომ არ გვეპოვნა, მსგავსი კაცი უნდა გვეძებნა. უკეთესს ვერც ვინაბრებდით

საგულისხმოა გოგი გაბლიანის ის პორტრეტი, რომელიც წარმოისახება მემუარების ფურცლებზე ჭეშმარიტი ფსიქოლოგისა და მწერლის ხელით, ადამიანისა, ვინც ამჯერადაც ლამობს, რომ არაფერი გადაამეტოს და რაც შეიძლება ზუსტი სილუეტი აღადგინოს, თვითონაც ღრმად გაერკვეს და სხვათათვისაც სარწმუნო გახადოს, თუ რატომ აღმოჩნდა ეს პიროვნება ემიგრანტთა და ტყვეთა შორის ერთადერთი, ვისაც შეეძლო ასე ჩინებულად შეესრულებინა თავისი მოვალეობა.

განათლების წყალობით? დიდი სიბრძნის? ამ საკმისათვის სპეციალური ცოდნის? მემუარისტის დაკვირვებით, ეს უნდა ყოფილიყო გოგი გაბლიანის ბუნების, როგორც მთიელის, მისი გარეგნობის, სითამამის, პირდაპირობისა და ამგვარ თვისებათა შედეგი. ნაცვლად რაღაც განსაკუთრებული ნიჭისა, მას ჰქონია ვეფხვისმაგვარი გაბედულება, სიკქიტიე და სწრაფი მოსაზრების უნარი. ოდნე მსახიობიც იყო – დასძენს.

– მას შეეძლო ამაყი პოზის დაჭერა და ეს შეენოდა კიდევ. იგი ხელოვნურად, უფრო ბოხი ხმით ლაპარაკობდა, ვიდრე მისი ბუნებრივი ხმა იყო. შეენოდა, რადგან ვერ ხედებოდა, რომ ეს ხმა ხელოვნური იყო. მთელი იმის განმჯელობაში ყოველდღე ვხედებოდი იმ გერმანელებს, რომელნიც მის შესახებ ლაპარაკობდნენ. ყოველთვის გერმანელთა შორის ვაწყვდებოდი გაბლიანისაგან მიღებული შთაბეჭდილებების მიერ გამოწვეულ შურს. მარტო ეს ფაქტები საკმარისია იმის ასახსნელად, თუ როგორ მოხდა, რომ ეს ნატყვევარი კაცი, გერმანულ ფორმაში ახალგადაცმული, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ისეთ შენაერთში, სადაც ორი ათას კაცზე მეტი ირიცხებოდა და გერმანული მხედრობის საუკეთესო ოფიცრები იყვნენ სხვადასხვა პოსტებზე.

უამრავი პერსონაჟი ჩნდება თხრობის მდინარეებში და ორიოდ შტრიხი მარჯვედ აცოცხლებს მათ სახეებს, მათ ფსიქოლოგიურ იერს. რად ღირს თუნდაც სიმონიკა ბერეჟიანის სილუეტი, ადამიანის, ვინც მოწყდა რეალობას და ზმანებებში გადასახლდა, ოცნება მიიღო სინამდვილედ და ასეთი ცხოვრების წესი ამჯობინა, რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო სხვათა თვალში მისი საქციელი. გახსოვთ ედვინ არლინგტონ რობინსონის მინევერ ჩივი ამვე სახელწოდების ლექსიდან? ანდა შალვა ხეთურელი ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ბორიაცი“?.. და კიდევ რამდენი – ამ ბუნების ისტორიული თუ ლიტერატურული პერსონაჟი.

თხრობის ერთიან კალაპოტს ერთგან თითქოს არღვევს ჩანახატი „თამარ დადიანის სიკედილზედ“, ხმით ნატირალის სტილით შესრულებული – გამოგლოვა ბავშვური სიყვარულისა. თამარს რომ ეცოცხლა, მათი გზები იქნებ კიდევ გაყრილიყო, მაგრამ რაკილა ასე ნაადრევად გადასახლებულა სულთა სამეფოში, მიხვილ ქეთარაძისათვის ამაღლებული და გაიდვალელებული რჩება მისი სახება, თითქოს ბეტატრიჩეაო. და მის ფიქრებში ყოველთვის ისე ჩნდება, როგორც დაკარგული საბედო.

მის სახებას შეღადადებს, შესტირის, თავსაც მის ჩრდილში იმხნეებს და სამოქმედოდაც მისით შევუღიანებული აღიძერის ხოლმე, თუმც იქამდეც კი მისულა სასოწარკვეთილი, რომ საკუთარი არსების შესაფლავებაც უგრძენია თავი.

თითქოს არღვევსო...

მაგრამ თხრობის შინაგანი კანონზომიერებით რაღაც ამგვარი აუცილებელიც კი გახლდათ, მძაფრი გრძნობებით აღსავსე პასაჟი ემიგრაციაში გამგზავრების წინ და... დაკარგული საბედოს გაიგოება დაკარგულ სამშობლოსთან.

ამ სტრიქონებშია მოქცეული ის გზნება და სულიერი დუდილი, რაც მთელი მემუარების მანძილზე უნდა გაიშალოს.

და მიხეილ ქვეთარაძის წიგნი წარმოდგეს ჩვენი მემუარული მწერლობის ერთ საუკეთესო ქმნილებად – არამარტო მსოფლიო მოვლენების შუაგულში მოქცეული ემიგრანტის ბედისწერის თვალსაჩინო სურათად, რაც თავისთავად მრავალმხრივ საგულისხმო იქნებოდა, არამედ სწორედაც აუცილებელ ნაწილად ამ ჟანრისა, რომლის ერთი ფრთაც, და საკმაოდ ძლიერი ფრთა, ემიგრაციამ ასაზრდოვა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში.

საკუთარი თავის შესაფლავებას კი შეიგრძნობდა, აბა, რა იქნებოდა, როდესაც არც ყვავილს შერჩება იგივე სურნელი, თუ საქართველოდან ევროპაში გადაინერგა და არც თავის იგივე გემო, თუ ფუტკარიც იქ ჩაიყვანეს...


და ეის შესტირებდა, თუ არა თავის დაკარგულ სიყვარულს:

აღამიანის „სურნელება და გემო“ მისი სული და გულია. აქ ჩემი ხორცილა ცოცხლობს გულგამოცლილი და სულამოხდილი, რადგან ესენი იქავე დამრჩა. ამიტომაც, რომ შენთან დამარხულად მიგულვებიან ისინი ჩემო პირველო საბედო, ჩემო უმანკო მუუღლვე, ოქროს ნაწნაყიანო თამარო.

თუ იდეალია, ნაწნაყიც, ცხადია, ოქროსი უნდა აქონდეს.

და იმ ოქროს ნაწნაყს შესციცინებდეს თვალდაშრეტილი ბერიკაცი, საუკუნეს რომ ამოათაყებდა და ვერაფრისდიდებით ვერ ახსნიდა, რატომ უნდა დარჩენილიყო მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად, განა არა კმაროდა 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები, ასე საბედისწეროდ გათამაშებულნი?

როსტომ ჩხუბე



ამ კრებულში წარმოდგენილი წერილები, მოგონებანი, ლექსები მხოლოდ თხზულებანი კი არა, უფრო ცხოვრების მატრიანაა.

ეს კრებული ჩემი ეპიტაფიაც გახლავთ. ეპიტაფია — აუცილებელზე გრძელი. მკითხველი და მკვლევარი აქ დაინახავს ჩემს უნილბო და უფერუშარილო სულიერ-გონებრივ სახეს და გონიერი კაცი, თუნდაც არ მოვეწონო, საყვედურს არ მეტყვის, უკეთესი რატომ არ ხარო; უკეთესობა რომ შემძლებოდა, კიდევაც ვიქნებოდი...

მე ზოგჯერ პუბლიცისტი-ჟურნალისტის ფარგლებს ვცილდები ჩემს ნაწერებში, თუმცა ჟურნალისტიკაშიც გვიან, უკვე 60 წელს მიღწეული, ჩაგები ელისე პატარიძის რჩევით, მისი დაჟინებული მოთხოვნითაც კი და ლიტერატურულ სარბიელზეც ვცადე ძალა ვიქტორ ნოზაძისა და გიორგი ყიფიანის თხოვნით. ბოდლერიც ვთარგმნე, მაგრამ არა საკუთარი ინიციატივით. კადნიერება ჩავიღინე, რადგან თარგმნა და, ისიც პოეზიისა, ავტორთან გატოლებას თუ არა, სასწორის პინაზე ფეხის შედგმის ტოლი მაინც არის. მაინც მინდა, მკითხველმა კადნიერებად არ ჩამითვალოს. კადნიერება ადამიანის ყველაზე საძაგელ თვისებად მიმაჩნია და ჩემი თავი ამ სნეულებიდან ხელშეუხები მგონია.

...საერთოდ, ჩემი გაჟურნალისტების ისტორია მოთხრობილია წერილებში: „ელისე პატარიძის მოსაგონარი“ და „ცვლილება ჟურნალ „ივერიაში““.

ორიოდე სიტყვა წერილების: მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძისა და ჭაბუა ამირეჯიბის გამო: მკითხველს იქნება გაუჩნდეს შთაბეჭდილება, რომ მე აქ ლიტერატურულ კრიტიკოსად გამოვდივარ, რაც მთლად მართალი არ იქნება. ამ წერილებში მე ვცდილობ, ყურადღება გავამახვილო ნაწარმოებებში ჩაქსოვილ, იმ ხანებში აშკარად ვერგა-

მოთქმულ იდეებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაწარმოებები არიან ისინი, ვიდრე წმინდა ლიტერატურული მნიშვნელობისა.

ამ კრებულში „იანიჩარები“ იბეჭდება, რომელიც 2001 წელს დაისტამბა. ტექსტი ამ წიგნისა ჩემი ბავშვობის მოთხრობით იწყება. ძირითადად კი, ეძღვნება ჩემს მონაწილეობას მსოფლიო ომში, რომელიც ჩემი სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს ეპოქას წარმოადგენს. სიტყვა „იანიჩარები“ მშვენივრად ეგუება ქართველების მონაწილეობას ამ ომში. ჩვენ ვიბრძოდით სხვისი ჯარის რიგებში ფორმალურად, თითქოს იმ სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველას საქართველოს აღდგენის ფიქრი გვამოძრავებდა. მატერიალურადაც ძლიერ ჰგავდა ჩვენი მდგომარეობა იმ სურათს, რომელიც უიარაღოს მიერ არის დახატული წიგნში „მამლუქი“. თვით ჩემი მაგალითი რომ ავიღოთ, მე გვიან გავიგე, რომ ქერჩში ყოფნის დროს იმავე მიდამოებში დაიჭრა ჩემი ერთადერთი ძმა ალექსანდრე (საშა), რომელიც წითელ ჯარში იბრძოდა, როგორც ოფიცერი.

ამ წიგნში რამდენიმე ლექსიც შევიდა ჩემი ლექსების კრებულიდან „ფიქრის ნატეხები“ (თბილისი, 2004). ბავშვობისას, როგორც ყველა ქართველი, მეც ვაპირებდი პოეტობას და ვწერდი ლექსებს; უფრო სერიოზულად კი ჰანოვერში, გერმანიაში 33 წლისამ დავიწყე ლექსების შეთხზვა... მთელმა ომმა და, რაც მე გადამხდა, გაიარა... მხოლოდ საფრანგეთში დაბრუნებამ და წარსულზე უკუხედვამ დამაწყებინა ლექსების წერა. ლექსების, რადგან ჩემს ფიქრებს, დარდს და, ამგვარად, — შოთას თქმისა არ იყოს, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, ლექსებით უფრო ადვილად გამოვთქვამდი.

...არც ახლა მსურს, ვინმემ პოეტად ჩამთვალოს.

დღეს, „ხნით დამაშვრალი“, სამოცდათხუთმეტწლიანი განშორების შემდეგ ჩემს სამშობლოში დაბრუნებული, თითქმის სინათლედაშრეტილი, ჩემი ძმისწულის, ნანა ქავთარაძის მეოხებით ვესაუბრები ჩემს ქვეყანას, ჩემს ძვირფას ქართველებს მთელი ჩემი, ან უკეთ, ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ჩემი სამშობლოს უბედურების ცქერამ გული მწუხარებით ბევრჯერ ამივსო, მაგრამ თვით სასიკვდილო სარეცელზე მწოლსაც ღმერთის იმედი მექნება, რომ ღმერთი კვლავ გადაგვარჩენს, კვლავ გვიშველის, მიუხედავად ქართველთა მიერ მრავალჯობის გამეორებული თვითმკვლელობის ცდისა. იმედი გამყვება, რომ იგი კვლავ გადაარჩენს საქართველოს, ვით მრავალჯერ გადაურჩენია..

მიხეილ ქავთარაძე
თბილისი, 2007 წელი, მარტი

ინტერნეტში



1. გავშვობისა და ყრმობის წლები

ძველსენაკელი ქავთარაძენი

ძველსენაკელ ქავთარაძეთა სადაურობის მაჩვენებელი ცნობა მხოლოდ ერთი მომეპოვება. ჩემი ბავშვობის დროს მინახავს გენეალოგიური ხის სქემა, რომელიც მამაჩემს შეუკვეთავს და დაუდგენია თავისი აზნაურობის საბუთად. ამ აზნაურობის მთავარი საბუთი ის იყო, რომ მისი პირდაპირი წინაპარი სასულიერო პირი ყოფილა. ასეთ აზნაურებს საეკლესიო აზნაურებს უწოდებდნენ. მახსოვს, რომ ამ სქემის მეექვსე თუ მეშვიდე საფეხურზე, ყველაზე მალლა, მოხსენებული იყო ვინმე საბა ქავთარაძე, ქუთაისის მიტროპოლიტის მიერ სენაკში დანიშნული. საუბედუროდ, იქ აღნიშნული თარიღები მაშინ არც მაინტერესებდა და არც მახსოვს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მამაჩემი, ერისტო ქავთარაძე XIX საუკუნის შუახანებში დაიბადა, და რომ მასა და ზემოთ აღნიშნულ საბას შორის დაახლოებით 6-7 სახელის ქავთარაძე მაინც მოიხსენიებოდა, ის საბა XVIII საუკუნის დასაწყისში მაინც უნდა ყოფილიყო მოსული. მამასადაძე, ქავთარაძეთა ყველა ოჯახი, რომელთა რიცხვი ჩემი მეხსიერებით 20-მდე აღიოდა, თუ მისი პირდაპირი შთამომავლები არა, მისი საშუალებით მაინც იყვნენ დასახლებული სოფელ ძველსენაკში.

თვით სოფელ სენაკის შესახებ სხვა ისტორიულ ცნობებს არ ვიცნობ, გარდა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შემონახული ცნობებისა. თავის ცნობილ ნაშრომში იგი ორჯერ ასახელებს სენაკს — სენაკების სახელით (ცხადია, ესაა ახლანდელი "ძველი სენაკი", რადგან მეცხრამეტე საუკუნემდე "ახალი სენაკი" არ არსებულა და სამეგრელოშიც ერთადერთი სენაკი იყო. მეც, როცა კონტექსტით გაუგებარი არაა, ასევე მარტივად ვიხსენიებ ჩემი საგვარეულოს სოფელს). ვახუშტი აგრეთვე ამბობს, რომ "არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა

კათალიკოზისა". ამისი დამადასტურებელი სხვა მატერიალური ძეგლი, სენაკში ჩემ დროს აღარ არსებობდა, გარდა უკვე გაუქმებული ე.წ. "ქავთარაძეთა ეკლესიისა", რომელიც მდებარეობდა მაშინდელი სენაკელი დეკანოზის ფართო სახლკარის უკან, სენაკიდან ეკისკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. ეს ეკლესია საკმაოდ საინტერესო ნაგებობას წარმოადგენდა. იგი მდებარეობდა მოზრდილი ტრიალი მინდვრის შუაში. კიდევ უტყობოდა, რომ ეს მინდორი ადრე სასაფლაო უნდა ყოფილიყო. შენობა ხისა იყო, გარედან კირით შეთეთრებული, მრგვალი ფორმისა. მას გარეშემო უვლიდა დაახლოებით 2 მეტრი სიგანის აივანი და თავზე ადგა წვეტიანი, კონუსის ფორმის ყავრის სახურავი. გასაბჭოების პირველ წლებში ეს ეკლესია დაარღვიეს და, როგორც გამიგონია, ეკლესიის მასალიდან თავისი სახლი გაუფართოებია ჩვენი სოფლის ძველთაგანვე კომუნისტს, ვინმე კურდღელისას, რომელიც თავის სახელოსნოში ერთდროულად ორ ხელობას ეწეოდა: იგი იყო ჩვენი სოფლის ერთადერთი დალაქიცა და პროფესიული მენაღეც.

როგორც აღვნიშნე, მე შემიძლია ჩამოვთვალო მეხსიერებაში დარჩენილი ოციოდე კომლი ქავთარაძეებისა. უნდა დავუმატო, რომ სენაკში ასე მრავალრიცხოვანი გვარი სხვა არ სახლობდა. სხვა მრავალრიცხოვან გვართა შორის მე მახსოვს ჯანჯღავები და დავითაიები. ერთ უბანს "სადავითაიოც" კი ერქვა, მაგრამ ისინი, ერთად აღებულნი, ქავთარაძეებზე ცოტანი იყვნენ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ნახსენები ეკლესიის მახლობლად, ცხოვრობდა მახუ ქავთარაძე, რომელსაც 4 ვაჟი ჰყავდა. უფროსს ერქვა ლევანი, მომდევნოს — მიხეილი, შემდეგ მოდიოდნენ ონისიმე და მამაჩემი — ერისტო. იმ დროს სენაკში სკოლა არ არსებულა და მამაჩემს წერა-კითხვა უსწავლია ახლად აშენებული ეკლესიის ეზოში მცხოვრებ მონაზონ — ფეფკიასაგან. სხვა სენაკელი ბავშვებიც მასთან სწავლობდნენ. როცა მე დაახლოებით 13 წლის ვიყავი, მამაჩემს ვკითხე, რაღაც მიზეზის გამო, შენ რომ ჩემხელა იყავი, რას აკეთებდი—მეთქი. ჩვენი სახლის აივანზედ ვისხედით და თვალნინ და გარშემო გაშლილი იყო ფართო ეზო, გეგმის გარეშე გაშენებული მუხის, ნიგვზის, კოპიტის ხეებით, აქა-იქ ბრონეულის ბუჩქებით, მაგნოლიებით და სხვ. მამამ მიპასუხა: ამ მინდორზე ჭაკინს ვთამაშობდით და ჩვენ წინ გადაშლილ ეზოზე მიმითითა. მე გამიკვირდა და ვკითხე, შენ თვითონ სადღა ცხოვრობდი—მეთქი. ჩვენ ქავთარაძეების ეკლესიის მახლობლად ვცხოვრობდითო, — მიპასუხა. მე ვკითხე, თუ რას წარმოადგენდა ეს ჭაკინი, და გავიგე, რომ ეს ყოფილა მთლიანი ხისგან გამოჭრილი ბურთი, რომელიც მოპირდაპირე გუნდების მოთამაშეებს დანიშნულ ლელოში უნდა გაეტანათ თავმოკაკული მსხვილი ჯოხების საშუალებით. ეს უნდა იყოს ის, რასაც დღეს "პოკეის" უწოდებენ. ამავე ასაკში მამაჩემი ფოთში შეგირდად აუყვანია ვინმე ბერძენ ვაჭარს, რომ მას ვაჭრობის საქმე შეესწავლა. ორი-სამი წლის შემდეგ ვაჭარს სტამბოლში გადასახლება გადაუწყვეტია და მამაჩემიც თან უნდა წაეყვანა. მამაჩემს, უკვე გემთან მისულს, გახსენებია, რომ სახლში თავისი პატარა

ფუთა დაავიწყდა. გაქცეულა მის მოსატანად. როცა დაბრუნებულა, გემი რიონის ნაპირს უკვე მოცილებული იყო. მე მამას ვკითხე, რა გქონდა ფუთაში ისეთი, რომ უმისოდ წასვლა არ შეგეძლო-მეთქი. დიდი არაფერი, ერთი წყვილი ნიფხავ-პერანგი და შარვალი მქონდაო. ამგვარად, იგი თავის სოფელში დაბრუნებულა. კიდევ ორი წლის შემდეგ მასა და მის უფროს ძმას — ლევანს ძველ სენაკში საბითუმო სავაჭრო გაუსხნიათ ისეთი გავრცელებული საქონლისა, როგორცაა მარილი, ფქვილი, ხმელი თევზი და ამგვარნი. საქმე თავიდანვე ძალიან კარგად წასვლიათ და რადგან მამაჩემმა უფრო უკეთ იცოდა ვაჭრობის საქმე, მას თავზე აუღია ამ საქონლის მომწოდებელი ადგილებისკენ მგზავრობა, როგორც ის ამბობდა, რუსეთში. როდესაც მე გამოვიკითხე, თუ რუსეთში სად დადიოდა, აღმოჩნდა, რომ იგი ასტრახანსა და ქერჩს არ გასცილებია.

მამაჩემმა საინტერესო დეტალები მიაბო მაშინდელი სამგზავრო პირობების: იმ დროს სამეგრელოს სამთავროს არსებობის უკანასკნელი წლები იყო. რუსები უკვე შემოსული იყვნენ, მაგრამ ადმინისტრაცია ჯერ კიდევ მთავრის მოხელეთა ხელში იყო. მამა პასპორტის ასაღებად მისულა სათანადო უწყებაში, სადაც მდივნად ვინმე დადიანი მსახურობდა — ახალგაზრდა კაცი. მან მამაჩემს სათანადო საბუთის ჩვენების შემდეგ ნაუნერა წოდებად — აზნაურობა, მაგრამ რუსულ პასპორტში "ДВОРЯНИН"-ის მაგივრად, ქართული "აზნაური" ჩაუნერა. მამაჩემი მარწმუნებდა, რომ ეს მან განგებ ჩაიღინა, შურითო, რადგან ის (დადიანი) ვერ ურიგდებოდა, რომ წოდებით მასზე დაბალი ხალხი მისთვის მიუწვდომელ საქმეებს აკეთებდნენო. ეს აზნაურობა მამას იმისთვის სჭირდებოდა, რომ იმ ხანებში ქერჩშიც და ასტრახანშიც დღევანდელი თანამედროვე სასტუმროების როლს ასრულებდნენ ე.წ. "პოსტოიალი დვორ"-ები (ჩვენებურად - "ბაკები") და ტრაქტირები, სადაც აზნაურებს და არააზნაურებს სხვადასხვა ცხოვრების პირობებში ლებულობდნენ. ასე რომ, იქ პირველად ჩასულმა მამაჩემმა თავისი აზნაურობა ვერაფერში გამოიყენა. ეს ამბავი მას სიბერემდე არ დავიწყებია.

სხვა სიძნელეებიც ახლდა თურმე მამაჩემის მოგზაურობას. მგზავრობის დროს იგი ტანსაცმელს იცვლიდა და გახდილი ჩოხის ნაცვლად რუსულ ქურთუკს იცვამდა. დაბრუნების დროსაც იგივე "ქარნავალი" მეორდებოდა. როდესაც მე ეს გავიკვირე, მან ამხსნა: საქართველოში რომ ქურთუკით ვენახე, დამცინებდნენ — გარუსებულაო; რუსის ვაჭრებთან რომ ჩემი ქამარ-ხანჯლით გამოვცხადებულე, იტყოდნენ, ეს ვილაც კნიაზიო და უფრო ძვირად დამიფასებდნენ საქონელს. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელს და მათი ვაჭრობის საქმე სწრაფად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. არ ვიცი, ზუსტად რომელ წელს, XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, მათთან გამოცხადდა მაშინ ფრიად განთქმული, პარიზული "დრეიფუსის" ბანკის აგენტი და ძმებს შესთავაზა, ბანკის სახელით, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მიმდებარე რაიონებში სიმინდის მარცვლის შესყიდვა. "დრეიფუსის ბანკი" იმ დროს ევროპაში მარცვლეულით ვაჭრობის უდიდესი დანე-

სებულება იყო. მამაჩემმა და მისმა ძმამ ლევანმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება. მათი რეპუტაციაც დიდად გაზრდილა. რამდენიმე წლის შემდეგ მათ ფორმალურად ჩამოაყალიბეს საზოგადოება - სახელად "ძმები ქვეთარაძეები". ამ საზოგადოებაში შეიყვანეს ლევანის ორი ვაჟიც — გიორგი და ანდრია (ჯაკუ). 1910 წელს გარდაიცვალა ბიძაჩემი ლევანი. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს ევროპასთან სავაჭრო კავშირი შეწყდა. ამგვარად, სიმინდის ექსპორტიც შეჩერდა. შეჩერდა აგრეთვე მარგანეცის ექსპორტიც, რომლის მრეწველობაშიც ქვეთარაძეთა ფირმა უკვე ჩართული იყო. ყველა ამის სანაცვლოდ ფირმამ ხელი მოაწერა კავკასიის არმიისათვის სიმინდისა და შუშის მიწოდების იჯარას. ეს იყო უზარმაზარი საქმე — 500 000-იანი არმიის სიმინდითა და შუშით მომარაგება. ომის განმავლობაში ფირმამ გადაინაცვლა ყარსის მიდამოებში, სადაც ფირმას ჩაჰქონდა სიმინდი და იჯარით ალებულ აჯამეთისა და ჭალადიდის ტყეებში მოჭრილი შუშა. ეს იყო საკმაოდ დიდი ორგანიზაცია - რამდენიმე ასეული ფურგონით, ტყეებში დაგებული ვინროლიანდაგიანი რკინიგზით, მრავალრიცხოვანი მუშახელით, ნოქრებით და სხვა.

ასეთ მდგომარეობაში მოუსწრო ფირმას ომის დასრულებამ და რევოლუციამ. ამ დროისათვის ფირმა დიდი მასშტაბის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას წარმოადგენდა. მის საკუთრებას, უმთავრესი რომ დეფსახელო, შეადგენდა თამბაქოს პირველი ფაბრიკა აფხაზეთში (შემდგომ სოხუმის პირველი თამბაქოს ფაბრიკა). ასეთივე ფაბრიკა ქუთაისში, საკუთარი ნავმისადგომი ფოთში, რიონის ნავსადგურში, აგრეთვე 99-წლიანი კონტრაქტი ფოთის ახალ პორტში ერთი გემის მისადგომი ადგილისა. მრავალი დასატივითი პუნქტი ზღვისპირის გაყოლებით: ანაკლიაში, ოჩამჩირეში და სხვაგანაც სიმინდით იალქნიანი გემების დასატივითად. საკუთარი სიმინდის ბეღელი ახალსენაკის სადგურის გვერდით, რკინიგზის მისადგომით ცალ მხარეზე და შარაგზით მეორე მხარეზე. ჰქონდათ სახლი თბილისში, დღევანდელი რუსთაველის გამზირზე, ასევე საკუთარი სახლი ფოთში ბულვარის კიდეზე, სადაც საცხოვრებელი ბინის გარდა, მოთავსებული იყო საექსპორტო ბიუროს გამგეობა. ხოლო ქვეთარაძეთა დიდი ოჯახის საერთო ბუდეს წარმოადგენდა ვრცელი, 16 ჰექტარიანი მამული ძველ სენაკში, თანამედროვე კომფორტით აღჭურვილი დიდი სახლით.

ამ მამულში დავიბადე 1906 წლის 21 ნოემბერს. დედაჩემი იყო პეტრე სალაციაის 20 წლის ასული მატო. გათხოვებამდე იგი თეკლათის ქალთა მონასტერში იყო მიბარებული და შემდეგ, მონასტერთან არსებულ ქალთა სკოლაში ბავშვების ზედამხედველობა ევალებოდა. იგი აქ მამამისმა დატოვა იმავე სკოლის დამთავრების შემდეგ, რადგან სახლში კიდევ ორი გასათხოვარი ქალი ჰყავდა. ასე რომ, მაჭანკლების სამუალებით ნაპოვნი უმზითოვო საცოლე მდიდარმა კაცმა პირდაპირ მონასტრიდან გამოიყვანა. ყოველი ადამიანი სიამით იგონებს თავის ბავშვობას, მაგრამ ჩემი ბავშვობა, განსაკუთრებით იმ ხანაში, მართლაც ზღაპრულ გარემოში

მიედინებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს განკარგულებაში იყო მთელი ეს მამული, სავსე მრავალსახეობით. მე ვიყავი პირველი შვილი, რომელიც ამ დიდ და მრავალრიცხოვან ოჯახში დაიბადა. ეს მამული უზარმაზარ ფერმას წარმოადგენდა: მრავალრიცხოვანი ნახირით, ღორებით, ცხენებით, ძაღლებით, ასობით ქათმით, ათეულობით ინდაურით, ბატით, იხვით. ყოველივე ეს ხმარდებოდა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ ყოველდღიურად სტუმართათვის გაშლილ სუფრასაც. თვით ოჯახის წევრთა გარდა, მამულში ცხოვრობდა ათიოდე მოჯამაგირე, რამდენიმე ნოქარი, ორი შეიარაღებული აჭარელი დარაჯი დღისით და ღამით მორიგეობისთვის, მზარეული, ხაბაზი, მეჯინიბე, მევენახე-მეღვინე, მრეცხავი, მეფრინველე ქალები, მეეტლე. გადიები, გერმანელი და ფრანგი გუვერნანტები...

ჩემი ბიძაშვილები - გიორგი და ჯაკუ ომის დაწყების წინა წლებში დაქორწინდნენ. ასე რომ, მათი შვილების დაბადებამდე და, ასე ვთქვათ, ნამოზრდამდე მთელი ეს პატარა სამყარო მე და ჩემი სამი წლით უმცროს ძმა საშას გვეკუთვნოდა. მაგრამ ნურავინ წარმოიდგენს, რომ მე დაუსჯელად ვფლობდი ამ სამყაროს. დედაჩემი თუმც კი მალმერთებდა, როგორც გონებრივად ძლიერ განონანსორებული ადამიანი, ჩემს ცელქობას ზოგჯერ ცივი გადაწყვეტილებით ჰკეცავდა. მე მახსოვს ჩემი თავი სასადილო ოთახის ერთ კუთხეში დაყრილ სიმინდზე დაჩოქილი შიშველი მუხლებით. ასეთი რამ ხშირად არ ხდებოდა, მაგრამ როცა ეს მოხდებოდა, დათქმულ ვადამდე მე ეს სასჯელი უნდა მომეხადა.

ჩემი ბავშვობის უპირველესი გატაცება ცხენები იყო, მაგრამ ჩვენს მამულში ბავშვის ყურადღებას სხვაც ბევრი რამ იპყრობდა. მამულში თავისუფლად გაშვებული დედალ-მამალი შველი, მამულშივე ჯვბირით დაგუბებული პატარა ტბა შიგ ჩაშვებული ნავით, იმ პატარა ტბიდან გამავალ რუზე ჩადგმული პატარა ნისქეილი, რომელიც მამაჩემმა, შეიძლება ითქვას, სათამაშოდ გააკეთა, რადგან იგი შეუჩერებლად სამ საათზე მეტ ხანს ვერ იმუშავებდა და ჩვენი სუფრისათვის საჭირო სიმინდსაც ვერ დაფქვავდა ღომისათვის. მაგრამ ჩემთვის ამ ნისქეილს სხვა მომხიბლავობა ახლდა, რადგან გამდინარე წყლის სიმცირისა გამო, ცემენტით გაკეთებულ ღრმა კესონზე იდგა, რომელშიც დაახლოებით 150 000 ლიტრი წყალი ეტეოდა. ეს კესონი ზამთარში მოზრდილი თევზების "საბუდარს" წარმოადგენდა. როდესაც საკმაოდ ნამოვიზარდე, მამა ნებას მაძლევდა, ეს კესონი მუხლამდე დასულ დონემდე დამეცალა. ამ კესონში პატარა ხიდით ჩავდიოდი ხოლმე და ოცამდე მოზრდილი თევზი ამომყავდა ვედროთი. ასეთი რამ, ცხადია, წელიწადში ორჯერ თუ ხდებოდა, რადგან ეს თევზები მამაჩემმა ტეხურში დააჭერინა და იმ აუზში ჩაუშვა, რომელიც 2-3 წყაროთი იკვებებოდა.

ნადირობის ნებაც ძალიან ადრე მომცეს. მე შემეძლო, როდესაც ყურძნის დამნიფება ახლოვდებოდა, თოფით მენადირა ვენახში დაუპატიუებლად მოსულ ჩიტებზე, უმთავრესად შაშვებზე. ბალს მე მხოლოდ ხეზე ასული ვჭამდი. ყოველივე ამას დედაჩემი, ცხადია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა. ბლის მალალ ხეზე ბავშ-

ვის ძრომა, არც ისე უხიფათოა. არც ვაზებს შორის თოფით სეირნობაა თამაში. ამის გამო დედა ჩემთვის გამალიზიანებელ სიფრთხილეს მიმართავდა: ფარულად ვინმე მითვალთვალებდა, რაც ბავშვის თავმოყვარეობას ლახავდა. მე დედას ვსაყვედურობდი, მაგრამ ეს ვერ მოვაშლევინე. დაბინდებისას კი ერთი პრივილეგიაც დავისაკუთრე — მთელი დღის განმავლობაში დაბმული ძალღების აშვება. როცა ისინი ყუფით მიდამოს მოედებოდნენ, მეც იმათთან დავრბოდი აზარტში შესული. ეს ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იყო.

მე და ჩემს ძმას გვეძინა ოთახში, რომლის ფანჯრები დასავლეთისკენ იყო მიმართული, საიდანაც ჩვენი ეზოს გადაღმა მოჩანდა ორი კილომეტრის სიშორეზედ აღმართული, ისტორიულადაც ცნობილი შხევის ციხე თავისი მაღალი კოშკით. ეს იყო მიზეზი ჩემს ბუნებაში რომანტიკული ნერვის ჩასახვისა. ჩემს ფანტაზიას რით არ შეუშლავს შორით მდებარე შავი კედლები; და როდესაც უკვე მოზრდილმა, 13-14 წლისამ, ეს ციხე ახლოს ვინახულე და როგორც მეძებარმა, დაუყოვნებლივ გარს შემოვუარე, შიგაც გავჩხრიკე და ვერავითარი საოცრება იქ ვერ ვიპოვე, გული ისე მეტკინა, თითქოს ძვირფასი სათამაშო დამმსხვრეოდეს. მიუხედავად ამ მოულოდნელი განზილებისა, ეს ძეგლი ჩემს მეხსიერებასა და არსებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. ახლაც კი, ღრმა სიბერეში, დროდადრო, სრულიად უმიზეზოდ და მოულოდნელად თვალწინ წარმომიდგება ხოლმე. ჩემი ფანჯრებიდან ხილულ ამ სანახაობას თან ახლდა სულ სხვაგვარი, რომანტიზმით აღსავსე მოვლენები. ეს იყო უპირველესად ჩვენი მამულიდან ერთი კილომეტრის მანძილზე გამდინარე ტეხურის შხილი. ეს ხმაური წარმოიშობოდა რიყის ქვებით მოფენილ ტეხურის ფსკერსა და ნაპირებზე მდინარის ტალღების შეჯახებით. ეს იყო მთელი ღამის განმავლობაში შეუწყვეტელი, შორიდან მოწვედნილი მუსიკის ხმა, რომელსაც ბანს აძლევდა ჩემი ფანჯრების ახლომახლო მობალახე პირუტყვისა ძოვის ხმა და, დროდადრო, ცხენების ფრუტუნე. იშვიათად ამ იდილიას არღვევდა ჭერქვეშ, კედელში დატანებულ საჰაერო მილიდან მოწვედნილი სულ სხვაგვარი ხმა წრიპინისა, რადგან იმ მილში ბელურების ერთი ოჯახი იყო დაბუდრებული. ამგვარი აღწერილობანი, თუ ჩემს წარსულს მოვიგონებ, დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს, ამიტომ დროებით მსურს ერთ ყოფითს ეპიზოდს დავუბრუნდე:

ჩვენი სოფლიდან რამდენსავე კილომეტრზე მდებარე სოფელ უფალკარის და მის მიდამოებთა მფლობელის შთამომავალი გიორგი ჩიჩუა თავის ასულს, ნუცას, აფხაზ ასტამურ ინალიფაზე ათხოვებდა. ადგილზე გადახდილი ნადიმის შემდეგ, პატარძლის ნასაყვანად მოსულ მაყრებთან ერთად მეგრელთა გამცილებელი მაყრიონიც მთაზე მდებარე სოფლიდან ბარში ჩამოვიდა. გიორგი ჩიჩუა ჩვენი მეგობარი კაცი იყო, სამურზაყანოელთა უმრავლესობა კი, ცხადია, სამურზაყანოს სიმინდის მთავარ შემსყიდველ ქავთარაძეთა ოჯახს კარგად იცნობდა. როდესაც მაყრიონი ნოქალაქე-ახალსენაკის გზაზე ჩამოვიდა, ჩვენი ჭიშკრის გასწვრივ უნდა გაეველოთ, ცხენების წყურვილის მოსაკლავადო, ასე ამბობდნენ. ჩვენი დიდი

ჭიშკარი გაიღო და 200-მა ცხენოსანმა აავსო ჩვენი ეზო. ეს იყო ორივე მხარის მაცართა ქალებისა და ვაჟების ორი ჯგუფი თავიანთი მოახლეებითა და მეჯინიბებით. ამ ხალხს ქავთარაძეები მარტო ცხენებისათვის წყლის მიწოდებით ვერ გაისტუმრებდნენ. დაუყოვნებლივ გაიცა ბრძანება ხბორების დაკვლისა და ფრინველთა თავების ნაჭრისა. მოჯამაგირეები შეუდგნენ კაკლებისა და მუხების ჩრდილქვეშ ფიცრებისაგან მაგიდების გამართვას. შორიდან გოჭების ჭყივილიც მოისმოდა. არც ჭურჭლის, არც სანოვავის პრობლემა არ არსებობდა, მაგრამ წარმოიშვა სულ სხვა, მოულოდნელი პრობლემა. ეს იმაში გამოიხატა, რომ, როგორცა ვთქვი, მაყრიონს მოახლეთა და მსახურთა საკმაოდ დიდი რიცხვიც თან ახლდა. იმათ ხომ ვერ დასვამდნენ მათი ბატონების გვერდით. ქალთა საკითხი უფრო ადვილად გადაიჭრებოდა, რადგან მათ თვით სახლის შენობაში გადაიბი და მოსამსახურეთა ქალური პერსონალი გაუმასპინძლდებოდა. სულ სხვა იყო მხლებელ მამაკაცთა საკითხი. ეს მოახლენი თუ მეჯინიბენი თავიანთი ბედაურებით და ვერცხლით მოჭედილი ქამარ-ხანჯალით თითქმის არაფრით განსხვავდებოდნენ მათივე ბატონებისაგან, თქვენ წარმოიდგინეთ - საქციელითაც. ჩვენი მოჯამაგირეები სუფრასთან მათ ამფსონობას ვერ გაუწევდნენ. ამ ამბის გადაწყვეტაში გვიშველა ჩვენი სოფლის მოძღვარმა - ბაძუ ქავთარაძემ, რომელიც ჩვენი ოჯახის მოყვარეც იყო. იგი ყველაზედ უკეთ იცნობდა გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას და სულ ცოტა ხანში შეარჩია კიდევც შესაფერი ხალხი ამ სტუმარ აფხაზთა გვერდით დასასმელად.

მე მაშინ 12 წლის თუ ვიქნებოდი, დიდ სუფრასთან გამართული მეგრულ-აფხაზი მაცრების სასიძლერო შეჯიბრი მე არ მაინტერესებდა და არც რამ უცხო იყო ჩემთვის, რომ განსაკუთრებით მეხსიერებაში ჩამბეჭდვოდა. მე უფრო მიპყრობდა ჩვენი ეზოს გარშემო შემორტყმულ მესრებზე მიბმული ბედაურების ცქერა და დათვალიერება. მათი ჭიხინის გაგონება მერჩია მაცრების სიძლერის ხმას, რომელნიც ერთმანეთს ეუჯიბებოდნენ: სუფრა ჩემთვის ცნობილი და თითქმის მოყირაყებული სანახაობა იყო, ხოლო ამხელა რემა ასეთი ბედაურებისა — არასოდეს მენახა. მთვრალივით მიმოვდიოდი მათ შორის. ღამე შეუმჩნეველად ჩამოვნვა და დასაწოლად წასვლა მიბრძანეს. როცა ჩემს სანოლ ოთახში შევედი, მითხრეს, რომ მე და ჩემი ძმა იატაკზე ერთ კუთხეში გაშლილ ლეიბებზე უნდა დავწოლილიყავით, ჩვენს სანოლებს კი სტუმრებისთვის ამზადებდნენ. შთაბეჭდილებითა და სანახაობით დაღლილმა მალე დავეხუჭე თვალები. შუალამეზე, მგონი, გამომღვიძა, მაგრამ ისევ უმაღლე ჩამეძინა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ჩემი და ჩემი ძმის გვერდითაც ვილაც ახალგაზრდა გოგოები იწვნენ. გარაყრაფზე კიდევ ერთხელ გამეღვიძა, გადაებრუნდი ჩემს გვერდით მწოლიარე ახალგაზრდა ქალისაკენ. მასაც გაეღვიძა, მომხვია და, დაიძინე, გენაცვალეო, მითხრა და გულზედ მიმიკრა. ამის შემდეგ ვერ დამიდგენია, მეხსიერებაში არ დამრჩა, რა მოხდა, მაგრამ ეს კი მშვენიერად მახსოვს: მან მკერდიდან მომიშორა და საკმაო მკაცრი ხმით, თუმცა

დაყვავებით მითხრა: "ახ! ენა ვარ, გოლუაფირო!" (ეს არა გენაცვალე!). მე არაფერი ჩამიდენია, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემმა ორგანომ გააძხილა, რომ ბიჭი ვიყავი. გოგომ ზურგით მისკენ შემაბრუნა და მითხრა, დაიძინე, გენაცვალეო. მეც, ალბათ, ყველაფერი დამიცხრა და მოორჩილად ჩამეძინა. თითქმის გათენებული იყო, როცა გავიღვიძე. სახლში ფუსფუსი იყო ატეხილი. ჩვენს ლოგინებზე მწოლი ქალბატონებიც დგებოდნენ. მე უმალ ჩემი ბედაურები გამახსენდა. ნამოვხტი და სირბილით იქითკენ გავნიე. ცხენებს მეჯინიბები კაზმავდნენ. სულ მცირე ჯგუფი სტუმრებისა ისევე სუფრასთან ღრიალებდა. მაყრიონი ნასასველელად ემზადებოდა. როცა ყველანი მზად იყვნენ, ერთმა ჯგუფმა რაღაც ცხენოსნური თამაში წამოიწყო, რომელშიც სიძე ინალიფაც მონაწილეობდა. ამ თამაშის დროს ინალიფას ცხენი წაექცა. ცხენიც და მხედარიც უმალ წამოხტნენ და ინალიფა, შეიძლება ითქვას, ცხენის ადგომას თან აჰყვა, თითქოს არც კი ჩამოვარდნილიყოს. იქ დამსწრენი ძლიერ დაღონდნენ, რადგან მხედრისათვის, და ისიც სიძისათვის დიდი სირცხვილია, რომ ცხენი წაექცა. მათი აზრით, კარგ მხედარს ცხენი არ უნდა წაექცეს. ამ მოვლენამ მათი ნასვლაც დააჩქარა. ყველანი ცხენებზე შესხდნენ და მაყრებმა საზეიმო სიმღერა წამოიწყეს:

„აფხაზეთში წაიყვანეს თამარ ქალი დიელო, და!
მონამიე ხარ შენ, საქართველოვ!“

ამ სიმღერით მაყრიონი ჭიშკარში გავიდა და შხეფისკენ მიმავალ გზას დაადგა. შემდეგ გავიგეთ, რომ სიძეს ცხენთან ერთად დაცემის დროს ლავინი მოსტეხია, სირცხვილით ვერ გაუმხელია და გზაში, 2-3 კმ-ის გავლის შემდეგ, მისთვის გამძლეობას უღალატია, გული ნასვლია და ცხენიდან ჩამოვარდნილა. ასეთი იყო ჩვენს სახლზე "გავლით" შეჩერებულ სტუმართა მასპინძლობა.

გიორგი ჩიჩუა და ასტამურ ინალიფა - სიმამრი და სიძე - ორივე დახვრიტეს აგვისტოს აჯანყების დროს.

კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემი ბავშვობიდან: ერთ დღეს ჩვენ გვეწვია ორი ჩემთვის უცნობი მანდილოსანი. ისე მოხდა, რომ უფროსთაგან შინ არავინ იყო და მე მომიხდა მათი მიღება. ვიქნებოდი, ალბათ, 6 წლისა. ესენი იყვნენ ბიძაჩემის, ჯაკუს ახლად შერთული მეუღლის დედა, ფოთის ყოფილი ქალაქისათვის სოლომონ ჭოჭუას ქვრივი ლიზა მაჭავარიანის ასული და მისი მეგობარი, და რაღაც ნათესავიც, ქუთაისის პოლიცმაისტერის ქვრივი ნასტია აგიევსკაია. მე ბავშვობაში ძლიერ თამამი და ჩემი ასაკისათვის შეუფერებლად მოლაპარაკე ვიყავი. ვუთხარი, რომ უფროსები შინ არ იყვნენ, და შევთავაზე, ვიდრე დიდები მოვლენ, მამულს დაგათვალიერებინებთ-მეთქი. იმათ სიცილი დაიწყეს და გაუკვირდათ ჩემი ასე ადრეული "მომწიფება". კარგიო, და გამომყვნენ. მე ისინი წყაროსაკენ წავიყვანე. ვუჩვენე დიდი აუზი და ნაპირთან მიბმული ნავი და თურმე ისიც მითქვამს, რომ ჯერ პატარა ვარ და ნება არა მაქვს, ნავით გასეირნოთ-მეთქი. შემდეგ ისინი სხვა პატარა აუზისაკენ წავიყვანე, რომელიც საბანაო აუზად იყო გაკეთებული. ისინი

ამ აუზთან რომ მივიყვანე, თურმე ავუსენი, აქ მხოლოდ დიდი სიცხის დროს შეიძლება ბანაობა, რადგან წყაროს წყალი ძალიან ცივია-მეთქი. აუზი ნახევრად იყო სავესე, წყალი მუხლამდე თუ იქნებოდა. აუზთან ერთი დიდი ხე იდგა, რომლის ქვედა ტოტები აუზზე იყო გადაშლილი. ერთ ტოტზედ ავედი, რომ ჩემი სითამამე მეჩვენებოდა, ტოტზედ ფეხი დამიცდა და წყალში ტყაპანი მოვადინე. ქალბატონები ძლიერ შეწუხდნენ, ამოსვლა არ მაცალეს და ვითომ მიშველეს, რომ ამოვსულიყავი, დამავლეს ხელი და, ჩემი პროტესტის მიუხედავად, სრულებით გამამიშველეს, იმათ შეეშინდათ, ფილტვების ანთება არ დამმართნოდა და ჩემს გადარჩენას ცდილობდნენ. ერთმა მათგანმა კაბა აინია და ქვედა კაბა გაიხადა, თავზე ჩამომაცვეს და იმ კაბის თასმები ყელის გარშემო შემომაკრეს. ასე კაბიდან თავამოყოფილს ხელი დამავლეს, ერთმა მარჯვენა, მეორემ მარცხენა მკლავში და ჩქარი ნაბიჯით სახლისაკენ გამაქანეს. ეს მოხდა ჩემი სასტიკი პროტესტის მიუხედავად. ვყვიროდი, მაგრამ ტირილს მოვერიდე სირცხვილის გამო. სახლამდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო, მე ჩემს ბედს შევეურიგდი და მორჩილად მივყევოდი. სახლს რომ მივუახლოვდით, დავინახე, რომ უფროსები უკვე დაბრუნებულნიყვნენ, მაგრამ მათში სტუმრებიც ერივნენ, მათ შორის ჩემი ტოლი ბავშვებიც. ამ ამბავმა თავზარი დამცა. როგორ შემძლო, მე, თავმომზონეს, შიშველი ნავმდგარიყავი თოჯინებით მოთამაშე ჩემხელა გოგონების წინაშე. დავინყე ტირილი და თავის განთავისუფლებას ვლამობდი. ასე ატირებულს და აბლავლებულს მომეგება დედაჩემი. მე კვლავ საშინლად ვღრიალებდი. დედაჩემი ჩემი ტირილის მიზეზს მშვენივრად მიხედა. ჩემთვის კაბა არ მოუცილებია, სახლში შემიყვანა და სირცხვილს გადამარჩინა. ქალებს თავის მართლება დასჭირდათ, რადგან დედამ მათ მიერ მიღებული ზომები ზედმეტად ჩათვალა, უთხრა, გაგეშვათ, თვითონ მოირბენდაო სახლში. დედაჩემის ასეთი შეხედულება მათ სოფლელი ქალის უვიცობად მიუჩნევიათ და მცირე ნაწყენობა დაბადებულა ამ ამბისა გამო. ამ ეპიზოდის შესახებ, უკვე თბილისში, ხშირად მილაპარაკია ამ მანდილო-ნებთან და მათ დავცინოდი ხოლმე. ამას უნდა დაეუმატო ერთი სცენა, რომლის მოწმე ვიყავი 15-ოდე წლის შემდეგ.

ის ქუთაისელი ნასტია, რუსი იყო, მაგრამ ქართულად კარგად ლაპარაკობდა, როგორც ყველა ქუთაისელი რუსი. ლიზას პატარა ძალი ვყავდა. რუსული სახელი ერქვა - „მურზიკა“ და რუსულადვე ელაპარაკებოდა მას. ნასტიამ შენიშნა, ლიზა, შენ რომ დიდად პატრიოტობ და ქართულად ლაპარაკს მოითხოვ ყველასაგან, შენს ძალს რუსულად რატომ ელაპარაკებო. ლიზამ უპასუხა, ძალებს რუსული უკეთ ესმითო. ნასტია საშინლად გაბრაზდა, როგორ, რა სისულელეს ლაპარაკობო. გინდა, ახლავე დავიმტკიცოო? როგორ დამიმტკიცებო, უპასუხა ნასტიამ. როგორ და, აბა ქართულად უთხარი მაგ ძაღლს, ნავიდესო. ნასტიამ უთხრა ძაღლს: ნადი, ნადი, მომშორდიო. მურზიკა არ გაინძრა. მაშინ ლიზამ დაუძახა: პოპოლ, პოპოლ! და მურზიკა გატრიალდა და ნავიდა. ამ ამბავმა ისინი ისე ნაჰკიდა, რომ კარგახანს დამდურებულები იყვნენ. ამ ამბის მოწმე მხოლოდ მე ვიყავი.

ამბავი ჩემი “ცხენოსნობისა”

ჩემი ცხენოსნობის ამბავი ვირზე შეჯდომიდან იწყება. ბიძაჩემმა გიორგიმ და მისმა ახლად შერთულმა მეუღლემ, ლორთქიფანიძის ასულმა სონიამ, თავიანთ საქორწინო მოგზაურობაში მეც წამიყვანეს, როგორც საბედო. აბასთუმანში ვიყავით. ვიქნებოდი 5 წლისა. პარკში ვირებს აქირავენდნენ ბავშვებისათვის. სონიამ ერთ ვირზედ შემსვა. მე ვაჟკაცობა გამოვიჩინე და უარი ვთქვი, რომ ჩაღწარი წინ გამძლოლოდა და სადავე თვითონ ავიღე ხელში. კაცს ძალიან გაეხარდა, რადგან სხვა საქმეც ჰქონდა, მითხრა, ყოჩალო, და სხვა ბავშვებისკენ მიბრუნდა. მე ვირს უზანგები ვკარი ნაცვლად დეზებისა. ეს ილეთი მშვენივრად ვიცოდი. ვირი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა პარკის ერთ-ერთ დახლართულ ბილიკს, რომელიც მეჩხერ ტყეში შედიოდა. ასე უშიშრად ვიარე კარგა ხანს. სრულებით არ მადარდებდა, რომ არ ვიცოდი, თუ სად ვიმყოფებოდი. სალამო ყამი იყო. მივიხედ-მოვიხედე და ცოტა დავფიქრდი, რადგან მიეხვდი, რომ არ ვიცოდი, თუ სად ვიყავი, მაგრამ არ შემშინებია. სიბნელე თანდათან ძლიერდებოდა და უკვე ძილიც მერეოდა. ამის შემდეგ ჩემს მეხსიერებას არაფერი შემოუნახავს. გამომვლვიდა ისევ პარკის ცენტრში. ჩემს გარეშემო ხალხი იყო შემოკრებილი და რალაცას ლაპარაკობდნენ პოლიციისა და ჟანდარმერიის შესახებ. თურმე კარგა ხანი გასულა, ყველა დარწმუნებულა, რომ მომიტაცეს. გიორგის პოლიციისათვის შეუტყობინებია. მთელ მხარეში ზომები მიუღიათ გამტაცებელთა საძებნელად. იმ ხანებში გავრცელებული იყო ასეთი საქციელი. ყაჩაღები ხალხს იტაცებდნენ ხოლმე გამოსასყიდის მისაღებად. ასე დამთავრდა ჩემი პირველი მხედრობა.

მეორე, ახლა ნამდვილი ცხენოსნობა იმ ხანებშივე მომიხდა, მხოლოდ ჩვენსავე ეზოში. ჩვენი ხშირად მოდიოდა სტუმრად ზოგჯერ ორთელიანი ეტლით, ზოგჯერაც ცხენზე ამხედრებული, სენაკის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი მანსვეტაშვილი (მაშინ - მანსვეტოვი). იმ დღეს ეტლით მოვიდა. თეთრი ცხენი ჰყავდა, სახელად “შუშა”. საჯინბოში გამოზრდილი და გახედნილი მშვენიერი ცხენი. ეტლიდან გამოსხნილი ცხენი ეზოში ბალახს წინწინდა, უფროსები ჩრდილში საგრილებელს სვამდნენ. მანსვეტაშვილმა თავის ცხენს მოუხშო. ცხენი მოვიდა პატრონთან. პატრონმა ხელში ამიყვანა, ცხენზე შემსვა, სადავეები ხელში მომცა და მითხრა, ნუ გეშინია, სადავე დაიჭირე და თვითონ გატარებსო. მე სრულიად არ შემშინებია და ცხენი ჩვენი სახლისაკენ წავიყვანე. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ცხენმა ფეხი ააჩქარა. 1-2 წუთის შემდეგ ძუნძულზეც გადავიდა. მე არ შემშინებია, მაგრამ საფრთხე ვიგრძენი, რადგან ჩოროთის გამო, ცხენი მაღლა მისროდა, მერე კვლავ მის ზურგს ვენარცხებოდი და სულ ადვილად შეიძლებოდა, რომელიმე მხარეს გადავვარდნილიყავი. მოვისაზრე და ფაფარს ხელი ჩავავლე. ყოველივე ამის მნახველ მანსვეტაშვილს გაჰკვირვებია ცხენის საქციელი. გამოიქცა, დაგვენია და ცხენი შეაჩერა. მე, ალბათ, ცოტა გაფითრებული, ცხენიდან ჩამომსვეს. ასე დასრულდა ჩემი პირ-

ველი ნამდვილი ცხენოსნობა. შემდეგ მახსოვს, რომ ამ შემთხვევის გამო, დიდი ბჭობა გაიმართა. ვერ გაეგოთ, თუ რატომ აჩქარდა ცხენი. ბევრი დაკვირვებისა და კვლევის შემდეგ მიზეზი აღმოაჩინეს. ეტლიდან გამოშვებულ ცხენს მთელი თავისი ალკაზმულობა ზედვე ჰქონდა და ეტლის გამწვევი ორი ჭაპანიც გავაზედ ჰქონდა გადაჯვარედინებული. ჭაპნის ბოლოები ცხენს ფერდებზედ ხედებოდა და ეს დარტყმა ძლიერდებოდა ცხენის ნაბიჯის მომატების პროპორციულად. მანს-ვეტოვი ძალიან კმაყოფილი დარჩენილა აღმოჩენით, რადგან იგი თავისი ცხენის აბსოლუტური მოშინაურებით იკვებნიდა.

ჩემი მორდუ ფარნა კუპრეიშვილი

მეგრული სიტყვა "მორდუ" აღმზრდელსა ნიშნავს. იგი შეიძლება ეწოდებოდეს ბავშვის ძიძის ქმარსაც, აგრეთვე სხვა პიროვნებასაც, თუკი ეს დაკავშირებულია ერთ ნეს-ჩვეულებასთან. მეგრელებსა სწამთ, რომ როდესაც ოჯახში ბავშვი გარდაიცვლება, თუ ბავშვის მშობელი სხვა ბავშვზე გადაიტანს ზრუნვას, საიქიოში მის ბავშვსაც ასევე მიუვა ეს ზრუნვა. ამგვარად, გარდაცვლილის მშობლები, სინამდვილეში მამა, საზრუნავ ბავშვად ირჩევდა უმეტეს შემთხვევაში შეძლებული ოჯახის შვილს, რომ მათი შვილის უზრუნველყოფა საიქიოში უფრო ადვილი ყოფილიყო. აი, ასეთ მზრუნველსაც ეწოდება მორდუ. ფარნა კუპრეიშვილი იყო ჩემი მორდუ. იგი მცველი იყო ჩვენ მიერ შექმნილი ერთი დიდი ტყისა, რომელიც სადღაც საჩიქოვანოს მიდამოებში მდებარეობდა ლენხუმ-მიერთ-სამეგრელოს საზღვარზე. ჩვენ მიერ ამ ტყის შექმნას თავისი ისტორია აქვს. ტყე ჩიქოვანთა საგვარეულო საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ერთი ჩიქოვანის მიერ ახალი დინასტიის დაარსებამ ყველა მისი შთამომავალი, გადადიანებული ჩიქოვანებიც, ამ ტყის მფლობელად გადააქცია. ეს ტყე, რომლის ხსენებაც ნამიკითხავს რომელიღაც ისტორიული ხასიათის ნაწერში, ცნობილი იყო ძვირფასი ჯიშის ხეების სიმრავლით. მას, როგორც ხედავთ, მრავალი პატრონი ჰყავდა, მაგრამ დიდ სივრცეზე განფენილობის გამო, თითქმის უპატრონოდ რჩებოდა. ჩიქოვანები ერთმანეთს უსაყვედურებდნენ ამ ტყით სარგებლობის უთავბოლოდ დარიგებას და მუდმივი დავა ჰქონდათ ერთმანეთში. ერთ-ერთ ამ დავაში მომრიგებლად მიუწვევიათ მამაჩემი. გაირკვა, რომ ტყე უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ჩიქოვანებს მისი ყიდვის უნარი არ შესწევდათ, დადიანებს კი ყიდვა სრულებით არ აინტერესებდათ, რადგან ჩვენ იქიდან ნასული ვართ და ტყე მაინც ჩიქოვანების ხელში იქნებოდა. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარე ტყის რაციონალური, ინდუსტრიული ექსპლუატაციის პერსპექტივები უგზობობის გამო, შორეული საქმე იქნებოდა. მოლაპარაკების დროს მამაჩემისათვის ცხადი გახდა, რომ პატრონთათვის ერთადერთი გამოსავალი იყო ტყის გაყიდვა და მისი ფასი ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით ბევრად მცირე იქნებოდა. ამიტომაც

შეიძინეს მამაჩემმა და მისმა ძმამ “თურჩუს ტყე”, რომლის მცველიც ჩვენ მიერ ნახსენები ფარნა იყო.

ფარნას ჩემზე ზრუნვა რით უნდა გამოეხატა, თუ არა ჩვენთვის დროდადრო ძღვენის მოტანით, პირადად ჩემთვის კი უცხო, განსაკუთრებული საჩუქრის მორთმევით. მოტანილ ძღვენთა შორის აღსანიშნავია და დაუვინყარია ერთი. ფარნამ ერთხელ ტყის თაფლი მოგვიტანა, მაგრამ იგი უჩვეულო სანყაოში იყო ჩასხმული, სახელდობრ, ღამის ქოთანში. ამ ამბავმა დედაჩემი ძალიან შეაფიქრინა და ფარნას დაკითხვა დაუწყო, ვითომ ალტაცებულმა, ასეთი ღამაში ქოთანი საიდან გაქვსო. ფარნამ აუხსნა, ხონში ვიყიდეო, და ასეთი ჭურჭლეულობის ცნობილი ვაჭარი დაუსახელა. დედამ ჰკითხა, რაში ხმარობთ ამასაო. ფარნამ აუხსნა, ყოველგვარი წვნიანი საჭმლისთვის, რომელსაც მოხრაკვა არ სჭირდებაო. ამან დედა დაამშვიდა და თაფლის ჭამის ნება დაგვრთო; მაგრამ ფარნას სხვა იშვიათი საჩუქრებიც მოუტანია. ერთი მათგანი მარტო მე არ მეკუთვნოდა. მან საცოლე მოუყვანა ჩვენი ოჯახის მეგობრის, კოკი დადიანის მიერ ნაჩუქარ შველს, რომელსაც მჩუქებელის პატივისცემად კოკის ვეძახდით. პატარძალს თინა დაარქვეს. პირადად მე კი სულ პატარა დათვის ბელი მომიყვანა. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. შინ და გარეთ სულ ერთად ვკოტრიალობდით. პატარა ძმასავით მიყვარდა და იმასაც ვუყვარდი. მაგრამ იგი საკვირველად სწრაფად იზრდებოდა ჩემთან შედარებით და რამდენიმე კვირის შემდეგ მასთან თამაში სახიფათო გახდა, რადგან თათებს ლოყებზე მითათუნებდა და სისხლს მადენდა. დედაჩემს გადაუწყვეტია დათვის მოშორება და ერთ დილით, როდესაც ის ველარ ვნახე, ამიხსენს, რომ გაიპარა, ალბათ დედამისთან დაბრუნდაო. მე ცოტა კი ვიტყვი, მაგრამ ნორმალურად მივიჩნე, რომ იგი დედასთან დაბრუნებულიყო. განვლო რამდენიმე ხანმა და ფარნამ ახლა არნივის მართვე მომიყვანა. მასთან თამაშობა კი შეუძლებელი იყო. იგი დიდ გალიაში ჩასვეს, მაგრამ ჩემს საკუთრებად ითვლებოდა და მისი გამოკვება ჩემი პრივილეგია იყო. ყოველ დილით მზარეული ესტატე სიორდია პატარა არნივისათვის წვრილ-წვრილად დაჭრილ ხორცის ნაჭრებს მანვდიდა. მაგრამ ის ბარტყიც ისე ჩქარა იზრდებოდა, როგორც ჩემი მეგობარი დათუნა. ერთ დღეს ხორცს ჩემი თითის პანანინა ნაჭერიც მიაცოლა. მინდოდა, ეს ამბავი დამემალა, მაგრამ მაინც გაიგეს და მართვეს ბედიც გადაწყდა. დედაჩემმა მშვიდად დამარწმუნა, ამიხსნა, რომ არნივი მტაცებელი ფრინველია, მას გალიიდან ვერასოდეს გამოიყვან, დამწყვედული კი თვითონაც უბედური იქნებაო. დამატებით მომატყუა კიდევ: ამას ვინმე მონადირეს ვაჩუქებთ და იგი მიმინოდ გამოიყენებსო. მე კიდევ პატარა ვიყავი, რომ ეს ამბავი არ დამეჯერებინა. ასეთი გახლდათ ჩემი და ჩემი მორდუს ურთიერთობა.

გამომრჩა მორდუდ გახდომის ცერემონიის აღწერა. იგი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მე ჩემს მომავალ მორდუს ერთი ბლუჯა თმა მოვაჭერი მაკრატლით.

ესტატე სიორდია

ეს პიროვნება პატარა ბავშვობიდანვე აღმებეჭდა მესხიერებაში. იგი ჩვენი მზარეული იყო. ჩვენი ოჯახის მსახურთა შემადგენლობამ, რა თქმა უნდა, წერა-კითხვა ყველამ იცოდა, მაგრამ კულტურით ესტატე ყველაზე მაღლა იდგა. გაზეთებს მხოლოდ ის კითხულობდა და შინაარსს სხვებს უამბობდა ხოლმე. ახალგაზრდობაში აფთიაქარის შევირდობა გაეწეო. ამიტომ ზოგ მასზედ კულტურულად მაღალ პირზედაც მეტი იცოდა არა მარტო ფარმაკოლოგიისა, არამედ მისი დროის მედიცინის ამბებშიც კარგად ჩახედული იყო. ის იყო დაბალი ტანის, ქალარანვეერიანი კაცი, რომლის მუშაობისათვის ცქერა ჩემთვის არათუ მოსაწყენი არ იყო, არამედ მზად ვიყავი, რომ მისი დანის მოძრაობისათვის, მუდმივად მექცირა. ეს ის დროა, როდესაც სამზარეულოს მაგიდას მე ცხვირით ძლივს ვწვდებოდი, მაგრამ მეც მისთვის გასართობს წარმოვადგენდი. დროდადრო, როდესაც ხახვისა და პილპილის ჭრაში იყო გართული, თავის სალოკ თითს, პილპილში ამოვლებულს, მისი მაგიდის კიდეზე მიდებულ პირში გამომაველებდა. ეს, რა თქმა უნდა ხუმრობა იყო, მაგრამ მე პირი არც თუ სახუმროდ ამეწვებოდა ხოლმე. ამის მიუხედავად, ამ ხუმრობას მე ალერსად ვიღებდი და ფეხს არ ვიცვლიდი, ვიდრე ვინმე არ მეტყოდა, დედა გეძახისო. როდესაც ცოტა წამოვიზარდე, იგი ხანდახან მიკეთებდა ხოლმე ასაფეთქებელი მასალიდან დამზადებულ პანანინა „ყუმბარებს“, რომელთაც მე ქვის კიბის საფეხურებზე ვალაგებდი და მაღლიდან მრგვალ რიყის ქვას დაეუშვებდი, რაც საკმაოდ ძლიერ ხმას გამოსცემდა — ისეთს, რომ სამზარეულოს კიდის გარშემო მუდამ მოფუსფუსე ქათმები თუ სხვა ფრინველები დაფეთებულები გადაიკარგებოდნენ. იმ ოთახში, სადაც ესტატეს ეძინა, მუდამ დიდი დასტა იდო წაკითხული თუ წაუკითხავი გაზეთებისა, რომელთაც იგი ლამფის სინათლეზე ლოგინში კითხულობდა. ამის გამო, მოჯამაგირებმა ხუმრობით სასთუმალთან მავთულები-საგან მონწული დაფა ჩამოუკიდეს და ზედ ერთი გაშლილი გაზეთი მიამაგრეს, ვითომ ასე უფრო ადვილად წაიკითხავო. მისი ოჯახი ჩვენგან კარგად მოშორებით, რომელიღაც სოფელში ცხოვრობდა და ერთადერთი იყო, ვინც, თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ მაინც, დროს პოულობდა, რომ შინ წასულიყო. ჩვენი ოჯახის ყველა წევრი მას დიდი მონივნებით და მორიდებით ეპყრობოდა, არასდროს იგრძნობოდა, რომ იგი მსახური იყო და არაწევრი ოჯახისა. მგონი, არასოდეს პატარა შენიშვნაც კი არ მიუღია. როდესაც საკმაოდ წამოვიზარდე, შემიძლია ვთქვა, რომ ბევრ ჩემზე უფროს ადამიანზე მეტი ცოდნა შევიძინე სამეგრელოს ეთნოგრაფიისა და წერილ ისტორიული ამბებისა ესტატეს მონათხრობიდან, რომელთა მოსმენაც არასოდეს მწყინდებოდა. მიმაჩნია, რომ ადგილობრივ ცხოვრებასა და წარსულზე მისგან მოსმენილმა ამბებმა ბევრი რამ შესძინა ჩემი ზოგადი კულტურის ჩამოყალიბებას; რაც მისგან მომისმენია, ის მე არსად წამიკითხავს. ამგვარად, იგი ჩემთვის ფრიად სასარგებლო წიგნს წარმოადგენდა.

მეპურე პავლია

მისი გვარი აღარ მახსოვს. მისი საქმე მხოლოდ პურის ცხოზა იყო. ეს იყო მაღალი, ბრგე რაჭველი, ლაპარაკის ნაცვლად რალაცას ბურდლუნებდა. მოჯამა-გირეები მას დაციწვით ორთავას ეძახდნენ, იმიტომ, რომ უცნაური თავის ქალა ჰქონდა. ერთი ყურიდან მეორე ყურამდე მალლიდან რალაც ლარი ეტყობოდა მელოტ თავზე. მარტო ამის გამო ეძახდნენ ორთავას, თორემ თავში ბევრი არაფერი ედო. გულწახვეული კაცი იყო, არავისთან არ მეგობრობდა და არც საუბარში ებმებოდა ხოლმე, მაგრამ თავისი ხელობა კი მშვენიერად იცოდა. ისეთი გემრიელი პური მას მერე არსად მიჭამია. რა თქმა უნდა, ეს ბავშვობის დაუვიწყარ შობა-ბეჭდილებას უნდა მიენეროს. მგონი, ოჯახიც არ ჰყოლია.

სოფრომა სვანიძე

მევენახე და მეღვინე სოფრომა იმერელი - სოფელ სვირიდან. ამ კაცმა წერაკითხვაც არ იცოდა. იგი თავისი ხელობის გარდა, შვიძლება ითქვას, მოურავობაც ეწეოდა, რადგან, რაც მე მახსოვს, იგი ყველაზედ ადრე იყო მოსული ჩვენს სახლში. მევენახისა და მეღვინის ყოლა ძველ სენაკში გაუმართლებელი და საკვირველი ამბავია, რადგან ტეხურის დაბლობზე, სადაც სენაკი მდებარეობს, წესიერი ღვინის დაყენება შეუძლებელია; ეს წამოწყება მამაჩემის აკვიატებული სურვილი იყო. ჩვენი ვენახი იმდენად პატარა იყო, რომ რამდენიმე ასეული ბოთლი ღვინო, რომელიც დგებოდა, მამაჩემს პირადად ძლივს ყოფნიდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მარტო სადილზე სვამდა ღვინოს და არასოდეს, სტუმრიანობის დროსაც კი შექეფიანებული არ მინახავს. სოფრომას თავისი მიმზიდველობა ჰქონდა ჩემს თვალში. თავისუფლად ხმარობდა ნაჯახს, ხერხს, სატეხს და ამგვარ იარაღებს. მე კი ბავშვობიდანვე ვიყავი ჩხირკედელაობით გატაცებული, რაც საბოლოოდ იმაში გამომადგა, რომ სახლი რომელშიაც დღესაც ვცხოვრობ, ჩემი ხელით ავაშენე შორეულ საფრანგეთში. ყოველი ხელოსნური სამუშაოს დროს, სოფრომას გარშემო ვტრიალებდი და მოხმარებას ვცდილობდი; და თუმცა მოხმარების ნაცვლად ხელს ვუშლიდი, იგი მოთმინებით იტანდა ჩემს მასთან ყოფნას. სოფრომას რჩევით მამაჩემმა ჩემთვის მჭედელს გააკეთებინა საბავშვო, მაგრამ ნამდვილი პატარა ნაჯახი და სხვა იარაღებიც მიყიდა, რაც ჩემთვის შეუფასებელ ავლადიდებას წარმოადგენდა. ამ საქმით ჩემი გატაცების დასასურათებლად ერთი რამის თქმაც კმარა: ჩემი ორივე ხელის ათივე თითის ფრჩხილები დაბეგვისა და დაზიანების გამო, ახლად ამოსულია. დედაჩემს ეს ძალიან აფიქრებდა, მაგრამ მამამ ამისი აკრძალვის ნება არ მისცა. ჩემს ბავშვობაში საქართველოს სხვადასხვა აგარაკებზე, ჩემს ტოლებთან ომობანას თამაშობის დროს, ხმლებისა და სატევერების გამოთლამი ტოლი არა მყავდა.

მაქსიმე მაჭავარიანი - მუნჯია

მოჯამაგირედ ჩვენთან დედამისმა მოიყვანა. ალბათ, 18-19 წლის იქნებოდა. მას განსაზღვრული საქმიანობა არ ეკისრებოდა, ყველაფერს აკეთებდა, კარგი ხასიათის ახალგაზრდა იყო, მაგრამ განსაკუთრებულება ის იყო, რომ მხოლოდ მე შემეძლო მასთან თითქმის ლაპარაკი და საუბარი. დასაწყისში, როგორც სხვები, მეც ვცდილობდი ლაპარაკით მიმემართა ხოლმე; ნაცვლად იმისა, რომ მისთვის რამე მესწავლებინა, თვითონ შევისწავლე მისი მუნჯური ლაპარაკი და ჩვენ ორს შორის არაერთი დაბრკოლება აღარ იყო ნათქვამის გაგებაში. მუნჯია ერთადერთია ჩვენს მოჯამაგირეთაგან, რომლის შესახებაც ვიცი, თუ რა მოუვიდა ბოლოს. როდესაც სენაკიდან და სხვა ადგილებიდან გაძევებულებმა თბილისში მოვიყარეთ თავი, მუნჯიაც ჩვენ შორის აღმოჩნდა. როდესაც საქართველო დავტოვე, მუნჯია ჩვენს თბილისურ სახლში ცხოვრობდა. შემდეგ მისთვის სამუშაო აღმოუჩენიათ, ცოლიც შეურთავს, მასავით მუნჯი ქალი. ერთ დღეს ავტომანქანას გაუტანია, რადგან მას მანქანის მოახლოება არ ესმოდა, მძღოლს კი ვერ წარმოედგინა, რომ მის წინ მიმავალი კაცი ყრუ-მუნჯი იყო და საყვირს ვერ გაიგონებდა.

ქართულ-აფხაზური საკითხი

ჩემი ბავშვური მოგონებიდან მსურს, ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან გაგიზიაროთ საკმაოდ საგულისხმო ეპიზოდი ზემოთაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში საკმაო რიცხვი სწავლობდა აფხაზი ბავშვებისა, რომელნიც ადგილობრივ ოჯახებში იყვნენ დაბინავებული. მათ სანახავად დროდადრო ჩამოდიოდნენ მშობლები. ზოგი მათგანი ჩვენთან ათევდა ხოლმე ლამეს. ხშირად ხდებოდა, რომ ორი-სამი წყვილი ამ მშობლებისა ჩვენთან სადილობდა ხოლმე. იმ დღეს, როგორც მუდამ, სხვა მეგრელი სტუმრებიც იყვნენ, რაც ჩვენი სახლისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. სადილის მოლოდინში ყველანი ფართო აივანზე ისხდნენ და აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულებაზე იყო ლაპარაკი. საუბარი, ცხადია, მეგრულად მიდიოდა. რადგან აფხაზებმა, უმთავრესად სამურზაყანოდან, საყველპურო ქართული, მართალია, იცოდნენ, მაგრამ ასეთ საკითხზე გაბმულ დისკუსიაში მეგრული ერჩიათ, რადგან ამ ენაზედ ისინი სენაკელ მეგრელებზე უკეთაც ლაპარაკობდნენ. მე მაშინ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ზოგი რამ საქართველოს ისტორიიდან სწორედ მათგან გავიგე. სახელდობრ ის, რომ მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი ერქვა, მაგრამ ისინი (აფხაზები) ამას დოკუმენტად იყენებდნენ, რომ თქვენ უნდა იყოთ ჩვენი ქვეშევრდომები და არა ჩვენ თქვენით. ამას იმასაც ამატებდნენ, რომ საქართველოს გაერთიანება ქუთაისში მჯდარ აფხაზური დინასტიის მეფეთა მეთაურობით დაიწყო და აღსრულდაო. ისტორიის მცოდნე ყველა ქართველმა იცის, რომ ეს ფორმალურად ასეც მოხდა, მაგრამ აფხაზები, არ ვიცი,

შეგნებულად თუ შეუგნებლად იფიქრებდნენ იმ რთულ პოლიტიკურ კომბინაცია-საც, რომლის ინიციატივაც ქართლის ერთ დიდ თავადას მარუშიძეს ეკუთვნოდა. მე მხედველობაში მაქვს დავით კურაპალატის მიერ ნაშვილები ბაგრატიის გამეფება ქუთაისში და სრულიად საქართველოს გაერთიანება ამის წყალობით. მაგრამ ეს ისეთი ვრცელი საკითხია, რომ მასზე აქ ვერ ვილაპარაკებ. ამასხოს, რომ მეგრელები, სხვა არგუმენტებთან ერთად, აფხაზებს მოაგონებდნენ ქართველთა და აფხაზთა ჩვევების, ზნეობის, კულტურის, ვთქვათ ცეკვა-სიმღერის, ერთიანობას. რუსთაგან აბსოლუტური განსხვავების საპირისპიროდ, ვისკენაც აფხაზები აშკარა მიდრეკილებას იჩენდნენ. ამ საუბარში შემოგვესწრო ახალი სტუმარი. ეს იყო რუსი მოხელე, სკოლების "პოპეჩიტელი" (მზრუნველი). ასეთი მოხელეები თითქმის უცვლელად ჩვენთან სადილობდნენ, როცა სენაკში ჩამოდიოდნენ ხოლმე. სადილის დროც მონვენილიყო და ყველანი სუფრას მიუსხდნენ. რუსის სტუმარი საპატიო ადგილზე დასვეს. იგი აღტაცებული იყო ქართული კერძებით, მაგრამ ღვინის დაღევას კონიაკის სმა ამჯობინა. სადილი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. აფხაზები და ქართველები ღვინოსა სვამდნენ, ის კი ქართულ კონიაკს თვითონვე ისხამდა; ახლა მიკვირს, რომ არავინ დაფიქრებულა, თუ ამას რა უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ისიც საფიქრებელია, რომ მეგრული თავაზიანობა და აფხაზურიც ამ საქმეში ჩარეულიყო და რუსისთვის ესწავლებინა — ბევრს ნუ სვამო. სადილი მთავრდებოდა და რუსი სკამზე ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გადმოვარდნილიყო. დედაჩემმა სუფრასთან მომსახურე ქალს, ჩვენივე ნოქრის, ქიშვარდ სანიკიძის დას — მართას ანიშნა და ჩუმად უთხრა, ეგ კაცი სტუმრების ოთახში წაიყვანეო. მართამ რუსს ფრთხილად ხელი მკლავში მოჰკიდა. მართა ცხრამეტოდე წლის მაღალი და სპორტული ტანის გოგო იყო, ქერთმიანი, ევროპული ტიპის სახისა. მართამ რუსი სასტუმრო ოთახში წაიყვანა. ამ ოთახსა და სასადილო ოთახს შორის ჩვენი სახლის დიდი სასტუმრო დარბაზი იყო და როცა მართამ რუსი სასტუმრო ოთახში შეიყვანა, ჩვენსა (სასადილოსა) და იმ ოთახს შორის ყველა კარები ღია იყო დატოვებული. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯერ ძლიერი ლანანის და შემდეგ იატაკზე დაცემის ხმა მოისმა. მართაც დაუყოვნებლივ სასადილოში შემოვარდა და აღელვებულმა გვითხრა, მაგ პირუტყვმა ლოგინზე წაქცევა მომიწოდო. სტუმრები წამოიშალნენ, რუსი აიყვანეს და ლოგინზე დაანვინეს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დედაჩემს საქმე სხვანაირად გადაუწყვეტია. მან მართას დაავალა, წადი, შენს ძმას დაუძახეო და გაკვირებულ ქიშვარდს დედაჩემმა უბრძანა, ახლავე გაიქეცი, სანდრო თურქია მოიყვანე თავის ფაეტონითო. მამაჩემმა რომ ეს გაიგონა, მიხვდა, თუ რისთვის მოყავდათ ფაეტონი და დედაჩემს უთხრა, მატო, რას შერები, სტუმარს სახლიდან აგდებო?! დედამ მკვახედ უპასუხა, შენ იმათ მოუარე, ვინც სტუმრის სახელს იმსახურებს, ეს შენი ვალიაო, მაგრამ არ დაგავინყდეს, რომ დიასახლისი მე ვარო. ამ ხნის განმავლობაში ქიშვარდიც დაბრუნდა ფაეტონთან ერთად. ეს ამბავი ასე სწრაფად იმიტომ მოხდა, რომ სანდრო თურქია თავისი ფაეტონით ჩვენი სახლიდან 60 მეტრზე თუ იქნებოდა დაშორებული. დედამ

ქიშვარდს და სანდროს უბრძანა, ეს რუსი ახალ სენაკში წაიყვანეთ, სანიკიძის სასტუმროში, და ფული წინდანინ გადაიხადეთო. ეს საქმე ასე შესრულდა. სუფრასთან დამშვიდებულმა სტუმრებმა აივანზედ დაწყებული ლაპარაკი მოიგონეს — უფრო მეგრელებმა. იმათ აფხაზებს უთხრეს, ამ ხალხში უნდა გაგვეცვალოთო?! ეს რომ აფხაზის სახლში მომხდარიყო, ხომ მკვლელობა მოხდებოდაო. იმ ღამესვე მამაჩემმა მაზრის უფროსს შეატყობინა (მანსვეტოვს) მომხდარი ამბავი. ეს საჭირო იყო, რადგან რუსი “პოპეჩიტელი” მისი რეკომენდაციით მოვიდა ჩვენსა. ამ ამბავს არავითარი გართულება არ მოჰყოლია, რადგან მანსვეტოვმა მშვენიერად გაიგო ყველაფერი, რადგან თვითონაც ქართველი იყო. იქნებ სხვა რამ მომხდარიყო, მაზრის უფროსი რომ რუსი ყოფილიყო.

კიდევ ერთი ეპიზოდი ჩვენი ოჯახის დამოკიდებულებისა აფხაზებთან

უკვე მოვიხსენიე, რომ ქავთარაძეები მუდმივი მყიდველები იყვნენ აფხაზეთში მოყვანილი სიმინდისა.

ამ სიმინდის ყიდვა იმგვარად ხდებოდა, რომ წაღებული სიმინდის საფასური პატრონებს ეგზავნებოდათ გაყიდვის შემდეგ. ერთხელ ასეთი ფულის გაგზავნა მზადდებოდა. ფული ცალკე კონვერტებში იყო განაწილებული და ერთ-ერთ ნოქარს ევალებოდა მათი აფხაზეთში წაღება-დარიგება გამყიდველებისათვის. ამჯერად ამ მოვალეობას ასრულებდა ნოქარი ანდრი ნიფურია. ჩანთით წასაღები ფული ინახებოდა მაგიდის უჯრაში, ოთახში, რომელშიც თვით ნიფურიას ეძინა (სიმინდის სანყობში). მეორე დილით, წასვლის წინ ნიფურია კონვერტები ამოიღო, ჩანთაში ჩაალაგა, ცხენს მოახტა და სამურზაყანოსკენ გასწია. იქ მან მიწის პატრონი მემამულეები კარდაკარ დაიარა და როცა ყველა კონვერტი დაარიგა, უკან დაბრუნდა. ამ საქმეში არც ქვითრები არსებობდა და არც ხელის მოწერა. ნიფურია უკან დაბრუნდა და... ცხოვრება თავისი გზით მიმდინარეობდა. რამდენიმე თვის შემდეგ იმავე ნიფურია დალაგების მიზნით რომ თავისი უჯრა სულ გამოიღო, უჯრის უკან ორ ფიცარს შორის გაჩხერილი კონვერტი შეამჩნია, ზედ ერთ-ერთი აფხაზის გვარი ეწერა. ნიფურია იმ აფხაზს იცნობდა და იგი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ის კონვერტი იყო, რომელიც მას უნდა წაეღო და არ წაუღია. მამაჩემი ამ ამბავმა ძლიერ შეანუხა. ცხენს მოახტა და თვითონვე წავიდა აფხაზეთში (სამურზაყანოში) და ბოდიში კი არ მოუხდია, პირდაპირ საყვედურით მიმართა იმ აფხაზს, რა დღეში მაყენებდიო, ნიფურიას რომ ეს კონვერტი არ ეპოვა, რა უნდა გაფიქრა ჩემზე, ხომ იცოდი, რომ ფული ყველა შენს მეზობელს დაურიგდაო. იმან უპასუხა: ვიცოდი და იმედი მქონდა, რომ თვითონვე მიხვდებოდი ამ გარემოებასო, მაგრამ თქვენ რომ ეს ფული კიდევ არ გეპოვნათ, ერისტო, როგორ გგონია, მე ამას განგებ ჩადენილად მივიღებდიო? ასეთი აღებ-მიცემობის ზნეობა არსებობდა მე-19 საუკუნეში.

შეხვედრები იმდროინდელი საქართველოს ცნობილ პიროვნებებთან

ჩემი ბავშვობისა და ყმანვილკაცობის დროს წილად მხედა, საკმაოდ ინტიმურ გარემოებაში, შეხვედრა რამდენსამე საქართველოს ფრიად ცნობილ, თუ შედარებით ნაკლებად ცნობილ პიროვნებასთან.

კათალიკოსი ამბროსი - ის იყო ამ დროს ეპისკოპოსი გურია- სამეგრელოსი. სოფელ ძველ სენაკში ჩამოსულმა, მან შეჰყარა სენაკის გარშემო მდებარე სოფელთა მღვდლების ყრილობა. ეს კრება ჩვენს მამულში, სახლის მახლობლად, მუხებისა და კოპიტების ჩრდილში გაიმართა. ასეთ ყრილობაზე არასასულიერო პირს დასწრება ეკრძალებოდა. მე ვიყავი ერთადერთი ასეთი პირი, რომელიც ყრილობას თავიდან ბოლომდე "დაესწრო". ცხადია, მე ჩემი შესაფერი როლი მეკისრებოდა. ჩემი მოვალეობა იყო, რომ მაგიდაზე მდგომი წყლის დოქი მუდმივ ცივი წყაროს წყლით სავსე მდგარიყო. მე მაშინ დაახლოებით 10-12 წლის ვიქნებოდი. მაგიდაზე დოქის გარშემო ზუსტად არ მახსოვს 12 თუ 15 ჩაის ჭიქა იდგა, შიგ ჩაის კოვზებით, და მათ გვერდით — ერთი დიდი ქილა შინდის მურაბისა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოლაპარაკეთა ყელის გასასველებლად. მე დიდი გულმოდგინებით ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და ერთგვარი სიამაყითაც კი ვიყავ შეპყრობილი, რომ ისეთ კრებას ვესწრებოდი, რომელზეც არცერთ ადამიანს ჩემ გარდა, დასწრების უფლება არ ჰქონდა. დოქის ავსება საკმაოდ ხშირად მომიხდა, რისთვისაც სირბილით მივდი-მოვდიოდი, კარგა დიდი მანძილის მიუხედავად. ჩვენი სოფლის მღვდელმა, ბაძუ ქავთარაძემ შენიშვნაც კი მომცა, სირბილი საჭირო არ არისო. მე ვუპასუხე: მიხარია-მეთქი. ამ კრებაზედ უმრავლესობა ჩემთვის უცნობ პიროვნებას წარმოადგენდა. ნახსენებ ბაძუს გარდა, ვიცნობდი შხეფის სამწყსოს ხუცესს ევსევი ხოფერიას, რომელსაც მე ხშირად ვხედავდი თავისი ჯორით ჩვენი სახლის წინ ჩავლილს. მეორე იყო კოტიანეთის მღვდელი კირილე ჯავახია. იგი სკოლაში ქართულ ენასა და საღმრთო რჯულს გვასწავლიდა. მე დიდი გულმოდგინებით ვუსმენდი მონანილეთა სიტყვებს, რომელთა აზრი, უნდა გამოვტყდე, მთლად გარკვევით არც კი მესმოდა. ლაპარაკი ქართულ ენაზედ ხდებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ზოგი მღვდელი, ნაწილობრივ მეგრულად, ნაწილობრივ ქართულად ლაპარაკობდა. მე მაკვირვებდა ასეთ კრებაზედ მეგრულის გამოყენება, რადგანაც ასეთ საკითხებზე ლაპარაკს არასოდეს არსად არ შევსწრებივარ. ისე მეგონა, თითქოს მეგრული მხოლოდ შინაურობაში გამოსაყენებელი ენა იყო, რაც ბოლოს და ბოლოს მართალიც არის, რადგან ეს ენა უკვე რამდენიმე საუკუნეა სხვაგვარად არც გამოიყენება.

მეორედ, როდესაც ამბროსი ხელაიას პირისპირ შეხვედი, იგი უკვე საქართველოს კათალიკოსად იწოდებოდა. ეს იყო უკვე გასაბჭოების შემდეგ. მე მაშინ ჩვენს თბილისურ სახლში გიორგი და ჯაკუ ქავთარაძეების ბინაზე ვცხოვრობდი (ჩემი ბიძაშვილების, რომელთაც მე, ასაკის დიდი განსხვავების გამო, მუდამ ბიძებს ვეძახდი).

კათალიკოსი ამბროსი ახლად განთავისუფლებული იყო მეტეხის ციხიდან, სადაც იგი გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი ცნობილი წერილისათვის იჯდა. როგორც მან თვითონვე თქვა, ეს მისი პირველი გამოსვლა იყო სახლიდან. რადგანაც პატიმრობაში ისე დასუსტებულიყო, რომ ძლივს მომჯობინდა. როცა იგი ჩვენს სახლში მოვიდა, სასტუმრო დარბაზში რამდენიმე სტუმარი იჯდა. მე მხოლოდ ორის გვარი მახსოვს — ექიმი ჩხენკელი და აგრეთვე ექიმი ძიკი თოფურია. ეს თოფურია ბიძაჩემის დეიდაშვილი იყო. იგი მემარცხენე მიმართულების კაცი იყო, სოციალისტობდა კიდევ. როცა გაიგო, რომ დარბაზში კათალიკოსი უნდა შემოსულიყო, ბიძაჩემის სანოლ ოთახში დაიშალა და რადგან იმ ოთახიდან სხვა გამოსასვლელი არ იყო, იქ დამწყვედული იჯდა, ვიდრე კათალიკოსი წავიდოდა. უფრო გვიან, ამ საქციელის მიზეზი რომ ჰკითხეს, თქვა, მე არასოდეს მღვდლისათვის ხელზედ არ მიკოცნია და თითქოს მეშინოდა კიდევ, როგორ გავბედო, კათალიკოსის ხელზე კოცნით დავინყო. საპატიო სტუმრის ყოფნისას სხვა კურობული რამეც მოხდა. გიორგის, ჩემი ბიძის უმცროს შვილს ლუტუ-ვახტანგს ძლიერ მოენონა დარბაზის წინ დერეფანში მოსასხამთან ერთად დატოვებული კათალიკოსის კვერთხი. ვერცხლის თავს გარშემო თასმა მოაბა, ცხენივით მოახტა და ეზოს გასწვრივ გაჭიმულ აივანზე გააჭენ-გამოაჭენა. ბავშვი დატუქსეს, მაგრამ ამ ხმაურის ასახსნელად კათალიკოსსაც უამბეს, თუ რა მოხდა. ჯაკუმ თქვა „კვერთხი სათამაშოდ გამოიყენაო“. ამბროსიმ გაიღმა და უპასუხა, უმანკო ბავშვმა რომ საქართველოს კათალიკოსის კვერთხი სათამაშოდ მიიღოს, ამით არა გაფუჭდება, უბედურება ის იქნება, სხვებმა, უფრო პასუხისმგებლებმა არ მიიჩნიონ იგი სათამაშოდ.

ნიკო ნიკოლაძე - ამ დიდ პიროვნებას პირველად ამ ბინაზედვე შევხვდი, მხოლოდ ეს იყო ცოტათი უფრო ადრე, დამოუკიდებლობის დროს. ზარი დაირეკა. შემოსასვლელ კარებს მისაღები დერეფანი ზევიდან გადაჰყურებდა. მე რომ მოაჯირიდან გადავიხედე, დავინახე, რომ ვიღაც კაცი კიბეზე ამოდიოდა. მეც იმ მხარეს გავსწიე და ნიკოლაძეს, უკვე მალლა ამოსულს, პირისპირ შევეჩხე. მან მკითხა, დაბლა კარი ღია იყო, განგებ არის დატოვებული, თუ ვინმეს დარჩა ღიაო. არა, ბატონო, ალბათ ვინმეს დარჩა-მეთქი, ვუპასუხე. პასუხის გაცემა ძლივს მოვასწარი, რომ ამ 80 წლის კაცმა კიბე ჩაირბინა, კარი მიხურა და სანამ მე გონზე მოვიდოდი, ისევ მალლა ამოვიდა. მგონი, იმ დღესვე იყო, ჩვენთან სადილობდა და ნასადილევსაც ჩვენთან დარჩა, რადგან ბიცოლაჩემს სალამოსთვის მონვეული ჰყავდა სტუმრები მისი პეტროგადელი მეგობრის, ვინმე დუმბაძის ქალის შინაურული კონცერტის მოსასმენად. დარბაზი სტუმრებით იყო სავსე და იმათი ჩამოთვლა აღარ შემიძლია. კონცერტის შემდეგ ქალებმა მოიკალათეს და თავიანთი საუბარი გააბეს. მამაკაცები მოწინააღმდეგე კუთხეში ფეხზე მდგომნი დინჯად საუბრობდნენ. ხომ მოსალოდნელია, რომ ქალებს მოდისა და თეატრის შესახებ ესაუბრათ, ხოლო მამაკაცებს — პოლიტიკაზე. მაგრამ სანინააღმდეგო ხდებოდა. ქალები ალტაცებით ლაპარაკობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის,

გეგეჭკორის ელეგანტობაზე, მის მაღალ გემოვნებაზე ჰალსტუხების შერჩევაში. ასევე აქებდნენ მაშინდელ შრომისა და მომარაგების მინისტრს ერაძეს, რომელიც თბილისის დეპოს მუშა იყო. მაგრამ ამბობდნენ, სრულიად უადგილოა მისი თანამდებობისათვისო, გეგეჭკორს კი სწორედ თავისი თანამდებობის შესაფერისად მიიჩნევდნენ. არ ვიცი, ვის მოუვიდა აზრად, რომ ამ საქმის გადასაწყვეტად და მსაჯულად ნიკოლაძეს მიმართეს. ნიკოლაძემ მოკლედ მოისმინა ქალების არგუმენტები და შემდეგ თქვა, მე თქვენ სრულიად არ გეთანხმებითო, პოლიტიკის სკოლა საერთოდ არ არსებობსო, ყოველივე დამოკიდებულია კაცის უნარსა და ჭკუაზეო. კარგად ჩაცმის უნარის გამოჩენას პოლიტიკასთან არაფერი საერთო არა აქვსო, რადგან საქართველოს დიდი საერთაშორისო საკითხები არც გააჩნია, მე არ ვიცი, რა შეეძლო ან რაში გამოიჩინა მან ასეთი ადგილის დამსახურებაო. რაც შეეხება მომარაგების მინისტრს ერაძესო, მე ვფიქრობ, სთქვა მან, რომ მთელ ჩვენს მთავრობაში ეს ერთადერთი კაცი უნდა იყოს, ვინც თავისი საქმე უკეთ იცის, ვიდრე სხვებმა — თავიანთითო. ამ განჩინებამ ქალთა აღტაცებას ცივი წყალი გადაახსა. ნიკოლაძეს არავინ შედავებია და საღამო ასე დასრულდა. მხოლოდ შემდეგ, ზურგსუკან იმავე ქალებმა ნიკო ნიკოლაძეს სუსტი ადგილი მოუნახეს და თავის სასარგებლოდ ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს არგუმენტი. ისინი ამბობდნენ, ნიკოლაძე ქალების მადევიარი კაცია და მას შურს, რომ ქალები გეგეჭკორით აღტაცებულები არიანო. ამ არგუმენტების ახალი მსაჯულობა თქვენთვის მომინდვია, ამ სიტყვების ნამკითხველო.

მინდა მოვიგონო ნიკოლაძის ერთ-ერთი სტუმრობა უკვე გასაბჭოების დროს. ეს ჩვეულებრივი სადილი იყო კვირა დღეს. სუფრას უსხდნენ ჩვენი ოჯახისათვის შინაური გენერალი — გერასიმე ქავთარაძე, მიხაკო ჩხენკელი — ექიმი, და ჩემ გარდა კიდევ ორი ახალგაზრდა სტუდენტი, გიორგის და ჯაკუს დისშვილი ტოგო ხოშტარია და სენაკის სათავადაზნაურო სკოლის ყოფილი უფროსის შვილი — ლუტა ლორთქიფანიძე. გენერალმა ქავთარაძემ ახალგაზრდების სადღეგრძელო დალია და შესაფერი სიტყვებით მოგემართა. ნიკოლაძემაც მოისურვა რამდენიმე სიტყვის თქმა. მან უკვე იცოდა, თუ რა სარბიელისკენ ისწრაფოდა ყოველი ჩვენთაგანი, და სთქვა, მე რომ 5 შვილი მყავდეს, ხუთივეს ვაჭრობა-მრეწველობაზე გავუშვებდიო. ჩვენ ხმა ჩაკვმინდეთ გაკვირვებულებმა, რადგან ვიცოდით, რომ არათუ თვითონ არ აურჩევია ასეთი გზა, რადგან იგი განათლებით ინჟინერი იყო, არამედ თავისი სამი შვილიდან (ერთი ვაჟი და ორი ქალი) არც ერთი ამ გზით არ აღუზრდია. ახლა ვფიქრობ, რომ ეს გარემოება მას უბრალოდ იმ ნუთს დაავინყდა კიდევ. ეს ამბავი მე აქ მხოლოდ იმისთვის აღვნიშნე, რომ მეჩვენებინა, ასეთ დიდ კაცსაც ზოგჯერ შესაძლებელია უხერხული რამ ნამოსცდეს.

სულ სხვა პირობებში და გარემოებაში შევხვდი უკანასკნელად ნიკო ნიკოლაძეს. ომისდროინდელი შუშის საკითხთან დაკავშირებული ნაცნობობის გამოყენებით, ჯაკუმ შეუქვეთა და ქალადიდიდან მიიღო ერთი ვაგონი მუხის ხის შუშა, რაც მაშინ

თბილისში ადვილი სამოვარი არ იყო. ეს ამბავი რომ ნიკოლაძეს გაუგია, ჯაკუსთვის უთხოვია, თუ კიდევ ერთი ვაგონის მიღების მოხერხება შეგიძლია, ჩემთვისაც გამოინერეო. ჯაკუმ ეს აუსრულა და რამდენიმე დღის შემდეგ, ვაგონის სამეგრელოდან გამოგზავნის საბუთის ასლი მე გადმომცა და მითხრა, როგორც ის პირველი ვაგონის საქმე გააკეთე, ისევე ეს შემა ვანოს გამოატანინე და ნიკოლაძესთან მიიტანოსო. ვანო სალაცაია დედაჩემის ძმა იყო. იგი ომის დროს ყარსში იჯდა და იმავე ქალაქიდან მიღებულ შეშას სათანადო სამხედრო უწყებათა შორის ანაწილებდა. ამჟამად კი თბილისში, დიდუბეში, სანყობის უფროსი იყო, სადაც შეშის ნაწილი ამ სანყობის საშუალებით თბილისშივე ურიგდებოდა იმ დროის სამხედრო უწყებებს. ახლა კი ეს საქმე სახელმწიფოს ხელში იყო. ვანოს თავისი სამსახურის გარდა, საკუთარი საქაპონო დაწესებულება ჰქონდა, ხუთი ფურგონით. იგი ამ სანყობსაც ემსახურებოდა და თბილისის მცხოვრებლების სხვადასხვა საჭიროებასაც აკმაყოფილებდა. მე ვანოსთან მივედი და ქალაქი გადავეცი. მან თარიღს დახედა და სთქვა: "ამის მოსვლას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება". მითხრა, მე თვითონ შეგატყობინებო. ორი-სამი დღის შემდეგ, მასთან კვლავ მივედი. მას ეს დავალება გაახსენდა და რკინიგზის სათანადო კანტორაში მივედი, სადაც აღმოჩნდა, რომ ვაგონი უკვე ორი დღის მოსული იყო და მისი გამოტანა იმ დღეს უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. მხოლოდ მეორე დღეს გახდა შესაძლო. მომდევნო დღის საღამოს, როცა უკვე შეშა მიტანილი იყო, მე ნიკოლაძესთან სახლში მივედი, რომ ამ ოპერაციისათვის დახარჯული ხარჯები გამომერთმია და ქალაქი გავუნოდე. მან თარიღები გასინჯა და მკითხა: აქ სამი დღის ჯარიმა გადასახდელი, როგორ მოხდა ესო. ვუთხარი, არ ვიცი, ორი დღეა, რაც ბიძაჩემს მიუტანე ეს ქალაქი-მეთქი. იგი, ალბათ, ყველაფერს მიხვდა, უკმაყოფილოდ თავი გაიქნა-გამოიქნია და საჭირო ფული მომცა, რაც მე ვანო ბიძიას გადავეცი. მაგრამ სხვა სამსახურიც გავუნიე. შევთავაზე, რომ, როგორც ჩვენ მოვიქეცით, მე მხერხავეებს მოგიყვანო და ისინი იმავე პირობებში შეშას დაგიხერხავენ და სარდაფში დაალაგებენ-მეთქი. ეს პირობები იმაში გამოიხატებოდა, რომ ერთი კვირის წინ, როდესაც ჩვენ შეშა მოგვივიდა, მე წავედი ვერის დაღმართზე, მაშინ არსებულ პატარა ბაზარში, სადაც ასეთი მხერხავეები იდგნენ ხოლმე. ორ მხერხავს მოვუჩივდი, რომ განსაზღვრულ საფასურად და ერთი სადილის ჭმევით ერთ ვაგონ შეშას დახერხავდნენ და სარდაფში ჩვენვე დავანყობდით. ასეც მოვიქეცი. მეორე დღით იგივე მუშები ვიპოვე ბაზარში და იმავე პირობით ნიკოლაძის ბინაზე წავიყვანე, რომელიც მაშინდელი განოვის ან ველიამინოვის ქუჩაზე, ახლანდელი ქალაქის მმართველობის უკან მდებარეობდა. ამით განისაზღვრებოდა ჩემი პირადი კონტაქტი ამ დიდ პიროვნებასთან.

ვასო აბაშიძე - ეს იყო რევოლუციის წლებში. ვასო აბაშიძე თავისი დასით საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოგზაურობდა. მათ რეპერტუარში ჰქონდათ მაშინ პოპულარული ოპერეტა "არშინ მალალან". ეს პიესა, მგონი, აზერბაიჯანელი მუსიკოსის ნანარმოები იყო და მაკმადიანური ცხოვრებიდან იყო ამოღებული. დასი

ძველ სენაკს ერთი კვირით ესტუმრა. ჩვენი სოფლისათვის თეატრი უცხო რამეს არ წარმოადგენდა, რადგან ადგილობრივი თეატრის მოყვარულთა დასი არსებობდა, რომელიც თვეში ერთხელ მაინც მართავდა წარმოდგენებს. მათ რეპერტუარს უმეტესად პატრიოტული შინაარსის პიესები შეადგენდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ დასში ხანდახან მაშინ ახალგაზრდა მოყვარული არტისტი აკაკი ხორავაც თამაშობდა. იმჟამად ვასო აბაშიძის მთელი დასის ჩვენს სოფელში მოსვლა დიდი მოვლენა გახლდათ. აქედანვე ჩანს, რომ ეს სოფელი კულტურულად "რალაცას" მაინც წარმოადგენდა. ვასოს თან ახლდნენ და დასში მონაწილეობდნენ მისი მეუღლე და ქალიშვილი ტასო, რომელიც გათხოვილი იყო თბილისელ სომეხზე, პროფესიით მეთარე ვინმე აბგარზე. ვასოს ოჯახი ჩვენთან ცხოვრობდა, გარდა აბგარისა, რომელიც დასის სხვა წევრებთან ერთად განაწილებული იყვნენ სოფლის სხვადასხვა ოჯახებში. დასში არაქართველებიც იყვნენ, რომელთაც ქართული არც იცოდნენ, მაგრამ ქართულად კი მღეროდნენ. დასს მუდმივი ბინა არ გააჩნდა. წარმოდგენები სათავადაზნაურო სკოლის ზემო სართულის დარბაზში იმართებოდა, რომელშიც საამისო სცენაც მუდმივად იყო მოწყობილი. მათი მუსიკალური წარმოდგენა, თუმცა საკმაოდ გულუბრყვილო და პრიმიტიული შინაარსისა, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა ამნაირი რამის უნახავ ხალხზე. მასსოვს, რომ თვით ვასო მაინცდამაინც კმაყოფილი არც იყო, რადგან გაჭედილი დარბაზის მაყურებლების ორი მესამედი მაინც ბავშვებისაგან შედგებოდა და რადგან ისინი დადებული ფასის ნახევარს იხდიდნენ, ვასო ლაპარაკის დროს დაუფარავად ამბობდა, ოქროს მთებს შეგვპირდნენ და მე ჯერ თქვენი მასპინძლობის გარდა, ვერაფერს ვხედავო. ახლა რომ მისი ლაპარაკი მაგონდება, ცნობილი არტისტისაგან, როგორი სახელიც მას ჰქონდა და იყო კიდევ, მე, ბავშვიც კი განბილებული ვიყავი. იგი მუდამ თავისი ოჯახის გარშემო საუბრობდა და წამდაუნუნმ თავის სიძეს აქებდა, ხომ კარგი ბიჭია ჩემი აბგარო. სხვა მე არაფრის მოგონება შემიძლია მათი ვიზიტიდან.

მეორედ უკვე კარგა სიბერეში შესულს შევხვდი. ეს იყო საქართველოდან ჩემი წამოსვლის წინა წლებში. იგი ჯაკუმ მოიყვანა სადილად. ამჯერად ყველას ძლიერ მოგვენონა. ეს იყო ენამახვილი მოხუცი, რომელიც მშვენიერი მთხრობელიც იყო და თავისი ბუნებრივი იუმორისტული ნიჭით არა მხოლოდ გვართობდა, არამედ უსაზღვროდ გვხიბლავდა. საღამოს, როცა წასვლა დააპირა, მე და ტოგომ გავაცილეთ, რომ ტრამვაიში ჩაგვესვა — შორს სავალი არცა გვექონია. ტრამვაი ოპერის წინ ჩერდებოდა, თითქმის ჩვენი სახლის პირდაპირ. გამოთხოვების დროს ამ განთქმულ იუმორისტს ჩვენ ზუმრობით მივმართეთ: ბატონო ვასო, მოუფრთხილდით, კიდევ არ მოგპარონ თქვენი ოქროს საათი, რადგან ვინ იცის, ისეთმა ვინმემ მოიპაროს, რომელიც თქვენს სახელს არ იცნობს, თქვენი მოთაყვანე არ არის და უკან აღარ დაგიბრუნებს, როგორც პირველ შემთხვევაში მოხდა-მეთქი. მართალი ხართ, მართალი, პატიოსანი და უპატიოსნო ჯიბგირებიც არსებობენ — გვიპასუხა მან. როცა ვასო ტრამვაიზე აღიოდა, მთელი მგზავრები ერთმანეთს ეწურჩულებოდნენ: ვასო აბაშიძე, ვასო აბაშიძეო.

კონსტანტინე გამსახურდია - ჩემ მიერ საქართველოს დატოვების დროს, ე.ი. 1927 წლის დასაწყისში კონსტანტინე გამსახურდია უფრო თავისი თეატრალური გამოსვლებით იყო ცნობილი, ვიდრე თავისი მწერლობით. ერთი ასეთი თეატრალური გამოსვლების ნიმუშია ოპერის თეატრში ზუგდიდელი მეგრელების წამოწყების წინააღმდეგ გამოსვლა. ამ შემთხვევაში მასში ჩანდა ცხელი ტემპერამენტის საკმაოდ მჭკვერმეტიყველი პატრიოტი. მსმენელები და მათთან ერთად მეც, აღფრთოვანებულნი ვიყავით მისი გამოსვლით. იმ დროს მის მთავარ ნაწერებს წარმოადგენდა მოდერნული სტილის პრეტენზიით დანერგილი რომანი „დიონისეს ლიმილი“ და მოთხრობების პატარა ნიგნი საერთო სათაურით „მარჯვენა თვალით“. ქართულ პროზაში შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენად ითვლებოდა. იმ ხანებში გვესტუმრა იგი სადილად ჩვენ. მისი საუბარი ბანალობას არ გასცილებია, მაგრამ როდესაც მისი სადღეგრძელო დაიღია და მან სამადლობელო სიტყვა წარმოთქვა, მაშინ მის მიერ წარმოთქმული ფრაზა დაუეინყრად დარჩა ჩემს მეხსიერებაში, მოულოდნელი, საკვირველი და საუბედუროდ, ჩემს თვალში ავტორისათვის სრულიად არასასიქადულო. სიტყვა, ცხადია, მარტო ამ ფრაზისაგან არ შედგებოდა, მაგრამ მე მხოლოდ ზუსტად იმ ფრაზის გამეორება შემიძლია. მან სთქვა: ჩემთვის რა თქმა უნდა, დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველოს შვილი ვარ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ძნელია და უბედურებაა დიდი მწერლისათვის პატარა ქვეყნის შვილობაო. ამ სიტყვებმა ჩემში დიდი ტკივილი გამოიწვია, რადგანაც მე ამ კაცისადმი, რამდენადაც შესაძლებელია, კეთილად ვიყავ განწყობილი. მას რომ, თუნდაც თავის თავში, მომავალი დიდი მწერალი ეგრძნო, წინასწარ ამაზე ლაპარაკი უკვე ცუდი რამის მომასწავებელი იყო. მის ახალ რომანებს ჩვენ, აქ, ომის შემდეგ გავეცანით. საყოველთაო მოწონება ხვდა „დიდოსტატის მარჯვენას“, რაც მე მგონია, რომანებით უაღრესად ღარიბ ქართულ ლიტერატურას აღსანიშნავ შენაძენად ჩაეთვლება. ხოლო ყოველივე ეს „დავით აღმაშენებლის“, მე ვბედავ თქმას, ჩაფლავებით დამთავრდა. ჩემს თვალში კონსტანტინე გამსახურდია ქართული კულტურის ერთი მაღალხარისხოვანი მუშაკთაგანია. დიდ მწერლად თავის გამოცხადება კი მისი ხასიათის ზოგიერთ თვისებას მიეწერება: საუბედუროდ, ქართველთათვის კარგად ცნობილი საკუთარ სიდიდებზედ გადაჭარბებული წარმოდგენა, ბაქიობა და მკევეხარობა.

დიდ ომთან დაკავშირებული ორი მოგონება

დაუფრუნდეთ პირველი მსოფლიო ომის ხანას. 1915-იან წლებში კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიას კრიტიკული მდგომარეობა შეექმნა. სამიშროება დაიბადა რუსეთის მიერ კავკასიის დატოვებისა — რუსებმა სახელმწიფო არქივების გადატანაც კი დაიწყეს. ქვეთარაძეებმა შესაფერისი ზომები მიიღეს და სამივე ოჯახი, მამაკაცების გარდა, ყელეზნოვოდსკში გადასახლდა. ვიმგზავრეთ მატარებლით. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კასპიის ზღვის ნაპირზე გავლის

დროს დიდ იალქნიან გემთა სიმრავლემ. მე ზღვა ფოთშიც ნანახი მქონდა, მაგრამ იქ პორტში ჩაკეტილი გემები არც კი მინახავს. აქ კი თვალწარმტაცი სანახაობა იყო. ყელეზნოვოდსკი სადგურთან ახლოს მდებარე ვინმე გენერალ ინოზემცევის სახლში დავბინავდით. ამგვარი სამი ერთნაირი სახლი ერთ დიდ მამულში იდგა. ეტყობა მის პატრონს ისინი მოაგვარაკეთათვის მისაქირაველად გაეშენებინა. ჩვენი სახლის გარდა, ორი დანარჩენი ცარიელი იყო. საფიქრებელია, რომ ეს გენერალი დიდი ვინმე ყოფილა, რადგან ყელეზნოვოდსკის მახლობლად ერთ რკინიგზის სადგურს ინოზემცევა ერქვა. იმ დროს ამ ადგილებში აქა-იქ გაფანტული იყო, არ ვიცი, უკრაინელების, თუ რუსების ახალშენები. მათ ხუტორებს უწოდებდნენ. მე მაშინ 9 წლის ვიქნებოდი. ერთ დღეს მე და ჩემმა სამი წლით უმცროსმა ძმამ, საშამ ამ ხუტორებისაკენ გავისეირნეთ. გზაში ბავშვების საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდი შეგვხვდა. გვიცნეს, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლები არ ვიყავით, შემოგვეზვივნენ და ჩვენი ვინაობა იკითხეს. მე ვუპასუხე „გრუზინები“ ვართ-მეთქი. ეს პასუხი მათ არაფერს ეუბნებოდა. გვიკითხეს, ქრისტიანები თუ ხართო. მე ვუპასუხე, რომ ქრისტიანები ვართ-მეთქი. ამით არ დაკმაყოფილდნენ და კითხვა დაგვისვეს: „НЕМЦЕВЫЕ?“ (გერმანელებს თუ ებრძვითო) ნორმალურად დადებითი პასუხი უნდა გამეცა, მაგრამ გამახსენდა მაშინდელი ქართველების სიმპათიების მიმართულება ამ ომის დროს. ცივად ვუპასუხე დამკითხავს, არა-მეთქი. ცხადია, ბავშვებმა მტრებად ჩაგვთვალეს. დროებით მოგვშორდნენ და განსაზღვრული მანძილიდან ქვების სროლა დაგვიწყეს. ჩვენ გზაჯვარედინზე ვიმყოფებოდით. ერთ კუთხეში რალაც პატარა შენობის ნანგრევები მოჩანდა. ორი კედელი მიწასთან იყო გასწორებული. მხოლოდ ერთი კუთხე კიდევ ფეხზედ იდგა. ეს გადავაქციეთ ჩვენს საფარად და იქიდან ვპასუხობდით. ერთი ქვა ჩემს ძმას თავში მოხვდა და სახე სისხლით შეეღება. რუსის ბავშვები, ეტყობა, ამ ამბავმა შეაშინა და სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ. საშას ჭრილობა სინამდვილეში იმდენად საშიში არ იყო, რამდენადაც მისი სისხლის დენა მნახველს დააშინებდა. ჩვენ სახლში დავბრუნდით. საშას ჭრილობა მობანეს, ზედ რალაც დაანებეს და მთელი ამბავი ამით დამთავრდა.

ამ ამბის თხრობა აქ შეწყვიტოთ და 25 წლით უფრო გვიან, ამ არემარეშივე დაგბრუნდეთ.

“ბერგმანის” IV ასეული კავკასიის ფრონტზედ იმყოფებოდა. გერმანელები სტალინგრადის მიმართულებით იბრძოდნენ. კავკასიაში შესასვლელად მოყვანილი ჯარები მთაგრეხილის გასწვრივ იყვნენ განლაგებული, მოზდოკიდან იალბუზამდე, ცოტათი კიდევ უფრო შორს, და სტალინგრადის დაცემას ელოდებოდნენ, რადგან ალბათ ფიქრობდნენ, რომ სტალინგრადის დაცემის შემდეგ, როგორც ხის ტანიდან მოჭრილი ერთი ტოტი, მთელი კავკასია შედარებით ადვილად ხელში ჩაუვარდებოდათ. ამავე დროს ესენტუკში გერმანული საჰაერო ძალების ბაზა იმყოფებოდა. იქ ერთი ოფიცრის ინიციატივით, რომელსაც ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა, ქარ-

თველ ტყვეთაგან ასეული შეუდგენიათ. იმ ოფიცერმა ჩვენი ერთეულის უფროსს თხოვნით მიმართა, მისთვის ორი ემიგრანტი დაეთმო, რომელთაც შეეძლებოდათ თარჯიმნობასთან ერთად ასეულის ჯარისკაცებიც გაეთვითცნობიერებინათ. ჩვენი ერთეულის უფროსმა ობერლენდერმა (რომელიც ომის შემდეგ გერმანიის პირველი კანცლერის მთავრობაში აღმოსავლეთ გერმანიიდან დევნილი მოსახლეობის მინისტრი იყო) მფრინავთა ოფიცერს — ვიქტორ ნოზაძე და დავით ვაშაძე გაუგზავნა. მათ წასაყვანად მოფრინდა ერთი პანანინა თვითმფრინავი, რომელსაც სახელად ერქვა "შტორხ", რაც ნეროს ნიშნავს. ეს თვითმფრინავი მართლაც ნეროს ჰგავდა. იგი ჯდებოდა ნებისმიერ, თუნდაც ქვიან და ოღროზოღრო ადგილზე და აფრენაც შეეძლო ამგვარი ადგილიდან. მაგრამ ასეთ თვითმფრინავს სამი კაცის წონაზე მეტი ბარგის წაღების საშუალება არა ჰქონდა. ამიტომ ვიქტორმა და ვაშაძემ მხოლოდ ორი პატარა ჩანთა წაიღეს შიგ აუცილებელი საგნებით. მათ მიერ დატოვებულ ბარგის მისაწოდებლად ჩვენ შესაფერ შემთხვევას ვუცდიდით, რომ ესენტუქში მიმავალი მანქანით მე მათთვის ბარგი წამეღო. დაახლოებით 15 დღე ვუცადე ამ შემთხვევას და მათი ბარგი ავიკიდე, რომ გამვლელ მანქანათა შორის ესენტუქისკენ მიმავალით მესარგებლა. დიდი ხნის ცდა არ დამჭირებია, საშუალო საბარგო მანქანამ გამოიარა, რომელიც საჰაერო უწყებას ეკუთვნოდა. მგზავრები სწორედ ესენტუქში მიდიოდნენ. ვუთხარი, რისთვის და სად მივდიოდი. იმ ასეულის არსებობაც სცოდნიათ და სიამოვნებით ამიყვანეს მანქანაზე. შორი გზა არ გვექონდა გავლელი, რომ საიდანღაც რუსის ერთი პატარა თვითმფრინავი გამოჩნდა. ასეთი თვითმფრინავის იქ ყოფნა, ცხადია, ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენდა. რადგან რუსული თვითმფრინავის ჩვენ თავზე ყოფნა ეჭვიმუთანელად ჩვენზე შეტევის მოტანით უნდა დამთავრებულიყო. ჩვენ მანქანა შევაჩერეთ და გავიფანტენით. ისე მოხდა, რომ სულ ახლოს აღმოვჩნდი ასეთ შემთხვევაში მანქანის დამცველ ჯარისკაცთან. მას ორფეხიანი ტყვიამფრქვევი ჰქონდა. ჩვენ ორმა გავაკეთეთ ის, რაც ასეთ შემთხვევისთვის უნდა გავაკეთებინა. საამისოდ ყოველი გერმანელი ჯარისკაცი განერთნილი იყო. მან თავისი ტყვიამფრქვევი ჩემს ნაკუზულ ზურგზე დადო. ტყვიამფრქვევის ფეხები კისრის აქეთ-იქეთ უღელივით დამადო და თვითონ დაიროქა. ჩვენ რაღაც დანგრეულ შენობას ვიყავით მოფარებული. ტყვიამფრქვევის იერიშს იგი ტყვიამფრქვევის კაკანით შეხვდა. რუსებმა რომ ეს დაინახეს, ერთი ყუმბარაც არ გადმოუგდიათ, ისე გაუჩინარდნენ. ეს იმითაც აიხსნება, რომ რუსებს მეტი დავვიანების ნებაც არა ჰქონდათ, რადგან კიდევ სამი-ოთხი წუთი რომ დაყოვნებულიყვნენ, მათ გაფრთხილებული გერმანული "მესერშიტი" იპოვიდა და მწყერივით ძირს ჩამოაგდებდა. განგაში რომ დასრულდა, გერმანელმა თავისი ტყვიამფრქვევი მომაშორა და ტყვიის ლენტების ჩალაგებას შეუდგა საამისო ყუთში. მე თავი ავნიე და ისე მეჩვენა, რომ სადღაც ადრე ნანახ გარემოში ვიმყოფებოდი. დაფიქრებული და გაკვირებული მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერს ვათვალიერებდი. გერმანელები სწორედ იმ დროს შემო-

მეხვიენენ, როდესაც ჩემთვის რაღაც უცნაურობაში ყოფნის საიდუმლო გაიხსნა. გერმანელებს კი ეგონათ, რომ შიშისაგან კანტუზია მივიღე და იმიტომ ვიდექი ასე მათთვის გაუგებარ გამომეტყველებით. ჩემს სახეზე მათთვის სრულებით უადგილო ღიმილი იკითხებოდა. ერთი ახალგაზრდა ოფიცერი მომიახლოვდა, ლოყაზედ ხელი მომიცაცუნა და მითხრა, კმარა, გამოფხიზლდი, ყველაფერი დამთავრდაო. მე მას ვუპასუხე, მართლა ძილიდან გამოვფხიზლდი-მეთქი. რას ნიშნავს ეს თქვენი სიტყვებით, — მკითხა მან. მე დანვრილებით ვუამბე, თუ ამ ადგილმა რა გამახსენა, რადგანაც ამ ნანგრევებში სწორედ ის ადგილი გამოვიცანი, სადაც პირველი ომის დროს მე და ჩემი ძმა, ვით გერმანიის მხარეზე მყოფი "მეომრები" რუსებს შევებრძოლეთ. ეს ოფიცერს სულ მოკლედ ვუთხარი. მან მოულოდნელობის გამო, ვერაფერი გაიგო. ამიტომ შემდეგ ჩემ გარშემო შემოკრებილ ჯგუფს ვკითხე, ჩვენ ხომ უელენზოვოდსკის სადგურის ახლომახლო ვიმყოფებით-მეთქი. კიო, მიპასუხეს. ამის შემდეგ მათ ჩემი ბავშვობისდროინდელი გერმანოფილობა და განუული "ბრძოლის" ამბავიც მთელი დეტალებით ვუამბე. მათ აღტაცებას და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ერთმა ოფიცერმა თქვა, თქვენ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ნება გაქვთ პირველი მსოფლიო ომის ვეტერანის მედალი მოითხოვოთო. ამის შემდეგ ჩვენ კვლავ მანქანაზე ავედით და მათ სწორედ იმ სახლთან ჩამომსვენს, რომელშიაც ქართული ასეული იყო დაბინავებული.

ძველი სენაკი რევოლუციამდელ ხანაში

ჩემი ბავშვობის პირველ ხანებში ძველი სენაკი საკმაოდ დანინაურებულ სოფელს წარმოადგენდა. დავიწყით იქიდან, რომ სოფლის ცენტრი განათებული იყო ათიოდე მაღალ ბოძზე ასანე-დასანე ნავთის ნათურებით. სოფელში იყო საბოქაულო, თვით საბოქაულო შენობა და სხვა სახლი სტრაფნიკებისათვის. იყო აფთიაქი, ნიკიტა ჯინორიასი, და ფოსტა-ტელეგრაფის შენობა. სოფელში ექიმი არ ცხოვრობდა, მაგრამ რეგულარულად ამ სოფელს ორი ექიმი ემსახურებოდა. ახალსენაკელი ხოფერია, და ზუსტად არ ვიცი, სად მცხოვრები-ჯორჯიკია, მწერალ ჯაჯუ ჯორჯიკიას ძმა. სოფლის ცენტრში, ახალ სენაკ-ნოქალაქევის გზაზედ, დაახლოებით 150 მეტრი სიგრძის და 50 მ სიგანის მოედანზე ორსავე გრძელ მხარეს ჩამწკრივებული იყო სხვადასხვა ხასიათის დუქნები. ყოველივე ეს ერთად სენაკის ბაზარს წარმოადგენდა. ბაზარში ყოველი დარგის სავაჭრო იყო წარმოდგენილი, ისევე, როგორც ხელოსნები. იყო ორი მჭედელი, ორივე რაჭველი, ერთი მეთუნეუქე — ისიც არ იყო მეგრელი, ერთი მექოთნე, ორი მეუნაგირე, ორი ხარაზი, ერთი თერძი და ერთიც მერქეშე და ამავე დროს დალაქი, გვარად კურდღელია. ორი მეფართლე, ერთი მათგანი იყო იაგორა გუნია, ერთი - საოჯახო მოხმარების საგნების, საღებავების, სხვადასხვა წვრილმანი საქონლის კარგად შეძლებული ვაჭარი მეთო შეროზია. კიდევ იყო ორი მაღაზია საოჯახო, შეიძლება ითქვას

"ლუქსი" საგნებისა: ნოხი, საბნები, ძვირფასი მოქარგული ბალიშები, სამკაულები და ამგვარი. ამათ პატრონთაგან მახსოვს ერთის გვარი — ჭუბაბრია, რომლის აბრაზე კიდევ იყო შერჩენილი ნიკოლოზისდროინდელი წარწერა: "მეორე გილდიის კუპეცი ჭუბაბრია". ცხადია, იყო ორი თუ სამი სამიკიტნო. ორი გვარი მახსოვს: ჯაკობია და მამა-შვილი დიმიტრი და ალექსანდრე ალასანიები. იყო ერთი საყას-ბოც. სხვა დუქნებიც იყო, მაგრამ მათი დანიშნულება აღარ მახსენდება. შუა ბაზარში აღმართული იყო კარგა ფართო შენობა, რომელსაც ყაფანი ერქვა. შენობას კედლები არ ჰქონდა. მხოლოდ აგურისაგან ამოყვანილ ბოძებზე დადებული სახურავის ქვეშ ეკიდა უზარმაზარი სასწორი, რომლის გარშემო ელაგა ჩვენთვის, ბავშვთათვის წარმოუდგენელი სიმძიმის საწონები. ეს მოედანი ყოველდღიურად, ასე თუ ისე მიმავალ-მომავალი ხალხით, ჩვეულებრივი ბაზრობის სახეს ინარჩუნებდა, მაგრამ წელიწადში ერთხელ, დანამდვილებით არ ვიცი, შემოდგომის რომელ თვეში, იქ იმართებოდა დასავლეთ საქართველოს რეგიონალური მნიშვნელობის ბაზრობა. მაშინ ამას "იარმუკას" ეძახდნენ. ამ ბაზრობაზე ვაჭრები, ისე როგორც მყიდველები, მთელი დასავლეთ საქართველოს კუთხეებიდან მოდიოდნენ. მთელი ეს დიდი მოედანი სახელდახელო კარვებით ან ჯინურებით აიყვებოდა. ბაზრობა ერთი კვირა მაინც გრძელდებოდა, მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ამ ბაზრობის ხასიათი. ამ მოედნიდან თითქმის იქვე, დუქანთა ერთი მწკრივის უკან შემონახული იყო საბაზრო მოედანზე ორჯერ დიდი ტრიალი მინდორი, სადაც პირუტყვის ყიდვა-გაყიდვა იმართებოდა. ხარ-კამეჩი, ძროხა, ცხვარი, თხა, ღორი, ზოგჯერ ინდაურებიც, და მათი გამყიდველები თუ მყიდველები ავსებდნენ ამ უზარმაზარ მინდორს. ბაზრობის დამთავრების შემდეგ კი იგივე მინდორი გამოყენებული იყო სამეგრელოში ყველაზედ განთქმული მარულის სასტარტო პუნქტად. ცხენების მიერ გასავლელი წრე, რომელიც ამ მოედანზე იწყებოდა და თავდებოდა, 25 კილომეტრს აღემატებოდა, ამ დღისათვის ეს მინდორი, დაცარიელების შემდეგ, სადღესასწაულოდ მოკაზმული ცხენოსნებით ივსებოდა. ასეთი მარულის დეტალები, მე მგონია, სხვათა მიერ უკვე აღწერილია, ამიტომ აქ არ შევჩერდები.

ასეთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა ძველი სენაკი იქვე, 7 კილომეტრზედ მდებარე ახალსენაკის გვერდით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენად უფრო გაზრდილი იქნებოდა იგი დღევანდელ დღეს, რკინიგზის სადგურის ახალ სენაკთან დაარსებას ძველი სენაკის ზრდა-განვითარება რომ არ შეეჩერებინა. ეს კი შემდეგნაირად მოხდა.

თავიდან რკინიგზის ხაზი ძველ სენაკზედ უნდა გასულიყო, მაგრამ ამისათვის საჭირო გახდებოდა ტყეხურზე ერთის ნაცვლად ორი ხიდის აგება. გარდა ამისა, ლიანდაგს უნდა გადაეჭრა ნაყოფიერი ყანები ტყეხურის ჭალისა. ახლანდელ ახალ სენაკში დიდი მამულები ეკუთვნოდა მიქელაძეებისა და მხეიძეთა ოჯახებს. თვით ახალი სენაკი, როგორც ასეთი, არც არსებობდა. მხეიძეებმა და მიქელაძეებმა რკინიგზის საზოგადოებას უსასყიდლოდ შესთავაზეს სადგურისა და მის გარშე-

მო მდებარე ადგილები. ზემოთ აღნიშნული ერთი ხიდის ხარჯების და ლიანდაგის გავლით დაზარალებული ყანების ანაზღაურების ჩათვლით, მშენებელთათვის ბევრად უფრო ეკონომიური ჩანდა სადგურის ახალ სენაკში აგება. არ ვიცი, ეს მდგომარეობა შეიცვალა თუ არა, მაგრამ საქართველოდან წამოსვლამდე სენაკის სადგურის აგების გეგმაში რალაც უაზრობა მეჩვენებოდა. სადგურის შესავალი ფასადი მხოლოდ მხეიძეების და მიქელაძეების მიერ დასახლებულ ადგილებისკენ იყო მიმართული, ხოლო სადგური და მის უკან მდებარე დამხმარე ლიანდაგები — ქალაქის მხარეს. ასე რომ, მოქალაქეებს სადგურში მისასვლელად რკინიგზის რამდენიმე ლიანდაგი უნდა გადაეჭრათ და მეორე მხრიდან შესულიყვნენ სადგურში. იქნებ ჩემ შემდეგ ეს გარემოება შეიცვალა, მაგრამ მაშინ ეს სადგური, ასე ვთქვათ, იმ ორი ოჯახის საამებლად გაშენდა. ამას მოჰყვა დაქვეითება ძველი სენაკისა და აშენება ახალი სენაკისა. ისე როგორც მოუვიდა მცხეთას, თბილისის დაარსების შემდეგ, რასაც მოგვითხრობს ქართლის მატიანე.

სენაკის ბაზრობასთან დაკავშირებული ამბით უნდა მოგიხროთ, თუ რა მოხდა ერთ-ერთი ამგვარი ბაზრობის დროს, როდესაც მე სამი წლისა თუ ვიქნებოდი.

ერთ ღამეს სოფლის ცენტრს გარს შემოერტყა, ამბობდნენ 150-ზე მეტი შეიარაღებული მხედარი. უპირველეს ყოვლისა, მათ განაიარაღეს პოლიცია. ბოქაული ვერ შეიპყრეს, რადგან ბუხრის მილში ამძვრალა თურმე.

ეს ამბავი შუალამისას დაიწყო. მე იმ დროს მძინებია. თურმე გამომეღვიძა, რადგან ფანჯრებიდან თოფის ხმა შემოდიოდა. დედაჩემმა ჩემდა დასამშვიდებლად მითხრა, დაიძინე, შეილო, ნუ გეშინია, კურდღლებზე ნადირობენო. მე თურმე დავიჯერე და ძილი განვაგრძე. თავდამსხმელებს მეთოდურად გაუძარცვავთ ყოველი ვაჭარი, ვინც კი იპოვეს. როგორც შემდეგ ამბობდნენ, ერთი მძარცველთაგანი ჩვენს ჭიშკართან მდგარა და ხანდახან ყვიროდა: ქავთარაძეებო, გარეთ ნუ გამოხვალთ, თქვენ არავინ გერჩითო! როდესაც ძარცვა დაასრულეს, ყველანი შარაგზაზე შეიკრიბნენ, უკან ორი თუ სამი მძევალი შემოსვა სამმა უკანასკნელმა მხედარმა, მათი გვარების ყვირილით იძახდნენ, ნუ გვესვრითო, ისინი უკანა ცხენებზე სხედანო. მე მხოლოდ ერთის გვარი მახსოვს. იგი ჩვენი მოგვარე იყო. შემდეგ გავიგეთ, რომ ერთი მძევალთაგანი მოუკლავთ, რადგან მის წინ ცხენზე მჯდომისათვის უთქვამს, გიცანი ვინცა ხარო; მხედარს იგი მაშინვე მოუკლავს. მძარცველების ვინაობა ვერასოდეს დადგინდა, ხოლო ხალხის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ეს რაზმი მეგრულ თავადაზნაურთაგან შედგებოდა, რადგანო, ამბობდნენ, 150 ბედაურზე ამხედრებულ იმ ცხენოსანთა მსგავსად მოკაზმულ 150 მხედარს ვერც ერთი ყაჩაღთა გუნდი ვერ შეადგენდაო, და არც ყაბალახით დასჭირდებოდათ პირის ახვევა, როგორც ყოველ მათგანს ჰქონდაო. თვით ჩვენს ოჯახშიც კი ზოგი ასე ფიქრობდა და იმიტომ გვამშვიდებდნენ, რომ ჩვენ შეიარაღებული ყარაულები გვყავდა. სხვა იარაღიც გვქონდა, რომლის დარიგებაც შეგვეძლო მოჯამაგირეთათვის. სხვები ამ აზრს ეთანხმებოდნენ და ნახევრად

ხუმრობით თუ სერიოზულად უმატებდნენ, თანაც ჩვენს სუფრასთან ნაჯდომი სტუმრებიც იქნებოდნენ. ასე იყო, თუ ისე, ეს ამბავი საბუდამოდ საიდუმლოდ დარჩა.

ძველ სენაკს განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი და ამის გამო აღსანიშნავი ძეგლი არ გააჩნდა. ახალი სენაკიდან ძველი სენაკის ბაზარს მოახლოებული კაცი, ვიდრე ბაზრის მოედანზე გავიდოდა, მარცხნივ ჩაუვლიდა სათავადაზნაურო სკოლის ეზოს, რომლის კუთხიდან სოფელ ეკისკენ მიმავალი გზა იწყებოდა. მარჯვენა მხრიდან კი იგი ჩაუვლიდა არც ისე ძველი ეკლესიის შენობას, შემდეგ პატარა კოპნია სახლს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის განყოფილებისას. შემდეგ იყო შემოღობილი პატარა პარკი, რომელსაც სენაკელები მედიდურად ბულვარს ეძახდნენ. ამ ბულვარისა და მოედნის კუთხეში, ბულვარის ტერიტორიაზე, იდგა მე ვფიქრობ, ძველი სენაკის ყველაზე შესანიშნავი მატერიალური ღირებულება. ეს იყო მრავალსაუკუნოვანი უზარმაზარფულუროიანი, მაგრამ მხოლოდ სამი თუ ოთხი მეტრი სიმაღლის ჭადრის კიდეე ცოცხალი ტანი. მისი ფულუროს დიამეტრი ორ მეტრს აღემატებოდა, ხოლო მინიდან 50 სმ-ზე ამოჩრილი ფესვებისაგან შემდგარი ზედაპირის დიამეტრი 10 მეტრი მაინც იქნებოდა. ჭადრის დარჩენილი ქერქის სისქე, ალბათ, 25 სმ-ს არც აღემატებოდა, მაგრამ მისი ცოცხლად დარჩენილი ტანის ზემო ნაწილიდან სრულებით ჯანმრთელი, მხოლოდ მკლავის სიმსხო ტოტები იზრდებოდა. მე მახსოვს დრო, როდესაც იგი შემოულობაეად იდგა და მეურმეების მიერ დროებით გამოშვებული ხარები მის ფულუროში ჩრდილს პოულობდნენ. ეს მიმაჩნია მე, როგორც ვთქვი, სენაკის ყველაზე ფასეულ სიძველედ. იმედი მაქვს, რომ ჭადარი ისევ ცოცხალია.

მოედნის მეორე ბოლოში, მარჯვენა კუთხიდან იწყებოდა ჩვენი მამული, რომელიც შარაგზას გასდევდა ორასიოდე მეტრის მანძილზე. სიღრმეში ეს მამული ტეხურის ჭალამდე ჩადიოდა. შიგ მრავალი შენობა იდგა. მთავარი საცხოვრებელი სახლის გარდა, სახლის მარჯვნივ და უკან სხვა ძველებური ოდა იდგა, რომელიც ორმხრივ ფარდულებით იყო გაფართოებული, ხოლო უკნიდან მიშენებული ჰქონდა გომური და საჯინიბო. მათ უკან სამი დიდი სასიმიინდე იდგა ხის მაღალ ბოძებზე. დიდ საცხოვრებელ სახლს უკან კი დიდი სახლის მთელ სიფართეზე, მაგრამ 50 მეტრის დაშორებით, კრამიტით დახურული შენობა იყო, რომლის სახურავი ფასადიდანაც და უკნიდანაც ფარდულებს ქმნიდა. ამ შენობის შუა ნაწილში მოთავსებული იყო მარანი, რომელშიც მხოლოდ ყურძენი ინურებოდა. შიგ იყო ორი სანაბხელი და ერთი პრესი, ხოლო თვით ღვინო კი, საცხოვრებელი სახლის სარდაფში ინახებოდა. მარნის ცალ მხარეს იყო მოჯამაგირეთა ოთახები. იქ ცხოვრობდნენ: მზარეული, დარაჯები და მეეტლე. მეორე ბოლოში კი გამართული იყო სამრეცხაო და კიდეე ერთი სხვადასხვა დანიშნულების ოთახი. მარნის საცხოვრებელი ნაწილის მხრიდან ოციოდე მეტრის დაშორებით კიდეე ერთი ხის შენობა იდგა, რომელსაც ჯერ კიდეე ხულას ეძახდნენ, მაგრამ აქაც სულ სხვადასხვა საგ-

ნები ინახებოდა. ხულას მიშენებული ჰქონდა სათონე და მეპურე პავლიას ოთახი. მამულში ორი მოქმედი ჭა იყო. ერთი გომურის კარების ახლოს, ხოლო მეორე — საცხოვრებელთან. სახლში წყალსადენი იყო გაყვანილი, ხოლო სახურავებზე ცემენტის 500 ლიტრის მოცულობის აუზი იყო აშენებული, საიდანაც ჭიდან საქაჩავით ამოყვანილი წყალი სახლში შეასაბამის ადგილებამდე ნაწილდებოდა. სახლშივე იყო აბანო და საპირფარეო, მაგრამ ეზოში მამაპაპული ჩერმაც იდგა, მოჯამაგირეთათვის განკუთვნილი. მახსოვს, რომ ჩვენი მამულის სხვადასხვა ადგილზე სხვა ჭების კვალიც იყო დარჩენილი. ამას მიანიშნებდა ადგილ-ადგილ ბრტყელ ზედაპირზე ჩალრმავებული წრეები, სწორედ ჭის დიამეტრისა. ასეთ ადგილებში ხარობდა განსაკუთრებით მალალეროიანი ია და ამიტომ აქაურობა თავიანთი განსაკუთრებული ფერით და სურნელებითაც მთელი მამულის ორიგინალობას წარმოადგენდა. მახსოვს, როდესაც გავცივდებოდი და მახველებდა, ამ ჭებისაკენ მაგზავნიდა დედა იის დიდი ფოთლების მოსაყრეფად, რომელთაგან იგი საკმაოდ სასიამოვნო გემოს დასალევ ნამალს მიმზადებდა. საქონელთან ერთად ინდაურები, ქათმები, იხვები და ბატები ეზოს უკანა ნაწილში თავისუფლად სეირნობდნენ ხოლმე. მხოლოდ ღორები იყვნენ განცალკევებულნი. იმათთვის ცალკე შემოღობილი იყო საკმაო სივრცის მინდორი და საღორეც იქ იყო დადგმული. საერთოდ, მამულის მთელი ფართობი არ მუშავდებოდა. აქა-იქ იყო ტყიანი პატარა კუნძულები. ერთადერთი, მეტად თუ ნაკლებად ვრცელი, სიმინდის ყანა იყო. სხვა შედარებით მცირე მონაკვეთები ეთმობოდა უპირველესად პომიდორსა და ლობიოს, და ბოლოს, საკუთრივ — ბოსტანსაც. გვყავდა ფუტკარიც. სახლის წინ ყვავილნარი იყო გაშენებული. მამულის ერთი კუთხე ხილის ბაღს ეჭირა. იქ დარგული იყო მრავალნაირი ჯიშის ვაშლი და მსხალი, აგრეთვე ატამი და ბალი. ეს ორი ხილი მშვენივრად ხარობდა. მაგრამ სხვადასხვა ჯიშის მსხალი და ვაშლი ადგილობრივი პირობებისათვის გამოუსადეგარი გამოდგა. უმეტესობა ჭიანდებოდა და თუ რომელიმე დამნიფდებოდა, მათ შინახვაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. სამაგიეროდ, მშვენივრად ხარობდა ადგილობრივი წითელი ვაშლი, რომელსაც იმ რჩეულ ვაშლებზედ ნაკლები სურნელება და გემო როდი ჰქონდა. ამ ვრცელ მამულს ვფლობდი მარტო მე, ვიდრე ჩემი ძმა და ბიძაშვილებიც ნამომენეოდნენ. სოფლიდან ახალი სენაკის სადგურში წასასვლელ-წამოსასვლელად ჩვენ ერთცხენიანი და ორთვლიანი ეტლი გვქონდა. მე ძლიერ ადრე დავიწყე ამ ეტლის მართვა და ხშირ შემთხვევაში უფროსები მიმყავდა და მომყავდა ხოლმე. ამ ეტლისათვის ჩვენ საგანგებო ცხენი გვყავდა მიჩენილი. ეს იყო ციმბირულ-მონგოლური ჯიშის ჭაკი, დაბალი ტანის, გაბერლი მუცლით, წვრილკანჭება, რომლესაც ორი კვიცი მუდამ თან დასდევდა. როდესაც მე ახალი სენაკიდან უკან ვბრუნდებოდი, თავლია, ასე ერქვა ცხენს, როგორც კი დიდ ჭადარს მოაღწევდა, დაიჭხვივებდა. ამის გაგონებაზე კვიცები ცხენისაკენ გამოიქცეოდნენ და მათთან ერთად ქავთარაძეთა მოდგმა — ჩემზე უმცროსები. მე იძულებული ვიყავი, ეტლიდან ჩამოვსულიყავი, აღვირში ხელი

მომეკიდა და ასე გზა გამეკვლია კვიცებსა და ბავშვებს შორის. ვიდრე ჭიქკარს დაეხურავდი, თავისი კვიცებით გარშემორტყმული ცხენი და ბავშვებით ავსებული ეტლი აღვირზე ხელჩაიდებულს მიმყავდა ხოლმე ფარდულამდე. ზემოთ ვახსენე, რომ მეეტლეს გვყავდა-მეთქი, მაგრამ იგი სხვა ნამდვილი ეტლის და სხვა ჯიშის ცხენების მოვლისათვის იყო განკუთვნილი. იმ ეტლს იშვიათ შემთხვევაში ვიყენებდით — როცა რამდენიმე მგზავრი თავისი ბარგით სადგურში უნდა ნასულიყო.

სკოლა

ჩემი სკოლაში შესვლის და იქ სწავლის მიმდინარეობა ჩემს მეხსიერებაში არ შემორჩენილა. სკოლა ოთხნობიანი იყო. მეოთხე განყოფილების შემდეგ ბავშვები რომელიმე სხვა სასწავლებლის პირველ კლასში უნდა გადასულიყვნენ. მე მახსოვს მხოლოდ რევოლუციის მოხდენის შედეგად ნიკოლოზ მეფის სურათის ჩამოხსნა კლასის კედლიდან. ეს მოვლენა ალბათ ჩვენ აგვისხნა მასწავლებელმა, მაგრამ არც ეს მახსოვს. ვიგონებ მხოლოდ სურათის კედლიდან ჩამოღებას. ამის შემდეგ მახსოვს ხალხის სიმრავლე ჩვენი სკოლის პირდაპირ მდებარე ბულვარში. მახსოვს ჩემთვის უცნობი ორატორების გამოსვლები, რომელთაგან მე მხოლოდ ერთი გვიანდელი სცენა ჩამრჩა მეხსიერებაში. მგონი, რალაც არჩევნები იყო. გამოდიოდნენ ორატორები სოციალ-დემოკრატების, რევოლუციონერების, ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატებისა. ბუნდოვნად მახსოვს, რომ მე ჩემს თავს ეროვნულ-დემოკრატად ვთვლიდი. ამ საქმის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ბუნდოვნად ვგრძნობ, რომ ეს მიდრეკილება ოჯახში მქონდა შეთვისებული. ამიტომ უნდა იყოს, რომ შემდეგი სცენა გარკვევით დამამახსოვრდა. ვილაც ახალგაზრდა კაცი მაგიდაზედ ავიდა და სიტყვა "ეროვნულ-დემოკრატია" წარმოთქვა. რამდენიმე სიტყვა ძლივს თქვა, რომ ჩვენი სოფლელი, გვარად ქავთარაძე, მას მიუახლოვდა და უთხრა, არასოციალისტების მოსმენა ჩვენ არ გვინდაო, ტანისამოსზე ხელი ჩააწყო და აიძულა, მაგიდიდან ჩამომხტარიყო. სხვა მოვლენებიდან ის მაგონდება, რომ ყური მოვკარი ჩვენი სოფლელი, ყოფილი სტრაჟნიკი, როგორ იმართლებდა თავს წარსულ სამსახურში ყოფნის გამო და როგორ ცდილობდა, რომ იგი ახალ პოლიციაში მიეღოთ, რასაც მილიცია ერქვა. ამის შემდეგ ძველი ყოფა ისე აირია, რომ ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში ნათლად წარმოდგენა არცერთ მოვლენაზე აღარ შემორჩენია. მხოლოდ გარკვევით მახსოვს ჩვენი სოფლის პრისტავის, ჩინით ოფიცრის, ვინმე მალლაკელიძის გაცხარებული საუბარი ჩვენს სახლში სასადილო მაგიდასთან. იგი ხან ქართულად, ხან რუსულად ლაპარაკობდა: ჩვენ პოლიციელები ამდენ და ამდენ ათასკაციან ძალას წარმოვადგენთ და ასეთ უწესრიგობას არ დაუშვებთო. იგი გულისხმობდა მონარქიის შენარჩუნებას. მე არ ვიცი, კიდევ რამდენ დღეს დარჩა ის პრისტავად. არც ის მახსოვს და არც ის ვიცი, ვინ შეცვალა იგი. იმ მალლაკელიძის შვილს საფრანგეთში შევხვდი.

მახსოვს, სენაკში მონყობილ დემონსტრაციებზე საშინლად დამახინჯებულ, ვითომ "მარსელიეზას" რომ მღეროდნენ. ალბათ, უნდა მცოდნოდა, ქვეყნად რა ხდებოდა, მაგრამ ეს ამბები ჩემს მეხსიერებაში არ დარჩენილა. არც ისე პატარა ვიყავი, რომ ასე თუ ისე მოვლენათა კურსში არ ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემს ბუნებრივ მიდრეკილებებს მიენერება, რომ ამ მოვლენათა ვარიაციები ჩემმა მეხსიერებამ ვერ შემოინახა, როგორც საგნები, რომლებიც ჩემი ბუნებრივი მისწრაფებების გარეშე იდგნენ. ბავშვობიდანვე, რაც მე კარგად არ მესმოდა, არც მაინტერესებდა. რაც საკმარისად არ ვიცოდი, იმის შესახებ ლაპარაკისაგან თავის შეკავება დღემდის შემომრჩა. ამის გამო იყო, რომ ბავშვობიდანვე მე უფრო ჭკვიანად მთვლიდნენ, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. საერთოდ, ბავშვობიდანვე "ენაგატლეკილი", რაც უფრო ვიზრდებოდი, უფრო ვჭმუშდებოდი. იმდენად, რომ ყრმობის ასაკში, ხუმრობით "მუნჯს" მიწოდებდნენ.

ასე მგონია, რომ დედაჩემს განსაკუთრებულად ვუყვარდი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სპარტული რეჟიმით მზრდიდა; დარწმუნებული ვარ, ამის გამო იგი ტკივილს განიცდიდა. მისი შეგნებით, ფუფუნება კაცს აფუჭებდა. დედა შვილებს გვაიძულებდა, ცეცხლი თვითონ აგვენთო, როცა ციოდა, ლოგინი თვითვე აგველაგებინა. არც გადამეტებულ თბილად გვაცმევდა, მაგრამ როდესაც ავად გავხდებოდით, აშკარად ეტყობოდა, რომ ძლიერ ლელავდა. იგი ძლიერ ზრუნავდა, რომ ჩვენს ბუნებაში მორალური და სხვა დადებითი თვისებები მტკიცედ ჩაენერგა. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ზნეობრივად უარყოფით რამეს ჩავიდენდით, ბევრად უფრო მკაცრად ვისჯებოდით, ვიდრე სხვა ცელქობისათვის, თუნდაც ჩვენს ცელქობას დიდი ზარალი მოჰყოლოდა, როგორც, მაგალითად, ძვირფასი ლარნაკის დამტყრევა ან დიდი სარკის გატეხვა სალონში და სხვა ასეთი რამ. სასჯელი უმეტეს შემთხვევაში ფიზიკური კი არა, მორალური იყო, როგორც, მაგალითად, სიტყვები: "მომშორდი, აღარ მიყვარხარ", რასაც მოყვებოდა მისი საქციელით თითქოს დამტკიცება იმისა, რომ მართლა ვძულდით და მახსოვს, რომ ეს ჩვენზე საშინლად მოქმედებდა. მე ვამჯობინებდი გავენკებლე, ვიდრე დედის სიყვარული დამკლებოდა. მაშინ მე ჯერ კიდევ საკმაოდ ბავშვი ვიყავ, რომ მიმხვდარიყავი დედაჩემის საქციელის ხელოვნურობას. ამიტომ იყო, რომ ვცდილობდი ჩემი კარგი საქციელით დედის სიყვარული კვლავ მომეპოვებინა. ასე ადრე მშობლების მიტოვებამ ნება არ მომცა ყოველი სიკეთე, რაც მათ ჩემთვის გაიღეს, მათთვის ოდნავ მაინც მეზლო.

დედაჩემი ქალთა სამონასტრო სკოლაში გაიზარდა. იქ მას იმავე საგნებს ასწავლიდნენ, რაც, ალბათ XVIII საუკუნის სკოლების პროგრამას წარმოადგენდა. ე.ი. ნერა-კითხვა, ზოგჯერ კალიგრაფიაც, საღმრთო სჯული, გალობანი, ჭრა-კერვა, სხვა საოჯახო საქმე და ლიტერატურა.

ასეთი აღზრდის ქალი მოხვდა ოჯახში, სადაც დიასახლისისათვის რუსულის ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან იშვიათად გაივლიდა ძველ სენაკ-

ზე რუსის რომელიმე დიდი თუ პატარა მოხელე, რომ ჩვენს სახლში არ მოსულიყო. დედაჩემმა რუსულის სწავლა გადაწყვიტა, მაგრამ ამისათვის მას არცერთი რუსი მასწავლებელი ქალისა ან მამაკაცისათვის არ მიუმართავს. მან დაიწყო რუსული ნიგნების კითხვა. ენის სასწავლად კი საკმარისად დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. სამი თუ ოთხი წლის შემდეგ რუსულში ისე გაინაწია, რომ იყო შემთხვევა, როცა რუსის მოხელემ კითხვა დაუსვა, თქვენ, ალბათ, მოსკოვში მიიღეთ განათლებაო და როდესაც დედა უპასუხებდა, მე არავითარი რუსული სკოლა არ გამივლია და სამეგრელოს არასოდეს გავცილებივარო, ყველა განცვიფრებული იყო. ახლა რომ საქმეს ვუფიქრდები, ეს მოვლენა ადვილი ასახსნელიც არის. დედაჩემმა თავის-დაუნებურად და შეუცდომრად რუსული მნიგნობრული ენა შეისწავლა. მაშასადამე მისი რუსული ჩვეულებრივი რუსული როდი იყო, არამედ ზომიერად მეტად ხელოვნური, ოფიციალური, ამაღლებული ტონისა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ასე მოლაპარაკე ადამიანი რაღაც განსაკუთრებულ მაღალ ფენას უნდა ეკუთვნოდესო. მოხელეებს შთაბეჭდილება ექმნებოდათ, რომ ისინი მათზე უფრო მაღალი რანგის ქალბატონს ელაპარაკებოდნენ, რაც ცხადია, სიმაართლე არ იყო.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დედაჩემი სილამაზით, არისტოკრატიული თავდაჭერით და რაღაც თავის თავში დარწმუნებით ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც ლოგიკურად შეუფერებელი იყო მისი სოციალური მდგომარეობისათვისაც კი. მარტო მდიდარი კაცის მეუღლეობა მას ამ იერს ვერ მიანიჭებდა. დედაჩემმა შემთხვევით ისარგებლა და მე გერმანული ენა სკოლის ასაკამდე ბევრად ადრე ვისწავლე. ეს შემთხვევამ მოიტანა. მამაჩემს შეუძენია ამერიკული ტიპის სამეურნეო მანქანები, რომელნიც უმეტესად სიმინდის მეურნეობისათვის იყვნენ განკუთვნილნი: სახნისები, სათესი მანქანა, სიმინდის სამარგლავი მანქანა, ტარობის გამოფშენის, ჩალის დასაკუნნი მანქანები და სხვა ამგვარები. ამ მანქანების ათვისებისათვის მან, არ ვიცი საიდან, ჩამოიყვანა ერთი გერმანელი მექანიკოსი, სახელად ოტტო. ცოლს ელისაბედი ერქვა. ის ქალი გახდა ჩემი გადია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე დედის ძუძუ არ მიწოვია, არც სხვა ძიძა მყოლია. დედამ მამაჩემს აყიდვინა ჯოჯიდან გამოყვანილი ძროხა, რომ მის ჯანმრთელობაში დარწმუნებული ყოფილიყო და ის იყო ჩემი "ძიძა". გერმანელი ქალისაგან მე გერმანული სწრაფად შევითვისე და შესაძლებელია, გერმანულს უფრო ადვილად ვლაპარაკობდი, ვიდრე ქართულს. გერმანელი ცოლ-ქმარი ჩვენთან თითქმის ომის დაწყებამდე დარჩა. მათი ნასვლის შემდეგ ეს ენა თითქმის დამავინწყდა, მაგრამ ამ ენასთან ახალი კონტაქტისთანავე ისევ აღმიდგა მებსიერებაში. ჩემმა ძმამ ამ შემთხვევით ვერ ისარგებლა, რადგან იგი ჩემზე სამწლიანხევრით უმცროსი იყო.

სკოლაში კარგ მოწაფედ ვითვლებოდი და ეს არც ისე გასაკვირია, რადგან ჩემს ამხანაგებთან შედარებით უფრო მეადვილებოდა ასეთი სახელის დამსახურება, რადგან ეს ჩემი პატარა ამხანაგები უსათუოდ კულტურულად უფრო დაბალ დონეზე მდგომ გარემოში იზრდებოდნენ, ვიდრე მე. თუ ჩემი ამხანაგები, ალბათ,

იშვიათი გამოკლებით, მხოლოდ თავიანთი სახელმძღვანელოების კითხვით კმაყოფილდებოდნენ, ჩვენს სახლში ნამდვილი ბიბლიოთეკა იყო ჩემს განკარგულებაში. საკმარისია ვთქვა, რომ წერა-კითხვის გამაერთიანებელი საზოგადოების მიერ გამოცემული ყოველი ნიგნი უკლებლივ გვექონდა ჩვენს ბიბლიოთეკაში. იყო, რა თქმა უნდა, სხვა ნიგნებიც. მე მათ რაიმე ხელმძღვანელობის გარეშე განურჩევლად ვკითხულობდი ხოლმე. მახსოვს, რომ ნიგნებს, რომელთაც ვერ ვიგებდი, გვერდზე გადავდებდი ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ჩემთვის ეს ბუნებრივ შერჩევას წარმოადგენდა. მრავალ ნაკითხულ ნიგნთაგან ბევრის ხელმეორედ ნაკითხვა მომიხდა ბევრად უფრო გვიან, მაგრამ მე მახსოვს, რომ ვერგაგებულის ხელახლად ნაკითხვის დროს ისინი ჩემთვის, თითქოს დაეინყებულნი, ძველი ნაცნობები იყვნენ და, მე მგონია, რომ ახლა, ამ ნიგნების ხელახლა ნაკითხვა მიადვილდებოდა და მათი შინაარსი ჩემს თავში უფრო ღრმად და ადვილად ლაგდებოდა. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა მოვიგონო: გალობის მასწავლებელი გიორგი ბოკერია რაღაც სიმღერას გვასწავლიდა. ჯერ მისი ტექსტის გაგებაში გვეშეუბნებოდა. სიმღერაში ერთი ასეთი სტრიქონი იყო: "პაპა მყავდა მეომარი, ლხინი იყო მისთვის ომი". ბოკერიამ გადმოძახედა და მკითხა, ქავთარაძე, როგორ გესმის შენ ეს სიტყვებიო?! მათი მნიშვნელობა მშვენიერად გავიგე, მაგრამ მათი ორაზროვნებაც უმალ შეამჩნია მაშინდელი ჩემი ასაკისათვის შეუფერებლად უფრო მაღლა მდგომმა მკითხველის გონებამ. მე ვუთხარი, ლოთი ყოფილა, ბატონო, ის პაპა-მეთქი. ბოკერიამ გამჭოლი მზერით თვალელებში შემომხედა: ქავთარაძე, შენი გონებამახვილური ხუმრობა მოსაწონია, მაგრამ შენ რომ შესწავლე ხუმრობაზე ღიმილი არ მოგდის და თვალელებში ისე მიყურებ, თითქოს არც ხუმრობ, თუ ამით ჩემს გასულელებას აპირებ, ეს სრულებით აღარ არის მოსაწონიო. მაშინ მეც ვიკადრე გაღიმება და თავი ჩავლუნე.

ამგვარი რამ ბევრად უფრო მაღალ დონეზე ერთხელაც გავიმეორე, მაგრამ ამჯერად ჩემი მასწავლებელი, საუბედუროდ, ხუმრობას ვერც კი მიმიხვდა. ეს იყო გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში. ქართულს გვასწავლიდა ახლად გაკრეჭილი მღვდელი გამზარდია. ეს პატროსანი კაცი უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩა, მასწავლებლობის გარდა სხვა რა დარჩენოდა. ქართულის მასწავლებლობა უკისრია. ეს იყო სკოლების პროგრამის არე-დარევის, ყოვლად შეუფერებელი მასწავლებლების და სასკოლო დონის დაცემის ხანა. გამზარდიამ კლასშივე დასაწერი თემა მოგვცა, "თორნიკე ერისთავის" შინაარსი დაწერეთ თქვენი სიტყვებითო. მე ავიღე კალამი და თორნიკე ერისთავი, რომელიც თითქმის მთლიანად ზეპირად ვიცოდი, სხვა რითმებითა და სხვა სტილით ახალ პოემად დავწერე, მაგრამ სტრიქონები ერთიმეორეზედ იყო გადაბმული, მამასადამე მას ლექსის გარეგნული ფორმა აღარ ჰქონდა. გამზარდიამ შემდეგ კაკვეთილზე რვეულები დაგვირიგა და ჩემი რვეული ყოველგვარი შესწორების გარეშე დამაკმაყოფილებელი ნიშნით დამიბრუნა. ახლაც არ ვიცი, შეამჩნია თუ არა მან ნაწერის არანორმალური სახე.

მას შემდეგ რამდენჯერმე მომგონებია ეს ეპიზოდი და ყოველთვის გამიკიცხავს ჩემი უადგილო ხუმრობის სისასტიკე. ასეთი რამ მხოლოდ ახალგაზრდამ შეიძლება ჩაიდინოს. გამზარდასი რა ბრალი იყო, რომ მას თავისი ხელობის ასრულება აუკრძალეს და ცოლ-შვილის გამოსაკვებად იძულებული იყო იმ ხელობისათვის მიემართა, რომლისთვისაც ის სრულებითაც არ იყო მომზადებული. კიდევ ერთ სხვა შემთხვევას მოვიგონებ იმავე დროიდან:

მამინ შემოღებული იყო ახალი საგანი - საბჭოთა აღმშენებლობა. მასწავლებლად გვყავდა ძლიერ ახალგაზრდა, სრულებით უსწავლელი კომუნისტი, გვარი არ მაგონდება. თავის ლექციებში ეს ჩვენი ლექტორი წარამარა იმეორებდა სიტყვას "ბურჟუაზია". ჩემ გვერდით მჯდომმა კვატაშა ხოჭოლაძემ მას კითხვა დაუსვა: ამხანაგო მასწავლებლო (ასეთ მიმართვას გვაიძულებდნენ ჩვენ), აგვისხენით, რას ნიშნავს სიტყვა "ბურჟუაზიაო"? ლექტორი შეცბუნდა, თან ფითრდებოდა, თან წითლდებოდა. ბოლოს რალაც ხეწნით და სინანულით ძლივს წაილულულა ძლიერი მეგრული კილოთი: რაზე მეკითხებით ამას, თქვენ ხომ იცით, რომ გლახა სიტყვაა, მეტი მე რა უნდა აგისნათო?! ასეთ მასწავლებლის გვერდით, შესანიშნავი მასწავლებლებიც გვყავდა.

სკოლების მოგონებამ ფოთში გადამახტუნა. ისევ სენაკს დაუბრუნდეთ.

მაგონდება ერთი ეპიზოდი რევოლუციის პირველი თვეებისა ჩვენს სოფელში. დიდი მიტინგი იყო. ჩამოსული იყო დედაჩემის შორეული ნათესავი სალაყაია. იგი მენშევიკი იყო, ევროპაში ნაწყოფი, იქნებ კიდევაც წასწავლი. მისი საუბრის თემა აღნიშნულ მიტინგზე ქალთა საკითხს შეეხებოდა. მან ილაპარაკა ქალთა ემანსიპაციაზე და, ცხადია, უმთავრესად ქალებს მიმართავდა. მოუნოდებდა, თავიანთი უფლებები დაეცვათ, რომ მამაკაცთა მონობისაგან გაათავისუფლებულიყვნენ. ამ რამდენიმე სიტყვით უნდა მოეჭრა მისი საუბრის შინაარსი. კიდევაც რომ ვცადო, მისი აღდგენა არ შემიძლია, მაგრამ უნდა ვილაპარაკო ოპონენტზე, რომელიც ამ გასათავისუფლებელ ქალთა შორის აღმოუჩნდა. ეს იყო ლავრენტი ბესელიას ცოლი, ქალწულობაში ქავთარაძე. მიტინგის ტრიბუნად გამოყენებული იყო ბულვარის ეზოში მდგარი, უკვე ნახსენები ბანკის შენობის აივანი. ამ აივანზედ ავიდა ბესელიას ცოლი და აივნის მთელ სიგრძეზედ ჩქარი სიარულით თავისი საოპონენტო სიტყვა დაიწყო. იგი მეგრულად ლაპარაკობდა: ვინ დაგავალათ, ბატონო, ჩვენი გათავისუფლება, ვინ შემოგჩივლათ, რომ მონობაში ვართო, რაც ჩვენი საქმეა, იმაში ჩვენი ქმრები არ ერევიანო. რაც ჩვენი ქმრის საქმეა, იმაში ხომ არ გსურთ ჩვენ ჩავერიოთო? ჩვენ არავის მონები არა ვართ, არავის საქმე არ არის, თუ რა დამოკიდებულებაში ვართ ჩვენს ქმრებთანო. ამ ლაპარაკის დროს მან მანდილი მოიხადა და მას დროშასავით ჰაერში აფრიალებდა. მის სიტყვებს მსმენელთა აშკარად მხარდამჭერი შეძახილები სდევდა თან. ის ისე გათამამდა, რომ სალაყაიას უთხრა, თქვენ იქნებ იმას აპირებთ, რომ ზომა დაგვიდგინოთ, თუ ჩვენ ქმრებს რამდენად გავუშვალთ ფეხებიო. ამას საშინელი ხარხარი მოჰყვა და შერცხვენილი

პროპაგანდისტი ტრიბუნიდან ჩამოვიდა. იმ საღამოს ეს ქალების დამცველი ჩვენს სახლში ვახშობდა და მას არც სუფრასთან მოჰკლებია დამცინავი ხუმრობა, მაგრამ მხოლოდ მამაკაცებისა, რადგან რამდენად ვიცი, იმ სუფრასთან მსხდომ მანდილოსანთაგან არც ერთი იმ მიტინგს არც დასწრებია. ამ საღაყაიამ, რომელიც ფრიად თავმდაბალი, მორცხვი და პატიოსანი კაცი იყო, საფრანგეთის ოკუპაციის ხანებში გაურკვეველი მიზეზით თავი მოიკლა.

პირველი ბავშვური სიყვარული

ეს ამბავი მოხდა, როდესაც მე პირველდანიყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესდანიყებითი სასწავლებლის პირველ კლასში ვსწავლობდი. კლასში გოგონები და ვაჟები ერთად ვისხედით, მაგრამ გაყოფილ ჯგუფად. ჩემს კლასში სწავლობდა ჩემი ტოლი გოგონა თამარ დადიანი. იგი ნოქალაქეველი იყო. არც კი ვიცი, სენაკში ვის ოჯახში ცხოვრობდა. აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, რომ ჩვენ ორნი თანაკლასელებმა რალაცგვარად განგვაცალკევებს და ჩვენს შესახებ, ვითომ ჩვენდა არაგასაგონად, ლაპარაკობდნენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, სხვა არაფერი ადრინდელი არ მახსოვს ამ საქმის გამო. იქნებ ჩვენ გვასხვავებდნენ, როგორც უფრო მაღალი წრის ბავშვებს. გაკვეთილზე "კაკო ყაჩაღის" სწავლას შევეუდექით. ჩვენმა მასწავლებელმა მოისურვა ამ სწავლებისათვის საინტერესო და გასართობი სახე მიეცა. ამისათვის მე და თამარი აგვირჩია. ჩვენ უნდა ერთმანეთისათვის გვეთქვა კაკოსა და მეორე ყაჩაღის მონოლოგები. როდესაც მივედით იმ ადგილამდე, სადაც კაკო ეკითხება მხედარს: "რა გენბავს შენა?" და მხედარი უპასუხებს: — "შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა". და მიიღებს პასუხს: "მომწონს ეგ სიტყვა, შენც მომწონე და ამისთვისაც გენდობი შენა!"... კლასში გაისმა თავშეკავებული ფხუკუნის მსგავსი სიცილი. ბავშვებმა უკვე დააკანონეს ჩვენი "შეყვარებულობა". ჩვენ ორს ამის შესახებ ერთმანეთთან სიტყვაც არ ამოგვიღია, მაგრამ ამ მოვლენამ, როგორც ეს ხშირად ხდება ბავშვთა შორის, ორივეს ამოუშლელი კვალი დაგვიტოვა. ასე გაგრძელდა რამდენიმე ხანი. ჩვენ შემთხვევაც არ მოგვცემია, რომ ერთმანეთისათვის ერთი სიტყვა, თუნდაც არაფრისმთქმელი, გვეთქვა. ამას მოჰყვა, რომ თამარი მოულოდნელად ავად გახდა. რამდენიმე დღის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი მოვიდა. როცა ეს მასწავლებელმა შეგვატყობინა, მთელმა კლასმა ჩემკენ გამოიხედა. მე მაშინ ვიგრძენი, რომ ამ გამოხედვას რალაც აზრი და საფუძველი ჰქონდა. გადანყდა, რომ მის დასაფლავებას მთელი კლასი დაესწრებოდა. დანიშნულ დღეს, კლასის დამრიგებლის მეთაურობით, მთელი კლასი ნოქალაქევის გზას დაადგა. რვა კილომეტრი გექონდა სავალი. მგონი, ნაშუადღევ იქნებოდა, როდესაც იქ მივალნიეთ. როდესაც დადიანების ჭიშკარს მივადექით, ეზოში აუარებელი ხალხი იყო. ვილაც მაღალი ჭალარანვერიანი

ჩინოსანი მოგვეგება. გარშემო რალაც ბრძანებები გასცა, რამდენიმე წუთით სახლის დარბაზში შევიდა და, იქიდან დაბრუნებული, წინ წაგვიძღვა და ოდის დიდ დარბაზში შეგვიყვანა. ყველაფერი ეს ხდებოდა ხის ტოტზე ჩამოკიდებული ზარის რეკვის აკომპანიმენტით. ეზოში მყოფთა დამწუხრებული სახეები და, საერთოდ, რალაცნაირი უჩვეულო ატმოსფერო ჩვენც გადაგვედო. ასე წინასწარ გალვანიზებულნი შევედით დარბაზში. თეთრ კუბოში თეთრი ვარდებით დაფარული პატარა ანგელოზი იწვა. ჭალარა მაღალმა კაცმა კუბოს სამ მხარეზედ გაგვანანილა და მეოთხე მხარეს იატაკზე მსხდომ თმაგაშლილ შოსან ქალებს ხელით ნიშანი მისცა. დაიწყო სამეგრელოსთვის ცნობილი მიცვალებულის გამოტირების ცერემონია. ქალებმა მოთქმა დაიწყეს, რასაც მეგრულად "თოლუა" ანუ "თვალვა" ჰქვია. ერთი მათგანი მოთქმის წამყვანი იყო. იგი საამისოდ მწუხარე პანგზე ნახევრად სიმღერით მიცვალებულს ესაუბრებოდა. იგი გრძელ ფრაზებს წარმოთქვამდა. მე იმდენად შეპყრობილი ვიყავ ამ სანახაობით, რომ ყოველივეს დამახსოვრების უნარი საიდან მექნებოდა, მაგრამ ზოგი რამ მაინც შემიძლია მოვიგონო. მტირალი ქალი თამარს ეუბნებოდა: ჩემო ანგელოზო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ შენს სანახავად მოსული შენი მეგობრები გარს გახვევიანო. როგორო გეკადრება, რომ სიტყვას არ იღებო?! მერე თითქოს გონს მოვიდაო ქალი, და ისეთი რამ გაიგო, რაც ადრე არ იცოდაო, მიცვალებულს ეუბნება: როგორო, არ შეგიძლია?! მაშ შენ მართლა გარდაიცვალე?! მაშ მართლა შავი დღე გაუთენდა შენს უბედურ მშობლებს?! ვაჟა, ვაჟაიო!!! და მთელი ქალთა დასი ამ ვაჟაის ძახილს შეუერთდა. ზოგმა თავში ცემა დაიწყო, ზოგი ლოყას იკანრავდა. ხოლო მოთქმა თანდათან ძლიერდებოდა. მთელი ჩვენი კლასი, როგორც ერთი კაცი, ამ მოთქმას შეუერთდა. ისე ავლრივდით, რომ პროფესიულ მოზარეებსაც კი ვჯობნიდით. ასეთი კოლექტიური შეპყრობილება ორ თუ სამ წუთს გაგრძელდა. მეტი არც შეიძლება, რომ გაგრძელებულიყო. სხვაგვარად რამდენიმე ბავშვს, და მათ შორის მეც, გული წაგვივიდოდა. ჭალარა კაცმა კიდევ რალაც ანიშნა ქალებს. მოთქმა დაუყოვნებლივ შეწყდა, ხოლო ჩვენ მოტირალთა მსგავსად ერთბაშად შეჩერება ვერ შეუძელით. ჩვენი მოთქმა ჯერ ხმამაღალ სლუკუნზე გადავიდა, შემდეგ გახშირებულ სუნთქვაზე, ბოლოს ჩვენც მოვახერხეთ გაჩუმება. ჭალარა კაცი მოგვიახლოვდა, გვანიშნა, წამომყევითო და დარბაზიდან გაგვიყვანა. მაშინ ყოველივე ამისი ანალიტიკური თვალთ დანახვა, ცხადია, მე არ შემეძლო, მაგრამ საამისო გონება და სიმნიფეც რომ მქონებოდა, იმ ღრმა მწუხარებით და აღელვებით მოცულს ყოველივე მომხდარის გონების თვალთ დანახვა, ცხადია, არ შემეძლებოდა. ახლა, როდესაც ამ დიდებულ სცენას ვიგონებ, სრულიად სერიოზულად ვამბობ, რომ ეს იყო პროფესიონალთა მიერ საქვეყნოდ ცნობილი, რომელიმე თეატრის სცენაზე დადგმული ტრაგედიის ერთი სურათი და ის ჭალარა კაცი მე მესახება ვით რომელიმე დიდი თეატრის სახელოვანი რეჟისორი. იქნება ამგვარი სცენების გამოყენება ქართულმა კინომ სცადა კიდევაც, მაგრამ

ჩემ მიერ იმ დღეს ხილული ბუნებრივი სპექტაკლის სიძლიერის მიღწევა, ვეჭვობ, რომ ვინმეს შეძლებოდა.

დარბაზიდან გამოსული ბავშვები ერთად შეგვეყარეს და სადილის საჭმელად უნდა წავეყვანეთ. იმათ წასვლამდე ვილაც ახალგაზრდა ქალმა ხელი წამავლო და მითხრა, თამარის დედას შენი ნახვა უნდაო. ჯერ ერთ ჩვეულებრივ ოთახში შევედიო. იქიდან შავებით შემოსილი ქალი გამოვიდა და სრულებით ბნელ ოთახში შემიყვანა. იქ სავარძელში ჩემთვის ხანში შესული მამაკაცი იჯდა — თამარის მამა. ქალმა ამ კაცთან მიმიყვანა და უთხრა, ეს არის ჩვენი თამარის მეგობარი, ერისტო ქავთარაძის შვილიო. მამაკაცმა თავზე ხელი გადამისვა, შუბლზე მაკოცა, ერთი სიტყვა არ უთქვამს. ქალმა იმავე ოთახის სხვა კუთხესთან მიმიყვანა, გვერდით მომისვა და მოფერება დამიწყო. მგონი, მითხრა: ჩემი თამარი აღარა მყავს, მის ნაცვლად შენ მოგეფერები, ისე მიიღე, თითქოს თამარი გეფერებოდესო. მე მივხვდი, რომ ჩვენი, ჩემი და თამარის დამოკიდებულება მისთვის ცნობილი იყო. მითხრა, თამარს ვარდები უყვარდა, ახლა ვილა მოუვლის მის ვარდებსო. მე დაუფიქრებლად და გულუბრყვილოდ ვუპასუხე: მე მოვალ ხოლმე, ვარდებს მოვრწყავ-მეთქი. ქალმა მწუხარედ ამოიოხრა, ეჰ, შვილო! შენ შენი საქმე გექნება, უნდა გაიზარდო იმ სიშორიდან შენ როგორ ივლი, ან თამარს რით უშველიო. გარეთ გამიყვანა, კიდეც მაკოცა და მითხრა, ნადი შენს ამხანაგებთან, სახლში რომ დაბრუნდები, დედაშენს ჩემ მაგივრად მოკითხვა უთხარიო. სადილის შემდეგ მასწავლებელმა ეზოში გამოგვიყვანა, შეამონმა, რომ არავინ აკლდა, და სენაკის გზას გაუდექით. უკვე მზე ჩადიოდა. ბავშვებმა, ისე როგორც მე, თითქოს ყველაფერი დაგვაგინყდაო, ჯერ მორიდებულად და შემდეგ უფრო ხმამაღლა ხალხური მყვირალა სიმღერა დავიწყეთ, გზად მიმავლებმა. შუაგზა გავლილი გვექნებოდა, როდესაც ჭალადიდიდან სამუშაოდან დაბრუნებულმა ურმებმა გზა დაგვითმეს. ერთმა მეურმემ მასწავლებელსა ჰკითხა, ვისი ქორწილი იყო, საიდან მოგყავთ ეს ბავშვებიო? ივანე დადიანმა გაათხოვა თავისი ქალიშვილიო, უპასუხა მასწავლებელმა. ივანეს ამხელა ქალიშვილი როდი ჰყავდაო, იკითხა მეურმემ. მასწავლებელმა რაღაც შეცვლილი კილოთი უპასუხა: ის ბავშვი ისეთმა ვინმემ წაიყვანა, რომელიც ასაკს არ არჩევსო. ვერ გავიგე, რას მეუბნებიო, უთხრა მეურმემ. ღმერთმა წაიყვანაო, უპასუხა მასწავლებელმა. ვაი, ვაიო! წამოიოხრა მეურმემ. რა შავი დღე გათენებია ივანე დადიანსაო. ამ შემთხვევამ ჩვენ რეალობაში დაგვაბრუნა. კარგა ხანს ჩუმად მივიდოდით, მაგრამ შემდეგ ბუნებამ თავისი გაიტანა, კვლავ სიმღერის გუნებაზე დავდექით და როდესაც სენაკში შევიდოდით, ისეთი ყიჟინითა და ხალისით გავკიოდით, კაცი იფიქრებდა, გამარჯვებული ჯარი ომიდან ბრუნდებაო. სენაკიდან ნოსირელეზი ნოსირში წავიდნენ, ეკის მცხოვრები გორაკისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ, შხეფელები კი ორიოდ კილომეტრით მდებარე შხეფისაკენ წავიდნენ. მეც ჩემს სახლში დავბრუნდი... დავბრუნდი ვინმე დაქვრივებული კაცის გრძნობებით...

ბავშვობა სენაკში

მე უკვე ისეთ ასაკს ვიყავ მიღწეული, როდესაც ნება დართული მქონდა, დრო-დადრო ვენახში შეესუსლიყავ და თოფის გასროლით შაშვები დამეფრთხო. ერთი ასეთი „ნადირობის“ წინ, მალლა ტოტებში მჯდომი შაშვი შევნიშნე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც თოფს მარტო საფრთხობელად კი არა, არამედ სანადიროდ ვიყენებდი. შაშვი ხიდან ჩამოვარდა. გახარებულმა მივირბინე. შორიდანვე ვხედავდი, რომ შაშვი ადგილზე იჯდა და არ იძვროდა. ახლო მისულმა დავინახე, რომ მას ორივე თვალი სისხლით ჰქონდა სავსე და მივხვდი, თუ რატომ არ იძვროდა იგი. ამ ამბავმა ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვთელიდი, რომ საზიზლარი რამ ჩავიღინე. ბრმა ჩიტი შემებრალა და რომ ორივესათვის, ჩემთვის და ჩიტისათვის ტკივილი გამექრო, ბრმა ჩიტს მეორე ტყვია დავახალე. მას შემდეგ მე ჩიტისთვის თოფი არ მისროლია. ასე დაიწყო და დამთავრდა ჩემი ნადირობის ამბავი.

წინა ფურცლებში მე მოვიხსენიე ჩემი ცხენოსნობის დასაწყისის ორი ეპიზოდი: ჯერ ვირზე და შემდეგ მანხვეტოვის ცხენზე შეჯდომა. მას შემდეგ კიდევ მქონდა ცხენზე ჯდომის ჩვეულებრივი ეპიზოდები, მაგრამ აქ უფრო რთული ამბავი უნდა გავიხსენო. ერთცხენიან ეტლში გასაბმელ ჭაკს, თაფლას, ხომ მუდამ ორი კვიცი სდევდა თან. უფროსი, ლამაზა, ორ ნელზედ მეტისა იყო. ეს ცხენები მე მშვენივრად მცნობდნენ და თუ დედას ყოველგვარი სიძნელის გარეშე ვიჭერდი ხოლმე, კვიციები მერიდებოდნენ. მე კი განვიზრახე ორწლიანხვერიან ლამაზას გახედვინა მეცადა. ერთ სიცხიან დღეს, როდესაც ცხენები ცარიელ გომურს შეეხიზნენ მცხუნვარე მზისაგან თავის დასაფარავად, მე ვისარგებლე, გომურში შევედი და შესასვლელი კარები გადავკეტე. თაფლა თავისი შვილებით ერთ კუთხეში იყო ატუზული. მე მათ მიუჯახლოდი, ბაგის კიდზე ავედი, თაფლა ჩემკენ მოვიზიდე და ზედ შევეჯექი. ცხენი მშვიდად იდგა. შემდეგ ლამაზას გადავწვდი და მოფერება დაეუწყე. არც ის იძვროდა. ალბათ იცოდა, რომ გასაქცევი გზაც არ ჰქონდა. ამან მე გამათამამა და ლამაზასთვის მოულოდნელად მის ზურგზე გადავჯექი. კვიცი საშინლად დაფეთდა. ყალყზედ შედგა და არ ვიცი, როგორ მოხდა, ერთი წუთის შემდეგ მინაზედ ვეგდე, ხოლო ის პირალმა ბაგაში ჩავარდა, შიგ გაიჭყა. ცხენი წამოდგომას ლამობდა, მაგრამ ვიდრე თავისი გაბრძოლებით ბაგის კიდის დამჭერი პალო არ მოანგრია, ფეხზედ ვერ წამოდგა. მე ცხენის გახედვის ცდას თავი დავანებე, ბოსლის კარები გავალე და გარეთ გამოვედი. როცა ცხენებიც გარეთ გამოცივიდნენ, შევამჩნიე, რომ ლამაზა ოდნავ კოჭლობდა. მე ეს არ გამიმხელია, მისი კოჭლობა არც არავის შეუმჩნევია, და როდესაც სრულიად მორჩა, მეც გული დამიმშვიდდა, მაგრამ ეს ამბავი არავისთვის არ გამიმხელია. უფრო გვიან, უფრო მშვიდ პირობებში მე მოვახერხე მისთვის ლაგამის ასხმა და რამდენიმეჯერ შეჯდომაც კი. ლამაზა ამას მიეჩვია, მაგრამ სხვების მიმართ იგი ჯერ კიდევ გაუხედნავი ცხენი იყო.

ცხენებთან ჩემი დამოკიდებულების ამბის მოყოლა მსურს, რამდენიმე წლის შემდეგ მომხდარი ამბის თხრობით დავასრულო. ამ დროს მე უკვე ფოთის გიმნაზიაში ვსწავლობდი. სენაკის მამული ჩამორთმეული გვექონდა. ამ სამი ცხენის გაპარება მოვახერხეთ და ისინი ჭალადიდში ერთ ჩვენ მოყვარესთან იყვნენ შეხიზნული. მას ამ ცხენების დაუსრულებლად შენახვა არ შეეძლო და ისინი ფოთში ჩამოგვიყვანა. ჩემმა მასპინძელმა, ალექსანდრე ხოშტარიაძემ, მას ჩემი ბიძაშვილი კატო ჰყავდა მეუღლედ, გადანყვიტა ცხენები პალიასტომის ტბაზე მდებარე კუნძულზე და დაეყვანა. როდესაც ცხენები ტბის ნაპირას მივიყვანეთ, იქ, საიდანაც პალიასტომიდან გამდინარე კაპარჭინა იწყება, ადგილზე, რომელსაც ფოთელები პარკს უწოდებენ, ნავი ნაპირს მივაყენეთ. მე ლამაზას ძველებურად მოვეფერე, კისერზედ მობმული თოკით საცხვირე გავუკეთე, შევჯექი და რამდენიმე მეტრი გავატარე-გამოვატარე. სხვებთან ერთად ჩემზედ წლინახევრით უფროსი ტოგო ხოშტარიაძე იყო. მანაც ცხენზე შეჯდომა მოინდომა. მე ვუთხარი — ტოგო, ეგ ცხენი გაუხედნავია, შენ არ შეგისვამს—მეთქი. მან დამცინავად მიპასუხა, შენ თუ შეგისვა, მე არ შემიძლიაო? არ ვაწყენინე და ვუთხარი, მე გაფრთხილებ, და როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი. ტოგომ ცხენი ერთ გადაჭრილ ხის ძირთან მიიყვანა და საკმაოდ ადვილად ზედ მოექცა. ვფიქრობ, რომ ლამაზას მე ვეგონე. და როდესაც მისგან მოშორებით დამინახა, შეხტა, შემოხტა და ჩემმა ტოგომ მინაზე ძლენკა მოადინა. შერცხვენილი ტოგო წამოდგა და მე ვუთხარი, ტოგო, ხომ გაგაფრთხილებ, ეგ და მე ერთად გაზრდილები ვართ და შენთვის სასიერცხოვო არაფერია, რომ ცხენმა გადმოგაგდო— მეთქი. ამის შემდეგ თოკი მხოლოდ დედას შევაბით. ჩვენ ორი თუ სამი კაცი ნაეში ჩავსხედით და დედა ცხენი წყალში შემოგვყვია. კვიციბიც დედას წამოჰყენენ. მდინარის სიფართოე იმ ადგილას ალბათ 30-ოდე მეტრი იქნებოდა, მაგრამ შუა დინებაში იგი საკმაოდ ღრმა იყო. ცხენებს ცურვა დასჭირდათ. უმცროსს გაუჭირდა და ხეივინით დედას შესჩვილა. დედა შვილს გვერდით ამოუდგა და თითქო ხელი მოხვიაო, შვილი ნაპირზედ გაიყვანა. ამის შემდეგ მეორე მსოფლიო ომამდე, მგონი, მე ცხენზე არ შევმჯდარვარ, მაგრამ ამ ამბების თხრობა შემდეგისათვის უნდა გადავდო.

სენაკში ჩემი დაბადებიდან საბოლოოდ იქ ყოფნას მონყვეტამდე ჩვენს სახლში არავინ გარდაცვლილა, გარდა ბიძაჩემი ლევანისა. ეს ამბავი ჩემი ბავშვობის იმ დროს ეკუთვნის, სადამდისაც ჩემი მეხსიერება სწვდება. მე ვიქნებოდი, მგონი, სამიოდე წლისა. ბიძაჩემს მე “ბაბუსა” ვეძახდი. იგი დედაჩემს შვილოს ეძახდა. მას სიბერემდე ბევრად ადრე გულის დაავადება შეეყარა. გარდაცვალებამდე დაახლოებით 10 წლით ადრე უკვე გოგორებიან სავარძლით მოძრაობდა ხოლმე. მე ჩვევად მქონია, სადაც მას მიიყვანდნენ, მისთვის პატარა, სულ დაბალი სკამი მიმეტანა ფეხების შესადგმელად. ამ სკამს მეგრულად “კეელა” ჰქვია. ერთ დღეს დაინახე, რომ მის ოთახში და შესასვლელ კარებთან უცნობი ხალხის სიმრავლე იყო. მე

კველა მოვძებნე და ბაბუას ლოგინს მიეუახლოვდი, რომ ბაბუასთვის სკამი მიმენოდებინა. ვილაც უტნობმა მითხრა — შეილო, ბაბუას კველა აღარ სჭირდებაო. მხოლოდ ეს მახსოვს მე იმ დროიდან. ასე რომ მთელი ჩემი ბავშვობის სენაკთან დაკავშირებული ამბები რაიმე გლოვის ან მწუხარების გარეშე ხდებოდა. სამაგიეროდ, უსტუმრო დღე, მგონი, არც არსებობდა. უკვე ნახსენები ჩიჩუას ქორნილის გარდა, კიდევ ორი ქორნილი მახსოვს. ერთი მათგანი ბიძია ჯაკუს ქორნილი იყო. იგი მაშინ ფოთში ცხოვრობდა. მან შეირთო ფოთის ქალაქისთვის ასული კატია ჭოჭუა. კატიას და მის ძმას პეტიას პეტერბურგში ჰქონდათ სწავლა მიღებული. ჯაკუმ თავისი საცოლვე და მაყრიონი სპეციალური მატარებლით ჩამოიყვანა ფოთიდან. ეს არ იყო ქართული ტრადიციული ქორნილი. მას უფრო ევროპული და მოდერნული სახე ჰქონდა. თან ერთი უცნაურობაც ახლდა. ბიძაჩემმა ახალ სენაკში მდგარი რუსის სამხედრო ნაწილის სასულე ორკესტრიც ჩამოიყვანა. ახლაც ვერ გამოვიცნე, რაში სჭირდება ეს. მახსოვს, რომ საქორნილო სუფრა სახლში იყო გაშლილი. ხალხი, ალბათ, მრავლად უნდა ყოფილიყო, რადგან სასადილო ოთახსა და დიდ სასტუმროს შორის ტიხარი მოხსნეს. ორკესტრი სახლის გარეთ, ერთ-ერთი კედლის ძირს განლაგდა. სხვა რამ ამ ქორნილის გარშემო ჩემს მეხსიერებას არ შემოუნახავს.

მეორე ქორნილი, ბევრად უფრო უპრეტენზიო, ლევანისა და მარიას ქორნილი იყო. ლევანი ჩვენი ახლად აყვანილი მოჯამაგირე იყო, მარია კი ჩვენი სახლის მოახლე. მგონი, ერთ ნელსაც არ გაველო მოჯამაგირის მოსვლიდან, რომ ერთ დღეს ისინი ორივენი გაქრნენ. როცა მათი გაქრობის მიზეზი გაიგეს, მარიამ თურმე მამაჩემის მისვლაზე ტირილი დაიწყო და პატივებს ითხოვდა. მრცხვენოდა, ჩემი გადაწყვეტილება გამეშხილაო. მამაჩემს უთქვამს, თუ გსურს, რომ გაპატიო, ორივენი უნდა დაბრუნდეთ, რომ ქორნილი გადაგიხადოთო. ამ ქორნილში განსაკუთრებული რამ არ მომხდარა, გარდა იმისა, რომ მე პირველად ვიჯექი საქორნილო სუფრასთან და მონმე ვიყავი იმ უბრალო და გულუბრყვილო მხიარულებისა, როგორითაც ეს ნვეულება ჩატარდა. ლევანი და მარიაც ჩვენგან კარგად დაშორებული სოფლიდან იყვნენ. მათი ამბავი მას შემდეგ არაფერი შემიტყვია. დედა მიაძებოდა, ჩვენ მარიას საჭირო მზითვები გავატანეთ, როგორც მას შეეფერებოდაო.

კიდევ სხვა ქორნილიც გადავიხადეთ. ეს იყო ჩვენი მოახლის, კესა დანელიას და გიგო დავითიას ქორნილი. კესა ბანძელი იყო, დავითია კი — სენაკელი. დავითიამ არ ისურვა, რომ ქორნილი ჩვენ გადაგვეხადა, არამედ თავისსავე სახლში მოაწყო. მე იმ ქორნილს არ დავსწრებივარ. დედაჩემი კი დაესწრო, რადგან ეს თავის მოვალეობად ჩათვალა. კესასაც, ცხადია, მზითვები ჩვენ მივეცით. მას ერთი მოხუცი დედის გარდა არაფერი ჰყავდა.

ერთი ქორნილიც გაიმართა ჩვენს სახლში. ეს იყო ქორნილი დედაჩემის სოფლელ, თეკლათელ ვინმე მამავასი. პატარძალი იყო ჩვენს სახლში მოახლედ

ნამყოფი პისტინია, გვარი არ მახსოვს. პისტინია თითქმის შინაბერა იყო. შეუღლება დედაჩემმა მოახერხა, რადგან სასიძო მისი სოფლელი გახლდათ და დარწმუნებული იყო, რომ მას ღირსეულ ქალს შერთავდნენ. პისტინია უპატრონო ქალი არ იყო. მას გლეხის პირობაზე კარგი ოჯახი ჰქონდა. მე და დედა ქორწილს დავესწარიით. უკვე ბალლი აღარ ვიყავი. კარგად მახსოვს ის უთანხმოება, რომელიც ქორწილის თითქმის დასრულების შემდეგ მოხდა. საქმე შეეხებოდა შეპირებული მზითვის მთლიანად ვერ შესრულებას, პისტინიას მამა შეპირებული ორი მოზერის მიცემას არ აპირებდა. სასიძო შეურაცხყოფილად გრძნობდა თითქოს თავს. იგი ამბობდა, თუ თავიდან ისე მოგენონეთ, რომ ასეთი მზითვები შემპირდით, ახლა რაღას მიწუნებთო. და თუ ასეა, მაშინ თქვენი ქალიშვილი თქვენვე გყავდეთო. მაშინ დამარცხებულმა პისტინიას მამამ ბოდიში მოიხადა და მონმეთა წინაშე დაიფიცა, ეგ მოზერები ჯერ არა მყავსო. მათ ყიდვას ვაპირებდი და შესაფერი ვერ ვიშოვე. სიძის დანუნება რას მიქვია, გეფიცებით, პირობას ავასრულებო. ასეც მორიგდნენ და ჩვენი პისტინია შესაფერი მაყრულით წაიყვანეს თეკლათისაკენ.

კიდევ ერთი რამ უნდა მოვიგონო ჩემი უადრესი ბავშვობიდან. ეს არის დიდი თოვლი სამეგრელოში. ეს მოხდა, მგონი, 1910 წელს. ამბობენ ორი არშინი თოვლი იდოო. მახსოვს ასეთი სურათი: ესადილობდით. ფანჯრებიდან არაფერი სჩანდა, რადგან სახურავის გადმოთოვლის შემდეგ გარშემო სამმეტრიანი თოვლის კედელი იყო შემორტყმული. მახსოვს, რომ ვილაცის ძალი ამ თოვლის გორიდან ჩვენს სუფრას გადმოჰყურებდა. სახლიდან სხვადასხვა მხრივ მიმართული ბილიკები თოვლის ორმეტრიან კედლებს შუა გადიოდა. ამ ბილიკზე ძალითა მიკბინა. სისხლი არ გამომდენია, მაგრამ მშობლები და მთელი ოჯახი აღელდა. შიშობდნენ, ვაითუ ძალი ცოფიანი იყოო. გიორგიმ გადაწყვიტა, ახალ სენაკში ექიმთან წაეყვანეთ. ახლა მიკვირს და ვერ გამიგია, საიდან აღმოჩნდა ძველ სენაკში მარხილი. სანდრო თურქიას ცხენები მარხილში შებმულები იდგნენ ჩვენი სახლის წინ. გზაში, შხეფსა და ახალ სენაკს შორის, ერთ პატარა ხევში მარხილი გადაგვიბრუნდა. ყველანი თოვლში გადაეცვივდით. მე მსინჯავდნენ, ხომ არაფერი მოუვიდაო. ოთხი წლის ბიჭს თოვლში გორაობით რა უნდა მომსვლოდა! ახალ სენაკს ადვილად მივალწიეთ და იქ ქალაქის ციხის კედელში ჩადგმულ უზარმაზარ რკინის კარებთან გავეჩრდიით. ეს იმიტომ, რომ რალაც ჩემთვის უცნობი მიზეზით ექიმი დატუსალებული იყო. რკინის კარები გაიღო და შიგ შევედით. აჲ, ალბათ, პირველად ჩემს სიცოცხლეში დავინახე რუსის ჯარისკაცები ხიშტებიანი თოვლებით. მოვიდა ექიმი, ნაკბენი გასინჯა და სთქვა, მხოლოდ გალურჯებულია კანი, გაკანრულიც არ არისო. მე მგონი, ბავშვს არავითარი საშიშროება არ მოეღისო. შემდეგ თამბაქოს სახვევი ქალაღდი მოხია, ენაზე დამადო და კარგა ხანს უცქირა. შემდეგ ქალაღდი მომაშორა და თქვა, ბავშვს არაფერი მოუვაო. ბაბუას გარდაცვალებასთან ერთად ეს არის ჩემი უძველესი მოგონება.

ჩემი ვითომ მოტაცება

ართმეტიკას გვასწავლიდა ბავშვებისათვის ძლიერ საყვარელი რაჟდენ გამსახურდია. მისი შვილი ჩემი თანაკლასელი იყო. მან გვითხრა, მამა აუად არისო. რამდენიმე ბავშვმა გადაწყვიტეთ მისი ნახვა. გაკეთილებს შემდეგ მასწავლებლის შვილს გაყვებით. იგი შორს არ ცხოვრობდა - ეკისკენ მიმავალ გზაზე, დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც ქვეთარაძეთა ეკლესია იყო. მასწავლებლის ცოლმა სადილად დაგეტოვა და კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ჩვენ სახლებში წასვლა დავაპირეთ. ჩემი დაგვიანების გამო კი სოფელში განგაში ატეხილა. ჩემი დარაჯი, რომელიც მე სკოლამდე მაცილებდა და უკან ნამოსაყვანადაც მოდიოდა, სკოლაში მოსულა და მისთვის უთქვამთ, რომ არც ერთი ბავშვი აქ აღარ არისო. ეს რომ ჩემს სახლში გაუგიათ, ბიძაჩემი ბოქაულთან მისულა და საერთო განგაში აუტეხიათ. ბოქაულს სასწრაფო შიკრიკი გაუგზავნია მაზრის უფროსთან, რომ გზები შეეკრათ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ გამიტაცეს. ასეთი მოტაცება ხანდახან დროგამოშვებით ხდებოდა ხოლმე, გამოსასყიდი ფულის აღების მიზნით. გიორგის სანდრო თურქიას ეტლი აუყვანია და თვითონ აპირებდა ახალ სენაკში წასლას. ამ დროს მათ შეამჩნიეს ეკის გზაზე ჯერ კიდევ შორს მყოფი სამი ბავშვი, რომლებიც ბაზრისკენ მოდიოდნენ. ეს პირველად სანდროს შეუმჩნევია და გიორგისთვის უთქვამს, მოვიცადოთ, ვიდრე ისინი მოვლენო. ჩვენს მოსვლამდე მიცნეს, რომ მათ შორის მეც ვიყავი.

ბიძია გიორგი ძლიერ გაჯავრებული იყო, მაგრამ, როდესაც ავუსხენი, თუ რატომ დამაგვიანდა, მოლბა და სანდროს ეტლით სახლში დაებრუნდით. სანდროსაც გზა იქით ჰქონდა. საწყალი დედაჩემი დამშვიდდა. ეს იყო მეორე განგაში ჩემი "მოტაცების" გამო.

როგორ გადაეურჩი დახრჩობას

ერთ დღეს მე და მუნჯია, ჩემს პატარა ძმასთან, ჩვენს ჭაკ თაფლასთან და მის კვიცებთან ერთად ტესურისკენ წავედით საბანაოდ. მივედით იმ ადგილას, სადაც გაღმა მხარეს გამსახურდიები სახლობდნენ. იმ ადგილზე მათი ნისქეილისათვის წყლის დასაგუბებლად ჯებირი იყო გაკეთებული. ამგვარად მდინარის სიღრმეში თანდათან შესვლა შეიძლებოდა. ჩვენ ცხენებიც ვაბანავეთ, უმთავრესად იმიტომ, რომ კუდქვეშ დაბუდებული ყვითელი ხოჭოსმაგვარი ბუზები მოგვეშორებინა. ცხენები ძლიერ კმაყოფილნი იყვნენ. შემდეგ ჩვენ თვითონ დავინწყეთ ბანაობა. ცურვა არც ერთმა არ ვიცოდით. მე მსურდა, რამდენადაც შემეძლო ღრმად შეესულიყავ წყალში, მაგრამ რომ არ ავეტივტივებინე, ჩემი ძმა შევისვი კისერზე და კისრამდე წყალში შევედი. ამ დროს მუნჯიამ შეუგნებლად ხელი მკრა. მე მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადავდგი წინ, მაგრამ სუნთქვა აღარ შემეძლო, რადგან წყალი ცხვირზე მალლა მწვებოდა. ბედად არ დავიბენი და იმ შეგნებამ, რომ დედაჩემს ორივე

ვეხრობოდით, გამბედაობის და მოხერხების უნარი მომანიჭა. ნახევარი ნაბიჯი უკან გადმოვდგი და ჩემი ძმა, რამდენადაც შემიძლო, შორს გადავისროლე. მაგრამ რადგანაც სუნთქვა შეკავებული მქონდა, კარგა ბლომად წყალი ჩავეყლაპე, ვიდრე თვითონაც სამშვიდობოს გავიდოდი. მუნჯია იქვე წელამდე წყალში იდგა, მან ვერც კი გაიგო, რაც მოხდა, არადა, მე და საშა სასწაულებრივ გადავარჩით. ეს ამბავი დავმალე, რომ დედაჩემს არ გაეგო. მუნჯიას კი კიდევ სცოდნოდა, რა მოხდა, ამისი მოყოლა დედაჩემისთვის არ შეეძლო.

რვა ბავშვი კიბეზე

ბალი შემოსული იყო. ჩვენები სახლის გვერდით ჩრდილში ისხდნენ. სახლის შორიანხლო ერთი მაღალი ბლის ხე იდგა. მის ტოტებზე ძლიერ მაღალი კიბე იყო მიყუდებული. ამ კიბეზედ ასული იყო ქავთარაძეთა მთელი შთამომავლობა: რვა ბავშვი ჩემი მეთაურობით. მე ყველაზე მაღლა ვიყავი ასული. გასაგებია, რომ კიბე “მშვიდად” ვერ დარჩებოდა. იგი ტოტის სიგრძეზედ გასრიალდა და დასავარდნად გადაიხარა. ჩემ ქვევით მყოფი ბავშვები დაუყოვნებლივ ჩამოცვივდნენ. მე კი ყველაზედ მაღლა მდგომმა გადმოხტომა ვერ გავბედე, კიბიანად მიწას დავეწარცხე და კეფა მიწას დავარტყი. დავარდნისთანავე ისევ ფეხზე დავდექი. ამ ამბავს შორიანხლო მჯდომი ქალები უცქეროდნენ და არც არავის შეშინებია, მაგრამ როდესაც ნამოვდექი, ალბათ, კეფით დაცემის გამო თავბრუ დამეხევა და ხელახლა დავეცი. დედაჩემს რომ ეს დაუნახავს, კვილით ჩემკენ ნამოსულა, მაგრამ ვიდრე ჩემამდე მოვიდოდა, მე უკვე ფეხზე ვიდექი.

ბოლშევიკური აჯანყება ძველ სენაკში

ეს მოხდა თურქების მიერ ბათუმის აღების შედეგად. იქიდან დაბრუნებულმა დეზერტირებმა ძველ სენაკში აჯანყება მოაწყვეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაატუსაღეს, ერთ-ერთ სკოლაში დაიბანაკეს და სოფელს მათთვის საჭმლის მიწოდება უბრძანეს. ჩვენი ოჯახიც არ დაავინწყდათ და 50 კაცის დღიური ულუფა შეგვანერეს. არ ვიცი, რას აპირებდნენ და მათი საბოლოო მიზანი რა იყო, ორასიოდე კაცი იქნებოდა. ათიოდე ჩვენი სოფლიდან, დანარჩენი ჩვენი შორიანხლო სოფლებიდან. ორი თუ სამი დღე იბოგინეს, მგონი, არავინ შეუნუხებიათ, იმიტომ, რომ საჩივრები და უკმაყოფილება არ მახსოვს. ბოლოს ახალ სენაკში მატარებლით ჩამოსული გურიის გვარდიის ბატალიონი ორიოდე ქვემეხით ახალსენაკიდან ძველსენაკისაკენ დაიძრა. მათ მიახლოებაზე აჯანყებულები სასწრაფოდ ბაზარში შეიკრიბნენ და ძუნძულით ნოქალაქევის მიმართულებით წავიდნენ. გვარდიელები მათ არ გამოსდევნიბიან. თურმე ნოქალაქევის ციხის გალავანში შეხიზნულებს დასცემიან. ნახევარი მათგანი გზაშივე გაფანტულა. გვარდიელებს ციხის

გალავანში ორიოდე ყუმბარა ჩაუგდიათ. ისინიც დანებებულან. ასე ღასრულდა ეს აჯანყება. მეორე დღეს ბატალიონი ფეხით დაბრუნდა უკან და ღამე ჩვენს სოფელში გაათიეს. დამავინყდა, მეთქვა, როდესაც აჯანყებულები ნოქალაქევისაკენ დაიძრნენ, მათთვის საჭმელად შეწირული ლობიოს ქვაბი ჩვენი ალყაფის წინ იდგა, ხიდის მოაჯირზე. რამდენიმე გაქცეულთაგანმა მოასწრო თითო პეშვი ლობიოს შეჭმა, დანარჩენი კი გურულებს დარჩა. ჩვენ ზომები მივიღეთ, რომ ცარიელი ქვაბი მაინც არ დაგვეკარგოდა. ამ აურზაურში ერთი გვარდიელი ოფიცერი ჩვენს ჭ.შკართან შეჩერდა. გამოთქმაზედ შევატყვევ, რომ იგი, მიუხედავად გურიის ბატალიონში სამსახურისა, უეჭველად ქართლელი იყო. მან მკითხა, ეს ქვეთარაძეების სახლ-კარიაო? მე ვუთხარი, დიხ ბატონო-მეთქი. თქვენაო, მკითხა მან, სახლში ღვინო გაქვთ, თუ გარეთ ყიდულობთო. ამ კითხვამ დამაფიქრა. ალბათ, ღვინის წართმევას ფიქრობენ-მეთქი. ვუპასუხე: ცოტა ღვინო გვაქვს, მაგრამ თუ სტუმრები მოგვივიდნენ, ბაზარში ვყიდულობთ-მეთქი. კარგიო, თავზე ხელი გადამისვა და წავიდა. საღამოს ვახშმად რომ დამიძახეს, ვხედავ, ეს ოფიცერი სუფრას უზის. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემ მიერ მისი მოტყუება უადგილო იყო. არამცთუ მივხვდი, ვგრძნობდი, რომ ამის უკან რალაც ამბავი იმალებოდა. ბიძია გიორგი ცალკე გავიხმე და ვუამბე ჩემი და ამ ოფიცრის ლაპარაკი. ეს კაცი თურმე ჯაკუს კარგი მეგობარი ყოფილა თბილისში. ჯაკუს მისთვის კვებით უამბნია, თქვენ რომ გგონიათ, სასტუმრო ისეთი არ არის, ჩვენ პურიცა გვაქვს და ღვინოცო. თუ ოდესმე ჩვენკენ გაიპოო, ჩვენს სახლში მიდი და თვითონ დარწმუნდებიო. გიორგისათვის ოფიცერს თურმე უთქვამს, რომ ჯაკუს სახელით ვესტუმრე თქვენს ოჯახსო. გიორგი მაშინვე მიხვდა ოფიცრისა და ჩემი საუბრის მიზეზს, რადგან იცოდა, რომ ჯაკუ კახელებსა და ქართლებს შორის ხშირად იკვებნოდა თავის მელენეობას. მაშინ გიორგიმ მე მითხრა ყველას წინაშე, მიშა, გვიამბე ამ კაცმა რა გკითხა, რა უპასუხე და აგვიხსენი შენი ტყუილის მიზეზიო. მე ვუთხარი, ეს გვარდიის ოფიცერია, მაგათ ბურჟუაზია არ უყვართ და ვიფიქრე, ალბათ, ღვინის წართმევას გვიპირებენ-მეთქი. მაშინ ახლა უთხარი მართალი ამ კაცსო, — მითხრა გიორგიმ. მე ვუპასუხე, რა უნდა ვუთხრა, წამომყვეს და სარდაფში ღვინით სავსე კასრებს ვაჩვენებ-მეთქი. იმ კაცმა თავი გაიქნია, მართლა უცნაური ხალხი ხართ ეს მეგრელები, ამ ბაღმა როგორ ჭკვიანად მომატყუაო.

სკოლების ნაკლებობა სამეგრელოში

ჩემი ბავშვობისდროინდელ სკოლათა ნაკლებობის მაჩვენებელია შემდეგი ამბავი: ჩვენს სკოლაში საკმაოდ შორეულ სოფლებიდან დადიოდნენ ბავშვები, მაგრამ უახლოესი ნოსირი ჩვენგან ტეხურით იყო გამოყოფილი, მდინარეზე კი ხიდი არ იყო. როცა წყალი დიდი არ იყო, ბავშვები ფეხით ფონზე გადმოდიოდნენ, ხოლო ოდნავ წყალდიდობის დროს ნაკებით გადმოჰყავდათ ხოლმე. ასეთ მენავეობას ეწეოდა პეტრე გამსახურდია, რომელსაც სკოლაში ორი შვილი დაუდიოდა. ერთ ასეთ დღეს

მას ნავი გადაუბრუნდა. მისი შვილების გარდა, მგონი, კიდევ სამი ბავშვი ისხდა ნა-
ვში. სამი სხვისი და ერთი თავისი შვილის ნაპირზე გადასროლა მოასწრო. ერთი კი
დაელუპა. ამ ტრაგედიის შემდეგ ამ ბრგე ვაჟაკს ერთი წელიც კი არ უტყბოვრია.

სარა კართხია და მისი ძმა ბესა

სარა ქალი არ გვეგონოთ. ეს სახელი მამაკაცს ერქვა. სარა ძლიერ მოხერხებული,
ხუმარა და მხიარული კაცი იყო. ტანად საშუალოზედ დაბალი, მაგრამ ფართე მხარ-
ბეჭიანი და მუხლმაგარი კაცი ჩანდა. იგი დროდადრო მეთევზეობას ეწეოდა და თავის
ნანადირევს კარდაკარ ყიდიდა ხოლმე. ასევე კარდაკარ გასაყიდად დაჰქონდა დედლე-
ბი, ყვერულები და ვარიები. დედაჩემი ხუმრობდა, მგონი, სარას ჩვენგან მოპარული
ქათმები მოჰყავს და ისევე ჩვენზე ასალებსო. სულ სხვა კაცი იყო მისი ძმა – ბესა.
იგი, მგონი, არც თავისთვის, არც სხვისათვის არასოდეს მუშაობდა, რადგან მთელი
დღე ბაზარში ერთი სამიკიტნოდან მეორეში გადადიოდა. ცხადია, არა იმისთვის, რომ
ფული დაეხარჯა, რომელიც მას არასოდეს ჰქონია, არამედ სხვისი სუფრიდან რომ
ერთი ლუკმა რგებოდა. ბესას თავში ჩადებული ჰქონდა, რომ ნათლილებზედ ჯვრის
ამოლებით მას ოდესმე ბედი ეწეოდა (ასეთი რწმენა იყო სამგრელოში). ზოგი მას
შერეკილადაც კი თვლიდა და დასცინოდა. სარა კართხიას მე უფრო ახლოს ვიცნობ-
დი. არა მხოლოდ იმისა გამო, რომ მას გასაყიდი რამ ხშირად მოჰქონდა ჩვენთან,
არამედ იმიტომ, რომ იგი აუცილებელი მონმე და მთავარი პერსონაჟი იყო ნადო-
ბისა, რომელიც ჩვენს ოჯახში ყოველ შემოდგომას იმართებოდა. ასეთი რამ ჩვენთან
იმართებოდა არა სიმინდის გასამარგლად, როგორც ეს უფრო ხშირად ხდებდა, არამედ
მოტეხილი სიმინდის ფუჩეჩის გატლისას. მოტეხილ ტაროებს გომურის ერთი კედლის
გასწვრივ ყრიდნენ ხოლმე. ეს გროვა მუდამ სახურავამდე ადიოდა. ნაღში მონანილე-
ობას იღებდნენ ჩვენი მოახლებები და მოჯამაგირეები, აგრეთვე ათიოდე მეზობელი
მამაკაცი ან დედაკაცი. მთელი ეს ხალხი სიმინდის გროვაზე რამდენადაც შეიძლე-
ბოდა მაღლა განლაგდებოდა და ფუჩეჩაცლილ ტაროებს მოპირდაპირე კედლისკენ
ისროდა. ამ ხალხის გამართობი და ნამახალისებელი სარა იყო. იგი ხელმძღვანელობდა
საერთო სიმღერას. ნამომწყები თვითონვე იყო. მისი სიმღერათა ტექსტები ზოგჯერ
ხალხური, ცნობილი ტექსტები იყო. ზოგს კი თვითონვე იგონებდა და საკმაოდ სკა-
პრეზულსაც. სიტყვამ მოიტანა და უნდა აღენიშნო, რომ სარასაგან და სხვა ჩვენს მო-
ჯამაგირეთაგან მრავალი სიმღერა მისწავლია და ახლაც კი მახსოვს. ზოგი მეგრული,
ზოგი ქართული. მრავალი კრებული ნამიკითხავს ქართული სიტყვიერებისა, მაგრამ
არც ერთი მათგანი არ შემხვედრია. სიმინდის გაფუცქენა ნაშუალამევის 2 საათამდე
გრძელდებოდა, შემდეგ ყველასათვის ვახშამი იყო მომზადებული, რომელზედაც მე
დასწრების ნება მქონდა. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი გასართობი და ბედნიერება,
რისი ხსოვნაც ბავშვობიდან შემომრჩა, ალბათ, იმიტომ, რომ სხვა შემთხვევებში არ
მახსოვს, რომ ჩემთვის გვიან დაძინების ნება დაერთოთ.

ჩენი სახლის გაჩხრეკა გვარდიელების მიერ

ეს მოხდა დამოუკიდებლობის დროს. ეზოში შემოვიდა გვარდიელების ასეული და სახლს ალყა შემოარტყა. უფროსი სახლში შემოვიდა და მამაჩემს უთხრა, ახალსენაკში სამხედრო საწყობი გაძარცვეს და ნაბრძანები გვაქვს გარშემო სოფლებში ნაძარცვი იარაღი ვეძიოთო. მამაჩემმა ჰკითხა: კაცო, ცვიპაუსის მძარცველებს ჩემს სახლში ეძებთო? იარაღი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ ეს ის იარაღი არ არის, რომელსაც თქვენ ეძებთ. დასამალი მე არაფერი მაქვს, მე თვითონვე ჩაგაბარებთო. წავიდა და სამი თოფი, რომელსაც მაშინ "ბერდანკა" ერქვა, გამოუტანა. ამ თოფებს მაშინ არმია ალარ ხმარობდა, არამედ მხოლოდ პოლიციელებს ჰქონდათ, თანაც ეტყობოდა, რომ ახალი იარაღი არ იყო. მამამ ჰკითხა, ეგ არის ცვიპაუსიდან გატანილი იარაღიო? უფროსმა უპასუხა, სახლი მანც უნდა გაეჩხრიკოო. ინებეთ, თქვენი ნებაოო, — უთხრა მამამ. გვარდიელები სახლის ჩხრეკას შეუდგნენ. ერთ კუნჭულსაც არ სტოვებდნენ — ლოგინები, ყველაფერი თავდაღმა გადაატრიალეს. დედამ გაკვირვებით ჰკითხა, ბალიშებსა და მუთაქებში როგორ შეიძლება იარაღის დამალვაო? თან ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, ამისთანა ლოგინში არც მე მანყენდა წოლაო. ბოლოს განჯინაში იპოვნეს ერთი თოფი, რომელიც მამამ არ გამოიტანა, რადგან იგი მსხვილ ნადირზე სანადირო თოფად ითვლებოდა. როცა მამაჩემმა უთხრა, ეს სანადირო თოფიაო, ოფიცერმა გაიღიმა, მაგრამ მისმა თანამებნემ წაილულლულა, ეს ჩვენისთანებზე სანადიროდ არიო?! ჰმ, მამამ დაცინვით ჰკითხა: შენ, შენი თავი დათვად მიგაჩნია თუ ტახადო?! ამ ხუმრობით დასრულდა ეს ამბავი და მთავრობის წარმომადგენლები წავიდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ვერცხლის დანა-ჩანგალსა და კოვზებს შორის აქა-იქ აკლდა. ზარალი დიდი არ იყო და ჩივილს რა აზრი ჰქონდა. ასე დასრულდა ეს ამბავი. უნდა აქვე აღვნიშნო, რომ ცოტათი ამაზე ადრე მომხდარ კომუნისტების აჯანყებას ასეთი რამ არ მოჰყოლია.

გიმნაზიაში

(წითელი არმიის შემოსვლა თბილისში)

ეს ამბავი როდესაც ხდებოდა, ზაფხული იყო. შემოდგომისათვის მე უკვე თბილისის პირველ გიმნაზიაში გადავედი. იქ სულ სხვა მდგომარეობა დამხვდა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მზადდებოდა. ხალხში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში პატრიოტული განწყობილება სუფევდა. გვარდიელებს ყაჩაღებად და ქურდებად არავინ თვლიდა, მაგრამ მაკვირვებდა ჩვენს სტუმრებს შორის არსებული კრიტიკული განწყობა ქართული კავკასიური მთავრობისადმი. მიკვირდა, რომ რუსების თავიდან მოშორებას და ადგილობრივი ხელისუფლების დამყარებას ხალხი მეტი აღტაცებით არ ხვდებოდა. როდესაც დამოუკიდებლო-

ბა გამოცხადდა, მე ძლიერ გახარებული ვიყავი და თეთრწვერა ლამაზი მოხუცი უორდანი ამის ავტორად მიმჩნდა, ხოლო ჩვენს სუფრასთან მსხდარ სტუმართაგან მისი კრიტიკა ვერ გამეგო და გულს მიკლავდა. მახსოვს და ჩემთვის უბედნიერეს დღედ მიმჩნია, როდესაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უორდანიამ რუსთაველის პროსპექტზე თეთრი ვარდებით შემკულ ორ წყვილ თეთრ ცხენებზემზულ ეტლით ჩაიარა მთავრობის სასახლიდან რუსთაველის გამზირის ბოლომდე. ეს ჭალარა მოხუცი ერეკლე მეფის, თამარის და დავით აღმაშენებლის შთამომავლად თუ არა, მათი საქმის გამგრძელებლად მოჩანდა. ამ სცენას ჩვენი სახლის აივნიდან ვუცქეროდი რუსთაველის გამზირზე. ოთახში შებრუნებული კი ჩვენი სტუმრების მიერ უორდანიას მიმართ გამოთქმულ კრიტიკას და დაცინვასაც კი ვუსმენდი. ეს მე ვერ გამეგო, ამის შესახებ კითხვის მიცემისა მრცხვენოდა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დავინყე დამოუკიდებლად შეგნება ადრე მოსმენილ კრიტიკის სიმართლისა. ვიდრე ეს მოხდებოდა, კიდევ ერთი დღესასწაული მოგვესწრო ჩვენი დამოუკიდებლობის გადახდისა. საამისოდ უზარმაზარი ზეიმი გაიმართა 26 მაისს ვაკეზე. ამ ზეიმის მთავარი მსახიობები თბილისის ყველა სასწავლებელთა მონაფეები იყვნენ სტუდენტთა ჩათვლით, ქალნი და ვაჟნი. ჩვენ ყველას შეგვასწავლეს საკმაოდ მოკლე და ადვილი გიმნასტიკური მოძრაობანი, რაც მუსიკის ტაქტის ქვეშ უნდა აგვესრულებინა. ყველას საამისო ფორმა გვეცვა -რამდენიმე ათას ახალგაზრდას. ყველანი ბედნიერები ვიყავით. როგორც მახსოვს, იმ დღეს სახლში დაბრუნებულს, მგონი, კრიტიკა აღარ მომისმენია. ალბათ, უფროსებსაც ეუხერხულებოდათ არდაჯერება იმისა, რასაც ხედავდნენ.

გიმნაზიაში ქართულის მასწავლებლად გვყავდა ივანე რატიშვილი. იგი ხანშიშესული კაცი იყო, ღრმა პატრიოტი. ამ დღესასწაულის შემდეგ მან სანერად მოგვცა თემა „საქართველოს მდგომარეობა რუსეთის შემოსვლიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე“ და თვითონვე კონსპექტურად გვიამბო, რა მოხდა ამ 120 წლის განმავლობაში, და გვითხრა, რასაც ფიქრობთ ამ მოვლენებზე, თქვენი სიტყვებით აღწერეთო. ამ თემის დასაწერად ორი საათი გვექონდა. კლასმა დაწერა და რვეულები ბატონ ივანეს ჩავაბარეთ. ორი თუ სამი დღის შემდეგ მან რვეულები უკან დაგიბრუნა და გამოაცხადა, მე მსურს მთელ კლასს წავუკითხო ყველაზე საუკეთესო ნამუშევარიო. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მივხვდი, რომ ის ჩემს ნაწერს კითხულობდა. საოცარია, რომ მე ეს აბბავი უფრო გამიკვირდა, ვიდრე გამეხარდა. ამის თქმა სახლში არც კი მიფიქრია, მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. იმ ხანებში, ჩვენს გიმნაზიაში ჭიათურის სამრეწველო კომპანიას, რომელსაც ერქვა „ჩემო“, მეორე სართულის ნახევარი ჰქონდა დაქირავებული, სადაც საზოგადოების გამგეობა იყო მოთავსებული. ამ საზოგადოებაში გამგეობის ერთი წევრთაგანი იყო ბიძაჩემი ჯაკუ, რადგან ქვეთარაძეების ფირმის სამარგანეცო განყოფილებას ის განაგებდა. კვირა დღე იყო. ჩვენ ჩვეულებრივზე მეტი სტუმარი გვყავდა და ბიძაჩემმა ხალხს უამბო ჩემთვის

მოულოდნელი ამბავი. თურმე ივანე რატიშვილი "ჩემოს" საერთო დარბაზში მისულა და იქ მყოფთათვის ამაყად განუცხადებია, ჩვენ ისეთი ახალგაზრდობა გვეზრდება, რომ მომავლის იმედი უნდა გვეკონდესო და იქ მყოფთათვის ჩემი თემა ნაუკითხავს და წარმოიდგინეთ თქვენ ჩემი სიხარული, თქვა ჯაკუმ, რომ მან ამ თემის ავტორად მიხეილ ქავთარაძე გამოაცხადაო. მე იმ სუფრასთანვე ვიჯექი და სიხარულის მაგივრად შემრცხვა და თავი უხერხულად ვიგრძენი. სტუმრებმა კი დიდი სიყვარულით მომილოცეს და, არ მახსოვს, ვინ მითხრა, ეს ნაწერი არ კმარა, როცა გაიზრდები, საქმით უნდა დაამტკიცოო. გიმნაზიაში ამ ამბავს ჩემთვის მაინცადამაინც სასიხარულო რამ არ მოჰყოლია. ზოგს უხაროდა, ზოგს კი აშკარად შურდა. განსაკუთრებით იმათ, რომელნიც (იყვნენ ასეთები), ერთმანეთში ჯერ კიდევ რუსულად ლაპარაკობდნენ. უფრო არასასიამოვნო ამბავიც მოხდა. კლასში კედლის გაზეთი გვექონდა. ამ გაზეთის ხელმძღვანელების გაფართოებული არჩევნები ხდებოდა. ვიღაცამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. შორს მჯდომმა და ამ ამბებში არც დიდი მონაწილეობის მიძღვება შურა ბაგრატიონმა რუსულად წაილულულა — ეგ "რატიშვილსკი ვისკაჩკა" გვაკლდაო. ჩემი რეაქცია ის იყო, რომ თითქოს არც კი გამეგონოს. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ვუთხარი: ჩემი სურვილით და დაუკითხავად ხომ არ დამინერია ის წერილი-მეთქი. რაში გამოვიჩინე ვისკაჩკობა- მეთქი? იგი განითლდა და არაფერი მიპასუხა. ასე ჩაიარა ამ ამბავმა. იმ კედლის გაზეთს მე და ქირურგ ვირსალაძის შვილი ვხელმძღვანელობდით. მთელ კლასს ვთხოვდით, რაიმე დაენერათ. მე რამდენიმეჯერ ვთხოვე შურა ბაგრატიონს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ შურა ნიკო ბურის შვილი იყო და ასეთი კაცის შვილს შეეფერებოდა კიდევ გაზეთში თანამშრომლობა, მაგრამ, საუბედუროდ, მისი დედაენა ქართული კი არა, რუსული იყო; იმდენად, რომ პარიზში ჩამოსულმა მან ქართველებს უთხრა - მე ნიცაში უნდა წავიდე, რადგან იქ ბებია მაქვსო. ასეთი ქართულის მცოდნეს, მართლაც არ შეეძლო ჩვენს ქართულ კედლის გაზეთში მონაწილეობის მიღება.

სხვა განსაკუთრებული, გიმნაზიაში მომხდარი რამ მე არ მაგონდება. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კოტე მაცაშვილის ვაჟის, იუნკერი მაცაშვილის (სახელი არ მახსოვს) დასაფლავებამ. იგი მოკლულ იქნა იუნკერთა სკოლაზე კომუნისტების თავდასხმისას. წესის აგება მაშინ ჩვენი გიმნაზიის გვერდით მდგომ რუსული სტილის ტაძარში ხდებოდა. არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ მახსოვს, რომ ჩემ გარდა, არც ერთი ბავშვი იქ არ მინახავს. ისე მოხდა, რომ კუბოს აწვევისას მე სულ პირველ რიგში აღმოვჩნდი და თითქმის გვერდში ვუდექი მაცაშვილის დედას, როდესაც ნოე ყორდანიამ სამძიმრის თქმით ხელი ჩამოართვა. განურჩევლად იმისა, თუ რა აზრის ვიყავი მე მაშინ ყორდანიაზე, ამ სურათმა ჩემზე დაუვინყარი შთაბეჭდილება დატოვა. რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთის თავდასხმაც მოხდა. მაშინდელ ბავშვის შთაბეჭდილებას დიდი ფასი არა აქვს, რა თქმა უნდა, უფროსებთან ერთად ჩვენც აღელვებული ვიქნებოდით. მახსოვს, როგორ გაიარა

ფრონტიკენ მიმავალმა სამხედრო სკოლამ (იუნკერთა). ხალხი მათ ოვაციებით აცილებდა. ცოტა ხნის შემდეგ ფრონტი ისე მოახლოვდა, რომ მთელი დღისა და ღამის განმავლობაში, მართალია, კანტიკუნტად, მაგრამ გამუდმებით ზარბაზნების ხმა ისმოდა. ვერ ვიტყვი, სასონარკვეთილება და შიში თუ სუფევდა ჩემ გარშემო. მე კი პირადად სრულებითაც არ მოველოდი დამარცხებას, თუმცა ამის შესაძლებლობაზე ლაპარაკი ხშირად მესმოდა ხოლმე. სკოლაში გამოგვიცხადეს, მებრძოლების გასამხნეველად ამანათები უნდა გავუგზავნოთო. დაუსოვნებლივ მთელმა მონაფეობამ დაიწყო ამანათების მიტანა. მინდა მკითხველს მივანოდო ერთი რამ საუბარი, რომელიც მე ჩვენს სუფრასთან გავიგონე და მაშინდელი გაკვირვების გამო, შინაარსი დღემდე დამამახსოვრდა:

სუფრას უჯდა ერთი პოლკოვნიკი არტილერიისა, გვარად კიზირია. იგი ფრონტიდან იყო მოსული, მაგრამ საკვირაო ჩოხა ეცვა, მოვერცხლილი ქამარ-ხანჯლით და სამხედრო სამხარულებიც ჩოხაზედ ეკერა. იგი ამბობდა, ფრონტი ჩვენთან ისე ახლოა, ნარმოიდგინეთ ასეთი საშინელება, რომ მოისურვონ, ყოველ წუთს შეუძლიათ მათ ოპერა დაგვიგრიონო. ამასთან აკავშირებდა ქართული ჯარის გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნას. მისმა სიტყვებმა საშინლად გამაკვირვა, ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ოპერის დანგრევაზედ ტირილი, თუ ქვეყანას საშიშროება მოელის-მეთქი. მეორე სტუმარმა კიდეე "უკეთესი" რამ სთქვა, ღმერთო, არ ვიცი როგორ მოვიქცე, მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მებრძოლთა შორის ვიყო, მაგრამ, რა ვუყო, წვრილშვილის პატრონი ვარო. ამანაც გამაკვირვა, მაგრამ არა ისე, როგორც ეს დღეს მაკვირვებს. ახლა თავს ვეკითხები, ამ ქართველებს ესმოდათ კი, თუ რასა რომაედნენ?! იქნებ ეს საერთო მოვლენა არც იყო, მაგრამ ასეთი რამ გავიგონე. კიდეე ერთი სურათი მახსოვს. რუსთაველის პროსპექტზე, რომლის მზიანი მხარეც მოსეირნე ხალხით იყო გაჭედილი, ერთმა მხედარმა, რომელიც აქ, საფრანგეთში გავიგე, იუნკერი მიხეილ დადიანი ყოფილა, ცხენი ჩამოაქროლა და ხმამალა ყვიროდა: "მტერმა ზურგი გვიჩვენა, გაუმარჯოს ჩვენს ჯარსო!". მოსეირნეები მას ტაშით აცილებდნენ. ეს მე აქ მოვიტანე, როგორც ერთი სურათი მაშინდელი ვითარებისა. სკოლაში ამბავი მოგვივიდა, ფრონტზე მარო მაყაშვილი მოკლესო. მაროც კოტე მაყაშვილის ასული იყო. მონაფეები ამ ამბავმა ძლიერ დაამწუხრა. თბილისის დატოვება ყველასათვის მოულოდნელად მოხდა. მე პირადად შულამისას გავიგე. ჩვენთან მოვიდა ბიცოლაჩემის ძმა პეტრე ჭოჭუა. მას ზურგჩანთა ჰქონდა მოკიდებული და ჩვენ გაგვალვიდა, რომ გამოგვმზვიდობებოდა, ჯარს უნდა გავყეო. სახლში მე მარტო ვიყავი, რადგან ბიცოლაჩემი თავისი ორი ბავშვით სამი დღით ადრე სენაკში წავიდა. მისი გამგზავრებაც უნდა აღვწერო. თბილისიდან ჩვეულებრივი მატარებლები არ გადიოდნენ. სადგურის უფროსის თანაშემწე იყო კორძაია. მას ჯაკუ კარგად იცნობდა, და უთხრა, ჩემი ცოლ-შვილი უნდა მომითავსო რომელიმე ვაგონშიო. კორძაიამ უთხრა, აი, ამ ვაგონში შედიო და თვითონ ძლიერ დასაქმებული მოგვშორდა. ვაგონი ინგლისურ

საელჩოსთვის იყო. დედა და გოგონა უკვე შესულები იყვნენ, როდესაც ვილაც სამხედრო ინგლისელი გამოვიდა და საფეხურზე მდგომ პატარა ბიჭს, გოგის გადაეღობა. მატარებელი კი უკვე იძვრებოდა. ვაგონთან ჩოჩქოლი ატყდა. მე და ჯაკუ ქვევიდან შევცქეროდით ამ სცენას. კორძაიამ ეს შეამჩნია, ჯიბიდან სასტენი ამოიღო და უკვე დამრული მატარებელი შეაჩერა. მან ინგლისელს მიმართა, თქვენ ხომ ხედავდით, რომ მე შემოვიყვანე ესენიო. თქვენ გინდათ, რომ თქვენი ვაგონი მოვახსნევინო და გვერდზე გადავაყენო? ინგლისელმა არაფერი არ უპასუხა, გოგის ხელი მოჰკიდა, შიგ შეიყვანა და ვაგონის კარები გამოხურა. მატარებელიც ხელახლა დაიძრა. შემდეგ ბიცოლამ გვიამბო, რომ ინგლისელებს ბოდიში მოუხდით და მთელი გზის განმავლობაში ყურადღებას არ გეკლებდნენო.

პეტრეს ჩემ გარდა შინ არავინ დაუხვდა იმიტომ, რომ ბიძაჩემმა ჯაკუმ იმ ღამით ბინა მიატოვა სხვაგან დასაძინებლად. შემდეგ გვიამბო, მე ვიცოდი, რომ იმ ღამეს თბილისსა ცლიდნენ და ვშიშობდი, რომ ვინმეს ამით არ ესარგებლა და არ მოვეკალითო. პეტრეს ნათქვამიდან რომ ქალაქის დაცლის ამბავი გავიგე, ფანჯარა გავაღე და ვხედავდი, ჯარის სხვადასხვა ნაწილები როგორ მიდიოდნენ ვაკის მიმართულებით. დილით კი ქალაქში სრული სიჩუმე იყო. ერთი იმ დილის სცენა: ჩვენი სახლის გვერდითა სახლში საპურე იყო. წინ ცარიელი ავტომობილი იდგა, რომელსაც პურით ტვირთავდნენ. ამ დროს, როდესაც მანქანა უკვე სავე იყო, მანქანის გარეშემო ჩოჩქოლი ატყდა. მძღოლს ფრონტისკენ უნდა წაეღო ის პური. თავშეყრილი ხალხი კი გაჰყვიროდა, ფრონტზე პური ვის უნდა წაუღო, ჯარმა ფრონტი დატოვაო. ვილაცამ დაიძახა, ეგ მაგან მშვენიერად იცის, თვითონ უნდა გაყიდოს პურიო და ხალხი მანქანას მიესია. ყველა სხვადასხვა მიმართულებით მირბოდა, ილღიებში ამოჩრილი პურით. მეც ჩავივრბინე, ერთი ცხელი პური მეც შემხვდა და მალე ავივრბინე. ახლაც მიკვირს, რამ გადამადგმევინა ეს პრაქტიკული ნაბიჯი.

შუადღე მონეწილი იყო, წითელი ჯარის ნაწილები რომ გამოჩნდნენ. რუსთაველის პროსპექტი მთლად ცარიელი იყო. საიდან იყო, საიდან არა, რაც რუსთაველის პროსპექტზე მცხოვრებთ რუსი გორნიჩნები და კუხარკები ჰყავდათ, ქუჩაში გამოეფინნენ და ჯარისკაცებს კოცნიდნენ.

ნაშუადღევი იყო, მთავრობის სასახლესთან, რომელიც ოპერის გვერდით მდგომ კადეტთა კორპუსის ყოფილ შენობაში იყო მოთავსებული, ხალხის გროვა შევნიშნე. შემდეგ სახლის სახურავზედ გამოჩნდნენ ვილაცები. ისინი ქართულ დროშას ხსნიდნენ, რომ მის ნაცვლად რუსული წითელი დროშა აღეშართათ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ამის მოქმედთა შორის ყორღანისა რუსი მეეტლე ვიცანი.

საქართველოს მცხოვრებთა მაშინდელი განწყობილება საბჭოთა რეჟიმის დამყარებას უფრო ადვილად ურიგდებოდა, რადგან ამას ხალხის არცერთი ფენისათვის დიდი შევიწროება არ გამოუწვევია. ეკონომიკური მდგომარეობა მცირე ხნით მოუწყობლობისა და სიახლის გამო, ცოტა ხნით თითქოს გაუარესდა. მაგრამ

მალე გაუმჯობესება დაიწყო. მთავარ ტკივილს ქვეყანა კვლავ რუსების ხელში ჩა-
ვარდნის გამო გრძნობდა. მხოლოდ მაშინ გადაიქცა პატრიოტიზმი საყოველთაოდ
განცდილ გრძნობად, თითქოს ქვეყანამ მხოლოდ ახლა გამოიღვიძაო. ბევრი რამ,
რასაც ადრე ყველა იწუნებდა, სანატრელად გადაიქცა. ეს სანატრელი - თავი-
სუფულება იყო. ჩვენი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობაც არც ისე შერყეულა,
როგორც მოსალოდნელი იყო. სენაკი ჯერ ჩვენთვის არ წაერთმიათ და ჭიათურაც
კიდევ ჩვენს ხელში იყო. მაშინ დაიწყო ლენინის მიერ მოგონილი ნეპი - ასე ერქვა
ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს იყო ლენინის მიერ მოგონილი ხრიკი, მთე-
ლი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, დროებითი თავისუფლების მინიჭების სახით
წერილობურყუაზიის ხელში შერჩენილი ქონების მთლიანად გამონუნვნისა. ამუშ-
ავდა წერილი მრეწველობა, გაიხსნა მალაზიები, გაჩნდა საქონელი, მაგრამ ამავე
დროს დაიწყო შეუბრალებელი გადასახადების დადება ამ ახლად აღორძინებულ
მრეწველობაზე და იგი დასრულდა მაშინ, როდესაც მოსკოვმა ყველაფერი გა-
მონუნა, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ ამ ნების დასრულება მოხდა რამდე-
ნიმე წლით უფრო გვიან, ვიდრე აგვისტოს აჯანყება. ამგვარად, ცხადია, რომ
აგვისტოს აჯანყება ეკონომიკური შევიწროებით ან ხალხის გალატაკებით არ იყო
გამონეული, არამედ მას უეჭველად მხოლოდ ეროვნული საფუძველი ჰქონდა.
ახლა ჩემთვის ადვილია კრიტიკული ანალიზის გაკეთება აგვისტოს აჯანყების
წინასწარ განწირულობაზე, მაგრამ მაშინ, ცხადია, მეც ისევე “მთვრალი” ვიყა-
ვი და კიდევაც უნდა ვყოფილიყავ, ჩემი ასაკის გამო, როგორც მთელი ქვეყანა
იყო. ამ აჯანყების წინა წლების განმავლობაში, მთელი ქართული ახალგაზრდობა
მზად იყო ტყეში გასულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეერთებოდა. მეც ამასვე ვოცნე-
ბობდი ყველა ჩემს ნაცნობ ტოლებთან ერთად. ახლა ცოტა უკან უნდა დავიხიოთ,
რამდენიმე წლით:

1922 წლის შემოდგომაზე გამოცდები ჩავაბარე ფოთის გიმნაზიაში შესასვლე-
ლად. გამოცდები ნორმალურად ჩატარდა. მხოლოდ რუსული ენის ჩაბარების
შესახებ მინდა ერთი ეპიზოდის მოგონება. რუსულს ვაბარებდი მასწავლებელს,
გვარად, მგონი, კრაჟჩენკოს, რომელიც გარუსებული უკრაინელი იყო. გვესწრე-
ბოდა გიმნაზიის ინსპექტორი დგებუაძე. მასწავლებელმა მკითხა, რომელ რუს
მწერლებს იცნობ და მათში რომლის სიმპათია გაქვსო. მე ვუპასუხე, ასე თუ ისე,
ნაწილობრივად მაინც ყველა გამოჩენილ მწერალზე მაქვს წარმოდგენა, მაგრამ
ყველას პუშკინი მირჩენია—მეთქი. გამომცდელს ძლიერ ესიამოვნა ჩემი სიტყვე-
ბი და მითხრა, მის რომელ ნაწარმოებს იცნობ ყველაზე უკეთო. მე ვუპასუხე,
რაც ნაკითხვას შეეხება, მისი ყველა ცნობილი ნაწარმოები ნაკითხული მაქვს,
ხოლო ყველაზედ უფრო “პოლტავა” მომწონს და თუმცა ეს ჩემთვის არასოდეს
დაუვალეობიათ, ეგ პოემა ზეპირად ვიცი-მეთქი. როგორ? მკითხა. მე ვუთხარი,
იმიტომ, რომ, ალბათ, განსაკუთრებით მომეწონა და თითქმის ჩემდა უნებლიეთ
ჩამებეჭდა თავში, თვითონვე გვიან აღმოვაჩინე, რომ ზეპირად ვიცოდი—მეთქი.

გაელიმა და მითხრა, მე რომ ამ ამბის დამტკიცება მოგთხოვო, შეგიძლიაო? რატომაც არა-მეთქი და დავინყე პოემის ზეპირად წარმოთქმა. პოემის ორი მესამედი რომ დაეასრულე, შემაჩერა, ახლა საკმარისია, მხოლოდ ერთ კითხვას დაგისვამ კიდევ: როგორ ფიქრობ, რისი თქმა სურდა ავტორს ამ პოემის დაწერითო? მე ვუპასუხე, როგორ შემიძლია თქმა, თუ რას ფიქრობდა ავტორი, მაგრამ მე შემიძლია გითხრათ, მე თვითონ რას ვფიქრობ—მეთქი. ძალიან კარგი! აბა, მითხარო. სულ მოკლედ ვუპასუხე, ვუთხარი: ამ პოემაში ვხედავ, თუ როგორი დიდი მნიშვნელობის საქმე შეიძლება ჩაფუშოს კაცმა, პირადი ცხოვრების, მხოლოდ პირადად მისთვის მნიშვნელოვანი საქმის გამო-მეთქი. კარგად ვერ გავიგე, რისი თქმა გასურსო, - მკითხა მან. კორუბეი გეტმანის საიდუმლო კავშირს შეედეგის მეფესთან პეტრე დედს არ შეატყობინებდა, რომ იგი, კორუბეი, შეურაცხყოფილი არ ყოფილიყო გეტმანსა და მარიას შორის მომხდარი ამბისა გამო, რითაც მან თავის სამშობლოსაც კი უღალატა-მეთქი. მასწავლებელი შემფოთდა, როგორ თუ უღალატა, კორუბეი ხომ პეტრეს მორჩილი ვასალი იყო. ასე, რომ მან თავისი სამშობლოს ღალატი კი არა, პეტრეს ერთგულება გამოიჩინაო. მე კი მგონია, რომ გეტმანმა უკრაინის ლალატისათვის წაადგებინა თავი კაჩუბეის-მეთქი. მასწავლებელს კიდევ რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დგებუაძემ შეაჩერა და უთხრა, ამ ახალგაზრდამ თქვენ უკვე გაგაფრთხილათ, რომ მხოლოდ თავის შეხედულებას გამოთქვამს და თუ თქვენი აზრით ის მცდარია, ეს მხოლოდ თქვენ ორის აზრთა სხვაობაა, რაც გამოცდის ფარგლებს სცილდებაო. კრავჩენკო დადუმდა და თქვა, მე მის ჩაჭრას არ ვაპირებ, მხოლოდ მისმა უცნაურმა აზრმა გამაკვირვაო. დგებუაძემ უპასუხა, გაკვირვებით მეც გამაკვირვა, მაგრამ ძალიან გამახარაო. გიმნაზიაში მიმიღეს და კრავჩენკოს არასოდეს ჩემ მიმართ რაიმე ანტიპათიური დამოკიდებულება არ შესტყობია.

ფოთი

ფოთი ჩემთვის სრულიად ახალი და უცნობი ქალაქი იყო. უნდა ითქვას, რომ კულტურულადაც საკმაოდ ჩამორჩენილი: თეატრი საერთოდ არ არსებობდა. იყო ერთადერთი კინოთეატრი, მისი დარბაზი ამავე დროს სხვადასხვა დანიშნულებასაც ემსახურებოდა. როგორც, მაგალითად, ერთხანს ორჯერ ზედიზედ სხვადასხვა სასამართლოს პროცესი გაიმართა ამ დარბაზში. ერთი შეეხებოდა ვინმე ფრანგიშვილის და მისი ქალიშვილის პროცესს. მათ ბრალდებოდათ დანაშაული სისხლის აღრევაში. ეს პროცესი დახურულ კარს მიღმა იმართებოდა. დასწრება შეეძლოთ მხოლოდ იურისტებს ან იურიდიულ ფაკულტეტზე მოსწავლე სტუდენტებს. მეორე პროცესი საჯაროდ ხდებოდა. ვინმე ახალგაზრდა ამირან ცხომარია, ქორწინების შემდეგ, ამოხოცა ქალის მშობლები, ახლადმერთულ ცოლთან ერთად. იგი მათ რალაცავგარ მოტყუებას აბრალებდა. მახსოვს, როდესაც ამირანი

მისი სოფლიდან ფოთში ჩამოიყვანეს სატუსალოში ჩასაკეტად, შუა ქალაქში გაატარეს ლამაზი, მხარბეჭიანი, ამყად მიმავალი ვაჟკაცი. ჯერ ადრევე ქალაქი მისადმი რატომღაც სიმპათიით იყო განწყობილი, მაგრამ მისმა პირადად ნახვამ, ეს სიმპათია კიდევ უფრო გააძლიერა. მე იმ პროცესს არ დავსწრებივარ, მას რალაც ძლიერ მსუბუქი სასჯელი მიუსაჯეს. ცოტათი უფრო გვიან, მე მომიხდა მასთან შეხვედრა, როდესაც ჩემი ნათესავი მასპინძლის, ალექსანდრე ხოშტარიას შვილისათვის, ტოგოსათვის გადასაცემი საჭმელი მივიტანე. იგი დატუსალებული იყო ფედერალისტთა პარტიის სამხედრო ჯგუფის უფროსობის დანაშაულისთვის. კარი გაგვიღო დარაჯმა, მაგრამ მიტანილი სადილის მიმღებში ამირანი ვიცანი. მან მითხრა, ტოგოს, რა თქმა უნდა, ვიცნობ, მივუტან საჭმელსო. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ყოველ კუთხეში ხდებოდა ამგვარი ორგანიზაციების ნეერთა დატუსალება. მე თავს ეროვნულ-დემოკრატიად ვთვლიდი, მაგრამ რადგანაც ფოთში ახალგაზრდობის უმრავლესობა ფედერალისტებს წარმოადგენდა, თითქმის ყველა ჩემი ახალი ნაცნობი ფედერალისტი იყო. ერთ დღეს წერილი მომივიდა, რომ დაბარებული ვიყავი ფედერალისტთა საიდუმლო კრებაზე. მე ერთ ჩემს ამხანაგს, კვატაშა ხოჭოლავას გავანდე ეს ამბავი. მან გაიღიმა და მითხრა, მეც დაბარებული ვარ იმავე კრებაზეო და მითხრა, მოდი და იქ განაცხადე შენი ვინაობის ამბავიო. მეც ასე მოვიქეცი და ვიდრე მე ვინმე მომისმენდა, სხვა მხარიდან ჩამოსულმა ინსტრუქტორმა დაჭერილთა ნაცვლად ახალი კომიტეტის შემადგენლობის სია გამოაცხადა, რომელშიაც, ჩემდა გასაკვირად, ჩემი სახელიც ეწერა. მაშინ დაუყოვნებლივ სიტყვა მოვიტხოვე და განვაცხადე, აქ შეცდომაა, მე ეროვნულ-დემოკრატი ვარ და არა ფედერალისტი-მეთქი. ისიც დაეუმატე, რომ არც ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ვირიცხები-მეთქი. მე მინდოდა კრებიდან ნავსულიყავი, მაგრამ რადგანაც ყველა დანიშნული ჩემი ამხანაგები იყვნენ, მთხოვეს, დარჩი, შენ მაინც ჩვენს ამხანაგად დარჩებიო. მეც დავრჩი და, მართალი გითხრათ, იმ კრებაზე სხვა საიდუმლო არა თქმულა რა და ჩემ წასვლას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან მე კომიტეტის შემადგენლობას უკვე ვიცნობდი. აქ მე მმართველს იმის ახსნაც, თუ რატომ არ ვიყავი ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ჩარიცხული. ეს იმიტომ, რომ ამ ორგანიზაციის ორი მთავარი პირთაგანი – კვარჩი გეგელია და ბოჩია გაბელია, რომელთაც მე ვიცნობდი, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ მომწონდა და ანტიპათიურად ვიყავი მათადმი განწყობილი. გეგელია მალე გაათავისუფლეს და უმაღლე ხმა დაირხა, რომ მან რალაც პირობაზე ხელი მოაწერაო. ეს გეგელია ძმისშვილი იყო კარგად ცნობილი, გარდაცვლილი კომუნისტის, ფარნა გეგელიასი. იგი უფრო გვიან საზღვარგარეთ წამოვიდა ოფიციალური ვიზით. მის გამოსათხოვარ ვახშამს ბერიაც დაეწერო. აქაც მის ყოფაქცევაზე ეჭვი მიიტანეს და ემიგრანტულ ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანიზაციაშიც გარიცხულად არა, მაგრამ გარიყულად ითვლებოდა. იგი ომის დამთავრების შემდეგ ერთი პირთველთაგანი იყო, ვინც საქართველოში დაბრუნ-

და, მაგრამ საქართველოში ჩასვლის ნაცვლად მას ლუბიანკაში ამოაყოფინეს თავი. ორი თუ სამი წლის შემდეგ, საფრანგეთიდან მასთან ერთად ჩასული მისი ფრანგი კომუნისტი ცოლი, ტუსალობის შემდეგ, საქართველოდან პარიზში დაბრუნდა და ჩამომიტიანა დედაჩემის ოთხსტრიქონიანი წერილი, საიდანაც გავიგე, რომ დედა ცოცხალი იყო. გეგელია რამდენიმე წლის შემდეგ გაათავისუფლეს და მან გამოაქვეყნა მთელი სერია წერილებისა, სადაც წერს, რომ თითქოს რეზისტანსის (წინააღმდეგობის) - ფრანგული საიდუმლო ანტიგერმანული ორგანიზაციის წევრი იყო. მისმა მეუღლემ მიაბზო, რომ ტუსალობის განმავლობაში, ყოველდღე დაკითხვაზე გავყავდი, ვინ რა დავალებით გამოგზავნათ საქართველოშიო, და ჩემს ტირილზე და უდანაშაულობის გამოცხადების პასუხად ერთ სილას გამილანუნებდნენ და ისევე საკანში მამბრუნებდნენო; ჩემს ქმარს კი ყოველდღეს ცემდნენ, რომ გამოეტყნათო. გეგელიას სატუსალოდან განთავისუფლების შემდეგ დიდხანს არც უცოცხლია. საფრანგეთიდან წასვლის წინ გეგელია სადღაც შემხედა და მითხრა, საქართველოში მიედივართო. ვუთხარი, მე მიკვირს შენი საქციელი, ისეთი რა დამსახურება უნდა გაგენია, რომ იმედი გქონდეს შენს წარსულს გაპატიებენ და საქართველოში უნებლად შეგიშვებენ-მეთქი. ეგ ხალხი ერთმანეთს არ ინდობს და შენ ვინ გაგახარებს-მეთქი. ასე მიპასუხა, მიშა, მეც ვბერდები, საფრანგეთში რომ მოვკვდე, ნიახური ხომ არა ვარ, მეორედ ამოვიდეო; ჩემი ნათქვამიც აუხდა და მისი სურვილიც დაკმაყოფილდა.

დაუფრუნდეთ ფოთის გიმნაზიას. მასწავლებელთა შემადგენლობა უცნაურად ჭრელი იყო. შესანიშნავ პედაგოგთა გვერდით იყვნენ ახალბედა მასწავლებლები, როგორც გამზარდია და ზემოთ უკვე ნახსენები ვილაც "კომსომოლია". შესანიშნავ პედაგოგთა შორის კი მინდა დავასახელო ნინო ქაღიშვილი. იგი გვასწავლიდა ლოლიკას, ფსიქოლოგიას და დასაველეთ ევროპის ლიტერატურას. უცნაურია ამ ქალის ბიოგრაფიის ერთი ნაწილი. ტანად პატარას, სახით თითქმის უშნოს, საფიქრებელია, რომ ხეირიანი ქმრის შერთვის იმედი რომ არ ჰქონია, ერთი ქართველი სტუდენტი აურჩევია და მისგან შვილი იყოლია. ეს ამბავი, მაშინდელ შეხედულებით სასკანდალო, მას სრულებით არ ანუხებდა და მის მცნობთაგან არც არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, ეს საქციელი მისთვის ნაკლად ჩაეთვალა. ჩვენ ყველანი ვიცნობდით მის მშვენიერ ბიჭუნას და არაეინ თავს ნებას არ მისცემდა იმის გახსენებას, რომ ეს ბიჭი ბუში იყო. ან დედამისს მის მდგომარეობას მისი რეპუტაციის შელახვად, ან ნაკლად ჩაუთვლიდა. ნინომ ზემოთ ნახსენები დგებუაძე, რომელიც ავად გახდა, შეცვალა გიმნაზიის დირექტორის მოადგილის, ანუ ინსპექტორის პოსტზე. ნინო ორივე თანამდებობას, ინსპექტორისა და მის მიერ აღებულ საგნების სწავლებას, უნაკლოდ და ღირსეულად ასრულებდა. მე მასთან პატარა გაუგებრობა მომიხდა. ნინო კარგ მონათვედ მთვლიდა და არასოდეს არ მიაჩნდა საჭიროდ, ჩემი მეცადინეობის შედეგები გაეხსინჯა. ერთ დღეს ლოგიკის გაკვეთილზე ერთმა მოწაფემ წაიბორძიკა ლოგიკაში არსებული ერთ-ერთი ლათინ-

ნური ფორმულის წარმოთქმაში. ეს ფორმულა ზეპირად უნდა გეცოდნოდა და მისი შინაარსი კი არ იყო გამოყენებული, არამედ სტრიქონის მარცვალთა განლაგება. ნინომ მე შემომხედა და მითხრა, ქავთარაძე, გაუსწორეო. მე ფორმულა ზეპირად არ ვიცოდი, მაგრამ სხვა მხრივ, ყოველ მის საგანში, პირველთაგანად ვითვლებოდი მთელ კლასში. ნინოს საშინლად გაუკვირდა. სახეზე დიდი წყენა შეეტყო. მან მკაცრად მითხრა, ქავთარაძე, თქვენ ჩემი ნდობა გააყალბეთ, მაცადეთ, ეს ძვირად დაგიჯდებათო. ეს სამოსწავლო წლის ბოლო იყო, გიმნაზიას ვამთავრებდით. ნინომ სასტიკად გადამიხადა. სამივე საგანში ნიშნების დანერის ნაცვლად ხელახალი გამოცდები დამინიშნა. პირველ მოწაფედ მიჩნეული მოსწავლისათვის ადვილი წარმოსადგენია, ეს რა დიდი სასჯელი იქნებოდა. მე გამოცდისა კი არ მეშინოდა, არამედ შერცხვენილი ვიყავ ამ სასჯელის, თუმცა დამსახურებულის, მიღების გამო. როდესაც ამ მისჯილ გამოცდაზე გამოცხადდი მასწავლებელთა დარბაზში მთელი შემადგენლობის წინაშე და ჩემი რიგი მოვიდა, მე მაგიდას მივუახლოვდი, ქადეიშვილმა განაცხადა, ქავთარაძის გამოცდა ზედმეტად მიმაჩნია, სამივე საგანში მის გამოცდებს ჩათვლილად ვაცხადებო. რამდენიმე კვირაში სწავლაც დასრულდა. ჩვენ გავიგეთ, რომ განათლების უმაღლესი ინსტანციის ბრძანებით გამოსათხოვარი ბანკეტების გამართვა, რომელთაც მაშინ "ვეჩერს" ეძახდნენ, აკრძალულიაო. ამან ვაჟებისა და ქალების კლასები უსაზღვროდ დაალონა (ქალთა და ვაჟთა გიმნაზია გაერთიანებული იყო, მაგრამ ვაჟები და ქალები ცალ-ცალკე დარბაზებში სწავლობდნენ). მდგომარეობის გამოსწორება თავს იდვა ჩვენმა ერთმა თანაკლასელმა გოგონამ. მას სახელად პინა ერქვა. მამამისი ფოთელი ბერძენი იყო, რომელსაც საბილიარდე ჰქონდა. პინამ გვითხრა, ძალიან კარგად ვიცნობ მეიშვილსო. ეს კაცი ფოთის განათლების განყოფილების უფროსი იყო. არავინ უწყის, რა მანქანებით პინამ ეს მოახერხა. მეიშვილმა უმაღლესი ბრძანება დაარღვია და აკრძალული საღამოს მოწყობის ნება დართო. ასეთი საღამოები თვით გიმნაზიის შენობაში, ცენტრალურ დერეფანში ხდებოდა ხოლმე. ორივე კლასის მოსწავლეებმა ჩვენს თავზედ ავიღეთ სახლებიდან სანოვაგისა და ყოველივე საჭიროს მოტანა. მე მაშინაც მიყვარდა ჩხირკედელაობა და დამატებითი განათება მე მოვანყვე. საღამომ მშვენიერად ჩაიარა. სიტყვების დიდი სიმრავლე არ ყოფილა. მაშინდელი ახალგაზრდები ჯერ კიდევ მორიდებულნი ვიყავით. უფროსთა გვერდით იმ დროს ახალგაზრდები "რეჩების" გამოთქმას ერიდებოდნენ. თუ არა სხვათა დავალებით, დამოუკიდებლად ასეთი გაბედულების გამოჩენა მეტიჩრობად ითვლებოდა. ასე რომ, მხოლოდ მასწავლებელთა შორის, ორიოდემ თქვა რამდენიმე მოკლე სიტყვა. ბოლოს გიმნაზიის დირექტორი, ფილიმონ ნადარეიშვილი წამოდგა, სათანადო დარიგება მოგვცა "საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩვენი გაშვების წინ". მან დიდი იმედი გამოთქვა, რომ ჩვენ ღირსნი ვიყავით ჩვენი დიპლომისა და წარმოთქვა, მე სრული ნდობა მაქვს წლევეანდელი გამოშვების ღირებულებისა, რომელთა შორის ისეთები ირიცხებიან, როგორიც ლიზიკო ნა-

დირაძე და მიხეილ ქავთარაძე არიანო. ყველამ ტაში დაუკრა. ლიზიკოსთვის მე არასოდეს არ მიკითხავს, თუ რა იგრძნო მან, მაგრამ მე, უპირველესად ყოვლისა, გამიკვირდა. შემდეგ, თითქოს შემრცხვაო, გავნითლდი. არავითარი ნატამალი სიხარულისა ან სიამაყისა მე არ განმიცდია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მე და ლიზიკოს, თუმც ეს არასოდეს გაგვიმჟღავნებია, ერთმანეთი მოგვწონდა.

სენაკის მამულის ჩამორთმევა

1922 წლის გაზაფხულზე ძველი სენაკის აღმასკომის და პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით შედგა პატარა მიტინგი, რომელზედაც გამოტანილ იქნა რეზოლუცია, დადგენილება, რომლის მიხედვით ქავთარაძეთა მამული უნდა ჩამორთმეულიყო. ეს ჩვენ შეგვატყობინეს და აგვიხსნეს, რომ მთელი მამული უძრავ-მოდრავი ქონებით სასოფლო საბჭოს საკუთრებაში გადადის. აქ უნდა გაიხსნას სამეურნეო სკოლაო. იმ დროს სენაკში მხოლოდ მე, ჩემი ძმა და ჩვენი მშობლები ვცხოვრობდით. ნება დაგვრთეს ერთი ოჯახისათვის საჭირო და აუცილებელი ავეჯისა და ჭურჭლის წაღება. პირუტყვთაგან მხოლოდ ერთი ძროხა გაგვატანეს. ჩემი მშობლები და ჩემი ძმა, საშა, ვაჭარ იაგორა გუნიას სახლში გადაესახლდით. ჩვენს სახლში კი დაუყოვნებლივ გადაიტანეს რამდენიმე კლასი უმაღლეს დაწყებით სასწავლებლისა. ამ დროისათვის ჩვენ მხოლოდ ორი თუ სამი მოჯამაგირე გვყავდა, რომლებიც თავიანთ სახლებში წავიდნენ. ჩვენთან დარჩა მხოლოდ მუნჯია - მაქსიმე მაჭავარიანი. იგი ერთი წლის შემდეგ, ჩემ ძმასა და ჩვენს მშობლებთან ერთად, ფოთში გადმოსახლდა ჩვენი სიძის, ხოშტარიას ოჯახში. მამაჩემმა ეს ამბავი გარეგნულად სრულიად მშვიდად გადაიტანა. ისე ჩანდა, თითქოს ჩვენი მეგობრები და მოყვარეები ჩვენზედ უფრო დამწუხრებულნი არიანო. მაგალითად, ალექსანდრე ხოშტარია რომ ჩვენთან მოვიდა, მამაჩემს ტირილით მიუახლოვდა, თითქოს მისი შვილის გარდაცვალების გამო სამძიმარს ეუბნებოდა. მამა ღიმილით გადაეხვია და მისი დამშვიდება სცადა. ვიდრე მამა გუნიასთან ცხოვრობდა, ჩემი ძმა ჩვენს ყოფილ სახლში გადატანილ ერთ-ერთ კლასში სწავლობდა. მას ძლიერ გაუკვირდა, რომ ჩვენს ბაღში მას ბლის ჭამა აუკრძალეს. ასე უკვირდა ჩვენს ძროხასაც, რომელიც ცალაში გარეკილ სოფლის საქონელს არ გაჰყვა, არამედ თავის ყოფილ ჭიშკარს მიადგა და მთელი დღე ბლაოდა. საჭირო შეიქმნა მისი გუნიას სასიმიინდის ქვეშ დაბმა. ეს ყოველივე ჩემი თვალით არ მინახავს, რადგან უკვე ფოთში ვიყავი. მას შემდეგ მე სენაკში ფეხი არ დამიდგამს. ჩვენ მამულის გარეთაც გვექონდა უძრავი ქონება. ჩვენი ჭიშკრის გადაღმა, მამულის თითქმის მთელ სიგრძეზე, რაც ორას მეტრს აღემატებოდა, მოპირდაპირე მხარეს მინის მთელი ზოლი ჩვენ გვეკუთვნოდა. აქ მხოლოდ ბაზრის მხარეზე სამი მოსახლე იყო, რომელთაც პატარ-პატარა ნაკვეთებზე თავიანთი სახლები ედგათ. ესენი იყვნენ: ტერეზა - ასათიანის ქერივი, ჩიქოვანის ქერივი და ყარამან გეგენავა. მინის დანარ-

ჩენ ნაწილზე განლაგებული იყო სიმინდის სანყოფემა, ერთი ხუთოთახიანი ოდა, რომელსაც რაიმე ქირის გარეშე ვუთმობდით სოფლის პოლიციის, ხოლო შემდეგ მილიციის პოსტს. ყველაფერი ეს ადრევე იყო ჩამორთმეული. ამ დროებას უკავშირდება მრავალი ეპიზოდი, რომელთა ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანდა. მხოლოდ ერთი ეპიზოდი მსურს მაინც დაეწინააღმდეგოს, როდესაც ჩემი მშობლების ავეჯი, ძროხა, მუნჯიასთან ერთად ფოთში ჩამოვიდა, ჩვენმა ძროხამ კელაე სენაკში დაბრუნება მოინდომა. ეზოდან გავიდა, გამოვლილი გზა, კარგად დაემახსოვრებინა, რიონის ხიდზე გადავიდა და ქალაქადისკენ მიმავალ გზას დაადგა. გზაში ვილაღ მურმემ დაიჭირა. მიხვდა, რომ ამ მიმართულებით მხოლოდ გაქცეული ძროხა შეიძლება წასულიყო, ფოთში უკან ჩამოიყვანა და ჩვენ დაგვიბრუნა. ის ძროხა, ალბათ, "ანტიკომუნისტი" არ იქნებოდა, იგი უბრალოდ თავის დაბადების ადგილისაკენ ბრუნდებოდა.

ამ პერიოდში, ზაფხულის განმავლობაში, მე ჩემ ყოფილ თანაკლასელ ნიკო ესაკიასთან ერთად უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ყოველივე ეს ჩაიშალა, რადგან აგვისტოს აჯანყება დაიწყო.

აგვისტოს აჯანყება

აგვისტოს აჯანყებაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. უმთავრესად იმიტომ, რომ თბილისში ახლადჩასულს, ამ საქმეში მონაწილე ახალგაზრდობასთან ჯერ არავითარი ნაცნობობა და კავშირი არ მქონდა. ქვეთარაძეთა მთელი ოჯახი საზაფხულო აგარაკებზე იყო სურამში. თბილისში მხოლოდ მე და ჯაკუ დავრჩით. აჯანყებისათვის დანიშნულ ღამით, რუსთაველის პროსპექტზე, ჩვენს ბინაში მხოლოდ მე და ჩვენი სიძის ძმა, პოლკოვნიკი ვანო ანჯაფარიძე (ზურაბ ანჯაფარიძის მამა) ვიყავით. ჯაკუ, არ მახსოვს რა მიზეზით, შინ არ იყო. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ჭიათურამ ერთი დღით ადრე დაიწყო აჯანყება. ამის გამო, როგორც ცნობილია, გეგმის ასრულება ჩაიშალა, მაგრამ ანჯაფარიძე აჯანყების მონაწილე უნდა ყოფილიყო და მან მე მხოლოდ ეს მითხრა, აქ პაემანი მაქვსო. ჩვენ მთელი ღამე ფანჯარასთან გავატარეთ და მიხურული დარბაზების ჭურჭუტანებიდან პროსპექტს ვუცქეროდით. ქუჩაზე კაცის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ დროდადრო ვხედავდით ვაკის მიმართულებით მიმავალ კამიონებს (საბარგო ავტომობილებს), რომელთაც ჩეკადან გამოყვანილი ტუსალები დასახვერეტად მიჰყავდათ. როგორც ცნობილია, თვით თბილისში აჯანყება არ მომხდარა. ასე რომ მასიური დახვერეტები, რომლებიც იმ ღამეს ჩატარდა, თვეებით ადრე დატუსალებულ ხალხს შეეხო. მეორე დღით ჯაკუ მოვიდა, ფული გადმომცა და მითხრა, წადი, სურამში ჩვენებს წაუღეო. ტრამვაი არ დადიოდა და მე ფეხით წავედი სადგურში და მატარებლით სურამისკენ გავემგზავრე. ვიდრე ხაშურამდე მივიდოდით, ფანჯრებიდან ვხედავდით, თუ ახლომანხლო სოფლებს როგორ ბომბავდნენ რუსების თვითმფრინავე-

ბი. ხაშურის სადგურზე მატარებელი დიდხანს გაჩერდა. ბაქანზე უამრავი ხალხი იყო. მგზავრებიც ჩამოვიდნენ. მახსოვს ასეთი სცენა: ერთი პატარა ბიჭუნა, ასე 7-8 წლისა, იდგა და ხალხს უამბობდა: კავთისხევის, თუ რომელიღაც სოფლის, არ მახსოვს კარგად, აღმასკომის თავმჯდომარე მოუკლავთ და აჯანყებულებს სოფელი აულიათო. ვიღაც რკინიგზელმა ამ ბიჭს თავში ჩაჰკრა, გაეთრიე აქედან, რას ბოდავო. ბიჭი მოუბრუნდა და უთხრა, რად მირტყამ, აბა, ნადი, ნაწალნიკსა პკითხე, თუ მართალი 'არ არისო. სადგურზე ჩვენი მატარებლის გასწვრივ ჯავშ-ნიანი მატარებელი ჩამოდგა, საიდანაც გასროლილი ყუმბარების ხმა ჩვენ ადრე გვესმოდა. მატარებლის ჯავშნიანი ფანჯრებიდან ჩვენთვის საზიზღარი სახეები გვიცქერდნენ. ეს არის ერთადერთი ჩემი თვალით ნახული აჯანყების თანმხლები სურათი. მატარებელი სურამში რომ ჩავიდა, აღმოჩნდა, რომ, როგორც მიმითითეს, გზა იმ უბნისაკენ, სადაც მე უნდა მივსულიყავი, სწორედ იმ ბანაკსა სჭირდა, სადაც საზაფხულოდ მდგომი და ამჟამად განიარაღებული ქართული ლეგიონი იდგა. უკვე ღამდებოდა, როდესაც ამ ლეგიონის ბანაკზე გამავალი გზით გავიარე. მთელ ბანაკში სასაფლაოს სიჩუმე იყო გამეფებული. არც ხმა, არც რაიმე მოძრაობა. გზასთან ახლო მდგომი კარების წინ მიწაზე ჯარისკაცები იხხდნენ. მე ჩვენებამდე მივედი, ფული გადაეციე, ვუთხარი, რაც ვიცოდი, რომ სიმშვიდეა—მეთქი და უკან დავბრუნდი. აჯანყების შესახებ სხვა მე არა გამიგია რა. ხოლო რაც დღეს ვიცი, ეს ყველაფერი სხვათა ნაამბობია, ან ემიგრაციაშია დაბეჭდილი.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით უნივერსიტეტში გამოცდებზე წარდგომის საკითხიც გადაიღო, მაგრამ მე თბილისში დავრჩი და ფოთში აღარ დავბრუნებულვარ, სადაც ჩემი მშობლები და ჩემი ძმა იყვნენ, ხომტარიებთან. ჩემი მშობლები ხიზნები როდი იყვნენ. სოხუმის თამბაქოს ქარხანა კიდევ ჩვენი იყო და ხომტარია ამ ქარხნის ნაწარმის მიძღები და გამანაწილებელი იყო ფოთში და ეს იყო მისი მთელი შემოსავალი.

გარდა ყოველივე ამისა, საკითხი იდგა უცხოეთში სასწავლებლად ჩემი გაგზავნისა. ნავარაუდევია იყო, რომ მე და ტოგო ხომტარია ერთად წავიდოდით, მაგრამ მოხდა ისე, რომ ტოგო თავის დეიდაშვილ დათიკო ანჯაფარიძესთან ერთად ჩემზედ ადრე წავიდა გერმანიისაკენ მოსკოვზე გავლით. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს მეორე სიძეს, რომანოზ ანჯაფარიძეს, რომელიც შავი ქვის მრეწველი იყო, სურდა, რომ მისი ვაჟი დათიკო მარტო არ გამგზავრებულიყო, რადგან მამამისი შიშობდა, რომ მას მარტოობაში სიძნელებები შეხვდებოდა. ტოგო და დათიკო რომ მოსკოვში ჩავიდნენ, გერმანიაში გამგზავრების ნაცვლად, ორივემ ჩეკაში ამოყო თავი. მათი გამოძიების დაწყება თვეობით გადაიდო და იმით დასრულდა, რომ ტოგოს წასვლა აუკრძალეს და თბილისში დააბრუნეს. ეს იყო მისი ფოთში ცხოვრებისდროინდელ წარსულის გამო, ფოთში ყოფნისას იგი უკვე ერთჯერ მოხვდა ჩეკაში. რაც შეეხება დათიკოს, მისი საკუთარი სიტყვებით რომ ვთქვათ, გაკვირვებულ გამომძიებელს უთქვამს, შენ ამდენი ხანი ვინ გაგაჩერაო, ნადი, სადაც

გინდა, გინდ გერმანიაში, გინდ იტალიაში. ამგვარად დათიკო ჩავიდა ბელგიაში. მან იქ ვერ ისწავლა, მაგრამ ცოლი შეირთო და ომის შემდეგ იქვე გარდაიცვალა. დარჩა ერთი ქალიშვილი ელენე და ვაჟი პავლე, რომლებიც ბელგიაში ცხოვრობდნენ. ტოგო რამდენიმე კვირა თბილისის ჩეკაში დატოვეს და გამოუშვეს. იგი 37 წლის წმენდების დროს ქუთაისში რომელიღაც დანესებულებაში იურისკონსულტად მუშაობდა და ერთ ღამეს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ამ დროს დაიწყო ლენინის მიერ შემოღებული ზემოთ ხსენებული ნების დასასრულიც. სოხუმის ქარხანა ჩამოგვართვეს. თვით ჭიათურის მთელი წარმოების ჰარმონისათვის გადაცემის საკითხი დადგა. ჩემი უცხოეთში წასვლის პერსპექტივაც გაქრა. 1926 წლის შემოდგომაზე მე ვცაღე უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე შესასვლელი გამოცდის ჩაბარება, რომელზედაც ჩავიჭერი. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ ფაკულტეტზე განსაკუთრებით მკაცრი და მძიმე კონკურსი იყო. მათემატიკურ საგნებში უსათუოდ ხუთები უნდა გქონოდა. მე კი მათემატიკაში არასოდეს არ ვზრნყინავდი. თუ ეს დარგი მაინც ავირჩიე, იმიტომ, რომ ტექნოლოგიის დიდი მოყვარული ვიყავი და ეს იყო ჩემი ოცნება. მაშინ დამებადა აზრი დამოუკიდებლად რისკის განევისა და უცხოეთში წასვლისა. ამ ხნის განმავლობაში ჩემი მშობლები და ძმაც თბილისში გადმოვიდნენ. ჩემი უცხოეთში წასვლის საქმე ოცნებად ჩანდა, რადგან მე საამისოდ ფული არა მქონდა, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, შემთხვევამ ფული გამიჩინა. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა კვატაშა ხოჭოლავამ ერთ დღეს მითხრა, ჩემს დას აგიტპროპიდან სათარგმნელი სამუშაო მიუღია. ეგ არის ვინმე ბრაუნის ნიგნი "Классовая борьба в послевоенной Англии". ეს სათარგმნელი სამუშაო კვატაშას დას თავის მეგობართან ერთად მიუღია. მათ ჰგონებიათ, რაკი რუსული კარგად ვიცით, ქართულიც ხომ ვიცით და ვიცით და ამ სამუშაოს გაკეთებას შევძლებთო, მაგრამ, რასაკვირველია, არაფერი გამოსვლიათ და კვატაშასთვის მიუმართავეთ, გვიმეღე, ეს სამუშაო უკან ხომ არ უნდა დავაბრუნოთო. კვატაშამ წინადადება მომცა, მე და შენ გავაკეთოთ ეგ სამუშაო, აგიტპროპი ამაში ძალიან დიდ ფულს იძლევა და ოთხივეს გვეყოფათო. შევუდგეით მუშაობას. აღმოჩნდა, რომ კვატაშას თარგმნა სრულებით არ ეხერხებოდა. იგი რუსულ წინადადებას სიტყვასიტყვით თარგმნიდა რუსული სინტაქსის მიხედვით, რაც, ცხადია, ყოვლად დაუშვებელია. მე ბევრად უფრო მარჯვე აღმოვჩნდი, კვატაშამ მითხრა, ბიჭო მიშა, ხომ ხედავ, რომ მე მხოლოდ გიშლი და ტყუილად დროს გაკარგვინებ, მოდი, შენ მოუარე ამ საქმესო. კარგი-მეთქი, ვუთხარი და ნიგნი საკმაოდ მალე გადავთარგმნე. დაახლოებით 250 ფურცელი იყო. თვით საგანი ასეთ თემაზე ხომ ყველა სხვა დარგთან შედარებით უფრო ადვილია, რადგან ყველაზე უფრო მარტივი საპრობაგანდო ენა არის გამოყენებული. როდესაც კვატაშას დას სამუშაო ჩაუბარებია, დანესებულებაში მიმღებს უთქვამს, თარგმანი კარგია, მაგრამ ამის მთარგმნელმა, უმჯობესია, მხატვრული ლიტერატურა თარგმნოსო. აგიტპროპი ძალიან დიდ ჰონორარს უხდიდა მთარგმ-

ნელებს. მე დაახლოებით 400 დოლარი მერგო, რაც მაშინდელი კურსის მიხედვით საკმაოდ დიდი ფული იყო. ეს ხდებოდა 1927 წლის დასაწყისში. ევროპაში გაპარვა მაშინ საკმაოდ გავრცელებული იყო. მეც ადვილად ვიპოვნე თანამგზავრი. ეს იყო ერთი ჩემი შემთხვევითი ნაცნობი, ჩემზე 7-8 წლით უფროსი შალიკო შენგელია. მას საშუალო განათლებაც არ ჰქონდა მიღებული. წარმოდგენა არა მაქვს, რით ცხოვრობდა, მაგრამ მოხერხებული ბიჭი იყო, მშვენიერი ტენორი, თვითონ არამსმელი, მაგრამ ქეიფების მონაწილე. მან მითხრა, უცხოეთში წასვლას ვაპირებო. მეც ვაპირებ-მეთქი. მამ ერთად წავიდეთო და გადაწყვიტეთ მომზადება. მას დაახლოებით იმდენივე ფული ჰქონდა, რამდენიც მე. დავნიშნეთ თარიღი და 4 მარტს თბილისი დავტოვეთ.

თამარ დადიანის სიკვდილზე (დანერვილია 1994-95 წწ.)

რა იყავ შენ ჩემთვის, რა ვიყავ მე შენთვის? მაშინ თითქმის - არაფერი. შენ რომ გეცოცხლა, ჩვენი გზები მაინც უეჭველად გაიყრებოდნენ. მე მხოლოდ მეხსომე-ბოდა, რომ მყავდა პატარა თანაკლასელი, ოქროსნაწნავიანი გოგონა. ვიფიქრებდი, რომ შენ შენი ბედი იპოვნე, მეც ჩემსას ვიპოვიდი. აზრადაც არ მომივიდოდა მეფიქრა, რომ საბედო დაეკარგე. მაგრამ ახლა რად მაგონდები, ვით დაკარგული საბედო? რატომ მგონია, რომ შენთან ერთად იმ პატარა ბიჭის ბედიც დაიმარხა, რომელმაც მაშინ ბავშვური ცრემლით დაგიტირა, მაგრამ იმ დღის დასასრულზე ადრე ისე დაგივინყა, რომ უდარდელად მღეროდა.

მე არ დაუფჯერე "არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკედავებისას ხეზედას". კლდეზე დალუპვას გადარჩენა ვამჯობინე და, ალბათ, გადავარჩინე კიდევაც ჩემი სხეული, მაგრამ ვაი, იმ უკედავების ხის ნაყოფს, რომელიც ვიგემე.

მაგრამ ახლა, ჩემი ცხოვრების დასასრულის მოახლოებისას, სულ სხვად ქცეულხარ.

რატომ არ ვფიქრობ იმაზე, ვისაც შენ შემდეგ შეეხვდი. ისინი ხომ ჩემთვის ბევრად მეტს წარმოადგენდნენ, ვიდრე შენ. რად უბრუნდება თეთრ ყვავილებში ჩაძირული შენი მკრთალი სახის მოგონებას ჩემი ფიქრები. რატომ მგონია, რომ ჩვენი ბედი რომ შეცვლილიყო და ჩემი ცხედარი შენ დაგეტირა, ბედნიერი მე ვიქნებოდი, შენ კი უბედური, თუ ჩემი ბედი წილად გხვდებოდა. ასე იმიტომ მგონია, რომ შენ სანთელივით ჩაგაქრო ქარმა. შენს შემთხვევაში ხიდან ქარიშხლის მიერ უდროოდ მოწყვეტილი ნაყოფი იმავ მინაზე დაეცა და იმავ ნიდაგს დაუბრუნდა, საიდანაც იშვა. შენი საფლავის მინა შენივე მშობელი ქვეყნის ბალახსა ჰკეებავს. აქ მხოლოდ მარცხია, მაგრამ ბუნების წესი არ დარღვეულა.

მე კი ცოცხალი, უცხო მინაზე დავათრეე ჩემსავე ცხედარს. შენ არ გინახავს შენი სიკვდილი. მე კი ჩემივე თავის მესაფლავედ ვგრძნობ თავს.

ჩვენი ქვეყნიდან აქ გადმორგულ ყვავილს განა იგივე სურნელება აქვს? კოლხეთიდან ევროპაში ჩამოყვანილი ფუტკრის თაფლს განა იგივე გემო, თაიგული და სურნელება აქვს?

ადამიანის "სურნელება და გემო" კი მისი სული და გულია. აქ ჩემი ხორცილა ცოცხლობს გულგამოცლილი და სულამოხდილი, რადგან ესენი იქავე დამრჩა. ამიტომაც, რომ შენთან დამარხულად მეგულეებიან ისინი, ჩემო პირველო საბედო, ჩემო უმანკო მეუღლე, ოქროსნაწნავიანო თამარ.

მე შენი ქერივი ვარ, დაქერივებული ათი წლის ასაკში და ოცისა კი სამშობლოთი დაობლებული.

ნან! ნანა! დიდუპ ნანა! მუ უჩა დლა გოთანაფუ დადიანიშ ოჯახის (რა შაეი დლე გასთენებია დადიანის ოჯახს).

ჩემო პირველო საბედო, ჩემო უმანკო ანგელოზო, ჩემო უბინო მეუღლე!

II. უცხოეთისაკენ

ეს ჩემი პირველი მოგზაურობა იყო ბათუმისაკენ. 1927 წელს დიდი ზამთარი იდგა. თბილისში დიდი თოვლი დადო. 4 მარტს კიდევ თოვდა, ჩემი უკანასკნელი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისიდან გამგზავრებას ეხება, პეტროგრადიდან ბათუმში მიმავალ ინჟინერსა და მის მეუღლესთან საუბარი იყო. ისინი საქართველოთი გაკვირვებულნი იყვნენ. საქართველო რუკაზე ყველაზე სამხრეთი ქვეყანააო, თურქეთის საზღვარზე მდებარე. ჩვენ რომ აზერბაიჯანზე გავიარეთ, ვფიქრობდით, აზერბაიჯანლებზე უფრო გაათათრებულ ქვეყანაში მოვხვდებითო. აქ კი თითქმის ევროპაში აღმოვჩნდითო. თქვენში გლეხები არ არიანო?! ამ თემაზე გრძელდებოდა ჩვენი საუბარი თვით ბათუმამდე და მე საკმარისად გრძელი ლექცია ნავუკითხე მათ, როგორც შემეძლო. მათ კიდევ ერთი გაკვირვება გამიზიარეს, როგორ მოხდა, რომ რუსები საქართველოს თითქმის არ ვიცნობთო? რა უნდა მეპასუხა. მე ვუთხარი, ეს, ალბათ, პოლიტიკის ბრალია—მეთქი. მათ განსაკუთრებით აკვირვებდათ თამამი მონანილეობა საუბარში ზოგიერთი მგზავრი ქართველებისა, რომელთაც მე რუსებს, როგორც ჩვეულებრივ გლეხებს, ისე ვაცნობდი. კიდევ უფრო გაკვირვებულები იყვნენ, როდესაც ამ გლეხებმა ხურჯინიდან ამოალაგეს ხაჭაპურები, ქაღები და შემწვარი ქათმის ნაჭრები, რასაც ისინი კუპეში მსხდომ ყველა მგზავრს თანაბრად უნაწილებდნენ. მაგრამ როდესაც მათ სხვა კუპეებიდან მხიარული სიმღერები შემოესმათ, მაშინ მკითხეს, აქ, ალბათ, მექორნილეთა ჯგუფი მოგზაურობსო. არა, ვუთხარი მე, ქართველი, მდიდარი და ღარიბი, ბედნიერი და უბედური ყოველთვის მღერის მეთქი. "Боже мой, какой чудесный народ," - იმეორებდნენ ისინი. შემდეგ დაგვეძინა და ციხისძირთან როდესაც გავიარეთ, მე რუსებს ვუამბე, აქ ძველად დიდი ციხესიმაგრე იდგა, რომელსაც "პეტრას" ეძახდნენ-მეთქი და ამ ციხის გამო ქართველებსა და მათ მოკავშირე ბიზანტიელებს დიდი ბრძოლები ჰქონდათ სპარსელებთან. ეს იყო V საუკუნეში-მეთქი. მეხუთე

საუკუნეში? იკითხეს მათ. ჩვენ სადღა ვიყავით მაშინო? ასე ჩავედით ბათუმში. ბათუმში მე პირველად ვიყავი. შალიკო კი ამ ქალაქს კარგად იცნობდა. მას აქ ბევრი ნაცნობი ჰყავდა და საზღვარზე გადაწყვენი აჭარელიც მას უნდა მოენახა. სასტუმროში ოთახი ავიღეთ და ქალაქში გავედით. იგი სადღაც ცალკე წავიდა და მე სეირნობის დროს შევაძრინე და ვიცანი ქუჩის გადაღმა ტროტუარზე ჩემი ნათლია სერაფიმ ნურიანინიანი. ეს იყო განათლებული მდიდარი სომეხი, რომელსაც იტალიაში ჰქონდა მიღებული განათლება. იგი გემების პატრონი იყო და ამ გზით იყო დაკავშირებული ჩვენს ოჯახთან. მას მამაჩემისათვის უთხოვია, თქვენთან დამოყვრება მსურსო და ამისათვის ჩემი ნათლიობა მოუსურვებია. ჩემი ოჯახის უფროსი ნევრები, მამაჩემის გარდა, ხუმრობით დამცინოდნენ, შენ მამაშენმა სომხებს მიგყიდაო. ზოგი იმასაც ამატებდა, ნათლიამ, ალბათ, შენს მოსანათლავ წყალში მარილი ჩაყარა, როგორც მათ სჩვევიათ, და შენც ნახევრად სომეხი ხარო. ეს ხუმრობა ჩემზედ არ მოქმედებდა, არ ვიცე კი, რა მიზეზით. ჩემთვის იგი ძალიან სასიამოვნო ნათლია იყო, რადგან ბავშვისათვის მაშინდელ დროში იშვიათ საჩუქრებს მაძლევდა. მახსოვს მისგან ნაჩუქარი თვითმფრინავი, რომელსაც ნამდვილი პროპელერი და ზამბარებიანი მონყობილობა ჰქონდა. ეს თვითმფრინავი, თუ მას ჭერქვეშ დაკვიდებდით, მაგალითად, ჭაღზე, ზამბარას მოვმართავდით, პროპელერი ამუშავდებოდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში დაკვიდებული წერილი თოკის რადიუსით ოთახში წრეს აკეთებდა. იმ თვითმფრინავს დიდხანს არ უცოცხლია, რადგან მე მისი ფრენა კი არ მაკვირვებდა, არამედ ის ცნობისმოყვარეობა მიზიდავდა, რომელიც გამაგებინებდა, თუ რა იყო მის მუცელში, რაც მას ფრენის საშუალებას აძლევდა. ამიტომ მე იგი დავარღვიე და შემდეგ, როდესაც მისი აწყობა ვცადე, ვერც მე შევძელი და ვერც სხვებმა მიშველეს.

ვცადე ისე გამეველო, თითქოს ნათლიას ვერ ვხედავდი, მაგრამ სახელი დამიძახა და მეც ძალაუწებურად თავი მისკენ მივაბრუნე. იგი ჩემკენ გადმოვიდა და მკითხა, როგორ მოხვდი აქ, ან რატომ ჩემთან არ მოხვედიო. მე ვუთხარი, აქ შევიოტის საყიდლად ჩამოვედი, რომ საკოსტუმე ვიყიდო-მეთქი. იმ დროს ბათუმი სავსე იყო სხვადასხვაგვარი კონტრაბანდით და ჩემი ნაამბობი სიმართლეს ჰგავდა. როდესაც მან მითხრა, რამდენ ხანს რჩებიო, მე ვუპასუხე, ალბათ, დღესვე მივიღებ დაპირებულ საქონელს და ამ საღამოსვე თბილისში დავბრუნდები-მეთქი. ასე გავითავისუფლე თავი ნათლიაჩემისაგან. რამდენიმე წუთის შემდეგ სხვა ნაცნობს შევხვდი. ეს იყო ფოთელი შალიკო დარჩია. თანაკლასელი ტოგო ხომტარიასი. იმასაც იგივე მიზეზი ვუთხარი ჩემი ბათუმში ყოფნისა. სასტუმროში რომ ვბრუნდებოდი, სასტუმროდან კარგად მოშორებით ვილაც რუსის ახალგაზრდა ქალმა გამაჩერა, თქვენ მიშა ქავთარაძე ხართო? მე ვუპასუხე, დიახ გახლავართ—მეთქი. ახლა წადი, საითაც მიდიოდი და ქუჩის ბოლოს დამიცაადეო. მე კი გზას განვაგრძობ, თითქოს თქვენ არც მინახიხართ და შენ იქ დამიცაადეო. ცოტა ხნის შემდეგ სხვა მხრიდან ისიც მოვიდა, მითხრა თქვენს სასუმტროსთან ჩეკისტები

დგანან და მე შალიკომ გამოგზავნა, შენი გარეგნობა ამინერა და აქ ვიცდიდი, რომ სასტუმროს არ მიახლოვებოდითო. ქალმა დანიშნულ ადგილას შალიკოსთან მიმიყვანა. ეს ქალი, რომელიც შალიკოს ერთ-ერთი ტრფიალი ყოფილა, დაგვეპო-
და. მე და შალიკო ერთი მეგრული ახალგაზრდა კომუნისტის ოროთახიან ბინაში შევიხიზნეთ. მასპინძელმა გვითხრა, ნურაფრის გემინიათ, თქვენს საძებნელად ჩემთან არავინ არ მოვაო. მასპინძლის გვარი აღარ მახსენდება. ის კი მახსო-
ვს, რომ იგი მეგრული იყო. ისიც კი აგვიხსნა, თავი როგორ დაგვეხსნა, თუ რამ საეჭვოს შევამჩნევდით. ჩემი ბინის უკანა ფანჯარა, გვითხრა მან, ეზოში გადის, რომლის იქით სხვა ცარიელი დაუსახლებელი ეზოა და თავისუფლად გახვალთ პარალელურ ქუჩაზეო. შალიკო მასპინძლის მეოხებით დაუკავშირდა კაცს, რომელსაც ჩვენ ჩაქვში შალიკოს ნაცნობ აჭარელთან უნდა წავეყვანეთ. მან ჩვენი წაყოლა ვერ გაბედა, მაგრამ დანვრილებით აგვიხსნა, თუ როგორ უნდა მივდგომოდით მის სახლს. იმ საღამოსვე მე და შალიკო მატარებლით წავედით ჩაქვში. როგორც აღვნიშნე, ცივზამთრიანი წელიწადი იყო. ქუჩებში თოვლი აღარ იდო, მაგრამ ყოველი ქუჩის კუთხეში აფხეკილი თოვლის უზარმაზარი ბორცვები იდგა და ღამით საკმაოდ ციოდა. ჩაქვში სადგურიდან რომ გამოვედით, მე გამაკვირვა, თუ როგორი სითბო მოდიოდა იმ პატარა ხეობიდან, რომლისკენაც ჩვენ უნდა წავსულიყავით. როდესაც შემდეგ მასპინძელს ვკითხე, მან ამიხსნა, რომ ეს ჩაქვის მდებარეობის ბრალია, აქ მუდამ სითბოაო. ამ ჩვენს მასპინძელთან უნდა მოსულიყო საზღვარზე ჩვენი გადაწყვენი. აჭარელმა ვახშამი გვაჭამა. ეგ იყო საშუალო ხნის თითქმის თერთწევრა კაცი. იგი მომიბრუნდა და მკითხა, შეილო, რომ არ ნახვიდე, რა მოგელისო. მივუხვიე კითხვის მიზეზს და ტყუილი მოვიგონე. ცხადი იყო, რომ იგი გულისხმობდა ჩემს რამე მძიმე დანაშაულობას. ვუპასუხე. 2-3 თვით ჩამსვამდნენ ციხეში-მეთქი. მერე 2-3 თვის გულისათვის ეკარგები, შეილო, შენს შშობლებსო? მე ვუპასუხე, რატომ ვეკარგები, 2-3 წელიწადში ბოლშევიკები აღარ იქნებიან და მეც დავბრუნდები-მეთქი. ეჰ, შეილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ წასული მე ბევრი მინახავს, დაბრუნებული კი არცერთიო, მითხრა მან. იმ ღამით გამყოლი კაციც მოვიდა. ეს იყო, ალბათ, ორმოციოდე წლის წარმოსადეგი ვაჟკაცი, რომელიც მისთვის შესაფერ გვარს ატარებდა: მე-
ლუდა დევაძე. მან გადაყვანის შესახებ ბევრი არაფერი თქვა. გვითხრა, მამლის პირველ ყივილამდე წავიძინოთ და გათენებამდე უფრო ადრე სოფლიდან უნდა გავიდეთო. ასე მოვიქცეთ და გზას გავუდევით. მელუდამ პატარა ტაქტიკური გაკვეთილი მოგვცა: ხიდან ხემდე უნდა ვიაროთ და ტრიალ ადგილს ვერიდოთ, რადგან თოვლზე მოძრაი კაცი ღამითაც კარგად მოჩანსო. ხოლო როდესაც სოფელს საკმაოდ გავშორდით, გვითხრა, ახლა შეგვიძლია ერთად და თავისუფლად ვიაროთო. ერთად კი მივიდოდით, მაგრამ თავისუფლების რა მოგახსენოთ. მეჩხერ ტყეში აღმართზე წელამდე თოვლში ვიკვლევდით გზას. შალიკოს ჩემზედ უფრო უჭირდა. ზოგჯერ იძულებული ვიყავით, მისთვის დაგვეცადა. იგი დაბალი ტანისა

იყო, მოკლე ფეხები ჰქონდა და როგორც ეს ზოგჯერ ხდება ხოლმე, მთაში სიარული საერთოდ ეძნელებოდა. როცა გათენდა, ნაძვებით დაფარული მთები და გორაკები ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა. ალბათ, შუადღე იქნებოდა, ერთი დღი მთა რომ გადავლახეთ, მელუდამ ტყის პირას მდგარ უკაცრიელ ოდასთან მიგვიყვანა, აქ დავისვენოთო. ვკითხე, რატომ არის ეს სახლი ცარიელი-მეთქი. აქ მისი პატრონები მხოლოდ ზაფხულში მოდიან, პირუტყვი ამოჰყავთ და შემოდგომამდე რჩებიანო. ასეთი ქოხები მრავლად არის გაფანტული ამ მიდამოშიო. დასვენების შემდეგ, ისევე გზა განვაგრძეთ და დაღამებისას უკვე მისი სოფლისაკენ დავეშვიტ. მისი სოფელი აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ პატარა ხეობაში იყო, ბათუმსა და ქედას შორის. სახელი სოფლისა არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ იქ დედაქუეები ცხოვრობდნენ. მელუდამ თავის სახლში შეგვიყვანა და მისი ოდის ყველაზე დიდ ოთახში, რომელიც მისთვის სასტუმრო და დარბაზს წარმოადგენდა, დაგვაბინა. ეს ოთახი აივანზედ გადიოდა, სადაც საპირფარეო იყო მოწყობილი. ეს მე გამიკვირდა, მაგრამ მერე თვითონვე მივხვდი. უცხო კაცს ხომ არ შეეძლო მთელი ოჯახისათვის განკუთვნილი საპირფარეოთი ესარგებლა. ჩვენ ხომ მაჰმადიანურ სოფელში ვიმყოფებოდით. ჩვენ იქ ერთი კვირა დავყავით, მაგრამ არც დიასახლისი, არც მისი გოგონები, რომელთა მხოლოდ ხმა გვესმოდა, ჩვენ თვალთ არ გვინახავს. როდესაც მელუდა შინ არ იყო, დიასახლისი კარებს ამოფარებული შემოდგამდა ხოლმე მთლიანი ხისაგან გამოთლილ გობზე გაშლილ ჩვენს სადილს. მელუდას სხვა შვილთაგან მე ვიცნობდი მხოლოდ 13-ოდე წლის შუქრის, რომელთანაც ხშირად ვსაუბრობდი, მაგრამ მისი პატარა, სამიოდე წლის ძმა ოსმანი ვერასგზით ვერ მოვიზინაურე. იგი სულ კარებთან იდგა ხოლმე და როგორც კი მიახლოვებას დავაპირებდი, მაშინვე კარს ამოეფარებოდა. შუქრის ძალიან აინტერესებდა, სად მივიდიოდი. როდესაც შევატყვე, რომ ჩემს მდგომარეობას შეჰნატროდა, გულუბრყვილოდ შევეპირდი, რომ მოვეწყობი, შენც ნაგიყვან-მეთქი. მე დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭს დღესაც ვეხსომები, თუ ცოცხალია.

დიასახლისის მიერ მორთმეული სადილები ერთფეროვნებით გამოირჩეოდა - ცუდი მჭადი და ლობიო. მხოლოდ ერთხელ მოგვიტანეს ახალი და ჩემთვის უცნობი კერძი - ეს იყო წყალში მოხარშული მაკარონის მსგავსი ნაჭრები, რომელზედაც თავლი იყო მოსხმული. საჭმელად უგემური არ იყო. მელუდამ ამიხსნა, რომ ამ საჭმელს ჩვენ "მკარას" ვეძახითო. ეს არის თხლად გაბრტყელებული, წვრილ ნაჭრებად დაჭრილი მოხარშული ცომიო. ცხადია, აქ ყველასათვის ცნობილ მაკარონთან გვაქვს საქმე. მე ვფიქრობ, რომ ამ კერძის აჭარაში არსებობა უნდა აიხსნას ძლიერ ადრეული დროიდანვე ათვისებული ბიზანტიური ცივილიზაციის ერთ გამოვლენად. მელუდასთან ჩვენ იმიტომ ვაყოვნებდით, რომ კონტრაბანდისტთა ჯგუფის მომზადებას და თავშეყრას დრო სჭირდებოდა. პირველები, რომელნიც ჩვენ შეგვიერთდნენ, იყო ორი ქობულეთელი მილიციელი, რომლებიც კონტრაბანდისტთა ჯგუფს უნდა შეერთებოდნენ თავიანთი სამსახურიდან წამოღებული თო-

ფებით. მათ ეს დაუფარვად მიაჩნდეს, რამაც ძლიერ გამაკვირვა. განსაკუთრებით იმან, რომ მათ სამსახურის თოფები ჰქონდათ წამოღებული. მე ვუთხარი, ეს საშიში საქმე როგორ გაბედეთ-მეთქი. გზაში რომ რამე შეგვემთხვეს, როდესაც შესაძლებელია, რომელიმე თქვენგანმა თოფი დაკარგოს, ამის მიხედვით ხომ მის პატრონს აღმოაჩენენ-მეთქი. იმათ გაიკვირვებს და დაცინვით მითხრეს, ჩვენს თოფებს ჩვენი სახელი კი არ აწერიაო, მაშინ აუხსენი, რომ ყოველ თოფს თავისი ნომერი აქვს და როცა თოფები დაგირიგეს, თქვენ გვართან თოფის ეს ნომერიც ჩაწერეს-მეთქი. ეს ამბავი მათ ძალიან გაუკვირდათ, რადგან ასეთი წესის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. ცოტა უფრო გვიან გართულდა ჩემი და შალიკოს გადაყვანის საკითხი აჭარისწყლის მარცხენა ნიპირზე. მელუდას ეს საქმე რატომღაც დიდ სიძნელედ იჩვენებოდა, რადგან მე მათ აქედან ვერ ვასწავლი გადასასვლელ გზასო. ეს გზა, რომელიც სინამდვილეში ბილიკი იყო, აჭარისწყალზე გადადებულ ხის ერთი მთლიანი ტანისაგან გამოთლილ საცალფეხო ხიდს შეეხებოდა. გამოირკვა, რომ მელუდას, მთელი ამ წამოწყების მეთაურს, “წყლის შიში” ჰქონია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხიდზე გამვლელს თავბრუ ესხმის და წყალში ვარდება. ამის გამგონე მელუდას ძმამ, მისმა შვილმა და კიდევ სხვა დამსწრეთ სიცილი დაიწყეს და მელუდას დასცინოდნენ. ამდენი კაცის პასუხისმგებელი ხარ და ხიდზე გადასვლა არ შეგიძლიაო. ბოლოს საქმე იმით გადაწყდა, რომ მელუდას ძმისშვილმა იკისრა ჩვენი გადაყვანა. დანიშნულ დღეს გზას გაუდევით. ხეობიდან უნდა გამოვსულიყავით და აჭარისწყალს მივხალგოვებოდით. მელუდას ძმისშვილი ათიოდე მეტრით უკან მოგვედევდა, რომ შემხვედრ მავანს თანამგზავრებად არ ჩავეთვალეთ. როდესაც გოგონების ჯგუფს მივუახლოვდით, ჩვენმა გამყოლმა გოგონებს დაუყვირა, პირი აიფარეთ, ვერა ხედავთ უცხო ხალხი მოდისო?! გოგონებმა ნახევრად შეასრულეს განკარგულება. თავსახურები კი აიფარეს, მაგრამ გვერდით გავლისას ყოველი მათგანი ღიმილით და გაკვირვებით გვათვალიერებდა. მე გამყოლს ვუსაყვედურე, რად გაამჟღავნე, რომ ჩვენ უცხოები ვიყავით, ზედ ხომ არ გვანერია, ვინა ვართ-მეთქი. მან მიპასუხა, შეეცდი, მაგრამ რა ვუყო, იმათში ჩემი საცოლაც ერიაო. მე დაცინვით ვუთხარი: შენ გგონია, აქ იმიტომ მოვედით, რომ შენთვის საცოლე წაგვერთმია-მეთქი? ხიდზე მშვენიერად გადავედით და ერთ პატარა სოფელს რომ მივუახლოვდით, გამყოლმა გვითხრა, თქვენ უფრო შორს იარეთ ჩემგანო. აქ ჩემი მტერი ცხოვრობს, ვინ იცის, იქნებ ჩემ აქ გავლას რამე მოჰყვეს და თქვენ რატომ უნდა შეგეხოთ ეს ამბავი? ეს მტრობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მელუდას გვარისას აქ მოსახლე გვარეულობიდან ვიღაც მოუკლავს, ე.ი. სისხლი მართებდათ მათი და ერთმანეთთან შეხვედრას ერიდებოდნენ. გამცილებელმა ერთ საბძლის მსგავს შენობასთან მიგვიყვანა, შინ შეგვიშვა და გვითხრა, აქ დაიცადეთ, მელუდა გამოივლის და წაგიყვანთო. ვკითხე, კაცო, სხვა ვინმემ რომ კარი გააღოს, რა ვუპასუხო-მეთქი. მიპასუხა, უკვე საღამოედება, აქ აღარავინ გამოივლის, მშვიდად იყავითო. დაღამებისას მელუდამ მართლა გააღო სა-

ბძლის კარები. მასთან ის ორი მილიციელიც იყო და გზას გაუუდექით. ერთ ტყევს ვუახლოვდებოდით, როდესაც ჯგუფის დანარჩენი ნაწილიც შეგვხვდა. სულ, ჩვენ ორს გარდა, 15 კაცი იყო; გზას ისე მივდევდით, რომ არც სიჩუმეს იცავდნენ, არც გარემოს ათვალერებდნენ. მე რომ გაკვირვება გამოვთქვი, მელუდას ძმისშვილმა ამიხსნა, ჩვენი საქმიანობა აქ არავისთვის დაფარული არ არის და ვერც ვერავინ დაგვიმტკიცებს, თუ რა საქმისთვის და სად მივდივართო. როცა ტყის სიღრმეში შევედით, ზოგი მღეროდა, ზოგი ხმამალა გადასძახებდა ხოლმე. მოკლედ ისე იქცევოდნენ, თითქოს მათთვის არავითარი საქმე არ არსებულებოდა. ესეც ამიხსნეს, ჩვენ აქედან მიმავალთ გაჩერებას ვერავინ ვერ გაგვიბედავს, ერთი-ორი კაცისაგან შემდგარ პატრულს რომ წავანყდეთ კიდეც, ისინი თვითონვე მოგვერიდებიანო. ჩვენი გზა მაშინ არის გაძნელებული, როდესაც ზურგზე საქონელაკიდებული ვბრუნდებითო, მაგრამ მაშინაც პატრულისა ჩვენ არ გვეშინია, თუ მრავალრიცხოვან რაზმს არ წავანყდითო. ასე ვიარეთ შუალამემდე და ერთ მაღალ მთის გადასავალზე მრავალრიცხოვან გამვლელთა კვალს წავანყდით. კონტრაბანდისტებმა ივარაუდეს, ესენი, ალბათ, შავშელები იქნებიან და, ალბათ, ხერთვისში მიდიანო. ეს იმ სოფლის სახელი იყო, რომელშიც ჩვენ უნდა ჩავსულიყავით. ჩვენ სვლა შევანელებთ, ხოლო მელუდამ შიკრიკი გააგზავნა, რომ იმ უცნობ გამვლელთ დასწეოდა და ამბავი მოეტანა. ისინი არც ისე შორს ყოფილან წასულნი, მალე დაბრუნდა და გვითხრა, ხო, შავშელები არიან, 15 კაცია, ჩვენ დაგვიცდიანო. როდესაც მათ დავენიეთ, მელუდამ მათ უფროსთან თათბირი გამართა, რომლის მიხედვით ისე უნდა მოქცეულიყვნენ, თითქოს ერთად წამოსულნი ყოფილიყვნენ. ბოლოს ავედით ერთ მაღალ მთაზე, რომლის ქედსაც უნდა გავყოლოდით. მარჯვნივ აჭარა იყო, მარცხნივ კი თურქეთი. ჩვენ საზღვრის ხაზს მივდევდით. ამას მოითხოვდა თურმე სხვა გზის უქონლობა. რამდენიმე კილომეტრი ასე ვიარეთ. სვლის დროს დროგამოშვებით წინმავალი უკან რჩებოდა და მიმყოლი სცვლიდა კვალის გასატეხად. ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა, რადგან თოვლი ძალიან მაღალი იყო და წინ მავალი კაცი ძალიან ჩქარა იღლებოდა. ბოლოს მივალწინეთ ადგილს, საიდანაც თურქეთისაკენ ძირს უნდა დავშვებულებოდა. ცოტა ხნის შემდეგ უფრო დაბლა მდებარე ტყეში შევედით და მივატოვეთ გზა, სადაც ხეები საერთოდ არ იყო. სოფელთან ასე თუ ისე მიახლოებულები კვლავ შევჩერდით. ყველამ იარაღი აიხსნა და ერთ უზარმაზარ ხის ფესვებში დამალა, ზედ ახალი თოვლი მიაყარეს. სოფელს რომ მივუახლოვდით, ვაჭრის სახლი სოფლიდან კარგა მოშორებით, მთის ძირში იდგა. ეს ოცდაათიოდე კაცი სახლის დიდ ოთახში შევედით. ვაჭრის სახლი დუქანს კი არა, ჩვეულებრივ სახლს წარმოადგენდა. კარებზე ვილაცამ მაგრად მიაბრაზუნა. ვაჭარმა სასწრაფოდ სხვა ოთახში მიმავალი კარები გააღო და ყველანი, ჩემსა და შალიკოს გარდა, შიგ შერეკა. კარები გამოხურა და მე და შალიკოს გვითხრა, თქვენ იქ კედელთან დაჯექით, თუ ვინმემ რამე გვითხოთ, მე ვუპასუზებო. კარები გააღო და ორი თურქი ჯარისკაცი შემოუშვა. ერთ მათგანს უფროსის ნიშნები

ეკერა მხარზე. უფროსი ლაზს შეეკითხა, რამდენი არიანო. ლაზმა უპასუხა, ოც-დაათიო. შემდეგი სიტყვები არ გამოიგონია. ჯარისკაცებმა ჩვენკენ მოიხედეს და კითხვით ლაზს შეხედეს. ლაზმა უპასუხა, მაგათ თავი დაანებეთ, ეგენი "მენშოვიკები" არიან. ასე უძახოდნენ საზღვარზე გადასულ ქართველ ლტოლვილებს. შემდეგ ლაზმა მათ რალაც გადასცა, ალბათ კაცის თავზე დანესებული თანხა. ჯარისკაცები წავიდნენ. ლაზმა ოთახში შერეკილები გაათავისუფლა და დიდ დარბაზში ვაჭრობა გაიმართა. ყოველი მყიდველთაგანი ერთ-ერთ ძმას ეუბნებოდა, თუ რა საქონელი სურდა და ლაზი ფასს ატყობინებდა. მე, ცნობისმოყვარეობით საცხე, ამ ბრობოში ჯგუფიდან ჯგუფში გადავიდიოდი. ერთმა ძმამ მეორეს გადაუძახა, ესა და ეს საქონელი რა ღირსო. 95 უთხარიო, უპასუხა მან ლაზურად. მე გამიკვირდა, რომ ეს ლაზური კი არა, მეგრული იყო. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი უკვე ამ ორი ენის ნათესაობა, მაგრამ ასეთ სიახლოვეს ორ ენათა შორის მაინც არ მოველოდი და როდესაც ერთი ძმათაგანი მელუდას რალაცის შესახებ ელაპარაკებოდა, ლაზს მიუხაზლოვდი და რალაც ვკითხე ვალუტის დახურდავების შესახებ მეგრულად. იმან მიპასუხა, ახლა ამისი დრო არ არის, ამ ხალხის ნასვლამდე მოიცადე, ყველაფერს გაგიკეთებო. ამ სცენას შეეხსნო ერთი აჭარელი მეორე ჯგუფიდან. მან ხომ ჩვენი საუბრიდან ვერაფერი გაიგო და მელუდას უსაყვედურა, აკი ჩვენ ერთმანეთს პირობა მივეციტო, ვაჭრების მიმართ ერთ პირით ვივაჭროთ და თქვენ კი აქ რალაც საიდუმლოს აკეთებთო. მულუდამ უთხრა, ჩვენზე, ეგენი ვაჭრები კი არა, მენშოვიკები არიან, დაანებე მაგათ თავიო და ის აჭარელიც დაამშვიდა. ცოტა ხნის შემდეგ ლაზმა ჩვენი თავი ერთ თავის ნათესავ ახალგაზრდა ბიჭს გადასცა და უთხრა, ესენი საზღვრის პოლიციაში წაიყვანო. ჩვენ მელუდას შეპირებული ფული გადაუხადადეთ და იგი კეთილი სურვილებით გამოგვეთხოვა. ამ ვაჭრის "მალაზის" არსებობა და მისი ალებ-მიცემობის ხასიათი, ცხადია, თურქულმა ადმინისტრაციამ მშვენიერად იცოდა. სხვა არა იყოს რა, ამ ტყის პირას, საცოდავი სოფლის განაპირას რა უნდოდა ძვირფასი ინგლისური საქონლით გატენილ იმ ოდას, რომელიც ჭერამდის საქონლით იყო საცხე. ეს საქონელი მეტწილად წარმოადგენდა ინგლისურ ლურჯ შევიოტს და ჩალისფერ გაბარდინს. აგრეთვე შავი აბრეშუმის ქაღალის თათმანებს, "ვიქტორიას" მარკისას. ფრანგული საქონლიდან მათ ჰქონდათ მარკა "კოტის" სუნამო და პუდრი. თურმე პუდრი ზოგჯერ გაყალბებული იყო იტალიელების მიერ და ამის გამოცნობას აჭარლები ქინძისთავის საშუალებით ახერხებდნენ, რადგან თურმე "კოტის" პუდრის ნამდვილი კოლოფები ალუმინის ყოფილა. იტალიელებს კი თავი არ შეუნუხებიათ და კარდონისას ამზადებდნენ. ეს მე ადრევე მიაგებო მელუდას ძმისშვილმა. ლაზმა ბიჭმა ჩვენ რომ პოლიციაში მიგვიყვანა, იქაც ლაზი საბაჟოს ოფიცერი დაგვხვდა. მან ძლიერ თავაზიანად მიგვიღო და სოფელში მდებარე ერთი სახლისკენ გაგვაგზავნა, სადაც საქონლის ზურგით გადამტანი მუშები ათევდნენ ღამეს. ისინი მომავონებდნენ თბილისელ მეკურტნეებს იმ განსხვავებით, რომ თურქებს ბევრად

უფრო დიდი მანძილები ჰქონდათ გასაველელი, რადგან ზღვისპირიდან უნდა მოე-
ტანათ საქონელი ქვეყნის სიღრმეში. სახლში სამინელი სიბინძურე იყო. ვინეკით
ტახტზე გაშლილ დაფლეთილ ფარდაებზე. უმაღლე ტილები დაგვესია. გამიკვირ-
და, რომ აღმოვაჩინე, თუ რამდენად ადვილი ასატანი ყოფილა ტილიანობა. საბა-
ყოს ოფიცერი და მე ძლიერ დავმეგობრდით. ეს იყო ახალგაზრდა ცოლშვილიანი
კაცი, რომელსაც თავი თურქი ეგონა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ თურქი არ
იყო. მე ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, ან გარეშე რაიმე დაგეგმილი
მუშაობისა, შევუდექი მისი გაქართველების ცდას. ეს კაცი საკვირველი სიადვი-
ლით მეთანხმებოდა ყველაფერზე და საბოლოოდ ორივემ დავინახეთ, რომ ჩვენ
ერთი და იმავე აზრისანი ვიყავით, მაგრამ ორივესათვის უცხო და გარეშე გარე-
მოება გვაიძულებდა, სხვადასხვა ერისა და სახელმწიფოს შვილები ვყოფილიყა-
ვით.

სხვა ახალგაზრდა ლაზიც გავიცანი. მას დედა აჭარელი ჰყავდა. მისთვის ლა-
ზური და ქართული, ორივე დედაენას წარმოადგენდა. მის მიმართ მე არავითარი
ახსნა და დარწმუნება არ დამჭირვებია, პირიქით, მან თვითონ მშვენიერი ფორ-
მულით ჩამოაყალიბა მდგომარეობა. ეტყობა, მამაჩემისა და დედაჩემის შორეული
წინაპრები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენო და მე ამას მივხვდი, რადგან ჩემთვის ეს
ორივე ენა ხელმეორედ ერთმანეთს შეხვდაო. სამწუხაროდ, თქვა მან, სხვებს ეს
არ ესმით და არც არავინ იტებს თავს იმის გამოსარეკვევად, თუ როგორ და რა-
ტომ მოხდა, რომ ჩვენ მხოლოდ ბუნდოვანად ვგრძნობთ, რომ ძმები ვართო. ლა-
ზებს მშვენივრად ესმით, რომ ისინი მეგრელების ძმები არიან, მაგრამ აჭარლებსა
და ლაზებს ვერ გაუგიათ, რომ ისინიც ასევე ძმები არიან, და მე თუ ეს გავიგე,
იმისი მაღლით არის, რომ მამა ლაზი მყავს და დედა - აჭარელიო.

ამ სოფელში ყოფნისას მეორე თუ მესამე დღეს დაგვენია საზღვარზედ ახლად
გადმოსული ჯგუფი ოთხი ქართველისა, ოთხივე გურულები იყვნენ. ძმები გერმანე
და გრიშა ბარამიძეები, საშურა კოსტავა და გერონტი ქერქაძე. ოთხივე, ცხადია,
მენშევიკები იყვნენ. ქერქაძის უფროსი ძმა, არ მახსოვს, ლანჩხუთში თუ ოზურ-
გეთში ფოსტის უფროსი ყოფილა. იგი თურმე თავის ძმას დროდადრო ფოსტაში
ამუშაებდა. პარტიული ამხანაგების შთაგონებით ქერქაძეს თავისი ძმის ნდობა
გაუყალბებია. ფოსტის სალარო გაუტაცია და ამ ფულით ოთხივენი საზღვარზე
გადმოსულან. ისინი ამბობდნენ, ჩვენ ამ ფულს უორდანიას გადავცემთო და ისინი
სტიპენდიას დაგვინიშნავენ და უნივერსიტეტში შევალთო. აქვე უნდა აღვნიშნო,
რომ თუმცა ოთხივეს საშუალო სკოლა ჰქონდა დამთავრებული, მაინც რამდენიმე
წელიწადი სწავლა სჭირდებოდათ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი საჭირო
სიმაღლეზე აყვანა უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისათვის.

ჩვენი სოფელში ყოფნა უზომოდ გაგრძელდა. უკვე ათმა დღემ გაიარა და ვუ-
ცდიდით, როდის გადაწყვეტდა ჟანდარმერია ართვინისაკენ ჩვენს წაყვანას. მე
ამის გამო შევიჩვიე ჩემს მეგობარ ლაზ ოფიცერს. იგი დატრიალდა და მეო-

რე დღესვე ჩვენ დავიძარით. ჩვენი გამცილებელი ჟანდარმებიც ადგილობრივი აჭარლები იყვნენ. უნდა გაგვევლო ჭოროხზე მდებარე ერთ ცენტრზე, რომელსაც ბორჩხა ერქვა. იქ კი თურქული რეგულარული ჯარის ოფიცრებმა დაგვეკითხეს. დამტვრეული რუსულით გველაპარაკებოდნენ. მათ სამხედრო ცნობები აინტერესებდათ. არც მე და არც გურულებს ამ საკითხზე წარმოდგენა არა გვექონდა. შალიკომ კი რამდენიმე ცნობა მიანოდა. არც კი მახსოვს, რა ცნობები იყო. ბორჩხას დავშორდით და ართვინის გზას შევუდექით. ართვინში რომ ჩავედით, ჟანდარმებმა ერთ, სასტუმროდ წოდებულ შენობასთან მიგვიყვანეს. პატრონს ეუბა ერქვა. ისიც მუსლიმანი ქართველი იყო. მან გვითხრა, ჩემთან დარჩებით, მე პოლიციას შევატყობინებ და როცა გამოვიძახებენ, პოლიცმაისტერთან წაგიყვანთო. ეუბა სასტუმროს პატრონობის გარდა, თარჯიმანის როლსაც ასრულებდა. ეუბამ ერთი დიდი ოთახი მოგვცა. შიგ ფარდაგადაფარებული ტახტების მეტი არაფერი იყო. მან ქვაბი გვათხოვა და შალიკო ჩვენი მზარეული გახდა. ერთ დღეს, როდესაც მე და შალიკო ქალაქგარეთ ვსეირნობდით, ჭოროხის ნაპირას მდგარი ძველი ციხის მიდამოებში სკოლას წავეწყდით. შალიკო ჩემზედ ადრე მიხვდა, ეს ბავშვები ქართველები იქნებიანო. ასეც აღმოჩნდა. ჩვენ რამდენიმე ქართული სიტყვა გავიგონეთ და ერთ ბავშვთაგანს დაუუძახეთ. იგი მოვიდა, ქართულად გამოგველაპარაკა და მეორე ბავშვს თურქულად დაუძახა. აქ მოდიო. ისიც მოვიდა. ბევრი ლაპარაკის საშუალება არ მოგვეცა. ბავშვებმა გვითხრეს, თქვენთან კი არა, ერთმანეთშიც არა გვაქვს ნება ქართულ ენაზე ლაპარაკისო. თანაც დავინახეთ, რომ მასწავლებელი ჩვენკენ წამოვიდა. ბავშვები სხვადასხვა მიმართულებით გაიქცნენ და გაგვაფრთხილეს, არ უთხრათ, რომ ჩვენ ქართულად ვლაპარაკობთო. მე და შალიკოს მასწავლებლისათვის არ დაგვიცდია, ღობეს გავეცალეთ. ართვინი ქალაქად იწოდებოდა. ორი თუ სამი ადმინისტრაციული შენობის გარდა, ორი წესიერი შენობაც კი არ მოიპოვებოდა ამ ქალაქში. ღარიბულ მარტივ მაღაზიებში კი მშვენიერი ხარისხის სანოვაგე იყიდებოდა. მარტის თვე იყო, მაგრამ იქაური თეთრი ყურძენი ახლად მოკრეფილს ჰკავდა. ასეთი გემრიელი ყურძენი მე თბილისში არ მეჭამა. ხორციის კარგი ხარისხი კი შალიკომ დაადგინა.

რამდენიმე დღის შემდეგ პოლიცმაისტერთან დაგვიბარეს. წამოგვყვა ეუბა. ვიდრე დერეფანში ვიციდით, ერთი ოთახიდან სამინელი ყვირილი ისმოდა ვილაც კაცისა, რომელსაც უწყალოდ სცემდნენ. შალიკომ გვითხრა, ეგ ქურდი ან ყაჩაღი იქნებაო. ეუბამაც დაადასტურა. ცოტა ხნის შემდეგ ყვირილი შეწყდა და სწორედ იმ ოთახიდან, საიდანაც ყვირილი მოდიოდა, პოლიციელი გამოვიდა და გვითხრა, შემოდითო. შევედით. მაგიდას ლამაზი, ევროპული გარეგნობის კაცი უჯდა, პოლიცმაისტერი. ეუბას რაღაც უთხრა და ეუბამაც უპასუხა, ჩვენ მივხვდით, იმან ჰკითხა, რა საქმის ხალხიაო? ეუბამ კი უპასუხა, სტუდენტებიაო. შემდეგ მისი დავალებით ეუბამ დაგვეკითხა, თუ ვინ და საიდან ვიყავით. გვეკითხეს, საით ვაპირებდით წასვლას. კიდევ რამდენიმე კითხვა და მან ეუბას უთხრა თურქულად

"ფექი", რაც ნიშნავს - კარგით. ე.ი. გათავდაო. ჩვენც დაეტოვეთ ოთახი. ეუბას ვუთხარი, ეს კაცი ნამდვილ ქართველს ჰგავდა-მეთქი. ქართველია, ბეგის შვილია, მაგან ჩემზე უკეთ იცის ქართული, მაგრამ ნება არა აქვს, რომ ქართულად გელაპარაკოთო. ისევ სასტუმროში დავბრუნდით, რამდენიმე დღის შემდეგ ჟანდარმმა თურქული პასორტები მოგვიტანა. ეუბამ აგვიხსნა, ზეგ აქედან ნავი მიდის ბორჩხამდე და იმას გაჰყვებითო. დანიშნულ დღეს ქოროხის პირას ჩავედით. ნავი უკვე ნაპირთან იდგა. ის იყო ჩვეულებრივი დიდი ნავი, რომელსაც შეეძლო 20-30 კაცის გადაყვანა. მენავეები ორნი იყვნენ. ერთი თავში, მეორე ბოლოში და ორივეს ნიჩბის მაგივრად გრძელი საჭე ეჭირა ხელში. ნავში ათიოდე კაცი იყო, მათ შორის - რუსეთის კონსული ართვინში. ნავში მსხდომებმა, ალბათ, იცოდნენ, ჩვენ ვინ ვიყავით და ზურგშექცეული კონსულის შესახებ გვეზუმრებოდნენ, გინდათ, წყალში გადავაგდოთ?! ნავი დაიძრა და მენავეები დიდი მოხერხებით მართავდნენ მას, რომ კლდოვან ნაპირებს არ დასჯახებოდა. მე მომაგონდა, ბორჯომის ხეობაში გლხეებს რომ ტივები ჩამოჰყავდათ. ასე ჩავედით ბორჩხაში, რომლის იქით ნავი აღარ მიდიოდა. ჩვენ კვლავ ორი ჟანდარმი მოგვყვებოდა. ერთი ლაზი იყო, მეორე ქართველი. იგი დადიანის გვარს ატარებდა. ხოფისაკენ მიმავალ გზაზედ ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, ქერქაძე ავად გახდა. მას წნილის მარილწყალი დაეღია და ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ვერ მოდიოდა. ჟანდარმებმა გვითხრეს, აქ ახლო ლაზის მოსახლეა, ცხენი ჰყავს, იქირავეთ და ქერქაძე ზედ შევსვათო. ასეც მოვიქეციით.... ქერქაძე ცხენზე შევსვით და ხოფისაკენ გავენით. გზაში რამდენიმე ხიდი შეგვხვდა, ქვიტიკირისა, თალიანი, მშვენიერი ხელობით აგებული. ეს, ალბათ, იმ დროისა იყო, როცა საქართველოსთან ერთად ეს მხარეც ჰყვავდა. ხოფაში მშვიდობით ჩავედით. იმ დროს იქ ცხოვრობდა მენშევიკი გურული, გვარად კაჭაყმაძე. იგი აქ ტყუილად არ იჯდა. ის პარიზელი მენშევიკების კაცი იყო, თურქეთის საზღვართან მჯდომი. საქართველოსთან დამაკავშირებელი საიდუმლო ფოსტა მის ხელში გადადიოდა. ამ კაცმა მიგვიღო, თითქმის როგორც ოფიციალურმა მოხელემ და გამოგვკითხა, ვინ და საიდან ვიყავით. გურულებმა თავიანთი მანდატები წარუდგინეს. შალიკოსაც მენშევიკის მანდატი ჰქონდა. იგი რაიმე მნიშვნელობის მენშევიკი არ იყო, მაგრამ, როგორც პარტიის წევრს, მასაც ბათუმიდან ნდობის მანდატი წამოუღია, რომელშიც შალიკოსთან ერთად მეც ვიყავი მოხსენებული. ამგვარად, მარსელში, ფრანგულ მიწაზე, ჩემი სახით მენშევიკმა დადგა ფეხი. ამის გამო, მე შალიკოს ბათუმშივე ვუსაყვედურე. მან მიპასუხა, ბიძია, შენ მენშევიკებს არ იცნობ. სტამბულში ეგენი ჩვენ ვიზას გაგვიკეთებენ და შენ რომ თქვა, ეროვნულ-დემოკრატი ვარო, ქე დაგტოვებენ, და შენ რომ რამე მოგივიდეს, მე დამბრალდება ახალგაზრდა ბიჭი მოატყუაო. ამიტომ მთელი გზის განმავლობაში იმ ოთხი გურულისათვის მე მენშევიკი ვიყავი.

ხოფაში ჩვენ მხოლოდ ერთი ღამე გავათიეთ. მეორე დღეს პატარა გემს ტრაპიზონში უნდა წავეყვანეთ, საიდანაც სტამბოლში მიმავალ გემს გავყვებოდით. ასეც

მოვიქცეთ. გემი შერეული ხასიათისა იყო. უფრო - საბარგო, ვიდრე სამგზავრო. გემის სიღრმეში, სადაც ჩვენ ჩაგვიყვანეს, ორასი თუ სამასი ცხვარი იყო. აქ იყო ჩვენი სანოლები, პირდაპირ იატაკზე, რადგან ჩვენ ბაქანის ბილეთები არ გვექონდა. ღამით სულ მცირე ტალღის გამო გემი რომ გადაიხრებოდა, ეს ცხვრის ფარა ზედ გადაგვივლიდა, ხოლო გემის გადმოხრისას უკან გადმოგვივლიდა. დღისით, ცხადია, ბაქანზედ ვიყავით. დიდი ღელვა არ იყო. გემი ყოველ ნავსადგურში ჩერდებოდა. საქონელი აჰქონდათ და ჩამოჰქონდათ, მაგრამ როცა ბურუსი ჩამოწებოდა, ასეთი ნაპირ-ნაპირ ცურვა საშიშროებას წარმოადგენდა და ამიტომ, გემზედ ერთი მზომავი მებლავური იდგა და მესაჭეს ყოველ ორ-სამ ნუთში ზღვის სიღრმეს ატყობინებდა, მაგრამ ასეთი რამ ერთ დღეზე მეტი არ გაგრძელებულა. რამდენიმე დღეში ბოსფორს მივუახლოვდით და კონსტანტინოპოლის პირს მივაღექით. აქ ჩვენ თავისუფლად არ გაგვიშვეს, საზღვაო პოლიციაში დაგვტოვეს არა როგორც ტუსალები, არამედ როგორც სატრანზიტო ვიზის არმქონე ხალხი. აქ ერთ სცენას შევესწარი: ვიღაც კაცი, დახრჩობას გადაიჩენილი, პოლიციამ მოიყვანა. მას საშინლად სცემეს, თავს რატომ იხრჩობდიო. სატუსალო კამერაში, რომლის კარებიც თვით პოლიციის ბიუროსთანვე იყო, ორი ტუსალი იჯდა. ერთი, არ ვიცი რა ეროვნების, მანანნალა და მეორე - გერმანელი სტუდენტი. გერმანელი სტუდენტი საშინლად კიცხავდა თურქების წესებს. მას, სადაც მიმავალს, სტამბოლზე უნდა გაველო და, რადგან სატრანზიტო ვიზა არ ჰქონდა, პოლიციაში ჩვენსავით თავისუფლად კი არ დატოვეს, არამედ საკანში ჩასვეს. სტამბოლში ჩვენ ათოდე დღე დავრჩით. რადგან პოლიციისათვის ჩვენი მისაღებში ხანგრძლივი დატოვება უხერხული იყო, ნაპირიდან მოშორებით მდგომ გემზე ავყავდით ხოლმე და ამგვარად რამდენიმე გემზე გავათიეთ ღამე. საჭმელს პატარა ნაგებით მოცურავე ვაჭრებისაგან ვყიდულობდით. ეგენიც, როგორც წესი, სულ ლაზები იყვნენ.

გემიდან გემზე ასეთი გადანაცვლების დროს მოვხვდით ბათუმში მიმავალ ფრანგულ ხომალდზე, რომელსაც "იმერეთი" ერქვა. ამ გემზედ გაცივანი მხატვარი ელენე ახვლედიანი, რომელიც პარიზიდან საქართველოში ბრუნდებოდა. მას ჩვენი ნახვა ძლიერ გაეხარდა, თბილისურ ამბებს გვეკითხებოდა და პარიზის შესახებ გვანუგებდა საჭირო ინფორმაციას. ელენემ შალიკო და მე გემის სალონში შეგვიყვანა. მას უნდოდა შალიკოს სიმღერა მოესმინა. პიანინოსთან მივედით და შალიკომ რამდენიმე რომანსი იმღერა. ამის დანახვაზედ შემოვიდა გემის ოფიცერი და მე და შალიკოს მოგვმართა, თქვენ აქ შემოსვლის უფლება არა გაქვთ, რადგან ჩვენთვის თქვენ მანანნალების სტატუსის მქონეთა კატეგორიას ეკუთვნითო. ელენემ ჩარევა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩვენ რომ გამოვემშვიდობეთ, მან ჩუმად გვითხრა, ეგ მან შურით ჩაიღინაო. მე რალაც ნამეარშიყა და ცივად რომ მოვიმორე, თქვენ დაგსაჯათ ჩემ მაგივრადო.

ერთხელ ერთ პატარა რუმინულ გემზე აღმოვჩნდით. გემს ძროხები მიჰყავდა ქაიროში. ბესარაბიელებს რომ გამოველაპარაკე, ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე,

რომ ისინი რუსოფილები იყვნენ და რუმინეთში ლაღად ცხოვრებას საბჭოეთში ყოფნას ამჯობინებდნენ. როდესაც ამით გაკვირვებულმა მათ კითხვა დაუუსვი, მათ რუსული ანდაზით მიპასუხეს: "своя рубашка ближе к телу". გემზედ მენველი ძროხები ჰყავდათ და ორი თუ სამი დღის განმავლობაში თბილი რძე უხვად გვექონდა. სტამბოლში ლამამობით გრილოდა ხოლმე, დაბლა კი ძროხებთან მშვენიერი სითბო იყო. მე და შალიკომ გადაეწყვიტეთ, რომ ძროხებთან დაგვეძინა. გურულებს შევთავაზე, თქვენც ჩამოდით—მეთქი. გრიმა ბარამიძემ მიპასუხა, ძამია, შენ თუ ძროხებში ხარ გაზრდილი, შენ ჩადიო. არაფერი ვუპასუხე. ისე კი, იმ გემზე ჩვენი ყოფნა ყველაზე სასიამოვნო იყო სხვა გემებთან შედარებით.

სტამბოლშივე, ბათუმიდან მარსელში მიმავალ ერთ გემზე ყოფნისას გავიცანინე ერთი გერმანელი ქალი, რომელიც ბოლშევიკებმა თბილისიდან გაასახლეს. ის პროფესიით მასწავლებელი იყო. მაშინ მე გერმანიაში წასვლას ვფიქრობდი. ქალს ძლიერ გაუხარდა, თავისი მისამართი მომცა ჰამბურგში და მითხრა, საფრანგეთიდან დაშიკავშირდით. ჩამოდი, მე დაგეხმარები რითაც კი შემეძლებაო.

ბოლოს ჩვენი ვიზების საკითხიც მოგვარდა. ვიზები მოგვიტანა წულაძემ. იგი სტამბოლში დაახლოებით იმავე როლს ასრულებდა, რასაც კაჭყაძემ — ხოფაში. ბილეთის ფული ერთა ლიგამ გადაიხადა. ჩვენ სტუდენტების სახელით მივიღოდით საფრანგეთში. დანიშნულ დღეს ჩვენი გემიც მოვიდა, სახელად "ლუქსი", ფრანგული კომპანიისა. გემზედ რომ ავდიოდით, საპოლიციო ფორმალობის გამო, გრძელი რიგი იდგა. რახან თურქული არ ვიცოდით, ჩვენი გავლა ძლიერ დაყოვნდა, რადგან ჩემი მცირე ფრანგულით, ჩემზე ნაკლებად მცოდნე თურქს ვერაფერს ვაგებინებდი. გამოსავალი იმაში ვიპოვე, რომ ჩემს უკან ორი გერმანელი იდგა. ისინი იყვნენ ფრანგულ ლეგიონში ნამსახური ყოფილი ჯარისკაცები, რომელნიც კონტრაქტის დასრულების შემდეგ გერმანიაში ბრუნდებოდნენ. ისინი ფრანგულად თავისუფლად ლაპარაკობდნენ და ჩემს გერმანულ პასუხებს თურქს ფრანგულად უთარგმნდნენ. ამ დავიდარაბაში ოფიცერმა მის წინ მდგომ ჯარისკაც პოლიციელს ლაზურად რაღაც უთხრა. მივხვდი, რომ გამოსავალი ვიპოვე და შემდეგ კითხვაზედ ოფიცერს გერმანულის ნაცვლად ლაზურად ვუპასუხე. იგი ოდნავაც არ დაიბნა და ასე ლაზურად მოვაგვარეთ ჩვენი საქმე. გემში შესვლის შემდეგ ჩემ გარემოში მყოფი და ამ ამბის მონმენი შემომხევივნენ და მეკითხებოდნენ, რა ენაზედ ილაპარაკეთ თქვენ ასე მოულოდნელადო. დიდხანს ვუხსნიდი მათ, მაგრამ ამაოდ. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ იმ ქვეყნის ენაზე, რომლის სახელიც არ გაეგონათ, მე შემეძლო თურქის ოფიცერთან მელაპარაკა და თან მემტყიცებინა, რომ თურქებთან არაფერი საერთო არა მაქვს—მეთქი. მართლაც, დაუჯერებელი არ არის, რომ ლაზურმა ენამ ინტერნაციონალური ენის როლი ითამაშოს კონსტანტინოპოლის ნავსადგურში?!

სტამბოლიდან გასვლის შემდეგ პირველი გაჩერება პირეის ნავსადგური იყო. ათენის აკროპოლისი პირეის ისე გადმოჰყურებდა, როგორც ფუნიკულიორი ვერეს

ხედს. მის დანახვაზე, ცხადია, სურვილი აღმედრა მისი ახლო ნახვისა. ბევრი ვეცადე, მაგრამ ბერძნულმა პოლიციამ ნება არ დამართო. გურულეზმა და შალიკომაც ვერ გაიგეს, რამ დამანაღვლიანა და რატომ ვიხედებოდი უკან-უკან, როდესაც გემი დაიძრა. მეორედ ნეაპოლში გაჩერდა გემი. იტალიელებმა დაუყოვნებლივ გაგვიძვეს ქალაქში. იმ დროს, თვითონ იტალიელები მასობრივად გადადიოდნენ საფრანგეთში სამუშაოდ და იტალიაში ჩვენნაირი მგზავრები რატომღა დარჩებოდნენ. ამიტომ შეგვიძვეს ასე თავისუფლად. ნეაპოლმა ჩემზედ შთაბეჭდილება კი დატოვა, მაგრამ არა ისეთი დიდი, როგორსაც მოველოდი. უფრო შთამბეჭდავი იყო ვენუეის შორიდან ცქერა, რომელსაც ბოლი ასდიოდა. შალიკოს და გურულეზს პომპეის ამბავი რომ უუაბზე, ეს მათთვის პირველად გაგონილი ზღაპარი იყო. ნეაპოლი დავტოვეთ და ეტნასაც გვერდით ჩაუვარეთ. ღამით მარსელსა და ნეაპოლს შორის ძლიერ ღელვაში მოვხვდით. შალიკო და გურულეზიც აეად გახდნენ, აგრეთვე უმეტესობა მგზავრებისა. ჩემს გამძლეობას იმას მივანერ, რომ ფოთში ყოფნისას რამდენჯერმე გამეგონა, თუ გსურს, რომ ზღვამ არ განყინოს, კარგად უნდა ჭამოო. მეც ასე მოვიქეცი და ჩვენი ექვსი კაცის სადილის თითქმის ნახევარი მარტო მე შევჭამე. სადილიო, რომ ვთქვი, განმარტებაც არის საჭირო. გემზე პანსიონის ფული ჩვენ სადა გექონდა. გემის მზარეულს მოველაპარაკეთ და უფრო იაფად, ვიდრე მეთად ფასში, მან ექვსივე პანსიონზე აგვიყვანა. საჭმელი სამზარეულოში მომუშავე შაკეპნიან ბიჭს მოჰქონდა იმ კაბინაში, სადაც თვითონვე იწვა. მშვიენიერი სადილები იყო წითელი ღვინით. ერთ დღეს ჩემმა თანამგზავრებმა გაიკვირვეს, რომ ბრინჯში გაკეთებული წინილის ფეხები ძალიან წვრილქვლიანი იყო, თუმცა მშვიენიერი გემო ჰქონდა. მე მაშინვე მივხვდი, მაგრამ არაფერი ვთქვი. მხოლოდ ძალიან გვიან გავუხსილე, გული რომ არ არეოდათ, ბაყაყის ბარკლები იყო—მეთქი. მარტო შალიკომ დამიჯერა, რადგან მას გაგონილი ჰქონდა.

მეორე დილით, ვიდრე მარსელს მივუახლოვდებოდით, ზღვა უკვე დანყნარებულ იყო. მარსელს როცა ვუახლოვდებოდით, ცხადია, ვიცანი ჩემთვის სურათებიდან ცნობილი „Le chateau d'If“, კუნძული და ციხე-კოშკი, რომელთანაც დაკავშირებულია გრაფ მონტე-კრისტოს ამბავი. მე ეს ამბავი ჩემს თანამგზავრებს უუაბზე. შალიკომ დამიჯერა, სხვებმა დაცინვით მკითხეს, შენ ეს ამბავი რაფერ იცანი, გუშლამ იქ იყავიო?! გემიდან რომ ჩამოვედით, იმან გამაკვირვა, რომ ჩვენ ექვსივეს საცოდავი ფუთები საბაჟომ გაგვისინჯა. მერე გავიგე, რომ ისინი მხოლოდ კონტრაბანდით შემოტანილ თუთუნს ეძებდნენ. სადგურიდან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზას რომ დავადექით, ერთ გზაჯვარედინთან მივედით. მარჯვენა მხრიდან ერთადერთი ავტომობილი მოდიოდა. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო მეორე მხარეს გადავსულიყავით. ავტომობილი ჯერ კიდევ შორს იყო. მე და შალიკო გადავედით, მაგრამ გურულეზმა, არ ვიცი, როგორ მოახერხეს, შენელებული ავტომობილის წინ აქეთ-იქით დაინყეს ბატებივით სირბილი. მძლოლი იძულებული იყო გაჩერებულიყო. გაკვირვებული გვათვალიერებდა, მერე გამოირკვა, მათ არა-

სოდეს ჰქონიათ შემთხვევა ისეთი გზის გადაჭრისა, საიდანაც შორიდან მომავალი ავტომობილი მოჩანდა.

მარსელში მივედით შრომის სამინისტროში მომუშავე ერთ კაცთან, სახელად აისორი ერქვა. მისი მისამართი ნულაძემ მოგვცა. თუ რამე გაგიჭირდეთ, მას მიმართეთო. ჩვენ დიდი არაფერი გვიჭირდა, მაგრამ მაინც მივედით. აისორმა კარგად მიგვიღო და აგვიხსნა, რომელ საათზე უნდა აგველო მატარებლის ბილეთები სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ მე და შალიკო შენგელიას და გურულებს. ჩვენ ლიონის მახლობლად მივედიოდით, ისინი კი — ოდენკურში, სადაც მრავალრიცხოვანი ქართველობა მუშაობდა “პეკოს” ქარხნებში.

მე და შალიკო ლიონში ჩავედით და იქიდან პონ დე შერიში — ავტობუსით. ამ პატარა ქალაქში იყო მაშინ დიდი ბაგირების ქარხანა, სადაც მრავალი რუსი მუშაობდა. ამ გარემოებისა გამო, აქ გახსნეს მიქელაძემ და პროკოფი გაგუამ კანტინი (სასადილო), რომელიც მხოლოდ რუსი მუშტრებისთვის იყო ნავარაუდევი. ამ ორი ქართველის აქ ყოფნა ღირსია აღწერისა. მიქელაძე იყო ყოფილი მოღარე თბილისში თავისუფლების მოედანზედ მაშინ არსებული სარკინიგზო საღაროსი. მან უეცარი გადაყენების შედეგად პროკოფის გადააბარა საღარო, რომელსაც მიქელაძის მიერ ქეიფში დახარჯული რამდენიმე ათასი მანეთი აკლდა. მან პროკოფი დაარწმუნა, რომ ნაკლულ ფულს ერთ კვირაში მოგიტან, ჩემს თავს ნუ დაახვეტინებო. პროკოფიმ დაუჯერა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მიქელაძე უფულოდ გამოცხადდა და პროკოფის უთხრა, ვიღუპებით, სხვა საშველი არ არის, ფული ვერ ვიშოვე და ორივენი საზღვარგარეთ უნდა წავიდეთო. პროკოფიმ გაიკვირვა, რას ამბობ, კაცო, ეს ხნიერი კაცი, სად უნდა გადავიკარგო, რითი უნდა ვიცხოვროო. მიქელაძემ უთხრა, რაც გაქვს საღაროში, თან უნდა წამოიღოო. ასე აღმოჩნდნენ ორივენი უცხოეთში. შალიკო კარგად იცნობდა მიქელაძეს. მათ ჩვენ შეგვიხიზნეს. იქ მე ერთი თვე დავრჩი. ვიცადე, სანამ საქართველოდან ფულს მივიღებდი, კანტინაში ჩემი ვალი გადავიხადე და გრენობლში წავედი. შალიკო იქავე დარჩა. ადგილობრივი ყასაბის ქალი შეირთო. ბოლოს ლევილში აღმოჩნდა და ომის შემდგომ წლებში ლევილშივე გარდაიცვალა. ლევილსა და პარიზში დღესაც ცხოვრობს შალიკოს ქალიშვილი, გიორგი ნერეთლის ქვრივი ეთერ შენგელია. ეთერის გარდა მას დარჩა აგრეთვე ერთი ქალი და ორი ვაჟი. ისინიც საფრანგეთში ცხოვრობენ.

გრენობლი

გრენობლი იმ დროს შედარებით პატარა ქალაქი იყო, უმთავრესად თავისი უნივერსიტეტით ცნობილი. სტუდენტთა ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელთაგან შედგებოდა. თვით უნივერსიტეტი გამოირჩეოდა მაშინ მთელ ევროპაში განთქმული ტექნიკური სასწავლებლით. ეს სასწავლებელი — “L'ecole d'electricite” - ელექტრობასთან დაკავშირებულ სპეციალისტებს ამზადებდა. ამ სასწავლებლის

დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში არჩილ ელიაშვილი, რომელიც თბილისში გრენობლის ინსტიტუტის მსგავს დაწესებულებას ხელმძღვანელობდა. გრენობლის ინსტიტუტიდან გამოვიდა აგრეთვე მიხეილ მაკარაშვილი. იგი პეყოს საზოგადოებაში მუშაობდა - ჯერ სოშოში, ხოლო უფრო გვიან პარიზში, სადაც გარდაიცვალა. მათ გარდა გრენობლში კიდევ ოციოდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა: გიორგი ჟურულის ორი ვაჟი - დურმიშხანი და კოტიკა, ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის შვილი გივი ლამბაშიძე, აკაკი ბარკალაია, შალიკა ბაქრაძე, კოლა კალაძე, ილო კვანჭახაძე, საბაშვილი, პეტიკო ჯაფარიძე, მიხეილ გაფრინდაშვილი, ტიტე აფხაზავა, ვასო ჩიტაძე, პავლე ვაშაძე ...

მე, ჩასვლისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქგარეთ მდებარე ვაგონების ქარხანაში. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა რეალობასთან. საკვირველი სიმშვიდით შევეუდექი ჩემთვის ყოვლად უცნობ ცხოვრებას. ასევე ადვილად მივეჩვიე მალეიძარას, თითქოს უკვე რამდენიმე წლის სტაჟი მქონოდა ასეთი ცხოვრებისა. ქარხანაში ისეთი მუსყათობით ვმუშაობდი, თითქოს ჩემთვისვე ყოფილიყო მოგონილი ის სამუშაო, რომელსაც ვაკეთებდი. ჩემი გამოუცდლობაც კუროზულ საქციელში გამოვლინდა. როდესაც სამუშაოს გათვალისწინებულ დროზე ადრე ვათავებდი, არხეინად დაფჯდებოდი და ახალი სამუშაოს მოსვლას ვუცდიდი ხოლმე. საამქროს უფროსმა შენიშვნა მომცა. ვიცო, რომ შენ ყველაზე მეტად მუშაობ, მაგრამ ვთხოვ, ისე მოიქცე, რომ შენი ასეთი საქციელი (ჩემს დაჯდომას გულისხმობდა), ჩემზე უფროსებმა არ დაინახონო. მუშები კი სულ სხვა მიმართულებით მისაყვედურებდნენ. შენი გამოუცდელი ბეჯითობით ჩვენ გვიფუჭებ საქმესო. როცა ვუპასუხე, მამ როდესაც არაფერი მაქვს საქმი, რა უნდა ვქნა-მეთქი, უკვე მოჭერილი ჭანჭიკები მოხსენი და ახლად მოუჭირეო, სრულიად სერიოზულად მითხრეს. მე ეს რჩევა არ ამისრულებია, მაგრამ ჩემს ბეჯითობას მოუუკელი და ვცდილობდი, იმავე ტემპით მემუშავა, როგორც ჩემი კოლეგები მუშაობდნენ. ჩემს სამუშაოთა შორის მე გარედან საამქროში უნდა შემომეტანა დიდი საბარგო ვაგონის რესორები. თითო მათგანი 85 კილოგრამს იწონიდა. ცხადია, მათ შემოსატანად საეციადური გოგორები გვექონდა. მე მათი გამოყენება მეზარებოდა. მხარზე დადებული შემომქონდა ხოლმე. ერთმა ხნიერმა მუშამ გამაფრთხილა, მიშელ, მაგას ნუ შვრები, ახლა ჯანზე ხარ და ღონე ბევრ რამეს გაბედვინებს. არ უნდა გადააჭარბო, თორემ ხანში როდესაც შეხვალ, მაშინ ყველაფერი ეს თავზე გადაგხდებაო. ეს უმაღლე დაუფჯერე, რადგან მიხვები ჩემს დაუფიქრებლობას. კიდევ ერთი ეპიზოდი მასსოვს ჩემი იქ მუშაობისა. გავცივდი, რალაც გრიპის მსგავსი მჭირდა. სამჭედლოში მომუშავე მჭედელმა შემამჩნია და მითხრა: მიშელ, ცოდოა, შენ რომ ნამლებს ყლაპავდე, მოდი ჩემთან, ერთ საათში მოგარჩინო. კარგი- მეთქი, ვუთხარი. მან ხელში ერთი დიდი ურო მომცა, რომლითაც მე დაახლოებით ორ ნუთში ერთხელ იმ გახურებულ რკინის ნაჭერისათვის უნდა დამერტყა, რომელსაც მჭედელი ფორმას აძლევდა. მჭედელმა მითხრა — ახლავე გამიშვლდი წელამდეო. მეც ასე მოვიქეცი. სამჭედლოში ცხელოდა. ხუთი ნუთის

შემდეგ მთელი ტანი ოფლით დაბეფარა. იმდენი ოფლი მომდიოდა, რომ შარვლის სათავე დამისველდა. დაახლოებით 45 წუთის შემდეგ მჭედელი შეჩერდა. თავისი განჯინიდან სუფთა პირსახოცი გამოიღო, გამამშრალა და, როდესაც ისევ ჩავიცვი, მითხრა, ახლა ერთი საათის განმავლობაში თბილი ქურთუკი ზედ გეცვასო, მეც ასე მოვიქეცი და შუადღის დასვენების საყვირმა რომ დაიყვირა, უკვე მორჩენილი ვიყავი და თან ნამოლებული სადილის ჭამას შეეუდექი. ამ ქარხანაში მე დაახლოებით რვა თვე ვიმუშავე. იქ მუშაობას თავი იმიტომ დავანებე, რომ სხვა სამუშაო ვიშოვე, თითქმის ქალაქშივე მდებარე ქარხანაში.

ეს სულ სხვა ხასიათის სამუშაო იყო. ჩვენ ვამზადებდით რკინა-ბეტონის ბოძებს, ასეთსავე ჩამოსხმულ ღობის ნაწილებს, დაახლოებით ორი მეტრი სიგრძის ორ ბოძს შორის ჩასადგმელებს, რაც საბოლოოდ რკინა-ბეტონისაგან ჩამოსხმულ ღობეს შეადგენდა. მე ცემენტთან საქმე არა მქონდა, ცემენტში ჩასაყოლებელ რკინის ჩონჩხებს ვამზადებდი, რასაც არმატურას ეძახიან. დაახლოებით რვა თვის შემდეგ კიდევ გამოვიცვალე სამუშაო, რადგან ჩემი ქარხანა სადღაც შორს გადავიდა იმავე საქონლის ადგილზე დასამზადებლად. ეს მესამე მეტალურგიული ქარხანა იყო, სადაც ხდებოდა მონტაჟი საშუალო სიდიდის ყოველგვარი მანქანებისა, თუ ლითონისაგან შემდგარ რაიმე დანიშნულების საგნებისა. აქაც, მგონი, რვა თვე დავრჩი, რაც ერთად ჩემი ორი წლის განმავლობაში გრენობლში ცხოვრების დროს ამონურავს.

გრენობლში ჩასვლისთანავე მე ვცადაე უნივერსიტეტში მეცადინეობა დამენყო. თუმცა იქაური ქართველები ჩემს განზრახვას სკეპტიკურად შეხვდნენ, მე მაინც არ დაეუჯერე და ჩავენერე კიდევ უნივერსიტეტთან არსებულ კომერციულ სკოლაში, მაგრამ, ცხადია, არაფერი გამომივიდა, რადგან საფრანგეთში სწავლების პირობები ისეთია, რომ გამორიცხავს სტუდენტის პარალელულად მუშაობას სწავლის განმავლობაში, როგორც, მაგალითად, ეს ამერიკაშია შესაძლებელი. ხოლო, ამავე დროს, საქართველოში ჩვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა და ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოდან ფულის გადმოგზავნა აიკრძალა და შეწყდა. ამ დროიდან ერთი ანექდოტი უნდა გავიხსენო. გრენობლში ცხოვრობდა გიორგი ჟურულის ოჯახი. მათ საარსებო წყარო ჰქონდათ. ქალბატონი ჟურული ხშირად ასესხებდა ხოლმე სტუდენტებს მცირე თანხებს. ერთმა მათმა შვილმა გვიამბო, თუ როგორი იყო ამ მოვლენის მიმართ დედამისის რეაქცია, როდესაც ფულის გამოგზავნის შეწყვეტა შეუტყვია, მას ნამოუძახია, სანყალი ბიჭები (სტუდენტებს გულისხმობდა), დამეკარგა ჩემი გასესხებული ფულებიო.

სალამობით ადგილობრივი ქართველები მუდამ ერთსა და იმავე კაფეში ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. ერთ დღეს ამ კაფეში მხოლოდ მე და კოლა კალაძე ვიყავით მისული. მას ქართული გაზეთები ჰქონდა ახლად მიღებული. მან მკითხა, მამაშენს რა ჰქვიაო. მე ვუპასუხე, ერისტო ჰქვია—მეთქი, თან მისი გაზეთისაკენ გავიხედე. იგი შეუმჩნევლად შეტრიალდა და გაზეთი მომარიდა. მე კი მოვასწარი, რომ სამგლოვიარო განცხადებათა შორის მამაჩემის გვარი და სახელი წამეკითხა.

არაფერი შევიმჩნიე და როდესაც სხვა ქართველები მოვიდნენ, შევემჩნეველად სახლში წავედი და იქ მარტოკამ დავინყე ტირილი. მეორე თუ მესამე დღეს ჩემი უმცროსი ძმის საშას წერილიც მომივიდა. არაფერი არ გამიმხვლია არავისთვის და ჩემს დარდს გულში ვიკლავდი. ამ ამბის შემდეგ გრენობლის ქართულ წრეში ერთი ტრაგედია დატრიალდა. უცნობი მიზეზის გამო შალიკა ბაქრაძემ თავი მოიკლა. ეს ასე მოხდა: მასთან ყველაზე ახლო მეოფნი — მე, მიშა მაკარაშვილი, შოთა ჭყონია და ვანო ანდრონიკაშვილი მივედით სასტუმროში, სადაც შალიკა ცხოვრობდა, თავისი წინანდელი ბინიდან ახლად გადასული. ჩვენი მისვლის მიზეზი ის იყო, რომ მის საქციელში რაღაც უცნაურობას ვხედავდით. ვგრძნობდით, რომ შალიკას რაღაც ანუხებდა. ჩვენ თითქოს სრულებით მშვიდად მიგვიღო. დაგვეცა და კარები საკენ წავიდა ისე, თითქოს ჩვენთვის რამის მორთმევას აპირებდა, მაგრამ მან მოულოდნელად კარი გააღო, დერეფანში გავიდა და კარი გარედან გადაკეტა. ჩვენ მივხვდით, რომ ეს ცუდ რამეს ნიშნავდა, კარებს მივვარდით, მაგრამ ვერაფერს გავხვდით, რადგან ვიდრე მეოთხე სართულზე ვინმე ამოვიღოდა, რევოლვერის ხმა გავიგონეთ, რასაც იატაკზე დაცემის ხმაც მოჰყვა. როდესაც მსახურებმა კარები გაგვიღო, სწორედ ოთახის პირდაპირ მეორე მხარეზე მდებარე საპირფარეშოს შესასვლელში უკვე მკვდარი შალიკა ეგდო. მარცხენა ქუქუსთავი სისხლით ჰქონდა შეღებილი, ხოლო მის გვერდით პანანინა რევოლვერი ეგდო.

შალიკა ჩემი კლასის ამხანაგი იყო, თბილისის გიმნაზიიდან. არ ვიცი, ამიტომ, თუ სხვა მიზეზით ჩემზედ სხვებზედ უფრო მეტად იმოქმედა ამ ამბავმა. მაშინ, როდესაც იქ მეოფნი სამი დანარჩენი ქართველი ხმაამოუღებელივ იდგა, მე მუხლებზე დავეშვი და ხმამალა ტირილი დავინყე, თან შალიკას ვეფერებოდი. შემდეგ სასწრაფო მოვიდა და როცა გამოძახებულმა ექიმმა სიკვდილის მიზეზი დაადგინა და დაკრძალვის საბუთს ხელი მოანერა, ცხედარი მორგში წაიღეს. შალიკას დასაფლავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მე იმავე კოლა კალაძეს წაეკითხე წერილი, რომელსაც მე ჩემს ძმას ვუგზავნიდი. იქ იყო ფრაზა, სადაც როგორც მახსოვს, ვწერდი: მე ჯერ მამაჩემის გარდაცვალების ამბავი მონელებული არ მქონდა, რომ აქ სხვა უბედურებაც დაწმატა- მეთქი და ვუამბობდი შალიკას თვითმკვლელობის ამბავს. ამ სიტყვებიდან კალაძე მიხვდა, რომ მამას გარდაცვალება უკვე ვიცოდი და გაკვირვებულმა მკითხა, შენ ეგ იცოდი და რატომ არ გაგვაგებინო?! მე ვუპასუხე, ჩემი უბედურება მე მეყოფოდა, თქვენ რატომღა უნდა შემენუხებინეთ- მეთქი.

ამის შემდეგ გრენობლში კიდევ ერთი თვითმკვლელობა მოხდა. გრენობლში თავის ოჯახთან ერთად მცხოვრებმა საბაშვილმა სამართლებლით გამოიჭრა ყელი, ხოლო თხუთმეტიოდე დღის შემდეგ მესამე გრენობლელმა ქართველმა, გივი ლამბაშიძემ პარიზში, თინა მამულაშვილის სახლის წინ მოიკლა თავი. ამჯერად მისი თვითმკვლელობის მიზეზი თითქოს ცნობილი იყო, რადგან ყველამ იცოდა, რომ გივის თინა უყვარდა.

სოპო და ვალენტინე

ყველა ამ ამბავმა ერთად ჩემთვის გრენობლში დარჩენა არასასიამოვნოდ გახადა. გადავწყვიტე, გრენობლი დამეტოვებინა. თანაც საფრანგეთში ყოფნისთვის აუცილებელი პირადობის მონმობა და მუშაობის უფლებაც წესიერად არ მქონდა მოგვარებული. უკვე ორი წლის განმავლობაში საფრანგეთში ახლად ჩამოსვლის დროს მიღებული დროებითი მონმობით ვცხოვრობდი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად მუშაობის უფლებაც კი არ მქონდა. ამისთვის საჭირო იყო, რომელიმე დიდ ფორმაში სამუშაო კონტრაქტი მიმელო და ამას მოჰყვებოდა ჩემთვის საამისო პირადობის საბუთის გაცემა. ასეთი ყველაზე შესაფერისი ადგილი აღმოსავლეთ საფრანგეთში მდებარე პეუოს ქარხნები იყო, სადაც რამდენიმე ასეული ქართველი მუშაობდა. ამიტომ გავემგზავრე ვალენტინეში, სოპოს მახლობლად, სადაც "პეუოს" ავტომობილის კი არა, არამედ სამეურნეო და სხვა სახელოსნო იარაღების დამამზადებელი ქარხნები იყო. გარდა ამისა, სხვა გარემოებაც ჩემთვის უფრო მოხერხებული იყო, იმიტომ, რომ ვალენტინეში უმეტესად ეროვნულ-დემოკრატიები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, სოპოს ქარხნებში კი მენშევიკები სჭარბობდნენ, ხოლო ჩვენსა და მენშევიკებს შორის საკმაოდ დაჭიმული დამოკიდებულება სუფევდა. ვალენტინეში მაშინ იმყოფებოდა საკმაოდ დიდი ჯგუფი ქართველი ეროვნულ-დემოკრატებისა. იქ არსებობდა ქართული კუსტარული სტამბა, სადაც ჩემს იქ ყოფნისას აინყო ალექსანდრე ასათიანის ნიგნი „ძეგლი და ახალი მექვიდრობა“. იგი აანყო შემდეგში ჩემმა უახლოესმა მეგობარმა მიტო სინჯიკაშვილმა. ვალენტინეშივე მუშად კი არა, არამედ ქარხნის მმართველობაში მოხელედ მუშაობდა მაშინ უკვე საკმაოდ ცნობილი, შემდეგში კი ჩემი დიდი მეგობარი ელისე პატარიძე, რომელიც ადგილობრივ ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაციის მეთაური იყო. ქარხანაში ადვილად მიმიღეს. კონტრაქტიც მომცეს. იქ მივიღე ჩემი პირველი ნამდვილი პირადობის მონმობაც, მაგრამ ჩემი სამუშაო საკმაოზე მეტად ძნელი იყო, რადგან მე ლითონის, ასე ვთქვათ, გამაბრტყელებელ სააქროში მოვხედი. ამ სააქროში მხოლოდ სრულიად ახალგაზრდები მუშაობდნენ, რადგან გასაბრტყელებელ-ჩამოსასხმელი ფოლადის მორები დიდი სისწრაფით უნდა გაგვეტარებინა მანქანაში, ვიდრე ეს მორი 50 მეტრი სიგრძის ფოლადის ლენტად გადაიქცეოდა. ასე რომ, მუშაობა სირბილით მიმდინარეობდა. ნამდაუნუმ მანქანიდან გამოსული გავარჯარებული რკინა მარნუხებით უნდა დაგვეჭირა და მანქანაშივე დაგვებრუნებინა ხელმოკრედ გასატარებლად. ეს ხდებოდა დიდი სისწრაფით, რადგან რკინას თავისი ელვარება არ უნდა დაჰკარგოდა, ვიდრე საბოლოო ფორმას მიიღებდა, ხოლო ეს საბოლოო ფორმა, როგორც ვთქვი, რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძე მორგვად დახვეული ფოლადის ლენტი გახლდათ, რომელიც მეორე დღემდე ადგილზე იდო, რომ შემდგომი დამუშავებისათვის გაცივებულიყო მისგან ხერხებისა და სხვა იარაღების დასამზადებლად. მუშაობა არა მარტო მძიმე, არამედ საკმაოდ სახიფათოც იყო, ამიტომ მე ელისეს ვთხოვე, ეცადა ჩემი სხვაგან გადაყვანა. მან მოახერხა და

სხვა საამქროში გადამიყვანეს, სადაც სხვადასხვა ზომის ზამბარები მზადდებოდა. იქ მე რამდენიმე თვე დაერჩი, საიდანაც სოშოს ქარხანამდე სპეციალური პატარა მატარებელი დადიოდა, რომელიც პუესოვე ეკუთვნოდა. ამ ქარხანაში საავტომობილო "ჯაჭვთან" ვმუშაობდი. "ჯაჭვს" ეძახდნენ ესკალატორის მსგავსად მოძრავ დანადგარს, რომელზეც ჯერ კიდევ უბორბლო და უმოტორო შეღებილი ავტომობილები იყო რიგში ჩანსობილი. მუშები ამ მოძრავი დანადგარის ორივე მხრიდან იდგნენ და ავტომობილის კარებს, ზურგს, სახურავსა და სხვა შეღებულ ნაწილებზე შერჩენილი საღებავის ბურთულებს სველი სახეხი ქალღმერთი ხეხავდნენ, ვიდრე სარკისებრ ზედაპირს არ მიიღებდნენ. სამუშაო განსაკუთრებით ძნელი არ იყო, მაგრამ შეჩერებაზე და დასვენებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, რადგან მანქანათა რიგი სულ წინ მიიწევდა და მუშას საშუალება არ ჰქონდა თან გაჰყოლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მუშა მის გვერდით მდგომ სხვა მუშას ხელს შეუშლიდა მუშაობაში. ამ ქარხანაში რამდენიმე თვე ვიმუშავე და აქედან პარიზში სიტროენის ქარხანაში გადავედი, სადაც იმავე სამუშაოზე მიმიღეს, რადგან ასეთი მოწმობა მქონდა.

პარიზი

პარიზში ჩამოსვლის პირველსავე დღეს ჩემდაუნებურად ტაქსით დავათვალიერე პარიზის ყველაზე განთქმული უბანი. სადგურიდან გამოსვლისთანავე მეტროს ნაცვლად ტაქსი ავიყვანე და მძღოლს ქუჩის სახელი და ნომერი ვუთხარი. ვიცოდი, რომ ჩემი მეგობარი სინჯიკაშვილი, ვისი მისამართიც მქონდა, რომელიმე განაპირა და ღარიბ უბანში უნდა ყოფილიყო დაბინავებული და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდევ, როცა მძღოლმა პარიზის საუკეთესო გამზირებით მატარა. ტრიუმფალურ თაღს შემოუარა, ვიქტორ ჰიუგოს ავენიუს გაჰყვა და ერთ ქუჩაზე შეჩერდა. მივიხედ-მოვიხედე, აქ არაერთი დაბალხარისხოვანი სასტუმრო არ ჩანდა. მე ვუთხარი, აქ არ უნდა იყოს-მეთქი და ჯიბიდან სინჯიკაშვილის წერილი ამოვიღე, რომელშიც ქუჩის სახელი ერჩა. ეგ სიტყვა ისევე გამოითქმებოდა, როგორც იმ მდიდრული ქუჩის სახელი, მხოლოდ ერთი ბოლო ასო აკლდა, ასო, რომელიც არ გამოითქმებოდა. მძღოლმა მითხრა - ეგ ქუჩა სულ სხვა უბანში მდებარეობს და გამიკვირდა კიდევ, რომ თქვენ აქ მოდიოდითო. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ამ უბანში მცხოვრები კაცის იერი არ მქონდა. როდესაც მძღოლმა საჭირო სასტუმროსთან მიმიყვანა, მაშინ უკვე არ ვეჭვობდი, რომ სინჯიკაშვილი აქ იცხოვრებდა. ეს იყო მაშინ პარიზის ერთი ყველაზე ღარიბი უბანი, რიგით მეცამეტე. სასტუმრო საკმარისად უსუფთაო, ღარიბული და უსიამოვნო საცხოვრებელს წარმოადგენდა. საბედნიეროდ, იქ დიდხანს არ მიცხოვრია, რადგან "სიტროენის" ქარხნის ახლო უბანი, სადაც გადავედი, ბევრად უფრო სუფთა და უფრო მაღალი სოციალური დონის ხალხით იყო დასახლებული. "სიტროენის" ქარხანაში, საუბედუროდ, მხოლოდ სამი თვე მომიხდა მუშაობა. ეს შემდეგი მიზეზით მოხდა:

პარიზელი ახალგაზრდა ქართველები კვირაობით სენ-კლუს პარკში დადიოდნენ ხოლმე და შინაურული ფეხბურთით ერთობოდნენ. ერთ ასეთ გართობაში მონაწილეობის დროს მუხლი ვიღრძე. ნაღრძობი იმდენად მტკივნეული იყო, რომ სამი დღის განმავლობაში სიარული არ შემეძლო. როდესაც მეოთხე დღეს ქარხანაში გამოვეცხადდი, ჩემი სამი თვის მუშაობის მონაწილეობა და ჩემი ჯამაგირის ანგარიში გამზადებული დამხვდა. მე არ ვიცოდი, რომ ქარხანაში წესად იყო, მიუსვლელობის მიზეზი პირველ დღესვე უნდა შემეტყობინებინა. ქარხნიდან ჩემი დათხოვნა დიდ უბედურებას არ წარმოადგენდა, მაგრამ, ახალი სამუშაო, რომელიც მე ვიპოვე ხელფასის მხრივ ორჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე "სიტროენში". ეს იყო იმავე საზოგადოების ქარხანა, რკინა-ბეტონის საგნებისა, სადაც მე გრენობლში ვმუშაობდი. ქარხანა ფრანგულ საზოგადოებას ეკუთვნოდა, მაგრამ იქ მხოლოდ რუსები მუშაობდნენ, რადგან მისი დირექტორი ერთი გარუსებული გერმანელი, პარიზში მცხოვრები ინჟინერი იყო. ჩემი იქ მუშაობის დასაწყისში მე ერთადერთი ქართველი ვიყავი. რუსებს გარდა იყვნენ ჩრდილოკავკასიელები, მონღოლები, უკრაინელები, ე.ი. წარმომადგენლები ძველი რუსული იმპერიისა. უფრო გვიან კიდევ ორი თუ სამი ქართველიც მოვიდა. ამ ქარხანაში კარგა ხანს ვიმუშავე. იგი მდებარეობდა პარიზის აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში, რომელსაც ბონიო ერქვა. ამ ქარხანაში მუშაობის დროს ქარხნის დირექციამ ერთი წლით ცენტრალურ საფრანგეთში დროებით სამუშაოდ წავგიყვანა. ეს იყო მდინარე ალიეს სახელის დეპარტამენტში. სულ პატარა სოფელი იყო, მაგრამ რკინიგზის სადგურსაც წარმოადგენდა და ამიტომ იქ ხელსაყრელი იქნებოდა ჩვენი დროებითი ქარხნის აშენება. ვამზადებდით რკინა-ბეტონის ბოძებს ოვერნის მხარის ელექტროკომპანიისათვის. საჭიროა, აღვწერო მაშინდელი საფრანგეთის სოფელი, შეიძლება ითქვას, მაშინ ჩამორჩენილ მხარეში, ჩამორჩენილში, მაგრამ ისეთში, სადაც დღესაც მსოფლიოში ცნობილი "მიშლენის" საბურავების ქარხანა მაინც არსებობდა და არსებობს.

სოფელი ცენტრალურ საფრანგეთში

ჩვენს სოფელში არც ერთი მაღაზია არ იყო, მაგრამ იყო ორი კაფე. წიგნის მაღაზია, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ, მაგრამ იყო ერთადერთი დუქანი, სადაც შეიძლებოდა ფანქრის, ქალაღის, კონვერტების და ასეთების ყიდვა. აქვე შეიძლებოდა გაზეთების და ჟურნალების შეძენაც, რომელთა მყიდველი წარმოუდგენლად მცირე იყო. მაგალითად: მაშინდელი ფრანგული ყველაზე სერიოზული გაზეთი "ტან-ის" (დრო) მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარი მოდიოდა სოფლის მერისათვის. იმ მერის ოჯახი ერთადერთი იყო, რომელიც ინტელიგენტურ ოჯახად ჩაითვლებოდა. მხოლოდ ამ ოჯახის შვილები სწავლობდნენ კარგა შორს მდებარე, დეპარტამენტის მთავარ ქალაქ კლერმონ—ფერანში. მათვე ჰქონდათ სოფელში ერთადერთი სამგზავრო ავტომობილი. აქ რუს მუშათა შორის, ჩემ გარდა კიდევ ორი ქართველი იყო:

გოგი კახაბერი და ალიოშა მელიავა. ჩვენ სამნი და კიდევ ორიოდ რუსი დავბინავდით ერთ ფრანგთან, რომელიც იყო პატრონი ერთი პატარა კაფესი, რომლის ნაწილიც იმავე კაცის საყასბოს წარმოადგენდა. მაღლა სართულზე კი პატრონი ცხოვრობდა თავისი ოჯახით და რამდენიმე ოთახს აქირავებდა. ჩვენ ყველანი მისი მდგმურები ვიყავით და საზრდოსაც მისგან ვიღებდით მისსავე კაფეში. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, დაბადებიდან დღემდე, ისე მაძლრად არ მიჭამია, როგორც იქ ყოფნისას. ჩვენი პატრონი თვითონ ხომ ყასაბი იყო, ცოლიც მშვენიერი მზარეული ჰყავდა. ხორცი, კარაქი, ადგილობრივი მოშავო პური და სხვა იმდენი გვეძლეოდა, რამდენის ჭამასაც შეეძლებდით. მე ეს ფუფუნება საკმაოდ ძვირად დამიჯდა. დამემართა ერთგვარი ეგზეზა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელის თითებს შორის წყალულები მიჩნდებოდა, რაც მუშაობას არ მიშლიდა, მაგრამ საკმაოდ მტკივნეული მაინც იყო. ექიმმა მითხრა, ეს ბევრი ხორცის ჭამის ბრალიაო. ახლავე მოუკელი, მხოლოდ დღეში ერთჯერ ჭამე ხორცი და ისიც ზომაზე, მაგრამ იცოდე, ამ ავადმყოფობის კვალი რამდენიმე წელიწადს გააყვებაო, რაც სრულიად გამართლდა.

ამ სოფლის შუაგულში გადიოდა ერთი პატარა ლეღე, სახელად ლა-კუზ, რომელიც, უნდა ვთქვა, კალმახით იყო სავსე. ამ მდინარის ნაპირას რეცხავდნენ სოფლის ქალები თავიანთ თეთრეულს. მათ ნახავდით ზამთარ-ზაფხულ წყლის პირას დაჩოქილებს, ზენრებს რომ ფიცრებზე ატყაპუნებდნენ და პატარა ჯოხებს ურტყამდნენ. ამ მრეცხავებს, უკლებლივ ყველას, ისე როგორც მათ ქმრებს, მუდამ ჩაღაფენილი ქოშები ეცვათ. ეს იყო მთლიანი ხისაგან გამოთლილი ნაეისმაგვარი ხის ფეხსაცმელი, რომელსაც ფრანგულად “საბო” ეწოდება. სოფელში ადგილობრივი დალაქიც იყო, თუ ასეთი სახელი დაერქმევა მას. მას საერთოდ სადალაქო არ ჰქონდა. თავისი ბინის წინ, ქუჩის პირას ედგა ერთი სამფეხი, რომელზედაც თავის მუშტრებს სვამდა ხოლმე. მარცხენა ხელში ეჭირა ტაშტი, რომლის ერთი ფერდი გამოჭრილი იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სახის ქვეშ ტაშტის მიტანა. როცა მას ორივე ხელი სჭირდებოდა, ტაშტი თვით მუშტარს უნდა დაეკავებინა. დალაქი არც საპონს, არც ცხელ წყალს არ ხმარობდა. იგი ტაშტში ჩასხმული წყლით გლეხს სახეს უსველებდა, მუშტარს თმაში ხელს ჩაავლებდა და სამართებელს ხმარობდა, თითქმის როგორც ხელეჩოს. სისხლი უხვად იღვრებოდა, მაგრამ პირი მაინც იპარსებოდა. ამის შემდეგ ოდესღაც თეთრად ყოფილი პირსახოცით სახეს მოსწმენდდა, ჭრილობებზე თეთრ შაბს წაუსვამდა და საქმე დასრულებული იყო. ცხადია, მე ამ დალაქის მუშტარი არასოდეს ვყოფილვარ.

სოფლის მერს სამი ვაჭი და ერთი ქალი ჰყავდა. ისინი ჩემზე უმცროსები იყვნენ, მაგრამ იმდენად არა, რომ მათთან მეგობრობა არ შემძლებოდა. სხვა მეგობარს მე იმ სოფელში ვერ ვიპოვიდი.

ერთი საინტერესო ამბავი ამ სოფლის ცხოვრებიდან: სოფლის შუაგულში საკმაოდ ფართო პარკში ასწლოვან ხეებს შორის იდგა ამ სოფლის ყოფილ მფლობელთა შთამომავლის შატო — სასახლე. მისი პატრონი აქ აღარ ცხოვრობდა და მან

თავისი მამულის გაყიდვა დააპირა. ჩვენი სოფლის მერს ძლიერ სურდა მისი შეძენა, მაგრამ 600 000 ფრანკის დახარჯვა ვერ გაბედა და ეს მამული ვილაც მეჯოგემ იყიდა. იგი ამ სოფლიდან არ იყო და ახალშეძენილ მამულში მაშინვე არ გადმოსახლებულა. მან ჯერ ხე-ტყის მრეწველები მოიყვანა და სასახლის გარშემო ძვირფასი ხეები სულ მოახერხინა. აქედან შატოში გადახდილი ფული ნახევრად აინაზღაურა. საცოდავი სანახავი იყო ამ გატიალებულ მინდორზე მარტოდ-მარტო დარჩენილი სასახლე. სოფლის მერმა, რომელთანაც ახლოს ვიყავი მის შეილებთან მეგობრობის გამო, მითხრა, ამ ვანდალიზმის მოფიქრება და ასრულება რომ შეძლებოდა, მაშინ ყიდვასაც გაუბედავდიო. როდესაც ის მეჯოგე აქ საცხოვრებლად გადმოვიდა, შატოს მალალ სართულზე განლაგებული ოთახების უმრავლესობა ჩვენს ქარხანაში მომუშავე რუსებს მიაქირავა. დაბლა სართულზე მყოფი დიდი დარბაზი კარტოფილის, კომბოსტოს და ამგვარი სანოვავის სანყობად გადააქცია, თვითონ კი ამ სახლის ერთი ფრთა დაიკავა, სადაც ძველადვე არსებული სამზარეულო — სასადილო და საყოფაცხოვრებო ოთახად გადააქცია, დანარჩენ სამ თუ ოთხ ოთახში თავის ცოლსა და ქალ-ვაჟთან ერთად არხეინად მოიკალათა.

ამ სოფელში ერთი წელიწადი დავრჩით. ჩვენი სამუშაო დავასრულეთ და ისევ პარიზში დავბრუნდით.

პარიზელი ქართველები

პარიზის იმდროინდელი ქართველობა დაახლოებით 2 000-მდე სულს ითვლიდა. ნამდვილად მდიდარი მათ შორის არაყინ იყო. იყვნენ ისეთები, რომელთაც საკმარისად შემოსავლიანი ადგილი ეჭირათ სხვადასხვა დარგის ამა თუ იმ წარმოებაში. ყველაზედ გავრცელებული, ქართველთა შორის, მანვნის წარმოება იყო. ქართველები ერთ-ერთი პირველთაგანნი იყვნენ ამ დარგში. დღეს ეს წარმოება მილიარდებს ატრიალებს, მაგრამ არც ერთი ქართველი მეტნაკლებად კუსტარულ დონეს არ გასცილებია, ამათში ყველაზე ძლიერნი, დაახლოებით 10-15 პირი, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული მასშტაბებისათვის წერილ მწარმოებლებად ითვლებოდნენ, საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდნენ, იმდენად შემოსავლიანი იყო ეგ საქმე. ასე რომ, ქართველთა შორის მათ შეიძლება პატარა ბურჟუაზია ვუნოდოთ.

მეორე კატეგორიის შეძლებულებს წარმოადგენდნენ მდიდარ ქალთა მეოხებით გამდიდრებულები. უმეტესად — ნამდვილი თუ ყალბი თავადები, მაგრამ ყველაზე მალალ წერტილს მათ შორის ერთმა ყალბად გათავადებულმა ოჯახმა მიაღწია. ესენი იყვნენ სამნი ძმანი მდივანები. მათი მამა, გენერალი მდივანი, ბიძაშვილი იყო განთქმული ბუფე მდივანისა და მისი ძმის — სოსოსი, რომელთაგან ერთი ბოლშევიკი იყო, ხოლო მეორე — ფედერალისტი, - საქართველოს ელჩი სტამბოლში. გენერლის სამმა ვაჟმა მათი მოხერხებული ღის მეშვეობით, რომელიც ვილაც მდიდარ უცხოელსა ჰყავდა ცოლად, განსაცვიფრებელ წარმატებას მიაღწია უმდიდრესი (ამერიკული მასშ-

ტაბით) ცოლების შერთვაში. პირველმა მათგანმა შედარებით დაბალი საფეხურიდან დაიწყო. მან შეირთო მაშინ მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავი პოლა ნეკრი, მაგრამ შემდეგ გაცილებით მაღალ საფეხურზე ავიდნენ სამივენი. ყველაზედ უმცროსს ნილად ხვდა ამერიკულ უნივერსიტეტში დიდი ქსელის პატრონის ერთადერთი მემკვიდრე ბარბარა პოუტონი. მათი ქორწინება პარიზში "მოვლენა" იყო. ჯგრისწერა პარიზის რუსულ ტაძარში მოხდა, რომელზედაც დასწრება "იკადრა" სოციალისტთა მეთაურმა ნოე ჟორდანამ და ბედნიერ სიძეს ხელის ჩამორთმევისას "მონ პრენს" უწოდა, რაც ქართულად "ჩემო თავადოს" ნიშნავს. ამ ბიჭის ხელში მილიონები ტრიალებდა. ქართველებისათვის ქართული სახლი დააარსა და აპირებდა კლბების აგენიუზე მდებარე ოტელ "მაჟესტიკის" ყიდვას, მაგრამ იმდენი მრჩეველი ქართველი დაეხვია, რომ გული აუცრუვდა და ამ საქმეს შედეგი არ მოჰყოლია. ახალგაზრდა "პრენსმა" თავისი სიცოცხლე პოლოს (ძველებური ჩვენი ცხენბურთი) თამაშში გაატარა. იგი თავისი ცხენებითა და გუნდით ინგლისსა და ინდოეთს შორის მოგზაურობდა ხოლმე. ახალგაზრდა ბარბარამ ეს ვერ აიტანა, ქმარს გაეყარა, შემდეგ ორი თუ სამი ქმარი გამოიცვალა, ნევრასთენია შეეყარა და უშვილოდ გადაიცვალა ეს უმდიდრესი ამერიკელი ქალი, რომელიც ნორმალური ოჯახის შექმნას ვერ ეღივსა.

მათი ისტორია გრძელია და მრავალფეროვანი. როდესაც უფროსი ძმა, რომელიც მილიარდერ ვანდერბილდტის ასულის ქმარი იყო, გარდაიცვალა, დაქვრივებული ქალი მისმა მომდევნო ძმამ შეირთო. სამივენი უშვილოდ გადავიდნენ.

იყვნენ აგრეთვე ამჯერად ნამდვილი თავადები: დადიანები, ჯორჯაძეები, ჩხოტუაღ გარდაქმნილი შოთა ჭყონია და სხვანი. ჯორჯაძეს ცოლად ჰყავდა ამერიკაში ერთ-ერთი უდიდესი სუნამოს მწარმოებლის — რუბინშტეინის ქალი. აგრეთვე სუნამოს მწარმოებელი იყო გიორგი მაჩაბელი. ამათში ერა ჩემი ბავშვობის ამხანაგი, რომელსაც მე ხელახლა გრენობლში შეეხვდი, შოთა ჭყონია. ამ ბიჭმა რამდენიმე ხელმოცარული ქორწინების შემდეგ ნამდვილად მდიდარი ამერიკელი ქალის შერთვით, ზოგიერთის აზრით, უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია. მან იმით დაიწყო, რომ თავისი გვარი დედამისის გვარით შეცვალა, აქაოდა, ეს აფხაზური თავადური გვარიო. იგი მალტის ორდენის ბაი გახდა. ეს უმაღლესი ნოდება ამ ორდენის წევრთათვის. ამ ნოდების მატარებელნი ორდენის უმაღლესი საბჭოს წევრები არიან, ხოლო ჩხოტუამ იმასაც მიაღწია, რომ მან ორდენის გენერალური ელჩის პოსტიც დაიკავა. ამ შემთხვევის გამო მან გამომიგზავნა ფოტოსურათი, სადაც აღბეჭდილია ჩხოტუას წარდგომა მარშალ ფრანკოს წინაშე. სურათი წარმოადგენს სცენას, როდესაც ჩხოტუა საელჩო მანდატის წარდგენის დროს ხელს ართმევს მარშალ ფრანკოს. რამდენიმე წლის წინათ იგი შვეიცარიაში გარდაიცვალა კიბოთი. მას რამდენიმე ვაჟი დარჩა. ისინი ესპანეთში ცხოვრობენ.

ასეთია, მოკლედ მოთხრობილი, გამდიდრებულ ქართველ ემიგრანტთა ბედი.

ქართული ემიგრაციის არსებობის გამართლება უმთავრესად მაინც პოლიტიკური ხასიათისა იყო. მიუხედავად სამინელი ქიშპობისა, უდიდესიდან უმცირეს

ქართველამდე, ყველა საქართველოზე ფიქრობდა და ყველას სწამდა, რომ იგი საქართველოსთვის რალაცას აკეთებდა. მე ახლა მართალისა და მტყუანის გარჩევას არ შეუდგები, რადგან ერთ-ერთი ჯგუფის წევრს, როგორც მე ვიყავი, ამ ხალხის მორალური მსაჯულობა არ შემიძლია და არცა მაქვს ამის უფლება.

ჩვენი გარეგნული სახე პარიზში ფრიად ღირსეული იყო. ჩვენი ეროვნული დღესასწაულები, არ ვამბობ, პარიზის მშვენება იყო-მეთქი, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ ეს გამოსვლები პარიზს შეეფერებოდა. 26 მაისი იმართებოდა პარიზის საუკეთესო დარბაზებში, უმეტესად ე.წ. სამხედრო წრის სახლში, ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ დარბაზში. მაშინ ამ დღესასწაულს უმაღლესი მდგომარეობის ფრანგებიც ბლომად ესწრებოდნენ. ეს ხდებოდა, მე ვფიქრობ, ქართველთათვის თანდაყოლილი ხიბლის გამო, რაც ერთი ულამაზესი თვისებათაგანია ქართველის ბუნებაში. ახლა თვალს რომ ვავლებ ამგვარი შეკრებილობის სურათს, ვხედავ იმას, რასაც უცხოელი დამსწრე ვერ წარმოიდგენდა, თუ რამდენად დაბალი სოციალური წრიდან იყო გამოსული ამ დარბაზში მყოფი ქართული საზოგადოების უმრავლესობა. ეს ქუთაისელი, სამტრედიელი, თელაველი ან თბილისელი ახალგაზრდობა გარეგნულად და თავისი საქციელითაც არაფრით ჩამოუვარდებოდა ოქსფორდიდან გამოსულ ლორდების შვილებს ან სორობონაში აღზრდილ უცხოელ თანატოლებს.

ჩემი ნაამბობი, ალბათ, ბევრ ქართველს გაახარებს და საამაყოდ მიიჩნევს მას, მაგრამ მე, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ფაქტი სამწუხაროდ და სავალალოდ მიმაჩნია, რადგან ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს ქართველი კაცის არსებაში წონასწორობის დარღვევის მაჩვენებელია. საბოლოო ჯამში, ეს უარყოფითი მოვლენაა და არა დადებითი.

ისევ პარიზში

სოფლიდან დაბრუნებულმა ისევ რკინა-ბეტონის დამამზადებელ ქარხანაში დავინყე მუშაობა. ერთი თუ ორი წლის შემდეგ აქაც დასრულდა სამუშაო. საფრანგეთში უმუშევრობა იწყებოდა და მე დიდი გაჭირვებით ვიმოვე ყოვლად უმდარესი სამუშაო, როგორის წარმოდგენაც კი შეიძლება. ეს იყო აუსტერლიცის საბარგო სადგურში ვაგონების გადაყვან-გადმოყვანა. აქ მუშები დღიურად აპყავდათ და მათში ჩვეულებრივი პარიზელი მანანნალებიც ერივნენ. ჩემ გარდა იქ რამდენიმე ქართველიც მუშაობდა. ვმუშაობდით 12 საათი დღისა და ღამის მონაცვლეობით, თითო კვირის განმავლობაში. ე.ი. ერთი კვირა ვმუშაობდით დღის 6-დან საღამოს 6 საათამდე, ხოლო მეორე კვირის განმავლობაში, საღამოს 6-დან დღის 6 საათამდე. დასვენება გვქონდა თითო დღე ყოველი კვირის ბოლოს. ამგვარად, კვირა დღის დასვენება არც გამოგვიძოდა. ამ სამუშაოზე წელიწადზე მეტხანს დავრჩი. ამ დროს საფრანგეთში მთავრობაში მოვიდნენ სოციალისტები და კომუნისტები, ე.წ. პოპულარული (სახალხო) ფრონტი. მათ შემოიღეს ახალი სამუშაო წესები, რამაც მრავალი წვრილი წარმოების დახურვა გამოიწვია, რადგანაც პარლამენტის დაკანონებით გაიზარდა ხელფასი და აიკრძალა 8

საათზე მეტ ხანს მუშაობა დღეში. იმ წარმოებათა მუშებმა, რომელნიც არ თანხმდებოდნენ ზემოხსენებული ახალი წესების ასრულებას, გაფიცვა გამოაცხადეს. ჩვენც გაფიცულებს შევეურთდით. მაშინ ჩვენმა დამქირავებელმა, რომელსაც რკინიგზასთან ჰქონდა კონტრაქტი, საერთოდ დახურა თავისი წარმოება და ჩვენც უმუშევრად დავრჩით. რამდენიმე თვე უმუშევრად ვიცხოვრე. ეს მდგომარეობა მთლად აუტანელი არ იყო, რადგან ბინის ქირას სახელმწიფო გვიხდიდა და თან დღეში 5 ფრანკი გვეძლეოდა. ეს დიდი ფული არ იყო, მაგრამ დღეში ერთი სადილის ჭამა მაინც შეიძლებოდა უბრალო რესტორანში. ზოგჯერ დროებით სამუშაოს ვმოულობდი. არალეგალურად ჯამაგირსაც ვიღებდი და უმუშევრის დახმარებასაც. ასე რომ, დროებით მე უფრო მდიდარი ვიყავი, ვიდრე ლეგალური მუშაობის დროს, ხოლო ამის მუდმივი გაგრძელებაც ხომ არ შეიძლებოდა და ვიპოვე ერთი უბრალო სამუშაო პატარა სანარმოში, რომელიც დიდი ავტომობილის ქარხნებისათვის სხვადასხვა ნაწილებს ამზადებდა. ეს სამუშაოც რამდენიმე თვის შემდეგ მივატოვე და ერთი ქართველის სამანქანოში დავინიყე მუშაობა. ამ დროს დაიწყო ომი გერმანიასა და საფრანგეთს შორის. პარიზში რძის მინოდება შეწყდა და მანქნის წარმოებაც შეჩერდა, მაგრამ დაუყოვნებლივ ვიპოვე სხვა სამუშაო. ამჯერად ერთ დიდ სამრეცხაოში, სადაც ჩემი მოვალეობა გარეცხილი სარეცხის გამწურავ მანქანაზე კონტროლი იყო. ცნობილია, რომ ომის გამოცხადებას ნამდვილი ბრძოლები დიდხანს არ მოჰყოლია, რადგან საფრანგეთი გერმანიას არ უტყვედა, ხოლო გერმანელებს ჯერ სხვა საქმე ჰქონდათ გასაკეთებელი. მათ შეიერთეს ავსტრია და გაინაწილეს პოლონეთი საბჭოელებთან ერთად, ხოლო ამის შემდეგ შემოუტია გერმანიამ საფრანგეთ-ინგლისის კოალიციას. მათ დიდი ხანი არ დასჭირვებიათ, რომ ინგლისელები გაეყარათ და ნახევარი საფრანგეთი პარიზითურთ დაეკავებინათ. ჩემი სამრეცხაოც დაიკეტა ნახშირის უქონლობის გამო. გერმანელების მიერ დაკავებულ ერთ ყაზარმაში დავინიყე მუშაობა, სადაც ყოველგვარ სამუშაოს ვასრულებდი. ჯამაგირი შედარებით კარგი მქონდა, მაგრამ ეს სამუშაო მუდმივი არ იყო. ჯარის ნაწილები დროებით რომ ყაზარმას ტოვებდნენ, დროებით დაქირავებულები სამუშაოსაც ვკარგავდით, ხოლო ამავე დროს გერმანელები დიდი სიხარულით ლებულობდნენ ყოველგვარ მუშას, ვინც გერმანიაში წასვლაზე დათანხმდებოდა. მეც ჩავეწერე და გერმანიაში, ჰანოვერში ამოვიყავი თავი.

გერმანია

ჩვენი მუშათა ჯგუფი ჯარის სააღმშენებლო უწყებას გადაეცა, დაგვაბინავეს საკმაოდ კარგად მოწყობილ მუშათა ბარაკში, რომლის მახლობლად შენდებოდა მაშინდელი დროისათვის უგრძელესლულიანი ქვემეხების ლულათა ჩამოსასხმელი საამქრო. ხუროთა ჯგუფში მოვხვდი. ჩვენ ამ უზარმაზარი, შიგნიდან ცარიელ შენობის სახურავი უნდა გვეკეთებინა. საფრანგეთიდან ბერლინისაკენ მიმავალი რკინიგზის ლიანდაგს ზედ დავყურებდით. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ამ ლიანდაგზე დაიწყო ჯარებითა და

იარაღით დატვირთული მატარებლების გაძლიერებული მოძრაობა საფრანგეთიდან ბერლინის მიმართულებით. ყურადღებას იპყრობდა ის, რომ ეს მატარებლები დიდ-ძალი სამხედრო მანქანებითა და ტანკებით იყო დატვირთული. მე ამას ვუცქერდი და ისე მომივიდა, როგორც ნათქვამია: მელას ის ესიზმრებოდა, რაც ენატრებოდაო. ვიფიქრე, ალბათ, გერმანია რუსეთთან ომისათვის ემზადება-მეთქი, და ეს ჩემი ეჭვები ჩემთან მომუშავე იტალიელებსა და გერმანელებსაც ვაუზიარე. მათ ეს არამცთუ არ დაიჯერეს, არამედ აშკარად გამოთქვეს თავიანთი უკმაყოფილება, რომ ასეთი აზრი მომივიდა თავში. მათმა საქციელმა გამაბრაზა და საკვირველი რამ ვუთხარი. თქვენ ეგ არ გჯერათ, მაგრამ აი, ნახათ, რაც მოხდება, უსათუოდ ომი დაიწყება, მოხალისედ ჩავენერები და, ალბათ, თქვენც შეგხვდებით, მაგრამ მე უკვე ოფიცრის ფორმაში ვიქნები-მეთქი. ახლაც თავს ვეკითხები, როგორ ვინინასწარმეტყველე მაშინ ყოვლად შეუძლებელი და თითქმის წარმოუდგენელი მდგომარეობა. ვფიქრობ, რომ მხოლოდ ჩემი ოცნება გამოვთქვი ხმამაღლა, როგორც ნახევრად ხუმრობა, მაგრამ ეს სწორედ ასე ახდა. ორი წლის შემდეგ ერთ მუშათაგანს მე მართლა შეხვდები ბერლინის ქუჩაში. მას ჯარისკაცის ფორმა ეცვე, მე კი ლეიტენანტის სამხრები მეკერა. ჯარისკაცი, როგორც წესია, მომესალმა, მეც ვუპასუხე და ჩვენ ერთმანეთი ვიცანით.

ახლა ისევ ჰანოვერში დავბრუნდით.

ჰანოვერში ჩემ გარდა ერთადერთი ქართველი იყო — ილო შიხაშვილი. მასაც იშვიათად ვხვდებოდი. გული ბერლინელი ქართველებისკენ მიმიწევდა. მოვახერხე და ბერლინის ქართველთა სათვისტომომ ჩემს დამქირავებელ ინსტანციას სთხოვა: ქავთარაძე ჩვენ გვჭირდება, ჩვენი კულტურული მუშაობისათვის, გთხოვთ, ნება დართოთ, ბერლინში გადმოვიდეს, მისთვის უკვე მზად არის სამუშაო, ვერმახტთან დაკავშირებულ სამხედრო მნიშვნელობის ქარხანაშიო. ჰანოვერელები დასთანხმდნენ და ბერლინში დავინყე მუშაობა სამხედრო ქარხანაში. ქარხანა ელექტრომედულებისათვის ამზადებდა ლითონის მიდულებში ხმარებულ „ჩხირებს“. მე საცდელ ლაბორატორიაში ვმუშაობდი. ყოველდღე ვამზადებდით მუდამ სხვადასხვა შემადგენლობის ჩხირებს. შემდეგ მათი ხარისხის შედეგი აღინიშნებოდა და გადაეცემოდა შემდგომ ინსტანციას. ასე გრძელდებოდა ყოველდღე. ელექტრომედულების ხარისხს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტანკებისა და წყალქვეშა ნაების გარე ჯავშანის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ლაბორატორიაში სამნი ვიყავით. ჩემ გარდა ერთი მამაკაცი — კომუნისტი და ერთი ქალი ნაციზმის ფანატიკოსი. ერთ დღეს კომუნისტ მუშასთან აზრი გამოვთქვი, თუ ვინცობაა რუსეთთან ომი დაიწყო, მე მოხალისედ ჩავენერები-მეთქი და თან დაუემატე, ძალიან მსურს რამეში გამოვადგე ჩემს თანამემამულე ქართველ ტყვეებს-მეთქი. მან მიპასუხა, რა გეჩქარება, თუ ომი დაიწყო, ისინი თვითონ მოვლენ აქაო. საკვირველი ის არის, რომ მისი მაშინ დაუჯერებელი სიტყვებიც გამართლდა. მუშა ქალსაც, მაგრამ ცალკე, ამავე საკითხზე ველაპარაკებოდი. მან მითხრა, თუ ეს მოხდა, გერმანელებს შენი შეველა რაში სჭირდებათო. დიდხანს არ ვაუვლია და ომი მართლა გამოცხადდა.

III. მეორე მსოფლიო ომი

როგორც ყველამ იცის, გერმანიამ რუსეთს ომის გამოუცხადებლად შეუტია. ეს ამბავი ბერლინმა და მსოფლიომაც რადიოთი მოისმინა. მაშინ ბერლინში ადგილობრივი ქართველების გარდა, ათიოდე ჩემსავით საფრანგეთიდან სამუშაოდ ახლადჩამოსული ქართველიც იმყოფებოდა.

ომის დაწყებას ქართველობა სხედასხვაგვარად შეხვდა: ზოგი აღფრთოვანებას მიეცა, ზოგმა ეჭვისთვალით შეხედა საქმეს, ზოგი დაიბნა. აქ ჩემი მიზანი არ არის, ვინმეს აზრი შევაცვლევი, ან თუ არა აქვს, შევუქმნა იგი. აქ მხოლოდ ჩემს მაშინდელ შეხედულებას ვამჟღავნებ.

ჩვენ პოლიტიკური ემიგრანტები ვართ. ჩვენი სამშობლო რუსული იმპერიის ნაწილია. ჩვენი მიზანი და სურვილია, ჩვენი ქვეყანა ამ იმპერიის იძულებითი მორჩილებიდან გაეთავისუფლოთ და ქართული სახელმწიფო აღეადგინოთ, რადგან არც ერთ იმპერიას დაპყრობილი ქვეყანა თავისი ხელიდან ნებაყოფლობით არ გაუშვია, რუსეთი თავს არ დაგვანებებს, თუ ვინმემ ან რამემ არ აიძულა იგი.

არიან ისეთი ქართველები, რომელთაც საქართველოს თავისუფლება კი სურთ, მაგრამ პაციფისტური და პროგრესული იდეებით გატაცება უფრო იყრობს მათ, ვიდრე სამშობლოს განთავისუფლების სურვილი. არიან ისეთებიც, რომელთაც ეს თავისუფლება განსაზღვრულ, მათთვის მისაღებ პირობებში სურთ – საქართველო რუსეთისაგან უნდა დაიხსნას დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არავის არაფერი ეწყინოს, არც ეტკინოს.

ქვეყნად იმდენი აზრი და სურვილია, რამდენიც ადამიანი. ქართველთა შორის ეს წონასწორობაც კი არ არსებობს: ქართველი მერყევია. გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის ნაქცევაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის და იყვნენ ემიგრანტები, რომელთაც ოცი წელიწადი თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში

ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვეს, და როდესაც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდვილეში ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენთვის, რადგან დიდ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ გერმანია იყო დაინტერესებული რუსეთის იმპერიის დაშლით, დიას, როდესაც ამ გერმანიამ რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს. მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას განაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და ამავე დროს ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის ფრიად სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებოდა.

გერმანული ჯარები შეუჩერებლივ წინ მიიწეოდნენ და გამარჯვებას გამარჯვებაზე აცხადებდნენ. არც ერთი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია ან ჯგუფი მომზადებული არ არის ამ მოვლენის შესახებდრად, საქმიანი კავშირი გერმანელებთან არავის არა აქვს. გერმანიაში მყოფი ქართველობა სრულ უშინებობას და დაბნეულობას ამჟღავნებს, ამავე დროს გერმანელები ასიათასობით ტყვეს იყვანენ და სრულიად მარტივი ანგარიშით ცხადია, რომ ომის გამოცხადებიდან მათე დღეს, 1 მილიონ წითელარმიელ ტყვეთა შორის 2% ქართველია, ე.ი. - 20 ათასი კაცი. და ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება. რა უნდა ქნას ასეთ პირობებში, ბერლინში მყოფმა ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა, რომელსაც თავისი თავი სამშობლოს გათავისუფლებისათვის მებრძოლად მიაჩნია, მაგრამ არ არის პოლიტიკოსი. არც საამისო პრეტენზია და უნარი აქვს?! პოლიტიკის "კეთება" მე არ შემეძლო და არც სხვა ვინმე ჩანდა ამ ასპარეზზე. ამიტომ ფუჭად ჯდომას და იმის მოლოდინს, რომელიმე ქართული ორგანიზაცია გერმანელებს დაუკავშირდება და ამით მეც საშუალება მომეცემა ჩემი ქვეყნისათვის რამე გავაკეთო-მეთქი, ვამჯობინე - ვიდრე ჩემზე უფრო დიდი ხალხი რამეს მოახერხებდეს, ის გავაკეთო, რის გაკეთებაც საჭიროდ და სასარგებლოდ მიმაჩნია—მეთქი: ე.ი. მუშაობა ქართველ ტყვეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

როდესაც ეს აზრი გერმანულ ქართველებს გავუზიარე და ამაში დახმარება ვთხოვე, ისე შემომხედეს, თითქოს 7 წლის ბავშვს მამისათვის ეთხოვნოს: მამა თვითმფრინავი მიყიდე, მთვარეზე უნდა გავფრინდეთ.

საქმეს მართლაც ძნელი პირი უჩანდა, რადგან პოლიტიკური გზა დახშული იყო, სამხედრო გზა უნდა ამერჩია და ამისათვის მოხალისედ უნდა ჩავრიცხულიყავი გერმანულ ჯარში. ამაზე მითხრეს, რომ გერმანული კანონით უცხოელი და ისიც არაქვეშევრდომი, არ შეიძლება ვერმანტში ჩაირიცხოსო. ასეთი საკითხი ვერმანტის უზენაესი სარდლობის ნებართვით უნდა გადაწყდეს, შენ იქ ვინ მიგიშვებს, ან ასეთ დროს შენთვის ვისა სცალიაო.

გერმანულად ზემოხსენებულ უწყებას ერქვა "ობერ კომანდოდერ ვერმანტ". ვისაც გერმანიაში არ უცხოვრია, იმისათვის ძალიან ძნელია წარმოიდგინოს, თუ რა წონა და როგორი მიუწვდომელი ძალა ჰქონდა გერმანელთათვის ამ ორ სიტყვას.

როგორც ქართველებმა თავის წინაპართა ღმერთი, მთვარე არ დაივიწყეს და წმინდა გიორგის სახით გააცოცხლეს, ისე გერმანელებმა მოუხედავად გაქრისტიანებისა, მათი ძველი ღმერთი გულში და გონებაშიც შეინახეს და სწორედ "ვერმახტი", ე.ი. სამხედრო ძალა იყო ამ ძველი ღმერთის განსახიერება.

მაგრამ მე გერმანიაში ახლადჩასული ვიყავი და გერმანულ ატმოსფეროს ჩემზედ ჯერ არ მოეხდინა ის გამანადგურებელი და გამსრესი გავლენა, როგორც მან იქ ხანგრძლივად მცხოვრებ ქართველებზე მოახდინა.

ყოველმა ბერლინელმა იცის ტირპიცის სანაპიროზე მდგარი მუქი რუხი ქვისაგან აგებული უზარმაზარი შენობა, რომელშიც ვერმახტის უზენაესი სარდლობა იყო მოთავსებული. ვერცერთი ბერლინელი ქართველი ვერ დავეითანხმე, რომ გასამხნეველად მინც გამომყოლოდა. ორი დღის განმავლობაში, ალბათ, ოცჯერ მინც აუუარ-ჩაუუარე ამ შენობას და იმის მიხედვით, თუ გარედან რასაც ვხედავდი, ვფიქრობდი შევალ, მაგრამ, ალბათ გარეთ გამომისტუმრებენ-მეთქი. მთავარი კარების წინ ნამდუაუნუმ შავი სამხედრო "მერსედესები" ჩერდებოდნენ და მთელი ომის განმავლობაში იმდენი ოფიცერი არ მინახავს, რამდენიც იმ ორ დღეში იქ შესული და იქიდან გამოსული ვნახე.

ბოლოს გამბედაობა მოვიკრიბე, შედარებით მშვიდი დრო შევარჩიე და შევედი. შესვლისთანავე მორიგე ოფიცერი გადამელობა და მკითხა - რა გნებაეთო? უკვე ადრევე მოფიქრებული მქონდა, რა უნდა მეთქვა და როგორ უნდა დამეწყო, მაგრამ როგორც ასეთ შემთხვევებში მუდამ ხდება, მთელი მოფიქრებული გეგმა უცებ თავიდან გაქრა. სულელურად გავიღიმე და ვუთხარი - მე უცხოელი ვარ, პოლიტიკური ემიგრანტი და მსურს ჩემი სამსახური შევთავაზო რუსების მონინაალმდევე მხარეს, გერმანულ ვერმახტს -მეთქი.

თვალის არ დაუხამხამებია - თითქო მე მიცდიდაო. იქვე მჯდომ ჯარისკაცს ჩემზე ანიშნა და უთხრა, აბვერის მეოთხე განყოფილებაში წაიყვანეთ ბატონიო. "აბვერ" გერმანულად მოგერიებას ნიშნავს და მეც ეს სიტყვა ასე გავიგე, რადგან მხედართა ენაზე მისი მნიშვნელობა არ ვიცოკი. მალე გავიგე, რომ ეს სიტყვა ნიშნავს იმასაც, რასაც ფრანგები კონტრდაზვერვას უწოდებენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ახალგაზრდა და სიმპათიური კაპიტნის წინ ვიჯექი რბილ სავარძელში.

"მამ თქვენ პარიზიდან ჩამოსული ქართველი ხართ და გერმანულ ჯარში გსურთ შეხვიდეთ, რადგან თქვენი აზრით, გერმანიის და თქვენი ქვეყნის ინტერესები, რაც რუსების წინააღმდეგ ომს შეეხება, ერთმანეთს ემთხვევა არა?" დაბა, — ვუპასუხე მე.

"მამ, ვიდრე ამ საკითხზე ვილაპარაკებდეთ, მსურს რამდენიმე ცნობა მივიღო თქვენ შესახებ. ვის იცნობთ ბერლინელ ქართველთა შორის და ვის შეუძლია თქვენ შესახებ ცნობების მოცემა?" მე ვუპასუხე, რომ ყველა ბერლინელ ქართველს ვიცნობ, ხოლო რაც შეეხება ცნობების მოცემას, მგონი უმჯობესი იქნება კოლონიის თავმჯდომარე ბატონი ტიტე მარგველაშვილი დავასახელო-მეთქი.

არა მგონია, პარიზის სამხედრო უწყებაში მომხდარიყო ის, რაც ამ ჩემს განცხადებას მოჰყვა: ოფიცერმა მაგიდაზე ზარის ლილაკს თითი დააჭირა და მიკროფონში ბრძანება გასცა, შემაერთეთ ქართული კოლონიის თავმჯდომარის ბატონ მარგველაშვილის ბინასთანო. ნუთსაც არ გაუვლია, ზარმა დარეკა და ჩემი კაპიტანი ტიტე მარგველაშვილს ჩემ შესახებ ელაპარაკებოდა. საუბარი სულ მოკლე იყო. ვხედავდი, რომ მან ჩემთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი მოიტანა: თქვენ ჩვენთვის სანდო და მისალები ხართ, — მითხრა კაპიტანმა, — მხოლოდ საქმე ისე არ არის, როგორც წარმოგიდგენიათ. შეუძლებელი არ არის, გამონაკლისის სახით მოხერხდეს თქვენი ჩარიცხვა მოხალისედ გერმანულ ჯარში, მაგრამ ეს კიდევაც რომ მოგიხერხოთ, ვიღებ რა მხედველობაში იმ სურვილებს, რაც თქვენ აქ გამოთქვით, ვფიქრობ, ამგვარი გამოსავალი თქვენთვისვე არადამაკმაყოფილებელი იქნება. თქვენ რომ გერმანულ ჩეულებრივ ნაწილში მოხალისედ ჩაირიცხოთ, ნ თვე მაინც სადმე გარნიზონში მეცადინეობაში უნდა გაატაროთ. თქვენ კი გსურთ, რაც შეიძლება ჩქარი კონტაქტი ფრონტთან და გერმანელების თქვენს თანამემამულე ტყვეებთან არა? ჰოდა, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ნ თვეში კავკასია და მისი ნავთობი ჩვენს ხელთ არ იყოსო (ეს "ღმერთმა დაგვიფაროს" მე მაშინ ფრაზოლოგიურად მივიღე და გამიკვირდა კიდევაც. ნ თვე არ აღმოჩნდა საჭირო რომ გამეგო, რამდენი სიმართლე იყო ამ სიტყვებში).

"ასე რომ, ჩეულებრივი მოხალისეობა თქვენ არ გამოგადგებათ. მე თქვენ გაგაგზავნით ვენაში, საიდანაც კავკასიისათვის შედგენილი განსაკუთრებული კომანდო რამდენსამე დღეში დაიძვრება. თქვენ გექნებათ მეტი უფლება და ნაკლები მოვალეობა, ვიდრე უბრალო ჯარისკაცს იმიტომ, რომ არავითარი კონტრაქტით შეზღუდული არ იქნებით. ამაზე მეტს მე აქ ვერ გეტყვით, ადგილზე ნახავთ და, თუ პირობები არ მოგეწონათ, შეგეძლებათ წასვლაზე უარი განაცხადოთ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კმაყოფილი იქნებით". როგორც ხედავთ, საქმე ისე შეტრიალდა, მეტის ნატვრაც არ შეიძლებოდა. ყოველ შემთხვევაში, უმოქმედობას, რაც მე ასე მანუხებდა, ბოლო ეღებოდა, რალაც მუშაობისათვის გზა მებსნებოდა და გახარებული დავთანხმდი. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სწორედ საქმის ასე ადვილად მოგვარებამ ჩემში რალაც ეჭვი დაბადა. ჩვენ, ემიგრანტები, ისე ვიყავით დაწვეულნი უბედობას, ამქვეყნად ჩვენს "ზედმეტობას," რომ სრულიად ბუნებრივია, როცა ვინმე თქვენდამი უცებ ნდობას და ინტერესს გამოიჩინს, გულში ვილაც გეუბნება, "ეს რომ სახარბიელო საქმე იყოს, შენთვის კი არ იქნებოდაო". ასეა თუ ისე, ნაბიჯი გადადგმული იყო.

იმ დროს ბერლინში, ერთ პატარა ქარხანაში ვმუშაობდი, რომლის დირექტორიც ვალიკო ტოგონიძის სტუდენტობისდროინდელი ამხანაგი იყო და ამ ტოგონიძემ მომანყო სამუშაოზე. ომის დროს ქარხნის დატოვება საკუთარი სურვილით არ შეიძლებოდა და ჩემმა ოფიცერმა ვერმახტის ობერკომანდოს ბლანკზე დანერილი ბრძანება გამატანა ქარხნის ადმინისტრაციისათვის, რომელშიაც ნათქვამი იყო,

რომ მიხეილ ქავთარაძე დღეიდან ითვლება ვერმახტის თანამშრომლად და ობერ-კომანდოს განკარგულებაში იმყოფება, ამიტომ ქარხნის ადმინისტრაციას ვეალებოდა, ქავთარაძე ყოველგვარი მოვალეობისაგან გაათავისუფლოსო.

ამ ქალაქადმი წავედი ქარხანაში. მეორე დღეს ისევ შტაბში უნდა გამოვცხადებულყავი. ტოგონიძემ ყველაფერი იცოდა ჩემი მოქმედებისა და სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით სულ მირჩევდა, ამ ცდაზე ხელი ამელო და აი, ახლა, ქარხანაში რომ მივედით, ტოგონიძე დირექტორის კაბინეტში დამხვდა და კიდევ მარწმუნებდა, ნუ მიდინხარო. დიდხანს ვიდავეთ ამ საკითხზე, დირექტორიც ჩვენს საუბარში მონაწილეობდა რაიმე პოზიციის დაჭერის გარეშე. მე ჩემსას არ ვიშლიდი და ბოლოს ტოგონიძეს ვუსაყვედურე: შე კაი კაცო, თავს ნაციონალისტად თვლი, ქართულ ნაციონალ-სოციალისტთა ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელთაგანი ხარ, ნაცისტური გერმანია კომუნისტურ რუსეთს ეომება და შენ მირჩევ ამ ბრძოლაში ჩემი წილი არ შევიტანო, მაშინ ამიხსენი, რაღას ვუცადო-მეთქი. აქვე უნდა ვთქვა, რომ ტოგონიძის არგუმენტთა შორის ისიც იყო, ჩვენ ემიგრანტები უბრალო ჯარისკაცებად არ უნდა წავიდეთ, ჩვენი როლი და დანიშნულება სხვა არისო. ტოგონიძე ცდილობდა, რომ ჩვენი საუბარი უმთავრესად ქართულად წარმართულიყო, მაგრამ მე უხერხულად და გაუმართლებლადც მიმარნა, დირექტორის თანდასწრებით მისთვის გაუგებარ ენაზე გვესაუბრა და მხოლოდ გერმანულად ვპასუხობდი, რამაც ტოგონიძის პოზიცია შეაუსუსტა და ჩემთან დაეა შეწყვიტა.

მეორე დღეს ისევ შტაბში გამოვცხადდი, რომ საჭირო ქალაქები მიმელო. შესვლისას მოსაცდელ დარბაზში ნაცნობი სახე შევამჩნიე. ეს გახლდათ კაპიტანი ნანუაშვილი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ პარიზში გავიცანი გენერალ კვინიტაძის ოჯახში. მასთან ერთი სხვა ქართველიც იყო, იუნკერი გენო ხუნდაძე. გამოველაპარაკე. მითხრა, რომ მეც ვენაში მივდივარო. მე ჩემი მდგომარეობა ვუამბე, მან კი მხოლოდ გაკერით და ბუნდოვნად მითხრა, რომ გერმანელებისაგან დავალება მივიღე, ჯერ ვენაში და შემდეგ ოსმალეთში ვაპირებ ნასვლასო. წინადადება მივეცი, ვენაში შევხვდეთ ერთმანეთს-მეთქი და პაემანი ვენის სადგურზე დავნიშნეთ, რის შემდეგაც ნანუაშვილი და ხუნდაძე წავიდნენ, მე კი ჩემს კაპიტანთან გამოვცხადდი. უკვე გამზადებული ჩემი ქალაქები მაგიდაზე იდო. გადმომცა და მითხრა: "გთხოვთ, ზუსტად შეასრულოთ შემდეგი ინსტრუქციები: "თქვენს ხელთაა ნაშუადღევის 6 საათის მატარებლის ბილეთი. ვენაში გამოცხადდებით აღნიშნულ მისამართზე, იკითხავთ პაუპტმან ნოვაკს, გადასცემთ თქვენს ქალაქებს და ეტყვიან, რომ თქვენ "მესამე კაცი არა ხართ". გისურვებთ ყოველივე კარგს, იმედი მაქვს საქართველოში შეეხვებით" და ხელი გამომიწოდა.

გამოსვლისთანავე გადავათვალიერე ქალაქები, რომლებიც გადმომცა. ერთი დაბეჭდილი წერილის გარდა, ორი ფურცელი იყო. ერთი სამხედრო სამგზავრო ბილეთი ბერლინიდან ვენამდე, მეორე კი - ჩემი მონაშობა, რომელზედაც აღნიშნული

იყო: "ვერმახტის თანამშრომელი მიხეილ ქავთარაძე მიემგზავრება ბერლინიდან ვენაში". მეტი არაფერი, და ფურცელს ზედ ესვა ვერმახტის ობერკომანდოს ბეჭედი.

სადგურზე არავის გავუცდილებივარ. არავითარი ბარგი არ წამიღია. უკან არაფერი მრჩებოდა, წინ იმედით ვიცქირებოდი.

მეორე დღით ვენის სადგურზე შევხვდი ნანუაშვილს და ხუნდაძეს. გამოირკვა, რომ ისინიც ჩემთვის მოცემულ მისამართზე უნდა გამოცხადებულიყვნენ ჰაუპტმან ნოვაკთან. მაშ, ჯერ ოთახები დავიჭირავითო. მე ვგრძნობდი, რომ ოთახი არ მჭირდებოდა, მაგრამ რადგან იმათი ვითარება კარგად არ ვიცოდი, დავთანხმდი. სამივემ ერთი დიდი ოთახი ავიღეთ, ვისაუზმეთ და აღნიშნული მისამართით გავნიეთ. ჩვეულებრივი სახლი და უსახელო რაღაც სამხედრო დანესებულება იყო. შევედით და ვიკითხეთ ჰაუპტმანი ნოვაკი. გაიკვირვეს, ასეთი გვარის აქ არავინ არისო. როგორ არ არის, ვერმახტის ობერკომანდომ ეს მისამართი მოგვცა და გვითხრეს, რომ ჰაუპტმანი ნოვაკი ვიკითხითო. ჰაუპტმანი, რომელსაც ველაპარაკებოდით, დაფიქრდა და გვთხოვა, ჩვენი ქალაქები გვეჩვენებინა. ჩვენ შევცოყმანდით და გავასხენეთ, რომ ეს ქალაქები ნოვაკისათვის უნდა გადაგვეცა. ჰაუპტმანს გაეცინა, თუ ამ დანესებულების მისამართი გაქვთ, უფროსი მე ვარ და თუ თქვენი ნოვაკი ჰაუპტმანია, მეც ჰაუპტმანი ვარო. სხვა გზა არ იყო, მივეცით ქალაქები. გადახედა თუ არა, გვითხრა: "ჰო, თქვენ ბერლინიდან მომავალი ქართველები ხართ? აგრე გეთქვათ თავიდანვე. თქვენი მატარებელი, მგონი, ხვალ ან ზეგ უნდა გადიოდეს. თქვენ, ალბათ, ვენას არ იცნობთ, ამიტომ გამცილებელ ჯარისკაცს გაგაყოლებთ, რომელიც არსენალში წაგიყვანთ, რადგან თქვენ სინამდვილეში იქ უნდა გამოცხადდეთ". ამ სიტყვების შემდეგ, ჩვენ სამის სახელზე, გამოწერა არსენალში შესაშვები მონმობა, რომელიც ჯარისკაცს გადასცა და უთხრა, ესენი ტრამეაით არსენალამდე მიაცილე და ეს ფურცელი საყარაულოში გადაეცი, რომ შეუშვანო. ამ სიტყვების გაგონებაზე ნანუაშვილმა ოტელში დატოვებული ბარგი გაიხსენა. ამაზე ოფიცერმა გვითხრა, თქვე კაიკაცებო, ბარგი თან ვერ ატარეთ? ოთახი რად გინდოდათ. ახლა აქედან სადგურზე უნდა წახვიდეთ და მერე ისევ უკან უნდა დაბრუნდეთო? მერე ისევ ჯარისკაცს მიუბრუნდა და უბრძანა, ოტელში გამოგვყოლოდა და იქიდან პირდაპირ არსენალში წავეყვანეთ. ამდენ ლაპარაკსა და თარჯიმნობაში სრულებით დამავინწყდა ოფიცრისათვის გადამეცა დაბარებული სიტყვები, რომ მე "მესამე კაცი არა ვარ". გამოვედით ქუჩაში და ოტელში გავლის შემდეგ არსენალისაკენ გავნიეთ. გზაში მე ნანუაშვილს ვუთხარი, რომ დაბარებული სიტყვების გადაცემა დამავინწყდა, მაგრამ იგი ამ სიტყვების მნიშვნელობას მიხვდა და დამამშვიდა: მესამე კაცი იყო როტმისტერი კვალიაშვილი, რომელსაც ბერლინში ჩამოსვლა დაუგვიანდა და ამგვარად იგი აკლდა ნანუაშვილის ჯგუფს. მაშასადამე, დანაბარები იმას ნიშნავდა, რომ მე კვალიაშვილი არ ვიყავი და ნანუაშვილის ჯგუფს არ ვეკუთვნოდი.

იმდროინდელ ვენას არათუ არაფერი ჰქონდა შემორჩენილი წარსული ბრწყინვალეებისაგან, არამედ ისეთ სიცარიელესა და მღუმარებას მოეცვა, რომ თუ არა

წარსულ დროთაგან დარჩენილი სასახლეები თუ თეატრები და პარკები, ქუჩების უსიცოცხლობის გამო, კაცი იფიქრებდა, პატარა პროვინციული ქალაქი. გადავჭერთ სრულიად ცარიელი განთქმული პრაქერი და მივადევით ვენის არსენალის მრისხანე და პირქუმ ალაყაფს. ამ არსენალის შენობაში ბინადრობდა ძველად ვენის საარტილერიო პოლკი, რომელშიაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის არისტოკრატიულ ოჯახთაგან გამოსული ოფიცრები მსახურობდნენ და რომელსაც ტრადიციულად იმპერატორის ოჯახის წევრები უფროსობდნენ. აქ მსახურობდა მაიერლინგის ტრაგედიის გმირი უფლისწული რუდოლფი.

მე არც პირადად, არც წინაპრებით არავითარი მხედრული ტრადიცია არ მომდევდა, რომ ასეთ გარემოში მოხვედრას ჩემთვის გული აეძკებებინა, ამიტომ ნაწუაშვილს შევხედე, აბა, რას იტყვის-მეთქი, რადგანაც იგი თუმცა მეცხვარის ოჯახიდან იყო გამოსული, მინც პოლონური გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და ვარშავასა და ვენას ხომ აუარებელი მტრული თუ მეგობრული ამბები აკავშირებს. იტყობა, ნაწუაშვილი ამგვარ საკითხებზე ფიქრის გუნებაზე არ იყო, რადგან უზარმაზარ სადარაჯო კოშკებს შორის დაკიდებულ რკინის კარებს ისე მივადექით, რომ ხმა არ ამოულა.

ჩვენმა გამცილებელმა ჯარისკაცმა ჩვენი შესაშვები ბარათი დარაჯს აჩვენა და ამით საყარაულო შენობაში შევივხვეს. აქ მან ეს ქალაქი ყარაულის უფროსს გადასცა, კარგად იყავითო, გვითხრა და წავიდა.

ყარაულის უფროსმა უნტერ-ოფიცერმა კედელზე გაკრულ, არსენალის გეგმას შეხედა. შემდეგ ერთ ჯარისკაცს მიუბრუნდა და უთხრა: ბატონები მეცხვრე ობიექტში წაიყვანეთ. ამის გაგონებაზე სხვა ჯარისკაცმა, მაგიდასთან მჯდომმა, ღიმილით ჩაილაპარაკა: რა დააშავა ამ ხალხმა ისეთი, რომ ასეთ ადგილზე მიჰყავთ, საიდანაც არავინ ბრუნდებაო. აქვე უნდა ვთქვა, რომ გეგმაზე, ოთხკუთხედში, რომელსაც რიცხვი "9" ეწერა, ამასთანავე დიდი შავი ჯვარიც იყო აღნიშნული. ამ დეტალს ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ ვიდრე ამ ჯარისკაცის შენიშვნაზე რამეს ვიფიქრებდი, ნაწუაშვილმა, რომელსაც გერმანული ცოტათი ესმოდა, ჩამილაპარაკა - დასახვრეტად მიყავართო. ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვსო. მართო რომ ვყოფილიყავი, ჩემი უდანაშაულობა ამგვარ რამეს არ მაფიქრებინებდა, მაგრამ ნაწუაშვილი და ხუნდაძე პოლონეთის ჯარის ოფიცრები იყვნენ, რომელთაც გერმანელების წინააღმდეგ იომეს, ხომ შესაძლებელია, ისინი ისეთ რამეში ყოფილიყვნენ გარეული, რომლისთვისაც, გერმანელები თუ გაუგებდნენ, დახვრეტდნენ. თუ არაფერი ამის მსგავსი არ არის, რატომ წარმოთქვა ნაწუაშვილმა ეს სიტყვები. აქვე მომაგონდა ბერლინელი კაპიტნის სიტყვები — უთხარი, რომ თქვენ "მესამე კაცი არა ხართ", სიტყვები, რომელთა თქმა დამავიწყდა ჩვენი არსენალში გამოგზავნი ოფიცრისათვის, და, მაშასადამე, თუ ამათ დახვრეტდნენ, მე იმ "მესამე კაცის" ე.ი. კვალაშვილის მაგივრად დახვრეტილები. იმის დრო და ადგილი არ იყო ნაწუაშვილისათვის საქმის ვითარება

გამომეკითხა. უნტერ-ოფიცერს ვუთხარი, მორიგე ოფიცერის ნახვა მსურს -მეთქი. გაუკვირდა, მაგრამ გვერდით ოთახის კარზე დააკაკუნა და იქ მჯდომ ხანშიშესულ რეზერვის კაპიტანს მოახსენა, თქვენი ნახვა სურთო. კაპიტანმა თავაზიანად მკითხა, რით შემიძლია, გემსახუროთო. მე მოკლედ ვუთხარი ჩვენი არსენალში მისვლის მიზეზი და დავუმატე, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამის გამო ქალაქში უნდა დავბრუნდეთ -მეთქი. მიპასუხა, თქვენმა მომყვანმა თან მოიტანა თქვენი არსენალში შემოსაშვები ქალაქი, აქედან გასვლის უფლება კი იმისგან უნდა მიიღოთ, ვისთანაც მიდიხართ. საყარაულო მხოლოდ კონტროლს ასრულებს, უმონზობოდ მე ვერც ვერავის შემოვუშვებ, ვერც გავუშვებო. მაშინ მე ვთხოვე, ნება მომეცით, რომ ბერლინში ვერმახტის ობერკომანდოში დავერეკო-მეთქი (იქაური კაპიტნის ნომერი მქონდა). არც ამის უფლება მაქვს, რადგან აქედან დარეკვა უფასოა და მხოლოდ სამსახურებრივი საქმისათვის შეიძლებაო.

ამგვარად, ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, როგორც ხაფანგში მომწყვდეული ვირთხა და, მიუხედავად იმისა, რომ აღაშინა "ბუნების მეფეა", მისი რეაქცია ამგვარი მოვლენის მიმართ იგივეა, როგორიც - ვირთხისა. მეც ყოველად უიმედო ძებნა დავიწყე გამოსაძრომი ხერელისა, თუმცა ხომ უნდა დამენახა, რომ ხერელი არ არსებობდა. ნეტა რა ხელობისა იყო ის ოფიცერი მოქალაქეობაში, რომ ამდენი მოთმინება გამოიჩინა და უხეშად არ მომიშორა უცნაურად ატეხილი კაცი. რა არ მოვიგონე. დიდხანს ვანვალე ის პატიოსანი კაცი და თავიც გავინვალე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ოფიცერმა მეცხრე ობიექტშიც დარეკა და უთხრა, ასეთი ხალხი მოვიდა თქვენთან მოსასვლელი ქალაქით და ქალაქში დაბრუნების უფლებას თხოულობენო. იქიდან უპასუხეს, აქ მოვიდნენ და რაც საჭიროა, გავუკეთებთო. სხვა რა გზა დამრჩენოდა, პირდაპირ ვუთხარი, გაუგებრობასა აქვს ადგილი, ჩვენ ჩვენი ნებით მოსულები ვართ და არა დასახვერტები -მეთქი. კაპიტანს დიდი გაკვირვება გამოეხატა სახეზე. მერე ვინ გიპირებთ დახვერტასო. მე გავუმეორე ჯარისკაცის ნათქვამი. კაპიტანმა გულიანად გაიცინა და დასძინა, აი, რას ნიშნავს უადგილო ხუმრობა, მეცხრე ობიექტში მორიგე არის და ჯარისკაცის სიტყვები ამას გულისხმობდაო.

ამით დამშვიდებულნი და ცოტათი დარცხვენილნიც საყარაულო შენობიდან გამოვედით და არსენალის სიღრმეში მიმავალ ხეივანს გავყევით. ერთ დიდ გზა-ჯვარედინს რომ ვუახლოვდებოდით, იმავე ჯვარედინისაკენ მიმავალი პატარა რაზმი გამოჩნდა. ჯერ კიდევ შორიდანვე ეს რაზმი მეუცნაურა. ვისაც საამისო გამოცდილება აქვს, მან იცის, რომ როგორც სხვადასხვა ცხოველების ჯოგს, მაგალითად ცხენისა ან ძროხისას, კაცი შორიდანვე გამოიცნობს ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რიტმითა და რხევით, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ჯარებს თავიანთი სიარული ახასიათებს: ფრანგები, იტალიელები, ინგლისელები და გერმანელები სულ სხვადასხვაგვარად დადიან. ვიდრე მე ბერლინში გადმოვიდოდი, რამდენიმე თვე ჰანოვერში ვიმუშავე სამხედრო მშენებლობაზე

და ჩემი თვალი გერმანული ჯარის სიარულის ცქერას შეჩვეული იყო. მაგრამ ის რაზმი, რომელსაც ჩვენ ვუახლოვდებოდით, რაღაც "არაგერმანულად" მოდიოდა. როდესაც ისეთ მანძილზე დავუახლოვდით, რომ ადამიანთა სახეების გარჩევა შეიძლებოდა, ისეთი რამ დამემართა, რომ ჩემი თავისა შემრცხვა. ვფიქრობდი, ეს რა მომდის -მეთქი. საყარაულოში მომხდარმა ამბავმა ისე როგორ გამაფუჭა, რომ უდაბნოში დაკარგული მწყურვალევით პალუცინაციები მემართება-მეთქი. ამ გერმანულ ჯარისკაცებში პარიზელი ქართველების სახეებს ვხედავდი და როგორ უნდა ამეხსნა ეს ამბავი, თუ არა პალუცინაციად. მაგრამ, როდესაც რაზმი უფრო დამიახლოვდა და თავში მომავალი სიმონიკა ბერეჟიანი და ჟორა ინჯია გარკვევით ვიცანი, დავმშვიდდი და დავრწმუნდი, რომ მოჩვენება არ იყო.

როდესაც "მეცხრე ობიექტის" ეზოში შევედით, იქ გერმანულ ფორმაში გადაცმული პარიზის ქართული კოლონია დაგვხვდა. რაზმი, რომელსაც ჩვენ შევხვდით იმ ოთხმოცკაციანი ჯგუფის ნაწილს შეადგენდა, რომელიც პარიზიდან ვენაში ჩამოსული, ხვალ თუ ზეგ ფრონტისაკენ უნდა დაძრულიყო.

აქ მხოლოდ პარიზელები არ იყვნენ. პოლონეთის ჯარის რამდენიმე ქართველი ოფიცერიც იყო ამათში - თევზაძე, იმნაძე და კიდევ ერთი თუ ორი.

სად უნდა წავეყვანეთ, რა მოგველოდა, დანამდვილებით არავინ იცოდა. აქ გავიგე, რომ მთელი ამ ამბის ავან-ჩავანი მიხეილ კედია ყოფილა. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, მაგრამ რა, გინდ მიშა კედიაც იყოს, განა სხვაზედ ნაკლები ქართველია? ეს ვიფიქრე და უფრო შორს ფიქრი არც მიცდია.

აქვე იყვნენ ჩემი უახლოესი მეგობრები და პარტიული კოლეგები სინჯიკაშვილი და ცომიაია. პირველი ფრანგულ ჯარში იყო განწეული და კედიას შუამდგომლობით გაუთავისუფლებიათ ტყვეობიდან გერმანელებს. ამათ გაკვირით მითხრეს, თითქმის ხუმრობით, სპირიდონს "გავექეციოთ". მეც ნახევარ ხუმრობად მივიღე. "გაქცევა", ცხადია, პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გამეგო. არც ამ საკითხს ჩავდიე. მე ხომ ჯარისკაცი ვიყავი და ამასთან დაკავშირებული საკითხები უფრო მაინტერესებდა, როგორც აქტუალური და რეალური. იმაზე ვფიქრობდი, სად წავიდეთ, ქართველ ტყვეებს როდის შევხვდებით, საქართველოს როდის მივუახლოვდებით და სხვა ამგვარები.

მე ჯერ კიდევ იმ განწყობილებას ვატარებდი, ბერლინში კაპიტანთან შეხვედრისას რომ მქონდა, მაგრამ პარიზელებს თავიანთი "პოლიტიკაც" თან ჩამოეტანათ. იყო გაუთავებელი მოლაპარაკებები, კომბინაციები, ვარაუდები. თითქოს უკვე რამე გვექონდა გასაყოფი, თითქოს "ადგილების" განაწილება უკვე დაწყებულიყო.

ასეთ საკითხებში აქტიურად არც ადრე ჩაერეულვარ. ამისი უნარი და მიდრეკილება არასოდეს მქონია და ახლა როგორღა ჩავერეოდი. არათუ ჩარევა, არც კი შესმოდა, რაში იყო საქმე. რა იყო "სათათბირო?" ეს ფორუმი რამდენსამე დღეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში კიდევ რამდენიმე ქართველი მოგვემატა — ტყვეობიდან გაათავისუფლებული საფრანგეთის ყოფილი ჯარისკაცები.

მახსოვს, ერთმა მათგანმა, მიმინოშვილმა ჩვენთან შეერთებაზე უარი განაცხადა: კარგად არ მახსოვს, ტყეობაში დაბრუნდა თუ გათავისუფლებული დარჩა.

ბოლოს გამოგვიცხადეს, რუმინეთში მივდივართო და მატარებელში ჩაგვსხეს. ჩემ გარდა ყველას ფორმა ეცვა. იარაღი კი ჯერ არავისა ჰქონდა, გარდა პირადი რევოლვერებისა, ზოგ "კაი ბიჭს" რომ უსათუოდ უნდა ედოს ჯიბეში. საკუთარი იარაღით გერმანულ ჯარში წასვლა! მაშინ ამაზე მეღიმებოდა, ახლა კი ვფიქრობ: ბოლოს და ბოლოს, ეს ატავიზმია. ძველ საქართველოში ხომ მოლაშქრენი თავიანთი ცხენ-იარაღით გამოდიოდნენ. ცხენს პარიზიდან ვინ წამოიყვანდა, ვერც ტყვიამფრქვევს იშოვნიდნენ, რევოლვერი, კი სიმბოლურად მაინც, შეიარაღებულად მოსვლას ნიშნავს.

სამგზავროდ ორი ვაგონი გვქონდა, ძველებური ტიპისა. უნგრეთის მინა-წყალი საკმარისი სიჩქარით გადავჭყრიეთ (მგონი ორ თუ სამ დღეში. ვაგონები საბარგო მატარებელზე იყო მიბმული).

"პარიზელები" კარგ გუნებაზე იყვნენ. ხან ვიმღერდით, ხან სასაცილო ამბებს ვყვებოდით. სადაც მატარებელი ჩერდებოდა, უნგრელ გოგოებთან ვცდილობდით გამოლაპარაკებას, როგორც შეგვეძლო. ძალიან უკვირდათ ასეთი უცნაური "გერმანელების" ნახვა.

როცა რუმინულ ტერიტორიაზე გადავედით, მატარებელმა სიჩქარეს ძალიან უკლო. გაუთავებელი მანევრები საბარგო სადგურებზე, ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში ერთ ადგილზე აქეთ-იქით გვაგორებდნენ და მერე მოულოდნელად და გაუფრთხილებლად დაიძვრებოდა მატარებელი.

საკვირველია, რომ არავინ ჩამოგვრჩა, ალბათ, იმისი მაღლით, რომ არც მატარებელი იძვროდა ხოლმე დიდი სიჩქარით, თორემ ყოველი დაძვრისას ჩვენი ჯგუფის ნახევარი მაინც სირბილით აედევნებოდა ხოლმე მატარებელს. ბოლოს რის ვაივაგლახით ბუქარესტს ჩავედით.

ბუქარესტში ერთ საზიზლარ გარეუბანში მდებარე ასევე საზიზლარ ბარაკებში მოგვათავსეს. იმ ადგილს ერქვა „კოტრო ჩინი" ეს სახელი ბევრმა ცუდ ნიშნად მიიჩნია — ამ სიტყვას ქართული მნიშვნელობა გამოუნახეს და კოტრი ჩინი გამოვიდა. მართლაც, სიტყვას თუ მაგიურ მნიშვნელობას მიანიჭებ, კარგი რამის დამკვეთი არ იყო ასეთი სახელი, და აკი, ვერც კარგად დასრულდა ჩვენი წამოწყება.

ადგილი იყო ჭაობიანი, ტალახიანი და დანაგვიანებული. აქ დაგვინყეს სხვადასხვა სნეულებათა საწინააღმდეგო ნემსების კეთება და აცრა. ამან ყველა ავად გაგვხადა, ზოგს სიცხე ჰქონდა, ზოგს კუჭის აშლილობა და, საერთოდ, ყველას დიდი დაღლილობა შეგვეყარა.

აქვე დაგვეწია მეორე ოთხმოცკაციანი ჯგუფი პარიზელი ქართველებისა. ასე რომ, 160-მდე ავედით. აქ დაინყეს გერმანელებმა ჩვენთვის სამხედრო ნიგნაკების შედგენა - შეცვლილი, ყალბი გვარებით. სისტემა მარტივი იყო. წინ ედოთ ენციკლოპედიური ლექსიკონი და მავანს იმ გვარს აძლევდნენ, რომელსაც ლე-

ქსიკონში იპოვნინდნენ ნამდვილ გეართან დასაწყისით დაახლოებულს. ამგვარად ყანჩელი (ჯიბო) კანტი აღმოჩნდა, დადეშქელიანი (თენგიზი) დანტონი, ნოზაძე (ვიქტორი) - ნოსკე, მე კლაფტერად მომნათლეს და ასე ყველა. საკვირველია, რომ გერმანელები ამ საშუალებით საიდუმლოს შენახვას აპირებდნენ. ამაზე იტყვიან რუსები "на всякого мудреца доводиться простоты".

აქვე დაიწყო პირველი "ქვემიდან გამოსვლა". თუმცა ყველაზე ეს არ ითქმის. მაგალითად, ავადმყოფი ფილიპე შარაძე თავიდანვე არ უნდა წამოსულიყო, მაგრამ ისიც საფიქრებელია, და არც იმის წარმოდგენა იყო შეუძლებელი, რომ გერმანელები თუ ასე გაუჩერებლად ივლიდნენ, როგორც აქამდე მიდიოდნენ, ჩვენც სასწრაფოდ უნდა ავდევენბოდით, რომ უჩვენოდ არ შესულიყვნენ საქართველოში. მაგრამ ავადმყოფობით არ აიხსნება ჯუანშერ ლალიძის ან ირაკლი ზალდასტანიშვილის უკან დაბრუნება. მაგრამ რაც იყო, იყო.

ბუქარესტში ორიოდე კვირა დაერჩით. ეს საჭირო იყო სამედიცინო მიზეზით. აქედან კამიონებით (საბარგო მანქანებით) წავედით, არც მაინცდამაინც შორს ბუქარესტიდან აღმოსავლეთით, კარპატების ძირში დაბლობზე მდებარე დიდ სოფელში; სახელად ოდოპეშიტი ერქვა. მდიდარი სოფელი იყო. მეღვინეობას მისდევენ. მოსახლეობა რუმინელები და ბოშები — არა მოხეტიალენი, არამედ ნერილი გლეხები. დაგვაბინავეს საკმაოდ სუფთა ყაზარმებში, რომელიც წინათ სამხედრო სკოლას ეჭირა თურმე. შენობები ბალბოსტნიებიან მამულში იდგა. ერთ-ერთ შენობაში რუმინელი ოფიცერი ცხოვრობდა და მასთან ოციოდე ჯარისკაცი, ეს ჯარისკაცები სინამდვილეში მისი მოსამსახურეები იყვნენ. ერთი მათგანი მთელი დღე ბოსტანში იდგა, ხელში რალაც სატკაცუნებელი ეჭირა ჩიტების დასაფრთხობად, სხვებიც სხვადასხვა შინაურ საქმეებში იყვნენ ჩაბმული. რუმინეთში ისეთი სისტემა იყო, რომ ჯარისკაცთა სარჩენი თანხა ოფიცერს ეძლეოდა და იგი ზრუნავდა მათი კვებისათვის. ეს ჩვენი ოფიცერი, ეტყობა, სხვის მადას მოკლედ ზომავდა. მისი ჯარისკაცები ჩვენთვის მოტანილი სადილის ნარჩენებს უდარაჯებდნენ ხოლმე, რომ რამე რგებოდათ საცოდავებს.

ჩვენ საკუთარი სამზარეულო არ გვექონდა, მახლობელ ქალაქ ვოქშიანიდან მოგვექონდა ხოლმე კამიონით. შოფრები ჩვენები იყვნენ - შანშიაშვილი, ბოკუჩავა და, მგონი, ორიოდე სხვაც. ის სადილები ცუდი არ იყო, მაგრამ გერმანული უკმაზი კერძი მალე მოგვწყინდა. თანაც აღმოჩნდა, რომ რუმინულ რესტორანში ფასები საოცრად დაბალი იყო და თანაც ამ რესტორნებში ჩვენებური მენიუ — ქათმის წვინანი, ბრინჯის ყველი და ღომი გვექონდა და, თუ ამას დაეუმატებთ, რომ ადგილობრივი მშვენიერი ღვინოც ძლიერ იაფი იყო, რა გასაკვირია, თუ მოტანილი გერმანული საჭმლის დიდი ნაწილი რუმინელი ჯარისკაცების ხეირს შეადგენდა. ზოგიერთმა ჩვენგანმა ამ ჯარისკაცთაგან პირადი მსახურიც კი გაიჩინა.

რუმინეთის გაცნობამ ჩემზე დამალონებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დაბეჩაებულნი ხალხის მნახველი ძნელად წარმოიდგენდა, რომ ეს უბედურები

მრისხანე რომის ამაყ ლეგიონერთა სისხლისანი იყვნენ. ამათ რომ ვუცქერდი, უფრო ადვილ ასატანად მეჩვენებოდა კოლხთა და იბერთა შთამომავლების შედარებით ნაკლები დაძაბუნება.

რუმინელი გლეხები ქალაქებში ტროტუარზე სიარულს ვერ ბედავენ, ქუჩის კიდეს მიჰყვებოდნენ, როგორც ნახშირაკიდებული ვირები ტფილისში. ჯარში, როგორც წესი, ჯარისკაცს უნტერ-ოფიცერი სცემდა, ამ უკანასკნელს - ოფიცერი და ამბობდნენ, რომ ოფიცრებსაც ჩინით უფროსები ცემენო. რესტორანში თუ ოფიცერი იჯდა, ჯარისკაცი ოფიცრის ნებართვის გარეშე ვერ დაჯდებოდა და ამ ნებართვას ყოველთვის როდი იღებდა. ყველა კატეგორიის ხალხში მდგომარეობით უმცროსები უფროსებს ხელზე ჰკოცნიდნენ (მამაკაცები - მამაკაცებს). მიუხედავად ყოველივე ამისა, გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ხალხი უდარდელად ცხოვრობდა, მაგრამ სხვის გულში ვინ ჩაიხედავს.

პარიზელების კეთილდღეობას მარტო რესტორნის დაბალი ფასები როდი ქმნიდა. ჩვენს იღბლად ბოშა გოგოებიც არ გვაკლდნენ, მარტო ხელმისაწვდომ ფასზე არ იყო საქმე. მათ იმ სოფლურ იდილიაში გადავყავდით. ასეთ ილუზიას უქმნიდნენ ეს ფეხშიშველა, თავისებურად "უმანკო" გოგოები პარიზული ყალბი და ანგარიშიანი "სიყვარულით" გულგატეხილ, მონმარტრ-პიგალიდან და ლა მოტ-პიკედან აქ გადმოხვენილ პარიზელ ქართველებს.

საკვირველია! ეს გოგოები როსკიპები არ იყვნენ. მათი "მორალი და ზნეობა" - თუმცა ბრჭყალებში ვსვამ - მათთვის სრულიადაც არ იყო საეჭვო: "სტუმრების" მიღება მთელი ოჯახის თვალწინ ხდებოდა. ყოფილა შემთხვევა, როცა ორი და, ორ "სტუმარს" ერთსა და იმავე ოთახში შეიყვანდა. ზოგჯერ ერთდროულად სამი დის შემთხვევაც კი იყო.

"ეს ჩემი ცოლისდაა, ჯერ ახალგაზრდაა, გაუთხოვარი, ცოტა რამ აჩუქეთ, ცოტა ფული რომ დააგროვოს და ამით საქმრო იშოვნოსო", - ეუბნებოდა ხოლმე სტუმრებს ერთი მოლდაველი.

ზოგმა თავის სატრფოს მალალქუსლიანი პარიზული ფეხსაცმელებიც კი ჩამოუტანა "საწყალი გოგოები კისრისტეხით ეცემიანო", იხუმრა ვიღაცამ.

მაგრამ ჩვენ ხომ არც ბულგარული პილპილით შეკმაზული ქათმის საჭმელად, არც ფეხშიშველა ბოშა გოგოების ტრფილისათვის ვიყავით აქ თავშეყრილი. ჯარისკაცობისათვისაც ხომ უნდა მიგვეზღო თავისი წილი. ჩვენი სამხედრო "ერთეული" თუმცა გერმანულ ფორმას ატარებდა, გერმანულ ჯართან მას ძალიან ცოტა რამ ჰქონდა საერთო. უპირველესად თვით შეიარაღება არ იყო ისეთი, როგორც გერმანულ ჯარში იხმარებოდა. თოფები ავსტრიული გვექონდა, ტყვიამფრქვევები — ჩეხური, ვინც საქმეში ჩახედული არ არის, მისთვის ეს გარემოება არცთუ მნიშვნელოვანია, მაგრამ გერმანული ჯარისათვის, სადაც ყოველი ფოლაქი თუ ზარბაზანი თავისი ადგილისათვის არის გაანგარიშებული, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამისი ახსნა აქ ყოვლად შეუძლებელია - მთელი წიგნის დანერა

იქნებოდა საჭირო. მხოლოდ იცოდეს მკითხველმა, გერმანული ჯარი ადამიანის მიერ შექმნილი ორგანიზებული კოლექტივის ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი მაგალითია და ასეთი მანქანა იმპროვიზებას ვერ იტანს.

არც გერმანული სამხედრო წესდების გამოყენება შეიძლებოდა ჩვენ მიმართ — რამდენიმე დღეში ყველანი დატუსაღებულები აღმოვჩნდებოდით. თვით მწკრივის წყობაც არა გეჰქონდა გერმანული წყობის მაგვარი. მოკლედ, ყველაფერი ჩვენთვის შესაფერად იყო ორგანიზებული. პირველი ოცეულის "უფროსი" (გერმანელის შემდეგ) მიხილ დადიანი იყო. ექიმი იყო გოგი ჭაჭიაშვილი, ხოლო თარჯიმანი მე ვიყავი. და როდესაც სამ მწკრივად დაწყობილი ასეული მოდიოდა, თავში, მაგრამ მწყობრში ჩამდგარნი მივდიოდით ჩვენ სამნი, ხოლო ოცეულის ნამდვილი უფროსი გერმანელი გვერდით გვედგა, მეოთხე კაცად. ოცეულის მეთაურის თანაშემწე, თარჯიმანი და ექიმი თავში რომ მიდიოდნენ, ასეთი რამ გერმანულ ჯარში არ არსებობდა.

საველე ვარჯიშობა ასე თუ ისე გვარიანად მიმდინარეობდა, მაგრამ სხვა რამ იყო ჩვენი სასროლი ვარჯიში. ამისთვის საკმაოდ შორს მივდიოდით - მახლობელ ხეობაში — მგონი, ათიოდე კილომეტრი იქნებოდა. უნდა გაგეგონათ პარიზელეზის ჩივილი და ბუზლუნი. გვეკლავენ, ბარემ დაგვხოცონ, ჩვენი ჯავრი სჭირთო და ამგვარები.

საკვირველია, რომ სროლაში მხოლოდ იარაღის ხალხად ცნობილები კი არ გამოირჩეოდნენ, არამედ ისეთებიც, რომელთაგან ასეთ რამეს არავინ მოელოდა. მაგალითად, ერთი საუკეთესო გამოდგა ვალია ჯობლაძე (სილიბისტროს შვილი, ბავშვივით მორცხვი და მორიდებული, თუმცა ოცდაათს გადაცილებული, სულ წიგნებში ცხვირჩაყოფილი ახალგაზრდა), მაგრამ საკვირველი სხვა იყო, დაზგაზე დამაგრებული თოფის კონტროლის დროს აღმოჩნდა, რომ მათია ბოლქვაძისა და თომა ბეჭაურის მიერ დამიზნებული თოფის გასროლილი ტყვია საერთოდ დაფასაც არ მოხვდებოდა. როცა გერმანელ ინსტრუქტორს გაკვირვებულმა ვუთხარი, ესენი იარაღის ხალხად ითვლებიან-მეთქი, მას ეს ამბავი სრულიადაც არ ეუცხოვა და მიასუსხა, თეორია ერთია, პრაქტიკა კი სხვაა, იმედი ნუ გექნება, რომ ეგენი ტყვიას აგაცდენენო.

ერთ განსაკუთრებით ცხელ დღეს სროლიდან ვბრუნდებოდით. ყაზარმას რომ მივუახლოვდით, ფელდფებელმა ბრძანა, სიმლერაო! არაქათი აღარა გეჰქონდა, რა გვემლერებოდა. მაინც წამოვიწყეთ ალბათ — "მაღლობზე გადმომდგარიყო". სიმლერა ულაზათო გამოვიდა. ფელდფებელს არ მოეწონა. თითქმის ალაყაფთან მისულეები, უკან გაგვაბრუნა, ორასიოდე მეტრი უკანვე გვატარა და ისევ გვიბრძანა სიმლერაო! ჩვენები გაჯიუტდნენ და არც ახლა იმლერეს ხეირიანად. კიდევ შეგვაბრუნა, უფრო შორს წავგიყვანა და კვლავ გვიბრძანა, სიმლერაო! მესამედ როცა დაგვაბრუნა, ვინც სიმლერა არ იცოდა, იმათ ხევენა დაუწყეს მომლერლებს, თავს ნუ იგდებთ, ჩვენ მაგათ ვერ მოვუგებთ, ხვალ დილაიმედ გვატარებენ, სანამ დავეცემითო. ბოლოს ბრძანებას დავემორჩილეთ და ისეთი ბლავილით ვიმლერეთ, თითქოს ლოგინიდან ახლადამდგარი ვყოფილიყავით.

როცა ყაზარმაში შევედით და ფეხზე გახდა დავინყეთ, რომ დაბეგვილი ფეხები მოვესვენებინა, ვიქტორ ნოზაძემ გვითხრა: გერმანიაში სტუდენტობის დროს სამხედრო მოედნის ახლო ვცხოვრობდი, ყოველ საღამოს ჯარისკაცები ჩემი ფანჯრის წინ გაივლიდნენ ხოლმე და მე მოცუბდა მათი ხალისიანი სიმღერა - მთელი დღის ვარჯიშობის შემდეგ. ვფიქრობდი, სიმღერის როგორი მოყვარული ხალხია-მეთქი. ახლა კი ვხვდები, რა სიყვარული ამღერებდათო.

ამ ეპიზოდში გამომჟღავნებული ნერთნის პრინციპი გერმანული ჯარის აღზრდის ერთი საფუძველთაგანია. იგი არც ქართველებისათვის იქნებოდა უცნობი. სხვა არა იყოს რა, ეს ხომ იგივეა, რაც “ჭირსა შიგან გამაგრება”, ან — “შიში შეიქმს სიყვარულსა”.

ჩემი თარჯიმნობა საკმაოდ რთული იყო: თუ ეს სავლელ ვარჯიშობის დროს ხდებოდა, საქმე შედარებით იოლად მიდიოდა, მაგრამ სულ სხვა იყო თეორიული გაკვეთილები. მარტო ქართულად თარგმნა არ კმაროდა, რადგან ჩვენ შორის რამდენიმე ჩერქეზიც იყო და ამათთვის რუსულად უნდა გამემოკრებია იგივე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ფრანგულადაც უნდა მეთარგმნა, რადგან ახალგაზრდა პარიზელ ქართველებს ზოგი რამ ქართულად არ გაეგებოდათ. ასეულში გერმანულის მცოდნე ჩემ გარდა სხვებიც იყვნენ და მე მათზე უკეთესადაც არ ვიცოდი გერმანული, მაგრამ ლექცია-გაკვეთილების დროს უმეტეს შემთხვევაში ჩემს თარჯიმნობას ამჯობინებდნენ, რადგან სხვები ყოყმანსა და დაფიქრებაში დიდ დროს ჰკარგავდნენ, მე კი თარჯიმნობა ძალიან მუადვილებოდა. ამის მიზეზი ნაწილობრივ იქნებ ისიც იყო, რომ ჰანოვერში სამხედრო მშენებლობაზე მუშაობის დროს 8 თვის განმავლობაში თარჯიმნობასაც ვენეოდი და ამ საქმეში, როგორც სხვაში, განაფვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი ასეულის ცხოვრებაში, ცხადია, “ჩინების” მიღებასაც სათანადო ადგილი ეკავა. ჩინების მიღებაში ჯგუფის უფროსობას ვგულისხმობ, თორემ ხარისხის მიღების საკითხი ჯერ არ იყო დამდგარი. ჩემთვის სრულიად უცნობია, თუ რა კრიტერიუმს იყენებდნენ გერმანელები ამ საქმეში. ამ საქმის მოგვარებაში ჩემი თარჯიმნობა არაეის გამოუყენებია და გასაგებიცაა. ერთი მხრივ ჯგუფის უფროსებად დანიშნეს ყოფილი ლეგიონერები, როგორიც, მაგალითად, ერისთავი და ბერაძეა, ან ფრანგულ ჯარში ნამსახურები აჩიკო დადიანი და კუკური ქოჩაკიძე. მაგრამ არ ვიცი, ვისი და რისი წყალობით მოხდნენ ჯგუფის უფროსებში ნილოსანი და გ. ლორთქიფანიძე. ლორთქიფანიძე მოყვარედ მერგებოდა. მან მთხოვა გერმანული “კომანდოს” სიტყვები მისთვის დამენერა. ეს ქალაღი მუღამ ჯიბეში ეღო და როცა გაუჭირდებოდა, მარჯვენა ხელს ჯიბეში ჩაიყოფდა, ქალაღს ხელისგულზე დაიდებდა და ასე ნახევრად ჯიბეში ჩაყოფილი ხელისკენ კისერმოგრებილი, ცდილობდა დავინყებულ სიტყვა ნაკითხა. ჯარისკაცები იცინოდნენ. ასე ინერთებოდა ასეული.

ამ წერილმანების გროტესკის ნამდვილ შეგნებას ბევრად უფრო გვიან მივალწიე, როდესაც ის “თამაშა” დასრულდა და თითქმის ნამდვილი გერმანული წერთნა გაეიარეთ, მაგრამ ამ დრომდე, მკითხველი ნახავს, ასეულის მესამედმაც ვერ მიღწია.

ჩვენი ასეულის ცხოვრების ერთი მტიყნეული ამბავთაგანია, რაც სიმონიკა ბერეუიანს მოუვიდა. სიმონიკა ადრეც საკმაოდ უცნაური პიროვნება იყო, მაგრამ ჯარში ყოფნის დროს მისმა უცნაურობამ თანდათან უფრო და უფრო დამაფიქრებელი სახე მიიღო. ყველაფერზე ადრე ყურადღება იმან მიიქცია, რომ უმიზეზოდ ეჭვიანი შეიქმნა. ჩიოდა, ჩერქეზები ტკბილეულობას მპარავენო. ამ ეჭვეულობას ისიც დაემატა, რომ გვეუბნებოდა ხოლმე, გერმანელები ქართველების უფროსად მნიშნავენო. ერთხელ შეფიცულმა ჯავრიშვილმა რალაც აწყენინა და სიმონიკამ გაჯავრებით უთხრა: მე მინდოდა, შენ მედრომედ დამენიშნე, რომ საქართველოში შესვლის დროს წინ გაგვძლოდი, ამის შემდეგ კი იცოდე, ყველაზე უკან დაგაყენებ მაჩანჩალადო. ერთხელ სასროლო ვარჯიშობიდან დაბრუნებისას სიმონიკა დაგვეკარგა და უმისოდ წამოვედით. შუა გზაზე, ეტლით დაგვეწია, გენერალივით სალამი მოგვეცა და გზა განაგრძო, როცა ყაზარმაში დავბრუნდით, იქ დაგვხვდა, ვითომ არაფერი მომხდარაო. ბოლოს მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ ასეულში მისი დარჩენა შეუძლებელი იყო. გადწყვიტეს, რომ საავადმყოფოში გაეგზავნათ. ეს ოპერაცია რომ გაადვილებულიყო, წასვლის მიზეზად სიმონიკას მიერ აჩემებული უფროსად დანიშვნა გამოიყენეს. უთხრეს, რომ მალალ ინსტანციაში უნდა გამოცხადდე, სადაც ფელდფებელის ჩინს მოგცემენო. ისე ჰგავდა, თითქოს საწყალმა დაიჯერა და ჩვენს ფელდფებელ რიხტერს მორჩილად გააყვა.

ამ ტრაგედიაშიც, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, კომიკური ელემენტი გაერია. წასვლისას სიმონიკამ ექიმ ჭაჭიაშვილის ქუდი დაიხურა (მას ყველაფერი სხვისი უკეთესად ერეწებოდა), ჭაჭიაშვილმა თვითონ ვერაფერი უთხრა, მაგრამ უკვე მანქანაში მჯდომს გოგი ჩხეიძე მიუგზავნა, რომ ქუდი გამოეცვალა. გოგი ჩხეიძე დაბრუნდა და ჭაჭიაშვილს უთხრა: „ქუდი არ გამომიცვალა, ასე მითხრა ჭაჭიაშვილსაც მალე ჩემთან მოიყვანენ, ქუდსაც იქ დავუბრუნებო. ეს სიტყვები, ცხადია, სიმონიკას არ უთქვამს, არამედ ჩხეიძემ მოიგონა. ამით ჭაჭიაშვილი გაკენწლა, რომელიც აგრეთვე საკმაოდ უცნაური კაცი იყო.

სიმონიკა წავიდა და დაიკარგა კიდევაც, რადგან ვერავინ შეიტყო, თუ რა მოუვიდა. წარმოდგენა კი ბევრი საშინელებისა შეიძლება. იგი იმდენად ცნობადაკარგული არ იყო, რომ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა მოუვიდა, ხოლო როგორი იყო მისი რეაქცია, ან როგორ „დაამშვიდეს“, უმჯობესია, ამაზე კაცმა არ იფიქროს.

ტყვეთა ბანაკში

(პირველი შეხვედრა ქართველ ტყვეებთან)

ერთ დღეს ჩვენი ჯგუფის უფროსმა კრამერმა რამდენიმე კაცი დაგვიბარა და გამოგვიცხადა, თქვენ არჩეული ხართ განსაკუთრებული საქმის ასასრულებლად - ტყვეთა ბანაკში უნდა წახვიდეთ და ქართველი ტყვეები აარჩიოთ, გამოსაყვანად სანდონიო.

არჩეულები ვიყავით ხუთი ქართველი და ერთი გერმანელი: ექიმი კობა ხოჭო-
ლავა, ექიმი გოგი ჭაჭიაშვილი, ვიქტორ ნოზაძე, დავით ვაშაძე და მე. მეექვსე
გერმანელი იყო, უნტიერ-ოფიცერი ბინდერი. იგი ბორჩალოელი გერმანელი იყო,
დამოუკიდებლობის დროს ქართულ ჯარში უმსახურია, საავტომობილო "როტაში".
ქართულს "ამტერევედა". ბორჩალოელი თათრული, მგონი, კარგადაც კი იცოდა.
ჩვენს ასეულში მას კარაპეტას ვეძახდით. ზედგამოჭრილი იყო მისთვის ეს სახელი.

ხუთ ქართველში ჭაჭიაშვილის გარდა, ყველამ იცოდა გერმანული. ასე რომ,
ჩვენი არჩევა ულოგიკო არ იყო. მხოლოდ დღესაც არ ვიცი, ვისთან ითათბირეს
გერმანელებმა ჩვენი არჩევის გამო, იქნებ არც არავისთან!

უნდა აგვერჩია 250 კაცი. ნახევარი "თამარ II-თვის", ხოლო მეორე ნახევარი
დანიშნული იყო ბერლინში გასაგზავნად — საყარაულო სამსახურისათვის. უნდა
შეგვერჩია ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი ელემენტები (ამიტომ იყო ჩვენს
ჯგუფში ორი ექიმი).

ადვილად წარმოსადგენია, ჩვენი თითქმის ალტაცება და ღრმა მღელვარება
— ბოლოს და ბოლოს გვეღირსა და ქართველებს შევხედებოდით.

ოდეპეშტიდან ჩვენი ასეულის მანქანით ბუქარესტში წაგვიყვანეს და იქ სხვა
დანესებულებას გადაგვცეს. იმდღესვე ჩავსხედით უზარმაზარ შავ "მერსედესში"
და ჯარისკაცმა მძღოლმა სამხრეთისაკენ გაგვაქროლა. მძღოლს მანქანა გიჟივით
მიჰყავდა მიუხედავად იმისა, რომ მანინცდამანინც კარგი გზა არც იყო, მაგრამ ჩვე-
ნი მძღოლის "მართლა სიგიჟე" ის იყო, რომ სოფლებშიც არ უკლებდა სიჩქარეს.
ამიტომ ბევრმა გლახმა მიირთვა იმ დღეს მისდაუნებურად ვინ ბატი და ვინ იხვი
და ვინ ქათამი.

ტყვეთა ბანაკი, სადაც ჩვენ მივედით, იდგა სოფელში, რომელსაც სახელად
ბუდაპეშტი ერქვა, ბანაკი სოფლიდან ორიოდე კილომეტრით იქნებოდა დაშორე-
ბული. დაახლოებით 500 მეტრის სიგრძისა და 100 მეტრის სიგანის მავთულხლარ-
თებით შემოღობილი ვაკე მინდორი საჭირო მანძილით ერთი მეორისაგან დაშორე-
ბული მირადორებით (საყარაულო კოშკები). ბანაკს მხოლოდ ერთი შესასვლელი
ჰქონდა, რომლითაც გერმანული ბატალიონის მიერ დაკავებულ ეზოში შესვლე-
ბოდა და ეს გერმანული სექტორი მთელი ბანაკის ფართობს ორ თანაბარ ნაწილად
ჰყოფდა. ამგვარად, შუაში იყო ადმინისტრაცია, საავადმყოფო, სამზარეულოები
და ჯარის საცხოვრებელი ბარაკები, ხოლო ტყვეთათვის განკუთვნილ ორ მო-
ნაკვეთში, მხოლოდ საცხოვრებელი ბარაკები იყო, რომელთაგან ზოგიერთი ადრე
საჯინიბოდ ყოფილა გამოყენებული.

მიგვიღო ბატალიონის კონტრდაზვერვის ოფიცერი. ჯარში განვევამდე პრო-
ტესტანტი მღვდელი ყოფილიყო. სანყალი საშინლად იყო დაბნეული. ვერ წარ-
მოედგინა, როგორ იქნებოდა შესაძლებელი, რასაც ჩვენ ვაპირებდით. "რუსი" კო-
მუნისტი გერმანულ ფორმაში, და მერე რამდენი?! ერთეულები კიდევ შეიძლება
გამოიყენო, მაგრამ ორი ასეული? ეს მის გონებაში ვერ ლაგდებოდა. არც გასაკვი-

რია, ეს მაშინ ახალი ამბავი იყო და, საერთოდ, მომხდარა კი სადმე, ოდესმე, რომ ასიათასობით ტყვეს მტრის ფორმა ჩაეცვას და იარაღით ხელში საკუთარი ჯარის წინააღმდეგ ებრძოლოს? ოფიცერმა უბრალო მარტივი დარიგება მოგვცა: უპირველეს ყოვლისა სიჩუმე, მერმე სიჩუმე, და ბოლოს, ისევ სიჩუმეო. გამოვედით გაოგნებულები.

გადავწყვიტეთ, ჯერ ბანაკი დაგვეთვალეოვინა და გარეგნულად დაგვეზვერა ქართველები. ტყვეები ეროვნების მიხედვით არ იყვნენ დანაწილებული. იმედოვნებდა, რომ ქართველებს გარეგნული იერით გამოვიცნობდით.

კობამ და გოგიმ თეთრი ხალათები ჩაიცვეს და ჩვენ სამნიც მათ გავყვეით. სულ მალე იძულებული გავხდით, უკანვე დავბრუნებულიყავით. იმიტომ, რომ ჩვენს სეირნობას ჩვენივე ყოვლად მიუღებელი შედეგი მოჰქონდა: თეთრი ხალათი მხოლოდ ექიმებს ეცვათ და ექიმი კი ოფიცერი იყო. ასე რომ, ჩვენს მიახლებაზე მინაზე მსხდომი არაქართველი ტყვეები ფეხზე უნდა ამდგარიყვნენ და როცა ასეთი რამ ოცი ათას კაცს შეეხება, მართლა არაადამიანობა იქნებოდა ჩვენი ცნობისმოყვარეობის გულისათვის, ამგვარი რამ ჩაგვედინა. ბანაკში 20 ათასი ტყვე იყო. ჩვენი აქ ჩამოსვლის დღეებში გამოჰყვეს უკრაინელები, რომელთაც ათავისუფლებდნენ. რამდენიმე ასეული კაცის მიტინგი შედგა, რომელზედაც, არ ვიცი, საიდან მოსული ორატორები რალაცას ამბობდნენ და მიტინგი "ურას" ძახილით უპასუხებდა. წასვლის წინა საღამოს საგზალი დაურჩევს, უმთავრესად — კონსერვები. მეორე დღით გავიგეთ, რომ ათ კაცზე მეტი გარდაიცვალაო. უბედურები დამშუულ კუჭზე კარგა გამომძლარან — იქნებ ცუდი ხარისხის კონსერვებიც იყო. ყოველ შემთხვევაში რამდენიმე კაცი მოკვდა.

ჩვენ, ორ-ორი ან ცალ-ცალკე, ბანაკში დავდიოდით და ვათვალეოვინებდით. აქა-იქ ქართული გვესმოდა, მაგრამ გამოლაპარაკების ნება ჯერ არა გვქონდა. ერთი ასეთი დათვალეოვინების დროს მარტო მყოფმა იმ ბარაკებს ჩაუფარე, სადაც უმეტესად უზბეკები და ყაზახები იყვნენ ერთად თავმოყრილი. სიარულის დროს ნახევრად დაუნვაი პაპიროსი გადავაგდე იმავე მიმართულებით, საითაც მივდიოდი, დაახლოებით ორ ნაბიჯზე. იმ ორი ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოვასწარი, ჩემ გარშემო და ჩემს ფეხებთან ოციოდე უზბეკი მინას დააცხრა. სწორედ ისეთი სურათი იყო, რაგბის თამაშის დროს ბურთს რომ შეკრავენ. ჩემ მიერ გადაგდებული პაპიროსის ხელში ჩაგდებას ცდილობდა ყველა. ამის შემდეგ პაპიროსი აღარ გადამიგდია.

პირველ ქართველ ტყვესთან ჩვენი გამოლაპარაკება სულ შემთხვევით მოხდა: ვიქტორს შეუმჩნევია ერთი ბიჭი, რომელიც გერმანულ სექტორში რალაც სამუშაოს ასრულებდა - მგონი მოედანს ჰგვიდა. ბიჭს აშკარად ქართული სახე ჰქონდა. ვიქტორს ვერ მოუთმენია და უკითხავს, ქართველი ხარო? ეს ბიჭი აღმოჩნდა ალექსანდრე ქაჯაია, გულუბრყვილო და გულმართალი ბიჭი. ამ შემთხვევას ის ჩვენი მღვდელი ოფიცერიც შესწრებია და, შემინებულს, ვიქტორისათვის უბრძა-

ნება, ეგ ტყვე თავისიანებში აღარ გაუშვა, თქვენთან იყოლიეთ, თორემ ყველაფერს იტყვისო. ვიქტორსაც ეს უნდოდა და ალექსანდრე ჩვენს ბარაკში შემოიყვანა "დასამალავად". მკითხველს ეს ამბავი დაუჯერებლად მოეჩვენება და ჩემგან მოგონილადაც შეიძლება ჩათვალოს, მაგრამ, ვფიცავ, სწორედ ასე მოხდა. როცა ვიქტორმა გვითხრა, რომ ტყვე ჩვენთან უნდა დარჩეს, კობამ თქვა, მამ, ჯერ უნდა დაებანოთო. ნავედით სამზარეულოში და ორი ვედრო ცხელი წყალი გამოვართვი. სადღაც ვარცლიც ვიშოვე და გატიტვლებული ჩვენი ალექსანდრე შიგ ჩავსვით. მის დაბანაში ხუთივე ვიღებდით მონაწილეობას. როცა სუფთა საცვლები ჩავაცვით და შარვალიც ვუშოვეთ, მაგიდას მივუსხედით. სადილის დრო იყო. აქამდე სიზმრის ბურანში მყოფი გამოფხიზლდა და უცებ ატირდა. ტირილში ლულულულებდა: ბავშვობაში დედა რომ მბანდა, მას შემდეგ ასეთი რამ არ მომსვლია, თავი ჩემს სახლში მგონია, თითქოს იმ ბავშვად გადავიქციო. ჩვენც ხუთნივე მალულად ცრემლებს ვყლაპავდით.

ალექსანდრესაგან აუარებელი ცნობა მივიღეთ. მან ქართველების საერთო რიცხვიც კი თითქმის სწორად შეაფასა, როცა გვითხრა, ხუთასი ან ექვსასი კაცი იქნებაო. შემდეგში 750 აღმოჩნდა. მანვე გვითხრა, რომ ოფიცერთა განყოფილებაში 4 ქართველი იყო, მათი გვარებიც იცოდა და როცა პირტახია ახსენა, მე ვკითხე, სენაკელი ხომ არ არის-მეთქი (ე.ი. ჩემი სოფლიდან). მიპასუხა, სენაკელიაო. მივხვდი, რომ ჩემი ამხანაგი იყო სოფლის სკოლიდან და ასეც გამოდგა. ქართველი ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა სამხედრო სამსახურში მყოფ განვეულთაგან, ე.ი. კადრის მეომართაგან შედგებოდა. ყველანი ოცი წლის ახლო ასაკის იყვნენ. როდესაც კითხვა დაეუსვით, რუსების წინააღმდეგ თუ იომებთ გერმანულ ფორმაშიო, გვიპასუხა - ქართველები კი არა, ყველა "ნაცმენი" (ეროვნულ უმცირესობას ერქვა რუსულად ასეთი სახელი) სიამოვნებით დასთანხმდებო და ასეც გამართლდა. ბოლოს ნება დაგვრთეს ქართველები ცალკე გამოგვეყო, ერთ ბატალიონში გაგვეერთიანებინა. როგორც ვთქვი, 750 კაცი აღმოჩნდა და ეს ქართული ბატალიონი მხოლოდ მათთვის მიჩენილ 2 ბარაკში მოათავსეს. უფროსად ერთი ფრიად სიმპათიური ფელდფებელი დაუნიშნეს. მაგრამ ჩვენი მხრივაც დაენიშნა ბატალიონს "უფროსი" და ეს უფროსი მე აღმოვჩინდი. ჩემთვის უფროსობა იმას ჰგავდა, რომ იტყვიან: "შენ წისქვილში წაბრძანდი, მე კი ქორწილში წავეთრევიო". მაგრამ ყველაზე ახალგაზრდა მე ვიყავი და უარს ვერ ვიტყვოდი. საქმე ის არის, რომ ჩემი "უფროსობა" მავალებდა დილის ხუთ საათზე ადგომას, ტყვეთა რიცხვის შემონიშნებას და მორიგე კომანდოსთან ერთად პურისა და საუზმის მისაღებად წასვლას, ხოლო როცა ფელდფებელი გათენების შემდეგ მოვიდოდა, მე უნდა დამეხვედრებინა უკვე გამსკრივებული ბატალიონი და უნდა მომეხსენებინა, რამდენი კაცია მწყობრში და რამდენი დარჩა ბარაკში ავადმყოფობის გამო. ავადმყოფობა იშვიათი იყო და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა საავადმყოფოში მოთავსებისა. უნდა ითქვას, რომ საავადმყოფოში, საერთოდ ყველა ტყვეს სურდა მოხვედრა

უკეთესი კვებისა, მოპყრობისა და კომფორტის გამოც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველებს ჩვენი სახით პატრონი გამოუჩნდა, რალაც შეუძლოდ ყოფნისათვის ბატალიონისაგან მოცილება აღარავის სურდა.

მთელი ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში ყოველდღე ოთხი სხვადასხვა ტყვე რიგრიგობით გამოგვყავდა. ჩვენს ულუფას მათ უუნაწილებდით. ამით ჩვენ არაფერი გვაკლდებოდა, რადგან მზარეული ჩვენს ნებაზედ ზრდიდა ულუფას, თუკი ამას ვთხოვდით. საკვირველი რამ ხდებოდა ამ სტუმრობის დროს. ეს დამპყველი ახალგაზრდები საკვირველი სიმშვიდით მიირთმევდნენ მათთვის ოცნებადქცეულ ნორმალურ საქმელს. თითქოსდა აქ არაფერიაო. მკითხველმა თვითონ ახსნას ეს საქციელი.

ეს ეპიზოდი შეიძლება უკომენტაროდ დარჩეს, მაგრამ ვინც მოისურვებს, მთელი თეზა შეიძლება დაინეროს ამ მოვლენისა გამო.

დილით ბატალიონისათვის განკუთვნილ პურს გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად მეც ვითვლიდი და ტომრებში ვალაგებდით. ვცდილობდი, რომ სხვებზე ჩქარა მემუშავა. ჩემ გარდა კიდევ ორი გერმანელი იყო. ისინი ორ ტომარას რომ აავსებდნენ (თითოში მგონი 30 პური ჩადიოდა), მე უკვე სამი მქონდა ავსებული და ყოველ მათგანში ერთი პურით მეტს ვდებდი. ადგილზე მიტანისას მორიგე მიძღებ ტყვეს ვაფრთხილებდი, ამდენი პურია ზედმეტი-მეთქი. ეს ზედმეტი პური 10-კაციან ჯგუფს ურიგდებოდა რიგრიგობით.

სადილად ერთი უზარმაზარი ქვაბი მიჰქონდათ მორიგეებს და ეს ცხელი სითხე, რომელსაც სუბი ერქვა, კონსერვის კოლოფებში ისხმებოდა, სუპში აქა-იქ კარტოფილი და კომბოსტოს ფოთლები ცურავდა. მე ის არასოდეს გამისინჯავს. ბიჭები ამბობდნენ, ხორცის ნახარშიაო.

ულუფების დანაწილებას თავს ადგა ერთი ხელჯოხიანი ტყვე, გვარად ნუცუბიძე, რომ წესრიგი არ დარღვეულიყო. ეს ნუცუბიძე ვითომ პოლიციელი იყო. ამის გამო ვიქტორმა მთელი ლექცია წაუკითხა ბატალიონს: არა გრცხვენიათ, ჯოხიანი კაცი გჭირდებათ წესრიგის დასაცავადო? და ნუცუბიძის "თანამდებობა" გავაუქმეთ. დანარჩენებში ეს წესი გრძელდებოდა.

რამდენიმე სიტყვა ნუცუბიძის შესახებ. მთელ ბატალიონში ნუცუბიძე ერთადერთი იყო ახალგაზრდათა შორის, რომელსაც საშუალო სკოლა კი არა, შრომის სკოლაც კი არ მქონდა დამთავრებული. ეს შემდეგნაირად მომხდარა: ცელქი და ზარმაცი მონაფე ვიყავი. მამაჩემმა რომ ვერ გამომასწორა, სკოლიდან გამომიყვანა, თავისი ადგილი დამითმო კოლმეურნეობაში და თვითონ შევიდა მისი ასაკის ხალხისათვის დაარსებულ კოლმეურნეთა სკოლაშიო.

ერთი ეპიზოდი ბატალიონის შესახებ. ერთ დღეს რამდენიმე მაღალი ჩინის ოფიცერი მოვიდა ბანაკში, ალბათ, დასათვალისწინებლად. ჩვენი ბატალიონის უბანში როცა გაიარეს, ბატალიონი მთელი შემადგენლობით იყო გამწკრივებული. ისინი შეჩერდნენ. ფელდფებელს ჰკითხეს, ეგ ოფიცერთა ბატალიონი აქ რატომ არისო? რადგან ეს

ამბავი ჯარისკაცთა განყოფილებაში ხდებოდა. ფელდფებელმა უპასუხა, ეგენი ოფიცრები კი არა, ჯარისკაცები არიანო, და დაუმატა, ეს ქართული ბატალიონიაო. ერთმა ოფიცრმა მეორეს უთხრა, საკვირველი ხალხი ყოფილა, როგორი არისტოკრატიული შეხედულება აქეთო. იქნებ ქართველების დამშეულობა და გამხდარი სახეები აფიქრებინებდა მათ ამ ვითომ არისტოკრატიულ გარეგნობას.

ამ ბანაკის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი ისეთ საშინელებას არ წარმოადგენდა, როგორსაც პოლონეთში და, საერთოდ, იმ ფრონტზე მონყობილი ბანაკები წარმოადგენდნენ. გერმანელებს იმდენი ტყვე ჩაუვარდათ ხელში, კიდევაც რომ სურვებოდათ, მილიონი კაცისათვის საკვების უცებ გაჩენა შეუძლებელი იყო. აქ კი, რუმინეთში, ომის დაწყებას სოფლის მეურნეობაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ტყვეთა ბანაკი მაინც ტყვეთა ბანაკია და, ცხადია, ჯარისკაცები არც ამ ბანაკში იყვნენ ბედნიერები. ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. ბანაკიდან გაპარვა მოახერხა ერთმა მთიულმა ქართველმა ბიჭმა. იგი უეცრად გაქრა და არავინ იცოდა, როგორ და სად წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბანაკის ჭიშკარს მიადგა სანოვავით დატვირთული, მე გაქცევას არ ვაპირებდი, სანოვავის საშოვნელად წავედიო, თქვა გულუბრყვილოდ. გერმანელებს გაეცინათ, მაგრამ რამდენიმე დღით მაინც ჩასვეს სატუსალოში. შემდეგ მან გვიამბო, რუმინელები სიხარულით მადღევდნენ, ვისაც რა ვთხოვეო.

ჩვენ შეუუღლებით სიების შედგენას, ვცდილობდით, ამ ხალხისაგან საუკეთესოები ამოგვეჩრია. ეს არჩევანი, ცხადია, ზუსტი ვერ იქნებოდა და მხოლოდ პირველ შთაბეჭდილებას ემყარებოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, 750 კაცს სათითაოდ ხომ ვერ დავუმეგობრდებოდით, რომ ისინი უფრო ღრმად გაგვეცნო. ჩვენს ორ ექიმს საექიმო პუნქტიც ჰქონდა მონყობილი და თუ ვინმეს რამე სჭირდებოდა, ბიჭები ჩვენთან გამოცხადდებოდნენ ხოლმე. ერთ დღეს ერთი ბიჭი მოვიდა, ძირმაგარა ჰქონდა უკანალზე. ჭაჭიაშვილმა გასინჯა და მოულოდნელად ხელი მოუჭირა და მთელი ბალღამი გამოუჩრყა. ბიჭმა დაკლულივით იღრიალა. მე ვუთხარი, ბიჭო, არა გრცხვენია, გოგოსავით რომ კივი, ვინ გასწავლა ასეთი რამ-მეთქი. მიპასუხა, ვის უნდა ესწავლებინა, ჩემი მასწავლებელი შენი ძმა იყოო. მე რამდენიმე კითხვა დავუსვი და მისმა პასუხმა დამარწმუნა, რომ მართალს ამბობდა. ჩემი ძმა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გურჯაანში მოეწყო მასწავლებლად და, იმ ბიჭის თქმით, ცოლის შერთვამდე თურმე მათთან ცხოვრობდა. ბიჭის გვარი იაკობაშვილი იყო. ამ ბიჭთან ერთად უფრო გვიან კავკასიამდე მივედი, შემდეგ ყირიმში დაებრუნდით და მას შემდეგ არ ვიცი, რა მოუვიდა. ასეთი გასინჯვების დროს სხვა ქართველიც შემხვდა, რომელიც ჩემ ძმას იცნობდა. ეს იყო ვინმე თევდორაძე (ან თევდორაშვილი), პროფესიით მასწავლებელი. მან მითხრა, შენი ძმა განვეულია, მაგრამ ადგილზევე მუშაობს სამხედრო კომისარიატშიო. ჩემი ჯარში განვევა მან გააფორმაო. არც იმ თევდორაძის ამბავი ვიცი, თუ რა მოუვიდა.

დრო გადიოდა. ჩვენი სია მზად იყო. პირველად "თამარ II-თვის" განკუთვნილი ასეული უნდა წასულიყო, ხოლო მეორე დღეს მე ბერლინში საყარაულო საქმი-

სათვის განკუთვნილ ასეულს უნდა გაეყოლოდი. ეს ის დღეები იყო, როდესაც უჩვეულოდ ადრეული და ძლიერი ზამთარი დადგა, მოსკოვს მიახლოებული გერმანული ტანკები ყინვამ რომ ადგილზე გააქევა. ეს სიცივე რუმინეთსაც ძლიერ შეეხო. უცერად დიდი თოვლი მოვიდა, "თამარისათვის" განკუთვნილი ასეული და ჩემ გარდა, სამი ქართველი და ერთი გერმანელი ასეულთან ერთად შედარებით ადვილად წავიდა, მაგრამ ჩვენი ასეულის ბინაზე კი არა, არამედ დროებით სხვა პატარა ბანაკში. არ ვიცი, რა მიზეზით იყო ეს გამონეული. მეორე დღეს კი, ჩვენი ნასვლის წინ, როგორც ვთქვი, დიდი თოვლი მოვიდა და მაგრად აცივდა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა წავსულიყავით. 120 კაცის გარდა, ამ ასეულს მიჰყვებოდა სამი ქართველი ტყვე ოფიცერიც.

ბანაკიდან გასვლისთანავე აღმოჩნდა, რომ ერთი ტყვე ავად იყო და სიარულიც უძნელდებოდა. დატოვებას ვუპირებდი, რადგან ასეთ დროს გამგზავრება მისთვის საშიში იყო. ბიჭმა ტირილი დაიწყო, ნუ დამტოვებთო. მისმა ამხანაგებმაც, არა უშავს, ჩვენ ვუშველით, ვატარებთო. ავადმყოფი ქუთაისელი იყო, გვარად თუხაშვილი. რის ვაი-ვაგლახით სადგურზე მივედი. იქ დაგვხვდა სამი საბარგო და ერთი სულ პატარა სამგზავრო ვაგონი, რომელიც ჩემთვის და სამი გერმანელი-სათვის იყო განკუთვნილი. სამ გერმანელთაგან ერთს ფელდფებელის ჩინი ჰქონდა, რომელიც ჩემთან ერთად გამცილებლად იყო, ორი გერმანელი კი, ამასთან ერთად, შეეუღლებამიც მიდიოდა. საბარგო ვაგონში იატაკზე ჩალა დაეყარათ და შიგ გავანანილეთ ასეული სამ ნაწილად. ყოველ ვაგონში, აგრეთვე მოვათავსეთ თითო ტყვე ოფიცერი. მე ტყვეები დავარიგე, ავადმყოფს გვერდით მივუნექით, რომ არ გაიყინოს-მეთქი. მატარებელი დაიძრა. ყველა დიდ სადგურზე რუმინული მოსახლეობა ცნობისმოყვარეობით გვეხეოდა გარს. მათ საბჭოთა ტყვეები ჯერ არ ენახათ. ზოგი ეკითხებოდა, პირჯერის ნერა თუ იცითო და ჩვენი ახალგაზრდები საკმაოდ უხერხულად და ყოყმანით აჩვენებდნენ, რომ პირჯერის ნერა იცოდნენ. მე გამახსენდა, რომ ანთიმოზ ივერიელის ქვეყანაში ვიმყოფებოდით და გულში გავიფიქრე, ვაი, სანყალო საქართველო-მეთქი. ქართველისაგან პირჯერის ნერას ნასწავლი ხალხი ახლა ქართველებს ეკითხება, პირჯერის ნერა თუ იცითო. მეორე თუ მესამე დღეს ავადმყოფი გარდაიცვალა. გერმანელები საშინლად დამშინდნენ, რომ ყველას 40 დღით კარანტინში ჩაგვკეტავდნენ, ვიდრე გამოირკვეოდა, რომ მიცვალებული ტიფით არ იყო ავად. გერმანელები მე მეკითხებოდნენ, რა ვქნათო. მე გამოსავალი ვიპოვნე. ვუთხარი, ჩვენ გავივლით ქალაქში, სადაც ჩემი ასეული დგას, იმთ შევატყობინებ, სასწრაფოს გამოგზავნიან და ისინი წაიყვანენ, როგორც ავადმყოფს-მეთქი. გაუხარდათ და ასეც მოვიქეცი.

ქალაქი, სადაც "თამარ II" იდგა, ჩრდილო-დასავლეთ რუმინეთში მდებარეობს, რუმინულად ბრაზოვი ჰქვია, ხოლო გერმანულად — კრონშტადტი. სადგურიდან ვცადეთ ამ ასეულთან ტელეფონით დაკავშირება, რადგან კომენდატურას იგი აღრიცხული არ ჰყავდა. ეს იმით აიხსნება, რომ „თამარ II“ გერმანული ჯარის

ასეული კი არ იყო, არამედ კონტრდაზვერვის მიერ შედგენილ, ასე ვთქვათ, ვერ-
მახტის არაოფიციალურ ერთეულს წარმოადგენდა. ჩვენი ასეული იმდენად საი-
დუმლოდ ითვლებოდა, რომ ჩვენ აკრძალული გვექონდა ქართულად ლაპარაკი და
თავი ფრანგებზე უნდა გავკესალებინა. აქვე უნდა ავხსნა, თუ როგორ მოხდა, რომ
მე ოდოპეშტიდან ბანაკში მოსული, ახლა კრონშტადტში ვურეკავდი ჩემს ასეულს.
ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი ბანაკში ყოფნის დროს "თამარ II-მ" ოდოპეშტიდან
ბრაზოვში გადაინაცვლა.

ასეულთან დაკავშირების შეუძლებლობამ საშინელ მდგომარეობაში ჩაგვავდო.
მე გერმანელებს ვუთხარი, საკომენდატოდან სასწრაფო გამოვიძახოთ ავადმყო-
ფისათვის-მეთქი და როცა ავტომობილი მოვა, ვუთხრათ, რომ რამდენიმე წუთის
ნინ ცოცხალი იყო, თქვენ მანაც უნდა ნაიყვანოთ, რადგან ჩვენ მისი თან ტარე-
ბა არ შეგვიძლია -მეთქი. ასეც მოვიქეცი, სასწრაფო სრულიად ახალგაზრდა
მძღოლმა მოიყვანა. როდესაც გვამის ჩამოტანას ვაპირებდით, ერთმა ტყვემ მი-
თხრა, ბატონო მიშა, მაგას სულ ახალი ფეხსაცმელები აცვია, მე კი თითები მი-
ჩანს. მაგას ეგ ფეხსაცმელები რაღად უნდა, ნება მომეცით, რომ გამოვუცვალოო.
რა უნდა მეთქვა, დავეთანხმე. ოთხმა ბიჭმა მიცვალებული საკაცზე დააწვინა.
მძღოლმა წამოიძახა, მე აქ ავადმყოფის წასაყანად მოვედი და არა მკვდრისა,
მკვდარი არასოდეს მიტარებიაო და შიშით კანკალებდა. მე ვუთხარი, შენ ჭკუით
იყავი და მადლობა უთხარი ღმერთს, რომ ზურგში იმყოფები და არა იქ, სადაც
მკვდრის და ცოცხლის გარჩევის ნებას არავენ მოგცემდა-მეთქი. ჩემმა სიტყვე-
ბმა მას უფრო მეტი შიში დაუბადა. გაჩუმდა და მანქანაში ავიდა. ასე ავიშო-
რეთ თავიდან იმის რეალური საშიშროება, რომ ყველა კარანტინში გავეგზავნეთ,
ვიდრე გამოირკვეოდა ავადმყოფის გარდაცვალების მიზეზი. მატარებელმა გზა
განაგრძო და რის ვაი-ვაგლახით ბერლინში ჩავედით. ასეული ბერლინის სამხრე-
თით მდებარე გარეუბანში, ლიხტენფელდში ჩამოვსვით. ახლომდებარე ყაზარმაში
მივედით. ფელდფებელმა 120 ტყვის ჩაბარების ქვითარი გამოგვართვა, კარგად
იყავითო, გვითხრა და წავიდა. ყაზარმის გამგეობამ ასეული აბანოში წაიყვანა
საერთო დეზინფექციისათვის. მეც შიგ შევეყევი და იქ რამდენიმე სიტყვით დავა-
რიგე ისინი. ვუთხარი, თქვენ ბედს ენით, რომ ზურგში იმსახურებთ და, იმედია,
ომიც თავიდან ავცდებით-მეთქი. თან დავუმატიე, კარგად მოიქეცი, ქართველებს
გერმანელთა შორის კარგი სახელი აქვთ და ეცადეთ, ეს სახელი კი არ გაიფუჭოთ,
არამედ განამტკიცოთ -მეთქი. ასე დავშორდი მათ.

ჩემი მივლინების მონაშობაში მარშრუტად აღნიშნული იყო: ბერლინი, პარი-
ზი, ბერლინი, ბრაზოვი. ბერლინში ერთი დღესაც არ დავყოვნებულვარ, პარიზში
წავედი, ნაცნობები მოვინახულე და ისევ ბერლინის გავლით ბრაზოვში დავბრუნ-
დი. იქ პარიზელმა ქართველებმა მიამბეს თავგადასავლებით აღსავსე მათი ქვეი-
თი მარშის ამბები — ოდოპეშტიდან, კარპატების გადავლით, კრონშტადტამდე.
ეს გერმანელებისათვის ერთგვარი რეპეტიცია იყო კავკასიონზე ასეთივე გზის

გასავლელად. კრონშტადტში მოხალისეთა შორის შეცვლილი განწყობილება დამხვდა. რამდენიმე უკვე საფრანგეთში დაბრუნებულიყო. სხვებიც მრავლად აპირებდნენ იგივეს გაკეთებას. ამისათვის იყო გამოყვანილი ის მეორე ასოციაციანი ასეული, რომ ახალგაზრდებს დაეკავებინათ იმ ხანშიშესულ ქართველთა ადგილები, რომელნიც ასეულს ტოვებდნენ. ჩემი კრონშტადტში ჩასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვივიდა ამბავი, რომ იმ ყაზარმაში, სადაც დროებით მოთავსებული იყო ჩვენ მიერ გამოყვანილი ასეული, მათთან შესახვედრად კრონშტადტიდან ჩასულ რამდენიმე ემიგრანტ მოხალისესთან ერთად, გარდაცვლილიყო სოლიკო ზალდასტანიშვილი. მისი ცხედარი ერთი კვირის შემდეგ კრონშტადტში ჩამოასვენეს და მეორე თუ მესამე დღეს მხედრული პატივით აქაურ სასაფლაოზე დაკრძალეს. ქართველთაგან სიტყვა არავის წარმოუთქვამს. მხოლოდ პროტესტანტმა მღვდელმა — მხედარმა მშვენიერი სიტყვა უთხრა უკვე ხანშიშესულ, პოლკოვნიკის ჩინის მქონე პატრიოტს, რომელიც უბრალო ჯარისკაცად წამოვიდა ომში თავისი ქვეყნის სიყვარულისა და ერთგულების გამო.

კრონშტადტი

კრონშტადტს სახელი ავსტრიელებმა შეარქვეს, რადგან იგი პირველ ომამდე ავსტრიის იმპერატორს ეკუთვნოდა. ქალაქის მოსახლეობა სამი ეროვნებისაგან შედგებოდა. თითქმის თანაბარი რაოდენობით იყვნენ რუმინელები, უნგრელები და გერმანელები. ქალაქის გარშემო მცირე პროვინციებიც ამავე ნარევს წარმოადგენდა. ჩვენი ასეული ქალაქგარეთ ერთ რეკვიზირებულ სანატორიუმში იყო განთავსებული. ეს ადგილი სააგარაკოდ ითვლებოდა, მაგრამ ჩვენ სააგარაკოდ არ ვიყავით მისული.

ჩვენ უკან თოვლით დაფარული ტყიანი გორაკები იყო და ჩვენი საზამთრო ვარჯიში იმით განისაზღვრებოდა, რომ ასეული ყოველ დღით რამდენიმე კილომეტრიან წრეს აკეთებდა კლდოვან და ტყიან ხეობებსა და ვორებზე. ერთი ასეთი ვარჯიშიდან დაბრუნებულები შენობაში შევედით, რომ თოვლში დასველებული ჩექმები გაგვეხადა და ტანისამოსი ცეცხლზე გაგვეშრო. მე და ალიოშა აბაშიძე ჩვენს პატარა კანტინაში შევედით, რომ ცხელი ყავა დაგველია. უეცრად მეზობელი საცხოვრებელი ოთახიდან სროლის ხმა მოისმა. ალიოშამ წამოიძახა, ეგენი ერთმანეთს დახოცავენ ერთ დღესო! ორივენი დარბაზში შევედით, სადაც ორი რიგი ორსართულიანი სანოლებისა იყო ჩამწყრივებული. სანოლებს შუა იატაკზე პირალმა ეგდო 20 წლის ახალგაზრდა ამილახვარი, თევზით აღებდა პირს, საიდანაც სისხლი მოსდიოდა. მის გვერდით გაოგნებული იდგა მისივე ასაკის გოგია ბერიძე. მარშიდან დაბრუნებულ ორ მეგობარს იარაღის წმენდა დაუწყიათ და თავიანთ ლოგინებთან ერთმანეთის პირისპირ მდგარან. გოგიას რევოლვერი გავარდნია და საუკეთესო მეგობარი სასიკვდილოდ დაუჭრია. ეს, რასაკვირველია, მარცხი იყო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თუ

არა ქართველების ამ შემთხვევაში უადგილო სიყვარული იარაღისა, ეს ტრაგედია არ მოხდებოდა. საქმე ისაა, რომ რევოლუციური ბერიძის სამხედრო აღჭურვაში არ შედიოდა. იგი პარიზიდან ჩამოსულმა ქართველმა მიჰყიდა. გერმანულ ჯარში მოხალისედ ჩაწვილი კაცს რაში სჭირდებოდა პარიზიდან რევოლუციის ნამოლევა. გარდა ამ ამბისა, სხვა უბედურ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: ოდოპეტიდან კრონშტადტში რომ მოდიოდნენ, საბარგო მანქანაში მჯდომმა მთვრალმა ზურაბ ციციშვილმა ავტომატით სასიკვდილოდ დაჭრა ჩვენს ასეულში მყოფი მოხალისე, ეროვნებით ჩერქეზი. ესეც მარცხი იყო, მაგრამ ციციშვილს დატენილი ავტომატი მკერდზედ არ უნდა ჰქიდებოდა და ეს მარცხიც არ მოხდებოდა.

ვიდრე დროებით ბუდაში დაბანაკებული ახლადგამოყვანილ ტყვეთა ასეული ჩამოვიდოდა, ემიგრანტ მოხალისეთა თითქმის ნახევარი უკვე პარიზში იყო დაბრუნებული. ბოლოს ბუდაში მათი ახალი ჯარისკაცები ჩვენ შემოგვიერთდნენ. მათთვის ფრანგული სამხედრო ფორმა ჩაცემიათ. გერმანელები ამას საიდუმლოს შენახვად თვლიდნენ, აქაოდა, ამ ახალგაზრდა ბიჭებს ფრანგებად ვასალებთო. ამ ასეულმა ჩვენზე უფრო ბეჯითად დაიწყო ვარჯიში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე ჯარისკაცობისათვის ვარჯიშმოვლილნი იყვნენ, გერმანულ წესებთან შეჩვევას მანაც დრო სჭირდებოდა. მათ გერმანელებთან ერთად თან დაჰყვებოდა მათთან ერთად გამოყვანილი საბჭოელი ოფიცერი პირტახია. საკვირველი გავლენა მოახდინა ხანშიშესულ პარიზელ ემიგრანტებზე ამ ახალგაზრდებთან შეხვედრამ. ეს იყო მამათა და შვილთა შეხვედრა. ისინი ბიჭებს ისე ეფერებოდნენ, როგორც საკუთარ შვილებს. მათი ლაპარაკის სტილიც სრულებით შეიცვალა, რათა ახალგაზრდებს მათ მიერ წარმოთქმული არც ერთი ავი სიტყვა არ გაეგონათ. მახსოვს, ერთხელ ერთმა იკითხა: თქვენ ერთმანეთში არასოდეს დავობთ, ან არც ერთი უადგილო სიტყვის თქმა არ იცითო?! ეს იმას ნიშნავდა, რომ ბიჭებმა შეამჩნიეს ჩვენში მომხდარი მეტამორფოზა.

ასე გავატარეთ ზამთარი და გაზაფხული რომ დადგა, ხმა დაირხა, ჩვენი ასეული სხვა, უფრო დიდ შენაერთს უნდა შეუერთდესო. ეს შენაერთი იყო ბავარიის ცნობილი გერმანული სამთო დივიზიის მალალმთიან ყაზარმაში მდგომი ბატალიონი, სახელად "ბერგმანი"; გამართლდა, რომ ამ ერთეულს უნდა შევეერთებოდით. ნასვლის დროც დადგა. ასეული გაემგზავრა, მაგრამ ბავარიის ნაცვლად პრუსიაში, ბრესლაუს მახლობლად მდებარე სამხედრო სავარჯიშო ყაზარმებში მიგვიყვანეს. უახლოეს დასახლებას სტრანსი ერქვა. ეს სავარჯიშო, ასე, რამდენიმე კილომეტრის სიგრძისა და სიგანის ველი იყო, რომელზედაც აქა-იქ ფიჭვის მეჩხერი ტყე იზრდებოდა. ერთი საყურადღებო რამ:

ამ ველზედ გაშენებული იყო ორი თუ სამი რუსული ტიპის სოფლის ასლი. ეს, რასაკვირველია, იმისთვის, რომ გერმანელი ჯარები შეჩვეულიყვნენ რუსული ხედის სურათს. აქ გვეწვივნენ "ბერგმანიდან" ჩამოსული გერმანელი ოფიცრები და თან მოიყვანეს ტყვეობიდან დახსნილი და ახლა მათ ერთეულში მყოფი ყოფილი

საბჭოთა კავიტანი ნიკლაური. ეს ნიკლაური ფორმალურად ტყვეთაგან ახლად-შედგენილი ბატალიონის მეთაურად ითვლებოდა. იგი გერმანელებმა ჩვენთან მოიყვანეს, რომ ჩვენ, ემიგრანტებს, რომელთა რიცხვი ორმოცს აღარ აღემატებოდა და ჩვენ მიერ გამოყვანილ 120 ახალგაზრდასაც გასცნობოდა. ნიკლაურის შეხვედრამ, როგორც ახალგაზრდებთან, ასევე ჩვენთან, დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ბიჭები გვეუბნებოდნენ, ბატონო, ეს კაცი კომუნისტია, ჩვენ მაგასთან რა საქმე გვაქვსო. ეს იმიტომ, რომ რამდენიმე თვე ჩვენთან ყოფნისა საქმარისი აღმოჩნდა, რომ ეს ახალგაზრდები სრულებით შეცვლილიყვნენ და მათ ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცობისა აღარაფერი შერჩენოდათ. ბოლოს ნიკლაური ჩვენც გვესტუმრა. ემიგრანტებს რამდენიმე ოთახი გვეკავა. ოთახში, რომელშიც ის შემოვიდა, ვინე-ქით მე, ვიქტორ ნოზაძე, ალექსანდრე ცომაია, დიმიტრი სინჯიკაშვილი, დათიკო ვაშაძე და ექიმი ხოჭოლავა.

ჩვენი საუბარი ნიკლაურთან ოთხ თუ ხუთ საათს გაგრძელდა. გამოდიოდა, რომ ერთმანეთის არაფერი აღარ გვესმოდა; რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით, ნათელი და მარტივი იყო, მაგრამ ნიკლაური რალაც მანქანებით ახერხებდა ნახევარ-საათიანი მონოლოგი წარმოეთქვა და არაფერი გასაგები არ ეთქვა. ბოლოს ყველანი რომ დავილაღეთ და უკვე სალაპარაკო აღარაფერი გვექონდა, მოთმინებიდან გამოსულმა ვიქტორ ნოზაძემ ნიკლაურს უთხრა, გვეყოფა. თქვენთან ლაპარაკი, თქვენ ტვინი გაგვიუპატიურეთო. ამ უკანასკნელი სიტყვის მაგივრად მან სხვა, პირდაპირი სიტყვა იხმარა. ასე დავმორდით ერთმანეთს. ნიკლაური და გერმანელები ბატალიონში დაბრუნდნენ და ჩვენი ასეულიც მოემზადა იმ მიმართულებით გასამგზავრებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენი წასვლის დროც დადგა. ასეული მატარებელში ავიდა, ქართველმა ემიგრანტმა ოცეულის მეთაურებმა თავიანთი ნაწილები ვაგონებში მოათავსეს და ასეულის გარეშე არსებულმა ემიგრანტთა ოცეულმა ჩვენი ვაგონი დაეკავეთ. მატარებელი ბავარიისკენ დაიძრა და ჩავედით პარტენკინხენში. ეს ადგილი სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ უპირველეს ცენტრად ითვლება მსოფლიოში. იქ დაგვხვდა რამდენიმე ფელდფებელი, რომელთაც ქართველმა მეთაურებმა გულისტკივილით გადასცეს თავიანთი ოცეულები და თვითონ ჩვენ, დანარჩენ ემიგრანტებს შემოგვიერთდნენ. პარტენკინხენიდან ფეხით ვიარეთ სამი თუ ოთხი კილომეტრი პატარა ქალაქ მილტელვალდამდე. ამ ქალაქს გადაჰყურებს მთა, რომელზედაც იდგა "ედელვაისის" სახელით ცნობილი გერმანული სამთო დივიზიის ყაზარმა, რომელსაც მალალმთიანი ყაზარმა ერქვა. აქ იყო დაბინავებული "ბერგმანის" ბატალიონი. მისი მეთაური იყო ობერ-ლეიტენანტი ობერლენდერი. იგი რეზერვის ოფიცერი იყო და ერისკაცობაში მას ერქვა "პროფესორი ობერლენდერი". ეს ის ობერლენდერია, რომელიც ომის შემდეგ ადენაუერის კაბინეტში ითვლებოდა აღმოსავლეთ გერმანიიდან და დასავლეთ პრუსიიდან ლტოლვილ გერმანელთა საკითხის მინისტრად. ბატალიონში ითვლებოდა ორი

ქართული ასეული, ერთი აზერბაიჯანული, ერთი ჩრდილოკავკასიური ასეული და ერთი ოცეული სომხებისა. ჩვენი ჩასვლისთანავე აშკარა გახდა, რომ ჩვენ მიერ ჩამოყვანილ ახალგაზრდებსა და ადგილზედ მყოფ ორი ასეულის ქართველთა შორის სრული გაუგებრობა არსებობდა. ჩვენი ბიჭები ისევე აფასებდნენ ჩვენს მდგომარეობას, როგორც ემიგრანტები, მაშინ, როდესაც დამხვედურ ჯარისკაცთა შორის სრული გაუგებრობა იყო ქართული საკითხის შეფასებამი. დამხვედურები ჩვენს მოყვანილ ჯარისკაცებს არც კი უჯერებდნენ, რომ ისინი ყოფილი ტყვეები იყვნენ და ეუბნებოდნენ, თქვენ, ალბათ, ემიგრანტების შვილები ხართო. წარმოსადგენად დაუჯერებელმა ამ მდგომარეობამ კარგა ხანს გასტანა. შემდეგ ეს პატარა საკითხი თუმცა გაირკვა, მაგრამ ჩვენი მოყვანილი ტყვეები მაინც სულ ჩიოდნენ, აქაურებისა ვერაფერი გაგვიგიაო. რამდენიმე დღის შემდეგ ყველაფერი გაირკვა. ჩვენს მოვლამდე ბატალიონში უკვე ორი ემიგრანტი იყო. ერთი — გერმანიაში ადრე მცხოვრები ბაგრატი ჭანტურია, ხოლო მეორე — ვიქტორ ხომერიკი. ორივენი თარჯიმნებად ითვლებოდნენ. ერთ დღეს ჭანტურიასთან მივიდა ერთი ჯარისკაცი, რომელმაც უამბო, ბატალიონში ნიკლაურის მეთაურობით შეთქმულება ეწყობა, რომლის მიზანია ფრონტზე გასვლისთანავე ბატალიონი საბჭოელების მხარეზე გადაიყვანონო. ჭანტურიამ თავი ვალდებულად მიიჩნია ყოველივე ბატალიონის უფროსისათვის მოეხსენებინა. მცირე გამოძიების შემდეგ რამდენიმე შენიშნული თუ შეუნიშნავი საბჭოთა ყოფილი ოფიცერი ექსკურსიაზე წაიყვანეს სხვა ქალაქში და იქ დაატუსაღეს. ყველა, გარდა ექიმ რეზო გოგიტიძისა, რომელიც ეჭვმიტანილთა შორის არ იყო. ამ ამბავს მოჰყვა დატუსაღებულთა პროცესი. მათი გვარები, რომლებიც მახსოვს, შემდეგია: ნიკლაური, ტაბიძე, შავგულიძე, მუხაშავერია, ჯაში და კიდევ ერთი თუ ორი კაცი, რომელთა გვარი არ მაგონდება. პროცესზე თარჯიმნობდნენ ვიქტორ ნოზაძე და ბაგრატი ჭანტურია. მე იმ პროცესზე არ ვყოფილვარ. ბრალდებულებს დაუმტკიცდათ, რომ ისინი ნამდვილად ამზადდებდნენ შეთქმულებას და საბჭოელებს რომ ეს ოპერაცია ფრონტზე უკანასკნელ წუთებში ჩადენილ უეცარ მოვლენად არ ჩათვალათ, შეთქმულებს რამდენიმე ხნით ადრე საამისო დოკუმენტი შეუდგენიათ და ეს დოკუმენტი სწორედ იმ სტრანსის ყაზარმაში სადღაც ჭერში დაუმალავთ, რომ რუსების წინაშე საბუთი ჰქონოდათ, ამ შეთქმულებას ტყვედ ჩავარდნის პირველსავე თვეებში ვგვგმავდითო. ძიებამ დოკუმენტი აღმოაჩინა. ასე რომ, ბრალდება უეჭველი იყო. რამდენადაც მე ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბრალდებულის დახვერტაზედ ლაპარაკობდნენ, სინამდვილეში მხოლოდ ნიკლაური და ტაბიძე დაუხვერტიათ. დანარჩენები ტყვეთა ბანაკებში დაუბრუნებიათ და ზოგი მათგანი საქართველოშიც კი ცოცხლად დაბრუნებულა. ჭანტურიამ მიაბმო: სასამართლოს თავმჯდომარემ მადლობით მიმართა ნიკლაურს, თავი ღირსეულად გეჭირაო, როცა ეს ნიკლაურს გადაეუთარგმნეო, მითხრა ჭანტურიამ, ნიკლაურმა მკითხა, “ზნაჩიტ”, როგორ გავიგო, მხვერეტენ, თუ არ მხვერეტენო? ჭანტურიას უპასუხია, განაჩენი განაჩენია, ეგ სიტყვები მოსამართლემ

პირადად თავისი სახელით გითხრაო. ნიკლაურმა შენიშნა, თუ მხერგეტენ, მისი მადლობა მე ფეხებზე მკიდა, რაში გამომადგება! ასე დასრულდა ეს ამბავი.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი ფრონტზე ნასვლის დროც დადგა. ამისათვის ისევ სტრანსში დაგვაბრუნეს. აქ ბატალიონს დაემატა ცალკე ჩამოყალიბებული მესამე ქართული ასეული. ამ ასეულში ემიგრანტიებიც იყვნენ და ყოფილი ტყვეებიც. ბატალიონი ფრონტზე სხვადასხვა გერმანულ ნაწილებში გაანაწილეს ცალ-ცალკე ასეულებად. მე, ვიქტორ ნოზაძე და დავით ვაშაძე ობერლენდერმა თავისთან დაგვტოვა. ბატალიონის შტაბი იდგა სოფელში, რომელსაც ერქვა "რუს-კაია". მე, ვიქტორი და დათიკო კარაევი ვცხოვრობდით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბატალიონის უფროსი ფრონტზე ბატალიონის უფროსად აღარ ითვლებოდა. ეს განსაკუთრებული მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ "ბერგმანი", რომელსაც "განსაკუთრებული შენაერთი" ერქვა, გერმანული კონტრდაზვერვის უფროსის, ადმირალ კანარისის დაარსებული იყო. ობერლენდერს ბატალიონთან ერთად თან ახლდა მთელი შტაბი სხვადასხვა დარგის სწავლულებისა, რომელთაც ჯარისკაცის ფორმა ეცვათ, მაგრამ არავითარ სამხედრო სამსახურს არ ენეოდნენ. მათგან მე მხოლოდ ერთს ვიცნობდი საკმაოდ ახლოს. იგი, მოსკოვში გერმანიის საელჩოს ყოფილი მდივანი, უფროსი ძმა იყო შემდეგ ხანებში ჩემი ასეულის უფროსისა, ლეიტენანტ შუტტესი, რომელიც იმ დღეს დაიჭრა სასიკვდილოდ, რა დღესაც, ერთი საათის შემდეგ, მეც დავიჭერი, მაგრამ ამაზე შემდგომ ვისაუბროთ.

ქართულმა ასეულებმა მალგობეკთან მიიღეს ბრძოლაში მონაწილეობა. იქ დაჭრილთა გვარები არ მახსენდება, გარდა ემიგრანტ ჟორა ინჯიასი. ერთ-ერთი ქართული ასეულის უფროსიც ინჯიას გვერდით მოკლეს. სხვა წვრილმანებიც მხოლოდ ნაამბობით ვიცი, რადგან ჩვენი შტაბი ბრძოლის ხაზს ორი-სამი კილომეტრით მაინც იყო დაშორებული.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ბატალიონის უფროსმა ვიქტორ ნოზაძე და დათიკო ვაშაძე საპაერო ჯართან არსებულ ერთი ქართული ასეულის შემდგენელს, საპაერო ჯარის პოლკოვნიკს, "ათხოვა". ასე რომ, მე მარტო დავრჩი. მაგრამ მალე ამის შემდეგ ფრონტზე მყოფ ჩვენს ასეულებს ადგილი შეუცვალეს, ხოლო მე ზურგში გადამაგზავნეს, სადაც ახლადაყვანილი ტყვეებიდან ახალი ასეული უნდა შემდგარიყო. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ლეიტენანტი შუტტე. ცოტა უფრო გვიან ჩემთანვე მოიყვანეს თემო თავთაქიშვილი და პაულე ვაშაძე. ეს რაღაც ტიპი ადგილი იყო, სადაც რომელიღაც "სოფხოზის" შენობები იდგა. წყალი არსად იყო. ერთადერთი ჭიდან თხუთმეტი მეტრის სიღრმიდან ამოგვქონდა წყალი. ჩვენს განკარგულებაში იყო ოთხასი ახლადაყვანილი ქართველი ტყვე. ჩვენ მათ ვახარისხებდით, ვარჩევდით, თუ რომელი გამოდგებოდა საბრძოლო შენაერთისათვის და რომელი — სამუშაო ასეულისათვის, რადგან ასეთებიც არსებობდნენ. ეს სამუშაო ასეულები გერმანულ ფორმას ატარებდნენ, ინდივიდუალური იარაღიც ჰქონდათ, მაგრამ ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ, გზებზე და სანგრების მოწყობაზედ მუშაობდნენ.

აქ გამომრჩა, ამენერა ჩვენი მოგზაურობა სტრანსიდან კავკასიამდე. სტრანსიდან როსტოვამდე მატარებლით ვიარეთ, ხოლო როსტოვში დაგვხვდა გერმანული სატრანსპორტო შენაერთი, რომელიც შედგებოდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში რეკვიზირებული საფოსტო ავტობუსებისაგან. იმ ავტობუსში, რომელშიც მოვხვდი, ჩემ გვერდით არა, მაგრამ სადღაც ჩემ უკან ვიქტორ ნოზაძეც იჯდა. ჩვენს ავტობუსში მსხდომთა უმეტესობა გერმანელები იყვნენ და მე მათთან ვიყავი გამწესებული, როგორც შტაბთან მივლინებული თარჯიმანი. ჩემ გვერდით იჯდა ზემოთ ნახსენები ვინმე შუტტე. ამ უბრალო ჯარისკაცის მუნდირში მოსკოვში გერმანიის საელჩოს ყოფილი მრჩეველი და ახლაც რაღაც საიდუმლო დავალების მქონე კაცი იმალებოდა. გავიარეთ ტაგანოროგი, როსტოვი, დონისა და ყუბანის დაბლობები და მორიგი ღამე პიატიგორსკში უნდა გაგვეთია. გაზაფხული იყო. მოუკირწყლავ გზას მტვერი ასდიოდა. გარშემო სტეპი გადაშლილიყო, თვალუნვდენელი, უფერული და დამლელი, სადამდეც თვალი მიუნვდებოდა. არც ხე, არც ბუჩქი, არც სოფელი, არც წყარო. ამ მოსაწყენ გარემოში მგზავრთა ყურადღება რაღაცამ მიიპყრო. ყველა სამხრეთ-დასავლეთით იცქირებოდა, ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. მეც იქით გავიხედე. ღრუბლებში ნაშუადღევის მზე უკვე დასავლეთით იხრებოდა, მაგრამ ჰორიზონტზე მოჩანდა რაღაც სხივოსანი სინათლე, თითქოს სხვა მზე ამოდისო. ჩვენი ავტობუსის წინსვლასთან ერთად სურათი თანდათან ფერს იცვლიდა და იმ საგანმა, რომელიც ამ ფერად სხივებს ისროდა, თვით დაიწყო გამოჩენა და ზრდა — ჯერ ელვარემ და შემდეგ თანდათან თეთრმა. ეს იყო იალბუზის მწვერვალი ჰორიზონტზე. სურათი იყო მართლა საკვირველი, რაც უფრო წინ მივდიოდით, ეს უზარმაზარი ცინულის პირამიდა თანდათან თითქოს მიწიდან ამოდისო, იზრდებოდა და მალე მთელი თავისი ბუმბერაზობით აღიმართა მარტო და ამაყად და ამ შემთხვევაში ფუჭი სიტყვები იქნებოდა ვინმეს რომ ეთქვა "ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინებისო", რადგან მზე ამჟამად იალბუზს ეფერებოდა და ჩვენი საცოდავი მხოზავი ავტობუსები აქ არაფერ შუაში იყო, მიუხედავად გერმანული საიმპერიო არნივებისა, მათ რომ ეხატა გვერდებზე.

ავტობუსები გზას სწრაფად კეცავდნენ და იალბუზის მარჯვნივ და მარცხნივ ჰორიზონტზე ამოსვლა დაიწყო ცინულის სხვა პირამიდებმა და ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ წინ აღიმართა თეთრი მოელვარე თხემებით დაგვირგვინებული კავკასიონი. "გინახათ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია," — ამბობს ტაბიძე. თქმა ლამაზია, იქნებ სწორი, მაგრამ სრული არაა. აქ მე სურათის აღწერას თავს ვანებებ, რადგან ცდა ფუჭად ჩამივლის.

ჩვენ ყველას ნაგვიკითხავს რომანებში, ადამიანები ბუნების სიდიადეს როცა გრძნობენ, ჩუმდებიან და ნაცვლად ლაპარაკისა, ჩურჩულს იწყებენო. ასეც მოხდა

ჩემ გარშემო მსხდომ გერმანელებს შორის. "ღმერთო, რა დიდებულებაა, ღმერთო რა სილამაზეა", – ჩურჩულებდა ყველა თავისთვის. ასე მივადექით ჩვენ ქართლის შთამომავალთა ციხესიმაგრის ჩრდილოეთ კედელს.

ჩემი თვალები უკვე ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გული მკერდში აღარ მეტეოდა და ამოვარდნას ლამობდა იმიტომ, რომ ამდენი ხნის უნახავ სამშობლოს ვხედავდი და ამასთანავე, გული სიამაყით ამევსო. მე ხომ ამ ციხესიმაგრის მფლობელთა შთამომავალი ვიყავ, რომლის ხილვამაც ჩემი თანამგზავრების ცნობილი ზეკაცობა ასე გაახუნა. ჩემ გვერდით მჯდომი შუტტე ჩემკენ მობრუნდა, რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა რომ დაინახა, მოკრძალებით თვალი ამარიდა.

როდესაც მგზავრი მთაზე ამაყად ნამომდგარ შატოს (ციხე-დარბაზის) გალავანს მიადგებოდა, როგორი იქნებოდა დამოკიდებულება ამ მგზავრსა და შატოს მცხოვრებთა შორის?!

ამგვარი ურთიერთობა მეფობდა ქართველებსა და მის მეზობელთა შორის საუკუნეთა განმავლობაში.

ზემოთ აღწერილი ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შემოდგომის ერთ მზიან დღეს, ნალჩიკში ჩემი ასეულის უფროსის ლეიტენანტ შუტტეს ოთახში შევედი (ეს ლეიტენანტი შუტე იმ დიპლომატ შუტტეს ძმა იყო, ავტობუსში ჩემთან ერთად რომ იმგზავრა). იგი ღია ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე გაშლილ კავკასიის რუკას სწავლობდა. ფანჯრიდან კი ჩანდა ამავე რუკის ყველაზე საინტერესო ადგილის ცოცხალი მონაკვეთი – კავკასიონის ქედი. შუტტე ნამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ეს გულცივი პომერანიელი რომანტიკულად აღაპარაკდა.

რა ახლოა და, ამავე დროს, რა შორს არის თქვენი სამშობლო. მოსკოვში უფრო ადვილია აქედან ბრძოლით მისვლა, ვიდრე ამ კლდეების დაძლევა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ამ მთის იქით რალაც ჯადოსნური ქვეყანა უნდა იყოს დევგმირი ხალხით დასახლებული.

შემდეგ რამდენიმე ხანი ჩუმად უცქერდა მთაგრეხილს და თვალის მოუშორებლად განაგრძო: მჯერა, რომ თქვენი ქვეყანა ძალიან ლამაზი უნდა იყოს. პომერანიიდან კავკასიამდე რამდენ უცხო ხალხს გაუვლია და, ალბათ, კიდევ გაივლის. რა გააჩერებს ხალხს ამ ჩრდილოეთის ქარებით გავერანებულ მიდამოში. თქვენ კი 2000 წელიწადია, ამ კედლის იქით ცხოვრობთ, სამხრეთის მზით განებივრებულები. მე მგონი, კარგად არც კი გესმით, რა ბედნიერი ხალხი ხართ.

დავბრუნდეთ კვლავ კავკასიაში. კავკასიაში ჩასვლისას, იმ შერჩეული ასეულის შედგენისთანავე, ეს ადგილი დაეტოვეთ და ახალ ასეულთან ერთად აღმოსავლეთით გადაეინაცვლეთ, სოფელში, რომლის სახელი არ მახსოვს, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ აქედან აღმოსავლეთით მონღოლური ტომებით, მგონი ყალმუხებით დასახლებული სტეპები იწყებოდა. ამ სოფელში სკოლის შენობაში დავბინავდით. წყალი არც ამ სოფელში იყო, მაგრამ მინიდან ამოდიოდა მშვენივრად მოწყობილი არტეზიული ჭის მილი, საიდანაც მშვენიერი წყალი დიოდა განუნწყეტლივ. ამ სო-

ფელში ყოფნის დროს მივიღეთ გერმანული ფორმა ჩვენი ასეულისათვის. ასეული აბანოში წაიყვანეთ, იქიდან ტიტულები სკოლის შენობაში ბრუნდებოდნენ და აქ ახალ საცვლებსა და ტანისამოსს ვაცმევდით. ასე დაიბადა მომავალი ქართული ბატალიონი N1, "ბერგმანის" მეხუთე ასეული. ამ ასეულში ვიმსახურეთ, ლეიტენანტმა შუტიტემ სიკვდილამდე და მე – დაჭრამდე, რაც იმავე დღეს მოხდა, მაგრამ უკვე ყირიმში წლინახევრის შემდეგ.

მაშინ ჩემთან ერთად ასეულში იყვნენ ემიგრანტთაგან თემო თაქთაქიშვილი, ბიძინა ერისთავი, სამა ტარასაშვილი, გოგია ბერიძე, გრიშა ლორთქიფანიძე და იქნებ კიდევ ორი სხვა, რომელთა ვინაობა აღარ მაგონდება. ასეული ნორმალურ ვარჯიშს ეწეოდა და ჯარისკაცები სწრაფად ეჩვეოდნენ მათთვის უცხო გერმანულ წესებს. რამდენიმე კვირის შემდეგ ბრძანება მივიღეთ, ასეული ნალჩიკში უნდა გადაბარებულყო. ჩვენ რომ ნალჩიკში ჩავედით, ქალაქი დაახლოებით ერთი თვის წინ იყო გერმანელთა მიერ დაკავებული. დაგვაბინავეს ყაზარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის შენობაში. ჩვენზე ადრე აქ რუსული სამხედრო სკოლა მდგარა. სამზარეულოს ქვაბებში კიდევ ვიპოვეთ მათი ყოველდღიური საჭმლის — ობმოდებული რუსული "კაშას" ნარჩენი. ორსართულიანი უზარმაზარი შენობა საშინელ მდგომარეობაში დაგვხვდა. საპირფარეშოები აღარ არსებობდა, რადგან ყველა მილი გაჭედილი აღმოჩნდა, ხოლო მათი გამოყენება რუსებს მაინც გაეგრძელებინათ. ყველგან კოჭებამდე მყარალი სითხე იდგა. არც წყალსადენი, არც გათბობის სისტემა არ მუშაობდა და ოთახები უკლებლივ ნაგვით, ან აქა-იქ ადამიანის სკორეთი იყო მოსვრილი. დიდი ხანი დაგვჭირდა, რომ შენობა ცხოვრებისათვის გამოსადეგად გადაგვექცია. ჩვენ გარდა ამავე ასეულში შედიოდა "ბერგმანის" აზერბაიჯანული ასეული. საჭიროდ მიმაჩნია, აღვწერო მაშინდელი ნალჩიკის მდგომარეობა.

წარმოუდგენელი სისწრაფით ქალაქი თანდათან ივსებოდა პატარ-პატარა დუქნებით, სასადილოებით, სადალაქოებით. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შორს იდგა ნამდვილი საეჭრო დანესებულებებისაგან, მაგრამ მაინც საკვირველი იყო კერძო ვაჭრობის და ინიციატივის ასეთი მოულოდნელი და სწრაფი დაბადება. ნალჩიკის ახლომახლო რაჭველთა რამდენიმე ახალშენი არსებობდა. ჩვენ მათთან ხშირად დავდიოდით. ისინი ადგილობრივი პირობებისათვის საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ. ერთ ასეთ ოჯახში ყოფნის დროს შევნიშნე, რომ ბავშვები თავიანთ მშობლებს რუსულად ელაპარაკებოდნენ. ამ გარემოებამ ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა და ოჯახის უფროსს საყვედური ვუთხარი, კაცო, რა ღმერთი გინყრებათ, ქართულ მიწებს საქართველოში თათრები და სომხები იკავენბენ და თქვენ აქ გადმოსახლებულხართ, ნუთუ იმისთვის, რომ ბავშვები გაარუსოთ-მეთქი. იმ რაჭველმა თავის გამართლებისა და ბოდიშის ნაცვლად მე შემომიტირა, რას ამბობთ, ეს მიწები დავით აღმაშენებლის დროს ჩვენ გვეკუთვნოდა და ჩვენ საქართველოს ტერიტორიას ვადიდებთ, რომ ყოფილი ქართული მიწები ისევ სა-

ქართველოს დაუბრუნოთ. ეს იყო კადნიერებაზე უარესი თავის მოკატუნება, რომ ვითომ ისინი პატრიოტულ საქმეს აკეთებდნენ. ზედმეტად ჩავთვალე მასთან ამაზე ლაპარაკი და იმ კაცს შემდეგ არც გავკარებოვარ. მაგრამ იყვნენ სხვა რაჭველებიც, რომელნიც ასეთი ურცხვი თავის მართლებისაკენ თავს იკავებდნენ. ისინი საქართველოში დაბრუნებას ნატრობდნენ და ამბობდნენ, ღმერთმა თუ გვაღირსა, რომ საქართველო გათავისუფლდა, რა თქმა უნდა, ავიყრებით და ჩვენს სამშობლოში დაუბრუნდებითო. ამ დროს იყო, რომ ბერლინიდან მიხვილ კედიას დავალებით ნალჩიკში ჩამოვიდნენ ალექსანდრე ასათიანი და ალექსანდრე ცომაია. მათი ოფიციალური მგზავრობა სულ სხვა იყო, ვიდრე მათი საიდუმლო მისია, რომელსაც გერმანელები არ ცნობდნენ. ისინი ჩამოვიდნენ, რომ რაჭველების საშუალებით კავშირი დაემყარებინათ ქართველ საბჭოთა მეთაურებთან. ალექსანდრე ასათიანის ჩამოსვლა აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართველოში გაგზავნილ რაჭველს თავისი თვალთ ენახა ალექსანდრე ასათიანი და ამგვარად ქართველ კომუნისტებს ნარდგომოდა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დავალებით ჩამოსული შიკრიკი. კომუნისტებისადმი მიმართული წინადადებები შემდეგ რჩევა-ინსტრუქციას შეიცავდა: ვიდრე გერმანელებს კავკასიონი არ გადაულახავთ, ხელი არ გაანძრიოთ, ჭკვიანად იყავით, ხოლო როდესაც მათი წინსვლა დაიწყება და გერმანელთა მიერ საქართველოს ოკუპაცია ამკარად მოსალოდნელი გახდება, დაასწარით და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო. ასეთი იყო ქართული ემიგრაციის მიმართვა ქართველი კომუნისტებისადმი და იქიდან მოვიდა პასუხი, ჩვენც ასე ვფიქრობთო. საუბედუროდ, თუ საბედნიეროდ, გერმანელებს საქართველო არ დაუკავებიათ. ვამბობ, საბედნიეროდ-მეთქი, რადგან იმ შემთხვევაში, თუ გერმანელებს საქართველოს დატოვება მაინც მოუხდებოდათ, ჩვენ ჩეჩნებზე, ინგუშებსა და ყაბარდო-ბალყარელებზე უარესი დღე დაგვადგებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, რუსებმა ჩრდილოკავკასიის ხელმეორედ დაკავების-თანავე მთელი მოსახლეობა ცენტრალურ აზიაში გადაასახლა.

ნალჩიკშივე გადმოვიდა "ბერგმანის" მთელი შტაბი. კავკასიის ფრონტის მთავარი შტაბიც ნალჩიკში იმყოფებოდა, რომლის დაცვა "ბერგმანთან" არსებულ განსაკუთრებულ ოცეულს დაევალა. რამდენიმე სიტყვა ამ ოცეულის შესახებ: ეს იყო მტრის ზურგში მოქმედებისათვის განსაკუთრებულად განვრთნილი და მომზადებული შენაერთი. მათ გერმანიაში განსაკუთრებული წვრთნა გაიარეს, შეეძლოთ უღელტეხილების გადალახვა, ათეული კილომეტრების გავლა დათოვლილ მთებში. თანაც უჭმელად და ამავე დროს, ზურგით უნდა ეტარებინათ მთელი შემადგენლობისთვის ათი დღის საჭმელი, მაგრამ ნება არა ჰქონდათ, ერთი ლუკმაც მოეკლოთ ტვირთისათვის. ამ ოცეულმა, რომელშიც 50-მდე კაცი იყო, ადრე უკვე საქმით დაამტკიცა თავისი უნარიანობა. მაგალითად, ფრონტის ერთ-ერთ მონაკვეთზე ისინი უჩუმრად მტრის ზურგში მოექცნენ, ჯავშნიანი მატარებელი ააფეთქეს და უვნებლად უკან გადმოვიდნენ. უცნაური შემთხვევით ამ

ერთეულში ჩემი ბავშვობის ორი ძველსენაკელი ამხანაგი აღმოვაჩინე. ერთი იყო დალაქ კურდღელიას შვილი, ხოლო მეორე – აფთიაქარ ნიკიტა ჯინორიას ვაჟი, ორივე დაახლოებით ჩემი ასაკისა. მიშა ჯინორია ომის შემდეგ მიუნხენში გარდაიცვალა. ხოლო კურდღელიას ბედი ჩემთვის უცნობია. ამ დროისათვის გერმანელთა მოპყრობა კავკასიელი მოსახლეობისადმი სრულებით შეიცვალა. იგი არაფრით არ ჰგავდა უკრაინაში გამეფებულ უსიამოვნო გერმანულ-უკრაინულ დამოკიდებულებას. მთელი ჩრდილოკავკასიის იარაღსხმული კავკასიელი მოსახლეობა საკუთარ ქვეყანაში წესრიგს იცავდა. გერმანელებსა და მათ შორის სრული ნდობა სუფევდა და პარადოქსული ის იყო, რომ გერმანელები ახლა ადგილობრივ რუსულ მოსახლეობას იცავდნენ, რომ კავკასიელებს მათთვის სამაგიერო არ გადაეხადათ. ცნობილია, თუ რა ძვირად დაუჯდათ ეს კავკასიელებს.

გვიან შემოდგომაზე ჩვენმა ასეულმა ნალჩიკი დატოვა და ნალჩიკის სამხრეთით ერთ-ერთი ხეობის სიღრმეში დავბინავდით ერთ სოფელში, თბილი წყლის აბანოს შენობაში. იმ ადგილს "ბელაია რეჩკა" ერქვა. იქ დგომის დროს მოვიდა ამბავი გერმანული არმიის საბოლოო დამარცხებისა სტალინგრადთან და ახალი წლის წინა ღამეს ბრძანება მივიღეთ, ნალჩიკზე გავლით კისლოვოდსკისკენ დაგვეხია. ნალჩიკს რომ უეახლოვდებოდით, შეგვხვდა ჩვენი ბატალიონის უფროსი ობერ-ლენდერი. მან ჩემი ასეულის უფროსს მარშრუტის რუკა გადასცა და საჭირო ინსტრუქციები მისცა ქერჩის მიმართულებით სელისათვის. ნალჩიკში რომ შევედით, ქალაქში აქა-იქ შენობები იწვოდა. გერმანელები წვავდნენ საქონელს, რომლის ნაღება არ შეეძლოთ. უნივერსიტეტის შენობას რომ მივალნიეთ, აღმოჩნდა, რომ გერმანელებს შენობაში, ჩვენს ყოფილ ბინაში, წყლის ყველა ონკანი გაეხსნათ და ყველა ოთახი და დარბაზი წყალს ავესო. ღამის გათევა გარეთ მოგვიხდა. მეორე დღით ასეულის უფროსმა დამავალა, კვლავ "ბელაია რეჩკაში" დავბრუნებულიყავი, რომ სავლელ სამზარეულო, რომლის წამოღებაც ცხენების უქონლობის გამო ვერ მოვახერხეთ, ახლა წამომელო. ამისთვის მომცეს ორი ფურგონი, ოთხი ცხენი და ოთხი ჯარისკაცი. ეს მისია არც ისე უზიფათო იყო, რადგან დატოვებული ადგილები შესაძლოა რუსი პარტიზანების მიერ ყოფილიყო უკვე დაკავებული. ამ სახიფათო საქმის ასრულებაში ჩემმა თბილისელმა თანაკლასელმა, გოგი ჟორდანიამ ასეულის უფროსს სთხოვა, ნება მომეცით, მეც გავეყე ქავთარაძესო. უფროსი, რასაკვირველია, სიხარულით დასთანხმდა. მას ძალიან მოეწონა ჟორდანიას საქციელი.

გამომრჩა მეთქვა, რომ "ბელაია რეჩკას" მიტოვების დროს ასეულს თან არ გამოჰყოლია, ორი დღით ადრე უფროსის ნებართვით კავკასიონის სიღრმეში ტახებზე სანადიროდ წასული, პავლე ვაშაძე-ემიგრანტი და კიდევ ორი ქართველი. ისინი ორი დღით იყვნენ წასული, მაგრამ ჩვენ მიერ სოფლის დატოვების დროს ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ. ასეულის უფროსს ეს ამბავი ძალიან აწუხებდა, რადგან საქმე რომ ცუდად დასრულებულიყო, ყველაფერი მას დაბრალდებოდა.

ის ადგილები, საითკენაც ვაშაძე და ორი ჯარისკაცი წავიდნენ, რუსულ ზონად ითვლებოდა, რაკი ჩვენს კონტროლში არ იმყოფებოდა.

ჩვენი დავალება დაუბრკოლებლად შევასრულეთ და ნალჩიკისაკენ დავბრუნდით. შენობას რომ მივალწიეთ, ასეული უკვე წასულიყო. სხვა არა დაგვრჩენოდა, რომ მცირე დასვენების შემდეგ ასეულს უკან დავედევნებოდით. გზად მიმავალთ, კისლოვოდსკს რომ ვუახლოვდებოდით, გერმანული ბარგითა და ხალხით დატვირთული მანქანა დაგვეჩია. მასზე მსხდომი ვიღაცები ხელს გვიქნევდნენ. ეს იყო პაველე ვაშაძე და მისი ორი ჯარისკაცი. ისინი ჯერ "ბელაია რეჩკაში" მოსულან, შემდეგ ნალჩიკში ჩამოსულან და როცა გაუგიათ, რომ ასეული წასულიაო, იმავე გზით მიმავალ მანქანაზე დამსხდარან, გაგვასწრეს და ჩვენზე ადრე შეუერთდნენ თავიანთ ასეულს. ასე ვიარეთ ერთ კვირაზე მეტი. ჩვენ რომ რომელიმე სოფელში საღამოს ჩავდიოდით, ამბავს ვიგებდით, რომ ჩვენ ასეულს იგივე სოფელი დღლით მიეტოვებინა. ასე ვედიეთ ასეულს 15 დღის განმავლობაში.

კავკასიის დატოვებას გერმანიის ჯარის მიერ ხალხთა დიდი გადასახლების სახე ჰქონდა. უკანდახეული ჯარის დიდ უმრავლესობას გერმანელები კი არა, გერმანულ ფორმაში ჩაცმული ქართველები, კავკასიის ყველა ტომის წარმომადგენლები, გარდა ოსებისა, ყალმუხები და კაზაკები წარმოადგენდნენ. ამ ჯარისკაცთა გარდა, რამდენიმე ათასი სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობაც მოდიოდა, მათ შორის მრავალი ოჯახი ბავშვებით. ამ ადგილებში ნამდვილი გზები, ასე ვთქვათ, არც არსებობს. შარაზე უმეტესად ფურგონები, ურმები და საერთოდ ამგვარად მოძრავი ხალხი მოდიოდა, ხოლო ქვეითები თვალწინდენულ ველებზე მიტოვებულ ყანებსა და აქა-იქ მდგომ ფაცხებს შორის იკვლევდნენ გზას. აქ ერთ-ერთი გზის მონაკვეთზე შევხვდი შალვა მალლაკელიძეს და მისი ბატალიონის ერთ-ერთ ოფიცერს, სოსო ლომთათიძეს. მათი ბატალიონიც ქერჩის მიმართულებით იხევდა, მაგრამ ბატალიონის ჯარისკაცები ისე იყვნენ გაფანტულნი, რომ ძნელი გამოსაცნობი იყო მათი იქ არსებობაც. მალლაკელიძე და ოფიცერი ორივე ცხენებზე ისხდნენ. მეც ცხენით მივდიოდი. ცხენი ოფიციალურად მომცეს, რადგან ასეულის მეთაურის მრჩეველი და თარჯიმანი ვიყავი და ვინაიდან იგი ცხენით დადიოდა, მეც ცხენი უნდა მყოლოდა, რათა მუდამ მასთან ვყოფილიყავი.

შალვა მალლაკელიძეს პარიზიდან ვიცნობდი. იგი ბალტიის ქვეყნებში მცხოვრები ემიგრანტი იყო. ომის წინა ხანებში მალლაკელიძე მოურავად დანიშნა ვიქტორ ნოზაძემ სამად გაყოფილი თეთრი გიორგის ორგანიზაციის ერთი ნაწილისა, რომელსაც მაშინ ნოზაძე მეთაურობდა. ისინი სცემდნენ გაზეთს, რომელშიაც ნოზაძე თავის წერილებს ათავსებდა, ზოგს თავისი სახელით და ზოგზე კი მალლაკელიძეს აწერიებდა ხელს. ეს დეტალი მხოლოდ ნოზაძის გარდაცვალების წინა ხანებში გავიგე, როდესაც ვიქტორმა ამ გაზეთის მასთან შენახულ ეგზემპლარებში ყველა თავისი ფსევდონიმი გახსნა და მათ შორის მალლაკელიძის ხელმოწერასაც ძველის ნაშლის შემდეგ თავისი გვარი მიანერა — ეს სხვათა შორის.

როდესაც კავკასიაში მაღლაკელიძეს შეეხვედი, იგი ფრონტის იმ ნაწილიდან იხევედა, სადაც ის ბატალიონი იდგა, რომლის „მორალური“ მეთაური თვითონ იყო. ორიოდე თვით ადრე, ვიდრე დახვევა დაიწყებოდა, ბატალიონში დიდად უსიამოვნო ამბები მოხდა. ჯარისკაცების ნაწილი გაიპარა და მტრის მხარეზე გადავიდა. აქვე უნდა ვახსენო, რომ იმ მხარეზეც ქართული წითელი დივიზიის ნაწილები იდგა. ამას ის მოჰყვა, რომ გერმანულმა სარდლობამ დააპირა ნაწილის დასჯა, ხოლო ნაწილის კვლავ ტყვეთა ბანაკებში დაბრუნება, ეს ამბავი რომ „ბერგმანის“ უფროსმა გაიგო, საქმეში ჩაერია, ბატალიონის დაშლის პროცესი შეაჩერებინა და საქმის გასარკვევად რამდენიმე კაცი გააგზავნა მაღლაკელიძის ბატალიონში. ეს გაგზავნილები ვიყავით გვარდიის ყოფილი ბატალიონის უფროსი აკაკი კვიციანი-ვილი, პავლე ვაშაძე, გოგი ჟორდანიას და მე. ბატალიონი იალბუზის მიდამოებში იდგა. ჩვენ ნალჩიკიდან წავედით.

ბატალიონში უცნაური წესები აღმოვაჩინეთ. ჯარისკაცებს ნაღმა-უკულმა სატუსალოში სვამდნენ, ხოლო ეს სატუსალოები ღრმად გათხრილი ორმოები იყო, რასაც ჯარისკაცები დაცინვით მონღოლურ სატუსალოს ეძახდნენ. მეორე წესი დატუსალებისა — ტუსაღის ხეზე მიბმა იყო. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ გერმანულ და ქართულ შემადგენლობას შორის თითქმის მტრული განწყობილება იყო; როდესაც ამის შესახებ ჩვენ მაღლაკელიძეს კითხვა დავუსვით, მან გვიპასუხა, რა ვქნა, მე არავინ არაფერს მეკითხებაო. ჩვენ ვუპასუხეთ, მაშინ აქ რატომღა რჩებიო. მან გვითხრა, ეს საწყალი ბიჭები მეცოდება, უარეს დღეში ჩაცვივდებიანო. როდესაც ჩვენ ნალჩიკში დავბრუნდით, ობერლენდერს ყოველმა ჩვენგანმა ცალ-ცალკე ჩააბარა ანგარიში. სხვების ნათქვამს მე არ დავსწრებივარ, რადგან იგი სათითაოდ გვეძახდა. მე ერთი ფრაზა მსურს მოვიყვანო ჩემი მოხსენებიდან. “მტერს რომ ბატალიონის გერმანელთა მტრად გადაქცევა სდომებოდა, უკეთეს საშუალებას ვერ მოიგონებდა, რაც იქ გამეფებულ ამ, მდგომარეობაში გამოიხატება-მეთქი.” ობერლენდერმა დასასჯელი და ბანაკში დასაბრუნებელი ჯარისკაცების ჩვენთან გადმოყვანა მოახერხა. ამ ბატალიონის მეთაურს და მის თანაშემწე ქართველ ოფიცერს, ორივეს შეეხვედი იმ დღეს. მაღლაკელიძე ამბობდა: ბატალიონში ჯარისკაცები თითქმის განაიარაღეს, მხოლოდ თითო ტყვია დაუტოვეს, მაგრამ მაინც მოვახერხე და ბატალიონი გამოვიყვანეო. მაშინ იყო, რომ მე მას კითხვა დავუსვი: თქვენი ბატალიონი სადღა არის-მეთქი? და მან მითხრა, აი, ამ ხალხში ურევიაო და ჩვენს გარშემო ქერჩისკენ მიმავალ ხალხზე მიმითითა.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და ჩემმა ოთხმა ჯარისკაცმა მოვახერხეთ და ასეულს დავენით, მაგრამ ვიდრე ასეულს შევეურთდებოდით, ერთი ეპიზოდი უნდა აღვნიშნო. ჩემს ჯარისკაცებს შორის იყო ერთი ტურიაშვილი, რომელმაც მითხრა, ბატონო მიშა, აქ ახლო-მახლო მიდამოებში ერთ უკრაინელ ქალს ვიცნობ, შემიძლია იქ თავი შევაფარო, გამიშვით, რომ წავიდე, მოგვიანებით დაგენევიო. მშვენიერად მივხვდი, რას ნიშნავდა მისი სიტყვები, მაგრამ საჭიროდ არ მივიჩნიე

მისთვის უარი მეთქვა. ვუპასუხე, შენ თუ ასეთი რამ შენთვის სასარგებლოდ მიგაჩნია, ნადი, არაფერი სანინალმდებო არა მაქვს -მეთქი. როცა ის წავიდა, სხვა ჯარისკაცმა, ფარულავამ მითხრა, ისემც შენი მტერი არ დაბრუნებულა, როგორც ის არ დაბრუნდებო. ვუპასუხე, ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ყველას ნება აქვს თავისი ბედის გადაწყვეტისა-მეთქი. ასეულთან შეერთების დროს კი იძულებული ვიყავი ჯარისკაცის გაქრობა როგორმე ამეხსნა და ვუთხარი, გზაში სადღაც დაგვეკარგა -მეთქი.

ქერჩისკენ მიმავალ ამ არეულ მასაში აქა-იქ ტყვეთა რამდენიმეთათსიანი ჯგუფებიც მოდიოდნენ. ცხადია, დარაჯებით გარშემორტყმულნი. როდესაც ერთი მათგანი ჩამორჩებოდა, რადგან სისუსტის გამო, სიარული აღარ შეეძლო, დარაჯეები, რომელნიც უმეტესად გერმანულ სპეციალურ ჯარებში შესული უკრაინელები იყვნენ, ადგილზევე ხოცავდნენ. ამის გამო, ვკითხე ჩემს უფროსს და ვუთხარი, რა საჭიროა მათი მოკვლა, ისინი რა ძალას შემატებენ რუსებს-მეთქი. მან ამიხსნა, მხოლოდ ასეთი საშიშროების არსებობა ანიჭებს სიარულის ძალას ამ უბედურებს, თორემ მათ ნახევარს მაინც ძალა აღარ შესწევს, რომ ამ საფრთხის გარეშე კიდევ სიარული შეძლონო. მე ამ პასუხმა დამაკმაყოფილა, რადგან სრული სიმართლე იყო. ამგვარად მივალნიეთ ქერჩს.

ქერჩის სრუტე გაყინული იყო. ჩვენს იქ მისვლამდე თურმე ჯარი მშვენივრად გადადიოდა, მაგრამ ყინული იმდენად გაღობილა, რომ რამდენიმე ეშელონი, უმთავრესად ურმები და ცხენები წყალში ჩაცვენილან. ყინულის ზედაპირზე, საკმაოდ შორს, აქა-იქ მოჩანდა წყალში ჩაძირული ცხენების გაყინული თავები. გერმანელებმა დაიწყეს ჯარის პლანერებით გადაყვანა. ჩვენი რიგიც მოვიდა. პლანერში, რომელშიც მე ჩავჯექი, შეიძინი ვიყავით. მათში მხოლოდ ემიგრანტ კოტე ვაშაძის გვარი მახსოვს. მიგვექონდა ერთი დიდი ტომარა შაქარიც. ჩვენ ყველანი ერთ გრძელი ფიჭვის მორზე ვისხედით ერთ მწკრივში. ჩემ წინ ვაშაძე იჯდა. როდესაც მფრინავმა ჩვენი პლანერი ჰაერში აიტაცა, ცოტა ხანს არ გაუვლია, ვაშაძემ ჩივილი დაიწყო - ვაიმე! მუცელი მტკუვაო. ჩემმა დამამშვიდებელმა სიტყვებმა მას ტკივილი არ შეუნელა. იგი ადგილზე წამოდგა და შარვალის ჩახდა დააპირა. მე ვუთხარი, რას შვრები, შე სულელო-მეთქი. მაშ რა ექნა, ვაჟკაცი კაცი შარვალში ხომ არ ჩავი.....მო. მე ძალით დავსვი და ცოტათი დამშვიდდა. პლანერის მეორე მხარეზე დაჯდომის დროც მოვიდა. როგორც მოსალოდნელი იყო პლანერის მიწაზედ საკმაოდ უხეშმა დაჯდომამ ის გამოიწვია, რომ ვაშაძეს ცოტა გაეპარა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა, პლანერიდან გადმოვიდა და იქვე მოასწრო, დანარჩენი მიწაზე დაეღვარა. შემდეგ შენუხებული სახით მიმოიხედა და თქვა, ახლა რაღა ვქნაო. ერთმა ჩვენმა ჯარისკაცმა უპასუხა: ანალიზი გააკეთებინეო. ასე დასრულდა ჩვენი ყირიმში გადაფრენა.

ჩვენ შემდეგ მეორე ნაპირზე დარჩენილი "ბერგმანის" ცხენოსანთა ესკადრონი, რომელსაც დადიანი მეთაურობდა, იძულებული იყო ახალ ყინვებამდე ადგილზე

დარჩენილიყო და ცოტა უფრო გვიან იმათაც მოახერხეს ახლად გაყინულ ყინულზედ ყირიმში გადმოსვლა.

ყირიმში ჩასვლებმა მატარებლით ვიმგზავრეთ სადგურ სურენამდე, საიდანაც მახლობელ თათრულ სოფელში მივედით, რომელსაც ფოტისალა ერქვა და იქ დაბინავდით.

რამდენიმე კილომეტრზე ჩვენგან დაშორებით, სოფელში, რომელსაც ერქვა კოკლუსი, დაბინავდა ბატალიონის შტაბი. ეს მიდამო ძველ დროს იუსუპოვებს ეკუთვნოდათ. შტაბის ბინა მათ საზაფხულო სასახლეში იყო მოთავსებული. ამ იუსუპოვთა შთამომავალი იმ ხანებში პარიზში ცხოვრობდა. ეს ის იუსუპოვი იყო, რომელმაც პირველი ომის ხანებში რასპუტინი მოკლა. ყირიმში ყოფნისას მე გამაკვირვა ყირიმელი თათრების ცხოვრების მაღალმა დონემ. არსად, არც უკრაინაში, არც ჩრდილოეთ კავკასიაში ამის მაგვარი რამ მე არ შემხვედრია. ეს მაჰმადიანები მშვენიერ ქეთიკირის სახლებში ცხოვრობდნენ, თითქმის ევროპული ავეჯით და სისუფთავითაც. ამას იმით ხსნიდნენ, რომ მათ კარგი შემოსავალი ჰქონიათ ღვინით, რომელიც აგრეთვე ძლიერ მაღალი ხარისხის გახლდათ. მოსახლეობა გერმანელებს მტრულად არ შეხვედრია, მაგრამ გერმანელთა საქციელის გამო, არც ძლიერ უყვარდათ. ქართველებს კი დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდნენ. ოთახში, სადაც მე დავბინავდი, ჩემთან ერთად ცხოვრობდნენ ჯერ გივი გაბლიანი და გრიშა ლორთქიფანიძე, ხოლო მათი სხვაგან გადაბარგების შემდეგ – ექიმი რეზო გოგიტიძე.

ყირიმში სანოვაგის დიდი ნაკლებობა იყო, რადგან კავკასიიდან დახეული ჯარის ნაწილი აქ აღმოჩნდა, რაც, ცხადია, გათვალისწინებული არ იყო და ნახევარკუნძულზე საკმარისი სანოვავე არ მოიპოვებოდა. ჩვენი იქაური ულუფა დიდად არ განსხვავდებოდა ტყვეთა ბანაკებში დარიგებული ულუფისაგან, მხოლოდ უფრო სუფთად და ჰიგიენურად იყო დამზადებული, მაგრამ თანდათან მდგომარეობა გაუმჯობესდა და ჩემი ახლად დაარსებული ასეული ბეჯითად განაგრძობდა სამხედრო ვარჯიშობას. ერთ დღეს ვიღაც გენერალი გვესტუმრა და მოინდომა ჩვენს სამხედრო ვარჯიშობას დასწრებოდა. ამისათვის გამოიძახეს და ჩვენთან მოიყვანეს გერმანელ ახალწვეულთა ასეული და მათ ჩვენთან ერთად ორი მონინაალმდეგე ასეულის ბრძოლა უნდა გაეთამაშებინათ. ქართველებმა, როგორც კარგმა მსახიობებმა ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულეს. შეტევის დროს ქართველების ყიფინამ და მშვენივრად გათამაშებულმა, ვითომ თავგანწირულმა შეტევამ ახალგაზრდა გერმანელები ისე შეაშინა, რომ, ალბათ, იფიქრეს, ეს ველური კავკასიელები მართლა დაგვხოცავენო, იარაღი დაყარეს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. გენერალმა ყოველივე ეს "ჭამა" და ქართველებით აღტაცებული იყო, ეს რა ხალხი ყოფილაო. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენმა ასეულმა სამხრეთ ყირიმში გადაინაცვლა. იმ მთებში, რომლებიც იალტას გადაჰყურებენ. აქ ჩვენ ნამდვილი ტყვიებით და ნალმებით დავინწყეთ ვარჯიშობა, რადგან უკრაინის რომელიღაც სექტორზე უნდა

მიგველო ბრძოლაში მონაწილეობა. როდესაც ჩვენი ვარჯიში დასრულდა, კვლავ ფოტისალაში დაებრუნდით, მაგრამ იმ დროისათვის გერმანელების მდგომარეობა ფრონტზე იმდენად შეიცვალა, რომ სარდლობამ ყირიმის დატოვება განიზრახა და ყირიმში მდგომი სხვადასხვა სამხედრო შენაერთები პერეკოპისაკენ დაიძრნენ, ჩვენც მათ მივყევით.

როდესაც ჯანკოის აეროდრომს მივალნიეთ, გვიბრძანეს მანლობელ სოფელში დაბინავება, რომ არიერგარდში ვყოფილიყავით.

ამ დროს, ერთ საღამოს, როდესაც ჩვენი სანოვაგის მოსატანად წასული ფურგონი დაბრუნდა, ფურგონთან თანმხლებმა ჯარისკაცმა, მიმა წვინააღმდეგა, რომელიც ქუთაისელი ებრაელი იყო, ჩემს კითხვაზე, როგორ არის, მიმა, საქმე-მეთქი, მიპასუხა, ძალიან ცუდად უნდა იყოს საქმე, ბატონო მიმა, იმდენი შოკოლადი მოგვცეს, რომ ეს რალაც ძალიან ცუდს ნიშნავსო. და ეს გამართლდა, რადგან რამდენიმე საათის შემდეგ გვიბრძანეს, კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსაკენ საბრძოლო მარშით წავსულიყავით. თურმე რუსებს გადმოელახათ გაუვალად მიჩნეული სივამის ჭაობი და საკმაოდ ძლიერი დესანტი დაეგროვებინათ ყირიმზე შეტევისათვის. ჩვენ საომარი მზადებით გავიმალენით და პოზიციები დაეკავეთ.

ჩვენ პირდაპირ მოჩანდა სოფელი ურშინო, რომელიც წითლებს დაეკავებინათ. მათ გასადევნად გააგზავნეს დადიანის ესკადრონი, ხოლო ჩვენ ორ ნაწილად გაგვეყვას და ასეულის უფროსმა ბრძანა, ჩემს ბრძანებას უცადეთო. ესკადრონი სოფელს მიუახლოვდა და მხედრები ჩამოქვეითდნენ, რომ ფეხდაფეხ წასულიყვნენ საიერიშოდ. ამ დროს ერთი გერმანული თვითმფრინავი გამოჩნდა, რომელსაც სახელად "შტუკა" ერქვა. თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა სოფლის წინ გაშლილ წითლების პოზიციას. ჩვენი მარცხენა ფრთის უფროსმა რატომღაც იფიქრა, რომ ესკადრონის ჯარისკაცები საფრთხეში იყვნენ და ბრძანების გარეშე შეტევაზე გადავიდნენ ესკადრონის მისახმარებლად. ჩემმა ასეულის უფროსმა წამსვე შიკრიკი დაადევნა, რომ წინ წასული ჯგუფი უკან დაებრუნებინა. მე ჩემს უფროსს ვუთხარი, ხომ გითხარით-მეთქი, მართალი ყოფილხარო, მიპასუხა. ეს სიტყვა-პასუხი იმას შეეხებოდა, რომ რამდენიმე საათის წინ ასეულის უფროსმა მკითხა, ქავთარაძე, როგორ გგონია, ჩემი ჯარისკაცები ხომ არ შედრეკებიან და ჩემს ბრძანებებს თუ ასრულებენო. შემიძლია თუ არა, მათ ერთგულებას ვენდოო. მე ვუპასუხე, ერთგულებას შეგიძლიათ ენდოთ, რაც შეეხება ბრძანების ასრულებას, შეიძლება მათ გადაჭარბებითაც შეასრულონ თქვენი ბრძანება-მეთქი. ე.ი. თქვენ იქნებ მათი შეკავება დაგჭირდეთ-მეთქი. ზუსტად გამართლდა ჩემი სიტყვები.

რუსებმა სოფელი მიატოვეს და ჭაობისაკენ დაიხიეს, რომ იქ მთავარ ძალას შეერთებოდნენ. ჩვენც მათ კვალს მივდიეთ და სოფელსა და ჭაობს შორის დავიკავეთ პოზიციები. ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ბერგმანის სხვა ასეულები იყვნენ

განლაგებული. რუსები მშვიდად იყვნენ, მხოლოდ დროდადრო ყუმბარებს გვიშენდნენ, რომელნიც უნდა ითქვას, არავითარ ზიანს არ გვაყენებდნენ.

7 ნოემბერი ახლოვდებოდა. ნინა დღეს ჯარისკაცებმა უფროსს მოახსენეს, ბატონო, ხვალ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რუსები უსათუოდ შემოგვიტყვენო. რატომ უსათუოდ ხვალ, ჰკითხა უფროსმა. ეს ნითელი რევოლუციის დღეა და იგი ომში თუ მშვიდობაში ყოველთვის განსაკუთრებით აღინიშნებაო. უფროსმა ეს არ დაიჯერა, თუმცა მათთვის არაფერი უპასუხია. მეორე დღით სანგარში მჯდომი ჩემი უფროსი დურბინდით ხელში მტრის პოზიციებს ათვალეერებდა. იგი გაკვირვებით მომიბრუნდა და მკითხა, ქავთარაძე. რუსები, მგონია, გაგიყდნენო. რატომ-მეთქი, ვკითხე. მღერიან და ცეკვავენო, მიპასუხა მან. მაშ, არაყი დაურიგებიათ და მალე შემოგვიტყვენ-მეთქი, ვუპასუხე.

მართლაც, შეტევა არ დანეებულა, მაგრამ რუსებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. ჩვენ ამას სრულებით არ მოველოდით, რადგან ვერ წარმოგვედგინა, რომ ისინი ამ ჭაობზე არტილერიის გადმოტანას მოახერხებდნენ. ჩვენი მდგომარეობა კი საერთოდ სახიფათო იყო, რადგან როგორც ჩვენი, ისე, სხვა, გზად მავალი ჯარის ნაწილები მხოლოდ საჭურველის მინიმუმს ატარებდნენ თან. მაშასადამე, ამ მხრივ, ბრძოლისათვის ყოველად მოუშზადებლნი ვიყავით. არტილერიის ცეცხლის შეწყვეტას, ნითლების იერიშზე გაშლილად გადმოსვლა მოჰყვა. ჩვენი ტყვიამფრქვევებიც აკაკანდა. პირველი ტალღა სულ ადვილად მოვიგერიეთ. დროდადრო ფრონტის მთავარი შტაბიდან ტელეფონით გვიბრძანებდნენ, ვაზნები გამოიზოგეთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ მტერი ახლოს უნდა მოგვეშვა და მხოლოდ შემდეგ დაგვეწყო სროლა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ტყვია დაგვეხარჯა. ასე ზედიზედ რამდენიმე იერიში უკუვაგდეთ და ორ ხაზს შორის დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. რუსებმა არტილერიის ცეცხლი განახლეს და ახლა უფრო ზუსტად ახვედრებდნენ მიზანს, რადგან ჩვენი პოზიციების განლაგებას უკვე მშვენიერად იცნობდნენ. ჩვენი ასეულიდან უკვე რამდენიმე დახოცილი და უფრო მეტი დაჭრილი გაიტანეს. ჩემი ასეულის უფროსი სანგრიდან ამოვიდა და ერთი ტყვიამფრქვევის წერტთან მივიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან რალაცას მეძახდა, რაც მე არ მესმოდა სიმშორისა და ხმაურის გამო. ამავე დროს ჩემთან ერთი გერმანელი უნტერ-ოფიცერი მოვიდა და მითხრა, ასეულის უფროსი შუტტე მძიმედ დაჭრილია, შტაბმა ბრძანება გასცა, პოზიცია და სოფელიც დროებით დაეტოვოთო. შიკრიკები გააგზავნე, რომ ტყვიამფრქვევის ყველა წერტები გააფრთხილონო. ბრძანება ავასრულე და შემდეგ თვითონ დავიწყე სანგრების დათვალეერება, რომ ვინმე არ დარჩენილიყო. ორ ტყვიამფრქვევს ნაბრძანები ჰქონდათ თავიანთი ცეცხლით მტერი შეეკავებინათ, ვიდრე მთელი ასეული უკან დაიხევდა. ერთ ტყვიამფრქვევთან მივედი, რადგან იქიდან ხელით მიხმობდნენ. ვნახე, ტყვიამფრქვევთან მჯდომ ლეჟავას მარჯვენა მკლავი მონყვეტილი ჰქონდა, სანიტარს დაუშახე და ნავაყვანიწე, ხოლო მისი ადგილი მე დავიტოვე.

ამ დროს ერთი ფელდფებელი დამადგა თავს. მან მითხრა, ასეულის უფროსი აღარ არის, მე წოდებით ყველაზე უფროსი ვარ, ასეულის ხელმძღვანელობას მე ვიღებ თავზეო. ჯერ არ ვიცოდი, რომ უკან დახვეის ბრძანება იყო მოსული და ფელდფებელს ვუთხარი, საკმარისი ტყეები არა გვაქვს, პოზიციას ხომ ვერ დავტოვებთ, ჩვენ თვითონ შევუტოთ, კონტრიერიშზე გადავიდეთ-მეთქი. მას გაეღიმა და მითხრა, გახსოვს, ასეულის უფროსმა რა გითხრა რამდენიმე კვირის წინათო?! კონტრიერიშზე გადასვლა რამ გაფიქრებინა, რუსეთში ასეთი 10 000 სოფელია, ერთი სოფლის დაცვას რატომ უნდა შევაკლათ ასეულოო. მაშინ გადმომცა მან, ზემოთ ნახსენები ბრძანება უკან დახვეის შესახებ რომ მოსულიყო. რაც შეეხება იმას, თუ რას გულისხმობდა იგი, როდესაც მითხრა, გახსოვს, ასეულის მეთაურის სიტყვებიო? — ეს შემდეგში გამოიხატებოდა: რამდენიმე ხნის წინათ ჩვეულებრივ საუბარში უფროსს ვუსაყვედურე, თქვენ, გერმანელები ემიგრანტებს საკმაოდ ვერ ენდობით და იშვიათად აძლევეთ მათ საპასუხისმგებლო ადგილებს-მეთქი. მან მიპასუხა: არც შეიძლება თქვენი იმნაირად გამოყენება, რასაც შენ გულისხმობო. რატომ-მეთქი, ვკითხე. იმიტომ, რომ თქვენ ისე ხართ გამწარებული რუსებზე, რომ პირველ შეტაკებაშივე სუყველანი ზედ შეაკვდებითო. მართალი ყოფილა. რამ გაფიქრებინა იმ დროს კონტრიერიშზე გადასვლა.

ამ ამბავს მოჰყვა ზემოთ ნახსენები ჩემი მიმოსვლა სანგრების გასწვრივ მათ გასასინჯად. უეცრად, მხოლოდ ეს მახსოვს, აფეთქების ხმა მომესმა. ნავბარბაცდი. გონებაზე რომ მოვედი, რალაც სიტბო ვიგრძენი მარჯვენა ბარძაყის სახსართან. მიხვები, რომ დაჭრილი ვიყავი. ასევე მარცხენა ფეხიც მტკიოდ. ქამარი შევიხსენი, რომ ჭრილობა გამესინჯა და თავში გამიღვია, თუ მუცელში ვარ დაჭრილი, ჩემი გაყვანა და მოვლა უშედეგოა, დავრჩები ერთ ტყვიამფრქვევთან და აქვე დავასრულებ ჩემს სიცოცხლეს-მეთქი. დარწმუნებული არა ვარ, რომ ამას მართლა ჩავიდინდი, მაგრამ გაფიქრებით კი მართლაც გავიფიქრე. ჭრილობა რომ მოვისინჯე, ვნახე, რომ სრულიად არ იყო სასიკვდილო. ქამარი კვლავ შევიკარი და უკან დახეულებს მეც ნელა მივსდიე. ერთი სანიტარი წამომჩინა ჯა მითხრა, თუ გინდა შეგიხვეო. მე ვუთხარი, არ არის საჭირო, მთავარ პუნქტამდე თვითონაც მივალ-მეთქი. ნელა მივდიოდი ზურგისაკენ. დავინახე, რომ ჩვენს მიტოვებულ ადგილისაკენ მთელი რუმინული ბატალიონი გაშლით მოდიოდა, ჩვენი პოზიციების კვლავ დასაკავებლად. ბატალიონს აქა-იქ მათი ოფიცრები მოსდევდნენ, რომელთაც ხელში რევოლვერები ეჭირათ, რომ დამფრთხალი და უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები წინ გაერეკათ, ხოლო ამ გაშლილი ბატალიონის ცენტრში ცხენით მოდიოდა დადიანის ესკადრონის ოცეულის ერთი უფროსი კალანდარიშვილი. მე რომ დამინახა და მიცნო, დამიძახა, რუშინელების გენერალი ვარ, გენერალიო. ასე ჩავუარეთ ერთმანეთს. მე ფეხით მივედი პირველ სანიტარულ პუნქტამდე. იქ საშა ტრანსაშვილი დამხვდა. იგი ჩვენი ასეულის ტრანსპორტის უფროსი იყო. დამხვეს და ჩექმა გამხადეს. ჩექმა ნახევრად სისხლით სავსე აღმოჩნდა. ჩექმიდან გადმოღვრილი ჩემი სისხლი რომ დავინახე,

ცუდად შევიქენი, მაგრამ ნამსვე მოვსულიერდი. საშა ლოყაზე ხელებს მიცაცუნებდა და მეუბნებოდა, რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდაო. მეორე ჩექმაც გამაძვრეს, ისიც სისხლიანი იყო, მაგრამ ბევრად ნაკლებად, ვიდრე პირველი. საყაცე მოიტანეს და მე ნამოდგომა მოვინდომე, რომ ზედ თვითონ დავნოლილიყავ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფეხს ველარ ვფლობდი და სხვებმა დამანვინეს. საექიმო პუნქტში რომ შემიყვანეს, ბატალიონის ექიმი შნაიდერი მომეგება და ხმამალა მითხრა — ო, ქვათარაძე, შენც მოხვედიო?! და ტეტანუსის სანიანალმდეგო ნემსი გამიკეთა. ჩემი გვარის დაძახება უკვე იქ მყოფ ჩემი ასეულის უფროსს გაუგონია და იქიდან ჰკითხა, რა სჭირს ქვათარაძესო. ექიმმა უპასუხა, ჭრილობა აქვს, არა საშიშიო. მაშინ მე ვკითხე შნაიდერს, შუტტეს რა ჭრილობა აქვს-მეთქი. მან დაბალი ხმით მიპასუხა, მუცელშია დაჭრილიო, რაც იმასაც ნიშნავდა — რომ იგი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი, რადგან აქ, ახლომახლო საოპერაციო პუნქტი არც მოიპოვებოდა, რომ მისი გადარჩენა ეცადათ მაინც.

ერთი საათის შემდეგ, გამვლელმა სასწრაფომ ჯანკოის აეროპორტში წამიყვანა და იქ რამდენიმე ასეულ დაჭრილთა შორის თვითმფრინავის მოლოდინში პირდაპირ მიწაზე დამანვინეს. გავიგე, რომ მიჰყავდათ მხოლოდ ისინი, ვისაც სიცხე არა ჰქონდა, რადგან თვითმფრინავები, რომლითაც დაჭრილები გადაჰყავდათ, სრულებით არ იყო ამ საქმისათვის განკუთვნილი. ეს იყო უზარმაზარი, ოთხ მოტორიანი "იუნკერსები", რომლითაც გერმანელებს საბარგო მანქანები და პატარა ტანკებიც გადაჰქონდათ. მალე წაყვანა არ მომელოდა, რადგან სიცხე მქონდა და რადგან წასვლა მეჩქარებოდა, ეშმაკობა ვიხმარე და თერმომეტრის მაჩვენებელი გავაყალბე და სიცხე 37-მდე ჩამოვიყვანა. მორიგე ექთანმა რომ გამოიარა და სიცხე გამისინჯა, წამსვლელთა სიაში ჩამწერა და იმ საღამოსვე გამამგზავრეს. როდესაც თვითმფრინავში შევყავდით, გვერდით მოჰყავდათ ვიღაც შუახნის რუმინელი ოფიცერი. იგი ბავშვივით ტიროდა. ფრანგულად გამოვვლაპარაკე, ძალიან გაეხარდა და ტირილი შეწყვიტა. შემდეგ დაცინვით ვუთხარა: არა გრცხვენია, ბავშვს რომ კამფეტით დაამშვიდებენ, ისე დაგამშვიდა ჩემთან საუბარმა-მეთქი. მართალი ხარო, მითხრა, მაგრამ რა ვქნა, ეს ჩემი ბუნება არისო. თვითმფრინავში დაჭრილებს პირდაპირ იატაკზე ათავსებდნენ და როდესაც ერთი რიგი აივსებოდა კიდიდან კიდემდე, ზედ მეორე რიგს აწვენდნენ. გვერდით მწოლიარე მტირალა რუმინელსა და ჩემ შორის სხვა დაჭრილი რომ დაანვინეს, ოფიცერმა პროტესტი განაცხადა, მე ოფიცერი ვარო. ექთანმა უპასუხა, აქ ჩინიანებს უპირატესობა არა აქვთო, და ასე აავსეს მთელი თვითმფრინავის იატაკი ორ ფენად დანყობილი დაჭრილებით, თანაც გვამშვიდებდნენ, მხოლოდ ერთი საათი მოგინევთ ასე ყოფნაო. მართალიც იყო. ჩვენ ჯანკოიდან მხოლოდ ოდესაში უნდა გადაფრენილიყავით. როდესაც თვითმფრინავი აფრინდა, უკვე ღამდებოდა. ნახევარი საათის შემდეგ თვითმფრინავში რალაც ფუსფუსი ატყდა. ვიგრძენი, იმდენად დაბლა დავეშვით, რომ ტალღების ხმა გვესმოდა. გამოირკვა, რომ ერთი მოტორი გაჩერებულიყო, თვითმფრინავი ძლივს ახერხებდა ჰაერში დარჩენას და

ასე რის ვაი-ვაგლახით ოდესაში დავეშვით. დაჭრილები საავიაციო ლაზარეთში მოგვათავსეს. იქ რამდენიმე ნაცნობ ჯარისკაცს შევხვდი. იმათ, ვინც ფეხზე იდგნენ, მათ შორის იყო ემიგრანტი გოგლიკა ვაჩნაძე, დადიანის ესკადრონიდან. მას ძალიან იოლი ჭრილობა ჰქონდა მკლავში. აქ ორი თუ სამი დღე დაერჩი და ბოლოს სანიტარულ მატარებელში მოგვათავსეს. სანიტარული კი ერქვა, მაგრამ ამ საქმისათვის სრულებით არ იყო აღჭურვილი. იქაურ პერსონალს რამე სერიოზული დახმარების აღმოჩენა არ შეეძლო. მატარებელი გერმანიისაკენ დაიძრა. მე მალლა სართულზე ვინეკი. ჩემ ქვევით ერთი ქართველი ინვა, ვახტანგ გულაშვილი (შეიძლება გული-შაშვილი ან გულიაშვილი, კარგად არ მახსოვს). იგი თავში იყო დაჭრილი, მაგრამ დიდი სიცხე არ ჰქონდა და მის მდგომარეობას კარგი პირი უჩანდა. მატარებელში გერმანელები უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ. ყველა ჯილაგის დაჭრილები იყვნენ: ჩრდილოკავკასიელები, მონღოლები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები, რუმინელები და, ცხადია, ქართველებიც. ერთი ქართველი მომიახლოვდა, გამეცნო და მითხრა, მე "ბერგმანი" ამა და ამ ასეულიდან ვარო. დაბალი ტანის ბიჭი იყო, გვარად გვაზავა. თავისი დატყვევების ამბავი მიაშბო და მითხრა, ჯერ უკან დარჩენას ვაპირებდი, რომ იქნებ სახლამდე მივსულიყავიო, მაგრამ როდესაც გამახსენდა, რომ მაინც რუსულ ტილიან მაზარას ჩამაცმევდნენ, ისევ გერმანულ ჯარში დარჩენა ვამჯობინე და ამიტომ ვიმყოფები ახლა აქაო. შემდეგ მიაშბო თავისი ტყვედ ჩავარდნის ამბავი. ჩვენი სანგრების მიმართულებით ახალგაზრდა ესესელების ნაწილები მოდიოდნენ იერიშზე. ამ მკლავდაკაპინებულ ახალგაზრდებს რომ ვხედავდი, ვფიქრობდი, ამისთანა ბიჭებს კაცი როგორ ესერის-მეთქი. იმათ ჩვენზე გაიარეს და წინსვლა განაგრძეს. არ ვიცი, სხვებიც ჩემსავით ფიქრობდნენ თუ არა, მაგრამ მთელი ჩვენი "როტა" თოფის უსროლელად ჩაბარდა. ახლა არ ვიცი, რა მომელის, მაგრამ რაც იქნება, იქნებაო. ეს ბიჭი რომ მომშორდა, ორმა გერმანელმა საუბარი გამართა: ისინი მსჯელობდნენ იმაზე, თუ რამდენად სანდონი იყვნენ ეს კავკასიელები, რომელთაც ისინი ხედავდნენ. მეორე მოსაუბრემ უთხრა — შენ ცდები, რომ ამ ხალხზე ეჭვი გეპარებაო. პერეკოპს რომ რუსებმა შემოუტყეს, იქ ვიყავი, მრავალი გერმანელი ენახე, უკან რომ მორბოდა, მაგრამ გამოქცეულებში არც ერთი კავკასიელი არ შემხედვრია, პერეკოპი მაგათ გადაარჩინესო. ჯარისკაცმა რომ ეს სიტყვები დაასრულა, რადიო ალაპარაკდა, ვერმახტის მორიგი გადაცემა იწყებოდა. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც შემდეგი სიტყვები გავიგონე: ყირიმში მძიმე თავდაცვითი ბრძოლების დროს განსაკუთრებით თავი ისახელა კავკასიურმა შენაერთმა "ბერგმანმაო". რამდენადაც ვიცი, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ყოველდღიურ გადაცემაში ქებით მოხსენიებულ ნაწილთა შორის უცხოური ნაწილიც დაასახელეს და ეს იყო ქართული და ჩრდილოკავკასიური ბატალიონები. ორ მოსაუბრეთაგან იმ გერმანელმა, რომელიც ახლახან ვახსენე, მეორეს უთხრა, ახლა დაიჯერებ, რაც გითხარიო? მეორემ უპასუხა — მაგ ხალხს არ ვიცნობდი, როგორ შემეძლო ისინი გერმანელების გვერდით დამეყენებინაო.

მატარებელი მიდიოდა. შუალამე გადასული იყო, ჩემ ქვემოთ მწოლმა ვახტანგმა მითხრა, სიცხე მაქვს და თავი მტკივაო. შემდეგ კახეთზე დაიწყო ლაპარაკი. ახლა ჩვენში რთველი დასრულებულია, ბებიაჩემს ჩურჩხელები უკვე ჩამოკიდებული აქვსო. შემდეგ მითხრა, მე თქვენ გიცნობთ. ურშინოში რომ 13 კუბო დავმარხეთ, იმ ჯარისკაცთა შორის ვიყავი, ვინც საფლავი ამოთხარაო. ამის შემდეგ, სიტყვის უთქმელად, დაკეცილი ორი ფურცელი გადმომცა. აქ ორი ლექსია, ერთი იმ დასაფლავების შემდეგ დავწერე, ხოლო მეორე — აქ, რამდენიმე საათის წინო. შემდეგ მითხრა, სიცხე თანდათან მატულობს, თავი მეტად მტკივაო. მერე მთხოვა, შენი ხელი ჩამოწიე, რომ ხელი მოგკიდოო. ვატყობდი, რომ მისი საქმე ცუდად იყო. ექთანმა ჩამოიარა, შევაჩერე და ვუთხარი, ეს ავადმყოფი თავს ძალიან ცუდად გრნობს, თუ შეგიძლიათ რამე ზომა მიიღოთ-მეთქი. მან მიპასუხა, ამ მატარებელში ისეთი არავინ არის, რომ დაჭრილების გართულებულ მდგომარეობაში ჩაერიოსო. მისი პასუხი არ გამკვირვებია, რადგან მატარებლის ხასიათი ვიცოდი და პასუხსაც ასეთს მოველოდი. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგმა ბოძვა დაიწყო, შემდეგ ხელი ჩამოუვარდა. ჩემს შეკითხვებზე პასუხს აღარ მაძლევდა და სწორედ არც ვიცი, როდის დალია სული.

მე აქვე გაგაცნობთ იმ ორ ლექსს, რომელიც 1943 წლის ნოემბერში ვახტანგის მიერ გამოცემულ ფურცელზე წავიკითხე:

1) ყიროში, სოფელ ურშინოსთან დახოცილ ქართველთა დასაფლავების სურათი ველსა გაჰყროდა ჩრდილის საფარი,
დანყებულ იყო მზის ჩასვენებაც,
სალამო იყო მშვიდი და წყნარი,
როგორც დამცხრალი ვაჟკაცის ვნება.
გათხრილი იყო ძმათა სამარე,
თეთრ კუბოების მოჰქონდათ წყება;
შორს იყო მკვდართა მშობელი მხარე,
ბედისა წყევლამ ასე იწება.
დახოცილ მებრძოლთ მინას აბარებს
გადარჩენილთა მწუხარე კრება,
ხელს წააგლებენ ტარმოკლე ბარებს,
თეთრ კუბოს შავი მინა ეყრება.
ვინც ქართულ მინის ნაშობი არის,
თუ ქართულ მინას არ ებარება,
თუნდ დააფრქვიო ცრემლისა ღვარი,
თითქო ცხედარი უმარხი რჩება.
შორით გამოჩნდა ომის ხანძარი,
უკვე დასრულდა მზის ჩასვენება,
ლამე მოვიდა, მშვიდი და წყნარი,
როგორც ვაჟკაცის ჩამქრალი ვნება.

2) სანიტარულ მატარებელში ვახტანგის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი ლექსი
1943 წლის ნოემბერს

უკრაინის ველი, რუმინული ძახილი,
მიდის მატარებელი, დაჭრილებით ავსილი.
მომაკედავთა გმინვა, დაკოდილთა კენესა,
ქვემეხების გრვინვა, ლამის გასკდეს ზეცა.
ელექტრონის შუქი სცემს გერმანულ ფარაჯებს
და წვიმის ცა მუქი დასცქერს გზისა დარაჯებს,
მიდის მატარებელი, დაჭრილებით ავსილი
მათში ერთი ქართველი კენესის, ისიც დაჭრილი.
ვერა მოგბანოს ქართულმა ხელმა
ჰე, მეგობარო, ჭრილობა შენი,
მშობლიურ ენამ, ტკბილმა და წრფელმა,
ვერ გიშუბუქოს ჭმუნვისა დღენი.
არვინ ჩაიცვას შენთვის თალხები,
არ გახლავს არც ძმა, არც მეგობარი;
და თუ მოკვდები, დაიმარხები
ვით უპატრონო, უთვისო მკვდარი.
იქნებ მოგელის ბედშავ-ბედკრული
ძმისაგან ზიზლით შენ კვრა ნიხლისა,
მანაც ტკბილია, ჩემო მამულო,
შენთვის გალება მსხვერპლად სისხლისა.

მატარებელი ჩეხიისა და გერმანიის საზღვარზე სუდეტების მხარეში არსებულ ერთ პატარა ქალაქში გაჩერდა. გადავიყვანეს სკოლის შენობაში მონყობილ ლაზარეთში. პირველ ზრუნვას დაჭრილების ტილებისაგან განმენდა და დაბანა წარმოადგენდა. მახსოვს, ჩემი დაბანის დროს უფროსმა ექთანმა ქალმა მოხალისე, ახალგაზრდა, შეიძლება არისტოკრატი ოჯახიდან მოსულ გოგონებს დაუძახა, რომ მათთვის უცნობი მწერი, ტილი ეჩვენებინა. ისინი დიდი ყურადღებით "იძენდნენ ახალ ცოდნას". ასე აღმოვჩნდი ჩემთვის დიდი ხნის განმავლობაში უნახავ სუფთა და საამო გარემოში.

აქ დაჭრილთა შორის ერთმა გერმანელმა შემატყობინა, ლეიტენანტი მარტინ შუტტე ყირიმშივე გარდაცვლილიყო. ჩემთვის ეს მოულოდნელი არ იყო, მაგრამ მოსალოდნელის დადასტურებამ ძლიერ დამალონა, რადგან შუტტე ჩემთვის დღემდე ის ადამიანია, რომელთანაც განსაკუთრებით დაახლოებული ვიყავი. ჩვენი მეოთხე "ბერგმანის" მძიმე ასეული მე და შუტტემ ერთგული თანამშრომლობით ერთად მოვამზადეთ. იგი ერთ-ერთ პირველ ასეულად ითვლებოდა მთელ შენაერთში. შუტტე ჩემ მიმართ ბევრად უფრო გულახდილი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა

გერმანელ ოფიცერთან თუ ჯარისკაცთან. იგი, ხელობით მეტყვევ, მხოლოდ 27 წლის იყო. მისი უფროსი ძმა ჩემზე 2 თუ 3 წლით უფროსი იყო, მე კი 36 წელი მისრულდებოდა.

შუტტე და მისი ძმა პომერანიიდან იყვნენ, შეძლებული ოჯახიდან. ისინი ორივენი ანტიჰიტლერისტები იყვნენ. ამას ჩემთან სრულებით არ მალავდნენ. ისინი ისე შორს მიდიოდნენ, რომ ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდი, რადგან ისე გამოდიოდა, თითქოს მათზე უკეთესი გერმანელი მე ვიყავი. რასაკვირველია, ჩემი გერმანოფილობა უმთავრესად იმ შეგნებით იკვებებოდა, რომ, როგორც მაშინ ვფიქრობდი, ჩვენი ქვეყნის ხსნა მხოლოდ რუსეთის დამარცხებას, ანუ გერმანიის გამარჯვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა; ხოლო გერმანელებს გერმანიის გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა და ისინი გულში იმედს ატარებდნენ, რომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევროპა-ამერიკასთან შეთანხმება, რაც გერმანიას გამოუვალი მდგომარეობიდან გამოიყვანდა.

მარტინ შუტტე ქართველებით მოხიბლული იყო. თავისი ჯარისკაცები უყვარდა არა მხოლოდ როგორც ჯარისკაცები, არამედ — როგორც ქართველები. შუტტე საშინლად განიცდიდა, როდესაც მისი ჯარისკაცები რაიმე შეუფერებელ საქციელს ჩაიდენდნენ, და მე ვხედავდი, როგორი გულისტკივილით სჯიდა იგი დამნაშავეებს. მშვენიერად ვხედავდი, რომ ჩემი ასეულის გერმანული შემადგენლობა ამას შუტტეს სისუსტეს მიანერდა, მაგრამ ჩემთვის ნათლად ჩანდა, რომ ეს სისუსტე ქართველთადმი სიყვარული იყო.

უფროსი შუტტესაგან ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, პირველად მისგან გავიგონე ევროპის გაერთიანების იდეის საფუძვლები. იგი ამბობდა, დღეს დიდი ეკონომიკური სიძლიერის სახელმწიფოთა ეპოქა დგებაო. თუ ევროპა არ გაერთიანდა, მისი ცალკეული სახელმწიფოები ამერიკის, რუსეთის და ჩინეთის სათამაშოდ გადაიქცევიანო. მაგრამ ასეთი გაერთიანება შეუძლებელია ჰიტლერის დიქტატურით მოხდეს, რადგან ამისათვის ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობის თანხმობა და თანამშრომლობა არის აუცილებელიო. ხოლო ნაცისტური გერმანიისა ყველას ეშინია და ამ შიშს მხოლოდ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა შეანელებსო. მაშინ მეგონა, რომ ეს სიტყვები მხოლოდ მისი პირადი შეხედულება იყო. მხოლოდ შემდეგ აღმოჩნდა, თუ რამდენად ძლიერი წინააღმდეგობა არსებობდა გერმანიის მხედრობაში ჰიტლერის რეჟიმისადმი, მაგრამ მე ის ვისწავლე, რამაც ჩემთვის უფრო გასაგები გახადა დღევანდელი ევროპისა და მსოფლიოს პრობლემები.

ლაზარეთის ექიმებმა სცადეს ჩემი ბარძაყის სახსარში გაჩხერილი ყუმბარის ნატეხი ამოეღოთ, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან იმ ადგილის გარშემო მყესები და სისხლძარღვები იყო დაჯგუფებული. ამიტომ, როდესაც ჭრილობა მოშუშდა, საავადმყოფოდან გამომწერეს და მითხრეს: ამ ნატეხს ორგანიზმი ან გარეთ გამოიტანს, ან თავის გარსში გახვევს და დაიტოვებსო. ამგვარად დავბრუნდი ბერ-

ლინში, ხოლო "ბერგმანის" ქართული ბატალიონი ყირიმიდან ზღვით რუმინეთში გადაიყვანეს და იმჟამად საბერძნეთში იმყოფებოდა. გერმანიაში უკვე დაარსებული და ორგანიზებული იყო ე.წ. დამაკავშირებელი შტაბი. ამ შტაბის დანიშნულება იყო ქართველთა და გერმანელთა შორის დასმული პრობლემების საერთო შეთანხმებით გადაწყვეტა. იმხანად გერმანულ მუნდირს 40 000-მდე ქართველი ატარებდა. ნახევარი ამათგან საბრძოლო ბატალიონებისა და სხვადასხვა გერმანულ შენაერთებში მყოფი ქართველებისაგან შედგებოდა. მეორე ნახევარი კი სამუშაო ბატალიონი იყო. ყოველივე ამის მოსავლელად და გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლად ქართველების ორგანიზებული მონაწილეობა იყო საჭირო. ამას ემსახურებოდა ზემოთხსენებული შტაბი.

მუშაობა შტაბში

მიხეილ კედიამ და გივი გაბლიანმა ჩემი ბერლინში დატოვება გადაწყვიტეს. მათ მითხრეს, შენ აქ უფრო გამოსადეგი ხარ, ვიდრე საბერძნეთში მყოფ ბატალიონში და მე და უორა ინჯია, რომელიც ჩემსავით ახლადგანკურნებული, ბერლინში იმყოფებოდა, შტაბში შეგვიყვანეს. ორივენი ქართველთა ბატალიონების მდგომარეობის შესახებ მომხსენებელ ოფიცრებთან დაგვნიშნეს. ინჯია — მუშაობა ბატალიონებისათვის, ხოლო მე მებრძოლი ბატალიონისათვის.

ეს მუშაობა, რაც მე შემეხება, იმაში გამოიხატებოდა, რომ უნდა მომენახულებინა სხვადასხვა ბატალიონები, რომელთა მდგომარეობის შესწავლაც პირველ რიგში იყო სასურველი. ჩემი პირველი დავალება იყო, მენახა ქართული ბატალიონი, რომელიც ე.წ. ნორმანდიული ორი კუნძულიდან უმცირესზე, სახელად გერნზიზე, იყო დაბანაკებული. ამისათვის ჩავედი ნავსადგურ, ძველ ციხე-ქალაქ სან-მალოში, სადაც ორი თუ სამი დღე დავრჩი შესაფერისი სატრანსპორტო საშუალების მოლოდინში. ეს პატარა კუნძულები დაახლოებით თანაბრად დაშორებული არიან ინგლისური და ფრანგული სანაპიროებიდან და ვინაიდან ზღვაზე მეფობა ინგლისელებს ეკუთვნოდათ, კუნძულებთან საზღვაო კავშირი მხოლოდ ღამით იყო შესაძლებელი. როდესაც გამგზავრების შესაძლებლობა შემატყობინეს, დანიშნულ ადგილზე გამოვცხადდი და ერთ პატარა გემზე ავედი. ეს იყო ჰოლანდიური პატარა გემი, რომლის ეკიპაჟი თითქმის მხოლოდ ჰოლანდიელებისაგან შედგებოდა, და ისინი, ცხადია, გერმანელთა მეთვალყურეობით მუშაობდნენ. გემი ზღვაში გავიდა და დაახლოებით ორი საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. ასეთი რამ სამჯერ გამეორდა. მხოლოდ მეოთხე გასვლაზე აღარ დავბრუნებულვართ. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი მგზავრობის შენიღბვის მიზნით ხდებოდა, რათა სავარაუდო ჯაშუშებს ჩვენი გასვლის ცნობა არ მისვლოდათ. ამჯერად მშვიდობით მივედით გერნზიმდე და გადმოვსხედით კუნძულის ერთადერთი ქალაქის ნავსადგურში, რომელსაც სან-პიტერი ერქვა. გემიდან გადმოვედი და გათენებისას ბატალიონის უფროსთან გა-

მოცხადდი. იგი იყო თადარიგის ოფიცერი, ჩინით კაპიტანი. მან დიდი სიმპათიით მიმიღო და მითხრა, ძლიერ ძნელი და საჭოჭმანო დავალება მანვეს კისერზეო. ჩემი ჯარისკაცების ხასიათს და ქვეყანას მე სრულებით არ ვიცნობ და აქამდე არც კი ვიცოდი, რომ ქართველებს რუსებთან არაერთარი საერთო არა ჰქონიათო და მოხარული ვიქნები, თუ თქვენ ისეთ პრობლემებს აღმოაჩენთ, რომლის არსებობა არ ვიცოდი და მათ გადანყევტასაც, რამდენადაც შემეძლება, შევეცდებიო. ბინა მომცეს და რიგრიგობით შევუდექი ცალკე ასეულების მონახულებას და მათი სატივირის შესწავლას. საერთო მდგომარეობა გარეგნულად დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ჰქონდათ, ერთი შეხედვით, სასაცილო პრობლემებიც, რომელნიც ჯარისკაცებს მაინც აწუხებდათ. რამდენიმეზე შევჩერდები:

ჯარისკაცები ჩიოდნენ, რომ სამხედროებისათვის განკუთვნილ საროსკიპოში ორი განყოფილება: ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის. 700 ქართველი ჯარისკაცისათვის იმდენივე ქალია, რაც 25-იოდე გერმანელი და ქართველი ოფიცრისათვის. ჯარისკაცებს უფლება არა გვაქვს ურთიერთობა გვექონდეს მცხოვრებლებთან. მაშინ, როდესაც ქართველი ოფიცრები მათ სახლებში ცხოვრობენო. სხვა უკმაყოფილება არსებობდა ტანისამოსისა და ფეხსაცმლის გამო. ჩვენ, ჯარისკაცებს, იშვიათი გამოწკლისის გარდა, ერთი ან ორი ნომრით დიდ ფეხსაცმელებს გვირიგებენო. ეს ფეხსაცმელები, ალბათ, ამ დიდი ნომრების იშვიათობის გამო, ჩვენთვის გაიმეტეს, დაე, იმათ ჩაიცვანო. ზოგს თითქოს ისიც კი გაუგონია, კავკასიელებს გრძელი ტერფები აქვთ და ამიტომ ვლებულობთ ასეთ დიდი ნომრის ფეხსაცმელსო. გარდა ამისა, ისინი ჩიოდნენ, ქართველ ოფიცრებს სინამდვილეში არაერთარი უფლება არა აქვთ და ჩვენ მხოლოდ გერმანელებთან გვაქვს საქმე, რომელთა ენაც ჩვენ არ ვიცით, მათ — ჩვენიო, და არც თარჯიმნები გვყავსო. იყო კიდევ სხვა, უფრო მცირე მნიშვნელობის შენიშვნები, მაგრამ საერთო უკმაყოფილება მაინც არ იგრძნობოდა. ცხადია, მე გავიცანი ყველა ქართველი ოფიცერი. შვიდი თუ რვა იყვნენ. ორის გარდა, უნდა გამოვტყდე, არც ერთი არ მომეწონა. ისინი აშკარად ანტიპათიურად მიცქერდნენ და მათთან საუბარი ძალიან შორს იდგა პირდაპირობისა და გულწრფელობისაგან. ის ორი კი ჩემზე ფრიად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ყოველივე გულახდილად მოვახსენე ბატალიონის უფროსს და ვუთხარი, ამ ჩემი შთაბეჭდილების შედეგით მიღებული აზრი იქნება შინაარსი ჩემი მოხსენებისა, რომელსაც ჩემი ბერლინელი უფროსები უზენაეს სარდლობას გადასცემენ-მეთქი. მან გულუბრყვილო რამ მკითხა, მე ვიცი, რომ თქვენთვის უკვე განმარტებული მიზეზის გამო, ჩემს მოვალეობას სასურველი ხარისხით ვერ ვასრულებ და თქვენ როგორ დამახასიათებთ თქვენს მოხსენებაშიო. ვუპასუხე, თქვენით უკმაყოფილების შესახებ მე აქ არც ერთი სიტყვა არ გამოვიტყვი და რა უნდა მოვახსენო-მეთქი. მადლობელი ვარო, მითხრა. ამის შემდეგ მას კიდევ რამდენჯერმე შევხვდი და იგი სულ კითხვებს მისვამდა, რომ მისთვის ქართველთა ხასიათი და ბუნება ამეხსნა და მე, როგორც შემეძლო, ისე ვაცნობდი გერმანული ყოფისათვის გაუგებარ თვისე-

ბებს ქართველებისას. ყოველთვის გულდასმით მისმენდა და მითხრა, დიდად მადლობელი ვარ თქვენი ასეთი გულწრფელი, მიუდგომელი და ჩემთვის სასარგებლო საუბრისთვის, თქვენგან ბევრი რამე ვისწავლე, რაც ჩემთვის საჭირო იყო და არ ვიცოდიო. ერთხელ ასეთ საუბარში მან გერმანელ ოფიცერთა კლუბში დამმატიყა მხოლოდ ერთი ჭიქა ყავის დასალევად. ფინჯნები ჯერ დაცლილი არა გექონდა, ვილაც უნტერ-ოფიცერი მოგვიახლოვდა და ბატალიონის უფროსს მისალმების შემდეგ მოახსენა, ნუთუ თქვენ არ იცით, რომ ამ კლუბში ჯარისკაცებს შემოსვლის უფლება არა აქვთო, რადგან მე მაშინ მხოლოდ ჯარისკაცი ვიყავი. თუმცა სამხედრო წიგნაკში უნტერ-ოფიცერი მენერა.

როდესაც ჩემი მისია დასრულდა, გავიგე ჩემი უკან დაბრუნების თარიღი, რაც გემის მიმოსვლაზე იყო დამოკიდებული. როცა წასვლის დღე დადგა და ბანაკიდან წავსადგურისაკენ გავენიე, გზაში ერთი მეგრელი ჯარისკაცი დამენია და მითხრა, ბატონო მიშა, მინდა, წავსადგურამდე გაგაცილოთო. კარგი-მეთქი, ვუთხარი. ვიდრე წავსადგურში მივიდოდით, მითხრა - მე მხოლოდ გასაცილებლად არ მოვსულვარო. ერთი რამე მსურს გითხრათ, რაც თქვენთვის იქნებ გამოსადეგი იყოსო: ამაღამ, როცა დაწვებით, თქვენი რეკოლევერი ქაშირიდან არ მოიხსნათ. რატომ, ბიჭო-მეთქი, ვუთხარი. რატომ, ბატონო, და გაიმბობთო.

აი, მისი ნაამბობი: გერმანელებმა რომ სევასტოპოლი აიღეს, მე იქ ვიყავი და ჩვენ რუსებმა უბრალო წაეებში ან პატარა ბორნებში ჩაგვეყარეს, რომლითაც ნოვოროსიისკში, ან სადმე უნდა მივსულიყავით. გერმანელების აეროპლანები ისე ნადირობდნენ ჩვენზე, როგორც იხვებზე და ყველაფერს, რაც კი ზღვაში ცურავდა, ძირავენენ. ჩემი პატარა კატერიც ჩაძირეს. მე ერთი ფიცარი ვიშოვნე, იმაზე დავეჯექი და ნელა მივცურავდი ნოვოროსიისაკენ. ამ დროს ორი რუსი დამენია, ცურვით მომიახლოვდნენ და მომინდომეს ფიცარი წაერთმიათ. ბედზე ჩემი ლივერი თან მქონდა. ამან გადამარჩინა, ფიცარი ისევ ჩემი იყო და ზღვამ ისევ ყირიმის ნაპირებისაკენ გამრიყაო. თუ საჭირო იყოს, გერმანელები დახოცე და ნავი წაართვიო, ნათქვამია, ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო, ესეც დაამატა.

მადლობა ვუთხარი კარგი რჩევის მოცემისათვის და ისე დავიძინე, ჩემი პარაბელუმი წელიდან არ მომიხსნია.

ღამით, გემის დაძვრის წინ, გემზე მომუშავე ჰოლანდიელმა ბიჭმა გამოიარა. იგი გემის სარკმლებს სინჯავდა, კარგად ჩაბნელებული თუ არისო. ერთ ადგილას შენიშნა, რომ მრგვალი სარკმელი ნახევრად ღია იყო. იგი გაბრაზებული ჩვენკენ მობრუნდა და დაიძახა — თქვე ლორებო, თუ თავის დახრჩობა გინდათ, მე სრულებით არ ვაპირებ თავის დახრჩობასო და სარკმელი წესიერად მოხურა. ამით იგი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა, რომ ინგლისელები სინათლის გაპარვის გამო, გემს აღმოაჩენენ და მეც თქვენთან დავილუპებო. სან-მალოში მშვიდობით დავბრუნდით და მეც ჩემი მოხსენება, რომელშიც ზემოთ ნაამბობი და ბევრი სხვა რამ კიდევ დაწვრილებით აღვნიშნე, შტაბს გადავეცი.

ცოტა ხნის შემდეგ გერმანული უზენაესი სარდლობიდან ჩემი და ინჯიას ლეიტენანტის ხარისხში აყვანის ბრძანებაც მოვიდა და იგი ხელმოწერილი იყო (დაუჯერებელი რამ) გენერალური შტაბის უფროსის, ფელდმარშალ კაიტელის მიერ. ეს ის კაიტელია, რომელიც გერინგთან და სხვა დამნაშავეებთან ერთად ჩამოახრჩვეს ცნობილი პროცესის შემდეგ. ამ, ჩემთვის ოფიცრის ჩინის მომნიჭებელის ჩამოხრჩობა, უფრო გვიან, ჩემი თვალით ვნახე ერთ კინოქრონიკაში. დიდ დარბაზში კაიტელი დააყენეს იატაკში ამოჭრილი სარქველის სახურავზე. ჭერიდან ჩამოშვებული თოკი კისერზე მოაბეს და სარქველი გაიხსნა, რომ დასასჯელი ქვედა სართულში ჩავარდნილიყო, მაგრამ კაიტელს სწორედ რამდენიმე წამით სარქველის გახსნამდე გული წაუვიდა და სარდაფში ჩავარდნის დროს სარქველის კიდეს შუბლი დაარტყა და ამგვარად ჩავარდა. კინომ გვაჩვენა მისი სურათი ყულფის მოხსნის შემდეგ. შუბლზედ ღრმა ჭრილობა აჩნდა.

ამ დროს, როდესაც ეს ამბავი ხდებოდა, მე იტალიაში ვიყავი და ეს რეპორტაჟიც მაშინ ვნახე, მაგრამ ამ ამბავს შემდეგ მოგიტხრობთ.

მეორე ჩემი მოგზაურობა იყო ატლანტის სანაპიროზე განლაგებული ქართული ბატალიონების მონახულება. ერთი მათგანის მეთაური იყო ყოფილი იუნკერი, შემდეგ პოლონეთის ოფიცერი, ხოლო იმჟამად გერმანულ სამსახურში მყოფი კაპიტანი კობიაშვილი. კობიაშვილის ბატალიონში გამოსაძიებელი მე არა მქონდა რა, რადგან იგი ნამდვილი უფროსი იყო თავისი ბატალიონისა და არა ისეთი მოჩვენებითი ოფიცრები, რომლებიც კუნძულზე ვნახე. აგრეთვე დავათვალიერე სხვა ასეულები, რომელთა მეთაურები არც მიძებნია. ვნახე მხოლოდ ოცეულების მეთაურები, რომელთაც ნაპირის გასწვრივ აშენებული ბუნკერები დამათვალიერებინეს. ისინი ყველანი დარწმუნებით მეუბნებოდნენ, აქ ჩვენ ისეთი თავდაცვა გვაქვს ორგანიზებული, რომ ყოველგვარ ცდას ნაპირზე გადმოსხმისას უსათუოდ გამარჯვებით მოვიგერიებთო. მახსოვს, ერთი რაჭველი ოფიცერთაგანი, რომელიც ერთ მთავარ ბუნკერს იცავდა. იგი განსაკუთრებით ენთუზიასტი იყო გერმანული ტექნიკისა და მარნმუნებდა, ზღვიდან მოსულებს ჩვენი დამარცხების არავითარი შანსი არა აქვთო. ჩვენი ზარბაზნები ისეა დამიზნებული, წყლიდან ვერც ერთი ნაპირზე ვერ ამოვაო. ჩემზე მისი სიტყვები, ცხადია, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა, მიუხედავად იმისა, რომ გულით მსურდა, მისთვის დამეჯერებინა, მაგრამ უნდა გამოვტყდე, დიდი ეჭვი მეზადებოდა, თუ ამერიკელები გადმოსხმას გადაწყვეტდნენ, მათი უკუქცევა ისეთი ადვილი ყოფილიყო, როგორც ამ ქართველებს ეგონათ. ამ ექსპედიციიდან დაბრუნებულს დიდი რამის მოთხრობა არ შემეძლო, რადგან არა თუ საეჭვო რამ არ შემიმჩნევია, არამედ გაკვირვებული ვიყავი გამარჯვებაში ქართველი მეომრების ასეთი თავდაჯერებისა. აქვე მინდა, მკითხველს ვუთხრა ამბავი ერთი ქართული ასეულისა, რომელიც სწორედ იქ აღმოჩნდა დაბინავებული, სადაც პარაშუტისტების პირველი რაზმი ჩამოეშვა. ამერიკელ პარაშუტისტებს დავალებული ჰქონდათ მძიმე თვითმფრინავების და-

საფრენი მოედანი მოეწყოთ. მათ ტყეების აყვანისათვის არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება და ქართული ასეული მათი გერმანელი ოფიცრებით უკანასკნელ კაცამდე ამონყვიტეს, თუმცა ისინი წინააღმდეგობის განეხადეს არც აპირებდნენ.

მესამე ადგილი, რომლის მონახულებაც მე დამავალეს, ეს იყო ძველად ვარშავის მიდამოებში არსებული ყოფილ ქართველ ტყვეთა, ამჟამად გერმანიის ჯარში მოხალისედ მიღებულ ლეგიონერთა ადმინისტრაციული ცენტრი სამხრეთ საფრანგეთში, კასტრში გადმობარგებული. მე იქ მარტო არ ჩავსულვარ. თან მიმყვებოდა შტაბის მიერ პროპაგანდული მიზნით გამოგზავნილი კაცი, ისიდორე მანწკაევა. როდესაც ადგილზე მივედით, ბანაკის უფროსმა, მაღალი ჩინის ოფიცერმა გაიკვირვა ჩვენი მისვლა და მითხრა, ჩვენ პროპაგანდისტები არ გეჭირდებოდით. როდესაც ვუთხარი, მარტო პროპაგანდისტი არ მომიყვანია, მე თვითონაც დავალბა მაქვს, უმაღლეს ინსტანციებს მოვახსენო ჯარისკაცთა სულიერი განწყობილების ვითარება-მეთქი. თავი შევიკავე, მისთვის მეთქვა, რომ მათი მატერიალური მდგომარეობის შესწავლაც მქონდა დავალბებული. მიუხედავად ამისა, მან მითხრა, ამ საკითხებს ჩვენ თვითონ ვუვლით და თუ რაიმეს მოხსენება საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენ თვითონვე მოვახსენებთ იქ, სადაც ჯერ-არსო. ეს მისი საქციელი იმით აიხსნება, რომ ზურგში დაბინავებული ჯარისკაცთა ბანაკები ეჭვით და სიფრთხილით უყურებდნენ თვით შტაბის არსებობას, რადგან არა მარტო ქართული საკომანდო პერსონალის, ანუ შემადგენლობის, არამედ თვით გერმანელების შეფასებაში ქართულ შტაბსაც ბევრი რამ ეკითხებოდა და მათ აზრს უზენაესი სარდლობა დიდ ანგარიშს უნებდა. ჩვენ იქ სამიოდე დღე დავრჩით, ჯარისკაცებთან კონტაქტს ვერ დავგიშლიდნენ, მაგრამ მათი ნაწილების სადმე ერთად შეკრება და დიდ კოლექტივებთან საუბარი, როგორც შტაბისგან გამოგზავნილებისა, ჩვენთვის შეუძლებელი გახდა. ასე დავბრუნდით ჯერ პარიზში და იქიდან ბერლინისაკენ გავემგზავრეთ.

გერმანიის საზღვარს როდესაც ვუახლოვდებოდით, მატარებელი გაჩერდა და მგზავრებს უბრძანეს, ვაგონებიდან ჩამოსულიყვნენ და ახლომახლო გაფანტულიყვნენ, ვიდრე განგაში დამთავრდებოდა. თვითმფრინავების იერიში ჩვენ არ შეგვხებია და მალე ისევე მატარებელში ჩასხდომა დავიწყეთ. მატარებელი გაშლილ ველზე იყო გაჩერებული. ამიტომ კიბის საფეხურები აღამიანის სარტყელის სიმაღლეზე იყო. როდესაც კიბის მოაჯირებს ხელი წავავლე და მარჯვენა ფეხის პირველ საფეხურზე აწევა მოვიწოდო, ძველი ჭრილობა მეტყინა. ვაგონში მაინც ავედი და მატარებელი დაიძრა. ნაჭრილობების ტკივილი თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ ასე თუ ისე ტკივილი შენელებოდა. ასე მივალნიეთ ბერლინს. ბერლინში ჩამოსულმა ძლიერ შეეძქელი ჩემს ბინამდე მისვლა. დავეწყე, რადგან ღამე იყო, მაგრამ მეორე დილით ფეხზე დადგომა აღარ შემეძლო. შტაბში შევატყობინე და ლაზარეთში წამიყვანეს. იქ აღმოაჩინეს, რომ დაჩირქება იწყებოდა. დამაძინეს, რომ მდგომარეობა უკეთ შეესწავლათ და გამოლოცებისას მითხრეს, ჭრილობაში ჩარჩენილი ნატეხი ისეთ ადგილას არის გაჩხერილი, რომ ოპერაცია

სახიფათოა, უმჯობესია, მოვიცადოთ, ვიდრე თქვენი მოძრაობით გამონვეული ადგილობრივი სისხლისდენის შედეგი თვით ორგანიზმის მიერ იქნება გამოსწორებული. ამგვარად მომიხდა თვეზე მეტხანს დარჩენა ამ ლაზარეთში.

ლაზარეთიდან გამოსვლის შემდეგ განვაგრძე შტაბში მუშაობა, მაგრამ სხვა დარგის სამუშაოზე. სახელდობრ, მე დამავალეს ქართულად გადმომეთარგმნა ყველა ეროვნების მოხალისეთა ჯარებისათვის სპეციალურად დაწერილი სამხედრო წესდება, რომელიც, ამ ხსენებული ლეგიონების გერმანული ჯარისაგან სპეციფიკური განსხვავების გამო, შესაფერისად განსხვავებული უნდა ყოფილიყო გერმანული ჯარების წესდებისაგან. გარდა ამისა, რამდენჯერმე გამაგზავნეს სხვადასხვა ნაწილში. რათა მოხსენება ჩამებარებინა იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. მთელი ამ ხნის განმავლობაში გერმანული ფრონტი თანდათან უკან იხევდა. რუსები ბერლინს საგრძნობლად მოუახლოვდნენ, თუმცა ამაზედ არ ინერეზობდა, მაგრამ მდგომარეობა ფრიად სერიოზული იყო. მოსალოდნელიც მოხდა. ინგლის-ამერიკის ჯარები ატლანტიკის სანაპიროებზე გადმოსხეს და მალე გერმანელებმა პარიზიც დატოვეს.

გერმანული ადმინისტრაცია ბერლინის მოსახლეობას ქალაქის დატოვების ნებას არ აძლევდა, ცხადია, იმ მოსაზრებით, რომ საერთო პანიკა არ შექმნილიყო. ჩვენმა შტაბმა ბრძანება მიიღო, სამხრეთ გერმანიისაკენ გადავბარებულყავით, რის მოსამზადებლადაც უნდა მოგვენახა შესაფერისი ადგილები, რომ სამხედრო უწყებას მათი რეკვიზირება მოეხდინა. ყოველივე ამის მოსამზადებლად გაიგზავნა ხუთი კაცი, რომელთა შორის ერთი გერმანელი იყო, მაგრამ არა გერმანული ჯარის კადრიდან, არამედ პარტიულ მუნიციპალიტეტში ჩაცმული, რაღაც მათში მიღებული ჩინის მქონე პიროვნება და ერთი ქალი, რომელიც აგრეთვე პარტიის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა.

ამ მოთხრობის დროს გამომჩნა ერთი ფრიად საყურადღებო რამ: იმ დღეს, როდესაც საფრანგეთიდან გერმანიისაკენ მატარებლით მომავალს ნაჭრილობები ამტკიცებდა, მოხდა პიტლერზე თავდასხმა, რასაც 5 000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა, ხოლო უფრო გვიან, გერმანული კონტრდაზვერვა და ბევრი სხვა ინსტანციაც ესესის მეთაურს – ჰიმლერს დაუმორჩილეს და გერმანული ჯარის ყველა წევრს უბრძანეს, ძველი სამხედრო საღმის ნაცვლად, გერმანული ნაციტური საღმის შემოღება. კიდევ ბევრი რამ შეიცვალა მაშინ გერმანიაში, მაგრამ ეს მარტო მე არ შემეხებოდა და მათი აქ მოთხრობა ჩემთვის უბრალოდ შეუძლებელია.

ახლა ისევ შეწყვეტილ თხრობას დავუბრუნდეთ. ბინების საძებნელად წასულთა შორის, ორი გერმანელის გარდა, სამი კავკასიელი ვიყავით. ქართველთაგან — მე, ერთი — ჩრდილოკავკასიელი და ერთიც — აზერბაიჯანელი. ჩვენთვის მითითებულ ადგილებს რომ მივუახლოვდით, მოსახლეობა დაუმალავი ანტიპათიით შეგვხვდა. ხალხი დღედღეზე მოელოდა რუსების ან ამერიკელების მოსვლას. სა-

ნატორიუმები და სასტუმროები მზად იყო, ჩვენთვის უარიც კი ეთქვათ და ასე გვითხრეს, როცა მოხვალთ, ძალით გამოგვყარეთ, თორემ ნებით ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთო.

ჩვენმა თანმხლებმა პარტიულმა გერმანელებმა ძალიან უხერხულად იგრძნეს თავი და გადაწყვიტეს, უკანვე დაბრუნებულიყვნენ. როდესაც დავბრუნდით, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შტაბში მოსამსახურენი, მაგრამ მხოლოდ ერისკაცნი და არა სამხედროები, უკვე სადღაც დასაველეთის მიმართულებით გახიზნულიყვნენ, მაგრამ რადგან დასაველეთიდან ამერიკელები ახლოვდებოდნენ, უკანვე მობრუნებულიყვნენ. მოკლედ, ანარქია იწყებოდა. მაგრამ თვით ბერლინში კვლავ საოცარი სიმშვიდე და დისციპლინა სუფევდა. მაგალითისათვის უნდა დავხატო ერთი სურათი, რომელიც ვნახე, როდესაც განგაშის დროს სარდაფში ჩავედი და მერე კი მალლა ამოვედი.

თვითმფრინავებს რამდენიმე ყუმბარა ჩამოეყარათ. ეს მცირე დაბომბვა იყო. ქუჩებში მინის ნამსხვრევები და კედლებიდან ჩამოცვენილი ბათქაშის ნატეხები ეყარა. ყველა სახლიდან დარაჯები, უმეტესად ქალები, ტროტუარზე გამოსულიყვნენ. ზოგი მტვერს წმენდა, ზოგი კი საპნიან წყალში ამოვლებული ტარიანი ჯაგრისებით ტროტუარებს რეცხავდა. ასეთი ამბავი ყოველი დაბომბვის შემდეგ მეორდებოდა. მაგრამ იმ დღეებში, როდესაც ბერლინის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, ეს წარმოაჩენდა იმ საოცარ დისციპლინას, რომელიც, მე ვფიქრობ, ყველა ერისაგან განსხვავებით გერმანელებს ახასიათებთ.

ასეთივე სურათი დამხვდა, როდესაც იმ საღამოს ჩემს ბინაში დავბრუნდი. ქუჩაზე, ჩემი ბინის ახლოს, ერთი სახლი დანგრეულიყო. იმ სახლის წინ, ბოძზე გაკრული იყო განცხადება, რომელზედაც ნაჩვენები იყო ახალი მისამართები ამ სახლში მცხოვრები ოჯახებისა, სადაც უნდა მისულიყვნენ აქედან გადასახლებული ბავშვების მამები და დედაკაცების ქმრები. მე ვუყურებდი, როგორ კითხულობდნენ ამ მისამართებს სამუშაოდან დაბრუნებული მამაკაცები და როგორ მშვიდად ბრუნდებოდნენ მეტროში ახალი მისამართებისაკენ გასამგზავრებლად. ასეთი სურათები კვირაში ორჯერ მანაც მეორდებოდა. მალაზიებში დაუბრკოლებლად შეგეძლოთ ის სურსათი გეყიდათ, რომელიც თქვენი სასურსათო ბარათის მიხედვით გეკუთვნოდათ. ასეთ დროს მე დამევალა ვარშავიდან და პოლონეთის სხვა ქალაქებიდან ლტოლვილ ქართველთა, უმეტესად ბავშვთა და დედაკაცთა, დაახლოებით 40 სულისაგან შემდგარი ჯგუფი, ავსტრიისაკენ წამეყვანა. როგორც ვთქვი, გერმანულ მოსახლეობას ქალაქის დატოვების უფლება არა ჰქონდა და ავსტრიისაკენ მიმავალ მატარებლებზე მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლებოდა ასვლა. ბერლინში მამინ ჩემი ოჯახი მყავდა. ჩემი სამი წლის გოგონა და დედამისი. ჯერ არც კი ვფიქრობდი მათ სადმე წაყვანაზე. ერთი დღით ადრე, ჯგუფის წაყვანამდე, ბერლინი ძლიერ დაბომბეს. ასეთი რამ ქალაქს იშვიათად განუცდია. ამ დაბომბვას არავითარი სამხედრო გამართლება არ გააჩნდა, რადგანაც ბერლინში სამხედრო ძალები არ იმყოფებოდ-

ნენ. ფრონტი, მართალია, 40 კმ-ზე იყო, მაგრამ ყველა ელოდა, რომ ამერიკელები რუსებზე ადრე შემოვიდოდნენ ბერლინში. ეს იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგობას აღარავინ უწევდა, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის მხარეს გერმანელთა უკანასკნელი ძალები გააფრთხილეს ებრძოდნენ რუსებს.

ასეთ პირობებში ამერიკელების მიერ ბერლინის ესოდენ ძლიერმა დაბომბვამ, დამარწმუნა, რომ ამერიკელები სრულიადაც არ აპირებდნენ რუსებზე ადრე ბერლინის დაკავებას და გადაენწყვიტე, ვარშავიდან მოსულ ლტოლვილებთან ერთად ჩემი ოჯახიც თან წამეყვანა.

დანიშნულ დღეს უმთავრესად პოლონეთიდან ჩამოსული ლტოლვილების ჯგუფი მოგროვდა სადგურში, საიდანაც ვენისაკენ გადიოდნენ მატარებლები. მეც ჩემი ოჯახი იქ მივიყვანე, რის ვაივავალხაბით მოვახერხეთ მატარებელში შესვლა. ვენაში მშვიდობით ჩავედით. იქიდან პატარა ადგილობრივი მატარებლით, რომლითაც ვენიდან დასავლეთით მდებარე დასახლებაში (ვარმბრუნში) უნდა გავემგზავრებულიყავით, სადაც კათოლიკური დედათა მონასტერი იყო. მონასტერი ლაზარეთიდან გამონერილ ქართველ ჯარისკაცთა დასასვენებლად იყო რეკვიზირებული. მატარებელში რომ ჩავსხედით, საჰაერო განგაში გაისმა. სადგურის ადმინისტრაციამ მგზავრებს უბრძანა თავშესაფრებში ჩასულიყვნენ. საფრებიდან რომ ამოვედით, მატარებელი აღარსად ჩანდა, ის სადგურიდან შორს გაეყვანათ. ქართველი მგზავრები დიდად შეწუხებულნი იყვნენ, რადგან მატარებელში დარჩენილი მთელი თავიანთი ბარგი დაკარგული ეგონათ, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი უკან დაბრუნდა, და ცხადია, ბარგიც ხელუხლებელი იყო. ამგვარად მშვიდობით ჩავედით დანიშნულ ადგილამდე. იქ ბარგისათვის ერთი ცხენიანი ურემი დაგვხვდა და ფეხით გავეშურეთ მონასტრისაკენ. გზაში ცოტა თოვლი იყო. ქალებსა და ბავშვებს სიარული ეძნელებოდათ, მაგრამ ბოლოს მაინც მივალნიეთ დანიშნულ ადგილს. შენობები უკვე მდგმურებს დაეკავებინათ, რომელთა შორის ბევრის იქ ყოფნა გაუმართლებელიც ჩანდა. დაწესებულების გამგე ვნახე და მოვთხოვე, რომ ეს საქმე მოენესრიგებინა. მან ბოდიში მოიხადა და ამიხსნა, თქვენ მოსვლას არ ელოდით და ეს ლტოლვილები დროებით მივიღეო. ისინი გადააჯგუფა და ახალმოსულთათვის ადგილი გაათავისუფლა. ვახშობის დრო რომ მოვიდა, მდგმურებს, ახლებსაც და ადგილზე მყოფთაც, ჩვეულებრივი სამხედრო ულუფები დაურიგეს, ხოლო მე დაწესებულების უფროსმა თავის ბინაში წამიყვანა სავახშმოდ. ვიდრე სუფრას მიუუსხდებოდით, მითხრა, ჩემი ვაჟი სადღაც ფრონტის ზონაში იმყოფებო და მთხოვა მეშუამდგომლა და რაიმე მიზეზით იგი შტაბში გადმომეყვანა. ვუთხარი, შევეცდები, მაგრამ ასეთი რამ მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული-მეთქი. ამის შემდეგ თავის სასადილო ოთახში შემიყვანა და ძლიერ გამიკვირდა, აქ სუფრას უსხდნენ ისინიც, რომელნიც იქ ლტოლვილებში ვნახე. უფრო გამიკვირდა, როდესაც სამხედრო ულუფის ნაცვლად მშვენიერი ვახშამი მოგვართვეს. ვაპირებდი ამ არანორმალურობისათვის უფროსისათვის შენიშვნა მიმეცა, მაგრამ ის კაცი შემეცოდა და

თვითონაც ისე მიცქერდა, თითქოს პატიებას მოხოვდა. ასე გიახვლით იმათთან ერთად ვახშამი, რომელიც მე არ უნდა მრგებოდა. ეს ერთადერთი უნესობა იყო, რაც გერმანიაში ვნახე, რადგან ასეთი რამ ძალიან იშვიათად თუ მოხდებოდა.

იქიდან ბერლინში დავბრუნდი, სადაც ახალი ბრძანება დამხვდა, ფრონტის ზონაში უნდა წავსულიყავი, ერთი ჯავშნოსანი დივიზიის უფროსის განკარგულებაში. საქმე ისაა, რომ ჩემზე ადრე, პოლონეთის დაკავების დროს, ამ გენერალთან მრჩევლად ყოფილა ამჟამად შტაბის გამგებობის წევრი, მიხეილ ალშიბაია. გენერალი ძალიან ნაღვლობდა, რომ ალშიბაია მასთან არ იყო და შტაბისთვის უთხოვია, გერმანულის მცოდნე ქართველი ოფიცერი თუ გყავთ, დროებით გამომიგზავნეთო. მე ბრძანებას დავემორჩილე და პრალისაკენ გავემგზავრე, რადგან მითხრეს, გზას იქიდან გასწავლიანო. პრალაში რომ ჩავედი, იქ ვინახულე ჩემი პარიზელი ნაცნობი და მაშინ იქ მცხოვრები პოეტი გამყრელიძე. მასთან რამდენიმე საათილა დავრჩი. კომენდანტურაში გამოვცხადდი და იქ ახალი მარშრუტი მომცეს, რომლიდანაც ჩანდა, რომ სლოვაკიისაკენ უნდა გავემგზავრებულიყავი.

მატარებელი ლამით გადიოდა. ჩემს სიცოცხლეში იშვიათად განმიცდია ისეთი უსიამოვნება, რაც იმ მატარებელში განვიცადე. ჩემს ვაგონში ერთადერთი გერმანელი ოფიცერი ვიყავი და კუპეში, რომელშიც მე მოვხვდი, მთელი გზის განმავლობაში ვგრძნობდი და ვხედავდი, როგორი ზიზლითა და მტრულად მიცქერდნენ თანამგზავრთა თვალები. დანიშნულ ადგილამდე მივედი და ამ საშინელი მდგომარეობას თავი დავალწიე. ამ მგზავრობის დროს ჩემი უხერხული მდგომარეობა უმთავრესად იმით იყო აუტანელი, რომ არც ნება, არც საშუალება მქონდა მათთვის მეთქვა, ასე ნუ მიცქერთ, მე გერმანელი არა ვარ-მეთქი. როდესაც ადგილობრივ სამხედრო ცენტრს მივალწიე, მითხრეს, აქედან თქვენ ფეხით უნდა წახვიდეთ და გზადაგზა იკითხოთ ადგილი, რომელსაც ეწოდება "ბურგმარლისა". ამ სახელწოდებას სხვა რამ მომაგონა: გამახსენდა, რომ წარსულში ერთ წიგნში წავიკითხე ჩეხი ენათმეცნიერი პროზნის შესახებ, რომ იგი ბურგმარლისაში ყოფილა დაბადებული. ეს ის მეცნიერია, ხეთების ლურსმული რომ პირველად წავიკითხა. ამასთან დაკავშირებით იგი საქართველოში ჩამოვიდა და თბილისის უნივერსიტეტში მოხსენება წავიკითხა. ამ მოხსენების დროს მიღებულ შთაბეჭდილებაზე მისი ნათქვამი წავიკითხე იმ წიგნში. იგი ამბობდა, გაკვირვებული დავრჩი იმ პატრიოტული ალტაცებით, როგორითაც ქართველები მისმენდნენო. ეს მისი გაკვირვება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იმ დროს საქართველოში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს ქართველებს ხეთებთან რაღაც ნათესაობა აკავშირებდათ, ხოლო პროზნი იმ აზრისა იყო, რომ ხეთებს ქართველებთან არაფერი საერთო არა ჰქონდათ.

როდესაც მარლისას მივალწიე, ვნახე, რომ ეს ადგილი თავის სახელწოდების პირველ ნახევარს ამართლებდა, რადგან სიტყვა „ბურგ“ გერმანულად საშუალო საუკუნეების გამაგრებულ ციხე-დარბაზს აღნიშნავდა. ბურგმარლისა წარმოადგენდა ვაკე ადგილზე გაშენებულ რამდენიმე მრავალსართულიან, სქელკედლებიან

სახლების ჯგუფს, რომელსაც გარშემო განიერი და მაღალი გალავანი ერტყა. ეზოში რომ შევედი, ჩამიჩემი არ ისმოდა, მხოლოდ ერთი ჯარისკაცი რეცხავდა მანქანას. ვკითხე, სამხედრო სამდივნო სად არის-მეთქი. მან მითხრა; ავედი დანიშნულ სართულზე. რამდენიმე მიმართულებით დერეფანი მიდიოდა. ვიარე, არცერთ კარს გარედან არაფერი ენერა. ის კარი გავაღე, საიდანაც ლაპარაკის ხმა გამოდიოდა. შიგ რამდენიმე ოფიცერი იჯდა, პერანგის ამარა, რალაც სასმელს სვამდნენ. მივხედი, რომ მყუდროება დაეურღვიე. ბოდიში მოვიხადე და ვუთხარი, რასაც ვეძებდი. მიმასწავლეს. სამდივნოში ერთი უნტერ-ოფიცერი იჯდა. ჩემი მგზავრობის ბრძანება გადავეცი და თან ვუთხარი, ამა და ამ გენერალთან ვარ გამოგზავნილი-მეთქი. ასე მიპასუხა, ამ გენერლის დივიზია განადგურებულია და თვითონ გენერალი ჰიტლერთან დაბრუნდა ახალი ბრძანების მისაღებად, ხოლო თქვენ რაც შეგეხებათ, თუ ჯავშნოსან ნაწილებს ეკუთვნით, ახლავე შემიძლია რომელიმე დივიზიაში გაგაგზავნოთო. მე სამთო ჯარების ფორმა და ნიშნები მქონდა, ქუდიც იმათი მეხურა. გამეღიმა და ვუთხარი, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ სამთო ჯარებს ვეკუთვნი-მეთქი. მან მიპასუხა, რასაკვირველია, ამას ვხედავდი, მაგრამ რადგან თქვენ ეს გენერალი ახსენეთ, ვივარაუდე, რომ ჯავშნოსან იარაღის კურსებიც იქნებ გავლილი გქონდეთ; ისლა დამრჩენია, რომ თქვენ უკან დაბრუნების ბრძანება დაგინეროთ, ორი წუთი მაცალეთ, ხელს მოვანერინებ და ისე მოგიტანთო. წავიდა და მალე დაბრუნდა. უკვე საღამო უამი იყო. სადმე ღამე უნდა გამეთია. უნტერ-ოფიცერს ვკითხე, სად შემიძლია, ღამე გავათიო-მეთქი, მან მიპასუხა, აქ ახლომახლო არაფერია, ისევე იქ უნდა დაბრუნდეთ, საიდანაც უკანასკნელი მარშრუტი მიიღეთო. გამოვთხოვე და წავედი. გარეთ რომ გამოვედი, ვიფიქრე, გზაჯვარედინზე დავდგები, იქნებ ავტომობილი შემხვდეს, რომელიც პრალაში წამიყვანს-მეთქი. როდესაც გზაჯვარედინს მიუახლოვედი, შევნიშნე ხალხი იყო შეგროვილი. ვიფიქრე, თუ ყველა ესენი ავტომობილს უცდიან, უმჯობესია, ჩემს განზრახვაზე ხელი ავილო-მეთქი. როდესაც უფრო ახლო მივედი, საველე უანდარმერიის ავტომობილი დავინახე გაჩურებული. ახლოს რომ მივედი, ერთმა უანდარმმა ხელით მანიშნა, აი, იქ მიდით, გენერალთანო. გამახსენდა, რომ იმ დროებში დეზერტირების დასაჭერად საკონტროლო პუნქტები არსებობდა. ვიფიქრე, ალბათ, ეს არის-მეთქი და გენერლისაკენ გავწიე. საღამი მივეცი და ვუთხარი, უანდარმმა თქვენკენ გამომგზავნა-მეთქი. ჰო, ძალიან კარგიაო. მე ვუცდი, ვიდრე საჭირო რიცხვი ოფიცრებისა შეგროვდება, რომ საველე სასამართლო გაემართო და დაუმატა, ერთი მძლოლი დაიჭირეს, რომელმაც თავისი ავტომობილი კერძო საქმისთვის გამოიყენაო. მე ვიცოდი, რომ ასეთი დანაშაულისათვის ახალი ბრძანების თანახმად დახვრეტა მოელოდა. შეწუხებულმა ვუპასუხე, ბატონო გენერალო, ასეთი საქმისთვის არ გამოგადგებით, რადგან გერმანელი არა ვარ, უცხოელი მოხალისე ვარ-მეთქი. გენერალმა მიპასუხა, ვინც უნდა იყოს, თქვენ გერმანელი ოფიცრის მუნდირს ატარებთ და მამასადამე, ამ მუნდირის მატარებლის ყველა ვალდებულია უნდა შესარულოთო. ძალიან ავლელი, კიდევ რალაც ვუპასუხე, კარგად არ

მახსოვს. მაშინ მითხრა, ჰო, კარგი, მე თქვენი მესმის, აქ დარჩით და თუ საჭირო რიცხვი ოფიცრებისა მოგროვდა, თავისუფალი იქნებითო. მე გენერალს მოვპორდი და სხვებისაგან გავიგე, რომ ამ დამნაშავეს თავისი ცოლ-შვილი გაუყვანია სახიფათო ადგილიდან ზურგში. ჩემდა საბედნიეროდ, სულ მალე სხვა მანქანამ გამოიარა, რომელშიც რამდენიმე ოფიცერი იჯდა და გულზე მომეშვა, რომ სასიკვდილო განაჩენისათვის ხელი არ მომიკიდია. გზად მიმავალს ფრონტის მხრიდან ყუმბარის ხმა მომესმა და ისიც გავიგონე, ყუმბარამ ჰაერში მალლა როგორ გაიშხულია და თავზე გადამიარა. ცოტა ხნის შემდეგ, გერმანული მხრიდან, გაისმა ასეთივე ხმა და ახლა იქიდან მომავალმა ყუმბარამ გადამიშხულია. თურმე ცოტა ხნის წინ უმოქმედო ორ ფრონტს შუა მივდიოდი. ეს ამისხნეს იმ პუნქტზე, სადაც მივედი და ამ მოვლენის მიზეზი ვკითხე. მათვე მომცეს მისამართი, სადაც შეიძლებოდა ღამე გაშეთია. რომ დავაკაკუნე, ორმა ახალგაზრდა ქალმა გამილო კარი. ესენი ადგილობრივი, სლოვაკიაში მცხოვრები გერმანელები აღმოჩნდნენ. ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი და ვკითხე, რამდენი უნდა მოგცეთ ღამის გათევისათვის-მეთქი. როგორ გეკადრებათ, ჩვენ ამას ფულისთვის კი არა, ჩვენი ქვეყნისათვის ვაკეთებთო. სხვა საუბარი მათთან არა მქონია. ვატყობდი, რომ მათ საუბრის თავი არა მქონდათ, რადგან დღეს თუ ხვალ რუსების მოსვლას მოელოდნენ. მეორე დილით სადგურში ფეხით წავედი და ისევ პრალაში დავბრუნდი. იქ ისევ გამყრელიძე მოვინახულე. მსურდა, გამყრელიძის მეშვეობით პრალაში სანოვაგე შემეძინა და უკან დაბრუნებისას ვენიდან ვარმბრუნში გამეველო და სანოვაგე ჩემი ოჯახისათვის დაემტოვებინა. გამყრელიძემ ერთი ჩეხის სახლში წამიყვანა და უთხრა ჩვენი მისვლის მიზეზი. ჩეხმა გაკვირვებით და მრისხანედ შემომხედა, მივხვდი, რომ უარის თქმას აპირებდა, მაგრამ გამყრელიძე ჩაერია და უთხრა, ეს ჩვენი კაციაო; ჩეხი დათანხმდა, ჩემი სურვილი აესრულებინა. გამოვართვი ორი უზარმაზარი ჩეხური ძეხვი, ნახევარი კილო კარაქი და კიდევ შაშხის დიდი ნაჭერი, რაშიც ჩეხმა ფრიად ზომიერი ფასი გადაამახდევინა. შემდეგ გამყრელიძემ სახლში წამიყვანა, ჩემი მატარებლის დრომდე კარგა დიდხანს ვისაუბრეთ. სასაუბრო უამრავი გექონდა. რაზე არ ვილაპარაკეთ: პოეზიაზე, პოლიტიკაზე, საქართველოზე, ჩეხიაზე... ბოლოს გაძოვეთხოვე, ვენაში დავბრუნდი და იქიდან ჩემი ოჯახი ვინახულე. სანოვაგის მინოდება მათთვის დიდი დღესასწაული იყო, მაგრამ იქ დიდხანს დარჩენა არ შემეძლო. გადავკოცნე ჩემი პატარა გოგონა და ისევ ბერლინში დავბრუნდი.

იტალიაში

ბერლინში მდგომარეობა გაუარესებული დამხვდა. შტაბში ზემოდან მიღებული ბრძანების თანახმად, იქ დასაქმებული ყველა სამხედრო პირისაგან, რაზმი უნდა შეედგინათ, რომელიც ბერლინის დაცვის მომწესრიგებელ უწყებას უნდა დამორჩილებოდა. ამ რაზმის უფროსად ლეიტენანტი ოქროპირიძე დაენიშნათ.

შტაბში მომსახურე ერისკაცები კი ზარსბურგისაკენ უნდა დაძრულიყვნენ, ჩემთვის კი ახალი ბრძანება აღმოჩნდა: იტალიაში უნდა წავსულიყავი. დავალების ამსრულებელ ოფიცრად და თარჯიმნად იმ ბატალიონში, რომელიც ვერონაში იყო განლაგებული და რომელსაც მიხეილ დადიანი მეთაურობდა, მაგრამ ეს ჩემი დანიშვნა თითქმის ფიქტიური იყო, რადგან ყველამ იცოდა, რომ იტალიიდან უკან ველარ დავბრუნდებოდი, რადგან ამერიკელები ჩრდილო იტალიისაკენ სწრაფად მიინევენ ისევე, როგორც რუსები ვენისაკენ. იტალიაში ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ მიტო სინჯიკაშვილი, გაიოზ ბერეკაშვილი და ერთი პოლონეთში ნაცხოვრები ქართველი, კოტე იმნაძე; ვიცოდი, რომ ის კაცი, პარტიულად მენშევიკი, პოლონურ კონტრდაზვერვასთან იყო დაკავშირებული. ჩვენ ოთხივეს საერთო მანდატი გვქონდა, ვითომ ვეროპაში არსებული საქართველოს თავისუფლების კომიტეტისაგან. ეს კომიტეტი მოკავშირეთა წარმომადგენლებს სთხოვდა, ჩვენ მივედეთ, როგორც ამ კომიტეტის წარმომადგენლნი. ეს დოკუმენტი, რა თქმა უნდა, ფიქტიური, მიშა კედიას მიერ იყო შედგენილი და მან დაგვავალა პოლონურ ჯარების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გვეზრუნა, რომ იტალიაში ამერიკელების ხელში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ლეგიონერებისათვის დახმარება გაენიათ და ისინი მოკავშირეებს რუსებისათვის არ გადაეცათ. ამაზე ზრუნვას მაშინ ის საფუძველი ჰქონდა, რომ ამერიკელები ტყვე ქართველებს შეინახავდნენ იმავე მიზნებისათვის, როგორც ეს გერმანელებმა ჰქნეს.

ახლა ამგვარი მსჯელობა, ცხადია, გულუბრყვილობად ჩაითვლება, მაგრამ ეს გამოიწვია იმ ქართველების სასონარკვეთილებამ, რომელთაც გაუცრუვდათ გერმანიაზე დამყარებული იმედი.

იტალიისაკენ გავემგზავრეთ. იმ დღეებში საჰაერო დაბომბვის გამო, იტალიასთან რკინიგზით მიმოსვლა დროებით შეწყვეტილი იყო. ფეხით უნდა გადავსულიყავით უღელტეხილზე, რომელსაც იტალიურად ჰქვია „პასო დი კროჩე“, რაც ქართულად ჯვრის უღელტეხილად გადმოითარგმნება. იტალიაში უკვე გადასული იყვნენ ზარსბურგში მოგროვილი ბერლინიდან ჩამოსული ქართველები და ისინი ჩრდილო იტალიაში მდებარე ქალაქ პელუცას მიდამოებში ცხოვრობდნენ. აქვე იდგა ფრიდონ ნულუკიძის ესესთა პოლკი. უღელტეხილზე ფეხით გადამსვლელთა შორის მხოლოდ მე და სინჯიკაშვილი ვეკუთვნოდით მანდატით გამოგზავნილთა ჯგუფს, რადგან გაიოზ ბერეკაშვილი და პოლონეთში ნაცხოვრები ქართველი უკვე იტალიაში იმყოფებოდნენ, ხოლო ჩემთან და სინჯიკაშვილთან ერთად მოდიოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყოფილი თანაშემწე ელიზბარ ვაჩნაძე და კიდევ ერთი ყოფილი ტყვე — გვარად ქარჩავა.

პატარა მატარებლით გავემგზავრეთ იმ გადასავალთან ყველაზე ახლო სადგურისაკენ. იქ ერთი ბევარიელი გლეხისაგან ფორანი ვიქირავე ჩვენი ბარგის საზღვრამდე მისათანად და გზას გავუდექით. გზაში შემოგვხვდა იტალიიდან ზარსბურგისკენ მომავალი ქაქუცას სხვა თანამებრძოლი, თომა ნიკლაური. ეს ნიკლაური

თითქმის უნიგნური კაცი იყო და მე გაკვირვებით ვკითხე ვაჩნაძეს, ეს უნიგნური და გერმანულის არმცოდნე კაცი როგორ ახერხებს ასეთ ადგილებში გზის გაკვლევას-მეთქი. ნუ გიკვირსო, მიპასუხა ელიზბარ ვაჩნაძემ, ეგენი ალლოთი უკეთ დადიან, ვიდრე ჩვენ რუკებითო.

საზღვარზე რომ გადავედით და ასი-ორასი მეტრი გავიარეთ, უფსკრულზე გადაშვრილ კლდის ნექტზე მდგარი, გერმანულ ფორმაში და ხელში თოფით მდგომი ჯარისკაცი დავინახე. მისი დგომის პოზა საკმარისი იყო, რომ მასში ქართველი გამომეცნო და პირდაპირ ქართულად ვკითხე, თქვენი უფროსი სად ცხოვრობს-მეთქი. მან სრულიად არ გაიკვირვა და თითოთი მიგვანიშნა დაბლა ხეეში ნითელ-სახურავიან სახლზე, აი, იქაო. ეს უფროსი ნიკო ნაკაშიძე აღმოჩნდა, რომელიც ფრიდონ ნულუკიძის პოლკში მსახურობდა. ის ღამე ნაკაშიძის სახლში გავათიეთ. მას არაფერი გააჩნდა ჩვენს გასამასპინძლებლად, მაგრამ ცარიელ სახლში ცარიელი ტახტები საკმაოდ იდგა.

ნულუკიძის ესესთა პოლკი კურიოზული, შემიძლია დავარქვა, მეტიორული წამოწყება იყო. მაშინ, როდესაც 40 000 ქართველი წესიერ გერმანულ ჯარში ირიცხებოდა, ქართველებს სრულიად არ მართებდათ ესესში ჩანერით ქართველთათვის სახელის გატება. მაგრამ იმ დროს ამ გარემოებას ყველა ერთნაირად როდი აფასებდა. მაგალითისათვის იმის თქმაც კმარა, რომ ქართველმა ემიგრანტმა თეთრგორგელებმა თავიანთ სახელს ნაციონალისტ-სოციალისტური დაუმატეს, რაც უსათუოდ ცუდად გაანგარიშებული რამ იყო. ფრიდონ ნულუკიძე ამ "თეთრი გორგის" ნაციონალისტურ-სოციალისტურ ორგანიზაციის წევრი იყო და მის ინიციატივას, ქართველ ტყვეთაგან ნაციისტური პოლკის შედგენას, წინააღმდეგობას ვერავინ გაუბედავდა.

ფრიდონ ნულუკიძე თავისი სამხედრო ერთეულის შედგენას ქართული დამაკავშირებელი შტაბისაგან სრულებით დამოუკიდებლად შეუდგა, რადგან ესესი და ვერმანტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციები იყვნენ და უზუნაეს სარდლობას დამორჩილებული ესესელები მხოლოდ ფრონტზე მოქმედების დროს იყვნენ გერმანული გენერალიტეტის მორჩილებაში. ყოველივე ამის გამო ნულუკიძეს შემთხვევით, აქა-იქ გაცნობილი ემიგრანტები ჰყავდა თავის ორგანიზაციაში, როგორც ოფიცრები. ზოგმა მათგანმა ქართულიც კი არ იცოდა, მაგრამ მასვე ჰყავდა, კავსაძის ხელმძღვანელობით შედგენილი მომღერალთა გუნდი და საცეკვაო ანსამბლიც. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მანვე დაარსა პარიზში ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოება და ემიგრაციაში მყოფ კეთილშობილური წარმოშობის ემიგრანტებს ქართული თავადობისა და აზნაურობის შესატყვის, ფრანგულად შედგენილ მონმობებს ურიგებდა ხოლმე. ამგვარად წარმოიშვნენ ქართველი ბარონები, მარკიზები და სხვა. ამნაირადვე აკუთვნებდა იგი თავის თავს გერმანულ სამსახურს. მისი პოლკის შემადგენლობა ერთ ბატალიონს არ გასცილებია და იმათშიც მხოლოდ ნახევარს ეცვა ესესის ფორმა, დანარჩენები კიდევ ტყვეთა

ფორმაში რჩებოდნენ. მისი მიზნების ცხადსაყოფად საკმარისია ერთი ეპიზოდი მოვიყვანო: ერთ ქართველს შესთავაზა, მოდი, ჩემს ნაწილში მიგიღებო. ქართველმა უპასუხა, ომის საქმე ცუდად მიდის, მე კი სიკვდილის მადებარი არა ვარო. ფრიდონმა უპასუხა: კაცო, შენ გიჟი ხომ არა ხარ, სიკვდილს არც მე ვეძებ, ომი ისე დასრულდება, რომ ფრონტს ვერ ნახავო. ამ წულუკიძის ჯარისკაცებს ეკავათ იმ უღელტეხილის მიდამოები და ჯარისკაცები იტალიურ ოჯახებში იყვნენ ჩასახლებული. პირველ დიდ სოფელში, სადაც ჩვენ ჩავედით, მიგვიღო ნიკო ნაკაშიძემ. მას ესესის ოფიცრის სამხრეები ეკერა. ორი სტუმარი რომ დაგვინახა, პირველი, რაც გვითხრა, ეს იყო: კაცო, მე როგორ მიგილოთ, არაფერი გამაჩნია, რა უნდა გაჭამოთო. ვუთხარი, დარდი ნუ გაქვთ, ჩვენ მხოლოდ ღამის გათევას ვაპირებთო. ამან ნაკაშიძე დაამშვიდა და იმ საღამოს მასპინძელი ჩვენი სტუმარი იყო. მე ელიზბარ ვაჩნაძესთან ერთად მომიხდა ოთახში წოლა და იმ ღამეს მოვახერხე ელიზბარისთვის დამეძალებინა, რომ ქაქუცასთან ერთად ყოფნის დროინდელი თავგადასავალი მოეთხრო. ეს საკმარისად არეულ-დარეული ნაამბობი იმგვარადვე, როგორც ჩავინერე, „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერშია გამოქვეყნებული. მეორე დღეს, ვიდრე გზას გავუდგებოდით, გავიგეთ, რომ ფრიდონ წულუკიძის ერთი ასეულთაგანი იმ სოფელს ტოვებდა. ამ შემთხვევისათვის წულუკიძეც უნდა მოსულიყო და ჩვენ დავიცადეთ, რომ ამ ცერემონიალს დავსწრებოდით. წულუკიძე სხვებზე ადრე მოვიდა ესესის პოლკოვნიკის მუნდირში და მე რომ დამინახა სამოქალაქო ტანისამოსში, დაცინვით მკითხა, მიხეილ, შენ გაგითავებია ომიო?! მე ეუპასუხე, ფრიდონ, სანამ ომი იყო, შენ ხომ იცი, რომ ფრონტზე ვიყავი, ახლა კი რა დღეში ვართ, ესეც უნდა იცოდე, და თუ შენ ახლა აპირებ ომის დანყებას, მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. მგონია, დროა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა ეშველება გერმანულ უნიფორმაში ჩაცმულ ათასობით ქართველს-მეთქი. ჩემი პასუხი არ ესიამოვნა და ამის შემდეგ ბევრი არც გვილაპარაკია, მაგრამ საინტერესოა, აღვწერო უცნაური სცენა, რომელიც ვნახე ასეულის შეკრების დროს. ქართველ ბიჭებს თან აცილებდა თითქმის ნახევარი სოფელი, უმეტესად ბავშვები და ქალები. შევამჩინე, მრავალი ბავშვი ტიროდა და ეხვეოდა იმ ჯარისკაცს, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა. მე მგონია, შეუძლებელია ასეთი რამ სადმე გამეორდეს, თუ არა ქართველთა და იტალიელთა შორის. ამ მოვლენაში მთავარ როლს თამაშობს, ცხადია, ის თანდაყოლილი ხიბლი, რომელიც ქართველისთვის ბუნებრივი თვისებაა, ხოლო იტალიელები სწორედ ასეთი ხალხია, რომელნიც გულლიად და მატერიალური დაინტერესების გარეშე მასპინძლობენ სიმპათიურ სტუმრებს, რომელთა როლსაც ქართველები ბუნებრივად და თავისთავად ასრულებდნენ. ცერემონიალი დამთავრდა და ასეული სხვა სოფლისაკენ დაიძრა. ეს სურათი იმიტომ აღვწერე, რომ, მიუხედავად ქართველთა უცხოელობისა და სახლებში დაუპატიუებლად ჩასახლებისა, იტალიელებმა ქართველები სინანულით და სიყვარულით გაისტუმრეს, რაც არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, ქართველთა ნაცვლად სხვა რომელიმე

ერის ჯარისკაცები რომ ყოფილიყვნენ მათ ადგილას. ჩვენ დავეშვით უფრო დაბლა და მივედით ერთ-ერთ ქალაქში, რომელსაც პალუცა ერქვა. აქ ქალაქის კომენდანტად იჯდა პოლონური ჯარის ყოფილი ოფიცერი, მგონი, ქუთათელაძე. მასთან ხუთიოდე ნუთი დავრჩით და ფეხით ჩავედით ქალაქ უდინეში. აქ ჩვენ შევხვდით გაიოზ ბერეკაშვილს და ოციოდე იმ ქართველს, რომელიც უკვე მოგროვილიყვნენ პალუცას მიდამოებიდან. მათ შორის იყვნენ კაკო ალშიბაია, გაიოზ ბერეკაშვილი, ყორყი ფაშალიშვილი, აჩიკო გამართელი და მისი ნათესავი ქალი კატო ქიქოძისა, ბიჭიკო ახვლედიანი, თენგიზ დადუქელიანი, ლიზიკო მარგველაშვილი, ვალოდია ცხომელიძე, ვასო ელიზბარაშვილი, მიშა გაბუნია (ოფიცერი, ყოფილი ტყვე), ზურაბ ციციშვილი, ნინო დადიანი, ვანჩაძის ქალი პოლონეთიდან, ტყვეები: კიკნაძე და აფშილავა, დოდიკ მეტრეველი. კიდევ ხუთიოდე ტყვე და რამდენიმე ქართველი ქალი პოლონეთიდან. მთელი ეს ხალხი დაბინავდა სასტუმროში, რომელსაც ერქვა „კროჩე დი მალტა“ ე.ი. "მალტის ჯვარი". უდინეში გავიგეთ, რომ ამერიკელები უკვე შესულიყვნენ ვერონაში, სადაც უნდა გამოცხადებულყავი და უდინესაც უახლოვდებოდნენ. ქალაქი ნერვიულობდა. დღე-დღეზე მოველოდით ამერიკელების შემოსვლას. ეს დღეც დადგა. ნინა ლამით მე და ბიჭიკო ახვლედიანი ჩვენი ოთახიდან ნახევრად გაღებულ დარაბებში ვიცქირებოდით, გვეგონა, ამერიკელების შემოსვლას ენახავდით. ჩვენი ფანჯრიდან მოჩანდა ქუჩის მეორე მხარეზე მყოფი პატარა იაფფასიანი სამიკიტნო-რესტორნის ფასადი. ვხედავდით, რომ იქიდან გამოვიდა ჯგუფი ახალგაზრდა იტალიელებისა, რომელთაც აშკარად მეთაურობდა იმავე რესტორნის პატრონი. აშკარად ჩანდა, რომ ესენი იტალიელი პარტიზანები იყვნენ და ჩვენსავით ამერიკელების მოსვლას ელოდნენ, რომ თავი გამოეცხადებინათ ქალაქის გამათავისუფლებლებად, როგორც ეს ხდებოდა არა მარტო იტალიაში. ამ დროს მოისმა ტუჩის ჰარმონიკის ხმა, რომელიც ბავარიულ ხალხურ ჰანგებს უკრავდა. ხმა მოახლოვდა და გამოჩნდა სამი ახალგაზრდა გერმანელისაგან შემდგარი პატრული. მათ თოფები მხარზე ჰქონდათ გადაკიდებული. შუაში მდგომს ორივე ხელით თავისი ჰარმონიკა ეჭირა ტუჩებთან, ორს მისთვის მხარზე ხელი გადაეხვია და არხეინად და უდარდელად მოაბიჯებდნენ. ამის დანახვაზე პარტიზანები საჩქაროდ მიიმალნენ და როდესაც პატრულმა გაიარა, ქალაქის გამათავისუფლებელნი კვლავ გარეთ გამოვიდნენ. რიჟრაჟი ახლოვდებოდა, როდესაც უფროსმა ახალგაზრდებს უბრძანა, შიგ შედით, იარაღი მოამზადეთ და დაიცადეთო. ასე გათენდა მეორე დღე და ჩვენ გავიგეთ, რომ ამერიკელები უკვე შემოსულიყვნენ და მხოლოდ ცენტრალური პუნქტი დაეკავებინათ. მზე კარგა მაღლა იყო ასული, რომ ქუჩაზე გამოჩნდა ტყვე გერმანელების კოლონა, რომელიც ლამით ნანახი პარტიზანი ბიჭბუჭებისაგან შემდგარ რაზმით იყო გარშემორტყმული და ტყვე გერმანელებს მუჯღუგუნით აჩქარებდნენ, სწრაფად იარეთო.

ტყვეთა კოლონის თავში ოციოდე სხვადასხვა ჩინის ოფიცერი მოდიოდა. უკან უფრო დაბალი ჩინის უნტეროფიცრები და ჯარისკაცები მოსდევდნენ. ამ სუ-

რათს ჩვენ ფანჯრებიდან დავცქეროდით. გერმანელების დამცირება რომ დაინახა, ჩემ გვერდით მდგომმა ტყვე ჯარისკაცმა, ბათუმელმა კუკური ჯიქიამ თავი ვერ შეიკავა და ტირილი დაიწყო. გაჩუმება დავუპირე, ბიჭო, რა გატირებს-მეთქი. ამ გერმანელების ბედი მატირებს, ეს ცივანი პარტიზანები რომ მიერეკებიანო, მიპასუხა მან. მართლაც, სატირალი სურათი იყო.

რადგან ამერიკელების ქალაქში შემოსვლა უეჭველი იყო, დრო დადგა ჩემი სამხედრო ფორმა სამოქალაქოზე გადამცვალა. მხოლოდ ჩექმები და შარვალი დავიტოვე, ხოლო ზემო სამოსი თავისი ნიშნებითა და სამხედრო ლენტებით სხვენში ამავალი კიბის საშუალებით ერთ კუნჭულში დავმალე. სამოქალაქო პიჯაკი გადავიცივი, რომელზედაც ჩალისფერ სანვიმარს ვატარებდი.

მეორე დღეს მე და ბიჭიკო ახვლედიანი ქალაქში გავედით. ამერიკელები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ, მხოლოდ დროდადრო მათი ავტომობილები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. არც იტალიელი მოსეირნეები ჩანდნენ, გარდა ჩვენსავით მოხეტიალე სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ხალხისა, რომელთაც თავიანთი დაბნეულობა და უცხოელობა ზედ ენერათ. ბიჭიკომ ერთ გაურკვეველი ასაკის კაცზე მიმითითა, რომელსაც ჩემსავით ლაბადა ეცვა, ფრთხილად აქეთ-იქით გახედვა-გამოხედვით, კედელ-კედელ მიჰყვებოდა ტროტუარს. შეხედე, მიშა, ეგ შენსავით გადაცმულიაო. მე ვუპასუხე, მართალია, მაგრამ დაბნეულობა მე ნაკლებად მეტყობა, ვიდრე იმას-მეთქი. ბიჭიკომ, რასაკვირველია, ნაკლებად შეგეტყობა, შენ ოცი წელიწადია შენს ქვეყანაში არა ხარ, შენთვის სულ ერთი არ არის, უდინეში იქნები, პარიზში თუ ბერლინშიო?! რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგით, ტანსაცმლის ერთ მალაზიასთან შეჩერდა ბიჭიკო. მე უკან მოვბრუნდი და ბიჭიკოს ვუთხარი, რას გაჩერებულხარ მაგ ვიტრინასთან-მეთქი. ბიჭიკომ ჩვენი მდგომარეობისათვის ყოვლად წარმოუდგენელი პასუხი მომცა: შეხედე, ბიჭო, რა ლამაზი შარფია, ამისაგან ხუთი ჰალსტუხი გამოიჭრებაო. არც ძალიან ძვირია, თქვა მან, მალაზიაში შევიდა, მონონე-ბული შარფი იყიდა და გარეთ გამოვიდა. მისი საქციელი ჯერ გამიკვირდა, მაგრამ უმალ გამახსენდა, ვისთან მქონდა საქმე, ბიჭიკოს კომპიობის ნამდვილი ავადმყოფობა ჰქონდა. თავის ტანისამოსს ნაწილობრივ თვითონ იკერავდა და ნაყიდ მზა კოსტუმებსაც ისე არ ჩაიცვამდა, რომ არ გადაეკეთებინა. ამიტომ იყო, რომ ეს მიდრეკილება, მიუხედავად ჩვენი სახიფათო მდგომარეობისა, აქაც გამოავლინა. ოტელში რომ დავბრუნდით, მაშინვე ნაყიდი შარფი საჭირო თარგით დაჭრა და კერვას შეუდგა. მე კი სხვა რამეზე ვფიქრობდი.

ოტელში მყოფ ქართველთა უმრავლესობას იარაღი ჰქონდა. რადგან არ შეიძლებოდა გვეცოდნოდა, თუ რა მოხდებოდა, ეს იარაღი ახლა ჩვენთვის საფრთხე უფრო იყო, ვიდრე გამოსადეგი რამე. ყველას ვუთხარი, მოიტანეთ თქვენი იარაღი და ერთ ოთახში კომოდის უჯრაში ჩავანყოთ და როგორმე მოვახერხოთ, რომ ისინი ადგილობრივ ადმინისტრაციას გადავცეთ-მეთქი. ჩვენთან იყვნენ პოლონეთიდან ჩამოსული ქართველებიც, უმეტესად ქალები. მათ უკვე კავშირი ჰქონდათ

დამყარებული ანდერსის პოლონური კორპუსის რამდენიმე ოფიცერთან, რომელნიც მათ ქალაქში აღმოაჩინეს. ისინი ინგლისურ ჯარებთან ერთად მოქმედებდნენ, ხოლო ინგლისური და ამერიკული დაზვერვის სამსახურები ერთად მუშაობდნენ. ამგვარად, ჩვენდა დაუკითხავად, ყოველგვარი გამოძიების გარეშე მოხერხდა, რომ ეს იარაღი პოლიციამ წაიღო. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთმა ქართველმა თავისი რევოლვერი მაინც შეინარჩუნა. ეს ისე დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა, როგორც სამიოდე ავტომატისა და ოციოდე სამხედრო რევოლვერისაგან შემდგარი არსენალი. სამხედრო მნიშვნელობით ქალაქი ინგლისელებსა და ამერიკელებს ეჭირათ, მაგრამ სულ სხვა რამეს წარმოადგენდა თვით ქალაქის ადგილობრივი ადმინისტრაცია. იტალიელი ფაშისტები, ცხადია, გაქრნენ და გაუჩინარდნენ. ქალაქის პოლიციაც მორცხვად და ჩუმად რჩებოდა, მაგრამ ქუჩა პარტიზანებს ეკუთვნოდა, ხოლო იმ მხარის პარტიზანები, ე.წ. გარიბალდისტები, კი, კომუნისტები იყვნენ; ამიტომ გადავწყვიტეთ, რაც შეიძლება მალე ამ მიდამოებს გავცლოდით.

უდინედან ყველა მიმართულებით გზა თავისუფალი იყო და ავტომობილებიც საკმარისად მიდი-მოდიოდა. გადავწყვიტეთ, მეორე დღისათვის აკვერჩია, საით წავიდოდით. ჩემი სამსახურებრივი მოვალეობა მოითხოვდა, რომ მიხეილ დადიანის უფროსობით მდგარ ბატალიონში გამოვცხადებულიყავი, მაგრამ იმ მიმართულებით ჯერ მოძრაობა არ იყო, ფრონტი მოქმედებდა. მეორე დღით ყველამ იმ მოედანზე მოვიყარეთ თავი, საიდანაც ავტობუსები გადიოდა. მიმართულების არჩევა მთლად ჩვენზეც არ იყო დამოკიდებული. არც რომისკენ პირდაპირ გამგზავრება იყო ადვილად შესაძლებელი. ამისათვის მე, გაიოზ ბერეკაშვილი და კაკო ალშიბაია მივდი-მოვდიოდით, რომ მდგომარეობაში გავრკვეულიყავით. ამ დროს სიტო შინჯიკაშვილი წამოგვეწია და გვითხრა, გარიბალდისტები მოვიდნენ, ყველა ქართველი დაიჭირეს და ციხეში წაიყვანესო. ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა, თუ არა ინგლისური თავდაცვისათვის მიგვემართნა. ასეც მოვიქცით. მივედით ინგლისურ „ინტილექუენტ სერვისის“ ბინაზე და ჩვენი გასაჭირი ვუამბეთ.

აქ ერთი გარემოება უნდა აგისნათ: ბერლინიდან წამოსვლის წინ მიმა კედიამ ჩვენ დაგვაგალა, მოკავშირეთა ჯარების ზურგში მოხედრისთანავე პოლონელებს დაკავშირებოდათ და ზრუნვა დაგვეწყო ტყვედ ჩავარდნილ გერმანიის ჯარში მყოფ ქართველებზე, რომ ისინი რუსებისთვის არ გადაეცათ. როგორც ზემოთ ვთქვი, ამ საქმისათვის ფორმალური სახის მისაცემად, ჩვენ თან გვქონდა არარსებული ქართული თავისუფლების კომიტეტის მანდატი, რომელიც შეეხებოდა ოთხ პიროვნებას: გაიოზ ბერეკაშვილს, მიტო სინჯიკაშვილს, მიხეილ ქავთარაძეს და ნიკო იმნაძეს. ეს უკანასკნელი პოლონური ჯარის ყოფილი პოლკოვნიკი იყო, რომელსაც ყველა იცნობდა, როგორც აგენტს პოლონური კონტრდაზვერვისა. ეს იმნაძე იტალიაში ჩასვლისთანავე თვალიდან დაეკარგეთ. ასე რომ, როდესაც ინგლისელების წინაშე გამოვცხადდით, ინგლისელების შესაძლო ნაცნობი იმნაძე ჩვენთან აღარ იყო. როდესაც ჩვენი დოკუმენტი ინგლისელ ოფიცერს ვაჩვენეთ,

მან გაკვირვებულმა გვითხრა, მაგრამ თქვენ ხომ ჩვენი მოკავშირეები არა ხართო. ესა თქვა და ახსნის საშუალებაც კი არ მოგვცა, ისე ხმამალა გვითხრა, ვერ გაიგეთ, რომ აღარ გვინდა ომი, ვათავებთ ომს, თქვენ ამ დროს აქ რა გინდათო?

ამ სიტყვებმა გამაკვირვა, რადგან მაშინდელ გარემობას საკმარისად არ ვიცნობდი. ეს ის დღეები იყო, როდესაც საფრთხე გაჩნდა რუსების მიერ საბერძნეთის დაკავებისა, რამაც ჩერჩილი საჩქაროდ საბერძნეთში ჩაიყვანა.

ასე რომ, საფრთხე იბადებოდა ინგლის-ამერიკასა და რუსეთს შორის მწვავე კონფლიქტის გაჩენისა. ამან ააღელვა ის ოფიცერი და ათქმევინა ის სიტყვები, რამაც ასე გაგვაოცა. იმ ოფიცერს მე ველაპარაკებოდი და ვუპასუხე, ბატონო, ჩვენ მარტო ემიგრანტები ვართ, სხვა არაფერი—მეთქი. თქვენ მოგმართავთ, რომ უმიზეზოდ დატყვევებულ ჩვენს თანამემამულეებზე იზრუნოთ, რადგან ისინი თითქმის ბანდიტების ხელში არიან-მეთქი. ინგლისელი მიხვდა, რომ ჩვენ მხოლოდ მფარველობას ვეძებდით. გვითხრა, ჰო, კარგი, ჩვენ ვიზრუნებთ, რომ იმათ არაფერი მოუვიდეთო. დაიწყო რალაც ბრძანების დანერა, რომელშიც ლაპარაკობდა არა ოცდაშვიდი, არამედ ოცდაათი დატყვევებულის შესახებ. ამ რიცხვების წერა მე არ დამინახავს, რადგან ოფიცრის პირდაპირ ვიდექი. მხოლოდ მიტო სინჯიკაშვილმა შეამჩნია, რომ 27-ის მაგივრად 30 კაცი დანერა. ქართულად მითხრა, ბიჭო, ჩვენც იქ გვაგზავნიან, 30 კაცი დანერაო (მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენ აქ მოსვლამდე გაიოზ ბერეკაშვილმა სცადა იმ ტყვეთა გათავისუფლება ქალაქში მოსიარულე ერთი ამერიკული პატრულის მეშვეობით. ისინი ციხის ეზოში შესულან და მათი ცდა იმით დამთავრებულა, რომ გაიოზი დაუტუსაღებიათ, ხოლო ამერიკელებისათვის უთქვამთ, თქვენ მიბრძანდით და ჩვენ თვითონ ვიცით, როგორ მოვეუვლით ამ ხალხსო. მხოლოდ ამ ამბის შემდეგ იყო, რომ ჩვენ ინგლისელებს მივმართეთ).

ეს სხვაობა რომ შევამჩნიეთ, მას ვუთხარი, ჩვენ მოვედით იმ 27 კაცის საშველად და თქვენ გსურთ, ჩვენ სამნიც იქ გავგავზავნოთო? იმან მითხრა, მაშ, რა გიყოთ, ჩვენ ხომ არა გვაქვს ბინა თქვენთვისო. მაშინ კიდევ შევეკითხე: ნუთუ ბრიტანული ლომი ისე დასუსტდა, რომ ხიზანთა შეფარებას ვერა ბედავს და ლტოლვილებს ისევე ბანდიტების ხელში აბრუნებს-მეთქი. ამ სიტყვებზე იგი გაფითრდა, ეტყობოდა ჩემი სიტყვები ძალიან მტკივნეულად მოხვდა გულში, მკითხა, აბა როგორ ექნათო? მე ვუპასუხე, ტყვეთა ბანაკი ხომ გაქვთ, იქ გავგავზავნეთ და ხვალ გამოგვიყვანეთ-მეთქი. ჰო, ეს კარგი მითხარითო და იმ წუთში იქვე მდგომ უნტერ-ოფიცერს უბრძანა, წაიყვანეთ ეს სამი ბატონი ტყვეთა ბანაკში და გააფრთხილეთ, რომ ხვალ მიხვალთ მათ უკან წამოსაყვანადო. ჩაგვსხეს მანქანაში და 5 წუთში ბანაკში ვიყავით. იქ მისვლისას გერმანელი მორიგე უნტერ-ოფიცერი მოგვეგება და დასაძინებლად წავგიყვანა. უკვე ბნელდებოდა და უნტერ-ოფიცერმა ბოდინი მოგვიხანდა, ვახშამი მოთავებულა და ხმელი სანოვაცის მეტი არაფერი გამაჩნიაო. ჩვენ ვუთხარი, რომ არაფერი არ გვინდოდა, რადგან ხვალ დილით

ბანაკი უნდა დაგვეტოვებინა. მიგვითითა ერთ შენობაზე, რომელიც სკოლას წარმოადგენდა და გვითხრა, როგორც შეგიძლიათ, ისე მოეწყეთო. შიგ ჩვენ გარდა არავინ იყო. ჩვენც საკმაოდ დამშვიდებულბმა მოვახერხეთ დაძინება.

დილა რომ გათენდა, მაშინვე ალაყაფისკენ წავედი, რომ ჩვენს მძღოლს ადვილად ვეპოვე. რამდენიმე წუთში მანქანა მართლაც მოვიდა და ვიდრე მძღოლი რამეს იკითხავდა, მე თვითონ ვკითხე, თქვენ ამა და ამ დაწესებულებიდან მოდიხართ სამი კაცის წასაყვანად-მეთქი? დიახ, ასეაო, მითხრა გახარებულმა. ამის გამგონმა მეკარემ მძღოლს ქალაღდი გამოართვა, თავისას შეადარა და ჩვენ კარი გაგვიღო. როდესაც მძღოლმა ხსენებულ დაწესებულებაში მიგვიყვანა, ყველა ტუსაღი უკლებლივ უკვე იქ იყო. ჩვენს წასაყვანად კარგა მოზრდილი საბარგო მანქანა იდგა, ჩვენთვის უცნობი მიმართულებით გაგვქაქანა.

გზაში, რამდენადაც მახსოვს, ორი ღამე გავატარეთ. ორივეჯერ - ქალთა მონასტრებში მოთავსებულ რაღაც საქველმოქმედო საზოგადოების მიერ მონყობილ თავშესაფრებში. მესამე და საბოლოო ეტაპი ფორღიში დასრულდა. ეს ქალაქი იტალიის შუანელზე მდებარეობს, უფრო ახლო ადრიატიკისაკენ, ვიდრე დასავლეთ ნაპირთან. რაღაც უზარმაზარი ბანაკი იყო ტიტველ ველზე. არავითარი დახმარება ან მასპინძლობა იქ არ ჩანდა. ჩვენ, როგორც შევეცდო, მინდვრად მოვკალათდით. მხოლოდ მეორე დღეს გავიგეთ, რომ ჩვენს ახლომახლო სანოვავის დამრიგებელი პუნქტი იყო, სადაც პურსა და სხვა საჭირო დახმარებას უფასოდ იძლეოდნენ. ჩვენს ბანაკში დარჩენას, ქალაქში ვინმესთან შეეკვლება ვამჯობინეთ: არჩილ გომართელმა და კატო ქიქოძის ქალმა, ერთი მუშის სახლში, ქალაქკარეთ, დიდი ოთახი იქირავეს და დანარჩენთათვის ხილნარში, ხეებქვეშ ღამეების გატარება სთხოვეს. ჩვენ ყველანი მშვენივრად მოვენყეთ, აპრილის ბოლო იყო, კარგი ამინდები იდგა. ჩვენს თავზე ბლები მნიფდებოდა.

ჩვენს ჯგუფს მალე გამოეყო ბერეკაშვილი. იგი ბელგიელი იყო, მშობლებიც იქ ჰყავდა და მისთვის საძებარი და ასარჩევი არაფერი იყო. ყოფილ ტყვეთაგან უმეტესობამ დაბრუნება გადაწყვიტა. ტყვეთაგან ყველაზე ხნიერი ვასოს გარდა, მგონი, ყველამ დაბრუნება არჩია. მგონი, კიდევ ორიოდე კაცი დარჩა, რომელთა გვარებიც აღარ მახსოვს. ერთი თუ ორი კაცი ინგლისში მოხვდა, მგონი, ვიღაც — არგენტინაში. სხვანი რუსეთში დაბრუნდნენ.

ბანაკი ძლიერ შემცირდა. ყველამ თავისი გზა იპოვა. გადაწყვიტე რომში წაუსულიყავი, რადგან საფრანგეთში დაბრუნება ნაადრევად მიმანდა.

რომში ჩემთან ერთად მაშინ ცხოვრობდა ოციოდე ქართველი ჩამოსული, სხვადასხვა მხრიდან. იტალიაში წელიწადნახევარი დაეყავი. ამ ხნის უმეტესი ნაწილი ვიცხოვრე იტალიის აღმოსავლეთ ნაწილში, პატარა ქალაქში, რომელსაც ერქვა მარჩერატა. იქ იყო ერთ-ერთი ცენტრი პოლონური კორპუსის ჯარების დაბინავებისა. იქ გავიცანი ჯარის ერთ-ერთი ოფიცერი გოგი ჯავახიშვილი. იგი მარტო ცხოვრობდა აქ ქალაქში, სადაც არცერთი სხვა ქართველი ოფიცერი არ იმყოფებოდა.

ჯავახიშვილმა თვითონ მთხოვა, მასთან მეცხოვრა. ჩემი მასთან ყოფნის დროს მან გასაბჭოებული პოლონეთიდან, ურიათა კომიტეტის დახმარებით, მოახერხა მეუღლის, ორი ქალიშვილის და ცოლისდის ჩამოყვანა. ამის შემდეგ, დაახლოებით ორ თვეში, ანდერსის კორპუსის ლიკვიდაცია დაიწყო. სურვილისამებრ, პოლონელები ან თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ, ან ინგლისში გადასახლებლად ემზადებოდნენ. ჯავახიშვილი თავისი ოჯახით ინგლისში უნდა გადასახლებულიყო.

მაჩერატაში ჩემი ყოფნის დროს ჯავახიშვილთან ჩამოვიდა ტყვეთა ბანაკიდან გათავისუფლებული მიხეილ დადიანი. ეს ის დადიანია, რომელიც თავისი ქართული ლეგიონით ვერონაში იმყოფებოდა. მან თავისი ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა. მისმა მეუღლემ ვერონაში მოილოგინა იმ დროს, როდესაც მისი ქმარი ამერიკელების ტყვე იყო. დადიანმა სადღაც ნაიკითხა, რომ ამერიკელები ძალიან იაფად ყიდიან მათ მიერ ჩამოყვანილ ავტომობილებს, რომელნიც მათ უკვე აღარ სჭირდებოდათო. მიშა დადიანმა იფიქრა, ვიყიდოთ რამდენიმე, გავყიდოთ და ფულს მოვიგებთო. მე ამ წამოწყების დიდი იმედი არა მქონდა. ვაჭარი არასოდეს ვყოფილვარ და არც დადიანი მიმაჩნდა დიდ კომერსანტად, მაგრამ ნეაპოლის უფრო დაწვრილებით დათვალა იერება მიზიდავდა, ქალაქისა, რომელიც ჩემთვის პირველი ნავსადგური იყო, სადაც ჩამოსვლის ნება მომცეს სტამბოლიდან მარსელში მოგზაურობის დროს. მინდოდა ეს ფრიად თავისებური ქალაქი უფრო საფუძვლიანად დამეთვალა იერებინა, ვიდრე იმჟამად სამი თუ ოთხი საათის სეირნობამ შემაძლებინა. დავკარით ფეხი და ნეაპოლში წავედით. ავტომობილების ამბავი ლეგენდა აღმოჩნდა, ანდა ჩვენ ვინ გვაცდიდა, თუ რამე მართლა იაფად იყიდებოდა. ერთი ღამე მაინც უნდა გავვეთია. ავიღეთ ყველაზე იაფი ბინძური ოტელი. იქ ჩემი პირველი გამაკვირვებელი შთაბეჭდილება იყო ამ ოტელის საპირფარეშო. კედელზედ ქალაქის ნაცვლად ეკიდა სხვადასხვაგვარად აჭრელებული, ერთ დროს თეთრი ფერის მქონე ტილოს ნაჭერი, სახელიც შესაფერისი მქონდა — “ტიგრ”. მისი აჭრელებული ფერები მომდინარეობდა ჰიგიენური ქალაქის ნაცვლად მისი გამოყენებისაგან. მე, რასაკვირველია, ამ მხრივ პატივი არ მიცია იტალიელებისათვის და მათთვის არ მიმიბაძავს, მაგრამ, მართალი უნდა ვთქვა, ამ შემთხვევას ჩემ თვალში არ დაუმცირებია იტალიელთა და იტალიის პატივისცემა და სიყვარული. მეორე, ნეაპოლისათვის დამახასიათებელი სურათიც უნდა დაგახატოთ.

უიაფეს იტალიურ რესტორანში შევედით. რამდენიმე კოლექტიურ მაგიდას უსხდნენ მუშტრები. ერთ ასეთ მაგიდას ჩვენც მივუსხედით, სადაც ხუთი თუ ექვსი კაცი უკვე დაგვხვდა. მაგიდაზე მიმტანად მშვენიერი, მარწყვისფერტუჩებიანი, სიცოცხლით სავსე ჩვიდმეტოდე წლის გოგო გვემსახურებოდა. სადილის განმავლობაში გოგომ ლანგარზე დადგმული ლამბაქები მოიტანა, ჯერ მუეუმაზავი სალათის ფოთლებით სავსე. ლანგარზევე იდგა ორი ბოთლი, ერთი ძმრისა და მეორე ზეთისა. გოგომ კლიენტებს დაუნყო გამოკითხვა, ნატურით მოგართვათ თუ “ბრუცაო”. ამ სიტყვას იქნებ კარგად ვერ ვიმეორებ, მაგრამ მოგახსენებთ, თუ

რას ნიშნავდა. ვინც "ბრუცა" მოითხოვა, მათთვის გოგო პირში იგუბებდა ზეთსა და ძმარს, შემდეგ ლოყების მოძრაობით ერთმანეთში აურევედა და პულვერიზატორივით ჯამში გადმოაფრქვევდა. ვისაც "ბრუცა" არ უნდოდა, მათ შეუქმნავე სალათი და ორივე ბოთლი მაგიდაზე დაუტოვა, ვისაც როგორ უნდოდა, თვითონ შეეზავებინა სალათი. გაკვირვებულმა ლიმილით დადიანს გაეხედე. ასე მიპასუხა: რა იყო, რა მოხდა, მაგ ტურებს ხომ მონუნნიდიო, ვითომ მის პირში ნადებმა სალათმა რაღა დააშავაო. მე ვუთხარი, მართალია, მიხილ-მეთქი, და უნდა ითქვას, იმ გოგოს მიმზიდველობა ამ სიტყვებს ნამდვილად ამართლებდა. ნეაპოლის დათვალიერებიდან ეს ორი სურათი შერჩა ყველაზე ძლიერად ჩემს მეხსიერებას, იმიტომ რომ ნეაპოლის ხედები, კინოში უკეთესად და უფრო დეტალურად ჩანს, ვიდრე ადამიანი ადგილზე ნახავს. იგივე შეეხება ვეზუვის ხედაც ნეაპოლიდან; მაგრამ კიდევ ნეაპოლისათვის დამახასიათებელი ერთი დეტალი უნდა აღვწერო. ტრამვაით მივიდიოდით ერთ დიდ ახმაურებულ ქუჩაზე. შეჩერების დროს, ჩვენს გვერდით ტროტუარზე გაირბინა ათიოდე წლის ბიჭუნამ, რომელიც ხმამაღლა იტალიელი ქალის სახელს გაჰკიოდა ბავშვური, მაგრამ არაჩვეულებრივად მაღალი ხმით. ეტყობოდა, ვიღაცას ეძახდა. საპასუხოდ საპირისპირო მხრიდან, გაისმა: აქ ვარ, აქაო. ეს უკვე გოგოს ხმა იყო. ეს ამბავი ხდებოდა ისეთ მანძილზე, რომ ორ ადამიანს შორის ყვირილით ხმის მიწვევნა მართო ნეაპოლელს თუ შეუძლია. ეს შემორჩა ჩემს მეხსიერებას ნეაპოლის დათვალიერებიდან, მაგრამ ნეაპოლშივე ჩვენ მონმე ვიყავით შემდეგი ამბისა:

დადიანი დოლების მოყვარული კაცი იყო. კვირა დღე იყო და ნეაპოლში სადმე დოლი აუცილებლად იქნებოდა. დადიანმა იქ წასვლა მოისურვა და მეც თან გამიყოლა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო ჩემ მიერ დოლის ხილვისა.

ბავშვობისას მრავალი მარულა მინახავს სამეგრელოში, მაგრამ სხვა დოლზე არც საფრანგეთში, არც იტალიაში, არც ამერიკაში არასოდეს ვყოფილვარ. დოლზე მისვლისას გავიგეთ, ჩვენთვის უცნობი რამ. იმ დღეს რეფერენდუმი ტარდებოდა იტალიაში. იგი შეეხებოდა მონარქიის შენარჩუნებას თუ რესპუბლიკის გამოცხადებას. ტრიბუნაზე საპატიო ლოყაში იჯდა მთელი სამეფო ოჯახი: დედოფალი თავისი ბავშვებით. დემოკრატებმა მათი აქ მოსვლა საპროპაგანდო მიზნად ჩათვალეს და მართალი უნდა ითქვას, ალბათ, არცა ტყუოდნენ. ბავშვებს დოლზე რა ესაქმებათ! ასე იყო თუ ისე, სამეფო ოჯახის სანიანალმდეგო დემონსტრაცია დაიწყო. მათ კი წინ აღუდგნენ მონარქისტები. აირია მონასტერი. მიპას ვუთხარი: კაცო, მსოფლიო ომს გადავურჩით ორივენი, ახლა აქ რომ ვიღაცამ თავი გაგვიტეხოს, ღირსი არ ვიქნებით-მეთქი?! მართალი ხარო და გავეცალეთ იქაურობას. ესეც ნეაპოლში მოხდა, მაგრამ იგი არ ეკუთვნის ქალაქის დათვალიერების სფეროს. მეორე ლამეს იქ აღარ დავრჩენილვართ და დილით უკვე მაჩერატაში დავბრუნდით.

ცოტა ხნით დაეუბრუნდეთ ფორლიში ყოფნის ამბებს. მე და სინჯიკაშვილმა გადავწყვიტეთ, ნაბიჯი გადაგვედგა იმ საქმისათვის, რომელიც კედლიან დაგვაგა-
ლა, ე.ი. დაკავშირება პოლონელ ოფიცრებთან, რათა მათ ეზრუნათ და ქართველი
ტყვეები გადაერჩინათ რუსეთში ძალით დაბრუნებისაგან. რადგან პოლკოვნიკი
იმნაძე დაგვეკარგა, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ჩვენ შეგნებულად მოგვეშორდა, გა-
დავწყვიტეთ, უიმისოდ დავეკავშირებოდი პოლონელებს. გავიგე, რომ მათი ერთი
მნიშვნელოვანი ცენტრი ფორლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ პატა-
რა ქალაქ იმოლაში მდებარეობდა. ჩვენთან ერთად მყოფ, პოლონეთიდან გადმოხ-
ვენილ ლტოლვილთა მეშვეობით გავიცანი ყოფილი პოლონელი ოფიცერი, რო-
მელსაც, მართალია უნებართვოდ, მაგრამ პოლონური ჯარის ფორმა ეცვა. მან
მოახერხა და პოლონურ სამხედრო მანქანით იმოლაში წამიყვანა. პოლონელმა
მძღოლმა მიგვიყვანა პოლონელ გენერალთან, რომელსაც პოლონური კორპუსის
კვარტირმაისტერის თანამდებობა ჰქონდა. გენერალმა დიდი სიმპათიით მიმიღო.
ყველაფერი გულახდილად ვუამბე, თუ ვინ ვიყავი. დასამტკიცებელ საბუთად
ჩემი სამხედრო წიგნაკიდან შიგ დამატებით ჩანებებული ფურცელი წარვუდგინე.
ამ ფურცელზე გამეორებული იყო ის, რაც სამხედრო წიგნაკში ეწერა, მხოლოდ
ნომერი იყო შეცვლილი. ეს ფურცლები გერმანელებმა ომის უკანასკნელ თვეებში
შემოიღეს, რადგან გერმანიაში მრავლად მოქმედებდნენ საბჭოეთში დაბადებული
გერმანელი კოლონისტები. ისინი გადაცმულნი იყვნენ გერმანულ უნიფორმაში და
თავს გერმანულად ასალებდნენ. ყოველ მათგანს ჯიბეში ჰქონდა რომელიმე გერმა-
ნელი ტყვის ნამდვილი სამხედრო წიგნაკი. ამ წიგნაკების სიყალბის აღმოსაჩენად
მთელ გერმანულ ჯარს გამოუცვალეს წიგნაკის ნომრები, რაც საბჭოელთათვის
უცნობი იყო. ამიტომ იყო ჩაკერებული ჩემს წიგნაკში ასეთი ფურცელი, რომელიც
შეინახე წიგნაკის გადაგდების შემდეგ. გენერალმა ასეთი ფურცლების არსებობა
იცოდა და ამიტომაც დამიჯერა, რომ სიმართლე ვუამბე ჩემი წარსულის შესახებ.

როდესაც გენერალმა ფურცელი ნაიკითხა, თავის მდივანს, პოლონურ სამხე-
დრო ფორმაში ჩაცმულ გოგოს, ამ ფურცლის შინაარსი უკარნახა. თან დაუმატა,
რომ ფურცელს ვერმახტის ბეჭედი ესვა. გოგომ გენერალს გაუშეორა, რაც ჩანე-
რა, ხოლო სიტყვა „ვერმახტის“ ნაცვლად „გერმანელი სამხედრო“ წარმოთქვა.
გენერალმა უთხრა, სამხედრო კი არა „ვერმახტი“ დაწერეთ. ეს საჭიროდ იმიტომ
ჩათვალა, რომ შესაძლებელი იყო ვერმახტიდან კი არა, ესესიდან ვყოფილიყავი.
გენერალს აეუხსენი ჩემი მოსვლის მიზეზები და დავუმატე, მგონია, ამ საქმის
უკეთ წინ წასაწევად საჭირო იქნება, მე თვითონ პოლონურ ჯარში ჩავეწერო,
რომ უფრო გამიადვილდეს საჭირო პიროვნებებთან შეხვედრა-მეთქი. გენერალმა
მითხრა, სრულიად მართალი ხარ, ალვძრავ კიდევ თქვენ შესახებ შუამდგომლო-
ბასო და ათი დღის შემდეგ პაემანი დამინიშნა. როდესაც დათქმულ დროს მას-
თან გამოვცხადდი, გენერალმა მითხრა, ვნუხვარ, მაგრამ ჩვენ მიერ შეკრებილი
ცნობების შემდეგ თქვენი პოლონურ ჯარში ჩაწერა სასურველად არ მიიჩნიესო.

იმნამსვე მივხვდი, რომ ეს ცნობები სწორედ იმნაძის მიერ იქნებოდა მიცემული, რომელმაც ჩვენ შეგნებულად მიგვატოვა, რადგან კედისა მიერ გამოგზავნილ ოთხ პიროვნებას შორის იგი მენშევიკი იყო, სამი დანარჩენი კი ეროვნულ-დემოკრატიუბი ვიყავით.

ამის შემდეგ შევხვდი პოლონური ჯარის მრავალ ქართველ ოფიცერს, მაგრამ ვერც ერთი ვერ დავარწმუნე ამ საქმის გაკეთების აუცილებლობაში. ოფიცერთა უმეტესობა, და სამართლიანადაც, ფიქრობდა, რომ ამის გაკეთება ძალიან ძნელი იყო, რადგან ტყვეების თავიანთ სამშობლოში დაბრუნება ხელმონერილი ხელშეკრულებით იყო დადასტურებული საბჭოელებსა და დასავლეთის სახელმწიფოთა შორის.

იმ დროს, რაკი ჩემ მიერ გაცნობილ ქართველ ოფიცრებთან არა გამოვიდა რა, გადავწყვიტე ნანუაშვილისათვის მიმემართა. მისი იტალიაში ყოფნა უკანასკნელ ხანს გავიგე. იგი გერმანიაში შეგულებოდა, მაგრამ უკვე კარგა ხანია, იტალიაში ჩამოსულიყო და ძალიან მოკლე ხანში ინგლისურ-ამერიკული ჯარების ზურგში ამოუყვია თავი. ისიც გავიგე, რომ მას კარგა გავლენიანი ადგილიც ჰქონდა. იგი კორპუსის ოფიცრებს პოლიტიკური შინაარსის ლექციებს უკითხავდა თურმე. ვნახე ნანუაშვილი, საქმის კურსში ჩავაყენე. მან კითხვების დაუსმელად მომისმინა, იდეა მოიწონა და შემდეგ სხვათა შორის მიმახევედრა, თუ ასეთი რამ მოხერხდა, ამ საქმეს და მის საქართველოში გაგრძელებასაც თვითონ ჩაუდგები სათავეშიო. ეს იმას გულისხმობდა, რომ იგი, თუ ამის პირობები შეიქმნებოდა, საქართველოში პილსუდსკის როლის თამაშს აპირებდა. ჩემთვის ამის მიხევედრა ძნელიც არ იყო, რადგან წარსულში მას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ საქართველოს პილსუდსკის მსგავსი კაცი სჭირდებაო. მაშინ მახსოვს, თუ როგორი მოთაყვანე იყო იგი პილსუდსკისა, როგორ ნატრობდა, რომ თვითონაც იგივე როლი შეესრულებინა საქართველოს მიმართ. ზედმეტად მიმაჩნია პილსუდსკის ვინაობაზე და მის მოღვაწეობაზე აქ ვილაპარაკო. მაშინ კი ყოველი იმედი დავკარგე, რომ რაიმე შესაძლებლობა არსებობდა ამ საქმის შესასრულებლად.

საერთოდ, ომის ვითარება ისე მიმდინარეობდა, რომ ანდრესის პოლონური კორპუსი მოკავშირეებს აღარ სჭირდებოდათ. მისი ლიკვიდაცია ხდებოდა. ინგლისელებმა, რადგან ამ კორპუსის შემქმნელ-გამომყენებელნი თვითონ იყვნენ, პოლონელებს წინადადება მისცეს, აერჩიათ, პოლონეთში დაბრუნებას ისურვებდნენ, თუ ინგლისში წასვლას. ასეც მოხდა. მე არ ვუნყი, რამდენი სად წავიდა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ინგლისში წასულებს საქმიანობის არჩევანი მიეცათ: ვისაც რაიმე ხელობა ჰქონდა, მათ იმ საქმეზე აყენებდნენ და ვისაც არავითარი არ გააჩნდა, ახალი ხელობის შესწავლის საშუალებას აძლევდნენ. ამის შედეგად, რამდენიმე თვეში, ამ ჯარის მთელი შემადგენლობიდან ზოგი პოლონეთში დაბრუნდა, სხვები კი ინგლისში გადაიყვანეს. ჩემი მეგობარი ჯაყახიშვილიც თავისი ოჯახით ინგლისში დასახლდა. იქ მან ხელობად მუქეხვიყაა აირჩია, ძეხვის ქარხანაში დაიწყო

მუშაობა, რამდენიმე წლის შემდეგ სახლიც შეიძინა და იქვე გარდაიცვალა. მისი მეუღლეს მალე გაშორდა ამ სოფელს. მისი ორი ასულიდან ერთი ამერიკაშია გა-
თხოვილი, ხოლო მეორე დღესაც ლონდონში ცხოვრობს.

მეც გადავწყვიტე საფრანგეთში დავბრუნებულიყავი. მილანოში ჩავედი და არ-
ჩილ გომართელს ვკითხე, როგორ შეიძლებოდა გადავსულიყავი საზღვარზე. მან
ერთი რუსის ოჯახის მისამართი მომცა, ისინი საზღვრის ახლომახლო ცხოვრობდ-
ნენ. რამე გზას მიგითითებნო, დამპირდა. იქ რომ ჩავედი, მასპინძელმა მითხრა, მე
თვითონ ვერაფერში დაგეხმარები, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნო, რომ საზღვარზე
გადასვლა ძალიან ადვილიაო. საზღვარს არავითარი ჯარი ან პოლიცია არ იცავს,
რადგან ამ მიდამოებში საზღვარს არც ერთი გზა არ ჭრისო. ამის გამო, ფეხით
მოსიარულეს არავინ უშლის, სადაც შეძლებს, გადალახოს საზღვარიო. დარწმუ-
ნებული იყო, რომ არავინ დამიჭერდა. მეც ასე მოვიქეცი და სოფელ კალბოზე
გავლით პირდაპირ იმ კლდოვანი მთისკენ გავენიე, რომელიც საფრანგეთ-იტალიის
საზღვარზე იყო აღმართული. მთის ძირში ერთი მწყემსი ვიპოვე. ათიოდე თხას
მწყემსავდა. გულახდილად ვუთხარი, რისთვისაც მივედი. მან კლდისაკენ გაიშვირა
ხელი, რომელიც ჩვენგან ორას მეტრზე იყო ამართული და მითხრა, აი, საზღვარიო.
მე გამეცინა და ვუთხარი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამ კლდეზე რა გადავა-მეთქი.
როგორ თუ ვერ გადახვალ, გადასვლა ძალიან ადვილია, თუ გასურს მე ნაგვიყვანო.
ხელში ორი ფუთა მქონდა. ერთი მან გამომართვა, მიუახლოვდა კლდის ნაპრალს
და ბუჩქების მოშველიებით მალლა-მალლა დაიწყო ცოცვა. მეც მას მივბაძე. ჩემდა
გასაოცრად, მგონი, ათი წუთიც არ დაგვიკარგავს, კლდის თავზე ვიყავით. ამ ადგი-
ლას, სადაც ჩვენ ავედით, ყორისაგან აშენებული სადარაჯო იდგა. გარშემო ეყარა
ჯარისკაცების მიერ დატოვებული ცარიელი კონსერვის ქილები. შორს, საფრან-
გეთისაკენ, მწვანე მინდორზე ჯარისკაცები ფეხბურთს თამაშობდნენ. საფრანგე-
თი ჩემ წინ იყო გადაშლილი. მწყემსს რალაც ვუსახსოვრე ჩემი ტანისამოსიდან.
ვინაობაც ვუთხარი და ძალიან გაუკვირდა ჩემი უცხოელობა. იტალიელი ვეგონე.
ეს, ცხადია, იმით აიხსნება, რომ ეს უბრალო ბიჭი ადგილობრივ დიალექტზე ლაპა-
რაკობდა, ნამდვილი იტალიური კი მხოლოდ სასკოლო წიგნებში ჰქონდა ნაკითხუ-
ლი და ამიტომაც, ალბათ, განათლებული იტალიელი ვეგონე. იმ დღეს დაღამებამდე
მოვიცადე, რადგან დღისით მინდვრებზე სიარული საშიში იყო. დაღამებისას დღი-
სით შორიდან დათვალიერებულ ადგილებისაკენ დავიძარი. მსურდა გადალახვის
ადგილიდან სამხრეთისაკენ მევლო და საზღვარს რაც შეიძლებოდა დავეშორებოდი,
მაგრამ ღამით წინსვლა ძალიან გაძნელდა, უზარმაზარი ლოდების შემოვლა იყო
საჭირო. ხანდახან კლდეებზე დაბუდებულ მიძინარე უზარმაზარ ფრინველებს ვა-
ფრთხოვდით, ისინი უცნაური ყივილით წინ ამიფრინდებოდნენ ხოლმე. გადავწყვი-
ტე, განთიადისთვის მომეცადა. ჯარისკაცების ადგილსამყოფელს უკვე საკმაოდ
მოშორებული ვიყავი. მეორე დილით დავინყე დაბლობისაკენ ნელ-ნელა ჩასვლა,
რაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ზოგჯერ დაქანებული ფერდობი შვეულ კლდესთან

მომიყვანდა. ასეთ შემთხვევაში თუ კლდის სიღრმე სამ მეტრს არ აღემატებოდა, ჯერ ბარგს გადაყრიდი, შემდეგ ხელებით კლდეს ჩამოეკეციდებოდი და დარჩენილ სიმაღლეზე ხტომით ვეშვებოდი. ასე მივალწიე უფრო ადვილად საველ მთის საძოვრებამდე. აქ ერთი ჭა აღმოვაჩინე, უფრო სწორად, ეს ჭა კი არ იყო, არამედ ნახევარი მეტრის სიღრმეზე ხელოვნურად ამოთხრილი ორმო, რომელშიაც წვეთ-წვეთად ჩამომავალი წყალი გროვდებოდა. ჩემი ბარგიდან ალუმიინის ჯამი ამოვიღე, წვეთებს შევუდგი და გავავსე, გავსინჯე დასაღვებად, მშენებური წყალი იყო, გამოცვალე, ვიფიქრე, წვერს გავიპარსავე-მეთქი და ესეც შევასრულე. ამის შემდეგ კვლავ დაღმართზე განვაგრძე გზა. მოულოდნელად ახლა ფრანგ მწყემსს მივადექი. მასაც თხები და ცხვრები ჰყავდა, მაგრამ მწყემსი ხნიერი კაცი იყო. მიუახლოვდი, ბარგი მიწაზე დავედე და დავეჯექი. კაცმა მკითხა არეულ ფრანგულ-იტალიურად, დილალო? არა, დავეჯექი, რადგან შენ შეგხვდი-მეთქი. ვუთხარი, გერმანიაში ვმუშაობდი, ახლა მიწა, საფრანგეთში დავბრუნდე-მეთქი. მსურს ჟანდარმებს ავცდე, რომ პირდაპირ პარიზში გამოვცხადდე, რადგან აქ თუ დამიჭირეს, ვიდრე საქმეს გაარკვევდნენ, შეიძლება ორი-სამი თვე ციხეში ჩაჯდომა მომიწიოს-მეთქი. მან მიპასუხა, ჟანდარმები აქ შენაირ ხალხს ხშირად იჭერენ და ციხეში აგზავნიანო. ჩემი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად, ვაჩვენე ჩემი ფრანგული პირადობის მონმობა, გერმანული სამუშაო ნიგნაკი და კიდევ რაღაც ქაღალდები და ვუთხარი, მასწავლე, როგორ მივიღე რკინიგზის სადგურამდე-მეთქი. მითხრა, რკინიგზის სადგურს აქედან ვერ გასწავლი, რადგან რამდენიმე ხევი და გორაა გადასასვლელიო, მაგრამ მოსახლეობას შეგიძლია ყველგან შეეკითხო, ყველა გომეველის, მხოლოდ ჟანდარმებს არ ნაანყდეო. მეც ასე მოვიქეცი. ორი-სამი კილომეტრი რომ გავიარე, შევამჩნიე ერთი პატარა ფერმა. დაბარებულივით პირდაპირ მივედი, ვნახე ერთი ცოლ-ქმარი, ბავშვები სკოლაში ყოფილან წასული. მათ ამიხსნეს, ფეხით სიარული აღარ დაგჭირდება, ამ გორაზე ნახევარ საათში ავტოკარი (ავტობუსი) ჩამოვივლის, თან მიმითითეს, სადაც ავტობუსი უნდა გაჩერებულიყო. შედი, ბილეთი იყიდე, სხვა არაფერი გინდა, მხოლოდ იტალიური ფული არ ამოიღო ჯიბიდანო. არც ეს ასანთი ამოიღო ჯიბიდან, რადგან ეს იტალიური ასანთია და აქ ასეთი არავის არა აქვსო. იმ კაცს მადლობა გადავუხადე. ყავაც დამალევიანა. ავტობუსს დავეუცადე და უბრალო ტურისტისვით ათ წუთში სადგურზე ვიყავი. მოლარემ მითხრა, პარიზის მატარებელი წასულია და დილამდე სხვა არ იქნებაო. სხვა მატარებელი არ მოდის, გადაჯდომით რომ წავიდე-მეთქი? ამიხსნა, კი, თუ არ გეჩქარებაო. მეჩქარება რას ჰქვია, დილამდე დარჩენას მატარებელში ძილი მიჩვენია-მეთქი. გავყევი მატარებელს. აღნიშნულ სადგურზე მატარებელი გამოვიცვალე, დილით პარიზში აღმოვჩნდი და პირდაპირ ნოზაძეების სახლს მივადექი. გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ლიდა ნოზაძემ მკითხა: ბიჭო, სად გაშავდი ასეო? მე ჩემი ოდისუა ვუამბე. ისინი მრავალ რამეს მეკითხებოდნენ და ასე ვუთხარი, ახლა ცოტას დავიძინებ, მერე მოგიტხრობთ-მეთქი. ნოზაძეებმა ამიხსნეს პარიზული მდგომარეობა.

პრეფექტურაში გამოსაცხადებლად მჭირდებოდა ბინის ალება. ამიტომ ნოზა-ძის ბინის ახლოს ოტელში ვიქირავე ოთახი. ქართული რესტორნისაკენ წავედი, რომ პირობები გამეგო, როგორ გამოცხადებულყავი. რესტორნის პატრონმა, ელენეს ქმარმა მიშამ მიმითითა, ვისთან მივსულიყავი. მივედი. ოთახში ორი მოხელე იჯდა, ორივე ახალგაზრდა. მოვიგონე, თითქოს საზღვარზე ჩრდილოეთიდან შემოვყავი პოლონურ ტრანსპორტთან ერთად, აუხსენი, ისინი ინგლისში მიდიოდნენ და მე კი საფრანგეთში დარჩენა ვარჩიე-მეთქი. ვაჩვენე ყველა ჩემი ქალაქი: გერმანული შრომის წიგნაკი, იტალიაში მოცემული პირადობის მოწმობა და ვადაგადასული ფრანგული პირადობის მოწმობა. ერთმა მეორეს ჰკითხა, როგორ ვქნათო. მან ღიმილით უპასუხა, საბუთის შეცვლის დაგვიანებისათვის ჯარიმა გადავხდევინოთ და გათავდამო, მაგრამ მეორემ უპასუხა, ნამეტანი იქნება ეს სიყალბეო. ახალი კარტის (პირადობის მოწმობის) მოთხოვნა დამანერინეს და საზღვარზე უნებართვოდ გადმოსვლისათვის ჯარიმა გადამახდევინეს. ასე მოგვარდა საფრანგეთში ჩემი დაბრუნების პრობლემა. ნოზაძეებთან თხუთმეტობით დღე დავრჩი. კლიშიში დროებითი სამუშაო ვიპოვე (პარიზის ჩრდილოეთი უბანი) და ჩემთვისაც პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო კვარტალში ვიქირავე ოთახი, სადაც ერთი თვის შემდეგ ჩემი სამი წლის გოგონა და დედამისი შვეიცარიიდან ჩამოვიდნენ. ჩემი დროებითი სამუშაო სხვა უკეთესით შევცვალე. სახელდობრ, ერთი ბერძნის მანვნის წარმოებაში წარმოების უფროსად შევუდექი მუშაობას.

ერთი წლის შემდეგ, ბინის სივინროვის გამო, ქალაქის სამხრეთით გადავსახლდი, პარიზიდან 18 კილომეტრზე, პატარა ქალაქ სავინიში. იქ იმავე დარგში დავინყე მუშაობა, მხოლოდ უფრო დიდი მასშტაბის საწარმოში და შვიდი წელიწადი ვიმუშავე. შემდეგ კიდევ გადავინაცვალე პარიზის დასავლეთით მდებარე უბანში - ვილ დ'აერეში. იქაც ერთი წელიწადი დავყავი და ისევ პარიზში დავბრუნდი და დავსახლდი პარიზის XVI უბანში, იმ სახლში, სადაც ქვედა სართულზე ქართული ეკლესია იყო. იქ ყოფნის დროს კვლავ ერთ პატარა ქართულ სამანვენში ვიმუშავე, თან ტაქსის მძღოლის დიპლომის ასაღებად ვემცადინებოდი. ერთი წლის შემდეგ გამოცდა ჩავაბარე და ტაქსისტად დავინყე მუშაობა. ტაქსიზე ათი წელიწადი ვიმუშავე და ამ მუშაობამ ფიზიკურად, ისევე როგორც მორალურად, ისე დამალა, რომ იძულებული ვიყავ მიმეტოვებინა იგი. ამის მერე ინდოეთის საელჩოში დავინყე მუშაობა მძღოლად. იქ ხუთი წელი მანქანაზე ვიმუშავე, ხოლო ორი უკანასკნელი წელიწადი საელჩოს მიმღებში გადავედი. ეს იყო ჩემი უკანასკნელი სამუშაო, რადგან 67 წლის ვიყავი, როცა საელჩო დავტოვე.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კანონის მიხედვით მე უკვე 65 წლისა გავედი პენსიაზე, მაგრამ თუ საელჩოში კიდევ ორი წელიწადი დავრჩი, ეს იმიტომ, რომ საელჩოში მუშაობა უცხოეთში მუშაობას უდრიდა და ამიტომ ნება მქონდა, მიუხედავად პენსიაზე გასვლისა, კიდევ მეიმუშავნა.

საელჩოში მუშაობის უკანასკნელ წლებში თვალის გლაუკომა აღმომჩნდა. იმ

დროიდან თარიღდება ჩემი პირველი ოპერაცია თვალისა. ამას მოჰყვა თითქმის ოთხმოცდათერთმეტ წლამდე გაკეთებული ხუთი თუ ექვსი ოპერაცია ჩემი მხედველობის თანდათან დასუსტებისა გამო და დღეს, 2000 წლის თებერვალში, მე თითქმის მთლად უსინათლო ვარ, რადგან არც კითხვა, არც წერა არ შემძლია.

ჩემი მარშრუტი 1941-1946 წწ.

ბერლინში ჯარში ჩანერიდან: ვენა ოდიპეშტი (რუმინეთი) ბუდაპეშტი კრონშტადტი (იგივე ბრაზოვ, რუმინეთი) სტრანსი (ბრესლაუს მახლობლად) მიტენვალდი (ბავარია) კელავ სტრანსი (ბრესლაუსთან) კავკასიის ფრონტზე, ყოფილი კოლხოზი ჩრდ.კავკასიაში, სოფელი ყალმუხთა სტეპის მახლობლად, ნალჩიკი, ბელაია რეჩკა, კავკასიონის ხეობაში, დახევა ქერჩისაკენ, ყირიმი, ოდესა (ლაზარეთში) ლაზარეთი სუდეტის მხარეში (ჩეხიის საზღვარზე) ბერლინი (საკავშირო შტაბი) პარიზი ანგლო-ნორმანდიის კუნძულები ბერლინი, ნორმანდია, პარიზი, ბერლინი კელავ საფრანგეთი (ქართული ლეგიონის ბანაკი ტულუზასთან) ბერლინი, პრაღა, მარლისა (სლოვაკიაში) ბერლინი იტალია: მაჩერატა ბარი, ნეაპოლი, რომი, მილანო გადასვლა საფრანგეთში.

IV. ომის შედეგად

მუშაობა ინდოეთის საელჩოში

ინდოეთის საელჩოში მუშაობის დაწყებამდე 10 წლის განმავლობაში ტაქსიზე ვმუშაობდი. ტაქსიზე მუშაობის ამბავს, თუ მოვახერხე, შემდეგში მოგიტხრობთ, ხოლო ჯერ იმას ვიტყვი, რომ ტაქსიზე მუშაობამ ძლიერ დამლაღა და სიხარულით დავანებე თავი, როგორც კი ახალი სამუშაო ვიპოვე. ეს იყო მძლოლობა ინდოეთის საელჩოში. თვით სამუშაოს ასრულება განსაკუთრებულად აღსანიშნავს არაფერს წარმოადგენს, მძლოლი ყველგან მძლოლია, მაგრამ ინდოელთა საელჩოში 7 წლის მუშაობამ ბევრი რამის ნახვის საშუალება მომცა, სახელდობრ, ინდოელთა გაცნობისა. ცხადია, იმიტომ, რომ ინდოეთი, როგორც ყველამ იცის, განსაკუთრებულად საინტერესო ნაწილს შეადგენს კაცობრიობისას. ჩემთვის ამ ხალხის გაცნობა მოულოდნელის ნახვას წარმოადგენდა, რადგან სულ სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა ამ ხალხზე. ინდოელები, შეუძლებელია, როგორც ერთი ერი, ისე აღინეროს. აქ ყოველგვარი ხასიათია წარმოდგენილი. ზოგჯერ შეხედები უპატიოსნეს ადამიანს, ზოგჯერ გაიძვერას, ხშირად ფულის მოყვარულს. უფრო ხშირად - ძუნწს და თუმცა, ეს თვისებები ყველა ერში არსებობს, ინდოელთა შორის, ამა თუ იმ პიროვნებაში ესა თუ ის, დადებითი თუ უარყოფითი თვისება დიდი ძალით არის წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ კეთილ ინდოელს შეხედები, ძნელია მასში ავის აღმოჩენა. ასევეა ყველა სხვა თვისების მიმართ.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო და მოულოდნელი ჩემთვის იყო ნახვა იმ საკვირველი იერარქიისა, რომელიც ინდოეთში არსებობს უფროსსა და უმცროსს შორის. ინდოეთში რაიმე თანამდებობის უფროსი კაცი თავის უშუალო უმცროს კოლეგასთან დამოკიდებულებაში ბევრად უფრო მაღლამდგომია, ვიდრე ეს არის ევროპელთა შორის. ევროპული შეხედულებით ასეთი ურთიერთდამოკიდებულება უფროსსა და უმცროსს

შორის ყოველად მიუღებელია, მტკიცეული და დამამცირებელი, მაგრამ ინდოელები ამას სრულებით ბუნებრივად მიიჩნევენ და დამცირებას უმცროსები თითქოს ვერ ამჩნევენ. ზემოთ ვახსენე პატიოსნების შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სამხრეთელი ინდოელები, ე.ი. ისინი, რომელნიც შავ რასას ენათესავებიან, უფრო კეთილნი და პატიოსანნი ჩანან, ვიდრე ჩრდილოელი, ნამდვილი თეთრი ინდოელები, მაგრამ იგივე თეთრები გონებრივად უფრო მაღლა მდგომნი არიან, ვიდრე სამხრეთელები. ინდოეთში მიღებულია კვოტა, ე.ი. პროპორციული განაწილების წესები სხვადასხვა თანამდებობებისათვის, განსაკუთრებით მაჰამადიანთა და არამაჰამადიანთა შორის. აქვე უნდა ვთქვა, რომ მათში ვერც კი შეატყობ, ვინ მაჰამადიანია და ვინ არა, გარდა იმ ტომებისა, რომლებიც გარეგნულად გამოირჩევიან. მაგალითად, ნეეროსანი სიკჰები ან სამხრეთის ნეგროიდები და ა.შ. ამგვარ კლასიფიცირებას და აღწერას ამით ვამთავრებ, რადგან, მიუხედავად 7 წლით მათთან ერთად ცხოვრებისა, ჩემთვის ისინი კიდევ სრულად გაუგებარნი და უცნობნი დარჩნენ.

ასე რომ, მე შემიძლია მხოლოდ ზოგიერთი შემთხვევა ავინეროთ ჩემი მათთან დამოკიდებულებისა და მეტ-ნაკლებად საინტერესო საუბრის შემთხვევებისა.

მაგალითად, სამი წლის განმავლობაში პირველი მდივნის თანამდებობას ასრულებდა მუსლიმანი ინდოელი, გვარად ჰაშმი. ამ კაცმა, როდესაც ვკითხე, სადაური ხარ, რომელი მაჰამადიანი-მეთქი, გვარის მიხედვით, შთამომავლობით ჰაშიმიდების დინასტიასთან ვარ დაკავშირებულიო. და ეს ჰაშიმიდების დინასტიასთან დაკავშირების პრეტენდენტი საკვირველ სიმპათიას იჩენდა კომუნისტებისა და რუსებისადმი. გაკვირვებულმა ვკითხე, თქვენი თანამდებობის კაცი როგორ ამჟღავნებთ ამგვარ მიდრეკილებებს-მეთქი. საკვირველი რამ მიპასუხა: მიშელ, მითხრა მან, 18 წლამდე მე გულისჯიბებში სტალინის სურათს ვატარებდიო. ეს მაშინ გამეხარდა და თან გამიკვირდა კიდევც. ეს ფაქტი დღესაც მოწმობს იმ უზარმაზარ პოპულარობას და მამასადამე, ძლიერებას, რასაც ამ კაცმა კაცობრიობის თვალში მიაღწია. ამ საკითხზე ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, შეიძლება ბევრი სადავო საკითხი დაისვას მოსაუბრეთა შორის, მაგრამ “დადებითი” თუ “უარყოფითი” სტალინი რომ ერთი უდიდესი პიროვნებათაგანი იყო კაცობრიობაში, მგონი უდავოა.

მე საკმაოდ დაახლოებული ვიყავი ელჩის პირველ მრჩეველთან. იგი ბენგალელი იყო, გვარად ბარი. ჩემთან საკმაოდ გულახდილად ლაპარაკობდა თავის თანამემამულეებზე. ხუმრობით სხვადასხვა ნაკლში ამხელდა, თუმცა უნაკლო თვითონაც არ იყო. ერთ დღეს სადღაც მიმყავდა ახლად ჩამოსულ ვიღაც ინდოელთან ერთად. ამ ახალმა შემატყო, რომ ფრანგი არ ვიყავი, და მკითხა, სადაური ხარო. ეუთხარი, ქართველი რომ ვიყავი. მან თქვა, ვიცი, მხოლოდ ამ ქვეყანას არ ვიცნობო. მაშინ ეს მრჩეველი ჩაერია ლაპარაკში და უთხრა, იცით თქვენ, რა ხალხია ესენიო? როდესაც ოდესაში კონსულად ვმსახურობდი, საქართველოში ჩავედიო. ვიყავი თბილისში, მომწყურდა და ერთ კაფეში მსხდომ ორ კაცს ვთხოვე, თუ შეიძლება თქვენს მაგიდასთან დაჯდომა-მეთქი. დიდი სიამოვნებითო, მიპასუხეს. იქ ყოფნისას ტყუალტყმი

წავედი, დაბრუნების შემდეგ მიმტანს დაუძახე, განაგრძო თხრობა ინდოელმა. აქ უკვე მე ჩავერიე და ვუთხარი, ყველაფერი გადახდილი იყო-მეთქი, არა? სწორედ ასე იყო! აი, რა ხალხიაო! უთხრა მეორე ინდოელს. ეს ამბავი ჩვენთვის არც ისე გასაკვირია, მაგრამ ეს ინდოელი თვითონ ძალზე ძუნწი კაცი იყო.

ინდოელები ერთმანეთს შორის საქმეზე თუ საუბრობდნენ, უმეტესად ინგლისურს მიმართავდნენ, მაგრამ არის ხალხური დიალექტიც, რომელსაც ურდუს უწოდებენ. ეს არის ინდოელების ენა, მაგრამ მასზე ძალიან დიდა სპარსულისა თუ არაბულის გავლენა. ასე, მაგალითად, ერთ დღეს ინდოელთა ერთი ჯგუფი რაღაც უთანხმოებაზე ლაპარაკობდა, რომელიც საჭიროებდა ამ მრჩეველის თანხმობას ან ნებართვას. ერთმა სხვებს ურჩია, მიშელს დაევალოთ, ჯა (მრჩეველი) მისი დოსტია, ნებას დაგვრთავსო. ამ სიტყვის მნიშვნელობა მაშინვე გავიგე და ვუთხარი, სრულიად არა ვარ მისი დოსტია-მეთქი. მათ გაუკვირდათ, მე ეს სიტყვა რომ გავიგე და აეუხსენი, ეს თქვენი ენის სიტყვა კი არ არის, არამედ არაბულია ან სპარსული და მას ჩვენც ვხმარობთ-მეთქი.

სხვა დროს კიდევ საფრანგეთში ინგლისის დედოფალი იყო ჩამოსული. მან მიღება მოაწყო, არ ვიცი რატომ, ჰოლანდიელების საელჩოში. ჩვენი მრჩეველი უნდა წასულიყო ინდოელთა სახელით. როდესაც იმ უბანს მიეუახლოვდით, მრჩეველმა მითხრა, მიშელ, ჯერ კიდევ ადრეა, თამაშა მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ დაიწყება, ცოტა გამატარ-გამომატარეო. თან დაუმატა, მაგრამ შენ რა იცი, რა არის თამაშაო. მე ვუთხარი, ძალიან კარგად ვიცი-მეთქი. გაუკვირდა და ხუმრობით ისიც კი თქვა, თქვენი ენა ჩვენ ენას ჰგვანებიაო.

იგივე მრჩეველი სხვა დროს აფრიკელების ერთ-ერთ საელჩოში მივიყვანე. იმ დღეს იმ სახელმწიფოს ეროვნული დღე იყო. ჩემი კლიენტი თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ საელჩოდან გამოვიდა და მითხრა, ჩვენს საელჩოში დამაბრუნეთ, თან დაუმატა, მაგ შეკვანიანებს ისეთი მყრალი სუნი ასდით, ვერ ავიტანეო; თან ხუმრობით დაუმატა, მეც მაინცდამაინც თეთრი არა ვარ, მათსავით მაინც არ ვყარვარო.

სხვა დროს, ერთხელ თვითონ ჩვენს ელჩს ჰქონდა მიღების დღე. მე რატომღაც რაღაც საქმისათვის ელჩის სამზარეულოში შევედი, სამზარეულოს კაფელის იატაკი ჰქონდა. ვხედავ, ერთ-ერთ მზარეულს იატაკზე მოეკალათებინა, გვერდით შეკმაზული დაკეილი ხორცის ჭურჭელი დაედგა, დაახლოებით კაკლის სიმსხო ხორცის პატარა ბურთებს აკეთებდა და იატაკზე გაბნეულ ორცხობილის ფევილში აგორგოლავენდა. ეს კერძი შეიძლება ინდოელთა ეროვნულ კერძად ჩაითვალოს. ხორცი შეკმაზულია ინდური ეროვნული საკმაზით, რომელსაც "კერი" ეწოდება. მხოლოდ ცხერის ხორცისაგან ამზადებენ, რადგან ინდოელები, როგორც წესი, ძროხის ხორცს არ ჭამენ. რამდენიმე დღის შემდეგ, პირველი მდივანი, მაჰმადიანი, სადღაც უნდა წაშეყვანა. სახლიდან გამოსვლისას ხელის გულზე დაგროვილი სწორედ ეს ბურთები გამოიტანა. თვითონ ჭამდა და მეც გამოიმინოდა. ელჩის სახლში ნანახი გამასხენდა და ვუამბე. თან დაუმატე, შენი მზარეულიც ასე თუ ამზადებს

-მეთქი. გაიცინა და თქვა, არა, ჩვენ, მაჰმადიანები უფრო სუფთანი ვართ ამ შემთხვევაშიო. ეს ის პიროვნება იყო, ვინც, როგორც ზემოთ ვთქვი, ახალგაზრდობაში სტალინის თაყვანისმცემელი ყოფილა.

ჩვენს საელჩოშივე, კანცელარიაში მსახურობდა ერთი ფრანგი გოგო, ეტყობა, ძლიერ ღარიბი ოჯახიდან გამოსული, რომელიც საელჩოშივე მომსახურე ინდოელს ცოლად გაჰყვა. ამ გოგომ რათა სრულ ინდოელად ქცეულიყო, ევროპული ტანისამოსი ინდოელ ქალთა სამოსით შეიცვალა. ჩვენს, არაინდოელთა თვალში, ვინც მისი ვინაობა ვიცოდით, ამ გოგოს ინდოელ ქალის სამოსში ფართხუნი სასაცილოდ მიგვაჩნდა. ასე ეჩვენებოდა იგი ინდოელებსაც, მაგრამ, ცხადია, ამ უცნაურობას მას არავინ ახსენებდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მანქანაზე მბეჭდავები, როგორც ნესი, სულ მამაკაცები იყვნენ, არასოდეს არც ერთი ქალი, ჩემი 7 წლით იქ ყოფნისას, მანქანაზე მომუშავე არ დამინახავს. აქვე უნდა დავუმატო, რომ ინდოელი მბეჭდავები საკვირველად სწრაფად მუშაობდნენ და ევროპელ ქალ მემანქანეებს არა თუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ ვფიქრობ, სჯობდნენ კიდევც.

საელჩოში ყოფნისას, როდესაც 65 წელი შემისრულდა, ოფიციალურად პენსიაზე გავედი, მაგრამ მუშაობა კვლავ განვაგრძე, ამის ნება მქონდა, რადგან საელჩო ფორმალურად უცხოეთის ტერიტორიას წარმოადგენდა. ამიტომ სამუშაო კანონები მათზე არ ვრცელდებოდა. ამასთანავე ერთი ქართველი, რომელიც საელჩოში მუშაობდა და საელჩოს შესავალ პოლში მაგიდას უჯდა, როგორც მომსეულელთა მიმღები, ავად გახდა და სიბერისა და ავადმყოფობის გამოც, პენსიაზე გავიდა. მე ამ შემთხვევით ვისარგებლე, ჩემ "დოსტად" მიჩნეულ მრჩეველს ვთხოვე, მძღოლობას თავი დავანებე და წასული ქართველის თანამდებობა დავიკავე.

უნდა აღვნიშნო, რომ საელჩოში ჩემ გარდა იმ დროს შეიდი-რვა ქართველი მუშაობდა. მინდა დავასახელო: ვიქტორ შუბლაძე, ძმები თორნიკე და ჯუანშერ ლალიძეები ("ლალიძის წყლების" პატრონის შვილები), თემო თავთაქიშვილი (გიორგი გვაზავას სიძე), ძმები მამულაშვილები, კობრიძე, ასათიანი და ნულაძე. ისინი, როგორც ნესი, საელჩოს სხვადასხვა განყოფილებაში შიკრიკის თანამდებობას ასრულებდნენ. ერთ დღეს, ჩემს მაგიდას მოადგა ერთი კაცი, რომელმაც დამტყუარული ინგლისურით მითხრა, მაღამ საგის ნახვა მსურსო. მაღამ საგი, ელჩის მეორე მრჩეველი, ფერით ზანგს ჰგავდა, მხოლოდ სახეში რაღაც ევროპული იერი ჰქონდა. მე ერთ ქართველ შიკრიკთაგანს მიემართე ქართულად, ეს კაცი მაღამ საგისთან წაიყვანე-მეთქი. იმან მიპასუხა, ახლა ფოსტაში მივდივარ, ჯუანშერი ჩამოვა და ის წაიყვანსო. ეს რომ ამ კაცმა გაიგონა, სახეზე გაკვირვება და რაღაც შიშის მსგავსი გამოეხატა. რაღაც უცნაურად, ორივე ხელის შეტყუებულნი მტყუანი ჩემი მაგიდისკენ გაიშვირა და საიდუმლო ნახევარტონით ქართულად მკითხა, აქ თანამშრომლობით და აქეთ-იქით გაიხედა. ცხადი იყო, რომ ყველანი რაღაც აგენტებად ჩაგვთვალა, რადგან რუსულ-საბჭოურ ნებისმიერ დანესებულებაში წარმოუდგენელი რამ იყო, რომ ამდენ უცხოელს ასე თავისუფლად ემუშავა. ის

ქართველი მადამ საგისტან შევიდა, იქიდან პირდაპირ დატოვა საელჩო და წარ-
მოდგენა არა მაქვს, რატომ, როგორ და რისთვის მიდიოდა იგი ინდოეთში.

როდესაც საელჩოს დატოვება გადაწყვიტე, მეორე მდივანმა სხვათა დასწრე-
ბით მითხრა, ხო, ქავთარაძე მიდის, მაგრამ დილით დროზე ადრე ქავთარაძის
მაგივრად ვილა მოვაო? საქმე ისაა, რომ მაშინ ჩემ მიერ აშენებულ სახლში ცეხო-
ვრობდი პარიზიდან 30-იოდე კილომეტრის დაშორებით და იქიდან ყოველ დილით
ადრე მოსული მე ვათავისუფლებდი თავდაცვის გვარდიელს - ასე ერქვა ერთ-ერთ
სამხედრო მსახურს საელჩოსას. იგი კვირაში ორჯერ საელჩოს გაღებამდე ტო-
ვებდა თავის პოსტს, რადგან დიპლომატიური ფოსტა უნდა წაელო აეროპორტში.
ამგვარად, ჯერ კიდევ დაკეტილი საელჩო ჩემს ამარა რჩებოდა.

ახლა მსურს გავისხენო ერთი შემთხვევა, ჯერ კიდევ მძლოლად მუშაობის-
დროინდელი. მე, როგორც ყოველთვის, დილით ადრე მოვედი, რომ მცველი
თავისი დიპლომატიური ფოსტით აეროდრომზე წამეყვანა. როდესაც საელჩოდან
გავედით, პირველივე ბენზინის გამყიდველთან გავჩერდი, რომ სანავაი ამელო.
მცველი ავტომობილიდან ჩამოვიდა და იქვე გარაყის წინ გამოფენილ ვიტრინებს
ათვალიერებდა. როდესაც სანავაის გამყიდველმა თავისი საქმე გააკეთა, მე მან-
ქანიდანვე გამყიდველს საჭირო ფული გადავეცი, მაგრამ ეს ფული კი არ იყო,
არამედ სპეციალური ტალონი, როგორებიც ყველა საელჩოს ეძლეოდა დაკლებულ
ფასში სანავაის ასაღებად. უკან არც მომიხედავს, ჩაჯდა თუ არა ჩემი მგზავრი,
დავიძარი და წავედი. აეროდრომს რომ ვუახლოვდებოდი, უკანმიუხედავად ვკი-
თხე, რომელ ადგილს გსურს გავჩერდე-მეთქი, რადგან სხვადასხვა პუნქტებში
იყო მისასვლელი. პასუხი რომ ვერ მივიღე, უკან მივიხედე, არავინ იყო და ძლიერ
შეეშინდი, არ ვიცოდი, რა მეფიქრა. საქმე ისაა, რომ დიპლომატიური ფოსტის
მთავარი საიდუმლო პაკეტი, რომელიც გარდაუვალი ნებისამებრ მას ხელიდან
არასოდეს არ უნდა გაეშვა, აქ, სავარძელზე იდო. იმის დრო არა მქონდა, რომ
საელჩოში დამერეკა. წავედი და ყველა სხვა ტომრები და ეს პაკეტიც, იქ ჩავაბა-
რე, სადაც ასეთი რამ ხდებოდა. ამის შემდეგ საელჩოში დავრეკე. იქიდან შეშინე-
ბული მეკარის ხმა გავიგონე, რომელმაც მითხრა, სარუჰმა (ასე ერქვა იმ მცველს)
დამიბარა, უთხარი მიშელს, ახლავე დაბრუნდენსო. მეც მაშინვე საელჩოში და-
ვბრუნდი. სანყალი სარუჰი კარებში მიცდიდა. საელჩო ჯერ გაღებული არ იყო.
აუუხსენი, რაც მოხდა, და ვუთხარი, ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი გავაგზავნე-
მეთქი. მან მთხოვა, მიშელ, არ დამლუპო, არავის უთხრა ეს ამბავიო. მე ვუთხარი,
ცხადია, მეც ასევე ვიზამდი-მეთქი. მოვლენას ახსნა სჭირდება: ადმინისტრაციას
რომ გაეგო, ფოსტა მე გადავეცი და არა მცველმა, ე.ი. მან საიდუმლო პაკეტი
მანქანაში დატოვა, არამცთუ მოხსნიდნენ, არამედ სასამართლოშიც მისცემდნენ.

ჩემი საელჩოში მუშაობის დროს, 7 წლის მანძილზე სამი მცველი შეიცვალა. ამ
სარუჰთან ძალიან დაახლოებული ვიყავი. ბევრად მეტად, ვიდრე სხვებთან: ერთ
დღეს მონყენა შევატყვე. ვკითხე, სარუჰ, საქმე რაშია-მეთქი. მან მიპასუხა: ოჰ,

ცუდი ამბავი გავიგე, ჩემი ქალიშვილი, გოგო მომკვდარაო. აღელვებულმა ვკითხე, როგორ, რა მოუვიდა ბავშვს-მეთქი. მან სრულიად მშვიდად და ბუნებრივად მიპასუხა, ალბათ, ქოლერამ მოკლაო.

კიდევ ერთი შემთხვევა სარუშთან სიახლოვისა: შობის წინა დღე იყო. საფრანგეთში ტელეფონის მუშაკთა გაფიცვა მიმდინარეობდა. მხოლოდ საელჩოებს ჰქონდათ ტელეფონით სარგებლობის საშუალება. მსურდა, ამერიკაში მყოფ ჩემს ქალიშვილთან და შეილიშვილებთან დამერეკა. ეს ღამით უნდა მომხდარიყო. სარუშს ვუთხარი: ამაღამ მე და ჩემი მეუღლე მოვალთ, შობას ერთად შევხვდეთ და მე ჩემს ქალიშვილს დავურეკავ-მეთქი. ძალიან გაუხარდა, მოდი, რასაკვირველია, შეგიძლია მოხვიდეთო. სარუში საელჩოშივე ცხოვრობდა. მესამე სართულზე, სხვენზე ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. მე და ჩემი მეუღლე ნამცხვრებითა და საჭმლით დატვირთულები ღამით მასთან მივედი. 12 სთ-ზე ჩემს ქალიშვილს - ასინეთს დავურეკე და შობა მივულოცე. შემდეგ ერთად ვიჯახშმეთ და საელჩო დავტოვეთ. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამერიკაში ტელეფონით დარეკვა აღრიცხული იყო და ფული კანცელარიაში უნდა გადამეხადა. მეორე თუ მესამე დღეს მივედი ფულის გადასახდელად. მოლარემ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე ფული გადამახდევინა, მაგრამ მის გვერდით მჯდომმა სხვა ინდოელმა ინგლისურად უთხრა თავის თანამშრომლებს - ერთი ამას შეხედე, უბრალო შოფერია და ამერიკაში ტელეფონზე რეკავსო. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ თვით ინდოეთში ასეთი რამ შეუძლებელი მოვლენა უნდა ყოფილიყო.

აქ აგრეთვე უნდა მოვიხსენიო ფრიად თავისებური პიროვნება, ინდოეთის სამხედრო ატაშე, გენერალი ნანარ დელპან სინგჰი. იგი, როგორც მისი გვარი მიუთითებს, სიკვების კასტას ეკუთვნოდა. ჩალმას ატარებდა და გაშვებული წვერი ძლივს შესამჩნევი ბადით ჰქონდა აკრული. იგი ჩვეულებრივ აპარტამენტში კი არა, საელჩოს მიერ კარგა დიდ ბაღში მდგომ ნაქირავებ სახლში ცხოვრობდა. მასთანვე ცხოვრობდნენ მეუღლე და სამოსნავლო ასაკის ორი გოგო. ამ კაცს სამხედრო კაცის იერი არ ჰქონდა. იგი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო, ყველასთან თავისუფლად მოსაუბრე და გარეგნულად გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებდა. როგორც უკვე ვთქვი, იგი სინკების კასტას ეკუთვნოდა, მაგრამ მისი მეუღლე სრულიად სხვა პროვინციიდან იყო, სახელდობრ, კარადადან და მწერლობდა კიდევ ამ ტომის ენაზე. ამ ენას საკუთრივ ინდურ ენებთან, მგონი, არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს, რადგან მათი ანბანი ინდოსტანის ანბანისაგან სრულიად განსხვავდებოდა. ყოველთვის, როდესაც მასთან გამოვცხადდებოდი, მეტყოდა ხოლმე, მიშელ, დალიე ვისკი, რამდენიც გინდაო. ამ მიპატივებით არასოდეს მისარგებლია. მას მზარეულად ჰყავდა კიდევ სხვა ტომის ახალგაზრდა, გვარად გურაპა. ამ ბიჭს ძალიან ვუყვარდი და ჩემთან საუბარს ცდილობდა, მაგრამ არც მან და არც მე საკმარისი ინგლისური არ ვიცოდით. მიუხედავად ამისა, ჩვენ გრძელ საუბარს ვმართავდით ხოლმე.

ერთხელ, პარიზში (ეს იყო პომპიდუს პრემიერობის დროს) დაიწყო ერთგვარი, თითქმის აჯანყება სტუდენტებისა. არავინ იცოდა, რას მოითხოვდნენ ის სტუდენტები, მაგრამ მთელ საუნივერსიტეტო უბანში სან-მიშელის ბულვარის გარშემო, ქალაქი მათ ხელში იყო. ამტკრევდნენ ვიტრინებს, აგრეთვე მანქანებს და მთელ უბანში ამოთხრილი იყო ქვაფენილის ქვები, რომელთაც სტუდენტები ჯარებთან საბრძოლველად იყენებდნენ. შეიარაღებულ რაზმებს იარაღის გამოყენების უფლება არა ჰქონდათ, მხოლოდ ფარებით იგერიებდნენ მათკენ გამოსროლილ ქვებს. ამ "ბრძოლის ველის" მონახულება განიზრახა ჩვენმა გენერალმა და ავტომობილში თავისი მეუღლე და ორი ქალიშვილიც ჩასვა. თავისი სურვილი გამიმჟღავნა; მე ვუთხარი, ბატონო გენერალო, ამის ცდა დიდ საშიშროებას წარმოადგენს-მეთქი. რას ამბობ, დიპლომატიურ ავტომობილს ხელს ვინ ახლებსო? ვუპასუხე, კარგი, მივიდეთ და იქ ვნახოთ-მეთქი. ძალიან ახლოს მისვლა არც კი დაგეჭვრებია. როდესაც გენერალმა თავისი თვალით ყველაფერი დაინახა, დარცხვენილმა მითხრა, შო, მართალი ყოფილხარ, მოაბრუნეო. წინდანინ ვიცოდი, რომ ეს ასე დამთავრდებოდა, მაგრამ მისი ბრძანება რომ არ ამესრულებინა, ვიცოდი, ძლიერ დამემდურებოდა და ასე ვამჯობინე, თვითონ ენახა მდგომარეობა.

სხვა დროს ამავე გენერალმა სადღაც წამიყვანა და იქ დანიშნულ დროს ვილაც პარიზელ ქალს შეხვდა და ავტომობილში ჩაისვა. მითხრა, ბულონის ტყეში წადიო. მე ავასრულე. გზაში მესმოდა, რომ ამ ქალს ინგლისურად ელაპარაკებოდა, მაგრამ ქალს აქცენტზე მაშინვე შევატყვე, რომ არც ინგლისელი უნდა ყოფილიყო და არც ფრანგი. დაფიქრდი, ვინ უნდა იყოს-მეთქი. უცებ მივხვდი, რომ ეს ქალი რუსი იყო. ერთ ადგილას გენერალი ქალს რალაცას უხსნიდა. საქმე შეეხებოდა ტურისტულ შენიშვნებს რალაც ნაგებობაზე. გენერალმა ქალს ვერ გააგებინა, რადგან თვითონაც არ იცოდა, რას წარმოადგენდა ის შენობა, რომელზედაც ის ელაპარაკებოდა. დღესაც არ ვიცი, როგორ მომივიდა და ერთი სიტყვა რუსულად წარმოვთქვი იმ ქალის გასაგონად, რაც იმ შენობის ნამდვილ სახელს გამოხატავდა. ვფიქრობ და ვერ გამიხსენებია, რომელი სიტყვა იყო. სარკეში დავინახე, როგორ შეეცვალა სახე იმ ქალს გაკვირვებისაგან. რუსულად მკითხა, თქვენ რუსი ხართო? - რუსი. არა, ქართველი ვარ -მეთქი, ვუპასუხე. ემიგრანტი ხართო? დავუდასტურე. სხვა არაფერი უკითხავს. არც გენერალს გაჰკვირვებია ჩვენი საუბარი. ალბათ, კარგად იცოდა, რომ ეს ქალი რუსი იყო, და ისიც, რომ მეც რუსული უნდა მცოდნოდა. ამის შემდეგ არც ერთი სიტყვა არ წარმომიტქვამს. მაშინაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც, რომ ის ქალი რუსების აგენტი იყო. სხვა შემთხვევაში მას უსათუოდ უნდა ეკითხა, ვინ ვიყავი და რას წარმოვადგენდი, არც გენერლისთვის მიკითხავს არასოდეს, რა საქმე ჰქონდა ამ ქალს გენერალთან, ეს ჩემი საქმე არ იყო, ხომ შეიძლებოდა ამ ქალთან მას ინტიმური დამოკიდებულებაც ჰქონოდა, თუმცა ეს შეუძლებლადაც კი მიმჩნდა. ამავე გენერალმა ერთხელ მითხრა: მიშელ, მე ყველას მოვწონვარ და ვუყვარვარო. როგორ ბატონო-მეთქი?

ყველა ქალი სურათს მიღებს და სიმპათიით მეპყრობაო. არც ამაზედ ვუპასუხე რამე ამ უცნაურ კაცს, მაგრამ ხომ ცხადია, რომ სურათებს უღებდნენ ამ სხვაგვარი კოსტიუმისა და ჩაღმის მატარებელ კაცს და არა საყვარელ პიროვნებას. მაკვირვებდა მისი გულუბრყვილობა და ასეთ თანამდებობაზე მისი სამსახური, მაგრამ ისიც შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ იქნებ ჩემზე უფრო ეშმაკი იყო და ასეთ გულუბრყვილო კაცის როლს განგებ ასრულებდა. მაგრამ ერთი რამ მაინც სავარაუდოდ რჩება: ინდოელებსა და რუსებს შორის უფრო რუსთაგან უნდა მოველოდეთ ეშმაკობასა და ინდოელთა რაიმე საიდუმლოების შეტყობის მცდელობას, ვიდრე ინდოელებისაგან ასეთივეს ძებნას რუსებში.

ინდოეთის საელჩოდან უკვე კარგა ხნის წასული ვიყავი, როდესაც ინდირა განდის მკვლელობის გამო ტელევიზორში ენახე, თუ როგორ კომენტარებს იძლეოდა ჩემი მეგობარი გენერალი, ახლა ინდოეთში მყოფი, ამ მკვლელობის გარშემო. ეს საუბარი მით უმეტეს საინტერესო იმით იყო, რომ, როგორც ცნობილია, ინდირა განდი სწორედ ამ გენერლის თანაკასტელმა სიკჰმა მოკლა.

ინდოელებთან მუშაობის ხანამ ერთი, ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი საქმის გაკეთებაც შემაძლებინა. საქმე ის არის, რომ პარიზში წესიერი ბინა არ გამაჩნდა. ერთი სახლის შენობაში ორი ერთმანეთისაგან განცალკევებული ოთახი მქონდა. სწორედ ინდოელებთან მუშაობის დანყების დროს შევიძინე მინის ნაკვეთი სოფელ ლევილთან, სადაც ცნობილი ქართული მამული მდებარეობდა. გადაწყვიტე, ჩემივე ხელით სახლი ამუშენებინა. ამავე დროს, სწორედ საელჩოს პირდაპირ, იმავე ქუჩაზე დაიწყეს უზარმაზარი შენობის აგება, ნამდვილი სასახლისა. ეს იყო ევროპის ეკონომიკური განვითარების საზოგადოების მომავალი ბინა. ამის ამშენებლები იყვნენ ევროპის უმდიდრესი სახელმწიფოები, ე.ი. საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია, შვეიცია და კიდევ რამდენიმე ქვეყანა. ამ სასახლეს სამი სართული მინისქვემ და ხუთიც მინის პირიდან ზევით უნდა ჰქონოდა. მშენებლობის დროს აუარებელი, მცირედ დაზიანებული ფიცრები, რკინები, მარმარილოს გაბზარული ფირფიტები და სხვა ამგვარი, ჯერ კიდევ გამოსადეგი მასალა რჩებოდა. ყოველდღე რამდენიმე სათავსო გადასაყრელად წასაღები საქონლით ივსებოდა. მთელი დღის განმავლობაში ამ სათავსოებიდან ამომქონდა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გამოიყენებინა და იქიდან მოტანილი მასალით აშენდა ჩემი სახლის ორი მესამედი. ყოველ საღამოს სამსახურიდან სახლში დაბრუნების დროს ჩემი პატარა ავტომობილით ამ დაწუნებულ საქონელს ვეზიდებოდი. ამიტომ არის, რომ ჩემი სახლის გარშემო მარმარილოთი დაგებული ბილიკებია ბაღში. ასევე მარმარილოსა სახლში შესასვლელი კიბე და თვით სახლის ოთახები შიგნითა მხრიდან, აგური შეღვსვის ნაცვლად წითელი ხით არის დაფარული. იქიდან მოტანილი გადაყრილი რკინები მოხმარდა აგრეთვე სახლის კედელში დატანებული რკინა-ბეტონის ბოძების ჩამოსხმას. ამ სახლის შენების დროს, შვეებულების გამო, პარიზი არცერთჯერ არ დამიტოვებია და ყოველ შაბათ-კვირას მხოლოდ სახლის შენება იყო ჩემი „დასვენება“.

მალროსთან შეხვედრა ინდოელთა საელჩოში მუშაობის წყალობით

ეს ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც ბანგლადეში (ინდოეთის ყოფილი პროვინცია) პაკისტანს გამოეყო. ეს მოხდა ინდოეთის მფარველობისა და დახმარების წყალობით. ახლად გამოყოფილი ხალხის მდგომარეობა მძიმე, გაურკვეველი და საჭოჭმანო იყო. ინდოელებმა მორალური დახმარებისათვის მიმართეს დე გოლის კაბინეტის ყოფილ მინისტრს -ანდრე მალროს. იმჟამად მალრო მძიმედ იყო დაავადებული. თავისი პოსტი დატოვებული ჰქონდა. რადგან მისი ვინაობა ფართო ქართული მასისთვის თითქმის უცნობია, უნდა აღვნიშნო, რომ იგი, თანამედროვე საფრანგეთში თითქმის ყველაზე კულტურულ ადამიანად ითვლებოდა. ამ კაცს უცნაური ნარსულიც ჰქონდა. რამდენიმე წლით ადრე შედარებით ახალგაზრდა მალრო ჩინეთში მოხალისედ იბრძოდა კომუნისტთა მხარეზე, ხოლო იმ ხანებში, რომლის შესახებ აქ მოგითხრობთ, იგი ცხოვრობდა ქალბატონ ვილმორენის მამულში. ქალბატონი ვილმორენი იყო ყვავილებისა და ყოველგვარ დეკორატიულ მცენარეთა ყველაზე ცნობილი ფირმა „ვილმორენის“ პატრონის ასული. მალრო ცხოვრობდა ვილმორენის უზარმაზარ მამულში, მის განკარგულებაში არსებულ ერთ პატარა შატოში. მამული მდებარეობდა ოციოდე კილომეტრზე პარიზის სამხრეთით დასახლებაში, რომელსაც ერქვა „La Haie des Roses“ (ვარდების ხეივანი).

ბანგლადეშის გამოყოფა პაკისტანისაგან, შეიძლება ითქვას, ინდოეთის დახმარებით მოხდა. იმჟამად ეს ქვეყანა დიდ განსაცდელში იყო ჩაყვარდნილი. ინდოელებს სურდათ, რომ ფრანგულ პრესაში დაწყებულიყო ამ ქვეყნის სასარგებლო კამპანია. ამიტომ მიმართეს მალროს, რომელიც მშვენიერად იცნობდა შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებს და იქაურ საკითხებს. ერთ დღეს საელჩოს კულტურის განყოფილების უფროსმა მითხრა, მალროსთან უნდა წახვიდე და ბანგლადეშის შესახებ შეპირებული წერილი უნდა გამოართვა და მოიტანო. დაეალება ავასრულე და ვილმორენის შატოში გამოვცხადდი. მალროს მდივანმა მითხრა, წერილი მზად არ არის, მალრო ბოდიშს იხდის და დამავალა გადმოგცეთ, რომ წერილის დამთავრებას თვითონ შეგატყობინებთო. ამ პასუხით დავბრუნდი. ათიოდე დღის შემდეგ კულტურის განყოფილებიდან შემატყობინეს, წერილი მზად არის, უნდა მიხვიდე და ჩამოიტანო. შატოში რომ გამოვცხადდი, ახალგაზრდა ქალმა, მდივანმა მითხრა, წერილი მზადაა, მხოლოდ დაბოლოება აკლია, აქ, სალონში დაიცადეთ, მგონი დიდხანს ცდა არ დაგჭირდებათ და იქვე ჩამოვკექი. ცოტა ხნის შემდეგ მომესმა მალროს სამუშაო ოთახიდან უსიამოვნო ხმები. ეს იყო მალროს მძიმე, მტკივნეული სუნთქვა და გამყინავი ხველება, რაც დროგამოშვებით აწყვეტილებდა ისედაც გაძნელებულ კარნახს. ასეთი, ძნელად მოსასმენი რამ არასოდეს შემხვედრია. არც ასეთი თანაგრძნობა განმიცდია ავადობით შეწუხებული რომელიმე ადამიანისადმი. ბოლოს და ბოლოს,

მალროს ტკივილით და წამებით მიმდინარე კარნახი შეწყდა. მეც ამოვისუნთქე. კარი გაიღო და მალრო გამოვიდა. წამსვე ფეხზე წამოდექი და მიეუახლოვდი. მან შემომხედა თუ არა, მითხრა, თქვენ ინდოელი არ უნდა იყოთო. არა, ბატონო, მე ისეთი ქვეყნიდან ვარ, რომელიც ბანგლადეშზე მეტად საჭიროებს თქვენი სიდიდის კაცის დახმარებას-მეთქი. რომელი ქვეყნიდან ხართო, მკითხა. მე ქართველი ემიგრანტი ვარ-მეთქი, ვუთხარი. ვხედავდი, რომ მალროსთვის ეს მოულოდნელი იყო. მოულოდნელი და იქნებ უხერხულიც, რადგან მას ხომ კომუნისტების დამცველის წარსული ჰქონდა და საქართველო და რუსეთის ურთიერთობა შეიძლებოდა რალაციით დამგვანებოდა კომუნისტური ჩინეთის დამკვიდრების საქმეს. მალრომ მითხრა, ჰო, საქართველოს საკითხს ვიცნობ, მაგრამ ახლა ჩემი მდგომარეობა ნებას არ მძლევს ასეთ საკითხებზე თუნდაც ფიქრისასო. წერილი თავდახრილმა ჩამოვართვი. ასე პირისპირ შეხვედრა მელირსა მაშინდელი საფრანგეთის კულტურულ მწვერვალთა უეჭველ წარმომადგენელთან.

“ბერგმანის” მოკლე ისტორია

ახლა ისევ დაუბრუნდეთ ომის პერიოდის მოგონებებს.

ლაზარეთიდან გამოსვლის შემდეგ სრულებით მოწყვეტილი ვიყავი “ბერგმანის” ბატალიონს. მხოლოდ ცნობა მოგვედიოდა, რომ გერმანელების მიერ ყირიმის დაცვის პერიოდში “ბერგმანის” ბატალიონი საზღვაო გზით ყირიმში გადაიყვანეს, რაც შეეხება ცხენოსან ესკადრონს, ისინიც ყირიმში გადაუყვანიათ თავიანთი ცხენების ამოხოცვის შემდეგ. ბატალიონის საბერძნეთში ყოფნის განმავლობაში, მე მხოლოდ ერთი სამწუხარო ეპიზოდის მოთხრობა შემიძლია: ადგილობრივი ანტიგერმანული ორგანიზაციების მიერ შემოჩენილ ერთ ახალგაზრდა ბერძენს მოუხერხებია ხუთიოდე ქართველი ჯარისკაცის გაბრძოლება და ისინი თავიანთი თოფებიანად ვითომ ბერძენ პარტიზანთა ბანაკში წაუყვანია. ბერძენებს ისინი ჯერ თითქოს სიხარულით მიუღიათ, მაგრამ შემდეგ მოუთხოვიათ, რომ მათ იარაღი ჩაებარებინათ. როდესაც ქართველებს უარი უთქვამთ, მათ ბრბო შემოხვევია და ხუთივე ჩაუქოლავთ. გერმანელებმა ის ახალგაზრდა ბერძენი დაიჭირეს და დახვრიტეს, მაგრამ მის მიერ გასულელებული ქართველები ამ ამბავს შეენირონენ. ცხადია, ამ ქართველთა საქციელის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლებოდა, რომ ისინი ამით ნითლებს მიმართ ჩადენილი ლალატის პატიებას მოელოდნენ.

ეს დეტალები მიაბბო პარიზელმა აკაკი კვიციანიშვილმა, რომელიც წარსულში გვარდიის ბატალიონის უფროსი იყო საქართველოში, ხოლო შემდეგ “თამარ II-”ის IV ასეულის ერთ-ერთი ოცეულის მეთაური.

“ბერგმანის” ბატალიონი და ცხენოსანთა ესკადრონი რამდენიმე ხნის შემდეგ ტიტოს ტყვეობაში აღმოჩნდა და იქიდან საბჭოელებს გადასცეს, ხოლო იმ დროს იქ მყოფი ემიგრანტი ქართველები - კვიციანიშვილი, გოგლიკა ვაჩნაძე, საშა ტარა-

საშვილი, აჩიკო დადიანი, ბიძინა ერისთავი და იქნებ ერთი და ორი კიდევ სხვა, ფრანგულმა სამხედრო მისიამ საფრანგეთში გადააგზავნა, სადაც ისინი ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

განსაკუთრებული სამხედრო შენაერთის – “ბერგმანის” დაარსება, გერმანული ჯარების მიერ უკრაინის დაკარგვისთანავე დაიწყო. ამდროინდელი დეტალების არაფერი ვიცი, რადგან, როდესაც ჩვენი ასეული “ბერგმანს” შეუერთდა, იგი (“ბერგმანი”) ბავარიის პატარა ქალაქ მიტენალდის ზემოთ არსებული მაღალი მთის ყაზარმის შენობაში იყო დაბინავებული. ეს შენობა გერმანული ცნობილი სამთო დივიზია “ედელვაისის” სავარჯიშო ადგილს წარმოადგენდა. მაშინ ბატალიონი ოთხი ასეულისაგან შედგებოდა: ორი ქართულის, ერთი აზერბაიჯანულის და ერთი ჩრდილო-კავკასიურისაგან. იყო აგრეთვე სომხების ერთი ოცეულიც. ამ შემადგენლობაში მყოფ ბატალიონს ერთი წლის შემდეგ შეუერთდა ზემოთ მოხსენებული “თამარა II”, რომელიც იმჟამად მხოლოდ პარიზელი ემიგრანტებიდან როდი შედგებოდა, არამედ ყოფილ ტყვეთაგან შედგენილ ასეულს წარმოადგენდა, რადგან პარიზელ ქართველთაგან მხოლოდ ორმოციოდე კაცი მოვიდა ტყვეებთან ერთად “ბერგმანში”.

“თამარა II”-ის არსებობის პირველი პერიოდის აღწერის შემდეგ, საჭიროდ მიმაჩნია, ამ ასეულის მდგომარეობის რადიკალურ შეცვლაზე რამდენიმე ცნობა მოვიტანო. როდესაც ახალგაზრდა ყოფილი ტყვეები “თამარა II”-ში მოვიყვანეთ, ემიგრანტთა ნახევარზე მეტი უკვე პარიზში იყო დაბრუნებული და ახალგაზრდების ჩამოსვლამ დარჩენილებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს ყველაფერი შეიცვალაო, რადგან დარჩენილთა უმეტესობა საშუალოდ ოცი წლით უფროსი იყო ახლადმოსულებზე და პარიზელებმა ახლადმოსულები, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, შვილებივით მიიღეს. ძველების ერთმანეთთან დამოკიდებულებაც კი შეიცვალა. ჩვენ ვიქეციტ მამებად, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი შვილებისათვის კარგი მაგალითი ეჩვენებინათ, თუნდაც საკუთარი მანკიერებანი მაინც დაემალათ. ახლადმოსულები გაკვირვებასაც კი გამოთქვამდნენ მათ მიმართ ჩვენი გადაჭარბებული ზრდილობითა და კეთილგანწყობით. ეს თავისთავად მოხდა, რადგან ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, რომ მხოლოდ ჩვენი ამგვარი საქციელით შეიძლებოდა ჯერ ახალგაზრდათა ნდობის მოპოვება და შემდეგ მათი გარდაქმნა და საბჭოური მანკიერებისაგან განზანა. ამან მთლიანად გაგვიმართლა. ახალგაზრდები, რომელნიც “ბერგმანში” მოვიყვანეთ, მორალურად საკვირველ ჯგუფს წარმოადგენდა. ეს იმდენად მართალია, რომ შეერთების პირველ ხანებში “ბერგმანში” აღრე მოსულ ჯარისკაცთა შორის იჭვიც კი გაჩნდა, მართლა იყვნენ თუ არა ჩვენ მიერ მოყვანილ ბიჭები ტყვეობაში. ძველები ახლებს ეუბნებოდნენ, თქვენ, ალბათ კომედიას თამაშობთ, ემიგრანტების შვილები იქნებითო. იმდენად განსხვავდებოდა მათი მსოფლმხედველობა დამხვედურ ჯარისკაცთა მსოფლმხედველობისაგან. ბოლოს და

ბოლოს ახლებმა ძველებს კი დაუმტკიცეს, რომ ისინი პარიზელები არ არიან, მაგრამ ამ ორ ჯგუფს ეს ფსიქოლოგიური განსხვავება კიდევ დიდხანს შერჩა.

დამხედურთა შორის, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ორი კაცი იყო ყოფილ საბჭოელ ქართველთაგან, რომლებსაც ეს განსხვავება არ ეტყობოდათ. ესენი იყვნენ გივი გაბლიანი და, ნანილობრივ, რეზო გოგიტიძე. ამ ორს შორის პირველი უფრო ადრე გაეიცანით და მასთან მეტი კონტაქტი გქონდა, ვიდრე გოგიტიძესთან. კიდევ სხვა მიზეზიც არსებობდა. გაბლიანი თვითონაც ახლად მოსული იყო "ბერგ-მანში" და უკვე ცნობილი იყო გერმანელ უფროსებში, როგორც აქტიური ანტი-საბჭოელი. შემდეგ გაბლიანის როლი კიდევ უფრო გაიზარდა იმდენად, რომ შენაერთის უფროსი ობერლენდერი, შეიძლება ითქვას, მას თავის მრჩეველადაც კი მიიჩნევდა.

მე აქ მსურს ჩემი მონათხრობის ერთი თავი გივი გაბლიანს დავუთმო.

გივი გაბლიანი

ერთ-ერთი ჩემი შეებულების დროს მიხეილ კედიას შევხვედი და მან მითხრა: "მიხეილ, შენ ხომ იცი, რომ მზადდება კავკასიური მაკავშირებელი შტაბის დაარსება, რაც ჩვენც და გერმანელებსაც ძალზე გამოგვადგება, რადგან ეს იქნება ჩვენი შეხვედრის ადგილი თითქმის თანაბარ მოკავშირეთა დონეზე". კედიას მიერ მომავალი შტაბის დახასიათება ზედმინევენით ზუსტია. საბჭოთა ტყვეების გამოყენების იდეა სულ სხვა პოლიტიკური მოსაზრებით დაიბადა, რაც ქართველთა შორის ნაკლებად ცნობილია. ასეთი ლეგიონების დაარსება გერმანელებს მარტო სამხედრო მოსაზრებით არ გადაწყვეტიათ. ამ ბატალიონებს მათ ოფიციალურ ქალაქებში ერქვა "Die Turkische Legionen" - რაც ნიშნავს "თურქ ლეგიონებს". ასეც დაიწყეს. პირველად აზიური წარმოშობის მაჰმადიანი ტყვეები შეადგენდნენ ამ ლეგიონებს. თუ რა განზრახვა უნდა ჰქონოდათ გერმანელებს, როცა ამ ჯარებს "ტურკიშე ლეგიონებს" ეძახდნენ, ამის შესახებ იქნებ გერმანულ საიდუმლო არქივებში მოიპოვებოდეს რაიმე ცნობები. ამაზე თავისტეხა ჩვენთვის უადგილო იქნებოდა. აქ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე ადრე, რაც ქართულ შეიარაღებულ ძალას შეეხება, გერმანელებმა "თამარა I-ის" რაზმის შექმნით დაიწყეს. ამისათვის მათ არც ემიგრანტული პოლიტიკური წრეებისათვის მიუმარ-თავთ, არც ოფიციალურად სადმე გაუხმაურებით ეს საქმე. ქართველთა მხრიდან მხოლოდ მიხეილ კედიამ იმუშავა ამ საქმისათვის. კედია, ნამდვილი სიტყვა უნდა ვიხმაროთ, თავიდანვე გერმანული კონტრდაზვერვის აგენტი იყო. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ამჟამად საბჭოელების წინააღმდეგ მოქმედებისათვის ამზადებდნენ "თამარა I-ს" და ეს ხდებოდა საფრანგეთის ტერიტორიაზე. მხოლოდ უფრო გვიან, ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დაიწყეს "ბერგმანის" მზადება, ხოლო "თამარა II-ის" რუმინეთში დაბანაკებულ ჯარისკაცებს ქალაქში

ქართულად ლაპარაკი აკრძალული ჰქონდათ და თავი ფრანგებად უნდა გაესაღებინათ. უცხო ძალთაგან საომარი ერთეულების შექმნას გერმანელები იმდენად უფრო აძლიერებდნენ, რამდენადაც მათი ფრონტზე მოქმედება თანდათან ძნელდებოდა. მთელი ამ საქმის წარმოებას გერმანულ მიწერ-მოწერაში სახელად ერქვა "ბლუტ შპარე", რაც ქართულად ნიშნავს "სისხლის გამოზოგვას" და პირდაპირ გულისხმობს საკუთარი სისხლის ნაცვლად სხვისი სისხლის დახარჯვას საკუთარი საქმისათვის. როგორც ხედავთ, აქ ცივი პოლიტიკური აზრია გამოთქმული.

ახლა ისევ მიშა კედისთან შეხვედრას დავუბრუნდეთ: "მიხილ, ამ შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსად რამდენიმე კანდიდატია დასახელებული - მეუბნება კედია. მე გაბლიანზე ვფიქრობ, შენ იმიტომ მოგმართავ, რომ გაბლიანს ჩემზე უკეთ უნდა იცნობდე, რას მეტყვი ამაზე?" მე ვუპასუხე, სხვა კანდიდატების სახელი ჩემთვის არ გითქვამს და არც მე გეკითხები, რადგანაც ის, რომლისთვისაც შენ უკვე მიგიგნია, რომ არ გვეპოვნა, მსგავსი კაცი უნდა გვეძებნა-მეთქი. ამ პოსტზე თითქოს სასურველი იქნებოდა ემიგრანტი ყოფილიყო, მაგრამ ყველა პრაქტიკული მოსაზრებით ასეთი რამ, თუმცა, ჩვენთვის სასურველია, გონიერებასა და ანგარიშსაც ხომ უნდა მოეუხმოდ-მეთქი. მაშასადამე, თუ ვიპოვიდით, ასეთი კაცი სწორედ ტყვეთაგან უნდა აგვერჩია და იმაზე უკეთესს, რაც შენ უკვე აგორჩევია, ვერც ვინატრებდით-მეთქი. ოჰ! ძალიან გამახარეო, მითხრა კედიამ. მე ვშიშობდი, რომ ემიგრანტებში მომხრეს ვერ ვიპოვიდი, შენზე უკეთესი მომხრე კი არც მჭირდებო. სხვა კანდიდატის სახელი მაშინვე არ გაუმხელია, მხოლოდ უფრო გვიან მითხრა, მიშა დადიანს ასახელებენ ზოგიერთებიო. მე ვუპასუხე, მიშა დადიანი, ალბათ, კარგი ოფიცერია, თავისი პოსტი უკვე უკავია და, მგონია, ამ პოსტს უფრო შეეფერება, ვიდრე იმას, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ-მეთქი. მოვლენებმა გვიჩვენა, რომ ორივე პიროვნება სწორედ იმას აკეთებდა, რასაც მათი ბუნება და შესაძლებლობა შეეფერებოდა.

გაბლიანი ოფიცერი არ იყო. მას სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ არც ემიგრანტთა შორის, არც ტყვეთა შორის, რომელთაც მე შევხვედრივარ, არავინ მეგულება, რომელსაც ასე კარგად შეესრულებინოს თავისი მოვალეობა, როგორც გაბლიანმა შეძლო. მე მგონია, რომ ეს მოხდა არც განათლების, არც დიდი სიბრძნის, არც ამ საქმისათვის სპეციალური ცოდნის წყალობით, არამედ ეს იყო მხოლოდ გაბლიანის ბუნების, როგორც მთიელის, მისი გარეგნობის, სითამამის, პირდაპირობისა და ამგვარ თვისებათა შედეგი. გივი გაბლიანი არ ეკუთვნოდა იმ ხალხს, რომელთაც ფრანგები "ინტელექტუალს" უწოდებენ. არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ მას ჰქონდა რაღაც ვეფხვისმაგვარი გაბედულება, პირდაპირობა, სიცქვიტე და სწრაფი მოსაზრების უნარი. იგი ოდნავ მსახიობიც იყო. მას შეეძლო ამაყი პოზის დაჭერა და ეს შენოდა კიდევ. იგი ხელოვნურად, უფრო ბოხი ხმით ლაპარაკობდა, ვიდრე მისი ბუნებრივი ხმა იყო. შენოდა, რადგან ვერ ხედებოდა, რომ ეს ხმა ხელოვნური იყო. მთელი ომის განმავლობაში ყოველდღე ვხედებოდი იმ გერმანელებს, რომელნიც

მის შესახებ ლაპარაკობდნენ. ყოველთვის გერმანელთა შორის ვანყებობდი გაბლიანისაგან მიღებული შთაბეჭდილებებით გამოწვეულ შურს. მარტო ეს ფაქტები საკმარისია იმის ასახსნელად, თუ როგორ მოხდა, რომ ეს ნატყვევარი კაცი გერმანულ ფორმაში ახლად გადაცმული, მეორე ადგილზე აღმოჩნდა ისეთ შენაერთში, სადაც ორი ათას კაცზე მეტი ირიცხებოდა და გერმანული მხედრობის საუკეთესო ოფიცრები იყვნენ სხვადასხვა პოსტებზე. გაბლიანს ისიც ეხმარებოდა, რომ მან მხოლოდ საყველპურო გერმანული იცოდა, რის გამოც მისი განათლებულობის ან ინტელექტუალობის შემონიშნებას გერმანულის ნაკლებად ცოდნაც შეელოდა.

ამგვარად ხდებოდა, რომ მთიელის ბუნებრივ ღირსებასთან ერთად მისი ზომიერი მსახიობობით დამატებული თვისებებიც გაბლიანს ყველას თვალში "ბერგმანის" სხვა ოფიცრებზე მაღლა აყენებდა.

ყოველივე ამას უნდა დაეუმატოთ, რომ იგი გულწრფელი პატრიოტი იყო. არასოდეს ივიწყებდა იმ წმინდა მოვალეობას, რომელსაც ასრულებდა. ყველაფერ ამის დასადასტურებლად მინდა ერთი სურათი აღვწერო: ერთხელ მთელი ბატალიონის წინაშე გაბლიანი შენაერთის უფროსს უახლოვდებოდა. ახლო მისულმა უფროსს სამხედრო სალაში მისცა, მაგრამ როგორღაც თავისი მარჯვენა ხელის თითები ნახევრად გაფანტულად მიიტანა საფეთქელთან. ქართველი ამ შემთხვევას თავის აგდებას დაარქმევდა, რადგან უმცროსის მიერ უფროსისადმი სალმის ასეთი მიცემა ხელის ისეთი მდგომარეობით, სადაც არასაკმაოდ გაშლილი ხელის ნეკი თითქმის ძირს იყო ჩამოვარდნილი, თუ მეტს არა, რალაც დაუდევრობას მაინც ნიშნავდა. ამ დროს კარგა შორს ვიდექი და ჩემ უკან გერმანელი უნტეროფიცრები იდგნენ. შეხედეთ, შეხედეთ, ისე იქცევა, თითქოს გენერალი პასუხობდეს თავის ხელქვეითს სალამზეო. ეს უბრალო დეტალია, მაგრამ ბევრი რამის მთქმელია ზოგი აუხსნელი მოვლენის ასახსნელად.

ეს ჩემი შეხედულება, მგონია დასტურდება იმით, რომ მწერალ გაბლიანს, ავტორს თავისი ნიგნისა, აღარ შეუძლია სხვა ვინმედ წარმოგვიდგეს, ვიდრე იგი სინამდვილეში იყო. გაბლიანმა შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა უკეთესად, ვიდრე ეს მოსალოდნელი და შესაძლებელიც იყო, და მთავარი ეს არის და არა ის, თუ რა იმალებოდა მისი ნიღბის ქვეშ.

"ბერგმანში" მოსვლისთანავე ჩვენ მიერ მოყვანილ ახალგაზრდათა ასეული უკვე ადგილობრივ არსებულ ასეულებში გაანაწილეს და ეს ისე განვიცადეთ, თითქოს მამებისათვის შვილები წაერთმიათ. ისინი ცალკე მეცადინეობდნენ, ხოლო ორმოციოდე ყოფილი ემიგრანტი ცალკე ოცეულად ჩამოაყალიბეს და ცალკე მეცადინეობდა. ამ ემიგრანტთაგან კიდევ ერთი ჯგუფი გამოყვეს, რომელთათვისაც ცალკე ოფიცრთა მოსამზადებელი ჯგუფი შექმნეს. ამათაგან ვეცდები ჩამოვთვალო, ვინც მახსენდება: მიხეილ დადიანი, ირაკლი კალანდარიშვილი, დავით ჭავჭავაძე, შოთა გედევანიშვილი, თემო თაქთაქიშვილი, მაღალაშვილი, იქნებ ორიოდე სხვაც. მე აქაც თარჯიმნად მოეხვედი და ბატალიონის შტაბის განკარგულებაში ვიყავი.

“ბერგმანთან” ჩვენი შეერთების პირველსავე თვეში გვესტუმრა გერმანიის კონტრდაზვერვის უფროსი – ადმირალი კანარისი. ჩვენი ერთეულის უფროსმა მას საპატიო მიღება მოუწყო. მისთვის გაიმართა “ბერგმანთან” არსებული განსაკუთრებული რაზმის მოქმედებათა და შესაძლებლობათა ჩვენება. კანარისის მიერ ჩვენი რაზმის მონახულება მეტად უნდა გაგვეკვირებოდა, როგორც მაშინ გაგვიკვირდა. მაშინ ისიც არ ვიცოდით, რომ “ბერგმანის” ერთეული მის მიერ იყო დაარსებული და ჩვენ მთლიანად კონტრდაზვერვის განკარგულებაში ვიმყოფებოდით. უფრო დანვრილებით ეს ამბავი ომის შემდეგ გავიგე, როდესაც კანარისის ბიოგრაფია წავიკითხე, სადაც აშკარად ნათქვამია, რომ კანარისი გერმანიაში გადატრიალების მოწყობას აპირებდა, რომლის დროსაც ბერლინის ნაცისტური გარნიზონი სწორედ მის განკარგულებაში მყოფ “ბერგმანს” უნდა შეეცვალა, მაგრამ ამაზე საუბარი ჩემს მოვალეობაში არ შედის.

ჩვენმა უფროსმა კანარისის ჩვენთან ყოფნის აღსანიშნავად გადანყვიტა, რომ ადმირალის დასწრებით “ბერგმანის” მიერ ახლად შეერთებულ ყოფილ “თამარა II-ს” საჭირო ფიცი დაედო. ტექსტი ფიცისა, რომელიც “თამარა II-ს” უნდა დაედო განსხვავებულია “ბერგმანის” აღრინდელი ფიცისაგან, მაგრამ უფრო გვიან, კავკასიაში ჩასვლის მერე, “ბერგმანის” ქართული ნაწილი ერთი-სამჯერ რომ გაიზარდა, ყველანი ამ ახალ ფიცსა დებდნენ. ტექსტი შედგენილია ობერლენდერის მიერ, მონაწილეობას ვიღებდით ვიქტორ ნოზაძე და მე. ჩვენ გვსურდა, ფიცში როგორმე აღნიშნულიყო, რომ ქართველები დამპყრობელი რუსეთისაგან გათავისუფლებისათვის ვიბრძოდით, ობერლენდერმა აგვისსნა და დავგარანმუნა, რომ ამის ასე აშკარად გამოთქმა შეუძლებელი იყო, რადგან პიტლერი თავისთავს კომუნისტური რეჟიმისაგან მთელი საბჭოთა კავშირის გამათავისუფლებლად თვლიდა. გერმანიის მიერ დაპყრობილი მთელი რუსეთის ტერიტორიაზე არიგებდნენ პიტლერის უზარმაზარ სურათს, რომელზედაც იყო წარწერა “Гитлер освободитель”.

ფიცის გერმანული ტექსტის თარგმანი, რომელსაც ქართველები იმეორებდნენ და რომელიც მე შევადგინე, შემდეგია:

„უნმინდეს ფიცსა ვდებ ღმერთისა წინაშე, რომ გერმანიის სამხედრო ძალების უზენაეს მბრძანებელ ადოლფ პიტლერს უპირობოდ ვემორჩილები და ჩემი სამშობლოს კომუნისტური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სიცოცხლის გასაწირად მზადმყოფი შევდივარ“.

ამ ფიცის შინაარსისათვის, ზოგადად უნდა ითქვას, ქართველ მეომრებს არ უღალატიათ. ცხადია, იყო მაგალითები ამ ფიცის დარღვევისა, მაგრამ ყოველი ასეთი შემთხვევა ხდებოდა მტრის აგენტების პროპაგანდის შედეგად. ყველაზე ტრაგიკულს, ამათ შორის, პოლანდიის კუნძულ ტექსელზე მომხდარი ტრაგედია წარმოადგენს. სწორედ ამგვარი უბედურების

თავიდან ასაცილებლად ვიყავი, როგორც ზევით აღვწერე ანგლო-ნორმანდიულ კუნძულებზე. პირველი, რის მიღწევასაც მაშინ ცვდილობდი, იყო, რომ ჯარისკაცებისათვის ამეხსნა ჯერ ლალატის სიმდაბლე და, მერე მისი თითქმის აუცილებელი დამარცხების გარდაუვალობა. მთელი ამ ეპოპეის შეფასების დროს უნდა ითქვას, რომ ქართველებს თავი არ შეურცხვენიათ და ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ყველა ქართულ ნაწილს შორის "ბერგმანელთა" წარსული შეიძლება ერთდროულად გმირულად და გონივრულადაც ჩაითვალოს.

ფიქრობ, ამგვარი წიგნისათვის ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიყვანო ზოგიერთი დოკუმენტი, სახელდობრ - სია "თამარა I-ისა" "თამარა II-ისა" და "თამარა II-სთან" ჩარიცხული ჩერქეზებისა. "თამარა II-ის" სია შეადგინა აკაკი შავგულიძემ. როდესაც მან ეს სია გადმომცა, იგულისხმებოდა, რომ ეს "თამარა II-ის" სია იყო, მაგრამ სინამდვილეში ეს არის სია პარიზიდან გერმანელების განკარგულებაში გაგზავნილი ხალხისა, რომელთა ოჯახებზე ზრუნვა შავგულიძეს ევალებოდა. ამ მხრივ იგი მიხეილ კედიას წარმომადგენელი იყო პარიზში. სიაში შეტანილია უკლებლივ ყველა, ვინც "თამარაში" იყო, მაგრამ არის რამდენიმე კაცი, რომელნიც სხვადასხვა ადგილზე იყვნენ გაგზავნილი, რაც შეეხება ჩრდილოკავკასიელების სიას, ისინი უკლებლივ "თამარა II-ში" იყვნენ.

მე ამ სიაში არა ვარ, რადგანაც ერთადერთი ვიყავი, რომელიც ბერლინიდან ვიყავი მოხალისედ ჩანერილი.

"თამარა I"

- | | |
|------------------------|---------------------------------|
| 1. ბახტაძე მიხეილ | 9. კაკულია ლეო |
| 2. ბეგიაშვილი იროდიონ | 10. კანკავა ალექსანდრე |
| 3. ბერძენიშვილი გიორგი | 11. კერესელიძე მათე (თარჯიმანი) |
| 4. ბურძგელია მიხეილ | 12. ივანიძე გიორგი |
| 5. გოგორიშვილი მიხეილ | 13. მალლაკელიძე შალვა |
| 6. გრიგოლია მიხეილ | 14. მიროტაძე გრიშა |
| 7. გაბუნია გიორგი | 15. მონიავა ვიქტორ |
| 8. აბაშიძე ზურაბ | 16. ხარისჭირაშვილი დათიკო |

კავკასიელები:

- | | |
|----------------------|-------------------|
| 1. ბესლევეი კასიმ | 6. ხალილოვი რუვატ |
| 2. ტრიანკოვი მუსალამ | 7. უაბაკოვი საიდ |
| 3. ბერეტკო ჯაბაგ | 8. მასლოვი მაკდუმ |
| 4. ჯანაევი გრიგოლ | 9. ოტპანოვი პატიშ |
| 5. აკულოვი კურგაკო | 10. ზასოხოვი (?) |

1. აბაშიძე სიმონ
2. აბაშიძე ალექსანდრე
3. აბაშიძე ზურაბ
4. აბულაძე გრიგოლ
5. ახელედიანი დიმიტრი
6. ამილახვარი ნიკოლოზ
7. ამირეჯიბი ნიკოლოზ
8. ასათიანი ივანე
9. ახელედიანი გიორგი
10. ასათიანი როლანდ
11. ბარამიძე გერმანე
12. ბედელაძე ნიკოლოზ
13. ბეგიაშვილი დიმიტრი
14. ბექაური თომა
15. ბერაძე ალექსანდრე
16. ბერეჟიანი შოთა
17. ბერეჟიანი სიმონ
18. ბერიძე გიორგი
19. ბესელია ლონგინოზ
20. ბოკუჩავა ნიკოლოზ
21. ბოლქვაძე მათე
22. შაკიაშვილი გიორგი
23. შალამბერიძე ვასილ
24. შანშიაშვილი გიორგი
25. შარაძე ფილიპე
27. შერვაშიძე ივანე
28. დადეშქელიანი ნიკოლოზ
29. დადიანი არჩილ
30. დადიანი მიხეილ
31. დათიაშვილი დიმიტრი
32. ჯაყელი კონსტანტინე
33. ჯაყელი ლევან
34. ჯაფარიძე ირაკლი
35. ჯავრიშვილი შალიკო
36. ჯიბლაძე ვალია
37. ჯიშკარიანი ზოსიმე
38. ჯორბენაძე ალექსანდრე
39. დონდუა ალექსანდრე
40. დონდუა ოთარ
41. ელიავა ბონდო
42. ელიავა იოსებ
43. ერისთავი ბიძინა
44. გაბუნია გიორგი
45. ლლონტი ვალიკო
46. გოდერიძე მიხეილ
47. გოცირიძე ნიკოლოზ
48. ლუდუმიძე დავით
49. დონდუა ლევან
50. გედევანიშვილი შოთა
51. გიორგაძე შალვა
52. გიგაური შალვა
53. გიგაური ივანე
54. გვაზავა ჯემალ
55. გვეტაძე გრიგოლ
56. გვეტაძე ვალერიან
57. ხომერიკი ვიქტორ
58. ინჯია შალვა
59. ინჯია გიორგი
60. ინჯირველი ვალიკო
61. ყორდანია გიორგი
62. კალანდაძე შალვა
63. კალანდარიშვილი ირაკლი
64. კახაბერი გიორგი
65. ყანჩელი ჯიბო
66. ყაზიშვილი ლუკა
67. ხიზანიშვილი შალვა
68. ქორჩაკიძე ხუზა
69. ხვედელიანი აფრასიონ
70. კორტავა ვიქტორ
71. ხუჩუკიძე ვლადიმერ
72. კილურაძე ალექსანდრე
73. კალანდარიშვილი დიმიტრი

- | | |
|----------------------------|-----------------------------|
| 74. კოსტავა ალექსანდრე | 100. ფალიაშვილი ივანე |
| 75. ხოჭოლავა კობა | 101. პაპუაშვილი ნესტორ |
| 76. კვარცხავა ნესტორ | 102. ფირცხალაიშვილი დავით |
| 77. კვიციანიშვილი აკაკი | 103. რუხაძე პოლიკარპე |
| 78. ლალიძე თორნიკე | 104. საბაშვილი მიხეილ |
| 80. ლომთათიძე დავით | 105. სანთელაძე გიორგი |
| 81. ლორთქიფანიძე გრიგოლ | 106. სარჯველაძე პავლე |
| 82. მაღალაშვილი სიკო | 107. სხირტლაძე დიმიტრი |
| 83. მაღალაშვილი გრიგოლ | 125. ტიტვინიძე ლევან |
| 84. მაყაშვილი ელიზბარ | 126. ციქვაძე გიორგი |
| 85. მაყაშვილი ედვარდ | 127. ნილოსანი ვალიკო |
| 87. მამულიაშვილი სტანისლავ | 128. ციციშვილი ზურაბ |
| 88. მაჭავარიანი ერასტი | 129. ნიეწივაძე გერმანე |
| 89. მელქაძე ალექსანდრე | 130. ცომაია ალექსანდრე |
| 90. მელქაძე ნიკიფორე | 131. ნულაძე ბაგრატ |
| 91. მგელაძე კონსტანტინე | 132. ნულაძე ტარასი |
| 92. მონიავა ვიქტორ | 133. ვაშაძე კოტე |
| 93. მჭედლიშვილი აბრამ | 134. ვაშაძე დათიკო |
| 94. ნადირაძე ირაკლი | 135. ვაშაძე პავლე |
| 95. ნოზაძე ვიქტორ | 136. ვახტანგაძე პიმენ |
| 96. ნოზაძე გიორგი | 137. ვაჩნაძე გიორგი |
| 97. ოდიშარია პეტრე | 139. ზედგენიძე ირაკლი |
| 98. უგრეხელიძე დიმიტრი | 140. ზალდასტანიშვილი ირაკლი |
| 99. ურუშაძე ავთანდილ | |

დავუბრუნდეთ გივი გაბლიანზე საუბარს

ომის დამთავრებიდან ათი წლის, თუ მეტის შემდეგ გაბლიანი საფრანგეთში ჩამოვიდა. მაშინ კიდევ ცოცხლები იყვნენ მრავალნი "ბერგმანის" შემადგენლობიდან. შევეცდები ჩამოეთვალო: ბიჭიკო და დუტული ახელედინანები (ძმები), ვიქტორ ხომერიკი, ირაკლი ჯაფარიძე, გოგი ჩხეიძე, პავლე ვაშაძე, გიორგი ნოზაძე (ვიქტორი, მისი ძმა მაშინ არგენტინაში იყო), ვანო ასათიანი, რეზო გოგიტიძე, გოგია ბერიძე, თემო თაქთაქიშვილი, ბიძინა ერისთავი და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთაც ველარ ვიგონებ.

ყოფილმა თანამებრძოლებმა სადილი გავმართეთ. გაბლიანს სიტყვები უთხრეს. მე გრძლად მოლაპარაკე არასოდეს ვყოფილვარ და მოკლედ ვუთხარი, გივი, როგორც შენ შენი მოვალეობა ღირსეულად დასრულე, ღმერთმა ქნას, იმ დროს, როდესაც საქართველოს პასუხისმგებელი შეილი დასჭირდება, იმ

ქართველს, რომელიც ამ ადგილზე აღმოჩნდება, ისე აესრულებინოს თავისი მოვალეობა.

ამ სიტყვების დაწერის შემდეგ ზედმეტი არ არის დაეუმატო, თუ რამდენად შორსა ვართ ჩემი მაშინდელი ნატურის ასრულებისაგან. კაცი, რომელიც დღეს საქართველოს სათავეში უდგას, მოკლებული არ არის უნარს და ნიჭიერებას ისეთი ქართველის როლი შეასრულოს, რომელსაც მაშინ ვნატრობდი, მაგრამ ამ კაცს ჯერ აკლია ნამდვილი ქართველობა, შემდეგ ნამუსი და არამცთუ შორს დგას იოტისოდენა მკსხვერპლის გაღებისაგან, არამედ უზომოდ შეპყრობილია ხარბი ეგოიზმითა და გამდიდრების სურვილით. ამასვე უნდა დაეუმატო, რომ არც ის კაცი, ვინც შევერდნაძეზე ადრე იყისრა საქართველოს მეთაურობა, ჩვენდა საუბედუროდ, სრულებით არ იყო აღჭურვილი იმ თვისებებით, რომელიც მაშინდელ მეთაურს მოეთხოვებოდა. ამის თქმის შემდეგ საჭიროა, ის სიკეთე მაინც არ დაეუკარგოთ, რაც ჰქონდა: ზვიადს საქართველო ნამდვილად უყვარდა.

"ბერგმანი" ყირიმში

"ბერგმანის" შენაერთი კავკასიაში ჩასვლის დროს მხოლოდ ერთი ბატალიონისაგან შედგებოდა. იყო ერთ-ნახევარი ასეული ქართული, ერთი ასეული აზერბაიჯანული და ერთიც — ჩრდილოკავკასიური. ბატალიონის უფროსი ობერლენდერი შეუდგა ბატალიონის გაზრდას. ამან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ სტალინგრადის დაცემის შემდეგ ყირიმში გადასული "ბერგმანი" სამი ბატალიონისაგან და ორი ცხენოსანი ესკადრონისაგან შედგებოდა. ამას ემატებოდა განსაკუთრებული რაზმი, რომელსაც სამთო მოქმედების სკოლა ჰქონდა გავლილი. ბატალიონის შტაბი მდებარეობდა ყირიმის ყოფილ მფლობელთა, იუსუპოვთა სასახლეში. ეს იყო საკმაოდ მოზრდილი შენობა, მაგრამ მთლიანად ხისაგან აგებული. ბატალიონები კი ყირიმის სამხრეთი ნაწილის სხვადასხვა სოფლებში იყვნენ დაბინავებულნი. ჩემი ასეული იდგა სოფელ ფოტისალაში, ხუთიოდე კილომეტრზე ბატალიონის ბინიდან, რომელსაც ერქვა კუკლუსი. ორ ესკადრონთაგან, არ მახსოვს ჩრდილოკავკასიური სად იდგა, მაგრამ ქართული ასეული სევასტოპოლის მახლობლად ბინადრობდა. ამ დროს "ბერგმანს" ესტუმრა მოხალისე ჯარების გენერალი. ერთ დღეს ბრძანება მომივიდა, ბატალიონის შტაბში გამოეცხადებულიყავი. თან უნდა მქონოდა ჩემი მუზარადი. ეს იმას ნიშნავდა, რომ რალაც ოფიციალური ცერემონია უნდა ჩატარებულიყო. ბატალიონში რომ გამოეცხადდი, მაშინ გავიგე გენერლის ჩამოსვლა. მას სამხედრო ჯილდოები უნდა დაერიგებინა. მოედანზე ჩაამწკრივეს ყველანი, ვისაც ჯილდო უნდა მიეღო. გავიგე, რომ გაბლიანი ძლიერ იყო შენუხებული, რადგან ესკადრონიდან დაბარებულები ჯერ არა ჩანდნენ, შედგენილი გეგმა კი ვერ დაირღვეოდა, რადგან გენერალი დანიშნულ დროს უნდა წასულიყო. ასე იყო თუ ისე, ჯილდოები დაარიგეს და ქართველთაგან ერთადერთი ვიყავი, რომელსაც გენერალმა ორი - პირველ და მეორე ხარისხის ჯილდოდან

- პირველი ხარისხისა დამიბნია მეკრძღუ. აქვე უნდა ვთქვა, რომ ეს იყო სპეციალურად კავკასიელთათვის შექმნილი ჯილდო. ზოგიერთ შემთხვევაში ამას გერმანელებსაც აძლევდნენ, მაგრამ მხოლოდ იმათ, ვინც კავკასიელებისაგან შემდგარ ერთეულში მსახურობდა. ამ დროს შევიტყვე, რომ ესკადრონიდან მოსასვლელ ქართველებს კიდევ უცდიდნენ, მაგრამ ცერემონია დასრულდა. ამის შემდეგ ჩემს ასეულში გზად მიმავალმა დავინახე, რომ ჩემკენ ცხენებს მოაგეღვებდა სამი მხედარი. ესენი იყვნენ: მიხეილ დადიანი, დავით ჭავჭავაძე და კალანდარიშვილი, სამივე ქართული ესკადრონიდან. რომ მომიახლოვდნენ, მათ ვუთხარი, ცერემონია დასრულდა, მაგრამ თქვენ მაინც უნდა მიხეიდეთ, რადგან დაბარებული ხართ-მეთქი. ახლაც არ ვიცი, მიიღეს თუ არა მათ თავიანთი ჯილდოები. რაკი ჯილდოებზე ვლაპარაკობ, უნდა ვთქვა, რომ სხვა ჯილდოც მივიღე, მაგრამ ეს იყო მესამე ხარისხის რკინის ჯვარი, თანაც არა ფრონტზე ყოფნისათვის, არამედ საერთო დამსახურებისათვის.

ამ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა ის, რომ "ბერგმანის" შენაერთი ასე ვთქვათ, დაიშალა ცალ-ცალკე ბატალიონებად. ობერლენდერი ბერლინში გაიწვიეს, რადგან მისი თანამდებობა უკვე აღარ არსებობდა. ეს მომხდარა იმიტომ, რომ მას ჰიტლერისთვის გაუგზავნია მოხსენება, რომელშიც იგი ჰიტლერის პოლიტიკას აკრიტიკებდა, და ის აზრი იყო გამოთქმული, რომ აღმოსავლეთის სლავები რუსეთის ჩათვლით, კულტურული ხალხია და მათი კოლონიებად გადაქცევა გაუმართლებელიაო. შემდეგ გავიგეთ, რომ ობერლენდერი საერთოდ ჯარიდანაც გარიცხეს.

ერთი განსაკუთრებული რამ შეეხო ჩვენს ასეულს. ეს ასეული გამორჩეულად მომზადებული იყო და იგი ეკუთვნოდა იმ კატეგორიას, რომელსაც "მძიმე ასეულს" უწოდებდნენ. მან მიიღო ბრძანება გაეგლო სპეციალური წვრთნა, რომ ფრონტზე გასვლისათვის მომზადებულიყო. ამგვარად, ჩვენ გავიარეთ სპეციალური წვრთნა სამხრეთ ყირიმში იმ მაღლობებზე, რომლებიც იალტას გადაპყურებს. ამ წვრთნის გავლის შემდეგ ასეული მზად იყო ფრონტზე წასასვლელად და როდესაც ჩვენ ჩრდილოეთისაკენ გავეშურეთ, სწორედ მაშინ მოხდა რუსეთის დესანტის გადმოსხმა, რომლის მოგერიებაშიც მთელმე "ბერგმანმა" დიდი მონაწილეობა მიიღო, ამ ბრძოლებში კი დავიჭერი.

ყირიმზე საუბრის დროს გამახსენდა ერთი ეპიზოდი, რომელიც ღირსია მოხსენიებისა. კავკასიიდან ქერჩამდე მოსული ჩვენი ბატალიონი სრუტეზე გადასვლას ელოდებოდა. ღამეს ვათევდი ერთ სახლში, სადაც მოხუცი ქალი ცხოვრობდა. იგი განსაკუთრებული სიყვარულით და სიმპათიით მეპყრობოდა. ამის მიზეზმა დამაინტერესა და ვკითხე, თუ რატომ იჩენდა ჩემ მიმართ ასეთ ზრუნვას. მან მიპასუხა, შვილო, შენი ხნის შვილი მყავს ჯარში და იმედი მაქვს, რომ იმასაც სხვა დედები ისე მოეპყრობიან, როგორც მე გეპყრობიო. მისმა სიტყვებმა საშინლად ამაღელვა, მაგრამ არ ვიცი რატომ, თავი შევიკავე და ჩემი აღელვება მისთვის არ გამიძახე.

ლეიტენანტი შუტტე

ამ ოფიცერს განსაკუთრებული თავი უნდა ეუძღვნა, რადგან მასთან თითქმის ფრონტზე ყოფნის მთელი დრო გვატარე. ფრონტზედაც ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათს დავიჭერით - იგი სასიკვდილოდ, მე - საკმაოდ მძიმედ, მაგრამ სიკვდილს კი გადავურჩი.

ჩვენი ურთიერთობა კავკასიის ფრონტზე გასვლისთანავე დაიწყო, რადგან მას დაევალა ქართული ბატალიონისათვის მეოთხე ასეულის შედგენა ადგილზევე ბანაკიდან გამოყვანილ ტყვეებისაგან. ეს მოხდა რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც მარტო დავრჩი ნოზაძისა და ვაშაძის სხვაგან გადაყვანის შემდეგ. ჩვენი მომავალი ასეულის შედგენის ადგილი წარმოადგენდა ფრონტის ზურგში რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ყოფილი სოფხობის რამდენიმე შენობას. ადგილი უწყლო იყო. გვექონდა მხოლოდ ერთადერთი ჭა, რომელშიც წყალი ოცი მეტრი სიღრმიდან უნდა ამოგვეღო. ასეულისათვის ამოსარჩევ ტყვეთა რიცხვი 150 კაცით უნდა განსაზღვრულიყო. ჩვენს განკარგულებაში კი 400 ტყვე იმყოფებოდა. ისინი, ვინც ჩვენ არ დაგვჭირდებოდა, სამუშაო ბატალიონების შესადგენად უნდა გაგზავნილიყვნენ. ამ მუშაობის დაწყებისას მე, უბრალო ჯარისკაცი, ასეულის უფროსის ოფიციალურ თარჯიმნად და მრჩევლად გადავიქციე. ჩემ გარდა ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ემიგრანტები — თემო თაქთაქიშვილი, სამა ტარასაშვილი, პავლე ვაშაძე, გოგია ბერიძე და კიდევ ერთი-ორი კაცი, რომელთა გვარი აღარ მახსენდება. ამ ასეულის შედგენა შინაურულად და თითქმის არაოფიციალურად მიმდინარეობდა და მათ გერმანული ფორმა მხოლოდ ორი თუ სამი თვის შემდეგ ჩააცვეს, მაშინ, როდესაც ჩვენ ფრონტის აღმოსავლეთ ნაწილში გადავინაცვლეთ — სოფელში, რომელიც ყალმუხთა სტეპის მახლობლად მდებარეობდა. ადგილი აქაც უწყლო იყო, მაგრამ ერთ ადგილას არტეზიული ჭა ვნახეთ, საიდანაც მილებით მუდმივად დიოდა მშვენიერი წყალი. ჩვენ მოეთავსდით სკოლის ყოფილ შენობაში, სოფელში ნაშოვნი ფიცრებისაგან სანოლები გავმართეთ. სკოლას გვერდზე ედგა სამზარეულო შენობაც, მაგრამ სახურავი და ჭერი რატომღაც აეყარათ, ხოლო შიგნით ყველაფერი მზად იყო სამზარეულოს მოსაწყობად. აზრად მომივიდა, რომ მეზობლად მდგომი რალაც მსგავსი შენობის კრამიტიანი სახურავი აქ გადმომეტანა. ორიგინალურად ჩაიფიქრე: ორივე შენობის ზომა ავიღე და აღმოჩნდა, რომ სიგრძე ამ შენობებისა თანაბარი იყო, მხოლოდ სიგანე 50 სმ-ით განსხვავდებოდა. კარგად დავათვალიერე, კიდევ გავზომე და მივხვდი, რომ გადატანა შესაძლებელი იყო. გადავიყვანე მთელი ასეული და ერთ საათსაც არ გაუვლია, მთელი კრამიტი, ერთი ცალის გაუტეხავად, შენობის გვერდით დავალაგეთ. ამის შემდეგ ხის ღირეები, რომლითაც სახურავი კედელთან იყო დამაგრებული, ლომებით მალლა ავნიეთ და გავათავისუფლეთ. მთელი ხის სახურავი დაუშლელად მალლიდან ჩამოვიღეთ, ასეულის მთელმა შემადგენლობამ მხარზე შეიძო და გადაუხურავ სამზარეულოს

ზევიდან მოვარგეთ. ნახევარ საათში ასეულმა შორს დატოვებული კრამიტები ისევ უვნებლად ახალ ადგილზე მოვიტანეთ. მეორე დღეს ეს კრამიტები ძველ სახურავს კვლავ ზედ მოვარგეთ და ასეულის მეცადინეობაც თავიდან დაიწყო.

აქ ყოფნისას ბოლოს და ბოლოს მივიღეთ გერმანული უნიფორმის გადაცმის საშუალებაც. სოფელში ერთი აბანო არსებულა. იგი უკვე კარგა ხანია უმოქმედოდ იდგა. აღმოჩნდა, რომ აბანოს საკმაო სანჯავიც ჰქონდა თავის სანყოფინში და გერმანელებთან ერთად გამიკვირდა, რომ ეს სანჯავი ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილ მზესუმზირის ჩენჩოს წარმოადგენდა. ამ ჩენჩოს ძაბრის მსგავს მონყობილობაში ნიჩბითა ყრიდნენ და ვინრო ღარით ღუმელში ექცეოდა. ცეცხლს ისეთი გუგუნი გაჰქონდა, იფიქრებდი, მაზუთის ღუმელიაო. აქ უნდა წაგვეყვანა ასეული. იქ თავიანთი რუსული ფორმა და ფეხსაცმელები უნდა გაეხადათ, ტანი დაებანათ და ტიტვლები ჩვენს ბინაში წამოსულიყვნენ სირბილით, ხოლო დატოვებული ტანისამოსი სამხედრო უწყებისათვის უნდა დაგვებრუნებინა.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ მეორე თუ მესამე დღეს უსიამოვნო რამ აღმოვაჩინეთ: ჯვარისკაცებს, რომელთაც იცოდნენ, თუ რა უნდა მომხდარიყო, თავიანთი, შედარებით ახალი ფეხსაცმელები სოფელში გაუყიდიათ და მათ ნაცვლად სოფლელების ჯღანები დაუტოვებიათ. ჩვენი ფელდფებელი საშინლად ბრაზობდა და ღრიალებდა, მაგრამ შუტტემ ეს ამბავი სიცილით მიიღო და ისიც დაუმატა, ამის გაკეთებასაც ხომ ჭკუა უნდა, ამას გერმანელები როგორ მოიფიქრებდნენო.

ჩვენ აქ სამიოდე თვე დავრჩით. აქედან ნალჩიკში გადავინაცვლეთ. აქ ასეული ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის შენობაში მოთავსდა. ასეულს პირველი სართულის ნახევარი ეჭირა, ხოლო ასეულის უფროსს მეორე სართულზე ჰქონდა ერთი დიდი ოთახი. ამ დღიდან დაიწყო ჩემი დაახლოება ლეიტენანტ შუტტესთან, რადგან მთელ თავისუფალ დროს მის ოთახში ვატარებდი.

შუტტე მაშინ 27 წლის იყო, მე კი — 36-ისა.

მიუხედავად თანამდებობით დიდი განსხვავებისა, ჩვენი დამოკიდებულება ისეთი იყო, თითქოს მე მისი დამრიგებელი ვყოფილიყავი. ქართველები ძალიან შეუყვარდა. ეს სრულებით არ იყო მოჩვენებითი სიყვარული, რადგან მართლა მოხიბლული იყო ქართველების გარეგნობით, ნიჭიერებითა და სიცოცხლის ხალისით. იგი ჩემს გასაგონად მათ გერმანელებს ადარებდა და ბევრ რამეში ქართველებს მოურიდებლად აძლევდა უპირატესობას. ამავე დროს მშვენივრად ხედავდა ქართველების ნაკლსაც, მაგრამ ამბობდა, ასეთ ნიჭიერ, სიმპათიურ და მრავალი სიკეთის მქონე ხალხს თავისი ნაკლიც ეპატიებაო. ნაკლად იგი მაშინ მხოლოდ დაუდევრობასა და თვითნებობას ხედავდა. თან უმატებდა ხოლმე, თვითნებობაც ვაჟკაცობის ნიშანიაო.


იმ პერიოდშივე ნალჩიკში გადმოვიდა ბატალიონის შტაბიც, რომელიც ზემოთ ნახსენებ იუსუპოვის სასახლეში ბინადრობდა.

აქ უნდა მოვიხსენიო, თუ რამდენად გულახდილი იყო შუტტე ჩემთან საუბარში. იგი სრულებითაც არ მალავდა თავის ანტიპიტლერულ განწყობილებას. პირიქით, სასტიკად აკრიტიკებდა პიტლერის პოლიტიკას და მიყვებოდა მის დამამცირებელ ანეკდოტებს, რომელთა არსებობა არც კი ვიცოდი, რადგან ისინი მხოლოდ იმ გერმანელთა შორის იყო გავრცელებული, რომელნიც ნაციზმს სრულებითაც ვერ ურიგდებოდნენ და მე, როგორც უცხოელს, საიდან მეცოდინებოდა მათი არსებობა?! მაგრამ ისეც ხდებოდა, რომ მე ვაკრიტიკებდი გერმანელებს, იგი კი, თუმცა არ მამტყუნებდა, მაგრამ ომთან დაკავშირებულ გერმანულ პოლიტიკას იცავდა ხოლმე. ჩვენი სადავო თემა იყო მათი ტყვეებისადმი დამოკიდებულება. ამ დავაში ზოგჯერ ორივენი მართალნი ვიყავით. მახსოვს, ერთხელ, როდესაც ვლაპარაკობდი გერმანული და ტყვეთაგან შემდგარი ჯარის წესების სხვადასხვაობაზე, შუტტემ შემნიშნა, ქავთარაძე, გერმანულ წესდებას რომ მივდიოთ, ერთ კვირაში მთელი ასეული სატუსალოში აღმოჩნდებაო. ეს სიმართლე იყო, რადგან გერმანელი ჯარისკაცები თუმც უმეტეს შემთხვევაში აბსოლუტურად თანაბარნი იყვნენ, მაგალითად, საკვების საკითხში, ზოგადი გერმანული დისციპლინა ისეთი მკაცრი იყო, რომ ქართველები მას ძნელად აიტანდნენ. ყველაზე მძიმე საკითხი ჩვენ შორის გერმანული პოლიტიკა იყო. მე ვსაყვედურობდი, რომ გერმანელები ჩვენგან სიცოცხლის განირვასაც მოითხოვდნენ, მაგრამ არაფერს გვეუბნებოდნენ, თუ რას ფიქრობდნენ საქართველოს მომავალზე. გერმანელი პროპაგანდისტები, რომელნიც დროდადრო ლექციებს გვიკითხავდნენ მოხალისეთა ნაწილებში, არასოდეს ეხებოდნენ ეროვნულ საკითხს და მე შუტტეს ვეუბნებოდი, თუნდაც სხვა რამეს აპირებდეთ, ჯობს, მოატყუოთ ხალხი და იმას შეჰპირდეთ, რასაც ქართველები ნატრობენ, ვიდრე მათ მედგარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდეთ, სრულიად უცოდინრებს იმისა, თუ რისთვის იბრძვიან. თქვენი ანტიკომუნისტური პოზიცია მათ არაფერს ეუბნება-მეთქი; რაც შეეხება ქართველებს, ჩვენ აქ კომუნიზმის დასამხოვად კი არ მოვსულვართ, არამედ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ვიბრძვით-მეთქი. ეს მესმისო, მიპასუხებდა ხოლმე შუტტე, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ არც მე მომწონს პიტლერის პოლიტიკა, მაგრამ ომის წარმოების დროს ამ საკითხზე ლაპარაკი პიტლერთან ვის შეუძლიაო?

ქართულ-გერმანული კავშირგაბმულობის შტაბი ბერლინში

ამ შტაბის დაარსება დასაწყისში მხოლოდ სამხედრო უწყებას მიეწერება, მაგრამ მისი ორგანიზების პერიოდში აღმოჩნდა, რომ ეს შტაბი მხოლოდ სამხედრო საქმეებით არ უნდა დასაქმებულიყო. ქართულ მხარეს, გარკვეულს ამ საქმეების კურსში, უნდოდა, რომ შტაბი სხვა ხასიათის პრობლემებსაც შეეხებოდა. ამის მისაღწევად გრძელი მოლაპარაკებები იმართებოდა, ერთი მხრივ, მიშა კედიასა და მეორე მხრივ, გერმანიის სხვადასხვა უწყებათა შორის. აქვე უნდა ითქვას, რომ

მიხეილ კედიას დიდი ნდობა ჰქონდა მინიჭებული გერმანელთა მიერ. ეს გასაგებია, რამდენადაც საერთოდ გერმანელებთან საქმიანი დამოკიდებულება ადრევე და ომის დამთავრებამდე მიშა კედიას ჰქონდა. მიხეილ კედიას თავდაპირველი დამოკიდებულება გერმანელებთან იმით დაიწყო, რომ მან გერმანული კონტრდაზვერვის დავალებით შეადგინა სადესანტო-საოპსტრუქციო სპეცრაზმი "თამარა I". ეს ხდებოდა რამდენიმე თვით ადრე, სანამ გერმანია რუსეთს შეუტევდა. ეს რაზმი ომის დაწყებამდე სამი დღით ადრე ჩავიდა ვენაში, ხოლო ომის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კვლავ მიშა კედიას ინიციატივით და ხელმძღვანელობით, პარიზიდან დაიძრა ორი ჯგუფი ქართველ მოხალისეთა, საერთო რიცხვით 140 კაცამდე. აქედან ჩანს, თუ ომის დაწყებამდე რამდენად ადრე ყოფილა დაკავშირებული მიხეილ კედია გერმანელთა კონტრდაზვერვასთან. ამ კავშირების წყალობით შეძლო მიშა კედიამ, რომ ამ შტაბმა თითქმის ქართული დროებითი მთავრობის სახე მიიღო, თუმცა ძლიერ შეკვეცილი უფლებებით. შტაბს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები: 1. წმინდა მხედრული განყოფილება; 2. პროპაგანდის; 3. სამოქალაქო; 4. საქველმოქმედო. შტაბში შედიოდნენ: მიხეილ კედია, გივი გაბლიანი, გიორგი მალალაშვილი, მიხეილ ალშიბაია. მიხეილ კედიას კავშირი ჰქონდა არა მარტო ვერმახტის, ე.ი. კანარისის კონტრდაზვერვასთან, ასევე ესესის დაზვერვასთანაც. მალალაშვილი ოფიციალურად პროპაგანდის განყოფილებას უწვლიდა. გაბლიანს სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელობა ევალებოდა, ხოლო ალშიბაია ყოველ დასახელებულ განყოფილებასთან იყო დაკავშირებული. მიშა კედიას დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული გერმანულ მაღალ საზოგადოებაში. სამოქალაქო განყოფილებას, რომელიც ვახსენე, ეხებოდა გერმანიის ტერიტორიაზე მყოფ ქართველ ემიგრანტთა და ჯარის გარეშე მყოფ ყოფილ ტყვეთა ყოველგვარი საქმეები. ოფიციალური ქალაქების, სამგზავრო ნებართვათა გაცემის გარდა, არსებობდა აგრეთვე სხვა საზრუნავი, უმეტესად საქველმოქმედო ხასიათისა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მონახულება და ზრუნვა სხვადასხვა ლაზარეთებში მოთავსებულ ქართველებისა. ეს რაც შეეხება ოფიციალურ მხარეს, მაგრამ შტაბი ცდილობდა და ნაწილობრივ ახერხებდა პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმასაც. ეს უკანასკნელი, საუბედუროდ, მარცხით რომ არ დამთავრებულიყო, ამ შტაბის დამსახურება ბევრად უფრო დიდ მოვლენად ჩაითვლებოდა, რადგან არსებობდა გარდა ქართული შტაბისა, შტაბები — აზერბაიჯანული და ჩრდილოკავკასიურიც, ხოლო ფაქტობრივად ყოველივე ამას მაინც ქართველები მეთაურობდნენ. ამ შტაბში ვმუშაობდი, მაგრამ ჩემი სამუშაო სამხედრო საქმეს არ გასცილებია, ამიტომ ამ შტაბის მუშაობის შესახებ დეტალებზე ვერ ვილაპარაკებ.



რამდენიმე ეპიზოდი

ჩემი ტაქსიზა მუშაობის პერიოდთან

შეხვედრა გეგეჭკორის ნაცნობ ვეჟილთან

პარიზის უზენაეს სასამართლოში მივიყვანე მგზავრი. იქვე ვილაც ვეჟილი ჩამიჯდა ტაქსიში. ვეჟილს იმიტომ ვამბობ, რომ თავისი ტოგა მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. გზაში გამომელაპარაკა, შემატყო უცხოელობა და ეროვნება მკითხა. როცა ვუთხარი, ქართველი ვარ-მეთქი, დაინტერესდა. მკითხა, ილამაზ დადეშქელიანს თუ იცნობო. მაინცდამაინც არ მესიამოვნა: ილამაზ დადეშქელიანი განათლებული კაცი იყო. პარიზში ვეჟილობდა, მაგრამ სამარცხვინო ზნე სჭირდა - ჰომოსექსუალი იყო. ამბობდნენ, ვილაც ლიბანელ ვეჟილთან მრუშობსო. მივხედი, რომ ჩემს მუშტარს თავისი კოლეგის ავანჩაფანი ეცოდინებოდა. ვუპასუხე, ვიცნობ, როგორ არა, ჩვენი ეკლესიის სამწყსოს გამგეობის წევრია. დიდი არისტოკრატიული ოჯახის ჩამომავალია. მის წინაპართა დინასტიის სათავე შორეულ წარსულში იკარგება, მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, დღეს ისინი გადაგვარების ზღვარზე არიან: მის ახლო ნათესაეებში ერთი მუნჯია, ერთი ქალი იმდენად მამაკაცობს, რომ პირველ მსოფლიო ომში კავკასიურ ცხენოსანთა დივიზიაში მოახერხა ჩარიცხვა, ხოლო ქალის ძმა, ფრიად კულტურული, უაღრესად თავაზიანი და სიმპათიური, პაჟთა კორპუსიდან გამოსული საიმპერატორო ჯარის ოფიცერი, გარეგნულად ულამაზესი მამაკაცი, ტანით და ღონით ნამდვილი დევეგმირი, ისეთი ქალაჩუნაა, რომ კაცს, რომელმაც სხვისი ხელით მამა მოუკლა და დედა ცოლად შეირთო, ყველაფერი შეარჩინა და როდესაც გასაბჭოების შემდეგ მამამისის მკვლეელი და დედამისი უცხოეთში გაიხიზნენ, იგი მათ თან გაჰყვა და ერთხანს მათთან ცხოვრობდა სტამბოლში.

ილამაზ დადემქელიანს ასეთი რამ არ ჩაუდენია, მაგრამ მასაც, მგონი საკმარისი ნიშნები აქვს დეგენერაციის. და ყოველივე ამას იმისთვის გვიამბობთ, რომ ამ ფრიად სიმპათიური ადამიანის სუსტი მხარის გამართლება თუ არ შემოიძლია, მიზეზი მაინც აგისხნათ-მეთქი.

ვექილი ცოტა ხანს დუმდა, შემდეგ თქვა: ჰო, რაც თქვენ გამაგებინეთ, ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ადამიანის ინტიმური მხარე "delicat" (ფაქიზი) რამ არის და მისი მონონება-არმონონება მხოლოდ თვით მისი საქმეაო. ამ სიტყვებზე ქსენოფონტე მომაგონდა, რომელიც დაახლოებით ასეთივე აზრს გამოთქვამს. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა, გეგეტქორს თუ იცნობთო.

ახლა კი ამოვისუნთქე. ვიფიქრე, ახლა უფრო მყარ ნიადაგზე ვდგავარ-მეთქი. „ვიცნობ, როგორ არა, იშვიათად მომხიბვლელი კაცია, ჩვენ ორივენი საქართველოს იმ პროვინციიდან ვართ, რომელიც თავისი განსაკუთრებულობით და წარსულით საქართველოსთან დაახლოებით იმ მიმართებაშია, როგორც პროვანსი საფრანგეთთან. მეგრული დიალექტიც ქართულის მიმართ ისეთ პოზიციაშია, როგორც პროვანსულია ფრანგულთან, მხოლოდ მეგრელებს თავიანთ ენაზე არასოდეს უნერიათ, გარდა იშვიათი ფოლკლორული ლექსებისა და ისიც მხოლოდ სასიმღერო ტექსტებია.

მამაჩემის სახლ-კარი და მამული, სადაც მე დავიბადე, მხოლოდ თხუთმეტიოდდე კილომეტრზეა იმ ადგილიდან, სადაც გეგეტქორი დაიბადა. იგი ახალგაზრდობისას რამდენჯერმე ყოფილა ჩვენს ოჯახში. მაშინ, ორი თუ სამი წლის ვიყავი. უფრო გვიან, მისი მინისტრობის ხანაში, როცა 14 წლის ვიყავი, იგი რამდენჯერმე იყო ტფილისში ჩვენს სახლში სხვა სტუმრებთან ერთად, მაგრამ აქ, ემიგრაციაში მასთან შეხვედრას მოვერიდე და თუმცა ქართულ კრებებზე ხშირად ვხვდებოდი, არასოდეს მითქვამს, თუ ვინ ვიყავი. ამის მიზეზი ის არის, რომ მე იმ პოლიტიკურ მიმართულებას ვეკუთვნი, რომელსაც მიაჩნია, რომ გეგეტქორი და მისი ამქარი — სოციალისტები ჩვენი ქვეყნის დამლუპველები არიან”.

შემდეგ მკითხრა: მართალია, რომ იგი გეგეტქორი კი არა, დადინია, რადგან ეპისკოპოსის შვილიაო? ელდა მეცა. ვუთხარი, ბატონო, თქვენ ისეთ რამეს მეთქითებით, რომ თავს ნებას ვაძლევ, კითხვა დაგისვათ, საიდან გაქვთ ეს ცნობა? თვითონ მითხრაო, მიპასუხა. სულ გავმრი და ვუთხარი, ჩემს ბავშვობის დროს ამგვარი რამ გამიგონია ქალების საუბარში და ეს ჭორიკნობა მეგონა. შემდეგ ამაზე არასოდეს მიფიქრია, ხოლო რაკი ამგვარ რამეს თვითონვე ლაპარაკობს, უნდა დავიჯერო-მეთქი.

მის ბინას ვუახლოვდებოდი. "დიდად ვწუხვარ, რომ უსიამოვნება მოგაყენეთ ჩემდა უნებურადო". არა, ბატონო, თქვენ რა გაქვთ სანუხარი, ან საბოდიშო-მეთქი, ვუპასუხე ვექილს.

“ზრუგი”

პარიზში, ლიონის სადგურთან, ორი ადგილია, სადაც მატარებლით ჩამოსული მგზავრები ტაქსებს ნახულობენ. პირველი და მთავარი თვით სადგურის უკან მდებარე მოედანზეა, ხოლო მეორე, უფრო მცირე, ცოტა მოშორებით, დიდროს ბულვარზეა, კაფე “ევროპეენ-ის” (ევროპული) პირდაპირ. როცა რომელიმე მგზავრი თავს ლიონის სადგურზე მიმაცვანინებდა, თუ სწორედ მატარებლის ჩამოსვლის დრო არ იყო, ე.ი. თუ დაუყოვნებლივ იქვე ვერ ვიპოვიდი მგზავრს, მუშტრის მოლოდინში ამ კაფესთან დავდგებოდი ხოლმე. ამ საქციელის მთავარი მიზეზი ჩვეულებაა. ამასთან, სხვა პრაქტიკული ხასიათის საბაბიც არის: კაფესთან გაზეთების კიოსკია, თუ მწყურია, დასალევიც იქვეა, თან ხუთი-ექვსი მანქანის ადგილია. ასე რომ, მხოლოდ რამდენჯერმე მიხდება მანქანის ამუშავება და წინ განევა მაშინ, როდესაც სადგურთან ასზე მეტი მანქანა იცდის და მაშასადამე, სანამ თავში მოვექცეოდე, ასჯერ წინ უნდა წავინიო. სხვა მიზეზებიც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

იმ დღესაც ვილაც მგზავრები მივიყვანე ლიონის სადგურზე და როდესაც ისინი გადმოვსხი, მანქანა კაფეს წინ დავაყენე. ნაშუადღევი იყო, სამი საათი იქნებოდა. გაზეთ “მონდის” ახალი გამოცემა ის იყო მოტოციკლისტმა კიოსკში მოიტანა. მეც მივედი და როგორც კი გამყიდველმა დასტა გადათვალა, ერთი ცალი შუიდან გამოვიღე, რომ თრევისაგან გაცრეცილი გაზეთი არ შემხვედროდა და საჩქაროდ ჩემს მანქანას მივაშურე, რადგან წინმდგომმა მძღოლებმა თავიანთი მანქანები წასწიეს და ჩემ უკან უკვე ორი მძღოლი ადგილს უცდიდა. გაზეთში მხოლოდ სათაურების გადაკითხვა მოვასწარი, როდესაც ორი კაცი მანქანას მოუახლოვდა. საქციელზე და მიხვა-მოხვრაზე ეტყობოდა, ფრანგები არ უნდა ყოფილიყვნენ. მანქანაში ისე უხერხულად ჩასხდნენ, რომ მძღოლის გამოცდილი თვალთ მაშინვე შევატყვე, მათ საამისო გამოცდილება არ ჰქონდათ.

“Champs Elysees”(ელიზეს მინდერები), — მოკლედ მითხრა ერთმა, რომელიც უფრო შავგვრემანი, დაბალი და ჩაფსკენილი იყო. ახლა კი მისმა ფრანგულმა გამოთქმამ დამარწმუნა, რომ არც ფრანგები იყვნენ და არც დასავლეთ ევროპელები, მაგრამ ფიქრის დროც არ დამცალდა, ერთმანეთს საკმაოდ ცუდი რუსულით დაუნყეს საუბარი და რა ახსნა უნდა, ჩემს ყურს ერთ-ერთი მოსაუბრის მშობლიური ლბილი მეგრული კილო როგორ გამოეპარებოდა. მაგრამ მეორე ვილაა, ნუთუ ვერ მივხვდები? ამაზე ფიქრში წასულს ახლა სხვა ენა მომესმა, მგონი, არაბულია, ამ ენაზეც ტაატიტ ლაპარაკობენ. ეტყობა, ეს ენაც ორივესთვის უცხოა. მე ჯერ ორივე საბჭოელი მეგონა, ამ არაბულმა გზა ამირია, თან ინგლისურ ტერმინებს ხმარობენ შიგადაშიგ საუბარში. ღმერთო, საიდან მოხვდა პარიზში ეს მეგრული კაცი, ან მისი თანამგზავრი ვინ არის?

საჭირო საქმეებზე საუბრობენ. ინვალიდების ხიდზე გავდივართ, იმ უბანს

ვუზლოვდებით, სადაც ისინი უნდა მივიყვანო. ხელსაყრელ შემთხვევას ვუცდი, რომ საუბარში ჩავეერთო. თითქოს ჩემს სურვილს მიმიხვდაო, ჩემმა მეგრულმა, დამტერულ ფრანგულ-ინგლისურით მთხოვა, რომ "ნიუ-იორკ სიტი ბანკში" მივიყვანო, რომელიც სწორედ ელისეს მინდვრებზე მდებარეობს.

მომავლენა, რომ შაბათია და პარიზში ამ დღეს ყველა ბანკი დაკეტილია. არც ვაციე, არც ვაცხელე და მეგრულად ვუპასუხე: „საბატონს ირი ბანკი კილე რირე, პატენი“ (შაბათს ყველა ბანკი დაკეტილია, ბატონო). ამით გამონეული რეაქციით რომ დავტყბე, რეტროვიზორში ჩემი მოსაუბრის სახეს შევცქერო, თითქოს ცხელი ღომი ყელში გადასცდაო, ჩაყლაპული ნერწყვი ყელში გაუჩრქდა და პირი დაალო. კიდევ კარგი, რომ მეორე მგზავრიც მეგრელი არ იყო, თორემ პოლიციელს გავჭყლელტი, რომელსაც ვიდრე მე სარკეში ვიხედებოდი, მკლავები გაეშალა და ჩემკენ ზურგმებრუნებით მდგომს გზა გადაელობა. უცნობმა დაბალმა მგზავრმა შიშისაგან ხელები თვალებზე მიიფარა, მივხვდი, რაც ხდებოდა და დავამუხრუჭე. პოლიციელი მუხრუჭის ხმაზე მობრუნდა. აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ამ ინციდენტმა ჩემს თანამემამულეს სულის მოთქმის დრო მისცა.

- დედაია, საიდან იცოდი, ბიჭო, მე რომ მეგრელი ვარ?

- ფეხებზე შეგატყვეთ, ნამდვილი ცხენოსნის ფეხები გაქეთ, - ვუპასუხე.

- რავა გეკადრებათ, ბატონო, ჩემი ფეხები თქვენი ზრუგის უკანა და რაფერ დეინახეთ? (ცხენოსნობა კი შეიფერა).

- არა, ის ვიზუბრე, მაგრამ იცით, მარტო „ზრუგიც“ საკმარისია. ამ სიტყვას ასე მეგრელის გარდა ვერაინ იტყვის საქართველოში კი არა, მთელ დედამიწაზე.

- ღმერთო, მომკალი ახლა, რავა, ეს სიტყვა ქართული არაა? მეგრულად ზრუგს ხუჯი ჰქვია, ბატონო...

აღმოჩნდა, რომ ეს ჩემი მგზავრები ბერიუთიდან იყვნენ ჩამოსულნი, სადაც მათ ექსპორტ-იმპორტის საზოგადოება ჰქონიათ საამხანაგოდ. ის მეორე ჩაფსკენილი მგზავრი ტფილისელი სომეხი ყოფილა. მის მშობლებს ჯერ კიდევ ბავშვი გამოჰყოლია და ამიტომ რუსული ცუდად იცოდა. ვიფიქრე: ვაჭრობაში შეამხანაგებული სომეხი და მეგრელი! ამით რა გაუძლებს, ალბათ, სულ მალე მათი ფირმა უდიდეს წარმატებას მიაღწევს-მეთქი. ამიტომ გაზეთებს გულდასმით ვათვლიერებდი ხოლმე. მათ შესახებ ვერაფერს წავანყდი ვერასოდეს.

იქნებ კარგი ამხანაგობა ვერ გასწიეს, ერთმანეთს „ზრუგიდან“ კომბინაციები უყვეს და ერთიცა და მეორეც მესამე კონკურენტმა გაანადგურა.

აი, თუ გსურთ ცხოველი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ არათუ "სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად", არამედ ეს სიკვდილი შეიძლება ბევრად უფრო მოულოდნელმა მიზეზმა გამოიწვიოს, ვიდრე, ვთქვათ, ოლეგისათვის მისი ცხენი იყო. აბა, სად ვინმე მეგრელის პარიზში ჩამოსვლა და სად ფრანგი პოლიციელის სიკვდილი, რადგან ცოტაც რომ დამგვიანებოდა ჩემი, ლინგვისტური ვარჯიშობა, მას საიქიოს გააგზავნიდა.

ომის შემდგომი ხანა საფრანგეთში

ომის შემდეგ წელიწად-ნახევარი იტალიაში დაეყავი. ეს უმთავრესად იმის მიზეზით იყო, რომ საფრანგეთში განუკითხავად გერმანელების ყოფილ თანამშრომლებს, ექვმიტანილ ხალხს წარამარა იჭერდნენ და ზოგჯერ პირდაპირ დასახვრეტად მიჰყავდათ. საყურადღებოა, რომ არსად და არასოდეს უცდია ახალ ხელისუფლებას, იმდროინდელ უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვი დაახლოებით მაინც დაედგინა. ლაპარაკობდნენ კი თათსობით ადამიანზე. როცა დაებრუნდი, მდგომარეობა უკვე დაწყნარებული იყო. ასე რომ, ამ მხრივ არავითარი უსიამოვნება არ შემხვედრია. ჯერ დავინწყე დროებით მუშაობა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ერთ ფრანგ მერძევესთან დავიწყე მანენის დამზადება. ამ ხელობაზე დავრჩი ათიოდე წელი.

პარიზის ქართულ სათვისტომოში ნელ-ნელა გაღვივდა ნორმალური ცხოვრება. მხედველობაში მაქვს ჟურნალების გამოცემა, ეროვნული დღესასწაულების ზეიმობა და ა.შ. ამ პერიოდში თვით საფრანგეთში ძლიერი აღმშენებლობითი მუშაობა დაიწყო. საფრანგეთი თანდათან სახეს იცვლიდა და ამერიკას ემსგავსებოდა. იმათთვის, ვინც ამერიკაში მოგზაურობდა ხოლმე, მაგალითად ჩემთვის, თვალნათლივ დასანახი იყო, საფრანგეთის ცხოვრების იერი რა ტემპით იცვლებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკაში დაბადებული სიახლენი ათი წლის შემდეგ საფრანგეთშიც ვრცელდებოდა. თუმცა ეს პროცესი დღესაც გრძელდება, მაგრამ ბევრად უფრო ნელი ტემპით, რადგან საფრანგეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე ამერიკისას თითქმის გაუსწორდა, თუმცა სიახლეთა უმეტესობა დღესაც იქიდან მოდის.

ზემოთ ნახსენები ჩემი მოგზაურობა ამერიკაში იმით აიხსნება, რომ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ამერიკაში გათხოვდა და მე რვაჯერ გადავეჭერი იქით და აქეთ ატლანტიკის ოკეანე. ეს ხდებოდა ზოგჯერ ყოველწლიურად, ზოგჯერ წელგამოშვებით. ამიტომ იყო, რომ მე თვალნათლივ ვხედავდი საფრანგეთში ამერიკანიზმის შემოსვლას და შემეძლო მისი ტემპის შეფასება.

დაახლოებით 60-65 წლის ასაკში შემთხვევით და თითქმის მოვალეობის გამო შევეუდექი ჟურნალისტობას. საქმე ისაა, რომ ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი — ელისე პატარიძე დაავადმყოფდა, შემცვლელი არავინ იყო და თანდათანობით ჟურნალის ხელმძღვანელობა პირადად მე დამეკისრა. ამ საქმიანობას ვუძღვებოდი, ვიდრე ძალი შემწევედა. 1991 წელს გამოიცა ჟურნალის უკანასკნელი ნომერი, ხოლო მის გაგრძელებას ხელი მოჰკიდა ჯანრი კაშიამ.

აქ ცოტა რამ უნდა აღვნიშნო ჟურნალის გამოცემის პირობებზე. იმ დროისათვის ქართული ემიგრაცია, რაც შეეხება უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ძლიერ შემცირებული იყო. ჟურნალის ჩვეულებრივი გზით დასტამბვისათვის საჭირო თანხები ჩვენ არა გვექონდა. სიძნელები იმით გადავლახე, რომ ამერი-

კიდან ჩამოვიტანე „ვარი ტაიპერის“ სისტემის, ამერიკაში უკვე მოძველებული საბეჭდი მანქანა. იგი სტამბაში ნაბეჭდი ასოების მსგავს ასოებს ბეჭდავდა. ამ მანქანაზე ვბეჭდავდი მე თვითონ თანამშრომელთა და ჩემს საკუთარ დასაბეჭდ მასალას, ხოლო გასამრავლებლად და ასაკინძად შესაფერის სახელოსნოებს მივმართავდი. რამდენიმე წლის შემდეგ ოთარ პატარიძის შემწეობით და მისი დის, გულნარას ფინანსური დახმარებით შევიძინეთ ქსერომანქანა. ამის შემდეგ ჟურნალის გამოცემა გაგვიადვილდა. ცოტა გვიან ჯანრი კამიამ, რომელიც ახლად ჩამოსული იყო ევროპაში, კომპიუტერი შეიძინა, რის გამოც ჟურნალის გამოცემა ძლიერ გაგვიადვილდა, მაგრამ ეს არ გავრცელებულა ჩემს ჯანმრთელობაზე და ხანდაზმულობაზე.

ეპილოგის სანაცვლოდ

მე პოლიტიკოსობა არც არასდროს მსურებია, არც არასდროს ვცდილვარ, პოლიტიკური გზით მევლო. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ თავს მუდამ ეროვნულ-დემოკრატიად ვთვლიდი, ორგანიზაციის წევრად ვითვლებოდი და კრებებზედაც დავდიოდი, არასოდეს არც ერთი კომიტეტის წევრი არ ვყოფილვარ, არც რამე თანამდებობა დამკისრებია. ამიტომ არა თუ ჩემს მოვალეობად არ მიმაჩნდა ამ საგანზე ვრცლად რაიმე მონაწილის დატოვება, არამედ ვფიქრობ, რომ უფლებაც არა მაქვს პრეტენზია განვაცხადო ამ პარტიის წარსულზე საპასუხისმგებლო ცნობებისა და მოგონებების დატოვებისა. კიდევ რომ მსურდეს, არასოდეს ახლო არ ვყოფილვარ პარტიის მუშაობასთან. მაშასადამე, ლოგიკურია, რომ ამ საკითხებზე მდიდარი ცნობები არც მომეპოვებოდეს.

1948 წელს, სპირიდონ კედიას გარდაცვალების შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაცია თითქოს არსებობდა, მაგრამ ორგანიზაციის სახელს იგი მხოლოდ ფიქციურად ატარებდა. იმ ფაქტმა, რომ იმ ხანებში დაარსდა "ახალი ივერია", რაც ორგანიზაციის მუშაობას შეეხება, ვერაფერი შეცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ "ივერიის" დაარსება უმნიშვნელო რამ იყო, ან ზედმეტ მოვლენას წარმოადგენდა. პირიქით, ეს იყო ჩვენება იმისა, რომ ომის დამთავრებამ ყველა ჩვენი ძველი იმედი გაანიავა. "ივერიის" ასეთ პირობებში გამოცემა ახალი იმედების დაბადების ნიშანსაც წარმოადგენდა. ეს შეხედულება იმიტაც გამართლდა, რომ "ივერიის" გამოცემა საბჭოთა კავშირის დანგრევამდე გაგრძელდა. ე. ი. ის, რაც ჩვენ გვენამდა — საბჭოთა კავშირის დანგრევის აუცილებლობა, მართალი აღმოჩნდა.

ჩემი არაპოლიტიკოსობის შესახებ აქვე თქმულის მიუხედავად, თუ ისე მოხდა, რომ "ივერიის" გაძლოდა მე დამეკისრა, ამ მოვლენის შესახებ მრავალჯერ დავწერე. ახლა ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ გარემოებამ მოიტანა. ჩემ მიერ "ივერიისათვის" ახალი მიმართულების მიცემა შესაძლებელია პოლიტიკური აქტი იყო, მაგრამ თუ

"ივერიის" ხელმძღვანელობა გარემოებამ მაიძულა, პატიოსნება მოითხოვდა, რომ ჟურნალისტის ის სტილი და პირდაპირობა მიმენიჭებინა, როგორც საჭიროდ თვითონ მიიჩნდა. "ივერიის" მიერ აღებულმა რადიკალურმა შეხედულებამ, მენშევიკების საქმიანობისადმი, ქართულ ემიგრაციაში საკმაოდ არასასურველი განწყობილება დაბადა. ეს არც მაშინ მინანია და არც დღეს ვნანობ, რადგან მენშევიკების, როგორც იდეოლოგიამ, ისე საქმიანობამ, წარსულში ჩადენილ უკულმართად წარმართულმა ქმედებებმა და მომავლისათვის ყოვლად უსაფუძვლო იმედმა მათი კვლავ დაბრუნებისა, მე იძულებული გამხადა, ყოვლად მოურიდებლად, კრიტიკულად შემეფასებინა მათი წარსული და მომავალი, რაც, თუნდაც იმითაც გამართლდა, რომ დღევანდელ საქართველოში მენშევიკთა მოტრფიალედ მხოლოდ ერთი მუჩაიძე აღმოჩნდა.

სხვა დროსაც აღმინიშნავს და დღესაც ვიმეორებ, რომ ჩემი თავი პოლიტიკოსად არ მიმაჩნია და "ივერიის" ხელმძღვანელობის განმავლობაშიც არასოდეს მიფიქრია, რომ პოლიტიკოსის როლს ვასრულებდი. ვემაყოფილებოდი იმით, რომ მხოლოდ პუბლიცისტის სახელით და უფლებით გამომეთქვა ყოვლად მოურიდებლად ჩემი შეხედულებები, რომლებსაც მრავალი ემიგრანტი იზიარებდა, მაგრამ ჩემსავით გულახდილად და პირდაპირად ჩემს აზრებს იშვიათად თუ უახლოვდებოდნენ თავიანთ საკუთარი აზრების გამოთქმის დროს. "პერესტროიკის", ანუ გარდაქმნის დასაწყისში მეც, ისე როგორც სხვებს, დიდი იმედი მქონდა, რომ ქართველები ამ მიმართულებას გონივრულად გამოიყენებდნენ და საჭირო დროს უწინარეს საქართველოზე იფიქრებდნენ, ვიდრე თავიანთი მმართველი ადგილების დაკავებაზე. საუბედუროდ, ეს ასე არ აღმოჩნდა.

საქართველოს მიერ თავისუფლების მოპოვების პირველი თვეებიდანვე, (რაც მე სხვებთან ერთად მახარებდა), შევამჩნიე, რომ ამ საქმეში წინა რიგში მოხვედრილი პიროვნებები და უპირველესად, ზვიად გამსახურდია, არასაკმარისი მოფიქრებით და ნაბიჯების გაანგარიშებით მოქმედებდნენ. მრავალ აქაურ ჩემს თანამემამულეს აკვირვებდა ჩემ მიერ საქმის ასეთი შეფასება. ზოგი მეკითხებოდა, ასე კარდინალურად რამ შეგაცვლევინა აზრი გამსახურდიაზე. მე ვუუბნებოდი, გამსახურდიასადმი ფრიად დიდი სიმპათიითა ვარ განწყობილი, მაგრამ მის საქციელში საქართველოსთვის გონებით მზრუნველ ადამიანს ვერ ვხედავ - მეთქი.

მაშინდელ დროს მიეკუთვნება ჩემი ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი ჟურნალ "ივერიაში" შაპრილის ტრაგედიის გამო, ხოლო რაც მას შემდეგ მოხდა, მე იმ მოვლენებზე უკვე არაფერი დამინერია, რადგან "ივერიის" გამოცემა შეწყდა. ახლა მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა: წინასწარმეტყველებას რომ თავი დავანებოთ, ის მაინც უეჭველია, რომ საქართველოსთვის ძლიერ სამწუხარო მოვლენების თავიდან აცილება, ნაწილობრივ მაინც, შესაძლებელი იყო.

ის მოვლენა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ მთელი სახელმწიფოს ეკონომიკა შეარყია, არივ-დარია და ქვეყანა ეკონომიკურ სიძნელეში აღმოჩნდა, მრავალთათვის იყო და არის გასაგები, რადგან 70 წლის განმავლობაში დამკვიდრებული ეკონო-

მიკური სისტემის დანგრევა და ახალი თაობისათვის საბაზრო ეკონომიკის აღდგენის სიძნელეც სრულიად გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, იმ პატარა საქართველომ თავის არცთუ ისე რთულ სახელმწიფო ქონებას რომ ვერ მოუარა და ქვეყნის ინდუსტრიალური შესაძლებლობები შავ ბაზარზე გაყიდეს კერძო პირებმა. ამ გაფანტულ სახელმწიფო ქონებაში ვგულისხმობ ელექტრონულ მანქანა-ხელსაწყოთა და სხვა ნაწარმთა თურქეთში გატანას ცალკე შემსყიდველების მიერ, იქ ჩალის ფასად ამის გაყიდვას და იქიდან მათი ახლობლებისათვის არც ისე აუცილებელი საჩუქრების ჩამოტანას, სახელმწიფოში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მდიდარი პარკის ჩალის ფასებში განიაგებას. ეს იყო სრული გაკოტრება სახელმწიფოსი. გამოდის, თითქოს პრივატიზაცია ყველამ ისე გაიგო, ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ყოველ პიროვნებას შეეძლო თავისად მიეჩნია და სახლში წაეღო. ეროვნული ქონების ამ საშინელი განადგურების წინააღმდეგ თითქოს ხმაც არავის ამოუღია. ამ მოვლენამ კიდევ უფრო აუტანელი და ძნელი გახადა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.

ბევრი, ბევრი რამის თქმა მსურს და შემძლო მეთქვა კიდევაც, მაგრამ ეს ვერ იქნება ჩემი წარსულის მოთხრობის თემა. ამიტომ მე ვეცდები მხოლოდ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ეპიზოდები გავიხსენო და ის მოვლენები აღვნიშნო და აღვწერო, სადაც, მეტად თუ ნაკლებად რაიმე მონაწილეობა მიმიღია. ეს ნაწყვეტები იქნება ქრონოლოგიურად არც იყოს დალაგებული, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. ამნაირი წესით მემუარების მსგავსი დოკუმენტის შედგენა მეპატიება, რადგან ეს სტრიქონები, რომელთაც ახლა ვკარნახობ ჩემს ძმისშვილ ნანას, დაბრმავებული, ოთხმოცდამეთოთხმეტე წელში გადამდგარი კაცის ნააზრევია.

2000 წელი

საქართველოს რესპუბლიკის დამსხვრევის ერთი მთავარი მიზეზთაგანი

როგორც ვიცით, საქართველოს შინაური მდგომარეობა თითქმის ნორმალური იყო. ყოველ შემთხვევაში, მას შიგნიდან არავითარი საშიშროება არ ელოდა. საშიშროება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ქვეყნის თავდაცვის საქმე სრულიად მოუწყობელი გვექონდა. ეს უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანას, ასე ვთქვათ, ორგვარი ჯარი ჰყავდა: ჩვეულებრივი და სახალხო გვარდიად ახლადწოდებული ყოფილი ნითელი გვარდია, რომელსაც ვალიკო ჯუღელი განაგებდა. იგი პირდაპირი მორჩილი იყო სახელმწიფო მეთაურის - ნოე ჟორდანიასი. ვალიკო ჯუღელი კომუნისტი იყო, თანაც რუსეთის მოტრფილალე. ჟორდანიას ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრებაზე მხარი დაუჭირა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა და მაშინ დაიწმინა ჯუღელი ნითელი გვარდიის მეთაურად. ჩვენი რუსეთთან ომის დროს, საქართველოს სულ 20 000-მდე მეომარი აღმოაჩნდა. ამ რიცხვის თითქმის 2/3-ს გვარდიელები წარმოადგენდნენ. ეს ჯარი მილიციის წესით იყო შედგენილი, ჯარისკაცებს იარაღი და ჩასაცმელი სახლ-

ში ჰქონდათ და საჭიროების დროს მათ რაიონული ცენტრის უფროსი შეკრებდა ხოლმე. ეს გვარდიელები უკლებლივ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებიც იყვნენ. საომარ მდგომარეობაში მყოფს, მხოლოდ ნაწილობრივ ჰყავდა პროფესიული ჯარის ოფიცრები, დანარჩენი კი ახალგაფიცებული პარტიისთვის სანდო მოქალაქეები იყვნენ. ყოველი სახიფათო ამოცანის მიღების შემდეგ ბატალიონთან არსებული პარტიული უფროსი წვეტდა, დაემორჩილებოდა თუ არა იგი მიღებულ ბრძანებას.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ. საქართველოს პარლამენტში როდესაც წყდებოდა საკითხი ორმაგი ჯარის უხერხულობის გამოსწორებისა, პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ ჯარი და გვარდია, ორივე სამხედრო მინისტრისათვის დაემორჩილებინათ. ეს ამბავი რომ ვალიკო ჯუღელმა გაიგო, საშინლად აღელდა. ახლა მე გადავდივარ თვით ვალიკო ჯუღელის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტზე. ეს არის საქართველოში რუსულ ენაზე გამოცემული მცირეტანადანი ნიგნი, სათაურით "მიმე ჯვარი". ეს ნიგნი შეადგენს ვალიკო ჯუღელის დღიურებს, რომელიც რუსულენოვან მენშევიკურ გაზეთში იბეჭდებოდა, როგორც ფრონტიდან მონერილი დღიურები. იგი იწყება იმ ეპოქით, როდესაც რუსი თეთრგვარდიელები უკვე მარცხდებოდნენ და მათი ზოგიერთი გადარჩენილი ნაწილი საქართველოში იხიზნებოდა განიარაღების შემდეგ. ამ დროს ჯუღელი თავისი გვარდიელებით აფხაზეთში იმყოფებოდა, გაგრის მახლობლად. იქიდან ფოთში ჩამოსული, ლაპარაკობს ფოთში მისვლისას ნახულ სურათზე. მას შორიდანვე შეუნიშნავს, რომ ფოთის ნავსადგურში იდგნენ გერმანული სამხედრო გემები, რომელთა ანძებზე გერმანული დროშები ფრიალებდა. ამის გამო იგი გამოხატავს თავის საშინელ აღშფოთებას, ხოლო ნაპირზე გადმოსვლისას გაუგია, მისი სიტყვებით შემადრწუნებელი ამბავი, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადაო. და უმატებს, ეს აუცილებლობა იყო თუ გამარჯვება წყეული ქართული ნაციონალიზმისა? "საწყალი საქართველო"- ამთაერებს ფრაზას ჯუღელი. არ დაგვიწყდეთ, რომ ეს სიტყვები თბილისში იბეჭდებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. უფრო გვიან, თავის დღიურებში, იგი ბედს უჩივის, რომ ნატრობს მოსკოვში იყოს, იქ, სადაც იღუპება რუსეთი, რომელიც ჩვენ გვზრდიდა და გვაპატრონობდაო.

ახლა კვლავ პარლამენტის გადაწყვეტილებას დავუბრუნდეთ. როდესაც ჯუღელმა გაიგო პარლამენტის დადგენილება, იგი საშინლად აღელდა და ჩივის: ეს ნიშნავს, რომ გვარდია გენერალიტეტს უნდა დაემორჩილოსო. არა, ეს არ მოხდება. მე თანამდებობას თავი უნდა დავანებო, დღიდან თავისუფალი ვარ და შემდეგ ვნახოთო. მეორე თუ მესამე დღით დათარიღებულ დღიურში ნათქვამია, რომ დადგენილება უარყოფილ იქნა და ჯუღელი თავის ადგილზე დარჩა.

ამ ამბის მიმდინარეობა და მათი ბოლო მშვენივრად აღწერილი გენერალ კვინიტაძის ნიგნში და თევზაძის მოგონებებში, რომელიც მე გამოვაქვეყნე ჟურნალ „ივერიის“ 32-ე ნომერში 1988 წელს, აგრეთვე მათიკაშვილისა და კვალიაშვილის მოგონებებში, რომლებიც ასევე დაბეჭდილია ზემოხსენებულ „ივერიაში“.



ახლა რაღა ვქნათ?

ივერია 33.1989

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
ამოიღე ხმაო,
ვინც მიყვარდა, გამითხოვდა,
ახლა რაღა ვთქვაო.

ჩვენ სატრფო კი არ გაგვითხოვდა – დედა დაგვიჩეხეს. ვტირით. ტირილსაც ხომ ბოლო უნდა ჰქონდეს. მერმე? მტრის სიძულვილი გულში ჩავიმარხოთ? ამით მტერს ვერას დავაკლებთ, ბოლმას კი შეიძლება ჩვენც თან გადავყვეთ. უმჯობესია, დაჭრილი დედის მოვლაზე ვიფიქროთ. გულში კი იმისი ხსოვნა ჩავიმარხოთ, რითაც დედისა წინაშე შეეცოდეთ, რომ კარგად ვერ მოვუარეთ: რაც მოხდა, ფატალური არ იყო...

ყოველივეს მტერს ნუ ვაბრალებთ. „სვავს ვინ ჰკითხავს, მძორს რად სჭამ, სვავო, რადა ხარ სვავიო“. არ მოველოდით? ოცდაათი წელიწადი საუკუნეები ხომ არ არის, რომ მაშინდელი ყლუტა დაგვეინწყებოდა? განა იმავე ხალხთან არა გვაქვს საქმე, განა იმავე ხალხის ტყვეობაში არ ვიმყოფებით?

ვისი და რისა იმედით ვეჭიდებით ურჩხულს, რომელსაც ვერ მოვერევით!

ავღანეთის მაგალითი ჩვენთვის არ გამოდგება. ამერიკა ავღანეთს არც სიყვარულისათვის, არც პრინციპთა ერთგულებისათვის, არც სამართლიანობისათვის არ დახმარებია. არამედ – იმიტომ, რომ ავღანეთში რუსთა ფეხის მოკიდება, რუსეთის მხარაზე გადახრიდა მსოფლიო ძალთა წონასწორობას, ხოლო რუსეთმა ამერიკის მიერ ომის გამოცხადების შიშით კი არ დაიხია, არამედ იმიტომ, რომ ამერიკელთა დახმარების გზების გადასაჭრელად პაკისტანიც უნდა დაეკავებინა. ასეთი რამ კი, ჩინეთსა და ინდოეთსაც ამერიკის მხარეზე დარაზმავდა.

სულ სხვაგვარია ჩვენი მდგომარეობა: უპირველესად, დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული „სტატუს კვო“, გეოგრაფია, შინაური ეთნიური პრობლემა, რი-

ცხოვრივი სისუსტე და ურჩხულის კლანჭებში იმგვარად ყოფნა, როდესაც გაბრძოლება კი არა, ყოველი ნებადაურთველი მოძრაობაც, მტრისა, კლანჭების უფრო ღრმად ჩასობას იწვევს ქვეყნის შიშველ სხეულში.

ამ მდგომარეობამ უნდა შეგვაძენინოს უნარი ზოგ იმ თვისებათა გამოყენებისა, რომელნიც ჩვენს ხასიათში სუსტად არის წარმოდგენილი: მოთმინება, სიფრთხილე, წინაგანჭვრეტა, ანგარიშიანობა და გარჩევის უნარი ჩვენს თანამემამულეთა შორის გონიერ მრჩეველებისა მჩხავანა კატებისაგან.

ეს მჩხავანები გაიძახიან: მე პირველმა დაიწყე და მე უნდა დამიჯეროთ და გამომყვეთო. ის ბავშვიც პირველი არ იყო, რომელმაც თავისი გულუბრყვილო უშიშროებით პირველმა თქვა: მეფე ტიტველიაო? განა იგი ყრმა უნდა დაესვათ სამეფო ტახტზე? მებუკენი, მენალარენი, აგიტატორები თავიანთ ადგილზე საჭირო ხალხია, მაგრამ ვაი მათ, ვინც ამ ხალხს წინამძღოლად მიიღებს და გაჰყვება.

რა მოჰყვა საერთაშორისო მასშტაბით 9 აპრილის ჟღელვას, რომელმაც თემურ-ლენგის ხსოვნა გააცოცხლა: ჟურნალისტებმა სენსაციური „საკენკი“ იპოვეს და ორიოდე დღე მას კენკავდნენ ახლის მოლოდინში. და აი, ინგლისში ფეხბურთის მოედანზე მომხდარმა ამბავმა შეცვალა ტფილისის ტრაგედია – ინგლისში მსხვერპლთა უფრო დიდი რიცხვი გამოქვეყნდა, ვიდრე ტფილისში. ცოტათი უფრო გვიან, ამჟამად სენსაციის ძებნის გარეშე, აღშფოთების, თანაგრძნობის და მომხდარის ახსნის მცდელობის შემცველი კომენტარები დაიწერა. ამერიკის ადმინისტრაციამ (მთავრობამ) კი „დაიჯერა“ და მიიღო რუსული ვერსია: დემონსტრანტთა შემოტევისაგან დაიცვა თავი ჯარმაო. ანუ – ცხვრებმა მგლები დაკბინეს და მგლებმა თავი დაიცვესო. იქნებ ამერიკელები კიდევ მიუბრუნდნენ ამ საკითხს, სხვადასხვა სიტყვიერი კინკლაობისას. რუსთა „არალოიალობის“ სამზილებლად. ეს არც ჩვენს ჭრილობას განკურნავს, არც ჩვენი გათავისუფლების საქმეს წასწევს წინ და კიდევაც საქმის წინწამწვეი იყოს, ასეთი მოქმედება, იგი საბჭოთა საპრობილემო მყოფ ერებს გამოადგება ერთად აღებულს და არა — კერძოდ, მხოლოდ ჩვენ. გვაქვს ჩვენ ასეთი „სიუზვის“ გამოჩენის უფლება? ნუთუ ყველაზე მრავალრიცხოვანი ვართ, რომ პირველებმა გავიღოთ სისხლი საერთო საქმისათვის. ან იქნებ ქართული სისხლი უფრო იაფია? უცნაური რამა გეჭირს ქართველებს: პიროვნულად საკმაოზე მეტად ეგოისტები ვართ. ეროვნულად კი, ეგოიზმის ნატამალიც არ გავგაჩნია. არადა, გარკვეული დროით ეგოიზმიც აუცილებელია – თუნდაც გადარჩენისათვის.

ჩვენს ჟურნალში უკვე დაიწერა, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევა ჩვენ არ შეგვიძლია, ხოლო საბჭოეთის ერებმა, ასეთი რამის გაკეთება რომ ერთად მოინდომონ, ჩვენ ნება არა გვაქვს, წინა პოსტზე გავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა.

დღეს კი, ჯერჯერობით ის უნდა ვაკეთოთ, რის გაკეთებაც შეიძლება და შეგვიძლია. ამის საშუალებას თვით გორბაჩოვის ინიციატივა იძლევა. იჭვებმა და მსჯელობამ იმაზე, თუ რამდენად გულწრფელია გორბაჩოვი, ჩვენი მოქმედების

ხასიათი არ უნდა შეცვალოს, უნდა ვიმოქმედოთ იმ მიმართულებით, საითკენაც სვლა და მოქმედება შეიძლება. არც უძრაობა, არც ციხის კედელზე მიხლა თავისა! „გარდაქმნიდან“ უნდა გამოვიყენოთ ყოველი ჩვენითვის სასარგებლო შესაძლებლობა და ასეთი რამ უეჭველად არსებობს. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ჯერ კი, მოთმინება უნდა მოვიკრიბოთ და თანაც მიმოვიხედოთ. ჩვენი თავი სხვისაზე უფრო ჭკვიანი ნუ გვგონია, მითუმეტეს — პოლიტიკაში. ბალტიისპირეთის ქვეყნების საქციელსაც დაუუკვირდეთ. რა დიდი განსხვავებაა? იქ პარტიულები, მთავრობა, არაფორმალური ჯგუფები და ხალხი ერთი პირით ლაპარაკობს. საკუთარ კანონთა გამომუშავებით იბრძვიან. ჩვენ კი, თითქოს სამოქალაქო ომისთვის ვემზადებით და არა — შინაური შერიგებისა და გაერთიანებისათვის. გიჟობა არ იქნება, სამას ოცდაათი ათასი ქართველი კომუნისტი გასაკიცხავ ხალხად მივიჩნიოთ? ეს რიცხვი, ოჯახთა წევრების ჩათვლით, ქართველობის მეოთხედს ხომ მაინც შეადგენს. რა უნდა გააკეთოს იმათ გარეშე საქართველომ — ან დღეს, ან მომავალში. ეს ხალხი ხომ მეტწილად თავისი უნარიანობის მიხედვით არის პარტიაში — ზოგი მიღებული, ზოგი თითქმის იძულებით შეყვანილი.

საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გაყოფამ გადაუტეხა ხერხემალი თერგდალეულთა მოღვაწეობით მიღწეულ ეროვნულ აღორძინებას, როცა მესამე დასმა (სწორედ ასი წლის წინათ) ქართულ თავადაზნაურობასთან ბრძოლა დაისახა თავის უპირველეს მიზნად, რითაც, პრაქტიკულად, მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას ხალხი მოამორა. ნუთუ მაშინდელი საბედისწერო შეცდომა უნდა გავიმეოროთ.

ყველა შესაძლებელი ვარაუდის მიხედვით, ჩვენი საკითხის გადწყვეტის დღე სახვალთ არ არის. და ამ დროის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს, თუ რეალისტები ვიქნებით და არა მეოცნებენი. ჩვენ კი, აქამომდე მხოლოდ ისეთი ხალხის შთაბეჭდილებას ვტოვებთ (უცხოელებზეც), რომელიც თავის სურვილებსა და მოქმედებაში ხშირად ლალატობს რეალიზმს და ლოგიკასაც.

ქართული საზოგადოება, კარჩაკეტილად ცხოვრებისა გამო, ბევრ რამეში ცდება ჩვენი მდგომარეობის შეფასებაში. ერთი ასეთი შეცდომათაგანია, როცა გვგონია, რომ განათლებით მონინავე ქვეყნებს გაუუტოლდით. განათლებულთა რიცხვით ვამაყობთ, ხარისხი კი ნაკლებად გვაინტერესებს. საკითხი რომ გავაშიშვლოთ, აი, რა სურათია: ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები რუსეთისაზე უფრო დაბალხარისხოვანია; რუსეთისა კი, თავის მხრივ, ბევრად ჩამორჩება დასავლეთისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ ქართულ სახელმწიფოს მხოლოდ „წუნდებული“ კადრებილა ჰყავს — განსაკუთრებით ეკონომიკასა და წარმოებაში. ეს ჩამორჩენილობა საშინელ სიძნელეებს შეგვიქმნის, თუ ერთ დღეს ჩვენი თავის ამარად დავრჩებით. იმ ეკონომისტებისა და ტექნიკოსების მეშვეობით, რაც ჩვენ დღესა გვყავს, ცხოვრების იმ დონესაც ვერ შევინარჩუნებთ, რომელიცა გვაქვს. წინსვლა ხომ სრულიად გამორიცხულია.

დღეს ჩვენს რესპუბლიკას უფლებრივი და მატერიალური საშუალება აქვს, ან

სულ მალე ექნება, ამ საქმის გამოსწორებისა. ახლაც უნდა ვიზრუნოთ და შერჩეული სტუდენტები და დიპლომიანებიც დასაელურ მაღალ რეპუტაციის მქონე სასწავლებლებში გავაგზავნოთ. დრო კიდევ არის. იქნებ კარგიც იყოს, რომ დრო კიდევ არის, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დროს გამოვიყენებთ.

სხვა გასაკეთებელ საქმეთა ჩამოთვლაც შეიძლება, მაგრამ მათ შესახებ ჩვენ-შიაც საკმაოდ იწერება. საქმეს კი ჯერჯერობით პირი არ უჩანს. არც ჩვენი ინტელიგენციის გონიერ წარმომადგენელთა ბრძნული დარიგება არ ესმის საკმაოდ მათ, ვისაც უნდა ესმოდეს. ხალხი სხვა ციებ-ცხებლებით არის შეპყრობილი. გულუბრყვილო ენთუზიასტებს ჰგონიათ, საქმეს მერე გავაკეთებთო. ახლა კი თავისუფლების მოპოვების დღე დადგაო. ოცნება უფრო ადვილია, ვიდრე საოცნებოს განხორციელება!

თავისუფლება, როგორც ფილოსოფიურ-მორალური ცნება ერთი რამ არის, ხოლო, როგორც ყოფიერება, სულ სხვა რამეა. ზოგს იგი ისე აქვს, რომ არც კი იცის (მაგალითად, ამაზონის ჯუნგლებში გაბნეულ ინდიელთა პანანინა ტომებს, რომლებსაც დროდადრო ახლაც პოულობენ). ცივილიზებულ ხალხთა, ერთა და სახელმწიფოთათვის კი, თავისუფლება პირობითი, სხვადასხვა ხარისხოვანი და სხვადასხვა საჭიროების ან გამოყენების საგანია – სხვადასხვა გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიის და კულტურულ განვითარების დონეთა მიხედვით. იქ, სადაც თავისუფლებით სარგებლობას დაბრკოლებები ელობება, მისი მოპოვება თუ შენარჩუნება იმავე კანონებს ემორჩილება, რომელთაც – უმარტივესი მეურნეობა: ხვანა, თესვა, მკა, ლენვა, ჭირნახულის დაბინავება. მისი ხარჯვის დაგეგმვა, თესლის შემონახვა და ყოველივე ამის დაცვა ყველა ჯურის საშიშროებისაგან და სხვა... ვინც ამ ყოველი ნორმალური ადამიანის მიერ ცნობილ კანონს ივიწყებს და თავისი მოქმედების საფუძვლად არ დაიდებს, იგი თავისუფლებას კარგავს, ან ვერ დაიბრუნებს, თუ ადრე ჰქონდა და დაკარგა.

ფილოსოფია ამბობს, ყოველი ერი თავისუფლების ღირსიაო. ცხოვრება კი ზემოთნახსენები კანონის არმიმდევრებს თავისუფლებას ართმევს და მათ შესახებ ამბობენ საშინელ სიტყვას, თავისუფლების ღირსი არ არისო.

საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ დიქტატორული რეჟიმით მართული სახელმწიფოა. გორბაჩოვი ცდილობს, „განათლებული დესპოტის“ როლი ითამაშოს და სამართლებრივი სახელმწიფოს სახე მისცეს ქვეყანას. ამას კი უეჭველად თავისუფლებისაკენ მივყავართ. ჩვენ, ბუნებრივია, ამ პროცესის არასაკმაო სიჩქარეს ვუჩივით, მაგრამ დაეუფიქრდეთ: თუნდაც გორბაჩოვის გულწრფელობაში ეჭვის შეტანის გარეშეც, გონიერია თუ არა მეტი სიჩქარის მოთხოვნა. შეუძლია თუ არა გორბაჩოვს პროცესის დაჩქარება, რამაც შეიძლება ან იმპერიის დამშლელი რევოლუცია, ან იმპერიის დაშლის თავიდან ამცილებელი სამხედრო გადატრიალება გამოიწვიოს. რა გარანტია გვაქვს, რომ რევოლუციას ჩვენი თავისუფლება მოჰყვება და არა უფრო მკაცრად დამონება შოვინისტური სამხედრო რეჟიმის მიერ.

ჩვენ მხოლოდ ორი შესაძლებლობა გვაქვს. პირველი: გავყვეთ გარდაქმნის პროცესს. თავი ისე დავიჭიროთ, თითქო მისი მთლიანად გვეჯეროდეს და რუსებს შიში გავუქროთ, რომ ასე თუ ისე, ჩვენ რუსეთთან ყოფნა არა გვნაშს.

მეორე შესაძლებლობა იქნება – განვაგრძოთ წინააღმდეგობა და ობსტრუქცია, რაც ნამდვილი სიგიჟე იქნება.


ქართველები ჩვენი მოუთმენლობის გამო, იმდენად ვიხიბლებით ადვილი და მოკლე გზის არჩევით, რომ თავსაც არ ვინუხებთ, ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს მოქმედებას, რასაც ჩვენს ისტორიაში მრავალი მარცხი და ტკივილი მოუტანია ქვეყნისათვის.

დღესაც იგივე გრძელდება. მდგომარეობა კი საბოლოო კატასტროფას გვიქადის, თუ გონზე არ მოვედით. საქართველო არასოდეს ასე უძლური, დამცირებული და თავდაცვის უნარს მოკლებული არ ყოფილა თავის ისტორიაში. არასოდეს იგი თავის მეზობლებთან პროპორციულად ასე მცირერიცხოვანი არ ყოფილა. ყოველი ახალი მცდარი ნაბიჯი ახალი დასუსტების გამომწვევია. მხოლოდ დიდი სიფრთხილე, გონიერების მოხმობა და სერიოზულად მოფიქრებული პოლიტიკის მიღევაა გადაგვარჩენს. ჩვენ კი ისეთნივე ვრჩებით, როგორნიც ვიყავით. შევიგნოთ, რომ ჩვენს ხასიათში მრავალი საშიში თვისება გვაქვს, რომელთა დანახვის დრო საშურია.

ცივ და ლაკონურ, თითქმის მკვახე სტილით დაწერილი ამ წერილის ოთხმოცდასამი წლის ავტორს შეეძლო ეს წერილი სხვა სტილით და უფრო დალაგებულადაც დაენერა, მაგრამ დამალა ეგზომ უზომო და უდროო პოეტიზმმა და არტისტიზმმა. დამალა. დამალა ცქერამ იმისა, თუ როგორ იღებს ჩემი ქვეყანა სახეს ერთი დიდი თეატრისა, რომლის სცენაზეც შერევილები რეჟისორობენ დადგმას საქართველოს ტრაგედიისა. დამალა და ნაღვლიანი სასონარკვეთის გამომწვევია, რომ ილიას „აღდგომა“ მხოლოდ გულში და არა გონებაში ხდება იმ ახალგაზრდობისა, რომელსაც პატრიოტიზმის ნაკლებობას ვერ ვუსაყვედურებთ. გარნა თეატრალური და სპექტაკლური იერილა რჩება ილიას თაყვანებისა, როცა არავითარ ცდას ადგილი არა აქვს ილიას სწავლის შეგნებისა და მისი მეთოდის მიბაძვისა თანამედროვე ახალგაზრდობის უმრავლესობაში.

ალარც ტირილი ძალმიძს. მთელი ჩემი, ან უკეთ, ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, ჩემი სამშობლოს უბედუროების ცქერამ ტირილის უნარიც წამართვა. ჩემს პასაკს მიღწეულს უკვე იმედის შენარჩუნების საფუძველიც არა მაქვს სამშობლოს თავისუფლების ხილვისა, მაგრამ თვით სასიკვდილო სარეცელზე მწოლსაც ღმრთის იმედი მექნება – რომ ღმერთი, ვისზედაც ამბობენ, გიჟების მფარველიაო, კვლავ გადაგვარჩენს, კვლავ გვიშველის, მიუხედავად ქართველთა მიერ მრავალგზის გამეორებულ თვითმკვლელობის ცდისა. იმედი გამყვება, რომ იგი კვლავ გადაარჩენს საქართველოს ვით მრავალჯერ გადაურჩენია.

ნერილეზი



პრეზვარ ტურიზმის შესახებ

ივერია 11.1963

უკანასკნელ წლებში საბჭოთა რეჟიმმა იმდენად გააადვილა ტურისტული ვიზების გაცემა, რომ პოლიტიკურ ემიგრანტებსაც კი საშუალება აქვთ საბჭოთა კავშირში იმოგზაურონ და უკანვე დაბრუნდნენ; ამ მდგომარეობით, სხვადასხვა პასაჟის, ჩვენმა თანამემამულეებმაც ისარგებლეს.

ტურიზმი საამო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ერთის შეხედვით უბრალო და უდანაშაულო საქციელს ორმაგი აზრი და მნიშვნელობა აქვს, იმის მიხედვით თუ მომქმედი ვინ არის.

იმოგზაურეს ისეთებმა რომელთა წასვლა-წამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ; ასეთ კატეგორიას ეკუთვნიან ახალგაზრდები, რომელთაც პოლიტიკური პოზიცია – ოფიციალურად მანც – ჯერ არ დაუკავებიათ, ან ისეთი მოზრდილები რომელთა აქ ყოფნა, პიროვნულ, ოჯახურ ან სხვა მათგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო მოხდა და რომელნიც პოლიტიკურ საქმიანობაში არ ჩარეულან, მაგრამ ამ ხალხში ისეთნიც გაერივნენ რომელნიც აშკარად ანტირუსულ და ანტიკომუნისტურ პოზიციაზე სდგანან და რომელთაც ჩვენ თანამებრძოლებათა ვსთვლით.

ეს სამწუხარო მოვლენა გვაიძულებს, ამაზე ჩვენი რედაქციის აზრი გამოვსთქვათ, რადგან ეს ისეთი ხასიათის მოვლენაა, რომ თუ ამაზედ არაფერი ითქვა, შეიძლება ხალხმა, სიჩუმე, დაყვავების ნიშნად მიიღოს; მაშინ როდესაც ამ საკითხზე ჩვენი შეხედულება დაყვავებიდან ძლიერ შორს არის. პოლიტიკური ემიგრანტი არის კაცი, რომელმაც სამშობლო ან თავისი ნებით დასტოვა, რადგან იქ გამეფებულ პირობებს ვერ შეურიგდა, ან მას ქვეყანა ძალით დაატოვებინეს, რადგან თავისი მოქმედებით იგი ხელისუფლებისათვის არა სასურველ პირად ითვლებოდა; ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ემიგრანტი არის პროტესტანტი და მებრძოლი; ქართულ ემიგრაციაში ორივე ტიპის ემიგრანტები არიან, მაგრამ ერთნიც და მეორენიც მესამე კატეგორიაში ერთდებიან. ეს არის საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა კატეგორია.

თუ ჩვენ მტერს ვებრძვით, რა თქმა უნდა, ისიც გვებრძვის; და თუ მტერმა რაიმე საშუალებით მოახერხა რომ ჩვენ ბრძოლაზე ხელი აგვადებინოს, ამით იგი, ასე ვსთქვათ, უბრძოლველად გამარჯვებული გამოდის; და აბა სად ნახულა – მებრძოლი კაცი მტრის თანხმობით, მტრის ბანაკში სასეირნოდ შესულიყოს და მერე, ვითომ არაფერი, უკანვე დაბრუნდეს? არსებობს ერთი წესი, რომელსაც ზოგი მებრძოლი მხარე მისდევს ხოლმე: ტყვედ ჩავარდნილ მოწინააღმდეგეს ზოგჯერ უკანვე გაუშვებენ ხოლმე, მაგრამ ტყვემ პატიოსანი მებრძოლის სიტყვა უნდა დასდევას, რომ იგი ხელმეორედ იარაღს აღარ აიღებს; სხვაგვარი მიმოსვლა მოწინააღმდეგე ბანაკთა წევრებს შორის არ არსებობს.

ნუთუ ჩვენს მოგზაურებს ეს არ ესმით, ან თუ ესმით თავიანთ საქციელს რით ამართლებენ, სამშობლოსა და ნათესაეების სიყვარულით?

თუ სამშობლო და ნათესაეები ეგ ზომ გვიყვარს, რომ გრძნობამ გონება დაგვიხშო, მაშინ უკან რაღად ბრუნდებიან; ვისაც თავისი თავი პოლიტიკურ მებრძოლად აღარ მიაჩნია და თან ქვეყნისა და ნათესაეების უნახაობასაც „ვერ იტანს“ რატომ იქ არა რჩება?

არა, საქმე უფრო მარტივია: საქართველოც უყვართ, ნათესაეებიც, მაგრამ იმდენად კი არა რომ აქაური ადგილი ცხოვრება მიატოვონ და იქაურთა ბედი გაიზიარონ. მათ არც ერთ მხარეზე არა სურთ მსხვერპლი გაიღონ: არც ემიგრანტულ რიგებში ბრძოლა და თავდადება, არც იქ მყოფ თანამემამულეთა ბედის გაზიარება.

ყოველივე ეს – მეტი რომ არა ვსთქვათ – სასახლო საქციელი არ არის.

ჩვენ აქ ისე ცოტანი ვართ, ერთი-მეორესთან ისე დაახლოვებული და იმ საქმისათვის რომლისთვისაც ჩვენ თავის შენირვა ბედმა გვარგუნა, ერთმანეთის დახმარება იმდენად გვჭირია, რომ რა თქმა უნდა ამ ცოდვისათვის მათ ქვას არ ვესვრით, მაგრამ ჩვენი გულისწყრომა თუ არა, გაკვირვება ხომ მაინც უნდა გამოვსთქვათ ამდენად დაუფიქრებელ საქციელის ჩადენისა გამო, ისეთ პიროვნებათა მიერ, რომელთაგან – მათ წარსულს თუ გადაეხედავთ – უნდა ითქვას რომ ასეთ რამეს არ მოველოდით.

ამ მოვლენას საბედნიეროდ იმდენად იშვიათად ჰქონდა ადგილი, რომ რეალურ ვნების მოტანა მას არ შეუძლია. თუ ერთი მერცხლის მოფრენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, არც ორიოდ ჩიტის გაფრენას შეუძლია ზამთარი მოიყვანოს, მაგრამ წარმოვიდგინოთ: ქართულმა ემიგრაციამ რომ საბჭოთა კავშირში მასსიური მისვლა-მოსვლა გააბას, მაშინ ხომ საქართველოს პოლიტიკური ემიგრაცია აღარ ეყოლება და ეს იქნება ჩვენი მტრისათვის დიდი გამარჯვება; ნუთუ ასეთია ჩვენი „ტურისტების“ სურვილი: რა თქმა უნდა არა! მამ ისეთ რამეს რატომ ჩადიან, რისი ჩადენის ნებაც – ჩვენი საერთო საქმის დაღუპვის შიშით – არა გვაქვს?

არჩილ ზურაბიშვილის გამოსათხოვარი

ივერია, 11.1964

„ქარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“. აი, სიტყვები, ჩვენს მდგომარეობას სწორად რომ შეეფერება. ჩვენ ჭირთა შიგან ყოფნას უკვე შეჩვეულები ვართ, მაგრამ ზოგჯერ ბედის სიავე ისეთ მოულოდნელ და განგებ არჩეულ ადგილს დაგვარტყამს, რომ შეჩვეულ სატკივარს უჩვეულოდ აგვატკიებს.

სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე დღეს; სრულებით მოულოდნელად დავკარგეთ კაცი, რომლის იმედიც გვქონდა და რომლის შესახებაც სრულიად ბუნებრივად ვფიქრობდით, რომ იგი კვლავ მრავალ წელთა განმავლობაში ქართული საქმის ერთი მოამაგეთაგანი იქნებოდა.

დავკარგეთ კაცი, მცოდნე და განათლებული, უაღრესად პატიოსანი, უანგარო და მგზნებარე მამულიშვილი. კაცი, რომელიც ოჯახის უნაკლო მამა იყო, თან დაუზარებელი მშრომელი თავის პროფესიაში, რომელიც კიდევ დროსა და ენერჯიას პოულობდა, უკლებლივ ყველა ქართულ საზოგადო წამოწყება-საქმიანობაში მონაწილე და დამხმარე ყოფილიყო.

განსვენებული, ღირსეული მატარებელი იყო იმ სახელოვან მემკვიდრეობისა, რომელიც მას როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან მოსდევდა და მის მიერ ამ მემკვიდრეობის შეგნებით უნდა აეხსნათ ის თავმდაბლობა და ჩუმი მოღვაწეობა-მუშაკობა, რომელიც მას ახასიათებდა; რადგან შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, თითქოს მას ამ თავმდაბლობა-სიჩუმიდან გამოსვლა არ შეძლებოდა. გავიხსენოთ შემთხვევა, როდესაც განსვენებულს ფრანგულ ადმინისტრაციასთან კონფლიქტი მოუვიდა; მან არა თუ უკან არ დაიხია, არამედ იგი შეტევაზე გადავიდა, მთავრობას სახელმწიფო საბჭოში უჩივლა და საქმე მოიგო.

ეს შემთხვევა მარვენებელია იმისა, რომ განსვენებული, მიუხედავად გარენულად მშვიდ და თავაზიან ბუნებისა, როცა საჭიროება მოითხოვდა, შეუპოვარი მებრძოლიც იყო.

ასეთი კაცი დაეკარგეთ ჩვენ, მისმა ოჯახმა დაეკარგა ოჯახის მზრუნველი, საყვარელი მამა. ჩვენ ყველამ დაეკარგეთ ძვირფასი მეგობარი და თანამემამულე. ქართულმა საქმემ დაეკარგა ერთი თავდადებული მოამაგე.

ქართული ეროვნული საბჭოსა და ეროვნული ცენტრის სახელით, ჩვენ უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ეს ფორმულა ოდნავადაც ვერ გამოხატავს ჩვენ მიერ განცდილ გულისტკივილსა და ვაებას; უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ხმამალლა მოვთქვამდეთ: დაორეი, ძმავო ლევან, ეს რა მოგვივიდა, როგორ უღროოდ დაეკარგეთ ჩვენი ძვირფასი არჩილი, მაგრამ ამ უცხო მხარეში ჩვენებური ტირილი კიდევ რომ შეიძლებოდეს, ჩვენ მაინც თავი უნდა შევიკავოთ.

ქართული ადათის მიხედვით, ყოველ მიცვალებულს მისთვის შესაფერ დაკრძალვას მოუწყობენ, მაგალითად, მოქეიფე კაცის საფლავზე ღვინოს დაასხამენ და შესანდობარს დალევენ.

ჩვენ დღეს მიწას ვაბარებთ კაცს, რომლის სიცოცხლის მიზანი სამშობლოს სამსახური და თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. ამიტომ ამ სამარესთან ჯერარს, რომ ითქვას: რაც უფრო მწარეა ჩვენი ხედრი და ბედის ავი ხელი, რაც უფრო მაგრად მოგვხვდება, მით უფრო უნდა გაკაჟდეს ჩვენი გული და უფრო მაგრად დავიჭიროთ მახვილი, რომ იგი ხელიდან არ გაგვივარდეს.

ამას გვიბრძანებს უწმიდესი მოვალეობა ტყვეობაში მყოფ ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გლოვამ არ უნდა დაგვაინყოს, რომ რაც მეტად თხელდება ჩვენი რიგები, მით უფრო მეტი მოვალეობა აწევს ყოველ ჩვენგანს.

მებრძოლები ერთიმეორის მიყოლებით ბრძოლის ველზე ეცემიან, მაგრამ ბრძოლა უნდა გაგრძელდეს.

ხოლო ჩვენს ძვირფას არჩილს, რომლის კეთილშობილ სახესა და ღიმილს ამიერიდან ჩვენ ველარ ვიხილავთ, მაგრამ ვის ნათელ სსოვნასაც ყოველი ჩვენგანი სიკვდილამდე გულში ატარებს, ჯერ როგორც მამულიშვილს, შეგვიძლია ვუთხრათ: განისვენე მშვიდად, ძვირფასო ძმავო, რადგან მოიხადე შენ შენი ვალი.

შემდეგ, როგორც ადამიანს, მისი მშობლიური ქვეყნის ხალხური თქმით გამოვეხოვოთ:

„აქაც კარგი კაცი იყავ,
იქ ნათელი დაგადგესა“.

ჩვენი ღროის „სიბრძნე სიცრუისა“

ივერია, 12.1966

ბატონ ბესარიონ ჟღენტს რომ ჯანმრთელი თვალები არა აქვს, ყველამ იცის, ვისაც კი იგი ერთხელ მაინც უნახავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა აღმოსავლეთ გერმანია და მისი ოპტიკური წარმოება ხელში ჩაიგდო, რუსეთში მშვენიერი ხარისხის სათვალეები იშოვება და სწორედ ერთ ასეთ სათვალეს ატარებდა პარიზში ჩამოსული ბ. ჟღენტი – მიუხედავად ამისა, მან აქ ისეთი რამ „ნახა“, რომ ჩვენ, პარიზელი ქართველები ფრიად გაგვაკვირვა.

ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში დღეს ისეთი ზნეობა მეფობს, რომ კაცი ვერ გაიგებს, ვინ, რატომ, რას ამბობს; ვინ გამორჩენისათვის, ვინ თავის რჩენისათვის და ვინ თავის გადარჩენისათვის ტყუის; ვინ იძულებით, ვინ უმეცრებით და ვინ მიდრეკილებით ტყუის. ერთი კი ცხადია: საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სიმართლე დაუმახინჯებლად სინათლეზე გამოჩენას ძლიერ იშვიათად ბედავს.

საბედნიეროდ, დღეს ისეთ ტრაგედიას ადგილი აღარა აქვს, უდანაშაულო ხალხს რომ აიძულებდნენ, თვითონვე, თავიანთთვის სასიკვდილო განაჩენი მოეთხოვათ, ან აუტანელ შრომით თავს ძლივს რომ ირჩენდნენ, იმ ხალხს რომ ამლერებდნენ, რა საამო ცხოვრება გვაქვსო, ან სისხლით ხელუბდასვრილ ჯალათს ხოტბას რომ ასხამდნენ, „ჩვენი ლავერენტ ბერიო“. მაგრამ, რადგან რეჟიმის მთელი სისტემა თავიდანვე სიცრუეზეა დაშენებული, საბჭოეთში სიმართლის ობიექტური ძებნა არც საჭიროა, ვინაიდან სიმართლედ მხოლოდ ის არის მიჩნეული, რაც კომუნისტების აშენებას ხელს შეუწყობს. ეს ასე იყო თავიდან და დღემდის, მიუხედავად რეჟიმის სიმკაცრის შენელებისა, ამ მხრივ არავითარ ცვლილებებს ადგილი არა აქვს.

ყოველივე ამან ათეულ წელთა განმავლობაში თვით აზროვნებაზე იმოქმედა და საბჭოთა მოქალაქენი სიმართლის დამახინჯებას იმდენად მიჩვეულნი არიან, რომ ამ ადამიანების ყოველდღიურ უბრალო საქციელსა და თავდაჭერასაც კი კვალი აქვს დამჩნეული. ამას ისინი თვითონ ვერც კი ამჩნევენ, მაგრამ ჩვენ, აქაურ ქართველებს, ამდენი ხნის განმორების შემდეგ, ეს ცვლილება მაშინვე თვალში გვეცა.

ამ მოვლენამ ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მწერლობაზე იმოქმედა იმდენად, რომ დღეს ჩვენში ნამდვილი აღრევა სუფევს: სერიოზული, სახუმარო, საქებარი თუ გამკიცხავი ჟანრისა. ხოლო რაც შეეხება ისეთი სიტყვების წარამარა ხმარებას, როგორცაა: გამოჩენილი, სასახელო, განთქმული, ცნობილი, საამაყო და სხვა ამგვარი, მათ ხომ გადაჭარბებულ ხმარებისაგან ყოველგვარი ფასი დაკარგული აქვთ. შორს რომ არ წაივით, მაგალითისათვის ბ-ნი ჟღენტის იუბილეს გამო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ N7, 1965 წ. მოთავსებული ოთ.ეგაძის წერილიც გვეყოფა. ეს წერილი თავისი ფორმითა და შინაარსით ტიპური მაგალითია იმისა, თუ რამდენად დაკარგულია დღევანდელ ქართულ მწერლობაში ზომიერების ნორმალური გაგება. ბ.ჟღენტის ნამდვილი და დამსახურებული ნამოღვაწარი არც იმდენად აბუჩად ასაგდება, რომ ამგვარი წერილის გამოქვეყნება ყოფილიყო საჭირო. აქაურ ნორმების მიხედვით. ბ.ჟღენტის შესატყვის პიროვნებას არავითარ შემთხვევაში ასეთ უცნაურ რამეს არ დაუნერუნ, საქართველოში კი ჩემი შენიშვნის ზოგ წამკითხველს გაუკვირდება და იტყვის, „რა არის აქ უცნაური“.

როდესაც ქართველ მწერალთა ჯგუფის პარიზში ჩამოსვლა გავიგეთ, ამ ცნობამ ჩვენ შორის განსაკუთრებული ინტერესი და აღელვება გამოიწვია. ხუმრობა ხომ არ არის, ეს დაახლოებით იმასა ჰგავდა, თანამედროვე აკაკი, ვაჟა, კიტა აბაშიძე, ივანე მაჩაბელი და ვთქვათ, ჩუბინაშვილი რომ ჩამოსულიყვნენ – ეს შედარება ვინმემ ირონიად რომ არ მიიღოს, აქვე აღვნიშნავთ, რომ თუ შედარება ცოტა არ იყოს მკრთალია, არც აქ დახვედრია მათ გურამიშვილი, ვახუშტი ან ალ. ბატონიშვილი.

ჩვენი თავმოყვარეობა თავიდანვე შელახა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ეგზომ მნიშვნელოვანი ხალხი, სრულებით უმნიშვნელო და უცნობ რუსთა ჯგუფში არეული ვნახეთ. არც ის გაგვეხარდა, რომ ამ მდგომარეობის მქონე ქართველები მოზარდ ტურისტების მსგავსად შეგირდთა დისციპლინის ქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ რას ვიზამდით. ალბათ, ამასაც კომუნიზმი მოითხოვს. მსოფლიოში ყველაზე თავისუფალ ხალხს თავისუფლების გამომჟღავნება რაში სჭირდება. აკი ნათქვამია, ყველაზე ცუდად თერძს აცვიავ.

ქართველი ტურისტები აქ ადრეც ჩამოდიოდნენ, მაგრამ ისინი უმეტესად ტექნიკოსები იყვნენ და რაოდენ საინტერესოც ყოფილიყო მათთან საუბარი, ჩვენს ცნობისმოყვარეობას ისინი ძუნწად პასუხობდნენ. ახლა კი შემთხვევა გვექონდა, პოეტებისა და მწერლებისათვის მოგვესმინა და გულში ყოველ ჩვენთაგანს იმედი უღვიოდა, რომ ეს პირები, დღევანდელ საქართველოს ფიქრს რომ უნდა წარმოადგენდნენ, აქა-იქ, თავიანთ საუბარში, ისეთ რამეს გვეტყოდნენ, რის გაგონებაც ჩვენს დაჭრილ გულს მალამოდ დაედებოდა, მაგრამ ამაოდ. არც ერთი, გაბედული კი არა, ოდნავ თავალმართული კაცის სიტყვა, არც ერთი დამარღვეველი ტონი დერჟიმორდულ რეჟიმის ერთგულ სიმფონიაში. ჩვენ ვიხილეთ საკვირველი მოვლენა: უნაღვლო და უცრემლო პოეტები, რომელნიც არაფერს სწუნობენ, არაფერს ებრძვიან, არავის ემუქრებიან; პარტიულ სახელოსნოში დამზადებულ

ბედნიერებით კმაყოფილი ხალხი, რომელთაც არც პირადი, არც საზოგადოებრივი ხასიათის ჩივილი არ წამოსცდენია. მათ ზედმინევნით შეასრულეს პროლეტარულ სამეფოს აზნაურთა როლი და ჩვენ წარმოგვიდგნენ ვით უნაკლო აღნაგობის, რითმის საკინძი მანქანები, ფრიად ოსტატური დიქციით მოლაპარაკენი. ეს მსჯელობა, რა თქმა უნდა, მერმინდელია, თორემ მათი მოსმენის დროს ჩვენს სულში გამეფებული აღლევებისა და განცდების გამო, ჩვენ ანალიზის ყოველივე უნარი წართმეული გვექონდა, მათი მოსმენა ჩვენ რეალურად გვალელებდა და ზოგის თვალები მართლაც აცრემლდა.

უცნაური რამ მოსდით პარიზის ქართველებს ჩამოსულ თანამემამულეთა გამო. ყველას არაჩვეულებრივი ციებ-ცხელება აიტაცებს და იდუმალი ძალა იქითკენ იზიდავს, სადაც ეს ჩამოსულები არიან დაბინავებული. ეს მოვლენა სულ უბრალოდ რომ აეხსნათ: საყვარელ და მიუწვდომელ საგნის, თუნდაც ერთი მცირე ნაწილის ხილვის სურვილია. უმეტესობა ამ სურვილს ემორჩილება, მაგრამ ისეთებიც არიან, რომელნიც ამგვარ შეხედრას გაურბიან და როდესაც ცნობისმოყვარეობის გამო, ამის მიზეზი ვეძიე, აღმოჩნდა, რომ ესენი თავს იკავებენ, რადგან სიამის განცდის გარდა, ძველი, ან თითქმის მიძინებული, ტკივილის კვლავ აღძვრისა ეშინიათ.

პარიზელმა ქართველებმა ჩამოსულები ვახშამზე დაპატიჟეს და აქ ჩვენ ბ-ნი ულენტის ნაამბობს ვერ ვეთანხმებით. ისინი დაპატიჟებული იყვნენ პოეტ ყიფიანის მიერ თავისი სახელით და არა პარიზელ ქართველთა მწერალთა კავშირის მიერ. ამ კავშირის თავმჯდომარე იმ დროს იყო ბ-ნი ელისე პატარიძე, რომელიც ვახშამს არ დასწრებია და არა ბ-ნი გაბაშვილი, როგორც უცნაურად გვიამბობს ბ-ნი ულენტი: „გაბაშვილის მაგივრად ყიფიანი გემასპინძლობდაო“ (პურ-მარილზე მაღლობაც ასეთი უნდა). ვახშამს დაესწრო ოცდაოთხი სული და არა „სამოცამდე“ კაცი. იმათგან რვა სტუმარი და თექვსმეტი მასპინძელი, რომელთა შორის ნახევარიც არ იყო მწ.კავშირის წევრი. წვეულება გაიმართა არა „ერთ მდიდრულ“ რესტორანში, არამედ უუბრალოეს მუშა-მოსამსახურეთა სასადლოში. ყველა ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შესწორებები, იმიტომ მომყავს, რომ მათში, რიგით პირველს, დიდი მნიშვნელობა აქვს. პარიზელ ქართველთა მწ. კავშირი ხსენებულ ჯგუფს ვერ დაპატიჟებდა, არა იმიტომ რომ ამის უფლება არა აქვს, არამედ სულ სხვა მიზეზისა გამო.

თუ პარიზში ქარ. მწ. კავშირი არსებობს ამის მიზეზი და გამართლება ის არის, რომ ამ კავშირს თავისი იდეოლოგია და მიზნები აქვს, რომელსაც ამ კავშირში შემავალი ხალხი ემსახურება. ეს იდეოლოგია და მიზნები აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყანაში ძალით, სხვა თესლის ხალხის მიერ შემოტანილ იდეოლოგიას. მაშასადამე, თუ თქვენ მწერალთა კავშირის სტუმრები იქნებოდით, მაშინ ან ჩვენი სიჩუმით ჩვენს იდეოლოგიას ვულალატებდით, ან თქვენ ისეთ რამეს გაიგონებდით, რისი პასიურად მოსმენის უფლებაც თქვენ არა გაქვთ. აი, სიმართლე!

ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებდით, რომ სადავო საკითხებს როგორმე ავცდნოდით, თორემ როგორ გგონიათ, თვით წმინდა ლიტერატურულ სფეროშიც რომ დავრჩენილიყავით, ყოველი ჩვენთაგანი ხომ იმას ფიქრობს, რომ ვინაიდან პოეზია ცხოვრების ან ავტორის სულიერ ყოფის – თუნდაც რჩეულ სიტყვით და განსაკუთრებულ ხილვით – ასახვა არის და ვინაიდან ცხოვრება, ან ადამიანის სულიერი განწყობილება არ შეიძლება პერმანენტულად ვარდისფერი იყოს, ისეთი პოეზია, რომელიც გარემოს მუდამ და მხოლოდ უნაკლოდ და იდეალურად სახავს, ხელოვნება კი არა, ხელობა არის, რომელიც შემკვეთს შეკვეთის მიხედვით, კარგ ხელფასში კარგ საქონელს აწვდის.

ასევე, როდესაც კრიტიკა ნაწარმოების ობიექტურ გარჩევა-შეფასების ნაცვლად, გენერალური ხაზიდან არ გადახვევის დარაჯია, იგი კრიტიკა კი არა, ცენზურა არის.

ასეთი რამ თქვენთვის არავის უთქვამს და მიუხედავად ამისა, აკი, მაინც ჰქონდა ადგილი რალაც ინციდენტის მსგავსს: ვიდრე ნონეშვილი თავის ლექსს „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“ წაიკითხავდა, განმარტა: ეს ყამირ მინების გასატეხად ქართველები რომ წავიდნენ, იქ დავენერეო. ამაზე ვილაც პარიზელმა შენიშნა: „სულ უკან რომ გამოიპარნენო?“ უკაცრავად, ქართველი რასაც იტყვის, კიდევ აასრულებს, არავინაც არ გამოპარულაო, უპასუხა ნონეშვილმა.

ამაზე იქნებ ზოგმა გულში გაიფიქრა, ბიჭოს, როგორ გამოცვლილა ქართველებიო, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს, თორემ, განა სათქმელი არ იყო? თუ დავუშვებთ, რომ ქართველმა ტრაქტორისტმა თურქესტანის მიწიდან ბორკილებიანი ძვლები ამოჰყაროს და ის გადასახლებული სწორედ ქართველი აღმოჩნდეს, მაშინ ისიც ხომ ბევრად მეტად სავარაუდოა, რომ ეს ქართველი ნიკოლოზის დროის კი არა საბჭოთა დროის გადასახლებული იყოს. რადგან თუ ცარიზმის ხანაში ციმბირში გათხრილი ქართული საფლავები ერთულებია, ვინ არ იცის, რომ საბჭოებმა ასეთი საფლავები ათასობით ამრავლეს. და ესეც რომ არავის ეთქვა, სულ მცირე შენიშვნის გამოც, ნონეშვილი იძულებული იქნებოდა ემტკიცებინა, რომ სრულებით ნორმალურია კახელი ბიჭი თურქესტანში ტრაქტორზე დალილინებდეს, ხოლო ალაზნის ველზე სარატოველ ვანკების ბლავილი გაისმოდეს.

აი, რატომ არ შეიძლებოდა, რომ პარიზელ მწერალთა კავშირს მოეხსოვოთ თქვენი დაპატიჟება. იმ კავშირს, რომელსაც ერთი მხრივ მასპინძლად სთვლით და მეორე მხრივ დასცინით, სამასი წევრი ყოფილაო, ან ეს რიცხვი საიდან მოიტანეთ, როცა მეთადილა. ხოლო რაც შეეხება აქაურ ჟურნალისტთა ხარისხსა და მათში არსებულ მოწოდებას, ამაზე სრულიად მარტივი პასუხი: აქ ჩვენ იმდენად მოწოდებით კი არა ვწერთ, რამდენად უფრო მოვალეობით. შეიძლება ბედითი მწერალი დიდ საქმეს ემსახუროს, ხოლო დიდმა ტალანტმა თავი შაურად გაყიდოს.

რამი სჭირდება ბ-ნი ჟღენტს იმისი თქმა, თითქოს მათი მოგზაურობის მიზანი საფრანგეთის „დღევანდელი სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი-

კულტურული ცხოვრების გაცნობა" ყოფილიყოს. განა იმ პირობებში, როგორც მათ იმოგზაურეს, რამის გაცნობა შეიძლება? კრიტიკოსის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მეტი სიზუსტე არ მოეთხოვება? ან რუსები ისე გაგიჟდნენ, რომ თავიანთი მოქალაქენი ევროპის ცხოვრების გასაცნობად გამოუშვან? მაშ, ვნახოთ როგორ გაცივო ბ-ნმა ჟღენტმა საფრანგეთის სამეურნეო მდგომარეობა.

მან ინახულა პარიზის სანოვაგის ბაზარი, სადაც იგი განცვიფრებაში უნდა მოყვანა მის მიერ არასოდეს ნახულ სანოვაგის გორებს და მათ ნაირნაირობას. ამაზედ იგი არაფერს ამბობს, მაგრამ იმ მოვლენას, რომ პარიზში სანოვაგის ჩამომტანი ვაჭრები თუ ფერმერები, გაუყიდავად დარჩენილ საქონელს იქვე რომ ტოვებდნენ და რომ ამ სანოვაგეს ხალხი აგროვებს, უმეტესად კურდღლების საზრდოდ, ნაწილობრივად თავიანთთვისაც, იგი აგვიწერს, როგორც კაპიტალიზმის მიერ ადამიანის დაბეჩავების შემზარავ სურათს და მას თუ დაუფუჯრებთ, საფრანგეთის კაპიტალიზმს პარიზის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ღორების დონემდე დაუყვანია, რადგან ეს უბედურები თურმე იქვე უმაღ ყლაპავენ „ტალახში ამოსვრილ ნაფტქვენებს" და ასე გასინჯეთ, „პურის ნამცეცებსაც" კი ჰკენკავენ ბელურებივით. ეს ხდება იმ პარიზში, სადაც ძალს რომ ხმელა პური გადაუგდო, ზედაც არ დახედავს.

საფრანგეთში მუშახელის სინაკლულის გამო, მილიონ-ნახევარი უცხოეთიდან ჩამოყვანილი მუშა მუშაობს. ყველაზე დაბალი კატეგორიის მუშას საათში სამ ფრანკ-ნახევარი ეძლევა, ე.ი. რესაათიან სამუშაო დღეში ოცდარვა ფრანკი. ამ ერთი დღის ხელფასით მას შეუძლია იყიდოს 28 კილ. შაქარი ან 32 კილ. თეთრი პური ან 15 ლიტრი საშუალო ხარისხის ღვინო ან ერთი წყვილი უბრალო ფეხსაცმელი და ასე შემდეგ, ეს ცნობები თუმცა საბჭოელ კაცს ზღაპრად მოეჩვენება, მაინც სწორია. შეიძლება ბ-ნმა ჟღენტმა ვინმე ლოთი და სიზარმაცით დამპალი ნაკაცარი მართლაც ნახა, მაგრამ მისი კომენტარები განა ნახულის სწორი გადმოცემაა?

როდესაც იმ „მდიდრულ რესტორანში" „სამოცაკაციანი" ნადიმი დასრულდა, შამპანიურის ბოთლები, რომელიც მენიუში შედიოდა და ჩვენ არც კი დაგვიღვია, გაუხსნელად მაგიდაზევე დარჩა, ბ-ნმა ჟღენტმა ერთი მათგანი ილღიაში ამოიღო და თან წამოიღო. ეს რომ დავინახე, ჯერ მეუცხოვა, დეპუტატი და ცნობილი კრიტიკოსისაგან, მაგრამ მაშინვე „მომავონდა" ის დრო, როდესაც ბ-ნი ჟღენტი და მისი მაშინდელი მეგობრები, ახალგაზრდა პოეტები, ხმაურით და „ანგლობით" რომ ცდილობდნენ ხალხისათვის თავის გაცნობას და ვიფიქრე: ჩანს, მიუხედავად ყოველივე მის მიერ მას შემდეგ გადატანილისა, მასში კიდევ დარჩენილა ბოჰემის ნაშთი-მეთქი, რადგან მხოლოდ ამგვარად აიხსნება, ჩვენებურ მაყრის მიერ შამფურზე ნამოცმულ მწვადის თან წამოღების მომავონებელი ეს სიმპათიური ჟესტი.

განა არ შეიძლებოდა ამ მოყოლილი ამბის სულ სხვაგვარად წარმოდგენა და ინტერპრეტაცია, თუკი კაცი მოვლენათა ანალიზის დროს ლოიალობას არ გამოიჩენს?

კაპიტალისტა და მუშას შორის, რა თქმა უნდა, განსხვავება არსებობს, პირველს თუ ორი ან სამი ავტომობილი აქვს, მეორეს მხოლოდ ერთი გააჩნია; პირველი აფრიკაში გაფრინდება შაბათობით სპილოზე სანადიროდ, სანყალი მუშაკი კურდღლებზე ნადირობს. მდიდარი კაცი, როცა მოეპრიანება, მაშინ იღებს შეგებულიებას და ხან ინდოეთში, ხან სამხრეთ ამერიკაში, ხან ავსტრალიაში მოგზაურობს. მუშა კი, როცა მისი ჯერი მოვა, ჩასვამს თავის ცოლ-შვილს მანქანაში და ევროპაში მოგზაურობით უნდა დაკმაყოფილდეს. კაპიტალისტი ისეთ რესტორნებში დადის, სადაც ერთი სადილი დაახლოებით იმდენი ღირს (100 ფრანკი), რამდენის წამოღების ნებაც ყოველ თქვენთაგანს მისცა მშრომელთა ოფლით მოპოვებულ მილიარდებს მთავარის მოსატაცებლად რომ ხარჯავს, იმ მთავრობამ, როცა თქვენი ჯგუფი „ევროპის ეკონომიკის გასაცნობად“ გამოაგზავნა. ხოლო მუშა ისეთ სასადილოში დადის, რომელშიაც თქვენ დაგპატიუეს და რომელიც მდიდრულად მოგჩვენათ, ბატონო ბესო.

ბ-ნმა ჟღენტიმ სასტუმროში აღმოაჩინა „12-13 წლის“ უბედური ბავშვი, რომელიც სასტუმროში ბარგის ტარებით ირჩენს თავს, რადგან მას სწავლის საშუალება არა აქვს და, რა თქმა უნდა, ესეც კაპიტალიზმის ბრალია. ვინმესთვის რომ განმარტება ეეთხა, მას ეტყოდნენ, რომ საფრანგეთში 14 წლამდე სწავლა ყველასათვის უფასო და სავალდებულოა, ხოლო რაც შეეხება სასტუმროში ნახულ ბავშვს, მის მშობლებს თვითონა აქვთ საკუთარი სასტუმრო და მათი შვილი უფრო დიდ სასტუმროში ხელობასა სწავლობს, სხვა არაფერი. ქართულ შეხედულებისათვის გაუგებარ ამ მოვლენას ახსნა სჭირდება. საშუალო ფრანგისთვის სწავლა სოციალურ საფეხურზე ასვლის საშუალებაა და არა თვითმიზანი, ასე რომ, გლეხობის შეძლებულ ფენებშიაც ბავშვების უმეტესი ნაწილი 14 წლის ასაკში სწავლას თავს ანებებს, რადგან თავიანთი ცხოვრების მატერიალურ გაუმჯობესებისათვის, მათ სწავლა საჭიროდ არ მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში ქონება კი არა, ცხოვრების თავისებური გაგება წყვეტს საკითხს. საფრანგეთში გლეხს ვერ ნახავთ ერთი ავტომანქანა მაინც არა ჰქონდეს, მაგრამ ალბათ სანთლით საძებარია ისეთი ოჯახი, შინ პიანინო იდგეს. და ეს, საუბედუროდ, იმას არ ნიშნავს, თითქოს ქართველებში მუსიკალური კულტურა უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ფრანგებში.

პარიზი რომ „გარყვნილების ბუდეა“, ეს უკვე დაღეჭილი თემაა. საუბედუროდ, ბ-ნი ჟღენტი რასაც გვიამბობს, იმისი ნახვის არც დრო და საშუალება არა ჰქონდა, თორემ ვაი, რა სიამით ჩაძირავდა ბურჟუაზიულ ტკბილ წუმპში. ახლა კი ინგლისელ შინაბერასავით პურიტანულ სამოსელში გვევლინება. ეს მას, რა თქმა უნდა, ცოდვად არ ჩათვლება. „პიკანტური“ რამეც ხომ უნდა უამბოს თავის მკითხველებს, ეტყობა, ბულვარული ჟანრის მოთხოვნილება ჩვენში კიდევ არსებობს. საიდან მოიტანა ბ.ჟღენტი, რომ ლევან ზურაბიშვილი თავისი უპარტიობის გამო არის კოლონიის თავმჯდომარედ არჩეული? ბ-ნი ზურაბიშვილი თვითონ არის ერთ-ერთი პოლიტიკურ დაჯგუფების დამაარსებელი და ერთი უაქტივესი მომუშავე იმ საქმეში, რომელსაც ბ-ნი ჟღენტი დამამცირებელ ტერმინით რეაქციულ „გამოხტომებით“ იხსენიებს.

ბ-მა ჟღენტმა, რომელსაც დღევანდელ ქართულ კულტურის ასპარეზზე ფრიად მნიშვნელოვანი პოსტი უკავია, პარიზის ქართული ეკლესია ახსენა და ნაცვლად იმისა, რომ სინანულით ეთქვა, ოდესღაც მთელ მცირე აზია-აღმოსავლეთ ევროპაში გაბნეულ ქართულ ეკლესია-მონასტრების მაგივრად, დღეს საქართველოს საზღვრებს მიღმა პარიზის ქართული ეკლესია ერთადერთი ადგილია, სადაც ქართულ ენაზე ნირვა სრულდებაო, ეს ჩვენი ეკლესია სალაცოდ გადაგვიქცია და თურმე ამ ეზოში, სადაც არც სკამებია, არც საჩრდილობელი, პოლიტიკური კრებები იმართება.

გიორგი ნოზაძემ მას მანქანიდან შენობა აჩვენა და უამბო, აქ პ. იაშვილმა კედელზე ესა და ეს დაწერაო. ახლა ბატონი ჟღენტი ხალხს უამბობს: ამ წარწერამ ნახევარი საუკუნე გაძლო და კიდევ იკითხებაო. უბედურება ის არის, რომ შენობის რესტავრაცია ბ-ნი ჟღენტის მოგზაურობის დროს ახლად დამთავრებული იყო. ასე რომ, თუნდაც იგი იმ კედელთან მისულიყო, იმ წარწერას, რა თქმა უნდა, ვერ ნახავდა. აქ კი გ. ნოზაძეს ხალხი ეკითხება, ჩვენ რატომ არ გვიჩვენე ის წარწერაო.

ბ-ნ ჟღენტს რალაც დემონსტრაცია უნახავს და, რა თქმა უნდა, ზღაპრულ კომენტარებს აკეთებს, „პოლიცია უძლური აღმოჩნდა დემონსტრაციის მებრძოლი პათოსი შეენელებინაო“. პოლიცია უძლური კი არ აღმოჩნდა, არამედ მას ნება არა აქვს, ასეთ დემონსტრაციას წინ აღუდგეს. რაც ბ-ნმა ჟღენტმა ნახა, ეს იყო მაგალითი იმისა, თუ რამდენად რეალურია აქაური თავისუფლება და არა მხოლოდ ქალაქზე დაწერილი, როგორც საბჭოეთში.

ემიგრანტულ კულტურულ მოღვაწეობას სერიოზული ხარვეზი ჰქონია: ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ქართული კულტურის ძეგლები თარგმანის საშუალებით უცხოელებისათვის გაგვეცნო. ქართული ემიგრაცია პოლიტიკური ემიგრანტებისაგან შედგება და კულტურული მოღვაწეობა მის პირდაპირ მოვალეობას არც შეადგენს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთ მუშაობას ფრიად დიდი სახსარი სჭირდება, რაც აქაურმა ქართველობამ თავისი ღირსი ჯიბიდან უნდა გაიღოს, ამ საქმეში ყოველ შემთხვევაში, ღირსი ემიგრანტებმა მეტი გააკეთეს, ვიდრე საქართველოს სახელმწიფომ და მისმა კულტურულმა ძალებმა, თქვენი მწერალთა კავშირის ჩათვლით.

ემიგრანტთა ფულით და შრომით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, ორტომეული ქართული გრამატიკისა და ქრესტომათიისა, ყაზბეგის „მოდვარი“, ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სხვა. არც ჟურნალ „ბედი ქართლისას“ ვიცნობთ, „სუვერენულ“ საქართველოში გამოქვეყნებულს. ხოლო „ვეფხისტყაოსანის“ მეორე თარგმანიც აქედან ჩასულმა ნულაძემ შეასრულა. და იგი, როგორც ვიცით, ქართული სახსრებით კი არ გამოცემულა, პირიქით, მთარგმნელმა აქაური პრემია მიიღო. რაც შეეხება გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, ჩვენი დაბეჭავების ნიშანია, რომ ავტორს მისი ნაწარმოების თარგმანის მეტი კონტრო-

ლის საშუალება არ მიეცა, თორემ ქართული რომანი განა რუსული თარგმანიდან უნდა გადათარგმნილიყო? ან ამ წმინდა კულტურული საქმის, ისეთი პოლიტიკური ჟურნალის ხელში ჩაგდება, როგორც „ლუმანიტა“, ამ წიგნის მკითხველთა წრეს რომ წინასწარ კომუნისტებით საზღვრავს, ეს ვინ არ იცის.

ზეპირი და უსაბუთო მტკიცებაა, თითქოს ემიგრაციაში ლიტერატურა საერთოდ ვერ გაიფურჩქნება. თუ პარიზული ჟურნალი „კავკასიონი“ დიდ მხატვრულ სიმაღლეზე ვერა დგას, ამის უბრალო მიზეზი ის არის, რომ ამ ჟურნალის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა მხოლოდ „მოყვარულებია“ და არა პროფესიული მწერლები. თორემ, მთელი რიგი არსებობს სხვადასხვა ეპოქებში მცხოვრებ მწერალთა, ანტიკურ დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე, რომელთაც შედეგები შეუქმნიათ. მხოლოდ ქართულ მაგალითებზე რომ შევიჩერდეთ: არც ზუბოვკა და არც ათონი საქართველოში არ მდებარეობენ.

ამ წერილის მიზანი ბ-ნ ჟღენტის მიერ სიმართლის გაყალბებათა აღწერას არ არის. როგორც დასაწყისშია აღნიშნული, ეს თვისება მთელ საბჭოთა საზოგადოებას ახასიათებს. ჩვენი მიზანია, შევებრძოლოთ მხოლოდ იმ სავალალო შედეგებს, რომელთა მოტანაც ბ-ნ ჟღენტის წერილს შეუძლია.

დაპყრობილი ერის თვალში ემიგრაციას ყოველთვის მომხიბვლელი და სიმპათიით შემოსილი სახე აქვს. ეს მოვლენა მით უფრო მეტი სიძლიერით ხდება, რამდენად მეტად გაძნელებულია, მონობაში დარჩენილ ხალხსა და თავისუფალ ქვეყანაში გახიზნულ ემიგრაციას შორის ურთიერთობა. ხალხს უყვარს გახიზნული მისი შვილები, რომელნიც ქვეყნის შელახულ უფლებათა აღდგენისათვის ზრუნავენ. ხალხი ამ გახიზნულებზე მეტ იმედს ამყარებს ხოლმე, ვიდრე ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში დაამყარებდა, რადგან გახიზნულისა და უცნობის გარშემო მუდამ მითი და ლეგენდა ითხზება. იმედის შენარჩუნების ეს ნყარო, თუნდაც რომ სრულებით რეალობას მოკლებული იყოს, დამონებულ ხალხისათვის დიდი შეღავათის და დიდი პრაქტიკული სარგებლის მომტანია, რადგან იმედი გამძლეობის ერთი მთავარი ელემენტია.

აი, ამ იმედის შესუსტებას ემსახურება ბ-ნ ჟღენტის მიერ ნებით თუ უნებლიეთ გამოთქმული ყველაზე მავნე შემდეგი სიყალბე:

„უკანასკნელ წლებში უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა დიდი უმრავლესობის აზროვნება განწყობილებაში სერიოზულ ძვრებსა და ცვლილებებს აქვს ადგილი. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამჟამად პარიზში არსებითად აღარც კი არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია“.

შესაძლებელია, აქ საქმე გვექონდეს გაუგებრობასთან, რომელიც გამოწვეულია ჩვენი და ჩვენი სტუმრების ორმოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა პირობებში გატარებულ ცხოვრების შედეგად შექმნილ, ერთი მხრივ სხვადასხვაგვარ საქციელთან და ამა თუ იმ მოვლენის სხვადასხვაგვარ გაგებასთან. ნუთუ ბ-ნ ჟღენტს ჰგონია, რომ რაკი, ჩვენ იქაური რეჟიმის წინააღმდეგი ვართ და რაკი, აქ ამის

თქმისა და გამომჟღავნების უფლება გვაქვს, ყოველ მისაღებ თუ მიუღებელ ადგილას ამაზე ვიყვირებთ და იქიდან ჩამოსულს ყელში ვეცემით, როგორც ამას იქ გაბატონებული „მორალი“ მოითხოვს.

ყოველ ემიგრანტს მშვენივრად ესმის ის სიძნელებები და შეზღუდვები, რომელნიც საქართველოდან ჩამოსულ ტურისტებს წინ ელობება და თანა სდევს. ჩვენ ვიცით, რომ რამდენად „უმტკივნეულოდ“ ჩაივლის ჩვენთან შეხვედრები, იმდენად ნაკლებად გაძნელდება მათი გამეორებაც და რადგან ჩვენი გულწრფელი სურვილია – როგორც ჩვენდა, ასევე ჩამოსულთა სასიხარულოდ – ტურისტულ ჯგუფთა ჩამოსვლა რამდენადაც შეიძლება უფრო ხშირი იყოს, პარიზელ ქართველთა შორის დაუნერვლი კანონივით მიღებულია, ჩამოსულ ხალხთან პოლიტიკაზე საუბარი ავიციდინოთ.

აი, ამ შეკავებულ თავდაჭერის შედეგი უნდა იყოს ის შთაბეჭდილება, რომელიც ბ-ნ ჟლენტს მიუღია და რომელსაც „აზროვნებაში მომხდარ ძვრებს“ უწოდებს.

მართლაც რომ, სხვადასხვაგვარი კონცეფცია უნდა გვქონდეს. მონობასთან შერიგებას და უცხო მოძალადის მორჩილებას, თუ ეს მოხდებოდა, „აზროვნებაში მომხდარი ძვრები“ თუ პირიქით, აზროვნების დაჩლუნგება ე.ი. უძრაობა დაერქმეოდა. როგორ შეიძლება კაცი თავისუფალი იყოს და აზროვნება სხვის ბრძანებას დაუმორჩილოს. როგორ შეიძლება კაცს სამშობლო უყვარდეს და უცხოელთა მიერ მის დამონებას შეურიგდეს.

მაგრამ ბ. ჟლენტმა რა იცის ჩვენებური სამშობლოს სიყვარულისა, მას იგი არასდროს დაუქარგავს, ან თავისუფლების გამოყენებისა, მას იგი არასდროს ჰქონია.

პარიზის ქართველთა შორის ჯერ არც ერთ პირს არ გამოუთქვამს ისეთი აზრი, რომლის მიხედვით შეგვეძლო გვეფიქრა ბ. ჟლენტის მტკიცების საფუძვლიანობა, არც ერთი ქართველი აქ ისე არ მომკვდარა, რომ სიკვდილის წინ არ ეფიქროს „მე ვერ მოვესწარი, მაგრამ სხვები მოესწრებიანო“ და ვაი, იმ ქართველს, ვინც თავის ფიქრში დაუშვებს, საქართველოს რუსთა მიერ პყრობის მარადისობას.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს: ემიგრაციაში მყოფ ქართველების შეხედულება ამ საკითხის მიმართ იოტისოდენადაც არ გამოცვლილა, რადგან არ გამოცვლილა ის პირობები, რომელთაც ხსენებული შეხედულება შექმნა: საქართველო კვლავ დაპყრობილია, თავისუფლების დაბრუნებისათვის ზრუნვის შეწყვეტა შეუძლებელია და „დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლს მიატოვებს რუსთ ხელმწიფება“.

ეს რომ ასე არ იყოს, სად გაგონილა, „ათიოდე მკითხველისათვის“ იცემოდეს რამდენიმე ჟურნალი, როცა ყოველი მათგანის ტირაჟი ათასი ცალია? ან საერთოდ, აქ რას უზის ამდენი ხალხი, თუ კი მათ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ნორმალურად და დამაკმაყოფილებლად მიაჩნია. რის მაჩვენებელია, რომ ვიქტორ ნოზაძე ამ გადახვეწილობაში, მძიმე პირობებში მუშაობით მეცნიერულ ნაწარმოებთა ტომებსა სცემს. განა მას აწყენდა ამ შრომებისათვის პონორარის

მიღება? ან მისი მეცნიერული ნაყოფიერება იქ, საქართველოში უფრო დიდი არ იქნებოდა?

ჩვენ აქ იმისათვის ვიმყოფებით, რომ ვემსახუროთ საქმეს, რომელსაც ჩვენი გაგებით ქვეყნისათვის თავდადება, ხოლო ზოგიერთის გაგებით „გამოხდომა“ ეწოდება; ქართული ემიგრაცია კვლავ ასე განაგრძობს და ღმერთი ჩვენს ქვეყანას ისეთ დაცემას არ არგუნებს, რომ მას მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი შვილები დაელოოს.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში საზოგადოებრივ ცხოვრების პირობები მძიმეა, მაგრამ სულ იმის ძახილიც არ შეიძლება, „რა ვქნათ, რუსი მოგვერიაო“. თუ გმირობა ყველას არ მოეთხოვება, არც უკიდურესი ძაბუნობაა სავალდებულო. გამარჯვებული რუსები ქართველთაგან მორჩილებას მოითხოვენ, მაგრამ რუსული ჩექმის ლოკვა არც ერთ პროგრამაში არა წერია. არც ის არის სავალდებულო, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ისტორიულ მოვლენას, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი შეეწირა, აჯანყების ნაცვლად, კაცმა, ვილაც უღირსი რეგვენის მიერ ოდესღაც შერქმეული „აგვისტოს ავანტიურა“ უწოდოს. რომელ რუსს მოუვიდოდა აზრად, გრ.რობაქიძის დასამცირებლად სიტყვები „ქართლის ცხოვრებაში“ ეძებნა: „სამშობლოსაგან განდგომილიო“. სამშობლოს განუდგა გრ.რობაქიძე, თუ მის დამპყრობლებს, ბატონო ბესო? ვინ გავალებთ, ჟამთააღმწერლის ტერმინოლოგია აგიტპროპის სამსახურში რომ შეიყვანოთ?

ყოველივე ამის შემდეგ ყველა იმათ საყურადღებოდ, ვისაც კი ჩვენში თვალსაჩინო პოსტი უკავია, ერთი ურიული იგავი მინდა მოვიყვანო:

ერთი ურია, თავის ცოლთან ერთად გზად მიმავალი, ავაზაკებმა გაძარცვეს და ცოლიც გაუუპატიურეს. სანყალი სასონარკვეთილებას მიეცა. ცოლმა ნუგეშისცემა სცადა და ასე უთხრა: თავს ნუ მოვიკლავთ, რაც შეგვემთხვა, ღმერთისაგან მოგვივიდაო. ქმარმა მწარედ გაიღიმა და უპასუხა: ღმერთმა რაც გვიყო, მეც ვიცი, მაგრამ შენ რომ შენს ნამუსის ამხდელებს ვნებით კოცნიდი, ისიც ღმერთმა გვიყო განაო?

ჩვენს ქვეყანას რომ დამპყრობთა ბრალით დიდი ვაება შეემთხვა – ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ამ უბედურ ხანაში, მტრის მიმართ, ვინ როგორ იქცევა, ეს სხვა ამბავია.

აგვისტოს აჯანყება

იერია, 12.1966

ხალხის სურვილის გამოხატვას მრავალი სახე და ფორმა აქვს. ჩვენ ვიცნობთ: არჩევნებს, რეფერენდუმს, პლებისციტს, გაფიცვებს, საბოტაჟს, ტერორს და სხვა. ყოველ ამ მოქმედებათაგანს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, შეიძლება ამან ფართო ხასიათიც კი მიიღოს და ამავე დროს შესაძლებელია, ეს მოქმედება, ერის არა თუ უმრავლესობის, არამედ საგრძნობი უმცირესობის სურვილსაც არ გამოხატავდეს, მაგრამ ყოველად შეუძლებელია, რომ მასობრივ-ხალხური აჯანყება მოეწყოს, თუ ამის გამომწვევი მიზეზები ხალხშივე არ არსებობს და თუ აჯანყების მოხდენა ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილს არ შეადგენს, განსაკუთრებით დაპყრობილ ქვეყანაში და ისიც, პოლიციურ რეჟიმის და მმართველ პარტიის დიქტატურის პირობებში, როდესაც ოპოზიციისათვის, ბეჭდვითი თუ სიტყვიერი პროპაგანდა არათუ აკრძალულია, არამედ თვით ოპოზიციის არსებობაც არ არის კანონის მიერ დაშვებული.

ხოლო ცნობილია, რომ სწორედ ამგვარ პირობებში მოხდა აგვისტოს აჯანყება და მას სწორედ მასობრივ-ხალხური ხასიათი ჰქონდა.

1924 წელს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა, ცხადია, დამაკმაყოფილებელი არ იყო, მაგრამ დამოუკიდებლობის ხანასთან შედარებით, იგი ისე არ გაუარესებულა, რომ ამას ხალხის სასონარკვეთილება და აჯანყება გამოეწვია. არც ისეთი აუტანელი გაჭირვება იყო, რომ ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის ხალხს თავი გაენირა.

ადმინისტრაციის მაშინდელი საქციელი, თუმცა სანაქებოდ ვერ ჩაითვლება, მაგრამ მუშების და გლეხების მასობრივ ჩაგვრა-შევიწროებას ადგილი არა ჰქონია. კოლექტივიზაცია ჯერ დაწყებული არ იყო, არც სტახანოვობა, შრომის ნორმები და საშუალო ადგილზე მიმაგრება არსებობდა. ამავე დროს კომუნისტური პარტია ხალხს სამოთხის აშენებას ჰპირდებოდა, სადაც გლეხსა და მუშას უნდა ებატონა. და თუ მხედველობაში მივიღებთ კომუნისტების მიერ შემოღებულ, მეცნიერულ მეთოდით ნანარმოებს, აქამდე მსოფლიო ისტორიაში უხილავ მასობრივ პროპაგანდას, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ ხალხისათვის ყველა ამ დაპირებათა არდაჯერების საბუთი არც არსებობდა.

მაშ, ასეთ პირობებში რისთვის აუჯანყდნენ გლეხები და მუშები თავიანთ „გლეხურ-მუშურ“ ხელისუფლებას?

ცხადია, აქ უნდა მოვძებნოთ ისეთი რამ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს წაართვა და რის დაბრუნებასაც ეს ხელისუფლება აღარ აპირებდა. ასეთი რამ ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იყო. და სწორედ ეროვნული თავისუფლების აღდგენა იყო აჯანყებულთა ლოზუნგი, რადგან ეროვნული თავისუფლების დაკარგვამ გამოიწვია მასობრივი გამოფხიზლება ხალხისა. დიდმა და პატარამ იგრძნო ეროვნულ ჩაგვრით გამოწვეული ტკივილი და ქართულ კომუნისტურ მთავრობის მოსკოვის მორჩილებაში ყოფნამ წარმოშვა გრძნობა ეროვნული ღირსების შეურაცხყოფისა.

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაშინდელ ქართულ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შესრულებული აქტია, აგვისტოს აჯანყება, ამავე აქტის უზენაესი რატიფიკაციაა, რადგან იგი თავდადებულ ათასთა მიერ დაღვრილი სისხლით არის ხელმოწერილი.

შორს, ძალიან შორს უნდა დავიხიოთ ქართულ ისტორიაში, რომ აგვისტოს განზომილების მოვლენას მივაგნოთ. კოხტასთავის შეთქმულების შემდეგ ასეთი, სრულიად საქართველოს მაშტაბით მომხდარი აქტი, ჩვენს ისტორიას არ ახსოვს.

ყოველი აჯანყება, რა თქმა უნდა, გამარჯვების იმედით ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი დამარცხებული აჯანყება ფუჭად ჩავლილი ცდაა.

აგვისტოს აჯანყების ხაზგასმით ეროვნული მოტივი და მისი მასობრივ-ხალხური ხასიათი უდიდესი აქტია, რომლის ბადალი ჩვენს ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება.

იგი უტყუარი საბუთია ჩვენი ეროვნული სიმნიფისა თანამედროვე გაგებით და ჩვენი ხალხის ფართო მასაში ეროვნული შეგნების გამეფებისა, რაც მომავალ ქართულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობისათვის უყოყმანო სავალი გზის მაჩვენებელია.

ჩვენ ამ მოვლენათა უშუალო მოწმეთ და ზოგჯერ მონაწილეთ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია საკმაოდ დაშორებულ მანძილიდან შევხედოთ მას. და რაოდენ დიდადაც არ უნდა მივიჩნიოთ იგი, მის ნამდვილ სიდიდეს ჩვენ ვერ გავზომავთ, ეს მომავლის საქმეა. ხოლო ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ ღირსეულად და ერთგული მხნეობით ვიბრძოლოთ იმ მიზნისათვის, რომელსაც ათასობით დაღუპული აგვისტოელი შეენირა და სიკვდილამდე ურყევად ვემსახუროთ უკეთილშობილეს საქმეს, რომელსაც კი შეიძლება კაცი ემსახუროს. საქმეს, რომელსაც მშობელი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლა ეწოდება.

შეიძლება დღეს მიულწევლად მოჩანდეს ჩვენი მიზანი. იქნებ განუზომელი იყოს ჩვენსა და ჩვენს მტერს შორის არსებული ძალთა სხვაობა, მაგრამ ჯერ ერთი, საერთოდ, გზის სიძნელისა გამო, გზიდან გადახვევა იქით ნასვლას ნიშნავს, საითაც არ უნდა წავსულიყავით, ჩვენს შემთხვევაში კი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ძიებისათვის თავის დანებება ეროვნული სახის დაკარგვას, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენს გარუსებასა ნიშნავს.

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ზღვა სისხლი სწორედ იმიტომ დაღვარა, რომ ეროვნული სახე არ დაეკარგა და უცხოთა მასაში არ გათქვეფილიყო. ამიტომ წარმოვადგენთ ჩვენ ეთნოგრაფიულად, შედარებით პირველ სახით, დღემდე მოღწეულ თითქმის ერთადერთ ერს, რომელიც კაცობრიობის იმ უძველეს და უნიჭიერეს ჯიშს ეკუთვნის, რომელმაც დღემდე უძველესად და უპირველესად ცნობილი მცირე აზია-ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცია შექმნა, რომელმაც საერთოდ ისტორია დაიწყო.

ბუნების კანონია: ცოცხალმა არსებამ თავის თავს არ უნდა უღალატოს. არც ჩვენ შეგვიძლია სხვაგვარად მოვიქცეთ.

ჩვენი ისტორიიდან მრავალ შემთხვევას ვიცნობთ, როდესაც ერთი შეხედვით, ყოვლად უიმედო მდგომარეობას ქართველთა გამძლეობა და წინააღმდეგობა ვერ გაუტეხია და ჩვენს ქვეყანას დაკარგული თავისუფლება კვლავ მოუპოვებია.

სწორედ ამ დღეებში ქართული ეკლესია იგონებს ორ ქართველ მამულიშვილს, რომელნიც არაბთა ბატონობას წინ აღუდგნენ და ამისათვის მონამებრივი სიკვდილით დაისაჯნენ. ესენი იყვნენ დავით და კონსტანტინე. რამდენად უიმედოდ უნდა გამოჩენილიყო მაშინ ამ ორი ძმის ბრძოლა იმ არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ, რომელთაც მაშინდელ მსოფლიოში, არა მარტო სამხედრო სარბიელზე, არამედ კულტურულ სფეროშიც მეტოქე არ გააჩნდათ და რომელთა ზღვად ქცეულ მსოფლიო იმპერიაში საქართველო იყო ჩაძირული. მაგრამ სწორედ არაბთა ბატონობიდან თავის დაღწევას მოჰყვა დავით აღმაშენელისა და თამარის ეპოქა. თორმეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ და წმინდანთა შორის ჩარიცხულ დავით და კონსტანტინეს ნემტს ქართველი ხალხი 12 საუკუნის განმავლობაში თავყანას სცემდა.

თანამედროვე დავითები და კონსტანტინეები არიან აგვისტოს გმირები და თუ ორი კაცის ხსოვნა ჩვენმა ერმა 12 საუკუნე შეინახა, გაზომეთ, რაოდენი ვალი გვადევს რამდენიმე ათას დაღუპულ კაცისა.

აი, ის წარსული და თანამედროვე მაგალითები, რომელთაც უნდა გაგვამაგრონ სულიერად და მოგვანიჭონ რწმენა ჩვენი საქმის სიმართლისა. რა საცოდავად გამოიყურება ყოველივე ამის გვერდით ისტორიკოსთა და ჟურნალისტთა ქურქში გახვეულ, მტრის სამსახურში მყოფ პოლიციელთა ცდები ჩვენი წმინდა საქმის გასაშავებლად. მათი საქციელი ზიზღნარეუ სიბრალულის გამომწვევია ოდენ.

ქართული ემიგრაცია, რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამაყად და ღირსეულად ატარა ერის თავისუფლებისათვის მერძოლთა სახელი, კვლავ ამაყად და თავდადებულად იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის შელახულ უფლებათა აღდგენისათვის და ყველგან, სადაც კი ხმა მიუწვდება, იტყვის და მოითხოვს იმას, რასაც დატყვევებული და სიტყვანართმეული ქართველი ერი თვით ვერ ამბობს და ვერ მოითხოვს.

დღეს კი ქართველ ათასეულ მონამეთა მოგონების ჟამს, საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენით შევძახოთ მათ სულებს:

დიდება თქვენს ხსოვნას, გამარჯვება თქვენს საქმეს.

გიორგი ყიფიანის ლექსები რეცენზია

ივრია, 13 1967

ეს საკმაოდ სქელი წიგნი, ჩვენი პოეტის ნაწარმოებთა თითქმის მთლიან კრებულს წარმოადგენს და თუ საფიქრებელია, რომ მისი გამოცემა ავტორისათვის სასიხარულო მოვლენაა, ეს კრებული მკითხველისათვისაც ფრიად საამო საჩუქარია.¹

ჩვენს დალოცვილ ქვეყანას პოეტები არ აკლია, მაგრამ ქართველებს პოეზია ისე ძლიერ გვიყვარს – ყიფიანის კრებულის გამოცემა თუნდ მარტო ლიტერატურული მოვლენაც რომ ყოფილიყო, ჩვენ იგი მაინც გაგვახარებდა. ხოლო ჩემის აზრით, ამ წიგნის საზოგადოებრივი მნიშვნელობა უფრო დიდია ვიდრე ლიტერატურული – რადგან გიორგი ყიფიანმა, თავისი ნამოღვაწარით, როგორც ქართველი ემიგრაციის პოეტმა, თავისი სახელი ისტორიაში ჩასწერა. და ვერც ერთი მომავალი მკვლევარი, როდესაც ჩვენი აქაური სულისკვეთების დახატვასა და ახსნას მოინდომებს, ყიფიანს გვერდს ვერ აუვლის – მით უფრო, რომ ქართველთა უმეტესობისათვის (ჩვენდა საუბედუროთ) ზრახვათა, როგორც გამოთქმის ისე გაგებისათვის, პოეზიის ენა უფრო ადვილად სახმარი და მისანვდომია, ვიდრე სხვა რომელიმე ხერხი გამოთქმისა.

ემიგრაციაში სხვა ქართველი პოეტებიც გვყავს მაგრამ ვერცერთ მათგანს „ქართული ემიგრაციის პოეტი“ ვერ დაერქმევა, რადგან ისინი სისტემატიურად არ ბეჭდავენ, მათი ხმა ჩვენამდე კანტიკუნტად აღწევს, ან მათი მოტივები უფრო პიროვნულია ვიდრე საზოგადოებრივი. ყიფიანის ლექსთა კრებული კი ნამდვილი მატანია ჩვენი აქაური ცხოვრებისა, ჩვენი ჭირისა და ლხინისა, ჩვენი იმედებისა და სასოწარკვეთილებისა, ჩვენი სიყვარულისა და სიძულვილისა, ჩვენი მეტამარფოზისა, ჭაბუკურ ტაატიდან ხანდაზმულ სიდინჯემდე. ყოველი ჩვენთაგანი ამ ლექსების კითხვისას, საკუთარ სულიერ განცდათა პარალელებს იპოვნის. ან უკვე კარგა გრძელი წარსულიდან ვიდრე დღევანდლამდე.

¹ გიორგი ყიფიანი: ლექსები, პარიზი 1965.

ყოველივე ზემოდ თქმულს მხედველობაში თუ მივიღებთ, ნიგნის საკუთრივ ლიტერატურული ღირსება ბანალურიც რომ ყოფილიყო, ავტორს საყვედურს მაინც ვერ ეტყოდით. მაგრამ ამ მხრივაც, ყიფიანი, როგორც პოეტი, დამოუკიდებელი ორიგინალური ლიტერატურული მოვლენაა.

ნიგნის პირველად ნაკითხვისთანავე, ვიდრე მკითხველი ანალიზს შეუდგებოდეს, მას თვალში ერთი უცნაურობა ეცემა: უნაკლო შიირების, შედევრების გვერდით თქვენ ნაანყდებით დაუზღუდავებელ ლექსს, თითქმის ნედლ მასალას, მაგრამ დავინწყით თავიდან. ამ ამბავს თავისი ისტორია აქვს, რომელშიც ფრიად ცნობილი პირია ჩარეული.

გრიგოლ რობაქიძემ ყიფიანს შენიშვნა მისცა: „ხელოვანი „ხელოსანიცაა“. ხელოსნობაში გიორგი ყიფიანს კიდევ ნვართი სჭირდება. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნამდვილ გამართვას ქართული სიტყვისა“-ო.

ამის გამო გ.ყიფიანმა დაბეჭდა ლექსი „დიდ ოსტატს“, რომელშიაც იგი არა მარტო უპასუხებს გრიგოლ რობაქიძეს, არამედ აღსარებასაც ამბობს და თავისი პოეტური სულის გასაღებს იძლევა:

„შიირის სხეულს შალაშინით ვერ ვალამაზებ,
სიტყვის საჭრელად სტრიქონებში ვერ დავდგი დაზგა...
ჩემი ლიმილის მე არ მინდა დავაჟუკაცება,
რომ საღებავით შევაფერო სიტყვა ნათქვამი...
არავის ავნებს სურნელება ველური ბალის,
სად კაცის ხელი ხელოსნობით ვერ შეხებია...
გზები მოღლილი თუ შეჩერდა უძარღვო თქმამი,
გემშვიდობები, შიირებში დავრჩები ბავში“.

კაცს ძალაუნებურად აკაკისა და ვაჟას ცნობილი დიალოგი მოაგონდება: „ენას გინუნებ ფშაველო“ და პასუხი: „ნუ შეგამინებსთ არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა“. ყველა პროპორციის დაცვით ორ ამბავს შორის დიდი მსგავსებაა. ორთავე შემთხვევაში უკვე სახელმობხეჭილი პ.იეტები, ჯერ კიდევ გზის მკაფავ პოეტებს მიმართავენ, და როგორც აკაკი ზემოთმოყვანილ ფრაზას რამოდენიმე წლით უფრო გვიან აღარ დანერდა, ისე რობაქიძეც, უნდა ვიფიქროთ, ყიფიანის შემოქმედებას დღეს რომ აფასებდეს, საქმეს სხვაგვარად განსჯიდა, რადგან დანახავდა, რომ მის მიერ აღნიშნულ ნაკლს შეგნებულად ინარჩუნებს ყიფიანი.

ვინც ყიფიანის ნაწერთა მთლიან კრებულს გაეცნობა, აშკარად დაინახავს, რომ თუ პოეტი ამბობს: „ვერ ვალამაზებ“ და „ვერ დავდგი დაზგა“-ო, იმიტომ კი არა, რომ მას ეს არ შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ მას არა ჰსურს მისი „ლიმილის დავაჟუკაცება“ და „ნათქვამი სიტყვის საღებავით შეფერვა“. ხოლო ჰსურს ფრიად ძნელი და პოეტისათვის ძვირფასი რამ: პოეზიაში ბავშვად დარჩენა. გ.ყიფიანის ნიგნში ნამდვილი მიღწევები იმდენად საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი, რომ მის პოეტურ სიმაღლეში კაცს იჭვი არ შეეპარება, ხოლო რაც „ხელოსნობა-

ში წვარს“ შეეხება. თუ ეს ხელოსნობა სისტემატურად არ არის გამოყენებული, ამით სხვა, ხელოსნობაზე უფრო იშვიათი და უფრო ძვირფასი თვისება არის გამოყენებული, რომელსაც პოეზიაში ყოველგვარ „წვართზე“ მეტი ფასი აქვს. ეს გახლავთ პირველადი გრძნობის ხალასად ჩვენების უნარი, რაც პოეტისაგან უდიდეს ვაჟკაცობას მოითხოვს, რომლის გამოჩენაც აბსოლუტურ გულწრფელობის გარეშე, ყოვლად შეუძლებელია.

ნიჭით, შრომით, წვართით, ცოდნით კაცი ბევრ რამეს მისწვდება, მაგრამ იშვიათია პოეტს ვაჟკაცობა ჰქონდეს ყოველგვარ ფერ-უმარილის უმისოდ, შიშველი გულისა და სულის ამარა მკითხველის წინაშე წარსდგეს და სთქვას:

„რაც ღმერთმა მომცა მოკრძალებით მე შენ გთავაზობ.

გავაიაფე პოეზია? არა არასდროს“.

ამ წერილს წერტილი აქ ვერ დაესმევა, რადგან ისე გამოვა, თითქოს გრიგოლ რობაქიძე გიორგი ყიფიანის წინაშე მტყუანი გამოძყავდეს. რა თქმა უნდა, ჩემგან დანუხებით გ.რობაქიძეს არაფერი დააკლდება, მაგრამ არც გ.ყიფიანის სახელს მიემატება რამ; რადგან ყიფიანის ნაწერებს კიდევ სხვანიც გააჩვენენ მომავალში და რობაქიძის ავტორიტეტი მეც და ყიფიანსაც ორთავეს გაგვანადგურებს.

ისეთი პოეტი, რომელიც არ არის „ხელოვანი ხელოვნებისათვის“, არამედ უფრო საზოგადოებრივ მოტივებზე მწერალია, თავისი სტილის არჩევაში პირველზე ნაკლებად თავისუფალია. ამ უკანასკნელს მეტი მოვალეობა აწევს მკითხველთა მიმართ და მისი სახელი და ღიდება შესატყვისი საფასურით გამოისყიდების. (ეს ის მდგომარეობაა ფრანგები რომ გრანდორ-სა და სერვიტიუდ-ს ეძახიან). გ.ყიფიანი ვალდებული იყო მარტო მოხდენილი პასუხით არ დაკმაყოფილებულიყო და შენიშვნისათვის მეტი ანგარიში გაენია. ყიფიანის „შეუღლებავი სიტყვა“, „დაუვაჟკაცებელი ღიმილი“ და „ველური ბალის სურნელება“ ლამაზია და მისაღებია მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე. ზომას გადაჭარბებული კი უკვე ნაკლად იქცევა. მართალია ყველას უფლება აქვს საკუთარი გემოვნება ჰქონდეს, მაგრამ ვისაც უმრავლესობის მონონების დამსახურება ჰსურს, იგი ამ უმრავლესობის გემოვნებასაც უნდა შეეგუოს. სიტყვის უდიდესი ოსტატები ამუშავებდნენ თავიანთ ტექსტს. ზოგ ნაწარმოებს თვითონვე იწუნებდნენ და არ ბეჭდავდნენ. ილიას არქივში ერთ მისგან დანუხებულ დაუბეჭდავ ლექსს აქვს წარწერა: „რიტორიკა უშვერი“. გ.ყიფიანის წიგნში უშვერი არაფერია, მაგრამ ზოგი ლექსი, უნდა ითქვას, ადვილად აიტანდა გასწორებას. ხოლო თუ ისეთი აღმოჩნდებოდა, რომელიც გასწორებას გაუძლიანდებოდა, მისი არდაბეჭდავც არაფერს გააფუჭებდა.

„საქართველო! ასე როგორ ნახდი?!“

ივერია, 15.1973

ემიგრაციაში მყოფი თითქმის ყოველი ქართველი ღებულობს ეგრეთწოდებულ კულტურულ კავშირის ორგანო „სამშობლოს ხმას“, და რამდენადაც ვიცით, მას ყველა კითხულობს. საქართველოდან მონვედნილი ხმის გაგონება, როგორც არ უნდა იყოს იგი, მაინც საამოა. „სამშობლოს კვამლიც გვეამებაო,“ თქვა ერთმა რუსმა.

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ამ გაზეთს ვკითხულობთ, თორემ მისი ხარისხი არც ტექნიკური, არც შინაარსობრივი, არც სტილისტური, ჩვენს გემოვნებას და მოთხოვნილებას, რა თქმა უნდა, არა თუ არ აკმაყოფილებს, არამედ აღიზიანებს კიდევ, ვით უკუსაგდები საგანი.

ამასთანავე, ყოველმა ჩვენგანმა იცის, თუ როგორია ამ გაზეთის ნამდვილი, პირველი დანიშნულება და მიზანი. ყოველი მკითხველი, როგორც კი ამ მოთაფლულ ქადას გატკვირავს, მაშინვე იგემებს ცომში საკმაოდ უხეშად ჩატანებულ შხამს. თუმცა, გაზეთის ნამდვილი მიზანი ზოგჯერ თვით მის ფურცლებზეც, ყოველგვარ დაფარვა-შეხამების გარეშეც იბეჭდება.

რამდენიმე ხნის წინათ, ამ საზოგადოების გამგეობის ახალი არჩევნებისთვის მონვეულ კრებაზე წარმოთქმული სიტყვები გამოქვეყნდა.

ქართველები, როგორც საერთოდ, გრძლად და ფრთოსან სიტყვებით რალაცას ლაპარაკობდნენ. დიდი ვირტუოზობით ახერხებდნენ რომ ბევრი ელაპარაკათ, არაფერი ეთქვათ და არც სხვისი ნათქვამი გაემოროებიათ.

მაგრამ ამ კრებაზე ერთი რუსიც ყოფილა, მოსკოვის თვალ-ყური და „ბრძანებულების“ გადმოძველი, მას ყველაზე მოკლედ ულაპარაკია, თუმცა, ღმერთმა ხომ იცის, ყველაზე მეტი ნება გაგრძელებისა სწორედ მას ჰქონდა, მისი სიტყვის მთავარი აზრი იყო: „საზღვარგარეთ ცხოვრობს ჩვენი ქვეყნიდან წასული რამდენიმე მილიონი ადამიანი, ჩვენი მიზანია, ეს ხალხი საბჭოთა კავშირის მეგობრად გაეხადოთ“.

ყოველი ავაზაკისა და ბოროტმოქმედის მიზანიც არის, რომ მისი ბოროტების მონმე და მამხილებელი „მეგობრად“ გაიხადოს და... გააჩუმოს. თუ საკითხს გავა-
შიშვლებთ, საქმის ვითარება სწორედ ასეთია.

„საბჭოთა კავშირის მეგობრობა“, ეს ფრაზა გულმართალი მალემრწმენი კაცი-
სათვის ნამდვილი ხაფანგია, რადგან „საბჭოთა კავშირი“ თითქოს ქვეყნის სახე-
ლია, როგორც საფრანგეთი, არგენტინა, შვედეთული შტატები და სხვ. ხოლო
მეგობრობა ხომ კაცობრიობის ყველა ლექსიკონის საუკეთესო სიტყვაა.

განა „საბჭოთა კავშირი“ შიგ მცხოვრებ ხალხების მიერ ნებაყოფლობით არ-
ჩეული სახელი არის? იგი ქვეყანას და ხალხს კი არა ჰქვია, არამედ იგი – სისტემაა
და პოლიტიკური რეჟიმი, რომლის უკან იმალება უზურპატორთა ჯგუფი, რომე-
ლიც პოლიციურ დიქტატურის და იერარქიულად აშენებულ პარტიის შემწეობით
უპასუხისმგებლოდ მართავს და ყვლეფს ხელებშეკრულ ხალხს, ყველა ეროვნე-
ბისა და ყველა რასისას. იგი ერთნაირად ავიწროებს გლეხს, მუშას, ტექნიკოსს,
მეცნიერს, ხელოვანს, მოაზროვნეს და ინტელიგენტს.

„საბჭოთა კავშირის“ მეგობრობა და იქ მცხოვრებ ხალხისადმი მეგობრობა
სულ სხვადასხვა ცნებაა.

რაც, კერძოდ, მეგობრობას შეეხება, ამ ცნებას აზრი მაშინა აქვს, თუ იგი ორივე მი-
მართულებით მოქმედებს, ხოლო საბჭოები დღედაღამ იმის ცდაში არიან, რომ თავისუ-
ფალი, ხალხთა ბუნებრივად მიმდინარე ცხოვრება დაანგრეონ და აკრძალონ ყოველივე
ის, რაც ამ ხალხებს ადამიანურ ცხოვრების უპირველეს მოთხოვნილებად მიაჩნიათ.
სახელდობრ: პიროვნების, სიტყვის და აზრის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწო-
რობა, რელიგიური თავისუფლება, ლეგალური გარანტია ადამიანის უფლებათა დაცვი-
სა და სხ. და ყოველივე ამის ნაცვლად, მათ სურთ თავს ჯოჯოხეთი მოგვახვიონ. ასეთი
ხალხის მიმართ მეგობრობა და ნდობა ხომ თავის მტრობა იქნებოდა.

ამ მიზნისათვის მუშაობს „კულტურულ კავშირის“ ქართული ფილიალი. მას
დავალებული აქვს მოსკოველ ავაზაკთა ზროვას აქ სამწყსო შეუქმნას, მათი მიზ-
ნებისათვის მლოცველი. არა მგონია, გაზეთის რედაქციაში ვინმე ისეთი მოიპო-
ვებოდეს, რომელსაც ჩვენი გაბრიყვების ნამდვილი იმედი ჰქონდეს, მაგრამ ჩვენი
მოსახიბლავი ფერხული მანაც გრძელდება და რასაკვირველია, ქართული ფილია-
ლი ჩვენ, ქართველებს, ქართული კერძით გვიმასპინძლდება.

ამ ხალხთან რომ ადამიანური საუბარი შეიძლებოდეს, შეგვეძლო გვეთქვა, რომ
გვეყო ამდენი კვებნა- ტრაბახის მოსმენა, რომ ჩონგურის ერთ და იმავე ჰანგზე
ჩხაკუნნი, მხოლოდ შემოქმედებითი სილატაკის ნიშანია, რომ ჩვენ უხერხულობის
და სირცხვილის გრძნობა გვიპყრობს, როდესაც ჩვენი ქვეყნისათვის, ზოგჯერ
საამაყო და დამსახურებულ პირებს, რომელთა სახელიც ჩვენ პირველად გვესმის,
მსოფლიოში ცნობილ პირებად გვაცნობთ, რომ აქედან დაბრუნებულ ზოგიერთ
ქართველს, რომელთაც ჩვენ თქვენზე ბევრად უკეთ ვიცნობდით, აქაურ ქვეყნების
ეროვნულ გმირებად გვისახავთ.

რომ უცხოეთში მყოფ, რამდენიმე ათეულ, ნახევრად ქართული სისხლის მქონე ბავშვთათვის ქართულის სწავლების ცდა, თუმცა, პრინციპში კეთილი საქმეა, მაგრამ რაოდენ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე საქართველოსთვის შენარჩუნება იმ რამდენიმე ათეულ ათას ქართველ ბავშვისა, რომელნიც საბოლოო გარუსების გზაზე მყოფნი, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე არიან გაფანტულნი და მათზე არვინ ზრუნავს.

რომ ეგრეთწოდებული ქართული მრენველობის ექსპორტი საზღვარგარეთ, მხოლოდ ცარიელი ბაქიბუქია, რომ ამ დაბალი ხარისხის საქონელს მხოლოდ იმიტომ აქვს გასაყალი, რომ მისი საყიდელი ფული საბჭოთა კავშირის მიერვე არის ჩამორჩენილ ქვეყნებისადმი თითქმის საჩუქრად მიცემული, იმ პირობით, რომ ამ ქვეყნებმა საბჭოური საქონელი შეიძინონ. და კიდევ, რამდენის თქმა შეიძლებოდა...

მაგრამ შევეხოთ, ყველაზე საზიზღარ წერილს, რომელიც ამ გაზეთმა დაბეჭდა და რომლის ბადალი თავისი სიმდაბლით მთელ ქართული პრესის არსებობის მანძილზე არ ვიცი, თუ მოიპოება. ეს წერილია: „რუსეთი ჩემი, მამულეთი ჩემი“, რომლის ავტორია გივი კარბელაშვილი.

როდესაც ეს სათაური ნაიკითხე, ვიფიქრე, ვინმე რუსის წერილია ქართულად თარგმნილი-მეთქი – თარგმნილი ცუდად, რადგან კარგ თარგმანში კაცმა ვერ უნდა გამოიცნოს, რომელ ენიდან არის გადმოღებული, აქ კი ფრაზა ტიპური რუსულია: „როსსია მოია, ოტჩინზა მოია“, მაგრამ როდესაც კითხვა დავიწყე, იძულებული ვიყავი წარმოუდგენელი რამ დამეფერებინა – წერილის ავტორი ქართველი იყო. კითხვის პროცესში ორი გრძნობა დამუფლა, სირცხვილი და ტკივილი. მრცხვენოდა, რომ ქართველმა ასეთი რამ დანერა, რასაც სომხები, ჩერქეზები, აზერბაიჯანელები, უკრაინელები და კიდევ სხვები – თვით რუსებიც ნაიკითხავენ. და არავის, თვით რუსებსაც კი, ეს საქციელი არ მოეწონება, სიმხდალესა და მხოხავობას, ღირსეული კაცი მტერსაც არ უსურვებს.

ტკივილსა ვგრძნობდი, როგორც ჩემი ქვეყნის შვილი, რადგან ჩემს სამშობლოს ტკივილს აყენებდნენ.

ჰოი, ჟამთა სიავე! ნუთუ ამდენად დავეცით, რომ ჩვენში ასეთი რამ იბეჭდება? წერილის ავტორი რუსეთს თავის სამშობლოდ თვლის და აღსარებას იგი „ნახალური“ კადნიერებით „მომავალ თაობათა გასაგონად ამბობს“. მისი აზრით, რუსეთი უნაკლო ქვეყანა ყოფილა, სიკეთით სავსე და ამ ქვეყანაში მხოლოდ რომანოვეებს ჰქონიათ ცოტაოდენი ნაკლი, რომლის მნიშვნელობა თურმე „არ უნდა გადავაჭარბოთ“.

ხოლო საქართველოს მიერ მთელი საუკუნის განმავლობაში, გარუსების წინააღმდეგ და ეროვნულ მეობის შენარჩუნებისათვის ნანარმოებ ბრძოლაზე გიამბობს: „თუ არად ჩავთვლით ზოგ-ზოგ ჩვენი თანამემამულის ურწმუნობას, თვით მათთვისვე სავალალო ახირებასო“... დიახ, სავალალოდ ახირებული ყოფილან ის ქართველები, რომელთაც რუსები არ სწამდათ.

ამგვარად, მარტო წითელი რუსეთი კი არ ყოფილა ჩვენთვის სიკეთის მომტანი, როგორც აქამდე ამბობდნენ, შავი რუსეთიც, სიკეთის და ბედნიერების წყარო ყოფილა საქართველოსთვის.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთდამოკიდებულება სანტიმენტალურ ან სარწმუნოებრივ საფუძველზე არასდროს არ დაყრდნობილა. საქართველო რუსეთის მფარველობაში სიყვარულით არ შესულა. ანგარიშის საკითხი იყო, სულის მოთქმა იყო საჭირო. არც რუსეთს ამოძრავებდა ჩვენი სიყვარული, როდესაც საქართველოში ჯარები მოჰყავდა. ჩვენ რუსეთისაგან მივიღეთ ჩვენი საზღვრების დაცვის საშუალება, მაგრამ რუსეთმა ჩვენგან ასჯერ მეტი მიიღო. საქართველომ რუსეთს შეაძლებინა, მთელ კავკასიას დაპატრონებოდა. მცირე აზიისაკენ გზა გახსნოდა და მაშინდელ მის მეტოქე ინგლისის ინტერესებს დამუქრებოდა. ყოველი მიუდგომელი უცხოელი დაგვეთანხმება, რომ ამ პოლიტიკურ ვაჭრობაში საქართველომ რუსეთზე ნაკლები მიიღო და მეტი კი გადაიხადა. ბეცი, ან მოსყიდული უნდა იყოს ის ქართველი, რომელიც ამ საქმეში საქართველოს ვალს დაადებს.

ასეთია საქმის ვითარება, პოლიტიკური ანგარიშით ნანარმოები ოპერაციისა. ხოლო რაც სიყვარულს, ერთმორწმუნეობას და პარტნიორთა ურთიერთლოიალობას შეეხება, რუსეთის საქციელი სავსეა მზაკვრობის, ლალატის, ჩვენი დასუსტების სურვილის, ჩვენი ეკლესიისადმი ფრიად არა „ერთმორწმუნოებრივი“ საქციელის, ჩვენი ეროვნული კულტურისადმი მტრობის და სხვა ამგვარი მაგალითებით. ეს მაგალითებია: პეტრე დიდის მიერ საქართველოს დალაღატინება სპარსეთთან კონფლიქტების დროს. ერეკლეს განმეორებული თხოვნების არ დაკმაყოფილება სამხედრო დახმარების აღმოჩენაში, ტოტლებენის საქციელი ასპინძაში და ერეკლეს გადმოგდების ცდა, ამავე დროს, ბაგრატიონთა მთელი გვარის გადასახლება რუსეთში. იმერეთის სამღვდლოებისადმი ჩადენილი კრიმინალური აქტები, საქართველოს ანექსია, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა, ქართული ენის დევნა სკოლებსა და ეკლესიებში და სხვა მრავალი.

კარბელაშვილო! ამისთვის გვმართებს რუსეთის სიყვარული?

თუ ილია და იაკობ გოგებაშვილი იმ დროს რუსეთისადმი ერთგულობაზე ლაპარაკობდნენ, ეს მაშინდელ მდგომარეობისათვის აუცილებელი ტაქტიკა იყო, დამპყრობლის სიფხიზლის მისაძინებლად ნახმარი. იმ გარუსების ინტენსიურ პოლიტიკის ხანაში, რომელსაც რუსეთი ჩვენში ეწეოდა, უამისოდ როგორ იქნებოდა შესაძლებელი: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუშაობა, სკოლების გახსნა, ქართულ გიმნაზიის დაარსება, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და საერთოდ, ხალხის ეროვნული გათვითცნობიერება. ამ გზით მაშინდელმა ქართველმა თავდადებულმა მამულიშვილებმა იმასაც კი მიაღწიეს, რომ ვითომ გიმნაზიის შენობის აგებას შეუდგნენ, სინამდვილეში კი მომავალი ქართულ უნივერსიტეტისათვის შენობა ააგეს – მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის პერსპექტივები სრულიად უიმედო იყო. ამგვარად, ჩუმმა, შენიღბულ-

მა, ერთი დიდი პატრიოტული მიზნისაკენ მიმართულმა მუშაობამ შესაძლებელ
ჰყო ჩვენი ქვეყნის ის მეტამორფოზა, რომელსაც მეფეთა იმპერიის დანგრევის
უმაღლესი ფარდა აეხადა და საქართველო ფეხზე ნამოდგა არა მარტო როგორც ერი,
არამედ როგორც სახელმწიფო. თითქოს ასი წელი კი არა, მხოლოდ რამდენიმე
თვე გაგვეტარებინოს რუსეთის უბრალო ადმინისტრაციულად დაყოფილ პროვინ-
ციის მდგომარეობაში. მოხდა ის, რომ მსოფლიოს წინაშე საქართველოს სახელით
წარდგნენ, რუსეთის სოციალისტთა ყველაზედ ცნობილი ლიდერები — ჩხეიძე და
წერეთელი.

ამგვარად, თავისუფლებამოპოვებულმა ერმა საკუთარი სახელმწიფო ცხო-
ვრების შენება დაიწყო და თუ ახლა, 50 წლის შემდეგ, დღევანდელ მსოფლიო
პოლიტიკურ ტენდენციებს თვალს გადავავლებთ, მაშინდელზე მეტად ნათელია,
თუ რამდენად გონიერი და მომავლის გამთვალისწინებელი ყოფილა ჩვენი მაშინ-
დელი ნორჩი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, ეროვნული
პროგრამა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ზომიერებით და ჰუმანურობით ხა-
სიათდებოდა. როგორ მოექცა ამ ქვეყანას „ძმური“ რუსეთი? ჩვენი სიყვარული
და ჩვენი დახმარების სურვილი ამოქმედებდა იმ ხალხს, ვინც ჩვენ წითელი არმიის
შემოგვისია?

ლენინს გარკვეულად აქვს ნათქვამი თავის მინერ-მონერაში და მაშინ გაცემულ
ინსტრუქციებში, რომ რუსეთს თავისი ეკონომიური მიზნებისათვის მთელი კავკა-
სია აუცილებლად სჭირდებოდა. პოლიტიკურ თვალსაზრისით, ლენინს საყვედურს
ვერ ეტყვი, რომ მან, როგორც რუსმა სახელმწიფო კაცმა, რეალურად იმოქმედა,
მაგრამ ქართველმა რომ ამ მოქმედებისათვის მადლობა უთხრას, ამ საქციელს
სახელად სიბრძნე ან ღალატი ეწოდება.

ყოველივე ეს წარსულია, მთავარი მომავალია და რა მომავალზე შეიძლება
იფიქროს კაცმა, თუ იმ მდგომარეობას და ყოფას, რომელიც ჩვენ ძალით მო-
გვახვიეს და რომლიდანაც არა თუ თავის დაღწევას, არამედ კრიტიკას, ცვლი-
ლებების შეტანაზე ფიქრს და მისი ვარგის-უვარგისობაზე მსჯელობასაც კი
გვიკრძალავენ; კიდევ მეტი, გვაიძულებენ, ჩვენვე ხოტბა შევასხათ ჩვენ ბორკი-
ლის დამდებლებს.

ქართველ ერს, რომელსაც კულტურული და პოლიტიკური წარსულის გრძელი ის-
ტორია აქვს, თურმე გადია სჭირდება, ცხოვრების გზაზე სხვის კალთას ხელჩაჭიდ-
ებულმა იაროს. და ეს ხდება დღეს, ისეთ ხანაში, როდესაც მსოფლიოში საბჭოთა
კავშირის გარეთ, არც ერთი ერი კი არა, ერად ქცევის მსურველი ხალხიც კი არ არ-
სებობს, რომ საკუთარ ცხოვრებას თავის ნება-სურვილის მიხედვით არ აწყობდეს.

ჩვენ რაღა ღმერთი გაგვინყრა, რომ ურუსეთოდ არსებობა არ შეგვძლებია,
რომელი ლოგიკიდან გამომდინარეობს ასეთი რამის მტკიცება, სად გაგონილა,
ერმა ყელზე საბელი მოიბას, სხვა ერს მისცეს და უთხრას, საითაც გინდა იქით
მატარეო.

თუ რუსეთი, ასეთი ყველასგან განსხვავებული ქვეყანაა, რომ მას არც ერთი იმ ნაქლთაგანი არა აქვს, რაც დედამიწაზე ყველა ერს, ყველა სახელმწიფოს და ყველა დამიანსაც ახასიათებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავისი თავი სხვაზე უფრო უყვარს და ამიტომ ყველა, უპირველესად, თავის თავზე ზრუნავს, მაშინ როგორ ხდება, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებში მხოლოდ ის ერები შედიან, რომელნიც ნითელმა არმიამ იარაღით შემოიერთა და არც ერთ მეზობელ ერს აზრად არ მოუვიდა, ჩვენსავით ბედნიერი გამხდარიყო და ჩვენი ბედი გაეზიარებინა, ჩვენ შემოგვიერთებოდა? როგორ ხდება, რომ ასეთი იდეალური ქვეყანა ამავე დროს ის ქვეყანაა, რომლის საზღვარი ყველა სხვა ქვეყნის საზღვრებზე უფრო დაკეტილია? როგორ ხდება, რომ სხვა ქვეყნებში ერთი სახელმწიფოდან მეორეში არა მარტო მგზავრობა, არამედ გადასახლება-გადმოსახლებაც უფრო ადვილია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ერთი ფედერაციულ რესპუბლიკიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლა?

რატომა ჰყავს საბჭოთა კავშირს სხვა ქვეყნებთან პროპორციულ შედარებით, მრავალჯერ უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი პოლიცია?

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთი, რომელსაც თვით რუსის ხალხი რკინის ხელით უჭირავს, ქართველებს ლოყაზე თითებს უტაცუნებს და მოსიყვარულე ზრუნვით ანებივრებს.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს უსირცხვილო პროპაგანდაა მხოლოდ. უსირცხვილო ხალხის მიერ უსირცხვილოდ გავრცელებული.

ჩვენსა და რუსეთს შორის დამოკიდებულება მარტივი და გამორკვეულია. რუსეთი იმპერიაა და საქართველო მისი ერთი პროვინციათაგანია. ჩვენ რუსი ადამიანის არც სიძულვილი, არც სიყვარული არ გვმართებს. ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩვენი ხალხის თავისუფლებაა და მხოლოდ მისი მიღწევის შემდეგ შეგვეძლება ჩვენს მეზობელ რუსებს ღიმილით და სიყვარულითაც (რატომ არა?) ველაპარაკოთ.

რაც შენს უშვერ ბოდვას შეეხება, რედაქტორო კარბელაშვილო, ამ მოვლენის ფსიქონალიზი სპეციალისტის საქმეა. იქნებ პათოლოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, იქნებ – უსაზიზღრეს ფერხთალოკვასთან, მაგრამ რადგან ასეთ სიყვარულს შეუპყრინხარ, შენი „ოტჩინის“ სტუბებში გლირსებოდეს დღის დასრულება. ქართული ცრემლი ნუ დაგცემია, რუსულ ჩექმას დაეტყუენოს შენი საფლავი და შენს ქელებზე „სელიოდკა“ ეჭამოთ და მყრალი „სამაგონი“ ესვათ უწამწამო თვალებიან მონგოლ-სლავურ მეტისებს.

ლევან ზურაბიშვილის მოგონება

თავისუფლების ტრიბუნა 7. 1975

საქართველოს ფარგლებს გარეთ გაშლილმა ქართულმა მოძრაობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. დაეკარგეთ ლევან ზურაბიშვილი.

ეს უბედურება იმდენად თავზარდამცემია, რამდენადაც ღიღია ის ადგილი, რომელიც განსვენებულმა თავისი ნიჭით, ცოდნით, უნარით, მონღომებითა და თავდადებით უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის დაიჭირა.

მისი საქმე გაგრძელდება, ის უნდა გაგრძელდეს, მაგრამ სინამდვილესაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ჩვენი საქმის ერთი უპირველესი ბურჯი ნაგვექცა, რადგან დაეკარგეთ კაცი, რომელზეც, სამართლიანად, უდიდეს იმედს ვამყარებდით. და ვაი, რომ მისი შემცველი იქნებ ვერასოდეს ვიპოვოთ.

ყოველი ადამიანი, რომელიც ამ სოფელს განშორდება, ჩვენი რელიგიური რწმენის მიხედვით, ღმერთის სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეს. ჩვენ, გარდაცვალებულის მეგობრებს, ამ სამსჯავროში არაფერი გვეკითხება, მხოლოდ წესია, რომ მიცვალებულის სულისათვის უნდა ვილოცოთ. თუმცა ყველამ უწყის, რომ ლევანი ღმრთისმოსავი კაცი იყო, ისიც ნუ დაგვაეინყდება, რომ ამქვეყნად უცოდველი არაეინ არის, მაგრამ რამდენადაც ჩვენ ლევანს ვიცნობდით, ვიცი, რომ იგი უფლის წინაშე პირნათლად წარსდგება.

ყოველი კაცი გარდაცვალების შემდეგ, მისი განვლილი სიცოცხლის განმავლობაში ნამოქმედართ, აქ დარჩენილთა სინიღისის სამსჯავროს წინაშე დგას და ჩვენი შეგნება, ჩვენდა უნებურად, განსვენებულის აქაურ ნამოქმედარს სასწორზე დებს.

ჩვენ დღეს მინას ვაბარებთ კაცს, რომლის მთელი ცხოვრება ნამდვილი წასაბადი მაგალითია, იმიტომ რომ მან, ადამიანურ იდეალს, როგორც მას სწამდა, თავისი სიცოცხლე, მთელი არსება, ყოველგვარი რეზერვის გარეშე, ურყევი ნებითა და თავდაუზოგავი გამეტებით მთლიანად გასწირა.

მას სურდა ყოფილიყო და იყო კარგი ქართველი. ხოლო კარგი ქართველობა, მის შეგნებაში, საქართველოს სამსახურს წარმოადგენდა და იგიც, ყრმობის ჰასაკიდან სიკვდილამდე, თავის ქვეყანას ემსახურა.

მას სურდა ყოფილიყო ქართული ოჯახის მამა და ეს ოჯახი მან შექმნა, იგი ამ ოჯახს, თავის მეუღლე ზეინაბთან ერთად სასახელოდ გაუძღვა და რა შედეგსაც მიაღწია, ამას ამონშებს ის სიყვარული და სიამაყე, რომელსაც ჩვენ, მისი შვილების შემხედვანი განვიცდით.

ვინც ლევან ზურაბიშვილის ცხოვრებას დააკვირდება, არ შეიძლება განცვიფრება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ ფიზიკურად არც ისე მაგარმა კაცმა, თავისი სიცოცხლის განმავლობაში, საკუთარ თავში ენერჯის იმდენი მარაგი აღმოაჩინა და დახარჯა, რამდენსაც ხშირად რამდენიმე კაცი შეერთებულად ვერ გამოიჩენს და ვერ დახარჯავს. ეს მოვლენა აიხსნება ერთი იმით, რომ ამ კაცში, გარედან შეუმჩნევლად, უამრავი ენერჯია ყოფილა დაბუდებული და მეორე – იმით, რომ მან მთელი თავისი შესაძლებლობა და უნარი, ყველაფერი, რაც კი მას ღმრთისაგან მოცემული ჰქონდა, დაუზოგავად და გულუხვი ალტკინებით, საზოგადო საქმეს შეაღია.

ქართული აფორიზმი ამბობს: „კაცად მამინ ხარ საქებად თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე: აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“ ლევან ზურაბიშვილმა ეს წესი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაიცვა და ამ პრინციპის ერთგულებაში დალია სული.

ჩვენ, ყველანი ჩვენი ქვეყნის სამსახურში ვიმყოფებით და ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად, ამ საქმეს ვემსახურებით. ზოგმა ჩვენმა თანამემამულემ იქნებ ლევანზე უფრო თვალსაჩინო ან უფრო დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ძნელია, მოინახოს ისეთი მოღვაწე, რომელსაც თავისი პოტენციური შესაძლებლობა ისე ინტეგრალურად ქვეყნის სამსახურის იდეისათვის შეენიროს, როგორც ლევან ზურაბიშვილმა მოიმოქმედა.

აი, ამაში მდგომარეობს ამ ჩვეულებრივი მოკვდავის არაჩვეულებრივობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: ჩვენს ქვეყანას რომ მასავით თავდადებული შვილები მეტი ჰყოლოდა, ჩვენი ქვეყნის ბედი სხვაგვარად წარიმართებოდა.

აი, მოკლე დახასიათება იმ კაცისა, ვისაც ჩვენ დღეს ვემშვიდობებით. მე თავს ვიკავებ, დანერვილებით მოგიტხროთ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. შრომით, გარჯით და დაულალავი მოქმედებით სავსე იყო მისი სიცოცხლე. პატიოსნად და ღვანლმოსილად გვტოვებს იგი ჩვენ. უზომოდ დიდია ის ვალი, რომელიც ჩვენ მისგან დაგვედო.

მე მხოლოდ თავს ნებას ვაძლეე, ყველა აქ მყოფებთან ერთად, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით სამძიმრით მივმართო მის დამნუხრებულ ოჯახს და ვუთხრა, რომ ჩვენ ყველანი მათ მნუხარებას ვიზიარებთ და ღრმად განვიცდით.

ან მშვიდად განისვენე, ძვირფასო ლევან. შენი ძეგლი და მოსაგონარი შენივე ნამოქმედარი და ნალვანია, რომლითაც შენმიერ ამქვეყნად განვლილი გზა ესოდენ სავსეა.

შენ ამსოფლიდან ისე მიდიხარ, რომ ვალზე მეტი მოგიხდია, რადგან შესაძლებელზე მეტი გაიღე.

როგორც ბევრ სხვას, არც შენ გელირსა შენთა წინაპართ საფლავებს შორის ქართულ მიწას რომ მიბარებოდი, მაგრამ ადამიანი ცხოველისაგან იმითაც განირჩევა, რომ მისი ფასი და ღირსება, ხორცი კი არა, სულია და შენს სულს აქ რა გააჩერებს, ოდეს თვით შენს სიცოცხლეშიაც შენი სული, გული, ფიქრი და გონება იმ ქვეყნისაკენ მიჰქროდა, სადაც შენს წინაპრებს უცხოვრიათ, რომელსაც ძველად კოლხეთი და ივერია ერქვა, ხოლო დღეს საქართველო ჰქვია.

საუკუნო იყოს ხსენება შენი!

ჩვენ და რუსეთი

ივრია, 17.1975

რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამ ორნაირი სახის უბედურება მოგვიტანა: კომუნისტური რეჟიმი და ეროვნული ჩაგვრა. ამათაგან პირველს რუსეთიც განიცდის. საკითხი ისმის, რუსეთმა რომ კომუნისტურ რეჟიმს თავი დააღწიოს, რა პერსპექტივები არსებობს ჩვენი და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებისათვის.

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრასთან გვაქვს საქმე, მჩაგვრელი ერის შვილებს, არც გულსა და არც გრძნობას დაჩაგრულთა ჩივილი არ ესმის – თითქმის ვერ გაუგია და ეს ასე ხდება არა მარტო უბრალო მოქალაქეთა შორის ან მმართველ წრეებში, არამედ იგივე ემართება ძალიან იმპიათი გამონაკლისის გარდა, დამპყრობი ერის რჩეულ ადამიანებსაც.

პუშკინი იყო ჰუმანისტი, ლიბერალი, იგი ცარისტულ რეჟიმს ნაკლებად იცნობდა და კიცხავდა, მაგრამ რუსეთის მიერ პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის მოხრჩობას ხოტბა შეასხა, როგორც საკუთარი ქვეყნის ძღვევამოსილების გამოვლინებას. როგორ და რატომ ხდება ასეთი რამ? ეს იმიტომ ხდება, რომ ნაციონალიზმი, რომელიც როგორც ჩაგრულებს, ასევე მჩაგვრელებსაც ახასიათებს, განსაკუთრებული თვისების მატარებელი გრძნობაა, რომელსაც მისი მქონე ადამიანის დაბრმავების უნარი აქვს. ნაციონალიზმი უკეთილშობილესი სანყისიდან გამომდინარე გრძნობაა, მაგრამ იგი ამ კეთილშობილების დიდ ნაწილს კარგავს, როგორც კი პოლიტიკის გავლენაში მოექცევა. რადგან პოლიტიკა, სახელმწიფოს მართვის და მისი ინტერესების მსახური იარაღია, ხოლო სახელმწიფოს ინტერესთა დაცვაში, თუმცა კეთილშობილება გამორიცხული არ არის, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე ანგარიშს უწევს მას. ძალიან ხშირად ხდება, რომ თვით ჩაგრული ერებიც, თავიანთ შინაურ საქმეებში, თვითონვე მჩაგვრელობას ჩადიან და ასეთი ერის შვილები ამას ვერ ამჩნევენ, ან თავიანთ ქვეყნის სიყვარულით და ინტერესებით გატაცებულნი, სხვადასხვა არგუმენტებით, მათი საკუთარი ერის მიერ ჩადენილ მჩაგვრელობას სრულიად გულწრფელად ამართლებენ.

დღევანდელი რუსეთი, ისტორიულად ნაციონალიზმის უზუნაეს განვითარების ხანაში იმყოფება. იგი ყველაზე დიდი იმპერიალისტური და ნაციონალისტური სახელმწიფოა და რუსები, სრულიად ბუნებრივია, საკუთარი ძლიერებით და დიდებით მთვრალნი არიან.

ის პარადოქსი, რომ ეს იმპერიალისტური სახელმწიფო, ამავე დროს, ინტერნაციონალურ-კომუნისტურ დოქტრინის კერაც არის, მხოლოდ კურორული ისტორიული თანდამთხვევის ბრალია. თორემ ვინ არ იცის, თუ როგორი მოხერხებით და მიღწევებით იყენებს რუსეთი სწორედ ამ ინტერნაციონალურ დოქტრინას თავისი ნაციონალიზმის სასარგებლოდ.

თანამედროვე რუს ანტიკომუნისტთა შორის აქა-იქ გაისმის ხმა (სოლჟენიცინი, სახაროვი, პანინი), რომელშიც თითქოს გამოსჭევივს შოვინიზმის და იმპერიალიზმის სანინალმდევო რამ, მაგრამ თუ დაუუკვირდებით, ვნახავთ, რომ ესენი, ჯერ ერთი, პოლიტიკოსები არ არიან და მეორე, მათ ერთა შორის ურთიერთჩაგვრის მოსპობის სურვილი კი არ ამოძრავებთ, არამედ – სწორედ რუსეთის ინტერესები, რომელიც მათ თავისებურად ესმით. მათი გაგება რეალიზმიდან ძალიან შორს არის, მათ ქადაგებაში პოლიტიკა და მისტიციზმი თანაბრად გვხვდება და იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ მათ მოქმედებაში ტაქტიკურ მოსაზრებებს არ ჰქონდეს ადგილი.

ყოველ შემთხვევაში კომუნიზმი რომ მოისპოს, ამით რუსული ნაციონალიზმი არ გაქრება. კიდევ მეტი, რუსების დღევანდელი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა მოახერხონ, კომუნიზმის თავიდან მოშორება ისე, რომ ის იმპერიალისტური შენაძენი, რაც მათ ნაციონალიზმმა და კომუნიზმმა მოუტანა, რაც შეიძლება უკლებლად შეინარჩუნონ.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ კომუნიზმის დამხობას დემოკრატიის დამყარება უნდა მოჰყვეს. აქვე აღვნიშნოთ და ნუ დავივიწყებთ, რომ დემოკრატია, ყოველთვის და სავალდებულოდ არ მოაქვს ხალხთა თავისუფლებას, მაგრამ როგორია საერთოდ დემოკრატიის შანსები რუსეთში? ამ საკითხზე მრავალი აზრი არის გამოთქმული და თუ უკიდურესობას არ გავყვებით, უმეტესობის აზრი ის არის, რომ რუსი ხალხის ხასიათში დემოკრატიისათვის, მეტი რომ არა ვთქვათ, ხელსაყრელი, ან მთლად შესაფერისი ნიადაგი არ არსებობს (რუსები ამბობენ, შზად არა ვართო) ე.ი. რუსეთში დემოკრატიაზე ზოგ პირობებში შეიძლება გაიხაროს, მაგრამ დასავლეთური გაგებით და ნარმატებით იგი რუსეთში ვერ გაიფურჩქნება.

წარმოვიდგინოთ და დაუშვათ რუსეთში თუნდაც კოჭლი დემოკრატიის დამყარება. გამოცდილებით ცნობილია, რომ არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოს უმტიკივინულოდ და ნებაყოფლობით თავისი დომინაციის ფარგლები, მარტო თავისი ნებით არასოდეს შეუმცირებია. ეს ცნება, რამდენიმე საუკუნის წინათ მშვენიერად გამოთქვა პოეტმა მეფემ: „ომი საზღვრავს მესაზღვრეთა“. ასე რომ, რუსეთში დემოკრატიის დამყარება საკმარისი პირობა არ არის ჩვენი სურვილისა

და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. თუმცა დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით მაინც დიდი შეღავათი იქნება, რადგან დემოკრატიული რუსეთი, გვაქვს ზოგი საფუძველი ვიფიქროთ, ჩვენი ეროვნული მეობის შენარჩუნებას და ეროვნული კულტურის განვითარებას ნაკლები სიმძაფრით წინააღმდეგება და შესაძლებელია, მხოლოდ რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესთა უზრუნველყოფით დაკმაყოფილდეს.

მარჩიელობა იმაზე, თუ მომავალი რას გვიქადის, მხოლოდ თავის გართობა იქნებოდა. რა პირობებში და რა ძალთა ჩარევით ან გავლენით მოხდება ძირითადი ცვლილებები, საბჭოთა კავშირში, ამაზე შეიძლება უამრავი ჰიპოტეზა დავუშვათ და როგორც ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხდება, არც ერთი წინასწარმეტყველება მთლიანად არ გამართლდება, მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელ გამოსავლის ნატვრა შეიძლება, ყველა სიძნელეს და მოსალოდნელ გართულებებს თუ მხედველობაში მივიღებთ, იდეალური, ყველასათვის სასარგებლო და გონიერი საკითხის გადანყვეტა, ალბათ, ის იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირი, ევროპის გაერთიანების მოძრაობას შეუერთდებოდა. ეს საქმე დღეს უტოპიად გვეჩვენება, მაგრამ დეგოლი, ვითომ უტოპისტი იყო, როდესაც ამგვარი გამოსავლის შესაძლებლობა და სასურველობა გამოთქვა ლოზუნგით: „ევროპა ატლანტიკიდან ურალამდე?“ ამას მომავალი გამოაჩენს.

ხოლო ჯერჯერობით რუსები დიდი ენერჯით მუშაობენ, იმპერიის ერთადემკრავი სისტემა, შეძლებისდაგვარად დაურღვეველ შენობად აქციონ: გარუსების პოლიტიკით, ჩამოსახლების მეოხებით წარმოებულ ეთნიურ კოლონიზაციით და ეკონომიკურად რუსეთისაგან დამოკიდებულების გასაძლიერებლად, საამისოდ დაგეგმილ ინდუსტრიის და მეურნეობის განვითარებით.

როგორ უნდა დაიცვას თავი საქართველომ? მეურნეობის და ინდუსტრიის ჩვენთვის არახელსაყრელ მიმართულებით განვითარებას ჩვენ ვერ შევებრძოლებით. განდის მეთოდები ჩვენში არ გამოდგება, არც პირობებია, როგორც ინდოეთში იყო. რკინიგზის ლიანდაგზე რომ ქართველები დანვნენ, ეს ჩვენში წარმოუდგენელია. არც ტყეში გახზუნა და იქიდან თარემის მოწყობა, ჩამოსახლებულ რუსების დასახოცად გამოგვადგება, დასაშვებიც რომ იყოს. ალჟირის მაგალითი ჩვენთვის გამოუყენებელია. ჩვენ დაგვრჩენია ერთადერთი საშუალება თავის შენახვისა, რომელსაც საქართველომ უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მიმართა: ვიმუშაოთ, რომ მომავალს მომზადებული შევხვდეთ; გავამაგროთ ერის ხერხემალი; დავიცვათ, განვავითაროთ ეროვნული კულტურა; დავიცვათ და ავამაღლოთ პიროვნული, ოჯახური და ეროვნული მორალი; ქართველობის შეგნებულმა, მონინავე ნაწილმა უნდა იზრუნოს ქვეყნისათვის, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწენი ზრუნავდნენ; ამ ზრუნვისა და ჯაფისაკენ ხალხს უნდა იზიდავდეს არა ხელფასი ან რაიმე მოგება, არამედ ნამდვილი პატრიოტული შეგნება და ქვეყნის სიყვარული. უნდა შევინახოთ ქართული ოჯახი; უნდა გავიგოთ, რომ მრავალშვილიანობა ეროვნულ

თავდაცვის საშუალებაა; ნუ დაგვაინწყდება, რომ მაღალი ზნეობა ადამიანის, ერის ძალაა; უნდა შევიგნოთ, რომ ზომავედ მეტი ყველაფერი ცუდია – ლეინო იქნება თუ უნივერსიტეტის დიპლომი; გეახსოვდეს, რომ თუ ყველა ქართველი ქალაქში მოეწყობა და სოფელი დაცარიელდა, საქართველოს ძირი გამოეთხრება; საქართველოში პატარა თანამდებობა გვერჩივნოს რუსეთში დიდკაცობას; რუსული ენა უნდა ვიხმართ, როგორც სავალდებულო შემთხვევაში სახმარი იარაღი და არა როგორც ქართული ენის შემცველი ენა.

თუ ამგვარმა შეგნებამ ხალხში ფეხი მოიკიდა და თუ ქართველები ამ შეგნებით იმოქმედებენ, მომავლის ნუ გვეშინია. მომავალი იმისთვის არის საშიში, ვინც მას მოუმზადებლად შეხვდება. და ბოლოს, ერთი რამ გავიხსენოთ: ილია მარტო ლიტერატურა არ არის; მისი სწავლა დღესაც აქტუალურია.

როგორ მუშაობდა ვიქტორ ნოზაძე

კავკასიონი, 18.1976

ვიქტორ ნოზაძემ „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკანი“, ასე ეძახდა იგი თავის სამუშაოს, ბერლინში დაიწყო. ომის უკანასკნელ წლებში მაშინ მას გარკვეული გეგმა ამ მუშაობისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდა. საერთოდ ამ დიდი საქმის დასაწყისი, ასე ვთქვათ, „ლოგიკური შემთხვევა“ იყო. ლოგიკური იმიტომ, რომ ის, რაც მან გააკეთა, სწორედ მოსალოდნელია მისგვარი ტიპის კაცისაგან, ხოლო შემთხვევა ის იყო, რომ მას ხელთა ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი მარჯორი უორდოპისა. ვიქტორმა თარგმანისა და ორიგინალის შედარებით დაიწყო მისი „ჩხრეკანი“. ეს მისთვის, თითქმის დროის მოკვლა და გონიერი გართობა იყო. თავიდანვე მისი ყურადღება მიიპყრო იმან, თუ როგორ არის ინგლისურად თარგმნილი სხვადასხვა ტერმინები, ცნობები და გამოთქმები.

ძებნის დროს მან „ვეფხისტყაოსანში“ შენიშნა, რომ ფერს ასე დიდი ადგილი უკავია და ამ მოვლენას დაარქვა „ფერთამეტყველება“, რაც შემდეგში მისი წიგნის სათაურად გადაიქცა. ხოლო სიტყვა „მეტყველების“ ქართულ ენაში არსებულმა გამოყენებამ, მას საშუალება მისცა იგივე სიტყვა სხვა, შემდეგი ტომების სათაურებშიც გამეორებულიყო.

მაშინ შეეყარა მას „ვეფხისტყაოსანის“ მიჯნურობა; ოცდაათი წელიწადი იხეტიალა მისთვის გაჭრილმა – გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე. ესპანეთი და ბოლოს საფრანგეთში დაბრუნებულმა, სიკვდილის წინ მოასწრო „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველები“ დასრულება, მაგრამ მათი დაბეჭდვის დასასრული კი ვერ იხილა.

ბერლინში ვიქტორ ნოზაძეს „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისათვის ბევრი დრო ჰქონდა. მხოლოდ ყოველდღიური საპაეო განგაში თუ უშლიდა ხელს. ერთ საღამოს, როდესაც იგი ჩვეულებრივად, სხვადასხვა გაშლილ ლექსიკონებს უჯდა და სიტყვებს ერთი მეორეს ადარებდა, რაშიც, სიტყვის უფრო სწრაფად მოსანახავად მეც ვეხმარებოდი, განგამის საყვირი გაისმა. ბინაში და მთელ სახლში მყოფე-

ბიც საჩქაროდ თავშესაფრისკენ გაემუდრენ. ვიქტორმა წასვლაზე უარი თქვა და ხათრით მეც დავრჩი. ცოტა ხნით მუშაობა განვაგრძეთ, მაგრამ მალე სინათლე ჩაქრა. ჩვენ მეორე ოთახში გავედით, ქუჩისკენ მიმართული ფანჯარა გავალეთ და ცას ვათვალიერებდით.

პროექტორები თვითმფრინავეებს ექებდნენ და მნათი ტყვიები ცას სერავდნენ. ერთმა ყუმბარმშენმა, განათებული არე გადაჭრა და ჩვენ პირდაპირ მდგარი მაღალი შენობების უკან გაუჩინარდა. – აბა, მითხარი, „ვეფხისტყაოსნის“ რომელ ადგილს მოგაგონებს ეს ამბავიო, – მკითხა ვიქტორმა. – საჰაერო ბრძოლასა და ფარ-ხმალით ბრძოლას შორის რა უნდა იყოს საერთო-მეთქი. ზიჩის ილუსტრაციები გაიხსენეო, – მომიგო ვიქტორმა. – ავთანდილი რომ ორბს ისარს ესერის, იმას გულისხმობ? – ვკითხე მე. – არა, სხვა უფრო შინაარსით და მოქმედებითაც მსგავსი სურათია: ფატმანის მონა ზანგი რომ, წერილით ხელში, ქაჯეთის ციხისკენ მიფრინავსო. – შე კაი კაცო, იმ მონას მანუგეშებული წერილი მიჰქონდა ნესტანისათვის. შინაარსობრივი მსგავსება აქ სად არის, ვიქტორ? – როგორ არ არის; ფრიდრიხშტრასსეზე როგორი ნესტანიც ზის, ამერიკელ ზანგებს ისეთი წერილი მიაქვთო.

ზოგჯერ ვიქტორის მუშაობას კომიკური სიუჟეტიც შეუქმნია. ცნობილია, რომ ინგლისური ენის სწორი კილოს დაუფლება უცხოელისათვის ფრიად ძნელია. ვიქტორს, საერთოდ, დიქცია არ უფარგოდა და მისი ინგლისური გამოთქმა რა უნდა ყოფილიყო. და აი, ერთხელ, როდესაც ვიქტორი უორდროპის თარგმანიდან ადგილებს იწერდა და ამისათვის ტექსტის საჭირო ფრაგმენტს ხმამაღლა კითხულობდა, მის შორიახლო მჯდომმა დიასახლისმა, რომელიც ამერიკელი გერმანელი იყო, თავის ქალიშვილს გადაუჩურჩულა: „ყური დაუგდე! როგორ წარმოვიდგენდი, რომ თურმე, ქართული ინგლისურს ჰგვანებიაო“.

ქართულ საზოგადოების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვიქტორ ნოზაძის ღვაწლს ყველგან ღირსეულად აფასებდნენ და თანამემამულეთაგან ნივთიერ და მორალურ დახმარებას ვიქტორი, არასოდეს მოკლებული არ ყოფილა.

საფრანგეთში დაბრუნებული ვიქტორ ნოზაძე, ისევ თავის ძმის, გიორგის ოჯახში ცხოვრობდა, სადაც მას ნივთიერად იმის მიერ უზრუნველყოფილს და მორალურად მთელი პარიზის ქართველობის მიერ მხარდაჭერილს, თავისი მუშაობისათვის ნორმალური და წამახალისებელი პირობები ჰქონდა. უკანასკნელ წლებში, ნოზაძეები პარიზიდან ლევილის ქართულ მამულში გადმოსახლდნენ. ქართული სტამბაც ამავე მამულში მდგარ ერთ შენობაშია მოთავსებული. ასე რომ, მისი მძიმე მუშაობა, ლინოტიპზე ტექსტის აწყობა, იმით მაინც შემსუბუქდა, რომ მეორე სართულზე მდებარე მისი ოთახიდან, ქვევით ჩამოსულს, სტამბამდე მისასვლელად ორი ნუთილა სჭირდებოდა.

ვიქტორის ოთახის ფანჯრები ხვეისაკენ დაქანებულ ბალს გადაჰყურებდა, რომლის გაღმა, ტყიანი გორაკები მოჩანს და ამ ოთახში ჩაკეტილი მუშაობდა იგი. თავი რომ მარტო არ ეგრძნო, მის კალმის წრიპინს და ფურცლების შრიალს, ორ

გალიაში ჩასმული ორი წყვილი ჩიტი ეხმაურებოდა, რომელთაგან ერთი წყვილი იაპონური ბულბულებისა იყო. მეორე წყვილის ჯიში არ ვიცი.

მის ფანჯრებზე გარეთა მხრიდან ზარი იყო მიმაგრებული, ზარის ბანარი ქვედა სართულემდე ეშვებოდა და ასე ატყობინებდნენ მას სადილის დროა, ვახშმის დროაო.

ვიქტორი განსაცვიფრებელი შრომის უნარის მქონე კაცი იყო, განსაკუთრებით, რაც გონებრივ შრომას შეეხებოდა, რადგან თუ იგი ფიზიკურ შრომას, ე.ი. ლინოტიპზე მუშაობას, ასე თუ ისე ნორმალურ საათებს უთმობდა, მაგიდასთან ჯდომის დროს მას ძილიც კი ავიწყდებოდა. მისი დაუღლელობის საილუსტრაციოდ, საკმარისია, მის მიერ გამოყენებულ ბიბლიოგრაფიას გადავხედოთ, სადაც სამასზე მეტი წიგნია მარტო „მიჯნურთმეტყველებისათვის“ დასახელებული და რომ ეს წყაროები მხოლოდ დასახელებული კი არა, მართლაც გამოყენებული, ე.ი. წაკითხულია, ამას ყოველი, საქმეში ჩახედული მკითხველი მიხვდება.

გარდა რუსთაველოგიურ მუშაობისა, ვიქტორ ნოზაძე სცემდა პერიოდულ ჟურნალ „კავკასიონს“ და ამასაც მარტო და დაუხმარებლად აკეთებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჟურნალის მასალებს სხვებისაგანაც ლებულობდა. მაგრამ ვისაც ამ საქმეზე წარმოდგენა აქვს, მან იცის, რომ თუნდაც წელიწადში ერთხელ გამომავალ, მაგრამ სქელტანიანი ჟურნალის რედაქტორობა, ასოთამწყობობა და ექსპედიტორობა, ერთი კაცისათვის უკვე საკმარისი ტვირთია.

მაგრამ ვიქტორ ნოზაძის საქმიანობა ამით არ ამოიწურება; მისი აქტიური და ნაყოფიერი დახმარებით იცემოდა ქართულ-გერმანული ლექსიკონის რვეული ციურისში, სადაც იგი ყოველ რვეულის გამოცემის წინ მიემგზავრებოდა ხოლმე და გარდაცვალებულ კიტა ჩხენკელის მიერ წამოწყებულ საქმის გამგრძელებელ შვეიცარიელ პატივცემულ ქალბატონებს: იოლანდა მარშეს, ლეა ფლურის და დოქტორ რუთ ნოიკიმს მორიგი რვეულის საბოლოო რედაქციისათვის ავტორიტეტულ კონსულტაციას აშველებდა.

სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში ვიქტორს დაღლილობა შეეტყო; ნერვიულობა ემატებოდა. ზოგჯერ სიანჩხლესაც იჩენდა, მაგრამ მუშაობის ტემპი არ შეუწყვეტებია. მხოლოდ ახლობლები ვამჩნევდით, რომ დაღლილობა ეტყობოდა. მის მიერ აწყობილი მასალაც ვერ იყო ძველებურად დახვეწილი. მაგალითად, ციტატების ქართული თარგმანი ზოგჯერ მოიკოჭლებდა, ნაჩქარევის კვალი აჩნდა. ერთხელ გავბედე და დახმარება შევთავაზე, ვუთხარი: ვიქტორ! ციტატების თარგმნა ტექნიკური სამუშაოა, ბევრ დროს გართმევს, მე გაგიკეთებ-მეთქი. მიპასუხა: შენ უფრო მეტ დროს დამაკარგვინებ, მე კი მეჩქარება, ხომ უნდა დავასრულო ბოლოს და ბოლოს ეს წიგნით.

შუა აპრილი იყო. ნოზაძეებთან მივედი, ვიქტორი ვიკითხე. მისმა ძმამ — გიორგიმ მითხრა: გააგებინე, კაცო, ვიქტორს, გაჩერდეს, თავს ნუ იკლავსო. ამას გიორგი ხშირად მეუბნებოდა და მეც ძველებურად ვუპასუხე: ვიქტორი, რაც უყვარს,

იმას აკეთებს; ასეთი რამ კაცს კი არა ჰქვავს, პირიქით, სიცოცხლეს უგრძელებს და ვიქტორისმაგვარი კაცისათვის, სიკვდილის მოლოდინში, სავარძელში ჯდომას აქტივობა არ ჯობია-მეთქი?

– შენ რომანტიკას თავი დაანებე, ნახე რა დღეშია, ანგინა სჭირს, ვერ ლაპარაკობს და კიდევ სტამბაში წავიდაო.

წავედი ენახე, თბილებში გახვეული ლინოტიპს უჯდა, ძლივს ლაპარაკობდა. ჩემი და გიორგის საუბარი გავეუხილე და ვუთხარი: ვიქტორ, თუ გინდა, რომ საქმე განაგრძო, საჭირო დროსაც უნდა გაჩერდე-მეთქი. ისევ ძველებურად წიგნის დასრულების აუცილებლობა ახსენა, მაგრამ დაუმატა: მართლა ცუდად ვარ, რამდენიმე წუთის სამუშაო დამრჩა და მერე დაეწევიო. რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს. 23 აპრილს გრძნობა დაკარგა: ბოდვაში ლინოტიპის მუშაობაში ხმარებულ ფრანგულ ტერმინებს ბუტბუტებდა. 24-ს გარდაიცვალა.

ასეთია რუსთაველოლოგ ვიქტორ ნოზაძის არასრულად მოთხრობილი ცხოვრების აღწერა.

მნიშვნელოვანი წერილები

1976

იმ მრავალი სახის განსაცდელისაგან, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას, ყველაზე საშიშელი თავისი შესაძლებელი შედეგებით, უჭველად გარუსების საფრთხეა. ჩვენს აქაურ პრესაში ამ საკითხზე უკვე კარგა ხანია იწერება, მაგრამ საქმე ისეთი დიდი მნიშვნელობის საგანს შეეხება, რომ საჭიროა იგი მუდმივი მხილების, ანალიზის და ინფორმაციის სინათლეში რჩებოდეს.

ჩვენი „გარუსების“ პროცესი საქართველოში რუსების შემოსვლისთანავე დაიწყო, მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში. საბედნიეროდ, ამ პროცესს რეგულარული ხასიათი არ ახასიათებდა, რადგან საქართველომ მას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია.

საქართველო ამ შემოტევას, ღმერთის მადლით, დღესაც წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ საუბედუროდ, ქართველები მთავარ პოზიციებზე ბრძოლით კმაყოფილდებიან, რაც ქართული კულტურის, უმთავრესად ენის განვითარებაში გამოიხატება. მაშინ, როდესაც არსებობს მრავალი, ერთი შეხედვით მეორე ხარისხოვანი ფორმა გარუსებისა, რომელნიც ბევრად უფრო სამიშნი არიან, ვიდრე შეიძლება ზოგსა ჰგონია.

ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, როდესაც ეს პოლიტიკური საერთაშორისო პიროვნება წართმეული აქვს, ცხადია, არსებობს სამიშროება, რომ ჩვენ, მეტნაკლებად, იმ ერთან გაგვიგივონ, რომლის სახელმწიფო ფარგლებშიც ვიმყოფებით და ასეც ხდება. რაც უნდა ვარწმუნოთ უცხოელების ფართო წრე, ძნელია მათში ღრმად გამჭედარი შეხედულების შერყევა, რომლის მიხედვით, ჩვენ მართალია, „მთლად რუსები“ არა ვართ, მაგრამ ჩვენი ეროვნება „პროვინციული პატრიოტიზმია“ და სხვა არაფერი. ამ მდგომარეობასთან ბრძოლა მეტად ძნელია, რადგან იგი აიხსნება ჩვენი გასვლით პოლიტიკურ ასპარეზიდან, მაგრამ თუ საქართველოს საშუალება არა აქვს მსოფლიოში პოლიტიკურად გამოჩნდეს, კულტურულად გამოჩენის და ამგვარად უცხოეთისათვის თავისი თავის გაცნობის საშუალება, უსათუოდ მოეპოვება. საუბედუროდ, ამ დარგში, თითქმის, არაფერი, ან ძლიერ ცოტა რამ კეთდება. ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ ან ფრანგულ ენაზე საქართველოში, დღემდე არაფერი გამოქვეყნებულა, თუ მცირე რამ

გამოქვეყნდა – მხოლოდ უცხოეთში, ხოლო იმათშიაც, ზოგჯერ, ყოვლად დაუშვებელი შეცდომებია. მაგალითად: როდესაც ფრანგი „დიდოსტატის მარჯვენაში“ ნაიკითხავს, რომ ქართველ მღვდელმთავარს, უკვე საშუალო საუკუნეებში, „ალავერდსკი“ რქმევია, მოდი, ხალხი დაარწმუნე, რუსებთან არაფერი საერთო არა გვაქვსო; მაშინ, როდესაც ყველამ იცის, რომ დაბოლოება „-სკი“ თუ მარტო რუსული არა, სლავური ფორმა მაინც არის. ეს შეცდომა ფრანგი მთარგმნელის ბრალიც არის, რადგან თარგმანი რუსული ტექსტიდანაა შესრულებული, მაგრამ ვნახოთ იქ, ადგილზე, როგორ არის საქმე.

ჩემს ხელთ არის პატარა ნიგნაკი: იოსებ ნონეშვილი, ლექსები. თარგმანი ფრანგულად ტატიანა ავალიანისა. გამომცემლობა „განათლება“, 1972. ტირაჟი 1000. მე აქ არ ვეხები თარგმანის ხარისხს, რომელიც საკმარისი მოხერხებით და გემოვნებით არის შესრულებული. არც ნონეშვილის პოეტობაზე გავაგრძელებ. ყველამ იცის, იგი ისეთი ნიჭიერი მელექსეა, რომ მას შეუძლია ძროხის წველაზე და ყანაში ნაკელის გატანაზეც პოეზიის ენით ილაპარაკოს და რაღაც ჯადოსნურობით ამგვარ „პოეზიას“ ლამაზი და მისაღები სახე მისცეს. ამ ნიგნაკში, მისი თექვსმეტი ლექსია მოთავსებული, რომელნიც ისე არიან შერჩეულნი რომ, თუ არა ნატროშვილის წინასიტყვაობა, კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ ლექსების ავტორს საბჭოური რამე სცხია... ეს ის ლექსები არ არის, რომელთაც ავტორს ის ნდობა და წარჩინება მოუპოვეს, რომელიც მას ხელისუფალთა მიერ აქვს მინიჭებული. ამ ნდობისა და წარჩინების წყალობით, ნონეშვილს ზემოაღნიშნულ, არასაბჭოურ ლექსთა შერჩევის გარდა, კიდევ სხვა რამეც „გაუბედავს“ – სახელდობრ ის, რომ ნიგნის რუსული სახელწოდება, უკანასკნელ გვერდზეა მოთავსებული. მოკლედ, როგორც ვხედავთ, ავტორს უცდია მკითხველთა წინაშე, პირნათლად თუ არა, პირდაბანლი მაინც წამდგარიყო, მაგრამ „ვაი ცდას“ იოსებისას. მისი სახელი და გვარი ფრანგულად „იოსიფ ნონეშვილ“ ყოფილა; ასე ანერია ამ ნიგნაკს. რატომ არის გამოყენებული რუსული ფორმა „იოსიფ“ ნაცვლად ფრანგული ყოზეფისა? თუ ფრანგული ყოზეფი არ მოსწონდა, ქართული იოსები ვერ დატოვა? იქნებ საწყალი ნონეშვილი, ფრანგულის არ ცოდნის გამო, არაფერ შუაში იყოს და ეს მოვლენა, ამ შემთხვევაში ლაქუცს არ ნიშნავდეს. არა, არც ნონეშვილი და არც მთარგმნელი ტ. ავალიანი შეგნებულად არაფერ შუაში არ არიან; საქმე გვაქვს გარუსების ერთგვარ ფორმასთან – ქართველები უცხოეთსა და უცხოურს, თავისდაუნებურად, რუსული თვალთ ხედავენ, სხვა არაფერი. სამწუხაროა! სავალალოა! დაუდევრობის ბრალიც არის.

კიდევ სხვაგვარი მაგალითი. გამომცემულია მოქანდაკე ბერძენიშვილის ნამუშევართა ალბომი, ინგა ლორთქიფანიძის კარგად და ზომიერად დანერილი წინასიტყვაობით. აქაც, მოქანდაკის ღირსებაზე იმის თქმას დავეჯერდეთ, რომ ბერძენიშვილი ძალიან ნიჭიერი და კულტურული ჩანს, საერთაშორისო კლასისა. ალბათ, ერთი პირველთაგანი საქართველოში. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. მეტის თქმისათვის ქანდაკების უკეთ ცოდნაა საჭირო, რასაც მე ვერ დავიჩემებ. ჩემი ყურადღება სხვა რამემ მიიპყრო. ალბომში, სხვებთან ერთად, სადღაც უცხოეთში დახატული, ერთი ფერწერის რეპროდუქციაც არის მოთავსებული სახელად: „ღმიძის ნიღბის ქვეშ“. სურათზე მოჩანს მოხეტიალე

პატარა ცირკის დახურული ავტომანქანა, რომელსაც დიდი ლათინური ასოებით აწერია: „პავილიონ რულანტი“. საკვირველი ის არის რომ ეს წარწერა ორთოგრაფიულ შეცდომას შეიცავს: სიტყვა „რულანტი“-ის ასო „ნ“ (ნარი) აღნიშნულია ასოთი „პ“ (პავი-თი) ე.ი. სწერია: „რულაპტი“. ვიფიქრე, ასეთი წარწერა როგორ შეიძლება ყოფილიყო-მეთქი და წამსვე მიხვდი, სად მარხია ძაღლის თავი. ეს წარწერა ბერძენიშვილს ადგილზე არ გადაუღია, არამედ მუხსიერებაში აღადგინა, ხოლო ლათინური „ნარის“ ნაცვლად რუსული „ნარი“ „გაეპარა“, რომელიც ლათინური „პავი“ გახლავთ. (აქვე უნდა შევნიშო, რომ პირველი სიტყვის „პავილიონ“ უკანასკნელი „ნარი“ სურათზე არ ჩანს, ასე რომ, შეცდომა მხოლოდ ერთჯერ არის ჩადენილი).

აქაც საქმე გვაქვს ქართველი კაცის ტვინში რუსული „ვირუსის“ შეპარებასთან, თორემ ბერძენიშვილის კულტურის კაცი და ისიც მხატვარი, ლათინურ ალფაბეტს, რა თქმა უნდა, იცნობს.

ცნობილია, რომ საქართველოში გამოცემულ ყველა წიგნს რუსული შენიშვნა ახლავს: სათაური, ავტორი, გამომცემლობა, რა ენაზეა. ეს, ალბათ, სავალდებულოა და აიხსნება კიდევაც საკავშირო არქივების და ბიბლიოთეკების ტექნიკურ საჭიროებით, მაგრამ როდესაც წიგნის სახელწოდებას და ავტორის გვარს რუსულადაც იმავე ფორმით და სიდიდით ბეჭდავენ წიგნის დასაწყისში, როგორც ქართულად, ეს სიმბდალის, მორჩილების და ლაქუცის ნიშანია. ხოლო როცა სპეციალურად მხატვრულად გაფორმებული სათაური ძვირფასიან გამოცემისა (როგორც მაგ. „ვეფხისტყაოსანი“), რუსულადაც იმავე სტილის მქონე მხატვრობით არის მოცემული, აქ მარტო მლიქვნელობა კი არ არის, არამედ მხატვრული ეთიკის დარღვევაცაა. ეს იმას ჰგავს, მხატვარმა რომ ცხენი დახატოს და მას ორი სხვადასხვა ჯიშის ცხენის თავი გამოაბას.

რა გამართლება აქვს იმას, რომ ქართველი ავტორები რუსულად დაბეჭდილ სახელითა და გვარით არ კმაყოფილდებიან და „ოტჩესტვოსაც“ (მამის სახელს) ზედ უმატებენ. განა რუსებმა იციან პრუსტის, მარლოს, პიკასოს ან არაგონის მამებს რა ერქვათ?

ამას მხოლოდ პოლიტიკური „გამართლება“ აქვს, სახელდობრ ის, რომ ჩვენ რუსების ქვეშევრდომები ვართ. „შინაურები“ და ამიტომ, ჯერ არის, რუსთა წინაშე წარდგეთ, ვით ყარამან ელიზბაროვიჩი, ვახტანგ არჩილოვიჩი, ჯამლეთ ელგუჯოვიჩი და სხვა, სასირცხვილო მასკარადია.

აქ ჩამოსული ზოგიერთი ქართველი ტურისტის ერთმანეთთან საუბარში რუსულ ენას წარამარა ხმარობენ, თითქოს ჩვენ უნდა გაგვაკვირონ: „ნახეთ, რა რუსული ვიცითო“. და საკვირველი ის არის, რომ აზრადაც არ მოსდით, საკუთარი საქციელი ჩვენს საქციელს შეადარონ. ჩვენ ხომ ნახევარი საუკუნეა, სამშობლოს მონყვეტილები ვართ და მოსალოდნელი იქნებოდა სხვა ენაზე საუბარს, იმათზე უფრო მივჩვეოდით.

როგორც თავში აღვნიშნე, ზოგსა ჰგონია, რომ ყოველივე ეს წვრილმანია და უმნიშვნელო, მაგრამ ასეთი შეხედულება მცდარია. ამგვარ წვრილმანებით მულავენდება საერთო ტენდენცია და ამ წვრილმანების მომრავლება, განერცობა არ უნდა მოხდეს.

სევერიან ჭირაქაძე

კავკასიონი, 18.1976

1975 წლის 24 ნოემბერს, პარიზში გარდაიცვალა ემიგრაციაში კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი სევერიან ჭირაქაძე. მისი დაკარგვით საქართველომ დაჰკარგა მხურვალე პატრიოტი და დაულალავე თავდადებული მოამბე თავისი სამშობლოსი.

ს.ჭირაქაძე დაიბადა 1900 წლის 15 იანვარს, სოფ. გოდოგანში, გელათის ახლოს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რის შემდეგაც ტფილისის უნივერსიტეტი დაამთავრა.

განსვენებული, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის ხანაში ჩაება პოლიტიკურ მოძრაობაში და ადგილობრივ ეროვნული დემოკრატიულ ორგანიზაციის აქტიური მომუშავე იყო. ტფილისში გადმოსვლის შემდეგ, იგი ამავე პოლიტიკურ მუშაობას განაგრძობს და როგორც სხვებმა, მანაც განიცადა მრავალი დატუსაღება, დევნა და არალეგალური ცხოვრების სიდუხჭირე, რის შედეგადაც იგი იძულებული შეიქნა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრანტული მწარე ცხოვრება ეგება.

ს.ჭირაქაძე დიდი ერუდიციისა და განათლების მქონე ადამიანი იყო – ფრიად გარკვეული სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში და ღრმა ცოდნა ჰქონდა სხვა და სხვა იდეოლოგიურ მიმართულებების თეორიულ დოგმატიურ საკითხების. და ამგვარმა მისმა თითქმის მეცნიერულმა მიდგომამ პოლიტიკურ სოციალურ საკითხებისადმი მასზე ის გავლენა იქონია, რომ იგი თავისი მსოფლმხედველობით, არც ერთ იდეოლოგიით არ ისაზღვრებოდა და მუდამ თავის ნაწერებში ცდილობდა, პოლიტიკურ საკითხებში სინთეზი გამოენახა. ალბათ ამის გამო, და კიდევ იმიტომაც, რომ იგი ძლიერ სათნო, დინჯი, გამგებიანი და თავაზიანიც იყო; მას მხოლოდ მოსიყვარულე ნაცნობები ჰყავდა ყველა წრეში და ყველა თაობის ქართველებში.

ს.ჭირაქაძე რედაქტორობდა ერ.დემ. ორგანოს „ივერიას“ და თანამშრომელი იყო „კავკასიონის“, „ქართული აზრის“ და „თავისუფლების ტრიბუნასი“, როგორც აგრეთვე ომის წინ გამოცემულ სხვადასხვა ჟურნალებისა. ის ხელმძღვანელობდა

ელისე პატარიძესთან ერთად, საფრანგეთში არსებულ ეროვ. დემოკრატი. ორგანიზაციას.

ს.ჭირაქაძე, თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ქ. ვალენტინეში (სოშოს ახლოს) და მრავალ წელთა განმავლობაში იყო სოშოს ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელი.

მას დარჩა ერთი დაცოლმევილებული ვაჟი, რომელიც ქ. მონბელიარის ადგილობრივ, მუზეუმის გამგეა და აგრეთვე ხელმძღვანელია ქალაქის კულტურულ საქმიანობისა.

გაგვშორდა ღირსეული და ღვანლმოსილი თანამემამულე, რომელმაც სიცოცხლე თავისი მშობელი ქვეყნისათვის ზრუნვაში და მასზე ფიქრებში დაჰლია.

კეთილად მოვიგონებდეთ!

გამოსათხოვარი სიტყვა ღიმიტრი სინჯიკაშვილის და სიკო კობიაშვილის ლაქრძალვაზე

1976 წელი

კიდევ ორი ქართველის ნეშტს ვაბარებთ დღეს ლევილის მიწას. ყოველი ჩვენგანი, ამ სურათს, რომელიც საუბედუროდ ასე ხშირად მეორდება, უკვე მიეჩვია. ბოლოსდაბოლოს ეს მოვლენა ბუნებრივიც არის. ყოველი სიცოცხლე ხომ სიკვდილით უნდა დასრულდეს, მაგრამ არანორმალური ის არის, რომ ეს საფლავები იმ მიწაში არ ითხრება, რომელსაც ამ მიცვალებულთა ნეშტი უნდა დაბრუნებოდა. და ის ფაქტი, რომ სიკო კობიაშვილისა და მიტო სინჯიკაშვილის ფერფლი, შორეული ამერიკიდან აქ ჩამოტანილი ლევილის სასაფლაოზე იმარხება, უფრო ხაზს უსვამს ამ ბედის უკუღმართობას. რადგანაც იქიდან მათი აქ ჩამოსვენება, სხვა არა არის რა, თუ არა ცდა ამ უკუღმართობის ნაწილობრივი გამოსწორებისა. ჩვენ მიგვაჩინია, რომ ერთად თავმოყრილი ჩვენი საფლავები, რაღაც გზით მათ საქართველოსთან აახლოვებს, თუნდაც იმით, რომ ამ ადგილს ქართულ სასაფლაოს ვეძახით.

ამ პატარა სასაფლაოზე სხვადასხვა კონტინენტიდან ჩამოსვენებულ მიცვალებულთა ერთად ყოფნა ჩვენთვის სიმბოლოა საქართველოსთან სულიერ კავშირის შეუნწყვეტელობისა. მხოლოდ ეს მოვლენა მართო გრძნობებისა და სიმბოლოების მნიშვნელობით არ განისაზღვრება. მას მატერიალური მხარეცა აქვს, რადგან ქართული ემიგრაციის ნამოქმედარს, რომელიც ისტორიის მკვლევართა საგანი გახდება, ამ საფლავთა არსებობით, ისეთივე ნივთიერ თვისების საბუთი ემატება, როგორსაც არქეოლოგიური ძეგლები წარმოადგენენ.

ყოველივე ეს მტიკივე ნუგეშია, მაგრამ ჩვენი მთავარი ნუგეში ის რწმენა არის, რომ ეს საფლავები აქ, უცხოეთში ამაოდ არ გათხრილა და ეს ქეები, ეს წარწერები ჩვენ შემდეგაც ჩვენი საქმის სიმართლეს ილაღადებენ.

ამ ორმა ქართველმა, რომელთა სამარესთანაც ჩვენ ახლა ვდგავართ, ორივემ პირნათლად შეასრულა თავიანთი მამულიშვილური ვალი. ერთ მათგანს თავისი ცოლ-შვილი დასტირის, მეორის ჭირისუფლები ჩვენ ვართ ყველანი. ორივე კი ერთად საქართველოს შვილები არიან.

მიტო სინჯიკაშვილი ჩემთვის არა მარტო პარტიულ-იდეოლოგიური ამხანაგი, არამედ პირადი მეგობარიც იყო.

სიკო კობიაშვილთან ჩემი დამოკიდებულება კეთილ ნაცნობობით განისაზღვრებოდა. მე მსურს, გასაგებ გარემოებათა გამო, ორივეზე ერთი და იმავე მიდგომით ვილაპარაკო.

ერთი სამხედრო კაცი, ხოლო მეორე კალმის კაცი იყო, მაგრამ ომის დროს ორივეს იარაღი ეჭირა ხელში. აქ მე უკანასკნელ ომს ვგულისხმობ, თორემ იმ დროს, როდესაც კობიაშვილი-იუნკერი ტაბახმელაზე უკვე იბრძოდა, სინჯიკაშვილი ჯერ ბავშვი იყო.

როდესაც მსოფლიო ომი დასრულდა და საომარი იარაღის დრო აღარ იყო, ორივემ სხვაგვარი იარაღით განაგრძო ქვეყნისათვის ბრძოლა. სახელდობრ, ერთმა ბეჭდვითი პრესის საშუალებით, ხოლო მეორემ სიტყვიერი პრესის – რადიოს საშუალებით.

მიტო სინჯიკაშვილი ათეულ წელთა განმავლობაში თავდადებული შრომით გაზეთ „ქართული აზრის“ გამოცემაზე მუშაობდა. სიკო კობიაშვილმა ამდენივე ხანი იმუშავა რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში. არც ერთ მათგანს თავისი პირადი ინტერესები საზოგადოებრივზე წინ არ დაუყენებია. ორივე, როგორც ყოველ მათგანს შეეძლო, ჩვენი ქვეყნის საქმეს ემსახურებოდა.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მათ საფლავის ქვაზე არ დაინერება, მაგრამ მოვადრო, როდესაც რაც აქ ითქვა და ბევრად ამაზე მეტიც გამოიკვლევა და დადგინილი იქნება და ამათი სახელებიც, სხვა მრავალთა შორის, ღირსეულად იქნებიან მოხსენებული.

იქნებ ვინმემ იფიქროს, ეს რა ნუგეშიაო. სანუგეშონი ჩვენ არა ვართ. ტყვეობაში ჩვენი ქვეყანა და ჩვენი აქ ყოფნა ჩვენი ქვეყნისათვის მეტი ნუგეშია, ვიდრე ზოგსა ჰგონია.

გარდაცვალებული ყველა საგლოვია, მაგრამ უფრო მეტად საგლოვი ის კაცია, ვისაც ცხოვრება ფუჭად გაუტარებია, ხოლო იმ კაცის გარდაცვალება, ვინც სიცოცხლე თავისი ქვეყნისათვის ზრუნვას შესწირა, რაოდენ მცირეც არ უნდა იყოს, ამ ზრუნვის წვლილი, მხოლოდ იმდენად არის საგლოვი, რამდენადაც იგი უდროოდ გარდაიცვალა ან იმიტომ, რომ იგი თავის საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამარჯვებას ვერ მოესწრო.

ჩვენ აქ მოვსულვართ, რომ ჩვენს ორ თანამემამულეს უკანასკნელი მშვიდობა ვუთხრათ. მათი სული ჩვენმა მოძღვარმა ღმერთს შეავედრა. ჩვენ მათი საქმე შევავედროთ ღმერთს. და ვთქვათ, გამარჯვება მათ ხსოვნას, გამარჯვება მათ საქმეს.

„ვის აძლავს ეს ხელს“

თავისუფლების ტრიბუნა, 16. 1977

ასეთი სათაურით გამოქვეყნდა გასულ გაზაფხულზე, ხელმოწერავი წერილი, ჯერ „კომუნისტში“ და შემდეგ ე.წ. კულტურულ კავშირის გაზეთში, რომელიც, ვაი დაცინვას ბედისა, უწმინდეს სახელსა ბილნავს – რადგან მას „სამშობლო“ ჰქვია.

ამ გაზეთების საშუალებით წერილის შინაარსი, საქართველოსა და უცხოეთშიც ყველასათვის ცნობილია. იგი ღვარდლით, ირონიით, მდაბალი ინსინუაციებით და საბჭოური ლექსიკით სავსეა. მისი მიზანია უსაფუძვლოდ და საქართველოსათვის მავნედ გამოაცხადოს, როგორც ემიგრაციის. აგრეთვე საქართველოში მყოფ არა-საბჭოურად მოაზროვნე ადამიანთა კრიტიკულად მიდგომა საბჭოთა რეჟიმისადმი და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი და ამისთვის მუშაობა. ამიტომა აქვს წერილს ეს სათაური.

წერილში ემიგრანტთაგან დასახელებულია სამი პირი – ჟურნალ „ტრიბუნასთან“ დაკავშირებით. მიხეილ ქავთარაძე და გიორგი წერეთელი, რადიო „თავისუფლებასთან“ დაკავშირებით – ნუგზარ შარია (ნ. შარიას პასუხი აქვე ცალკე იბეჭდება ამიტომ ამ წერილში ამაზე არაფერს ვამბობთ). ნუ შევჩერდებით იმის მკითხაობაზე თუ რატომ შეჩერდნენ მხოლოდ სამ პირზე. ბოლოსდაბოლოს რიცხვი სამი საკმარისად მიიჩნეოს და მორჩა. მაგრამ როცა „ტრიბუნას“ სარედაქციო კოლეგია გააცენეს მკითხველებს, რად გამოტოვეს პირველი წვერი სამეულისა გიორგი ნოზაძე. ვფიქრობ, ამ კითხვაზე ღირს შეჩერება. ეს დეტალი შემთხვევითი ან უმიზეზო არ არის. გიორგი ნოზაძე იმიტომ გამოტოვეს, რომ იგი ნოზაძეა – ვიქტორის ძმა. ვიქტორ ნოზაძე კი კრულია ხატზე გადაცემული მის მადლიერ სამშობლოში. რატომ? მის მიერ გამოცემულ შრომათა ტომებისათვის? არა, მან უარი განაცხადა რუსთაველის ზეიმზე საქართველოში ჩასულიყო. მართალია, ეს იყო ანტისაბჭოური მოქმედება და ამისათვის შესაძლო იყო იგი გაეკიცხათ, როგორც ხელისუფლების მონინააღმდეგე პოზიციაზე მდგომი, ამას ისინი ნიადაგ სჩადიან,

მაგრამ, როგორც მკვლევარი, ხომ ვერ მოისპობა. მისი ნაშრომები ხომ არსებობენ. არა, იგი ვითომ არც არსებულა, მისი სახელის ციტირება აკრძალულია, მისი ძმა იმავე გვარს ატარებს, არც მისი ხსენება შეიძლება – აუგადაც კი.

ამგვარი საქციელი და მისი ფსიქოლოგია, რასაც ჩვენ მიუეჭვებით კიდევ და აღარ გვაკვირვებს, თუ მის რაობას დავაკვირდებით, ჟრუანტელის მომგვრელია. მეოცე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეცხოვრობთ და საქმე გვაქვს პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოების ჩვევათა და რწმენათა გაცოცხლებასთან. ეს ხომ პოლინეზიელების „ტაბუ“-ა, რომლის მონათესავე რამ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, დღემდე შემორჩა ხალხის მეტყველებას. მეგრელები ამბობენ „ვაშინერს“, რაც ქართულად დაახლოვებით ნიშნავს: „არ ჯერ არს“ „არ ხამ“ და ეს სიტყვა შეეხება აკრძალულ მოქმედებას ან – აკრძალულ სიტყვის წარმოთქმას. მეგრული დღესაც ერიდება წარმოთქვას სიტყვა გველი, იგი ამბობს „უსახელო“. ეს ამბავი მოდის იმ დროიდან, როდესაც ადამიანს სწამდა სიტყვის მაგიური ძალა (პირდაპირი მნიშვნელობით) და მაგნე საგნის სახელის წარმოთქმაც შეიძლება საშიში ყოფილიყო. არ არის ჟრუანტელის მომგვრელი, რომ პრეისტორიულ ფსიქოლოგიის ხალხი პლანეტის ახლებურად მონყობას ფიქრობს და რომ მას ატომურ რაკეტათა არსენალიც აქვს?

დაეუბრუნდეთ საკითხს. რატომ არ წავიდა ვ.ნოზაძე საქართველოში.

ვიქტორმა მომანოდა დეპუმა თბილისიდან: რუსეთის საელჩოში მიდით, თქვენი ვიზა მზად არისო. მე შევხედე ვიქტორს. რას იტყვი – მითხრა მან. ...ეს არ იყო კითხვა რჩევისა. ვიქტორს საუბარი სურდა, „გულის მოფხანა“, სხვასთან გაზიარება ფიქრისა. მხოლოდ თანამოსაუბრეს ეს როლი მხვდა მე წილად. განგებ არ განვაცალკევებ ჩემ მიერ თქმულს – ვიქტორისაგან. რადგან ჩვენ, საგანზე აბსტრაქტულად ვლაპარაკობდით, ერთის ნათქვამი მეორესაც შეეძლო ეთქვა. აი შემოკლებული, დაახლოვებითი შინაარსი:

რაოდან დიდი და ძლიერია ცდუნება, უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერისათვის, თავის სამშობლოში იხილოს და განიცადოს თავისი ღვაწლის აღიარება: გვერდით მიუჯდეს, ვითა ტოლი, ისეთ ქურუმს, როგორიც შანიძე და თავი თვისი ხალხის წინაშე იხილოს დაფნის გვირგვინით დამშვენებული. ეს ხომ თავბრუდამხვევია საქართველოდან ახალგაზრდობისას წასულ, დღეს მოხუც მეცნიერისათვის, რომლის აღიარება მართალია სადაო არ არის, მაგრამ მას მატერიალური განსახიერება არ მისცემია და თუ ასაკსაც მხედველობაში მივიღებთ, ალბად, იგი ამას ვერც მოესწრება, თუ ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვა. რა ძლიერია ცდუნება სახელის მაგიურ მომხიბვლელობისა. რა ძლიერია ცდუნება შენს ქვეყანაში ჩახვიდე, ვით ათონიდან ჩამოყვანილი თორნიკე ერისთავი... თავბრუდამხვევია არა?

მაგრამ რატომ ვართ აქ ჩვენ. არგებს თუ ავენებს ჩვენს საქმეს ასეთი ნაბიჯი. იქნება თუ არა ეს, პატივმოყვარეობის წინ წამონევა მოვალეობასთან შედარებით. ნუთუ მოსალოდნელი არ არის, რომ ამ დათმობამ უარყოფითად იმოქმედოს

საქართველოში იმ წრეებზე, რომელნიც შეურიგებლობის პრინციპს ადგანან მოძალადეთა პირისპირ. ხომ შესაძლებელია ამან შეასუსტოს მათი მხნეობა და გამძლეობა, როგორც პრინციპთა ლალატისა მაგალითმა იმ კაცის მიერ, რომელსაც ამ ნაბიჯს ფიზიკურად არავენ აიძულებდა... ეს საუბარი ბევრად უფრო გრძელი იყო. არავითარი დასკვნის გამოტანა მას არ მოჰყოლია.

შემდეგი შეხვედრისას ვიქტორმა მითხრა, რომ მან უარი შეუთვალა.

მარტო ამ ამბის თხრობა საქმამო იქნებოდა ნერილის პასუხად, რადგან აქედან ჩანს ჩვენი აქყოფნის და მოქმედების აზრი და გამართლება, მაგრამ ზოგი რამის დამატება იქნებ საჭირო იყოს. ხომ შესაძლოა და სასურველიც, რომ ეს ნერილი ჭკუაგაყინულ რობოტთა გარდა სხვამაც ნაიკითხოს. რადგან რასაცა ვნერ არ მიმარნია პასუხად გაზეთ „კომუნისტის“ ნერილის ავტორისა. იმ საქმის სიდიადე, რომელსაც ემიგრაცია ემსახურება, ნებას არ მაძლევს, პოლემიკაში შევიდე ამგვარ უაზრო ნერილის ავტორთან. თანაც მოლაპარაკე ავტორმატებს ან განვრთნილ თუთიყუშებს არ ედავებიან. მათ ნათქვამს გაიგებ, მაგრამ ისინი შენსას ვერ გაიგებენ. მე იმედი მაქვს, ამ ნერილის შინაარსი ისეთ ხალხის ყურამდეც მივა, ვისაც ფიქრის საკუთარი უნარი გააჩნია.

ემიგრაციაში ყველა ვიქტორ ნოზაძე არ არის, მაგრამ ემიგრაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველი ემიგრანტი თავის სიღრმეში ამ შეხედულების მატარებელია – ის ემიგრანტიც კი, რომელი გარეგნულად მერყევი, უიმედო, ურწმუნო ან ხელჩაქნეული ჩანს. რაც შეეხება საბჭოთა ტირანიის მიმართ შეურიგებლად განწყობილ ემიგრაციისათვის ბ-ნ სალიას „ნასაბაძ“ მაგალითზე მითითებას, როგორც „კომუნისტი“ გვარიგებს, დარწმუნებით ჩვენ მისი არა გვპურს, რაც არ დაგვიმსახურებია, არც გვერგება, დაე ბ-ნმა სალიამ გადაბეჭდოს ოქროვარაყით თქვენი მისადმი ხოტბის სიტყვები.

ჩვენ ბრალსა გვდებენ ვინმე მეზღვაურ მჭედლიშვილის დალუპვაში. პარიზელმა ქართველობამ ეს ამბავი მხოლოდ იმავე გაზეთებიდან გაიგო. თუ ასეთი რამ მართლა მოხდა, დაგვისახელეთ ის პირი ან პირები, ვინც მას ხელი ჰკრა და ჩვენ გვეცოდინება, ვინ ვისთვის მუშაობს. მხოლოდ საკვირველია, რომ ორივე გაზეთი არავითარ უხერხულობას არ ხედავს იმ ფაქტში, რომ კაცს საბჭოეთიდან თავისდაღწევა მოუსურვებია, აქ დარჩენა ვერ მოუხერხებია და უკან დაბრუნების შიშის წინაშე თავი ჩამოუხრჩვია.

რა რეჟიმია და რა დემოკრატია იმ ქვეყანაში, რომლის დატოვებასაც „გაქცევა“ ჰქვია. თავისუფალ ქვეყნებში გასაქცევად საქმე მხოლოდ კრიმინალურაა აქვთ. ყველა დანარჩენი თავისუფალია, სადაცა სურს, იქ ნაივად. ამისთვის ნებართვაც კი არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ პასპორტი, რომელიც ყოველ მოქალაქეს (თუ მას სასამართლოში არა აქვს საქმე) დაუბრკოლებლად ეძლევა. მას მრავალწლის ვადა აქვს და ძალაშია ნებისმიერ ქვეყანაში ნასასვლელად. მოგზაურობის დრო და მიმართულება არსად არ აღინიშნება. რიგითი საბჭოელისათვის ეს სიმართლე ზღაპარია.

ამგვარ ნებსებს გულისხმობს პელსინკის შეთანხმება საბჭოების ხელმოწერილი. გაანადღეს კი? რას უშერებთან მათ, ვინც ამის გამო ხმა ამოიღო?

ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ „ნიუს ვიკ“-ის კორესპონდენტის მიერ ქართველების ბიზნესმენებად გამოცხადებას არ გამოვეხმაურეთ. ვინ მოგახსენიათ. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას ხომ არ მივმართავდით. ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა შესაფერ წერილით მიმართეს ჟურნალს, მაგრამ ამ გამომხმაურებაზე მეტი ფასისა იყო თვით საქართველოდან მონედენილი ხმა (ამ წერილის რეზიუმე ამ ნომერშივე იბეჭდება) რა მოუვიდა მის ავტორს, გამსახურდიას?

ამ ჟურნალის ხარჯებს თურმე „მდიდარი მფარველები“ ანაზღაურებენ. ანგარიშები ყოველ ნომერშია გამოქვეყნებული. გადამხდლებში არცერთი მდიდარი არ არის, თუ თქვენი წარმოდგენით ვისაც ლუკმა არ აკლია, მდიდრად ითვლება. პირიქით დიდი უმრავლესობა ჩვეულებრივ პენსიონერთაგან შედგება. რომელნიც თავიანთ შეზღუდულ სახსარს აკლებენ ქვეყნის საქმისათვის, მაგრამ ასეთი საქციელი ხომ თქვენი შეგნებისა და ფსიქიკისათვის გაუგებარი და წარმოუდგენელია, იმ პირობებში როგორშიც თქვენ ცხოვრობთ.

ერთი სხვა ჟურნალიც არის გაკენილი: „კავკასიონიც“ „ტრიბუნას“ კვალდაკვალ მიჩანჩალებსო“. დაგვეთანხმებით, წელიწადში ერთი ნომერიც რომ ვერ გამოდის ჰა! სიტყვა ჩანჩალი მისაღებია, მაგრამ მე „სოციალისტურ“ შეჯიბრებაში ვინვე „კომუნისტის“ რედაქტორს (ხომ კოლეგა პროფესიაში) დაე, განაჩენი ხალხმა გამოიტანოს. დავანყოთ თბილისში საჯარო ადგილზე ორი დიდი დასტა, „კავკასიონისა“ და ვთქვათ, „დროშისა“ ან „საბ.ხელოვნებისა“, გამოვაცხადოთ მათი თავისუფლად შექმნის უფლება. რამდენი „დროშა“ გაიყიდოს იმდენი როზგი მე, რამდენი კავკასიონი – იმდენი როზგი „კომუნისტის“ რედაქტორს. რამდენიმე როზგი მეც მომხვდება იმათ ავიტან. მაგრამ თუ „კომუნისტის“ რედაქტორმა თავისი ფეხით სახლში წასვლა შესძლოს, რამდენიც მას მოხვდა, მეც იმდენი მიკისრია. ყაბულ?

საუბედუროდ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ბევრად უფრო სერიოზულია, მტკივნეულია, ტრაგიკულია. საბ. რესპუბლიკების ავტონომია, ყოველ სფეროში, ბევრად უფრო შეზღუდულია, ვიდრე – ამერიკულ ცალკე შტატებისა, გერმანულ ლანდებისაგან შევიცარულ კანტონებისა. ზოგ შემთხვევაში ეს ავტონომია საფრანგეთის რეგიონალურ ავტონომიასაც კი ჩამორჩება. ჩვენ ჩვენსავე ქვეყანაში არავინ გვეკითხება რას. საქართველოს დემოგრაფიულ მოძრაობას, თუ ასე გაგრძელდა, კატასტროფული მომავალი აქვს. გასაბჭოებად ჩვენში 50 ათასი რუსი ცხოვრობდა, დღეს 500 ათასი ცხოვრობს. ე.ი. ათჯერ გამრავლებულან. ქართული მოსახლეობა კი ორჯერაც არ გამრავლებულა. დიდი ანგარიში არ არის საჭირო, რომ დავინახოთ, თუ რა მოგველის. ხვალ, ზეგ, ჩვენსავე ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობად ვიქცევით.

საბჭოთა ტერიტორიაზე, საქართველოს გარეთ, გაბნეულია 50 ათას ქართველზე მეტი. ესენი უმეტესად სპეციალისტები არიან. საბჭოთა ოფიციალური პრესა

ამას იკვებნის, სოციალისტური ძმობა თანაშრომლობა და ამგვარებიო. სინამდვილეში საქართველოს დემოგრაფიისათვის ეს არის მასიური ემიგრაცია, რომელიც მას სრულიად არ ესაჭიროება. პირიქით, მომაკვდინებელია. ამავე დროს საქართველოს მთავრობას უფლება არა აქვს შინ დააბრუნოს, 200 ათასი, ომის დროს გადასახლებული მესხი, რომელთა კვლავ შექენა ამდენივე რუსის ჩამოსახლებიდან გვიხსნიდა.

ქართული ენა განდევნილია ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან დაწესებულებათაგან და ამის შედეგად ყოველდღიურ ქართულ ყოფაშიც რუსული ენა იკიდებს ფეხს. ამავე ენის, სკოლებში სრულყოფილად შესწავლის ვალდებულება, აფერხებს დედაენის საჭირო დონეზე შესწავლას და ამგვარად ესეც გარუსების ფაქტორია, რომ არაფერი ვთქვათ მოსწავლეთა კულტურულ დონის აუცილებელ დამდაბლებაზე, რასაც ამგვარი გადატვირთვა გამოიწვევს. ორენოვან სისტემაში წონასწორობის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლეთა რჩეულ უმცირესობისათვის, ხოლო მისი მასიური შემოღება უსათუოდ ერთ ენას უკან დააყენებს და ცხადია, ეს იმ ენას მოუვა, რომლის ცოდნაც ნაკლებად აუცილებელია. გარნა საქართველოში ურუსულოდ წინ წასვლა შეუძლებელია.

მრავალ საკითხთა შორის, სადაც საბჭოთა სისტემა კრიტიკას ვერ უძლებს, ერთი მთავართაგანი ეკონომიკაა. რას ნიშნავს შავი ბაზრისა და სპეკულიანტთა არსებობა თუ არა საქონლის სინაკლულეს და რატომ უნდა იყოს საქონლის ნაკლებობა ბუნებრივად ყოველად მდიდარ ქვეყანაში ომის დასრულებიდან ოცდაათ წლის შემდეგ. რა დაერქმევა იმ ეკონომიურ სისტემას, რომლის განკარგულებაში მინაც საკმარისზე მეტია და მისი დასამუშავებელი ტექნიკური საშუალებანიც, მაგრამ საკმარის ხორბალი ვერ მოუყვანია. ან საერთოდ, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნის დამახასიათებელია რომ საკვებ ბაზად კვლავ ხორბალია და არა სხვა ჭირნახული? განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია პურით აღარ საზრდოობენ, მათი პრობლემაა თუ როგორ შეიკავონ თავი ნამეტნავად ნოყიერ კვებისაგან. საბჭოთა მოქალაქე კი ჯერ კიდევ ლუკმაპურისთვის იბრჭის.

თქვენ ყოველივე ეს არ განუხებთ, თითქო არც ფიქრობთ ამაზე. თქვენი საზრუნავია, უკეთესი ხელფასი მიიღოთ და ამისათვის აქეთ-იქეთ გაფაციცებით მზირალი თქვენზე მალა მდგომს, თქვენებრ მხევალს ტირანისას, მხევლობაში ეჯიბრებით წინ წასასვლელად. თქვენ შეუყვარხართ დღიურ ცხოვრების მჭლე სიამეთა გემოს სასინჯად ლტოლვას – ამას, რადგან თქვენებრი სხვაც მრავალია, ხვალ გაგასწრებენ.

ამ დროს ქვეყანა რა დღეშია. ჩვენს დედას ძუძუს უშრობენ და ნაცვლად ქართული რძისა გველემპისას უსხმან, რომ ჩვილი ქართველი მშობლის რძით არ გამოიზარდოს. გარნა ამ დღეშია ენა ქართული.

ჩვენს მინას, რომელზედაც ხუთიათასი წელია ჩვენი მოდგმა ცხოვრობს, ხელიდან გვაცლიან, რომ ვერაზიანზე გაფანტულ ბოგანოებად გვაქციონ. ყოველივე

ეს თითქოს არ არსებობდეს. თითქოს ქვეყანაში ყველაფერი რიგზე მიდიოდეს. თითქოს ბედნიერი მომავალი გვექონდეს უზრუნველყოფილი.

ჩვენ და საქართველოში მყოფი ქვეყნისთვის გულშემატკივარი პატრიოტები, ვცდილობთ ჩვენი მცირე შეძლებით რაიმე ვიღონოთ, დედას ვუშველოთ. ამას გვისაყვედურებთ? ამისათვის აპატიმრებთ ქვეყნის საუკეთესო შვილებს?

იქნებ, ჩვენ საკმარისს ვერ ვაკეთებთ იქნებ სუსტნი ვართ, მაგრამ რასაც ვემსახურებით მართალია, საშურიც, მაღალია!

ბოლოს მსურს ნერილის ავტორს მაინც მივმართო. მე იგი მესახება ვით გაორებული. თუ იგი ავის გავლენით მოქმედებს, დასაშვებია მის ბუნებაში ვერგა-მომყვანებული კეთილიც ბუდობდეს. მე იმ „ავს“ მივმართავ, ვისაც ჩვენზე შემოატევიან: შენ! ბედკრულ საქართველოს უბადრუკო, მაგრამ მაინც შვილო და ამიტომ ჩემო სისხლით ძმაო. თუ მართლა ასე ფიქრობ, ვაი შენს ბრწყინვალეს და თუ ლაჩრობით სჩადი, ფუი შენს კაცობას. თუ ჩემთვის უცნობი მესამე ახსნა არსებობს, ამ სიტყვისათვის ბოდიში.

სიმონ ბერეჟიანის სსოპნისათვის

კაქასიონი, 19.1978

სიმონიკა – ასე იცნობდა მას პარიზის ქართველობა; დაიბადა 1899 წელს, იგი დაბადებით ბერეჟიანი არ იყო. სიმონიკას მამა ერმილე თაყაიშვილი იყო და დედა ქარცივაძის ქალი ყოფილა. სიმონიკას მშობლებს ხუთი შვილი ჰყოლიათ. ვაჟები: სიმონიკა, სევერიანი, კოკოლა და ორი ქალი. ერთი წლის სიმონიკა შვილად აუყვანია მის უშვილო დეიდას, რომელსაც გოგუცა ერქვა და სიმონ ბერეჟიანსა ჰყავდა ცოლად, ამ სიმონმა მისცა სიმონიკას თავისი სახელი და გვარიც – როცა ბავშვი მონათლეს.

მისმა ახალმა მშობლებმა სიმონიკა ტფილისში ჩაიყვანეს, სადაც ისინი საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ ვარაზისხევის მახლობლად. ტფილისში სიმონიკა ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო ზაფხულობით გურიის რაიონში ჩადიოდნენ, სადაც ბერეჟიანებს კარგი მამული და სახლ-კარი ჰქონდათ სოფელ ახალშენში, ხიდისთავთან.

შოთა ბერეჟიანის ცნობით, სიმონიკა ბავშვობისთანავე მრავალნაირ ნიჭს იჩენდა. ხატავდა, მის მიერ ნანაკითხს გმირულ აქტებს მოუთხრობდა ბავშვებს და ზოგჯერ თავისებურად არტისტობდა კიდევაც: თოფ-იარაღს აისხამდა თურმე, ვითომ კაკო ყაჩალი ვარო. სიმონიკას ძლიერ გვიან გაუგია, რომ იგი თაყაიშვილი იყო. ამის შესახებ იგი არასოდეს ლაპარაკობდა და საფიქრებელია, რომ მას ემძიმებოდა კიდევაც ეს გარემოება. ერთხელ, როდესაც ამაზე ლაპარაკი ჩამოვარდნილა, უთქვამს: მე ქრისტიანული წესით მოვიხნათლე ბერეჟიანად და საჭირო არ არის, რომ ორი გვარი მქონდესო.

არიან პიროვნებანი, რომელნიც ქვეყნად ისეთი ნიჭიერებით დაჯილდოებულნი იბადებიან, რომ თუ მათი ცხოვრების გზა გარეშე პირობებმა არ ჩახერგა, შეიძლება ღრმა და შინაარსიანი კვალი დატოვონ. ასეთ პიროვნებათა ჯგუფს ეკუთვნის სიმონიკა ბერეჟიანი.

გარეგნობა: იგი არც ლამაზი იყო, არც უშნო, მაგრამ არც სიტყვები „ჩვეულე-

ბრივი" ან „ბანალური" შეეფერებოდა მას. პირიქით, იგი ფრიად „სხვანაირი" და „უჩვეულო" იყო. ტანად ძლიერ მაღალი, მაგრამ არა შესატყვისად სქელი. ასე რომ, მისი სიმაღლისათვის პროპორციული ხელები და ფეხები ნორმალურზე უფრო გრძელი გეგონებოდათ. ბეჭებში ოდნავ მოხრილი, სიარულის დროს მუხლებს თითქოს მთლად არ მართავდა. მაღალი და წერილი კისერი, მოგრძო თავი და პირისახე ჰქონდა კეხიანი გრძელი ცხვირითა და საკმაოდ ჩამოგრძელებული ნიკაპით. თმა ჰქონდა თხელი და ქერა; სახის კანი — წითური. მკითხველს, არც თუ ფრიად საამო შესახედავი კაცი წარმოუდგება, მაგრამ ამ აღწერას აკლია მისი დიდრონი, სათნოებით და ოცნებით მზირალი თვალები და უმანკო, თითქოს დარცხვენილი თავისი თავისკენვე მიმართული ბავშვური ღიმილი, რასაც უნდა დაეუმატოთ, მკერდისმიერი, მელოდიური, თბილი და გულისხმიერებით საამო ხმა.

როგორც ხელოვნების სამყაროს კუთვნილ ადამიანებს ხშირად ახასიათებთ, სიმონიკაც პრაქტიკულ ცხოვრებაში მყარი ნაბიჯით ვერ დადიოდა. თუმცა არც ბოჰემა იყო, არც ზარმაცი, ქარხნებშიც მუშაობდა, მაგრამ მისი ცხოვრება და ბიუჯეტი არასდროს მოწესრიგებული არ ყოფილა.

იგი მსმელი და მოქეიფე არ იყო, მაგრამ სუფრასაც არ გაურბოდა.

შეზარხოშებული სიმონიკა სიმღერაში ჩაებმებოდა. მას მომღერალი არ დაერქმეოდა, მაგრამ საშუალო სმენა და ხმა მაინცა ჰქონდა. ჩვეულებრივ სუფრულ სიმღერებში იგი არ გამოირჩეოდა, მაგრამ მას ჰქონდა საკუთარი რეპერტუარი, რომელისაგან განსაკუთრებით უყვარდა სიმღერით თქმა ხალხური ლექსისა „შაბათი რომ დაღამდება, კვირა გათენდება, ყველა დანიშნული ქალი კობტად მოირთვება". ამ ლექსის ტექსტს იგი ქართლურ-გლეხურ გამოთქმით მღეროდა და თან შესაფერ მიმიკასა და ჟესტიკულაციას იხველიებდა. ასე მაგალითად, იქ, სადაც ქალის დედა ამბობს: „უი ქა, შვილო, არ იქნება, სახლი მაგვირცხვება", სიმონიკა თავის ოთხ გრძელ თითს ლოყაზე შემოიკრავდა ხოლმე, ხოლო სიმღერის ბოლო სიტყვებს: „დაბრუნდა ბიჭი ლამაზი, იყო მისი ნება", იგი გაგრძელებული და საზეიმო სიდინჯით წარმოთქვამდა და თან გამარჯვებული, ამაყი კმაყოფილებით გადმოგვხედავდა, თითქოს ის სასიძო ბიჭი თვითონვე ყოფილიყოს.

სიმონიკას ანეკდოტების თქმაც ძლიერ უყვარდა და ასეთ შემთხვევაში იგი უბრალო თხრობით კი არ კმაყოფილდებოდა, არამედ ნაამბობს ინსცენირებით წარმოადგენდა ხოლმე. მისი ანეკდოტების დიდი ნაწილი ან მის მიერვე იყო შეთხზული, ან საკუთარ თავგადასავლიდან ყვებოდა, ალბათ, კომიკური მხარის საჭირო გადაჭარბებით. აი, ერთი უმოკლესთაგანი: „ქართულ ჯარში ყოფნის დროს კავალერიაში ვმსახურობდი. ჭაკი ცხენი მყავდა. ერთ დღეს, ვარჯიშობის დროს ერთმა უზარმაზარმა ულაყმა ჩემს ცხენზე ასვლა მოინდომა. ვიდრე ჩამოხტომას მოვასწრებდი, ვილაც მიყვირის, ჩამო, ბერეჟიანო, ჩამო, თორემ ჩემი ულაყი შენცა და შენ ცხენსაც ორივეს გაგაფუჭებთ".

კიდევ ერთი, ამჯერად მისი ფანტაზიით შეთხზული მიკიტანის ნაამბობი:

„პესკაზე დუქანი მქონდა. შუალამე გადასულა. ქეიფის ეშხი იწყება რა. ორი არლანი რიგრიგობით შანეულს უკრამს. ვნახოთ ვარანცოვ-დაშკოვი არ შემოვიდა? პირდაპირ ჩემკენ მოდის. მეუბნება: საქო, ნუთუ ჩემი ხათრი სრულებით არა გაქვს, ზაჩემ დვა ჩასა ნოჩი შანეული იგრაემ? დახლში ვდგავარ. არაყი გადმოვიღე, ტრაინოი დაუსხი. ვეებნები: ვიპი! აილო, დალია. ისევ მეუბნება: ჩემი ხათრი არა გაქვს? კიდევ დაუსხი, ვეუბნები: ვიპი! აღარ შემიძლიაო. ვიპი-მეთქი ვაპ, არ მინდაო. აკი გითხარი, დახლში ვდგავარ. ეგრეთვე, როგორც ვიდექ, ხელუკულმა ოთხი თითი ტურჩებში გავკარ. ორი კბილი ჩამოვარდა. ავიღე, ჭიქაში ჩაუყარე, ხელში მივეცი: იდი, დოქტორ ცხომელიძე „ესტავიტ“, ეგრე მოხდა, გინდ დაიჯერე, გინდ — არა“.

კიდევ ერთი მის მიერ გაგონილი ამბის თხრობა: საქართველოში რომ მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია ჩამოვიდა, ფასანაურში თუ ყაზბეგში, ერთ რესტორან-სამიკიტნოში მათთვის სადილი გაუმართავთ. ოფიციალურ პირთა შემდეგ მიკიტანსაც სიტყვის თქმა მოუხსურებიაო. სიმონიკა ამ სიტყვების შინაარსს ასე აღადგენდა: თქვენ, დიდებულო სტუმრებო, განათლებულ ევროპიდან ჩვენს ლამაზ საქართველოში მობრძანებულხართ. ჩვენც ჩვენი წესისამებრ მხიარული, ღია გულითა გხვდებით. ხედავთ, როგორა ვცდილობთ ჩვენს კობტა ქვეყანას მოუუაროთ. ბევრი რამ გვაკლია, მაგრამ არავის არაფერსა ვთხოვთ.

ჩვენი მთავრობა მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ გვიცნოთ. აბა, ეს რა დიდი სათხოვარია. ხომ ხედავთ, ვარსებობთ, ხალხი ვართ, მინა-წყალი გვაქვს და ქვეყანა. თუ კეთილს ინებებთ და გვიცნობთ, მადლობელი ვიქნებით, თუ არადა, პურ-მარილს მაინც არ დაგაყვედრით, ჩვენ ხომ ჩვენი თავი ვიცანით და იმედია, იმას მაინც არ იტყვით, საქართველო არ არსებობსო, როცა ეს სიტყვები სტუმრებისათვის გადაუთარგმნიათ, ერთ მათგანს თითქოს უთქვამსო: ეს კაცი მიკიტანი კი არ უნდა იყოს, ქვეყნის მეთაურად გამოდგებაო.

დამოუკიდებლობის დროს სიმონიკა თავისი იარაღით გერმანიაში წამოვიდა განათლების მისაღებად. საქართველოს დაპყრობის შემდეგ იგი ორი თუ სამი წელი კიდევ დარჩა ბერლინში, მაგრამ ცხოვრება გაუძნელდა და საფრანგეთში გადმოსახლდა. აქ იგი მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. სიმონიკა დაარსებისთანავე მიეკედლა „თეთრი გიორგის“ მოძრაობას და ამ მიმართულების გაზეთში — „თეთრი გიორგი“ და „ქართლოსი“ თანამშრომლობდა. ამავე გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები და ქვეყნდებოდა მისივე კარიკატურები.

სიმონიკა მხატვარიც იყო და კარიკატურისტიც. მის მიერ დახატული რამდენიმე კარიკატურა დაიბეჭდა. ისინი შესრულებულია მთლიანად დამაკმაყოფილებელ ტექნიკით, მაგრამ უფრო ძლიერია ამ კარიკატურების შინაარსიანი იუმორი და გააზრება. ნორმალურ პირობებში თუნდ მხოლოდ ამ დარგით შეეძლო მას სახელი გაეთქვა და ამ ხელობით ეცხოვრა.

იგი ფერწერასაც მიმართავდა. დასახასიათებლად ერთ-ერთი მაგალითი: მის მიერ შესრულებული „ქრისტე“ საყოველთაოდ ცნობილ ქრისტესაგან ძლიერ განსხვავდებოდა(სურათი დაკარგულია). სიმონიკა ამ სურათს ასე განმარტავდა: ქრისტე საბრალოთა და სუსტთა დამცველი იყო. ასეთი პიროვნება არ შეიძლება თვითონ საბრალოდ და საცოდავად წარმოედგინოთ. მისი სიკვდილი უდიდესი გმირული აქტია. გმირის სახე კი არც ერთ გარემოებაში არ შეიძლება საბრალო იყოსო. მართლაც, მისი „ქრისტე“ თუმცა სახის ნაკვეთებით ჩვენთვის ცნობილ სურათსა ჰგავდა, მაგრამ სახის გამომეტყველება ვაჟკაცური გადანყვებილების მქონე ადამიანს წარმოგვიდგენდა. თუმცა სიმონიკა, როგორც მხატვარი თავის ტექნიკით მხოლოდ საშუალო მოყვარულის დონეზე იყო, რადგან არ უმუშავია, მაგრამ მას საკმაოდ რთული და ღრმა გააზრება ჰქონდა „გონებრივად“ ხატვისათვის, რაც მრავალ ტექნიკურად განსწავლულ მხატვარს გაამდიდრებდა.

როგორც უკვე ვთქვით, სიმონიკა ძერწევასაც მიმართავდა ხოლმე. საუბედუროდ, მის ქანდაკებებზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მის ბინაზე არასოდეს ვყოფილვარ და საჩვენებლად ქანდაკების თან ტარება უხერხულია. მხოლოდ ვიცი, რომ იგი თიხის ცომით მუშაობდა და შემდეგ თაბაშირის ყალიბს აკეთებდა (მკითხველმა მაპატიოს, თუ ტერმინოლოგია არასწორია).

არც სასცენო ხელოვნება იყო სიმონიკასათვის უცხო – პირიქით, იგი რეჟისორობდა, მსახიობობდა და დეკორატორობდა. ერთხელ ქართულმა სცენის მოყვარულთა დასმა რომელიღაც კომედია წარმოადგინა. სიმონიკა მეორეხარისხოვან, თითქმის უსიტყვო როლს ასრულებდა მსახური ბიჭისას. მას მხოლოდ კარი უნდა გაეღო და სტუმარი მიეღო, მაგრამ მის მიერ განსახიერებელი მსახური ბიჭი მთელი კომედიის ლერძად და სამკაულად გადაიქცა, ყოველ მის მიხვრა-მოხვრას მხურვალე ტაში აჯილდოებდა.

მეორედ: აკაკის მოსაგონარი საღამო გაიმართა. წარმოდგენილი იყო „გამზრდელი“, ხორომ შეასრულა სიმღერები აკაკის ტექსტით. „ცოცხალი სურათიც“ აჩვენეს. სიმონიკამ მხოლოდ აკაკის ერთი ლექსი წაიკითხა, მაგრამ როგორ! ფარდა რომ გაიხსნა, სცენაზე ცოცხალი აკაკი იდგა. გრიმი, კოსტუმი, ჯოხი და აკაკისებურად უკან გადახრილი თავი ოდნავ მალლა მზირალი სახით, მაგრამ უფრო განსაცვიფრებელი იყო ამ მოხუცის მთრთოლვარე ხმა. იმ ხანებში ემიგრაციაში კიდევ მრავლად იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც აკაკის პირადად იცნობდნენ. დანამდვილებით არ მახსოვს, ვინ, მაგონი გიორგი ჟურულმა თქვა: ასეთი რამ აკაკის სიცოცხლეში უნდა მოწყობილიყო. აღფრთოვანებული ყველაზე მხურვალე ტაშს თვით დაუქრავდაო.

ასეთი ბუნების და თვისების იყო სიმონ ბერეუიანი. საფრანგეთში და კერძოდ, პარიზში მცხოვრებ ქართველებს მან თავისი მოღვაწეობით დიდი ამაგი შესწირა, რის გამო იგი ყველას უყვარდა. სიმონიკა ღირსია, რომ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ უფრო ვრცელი ნარკვევი დაწერილიყო. საუბედუროდ, ასე არ

მოხდა. გარდა მისი პოეზიის შემცველ ნიგნაკისა, რომელსაც მარკოზ ტულუმის და ვიქტორ ნოზაძის წინასიტყვაობა უძღვის, ეს წინამდებარე სტრიქონები, ალბათ, უკანასკნელი დაბეჭდილი მოგონება იქნება ამ კაცის ცხოვრებაზე – კაცისა, რომლის სული მრავალმხრივი ნიჭიერებით იყო შემკული. მის ცხოვრებას ხელი მოეცარა და მან მხოლოდ ნიმუშების სახით შეძლო ჩვენება იმისა, თუ რამდენად შინაარსიანი და ნაყოფიერი შეიძლება ყოფილიყო მისი სიცოცხლე, განგებას რომ ეს მისთვის არ აეკრძალა.

მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებისას სიმონიკამ სხვებთან ერთად იარაღს მოჰკიდა ხელი, მაგრამ ჯანმრთელობამ უღალატა, ჯარში ყოფნის პირველ თვეებში მას სულიერი დაავადების ნიშნები დაეტყო. სექტემბერში იგი ისე ცუდად შეიქმნა, რომ მისი საავადმყოფოში მოთავსება აუცილებელი გახდა, ეს რუმინეთში ყოფნის დროს მოხდა. სიმონიკა სამხედრო საავადმყოფოში ნაიყვანეს და მას შემდეგ მისი კვალი დაიკარგა. ომის განმავლობაში ქართველებმა ვერაფერი შეიტყვეს თუ მას რა მოუვიდა. ამ უკანასკნელ ხანებში მიუნხენის რადიომ გადასცა ცნობა, თითქოს სიმონიკა შტუტგარტში გარდაცვლილიყოს. თუ ეს ცნობა რომელიმე სერიოზულ წყაროს ემყარება, მაშინ უფრო ზუსტი ცნობის მიღებაც არ უნდა იყოს ძნელი. შტუტგარტი ომის დროს არ განადგურებულა და გერმანული არქივების მეთოდურობა ცნობილია. მხოლოდ თუ ვინმე ამ საქმის გამორკვევას შეუდგება, სიმონ ბერეჟიანი არ უნდა ეძებოს. სიმონიკას მესამე გვარის ტარებაც ხვდა წილად. მის სამხედრო ნიგნაკში ეწერა: – სიმონ ბერგერ. მას ბედმა სამშობლოს გარეთ სიკვდილი არ აკმარა – ქართული გვართ დამარხვაც არ ეღირსა.

სიმონიკა მომავლისათვის იცოცხლებს, როგორც პოეტი. მისი პოეზია, რაც დაკარგვას გადაურჩა, დაბეჭდილია. დაე, სხვებმა სცადონ მისი ნაწერებიდან ავტორის სულის გამოცნობა. მისი ლექსები ორჯერ გამოიცა.

ომის დროს გერმანიაში ცუდ ქალაქად გამოცემული ლექსების მეორე კრებულიდან დღეს გაცრეცილ-გაყვიტლებული და დაზიანებული რამდენიმე ეგზემპლარი მოიპოვება. ხოლო სიმონ ბერეჟიანის ნაწერები ღირსია, რომ არ დაიკარგოს – არა მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოეთში გარდახვეწილ პოეტის დავინწყება დაუშვებელია, არამედ იმიტომ, რომ ეს პატარა კრებული, რომელშიდაც მხოლოდ თექვსმეტი სათაურია, სრულებითაც ზედმეტი არ არის ქართული პოეზიისათვის. – მიუხედავად ამ პოეზიის დიდი სიმდიდრისა და მესამე გარემოება ის არის, რომ ეს პატარა ნიგნი, ამავე დროს პოეტის ძეგლია, რადგან მისი საფლავიც კი დაკარგულია¹.

¹ პირველ ნიგნს წინ უძღვის ვიქტორ ნოზაძის მოკლე წინასიტყვაობა და მარკოზ ტულუმის წერილი, რომელიც სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიასაც შეიცავს. აქ ჩვენ მოგვყავს დამატებითი ცნობები, რომელთა მონოდებისათვის მაღლობა ეკუთვნის – ბატონ შოთა ბერეჟიანს.

ისტორიული პარალელები

ივერია, 19.1978

ძვირფასო მკითხველო, გაფრთხილებ, რომ ჩვენი წარსულის ძლიერ შორეულ ხანაში უნდა ვიმოგზაუროთ – ათას ოთხასი წლის წინანდელ ამბავს გაიმბობ, თუ ყურს დამიგდებ, ნება შენია.

მეექვსე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა დღევანდელისას ჰგავდა იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად ერთისა, ორი გადია გვეყოლია.

ლიხს დასავლეთით, სპარსეთ-საბერძნეთს შორის მომხდარ უსასტიკეს ომების შედეგად დღევანდელი გურიის და ნაწილობრივად აჭარის ტერიტორიაზე მობინადრე ლაზების მოსახლეობა თითქმის ამოწყვეტილი იყო, ხოლო ახალი ქართულენოვანი პროვინციების, გურია-აჭარის ჩამოყალიბება ჯერ დასრულებული არ იყო. მეფობა-გაუქმებულ და დაშლილ ლაზთა სამეფოში ბიზანტიელები ბატონობდნენ. ლაზების მიერ აშენებული სკანდასა და შორაპანის ციხეები მათ აღარ ეკუთვნოდა, შიგ ხან სპარსთა, ხან ბერძნთა მეციხოვნენი იდგნენ.

არც ლიხის აღმოსავლეთი იყო უკეთეს დღეში. ქართლში შაჰის მირზაჰანი ბატონობდა, ხოლო სპარსთა მიერ შეწყნარებულ ადგილობრივ ხელისუფალს მეფის სახელის ტარების უფლებანართმეულს, „ერისმთავარი“ ეწოდებოდა.

ერთი ასეთი ერისმთავარია ჩვენთვის საინტერესო ამბის პერსონაჟი – სახელად სტეფანოზ პირველი. ეს ის სტეფანოზია, რომლის რელიეფური გამოსახულება დღემდე შენახულა მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე. ეს ტაძარი მისი აშენებულია (თუმცა, მიუხედავად ამისა, წერილობითი წყარო ამბობს: იყო კაცი ესე ამპარტავან და ბოროტთა შურითა აღსავსე და ეკლესიათა ფრიად ძვირსა (ბოროტსა) უყოფდაო“).

აი, ამ სტეფანოზს ერთხელ მოუხურვებია წმინდა შიოს მონასტერი მონებახულებინა და ამის შესახებ, ერთი დღით ადრე, მონასტრისათვის უცნობებია. როცა იგი კათალიკოს ბართლომეს თანხლებით მონასტერში მისულა, წყენა გამოუთქვამს, ღირსეულად რატომ არ მიმიღეთო და მონასტრის მამასახლისისადმი უკმეზ მედიდურო-

ბით მიუმართავს: „ბერო არაკეთილო, არა სცანა მოსვლაი უნინარეს დღისა ერთისა? და ვითარ შეურაცხმყავთ, რამეთუ არარაი მთავრობისა პატივი წინამყავთ და ოდეს სცანით ეპისკოპოსისა თქვენისა მოსვლაი, ესოდენ ადიდეთ იგი?“ (განა ერთი დღით აღრე არ იცოდი ჩემი მოსვლა, როგორ შეურაცხმყავით, მთავრისათვის შესაფერი პატივით არ მიმიღეთ, ხოლო თქვენი ეპისკოპოსი კი ასე ადიდეთო). ამაზე მონასტრის მეთაურს უპასუხნია, მონასტრის წესის მიხედვით ასე უნდა მოვიქცეთო. სტეფანოზი ამ პასუხს არ დაუკმაყოფილებია და უთქვამს: „უმეტეს არს საყდარსა ჩემსა ეპისკოპოზისა და რამეთუ მე მეფეთა საყდართა ვზი და იგინი არიან ნაცვალნი ღმრთისანი ქვეყანასა ზედა“. (განა ეპისკოპოსის ტახტი ჩემსაზე უმაღლესია, თუ ისინი ღმრთისა ნაცვალნი არიან ამქვეყნად, მე მეფეთა ტახტსა ზედა ვზივარო). მამასახლისს არათუ უკან არ დაუხევია, არამედ დამცინავად მოუჭრია: „ვითარ ვხედავ გონებასა შენსა, ფრიად შორს ხარ ღვთისა მსგავსებისაგან, რამეთუ სიტყვანი ეგე ამპარტავანი არიან და მოშურნეთანიო“. ამაზე განრისხებულ სტეფანოზს მონასტრის დასჯა განუზრახავს და ჯერ კიდევ ფარსმან მეფის მიერ შეწირული ორი აგარაკი წაურთმევია: „განრისხნა გულსწყრომითა სტეფანოზ მხილებითა მათთვის და მისტაცნა ორნი აგარაკნი და თქვა: არა მივსცე შეურაცხისმყოფელთა მამული ჩემი“. საინტერესოა, რომ მას თავისი გადაწყვეტილება ვერ აუსრულებია. ეს ამბავი წყაროში იმით არის ახსნილი, რომ ერისმთავარს ძილში წმინდა შიო გამოეცხადა და უთხრა: „სტეფანოზ ბოროტო და მედგარო, რად მოსტაცუნე მონასტერსა ჩემსა აგარაკნი? ირმუნე ჩემი, არათუ უკუნსცე, მოვაგლინო შენ ზედა რისხვად ღვთისა და ბოროტად შეგტამოს“...

აქ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონფლიქტში, ეტყობა, კათალიკოსი ბართლომე ჩარეულა (გამოუჩენლად – დიპლომატიურად) და საქმის გადაწყვეტ მსაჯულად წმინდა შიოს ჩარევა მოუგონიათ, ძალიან მოხერხებულად.

ახლა ისევ ჩვენს დროში დავბრუნდეთ და ვცადოთ, ზემოთგაცნობილ პერსონაჟებს თანამედროვე შესატყვისი პირები მოვუძებნოთ.

სტეფანოზივით მეფეთა ტახტსა ზედა მეჯდომი ხომ ეღუარდ შევარდნაძეა – ქვეყნის მმართველად შაჰის მიერ შეწყნარებული. რომელია ის დანესებულება, რომელიც იმდროინდელ პროვინციულ მონასტრის როლს ასრულებს? ცხადია, რომელიმე უმაღლესი სასწავლებელი და მონასტრის მამასახლისი ამ სასწავლებლის რექტორი იქნება, ხოლო მაშინდელ კათალიკოსის პოსტს, რომ მხოლოდ დღევანდელი სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარე უნდა შეედაროს, ესეც არ უნდა იყოს საეჭვო. და მსგავსებაც ამ ფორმალურ-გარეგნულ სურათით იფარგლება. რადგან, განა წარმოსადგენია, რომ შევარდნაძე ვთქვათ, ქუთაისის უმაღლეს სასწავლებელს ესტუმროს, თან აკადემიის თავმჯდომარე ხარაძე წაიყვანოს და მას „შესაფერი პატივით“ არ დაუხვდენენ? განა წარმოსადგენია, სასწავლებლის რექტორმა ხარაძე მეტი პატივით მიიღოს, ვიდრე შევარდნაძე? ამ უკანასკნელმა რომ რექტორს საყვედური უთხრას, განა შესაძლებელია, რექტორმა უპასუხოს, მეცნიერს უპირველესად უფროსი მეცნიერის პატივისცემა უმართებსო? დავუშვათ დაუშვებელი და შევარდნაძე განრისხებული ამბობს: როგორ!

აკადემიის თავმჯდომარე ჩემზედ უმაღლესი რით არის, იგი თუ მეცნიერების მოძღვა-
რია, მე კომუნიზმის მშენებელ პარტიის იდეოლოგიის მოძღვარი ვარო.

რომელმა რექტორმა შეიძლება, რაგინდ გაბედულიც იყოს, ამაზე უპასუხოს: რო-
გორც შენს ჭკუასა ვხედავ, ფრიად შორსა ხარ მეცნიერთან მსგავსებისაგან, რადგან
შენი სიტყვები ამპარტავანნი არიან და შურიანნიო.

ნამბობიდან მკითხველი დაინახავს, თუ რამდენად მალა მდგარა დღევანდელ-
თან შედარებით, ადამიანის პირადი ღირსება და მისი გაბედულებაც რამდენად უფრო
შეუპოვარი ყოფილა. უზუნაეს ხელისუფალს იმდენად განსაზღვრული უფლება ჰქონია
თავის ქვეშევრდომთა მიმართ, რომ სტეფანოზს მამასახლისის პირადად დასჯა არ
შესძლებია. რაკი ეკონომიურ სანქციისათვის მიუმართავს და მამულის ჩამორთმევა
განუზრახავს, და ისიც იმ უფლებით, რომ ეს მამული ადრინდელ მეფეთა შენირული
იყო. ამ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ მაშინდელი მონასტრის
მამასახლისი ძმათა მიერ არჩეული ბერი იყო მხოლოდ და არა — თანამედროვე პრო-
ფესორის ხარისხიანი ცნობილი მეცნიერი — რექტორი (აქ ჩხიკვიძელი და სურგულაძე
არ იგულისხმებიან), ხოლო სტეფანოზ ერისმთავარი, შევარდნაძისდაგვარად მტრის
ერთგულებამი დანიშნურებული პოლიციელი კი არ იყო, არამედ, თუ მეფეთა ჩამომ-
ვალი არა, სამეფო გვარის მონათესავე დიდებული მანც იქნებოდა ეს მეფის ტოლი
და მცხეთის ჯვარის ამშენებელი მოღვაწე.

ის ფაქტიც, რომ სტეფანოზმა ისეთი ძეგლის აგება შეძლო, როგორც მცხეთის
ჯვარია, თავისთავად ბევრისმთქმელია: ქართლი მაზღეანურ სპარსეთის ქვეშევრდომ
მოხარკე ქვეყანას წარმოადგენდა და ასეთ პირობებში, რამდენად უფრო შემწყნარე-
ბელი ყოფილა სპარსეთის მირზანის პოლიტიკა როგორც ხარკის სიმძიმეში, აგრეთვე
ეროვნულ კულტის სფეროში, რომ დამონებულმა ქართლმა შეძლო არა სპარსული,
არამედ ქართული ტაძრის აგებისათვის ეზრუნა, დიდი სახხარიც გაეღო და ისეთი ძე-
გლი დაეტოვებინა, რომელიც ათას ოთხასი წლის შემდეგაც ჩვენი ხუროთმოძღვრების
მარგალიტია.

ეს მოთხრობილი ეპიზოდი იქნებ ზოგმა არ განაზოგადოს და მისი მნიშვნელობა
ორი პიროვნების ურთიერთშეჯახებით განსაზღვროს. ასეთი მიდგომა, ცხადია, მც-
დარი იქნება, მაგრამ იჭვის გასაფანტად, დღევანდელი საქართველოს მდგომარეობის
უკეთ დასანახად, სხვა, უფრო ზოგადი მნიშვნელობის ამბავიც გავიხსენოთ იმავე ხა-
ნიდან.

ზემოთაღწერილ შემთხვევიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ, 606-608 წლებში,
მოხდა ცნობილი განხეთქილება სომხურსა და ქართულ ეკლესიათა შორის. გაყოფის
ოფიციალური მოტივი სარწმუნოებრივი იყო: სომხები მონოფიზიტებად რჩებოდნენ.
ქართველები კი მონოფიზიტობას განუდგნენ და ქალკედონელებს მიემხრნენ, მაგრამ
საქმის ნამდვილი არსის გასაგებად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ საერთაშორისო კონ-
ტექსტში ხდებოდა ეს ამბები. საქმე ისაა, რომ მონოფიზიტებს სპარსეთი მფარველობ-
და, ხოლო ქალკედონელობა ბერძნულ ორიენტაციის ალებას უდრიდა.

იმ დროს სპარსეთის სახელმწიფო სარწმუნოება მაზდეანიზმი იყო, მაგრამ სპარსეთის იმპერიაში მრავალი ქრისტიანი ხალხი ცხოვრობდა, რომელთა დიდი უმრავლესობა მონოფიზიტი იყო, ხოლო რადგან ბერძნებმა და სპარსეთს გარეთმყოფმა სხვა ხალხებმა ქალკედონელობა მიიღეს, სპარსეთი თავის თავს მონოფიზიტთა მფარველად აცხადებდა ბიზანტიასთან ომების დროს, ცდილობდა ანტიბიზანტიური ბრძოლა ანტიქალკედონურად შეენიღა და ამით ქრისტიანთა შორის არსებული უთანხმოება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

სომხები, გეოგრაფიული მდებარეობისა და ბერძენთა პოლიტიკით უკმაყოფილებისა გამო, სპარსთა მფარველობაში მყოფ სარწმუნოების შენარჩუნებას ამჯობინებდნენ. ქართველებმა კი ბერძნული სარწმუნოებრივი ორიენტაცია აიღეს, რაც პოლიტიკურ ნაბიჯსაც ნიშნავდა. იმდროინდელი საქართველოს კათალიკოსი კირიონი იყო. ეს პიროვნება შორსმჭვრეტელ ენერგიულ კაცდა ჩანს. მას მცირე აზიაში – ნიკოპოლში ჰქონდა განათლება მიღებული, სადაც მან თხუთმეტი წელიწადი დაყო. მისი დასავლეთური ორიენტაცია იმდენად ღრმა ყოფილა, რომ ქართული საკითხების გადაჭრისათვის რომის პაპს — გრიგოლ დიდს რჩევასა სთხოვდა ხოლმე მასთან მიწერ-მონერის დროს. აი, ამ კირიონს მიეკუთვნება მთავარი როლი ამ საქმის წარმართვაში.

სპარსელები ქართველთა ქალკედონობას კარგი თვალთ ვერ შეხედავდნენ. ეს მათი დომინაციის დასუსტებას ნიშნავდა საქართველოში. სპარსელთა ნაქეზებით სომხებმა მიწერ-მონერა გამართეს ქართველებთან. ისინი ქართველებისაგან მონოფიზიტობაში დაბრუნებას მოითხოვდნენ. სომხები ნამდვილ შანტაჟსაც კი არ ერიდებოდნენ. ასე მაგალითად: აბრამ სომეხთა კათალიკოსი პირველსავე წერილში კირიონს და ქართველ მთავრებს ამხელდა: არის რალაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან (ე.ი. ბერძნებთან) რომ შექმნა შაჰინშაჰის მონათგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გამოვრდი, მართლაც რომ, მძიმეაო.

სომხურ ეკლესიის მესვეურთა გვერდით ამ მიწერ-მონერაში მონაწილეობდა შაჰის დიდმოხელე ჰირკანის მირზანი სმბატ ბაგრატიუნი (მოდგმით სომეხი). იგი სპეციალურ დავალებით ყოფილა შაჰის მიერ სომხეთში გაგზავნილი, რომ ამ საქმისათვის თვალყური ედევნებინა და ეცადა, რომ იგი სპარსეთის სასარგებლოდ მიეტრიალებინა. სმბატ მირზანიც წერდა: „ვინაიდან სომეხნი და ქართველნი, ორნივე შაჰინშაჰის ქვეშევრდომნი არიან, უნდა შეიგნოთ, რომ ორივეს ერთი სარწმუნოება უნდა გქონდეთ“. ქართველების მდგომარეობა სახიფათო იყო, ისინი პროვოკაციულ ბრალდებას შეძლებისდაგვარად უარყოფდნენ, პირდაპირ პასუხს თავს არიდებდნენ.

ეს პოლემიკა დიდხანს გაგრძელდა და კირიონის საბოლოო გადაწყვეტი პასუხი იყო: „თუ რომ ჩვენი სარწმუნოების გამოძიება და ცოდნა გნებავთ, მე გადმოვათარგმნინე და გაახელით ოთხთა კრებათა წიგნები, რომლითაც ჰრომნი ხელმძღვანელობენ და ანასტას წმინდასა და წმინდა სიონში იქადაგების. გინდათ თუ არა, ჩვენი სარწმუნოება ეს არისო“. ეს საბოლოო პასუხი, რომლითაც შეწყდა მიწერ-მონერა, ირიბულად

სპარსეთსაც გაეცა, რომელიც სომეხთა ზურგს უკან იდგა და ქართველების ბერძნე-ბისაკენ გადახრის ხელისშემშლას ცდილობდა.

ამ პასუხის შედეგად აბრაამმა საკვირველი ნაბიჯი გადადგა: მან სომეხებს უბრძა-ნა, ქართველებთან ყოველი კავშირი განწყვიტეთ, მათ ეკლესიებში არ შეხვიდეთ, არც ისინი შეუშვათ თქვენსაში, ნება გეძლევათ მათთან მხოლოდ ვაჭრობისა, როგორც ურიებთანო.

ამ განხეთქილებას მარტო სარწმუნოებრივი საფუძველი არ ჰქონდა. სომეხ-ქარ-თველთა შორის სხვა პრობლემებიც არსებობდა. მათი გაშუქება ამ წერილის მიზანში არ შედის. ჩვენ აქ გვიანტერესებს საქმის ის მხარე, რომელიც დაპყრობილ საქართველოსა და დამპყრობელ სპარსეთის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს გაგვაცნობს.

ამ მხრივ კი ჩვენ ვხედავთ, რომ მეშვიდე საუკუნის პირველ ათეულში, სპარსეთის ქვეშევრდომ საქართველოს უარუყვია სპარსეთის მფარველობაში მყოფი სარწმუნოება, რომელსაც საქართველო ადრე მისდევდა და სპარსეთის მტრის – ბერძნების სარწმუნოე-ბას დასდგომა. ეს სპარსეთს მისი ინტერესებისათვის მავნებლად მიაჩნდა, მაგრამ საქ-მეში პირდაპირ ვერ, ან არ ჩარეულა და სომეხთა მეშვეობით ცდილა, ქართველები ძველი სარწმუნოებისაკენ და ამით სპარსეთის მიმართ უფრო შემრიგებელ ორიენტაციისაკენ მოებრუნებინა. ქართველებს სიმტკიცე გამოუჩენიათ სომეხებისათვის და არაპირდაპირ სპარსელთათვისაც უარი უთქვამთ და დასავლური ორიენტაცია აუღიათ.

მაშინ სარწმუნოება იმავე როლს ასრულებდა, როგორსაც დღეს დოქტრინა ან იდეოლოგია ასრულებს. ამ ამბის დღევანდელი ანალოგია იქნება, საქართველომ რომ მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოს და დასავლური დემოკრატიული სოციალიზმის დოქ-ტრინა მიიღოს. ამ წარმოდგენელ რამეს ძლიერ დამორბეული, მაგრამ მიმსგავსებული რამ რომ მოხდეს, მოსკოვს ერევანში წასვლა დასჭირდება ქართველების „მოსაჭკვია-ნებლად“? ან სომეხთის კომპარტიამ საქართველოსას რომ მოსწეროს: რა ღმერთი გინყრებათ, წინათ ხომ ორიენი უფროსი ძმის მსგავსად მარქსისტ-ლენინისტები ვი-ყავით, როგორ შეიძლება მოსკოვს ზურგს აქცევთ და მის მტერს — დასავლეთს უმე-გობრდებითო. რას უპასუხებენ ქართველები? ნუთუ წარმოსადგენია, მათ უპასუხონ: თუ ჩვენი იდეოლოგიის გაცნობა გსურთ, აი, დასავლურ ლიტერატურას გაახლებთ, გინდათ თუ არა, ჩვენ ამის მიმდევრები ვართო?

მკითხველო, შენ ალბათ გეღიბება, ამას რომ კითხულობ. დიდ ტრაგედიასაც ახლავ-ვს ხოლმე ლიმილის გამომწვევი რამ. შენი ლიმილიც სიმწრის ლიმილია. აქ მოკლედ ნაამბობი ეპიზოდი ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულიდან იმას გვიჩვენებს, რომ ათას ოთხასი წლის წინანდელი დამპყრობელი ძლიერი სპარსეთი ჩვენს დღევანდელ დამ-პყრობელზე ბევრად უფრო ლმობიერი ყოფილა და აგრეთვე მაშინდელი ადამიანის პიროვნებაც დღევანდელზე ნაკლებად ყოფილა დამონებული.

ეს არის საშინელი სიმართლე, რომლიდანაც ასევე საშინელი დასკვნა გამოდის: ჩვენი ერის სულსა და ხორცს დამპყრობლის მწვავე ბრწყალები ასე ღრმად არასოდეს ჩასჭიდებია.

დათვის მოშინაურობა

იერია 19.1978

ასეთი ცდა შეიძლება ეწოდოს დასავლეთის მიერ ჰელსინკის თათბირებში მონაწილეობას, მაგრამ იმ დიდი განსხვავებით, რომ ამ ცდაზე ადამიანები იძულებით მიდიან, რადგან ადამიანებს კი არა ჰყავთ დათვი დაჭერილი, არამედ დათვისა ჰყავს დაჭერილი ასეულ მილიონობით ადამიანი. მეორე დიდი განსხვავება ის არის, რომ ამ დათვის გალიაში ჩასმა შეუძლებელია, რადგან იგი ადამიანებსავით შეიარაღებულია, იქნებ — უკეთაც. ერთადერთი საშუალებაა, მხეცი თაფლით მოიტყუო. დათვს თაფლი ძალიან უყვარს, მაგრამ იცის, რომ ზოგი თაფლი მათრობელია. ეშინია, არ დააძინონ. ამიტომ ძლიერ გამოზომილად ჭამს...

ჰელსინკის თათბირის შემდეგ ბელგრადის თათბირიც ჩატარდა. გადწყვეტილია 1980 წელს მორიგი შეხვედრის მოწყობა მადრიდში. ტყვეობაში მყოფი ასეული მილიონები კი იცდიან, იმედოვნებენ, სასონარკვეთასაც განიცდიან.

ჰელსინკის კონფერენციას სხვა საერთაშორისო შეხვედრათაგან განსხვავებული სახე ჰქონდა: საბჭოელები დასავლეთლებს მიმართავდნენ როგორც სახელმწიფოებს მაშინ, როდესაც დასავლეთი მათ მიმართავდა, როგორც რეჟიმს. საბჭოელები ამბობდნენ, დავმეგობრდეთ, ვივაჭროთ, ერთმანეთს იჭვით ნუ ვუცქერთო. დასავლეთი პასუხობდა: ჩვენ კარგი განზრახვები გვაქვს, ჩვენი კარები ღიაა იდეათა, ინფორმაციათა და პიროვნებათა თავისუფალ მიმოსვლისათვის, თქვენც ასე მოიქეცით და ჩვენს კეთილ ურთიერთობას სხვა დაბრკოლება არა აქვსო. ამის გაგონებაზე საბჭოელები ყალბზე დგებიან — ამგვარი მოთხოვნა ჩვენს საქმეში ჩარევა არის, ამას ვერ დაუშვებთო. თუ დასავლეთი საბჭოთა სახელმწიფოს ნორმალურად ცნობს და ელაპარაკება როგორც ასეთს, მაშინ საბჭოელების პროტესტი სამართლიანია. და მართლაც, თუმცა არავინ ამბობს, მაგრამ სინამდვილეში დასავლეთის ასეთი პოზიცია იმას ნიშნავს, რომ მათ თვალში საბჭოთა მმართველობა და საბჭოთა სახელმწიფო ერთიმეორეს არ წარმოადგენენ. მაშ, როგორ ხდება, რომ თუ სხვა ადგილებში დიდი ამერიკა დიდ საბჭოთა კავშირს ბარიბარში ელა-

პარაკება, ამ შემთხვევაში კომუნისტები სხვაგვარ მოპყრობას როგორ იტანენ? აი, აქ არის დათვის, ადამიანის და თაფლის ამბავი.

საბჭოეთის ბატონ-პატრონი პარტიაა. მათ ხელშია მთელი ქვეყანა. ამ პარტიას იდეა ჰქონდა. ძველმა თაობამ ამ იდეისთვის იბრძოლა, მსხვერპლიც გაიღო... მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. სტალინი აღარაა. არც ის დროა, როდესაც მრისხანე ბატონის თითქმის ასკეტური პირადი ცხოვრება მთელი კასტისათვის ძალაუნებური მაგალითი იყო და რაგინდ ცდუნება არა ჰქონოდათ, ყველას ემინოდა პირადი კეთილდღეობისათვის მდგომარეობის გამოყენებისა. ჯერ კიდევ მეხსიერებაში იყო ლენინის ჯიუტი გამოთქმა: როცა ყველა უბედურია, ესეც თანასწორობა არისო.

თაობა გამოიცვალა. იდეურობა გაიცრია. ყველამ იცის, რომ სამოთხეს ვერ აშენებენ – თანაც, „გაბურჟუების“ პროცესიც საკმაოდ შორს არის წასული და პარტიულ მაფიას სურს უფრო უშიშრად გაატაროს სიცოცხლე, რომ ამქვეყნიურ სიტკბოებას მწარე გემოც თან არ დასდევდეს. ისე, ვით ამერიკის დიდ ქალაქებში მოკალათებული განგსტერთა მაფიის წევრები შერებიან, მათაც სურვილი აქვთ საზოგადოებამ (საერთაშორისომ) მიიღოს, ვით „ნესიერი“ წევრები, მაგრამ მათი მდგომარეობა ორჭოფულია – არჩევანი შეზღუდულია: ან ძალით უნდა შეინარჩუნონ ხელისუფლება და პრივილეგიები, ან ყოველივე დაკარგონ და პასუხისგებაში მისაცემ ხალხად გადაიქცნენ.

როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში უზარმაზარ ქვეყნის პატრონი უზურპატორები? ცხადია, იდეოლოგიას ვერ დათმობენ, რადგან იგი ერთადერთი „გამართლება“ მათი უზურპატორობისა და ამვე დროს, ბატონობის შესანარჩუნებლად სახმარი მთავარი იარაღია. სახელმწიფოს უნდა მოუარონ – ეს მათსავე ინტერესშია, მაგრამ იქ, სადაც ინტერესები იყოფა, იძულებულნი არიან, თავიანთი ამჯობინონ სახელმწიფოსას. ამიტომ არ შეუძლიათ ეკონომიკური სისტემის შეცვლა, ხალხისა და პიროვნებისათვის თავისუფლების მინიჭება, კანონის მიუდგომელი გატარება და ყველა იმ ზომათა მიღება, რომელნიც სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნებოდნენ, მაგრამ მათ დალუპვას გამოინვევდნენ აუცილებლად.

ეს მოძალადე პოლიტიკოსები რუსი ნაციონალისტებიც არიან. აქ ჩვენ სპეციფიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, იმიტომ, რომ არაკომუნისტ რუს ნაციონალისტებს განსაკუთრებული გარემოება აახლოებს კომუნისტებთან. ეს გარემოება არის ის საშიშროება, რომელიც რუსეთის იმპერიის მთლიანობას მოელის კომუნისტთა დამხობის შემთხვევაში. ამის შეგნება თითქმის ერთგულ მოკავშირეებად ხდის ავაზაკებსა და პატიოსან ხალხს. კომუნისტები ამას ფართოდ იყენებენ. მათ იდეოლოგიას არაფერი აქვს საერთო იმ აღვირაზსნილ, თავხედ იმპერიალიზმთან, რომლის აგრესიამ ცარიზმისდროინდელ რუსულ შოვინიზმის ყველა ფორმას გადააჭარბა. უფრო ლოგიკური იქნებოდა, შოვინიზმი აელაგმათ და კავშირის სხვა ერების შემორიგებას ცდილიყვნენ, მაგრამ, თუ პირიქით ხდება, იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, თვითონ რუსები არიან და მეორე, როგორც ითქვა, არაკომუნისტ რუსებს მათთან მეტი საერთო ინტერესები აქვთ, ვიდრე სხვა ერების თვით კომუნისტებს.

მაშასადამე, საბჭოთა სახელმწიფოს მპყრობელ რუს კომუნისტთა მაფიას პირველი საზრუნავი ხელისუფლების შენარჩუნებაა, ხოლო, როგორც რუსები და ამასთანავე, იმპერიის მმართველები, რამდენადაც ეს მათ პირად მეფობას არ ემუქრება, რუსულ ეროვნულ ინტერესების და სახელმწიფოს ინტერესთა დამცველადაც გამოდიან.

დღევანდელ „დაპატარავებულ“ პლანეტაზე, როდესაც ჰამბურგის ბაზარზე ნიგერიაში მოკრეფილი ნესვი იყიდება, ხოლო მარკოელი მწყემსები ჰონკონგში გაკეთებულ ტრანზისტორებით მექაში გამყივარ ყაღს უსმენენ, კაცობრიობა ველარ იცხოვრებს ერთიმეორისაგან გადატიხრულ, თუნდაც პლანეტარულ განზომილების რაიონებში. საბჭოთა სახელმწიფო დედამიწაზე უპირველესის მეტოქეა. მას ყველა ელაპარაკება – ფრიადი მორიდებითაც.

პელსინკიში დანყებული თათბირები ამ ელაპარაკის ერთი დონეთაგანია. მათ თავისებური ხასიათი აქვთ. ჩვენ, ქართველები, ამას გაფაცვიცებით თვალს ვადევნებთ, იმედები გვგებადება – საფუძვლიანი და უსაფუძვლოც. ჩვენი შეხედულება ამ საგანზე შეუძლებელია უცდომელი იყოს. კიდევ მეტი: ჩვენ მაგალითად, უმეტეს შემთხვევაში გვგონია, რომ საბჭოელების მიმართ ყველას მოქმედება მცდარია, რაც შეუძლებელია, მართალი იყოს. ამიტომ საქმეს იმათი თვალითაც შევხედოთ, ვინც ამ მოლაპარაკების ერთ მხარის აზრს წარმოადგენს. აი, ერთი დასავლეთელი რიგითი კორესპონდენტის ანალიზი ბელგრადის შედეგებისა.

* * *

დასავლეთის პრესა დიდი ოპტიმიზმით გამოეხმაურა ბელგრადის კონფერენციის დანყებას, მაგრამ ოპტიმიზმმა დაიკლო ბოლო დღეებში. კონფერენციის წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს, რომ შემაჯამებელ დოკუმენტში მოხსენებულ იც არაა ადამიანის უფლების საკითხი. კონფერენციას არც შეეძლო დიდი შედეგის მოტანა, რადგან ყველა გადანყვეტილება ერთხმად უნდა მიღებულიყო, ხოლო მონაწილეობდა 35 ქვეყანა. კონფერენციას შეიძლება წარმატებული ეუნოდოთ თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნებს ისახავდნენ მონაწილე ქვეყნები. ამერიკელმა ვენსმა, მაგალითად, განაცხადა, რომ იგი თათბირს წარმატებულად მიიჩნევს, თუ სამი მიზანი იქნა მიღწეული: 1) დასკვნითი აქტის დებულებათა შესრულების რეალისტური და გულწრფელი განხილვა კონკრეტული ფაქტების საფუძველზე. 2) შემონმების რაიმე მექანიზმის დანესება. 3) ზოგი ახალი კონსტრუქციული წინადადების მიღება, მაგრამ არა დასკვნითი აქტის დებულებათა ცხოვრებაში გატარების შემონმების ხარჯზე. ამ კრიტიკრიუმების მიხედვით შეერთებულმა შტატებმა მიაღწია მის მიერ დასახულ მიზნებს.

ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილება მომავალი შეხვედრის ჩატარებაზე მადრიდში 1980 წელს. ეს შეთანხმება წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას იმისა, რომ ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის პროცესი გაგრძელდება და მოაგონებს მონაწილე ქვეყნებს, რომ ორ წელიწადში მოუხდებათ ანგარიშის ჩაბარება ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტის დებულებათა შესრულებასა თუ შეუსრულებლობაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს და მის მოკავშირეებს, მათთვის მთავარი იყო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში „შინაურ საქმეებში ჩაურევლობის“ პრინციპზე დაყრდნობა. მოსკოვის და მისი სატელიტების დელეგატები ხაზს უსვამდნენ სამხედრო დესანტს, განიარაღებას, სახელმწიფო სუვერენობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მოსკოვის აზრით, ბრალდებები ადამიანის უფლებების დარღვევაზე ზიანს აყენებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, და რა თქმა უნდა, უარს ამბობდნენ დისკუსიაზე პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების შესახებ. საბჭოთა კავშირმა მიაღწია იმას, რომ შემაჯამებელ დოკუმენტში შეტანილი არ იყოს ადამიანის უფლების საკითხი.

ბელგრადში შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირისათვის იყო ფორუმი, რომელზეც ორივე მხარე აცხადებდა თავის პოლიტიკას ადამიანის უფლებათა სფეროში, ხოლო ამავე დროს ხაზს უსვამდა ორმხრივ ურთიერთობას, განსაკუთრებით შეტყევითი შეიარაღების შეზღუდვის საკითხს.

ბელგრადმა დაგვიტოვა უამრავი კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. საბ. კავშირის და აღმ. ქვეყანათა მოქალაქენი ადამიანის თავისუფლებისათვის მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაში მომავალშიც თუ განაგრძობენ ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტზე დაყრდნობას? და მეორე მხრივ: ახლა, ბელგრადის კონფერენცია რომ დამთავრდა, საბ. კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები თავს უფრო თავისუფლად თუ იგრძნობენ დისიდენტების გასანადგურებლად?

* * *

როგორც მკითხველი ხედავს, ამ ანალიზის დასკვნა ორი კითხვის დასმით თავდება. იტყვიან, კითხვის დასმა პასუხი არ არისო. პასუხი არც შეიძლება რომ არსებობდეს. ასეთ კონფერენციაზე ვერაფერი გადაწყდება. იგი, მართლაც, მხოლოდ ფორუმი, რომელზედაც რუსეთისა და ამერიკის დელეგატები, თითქოს ცდილობენ, მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში სხვებიც ჩაირონ. ეს „ჩარევა“ მხოლოდ „აკადემიური“ შეიძლება იყოს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ბედის გადაწყვეტას, ძნელად წარმოსადგენია, რომ ამაში შინაურმა ფაქტორმა გარემოზე მეტი როლი არ ითამაშოს.

აპრილის დემონსტრაციის გაკვეთილი

ივერია, 20.1978

უცხოეთში მყოფმა ქართველობამ გულისძგერით და სიხარულთან ერთად შიმშნარევი გრძნობით მიიღო მსოფლიო პრესაში გამოქვეყნებული ცნობა ტფილისში აპრილში მომხდარ დემონსტრაციის შესახებ. ახლა უფრო დამშვიდებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ამ მოვლენის რაობასა და მნიშვნელობაზე.

დიდი ხანია, რაც ასეთ, ყოველმხრივ დადებითს ცნობას სიამე და კმაყოფილება არ ჩაუნვეთებია ბოლმით სავსე იმ ფიალაში, რომელსაცა ვსვამთ.

უცხოეთში ხანდახან ჩამოსულ ქართველთა მეშვეობით, კანტიკუნტად მოღწეულ სხვადასხვა ამბებით, ქართულ ლიტერატურის ძნელად შესამჩნევ, მაგრამ მაინც დასანახად შესაძლებელ, პატრიოტულ ტენდენციაზე დაყრდნობით და ბოლოს ბუნებრივი ვარაუდითაც, შეგვიძლო გვეფიქრა – და ვფიქრობდით კიდევაც – რომ ჩვენს ქვეყანაში, ხალხის გულში პატრიოტული ცეცხლი ღვიოდა, მაგრამ იმგვარ რეჟიმში, სადაც საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვის არავითარი საშუალება არ არსებობს, ურყევი საბუთი არ ჩანდა, რომ მხურვალე პატრიოტები: გამსახურდია, კოსტავა, რცხილაძე, სამხარაძე, ფოილოძე და ახვანი გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ და რომ ხალხი, ქვეყანა მათსავით ფიქრობდა. და ეს საბუთი მოგვცა აპრილის დემონსტრაციამ.

იღუზიები არ უნდა ვიქონიოთ დემონსტრაციის უშუალო პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. კონსტიტუციის ერთი მუხლი ვერ შეცვლის რეალურ მდგომარეობას, მაგრამ ამ მუხლის გარშემო ბრძოლის გადახდა აღნიშნავს იმ ზღვარს, რომლის იქითაც მორჩილების არეს გავრცელებაზე ქვეყანამ უარი თქვა. ამ აქტით ხაზგასმულია ქვეყნის გადანჯვეტილება ეროვნულ მეობის შენარჩუნებისა, ხოლო ამ მეობის სიმბოლოდ სრულიად ბუნებრივად ენაა გამოცხადებული.

რამდენად უფრო ჯანსაღია ასეთი სულისკვეთება იმ განწყობილებასთან შედარებით, რომელიც ჩვენში რევოლუციის ხანაში იყო გამეფებული და რამაც დაგვლუპა. სახელდობრ: ხალხის და ერის ინტერესების გადატანა და დაყრდნობა

ყალბ, უსაფუძვლო პრინციპებზე, ხოლო უპირველესის უგულებელყოფა და მისი დაყენება უკანასკნელ ადგილზე. აი, ამ მხრივ შეგვიძლია გულმშვიდად ვიყოთ. დღევანდელ საქართველოს ღირსეული პატრიოტები ეზრდება და უპასუხისმგებლო ცრუმოდურები მას ვერ გაიყოლებენ უფსკრულში გადასაჩეხად. ამგვარი გამოჯანსაღების საბუთიც იყო საჭირო და იგიც მოგვცა ამ დემონსტრაციამ.

სხვა საგანიც არის ხაზგასასმელი: ეს მოქმედება ყველა ნიშნით წარმოადგენს მაგალითს გონიერ ანგარიშით მიღებულ გადაწყვეტილების აქტად ქცევისას. ნიშანდობლივია, რომ დემონსტრაციის მომწყობნი ერთი განსაზღვრული მოთხოვნის მიზნით შემოფარგლულან და თვითონვე მიუღიათ ზომები, რომ შეუძლებელის მოთხოვნით, შესაძლებელიც არ გაეშვათ ხელიდან. ზოგს მოუნდომებია, რომ გამსახურდიას და კოსტავას განთავისუფლების მომთხოვნი პლაკატებიც ეტარებინათ, მაგრამ, როგორც ამბობენ, თვით დემონსტრანტებმა დაუშალესო და ესეც სწორი ანგარიში იყო, რადგან ამგვარი დემონსტრაციის მოწყობის ფაქტი, რომელიც მართალია, ფორმალურად კონსტიტუციის ერთი უკვე არსებული მუხლის შენარჩუნებას მოითხოვდა და სხვა არაფერს, უკვე იმით იყო უმნიშვნელოვანესი, რომ იგი ჯერ არმომხდარ პრეცედენტს წარმოადგენდა – ხალხის, ანუ დემოკრატიის მიერ მთავრობისა და პარტიისაგან დამოუკიდებლად გამოთქმულ სურვილის ამკარად გამოვლენას. ხოლო, ეს მოქმედება რომ პატრიოტული გრძობის ხმას წარმოადგენდა და არაპირდაპირ გამსახურდიასა და კოსტავასაც ექომაგებოდა, ხომ არავისთვის საიდუმლო არ იყო. კიდევ მეტი: მათთვის გამოტანილი შედარებით ლმობიერი განაჩენი, იქნებ სწორედ ამ დემონსტრაციასთან იყოს კავშირში.

კიდევ სხვა რამის მაჩვენებელიც არის ეს მოვლენა: ჩვენში გაბატონებულ რეჟიმის ხასიათს თუ მხედველობაში მივიღებთ, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მომხდარი ამბის მომზადება პოლიციის თვალყურს გამოჰაროდა. მაშასადამე, საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას იგი შეუწყნარებია. ეს უბრალო რამ არ არის.

ჩვენი ისტორიისთვის უცნობი არ არის, რომ დღეს ჩვენში გავრცელებული ამორალური ქცევა – დამპყრობელისადმი მეტი ერთგულების გამოჩენით, პირადი დანიშნულების ძებნაში რომ გამოიხატება. ეტყობა ქართველ კომუნისტთა ახალ თაობაში საკმარისად მრავალრიცხოვანი და გავლენიანი წრე არსებობს, რომლისთვისაც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ნამდვილი ღირებულება აქვს. ეტყობა ბევრმა კომუნისტმა გაიგო, რომ პატრიოტიზმი მარტო სიტყვა არ არის, სუფრასთან წარმოსათქმელი და რომ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც დახევა არ შეიძლება, თუნდაც ასეთი საქციელი საშინელ რისკს წარმოადგენდეს. ამ დემონსტრაციამ არა მხოლოდ ქართველი ხალხის და ინტელიგენციის ეროვნულად განწყობის ხარისხს მოჰფინა შუქი, არამედ ხალხისა და ინტელიგენციის იმ ნაწილის განწყობილებაც გამოაშკარავა, რომელიც პარტიაში ირიცხება. ამასაც ვვარაუდობდით და ვიმედოვნებდით. ახლა შეგვიძლია ამ საკითხზე გარკვეული შეხედულება გვქონდეს

და ეს ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასე თუ ისე, დღე მოვა, როდესაც ქართველებს შეეძლება თავის თავს უპატრონო, იმაშიაც უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ამ დღისათვის ის ქართველებიც მზად იქნებიან, რომელნიც დღევანდელ ხელისუფლების საყრდენ კადრს წარმოადგენენ. ეს კადრი უმთავრესად პარტიულთაგან შედგება, ხოლო დღევანდელი წევრობა პარტიისა დიდად განსხვავდება გასაბჭოების პირველი წლების მდგომარეობისაგან. მაშინ ეს მოლაღატოება იყო, ახლა აუცილებელი პირობაა ქვეყნის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად (გავიხსენოთ: ქართველ მეფეებს მაჰმადიანობა რომ არ მიეღოთ, სპარსელებს დაგვიყენებდა შაჰი მეფეებად).

ქართული ინტელიგენციის კომუნისტური ნაწილის ეროვნულ საქმისათვის მზადყოფნის ნიშნებს ატარებს აპრილის აქტი და ეს უაღრესად იმედისმომცემია.

შეიძლება თუ არა რაიმე ითქვას ამ დემონსტრაციის მნიშვნელობაზე კავშირის მასშტაბით?

ქართველები თავიანთი თვისებების საერთო ჯამის შედეგად სუსტი პოლიტიკოსები არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს თვისებათა შორის ისეთიც არ მოგვეპოვება, რომლის არქონა დიდი დანაკლისია. საკითხს თუ ასე მივუდგებით, ჩვენს დიდ მეზობელს, რომელსაც ჩვენ დიდ მასწავლებლადაც მოაქვს თავი, შეეძლო ჩვენგან ისეთი რამ ესწავლა და შეეძინა, რაც მას ძლიერ აკლია. რუსებს შეეძლოთ ქართული მაგალითიდან დაენახათ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სავალდებულო და აუცილებელი არ არის, რომ ხალხმა თავისი მოთხოვნილება უსათუოდ „ბუნტისა“ და „პოგრომის“ სახით გამოთქვას და რომ, ხელისუფლებასაც არაფერი დაუშვადება, თუ ხალხის მოთხოვნას მათრახით, ტყვიით და დატუსაღებით არ გაუმასპინძლებდა.

ამ გაკვეთილის მიღება რომ რუსეთს შეეძლოს, რამდენს მოიგებდა რუსი ხალხი, რომელიც არა მარტო ჩვენ გვაუბედურებს, არამედ თავის თავსაც ისჯის და ყოველ ხალხისათვის, ვინც კი მას უშუალოდ გაეცნო, სიძულვილის საგნად გაიხადა თავი.

ტფილისის მნახველმა არაერთმა უცხოელმა უურნალისტმა აღნიშნა ქალაქის ქუჩის თავისებური, კავშირის სხვა ქალაქთაგან განსხვავებული იერი, რომელსაც მათ „ლათინური“ – უწოდეს. ერთი მათგანი ამის ახსნასაც კი შეეცადა და წერდა: ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ ოდესღაც აქ რომაელები იყვნენო. ცხადია, ამის მიზეზი უფრო ღრმა და უფრო რთულია, ვიდრე ორი ათასი წლის წინანდელი ორიოდ რომაული ლეგიონის კავკასიაში ყოფნა შეიძლება იყოს. ის მოვლენა, რომ ევროპელები ჩვენში რაღაც „ლათინურს“ ხედავენ, თავის საწყისებს კოლხეთსა და იბერიაში რომაელთა მოსვლაზე უფრო ადრეულ ხანიდან იღებს. „ლათინობა“ ხომ დღევანდელ ევროპისათვის, რომაელთა მიერ შექმნილი და რომაულ კანონთა ჩარჩოში ჩასმული ელინიზმის სხვათათვის გადაცემამა, რომელიც ჯერ ლეგიონებს მოჰქონდათ ვით იძულება, ხოლო როცა ლეგიონები გაქრნენ, რომაულად

გადახარშული ელინიზმი ხალხებმა, თვითოეულმა თავისებურად მიიღო და ადგილობრივი სახეობა მისცა.

ქართველები რომაელთაგან დამოუკიდებლად ეზიარნენ ელინიზმს. საქართველოს ელინიზირების მაჩვენებელი არქეოლოგიური მონაცემები რომაელთა მოსვლაზე უადრეს ხანას ეკუთვნის, მაგრამ ქართული კულტურა იმავე ფესვებიდანაა აღმოცენებული, საიდანაც აღმოცენდა ჯერ თვით ელინიზმი და შემდეგ რომაელთა მეშვეობით – ლათინური ცივილიზაცია. ამაზე აქ ვრცლად ვერ ვისაუბრებთ. მხოლოდ ისიც გავიხსენოთ, რომ ქართველები არა მხოლოდ ნაზიარები, არამედ ნანილობრივად შექმნაშიც მონაწილენი არიან ბიზანტიურ-ქრისტიანული კულტურისა და თუ ამას ქართული რასისა და ხმელთაშუა ზღვის ხალხთა რასის ნათესაობასაც დაეუმატებთ, სრულიად ბუნებრივია, რომ მოსკოველ მოქალაქეთა მოღუშულ სახეთა შემდეგ, ტფილისელების მხიარული თავაზიანობა და ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში ღმირისათვის დათმობილი დიდი ადგილი, გაკვირვებულ უცხოელთ ლათინურ ატმოსფეროს მოაგონებს.

სულ სხვაა რუსული კულტურის ძირები. სლავები აღმოსავლეთიდან დაძრულ ინდოგერმანულ ხალხთა უკანასკნელ ტალღას წარმოადგენენ და საკუთრივ რუსები ყველა სხვა სლავურ ტომთა ბოლოს მოსული ტომია. ათასეული წლები ჰყოფს პირველთა გამოჩენას უკანასკნელთა გამოჩენის ხანიდან. პირველ ინდოგერმანელთა მცირეაზიული, ელინური, რომაული და კელტური ცივილიზაციები რუსებს არც უნახავთ, არც რამე გაუგონიათ მათი. რუსებს ქრისტიანული ცივილიზაცია დახვდა და დასავლური კულტურისა და ტექნოლოგიის პირველი ნაყოფი მზამზარეულად მიიღეს – როგორც მათთვის სრულიად უცხო და მოულოდნელი რამ – მსგავსად იმისა, როგორც აფრიკის შავკანიანები ლებულობენ დღეს სწავლას პოლიტიკურ ეკონომიკისას თვითმფრინავებთან ერთად. ამას ზედ ერთვის ის, რომ რუსულ საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში, მონგოლურ-თურქულმა (თათრულმა) ელემენტებმა გადაამწყვეტი როლი ითამაშეს. აი, რა უფსკრული ჰყოფს რუსეთს დასავლურ კულტურისაგან.

ის ფაქტი, რომ რუსმა ერმა დიდი კულტურა შეიძინა, უმდიდრესი ლიტერატურა აქვს და მეცნიერულ-ტექნოლოგიურადაც ქვეყნად უპირველესთაგანია, მას მაინც უნარს არ აძლევს ცხოვრების დასავლეთურ ყაიდაზე მონყობისას. დასავლეთი რუსებისათვის სულიერად უცხოა. კიდევ მეტი, რუსეთს სძულს ევროპა და ყოველივე ევროპული, როგორც შავკანიანს – თეთრი, მდაბიოს – არისტოკრატია, მახინჯს – ლამაზი.

რუსებმა ყველაფერი გადმოიღეს ევროპიდან, მაგრამ მხოლოდ – გარეგნულად. ხოლო ევროპული გავგებები, როგორცაა: შემწყნარებლობა, მონაწილეობა, თანამშრომლობა, ზომიერება, ურთიერთგაგება და შიშის ნაცვლად – შეგნებული მორჩილება, მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი დარჩა.

ყოველივე ამისა გამო, ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩვენმა „ლათინურობამ“

ისინი მოხიბლოს. ამას თუნდ ისიც შეუშლის ხელს, რომ უპირატესობის (სუპერ-რიორიტე) კომპლექსით შეპყრობილი რუსები, ამავე დროს ფარულად, კნინობით კომპლექსსაც ატარებენ და როგორ „იკადრებენ“ მათ „ქვეშევრდომთაგან“ რამე ისწავლონ, მაგრამ სრულიად გამორიცხული არ უნდა იყოს შესაძლებლობა, რომ ნაძაბვის ფენომენმა თავი მაინც იჩინოს, განსაკუთრებით – არარუს რესპუბლიკებში და ტფილისის მაგალითი საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში გამეორდეს, ცხადია, ადგილობრივ პირობებთან შეგუებით და ადგილობრივ შეზღუდულ საჭიროებათა დაკმაყოფილების მოთხოვნით. უფრო მეტზე ოცნებაც ზედმეტია, მაგრამ ეს შესაძლებლად მიჩნეულიც თუ მოხდა, მაინც დიდი ცვლილებების დასაწყისის მაჩვენებელი იქნება.

ელიზბარ ჰანაძის მოგონებანი

ივრია 20. 1978

ქვემოთ გამოქვეყნებულ მოგონებას თავისი პატარა ისტორია აქვს, რომელიც საჭიროა მკითხველმა იცოდეს. აქ მოყვანილი ტექსტი ელიზბარს არ დაუნერია, არამედ ჩემ მიერ არის ჩანერილი მისი ნაამბობის მიხედვით. 1945 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, ელიზბარ ვაჩნაძე, მიტო სინჯიკაშვილი, ვინმე ქარდავა და მე, რადგან დაბომბვისა გამო მატარებლები არ მოძრაობდნენ, ზალცბურგიდან მოკლე გზით ფეხით გადავედით იტალიაში. უღელტეხილს რომ ვუახლოვდებოდით, თომა ბექაური შემოგვხვდა სანინალმდეგო მიმართულებით მომავალი. თომა რომ დაგვცილდა, ელიზბარს ვკითხე: ეს თითქმის უნიგრო კაცი როგორ ერკვევა ევროპის გეოგრაფიაში-მეთქი. სიცილით მიპასუხა: თომასაებრ ბუნების შვილები, ორიენტაციას უფრო სწორად იღებენ ალღოს საშუალებით, ვიდრე ჩვენ – რუკებით და კომპასითაო და თავისი თავგადასავალი მოიგონა. მაშინ ვუთხარი: ელიზბარ, ეს ამბები უნდა დანერო-მეთქი. რა დროს ეგებია, ვერა ხედავ, ქვეყანა იქცევაო.

იტალიურად – პასო დე კროჩეს, ე.ი. ჯვარის უღელტეხილის გადაღმა ხეობას ფრიდონ წულუკიძის ესესელები იცავდნენ. უახლოესი პოსტის უფროსი ნიკო ნაკაშიძე იყო, ჩვენც მასთან შეეჩერდით ლამის გასათევად. მე და ელიზბარი ერთ ოთახში მოხვდით. დაუინებით ვთხოვე, მიაშვე შენი თავგადასავალი-მეთქი. დიდი ხვეწნის შემდეგ ავლაპარაკე. (ერთი დიდი ძებვი შევაჭამე ერთი ბოთლი არყის დაყოლებით. ამანაც იმოქმედა).

თარიღებს, სოფლების სახელებს და დასახელებულ გვარებს უკლებლივ ვინერდი, დანარჩენს შეძლებისდაგვარად კონსპექტის სახით ვინიშნავდი. ელიზბარს ზოგი თარიღი და სოფლის სახელი თვითონაც ერთი პატარა ნიგნაკიდან ამოჰქონდა. ასე ვალაპარაკე რამდენიმე საათი. მაშალმა რომ იყივლა, ახლა თავი დამანებეო, კედლისკენ მიბრუნდა და დაიძინა. მე ჩემს კონსპექტს დაეუბრუნდი და გადავათეთრე. რიჟრაჟი ახლოვდებოდა, როცა მეც დავიძინე.

მეორე დღეს რის ვაი-ვაგლახით, ერთი საათის განმავლობაში დაჩქარებით მიამბო ამ ტექსტის ბოლო ნაწილი — დაახლოებით, მთელის მეოთხედი. შუადღისას ჩვენ ერთმანეთს დავმორდი. მე იმედი მქონდა, რომ ელიზბარს კიდევ შევხვდებოდი, დანარჩენსაც ვაამბობინებდი და მთელ მოთხრობასაც უფრო დეტალურად შევავსებდი. საუბედუროდ, ელიზბარი ისე გარდაიცვალა, რომ მას აღარსად შევხვდებოვარ.

ასეთ პირობებში ჩანერილი ნამბობი, ცხადია, უმთავრესად მოქმედების აღწერაში მთლად ზუსტად არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ თარიღები და სოფლებისა და პირთა სახელები ზუსტად არის გამოვლენილი. როგორი მოკლევ არ უნდა იყოს ეს თხრობა, ამ დოკუმენტის მთავარი ღირსება ის არის, რომ ყველაზე უკეთ ინფორმირებულ კაცის ნამბობია და თანაც ყოველგვარ გადაჭარბებას, ტენდენციურობას ან მოამბის მიერ თავისი თავის პირველ ადგილზე გამოჩენის ცდას სრულებით მოკლებულია. ვინც ელიზბარს იცნობდა, იმისათვის მოთხრობის ასეთი ხასიათი არც გასაკვირია.

ელიზბარის ნამბობი

მე და მიტო ხმალაძე ტფილისიდან ფეხით წავედით ქაქუცასთან შესაერთებლად. ვიარეთ ღამით და ას ოცი ვერსის გავლის შემდეგ სოფელ კოლაკს მივალწიეთ (სილნალის მაზრაშია). აქ გავიგეთ, რომ ქაქუცა თორმეტი კაცით უკვე ტყეში გასულა — თორმეტ მარტს, ოცდაორ ნელს. როცა სოფელ კოლაკს მივალწიეთ, თურმე იმ დღით ქაქუცა ათი კილომეტრის სიშორეზე იმყოფებოდა ჩვენგან და სწორედ იმ საღამოს წასულა თელავის მაზრისაკენ. მე და მიტომ გადაწყვიტეთ ქაქუცას კვალს გაეყოლოდით, მაგრამ გურჯაანში ორივე დავატუსალეს. ჩვენ გაქცევა მოვახერხეთ და ვაჩნაძიანში ჩავედით, სადაც კიდევ ერთი ოფიცერი შემოგვიერთდა და სამივენი თელავს ჩავედით. თელავში შევხვდით არჩილ ვაჩნაძეს, რომელიც ქაქუცას მიერ იყო გამოგზავნილი სხვა რაზმელების წამოსაყვანად. თელავიდან ოთხივე არჩილთან ერთად ალავერდის ეკლესიისაკენ გავეშურეთ, მაგრამ ქაქუცას აქაც ვერ ჩაუქსნარი — იგი პანკისის ხეობაში გადასულიყო. (სოფ. დუსში თიანეთის მაზრა). მეორე დღით შევხვდით ქაქუცას მიერ გამოგზავნილ ორ რაზმელს: მალაქია მაისურაძეს და მარგალიტაშვილს. მათთან იყო ქაქუცას „კავშირი“ ნიკლაური. დაღამებისას ყველანი გზას გავუდექით და ტყეში შესულებმა შუალამეს ქაქუცას სადგომს მივალწიეთ. ვიდრე უშუალოდ ქაქუცასთან მივიდოდით, ყარაულების ხაზი გავიარეთ, რომელიც იმ არემარეს იცავდა.

ამ ადგილიდან ქაქუცამ მთელი რაზმი დაძრა და ქაქუცას სოფლის — მატანის მახლობლად დავბინადით. აქ ხალხმა დაისვენა და ნახევარი დღე სოფელშიც კი გაატარეთ. აქედან ქაქუცამ ტფილისში გააგზავნა მანუჩარ ჯ. — განსაკუთრებული დავალებით მეთაურ ოფიცრებთან და ერ.დემ.პარტიის ხალხთან შესახვედრად.

ამ ადგილებში ყოფნის დროს გვაცნობეს, რომ სოფელ ახმეტვიდან ჩეკისტების რაზმი დაიძრაო თიანეთისაკენ. სამინელი ამინდი იყო. გაზაფხულის მოხებდავად, ტყეში

უცეცხლოდ ვერ ვძლებდით. ღამით ალექსი ფეიქრიშვილმა სანოვაგე ამოგვითანა. ისეთი ნიაღვარი მოვიდა, რომ გასანათებლად კვარების ანთება კი არა, წყალმა ხალხს ფეხსაცმელებიც კი მოსტაცა. ამ დროს შეგვატყობინეს, რომ თიანეთს წასული ჩეკისტები უკან ბრუნდებიან და ჩვენ მახლობლად უნდა გამოიარონ. ქაქუცამ გადანყვიტა მათი განადგურება. ჩეკისტებმა მართლაც გამოიარეს, მაგრამ გადარჩნენ, რადგან ჯგუფად არ გამოუვლიათ და თითო-ოროლა გამეღელში მათი გამოცნობა ვერ შევძელით.

ამის შემდგომ გავათავისუფლეთ ადრე დაჭერილი თხუთმეტი ოსი და ვინაიდან ისინი ყველაფერს უამბობდნენ მთავრობას – და ასეც მოხდა – რაზმი იმ ადგილიდან აიყარა და სოფელ ახმეტასთან, ტყეში მდგარ ეკლესიაში დაბინავდა. ამ ადგილიდან სანოვაგისათვის სოფელში გაგზავნილი კაცი არ დაბრუნდა (სოფელი სანოვაგეს უფასოდ და სრულიად ნებაყოფლობით გვანვდიდა ხოლმე). სანოვაგე ძლიერ შემოგვაკლდა, ხალხი დამშეული იყო. მოთმინებადაკარგულმა ორმა რაზმელმა სახიფათო საქმე ჩაიდინა: თავისი ნებით წავიდნენ სანოვაგისათვის, მაგრამ სოფლის მისავალთან ჩეკისტების ოთხმოცკაციან რაზმს წაანყდნენ და ტყვედ ჩაცვივდნენ.

ჩეკისტთა რაზმმა საყდრის მიდამოს ალყა შემოარტყა. დაუყოვნებლივ სროლაც დაიწყო. საბედნიეროდ, დათიკო ფარეულიძის ტყვიამ ჩეკისტთა მეთაური მოკლა, რამაც მათში არეუ-დარეუა შეიტანა. ჩვენ ეს მდგომარეობა გამოიყენეთ და ალყიდან გავედით ყოველგვარ ზარალის გარეშე. ახლა ტყვედჩავარდნილი ორი რაზმელის შეულას უნდა შევდგომოდით. მათი დახსნა გადაწყდა, მაგრამ ცნობა მოვიდა (არასწორი), ისინი თელავში წაიყვანესო. სინამდვილეში ერთი მათგანი დაუხვრეტიათ, მეორე კი – ქარუმა ქისტი – დაბრუნდა. მისი დაბრუნება საეჭვო ჩანდა. ადვილადაც გამოირკვა, რომ ჯაშუში ყოფილა, რისთვისაც დაუყოვნებლივ დაიხვრიტა.

ამის შემდეგ რაზმმა ისევ ადგილი შეიცვალა. ალავერდის ჭალაში დავბინავდით. სამი დღის შემდეგ შუამთაში გადავედით. მონასტერს იმ დროს მივალწიეთ, როცა ბერები ცისკარსა რეკდნენ. ბერებმა გულით და სიუხვით მიგვიღეს. აქ თელავიდან სანოვაგით მოვიდა ვახვახიშვილი. იქ ყოფნის დროს რაზმმა დაატუსაღა და დახვრიტა, მთელი გარემო მოსახლეობისათვის მავნე კომუნისტი, რომელიც თუმცა უბრალო ტყისმცველი იყო, მაგრამ თავისი ნუნკი ავკაცობით ხალხს დიდ ზარალს აყენებდა.

შუამთიდან რაზმი სოფელ შალაურის მიდამოებში გადავიდა – თელავთან. იქ, ვენახებში გვქონდა ბინა. „კავშირად“ ციხისთავი იყო. (ოცდასამ წელს მოკლეს შეტაკებისას). აქედან სოფელ შუკუზანის თავში გადავედით, სადაც სურსათს გვანვდიდა „დათა“. უფრო გვიან სოფელ კოდალოში გადავედით, სადაც ორი კვირა დავრჩით. აქ ადგილობრივ ხალხს ვამზადებდით და ვწვრთნიდით. იქმნებოდა სამეულები, რომელთაც თავის დროს ხალხი უნდა გამოეყვანა და ხელმძღვანელობა გაენია. აქ სურსათს გვანვდიდა ქაქუცას სიძე — ანდრონიკაშვილი.

ამ ადგილიდან კოლაქისა და ბაკურციხის მახლობლად ტყეში გადავედით. აქ გვიწახულა მამაჩემმა გიორგი ვაჩნაძემ.

რაზმი ადგილს ხშირად იცვლიდა. სოფლიდან სოფელში გადადიოდა იმ მიზნით, რომ ხალხი მოგვემზადებინა და მეთაურები შეგვერჩია. კარგა ხნის განმავლობაში ბოლშევიკებთან შეხლა არ მოგვსვლია.

ჩალაუბნის ტყეში ყოფნის დროს კავშირი გაიბა გარეკახეთთან. ვაშლოვანში ქაქუცამ მრავალი „კავშირი“ მიიღო სხვადასხვა სოფლებიდან და მათ დირექტივები მისცა. იმ ხანებში ვანანის ტყეში ყოფნისას, რაზმს ძლიერ შემოაკლდა სანოვაგე (მართალია, მოსახლეობა უფასოდ და უყოყმანოდ გვაძლევდა საზრდოს, მაგრამ მისი მონოდება ყოველთვის როდი იყო ადვილი). ქაქუცა ხუთი კაცის თანხლებით მაჩხაანს იყო წასული. დარჩენილები კი ოთხი დღის განმავლობაში ბალახითა და მკუხე ტყემლით იკვებებოდნენ. მხოლოდ მეოთხე დღეს ამოვიდა ნაცელიშვილი და ამოიტანა პური, ყველი და ბატკანი. როცა ქაქუცა დაბრუნდა, თქვა: ქიზიყს ძლიერ ავიწროებს ხელისუფლებამ, რეპრესიული ზომები უნდა მივიღოთო. აქ შემოგვიერთდა ლადო ოზანელი.

რაზმი ყარაღაჯში (კალოების თავი) გადავიდა თამარის ციხესთან, ნითელწყაროს მახლობლად. გზადმავლები სოფლის ორ მილიციელს წაეანყდით. იარაღი აყვარეთ და გაუშვიეთ. ცხადია, მათ ყოველივე მთავრობას უამბეს და რაზმის წინააღმდეგ ოცდათხუთმეტი კაცისაგან შემდგარი ჩეკისტების ჯგუფი წამოვიდა. ამ დროს ჩვენთან იმყოფებოდნენ ტფილისიდან ჩამოსული შალიკო ფავლენიშვილი და შალვა ამირეჯიბი. ფავლენიშვილი ქაქუცას თანაშემწედ იყო დანიშნული. ამირეჯიბმა ტფილისიდან ჩამოიტანა ცნობები და თათბირის შემდეგ გადაწყდა – ფავლენიშვილი ტფილისში უნდა დაბრუნებულიყო. მასთან ერთად რაზმიდან არჩილ ვაჩნაძეც წავიდა. იგი ტფილისიდან დაბრუნებულ ფავლენიშვილსა და სხვა მოყვანილ ხალხს მელაანში უნდა დახვედროდა. მათი წასვლის შემდგომ, მესამე დღეს, ჩეკისტები თავს დაესხნენ ჩვენ მიერ უკვე მიტოვებულ საქონლის ბინას და სამიწლად ცემეს ბინის პატრონი არსენა, რადგან მას ჩვენთვის სურსათის მონოდებას აბრალებდნენ.

ყოველივე ეს შორიდან დაინახეს მზვერავებმა. ქაქუცამ დააპირა მათთვის გზის შეკვრა და განადგურება, მაგრამ ისინი უკან დაბრუნებისა ნაცელად, წინ წავიდნენ. ქაქუცამ სხვა ხერხი იხმარა. რაზმელები მალულად დაადვენა, ნაწილმა კი მათ გაუსწრო. დილისათვის გზა შეკრული იყო. ეს ხდებოდა ოცდაორი წლის ორ მაისს. ჩასაფრების ცენტრში თვით ქაქუცა იყო შეიდი კაცით, თავში — სამი ოუნკერი (ჯამასაპიშვილი და ორი სხვა). ბოლოში მე ვიყავი, აგრეთვე შეიდი კაცით. მხოლოდ შუადღეს ჩამოიარეს ჩეკისტებმა. პირველი თოფი ქაქუცას უნდა გაესროლა. ასე დაიწყო ეს პირველი შეტაკება მტერთან. სრული გამარჯვება გვხვდა ნილად. მე კი უვნებლად გადავრჩი, მაგრამ გვერდით დამიჭრეს ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ვანო ვაჩნაძე. არცერთი რაზმელი არ მოკლულა. მტრისა ჩვიდმეტი კაცი დაიხოცა, თერთმეტი ტყვედ ჩავარდა. ერთი დაჭრილი მით გადარჩა, რომ ცხენმა გაიტაცა. ტყვეთაგან ოთხი ჩეკისტი დავხვრიტეთ, დანარჩენნი – მილიციელები – გაუშვიეთ. მალაქია მაისურაძეს ექვსი თოფი ეკიდა – გამოგვადგებო. დაჭრილი ვაჩნაძე წყაროსკენ წავიყვანე, იქვე ტყეში უნდა დავბანაკებულიყავით. გზაში რაზმს დაუკარგავს მალაქია მაისურაძე და ჯამასაპიშვი-

ლი. თურმე მალაქიას მაუზური გავარდნია და ჯამასპიშვილი ფეხში დაჭრილა. მალაქიას დაჭრილი ამხანაგი სოფელში ჩაუყვანია და მხოლოდ მეოთხე დღეს მოგვავანო რის ვაი-ვაგლახითა. დაჭრილი ვაჩნაძე სოფელში გავავაზენე სამკურნალოდ.

დაჭრილის ნამყვანებმა დაბრუნებისას ამბავი ჩამოიტანეს: მთელი ტყე რუსთა ცხენოსან პოლკის მიერ არი გარშემორტყმული. ამგვარად, მონყვეტის გამო, კვლავ შიმშილში ჩაეცვივდით. როგორც იყო კავშირმა სიკამ მოახერხა და პური მოგვითანა. ტყიდან საჩქაროდ გასვლა იყო საჭირო. სალამოთი ალაზნის მიმართულებით დავიძარით – გაკრული ხაზის ფრთხილად და შეუმჩნეველად გადალახვა მოხერხდა და სოფელ ჯუგაანის მახლობლად ვენახში დავბანაკდით. აქ კი კავშირებმა ადვილად შეძლეს სურსათით ჩვენი მომარაგება. რუსები სულ ახლოს იყვნენ, მაგრამ მათ ჩვენ ტყეში ვეგულებოდით. ღამით მარხაანის მიმართულებით წავედით, სადაც ფავლენიშვილი უნდა მოსულიყო – ტფილისიდან დაბრუნებული. ვიდრე სოფელში მივიდოდით, გათენდა და იძულებულნი გავხდით პატარა ტყისათვის შეგვეფარებინა თავი. იმავე ღამეს ვამლოვანში გადავედით, ხოლო იქიდან ჩალაუბნის ტყეს შევეხიზნეთ.

ეს ამბავი როცა ხდებოდა, დაჭრილ ვაჩნაძეს ადგილსამყოფელი გამოუცვლია და სხვა სოფელში ნათესავთან გადასულა, სადაც ნამლის ყიდვის დროს შეუმჩნევიათ, დაუტუსალებიათ და უნამებიათ. დაჭრილ ახალგაზრდას ყველაფერი უთქვამს – რაც კი იცოდა. ამგვარად ჩეკას გაუგია არა მარტო რამდენიმე კავშირის ვინაობა, არამედ – ფავლენიშვილისა და არჩილ ვაჩნაძის მომავალი შეხვედრის ადგილი და პირობებიც.

ჩეკამ ფავლენიშვილისა და ვაჩნაძის შესახვედრად ოცდაათი – რაზმელების ყაიდაზე ჩაცმული კაცი გაგზავნა. მათ შეთქმული სიგნალიც იცოდნენ ნანამები ახალგაზრდისაგან. არჩილი ცხენით მიდიოდა ფავლენიშვილის შესახვედრად და ჩეკისტებს წააწყდა. მას ეგონა, ფავლენიშვილის კაცებიაო. იგი დაატუსაღეს და სიღნაღში წაიყვანეს. პოლიციას ისიც სცოდნია, რომ ქაქუცა ჩალაუბნის ტყეში ელოდებოდა ფავლენიშვილს. ჩვენ დავინახეთ, როგორ არტყამდა ჯარი ტყეს ალყას. ქაქუცამ მალლობისაკენ დაგვიბია. მან უმჯობესად ჩათვალა მტრისათვის არ გვესროლა – ამას სოფლების აოხრება მოჰყვებაო. უმჯობესია, მტერს თვალთაგან გავეცალოთო. ამ დროს მოვიდა კავშირი სიკა და ამბავი მოიტანა – არჩილ ვაჩნაძე და კოტე ჩოლოყაშვილი დაიჭირესო. ტუსალები შევლას ითხოვდნენ, ვიდრე მათ ტფილისში გადაგზავნიდნენ. გადანყდა, რომ ისინი დაგვეხსნა. ამისათვის საჩქაროდ სოფელ კოლაკისაკენ გავნიეთ, რომ მატარებელს დაეხვედროდით, მაგრამ მეთვალყურე კავშირმა ცნობა დროზე ვერ მოიტანა და არჩილ და ვანო ვაჩნაძეები, კოტე ანდრონიკაშვილი და რამდენიმე ქიზიყელი კავშირი ტფილისში წაიყვანეს და იქ დახვრიტეს.

ფავლენიშვილი დანიშნულ დღეს ვერ წამოსულა და გადარჩა. რაზმი ერთი კვირის განმავლობაში კოპალოს ტყეში დარჩა და ჩვეულებრივად ხალხს ვრაზმავდით და ვამზადებდით. შემდეგ ტყე-ტყე სიარულით მუკუზანის თავში გადავედით. აქ სურსათის მოსატანად თვითონ რაზმელები წავიდნენ და ჩამოიტანეს. აქ ყოფნის დროს ქაქუცა

შეხვედა თავის მეუღლეს, რომელიც საგანგებოდ იყო ჩამოსული, რა თქმა უნდა, მალულად. იმ ხანებშივე მთელი შემადგენლობით ვესტუმრეთ დათას (ვაჩნაძეს) და კარგა მაგრა ვიქეიფეთ. მეორე დღით ვაჩნაძის ბოლოში გადავედით, იქიდან კი — ნინანდლის ტყეში — სადაც დიდი შიმშილი გადავიტანეთ. აქ ჩამოვიდა ფავლენიშვილი დიდი ბარგით და საჭირო საგნებით დატვირთული, პარტიის კომიტეტისაგან.

ამავე ხანებში ტფილისში ცუდი საქმე მოხდა. დათა ვაჩნაძე და ანდრონიკაშვილი ქაქუცას მიერ ტფილისში გაიგზავნენ. იქ მათ შუუერთდა ალ.სუმბათაშვილი. მათ პარტიის კომიტეტისაგან მიიღეს ერთი ვაგონი საქონელი, რომელიც — პურზე გადაცვლის საბაბით — ნინანდალში უნდა ჩამოსულიყო. სამწუხაროდ, ორმა მათგანმა სიმთვრალეში წამორომა, რომ ქაქუცას რაზმელები იყვნენ და საქონლის დანიშნულებაც. სადგურზე სამივე დაუჭვრიათ და რამდენიმე ხნის შემდეგ დახვრიტეს.

ნინანდლის ტყეში დგომის დროს ცნობა მოგვივიდა, რომ ორი მკვლე, თავიდან მოსაშორებელი კომუნისტი უნდა მოსულიყო ციხეზე (თელავის თავში მესაქონლეობის ადგილია). ქაქუცამ მათი დაჭერა კაპიტან მიხ.ნაცვლიშვილს დაავალა — თან ორი რაზმელი მისცა. კომუნისტები, მართლაც, მოვიდნენ დანიშნულ ადგილზე და უვნებლად უკანვე დაბრუნდნენ. ნაცვლიშვილმა დავალემა ვერ შეასრულა. მათ მოძრაობას ქაქუცა თვითონ ხედავდა შორიდან, მაგრამ გვიანლა იყო. ხელცარიელად დაბრუნებულმა ნაცვლიშვილმა დიდი წყრომა მიიღო ბელადისაგან.

ჩვენ კვლავ ადგილი შევიცვალეთ. ახალი ბინიდან ლელო ჩიქოვანი თელავში გაიგზავნა ფეხსაცმელებისა და სხვა საჭირო საგნების საყიდლად. ორი დღე გავიდა, მაგრამ არ დაბრუნდა. ამ ხანებში გავიგეთ, რომ სოფელები ძლიერ უკმაყოფილონი ყოფილან იმ ორი კომუნისტის გადარჩენისა გამო — ცოცხლები როგორ გაუშვითო და თვითონვე გადაუწყვეტიათ მათთვის მახისა დავება.

შემოთვალეს: ნინანდალში წარმოდგენას გაემართათ, კომუნისტები დაესწრებიან და ერთად შეკრებილები დაატუსაღეთო, ქაქუცამ საქმის ასრულება ფავლენიშვილს დაავალა. თერთმეტი კაცი მისცა: მე, მიტო ხმალაძე, ბაკურაძე, ბადურა, სტეპკო ჩითინაშვილი, ლადო ოზანელი, ვასო თამაზაშვილი, მიხ.ნაცვლიშვილი, სერგო მაისურაძე და კიდევ ორი... გზაში ძლიერ ცუდი ამინდი დაგვიდგა — სავსებით დავსველდით. თანაც მე და მაისურაძემ დანარჩენები დავკარგეთ. ბოლოს მაინც ვიპოვეთ ერთმანეთი.

პირველ დღეს ვერაფერი მოხერხდა, რადგან კომუნისტები ხალხში იყვნენ არეული გაფანტულად. მეორე დღეს წარმოდგენა უნდა მოწყობილიყო, რის შემდეგაც ვახშაში გაიმართებოდა, რომელზედაც კომუნისტებიც იქნებოდნენ. ასეც მოხდა. ვახშმის დროს, დარბაზის სამივე კარის შეკერის შემდეგ, დავატუსაღეთ რვა კომუნისტი. რვავე ტყეში იქნენ წაყვანილი და დახვრეტილი. მხოლოდ მათში არ იყო ყველაზედ უფრო მკვნი — გვარად ურგება. იგი ვახშამს არ დასწრებია. მისი სახლიდან გამოტყუება მოხერხდა, მაგრამ ნასროლმა ტყვიამ მჩატე ჭრილობა მიაყენა ხელში და ამგვარად სასჯელს გადაურჩა.

იმ ხანებშივე გვენერა ქაქუცას ძმა სიკო, რომელმაც ძროხა და ყველი მოგვიტანა. აქედან რაზმი წინანდლის თავზე – ეკლესია თეთრანში გადავიდა და ერთი კვირა დავრჩით. იქ სანოვავე ამოიტანა ბადურას მამამ. სამოცი წლის მოხუცმა ცხენდაცხენ მთები გადმოიარა ჩვენთან მოსასვლელად – უფრო გვიან იგი დახვრიტეს.

წინანდლის მიდამოებიდან ცივ-გომბორზე გადავედით. იქ მეცხვარეები იმყოფებოდნენ და კარგი კვება გვქონდა. ერთი კვირის შემდეგ ცნობა მოვიდა – მდევარი მოდისო. რაზმის ადგილი და შემადგენლობაც იცინავო. უნდა დავძრულიყავით. ასეც მოვიქეციტ და მოშორებით ახალ ადგილას დავებანაკდით. აქედან ბელადმა სამი კაცი გაგზავნა პურის ამოსატანად და უბრძანა – იმავე საღამოს დაბრუნებულიყვნენ, რადგან იქ არა ვრჩებოდით. დაღამდა, მაგრამ არ დაბრუნებულან. რაზმი დასაძინებლად მილაგდა. ათ საათზე ქაქუცამ გაიღვიძა და განკარგულება მომცა: ხალხი გააღვიძე აქედან უნდა გადავინაცვლოთო. ვთხოვე – ხალხი დაღლილია, ამალამ რა მოგვივა, განთიადზე წავიდეთ-მეთქი. განთიადამდე არა, მაგრამ თორმეტ საათამდე დავრჩით, რაკი ასე მთხოვო. ნახევარი საათილა იყო გასული, რომ – ახლა კატეგორიულად მიბრძანა – დაუყოვნებლივ აპყარე ხალხიო. ასეც მოვიქეციტ და ორიოდე კილომეტრის დაშორებით დავებანაკდით. დილით რაზმელებმა ცეცხლი აანთეს და სოკოს წვას შევუდექით. მეთვალყურედ მდგომ სიკო ჩოლოყაშვილს თოფის ხმა შემოესმა. დასათვალიერებლად და ამბის გასაგებად გაგზავნეს მაისურაძე (სერგო) და სულხანიშვილი. მათ მოიტანეს ამბავი ორი რაზმელის სიკვდილის და ერთის დატუსაღებისა.

თურმე რა მომხდარა: პურისათვის გაგზავნილი სამი კაცი ღამით უკან ბრუნდებოდა. გზის გაუვლელობისა და ბურუსისა გამო – მხოლოდ დილით მიულწევით მიტოვებულ ადგილამდე. ეს ადგილი მტერს უკვე შეკრული ჰქონია და სამ კაცს ჩასაფრებულ ხალხთან მოუხდა ბრძოლა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილან. ხმალაძეს ჩაბარებისათვის სიკვდილი უმჯობინებია და თავი მოუკლავს. ყოფილ მილიციელ ბაკურაძეს იარაღი დაუყრია და ჩაბარებულა, მაგრამ მაინც მოუკლავთ. გადარჩა მხოლოდ ლადო ოზანელი – მით, რომ ხრამში გადახტა. ბედზე არაფერი მოიტეხა და ორი კვირის შემდეგ ისევ შემოგვიერთდა. ყოველივე ეს ოზანელმა გვიამბო – ცხადია.

შუშუს (სულხანიშვილი) მოტანილი ამბავი მდგომარეობას არ არკვევდა. ქაქუცამ მიბრძანა, წადი მიდამო დახვერე, ალყაში ხომ არა ვართ, ოთხი კაციც წაიყვანეო. მალეობზე რომ ავედით, ნისლი გადავიდა და დავინახე, რომ ჩვენგან მიტოვებული ადგილი ორასიოდე ცხენოსნით და ოთხმოცამდე ფეხოსნით იყო გარშემორტყმული. ტყვიამფრქვევებიც ჰქონდათ.

ბელადმა წინა ღამით ადგილის დატოვება – ნახული სიზმრისა გამო გადანყვიტა. ესიზმრა, რომ ლეჩაქიანი ქალი თავს დაადგა, მხარზედ ხელი დაჰკრა და უთხრა: საჩქაროდ აქედან წადიო. ხოლო როცა მან ჩემი თხოვნის შედეგად, ადგილიდან აყრა გადასდო და კვლავ დაიძინა, იგივე ქალი ისევ მოველინა და უფრო დაბეჯითებით უბრძანა, საჩქაროდ გაეცალე აქაურობასაო. ამჯერად კი ქაქუცამ ქალს დაუჯერა და იქიდან აგყვარა.

ამ ადგილებში შეტაკება არ მომხდარა, რაში მიდამოს გამოჩნდა და ხევსურულ სოფელ პანტიანში გადავიდა. აქედან ქაქუცამ ნება დაერთო ხმალაძისა და ბაკურაძის ცხედრების დასასაფლაველად წავსულიყავ. ორი რაზმელი წაიყვანე: ბაღური და კანდელაკი, ამას მეტსახელად შულმანს ვეძახდით, რადგან ხალხს ადვილად ხერვტდა – განა სიავით ჩადიოდა ამას. შეგნებით შერებოდა – ისეთი ჯავრი ჰქონდა მტრისა. თორემ ძალიან საყვარელი ახალგაზრდა იყო.

ჩვენთან ერთდროსვე სერგო და მალაქია მაისურაძეებიც წავიდნენ რაზმიდან – სოფელ მერში სურსათისათვის. გზაში ბაღური ავად გახდა და უკან დაბრუნდა. მე და შალიკომ გზა განვაგრძეთ. დიდის გაჭირვებით მივაგენით ადგილს, მაგრამ მთავრობას ცხედრები უკვე გადაეტანა თელავში.

იქიდან დაბრუნებულები გზაში მეცხვარეებმა მოგვამარაგეს სურსათით. ამ დროს შეგვხვდა ტფილისიდან ჩამოსული სამან ყანჩაველი და ამგვარად სანოვაგით დატვირთულნი, სამივე რაზმში დაებრუნდით. მაისურაძეებიც მშვიდობით მოვიდნენ უკან.

ამ ადგილებშიც შევედქით გლეხების დარაზმვას და მომზადებას. აქედან მთელი რაზმი სოფელ აშრომანში გადავიდა. (ციე-გომბორის გაგრძელებაა). იქა ცხოვრობდა რაზმის საუკეთესო აგენტი მიტო ნიკლაური, რომელიც ქაქუცას დაუფასებელ სამსახურს უწევდა. აქედან ფავლენიშვილი და ერთი ხევსური ტფილისში წავიდნენ – პარტიულ კომიტეტთან მოსალაპარაკებელ საქმეებზე. ისინი ორი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ სვიმონ ყიფიანთან ერთად. ყიფიანი ერ.დემ.პარტიის მიერ იყო ქაქუცასთან მივლინებული.

ნიკლაურმა გვაცნობა, რომ რუსთა ორი ესკადრონი მთაზე ამოვიდა და აქვე მახლობლად დაბანაკდნენო. გადანყდა მათი განიარაღება. თვე იყო ივლისი, ოცდაორი წლისა. იმ ხანებში რაზმში ოცდახუთმეტ კაცამდე ითვლებოდა. პირველი ათეული მე მეზარა. მეორე – ნაცვლიშვილს. მესამე – შტაბთან იყო. ქაქუცას პირველი თანამშემნე ფავლენიშვილი იყო. მეორე – ილარიონ იაშვილი. შტაბშივე იყვნენ ყიფიანი და თამაზაშვილი.

რუსების განიარაღება მე დამავალეს. ამისათვის ცხრა კაცი – ამთში ქაქუცას ძმაც იყო, პანტიანში უნდა წავსულიყავ და იქაური ხევსურები წამომეყვანა მშველელად. სოფელში ცხრა ხევსური შეგვემატა და ცხრაშეტი კაცი მთაცოვზე წავედით რუსების განსაიარაღებლად. ოპერაცია ღამით ხდებოდა. მთაზე ჯარის ბანაკს შუემჩნეულად მიუახლოვდით, ჯარისკაცები კარებში იწვნენ. გუმაგმა სამი მიპარული კაცის მიახლოება შეამჩნია და კარავში შევარდა. როცა ყვირილით, „დაგვენბდით, ალყაში ხართო“, გუმაგის განიარაღება ხდებოდა, გუმაგს თოფი გაუფარდა. ამის გამგონე უკან მყოფმა ხევსურებმა სროლა ატყენეს და კინალამ არ დახოცეს თანამებრძოლები. ბედად საქმე მაინც კარგად დასრულდა, რადგან რუსები დაფრთხნენ და საცვლებისამარაგარბოდნენ, საითაც კი შეეძლოთ. დატოვეს: იარაღი, ტანისამოსი, სურსათი და ცხენები. ყველაფერს ჩვენ დავეპატრონეთ და ხევსურეთში გადავავაზენეთ. ცოტათი უფრო გვიან – დღის ორ საათზე – შეტაკება მოვიხიხდა ოცდაათკაციან რუსის რაზმთან.

ისინიც გავაქციეთ და ნადავლი ცხენები მთაში შევრეკეთ. იმ დღით ქაქუცას ვერ შევუერთდით, რადგან მეორე შეტაკებამ გზა შეგვაცვლევინა და თანაც იმ არეულობაში ხუთი კაცი აგვცდა და უნდა დაგვეცადა, ვიდრე ერთმანეთს ვიპოვნოდით.

ეს მოხდა ოცდარვა აგვისტოს, ოცდაორ ნელს. მეორე დღეს, როცა რაზმს ისევ შევუერთდით, დუშეთის მაზრისაკენ გავსწიეთ. აქ შემოგვიერთდა გვერდნითელი ცამეტი კაცი. შტაბმა გადაწყვიტა დუშეთის მაზრის განმენდა კომუნისტებისაგან. ამისათვის გზების შეკვრას შევუდექით. ამავე დროს ყოველ სოფელში ვადგენდით სამეულებს, რომელთაც საჭირო დროს, ხალხი უნდა გამოეყვანათ. ყოველივე ეს, აჯანყებისათვის მზადების წინასწარი ზომები იყო. (ბაზა ახატანის თავი იყო). ამ ადგილიდან ტინის ტყეში გადავედით. აქაც გზები შევკარით და ხელთ ჩაგვივარდა მილიციის უფროსი მილიციელებიანად, მაგრამ გაუშვიეთ. მხოლოდ მანვე კომუნისტი ჭურღულია, რომელსაც ვეძებდით და ვერსად შევხვდით, გადავივრჩა.

ამ ხნის განმავლობაში მთავრობამ ძალები შეკრიბა და მდევარი დაგვადევნა. ამიტომ ისევ ახატანის თავში გადავედით. ამ მოძრაობის დროს ხელში ჩაგვივარდა გუპეუს წარმომადგენელი – დიდ უფლებამინიჭებული კომუნისტი (ხერეტის განაჩენი გამოპქონდა) – იგი ადგილზევე დაიხვრიტა. მისი მხლებელი ჯარისკაცი კი გაუშვიეთ. იმავე მიდამოში დატუსაღებულ იქნა მოხუცი არაკომუნისტი კომისარი და შემდეგ გაათავისუფლეთ.

ეს ადგილებიც დავტოვეთ და ხევსურეთის მიმართულება ავიღეთ. ყინვალის ახლოს დღისით გავიარეთ და კომისარს მალლა უცნობებია: ქაქუცამ გაიარა სამოცი კაცითაო. რაზმი ყინვალის მახლობლად დაბანაკდა. მეორე დღეს ხალხმა დაისვენა – საბანაოდ, სათევზაოდ, ხილის საძებრად გაიფანტნენ. ქაქუცა რესტორანში სადილობდა. ყარაულმა სროლა ატეხა – ქაქუცას ალყას არტყამენო. ალყა არ იყო, მაგრამ იყო სამი ცხენოსანი, რომელთა შორის ჭურღულიაც ყოფილა, მაგრამ კომუნისტები ჩამოქვეითდნენ და სადღაც გაქრნენ. ასე რომ, ჭურღულია მესამედ გადარჩა. დიდხანს არ გაუვლია და ტყვიამფრქვევის კაკანიც მოისმა, მაგრამ არავინ ჩანდა. ქაქუცამ დაზვერვა მე დამაჯალა. მთაზე ავედი და დავინახე, რომ საკმაოდ დიდი ძალები (შემდეგ გავიგეთ – ორას სამოცი ფეხოსანი და ცხენოსანი იყო გეგუჭკორის მეთაურობით), სააღყოფ იღებოდნენ. რაზმი აიყარა და ფშავეში გადავედით – სოფელ მალაროსკარში. მტერთან შეტაკება არ მომხდარა.

სოფელში არაგვი ჩამოდის. არის ერთი სკოლა, ქვის გალავანშემოვლებული და იმ ეზოში, შენობის უკან – ერთი პატარა სამლოცველო. მეორე დღეს რაზმელები სათევზაოდ და ხილის საკრეფად დაიშალნენ, ხოლო როცა სადილისათვის კვლავ შეიკრიბნენ, მტერი სოფელს უახლოვდებოდა. მტრის ძალებმა, სწორედ სკოლის გალავანს უკან ამოფარებულბმა, დაიკავეს პოზიცია. დაიწყო ძლიერი სროლა. ერთი მხრით სამას ოცი კაცი, ხოლო ჩვენი მხრიდან – სამოცი. ბელადმა თავისი ძალები სასწრაფოდ გაანანილა. ხუთი კაცი გალავანში გადაძვრა და მის უკან ამოფარებულ მტერს ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა. რაზმის უმრავლესობა კი მტრის პირისპირ განლაგ-

და. მე და სერგო (მაისურაძე) მტრის ზურგში მოსავლელად წავედით. (მცირე ხევიდან ბილიკები ამოდიოდა) და გზაში თორმეტ ჩეკისტს წავეწყდით. მათ ერთი სომეხი კომისარი მეთაურობდა. მას თურმე ნათქვამი ჰქონია: ვიდრე ტფილისიდან წამოვიდოდა, ქაქუცას თავს ჩამოვიტანო. ქაქუცასი კი არა, თავისიც ვერ ჩაიტანა. მისი რაზმიც დავმარცხეთ და თვითონაც მოკვდა. ამის შემდეგ მტერს ზურგიდან სროლა ავეუტყებთ. ვისროდით იმდენად ჩქარ-ჩქარა, რამდენადაც კი შეგვეძლო. თითოეულმა ორასამდე ტყვია გაისროლა. ეს ბრძოლა საერთოდ – თითქმის რვა საათამდე გაგრძელდა. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა. დაეხოცათ ასამდე კაცი, დანარჩენებმა თავს უშველეს. ტყვედ ჩავიგდეთ თხუთმეტი ჩეკისტი, რომელნიც უკლებლოვ დაიხვრიტინენ. ჩვენი მხრივ დაიჭრა ორი მებრძოლი.

ამ ბრძოლის დროს ქაქუცა ტიფით იყო დაავადებული და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბრძოლას დანებებიდან ბოლომდე თვითონ უხელმძღვანელა.

ამ ბრძოლის შემდეგ ხევსურეთისაკენ დავიძარით. თეთრისა და შავ არაგეთა შესართავთან ერთი მთა არის, რომელსაც სახელად ორწყალი ეწოდება. ეს ადგილი ხევსურეთში შესასვლელი კარია და ვერც ერთი ხევსურეთში მიმავალი მგზავრი ამ გასასვლელს ვერ ასცდება. ვიდრე ჩვენ ხევსურეთისაკენ დავიძრებოდით, ცნობა მივიღეთ, რომ თიანეთის მხრიდან ოთხმოცი კაცისაგან შემდგარი რაზმი წამოსულა ჩვენი მიმართულებით. თუ მტერი ორწყალს ჩვენზე ადრე დაიჭერდა, ძნელ მდგომარეობაში ჩავცვივდებოდით. ამიტომ ბელადმა მიბრძანა, ხუთი კაცი წამეყვანა, მტრისათვის მიმესწრო და ორწყალი დამეჭირა. ეს დავალება შევასრულეთ და ოთხმოცკაციანი მტრის რაზმი ტყვედ ჩავარდა. ამის წყალობით ჩვენები უვნებლად შევიდნენ ხევსურეთში, სადაც ქაქუცა დიდის ზეიმით მიიღეს. შუადღის შემდეგ მეც მათ შეუუერთდი. რაზმი სოფელ ბარისახოში დაბინავდა.

იმ ხანებში, ფავლენიშვილი და ლოსაბერიძე გუდამაყარში გაიგზავნენ. ისინი იქიდან დუშეთში უნდა გადასულიყვნენ და როცა აჯანყება დაიწყებოდა, დუშეთში დაგროვებულ ძალების მეშვეობით, ხევსურეთისაკენ შემტევ მტრის ჯარისათვის ზურგში უნდა დაერტყათ.

ავადმყოფი ქაქუცა ხევისბერის სახლში იწვა და იქიდან ხელმძღვანელობდა მომავალ ოპერაციების სამზადისს.

აქ წყდება ელიზბარის ნაამბობი.

ნოე ცინცაძე

ივრია, 20.1978

ნეკროლოგი

ოცდაცხრა სექტემბერს ლევილის სასაფლაოზე დაიკრძალა ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაცვლილი ნოე ცინცაძე. განსვენებული, განათლებით ფიზიკოს-მათემატიკოსი იყო. დამოუკიდებლობის ხანაში მას განათლების მინისტრის თანაშემწის თანამდებობა ჰქონდა. ახალგაზრდა სემინარისტობის დროიდან სოციალისტურ მოძრაობაში ჩაბმულმა, მან თავის თანამოაზრეთა მსგავსი ცხოვრება განვლო.

ემიგრაციაში ნოე ცინცაძე 1922 წლის დასაწყისში მოხვდა – გერმანიაში გადასახლებულ სამოცაკაციან ჯგუფთან ერთად. რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში იგი განცალკევებით იდგა მთავრობის წრეების პოლიტიკურ მუშაობისაგან. ნოე ცინცაძე უფრო წერეთლის ჯგუფთან იყო დაკავშირებული. ემიგრაციის საკუთრივ ქართულ პოლიტიკურ საქმიანობაში მისი აქტიური ჩარევა ეგრედწოდებულ „პარიზის ბლოკის“ დაარსებიდან იწყება. იგი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა „რადიო თავისუფლების“ საქმიანობაში და ამ დროიდანვე იწყება მისი როლის გაზრდაც ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში – რაც განსაკუთრებით ე.გაგეჭკორის გარდაცვალების შემდეგ გახდა მნიშვნელოვანი.

ნოე ცინცაძე ფრიად თავისებური პიროვნება იყო. იგი ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებაში მისი თაობის პიროვნებათაგანაც ძლიერ განსხვავდებოდა. ნოე ცინცაძე სოც. დემ. წრეებში მემარცხენედ ითვლებოდა. ეს დალი მას იქნებ იმიტომ აჩნდა, რომ ის ჭაბუკობის ხანაში მიხა ცხაკაიას ადეპტი ყოფილა და თუმცა შემდგომ მონაფე მასწავლებელს არ გაჰყოლია, მაგრამ ერთხელ მიღებულ რწმენას თავი ვერასდროს დააღწია მთლიანად. იქნებ ნაწილობრივად მაინც, აქედანვე მომდინარეობდეს ის მიდრეკილება თითქოს „კოსმოპოლიტიზმისადმი“ რომელიც მას ახასიათებდა. იგი თითქო „ვერ“ ეტეოდა ქართულ ჩარჩოში რომელიც მას

„ვინროდ“ ეჩვენებოდა და უცხოელთა შორის ეძიებდა მისი „ინტელექტუალობის“ პარტნიორებს, რომელთაც რუსებსა და რუს ებრაელთა შორის პოულობდა. მას მიაჩნდა, რომ ამ წრეში მისი იდეები უფრო შესაფერ ჩარჩოში იშლებოდა და მათთვის ღირსეულ დაფასებას იმსახურებდა.

ძლიერი პერსონალობის მქონი, გამორჩეულად კულტურული ჩვენს სოც. დემოკრატებს შორის ნოე ცინცაძე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, აშკარად გულით დაუახლოვდა მისი სამშობლო ქვეყნის ტკივილებს, მაგრამ ეს „ახლად შობა“ ოთხმოც წელს გადაცილებულ კაცში დაიწყო.

მისი სახით ჩვენ გაგეშორდა, საქართველოს მოკლევნიან დამოუკიდებლობის ხანაში პასუხისმგებელ პოსტის მქონე პოლიტიკურ მოღვაწეთა უკანასკნელი ნარმომადგენელი.

ნოე ცინცაძემ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში თავისი ქვეყნისათვის იღვანა – ისე როგორც ეს მას ესმოდა. ღმერთმა შენდობა მისცეს. ჩვენც კეთილად მოვიხსენებდეთ.

სპირიდონ კედია

იერია, 22.1979

ბიოგრაფიული ცნობები და ნაკვთები მოლვანისა და კაცის პორტრეტისათვის

ამ წერილში მოტანილი ცნობები საგრძნობ ნაწილად ემყარება ქალბატონ სოფიო კედია ჩიჯავაძის ასულის გამოუქვეყნებელ მემუარებს, რომელთა სარგებლობის უფლების დართვისათვის უღრმეს მადლობას გამოთქვამს რედაქცია.

სპირიდონ კედია დაიბადა ქალაქ ზუგდიდში 1884 წელს ოც სექტემბერს. მისი მშობლები იყვნენ: მალხაზ კედია და თეო ქუთათელაძის ასული დედით დგებუაძე. ოჯახი მდიდარი არ იყო, მაგრამ ჰქონდათ კარგა მოზრდილი კარ-მიდამო იქვე წისქვილით და ეზოს გარეთ სახნავ-სათესი მიწები. ყოველივე ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ გაუჭირვებლად ეცხოვრათ. ადგილობრივ ეს ოჯახი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

მალხაზი ადრე გარდაიცვალა. დარჩა მისი მეუღლე ორი მცირეწლოვანი ბავშვით – სპირიდონი და მისი და. ახლად დაქვრივებულ ქალს ბევრი საზრუნავი გაუჩნდა. მიწების გამო დავა და საჩივრები არ დაკლებია, მაგრამ ჭკვიანმა, ენერგიულმა და გამჭრიახმა ქალმა ყველაფერი ვაჟუაცურად აიტანა. თეოს, როგორც გარეგნობით ასევე ხასიათით მოსაწონ ქალს, ბევრი მთხოვნელი აღმოუჩნდა, მაგრამ მან მეორედ გათხოვება არ ინდომა და ყველა მსურველს უარით ისტუმრებდა – მან თავისი სიცოცხლის მიზნად შვილების აღზრდაზე ზრუნვა გაიჩინა.

მამის სამეგრელოში მთავრის ხელისუფლება სულ ცოტა ხნის წინათ იყო გაუქმებული – ს.კედიას მშობლების თაობა ჯერ კიდევ დადიანების ქვეშევრდომებად იყო დაბადებული. რუსეთის ხელისუფლებას ფეხი მაგრად არ ჰქონდა მოკიდებული. ასე რომ მამინდელი მეგრელები, რომელთა შორის მეგრული სამთავროს ტრადიცია კიდევ ძლიერი და ცოცხალი იყო, ასევე ტრადიციით ერთგულნი იყვნენ ისტორიულ საქართველოსი. ეს ერთგულება ისტორიულ საქართველოსადმი იმანაც შეინახა, რომ დადიანები თავს შვეინროვებულად გრძნობდნენ საქართველოს დაშლის შედეგად

ნარმოშობილ იმერეთის სამეფოს მიერ, რომელიც სამეგრელოს უმუშალო მეზობელი იყო და ამისა გამო, მეგრელთა ორიენტაცია ქართლში მჯდომ მთლიან საქართველოს მეფისაკენ იყო გადახრილი, რადგან ისინი ფიქრობდნენ, და არც უსაფუძვლოდ, მთლიანი საქართველოს მეფის ხელქვეით მყოფ სამთავროს უფრო ნაკლებად ექნებოდა ხელები შებოჭილი.

ამ ატმოსფეროში, შეგნებული და თავისი ქვეყნის მოყვარული ქალი თავის შვილებს ღმრთისმორწმუნებასა და მაღალ მორალთან ერთად, სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ეს ქართველი დედა რუსთ ბატონობას ვერ ურიგდებოდა და ამ საკითხზე ხშირად საუბრობდა ხოლმე თავის შვილებთან.

სამეგრელოში იმ ხანებში რუსის ჯარები იყო ყველგან ჩაყენებული. პატარა სპირიდონს, მის ოჯახში გამეფებულ განწყობილების გავლენით, თავში ჩადებული ჰქონდა ამ ჯარების მიმართ სიძულვილის გამოხატვის სურვილი. მას მოუნდომებია რამე ისეთი მოემოქმედა, რაც მის საყვარელ დედას გაახარებდა. ერთ მშვენიერ დღეს, ხეზე ამძვრალა და როდესაც რუსმა ცხენოსნებმა მის ახლოს გაიარეს, მაღლიდან გადმოუძახნია: პაშოლ ვონ (გაეთერია). რუსები შეჩერებულან. ერთი მათგანი ჩამოქვეითებულა და იმ ხისაკენ წასულა, რომელზედაც სპირიდონი იყო ამძვრალი. გულგახეთქილი ბავშვი ხიდან ჩამომხტარა და სახლისაკენ გაქცეულა. რუსი მას მიჰყოლია და როცა სადაც ბავშვი შევიდა თან შეჰყვია, დაუნახავს, რომ შეშინებული სპირიდონი დედის კალთაში იყო შეფარებული. რუსს სპირიდონის დედისთვის უთქვამს: ამგვარი რამ არ გამეორდეს თორემ პასუხს თქვენ გაგებიებთ და ცუდი დღე დაგადგებათო.

რეა წლის სპირიდონი დედამ ზუგდიდის რუსულ სკოლაში შეიყვანა – მაშინ ზუგდიდში ქართული სკოლა არ არსებობდა. ეს სკოლა ხუთწლიანი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. მზრუნველმა დედამ თავისი ვაჟი ცნობილი პატრიოტის ოსებ ოცხელის ოჯახში დააბინავა. აქ, ოცხელის ოჯახში ცხოვრება, შემდეგი საფეხურის პატრიოტული სკოლა იყო გულისყურის მქონე ბავშვისათვის და მის გულში უკვე დანერგულ სამშობლოს სიყვარულს კიდევ ახალი უფრო ძლიერი ყლორტები დაემყნა. გიმნაზიაში სპირიდონმა ყურადღება მიიქცია – განსაკუთრებით ლიტერატურულ თემების დამუშავებისას და მასწავლებელთა ქებაც დაიმსახურა.

იმდროინდელი მონაფეოზა გიმნაზიის გარეც მუშაობდა სხვადასხვა წრეებში. ეს წრეები ხშირად პოლიტიკური იყო და არალეგალურიც. ამგვარი მუშაობა განსაკუთრებით ცხრაას წლებიდან განვითარდა – დიდი მოდა იყო. ეს მუშაობა უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ შემთხვევითი ლექტორები მსმენელთა გათვითცნობიერების მიზნით, კითხულობდნენ პატარა მოხსენებებს ყოველ ნარმოსადგენ თუ ნარმოუდგენელ თემაზე. აქ შეიძლებოდა მოგესმინათ საუბარი ქალთა ემანსიპაციაზე, ღმერთის არსებობა არ არსებობაზე, ევროპის სინდიკალიზმზე, სულზე და მატერიაზე, ქორწინების პრობლემაზე, ნაროდნიკების მოღვაწეობაზე, მარქსის თეორიაზე და სხვა – მოკლედ ყველაფერი გარდა საქართველოს შესახებთა საკითხებისა. ლექტორთა ცოდ-

ნის კონტროლის გამწევი არავინ იყო. ხშირად, ამ საკითხებისა თვით ლექტორებმა არა იცოდნენ რა. მოდამი იყო ციტატების მოყვანა და ისმოდა სახელები: კანტი, ნიცშე, მარქსი, ჰეგელი. ამგვარ ვარჯიშობას სარგებლობის ნაცვლად მსმენელთათვის ვნება მოჰქონდა, რადგან არაფერი ისე მავნე არ არის – როგორცა ვინმეს ჰგონია, რომ ცოდნა შეიძინა – და არაფერი შეუძენია. მაგრამ ყველასთვის როდი იყო უსარგებლო ამგვარი დროსკარგვა. ეს კრებები დამსწრეთ ერთმანეთთან აახლოვებდა, იქმნებოდა ერთგვარი ასოციაცია ერთსადიმივე საქმეში ჩაბმული პირებისა, რომელთაც ილუზია ასაზრდოებდა რომ კაცობრიობის საქმეში მუშაობდნენ „ცხოვრების გარდასაქმნელად“. და იმ წრისა და მეთაურობისათვის, ვინც ამ ხალხს თავში ჩაუდგებოდა, ეს ცრუ გათვითცნობიერებულები ფასდაუდებელ იარაღს წარმოადგენდნენ საზოგადოების განუვითარებელ ფართო წრეების ორგანიზებისათვის. ცნობილია თუ რომელი ხალხი ჩაუდგა მათ სათავეში და ისიც ცნობილია – ამან რა შედეგი მოიტანა.

ერთ-ერთ ასეთ წრის კრებაზე ს.კედის განუცხადებია: ქართველი ახალგაზრდები ისეთ მუშაობაში მხოლოდ იმდენად უნდა ჩაებნენ – რამდენადაც ასეთი მუშაობა ქართველი ხალხისათვის იქნება სასარგებლო. ამ განცხადების შედეგად კრებაზე ისეთი ყვირილი და აურხაური ატეხილა, რომ სპირიდონი იძულებული გამხდარა კრება მიეტოვებინა. მივდიოდი თავჩალუნული – მოგვითხრობს ქ-ნი სოფიო კედია მეუღლის ნაამბობს – რომ უკანიდან მომესმა „სპირიდონ მეც შენთანა ვარო“. ეს იყო კოლია მიქელაძე. ეს პირველი მიმდევარი სპირიდონ კედიას ბოლომდე მის მიმდევრად დარჩა და ემსხვერპლა კიდევაც ქვეყნისათვის სამსახურს ოცდაოთხ წელს, როგორც ეროვნულ-დემოკრატი.

ს.კედია ისე როგორც მაშინდელი ყველა პატრიოტი ახალგაზრდა, ფედერალისტებთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ერთადერთი მიმართულება, რომელიც მაშინ საქართველოს ავტონომიას მოითხოვდა. ამ პარტიის საიდუმლო მოქმედების მონაწილე იყო ს.კედია. ამგვარად რუსეთ-იაპონიის ომის დროს დეკანოზიშვილის მიერ გამოგზავნილ იარაღის მიღების უშუალო ორგანიზატორი ს.კედია იყო. მან რამდენიმე ღამე გაათია ზღვის ნაპირას შეთქმულ ადგილზე, იარაღი მიიღო და საიმედო ადგილამდე მიიტანა.

ცხრაასხუთი წლის რევოლუციის წინამორბედი მოძრაობა ნელ-ნელა სკოლის კედლებსაც არღვევდა და შიგ ჩჭრებოდა. ხელისუფლება საეჭვო ელემენტების წინააღმდეგ ზომებს იღებდა.

იმ ხანებში, ერთ დღეს, კლასში მოცემული იყო თემა „რუსეთის მოხელეების დახასიათება“ – ალბათ გრიბოედოვისა და გოგოლის მიხედვით. ს.კედიას ეს თემა დიდი გულმოდგინებით დაუშუშავებია და გადაუჭარბებია კიდევ, რადგან მინასთან გაუსწორებია თვით რუსული რეჟიმი. მასწავლებელი ამ თემის კლასში გარჩევას მორიდებია და საეჭვო ღიმილით უთქვამს მონაფე კედიასათვის: შენ დირექტორი გიბარებს და ნიშანსაც ის დაგინერსო. დირექტორი თურმე ძლიერ გაჯავრებული დახვედრია – სულ ფეხებს უბრაზუნებდა იატაკზე. როგორ გაჰბედე შენ ასეთი რამის

დანერა, იცოდე დღეიდან რუსეთის უნივერსიტეტის კარები შენთვის დახშული იქნებაო. არც ვაპირობ რუსულ უნივერსიტეტში შესვლასო, უპასუხია მონაფეს – სრულიად მშვიდად.

საგანგებოდ შემდგარ პედაგოგიურ საბჭოს ამ მონაფის თავიდან მოშორება გადაუნყვეტია, მაგრამ იმჟამად მაინც ერიდებოდნენ ასეთი უკიდურესი ზომის მიღებას. განაჩენს ელოდებოდნენ ოლქის მზრუნველისაგან, რომელიც ამ დროს იყო ზავადსკი და ამ მოლოდინში სპირიდონი დაატუსაღეს – იქვე სკოლაში ჩაუკეტიათ ერთ ოთახში. მონაფეთა მღელვარება უკვე დაწყებული იყო, როდესაც ზავადსკი ქუთაისს ეწვია. როცა იგი კლასიკურ გიმნაზიაში მოვიდა, მონაფე კედლას ნახვა მოისურვა. ზავადსკის სპირიდონთან ძალიან ტკბილად დაუნყია ლაპარაკი – მკლავში მკლავი გაუყრია და ასე მოსაუბრენი დასეირნობდნენ თურმე ტალანში. ზავადსკი სპირიდონს დაჰპირებია სტიპენდიას დაგინიშნავთო და თან მოუთხოვნია, რომ მონაფეებზე გავლენა მოეხდინა და დაენყნარებია. სპირიდონის პასუხი ყოფილა: მღელვარება ქურჩაშია გამოსული და სკოლებშიც იქიდან შემოდის, დააკმაყოფილეთ ხალხის მოთხოვნა და სკოლაც დაწყნარდებაო.

იმ ხანებში ტფილისელი ახალგაზრდობა მიტინგის მონყობას აპირობდა. ამასთან დაკავშირებით გვაცნობებსო მოგვითხრობს ქ-ნი კედია, რომ ქუთათური მონაფეობაც ჩვენთან კავშირის გასაბმელათ თავის დელეგატს გამოგზავნისო. ეს დელეგატი სპირიდონ კედია იყო. შეკრება ვერაზე იყო დანიშნული – სწორედ იქ სადაც ახლა ქართული უნივერსიტეტის შენობა დგას. ამ შენობას მაშინ, კიდევ საბურავი არ ჰქონდა. მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა შეიყარა, რუსებიც იყვნენ. ქალებიც მოსულან მაგრამ შემინებულნი უკან გაბრუნებულან. ამის შემდეგ ჩვენმა მოსვლამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ჩვენ სამნი ვიყავით ტასო როსტომაშვილი – შემდეგში ახმეტელის მეუღლე, მეორე მგონი შატბერიშვილი და მე. სპირიდონმა ლაპარაკი დაიწყო. ამ დროს დაიძახეს ყაზახები მოდიანო. მართლაც რაზმი თავს წამოგვადგა. ყველანი გავიფანტენით და თავი შევაფარეთ შენობის კედლებს. სპირიდონი არ განძრეულა და დამშვიდებული კილოთი არწმუნებდა რაზმის უფროსს – ჩვენ აკადემიური კრება გვაქვს და გთხოვთ ხელს ნუ გვიშლითო. მაგრან რუსებმა არ დაუჯერეს, ყველას თავი მოგვიყარეს და წყნეთის ქუჩით ქალაქისაკენ გაგვრეკეს. გზაში შემოგვიერთდა მონიფულ უფროსთა დემონსტრაცია და ქაშვეთს რომ მივალნიეთ, გაიმართა მიტინგი. მაგრამ მალე კაზახების მათრახების ტრიალმა გვაიძულა დავშლილიყავით.

სპირიდონის ბავშვობის ხანიდან აღდგენილი ეს რამდენიმე სურათი, გვიჩვენებს, რომ სპირიდონი ბავშვობიდანვე ეროვნულ იდეის მატარებელი იყო და მთელი მისი მოქმედება მომავალში მის მიერ ბავშვობაშივე აღებულ გეზით მიმდინარეობდა – ნერს ქ-ნი კედია.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია მთელ საქართველოს მოედო – განსაკუთრებით გურიასა და სამეგრელოს. დამსჯელი რაზმები სასტიკად მოქმედებდნენ. ს.კედიას ძებნაში მის სახლ-კარს კინალამ ცეცხლი წაუკიდეს. საწყალი მისი დედა ამ დროს

სხვისას იყო შეხიზნული. ს.კედიას აღარსად ედგომებოდა და გადანყვიტა სვანეთში გადასულიყო. ისა და რამდენიმე მისი მეგობარი სვანეთში გადავიდნენ და გელოვანის ოჯახში იპოვნეს თავშესაფარი. მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაჩერდნენ, რადგან მასპინძლისათვის საშობი და შეუძლებელი იყო მათი დიდი ხნით შენახვა. ამგვარად ეს ახალგაზრდა რევოლუციონერები სვანეთის თოვლიან ხეობებში ქვეითკენ წამოვიდნენ. – გაყინულ ბილიკებით. გზაში ს.კედია კინალამ დაიღუპა. მას ფეხები დამძრალი ჰქონდა, კარგად ვერ დადიოდა ერთ ადგილას ფეხი დაუსხლტა და ნაპარალში ჩავარდა, საიდანაც გულნასული ამოიყვანეს მისმა თანამგზავრებმა. ბოლოს როგორც იყო მიაღწიეს ქუთაისს, სადაც ს.კედია კარგახანს ჯოხს ხმარობდა სიარულის დროს. მაგრამ მას დიდხანს არც აქ ედგომებოდა და გადანყვიტა უცხოეთს გახიზნულიყო. ამგვარად ერთ დღეს იგი ცხენიდან ჩამოუსვლელად თავის დედას მხოლოდ ხელის ნიშნებით გამოეთხოვა. ზღვაზე მას პატარა იალქნინი ნავი ელოდებოდა. ასეთ სახიფათო მოგზაურობაში მას მრავალი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ პარიზამდე მაინც მიაღწია. ეს იყო 1906 წელს.

საფრანგეთში ყოფნის პირველი წელიწადი ს.კედიამ ენის შესწავლას მოანდომა. ამავე დროს კოლეჯ დე ფრანსის ლექციებს ისმენდა. ბოლოს სორბონაში ჩაირიცხა ბუნებისმეტყველების დარგზე. უკანასკნელ წლებში კი სამხრეთ საფრანგეთში განაგრძო სწავლა, რადგან მას მტკივნეულად აკლდა მისი ქვეყნის მზე და ჰავა და სამხრეთული ჰავა მისთვის მკურნალის როლს ასრულებდა. სამი სერთიფიკატის მიღების შემდეგ მან მიიღო დიპლომი: „ლისანს ეს სიანს“. ამის შემდეგ მან დოქტორატისათვის დაიწყო მუშაობა, მაგრამ მსოფლიო ომიც ატყდა, რაც საქართველოს დიდ ცვლილებებს უქადდა და მან საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი საფრანგეთიდან სხვისი პასპორტით გაემგზავრა – გვარად დემეტრაშვილი იყო. ჯიბეში ედო თავისი პროფესორის სარეკომენდაციო წერილი საფრანგეთის ელჩისადმი. პეტერბურგში ჩასვლის მეორე დღეს იგი დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს – არა როგორც დემეტრაშვილი, არამედ როგორც სპირიდონ კედია. ორ თვეზე მეტი იჯდა იგი ციხეში, მაგრამ ვერ გამოტყუეს, რომ სპირიდონ კედია იყო და არა დემეტრაშვილი. პეტერბურგის ქართველობამ ამ საქმეში ცნობილი გენერალი ნაკაშიძე ჩარია და გაათავისუფლეს. ამგვარად ს.კედია საქართველოში ჩავიდა 1914 წელს და რევოლუციამდე ნახევრად არალეგალურად ცხოვრობდა. ადგილობრივი პოლიცია მაშინ ძლიერ დასუსტებული იყო და თვალსა ხუჭავდა. ს.კედია მაინც ხშირად იცვლიდა ხოლმე ბინას.

ახალგაზრდობაში სოციალისტურ აზრის მქონე ს.კედია ახლა ახალი იდეებით ბრუნდებოდა ევროპიდან. იგი უკვე ის გულუბრყვილო ახალგაზრდა აღარ იყო, ქუთაისში „განმანათლებელ“ წრის კრება რომ დატოვა გულამღვრეულმა. ახლა იგი საკუთარი თვალთს უცქერდა ქვეყანას და თუ ქუთაისში მას უკვე კრიტიკული თვალი აღმოაჩნდა, ცხადია ახლა ევროპიდან დაბრუნებული, სადაც მან მარტო დიპლომი როდი შეიძინა, ის ვერ დაკმაყოფილებოდა მაშინდელ ქართულ ინტელიგენციაში გამეფებულ დაბნეულობით. არც სოციალისტობა ესახებოდა მას ქვეყნის ჭირთაგან

განმკურნავ მალამოდ. ევროპაში გატარებულმა წლებმა ს.კედის მსოფმხედველობა გაამდიდრა, განამტკიცა და მყარ ფორმაში ჩამოაყალიბა. მან ევროპაში თვალნათლივ დაინახა, თუ სინამდვილეში რა ადგილი და მნიშვნელობა ჰქონდა ევროპელის ცხოვრებაში სოციალიზმს. მან ნახა, რომ ეს მოძღვრება არც მცირენლოვან არც სრულნლოვან მოსწავლეთათვის არ იყო გათვითცნობიერების საგნად გამოყენებული. მან ნახა, რომ საფრანგეთის არც მოსწავლე ახალგაზრდობას არც გლეხებს და არც მუშებს არ აინტერესებდა ის საკითხები, რომელთაც იგი და მისი კოლეგები, განმანათლებელ წრეებში ისწავლიდნენ. მან გაიგო, რომ ძლიერსა და განათლებულ საფრანგეთში, რომელიც ეროვნულ ჩავვრას არ განიცდიდა, პატრიოტობას ახალგაზრდობის აღზრდაში პირველი ადგილი ეკავა. ყოველივე ამან მას თვალები აუხილა და მისთვის აშკარა გახდა იმ გზის მცდარობა, რომელსაც მის სამშობლოში მისდევდნენ. მას ჩვენთვის უამბნია, თუ როგორ თვალში ეცა მას ის მოვლენა, რომ ევროპაში „სოციალიზმი“ სინდიკალიზმთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, სოციალურ პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში იყო გამოყენებული და რომ ევროპელი სოციალისტები რეჟიმის დასაწვრთვად სრულიად არ იბრძოდნენ. საქართველოში კი წარმოებაში ჩაბმული მუშები მოსახლეობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენდნენ და ასეთ პირობებში რატომ უნდა დახარჯულიყო ჩვენი პატარა ქვეყნის მინისმოქმედთა ენერჯია რუსეთის რეჟიმის შესაცვლელად ბრძოლაში – მის უმეტეს, რომ ამ საქმეში ჩვენი ქვეყანა ვერავითარ როლს ვერ ითამაშებდა.

გარდა ამისა ევროპაში ს.კედის ისიც შეუმჩნევია, რომ რესპუბლიკურ რეჟიმის მქონე სახელმწიფოები რუსებზე უკეთ როდი ეპყრობოდნენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნების შვილებს. ფრანგულ უნივერსიტეტებში სანთლით საძებარი იყო კოლონიებიდან ჩამოსული სტუდენტი და სადმე ერთი-ორი თუ მოიპოვებოდა, უთუოდ რომელიმე პრინცი ან მდიდარი ბობოლას შვილი იყო. მაშასადამე არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ მხოლოდ რეჟიმის შეცვლა საქართველოს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას მოუტანდა.

ყველა ამისა გამო ს.კედამ გადაწყვიტა, რომ სხვაგვარად ემოქმედა, სხვა გზა გამოენახა. და ეს გზა ბოლოსდაბოლოს ილიას გზაზე დადგომა აღმოჩნდა. მაგრამ ვისთან კავშირში?

პირველი მისი ნაბიჯი ის იყო, რომ მან გიორგი ლასხიშვილს მიმართა. საქმე შეეხებოდა ფედერალისტების მიერ სოციალისტურ ტვირთის საგრძნობლად შემსუბუქებას და მის ნაცვლად მეტი ნაციონალიზმის ტვირთად აღებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ახალი ნაციონალისტური განეთის გამოშვება. დიდი ცდისა და ჯაფის მიუხედავად ს.კედამ გიორგი ლასხიშვილი ამ წინადადებაზე ვერ დაიყოლია. ეს ცდა მაშინ საქართველოში არსებულ მდგომარეობისათვის ანგარიშის განევით იყო ნაკარნახევი. საქართველოს პოლიტიკური ასპარეზი მარქსისტებს ჰქონდათ თითქმის მთლიანად დაკავებული და ის მცირედი ეროვნულად განწყობილი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც გადაურჩა მარქსისტულ დემაგოგიით

მონამღვას უკვე ფედერალისტთა პარტიაში იყო დიდნილად თავმოყრილი. ასე რომ ახალ ეროვნულ პარტიის რიგების შესადგენად, თითქოს თეორიულად მაინც, ხალხის პოვნაც კი გაძნელებულად ჩანდა. ამასთანავე არანორმალური იყო, რომ საქართველოში ორი სოციალისტური პარტია არსებოდა. ს.კედიას როგორც ყოფილ ფედერალისტს იმედი ჰქონდა, რომ ფედერალისტთა პარტია უმრავლესად პატრიოტული, მის შეხედულებას გაიზიარებდა. მაგრამ პიროვნულმა მოტივმა, ჯიუტობამ, მცდარად გამოვლენილმა თავმოყვარეობამ და სხვა მიზეზებმა ხელი შეუშალა ამ ფრიად სასარგებლო და გონივრულ წამოწყების განხორციელებას. და ეს ძლიერ სავალალო იყო, რადგან ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებლად დაარსების ნაცვლად, როგორც ეს მოხდა, ფედერალისტთან კავშირში რომ დაარსებულყო, და ისიც ორიოდ ნლით უფრო ადრე, ვინ იცის ძალთა განწყობა როგორ შეიცვლებოდა და ვინ იცის, ამას რა გავლენა შეიძლება მოეხდინა საქართველოს ბედის გადანყევტაზე.

შეუძლებელი არ არის, რომ ქართველ ნაციონალისტთა და ფედერალისტთა გაერთიანების შედეგად 1915 წელს დაარსებულ ქართულ ეროვნულ პარტიას ისეთი გავლენა მოეპოვებია, რომ ჩვენი ბრმა მარქსისტებისათვის დაეშალა მათ მიერ 90იან წლებიდან დაწყებული დაღმა ფარცხვა ილიას აღმახნულისა. ან ყოველ შემთხვევაში ამგვარი გაერთიანება ქართველებზე იმდენ გავლენას მაინც მოახდენდა, რომ ქართველი ერი ასე მინდობით ყელზე ბანარგამობული ფეხებში არ ჩაუვარდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ფედერალისტებთან სასურველ ერთობის შეუძლებლობის გამოაშკარაებებიდან იწყება ს.კედიას მიერ გადაჭრით ახალი გეზის აღება. იგი ბაქოში მიდის. იქაური შეძლებული ქართველობა მის აზრებს იზიარებს და მისადმი ნდობის გამოცხადებასთან ერთად გაზეთის გამოსაცემ თანხებსაც უწყომანოდ აძლევს. ტფილისში დაბრუნებული ს.კედია კონტაქტში შედის ჯგუფთან, რომელიც გაზეთ „კლდესა“ ცემდა (ვაჩნაძე, ამირეჯიბი, გაბაშვილი და სხვანი) მოიმხრობს მათ და საერთო ძალით უშვებენ გაზეთ „საქართველოს“. მაგრამ ს.კედია ამით არ კმაყოფილდება. იგი იწყებს მოგზაურობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში და ყველგან აარსებს პოლიტიკურ ორგანიზაციებს.

ეს მოგზაურობა იყო ერთსადაიმავე დროს ახალი პარტიისათვის პროპაგანდა და თავისი თავის ხალხისათვის გაცნობა. და ეს მეორე მოტივი ფრიად მნიშვნელოვანი იყო. ფართო მასა არათუ ახლად ჩამოსულ ს.კედიას არ იცნობდა, არამედ მასისათვის თითქმის უცნობნი იყვნენ უკვე სამწერლო ასპარეზზე გამოსული ის ნაციონალისტი მოღვაწენიც, რომელნიც ტფილისსა და ქუთაისში ეროვნულ მიმართულების გაზეთებს უშვებდნენ. ეს გაზეთები ვინრო ჯგუფების სახელით გამოდიოდა. მათი ტირაჟი ძლიერ სუსტი იყო და მხოლოდ ქალაქში მცხოვრებ ინტელიგენტთა მცირე ნაწილი კითხულობდა. იმეიათი ნიჭის ორატორმა და მგზნებარე პატრიოტმა ხალხის გულში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში მაშინვე გამომხაურება ჰპოვა, რადგან არა

მხოლოდ ორატორის ნიჭი იყო მომხიბლავი, არამედ ის რასაც იგი ამბობდა და რისკენაც ქართველებს მოუწოდებდა შეგნებულ ქართველთა გულსა და გონებას ისე ხედებოდა, ვით სანატრელი წვიმა – დაგოლვილ მიწას.

ამგვარად ასე გვიან დანიყო საძირკველის ჩაყრა იმ საქმისა, რომელიც ილიას სიცოცხლეშივე უნდა დაწყებულიყო. დიდი ხარვეზი იყო ამოსავსები.

როგორც ვიცით, „სამოციანელთა“ თაობას თავის დროს მემკვიდრე არ გაუჩნდა, რადგან მესამე დასელებმა, რომელთაც ნორმალურად, თუნდაც ახალი თავისებური მიდგომით, მაგრამ მაინც ილიას საქმე უნდა განეგრძოთ, არათუ უცხო იდეოლოგია გაიხადეს თავიანთ რწმენად, არამედ რაკი მათ იდეოლოგიას ჩვენს ქვეყანაში სამოქმედო ობიექტი არ გააჩნდა – რადგან არც ბურჟუაზია გვეყვდა და არც პროლეტარიატი, ახალ დარაზმულობას ის ეროვნული პოზიციები დაუსახეს, ასაგებად კი არა დასანგრევად, რომელიც „სამოციანელებს“ ეკავათ და რომლის საშუალებითაც ამ ჩვენი ქვეყნის აღორძინების მუშაკებმა უმაგალითო თავდადების წყალობით, საქართველო ეროვნულ სიკვდილს გადაარჩინეს.

ჩვენი არც პოლიტიკურად არც ეკონომიკურად „სარევოლუციო“ არაფერი იყო. ქარხნებიც და მეფის მთავრობაც რუსეთში იმყოფებოდა. მაგრამ საქართველოში იყო რაღაც, რომელიც ქართული მთავრობის ზოგიერთ ფუნქციას ასრულებდა. ეს იყო „სამოციანელთა“ კულტურულ-ერვნული დაწესებულებები და მათი ბიუჯეტის წყარო-ბანკი. და აი ამ „მთავრობას“ დაესხნენ თავს მესამე დასელები და იგი დაუსახეს ხალხს მტრებად ქვეყნისა.

ს.კედიას მიერ წამოწყებულ საქმის შედეგი იყო საერთო კონფერენცია ერ.დემ. პარტიისა რომელზედაც იგი ერთხმად არჩეულ იქნა თავმჯდომარედ. ასეთივე ყრილობა შედგა მეორედაც – ამჯერად მის დაუსწრებლად, რადგან იგი უცხოეთს იმყოფებოდა, და მაშინაც ს.კედია ხელახლავ თავმჯდომარედ იყო არჩეული.

ს.კედიას ევროპაში გამგზავრება იმან გამოიწვია, რომ გერმანელებმა რომლებთანაც მოლაპარაკებაში იმყოფებოდნენ უცხოეთში არსებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრები, მოითხოვეს, რათა ჩამოსულიყო ქვეყნის მიერ ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი. ასეთი კაცის ნასაყვანად გამოემგზავრენ წყალქვეშა ნავით მ.ნერეთელი და მ.ქარცივაძე: მაგრამ მათ საქართველოში მოსვლა არ დასჭირდათ, რადგან ისინი სევასტოპოლში შეხედნენ ს.კედიას, რომელიც ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარის – ა.ჩხენკელის მანდატით მიემგზავრებოდა – სოფიაზე გავლით – ბერლინში, ქართული კომიტეტისათვის საჭირო ავტორიტეტის მოსაპოვებლად და საქართველოს სახელით მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

საქართველოს თავისუფლების კომიტეტთან და განსაკუთრებით მის წამდვილ სულისჩამდგმელ გიორგი მაჩაბელთან ს.კედიას ძლიერ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა. მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება ს.კედიამ რევოლუციის პირველ თვეებშივე დააპირა. ამისათვის იგი პეტერბურგს გაემგზავრა – რომ იქიდან შეეცნაში გადასულიყო, მაგრამ ს.კედია პეტერბურგში სწორედ იმ დღეს ჩავიდა, როცა კერენს-

კის მთავრობა დაემხო და ხელისუფლება ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. შვეციისაკენ მინც გამგზავრებული ს.კედია იძულებული გახდა პეტერბურგში დაბრუნებულიყო. მისი და სხვა ქართველების ფათერაკით სავსე მგზავრობა საქართველოსაკენ, აღწერილია ზ.ავალიშვილის წიგნში: „საქართველოს დამოუკიდებლობა“. ტფილისში დაბრუნებული ს.კედია ორიოდ კვირის შემდეგ კვლავ უცხოეთში მიდის და გზადმიმავალი ხედება მწერეთელს.

მ.წერეთელთან და მ.ქარცივაძესთან ერთად ს.კედია ბერლინში ჩავიდა, სადაც მან გიორგი მაჩაბელთან ერთად მოამზადა იმ ურთიერთდამოკიდებულების პირობები, გერმანელებსა და ქართველებს შორის, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ორი ერის დამოკიდებულებაში. როცა ეს მუშაობა მიმდინარეობდა ბერლინშივე ჩავიდა საქართველოს დელეგაცია ა.ჩხენკელის მეთაურობით. ს.კედიამ ამ დელეგაციის წიაღში დიდი მუშაობა გასწია. იგი იყო დელეგაციის მდივანი და, როგორც ავალიშვილი აღნიშნავს, „მძიმედ დაიტვირთა“.

ა.ჩხენკელის ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე ხანმა რომ გაიარა, ს.კედია საქართველოში დაბრუნდა, რადგან ნამდვილი საზრუნავი მას აქ ელოდებოდა. შენდებოდა ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფო, ხოლო მისი მშენებლები ამ საქმეს თითქმის უნებურად დაპატრონებული პირები იყვნენ. საჭირო იყო თვალყური, რომ საძირკველში ფუყე ქვები არ ჩატანებიათ. და ეს საქმე უძნელეს დაბრკოლებებს აწყდებოდა. ს.კედიას და მის თანამოაზრეთა განკარგულებაში მხოლოდ ორი საშუალება იყო – მოქმედება პრესით და – პარლამენტში.

ს.კედია გაზეთის რედაქციაში ბევრს მუშაობდა. მისი უახლოესი თანამშრომლები იყვნენ: ა.ასათიანი, ვექილი ი.მაჭავარიანი და პირადი მდივანი ლავრენტი კვარაცხელია. ს.კედიამ თანამშრომლებად მიიწვია გერონტი ქიქოძე „სახალხო გაზეთიდან“, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი გვაზავა, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, ვასილ ბარნოვი, ექ.თაყაიშვილი, კ.კეკელიძე, ი.ზურაბიშვილი და სხვანი. თავისი გაზეთის გარშემო შემოკრიბა მან მაშინდელი საქართველოს მაღალი ინტელიგენცია და საუკეთესო მწერლები. გაზეთის ტირაჟი დღითიდღე მატულობდა. საზოგადოებრივ აზრში პარტიის პრესტიჟი არაჩვეულებრივად გაიზარდა. ყველას თვალი ეხილებოდა, რადგან ახსოვდათ, რომ რაც ხდებოდა ე.ი. ქართული სახელმწიფოს შენება, სწორედ ის საგანი იყო, რომლის მსურველებს ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ, თავს ესხმოდნენ ახლა ამ შენების უბადრუკ ხელმძღვანელთა როლში გამოსული გაზეთ „ერთობის“ პირიქით მოლაპარაკე ადამიანები. მაგრამ მათთან არც პირდაპირ ბრძოლა შეიძლებოდა. ოცდაათი წლის განმავლობაში ნაწარმოებ დემაგოგიას ხალხის გონებაზე გამანადგურებელი შედეგები მოეტანა. ქვეყანა და ხალხი მათ ხელში იყო. და როგორც დღეს ვერავინ უბედავს პირდაპირ შეტევას საპაურო პირატებს, რადგან მგზავრების ბედი მათ ხელშია, ასევე შეუძლებელი იყო ჩვენი მაშინდელი ბატონ-პატრონების ყველა ნაკლთა, მითუმეტეს ცოდვათა, ამკარად მხილება. ამიტომ ს.კედია გაზეთს ზომიერ და თავდაჭერილ ტონს აძლევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი

ტონი საერთოდ სტილს ახასიათებდა, ნიჭიერსა და ძლიერ მწერალს მას შეეძლო ზომიერ და თითქმის დაყვავების ფორმებში სასტიკი კრიტიკა გამოეთქვა. გაზეთი „საქართველო“ ევროპულ დონეზე მდგარი გამოცემა იყო, რომლის ბადალი არც მანამდე და ცხადია არც შემდეგ, საქართველოში მკითხველს ხელთ არ ჰქონია.

მეორე სამოქმედო ასპარეზი, დამფუძნებელ კრების სახელით ცნობილი პარლამენტი იყო. აქაც მუშაობას წარმოუდგენელი დაბრკოლება სდევდა. როგორც ცნობლია, პარლამენტში მარქსისტებს აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ. მაგრამ მარტო ეს გარემოება როდი ჰბადებდა სიძნელეთ. ჩვენი პარლამენტი პროპორციულ პრინციპით იყო არჩეული. ამგვარად მარქსისტი დეპუტატები მარტო მათი ღირსება-უნარიანობის მიხედვით კი არ იყვნენ შეტანილი საარჩევნო სიაში, არამედ ასევე დიდი ანგარიში ჰქონდა განუული ამ პირთა პარტიულ დამსახურებასაც. ამით აიხსნება, რომ უმრავლესობას ისეთი პირებიც შეადგენდა, რომელთაც „საკუთარი თავი“ არც ება. ისეთნიც ყოფილან, რომელნიც თავსატეხ ეკონომიურ კრიზისის პრობლემას ასე წყვეტდენ: ფულის ბეჭდვა ხომ ჩვენ ხელშია, მეტი დავბეჭდოთ მუშებს ჯამაგირი მოეუმატოთ და ყველა იოლად ვიცხოვრებთო. ყოველივე ამას ბოლოსდაბოლოს მოვევლებოდა. ქვეყნის და სახელმწიფოს მაშინდელი ეკონომიური ბაზა – სოფლის მეურნეობა – უპარლამენტოდ და უმარქსოდაც ცოცხლობდა. ჩვენმა გლეხმა თავისი საქმე უკეთ იცოდა ვიდრე ჩვენმა მეთაურებმა – თავისი. სახელმწიფოს შინაური პრობლემები ასე თუ ისე დაიძლეოდა. მთავარი ამოცანა ქვეყნის თავდაცვის საკითხი იყო და აქეთკენ იყო მიმართული ს.კედიას მთავარი ყურადღებაც. თავის გამოსვლებში იგი პარლამენტის წინაშე ასაბუთებდა ჩვენი თავდაცვის გაუმჯობესების გადაუდებელ და აუცილებელ საჭიროებას. იგი თვალნათლივ უმტკიცებდა მსმენელებს, რომ შინაურ ნესრიგისათვის შექმნილი და ამ მოვალეობის ასასრულებლად გამოსადეგი სამხედრო ძალა ვერ ასასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც მას უცხო პროფესიულ ჯართან შეტაკების შემთხვევაში დაეკისრებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ შეიარაღებულ ძალთა მორალისათვის სახიფათო და საზიანო იყო ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორგანიზებულ საბრძოლო ძალის ყოლა. რომ ამგვარი მდგომარეობა აუცილებლად დაბადებდა ფსიქოლოგიურ გათიშვას და ტექნიკურ შეუთანხმებლობა-გაუგებრობას. რომ საჭირო და აუცილებელი იყო უფრო მრავალრიცხოვან ჯარის მუდმივ მზადყოფნა. რომ უამისოდ ქვეყანას საშინელი განსაცდელი მოელოდა. ყველა ამის საპასუხოდ მთავრობის პორტპაროლი აცხადებდა ხოლმე, რომ ყოველგვარი ზომა მიღებულია და ყოველ მოსალოდნელ საშიშროების მოსაგერიებლად მზადა ვართო. პარლამენტში ისიც კი ითქვა: თავადთა ცხენოსნობის და ჯირითის დრო წავიდა, ჩვენ სოციალისტურ რესპუბლიკას ვაშენებთო.

გაზეთში და პარლამენტში მუშაობის გარდა ს.კედიას პარტიისათვისაც უნდა ეხელმძღვანელა. ამ საქმეში მისი პირველი თანაშემწე ა.ასათიანი იყო. ს.კედიას ინიციატივით და საჭირო ძნელ შემთხვევებში პირადი ხელმძღვანელობით მოხერხდა ერ.დემ.პარტიის ცალკე ფრაქციათა ერთად შედუღება და მომავალ არჩევნებისათვის

სამზადისის დანყება დიდად იმედისმომცემ პერსპექტივებით. ასევე ს.კედიას ავტორიტეტის წყალობით წარმოებდა ქვეყნისათვის ფრიად მნიშვნელოვანი სამრეწველო კავშირების, სავაჭრო ამხანაგობების, ბანკების და სხვა ამგვარ დანესებულებათა დაარსება, რაც ქვეყნის ეკონომიურ ხერხემლის გასამაგრებლად იყო აუცილებელი.

მაგრამ საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები იკრიბებოდნენ. მოსალოდნელი მოხდა. ნითელი რუსეთი თავს დაესხა ჯერ ნითლობა მოურეცხელ ხალხით მართულ საქართველოს. ამ საბედისწერო ჟამს, როგორც მთელი ოზონიცია, ს.კედიაც მთავრობას გვერდით ამოუდგა, მაგრამ რა შეეძლო მას, გარდა ფრონტისაკენ მიმავალ ჯარისადმი გამამხნეებელ სიტყვით მიმართვისა. თავის დროზე მოუვლელობით წამხდარ საქმეს ეს ვერ უშველიდა. და საქართველომ ისეთი არასასახელო მარცხი განიცადა, რის ღირსიც ქართული ხრმალი ვაი, რომ არ იყო.

ტფილისიდან გახიზნულმა მთავრობამ და პარლამენტმა რამდენიმე დღე ქუთაისში დაჰყო. ქუთაისიდან ს.კედია ფრონტზე წავიდა, მაგრამ ფრონტის ნაცვლად მან რამდენიმე მიტინგი ნახა, რომელზედაც მაშინ ცნობილი ყადის ორატორები „თანამებრძოლოთ“ აიმედებდნენ: ამხანაგებო, გული არ გაიტეხოთ, მეორე ინტერნაციონალი და ევროპის პროლეტარიატი ჩვენი დემოკრატიის შეურაცხყოფას ბოლშევიკებს არ შეარჩენენო. იქედან დაბრუნებული ს.კედია თურმე გულამღვრეული, სიმწარით ამბობდა, ეს ხალხი დახვრეტის ღირსიაო.

ქუთაისში პარლამენტს უკანასკნელი სხდომა შესდგა და ამ კრებაზე გამოსულ წ.რამიშვილის სიტყვები ზემოდ მოტანილ მიტინგის სიტყვებს არ ჩამოუვარდებოდა. იგი თურმე ირწმუნებოდა, ორ-სამ თვეში ისევე ტფილისში ვიქნებითო. ახლა კი ს.კედიას უკუუგდია მისთვის ჩვეული და ზომიერი ტონი. მას რამიშვილისათვის უპასუხნია: ბატონო მინისტრო, ორ-სამ თვეში კი არა, იქნებ ორ-სამ ათეულ წელსაც ვერ დადგათ ფეხი ქართულ მიწაზეო. ს.კედიას აქ მთავრობა აღარ დაუნდვია და გამანადგურებელ სიტყვაში მთავრობის მთელი სიავენი და მისი სამი წლის ანტიეროვნული ნამოქმედარი მწარედ გადმოუშლია. მას მთავრობისათვის სასტიკი განაჩენი გამოუტანია და ქვეყნის დამლუპველად გამოუცხადებია ისინი.

ბათუმში აღელვება და სასონარკვეთილება ერთმანეთს ცვლიდა ამბობს ქ-ნი კედია. მთავრობის მიმართ მრავალი მწარე სიტყვა ისმოდა. თვით ს.დემოკრატებიც თავიანთ აღშფოთებას ვერა მალავდნენ. „სპირიდონ თუ ოდესმე ქვეყანას ისევე აღდგენა ელირსა. ესენი ისე უნდა დავანგრით – რომ ფეხზე ვერ დადგნენო“ უთქვამს გომართელს. სწორედ მაშინ დაუპირებიათ მხედრებს და ზოგ გვარდიელსაც მთავრობის დატუსაღება და ზოგის მოსპობაც კი. ს.კედია ამ გეგმა ჩაშალა და შეთქმულები შემდეგი სიტყვებით გაისტუმრა: ყოველგვარი ტერორი და შურისძიება მიუღებელია, დაე წავიდნენ ცოცხლები თავიანთი ცოდვებითაო.

როდესაც ერთხელ აქ პარიზში ს.კედიას ამ ამბის შესახებ ვკითხეთ, მან გვიპასუხა: მე რომ ამგვარი რამ ჩამედინა, იმის ღირსი ვიქნებოდი, რაც მაკედონელმა დარიუსის მკვლელებს უყო – თავები რომ დააყრევინაო. ერთმა ჩვენთაგანმა მაინც

შენიშნა, ყოველ შემთხვევაში ჟორდანია და მისი ჯგუფი ემიგრაციას არ მონამლავდნენო. ს.კედიას სახეზე წყენა დაეტყო და მოკამათეს ცივად უპასუხა: საქართველოს დალუპვაში ჟორდანიას იქნებ წილი ედოს, მაგრამ ეს მას შეგნებულად და ლალატით არ ჩაუდენია, ხოლო თუ საქართველო ჯერ ვერ გათავისუფლდა, ამაში ჟორდანიას ბრალი ვერ დაედებაო.

ეს ინციდენტი მოხსენებული აქვს თვით ნ.ჟორდანიას და იგი თავის გადარჩენას მის მიერვე მიღებულ ზომებს, სახელდობრ გოგუაძის ჯავშნოსანის ახლო მოყვანას მიაწერს. ასევე გენ. კვინიტაძეც ამბობს: ასეთი წინადადებით მომმართეს და მე ვუპასუხე, ჯერ ჩემს გვამზე გადაივლითო – აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჟორდანია, კვინიტაძე და გოგუაძეც საზღვარგარეთ მიდიოდნენ. „შეთქმულების“ ავტორები კი ისინი იყვნენ, ვინც საქართველოში რჩებოდა. ასე რომ თუ არა ვეტო ს.კედიასი, ვინც აგრეთვე რჩებოდა, ვინ იცის, საქმე როგორ დატრიალდებოდა.

ბათუმში მთავრობის კრებაზე ს.კედიას სამხედრო მინისტრის პოსტი შესთავაზეს. ამ უცნაურ და გაუგებარ წინადადებაზე, რასაკვირველია, უარი მიიღეს. მართლაც გასაოცარია. სამხედრო მინისტრის პოსტს სთავაზობენ კაცს, რომლის სწორედ სამხედრო დარგის ხან რჩევა, ხან ვედრება ყურად არ იღეს. ამის შედეგად ქვეყანა წააგეს და ახლა იმავე კაცს ტვირთად უნდა აეღო სხვათა ცოდვები და შერცხვენა. ასეთი საკვირველი წინადადების მიცემა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ალბათ ფიქრობდნენ: ს.კედიას უცხოეთში მინისტრად გახიზვნის ცდუნება დასძლევესო. ალბათ, არ იცოდნენ ან არა სჯეროდათ, რომ მას საქართველოში დარჩენა ჰქონდა გადანყევტილი.

ამის შემდეგ გრ.რცხილაძემ მას მოუტანა ჟორდანიას მიერ გემიდან გამოგზავნილი წერილი ნ.ჟორდანიას, წერდა: ბატონო სპირიდონ, თქვენ არ ნამოხვედით ჩვენთან როგორც ოფიციალური პიროვნება, გთხოვთ ნამოხვედით პიროვნულად – გემი ჯერ კიდევ იცდისო. ს.კედიამ ეს წერილი უპასუხოდ დატოვა და დახია. სამწუხაროდ ეს საბუთი არ გადარჩა. ამგვარი წინადადება ს.კედიამ ა.ხოშტარიასაგანაც მიიღო, მაგრამ მასაც მადლობით უარი უთხრა.

„ეს ის დრო იყო როცა ყველა თავისთავის შველაზე ფიქრობდა. ამიტომ ყველას ეგონა, რომ სპირიდონიც თავის კერძო ცხოვრებაზე იზრუნებდა და ოჯახს მომავალს მოუშნადებდა. ამიტომ მასთან თავისუფლად მოდიოდნენ სხვადასხვა თხოვნით. მაგრამ როგორც მეთაურს სპირიდონს უნდა ეზრუნა მათთვის დამშვიდებული მოგზაურობის მოსაწყობად. რომ სპირიდონს გემი უნდა ჰყოლოდა მის განკარგულებაში. რომ მთავრობისგან მოეთხოვა, რათა გატანილ განძის მეთვალყურედ თაყაიშვილის ნაცვლად ერთი სენატორი დაენიშნა. სპირიდონმა ვერაფერი დააჯერა, რომ არსადაც არ აპირებდა წასვლას და თავის ქვეყანაში რჩებოდა. ეს საკითხი მან პარტიის მთავარ კომიტეტში დასვა და დარჩენის დადგენილებაც გამოიტანეს. – ცხადია არა მტერთან შერიგების მიზნით“ წერს ქ-ნი კედია.

ბათუმშივე ჩაისახა საიდუმლო ორგანიზაცია სამხედრო ცენტრისა. ს.კედიასთან ერთად მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ილარიონ ლორთქიფანიძე (ბანკის დირექ-

ქტორი) და დავით მიქელაძე. მიმოსვლის აღუდგენლობის გამო, ს.კედია ტფილისში მხოლოდ მარტის გასულს ჩავიდა. პირველი ვინც მის სანახავად მოვიდა კოტე აფხაზი იყო. შემდეგ კი მას დაუკავშირდნენ ყველა მიმდინარეობის პიროვნებები. „ამ უბედურობის დროს ქართველების გულწრფელ გაერთიანებას ჰქონდა ადგილი“ო წერს ქ-ნი კედია.

თებერვალში განცდილმა მარცხმა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების სასწაულებრივი გამოჯანსაღება გამოიწვია. ყოველ ქართველ ინტელიგენტს თავისი თავი დამნაშავედ მიაჩნდა და საერთოდ ერის ყველა ფენამ იგრძნო და შეიგნო თუ რა დავკარგეთ. ეს მეტამორფოზა ადრინდელ გულცივებს, ეგოისტებს, უიმედოებს და ურწმუნოებსაც კი შეეხო. სპონტანურად დაიბადა რევანშის წყურვილი – სირცხვილის მოსარეცხად. არავინ არც მონონებას, არც ნაქეზებას არ საჭიროებდა, რომ თავისი პირადი უნარი, შესაძლებლობა, სიცოცხლეც განთავისუფლების საქმისათვის შეენიწრა.

ახლა ბევრმა გაიგონა და დაინახა ის, რაც არავის დაუნახავს და გაუგონია იმ დღეს, ვლასა მგელაძე რომ მამადავითზე ავარდა და ილიას და აკაკის ახარა საქართველო აღსდგაო. მაშინ ბედნიერებით მთვრალმა ქართველობამ ვერ დაინახა მამადავითზე რომ გამოჩნდა „მეფურ ძილითგან“ გულგახეთქით გამოღვიძებულ „მოხუცის ლანდი“ და ვერ გაიგონა მისი სასონარკვეთილი ყვილი: კიდევ მომკალთ – მეორედ, მესამედ, ოღონდ საქართველოს ნუ მომიკლავთ, იმ კაცს ქვეყნის ბედს ნუ ჩააბარებთო. ახლა კი მრავალ ქართველის ყურსა სწვდებოდა ქართული მიწის სიღრმიდან ყრუდ მონვდენილი, იმავ მოხუცის მწარე ქეთინი.

საქართველოში დარჩენილი, ეროვნულ მოძრაობის ბელადი და მეთაური ს.კედია, სრულიად ბუნებრივად, ამ განწყობილების ცენტრში მოექცა. ბათუმში მხედრებთან ერთად მიღებულმა სამოქმედო გეგმამ ხორცშესხმა დაიწყო. მაშინ შეჩერდა საქმეში მონაწილეთა ყურადღება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

ემიგრაციაში დაინერა, რომ ქაქუცა ეროვნულ-დემოკრატი არ იყო, ამიტომ პარტიის მიერ რაზმის უფროსად ვერ დაინიშნებოდაო. ეს ფორმალურად სწორი შენიშვნა დაზუსტებას მოითხოვს. მხედრები უმეტეს შემთხვევაში და საერთოდ, პარტიებს არ ეკუთვნიან, რადგან მხედრობა სახელმწიფოსა და ერის სამსახურისა და არა რეჟიმი-სა. ქაქუცაც ასეთი უპარტიო მხედარი იყო, მაგრამ ასევე საერთოდ მხედრობა სამოქალაქო ხელისუფლების განკარგულებაშია და მისი ინსტრუქციებით მოქმედობს. საქართველო იმ დროს გამეფებულ ხელისუფლებას არ ცნობდა და ამ ხელისუფლების როლს აკუთვნებდა იმ პოლიტიკურ პირთ, რომელნიც ქვეყნის გათავისუფლებისათვის იღვწოდნენ, ამგვარ პოლიტიკურ ავტორიტეტთან კერძოდ, ს.კედიასთან მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების შედეგად გავიდა ტყეში ქაქუცა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქაქუცა ს.კედიამ „რაზმის უფროსად დანიშნა“, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ ქაქუცამ ასეთი საქმე თვითნებურად წამოიწყო.

ამ საქმის სათავე ჯერ კიდევ ბათუმში ს.კედიასა და მხედრებს შორის მომხდარ მოლაპარაკებიდან მოდის. ამ მოლაპარაკების დროს გადანყდა, რომ ქართველი მხე-

დრები არ უნდა მორიდებოდნენ ქართულ წითელ ჯარში სამსახურს, არამედ პირიქით უნდა ცდილიყვნენ მორჩენებითი ლოიალობით მაღალი საკომანდო პოსტები ჩაეგდოთ ხელში, რომ საჭირო დროს ქართული სამხედრო ძალები მათ ხელში ყოფილიყო. აჯანყება ნაეარაულები იყო კავკასიური მასშტაბით – მთიელებთან და ადერბაიჯანელებთან შეთანხმებით. ამ გზით და მიმართულებით დაიწყო კიდევაც ამ საქმის პირველი მსვლელობა.

ქაქუცას მოქმედებას ორგვარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიდრე საერთო აჯანყების სამზადისი დამთავრდებოდა, ეს რაზმი მცირერიცხოვანი უნდა დარჩენილიყო. მის არსებობას უნდა გაემარგებინა ხალხში იმედი და ამავე დროს მოძალადე ხელისუფლებასაც უნდა შეევეცოდა კანდიერება – რომ თავი დაუსჯელად არ ეგრძნოთ.

რომ არჩევანი სწორედ ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილისსაც აკრავს, საქართველოს მთიანეთს – თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც და დალისტანსაც. მხოლოდ კახეთიდან შეიძლება ერთსადაიმევე დროს მოქმედება დარიალისა და დარუბანდის ჩასაკეტად. კახეთი ის პროვინციაა, რომელსაც აჯანყებათა ყველაზე დიდი ტრადიცია აქვს. ხშირი ტყეები და დოვლათიანი მხარე მეომარ-პატრიოტულად განწყობილ მოსახლეობით აგრეთვე საუკეთესო პირობებია პარტიზანულ რაზმისათვის თავის შესანახად. მაშასადამე რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. მარტო ეს პირობები არ კმაროდა. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, რადგან პარტიზანულ მოქმედებათა გარდა, შემდეგში გაზრდილ რაზმს წმინდა სამხედრო საომარი ამოცანებიც დაეკისრებოდა. ამასთანავე ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოვებული კაციც უნდა ყოფილიყო და არა თავის კასტაში ჩაკეტილი ხალხისგან მონყვეტილი ინტელიგენტი შტაბის ოფიცერი. ყველა ამ პირობათა დამაკმაყოფილებელი კანდიდატი ათობით არ იქნებოდა. ს.კედიამ ჩვენს წრეში მგონი მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა ამ საკითხზე და ისიც ძლიერ ძუნწად – იგი საკუთარ როლის ხაზგასმას ერიდებოდა. მაშინდელ მისი სიტყვებიდან ის შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სხვა კანდიდატიც ყოფილა, მაგრამ ზემოთმოყვანილ პირობებს გადაუწყვეტია საკითხი. აქ მოტანილი ცნობები ს.კედის ნაამბობის შინაარსის მეხსიერებაში შემორჩენილი გადმოცემა არის, მაგრამ აი სიტყვასიტყვით გადმოცემული მისი თქმა ქაქუცას შესახებ: როგორც ტყე წარმოშობს ხეს, მაგრამ ხეები ქმნიან ტყეს, ისე ქაქუცა წარმოშვა იმ გმირულმა ეპოქამ, რომელიც ჩვენს დამარცხებას მოჰყვა, მაგრამ ამ ეპოქის შემქმნელიც არისო. და კიდევ ერთი მაშინ ნათქვამი ფრაზა: ქართველი კაცის ყურისათვის ქაქუცას ჩოლოყაშვილობაც კმაროდა – ლეგენდას უკვე გვარი ჰქმნიდაო.

აქ მოთხრობილი ეს ამბავი ჩვენი ეროვნული გმირის სახეს კი არ ამცირებს, არამედ ამაღლებს და ვინც იტყვის ქაქუცამ ტყეში გასვლა თვითონ გადაწყვიტაო, ეს თუ დაუჯერეს, დათვის სამსახურის განევა იქნება ქაქუცას სახელისათვის.

აი ერთი ადგილი ქ-ნ კედიას მემუარებებიდან, ამავე საკითხს რომ ცოცხალი სურათებით გვიხატავს. „1921 წელს სპირიდონმა თავისი ოჯახი საზაფხულოდ კახეთში გაისტუმრა. თვითონ ერთი თვით ტფილისში დარჩა. ასეთი მისი სურვილი პაპანაქებაში ტფილისში დარჩენისა ოჯახისათვის გაუგებარი და სანყენიც იყო. მე ექვსი თვის ბავშვით ხელში მარტო მიხდებოდა მოგზაურობა, ამიტომ სადგურზე სპირიდონს ცივად დავმორდი. მხოლოდ შემდეგ გახდა ჩემთვის ყოველივე გასაგები და ნათელი. აგვისტოდან სოფელ კისისხევეში სპირიდონი ჩვენთან ერთად ისვენებდა. და აი აქ სექტემბერში ჩემთვის სრულიად მოულოდნელად სპირიდონთან მოვიდა ქაქუცა – მასთან ფავლენიშვილი ახლდა. სპირიდონს ქაქუცას მოსვლა არ გაჰკვირვებია – თითქოს მოელოდაო. მცირე საუზმისა და გასაღებების შემდეგ ნაფინდენ მახლობლად სოფელ კონდოლში მცხოვრებ ავალო ავალიშვილთან. ეს ავალიშვილი ქაქუცას სიდედრის ძმა იყო. წასვლისას სპირიდონმა გამაფრთხილა, რომ იმ ღამით იქ დარჩებოდა. თურმე იქ სხვა პირებთანაც ჰქონია შეხვედრა. ამათ შორის ექიმ კოლა ჯანდიერთან, რომელიც ავალოს ცოლისძმა იყო. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ქაქუცა მეორედ მოვიდა სპირიდონთან და წასვლისას ცხენზე მჯდომმა სპირიდონს ამოსძახა: ორ-სამ დღეში გეახლებითო. აქ უკვე ჩემი გაოცება ვეღარ დავძლიე და ვკითხე სპირიდონს თუ რა საერთო ჰქონდა ამ დარდიმან ყმანვილთან. ან სად მიდიოდა, რომ პირობაც კი მისცა ორ-სამ დღეში მოგბრუნდებო. ტფილისში რასაკვირველია – მოკლედ მიპასუხა სპირიდონმა. თუ მაგან დუღუკებს შეაბერიხა, ელოდე მაგის ამ ორ-სამ დღეში მოსვლასა, ვუთხარი. სონა, შენ არ იცნობ ქაქუცას, ეს ყმანვილი ძალიან სანდო გამოსადეგი და კარგი ქართველიაო. მართლაც დანიშნულ ვადაზე ქაქუცამ ისევ ფავლენიშვილის თანხლებით ჩვენს ეზოში ცხენი შემოაჭენა – გაოცებული დავრჩი. ეს ფავლენიშვილი ჩემი ძველი მონაფე იყო თავად-აზნაურთა გიმნაზიიდან. სპირიდონისა და ქაქუცას ლაპარაკს ის არ ესწრებოდა. იმდენად მორიდებული იყო, რომ საჭმლისათვის სახლში არ ამოწყვა.

იმ ზამთარს ტფილისში სპირიდონთან ქართველების მისვლა-მოსვლა გახშირდაო, განაგრძობს ქ-ნი კედია. ეს დილაობით ხდებოდა, როდესაც მე გიმნაზიაში ვიყავი ჩემს სამუშაოზე. აქ იყვნენ პარტიათა წარმომადგენლები: ფედერალისტები როგორც ლასხიშვილი და რცხილაძე; ს.ჯიბლაძე, კოლა ქარცივაძე, ლეო ნათაძე, იასონ ჯავახიშვილი და სხვანიცო.

ოცდაორი წლის თებერვალში, დაპყრობის წლისთავეზე, განზრახული იყო საერთო შეთანხმებით მოწყობილი დემონსტრაცია. ს.კედია აპირებდა ხელში ეროვნული დროშით გამოსულიყო და საჭიროსაც იტყოდა. მას შედეგებიც გაუთვალისწინებია, რადგან წინა საღამოს ოჯახისათვის გაუნდვია, რომ სხვა ბინაზე აპირებს გადასვლას და რომ არალეგალურ ცხოვრებაზე უნდა გადავიდეს. თურმე ამისთვის ბინაც ნამოვნი ჰქონია – ქალაქკარეთ ინიერ ვანო ჩიჯავაძის სახლში. მაგრამ სწორედ იმ ღამეს ს.კედია დაატუსაღეს და მთელი გეგმაც ჩაიშალა – რადგან მასთან ერთად იმავე ღამეს დაატუსაღეს ქართული ინტელიგენციის მთელი ის ნაწილი, რომელიც იჭვის ქვეშა

ჰყავდა ხელისუფლებას. ს.კედია ექვსი თვე მეტეხში იყო ჩაკეტილი, ხოლო შემდეგ საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს. იქაც კიდევ ექვსი თვე გაატარა. მთელ ამ ხნის განმავლობაში – ამბობს ქ-ნი კედია – კავშირი სპირიდონისა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ჩემი საშუალებით ხდებოდაო. სატუსალოში გადასაცემ ცნობებს იასონ ჯავახიშვილი მძლევდა და პასუხსაც იგი ჩემგან ლებულობდა. თავიდანვე სპირიდონი იმ აზრისა იყო, რომ მტერმა მთლიანად არ უნდა დაიმორჩილოს ქვეყანა – უპატრონოდ არ ეჩვენოსო. ამიტომ ქვეყნის სადარაჯოზე შეიარაღებული ძალა უნდა ვიყოლიოთ, თუ კავკასიის მასშტაბით მოხერხდა მტრის წინააღმდეგ გამოსვლა იმ მომენტისათვის ჩვენც მზად ვიქნებითო. სპირიდონი ციხეში მყოფი ერთს ფიქრობდა – რაც მის მიერ მონერვილიდან მკაფიოდ ჩანდა, მხოლოდ გარეთი სხვა აზრი ტრიალებდა. – უფრო აჩქარებული და გამბედავი. მაგალითად კოტე აფხაზი იმ აზრისა იყო, რომ ტერორს ჩვენც ტერორით უნდა ვუპასუხოთო. ორჯონიკიძის თავიდან მოცილება მაინც უნდა შევძლოთო. სამხედრო კავშირის სახელით დათიკო მიქელაძე და ერ.დემ. ვასო მაგლობლიშვილი სპირიდონის სანახავად გამოძყენენ ციხეში. იქიდან გამოსული დათიკო მიქელაძე ცოტა გულნატკენი თავისთვის ბუტბუტებდა: ეგ დალოცვილი მაგას ჰგონია ქაქუცას გაჩერება ადვილია, იმას მოთმინება ეკარგება სპირიდონი კი ამბობს ქაქუცამ უნდა დაიზამთროს და თუ ჩვენი მეზობლებიც გამოვლენ, მხოლოდ მაშინ ერთად ვიმოქმედებთ, სხვანაირად მარტო ჩვენი ბრძოლა შეუძლებელიაო.

სპირიდონი ციხეში იყო მაგრამ იმაზე მეტი სასჯელი მის ოჯახს ჰქონდა, რადგან შეიარაღებული ჩეკისტი დღელამ თავს დასტრიალებდა და აწუხებდა. ციხეში ლიდერებიდან აღარავინ იყო. ჯერ ციხიდან გაისტუმრეს სოციალ-დემოკრატები და გერმანიის მიმართულებით გადაასახლეს. ფედერალისტები მთლიანად იყვნენ გათავისუფლებულნი, ხოლო ეროვნულ-დემოკრატებიდან მხოლოდ სპირიდონი-ლა იჯდა ციხეში. იგი მაგრად ჰყავდათ ჩაჭერილი. გარედან ყველანი მირჩევენ რომ სპირიდონის გათავისუფლებისათვის მეზრუნა. ამას რომ სპირიდონს ვეტყოდი, მისი პასუხი იყო: მე აქ ციხეში მირჩევნია ყოფნა, რადგან მე აქ ჩემი ქვეყნის ჰაერიც უზრუნველყოფილი მაქვს და ოჯახიც აქა მყავსო. გადიოდა დრო და დაჟინებით მიმეორებდნენ – მაგალითად ლასხიშვილი და ნინიძე, არ ივარგებს სპირიდონის ციხეში დარჩენა, უსათუოდ უნდა გამოიყვანოთო. ლასხიშვილმა რამდენჯერმე სცადა სპირიდონი დაერწმუნებია, რომ მას თავისი გათავისუფლება მთავრობისათვის წერილობით ეთხოვნა, სპირიდონს ამისი გაგონებაც არ სურდა. ყოველ ჩემ მისვლაზე მარწმუნებდა აქ ჩემ ქვეყანაში ვიმყოფები, სად უნდა წავიდეო. მაშინ მე გადავდგი ძალიან გაბედული ნაბიჯი. დავწერე წერილი-თხოვნა მთავრობის მიმართ და სპირიდონის სახელი მოვანერე. შეშინებულმა ეს წერილი მაინც შალვა მესხიშვილს წავაკითხე, მაგრამ ეს წერილი დიდხანს უშედეგო დარჩებოდა, რომ მე სიტყვიერადაც არ მემოქმედა. როგორც იყო სპირიდონი ციხიდან გამოიყვანე მისი სურვილის წინააღმდეგ. ჩაიყვანეს ეტაპით ბათუმამდე და იქ საგანგებო განყოფილებაში კიდევ ერთი კვირა იყო ჩაკეტილი. ჩემი თხოვნით, დაჟინებით, ცრემლებით მივალნიე იმას, რომ გამეგო რომელ

გემით და რომელ დღეს გაისტუმრებდნენ. რადგან ისე ჩანდა, თითქოს მათ სურდათ, რომ ყოველივე საიდუმლოდ ჩატარებულიყო. ჩეკას გაგებული ჰქონდა, რომ ბათუმელი ქართველობა გაცილებას აპირებდა – რასაც დემონსტრაციის ხასიათი ექნებოდა. ამიტომ სპირიდონი სამხედრო რაზმით გარშემორტყმული ჩვეულებრივ გზას ააცილეს და მიხვეულ გასავლელებით ზღვის ნაპირას მიიყვანეს, საიდანაც შეიძლებოდა გემ „კლეოპატრაზე“ ასვლა. მე შორიახლო ვიყავი ამ სურათის მნახველი. სპირიდონმა იქიდან გამაგებინა, რომ მას არც პასპორტი, არც ვიზა არა აქვს და სტოვებს საქართველოს როგორც ანონიმი მოგზაური.

უცხოეთში ჩამოსულმა ს.კედიამ ყოფილ მთავრობისაგან გამიჯნულად ყოფნა არჩია, რადგან ამ მთავრობას და მის წრეებს ემიგრაციაში კიდევ უფრო პარტიული თითქმის კასტური ზნე-საქციელი ჰქონდა წესად დადებული. არავითარ მონანიების გრძნობას ისინი არ ამჟღავნებდნენ. არც „თავიანთ „საქმიანობას“ აცნობდენ ლოიალურად მათს არამენშევიკ თანამშრომლებს. იგი პოლიტიკის გარეშე მიინც არ დარჩენილა. იგი ცემდა გაზეთ „ერის გუშაგს“ და მისი პიროვნების გარშემო იყო შემოკრებილი ემიგრაციის მთელი არამარქსისტული შემადგენლობა. მის პოლიტიკურ მუშაობას უცხოეთშიაც ისევე სერიოზული, მოფიქრებული და აუჩქარებელი დალი ედო, როგორც საქართველოში. იგი არასდროს ჩარეულა, როგორც თითონ ეძახდა, „ციებ-ცხელებით შეპყრობილ ფუსფუსში“ და ინტრიგა-მაქინაციებში, რომელიც ემიგრაციას მაშინ ახასიათებდა. მას ფართო ნაცნობობა და კავშირები ჰქონდა ევროპის კერძოდ, საფრანგეთის და გერმანიის პოლიტიკურ წრეებში, მაგრამ მას არასოდეს უცდია ეს კავშირები, „მოჩვენებითი საქმიანობისათვის“ გამოიყენებია. ნამდვილი ქართული პოლიტიკისთვის კი კონიუნქტურა არ არსებობდა. მან ზოგჯერ უარითაც კი გაისტუმრა უცხოელთა მიერ დიდი სახსრების მონოდება, რადგან ის „საქმე“ რასაც ეს ხალხი სანაცვლოდ მოითხოვდა, უშუალოდ ქართულ პოლიტიკის არც საგანს, არც სარგებლობის მომტან ელემენტებს არ შეიცავდა. ამგვარ პოზიციაზე დგომას მაშინ მას მრავალი უპრინციპო ან პოლიტიკურ ანგარიშში ვერგარკვეული პირი უსაყვედურებდა. ახლა როდესაც წარსულს თვალს ვავლებთ, ყველას ძალუძს დაინახოს, ვინ იყო მართალი.

ავვისტოს აჯანყების წინა ხანებში ს.კედიამ გარკვევით, აჯანყების არასასურველობა განაცხადა – სადაც საჭირო იყო. ასეთივე შინაარსის შემცველი წერილი ჩაიტანა ექიმმა ნულუკიძემ საქართველოში ერ.დემ.პარტიის ადგილობრივ ხელმძღვანელობის მიმართ.

იგი აღნიშნავდა მარტო ქართველთა აჯანყების გამარჯვების შეუძლებლობას და რაც შეეხება აჯანყების მორალურ მხარეს ე.ი. მის მორალურ გამარჯვებას – მას მიაჩნდა, რომ თუმცა მორალურ მხარეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ ღირდა იმ დიდ მსხვერპლად, რომელიც აჯანყებას მოჰყვებოდა. ამ საკითხის გამო, საუბარში რამდენიმე წლის შემდეგ, მან თქვა: ის რჩეულნი და უკეთესნი, რომელნიც ათასობით დაიხვრიტნენ, ცოცხლად რომ დარჩენილიყვნენ, ამ ჯანმრთე-

ლი პატრიოტული ელემენტის არსებობა, თვით საბჭოთა პირობებშიაც, ქვეყანას დიდ სარგებლობას მოუტანდა – ამ კარგთა ამონყვევამ ცუდებსა და უეარგისებს გაუხსნა გზაო.

ზედმეტი არ იქნება ამ წერილში ითქვას – როგორი იყო ს.კედის დამოკიდებულება უკანასკნელ მსოფლიო ომში ქართულ ემიგრაციასა და გერმანელებს შორის არსებულ კონტაქტთან. ეს მოწმობა ემყარება მხოლოდ ერთ საუბარს, რომელიც ამ წერილის ავტორს 1940 წლის დასასრულს ს.კედისთან ჰქონდა. სამხედრო სამსახურებრივ საქმის გამო, ბერლინში ჩამოსულმა (საყარაულო სამსახურისთვის არჩეულ ას ოც ყოფილ ტყვისაგან შემდგარ ჯგუფს ჩამოყვევი რუმინეთიდან) გავიგე, რომ ს.კედია ბერლინში იმყოფებოდა. ცხადია მის სანახავად მივედი. იმდროცემულმა იმით, რომ იგი ბერლინის უპირველეს სასტუმრო „ადლონში“ ცხოვრობდა და თვით სასტუმროში მას მაღალი კლასის სტუმართათვის განკუთვნილი ბინა ეჭირა მისი ბინის კარები იმ მოლოდინში გვაღე, რომ ქართული საქმის პოლიტიკურ მდგომარეობაზე საამო და გამამხნეველ ამბებს გავიგებდი. ჩემი იმედები პირველ წუთებშივე გაქრა – პირველ წუთებშივე, რადგან საუბარი მაშინვე ამ საკითხს შეეხო. მან ყოველგვარ შეფერადების გარეშე მითხრა, რომ გერმანულ ხელისუფლებას არავითარი პოლიტიკური ხასიათის არათუ შეთანხმებას – მოლაპარაკებასაც კი ადგილი არა აქვსო. ამით გაკვირვებულს, მე რაღაც საყვედურის მსგავსი წამოვიცა, ალბათ, რადგან თითქმის მწყრაოდ მითხრა: მიმატოვეთ, მარტო დამტოვეთ და ახლა ჩემგან რაღას მოითხოვთო. ბატონო სპირიდონ, მე თქვენ არ მიმიტოვებხართ-მეთქი ვუპასუხე დაუყოვნებლივ (მე პარიზიდან არ წამოვსულვარ სხვებთან ერთად, არამედ უკვე ბერლინში მყოფი წავედი ჯარში) შენ რომ პარიზში ყოფილიყავ, ხომ ისევე მოიქცეოდი, როგორც სამა და მიტო (ცომბია და სინჯიკაშვილი) მოიქცნენო, მკითხა მან და განაგრძო. ჰიტლერი მხოლოდ სამხედრო ძალაზე ამყარებს თავის ანგარიშებს. გერმანულ პოლიტიკასაც პიროვნულად ხელმძღვანელობს. ამჟამად მას პოლიტიკისათვის არცა სცალთა და საერთოდ მისი მეთოდი გამორიცხავს იმგვარ პოლიტიკურ მოლაპარაკებებს, როგორიც ჩვენ გვსურსო. ქართველებთან კონტაქტი გერმანულმა მხედრობამ დაამყარა და არა გარეშე საქმეთა სამინისტრომ. მადრებს თანამშრომლები სჭიროდა და არა პოლიტიკოსები. და ერთადერთი საშუალება ამ საქმეში ქართული პოლიტიკური საკითხის ჩართვისა ის იქნებოდა, რომ გერმანული მხედრობა იძულებული ყოფილიყო, ქართველთა თანამშრომლობის მოსაპოვებლად, ქართულ პოლიტიკურ წრეებისათვის მიემართნა. ახლა კი როდესაც ყოველივე რაც მათ სჭიროდათ, უკვე მიიღეს და – სრულიად უსასყიდლოდაც, ჩვენ რათლა დაგველაპარაკებინან, თავს რატომ აიტკიებენო. ბატონო სპირიდონ, ვკითხე მე, ყორდანიაც მიატოვა მისმა ხალხმა-მეთქი. ყორდანი იგავში ნახსენებ მოლას მდგომარეობაში აღმოჩნდა – ყველა რომ ფლავის დარეგებისაკენ მირბოდა, მანაც გამოუშვა თავისი ხალხიო.

ეს საუბარი საქმაოდ გრძელი იყო და მისი მთელი შინაარსის გადმოცემის ცდა არც საჭიროა, რადგან ორთა შორის მე მეტი ვილაპარაკე – თუნდაც იმიტომ, რომ

როგორც ჯარიდან მოსულს საამბობი უფრო მე მქონდა. ს.კედამ საუბარი იმედის მოცემით დაამთავრა. გულს ნუ გაიტყვით, როგორც არ უნდა იყვეს, თქვენი როლი იგივე რჩება. იმოქმედეთ, როგორც შეგეძლებათ და როგორც თქვენი მოვალეობის შეგნება გიკარნახებთო. ეს საქმე ჩვენთვის იდეალურ პირობებში ვერ დაიწყო, მაგრამ ჩვენ ამაში უმწეონი ვართ, ამიტომ მდგომარეობას უნდა შევეგუოთ – რაც არის, იმის გამოყენება უნდა ვცადოთო. და საერთოდ, დაუმატა მან, ბლიტიცკრიგის შეფერხების შემდეგ საქმე კომპრომეტრებულია (ეს ორი სიტყვა ფრანგულად თქვა) ვინ იცის ომის მსვლელობა როგორ განვითარდება. საფრანგეთის ადვილად დამარცხებამ დაბადა ფიქრი, რომ რუსეთიც ასევე ადვილად დამარცხდებოდა, მაგრამ ამის გადაჭრით მტკიცება უკვე აღარ შეიძლება და სხვა პერსპექტივების არსებობაც მხედველობაში უნდა მივიღოთ. თუ გერმანელებმა რუსები ვერ დაამარცხეს, იმედი უნდა გქონდეს, რომ რუსთა გამარჯვებასაც არ დაუშვებენ ისინი, ვისთვისაც რუსთა გამარჯვება სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენსო. სხვა პერსპექტივის ახლავე დაშვება ორ სკამზე ჯდომას ხომ არ ნიშნავს-მეთქი. არაო. როცა ერთ სკამს ფეხი მოტყდება, მეორეზე დაჯდომა უნდა გაითვალისწინო. ეს ორ სკამზე ჯდომა არ არისო.

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ მეორე სკამიც ფეხმოტყებილი აღმოჩნდებოდა.

სპირიდონ კედიას საარსებო ნივთიერი წყარო იყო, საპკურებელ სურნელებათა პატარა ლაბორატორიის გაძღოლა. ამ ლაბორატორიაში ამზადებდა იგი სურნელოვან ესენციებს საპარფიუმერო ფირმისათვის, რომელიც მისმა ძველმა უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა გიორგი მაჩაბელმა ამერიკაში დააარსა. ამ ფირმის მონაწილე აქციონერი იყო თითონაც. ამ ფირმის კუთვნილ სახლში ცხოვრობდა იგი თავისი ცოლშვილით და ლაბორატორიაც იმავე შენობას იყო მიშენებული. ეს სახლი მდებარეობდა პარიზის სამხრეთ-დასავლეთ უბანში, „კლამარეად“ ნოდებულ პატარა ქალაქში – მცირე ტყის ნაპირას. ამ სახლში გარდაიცვალა იგი 1948 წელს.

ს.კედია გარეგნობით საშუალოზე ცოტათი მაღალი, მაგრამ ბრვე და ჩასხმული კაცი იყო. შავგვრემანი სახე და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ურჩი შავი თმის კონა ხანდახან შუბლზე უვარდებოდა.

დიდი ორატორული ნიჭის პატრონს მას მრავალჯერ საქართველოს ოქროპირი უწოდეს. მისი ორატორობა სიტყვის მხოლოდ ლამაზად და ეფექტით წარმოთქმით არ განისაზღვრებოდა. აგზნებასა და პათოსთან ერთად მისი სიტყვა იყო უაღრესად მოაზრებული, ლოგიკური და თანმიმდევნი. ივანე ჯავახიშვილს, რომელიც მის გამოსვლებს დაძაბული ყურადღებით უსმენდა ხოლმე, ერთხელ თურმე უთქვამს: ასეთი სიტყვა ევროპულ დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო.

საუბარში იგი კიდევ უფრო მომხიბლავი იყო. თავაზიანი, ზრდილი და კეთილგანწყობილი იგი, პირველ დაახლოვებისთანვე კაცს აჯადოებდა. – ინტელექტუალობით, კეთილშობილებით და პატიოსნებით – ეს მისი ძირითადი თვისება იყო. დიდი კულტურის მქონე ადამიანი, მდიდარი და დახვეწილი ქართულით მოუბარი შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს წიგნი ლაპარაკობსო. მისი სიტყვისა თუ საუბრის სტენოგრამას

განსორება არ დასჭირდებოდა. მას უნარი ჰქონდა, ელექტრონული სიზუსტით გონებრივად ჩამოეყალიბებია ტვინის სალაროში ნარმოქმნილი იდეა და დაუყოვნებლივ უზადო სიტყვად ექცია. იგი ქართული მწერლობის მცოდნე მოყვარული და კრიტიკულად შემფასებელიც იყო. აქ შემიძლია მაგალითისათვის მოვიტანო მის მიერ გამოთქმული, ჩემს მესხიერებაში დარჩენილი, შენიშვნები ბარათაშვილზე და ვეაზზე, ბარათაშვილის უბედურობა-პესიმიზტობაზე მოლაპარაკეს, მან შენიშნა: ბარათაშვილი თუ ჩვენ უბედურად გვეჩვენება – იმიტომ რომ ჩვენი საზომით ვუდგებით – გენისათვის ბედ-უბედობის კრიტერიუმი სხვა არის – ბარათაშვილი არ ტირის და წუნუნობს. მას თავისი სიდიდე უთუოდ ესმოდა. ვინც საკუთარ დაკრძალვის ცერემონიაში სტიქიასა და ბუნებას მოუხმობს – შავ ყორანს, ქარიშხალს, ციურ ცვარს და მყოვარ სვაეებს, მას უზარმაზარი პრეტენცია აქვს – გენიის შესაფერი. ოდნავ კოჭლობა ვერ გააუბედურებდა თავისი დროის ბრწყინვალე ჭაბუკს ორბელიანის ახლობელს, ვისთვისაც ყოველ არისტოკრატიულ ოჯახის კარი ღია იყო და თუ იგი ნივთიერად ღარიბი იყო, იგი კარგად გრძნობდა როგორი სიმდიდრე ჰქონდა ღმრთისაგან მონიჭებული. სულ სხვა არისო ვაჟა. მასაც თავისი ფასი უსათუოდ ესმოდა, მაგრამ შეუძლებელია ეფიქრა, რომ მისი დიდება შოთასას გაუტოლდებოდა. ასეთი პრეტენზია რომ ჰქონოდა თავისი საფლავის შესამკობად დეკა და ღვიანით არ დაკმაყოფილდებოდაო.

ეს წერილი მხოლოდ ცდა არის დიდი ქართველის დახასიათებისა – როგორც მე შემეძლო.

ღმერთი რომ ოდნავ შეგვეწეწეოდა და რამდენიმე წელი დაგვეცლოდა, მრუდედ ნაჭედის გამართვას ქართველი ერი შესძლებდა – მას დიდი გამოცდილება აქვს ნამზადარისა და დანგრეულის აღდგენა-ახლადშენებისა. ამის მონშეა ქართლის ცხოვრება, მაგრამ ისტორიას ის ულმობელი წესიცა აქვს, რომ განმეორებით ჩადენილ შეცდომას არავის აპატიებს. გარნა ჩვენ სად იყო, რომ შეცდომა არ ჩავიდინეთ. ჩვენ ნესად დავიდეთ და ვერ მივატოვეთ ის საქციელი, რომლის ჩამდენ საქართველოზე მიხილ წერეთელმა თქვა: „ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავის ცხოვრების წინამძღოლად“.

მიუხედავად ამისა, დამოუკიდებლობის მოკლე ხანაშიც აშკარად ჩანდა ეროვნული შეგნების სწრაფი ზრდა და გამოფხიზლება. დაავადებულ შეგნების მთლიანი გამოფხანსალებაც შორს როდი იყო. და ეს რომ დაგვეცლოდა, თვალახელილი საქართველო თავის ბედს იმას ჩააბარებდა, ვინც ღირსი იყო. მაშინ ილიას სახესაც ჭმუნვა განეყრებოდა – საქართველოს მომვლელად რომ თავის სულიერ შვილს იგულებდა. მაშინ გამოადგებოდა ნატანჯე ქვეყანას მისი ნიჭიერი და ერთგული შვილის მეთაურობა. მაგრამ ეს ბედი ჩვენ არ გველირსა და სპირიდონ კედიას სიცოცხლის წლები, რომელნიც მისი სამშობლოს ამაღლების საქმეს უნდა მოხმარებოდა, ლტოლვილობაში, თავის მამულზე ნალვლიან და მტკივნეულ ფიქრებში დაიღია.

ქართული ფილმი

ივერია, 22.1979

ოქტომბრის შუა რიცხვებში ილია თაყაიშვილის ოჯახმა – შვილებითურთ, იენას დარბაზში ქართველთათვის გამართა, მასთან სტუმრად ჩამოსულ, რეზო თაბუკაშვილის კინოფილმის ჩვენება. ფილმი შეეხება მიხეილ თამარაშვილის ცხედრის გადასვენებას – იტალიიდან საქართველოში. ამასთანავე მაყურებლებმა ნახეს ფილმი – მუსიკალური კომედია „ქეთო და კოტე“, რომელშიც ქეთოს როლს ასრულებდა თაბუკაშვილის მეუღლე მედეა ჯაფარიძე. ცოლ-ქმარმა ძლიერ, თბილ მეგობრულ კილოთი მიმართა მაყურებელთ ფილმების განმარტებისათვის წარმოთქმულ სიტყვებში. თაბუკაშვილის ფილმმა ძლიერ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა – ხარისხით, შინაარსით და მიუდგომლობითაც. ასევე ყველა კმაყოფილი დარჩა უკვე ძველი, მაგრამ კიდევ ლამაზი უპრეტენზიო კინოკომედიით. სეანსის დასასრულს დარბაზმა მხურვალე ტაშით უთხრა სტუმრებს მადლობა.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“

იერია, 23.1980. არნოლდ ჩიქობავას ნიგნის შესახებ

ქართველთა მიერ თავიანთი ისტორიით დაინტერესება თავისებურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაპყრობთ, არამედ იმიტაც, რომ ჩვენი დაინტერესება მოიცავს გარდა თვით ჩვენი საკუთარი ისტორიისა, აგრეთვე ჩვენი ეთნიური წარმომავლობის საკითხსაც, რაც ჩვენი ცნობისმოყვარეობის არეში თვით თეთრი რასის და მისი კულტურის ჩასახვის უძველეს ხანასაც ათავსებს.

შედარებისათვის ფრანგული მაგალითის მოტანა შეიძლება: საშუალო რიგითი ფრანგი კმაყოფილდება მით, რომ ისინი კელტების (გოლუა) ჩამომავლები არიან და მხოლოდ შეზღუდულმა წრემ იცის, რომ დღევანდელ საფრანგეთის მცხოვრებთა დაახლოებით მხოლოდ მეოთხედი თუ ჩათვლება კელტებად – რომ ასევე დაახლოებით ნახევარი გერმანული მოდგმისა არის, ხოლო დანარჩენი იბერიულია. რაც შეეხება თვით კელტების მოდგმას და მათ წარსულს, ეს საკითხი მარტო ფრანგული კი არ არის, არამედ საერთოდ ინდოგერმანული საკითხია.

სულ სხვაა ქართველთა მდგომარეობა. ჩვენ შეიძლება ითქვას, მარტოობას განვიცდით და ობოლი დაჩაგრული ბავშვივით ნათესავება ვეძებთ. დავაზუსტოთ: მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც ჩვენში ზდება განათლების ხალხში გავრცელება და ამგვარად ისტორიასთანაც გაცნობა, საქართველო უკვე დაკნინებული იყო – იმდენად, რომ ერეკლეს ეპოქაც კი სანატრელ-საამაყოდ გამოიყურებოდა. და საქართველოს ისტორიის მსახურთა (ბაქრაძე, ჟორდანი, თაყაიშვილი, ჯავახიშვილი) იმპულსი უპირველესად პატრიოტული იყო და მხოლოდ შემდეგ – მეცნიერული. ილიას ცნობილი ისტორიულ-პოლემიკური წერილები, ქართულ კულტურაზე თავდასხმით და ეროვნულ თავმოყვარეობის შეღახვით იყო გამოწვეული. მას შემდგომ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ქართული ისტორიოგრაფია მყარ მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობ, მაგრამ ქართველთათვის მათი ისტორია წმინდა მეცნიერულ საგნად მაინც ვერ გადაიქცა. ცნობილი ჩეხი მეცნიერი — ბედრიხ პროიზი, რომელმაც პირველმა შესძლო ხეთურ წარწერათა ამოკითხვა, აღნიშნავს, რომ 1936 წელს საქართველოში ჩასული, იგი გაუკვირვებია იმ პირ-

დაპირ პატრიოტულ ინტერესს, როგორცაე ქართველები ამ მეცნიერის მუშაობისადმი ე.ი. ხეთური პრობლემის კვლევისადმი იჩენდნენ. ამის მთავარი მიზეზი, ცხადია, ის არის, რომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერისათვის მისი ისტორია მხოლოდ მეცნიერება ვერ იქნება, არამედ იგი ეროვნულ ბრძოლის ერთი მთავარი იარაღთაგანია.

მაგრამ უძველეს ხალხთა წარსულის შემსწავლელი მეცნიერება ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობდა. ხოლო სიბნელით მოცულ ამ ეპოქისათვის შუქის მოსაფენად ყველაზედ სარწმუნო გზა ენათმეცნიერებაა, რადგან ენები, როგორც ცოცხალნი, ასევე მკვდარნი, თავიანთ ბუნებაში შეიცავენ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა ისტორიას. გარნა მისი ნაკითხვა მხოლოდ ენათმეცნიერებას ძალუძს. ენათმეცნიერება შედარებით ახალი დისციპლინაა. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1888 წელს ფრ.ბოპი ქართულ ენას ინდოევროპულად მიიჩნევდა, 1855 წელს კი მიულერმა ჩვენი ენა თურანულ (თურქულ) ოჯახს მიაკუთვნა, ხოლო ნიკო მარი 1888 წელს მას სემიტურ ენათა შორის ათავსებდა. დღეს ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის და წამოყენებულია მეცნიერთა მიერ საერთოდ გაზიარებული ცნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის არსებობისა, რომელთანაც დანათესაებულად მიიჩნევენ ხმელთაშუა ზღვის აუზის და მცირე აზიის ყველა ცოცხალ თუ მკვდარ ენებს, რომელნიც უკვე ცნობილ ენათა ოჯახს არ ეკუთვნიან, მაგრამ ყოველივე ეს დამტკიცებას და მეცნიერულად ჩვენებას საჭიროებს. გარნა არათუ მცირე აზია – ხმელთაშუა ზღვის აუზის მასშტაბით – თვით კავკასიური მასშტაბითაც ეს საქმე ჯერ გაუკეთებელია. ჩვენ, კავკასიელებს გეჯერა – და ალბათ არცა ვცდებით – რომ კავკასიის მკვიდრნი ხალხები ერთმანეთის ნათესაევი ვართ, მაგრამ ამის მეცნიერული დამტკიცება მხოლოდ ენათმეცნიერებას შეუძლია – კავკასიურ ენათა ბუნების ყოველი მხრივ შესწავლით, მათი ერთმანეთთან შედარებით და ჩვენებით იმისა, რომ დღეს არსებული, ამ ენათა ერთიმეორის მიმართ თითქმის უცხოდ მტკევი განსხვავებანი, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა მიმართულებით განვითარებულ, ერთი პირველადი ენის განშტოებანი არიან.

ზემოთ ნახსენები მცდარი შეხედულებანი, რომელნიც ქართულ ენას ხან ერთ, ხან მეორე ენათა ოჯახს მიაკუთვნებდნენ, იმის ბრალი იყო, რომ მაშინ მეცნიერებს ხელთ არა ჰქონდათ საკმარისად დამუშავებული მასალა, რომელზედაც მათ უფრო დამაჯერებელ მუშაობის განევა შეეძლოთ. ხოლო არ არსებობს არცერთი ეთნიური ოჯახი, რომელსაც სხვა უცხო ეთნიურ ჯგუფთან მეტ-ნაკლები კვალის დამტოვებელი კონტაქტი არ ჰქონოდა წარსულში. მაგალითად, ქართულ ენაში დადგენილია ინდოგერმანულ ენობრივ ელემენტის არსებობის ძლიერი კვალი, როგორც ლექსიკურ მარაგში, ასევე ენის ტიპოლოგიურ და აღნაგობით ხასიათში. ამის გამო გამოითქვა მოსაზრება ქართული ენის ინდოევროპულ ოჯახისადმი მიკუთვნებისა. ახლა კი, საკითხის უფრო ღრმად შესწავლის შემდეგ ვარაუდობენ, რომ ქართველებს ძლიერ შორეულ წარსულში შერწყმა ფრიად მნიშვნელოვანი მასა ინდოევროპულ მოდგომის რომელიღაც ხალხისა, რის შედეგსაც წარმოადგენს დღევანდელ ქართულში დადგენილი ნაწილობრივი სიახლოვე ინდოგერმანულ ენებთან. ამავე კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამ

მოვლენაზე უადრეს ქართული ენა მეტ სიახლოვეს იჩენდა თურმე აფხაზურ-ადიღურ ენათა ჯგუფთან, რომლისაგანაც დღეს ქართული საკმაოდ დამორეული ჩანს.

თვით ქართველურ ენათა შესწავლის დონე, რაც კავკასიურ ენათა შესწავლის წინასწარი საფეხურია, უკვე საგრძნობლად მაღალია. ეს საშუაშო შედარებით გაადვილებულია იმით, რომ ქართულ ენას თან ახლავს მისი წარსულის ცოცხალი არქივი და საანალიზო მასალის სანყოფი - იმ ლაბორატორიაში მოთავსებული, რომელსაც ჭანურ-მეგრული და სვანური ენები წარმოადგენენ. ამ ენათა შორის არსებული განსხვავება ქართული ენის ისტორიის შესწავლის დამზარე გარემოებაც კია, რადგან ერთი ფუძე ენიდან სხვადასხვა დროს მონყვეტის შედეგად შექმნილ სამ განსხვავებულ საფეხურთანა გვაქვს საქმე.

სულ სხვაა დანარჩენ კავკასიურ ენათა შესწავლის საკითხი. თუ ქართველურ ენათა, განსაკუთრებით შედეგად წარმოშობის პროცესი (ჯერ სვანურის, ხოლო შემდეგ მეგრულის), დაახლოებით ოთხი ათასი წლის ფარგალში თავსდება, იმავე პროცესის ხანა ქართველურსა და ადიღურ-ჩეჩნურ-დაღესტანურ ენებისათვის ხუთი, შვიდი ან შესაძლოა კიდევ მეტი ათასი წლის ფარგალში ივარაუდება. და მაშასადამე, როგორც ამას ენათმეცნიერი Ant. Meillet თავის დროს ამბობდა, თუ ამ ძველ ხალხებს შორის ოდესმე ერთობა არსებობდა, ეს უნდა ყოფილიყო შვიდი ათასი ან მეტი წლის წინათ, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რა მარტივ მასალას უნდა განეცადა ტრანსფორმაცია, ძლიერ საეჭვოა, რომ ჩვენი დღევანდელი საშუალებებით ამ ერთობის კვალის აღმოჩენა შესაძლო იყოსო.

ამიტომ არის ყოველგვარ მეცნიერულ ღირეულებას მოკლებული, არასპეციალისტთა დაკვირვების შედეგად მიღებული მთაბეჭდილება, როცა ვამბობთ: ქართული და ბასკური ერთმანეთსა ჰგვანანო.

თუ რამდენად შეიძლება ერთი და იგივე სიტყვა ორ ენაში განსხვავდებოდეს, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია ისეთი ახლობელი ენების მაგალითი მოვიტანოთ, როგორც ქართული და მეგრულია: მეგრულად ხეს ეწოდება ჯა, მაგრამ ძველად ხეს ეწოდებოდა ძელ, აქედან ძელქვა. და ეს სიტყვა „ძელ“ იგივე სახეშეცვლილი ჯა არის. როგორ? მეგრულსა და ქართულს შორის არსებობს ეგრეთწოდებული კანონზომიერი ფარდობა (ბგერათა ცვლა), რომლის მიხედვითაც მეგრული ჯ ქართულში ხშირად გამოითქმის როგორც ძ. ჯინჯი - ძირი; მჯიგუ - მძაგს; ჯიმა - ძმა; ჯვეში - ძველი; ჯოლორი - ძალი; სინჯა - სიძე; ჯა - ძელ. მეორე მაგალითი: ქართული წელი (ზურგის შუა ნაწილი) მეგრულად გამოითქმის ოჭიში და ეს ერთიდაიგივე სიტყვებია, რადგან ქართული წ მეგრულში შეცვლილია ასოთი ჭ. წერილი - წიფე; დამწვარი - დოჭვირი; წვეთი - ჭვათი; მწყემსი - ჭყიში; წელი - ოჭიში.

ამგვარი შემთხვევები ქართულსა და მეგრულს შორის შედარებით იშვიათია, მაგრამ ქართულსა და სხვა კავკასიურ ენათა შორის მთელი ლექსიკა პირველი შეხედვით, ერთიმეორისათვის უცხოდ გამოიყურება, რადგან იბერიულ-კავკასიურ ენებს დიდი ცვლილება აქვთ განვილილი იმ ათასეულ წელთა განმავლობაში, რამაც მათი ერთმანეთისაგან დამორების შემდეგ გაიარა.

ორმოცდაათი წლის წინათ, მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ბრწყინვალე მეცნიერმა — არნოლდ ჩიქობავამ ტფილისის უნივერსიტეტში დააარსა კავკასიურ ენათა კათედრა. ეს ღონისძიება აუცილებელი იყო, რადგან გაბნეულ ინდივიდუალური კვლევით, ისეთი რთული მეცნიერული მუშაობის საკმაო სიჩქარით წინ წაწევა, როგორსაც კავკასიურ ენათა შესწავლა წარმოადგენს (ოცდათორმეტი ენაა კავკასიაში), შეუძლებელი იქნებოდა. კავკასიურ ენებს ოთხ მთავარ ჯგუფად ჰყოფენ.

ამათში რიცხვით ყველაზე დიდი ჯგუფი ქართველურია: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური; მეორე ჯგუფს შეადგენენ: აფხაზური, აბაზური, ადიღური და უბიხური ენები; მესამე ჯგუფი: ჩაჩნური, ინგუშური და ბაცბური (თუშური); ყველაზე მეტი ენა დაღესტანშია. ეს მეოთხე ჯგუფი თავისი მხრივ სამ ქვეჯგუფად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ხუნძური – დიდოური – ანდური, ლაკური – დარგუული და ლეზგიური ჯგუფები. ყველა ამ ენათა ადგილობრივად შესწავლას შეუდგა არნ. ჩიქობავა თავისი თანამშრომლებით და ამის შედეგად მრავალი საფუძვლიანად დამუშავებული მონოგრაფია გამოიცა. ამგვარად, დღეისათვის საკმაოდ დიდი მასალა არის დამუშავებული, როგორც ქართული, ასევე კავკასიური ენების შესახებ. ამ ნახევარსაუკუნოვან კვლევის შედეგთა შეჯამებას წარმოადგენს ახლახან (1979) წელს გამოცემული წიგნი: არნოლდ ჩიქობავა, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი“. წიგნში წარმოდგენილია იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის შესწავლის შედეგად მიღებული სურათი, მორფოლოგიური და სინტაქსური აგებულება და ყველა ამ მონაცემთა მშვეობით გამოტანილი დასკვნები.

მკითხველს, ცხადია, სურს მოკლე და მარტივი პასუხი მიიღოს კითხვაზე: არიან თუ არა კავკასიური ენები ნათესაური? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი ჯერ გაცემული არ არის. არნ. ჩიქობავას წიგნი საეტაპო ნაშრომია, მაგრამ იმ სექტორის მიხედვით, რაც უკვე დამუშავებულია, თვით ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, ერთობა დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს“.

ჯერჯერობით ნაწარმოებმა კვლევამ აჩვენა, რომ კავკასიური ენები ბევრ შემთხვევაში ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ავტორი ამბობს, რომ „დღის წესრიგში დგება ლექსიკის შედარება და კანონზომიერ (ბგერათ) ფარდობათა საკითხი. ჯერჯერობით ასეთი ფარდობა არაა დადგენილი არათუ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელთა შორისაც“.

როცა მეცნიერულად ნათლად დადგენილი იქნება კავკასიურ ენათა ურთიერთდამოკიდულების ბუნება, მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებელი ურყევ საფუძველზე დაყრდნობილ გაფართოებულ კვლევის არეში, სხვა არაკავკასიურ – მაგალითად ბასკურ – ენების ჩარიცხვაც. ამ მხრივ არნ. ჩიქობავას წიგნი, მყარ საფუძველზე დულაბით დადებული ქვაა, რომლის გვერდით და შემდეგ ზემოთ სხვა ქვები დაედებიან, რაც საბოლოოდ მოგვცემს შესაძლებლობის ფარგლებში, მკაფიოდ გამოკვეთილ ნაგებობას.

ჩვენი უნივერსიტეტის კავკასიურ ენათმეცნიერების კათედროს და მეცნიერებათა აკადემიასთან ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის არსებობა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის მსოფლიო ცენტრად ხდის საქართველოს და ეს ბუნებრივიც არის.

თუ შინაგანმა ან გარეგანმა მიზეზმა, რომელთა დადგენაც კავკასია-საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის დამწერთა საქმეა, საქართველოს მიერ რამდენჯერმე ნაცად წამოწყებას – კავკასიის გამაერთიანებელის როლის ასრულებას ხელი შეუშალა, კულტურის სფეროში იგივე როლი კიდევ ქართველ ერს აკისრია. მართალია, ჩვენი დღევანდელი შეზღუდული უფლებები, შეუძლებლად ხდის კულტურულ დარგის მრავალ სექტორში ქართველთა მიერ კავკასიაში ხელმძღვანელობის განევას, მაგრამ არის დარგები, სადაც ამ როლის ასრულება საქართველოს კიდევ შეუძლია. ერთი ასეთი დარგია კავკასიური ენათმეცნიერება და ამ გარემოებას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს პირველი შეხედვით ჩანს.

დღეს ჩვენს სინამდვილეში წარამარა ყალბად ხმარებულ და ამიტომ ფასდაკარგულ ცნებას მოძმე ერებისა, კავკასიის მკვიდრთათვის რეალური და ღრმა ღირებულება აქვს შენარჩუნებული. მხოლოდ ამის გამოვლენა ხელოვნურ, ნაძალადევ ცხოვრების პირობებით არის შეფერხებული. საბჭოეთში ისეთი პირობებია, ბრძანებებით, ლოზუნგებით, პრეტენზიულ ცარიელ სიტყვებით ხალხს თავი აქვს მობეზრებული და კეთილი სურვილით გამოთქმული წრფელი სიტყვაც უნდობლად და იჭვით არის მიღებული.

ერთ დღეს ხომ ეს შეიცვლება. დღევანდელი ნაძალადევი „ძმები“, ძმობის სხვადასხვა ხარისხს თვითონვე დაადგენენ და შეუძლებელია, კავკასიის მკვიდრთა შორის თითქმის შეუცნობლად არსებულმა კავკასიის ხალხთა ძმობის რეალობამ ყველას თვალი არ აუხილოს. და მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტი თავიანთი კავკასიური კვლევებით, ყველაზედ მიმზიდველი და ნაკლებად საეჭვო ნერთილები იქნებიან კავკასიის ყველა მკვიდრთა, იმედის, ინტერესების, მისწრაფებებისა და ყველა ამ საგანთა მატარებელ პიროვნებათა შეხვედრისა.

კავკასიელი ძმები ისინი არიან, ვინც ხუთი ათასი წლის წინათ ერთი და იმავე ყალიბის ცულობით ჰკაფავდა ტყეებს და იმავე ცულობით გათლილ ძელთაგან მათთვის საერთო ღვთაება მთვარეს ტაძრებს უგებდა. მართალია, თანამედროვე ტექნიკამ ღვთაებრიობა წაართვა მთვარეს და იგი კავკასიელთა შემკრები ჯადო ველარ იქნება, მაგრამ ვერავითარი ტექნიკა ვერ გააღლობს ათასსაუკუნოვან ყინულით შეჭედულ კავკასიონს – ხერხემალს კავკასიელთა მოდგმისა.

306 იყვანე წანარები

კავკასიონი 20.1981

წანართა სახელი რიგით მკითხველთა უმეტესობისათვის საერთოდ უცნობიცი არის. ამიტომ, უპირველესად, საჭიროა ქართული ისტორიიდან ამონერილი ადგილების მოყვანა, რომ მკითხველს ის აუცილებელი წარმოდგენა ჰქონდეს ამ საკითხზე, რომლის უმისოდაც თვით წერილის გაგება ძლიერ გაძნელდებოდა. (ეს ცნობები შემოკლებულად ამონერილია საქართველოს ისტორიის წარკვევების მეორე ტომიდან).

წანარებს ისტორიკოსები დარიალის მიდამოებში, ახლანდელ „ხევში“ მცხოვრებ ერთ-ერთ კახურ ტომად მიიჩნევენ.

მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩნდებიან არაბულ წყაროებში წანარები, (წანარები), რომელთანაც არაბებს ბრძოლა უხდებათ. ამ წყაროებში მოხსენებულ წანარიას პოლიტიკური მნიშვნელობა კახეთს გულისხმობს.

არაბ ისტორიკოსს — ბალაძორს აქვს ცნობა, მერვე საუკუნის შუა წლებში იაზიდ იბნ-უსეიდი იმორჩილებს და ხარკავს წანარებს.

როგორც ვხედავთ, არაბები კვლავ იბრძვიან აღმ. საქართველოს მთიანეთის დასამორჩილებლად. ეტყობა, სწორედ ამ დროიდან იწყება წანართა ტომის აქტივობა, გაძლიერება. ამავ საუკუნის სამოცდაათიან წლებში წანარები ისევ აჯანყებულნი არიან, მათ წინააღმდეგ იბრძვის ჰუსეინ იბნ-კაჰტაბა. როგორც არაბული წყაროებიდან ჩანს, წანარები ამ დროს საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდნენ. წანარებთან ბრძოლა არაბებს უძნელდებათ და ჰუსეინი ჰალიფასაგან დამხმარე ძალას მოითხოვს. მას ოცი ათას კაცს უგზავნიან. ბრძოლა რამდენიმე დღე გრძელდება. არაბები იმარჯვებენ, წანარებმა 16000 კაცი დაკარგეს (იაკუბი).

ვინაიდან ქართული წყაროები კახეთის გამოყოფას დამოუკიდებელ სამთავროდ მერვე საუკუნის ოთხმოციან წლებით ათარილებენ, შეიძლება გვეფიქრა, რომ სამოციან-სამოცდაათიან წლების ამ ამბებში წანარები ცალკე მოქმედებენ კახეთის სხვა ოლქებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ამაში მათი სიძლიერე

გვაეჭვებს. არაბები წანართა დამარცხებას მხოლოდ 20 ათასიანი მაშველი ჯარის მიღების შემდეგ ახერხებენ. დამარცხებულ წანარებს 16 ათასი მეომარი მოუკლეს. საეჭვოა, რომ ამოდენა ძალა მარტო წანარებს ჰყოლოდათ. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წანარების მოთავეობით საერთო მტრის წინააღმდეგ უკვე არსებობს კახეთის მოსახლეობის კავშირი, რომელიც თანდათან პოლიტიკურ ორგანიზმად – სამთავროდ იქცა.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პარალელურად წანარები მეზობელი მხარეების შემომტყიცება-გაერთიანებას ახერხებენ. არაბები უშედეგოდ ცდილობენ ამ მოვლენას ხელი შეუშალონ და წანარები თანდათან დამოუკიდებლობას იპოვებენ. ნიშანდობლივია, რომ არაბები მერვე საუკუნის დასასრულისა და მეცხრე საუკუნის დასაწყისის ამბებში, ერთმანეთს უპირისპირებენ ჯურზანსა (ე.ი. ქართლს) და სანარიას (ე.ი. კახეთს). „სანარია“ უკვე ქართულიდან გამოყოფილი კახეთის სამთავროა, რომელშიც წანარები წამყვან ტომს წარმოადგენენ და პირველი მთავრებიც მათგანვე ირჩევიან. მეცხრე საუკუნის დასაწყისში კახეთის გაერთიანება წანართა მეოხებით მომხდარი ფაქტია. ბიზანტიის ოფიციალური ხელისუფლება კახეთის მმართველს წანართა არხონტს უწოდებს. ამგვარად ფართოვდება ცნება „წანარეთის“ მნიშვნელობა, – ის ჯერ მთელ კახეთზე და ზოგ შემთხვევაში კახეთთან შემოერთებულ-გაერთიანებულ ქვეყნებზედაც ვრცელდება. აღნიშნულ მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს ზოგ წყაროებში წანარეთის, ზოგადად, კახეთისა და ზოგჯერ კახეთ-კუხეთის მნიშვნელობითაც ხმარება. ამ მხრივ საყურადღებოა, მეთერთმეტე საუკუნის ოციან წლებში მეფე გიორგი პირველსა და ბასილ კეისარს შორის წარმოებულ ომის დროს, „მატიანე ქართლისას“ ავტორის ცნობით, გიორგი მეფის მხარეზე იბრძოდა „ძალი კახეთისა და ჰერეთისა“, ხოლო სუმბათ დავითის ძის თანახმად: „გიორგი მეფემ დამხმარედ მოიყვანა „წანარნი და შაქნი“. როგორც ვხედავთ, აქ „წანარნი“ და „კახნი“ იდენტურ ცნებებს წარმოადგენენ. მერვე საუკუნის დასასრულს კახეთ-კუხეთი გაერთიანებულია გრიგოლ მთავრის ხელში და გარდაბანიც მის მიერ არის დაპყრობილი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ, ხელისუფლება გარდაბნელთა ხელში ექცევა. მემატიანე ამბობს: „მას ჟამსა შეთიქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორეპისკოპოსად დანი ძე იოანე ქვაბულისძისა“. ხოლო მის შემდეგ... იყო გაბრიელ დონაური, ძმა სამუელისა. ამ ხნის განმავლობაში (827-881) ქართველ მემატიანეს თხზულებაში კახეთ-კუხეთი გარდაბანი ერთი სახელით — გარდაბნით აღინიშნება, ხოლო არაბულ წყაროებში „სანარიად“.

ასეთი სურათია მთელი მეცხრე საუკუნის მანძილზე. ქართული წყაროების მიხედვით, კახეთის მთავრებზე და კახეთზე. ხოლო არაბული წყაროები სანარებს და სანარიას ახსენებენ. არაბების მსგავსად კახეთის სამთავროს წინარეთს უწოდებს ზოგიერთი სომეხი და ბიზანტიელი ისტორიკოსი.

აღსანიშნავია, რომ „წანართა მეფეს“ ხელმწიფის კარის გარიგებაც ახსენებს, მაგრამ ამასთან გვერდით – კახთა მეფესაც და აღვანთა მეფესაც.

წანართა სახელის ასეთი გავრცობის მიზეზად მათი ტომის ეთნიკური გავრცელების ვარაუდი მეტ საბუთიანობას მოითხოვს, ხოლო მათი პოლიტიკური ჰეგემონობა თითქოს დავას არ უნდა ინვესტდეს. ამ პოლიტიკურ ჰეგემონობის შედეგად მოხდა საკუთრივ წანართა ხელისუფლების „ქორეპისკოპოსის“ ტიტულის მთელი კახეთის მმართველის ტიტულად ქცევა“.

ასეთია ცნობები, რომელთაც უახლესი ხანის ქართული ისტორიოგრაფია გვანდის. ყოველივე ეს ამ სახით არ იყო წარმოდგენილი საქართველოს ისტორიის ძველ გამოცემებში და ამიტომ წანარების ამგვარად გაცნობა სიახლეა.

როდესაც კაცი გაიგებს, თუ რა დიდი როლი უთამაშია აქამდე თითქმის უცნობ ტომს, აღმოსავლეთ საქართველოს და კერძოდ, კახეთის პოლიტიკურ ისტორიაში, ძლიერ გასაკვირად ჩანს ის მოვლენა, რომ ასეთ ტომის სახსენებელიც კი გამქრალა – იმდენად, რომ წერილობით ცნობების გარდა, არა დარჩენილა რა, თუ არა სოფელ სტეფანწმინდის ოსური სახელი შანა (დ. მუსხელიშვილი). არსებობს სხვა ამგვარი მაგალითი?

გაჰქრნენ ჯიქები, აფშილები, დვალეები, საინიგები, მაგრამ არსებობენ: ჯიქიები, აფშილავები, დვალეები, საინიგები, გოთუები, ალანიები, ქიმერიძეებიც კი – მიუხედავად იმისა, რომ უძველეს დროსთან გვაქვს საქმე. წანარების წერილობითი მოხსენება კი მეთერთმეტე საუკუნის ამბებს შეეხება. თუ ამგვარი ტომი არსებობდა, როგორ დაივიწყეს მოხვედრებმა თავიანთი ვინაობა, ან მათმა მეზობლებმა – მათი სახელწოდება. იყო კი „წანარი“ ტომის ეთნიკური სახელი, თუ მხოლოდ პოლიტიკური მოვლენის გამო შეერქვა ამ მხარეს წანარეთი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მსურველს, უპირველესად თვით ამ სახელის ამ ადგილებში არსებობის უცნაურობა ეცემა თვალში, რაეთი დაბოლოებული სადაურობის მაჩვენებელი ფორმა დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის არის დამახასიათებელი: ცხუმარი, ოდიშარი, აჭარი, კოლარი, ხოტევაარი, ოპიზარი, სამძივარი. როგორ გაჩნდა ასეთი ფორმა ხევში? ხომ არ მივყავართ ამ სიტყვის ეტიმოლოგიას დასავლეთ საქართველოში? იმდროინდელი დასავლურ ქართულის ეტიმოლოგიას მეგრულთან მივყავართ. და აღმოჩნდება, რომ კანონზომიერ შესატყვისობის გზით ძირი სიტყვისა „წან“, მეგრულში გამოითქმის „ჭან“; წითელი – ჭითა, წვიმა – ჭვიმა, წნელი – ჭინუ, მწყერი – ჭყორი, წანერი – ნაჭარა, წყველა – ჭკულა, განწყეტილი – გოჭყვადილი და სხვა. ასე რომ, სიტყვა წანარი გვევლინება, როგორც გაქართულებული ჭანარი ე.ი. კაცი ჭანეთიდან. დასავლურ ქართული ფორმით გამოთქმული სადაურობა ჭანარი, ნაცვლად აღმოსავლურ ქართულის ჭანეთელი ან ჭანელისა.

რა შეგვიძლია ვიფიქროთ ამის გამო – რომ მოხვედრები ჭანები იყვნენ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ძალიან ადვილად დასაშვებია სხვა მიზეზის არსებობა, რომლის გამო ამ მხარეს ჭანების სახელი დაერქვა. ამისათვის საკმარისია, რომ რამე მანქანებით ამ მხარის გამგებლად ვინმე ჭანი გამხდარიყო. არსებობს კი საამისო რაიმე მითითება? ასეთ მითითებას არ წარმოადგენს, მაგრამ არც

ენინალმდეგება მას „მოქცევაი ქართლისა“-ში მოყვანილი ერთი ცნობა „ვითა მეფობაი დაესრულა, ქართლსა შინა სპარსნი გაძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიპყრეს, ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი უვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი უვსეთისვე და ორნი დვალებს და ერთიც პარჭუანს დორძოკეთისა და იგი მთიულნი მომარდათ დაადგინეს, და სხვაი ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ხევსა და მორჩილები დასვეს მისი“. ამ ციტატაში მხოლოდ ერთი სიტყვაა ასახსნელი. ეს არის „მომარდად“ და ეს სიტყვა, ზოგჯერ დაბეჭდილია, როგორც „გომარდად“. არც განმარტებით ლექსიკონში, არც აბულაძესთან ეს სიტყვა განმარტებული არ არის. მხოლოდ საბასთან მოიპოვება სიტყვა „მარდა“, რომელსაც მიწერილი აქვს: ესე არს არა დლითი-დღედი ფასი, არამედ გარდაკვეთით მუშაკობა – მარდად დაჭერა; და ვარიანტი: მარდა არს, რომელმან მუშათა არა დლიური ფასი მისცეს, არამედ გარდაკვეთით.

როგორც ვხედავთ, ეს დღევანდელ ცნებას — „იჯარას“ შეესაბამება და ჩვენს ტექსტში აღნიშნავს იმას, რომ ხსენებული „კარების“ ე.ი. ულელტებილების დამცველებს თავიანთი სამსახურის გასამრჯელოდ, სარგებლობის მომტანი რალაც პრივილეგია – უფლება მიენიჭა. და რა უნდა ყოფილიყო „გარდაკვეთით“ მინიჭებული სარგო, თუ არა ფლობა მიმდგომი ადგილებისა.

ამასთანავე ტექსტში გარკვევით ნათქვამია, რომ წანარეთის ხევის მმართველად ვიღაც უცხოელი დაუყენებიათ – არა ადგილობრივი. „და სხვა ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ხევსა და მორჩილები დადვეს მისი“.

თუ როგორ შეიძლებოდა, რომ სპარსელებისაგან დადგენილი ეს მმართველი ჭანი ყოფილიყო, ამის წარმოდგენას არავითარი სიძნელე არ ელოდება. ცნობილია, რომ აღწერილ ამბის ხანებში ირანი ძლიერ აქტიურად იყო ჩაბმული დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ თუ სამხედრო საქმეებში და არაფერი განსაკუთრებული გარემოება არ იყო საჭირო, რომ ვინმე ჭანი დიდებული ან მხედართმთავარი ირანელების სამსახურში შესულიყო.

ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც 549 წელს პეტრასთან (ციხისძირთან) მომხდარი ამბავი; ბიზანტიელმა სარდალმა დაგისტემ სპარსელთა მიერ პყრობილ პეტრას ალყა რომ მოხსნა და გაიქცა, ხოლო მისი მოკავშირე 1000 კაცისგან შემდგარი ჭანების რაზმი რომ მას კი არ გაჰყვა, არამედ ბიზანტიელთა მიერ მიტოვებულ ბანაკს დაუწყო ძარცვა, რომლის დროსაც ციხიდან გამოსულ სპარსელებთან ნადავლისა გამო ბრძოლა გაჩაღდა. პროკოპი კესარიელი თუმცა ამბობს, ამის შემდეგ ჭანები თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენო, მაგრამ განა ყველას ჰქონდა დასაბრუნებელი პირი? მაგალითად, მეთაურებს?

თუ ბიზანტიელების წინაშე პირგატეხილი ვინმე ჭანი დიდებული სპარსელთაგან მიღებულ უფლებით დარიალსა და მის მიდამოებს დაეპატრონა, სრულიად ბუნებრივად აიხსნება ყოველივე, რაც ამას მოჰყვა. მაშინ წანარეთი ეთნიკურ სახელს კი არ ნიშნავს, არამედ პოლიტიკური შინაარსის ტერმინია და ქვეყანას

წანართი იმიტომ დარქმევია, რომ მისი მფლობელი ჭანი იყო. ასეთი შემთხვევა მრავალია: სალიპარტიანო, საბარათიანო, სამურზაყანო და სხვა. ასევე გასაგები იქნება ის მოვლენა, რომ ეს სახელწოდება ისე გაქრა, რომ კვალი არ დაუტოვებია, რაც ძალიან ძნელია, რომ ეთნიკურ სახელს მოსვლოდა.

სახელი ჭანი და წანი-ს იდენტურობა და სახელი წანარი-ს დაბოლოების დასავლურ-ქართული ფორმა დამაფიქრებელია, მაგრამ ცხადია, მარტო ეს არ კმარა დასამტკიცებლად იმისა, რომ სახელწოდება წანარი ვინმე ჭანი მთავარისაგან მიეცა ქვეყანას.

ყოველი კვალი ასეთი მოვლენისა გამქრალი ვერ იქნება და უადგილო არ იქნებოდა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევა რომ ჩატარებულიყო. თუ „სხვა კაცი“ ჭანი იყო, საფიქრებელია, რომ იგი მარტოდმარტო არ იქნებოდა, პირუკუ სავარაუდოა, რომ მას კარგა მრავალრიცხოვანი ჯგუფი მოჰყვებოდა ჭანებისა. ამიტომ უნდა გაისინჯოს ადგილობრივ ხევში ხომ არ დარჩენილა გვარებსა და სახელებს შორის რაიმე კვალი ჭანურისა.

უკვე ის ორი მოხვეური გვარი, რომელთაც ყველა იცნობს, აჩენს ზოგიერთ „მეგრულობას“. ეს გვარებია: ლუღუშაური და კაიშაური. შა-ზე დაბოლოებული ეს გვარები ძალიან მოგვაგონებენ გურიაში გავრცელებულ ლაზურ გვარებს: ჯაში, ტულუში, ხალვაში, ნაკაში (ძე), ურუშა (ძე) და ამასთანავე პირველი გვარის ძირი „ლუღუ“ ძლიერ გავრცელებული ზედასახელია დღევანდელ სამეგრელოშიც. საინტერესოა აგრეთვე ყაზბეგის პერსონაჟთა სახელები. არ ვიცი, ეს სახელები ყაზბეგმა აირჩია თუ არა, როგორც ხევში გავრცელებულნი, მაგრამ ნორმალურად ასე უნდა ვიფიქროთ, რადგან მწერლები ასე იქცევიან და თუ ეს ასეა, მაშინ ნიშანდობლივია, გორა, ონისიმე და იაგორა სწორედ ის სახელებია, რომელთაც სამეგრელოში ყოველ სოფელში რამდენიმე კაცი ატარებს. და არა მგონია, ქართლში ან კახეთში ასევე იყოს. ეს მოვლენა ძლიერ საყურადღებოა, რადგან სახელთა გავრცელების ერთ-ერთი მექანიზმი, მაღალი წრის ძლიერ და გავლენიან პირთა სახელების ბავშვთათვის დარქმევაა. რაც შეეხება სახელს — ელგუჯას, ასეთი ფორმით იგი მართალია, სამეგრელოში არ არსებობს, მაგრამ გუჯი, გუჯუ და გუჯუჯი ძლიერ გავრცელებული სახელებია.

რაც შეეხება ტოპონიმებს, ნავარაუდევ პირობებში ასეთების პოვნას არც უნდა მოველოდეთ, მაგრამ ცალკეული შემთხვევა მაინც გამორიცხული არ არის. ამ მხრივ ყურადსაღებია სახელწოდება ფასანაური, რაც ფასიანების სახელს მოგვაგონებს. ასევე საინტერესოა ტოპონიმი მლეთი – იმიტომ რომ მელე მეგრულად გაღმას ნიშნავს. ამ სოფელს ისეთი მდებარეობა ხომ არა აქვს, რომ „გაღმეთი“ დარქმეოდა? ვახუშტისგან ვკითხულობთ: „ხოლო ხევის ბოლოს არს ლაზური, მას ქვეით ჯარიებს მოერთვის ხევის არაგვს ქისტ-ქურძუკის წყალი“. როგორ გაჩნდა ამ მხარეში სახელწოდება „ლაზური“? ვახუშტივე ასახელებს საგურამოს ზემოთ, არაგვის ხეობაში, მთას „იალონი“. ეს სიტყვა ქართული ალიონის მეგრული ფორმაა.

რაკი ისტორიული ცნობები გვეუბნება, რომ კახეთის სამთავროს ჩამოყალიბება ნანართა მეთაურობით მომხდარა, აქედან ცხადია, ისიც გამომდინარეობს, რომ ნანართა ადგილობრივ ზედაფენას ეს საქმიანობა „შეისრუტავდა“ ე.ი. მაშინ პოლიტიკურად გაბატონებულ ცალკეულ ნანართა შთამომავლობა დღეს კახეთში უნდა ცხოვრობდეს და უპირველესად კახეთშიაც მაღალ ფენაში უნდა ვეძიოთ ისინი. ამისათვის კახეთის ნარჩინებული გვარები უნდა გადაისინჯოს, რომ ენახოთ, არიან თუ არა ამ გვარებში ისეთები, რომელთაც რამე კვალი ეტყობათ ჭანურ-მეგრული წარმომავლობისა. ვახუშტის ჩამოთვლილი ჰყავს შემდეგი გვარები: ჭავჭავაძე, ჩიჯავაძე, ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი, ავალიშვილი, მაცაშვილი, ვაჩნაძე, ვახეაბიშვილი, ჯორჯაძე, რუსიშვილი, ჩერქეზი და ანდრონიკაშვილი. სამი უკანასკნელი, როგორც უცხოურ წარმომავლობის გვარები, ამ საკითხისათვის საინტერესო არ არის.

დავინყოთ პირველიდან: ჭავჭავაძე. ამ გვარს თუ დაბოლოება ძე-ს მოეჭრიოთ, წმინდა მეგრული ტიპის გვარი ჭავჭავა დაგვრჩება და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ავა-ზე ბოლოვდება, არამედ იმიტომაც, რომ პირველი მარცვლის ჭავ-ის ორჯერ ზედიზედ გამოთქმაც ტიპურად მეგრული მოვლენაა: ჩაჩავა, ჭიჭინავა, ჯიჯინია, ძაძამია, კეკელია, გეგელია, ბობოხია, ფიფია, დუდუჩავა, ნურნუშია, ხიხია, ჯანჯღავა და აუარებელი სხვა. ამასთანავე, ისიც მხედველობაში მისაღებია, რომ ჭავჭავაძის ძირის მიხედვით, პარალელური მოეპოვება ხონის რაიონში არსებულ გვარით – ჭავჭანძე. ხოლო ჭავჭავაძეთა კახეთში მოსვლის თაობაზე პ. ინგოროყვა გვეუბნება, მთიანეთიდან მოსულნი არიანო.

მეორე: ჩიჯავაძე. ეს გვარიც „მეგრულად“ გამოიყურება, თუ ძე-ს მოვეკვეცათ, ჩიჯავა დაგვრჩება, მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურება. ეს გვარი დამონმებულია სამცხეში (ციციშვილების ქართლში მოსვლასთან დაკავშირებით) და დასავლეთ საქართველოშიც საჩინოს მიდამოში. გარდა ამისა, როგორც ქალბატონმა სოფიო კედიამ, ჩიჯავაძის ასულმა გადმომცა, ამ გვარში ტრადიცია არსებულა მეგრული წამომავლობისა და გვარის მეგრულ ეტიმოლოგიაზე მიუთითებენ; ჩე ჯა მეგრულად თეთრ ხესა ნიშნავს.

გავსინჯოთ მესამე გვარი: ჩოლოყაშვილი. ამ გვარის ეტიმოლოგიის დასადგენად განმარტებით ლექსიკონში ვერაფერს ვიპოვით, მაგრამ ნუთუ კურიოზული არ არის, რომ სწორედ სამეგრელოში არსებობს გვარი ჩოლოყავა და მდინარე ჩოლოქიც ლაზების ყოფილ ქვეყანაშია?

მეოთხე: ავალიშვილი. ამ გვარს ტიპურად მეგრული არაფერი აქვს, მაგრამ ავალიანები მაინც ცხოვრობენ ყოფილ ლაზიკაში – იმ მიდამოებში, რომელსაც კახეთიდან ქართლიცა და იმერეთიც ყოფს.

მეხუთე: ჯანდიერი. ეს გვარიც არავითარ „მეგრულობას“ არ ამჟღავნებს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ასეთი ფორმის გვარი მეგრულ სამყაროში უფრო ბუნებრივად მოთავსდებოდა, ვიდრე კახურში, სადაც იგი სხვა მხრიდან მოსულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მეექვსე მაყაშვილი: არც ამ გვარს ეტყობა რამე სპეციალურად, მეგრულ და კახურ გვარებს შორისაც ადვილად თავსდება. მაგრამ რამდენიმე შენიშვნა: თავსართი მა- უფრო მეგრულია, ვიდრე ქართული (მეგრულში ა შემონახულია ფუძე-ქართულიდან, ქართულში კი ხშირად ამოვარდნილია) მაგ. მატახალი – მტეხელი, მაჭკირალი – მჭრელი, მახული – მხერეტელი, მაჭული – მწველი და სხვა. ალბათ, ამავე მიზეზით მეგრულში ხშირია მა-ზე დანყებული გვარები: მაქაცარია, მატახერია, მამფორია, მახსულია, მაკალათია, მანწკავა, მაშაფა, მარღანია და სხვა.

მეშვიდე გვარი: ვაჩნაძე. ამ გვარის წარმოშობის შესახებ მრავალი ვერსია არსებობს. ლაპარაკობენ ჩინურ წარმოშობაზეც. უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ სახელწოდება ვაჩე-დან მოდის, რაც ვაცხას ნიშნავსო. სიტყვა ვაცის ვაჩეთ გამოთქმა უფრო მეგრულია, ვიდრე ქართული. ასო ჩ სწორედ მეგრულში ენაცვლება ქართულ ც-ს. კოჩი კაცი, მეჩამა – მიცემა, ჩილამური – ცრემლი, ჩილი – ცოლი, ეჩი – ოცი და სხვა.

ამასთანავე უნდა გავიხსენოთ მეგრული ოჩოკოჩი, რაც ვაციკაცის შესატყვისია და ამას უნდა დავმატოს, რომ ამ გვარს მოეპოვება პარალელი დასავლეთ საქართველოში ვაჩიშვილის სახით, მაგრამ ამ გვარის ფორმაში სხვა მხრივაც მოიპოვება მეგრული ელემენტები. თავსართი ვა მეგრულში უარყოფის გამოშხატველია – როგორც ქართულში არ: ვაუნუა — არ უთხრა, ვალოლა — არ ქნა, ვამილუ — არა მაქვს და სხვა. ხოლო ჩინაფა მეგრულად ცნობას ნიშნავს: ვიჩინექ – ვიცნობ, ვევიჩინექ – არ ვიცნობ. ამრიგად, ვეჩინა არ იცნო-ს ნიშნავს, ხოლო ვაჩინა არ გააცნო იქნება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სახელი ვაჩე საქართველოს მრავალ მხარეშია დამონმებული.

მერვე – ვახვახიშვილი. ამ გვარსაც ახასიათებს მეგრულ გვართა შორის გავრცელებული ფორმა პირველი ნაწილაკის გამეორებისა: ვახ-ვახ. აგრეთვე არსებობს მეგრული გვარი ვახანია. და საერთოდ, ძირი ვახვახ ნორმალურად და „შინაურულად“ თავსდება გვარებში: კორძახია, კობახია, ხიხია, ჯავახია, სულუხია, ჯიჯიხია, ბობოხია, ვახანია და რატომ არა, ვახვახია.

მეცხრე – ჯორჯაძე. ამ გვარს მოეპოვება პარალელი: ჯორჯიკია, დარჩა გვარი დონაური. დონ-ზე დანყებული სიტყვა ქართულ ლექსიკონში ორიოდება. მეგრულში კი უამრავია: დონწყილი – დალუპული, დონჯირა – დანოლა, დონაჭკირა – დანაჭკერი, დონაკვათი – დანაკვეთი, დონახუნა – დანაჯდომი, დონაჭარა – დანანერი და სხვა.

როგორც ვხედავთ, დო მეგრული თავსართია, რომელიც ქართულ და-ს შეესი-ტყვისება. გარდა ამისა, ქართული გრამატიკის კავშირი და-ც მეგრულად გამოითქმის როგორც დო. მაგალითად: მე და შენ – მა დოსი, დლე და ღამე, დლეა დო სერი და სხვა. აქედან ჩანს, რომ მეგრულში ნაწილაკი „დო“ და „დონ“ იმდენადვე ხშირია, როგორც ქართულში „და“ ან „დან“. ყოველივე ამის დამატებით სამეგრე-ლოში არსებობს გვარი, რომელიც სწორედ დონ-ით იწყება: დონდუა.

არსებობს ამ გვარის დაწერის ვარიანტი: დიონაური, ამ შემთხვევაში ეს ძირი „დიო“ ქართულისათვის სრულიად უცხოა, მეგრულში კი „დიო“ ჯერ გაკვირვების

გამომხატველი წამოძახილია, მერე ასე გამოითქმის მეგრულად ქართული „ჯერ“; ჯერ არა — დიო ვარ; ჯერ ჭამე — დიო ჭკომი და სხვა. შემდგომ „დიოს“ კვალი ჩანს ქართული თავსართის „დაა“-ს მეგრულ ფორმაში, მხოლოდ ასო „დ“ შეცვლილია ასოთი „გ“: დასხმა — დობუმა, დაასხი — გიობი, დაჭედე — დოჭკადი, დაწერე — დოჭარი, დაწერე — გიოჭარი, დაჯდომა — დობუნა, დააჯინე — გიოხუნე, დაწერე — დოჭაბი და სხვა. შესაძლებელია, ჭანურში არცა აქვს ადგილი ამ შეცვლას ასოსი „დ“ ასოთი „გ“.

არის პარალელები აგრეთვე მეგრულ და კახურ სხვა გვართა შორისაც: მაგალითად: ჯანაშია — ჯანაშვილი, ჭურღულია — ჭურღულაშვილი, ფირცხალავა — ფირცხალაური, კაჭარავა — სოფელი კაჭრეთი.

აგრეთვე ყურადღებას იპყრობს რამდენიმე კახური ტოპონიმი: მაგ. ვეჯინი, რაც მეგრულად ნიშნავს „ვერ გაიხედე“ (ბრძანებითი ვეჯინა); უინვანი ანუ უინვალი, უი მეგრულად „მალალს“ ნიშნავს, უინი — იმას, რაც მალლა, ზემოთ არის. საინტერესოა, არსებობს თუ არა უინვალის ახლოს სხვა დასახლება, რომლის მიმართაც შეიძლება გაჩენილიყო სახელწოდება უინვანი ანუ ზემო ვანი. ყურადღებას იპყრობს სახელი ჟალეთიც, რადგან იგი მოგვაგონებს მეგრულ სიტყვა ბჟა-ს, რაც მზეს და რქესაც ნიშნავს.

როგორი დასკვნის გამოტანა შეიძლება ყოველი ზემოთქმულიდან? ცხადია, ამით წერილში ჰიპოტეზების სახით გამოთქმული აზრი არ მტკიცდება, მაგრამ აქ მოყვანილი მითითებანი უთუოდ არ ავლენენ რალაც დამაკავშირებელ ძაფების უეჭველ არსებობას მეგრულ და მთიულურ-კახურ სამყაროთა შორის. დასახელებულ გვართა და ტოპონიმთა შორის ზოგიერთის მიმართ, ჩვენთვის საინტერესო ხანაზე უფრო ადრე ან გვიან წარმოშობა თუ დადგინდა, ცხადია, ეს საბუთად ვერ გამოდგება, მაგრამ ჯერ საჭიროა ყოველივე ეს გაისინჯოს, რადგან ამგვარი „კავშირის“ არსებობა, თუ ბუნებრივი იქნებოდა ვთქვათ, სამეგრელოსა და არგვეთს შორის, კახეთთან ასეთი კავშირის არსებობა, თუ იგი დადგინდა, ახსნას მოითხოვს.

ამ საკითხისათვის შუქის მოსაფენად საინტერესო იქნებოდა მოხეურ დიალექტის გადასინჯვა, რადგან თუ წანარები ჭანები იყვნენ, შესაძლებელია, მათ ზოგი ჭანური ან ბერძნული ტერმინიც თან მოეტანათ — აღმნიშვნელნი ტანისამოსის, ცხენის მოკაზმულობის, იარაღის ან საჭმელ კერძებისა — ანალოგიურად ქართულში შემოპარულ: საროჩკა, კალბასი, ქალის სედლო და სხვა ამგვარებისა.

ერთი ასეთი „მოტანილი“ ტერმინის სახე აქვს სიტყვას „ქორეპისკოპოსი“. ამ სიტყვის გარშემო მრავალი აზრი გამოითქვა, მაგრამ საკვირველია, რომ არავინ უცნაურად არ მიიჩნია ამგვარი შინაარსის მქონე სიტყვის მოხვევთა მიერ გამოყენება თავიანთ ხელისუფლის სახელად. ხომ ცნობილია, რომ მთიულნი და ისიც მეექვსე საუკუნის დასაწყისში არც მხურვალე ქრისტიანობით, არც „ბერძნულობით“ არ გამოირჩეოდნენ. ეს მოვლენაც ახსნას მოითხოვს, ხოლო წანართა ჭანობის

შემთხვევაში ყოველივე თავისთავად აიხსნება. ჭანებმა ადგილობრივ არსებულ „ხევისბერი“ თავისებურად გადააკეთეს და არავითარ „უპირველესად სასულიერო პირის მიერ საერთო ხელისუფლების მიტაცებასთან“ არა გვაქვს საქმე, როგორც ზოგმა ეს მოვლენა ახსნა.

ასევე უცნაურად მოჩანს ჩამორჩენილი ტომის მიერ ისეთი პოლიტიკური როლის შესრულება, როგორიც ნანარებმა შეასრულეს. მაშინ, როდესაც ბიზანტიურ პოლიტიკურ ხეანჯებთან გამინაურებულ ავანტიურისტ ჭანებისაგან ასეთი მოქმედება სწორედ რომ მოსალოდნელია.

კიდევ მეტი. ეს მოვლენა სრულებით ბუნებრივად თავსდება საქართველოს ისტორიის ჩარჩოში სხვა ანალოგიურ მოვლენათა გვერდით. გავიხსენოთ იბერიის მეფეთა მიერ დაბალ განვითარებულ კავკასიის მთიელთა გამოყენება თავიანთ პოლიტიკური მიზნებისათვის. ასევე – ბერძნულ-ქართულ კულტურას ნაზიარებ აფხაზთა დინასტიის მიერ ჩამორჩენილ და სწორედ ამიტომ მრავალრიცხოვან ჯარის გამოყვან აფხაზთა ტომის გამოყენება დიდ პოლიტიკურ წარმატების მისაწვდომად და ცოტა სხვაგვარი ვარიანტი ყოფილთა გამოყენებისა.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ნანართა ჭანებად მიჩნევა პასუხს იძლევა შემდეგ კითხვებზე: როგორ გაჩნდა დასავლეთ-ქართული დაბოლოება „არი“ ხეში? რატომ გაქრა ნანართა სახელი? როგორ ითამაშა ჩამორჩენილმა კუთხემ ასეთი პოლიტიკური როლი? როგორ მიეცა მოხვევთა ხელისუფლის ტიტულს ბერძნულ-ეკლესიური ფორმა? რით აიხსნება ხევისა და კახეთის კერძო სახელთა, გვართა და ტოპონიმთა კავშირი დასავლურ-ქართულ და მეგრულ სამყაროსთან? რატომ არ არიან მოხსენებული ნანარები სხვა მთიელ ტომების გვერდით წმიდა ნინოს განმანათლებელ მიმოსვლის დროს იბერიის მთიანეთში? რატომ არ არსებობს გამოთქმა „ნანართა კარი“ თანაბრად ოსთა, არაგვის და ალანთა კარისა? რატომ არ არსებობს არც სოფელი, არც მდინარე, არც ციხე, არც გვარი, სახელ „ნანართან“ დაკავშირებული?

თუ ნანარებს ტომის სახელად მივიჩნევთ, ეს კითხვები კითხვებად რჩება.

ამ წერილს მეცნიერული ნარკვევის პრეტენზია არა აქვს. იგი იბეჭდება როგორც ისტორიის მოყვარულ კაცის გაბაასება ჟურნალის მკითხველებთან, მაგრამ ავტორს ჰგონია, რომ წერილში წამოჭრილი პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები, არც იმდენად ზერელედ და უსაფუძვლოდ არიან დასმულნი, რომ ღირსნი არ იყვნენ ავტორზე უფრო კომპეტენტურ სპეციალისტთა ყურადღებისა.

შენიშვნა: მყინვარის მიდამოებში არის ადგილი გაბარჯინა, შეადარე პალიასტომიდან გამდინარე წყლის სახელი კაპარჭინა; სახელი სოფლისა ოჟიო, მეგრულად იგივეა, რაც ქართულად – საზეიმო; ერწო-თიანეთის სარგოს წიგნი სოფელ ჟინვანს აშკარა მეგრული ფორმით – ჟინოვანის სახელით მოიხსენიებს. შეადარე ჟინოსქუა – აზნაური – მალალისშვილი.

ავტორს კლ. პტოლემეაიოსიც არ ავიწყდება, მაგრამ საბოლოოდ დასკვნას მხოლოდ კვლევა იძლევა.

ზოგისა გამგაც ჩხრიალეს

ივრია 25.1982

კალე სალია, ქართველი ერის ისტორია (ფრანგულ ენაზე). 559 გვერდიანი წიგნი, რომელთაგან 450 გვერდი საკუთრივ ისტორიაა, ხოლო დანარჩენი – დამატებითი თავებია: ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, გეოგრაფიული ცნობები. ეს თავები გადმობეჭდილია „ბედი ქართლისას“ 72-77 წლის ნომრებიდან. წიგნი კარგ ყდაშია ჩასმული. შიგ მოთავსებულია 58 კლიშე, რომელთაგან თორმეტი ფერადი სურათია, ხოლო რვა — რუკა. წიგნში აგრეთვე მოთავსებულია ქართული დამწერლობის ნიმუშები (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) და ქართული ანბანის განვითარების შედარებითი სურათი. მოყვანილია აგრეთვე ბაგრატიონთა გენეალოგიის სქემა, რასაც მოსდევს ქრონოლოგიური ტაბულა: 150 თარიღი ქ.წ. მეთვრამეტე საუკუნიდან 1918 წლამდე. აგრეთვე დაბეჭდილია ჯაყელ-ციხისჯვარელთა გენეალოგია და საქართველოს მღვდელმთავართა სია დასაწყისიდან დღევანდლამდე.

ისტორიული თხრობა მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე (თუმცა შესავალში ნათქვამია, რომ თხრობა მიყვანილია რევოლუციამდეო, მაგრამ ეს არასწორი ცნობაა და იგივე გამოიხატება ბოლოსიტყვაობაში). პერიოდი, ოთხმოცდაათიან წლებიდან რევოლუციამდე, თეთრად არის დატოვებული, ხოლო ხანა, რევოლუციიდან გასაბჭოებამდე, წარმოდგენილია საკმაოდ წესიერად და სრულად შედგენილ ქრონოლოგიით.

შესავალში ნათქვამია, რომ ავტორს არ ავიწყდება ან გარდაცვლილ რენე ლაფონის შენიშვნა: ევროპულ ენაზე არ მოიპოვება საქართველოსა და მეზობელ ქვეყნების შესახებ დამაკმაყოფილებელ ცნობათა შემცველი ნაშრომიო. ლაფონის ეს სიტყვები გულისხმობს, რომ უკვე ოცდაათი წლის წინ გამოცემული მანველიშვილის ნაშრომი, რომლის არსებობაც, ზედმეტი არ იქნებოდა ანალოგიურ შემთხვევებში მიღებულ წესისამებრ რომ აღნიშნულიყო, დღევანდელ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რაც, ცხადია, მართალია, მაგრამ ყოველივე ეს რეცენზენტს თითქმის აიძულებს ორი ნაშრომი ერთიმეორეს შეადაროს – თუნდ მხოლოდ იმისათვის, რომ

დავინახოთ, ამ დარგში არსებულ ხარვეზის შევსება რა ზომით არის მიღწეული. ბ-ნ სალიას წიგნის თხრობა მანველიშვილისაზე უფრო ვრცელი ჩანს: მანველიშვილთან 450 გვერდიდან 150 გვერდი შესავალს, უძველეს პერიოდს და უახლეს ხანას უკავია. ასე რომ, ისტორიულ ხანას, რომელსაც მანველიშვილი სამას გვერდს უთმობს, ბ-ნ სალიას 450 გვერდი შეესაბამება. მხოლოდ საქმე მარტო მოცულობაში არ არის. როდესაც სამიათასწლიანი ისტორია 450 გვერდშია შეკუმშულად დატეული, ისმება პრობლემა მასალის შერჩევა-განანილებისა, ე.ი. უფრო მნიშვნელოვანისათვის უპირატესობის მინიჭებისა. შემდეგ არის საკითხი ისტორიულ თხრობისათვის შესაფერ ენის ხმარებისა და ბოლოს კომპილატორის უნარი „ამოჭრილ“ ნაწილების ერთიმეორეზე ისე გადაბმისა, რომ წიგნი ერთ მთლიანობასა და ერთ კონცეფციის გამოხატვას წარმოადგენდეს. საუბედუროდ, ყველა ამ საგნებში მანველიშვილის წიგნი სალიასაზე უფრო დამაკმაყოფილებელია(აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ორი ნაშრომის გამოცემას ოცდაათი წელიწადი ჰყოფს და ამიტომ, ცხადია, ბ-ნ სალიას განკარგულებაში უფრო ახალი, დამუშავებული მასალა იყო). რაც შეეხება გამოცემის ტექნიკურ მხარეს, ბ-ნ სალიას წიგნი ამ მხრივ, ცხადია, ბევრად უკეთესია: ყდა, ქაღალდი, მდიდარი ილუსტრაცია, მსხვილი შრიფტი და დამატებითი თავები წიგნის ღირსებას ამაღლებენ. დახარჯულია დიდი შრომა, განეულია დიდი ამაგი, მაგრამ სამწუხაროდ, წიგნი უნაკლო არ არის, არამედ იგი ნაკლთა სამწუხარო სიმრავლეს შეიცავს. საბედნიეროდ, მათში უმეტესობის შემჩნევა არც ისე ადვილია უცხო მკითხველისათვის. საქმე იმაშია, რომ წიგნის ტექსტი, ამ ძნელად შესამჩნევ ნაკლთა გარდა, მშვენიერია, რადგან ყველაფერი უკვე გამოქვეყნებულ შრომებიდან არის ამოღებული და ფრანგულად თარგმნილი, მაგრამ სავალალოდ, ავტორს თავი ვერ შეუკავებია თავისი საკუთარი აზრები და მიგნებანიც (ასე ეგონა, ალბათ) ჩაემატებინა. ხოლო, რადგან მას, სხვა მხრივ ასე ნიჭიერ კაცს, ისტორიკოსის არც ნიჭი, არც ფხა არა ჰქონია, ამ წიგნის გულდასმით ნამკითხველი გაკვირდება უცნაურ მოვლენით: როგორი უვიცი ჩანართებით არის შერყვნილი მშვენიერი ტექსტი. გარდა ამისა, საქართველოს ისტორიის მცოდნე მკითხველი მაშინვე შეამჩნევს, რომ წიგნში დიდი ადგილია უაზროდ დახარჯული უმნიშვნელო და შეუფერებელ მასალის მოთავსებით, მაშინ, როდესაც ფრიად მნიშვნელოვანი ამბები ან სრულიად მოუხსენებელია, ან რამდენიმე სტრიქონით არის აღნიშნული.

დავიწყით ამ უკანასკნელთაგან: წიგნში გვერდ-ნახევარი აქვს დათმობილი ხანას აღმამენებლიდან თამარის გამეფებამდე, ე.ი. დემეტრეს, დავითის და გიორგის მეფობის ხანას და, ცხადია, ნახსენებიც არ არის უფლისწულ დემნას სახელი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. საქმე კი შეეხება ბაგრატიონთა დინასტიის მამრობითი ხაზის გარდაკვეთა – შეწყვეტას და ამის შედეგად მომხდარ ამბავთა მიზეზს. დემნას ტრაგედია ისეთი მოვლენაა, რომელსაც შეუძლებელია, ღრმა დაღი არ დაემჩნია უნებურად გამეფებულ ნაზი ქალწულის, თამარის პიროვნებაზე. ასეთი მნიშვნელობის ფაქტის არ აღნიშვნა გაუმართლებელია.

ნიგნში სრულებით უგულებელყოფილია გიორგი-ლაშას პიროვნება (მას ათი სტრიქონი ეთმობა) – მაშინ, როდესაც ეს თავისუფალ-მოაზროვნე უფლისწული გვევლინება, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი, უაღრეს განვითარების წერტილის მიღწეულ და ამასთანავე ფუფუნებითა და უზრუნველობით განებივრებულ საზოგადოებისა. გიორგი-ლაშა სამეფო კაცი არ იყო, მაგრამ ამ მიზეზით მისი არ დახასიათება დიდი შეცდომაა ისტორიკოსისათვის. გიორგის გარდაცვალება და რუსუდანის გამეფება ორიოდ სიტყვითაა ნახსენები და როდესაც ბ-ნ სალია გვეუბნება: გიორგი-ლაშა თავის შვილს ტახტის მემკვიდრედ არ მიიჩნევდაო, შესაძლებელია, ბ-ნ სალია ასე ფიქრობდეს, მაგრამ მას უფლება არა აქვს აქვე არ მოიყვანოს, ყველა ძველ ქართველ ისტორიკოსებში, უპირველესად ჟამთააღმწერლის მიერ მოყვანილი გიორგის ანდერძი, დიდებულთა წინაშე სიკვდილის ჟამს თქმული... დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენლად თქვენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაყამს ეძლოს მეფობა და მხედრობა, რომელ დავით მეფე და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა" და რა თქმა უნდა, არც რუსუდანის ხვანჯრები ნახსენები. ასე რომ, დავით ლაშას ძე, ისე ჩნდება ასპარეზზე, თითქოს ხლათში სასეირნოდ წასული დაბრუნებულიყოს იქიდან.

ბ-ნ სალიას იქნებ ჰგონია, რომ საქართველოს ზოგ მესვეურთა სუსტ მხარეთა დამალვით ქართველთა სახელს ემსახურება. პირუკუ, ნამდვილ დამნაშავეთა დამალვით, ქვეყნის მიერ განცდილი მარცხის ბრალი მთელ ერს ედება. ბ-ნ სალიას, საუბედუროდ, საჭიროდ არ მიაჩნია მაგალითად გაიხადოს იგივე ჟამთააღმწერელი, თორემ მის სიტყვებს დაუჯერებდა: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტისა მეტყველება არს და არა თვალთ-ახმა ვისთვისმე“.

ამგვარი არბიტრალური შეკვეცები ნიგნის მოცულობის განსაზღვრით რომ არ არის გამონეული, ამის დამამტკიცებელი მაგალითია მის მიერ პირადი მოტივით დახარჯული თორმეტი გვერდი ნიგნის ისტორიულ ნაწილისა, სადაც იგი ისე იქცევა, თითქოს ეს ნიგნი მისი სუფრა იყოს, რომელზედაც მასპინძელი მისთვის სასურველ სტუმრებს ეპატიჟება. ოთხი გვერდი აქვს დათმობილი გრ. რობაქიძის ლინგვისტურ-მხატვრულ-მითოლოგიურ მსჯელობას, არნივის მიერ ამირანის ლეიძლის კორტინისა და სვან მონადირეთა და დალის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გრ.რობაქიძე საერთოდ ისტორიკოსობიდან ძლიერ შორს არის – იმდენად, რომ მაგალითად, მის მიერ აკვიატებული სახელწოდება „კარდჷ“, არც კი მოიპოვება რვატომეულის საძიებელში. იგი სულ სხვა ყადის მწერალია და მისი აზრებისა და შეხედულების მეცნიერულ ნიგნში შემოტანა ვერაფერი სამსახურის განევა, როგორც თვით რობაქიძისათვის, ასევე ნიგნის ხარისხისათვის. მოყვანილ წერილში რობაქიძე ისტორიულ თვალსაზრისით როდი უდგება საკითხს. მას ქართული ენის თვისებებისა და ხარისხის გამოვლინება აინტერესებს და გვეუბნება, რომ ქართულში სიტყვები: ლეიძლი და ლეიძილი ერთი და იმავე ძირისანი არიანო და გასაგებიაო, რომ ამირანს არნივი სწორედ ლეიძლსა კორტინდა, რომ მისთვის ძილი მოესპოო. აქ ისტორიული შეცდომა ისაა, რომ არნივი

და ღვიძლი შესიოდეს მიერ შექმნილ თხზულებაშია და ბერძნულ პრომეთეს შეეხება, ხოლო ქართულ ამირანში არც არწივია და არც ღვიძლი ნახსენები. როგორც ვხედავთ, აქ რობაქიძე მარტო ისტორიულად კი არა, ლიტერატურულადაც კი ცდება.

თუ ასეთ შეკუმშულ ნიგნში ამირანის ასე ვრცლად მოყვანა აუცილებელი იყო, ბ-ნ სალიას განკარგულებაში არ იყო პროფესორ შარაშიძის ნაშრომები? ნაშრომები სპეციალისტისა და ისიც ფრანგულ ენაზე, რომელთა თარგმნაც არ იყო საჭირო? მაგრამ რობაქიძის წერილის ამ ნიგნში დაბეჭდვის მიზეზი ის პირადი დაახლოება არის, რომელიც ბ-ნ სალიას რობაქიძესთან ჰქონდა. ამ ნიგნში, დიახაც, ეკუთვნოდა ადგილი რობაქიძეს – მაგრამ სხვაგან, დამატებით ლიტერატურულ თავებში, რაც ავტორმა ვერ გაბედა...

სხვა ადგილას რვა გვერდი ეთმობა ბ-ნ ტაბალუას მიერ ფრანგულ არქივებიდან გამოტანილ ფრანგ მოხელეთა მიწერ-მოწერას, რომელნიც არც თვით საბა-სულხანის მოქმედებას, რომლის მოგზაურობასაც ეხება ეს მიწერ-მოწერა, არც, რა თქმა უნდა, საქართველოს ისტორიას არავითარ შუეს არა ჰყენს. მაშ, რად იბეჭდება, ისტორიულ თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელო ეს დოკუმენტები ასეთ შეკუმშულ ნიგნში საქართველოს ისტორიისა? დოკუმენტები, რომელნიც იმდენად უმნიშვნელონი არიან, რომ ჩვენი ისტორიის ოცდაოთხტომიან გამოცემაშიც შეუძლებელია მათი მოთავსება? ამ მასალის მოტანა, საქართველოს ისტორიას არაფერსა ჰმატებს, მაგრამ ემიგრაციისას კი. როცა ქართული ემიგრაციის ისტორია დაინერება, საქმენი არ იქნება, თუ გარკვეულ ხანის განმავლობაში ვის ეჭირა ხელთ ის უხილავი ძაფები, რომელთა მუშევრობითაც ბოლშევიკები თავიანთ მარიონეტებს ათამაშებდნენ ჩვენს სათვისტომოში. იქნებ ვინმემ თქვას: სხვაგვარად ეს ნიგნი საერთოდ ვერ გამოიცემოდაო. ეს სხვა საკითხია. მე აქ ნიგნის ხარისხს ვეხები.

ახლა სხვა ხასიათის შენიშვნებზე გადავიდეთ. საქართველოში არცერთ პიროვნებაზე არ დანერვილა იმდენი ნიგნი, რამდენიც რუსთველზე დაინერა და მიუხედავად ამისა, როგორც ვიცით, შოთას ბიოგრაფიის ფურცლები თოვლივით თეთრია. ბ-ნ სალიას მიხედვით კი, თამარს შოთა იერუსალიმში გაუგზავნია ჯვრის მონასტრის რესტავრაციისათვის და საამისო თანხაც მიუცია მისთვის (საუბედუროდ, თანხის ოდენობა არ მოჰყავს). ისტორიის ნიგნში ასეთი ცნობის უკომენტაროდ შეტანა დასაშვებია?

სამას არაგველთა თავგანწირვის ცნობილი ამბავი კრწანისის ველიდან არაგვის ხეობაშია გადატანილი და თურმე, ხევსურთა რაზმს კი არ დაუჩეხავს სპარსელი მოთარეშენი, არამედ სამასი ხევსური შეწირვია ამ საქმეს. სხვაგან ყირომის ომის შესახებ ვკითხულობთ ფრაზას, „თურქებმა საქართველოში შეჭრის განზრახვაზე ხელი აიღეს და მთელი მათი იმედი დაამყარეს ბრძოლებზე, რომელნიც მიმდინარეობდნენ სებასტოპოლსა და ყარსს შორისო“? 56-ე გვერდზე იპოვით ფრაზას: „იბერიისა და ქართლის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“ – თითქოს ქართლი და იბერია სხვადასხვა სახელმწიფოები ყოფილიყვნენ. იმავე გვერდზე წერია: ორი ათასი წლის წინათ ქართლის მეფეები „ქართველთა დიდ მეფის ტიტულს ატარებდნენო“. გამოთქმა ქართველთა

სამეფო და ქართველთა მეფე, ბევრად უფრო გვიან არის გაჩენილი. იქვე ვკითხულობთ აქამდე უცნობ ამბავს: იბერიაში ტახტის მემკვიდრე მიჩნეული იყო როგორც მეორე პირი სახელმწიფოში და დიდი გავლენა ჰქონდაო. ცხადია, აქ სტრაბონისეული „მეფის შემდეგ მეორე პირი იგულისხმება“, მაგრამ რა უფლებით ნათლავს მას ბ-ნ სალია ტახტის მემკვიდრის სახელით. ტახტის მემკვიდრე ჩვეულებრივად მეფის შვილია და საერთოდ, სტრაბონს ეს გამოთქმა არა აქვს ნახმარი. ამ „მეორე პირის“ მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს, მაგრამ „ტახტის მემკვიდრე“ მისთვის არავის დაურქმევია.

გვ. 39. ნათქვამია: ანტიკური ხანის ბერძნები დას. საქართველოს კოლხიდას უწოდებდნენ, მაშინ, როდესაც მისი ეროვნული სახელწოდება (აპელასიონ ნასიონალ), ეგრისი იყო. ეს ასე არ არის: ეგრისი ქართული მნიგნობრული ფორმაა. ანტიკურ ხანაში, ლაზურმეგრულენოვანი მოსახლეობა თავის ქვეყანას ასეთი ფორმის მქონე სახელს ვერ დაარქმევდა, არამედ ეგროში იქნებოდა, მაგრამ არც ეს მომხდარა. ანტიკური ბერძნები, არგვეთს მოიხსენიებენ „ეგრიკეს“ სახელით, ხოლო ქართველი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ეგრიკე ქართული „ეგრიტიდან“ უნდა მოდიოდესო. (იხ. ისტ. ნარკვევები, ტომი პირველი, გვ. 422, 423, 424) ეს მაინც შეესწავლა მეგრულ სალიას.

არის ადგილი (გვ. 45), სადაც ავტორი ნამდვილ ილუზიონისტის ნიქსაც კი იჩენს. ვის არ უნახავს ფრაკში გამოწყობილი ილუზიონისტი, უბეში რომ კურდღელს ჩაისვამს და მის ნაცვლად ქათამს ამოაფრენს. აბა, ყური დაუდგეთ: ქართლის მოქცევაში მოხსენებულია უცნობი ადგილი: „არიან ქართლი“, აი ერთი ფრაზის ბოლო: „რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქვენთა არიან ქართლი“. ამ გამოთქმის ახსნა ჯერჯერობით ვერავინ შეძლო, მაგრამ ბ. სალიამ სულ ადვილად მოახერხა. იგი ფრანგებს აწოდებს „თარგმანს“: Azo, fils du roi „Aryens-Kartvels“ c'est-a-dire des Georgiens aryens (!Aryens-Kartli). ამაზედ უკეთესი მოკვარახჭინება თუ ვინმეს შეუძლია, დაიკვებოს. ალბათ, ამ აღმოჩენისათვის, ფრანგულის შემდეგ, ახლა ქართული აკადემიის ჯილდოს ელოდება – რატომაც არა, ამ სოფლად ყველაფერი მოსალოდნელია.

ნიგნში ძველ ხანაზე საუბრის დროს სიტყვა „ერი“ თარგმნილია სიტყვით „ნასიონს“. მაშინ, როდესაც ძველად და შემდეგშიაც კარგა ხანს ეს სიტყვა ფრანგულ ნასიონს არ უდრიდა. ერისთაობის წარმომობისას ერი ჯარს ნიშნავდა, შემდეგ მას სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცა: ნერილი ერი, ქალაქის ერი, დარბაზის ერი, ერისკაცი, საერო და სხვა. და საერთოდ, სრულებით არ იყო საჭირო ამ ნიგნში ისტორიულ ტერმინთა ახსნის ასეთი არასრული და ზოგჯერ მცდარი თარგმანის მოთავსება, რასაც ავტორი ხშირად სჩადის. რიგითი მკითხველისათვის ეს საერთოდ ზედმეტია, ხოლო სპეციალისტი ამგვარად მიწოდებულ მასალას მაინც ვერ გამოიყენებს, რადგან ყველაფერი არეულია.

1382-1517 წლებში ეგვიპტეს მართავდა ჩერქეზულ წარმომობის მამულუკთა დინასტია, რომელიც ჩერქეზ და ქართველ მამულუკთა ძალას ეყრდნობოდა. ამ კავკასიელ მამულუკთა სიმპათიებით და მფარველობით სარგებლობდა იერუსალიმის ქართული

სამღვდელოება, რომელსაც დიდი პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული. ამ ამბავს (გვ. 206) ბ-ნ სალია შემდეგი ფრაზით გამოთქვამს: „ამ დინასტიის მეფობის ხანიდან იწყება ნამდვილი სუვერენობა საქართველოსი იერუსალემის წმინდა ადგილებზე“ და ცოტა ქვემოთ: „ეს წმინდა ადგილი... 150 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს მშვიდობიან ადმინისტრაციაში“. ასეთი ბრიყვეული კეენის შემცველი დასკვნა დასაშვებია ისტორიის სერიოზულ წიგნში? როგორ შეიძლება ნამონგოლარ, იავარყოფილ საქართველოს სუვერენიტეტზე და მის მიერ წმინდა ადგილთა ადმინისტრაციის შესრულებაზე ლაპარაკი. ჩვენი ქვეყნიდან გატაცებულ ტყვეთაგან შემდგარი ჯარი რომ უცხო ქვეყნის ძლიერებას ქმნიდა. ამას საქართველოს სუვერენობა ჰქვია?

როგორც ცნობილია, რომაელთა იბერიაში მოსვლიდან დაწყებული, რომის იმპერიის მთავარი საომარი მოქმედებანი პართიის წინააღმდეგ წარმოებდნენ – მცირე აზიაში პეგემონიისათვის. იბერია ამ უზარმაზარ ფრონტის მარცხენა ფრთის წევრი იყო. რომაელთათვის აუცილებლობას წარმოადგენდა იბერიის ან ფლობა, ან მეგობრად ყოლა. ავტორი ყოველივე ამას იეიწყებს და ირწმუნება: „მონების იაფად მოპოვება იყო მთავარი ინტერესი რომაელებისა იბერიისა და კავკასიის მიმართ“ (გვ. 59). ქართული ისტორიოგრაფია კი გვეუბნება: იბერიაში მონათმფლობელობამ ფართო ხასიათი იმიტომ ვერ მიიღო, რომ კავკასიის მთიანეთის და გადაღმა ბარის ჩამორჩენილი ტომები, საიდანაც შეეძლო იბერიას მონები მოეპოვებინა, იბერიას მეგობრად სჭირდებოდა, რადგან მათგან გამოყვანილ, დაქირავებულ თუ ნადავლის საშოვრად მოსულ მეომრებზე ემყარებოდა თვით იბერიის სამხედრო ძლიერებაო. ავტორი ვერც კი ამჩნევს ამ მტკიცების სიმძიმეს: ეს ხომ თვით რომის ისტორიის სალიასეული ინტერპრეტაციაა და უნდა ვიფიქროთ, რომ ტაციტუსიდან დღემდე, სალიას გარდა, ვერავინ განჭვრიტა რომის პოლიტიკის ეს „მთავარი“ ინტერესი.

გვ. 55. უფლისციხე ისეთ კონტექსტშია მოხსენებული, რომ მკითხველი იფიქრებს ურარტელთა აშენებულიაო, ხოლო ამ უკანასკნელთა ვინაობა ისე აქვს ახსნილი, თითქოს ურარტელები, არც მეტი, არც ნაკლები, დღევანდელი ჭანების წინაპრები ყოფილიყვნენ და ეს აზრი ჰიპოთეზის სახით როდია გამოთქმული, არა, ეს ავტორს უნდა დაუფუეროთ. მაგრამ რა ღმერთი გაუნყრა მეგრულ ენათმეცნიერებს, რომ უცხოელეებმა აჯობეს ურარტულის ნაკითხვაში.

გვ. 55. ვკითხულობთ: „...მაგალითად ლეეკოთეას ტაძარი იბერიის მესხეთში სიმდიდრით ისე განთქმული იყო, რომ იგი მრავალჯერ გაიძარცვა მისი საგანძურის დაუფლების მოსურნე უცხოელ მეფეთა მიერ“, ამბობს ავტორი. ასეთ მსჯელობას ისტორიის წიგნში არ მიმართავენ. მაშ, რამდენად უფრო მდიდარი ყოფილა რამდენჯერმე გაძარცვული ჩვენი სიონი, ერთხელაც არ გაძარცვულ პარიზის ნოტრდამზე. ეს ამბავი სტრაბონსა აქვს მოთხრობილი და მის ტექსტს სალიასებური გადამკეთებელი არ სჭირდებოდა: „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლეეკოთეას სამლოცველო ფრიქსეის მიერ აგებული და მისი სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესლაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით

მითრიდატე პერგამონელის მიერ იქმნა გაძარცვეული. როდესაც ქვეყანა დაუძღურდება, „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა“, ამბობს ევრიპიდემო, დასძინს სტრაბონი. როგორც ვხედავთ, სტრაბონი ბ. სალიაზედ მეტ თავმდაბლობას იჩენს, როცა ძარცვის მიზეზის ასახსნელად ევრიპიდეს სიტყვებს იშველიებს, მაგრამ ავტორი არც სხვა მხრივ აქცევს ყურადღებას სტრაბონის სიტყვებს – როდესაც ლევკოთეას ტაძარს მესხეთში ათავსებს. სტრაბონი ამბობს: „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს. ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე – იბერებს და მესამე — არმენელებს“. ახლა დადგენილია, რომ ეს ტაძარი კოლხეთში იყო, სადაც დღეს ვანის ნაქალაქარს თხრიან.

ისტორია ცხოვრების აღწერა არის, რაც ასე შესანიშნავად გამოთქვეს ძველმა ქართველებმა, როცა ჩვენს „ბიბლიას“ „ქართლის ცხოვრება“ დაარქვეს და აგრეთვე – ვახუშტიმ, როცა თავის ისტორიას „საქართველოს აღწერა“ უწოდა. და ვინაიდან ცხოვრება ბრძოლაა, ხოლო ყოველ მებრძოლ მხარეს საკუთარი სიმართლე აქვს, ისტორიის ყველა მთხრობელი ძლიერ ბიძგს განიცდის მიკერძოებისაკენ. ამიტომ ბ. სალიას ვერ ვუსაყვედურებთ ზოგიერთ ტენდენციურობას, მაგრამ ასეთი რამ ჭკუით და ტაქტით უნდა ხდებოდეს და სასაცილო დეტალებამდე არ უნდა დადაბლდეს.

როცა ქსენოფონტე სამხრეთელ ქართულ ტომების შეიარაღებასა და ჩაცმულობას აგვიჩვენებს და გვეუბნება შუბები, ფარები და მოკლე ხმლები ჰქონდათ და ბალნისაგან დამზადებულ tuniques de crin an tuniques d'une toile epaisse – ეცვათო, რა საჭიროა ეს ტუნიკები „მანტოებად“ გადავაკეთოთ და თანაც სიტყვა NABADI მივანოღოთ ფრანგებს. ნაბადმოსხმული მეომრები ფარსა და შუბს როგორ მოხმარდნენ? ეს ხომ კომიკურია.

იგივე ქსენოფონტე მოგვითხრობს: *luand les Grecs arrivent chez les Mossineques, Leurs allies, cuux-ci leur montrent des enfants de gens riches, nourmis, engraissees de chataignes bouillies, delicats, tres-blancs, a peu pres aussi grands que gros. Ils ont le dos marquete, et sur la poitrine un tatouage de fleurs. ils tachaient d'avoir commerce, aux yeux de tous, avec les filles que les Grecs avaient a leur suite: s'est un usage du pays. tous sont blancs, hommes et femmes. les Grecs disent que, dans leur expedition, ils n'ont pas trouve de peuples plus barbares* და სხვა. ამ ცნობებზე დაყრდნობით, ბ. სალია ამბობს: ქსენოფონტე აღნიშნავს აგრეთვე სოციალურ უთანასწორობასო, რომელიც გამეფებული იყო ხალხებში, რომელთაც ის აღწერსო. მდიდართა ბავშვები ადვილად გამოირჩეოდნენ ღარიბთა ბავშვაგან, ისინი აღზრდილნი და ნაკვები იყვნენ სხვაგვარად, ვიდრე დანარჩენებითო.

ნაბლის ზედმეტად ჭამით ისე გაყვყვა, რომ ისეთივე სიგანე ჰქონიათ, როგორიც – სიმალლე და პირუტყვთა მსგავსი სქესობრივი უსირცხვილობა, „სოციალური უთანასწორობის“ და მდიდრული „სხვაგვარი აღზრდის“ ნიშანი ყოფილა თურმე. გარდა ამისა, იმავე ტომთა შესახებ წიგნში ნათქვამია: თუმცა იმ ეპოქაში ეს მხარე განსაზღვრულ ზომით დეკადანსში იყო ჩაყარნილი შედეგად არახელსაყრელ გარემოებისა...

მაგრამ მრავალი პირობები ჰყავდათ და სხვა. სიტყვა დეკადანსის გამოყენება გულისხმობს, რომ ადრე უფრო მაღალ საფეხურზე მდგარან. ეს კი ზეპირი მტკიცებაა. ეს ტომები ჯერ კიდევ დაბალ განვითარების საფეხურზე იმყოფებოდნენ. მორჩა და გათავდა. სხვა რამეს არც ჩვენი მეცნიერები ამბობენ.

ნიგნში სიტყვა ანტიკური რამდენსამე ადგილას სიტყვა ძველის მნიშვნელობით არის ნახმარი – არა ანტიკურ ხანის პიროვნებათა და მოვლენათა მიმართ. ისტორიულ თხრობაში ამ ტერმინს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა ეძლევა და მისი სხვა მნიშვნელობით გამოყენება მკითხველის შეცდომაში შეყვანაა. მაგ. გვ. 43. ნათქვამია: „ჩვენ ვიცით ბიზანტიურ-სომხურ და ანტიკურ-ქართულ წყაროებიდან“ და სხვაგან: „ანტიკურ საქართველოს ისტორიკოსი ჯუანშერი“. ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ხანის ამწერია და არა ანტიკურ საქართველოს ისტორიკოსი.

ნიგნში უკომენტაროდ არის ნათქვამი: კოლხიდას დედაქალაქი რიონში მდებარე აია იყო. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

არის ადგილები, სადაც ბ-ნ სალია სხვადასხვა პირთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს იზიარებს – იმგვარად, რომ წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მაგალითი: ნიგნში ნათქვამია, რომ ქართველ მეფეებს პრეტენზია ჰქონდათ, დაეკავებიათ ადგილი ბიზანტიის იმპერატორისა, რადგან ბიზანტია ისტორიის ასპარეზის დატოვებაზე იყო მიმდგარი. ასეთ შეხედულებას არსებობის უფლება აქვს, თუმცა იგი უფრო ლიტერატურაშია გამოთქმული, ვიდრე ისტორიოგრაფიაში, მაგრამ თუ ბ. სალია ამ აზრს იზიარებს, მაშინ შეუფერებელია მისი პრობიზანტიური და ანტიჯვაროსნული პოზიცია. საქართველო მთელ მცირე აზიის დაკავებაზე ხომ ვერ იოცნებებდა და თუ ბიზანტია მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, ჯვაროსნებს ე.ი. იერუსალემის სამეფოს და საქართველოს არ უნდა გაენაწილებინათ ბერძენთა მემკვიდრეობა და ისლამურ კოალიციასთან ბრძოლის სიძნელე? და თუ საქართველო ბიზანტიის მაგივრობას აპირებდა, ყველაზე უადრეს, ქართულ ტომებით დასახლებული ტრაპიზონის მხარე არ უნდა შემოეერთებინა? მაგრამ ამგვარ საკითხებზე მსჯელობა, ამ ნიგნზე ლაპარაკის დროს ზედმეტია – თანაც შორს წაგვიყვანდა. ამ რეცენზიაში მხოლოდ ერთი თვალის გადავლევით შემჩნეული სუსტი ადგილებია აღნიშნული.

მაგრამ არის საკითხი, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას: საბჭოეთში მეცნიერები იძულებულნი არიან ეგრენოდებული მარქსისტული გაშუქება მისცენ ისტორიას, მაგრამ აქ, საფრანგეთში გამოცემულ ნიგნში ამგვარი მიდგომა სავალდებულო როდია – როცა ავტორი ამ შეხედულებას არ იზიარებს; როდესაც ბ-ნ სალია ამბობს, კოლხეთი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ეს მართალი არ არის. მონათმფლობელობა იმ ხანაში ყველგან არსებობდა, აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში დღესაც არსებობს, მაგრამ ასეთი სახელი შეიძლება ვუნოლოთ იმ ქვეყანას, სადაც ამ სისტემაზე დამყარებული მეურნეობა. ჩვენი მეცნიერები კი კოლხეთში სუსტად განვითარებულ მონათმფლობელობაზე მიუთითებენ. მაშასადამე, მონათმფლობელურ სახელმწიფოდ კოლხეთის გამოცხადება შეცდომაა. მით უმეტეს შეცდომაა თქმა იმისა,

რომ ამ სისტემის დაცემა გამოიწვია კოლხეთის დაქუცმაცება. (გვ. 63). კოლხეთს „პონტოს სამეფომ მოუღო ბოლო“, ამბობს ქართული ისტორია და მონათმფლობელობა აქ არაფერ შუაშია.

რა უნდა ითქვას ამ წიგნის შესახებ, დაწინუნთ იგი და საყვედური ვუთხრათ მის ავტორს? არც ერთი, არც მეორე. ამ წიგნის გამოსვლა ძალიან დადებითი და სასარგებლო მოვლენაა. ზემოაღნიშნულ ნაკლთა დიდ უმრავლესობას უცხოელი მკითხველი ვერც კი შეამჩნევს – გარდა სპეციალისტისა. ხოლო ავტორისადმი მადლობის ართქმაც გაუმართლებელი უმადურობა იქნება. (ბ-ნ სალიას მიერ არჩეული გზა რომ ჩვენთვის მიუღებელია, ეს სხვა საკითხია და რეცენზიას არ შეეხება. ამ შემთხვევაში იგი საქართველოს ემსახურა და სხვა საქოჭმანო ნაბიჯთაგან განსხვავებით, ამ წიგნის გამოცემა, ნაღმა გადადგმული ნაბიჯია). კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეინიერების და სრულიადაც არ არის მცირედი ის ჯაფა და თავდადება, რომელიც ასეთი წიგნის შედგენისათვის არის საჭირო. მხოლოდ უკეთესი შედეგი იქნებოდა მიღწეული, „საკუთარის თქმის“ ცდუნებას რომ არ დაეძლია ავტორი. ჯობდა კომპილატორის როლით დაკმაყოფილებულიყო. ბ-ნ სალია ძალიან ნიჭიერი, ენერგიული და მოხერხების უნარის მქონი კაცია – კულტურაცა აქვს. ქართული კულტურის უცხოელთათვის გაცნობის საქმეს მან დიდი ამაგი დასდო. ყოველივე ამისათვის, ზოგ ჩრდილოვან გარემოებათა მიუხედავად, მადლიერება გემართებს მისადმი. მაგრამ განგება კაცს ყველა ნიჭით არასდროს არ აჯილდოებს. ავტორი რომ სპეციალისტი არ არის ისტორიისა, ამას ისიც დაემატა, რომ როგორც ეტყობა, მიუხედავად საამისო კულტურის ქონებისა, მას ისტორიკოსის ფხა არ ჰქონია. ამის გამოა, რომ იგი საგანს სასურველი ხარისხით ვერ მორეგია და წიგნი, რომელიც სრულიადაც არ არის ცუდი, დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ეს არ არის იმ ხარისხის ნაშრომი, როგორითაც ჯერ არს, რომ საქართველომ თავისი ისტორია უცხოეთს გააცნოს. ამიტომ რენე ლაფონის სიტყვები: უცხო ენაზე არ მოიპოვება საქართველოსა და მეზობელ მხარეების შესახებ ცნობათა შემცველი დამაკმაყოფილებელი ნაშრომიო, ისევ ძალაშია. არც მოსალოდნელი იყო, რომ ამ ხარვეზს ბ-ნ სალია შეავსებდა. სასწაულები ზღაპრებში ხდება. ეს სიტყვები საყვედური არ არის, არამედ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნაა. ბ. სალიამ თავისი ვალი მოიხადა, ასანუვი ტვირთი იმ სიმაღლემდე ასწია, რამდენიც შესძლო, პირველი ქვა უფრო მაღლა ამწეება ესროლოს.

ეს ნერილი ასე გრძელი იმიტომ არის, რომ ჯერ ერთი, იქნებ ავტორმა ზოგი შენიშვნა მაინც ყურად იღოს და განზრახულ ინგლისურენოვან გამოცემაში გაასწოროს, ხოლო მეორე ის, რომ საკითხის ასე გაშოშვლების შემდეგ, მე მსურს მივმართო მათ, ვინც საყვედურის ღირსია. დიახ, ვინმე ხომ არის საყვედურის ღირსი. დღევანდელი დონე ქართული ისტორიოგრაფიისა და დღეს ამ საქმისათვის გაღებული სახსრები, მიუტყეველ დანაშაულის სახეს აძლევენ იმ ფაქტს, რომ საქვეყნო საქმე – საქართველოს ისტორიის უცხო ენაზე გამოქვეყნება, არასპეციალისტის ანაბარა არის მიტოვებული. დროა, რა ხანია დროა, რომ წესიერად დაბუშაებული, განხილულ წიგნზე

ორჯერ მეტი მოცულობის მინც, საქართველოს ისტორია გამოიცეს – ინგლისურ და რუსულ ენებზე. ინგლისურად იმიტომ, რომ იგი დღევანდელი საერთაშორისო ენაა, ხოლო რუსულად იმიტომ, რომ ის უცხოელი მეცნიერული და სხვა დარგის წრეები, რომელნიც საბჭოეთის გაცნობას ცდილობენ, რუსული წყაროებიდან კი არ უნდა გაეცნონ საქართველოს, არამედ ჩვენ მიერ რუსულ ბიბლიოთეკებში მიწოდებულ წიგნებს უნდა ნააწყინენ იქ. იქ უნდა დახედეთ მათ ქართულად გააზრებული რუსული წიგნები. ასევე დროა, ორგანიზებულ იქნას – სისტემატური თარგმნა ქართული, განსაკუთრებით ძველი მწერლობისა ინგლისურადვე. მცდარია დაკმაყოფილება იმით, რომ უცხოელთ გაგაცნოთ მხოლოდ მწვერვალები. მარტო რუსთაველის გაცნობა, თუ მკითხველმა ვერ გაიცნო ქართული ლიტერატურის პირამიდა, რომლის მწვერვალაც რუსთაველია, პატარა ერის მიერ საკაცობრიო გენიის ყოლას შემთხვევად და ანომალიად ჩათვლის და ეს სამწუხაროა.

შენიშვნა: ეს წერილი „კავკასიონში“ უნდა დაბეჭდილიყო. გ. ნოზაძემ, რომელმაც რეცენზიის დანერა თვითონვე მთხოვა, პირველი ვარიანტი ძლიერ მძაფრად მიიჩნია. მე მის სურვილს ანგარიში გავუწიე და წინამდებარე წერილზე ბევრად უფრო ღბილი ტექსტი შევადგინა. ბ-ნ ნოზაძემ ეს ვარიანტიც დაინუნა, მაგრამ გ. ყიფიანმა მხარი მე დაამჭირა და აწყობასაც შეუდგა („კავკასიონის“ ანონიმურ სარედაქციო კოლეგიაში ჩვენ სამნი ვიგულისხმებოდით). რამდენიმე დღის შემდეგ კი ნაწილობრივ აწყობილი ტექსტი დამიბრუნა – ბოლოში, მაგრამ ვერ ავანყობო. ინფორმაციას აქაც ვწყვეტ... მხოლოდ მომყავს ციტატა ბ-ნ სალიას ჟურნალიდან ამოღებულ ერთი წერილიდან საყურადღებოდ: ბ-ნ ნოზაძის, ბ-ნ ყიფიანის და მკითხველებისადმი.

„მეცნიერებაში სიმართლე არ იმალება. ის ყოველთვის იპოვის ჭეშმარიტებას. ამიტომ უნდა ვერიდოთ, პრიმიტიულობა არ დაგვწამონ. ტრაბახობისათვის არ დაგვცინონ... პრობლემების გადაჭრა, მათი გარკვევა მეცნიერებაში, თვით მეცნიერების საქმეა, კომპილატორმა მხოლოდ ის უნდა გადმოსცეს, რაც უკვე გარკვეულია და რა არის გარკვეული. დასკვნებს, მით უფრო, გადაჭრით დებულების დადგენას, უნდა მოერიდოს. ეს ავტორმა არ შეასრულა... ისე ღრმად შესტოპა, რომ გზა დაებნა... როდესაც მკვლევართა წიგნებით სარგებლობს დილექტანტი, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ უსაზღვრო არეგ-დარევა და გაუგებრობა არ შეიტანოს თავის კომპილაციაში... თუ უცხოეთის მეცნიერები არა, უთუოდ ჩვენს ქვეყანაში, იქ, საქართველოში, უმეცრებას დაგვწამებენ“.

ეს ფრაზები ამოღებულია, „ბედი ქართლისას“ მერვე ნომერში დაბეჭდილ „ნაირ-ნაირის“ მიერ ხელმოწერილ რეცენზიიდან. ლაპარაკია ს.ფირცხალავას პატარა ბროშურის, „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომების“ შესახებ. ამ ბროშურას არავითარი მეცნიერულობის პრეტენზია არა ჰქონია, არც „ქართველი ერის ისტორია“ ერქვა, არც უცხო ენაზე იყო დანერილი. მისი ავტორის პასუხისმგებლობა, ქართველოლოგიურ ფრანგულენოვან ჟურნალის პროფესორის, რედაქტორის სახელით არ იყო დამძიმებული. მას თავისი წიგნაკი პრემიის მისაღებად არ ნარუდგენია და პრე-

მისი ნაცვლად წილად ხვდა აქ შიმშილის კარზე ყოფნაში დაბერება, ხოლო როცა „ბედი ქართლისამ“ ეს წერილი გამოაქვეყნა, ფირცხალაეა გადასახლებაში კვდებოდა შიმშილით და მოკვდა კიდევაც. რაც შეეხება მისი აქედან წასვლის პირობებს, ყველას ახსოვს, ვინ იყო იმათი ჩიჩერონე და მხარის დამჭერი, ვინც ქართველ ემიგრანტებს საქართველოში ეპატიუებოდა – ციმბორზე გავლით. ეს ციტატა იმისათვის მოვიყვანე და ძველი ამბავიც იმათთვის გავიხსენე, რომ, ვინც ჩემს წერილში ჭარბ სიმძაფრეს დანინახავს, ნაიკითხეთ ფირცხალაევას წიგნაკი და თუ შიგ ერთ ფრაზას მაინც იპოვით მსგავსს ბ-ნ სალიას წიგნიდან ამოკრეფილ მარგალიტებისა, მაშინ თქვით, ეს წიგნი ასეთი მძაფრი კრიტიკის ღირსი არ არისო.

მაგრამ არის ერთი გასარკვევი გარემოება: როგორ ვკადნიერდები, მე, თავადაც არასპეციალისტი, ასეთი შეფასება მიეცე წიგნს, რომელმაც ფრანგული ჯილდო მიიღო? მე ვალდებულად მიმაჩნია თავი, ემიგრაციაში გამოცემულ ასეთი მნიშვნელობის წიგნს, უბრალო აღნიშვნაზე უფრო ვრცლად გამოვეხმაურო. იქნება შეფასებაში ვცდები, მაგრამ მხოლოდ მუნჯები არ ცდებიან არასოდეს. ჯილდოს მიღებამ კი თავბრუ არ უნდა დაგეასხას, გერმანულ ჯარში ამბობენ: თუ ჯვრის მიღება გსურს, იქ უნდა იყო, სადაც არიგებენ და არა იქ, სადაც იმსახურებენო და თანაც, ვისაც ბატონ სალიას მიერ მეცნიერულ პრესის ინტერნაციონალურ კავშირის ვიცეპრეზიდენტობა არ უკვირს, ჯილდოს მიღებაც ნუ გაუკვირდება. ხოლო რაც ფრანგულად გამოქვეყნებულ ხოტბის შემსხმელ წერილებს შეეხება, მე ვიტყვოდი, როცა ბატონი Mi chel van Esbroek ამბობს: „ის რაც Rene Grousset-მა შეასრულა შუასაუკუნოვან სომხეთის ისტორიისათვის, აი, ახლა ხელმისაწვდომია საქართველოს მთელი ისტორიის მიმართო“, კეთილად განწყობილ უცხოელს საყვედურს ვერ ვეტყვი, მაგრამ ამ სიტყვებმა გული მატიკინა და ასე მოუვა ყველას, ვინც ქართული ისტორიოგრაფიის პატივისმცემელია. აქ ბ-ნ სალია და მისი ნაშრომი შედარებული და გათანაბრებულია, აღმოსავლეთის ისტორიის და კულტურის ერთ ბრწყინვალე სპეციალისტ აკადემიკოს გრუსეს პიროვნებასა და ნაშრომთან. ვუცადოთ, როდის იქნება, რომ საქართველოში ნამდვილი რეცენზია გამოქვეყნდეს ამ წიგნის შესახებ და ქართველმა მეცნიერებმა თქვან, ბატონ ესბროეკის აზრს თუ ეთანხმებიან. ბატონ ტაბალუას მიერ გამოქვეყნებული წერილები კი არაფრისმთქმელია, გარდა იმისა, რომ ორი ძმაკაცი ერთმანეთს დაჰპირებია: დამინერე, შემაქე, დაგინერ და შეგაქებო.

გამოსაფხვილოებაელი სიტყვა, ნარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ გამა-შვილ მიხეილ და დიკა კედიას დასაფლავების დროს

„თავისუფლების ტრიბუნა“, 39.1983

ქალბატონებო და ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ბედისაგან განებივრებული ხალხი არ ვართ – არც ეროვნულად, არც პიროვნულად და ამიტომ შეჩვეულნი ვართ ყოველგვარ სახის უბედურებას. ამის გამო, არც დღევანდელი ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის უჩვეულო და უნახავი რამ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უდროოდ ჩაქრობამ იმ არსებისა, რომელიც ჩვენ ყველას გვახსოვს, ვით ტკბილმომღიმარი, ტკბილზე უტკბესი და ნაზი გოგონა დიკა, ყოველი ჩვენგანის გული მწარე ტკივილით შეკუმშა.

მაგრამ უჩვეულოა ის გარემოება, რომელიც ამ დაკრძალვას თან ახლავს – როცა შვილმა თავის საკუთარ დაკრძალვისათვის ისე იზრუნა, რომ მის ცხედართან ერთად, მისი მამის ნეშტიც იმავე სამარეს მიბარებულიყო, – იმ სასაფლაოზე, სადაც მას მისწობა ჰქონდა, ბებია და სხვა თანამემამულენი ეგულებოდა, რომელთა მუხლებზე მას უთამაშია. ჩვენს ძვირფას დიკას კარგად უგრძნია, რომ მისი საქციელის მნიშვნელობა ბევრად სცილდება უბრალო მამაშვილურ სიყვარულიდან გამომდინარე მოქმედებას. მან მარტო მამამისი კი არ დაკრძალა მასთან ერთად ამ სასაფლაოზე, არამედ მან ამით შესაფერი ბინა მიუჩინა იმ კაცს, რომლის საფლავი სხვაგან არ უნდა დარჩენილიყო.

მიხეილ კედიამ ისეთ საქმეში იმუშავა, რომელიც მარცხით დამთავრდა, მაგრამ მარცხით არ დამთავრებულა მიხეილ კედიას მოღვაწეობა. იგი უცხო ქვეყნის ჩარჩოში მუშაობდა, რომ სხვის მიწაზე და უცხოთა განკარგულებაში მყოფს ქართული საქმე ეკეთებინა. და ეს საქმე მან დიდი გონიერებით და ვაჟკაცობით აკეთა. ვინც მისი მუშაობის ხასიათს და დეტალებს იცნობს, მან იცის, თუ როგორი თავდადებათ, ზომიერებით, თავმდაბლური სიჩუმით და ქართული საქმისადმი სამსახურის არც ერთ შემთხვევაში არ დავიწყებით, შეძლო უძნელესი საქმის

მანამდე გაძლოლა, ვიდრე შესაძლებელი და საჭირო იყო. და მხოლოდ საქმეში ჩახედულებმა იციან, რა ძნელი და საშიში იყო უმტიციენეულოდ და მინიმუმ მსხვერპლის გაღებით ამ საქმეში დარჩენა და მისი ბოლომდე მიღეენა.

მიხეილ კედიას ლეანლის სიდიდე ჯერ ღირსეულად არ არის შეფასებული. ეს უმთავრესად იმის ბრალია, რომ საქმეს ბედნიერი ბოლო არ მოჰყვა, მაგრამ საქმის ბედნიერად დაბოლოება კი არ იყო მიხეილ კედიას მოვალეობა და როლი, არამედ მისი მოვალეობა იყო, რომ ამ საქმის მსვლელობის პროცესში ქართული საქმეც ისე გაკეთებულიყო, რომ ჩავარდნებს და უშიზნო მსხვერპლს ადგილი არ ჰქონოდა და ქართველს ქართველისათვის არაფერი ევნო. ეს უდიდესი სირთულე და საშიშროება სძლია მიხეილ კედიამ მით, რომ დიდი კაცის, დიდი ქართველის თვისებები აღმოაჩნდა და ღირსეულად გამოიყენა დრო მოვა, ამ მოვლენას შეისწავლიან, გამოიკვლევენ და, თუ მოვესწრებით იმ დროს, იქნებ ყველა გაკვირვებული დავრჩეთ, თუ როგორ ღირსეულ ადგილს მიუჩენს მას ისტორია.

როგორც ქართველი და როგორც ერთი მისი თანამშრომელთაგანი, პატივისცემით ქედს ვიხრი ღირსეული ქართველის ხსოვნის წინაშე.

ძვირფასო ვალია და ზურაბ! მაპატიეთ, რომ დიკას გამო ვერაფერს გეტყვი. მეც მამა ვარ და ამ ტრაგედიას ისე განვიცდი, თითქოს თქვენს ადგილზე ვიყო და ამიტომ ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია.

ჩვენი მეზობლები სომხები

ივერია, 26, 1983

თანამედროვე ადამიანი ისეთ დროში ცხოვრობს, როდესაც ტერორისტული მოქმედებანი უბრალო ყოველდღიურ ქრონიკად არის ქცეული და ალბათ, ასე ლებულობს და აფასებს სომეხ ტერორისტთა მოქმედებასაც თანამედროვე მკითხველი გაზეთისა თუ მაყურებელი ტელევიზორისა ყველა ქვეყანაში, მაგრამ ქართველებისათვის ეს არ შეიძლება ასე იყოს. ყველაფერს, რაც სომხურ საკითხს შეეხება, ჩვენ ისევე დაუინტერესებელ მონმეთა თვალთ ვერ შევხედავთ, როგორც ვუცქერთ, ვთქვათ, სალვადორის, ლიბანის ან ირანის ამბებს. მრავალი გარემოება გვიკარნახებს, რომ ამ საკითხს გულისყური მივაპყროთ, რადგან ყოველივე ეს ჩვენც გვეხება, თითქმის იმავე ხარისხით, როგორც ეს ეხება თურქებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია ეს ტერორი.

სომხები ჩვენთვის უბრალო მეზობლები არ არიან. საქართველოშია ყველაზე მრავალრიცხოვანი ბირთვი მთელ მსოფლიოზე გაფანტულ სომხური დიასპორისა. ამასთანავე, არცერთ სხვა ქვეყნის მოსახლეობაში არა აქვთ სომხებს ისეთი ხვედრითი წონა, როგორიც – ჩვენში, რადგან ისინი ჩვენი მოსახლეობის დიდად საგრძნობ ნაწილს წარმოადგენენ პროცენტულად. მოკლედ, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც სომხური უმცირესობის მძიმე პრობლემა არსებობს. ამასთანავე არ უნდა დაგვაიწყდეს ორიათასხუთასწლოვანი კონტაქტი ჩვენი ორი ხალხისა, დამოკიდებულება მტრული და მეგობრულიც, ქიშპობა ჰეგემონიისათვის პოლიტიკურსა და კულტურულ ასპარეზზე და ბოლოს, ორივეს მსგავსი ბედი: დაკნინება და უცხო დამპყრობლის ხელში ჩავარდნა.

ამიტომაც ბუნებრივი, რომ სომხეთის პრობლემა ჩვენ ძლიერ ახლო გვეხება და ასევე ძლიერ უნდა გვაინტერესებდეს. რას მოასწავებს სომეხთა მიერ ნაწარმოები ტერორი? აქვს თუ არა მას რეალისტური მიზანი, თუ მხოლოდ შურისძიებაა. ვინ აწარმოებს მას, ფართო სომხური წრეები, თუ „მოდას აყოლილი," განებივრებული ახალგაზრდობა. ხომ არ ურევია ამ საქმეში არასომეხთა ხელი. აი, რამდენიმე,

იმ სხვა მრავალ კითხვათაგან, რომელნიც უნდა დაუხსნათ ქართველებმა ჩვენს თავს.

ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებულ განცხადებათაგან, რომელთაც სომეხთა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები აკეთებენ, უნდა დავასკვნათ, რომ ამ მოქმედების საბოლოო მიზანი უნდა იყოს, არც მეტი არც ნაკლები, იმ ტერიტორიის კვლავ დაკავება, რომელიც სომხური მოსახლეობის მიერ იყო წარსულში დაკავებული და სადაც ეს მოსახლეობა, ამოწყლეთისა და განდევნის შედეგად დღეს არ არსებობს. ჩვენ აქ ვერ ვილაპარაკებთ ამ საკითხის არც მორალურ, არც უფლებრივ მხარეზე, რადგან, როგორი მტიკინეულიც არ უნდა იყოს ეს ამბავი, იგი მაინც წარსულს ეკუთვნის: მთავარი ის არის, თუ რა რეალური შესაძლებლობა და, მამასადამე, ვარაუდის არსებობა შეიძლება დაუშვათ, რომ ეს უზარმაზარი ტერიტორია – არაქსის ნაპირიდან ხმელთაშუა ზღვამდე – იქ დღეს მკვიდრად დამსხდარ თურქ მოსახლეობიდან დაცალოს და მის ნაცვლად სომხები დასახლდნენ.

ამ ფანტასტიკურ გეგმასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, კაცს ებრაელთა მაგალითი დაუდგეს თვალწინ. მართლაც, ჯერ კიდევ გუშინ, წარმოუდგენელი რამ მოხდა და ებრაული დიასპორა თავიანთ წინაპართა მიწაზე ბრუნდება (ნუ დავივინცებთ, თუ რა ამბები ახლავს თან ამ დაბრუნებას – ამბები, რომელნიც თავსატეხ საგნად ქცეულან კაცობრიობისათვის). განა ასეთი „სასწაულები“ ასე ხშირად მეორდება, რომ იქვე გვერდით მეორე სასწაული მოხდეს?

ამ წერილის შინაარსს უცხოეთში მყოფი სომხები, ვისაც ქართულ-სომხური ურთიერთობა აინტერესებს, ალბათ, გაიცნობენ და ისეთი შთაბეჭდილება რომ არ დარჩეს, თითქოს ჩვენ სომეხთათვის სიკეთე გვძურს და ამიტომ გვეუჭვება ზოგი მათი პროექტის რეალურობა, ენახოთ, თუ როგორ ვუყურებთ ქართველები მსგავს სურვილთა ჩვენთვის ასრულების საკითხს და საკმაოდ ანალოგიურ მაგალითს მოვიყვანთ ქართული რეალობიდან.

თურქეთს ჩვენი ყოფილი მინა-წყლის საგრძნობი ნაწილიც უკავია. ამ ადგილებიდან ქართული მოსახლეობა მთლიანად აყრილი არც არის. ამგვარად, თურქეთში ნახევარ მილიონამდე ქართველობა სახლობს. ნაწილი თავიანთ წინაპართა მიწაზეა, ნაწილი კი შიდა თურქეთშია გადასახლებული. თავიანთ წინაპართა მიწა-წყალი და თავიანთი ძმები ქართველებსაც უყვართ. ქართველებსაც არ დაკარგვიათ სურვილი მათი ყოფილი ტერიტორიის აღდგენისა, მაგრამ ეს სურვილი რომ ტერორის სახით გამოეთქვათ და იმედი გექონდეს, თითქოს ასეთი მოქმედება ჩვენს წადილს აგვისრულებს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი ქართული მინა-წყალი თურქთათვის ბევრად უფრო უმნიშვნელოა – შედარებითი სიმცირისა, მწირ მთაგორიანობისა და განაპირა მდებარეობისა გამო – ვიდრე ყოფილი სომხური მიწები, რომელთა დაკარგვა სრულიად შეცვლის თურქეთის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ პირობებსა და მდგომარეობას.

მიუზბრუნდეთ ებრაელთა მაგალითს. ერთი შეხედვით, თითქო სომხების და ებრაელთა საკითხებს შორის ისეთი ანალოგია არსებობს, რომელიც შესაძლოა, სომეხთათვის იმედის მომცემად ჩანდეს, რომ ისინიც ებრაელთა მსგავსად თავიანთ მიზანს მიაღწევენ: ორთავე ხალხს ბევრი რამა აქვს საერთო, როგორც თვისობრივად, ასევე გამოვლილ წარსულის მხრივ. ებრაელები და სომხები, თანაბრად არიან ვაჭრობა-აღებ-მიცემობის ნიჭით დაჯილდოებულნი. ორივეს საოცარი უნარი აქვს უცხოთა მიერ ასიმილაციისათვის წინააღმდეგობისა. ორივეს ახასიათებს განსაკუთრებული თავშეკავება, უცხოელებთან შეუღლებაში. თვით ოჯახური ცხოვრებაც ორთავეთ ისე აქვთ მოგვარებული, რომ მას რაღაც კასტური ელფერი ადევს – კარჩაკეტილობისა და საკუთარ ნაჭუჭში შეხიზნვისა გამო. ორივეს საკუთარი ეროვნული სარწმუნოება აქვს. ორივეს დიდი ღვენა აქვს განცდილი და ორივეს მოსახლეობა ისეა გაფანტული, რომ საკუთარ ქვეყნის გარეთ იმდენივე არიან, რამდენიც – შიგნით.

მაგრამ მათ მდგომარეობათა შორის განსხვავება ისე დიდია, რომ იგი ყველა მსგავსებას აბათილებს: შედარებაც არ შეიძლება ებრაელთა ფინანსურ ძლიერებასთან სომეხთა სიმდიდრისა. არც მიზანში ამოღებულ ტერიტორიათა დაკავების სიძნელეებია შესადარანი. ებრაელები თითქმის უპატრონო მხარეს დაეპატრონენ, რომელსაც ბევრი „პატრონი“ ჰყავდა, მაგრამ არცერთი – ნამდვილი. მაშინ, როდესაც სომეხთა ყოფილ მიწებს, დიდი არმენიის პლატოს, ირანიც რომ არ ჩავთვალოთ, საშინელი პატრონი ჰყავს. ებრაელებს საქმე აქვთ, განსხვავებულ ინტერესთა მქონე, მხედრულად სუსტ არაბულ სახელმწიფოებთან, რომელთათვის პალესტინის საკითხი ნაკლებად სასიცოცხლოა. ეს უფრო არაბულ სოლიდარობის, პრესტიჟის, რელიგიის და სხვა ამგვართა საკითხია. დიდი არმენიის აღდგენა კი მოითხოვს დამარცხებას და დაჩოქებას ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოსი, რომლის მოსახლეობაც მსოფლიოს საუკეთესო მეომრებად არის მიჩნეული.

და აქ ისმება კითხვა: ვისი იმედი აქვთ სომხებს? როგორი აგზნებულებაც არ უნდა იყოს ხალხი, როგორაც არ უნდა ხუჭადდეს იგი რეალობაზე თვალს, მის მიერ დასახულ მიზნის მიღწევას რომ მსოფლიო წონასწორობის დარღვევა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფიის ახლად გამოჭრა სჭირდება, ეს ხომ უდავოა. გარნა დღესდღეობით ორი სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს ასეთი ცვლილების მსურველად. ესენი არიან: საბერძნეთი და რუსეთი. ვინაიდან, მრავალ მიზეზთა გამო, ამ საქმის მოსახდენად საბერძნეთზე დაყრდნობა გამოორიცხულია, დაგვრჩენია მხოლოდ რუსეთი.

რუსეთის იმედი და მისი სამხედრო ძალის ჩვენს სასარგებლოდ გამოყენების ილუზია, განა სომხებთან ერთად ჩვენც არა გვექონდა? ორასმა წელმა განვლო მას აქვთ. რამდენი განბილება და სიმწარე ვიგემეთ, რამდენი თავის მოტყუება! კიდევ ვერაფერი ვისწავლეთ? კავკასიის ხალხთა ერთობის შეუგნებლობამ არ გა-

მოგვაცალა ხელიდან რუსეთის რევოლუციის დროს კარს მომდგარი ბედნიერი შემთხვევა, როცა ჩვენგან სამხრეთით და ჩრდილოეთით ორი ძლიერი დამპყრობელი ერთდროულად ნაიქცა და ბედი გვიკარნახებდა: „აბა თავს უშველეთო!“ მაშინ ადერბაიჯანი თურქულ ნათესაობაზე ფიქრმა გაიტაცა, სომხებს დიდი არმენიის მირაჟი წარმოუდგა თვალწინ, ქართველებმა კი ჯერ რუსეთის დემოკრატიის დაბადებას უცადეს და მოლიმარ დემოკრატი ბიჭუნას ნაცვლად ლოჯებიანი ქაჯი რომ დაიბადა, ახლა მეორე ინტერნაციონალზე დაიწყეს ლოცვა, რაც იმით დასრულდა, რომ იმ ლოჯიანმა ქაჯმა „შეგვარიგა“ ყველანი. ნუთუ იგივე უნდა განმეორდეს?

დაეუშვათ, მოხდა ასეთი რამ და მცირე აზიის ამ ნაწილს რუსები დაეპატრონენ. რომელ ალებ-მიცემობაზე დაყრდნობით, რომელ ანგარიშით შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთი ახლად შეძენილ მხარეში სომხებს გააბატონებს. ესე იგი, სომხბთა სიყვარულით მოახდენს ყოველივეს, რაც ასეთი საქმის გასაკეთებლად არის საჭირო. რაში გამოადგება რუსებს დასავლეთში გაფანტული, დასავლურ შეგნებით „მონამლული“ სომხური დიასპორა იმ მიზნების მისაღწევად, რომელნიც ასეთ საქმეს უთუოდ უნდა ჰქონდეს. ეს მიზანი ახლო აღმოსავლეთის დაპყრობაა. დაპყრობა არაბულ ქვეყნებისა ისრაელის ჩათვლით. სომხების გულისათვის გადაიკიდებს რუსეთი თურქებს, რომელთა მოდგმაც საბჭოეთის მთელ სამხრეთ საზღვრის გასწვრივ მოსახლეობს, უწყვეტ ხაზად, მანჯურიიდან მოყოლებული ცენტრალური აზია-კასპიის ზღვისპირეთისა და ორივე ადერბაიჯანის(საბჭოთა და ირანული) ჩათვლით? როგორ გაუშვებენ ხელიდან ცბიერი რუსები თურქულ, პრიმიტიულ, დისციპლინირებულ, გამძლე მეომარ ხალხის გამოყენების შესაძლებლობას?

(გავიხსენოთ კონსტანტინოპოლის ბედი. რატომ არ დაუბრუნეს მოკავშირეებმა ბერძნებს მათი სატახტო ქალაქი? ეს ხომ ნახევრად გაკეთებული იყო, სამართლიანობაც იქნებოდა, თურქებიც დამარცხებულთა ბანაკში იყვნენ, „ვეროპული“ საქმეც გაკეთდებოდა. ეს იმიტომ არ მოხდა, რომ ასეთ საკითხებში, ჯერ ანგარიში მიიღება მხედველობაში და მერმე – სამართალი და უფლება).

რუსებისათვის სულ მცირე მოხერხებულ პროპაგანდის განეევაც საკმარისია, რომ თურქებს, მცირე აზიაში ბატონობის ძველი, მაგრამ სრულიადაც არ გამქრალი, პრეტენზიები გაუღვიძონ და ასეთი პროპაგანდის გამწევი კადრები ხომ რუსებს უღვევადა ჰყავთ, მის ტერიტორიაზე მოსახლე თურქული რასის ხალხთაგან გამოყვანილ-დაგემილ „იდეოლოგთა“ სახით. რისი შეთავაზება შეუძლიათ სომხებს ნაცვლად ყოველი ამისა. რუსთათვის არათუ არავითარი ფასი არა აქვს სომეხთა ბურჟუაზიულ ან ინტელექტუალურ წრიდან გამოსულ იდეალისტებს, არამედ ისინი საშიშროებასაც კი წარმოადგენენ კომუნისტებისათვის, რადგან საბოლოო ჯამში მათ არ უერთგულდებიან. საერთოდ, კომუნისტებს სრულიად არ უყვართ ტერორის უნარის მქონე იდეალისტები. ასეთ ხალხს თვლიან ისინი ყველაზე საშიშად მათი ბატონობისათვის. იმიტომ იყო, რომ მათ ხელისუფლების ალებისთანავე

მოსპეს, ჯერ კიდევ უდანაშაულო სოც. რევოლუციონერები მიუხედავად მათთან დიდ იდეოლოგიურ სიახლოვისა. იმიტომ მოსპეს, რომ მათ თვლიდნენ ყველაზე საშიშ მომავალ მონინაალმდეგეებად.

ყოველი თქმულის შემდეგ, რაკი ფანტაზიისა და ფიქციის სფეროში ვიმყოფებით, წარმოვიდგინოთ, რომ ამჯერად ჩრდილოეთიდან, მოგვევლინა ახალი მაკედონელი. ესე იგი, დადგა ხანა ახალი ელინიზმისა. იქნებ ამასაც მოასწავებდეს, რომ „ელინიზმი“ და „ლენინიზმი“ ერთმანეთის ანაგრამებია. ნუ შეგვაშფოთებს, თუ სიტყვა ლენინიზმი ერთ ზედმეტ ასოს, წარს შეიცავს. ეს ასო ნ, ნეოს ანუ ახალს უნდა ნიშნავდეს. მაშასადამე, ლენინიზმი ნეო ელინიზმი ყოფილა. და აი, ამ ახალი მაკედონელის გენიამ ახალი წესრიგი დაამყარა წინა აზიაში. შემდეგ ეს სლავი ალექსანდრე, მისი სეხნიის მიბაძვით, მოკლე ხანში გარდაიცვალა და მისი იმპერიის ნანგრევებზე ახალმა არტაქსასმა ან ტიგრანმა დიდი არმენია აღადგინეს. ქართველებს არაფერი სანინაალმდეგო არ უნდა გვექონდეს ასეთი პერსპექტივისა. თუმცა ჩვენთვის არც მაინცდამაინც საამო ამბები შემოუნახავს ისტორიას: მაშინ იმ დიდმა არმენიამ თავისი სიდიდე საკმარისად არ ჩათვალა და იბერიასა და კოლხეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი მიწა-წყალი ჩამოაჭრა, მაგრამ ეს იყო მაშინ. იმ დროში არც „ეთნიური პრინციპი“ იყო ცნობილი, არც არმენების ასიათასები ჰყავდა საქართველოს ხიზნებად, მაშ მორიდებაც ზედმეტი იქნებოდა. ასე რომ, თუ სომხები კვლავ ამ მიწების გამანანილებლად მოგვევლინნენ, იმ დროს ჩვენგან წანართმევ მიწებს ახლა თურქებს თუ წანართმევენ, ალბათ, ჩვენ დაგვიბრუნებენ. ამის იმედი იმიტომ უნდა გვექონდეს, რომ ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის უმისოდაც დიდი ტერიტორია ექნებათ დასასახლებელი და ისიც მოსალოდნელია, რომ ჩვენში შემოხიზნულ სომხების ნაწილს მაინც ნაიყვანენ – თუ ყველას არა. რაც შეეხება ზღვაზე გასასვლელ გზას, იმედია, ახლა უჩვენოდაც იპოვიან მას და ხელმეორედ არ მოგვთხოვენ მესხეთსა და აჭარაზე გამვლელი ექსტერიტორიული კორიდორის დათმობას ბათუმამდე რკინისგზის მისაყვანად, როგორც პირველი ომის შემდეგ მოგვთხოვეს (ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ მოკავშირეებმა ჩვენს საქმეზე ხელი ჩაიქნიეს). ახლა მათ შეეძლება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიადგნენ შავ ზღვას და თუმცა, აქაც ყოფილი ქართველთა მიწებია, მაგრამ ამაში ჩვენ მათ არ შევედავებით.

ყოველივე ეს, ცხადია, ოცნებაზე დაშენებული ოცნებაა და ავტორის მიერ შესაძლოდ მიჩნეული მოგვარებაა, ასევე შესაძლოდ, მხოლოდ დაშვებულ გარემოებისა, თორემ არაერთი სარწმუნო საბუთი არ არსებობს ვამტყვიკოთ, რომ სომხები ჩვენ მიმართ საქმეს ასე მოაგვარებენ. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, მაგრამ ეს სომხებზე ვერ ითქმის. მადა მათ ჭამის დაწყებამდეც უხვი აქვთ. ამ მხრივ ისინი ღმერთს არ დაუსჯია.

ეს პასაჟი წერილისა, რომელიც ფიქციის ხარისხით არის მოტანილი, მრავალ სომხის გონებაში სრულიადაც არ არის ფიქციად მიჩნეული. ამგვარ რამეს გაიგო-

ნებთ სრული გონებით მსაჯ, ყოველ მხრივ ნორმალურ სომეხთაგან, როცა გულს გასხნიან.

ამ სომეხებმა ქართველებს შეარქვეს „გიჟ-ვრაცუა“. იქნებ ჩვენ ნაწილობრივ მართლაც ვიმსახურებთ ამ ზედსახელს და იქნებ იგი მხვედრიც იყოს ჩვენ მიმართ, მაგრამ ჩვენ რომ სომეხები უაღრესად ანგარიშიან ხალხად მიგვაჩნია და დიდ ბრძნობასაც კი ვაკუთვნებთ მათ, იქნებ ვცდებოდეთ. აქ პოლიტიკაში ბრძნობა იგულისხმება. ვინც სომხეთის ისტორიას თვალს გადააუვლებს, შეიძლება იფიქროს, რომ ამ ხალხმა, რომელმაც ასე კარგად იცის სააღმშვიდობო საქონლის ფასი და მაზანდა, ასევე კარგად როდი იცის საკუთარ სისხლის ფასიო. აქ, ცხადია, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს მომხდარი ტრაგედია არ იგულისხმება. აქ ლაპარაკია სომხეთის მთელ ისტორიის მანძილზე მომხდარ ამბავთა შესახებ, როდესაც აუარება სისხლი დაიღვარა სომეხი ხალხისა – ზოგჯერ ცუდი ანგარიშისა, ზოგჯერ ცუდი მეზობლობისა გამო, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს არასომხის მსჯელობაა და სხვის ტკივილს ვინ გაიგებს. ძნელია სხვის კანში ჩაჯდომა.

მაგრამ ყოველ ხალხს თავისი ისტორიის ფილოსოფია აქვს. ერთმა ქართველმა პოეტმა თქვა: „ბევრნი მოსულან, ბევრნი წასულან, კვლავ ბევრნი მოვლენ და წავლენ კვლავა, მხოლოდ ქართველი არსად წასულა, მხოლოდ ქართველი არსად არ წავაო“. ამას ვერ დანერდა სომეხი პოეტი, რადგან სომხეთის მთელი ისტორია სვლაა და სვლაა.

უძველესი კვალი საერთოდ სომეხთა არსებობისა, ტიგრ-ეფრატის სათავეებიდან სადღაც სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე „სომხას“ ქვეყანაში ჩანს. მაშინ მათგან ჩრდილოეთით მხოლოდ ურარტელები და ქართული ტომები ბინადრობდნენ. სომეხებთან უშუალო კონტაქტში მყოფ, მაშინდელ ქართულ ტომის ლტოლვილებს, სომეხთაგან შევიწროებულთ, უნდა შემოეტანათ ქართულ ენაში სახელწოდება სომეხი. მართო ქართველები უწოდებენ მათ ამ სახელს. იქიდან მომდინარეობს სომეხთა ადგილგადანაცვლება ჩრდილოეთისაკენ და როდესაც მათ ურარტელთა ასიმილაცია მოახდინეს, ცხადია, ურარტელთა დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები მრავალი პატარა თუ დიდი ქართული ტომიც ჩაყლაპეს და ვინც ადგილზე დარჩა, გაასომხეს და ეს ქართული შენაძენი იმდენად დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ენათმეცნიერებმა აზრი გამოთქვეს: თანამედროვე სომხურს ისეთი სახე აქვს, თითქოს კავკასიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხს ინდოევროპული ენა შეეთვისებინოსო. ამიტომ იმ სისხლში, რომელიც სომეხმა ხალხმა ასე მრავლად ღვარა, ბევრი ქართული სისხლიც ურევია.

ასე მოვალნიეთ ჩვენს ხანამდე და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვის სომხური ექსპანსიის ჩვენი მიმართულებით, ყოფილ თუ ახლანდელ ქართულ მიწა-წყალზე სვლას, უკვე გადალახული ჰქონდა მტკვარ-არაქსის წყალგამყოფი სიმაღლეები და ტფილისისაკენ დაქანებული მთების კალთებით იწყეს ჩამოსვლა.

ერთი წუთით უკუვიხედოთ: არც ერთი შემთხვევა არ არის აღნიშნული სომხურ ისტორიაში, ქართველთა მიერ სომხების ჟღერისა, ხოლო შებრუნებული სურათი კი არაერთია დახატული თვით სომეხ ისტორიკოსთა მიერ, კვებნით მოთხრობილიც კი.

სომხებს თავიანთ ისტორიის მანძილზე მრავალი დედაქალაქი ჰქონიათ, მათი მხოლოდ სახელებია ახლა ცნობილი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მათი დედაქალაქი, მაშინ უმნიშვნელო ადმინისტრაციული ცენტრი, ერეკლე მეორის მოხარკე სახანოს ქალაქი, ერევანი იყო. სომხები თითქო მას დედაქალაქად არცა თვლიდნენ, მათ მიერ დასახლებულ ქართულ პროვინციიდან სულ ახლო მდებარე საქართველოს დედაქალაქ ტფილისში მოიკალათეს თავიანთი კულტურული, ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრით. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ მიერ უცხოეთში დაბეჭდილ ზოგ რუკაზე ტფილისი სომხურ ქალაქად იყო აღნიშნული.

როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სომხებმა თვალები გამოიფხვნიტეს და გაკვირვებულნიც კი იყვნენ, როცა მიხვდნენ, რომ სხვის საბუდარში კვერცხების გამოჩეკა ყოველთვის სარფიანი საქმე არ ყოფილა. იყო წუნუნნი: ამდენი რამ ავაშენეთო. იმას კი ივინყებდნენ, რომ ასაშენებელი ფული სხვა მხრიდან კი არ მოუტანიათ, არამედ ადგილზევე მოიგეს. ამასობაში ერთი ომის ატეხვაც მოასწრეს. ომის მიზანი ის იყო, რომ თუ ტფილისს ვერ წავგართმევდნენ, მათი საზღვარი მაინც ისე ახლო გადმოეტანათ, რომ ხელით გამოსროლილ ქვითაც შესაძლო ყოფილიყო ქალაქის მინების ჩამტერევა. . და როგორი იყო ქართველთა რეაქცია ამაზე? ქართველები ბრახსაც კი არ ამჟღავნებდნენ. მხოლოდ გაკვირვებით ეკითხებოდნენ სომხებს: „გიჟ-ვრაცუები“ ჩვენა ვართ თუ თქვენა ხართ, თქვე მართლა გიჟებო! ე რა ჩაიდინეთო. და ცხადია, არცერთ ქართველს აზრადაც არ მოსვლია სომხურ დუქნების ფანჯრების ჩამტერევა, (დე, სომხებმა წარმოიდგინონ, ასეთი რამ თურქების მიმართ კი არა, ადერბაიჯანელთა მიმართ რომ ექნათ, სომხურ მოსახლეობას რა მოუვიდოდა): შემდეგ ასეთმა „ტყბილმა“ მეზობლობამ ის მოგვიტანა, რომ ყველანი გაგვასაბჭოეს. გავისხენოთ, რომ საქართველოს გასაბჭოებაც მათი აქტიური მონაწილეობით მოხდა, მაგრამ რუსების მოსვლის მიუხედავად, საქართველო რომ საქართველოდ დარჩა, ახლა კი იკადრეს და შესანიშნავმა მშენებლებმა, როგორიც ისინი არიან, თავიანთი ერევანი მშენიერ ქალაქად აქციეს და მათი კულტურის შესაფერ დაწესებულებებით აღჭურვეს. რაც შეეხება ტფილისში გამოჩეკილ წინილებს, ყველას ხომ ვერც ნაიყვანდნენ, სხვისი საბუდარის მთლიანად დაცლა მათ არც სჩვევიათ. საჭირონი ნაიყვანეს, სხვები კი დატოვეს. იყვნენ, კარგად არიან, თანაც ვინ იცისო...

ერევანთან ერთდროულად სომხეთიც შენდებოდა. ისე ჩანდა, თითქო თავიანთი პატარა, მაგრამ საკუთარი ქვეყნის მოვლით დაკმაყოფილდნენ და მთელი ენერგიით საკუთარ ბუდეს იშენებნო.

ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო მას შემდეგ და გაკვირვებულნი ვტყობი-
ლობთ სტატისტიკურ ცნობებიდან, რომ თურმე აფხაზეთში ახლადდაბუდებულ
სომეხთა რიცხვი, აფხაზ მოსახლეობის რიცხვს გაუტოლდა!

სომხები უჭკუო და უგრძობლები არ არიან. ამიტომ შეგვიძლია მათ ვუთხრათ:
თავიანთი თავი წარმოიდგინონ ჩვენს ალაგზე, კარგად დაფიქრდნენ და თუ ნამუხსი
ნებას მისცემთ თქვან, ქართველებს სომხები არ უყვართ, ცუდად გვეყვრობიანო.
არა! ქართველებს ზოგი ნაკლი აქვთ და უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ცუდ მასპინძლო-
ბას სომხები ჩვენ ვერ დაგვწამებენ. სომხებს მრავალი კარგი თვისება აქვთ და
უნდა ჰქონდეთ, მაგრამ კარგ მეზობლობას ვერ დაიკეცნიან. კარგი მეზობლობა
კი უფრო საჭიროა, ვიდრე სომხებსა ჰგონიათ. „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი
თავისა მტერიაო“, სწამთ ქართველებს. სომხებს კი თითქო წინააღმდეგი სწამთ.

მკითხველმა, ქართველმა თუ სომეხმა, იქნებ კითხვა დასვას: მაშ, როგორღა
უნდა გადაწყდეს სომხური პრობლემაო. ეს წერილი სომხური პრობლემის გა-
დანყვეტას – რომელსაც თანაბარი უფლებით, ქართული პრობლემაც დაერქმევა
– არ კისრულობს. ავტორს მხოლოდ სურდა მკითხველის წინაშე გადამლა ამ პრო-
ბლემის ზოგიერთი მხარისა – როგორც მან ეს ქართული თვალთ დაინახა. ხოლო
რაც გადანყვეტას შეეხება, ამაზე დაუსრულებლად შეიძლება წერა და გონებრივი
სპეკულაცია. საბოლოო ჯამში კი ასეთ პრობლემებს დრო და ცხოვრება წყვეტს
ხოლმე. ზოგჯერ კი გადაუწყვეტლად ტოვებს ბოლომდე. და ამ „ბოლოს“ თარი-
ლი არავინ უწყის. იქნებ არსებობენ ხალხები, რომელთაც თავიდანვე დაეკვებუ-
ბათ, გადაუწყვეტ პრობლემასთან ჰქონდეთ საქმე. იქნებ ასეთ ჯგუფს ეკუთვნიან
სომხები და ებრაელებიც. ამ უკანასკნელთა პრობლემის სრული გადანყვეტაც ხომ
ისევე უჩინარია, როგორც უჩინართა დღე მათი გაჩენისა.

მიხეილ ჯავახიშვილი

იერია, 26.1983

ილიას კვალზე მავალი და მისი ბედის ზიარი

გამომეღვიძა და რა ვიხილე: ჩემო სამშობლო,
შენი სახელის სილამაზით ბრწყინავდა ზეცა.
ვინეჭ მინაში უკულმართი დროთი დევნილი
და შენზე ფიქრით მოქარგული ბელტები მეცვა.

გ. ყიფიანი

(მწერლისადმი მიძღვნილ გამოუქვეყნებელ შაირიდან)

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილის „რეაბილიტაცია“ მოხდა, აკრძალვა მოიხსნა მისი სახელის ხსენების და თუ ვინმეს პიროვნულ ბიბლიოთეკაში ჯავახიშვილის რომელიმე წიგნი, უმეტესობის მიერ ცეცხლში განადგურებული, კიდევ მოეპოვებოდა, აღარ ეშინოდა მისი გამოჩენისა. ამავე დროს მწერლის სახელის ხსენებაც დაიწყეს პრესაში – ცხადია, ასეთ შემთხვევებში მიღებული სიფრთხილით და საბჭოეთისათვის ასე დამახასიათებელ შინაარსგამოცლილ ფორმულებით. მაგრამ, როცა მწერლის დაბადებიდან ასი წლის შესრულების საიუბილეო აღნიშვნა გადაწყდა, შიშის დაძლევისა და გაბედულების ზრდას დიდი მანძილი გაუვლია უკვე და იუბილეს წინა დღეებში ქართულ გაზეთებში ისეთი წერილები გამოქვეყნდა, რომ არათუ საქართველოში მყოფ მკითხველს – აქაურსაც გაუკვირდებოდა.

ამ წერილებში ყველაფერი თქმულია, მაგრამ ცხადია, არა პირდაპირ, არამედ შენიღბულად. და თქმულია არა ერთ რომელსამე წერილში, არამედ ისე, რომ სათქმელად საშუალო აზრები სხვადასხვა წერილშია გაბნეული – თითქოს პასუხისგება გაუნაწილებიათ. ამიტომ ეს „ყოველი თქმული“ რომ დავინახოთ, უჩვეულო ხერხს უნდა მივმართოთ. ეს ხერხი იმ საბავშვო გასართობსა ჰგავს, რომელსაც ფრანგულად შქვია ინგლისურიდან ნასესხები PUZZLE. კარტონზე დაწებებული სურათი წვრილ უთანაბრო ნაჭრებად რომ არის დაჭრილი და ერთიმეორეში არეული, რომლიდანაც ბავშ-

ვმა უნდა აღადგინოს პირვანდელი სურათი. რას იზამ, ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით მხოლოდ ამგვარად შეიძლება ზოგიერთი აზრის გამოთქმა.

ამ ნერილში ცდილ იქმნება ამ „ნაჭრების“ შერჩევით შეერთება, სურათის აღდგენა და ამგვარად იქ გამოთქმულის მოშველიება ჩვენ მიერ აქ გამოთქმულ აზრთა დასაცავად.

ასე ხდება საქართველოში, მაგრამ გავიხსენოთ, აქ, ემიგრაციაში როგორ გაიგეს ჯავახიშვილი და რა დაინერა მის შესახებ. პირველი გამოხმაურება „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია: „კავკასიონის“ მეორე ნომერში 1929 წლისა, მოთავსებულია ლადო ბაქრაძის ვრცელი, ცამეტგვერდიანი წერილი „კრიტიკული შენიშვნები“. განათლებული ავტორის, მაგრამ მინც არაპროფესიონალ კრიტიკოსის მიერ, ნახევარ საუკუნის წინათ გამოთქმული აზრები, დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკის დონისათვის, ცხადია, მოძველებული და სუსტია. თანაც გარჩეული რომანი ახლად გამოსული იყო და რომანში უჩვეულო მიდგომით დასმული მტკივნეული პრობლემისადმი ცივი გონებით განსჯა, ლადო ბაქრაძის წრის კაცისათვის შეუძლებელიც იქნებოდა. ბაქრაძე დაუნდობლად იწუნებს ჯავახიშვილის ოსტატობას, რომანისტობას, ლიტერატურულ-მხატვრულ უნარს და იქამდე მიდის, რომ ამბობს: „სადაც ავტორი ავგინერს პორნოგრაფიულ სცენას ურემზე... შედეგია მხატვრული უტაქტობისა და დანერვილია... როგორც იწერება საპოლიციო ოქმი... შეიძლება მ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს ნატურალიზმი, მაგრამ მაშინ რომანის გმირებს უნდა გავყვეთ ფეხსალაგამდისო“. კრიტიკოსი აცხადებს: თეიმურაზი სიყალბეა. იგი ქართულ ინტელიგენციას არ გამოხატავსო, ხოლო ჯაყოს ტიპის დახატვით აღფრთოვანებულია: „ჯაყო ცოცხალი ტიპია – მთლიანი მხატვრული ტიპი, რომელიც შევა არა მარტო ქართულ, ... არამედ საერთაშორისო ლიტერატურულ ტიპთა გალერეაში, სადაც არიან გარპაგონი (მოლიერისა) ტარტიუფი (მოლიერისა) დონკიხოტი“... და სხვა. როგორც მკითხველი ხედავს, ლადო ბაქრაძე უკიდურესობიდან უკიდურესობაში ვარდება, რაც ყოველ ფასს უკარგავს მის წერილს.

ლადო ბაქრაძის წერილის საპასუხოდ, „კავკასიონისავე“ მომდევნო, მესამე ნომერში, თამარ ვარდანიძის ფსევდონიმიტ დაიბეჭდა ვიქტორ ნოზაძის წერილი, რომლის უკვე სათაურიც მრავალის მთქმელია: „თათქარიძის მოდგმა (თეიმურაზ ხევისთავი)“. ეს წერილი-პასუხი წინანდელზე მოკლეა. ვიქტორ ნოზაძე პირველი უნდა იყოს საერთოდ, რომელმაც მ.ჯავახიშვილის სახელი, ილიას სახელს დაუკავშირა (ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად ღრმა ჩანს ეს კავშირი დღეს, ნახევარ საუკუნის შემდეგ და – რომ მას ეროვნულ-ისტორიული ფასი ეძლევა). ვ.ნოზაძე წერს: „როდესაც... ჯაყოს ხიზნებს ვკითხულობ, ძალაუწებურად, თვალწინ დგება ილია ჭავჭავაძის გმირი ლუარსაბ თათქარიძე... ილიამ მოგვცა ტიპი მხატვრული, შემკრებლობითი ლუარსაბი, რომელშიც ჩვენი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი თავის თავს იცნობდა. როდესაც მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“ ვკითხულობ, ვხედავ, რომ აქ იგივე ხერხია ნახმარი... ნუ დავხუჭავთ თვალებს და თეიმურაზებს საქართველოში ბევრს დავინახა-

ვთ... ისინი ეკუთვნიან არა მარტო თავადაზნაურულ წრეს, არამედ ყველა წრეს... ის ზედმიწევნით სისწორით ახასიათებს ჩვენს ცხოვრებას, როდესაც ამბობს... მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ... ნებაშეძლია ადამიანის უძლური ამპარტყენება და ლატაკის ქუქა-ქუხილი... შემდეგ ვ.ნოზაძეს მოჰყავს ა.ჯორჯაძის სიტყვები: „ინტელიგენცია უილაჯო მონამე ხალხის გაჭირვების და ერის განსაცდელისა“ და ვ.ნოზაძე თავის წერილს ასე ასრულებს: „თეიმურაზი ნამდვილი მოვლენაა, ჩვენი ცხოვრების შვილია და ამგვარად, ადვილად განიმარტება ბაქრაძის გაუგებრობა: ...ავტორმა, რომელმაც შექმნა ყალბი ტიპები, როგორც თეიმურაზი და მარგო, როგორ მოახერხა ისეთი მხატვრული ტიპის შექმნა, როგორც ჯაკოა, ეს ალბად საიდუმლოებას შეადგენსო“... საიდუმლოება, რასაკვირველია, არ არსებობსო“, ასკენის ვ. ნოზაძე.

როგორც თანამედროვე ქართველ ავტორებზე ითქვა, ნოზაძის წერილის შესახებაც შეიძლება ითქვას: „აქ ყველაფერი თქმულია“, მაგრამ ეს ყველაფერი ბოლომდე გამოთქმული არ არის. რატომ? იქნებ ავტორი მხოლოდ ბაქრაძისათვის გაცემულ პასუხით დაკმაყოფილდა. იქნებ სხვა ახსნაც შეიძლება: ყოველივე ჯერ, შედარებით, ახალი ამბავი იყო; თვით ვ.ნოზაძისათვის მაშინ მხოლოდ მნიფდებოდა ის კრიტიკული აზრი და წარსულის გადაფასება, რაც მან და მაშინდელმა მისმა თანამშრომლებმა, ელუარდ პაპავამ და ისიდორე მანწკავამ, ხუთი წლის შემდეგ გამოაჩინეს – ჟურნალ „ორნატის“ გამოცემით.

დღმა დრომ განვლო ამ წერილთა გამოქვეყნებიდან, ვიდრე ჯავახიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე რამე დაინერებოდა. იქნებ ზოგი რამ დაიბეჭდა კიდევაც, მაგრამ დაეინყებას მიეცა. მხოლოდ 1953 წელს „ბედი ქართლისას“ მეთხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის წერილი „მიხილ ჯავახიშვილი“, რომლის ავტორის მიერვე განვრცობილი და საგრძნობლად შეცვლილი ვარიანტი „კაკეასიონის“ მეთვრამეტე ნომერში დაიბეჭდა 1976 წელს. გრიგოლ რობაქიძე არა მარტო ძლიერი რომანისტი, ნოველისტი და ესეისტი, არამედ მაღალი ხარისხის ლიტერატურული კრიტიკოსიც იყო. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი ავტორი თავისი რეპუტაციის შესაფერ სიტყვასაც იტყოდა. საუბედუროდ, ასე არ მოხდა. თუ რატომ – ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

აქ ერთი განმარტება: გრიგოლ რობაქიძე უხვად აქებს ჯავახიშვილის პიროვნებას – კაცს და ადამიანს, ხოლო უსამართლოდ ამცირებს მწერალს და სრულებით უგულვებლყოფს მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კერძოდ, ჟურნალისტურ მოღვაწეობას.

წინამდებარე წერილი ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანოში იბეჭდება. ჯავახიშვილი ჩვენი ერთი ლიდერთაგანი იყო და ასეთი იყო იგი მაშინაც, როცა ერ.დემ.პარტია ჯერ არც არსებობდა. ეს იმიტომ, რომ უკვე ამ საუკუნის პირველ წლებში, ჯავახიშვილი ჯერ ილიას „ივერიას“ ხელმძღვანელობდა, მერმე კი ფილიპე გოგიჩაიშვილთან თანამშრომლობდა იმავე გამოცემაში. ხოლო ჩვენს ჟურნალს შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ეწოდება „ივერია“. რაოდენ მკრთალი აჩრდილიც არ უნდა ვიყოთ იმ სახელოვან

გამოცემისა, ჩვენ მაინც მის გაგრძელებას წარმოვადგენთ და მხოლოდ მისი გზით მივიდვართ. ამიტომ ჩვენი ვალია, მიხეილ ჯავახიშვილი უსამართლო მოპყრობისაგან დავიცვათ, მაგრამ მკითხველი დაინახავს, რომ ამ დაცვით ჩვენ მასაც ვიცავთ, ვინც ჯავახიშვილისადმი უნებურად იჩენს უსამართლობას. გრიგოლ რობაქიძის წერილი რომ დაიბეჭდა, სამწუხაროა, მაგრამ უფრო სამწუხარო იქნება, თუ არ აიხსნა რა არის ნამდვილი მიზეზი მომხდარი ამბისა.

გრიგოლ რობაქიძე დიდი სიმპათიით და გულისტკივილით მოიგონებს ჯავახიშვილთან მეგობრობას და ნაცნობობას, ხოლო როცა მწერალზე იწყებს საუბარს, თავშივე ამბობს: ორმოცდაათი წლის წინათ რამდენიმე ნოველა გამოაქვეყნა გორკის გავლენით, მაგრამ არა ნაბაძვით და მხატვრულ განფენით გორკის არ ჩამოუვარდებოდაო. მაგრამ უეცრად მიატოვა მწერლობა და ფ.გოგიჩაიშვილის რჩევით უფრო სხვა სერიოზული „საქმე“ დაიწყო, ხოლო გასაბჭოების შემდეგ, როცა ფილიპეს რჩევით დაწყებული „საქმე“ ხელსაყრელი აღარ აღმოჩნდა, ისევე კალამს დაუბრუნდა განბილებულიო.

მამასადამე, ჯავახიშვილის ყურნალისტურ-პოლიტიკური მოღვაწეობა, ილიას „ივერიიდან“ მოყოლებული ეროვნულ დემოკრატიულ გაზეთ „საქართველომდე“ გ. რობაქიძეს ბრჭყალებში ჩასასმელ „საქმედ“ მიაჩნია. ხოლო ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე ქართველი მწერლები ამ „განბილებულ საქმის“ ხანას. ე.ი. იქ შიშის ქვეშ ამბობენ იმას, რისი თქმაც სამშვიდობოს გამოსულმა გრიგოლ რობაქიძემ არ ისურვა.

შემდეგ გ. რობაქიძე მოგვითხრობს, რომ მწერლობაში მობრუნებულ ჯავახიშვილს დიდად გაუფარდა სახელი, არც ერთ ქართველ მწერალს ასეთი გასაავალი არ ჰქონია, არაფრის ამდენ უცხო ენაზე არ უთარგმნიათო და უპასუხოდ დატოვებულ კითხვის დასმით ასრულებს აბზაცს: რით აიხსნება ესო. აქ, ალბათ, მკითხველმა უნდა დაასრულოს ფრაზა და ავტორის მაგივრად თქვას, ვერ გამიგიაო.

შემდეგ ვკითხულობთ: „ამბავი, მის ნაწერში მოთხრობილი, გულისყურს იპყრობდა მკითხველისა, როგორც მოსწრებული ანეკდოტი. რთულ პრობლემებით არც იყო ავტორი დატვირთული, თანვე თვალი ჰქონდა საგნის ხალასი ხილვისათვის – აქაც გორკის წააგავდა“.

საწყალი ჯავახიშვილი მჩატე მთხრობელი ყოფილა ანეკდოტებისა, რთული პრობლემებით არ დატვირთული და ისიც გორკის წყალობით. და კიდევ ერთი ფრაზა მწერლის დახასიათებისათვის: „აღსანიშნავია არაჩვეული თემატიკაც, რომლითაც ჯავახიშვილი მკითხველს იზიდავდა. ეს იყო, ასე ვთქვათ, „ოთხყურა“ სამყურა მოლითგან“.

შემდეგ გ. რობაქიძე „ჯაყოს ხიზნებს“ ეხება: „ჯაყოს ხიზნებში“ ხელოვნება კოჭლობს... რომ ისეთი ქალი, როგორცაა მარგო, დანებდა ჯაყოს და სიუხვით გადაეშალა მას, ეს გასაგებია“. როგორ?! მარგო ჯაყოს დანებდა? ბატონ რობაქიძეს შეუძლია სთქვას, ხელოვნება კოჭლობსო, თუ ასე ხედავს. . . მხეცმა ქალი გააუპატიურა და ამას დანებდა ჰქვია? ან ეს სიუხვით გადაეშალა რაღაა?!

შემდეგ ვკითხულობთ: „...ნადირკაცა ჯაყო მხოლოდ საღერღელაშლილია, ალვი-
ვებული მარგო მარტოლა ახურეებული აშავერია. მთელს რომანში ნიშანწყალიც არაა
ეროსისა, ფაქტი, უაღრესად მნიშვნელოვანი. ამასვე ვხედავთ მთელი საბჭოეთის ლიტე-
რატურაში“. აქ ორი შენიშვნა: სად, რომელ გვერდზე რომანისა და გვიხატა ავტორმა
მარგო ატეხილ ჭაკად? (ამას უნდა ნიშნავდეს ახურეებული აშავერი). მარგო რომ ასე-
თი ყოფილიყო, ჯაყოს მიერ გაუპატოურებადვე ვერ იპოვიდა თეიმურაზის შემცველ
„სალოგინო“ პარტინორს? ხოლო, რაც შეეხება ჯავახიშვილის ჩარიცხვას საბჭოთა ლი-
ტერატორად, როგორ კადრულობს ამას გრიგოლ რობაქიძე! მაშ, ჯავახიშვილი თავისი
წერის მანერით, თავისი სტილით და იდეებით საბჭოთა მწერალი ყოფილა და ასეთად
ქცეულა იგი გასაბჭოების პირველსავე წლებში – რადგან 1924 წელს გამოქვეყნებული
„ჯაყოს ხიზნების“ წერა ხომ კიდევ უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო.

კიდევ ერთი ციტატა: „ვაკვირდებოდი ჯავახიშვილის შემოქმედებას – პირველი შე-
დარებით მერმინდელთან უმჯობესად მეჩვენებოდა... როგორ მოხდა ეს რომ დავაჟკა-
ციებული ჯავახიშვილი, ახალგაზრდა ჯავახიშვილს მწერლობაში ვერც კი გაეტოლა?“

ახლა ყური დაუგდოთ ირაკლი აბაშიძეს: „მიხეილ ჯავახიშვილის გამოჩენა ყვე-
ლაზე დიდი და მოულოდნელი სენსაცია იყო ოციანი წლების ქართულ მწერლობაში.
ადრინდელი, ცხრაასიანი წლების მისი პირველი დებოუტი აქა-იქ თუ ახსოვდა ვინმეს,
ისიც მხოლოდ ძველი თაობის ლიტერატორებსა და იქნებ, საღაც – ორიოდე მკითხ-
ველს. მწერალთა და მკითხველთა შემდგომი თაობისათვის იგი უცნობი იყო. ახლა იგი
ქართულ მწერლობაში სრულიად დასრულებულ დიდოსტატად მოვიდა“. ამ ციტატას
კომენტარი სჭირდება?

„თეთრი საყვლას“ გამო გ.რობაქიძე ამბობს: „მხატვრულ ზომას ვერც ამ რომანში
იცავდა ავტორი. მაგალითისათვის... ხევსური ტფილისში ჩასული ხედავს რონოდას,
გაქანებულს. დაფეთება, ალქაჯი ჰგონია. ეს ავტორის არცოდნას მივანეროთ: პირ-
ვანდელი ადამიანი, შესაძლოა, გაკვირვებით შეხვდეს რონოდას და ისიც, შენელებუ-
ლით, გარნა არაოდეს დაფეთებით“.

ვითომ უდავოდ მართალია ავტორი, როცა ეს ადგილი მხატვრული ზომის ვერ-
დაჭერისა და არცოდნის მაგალითად მოჰყავს? სიტყვა ფეთებას მრავალი მნიშვნელობა
აქვს, ხოლო ყოველთვის მოულოდნელ მოვლენით არის გამოწვეული. განმარტებითი
ლექსიკონი განმარტავს: ფეთი — 1. გიჟი, ფეთიანი 2. ღამით საოცრისგან შეშინება
(საბა). თუ ჯიშინი ბედაური ფეთდება, თუ ვეფხი ფეთდება, რატომ არ შეიძლება,
ჩვეულებრივ უშიშარი ხევსურიც დაფეთდეს წუთით. ეს ხომ ქრონიკული მშობარობა
არ არის. თანაც, ფეთებისაკენ განწყობილია ის, ვინც ძლიერ მგრძნობიარეა. გარნა
ხევსურნი, ამას თვითონ რობაქიძე ამბობს ნოველა „ენგადში“, „ნაზნი და შინაგან მორ-
ცხენი არიან“. ხევსურეთმა დაჰბადა მორცხვი და მგრძნობიარე მინდია. მას უსათუოდ
შეეძლო წუთით დაფეთება, მაგრამ თავისთავს მოსული გაბედულების განსახიერება
იყო. არა, ეს ყურით მოთრეული საბუთია, რადგან წუნის მაძიებელს სხვა რამ ვერ
უპოვია.

ასეთია ხვედრი დიდ პიროვნებათა. მხოლოდ დიდებისა კმურდათ და კმურთ თავადაც დიდების მქონეთ. მხოლოდ ლამაზ ქალებსა კმურთ ულამაზესი ქალისა. მხოლოდ განთქმული ცხენის პატრონებსა კმურდათ ძველ სამეგრელოში, სხვისა მიერ ყოლა უკეთესი ცხენისა.

შემდეგ ავტორი კვლავ განქიქებას განაგრძობს: „რომანის მთავარი მუხლი „სწორფერობა“ – (შემდეგ ჩემს ნოველაში „ენგადი“ გადმოშლილი). ესაა ეროსის აღვივება „იმ“ მბასრავ ტკობის ზღვარს არ-გაცდენილი, და ვაი მეტრფეს, თუ იგი მას გასცდა... და აი, ქალი და ვაჟი სცდებიან მას. მეტი: ავხორცობით თვრებიან. ირლევვა საკრალური დგენა ხევსურთა – ესაა რომანს რომ აფუჭებს“. აქ გ.რობაქიძე პირდაპირ ამახინჯებს სინამდვილეს: ქალი და ვაჟი ზღვარს არ გადასცდენიან. ვაჟმა და მისმა ძმადნაფიცმა ხევისბერს მიმართეს და ქორწინების ნებართვა ითხოვეს. თემი შეიყარა და დიდი ბჭობისა, წინააღმდეგობათა დაძლევისა და დადგენილ, ძროხათა რაოდენობის გადახდის შემდეგ ქალ-ვაჟის შეუღლებას ნება დართო სოფელმა. ხოლო რაც „ავხორცობას“ შეეხება, მსგავსი რამ რომანში არ არის. ან იქნებ ავხორცობად მიიჩნევა ავტორისათვის, ცოლ-ქმრის მიერ შეილის გაჩენა.

“თეთრ საყელოზე” საუბარს ავტორი ასე ათავებს: „კომპარტიის ყრილობაზე, საცა არამკითხენი მწერლობასაც სჩიჩქნიან, ხევსურიც ყოფილა ერთი, როგორც „დეკუტატი“. მოეთხოვა სიტყვა, ასულიყო სცენაზე: „ვინაა ი, რალაც საყელო დაუნერავ? მისავ მელნით შეუუსვარო საყელო“. ამ გადმოდახილით დამდაგავი რეცენზია ინენია ავტორმა“. აქ გ. რობაქიძე ჯერ არამკითხეებს უწოდებს ამ კრებას, შემდეგ კი ჯავახიშვილის დასამცირებლად იშველიებს იმავე კრების მონაწილეს და თანაც, თითქოს ამით გახარებულაო, იყენებს სიტყვას დამამცირებელს: ინენიაო ე.ი. სორცხვილი ჭამაო. ვინაიდან გ. რობაქიძე ჯავახიშვილისათვის ბრალად რაცხს ხევსურთ ჩვევათა უპატივცემულობას და თვითვე მოგვაგონებს ნოველა „ენგადს“, ვნახოთ, როგორა სცემს პატივს იმავე ჩვევებს თავის ნოველა „ენგადში“.

რუს სინეასტებს ხევსურეთში თარჯიმნად ახლავს ქართულის მცოდნე რუსი, ვინმე გიორგი ვალუევი. ამ რუსს გაიცნობს ახალგაზრდა ხევსური მგელიკა და მეორე დღესვე, ყოველგვარ მოტივს გარეშე, ეს ხევსური ეზოდან თავის სახლში შედის, ბრუნდება თასით ხელში და ამ გადამთიელს ეუბნება, შენ ფარიკაობა გცოდნია, შიორებსაც კარგად ამბობ, გინდა ერთმანეთს ძმობა შეეფიცოთო? რუსი თანხმდება. ეზოში არიან: „მგელიკამ აიღო კრძალვით ერთი ვერცხლის ნაჭერი, ჩამოათალა მას ცოტა და თასში ჩაუშვა ჩანათალი. შემდეგ აავსო თასი ლუდით და შენაცვლებით შევსვით იგი, სამსამჯერ. ამიერიდან ჩვენი ბედი ერთი გზით წარიმართა“.

ხევსური უცხო კაცს და ისიც რუსს, ასე მჩატედ და უმოტივოდ, ფიცვერცხლით შეეკვრება?! ამას ხომ „გალავინსკზე“ მონაწილეს „დამპატიუც“ არ იზამდა – თუნდაც რომ სამიკიტნოში გაძღომისა და გადაკერის იმედი ჰქონოდა იმ რუსის ხარჯზე. ან ეს ვერცხლის ნაჭერი რაღაა და იმ ხევსურმა საიდან გააჩინა? ფიცვერცხლი ძმობაა, მაგრამ უმთავრესად – იარაღში, ბრძოლაში და გასაჭირში. ამიტომაც, რომ სიმბოლო-

რად, იარაღის მოჭედლობის ვერცხლს მოფხეკენ ხოლმე და იმას ჰყრიან სასმისში, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი! ხევსურს რუსი ხახმატის ხატობაზე მიჰყავს, სადაც ხატობის დასრულების შემდეგ, კაცები რომ ნადიმობდნენ, მათგან ოდნავ მოშორებით თურმე „ჩრდილებში ქალები ისხდნენ, ისინიც ნადიმობდნენ, მხოლოდ თავშეკავებით... ერთი ახალგაზრდა იყრობდა ჩემს ყურადღებას... ჩემს მზერას მოჰკრა მან თვალი და მყისვე მოიღრუბლა ეშხიანი (რუსი ჰყვება ამ ამბავს მ.ქ.)...ვიგრძენი, ამ გოგონას მოვენონე... უეცრად მხარზე ხელდარტყმა ვიგზნე... მგელიკა იყო... მოგნონს? ჩამჩურჩულა. ბიძაშვილიო ჩემი" და რამდენიმე დღის შემდეგ მგელიკამ ეს მისი ბიძაშვილი ამ რუსს ჩაუწვინა ლოგინში, ვითომ „სწორფერობააო".

ასეთი რამ ხევსურეთში რომ მომხდარიყო, ცხადია, არათუ ის რუსი ცოცხალი ვერ დარჩებოდა, არამედ იქნებ ქალიც ჩაექოლათ, ხოლო რობაქიძეს რომ ეს ნოველა საქართველოში დაენერა და ვინმე ხევსურს ნაეკითხა იგი, „დამდაგავ რეცენზიის წვნივას" აკმარებდნენ ხევსურნი ნოველის ავტორს – ხევსური ვაჟკაცის, ოღრაშად გამოყვანისათვის?

ეს მსჯელობა „ენგადის" გარშემო, ცხადია, ამ მომხიბლავ ნოველისათვის წუნის დადებას არ ნიშნავს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ არც ჯავახიშვილი „თეთრ საყელოში" და არც რობაქიძე „ენგადში" ვალდებულნი არ არიან, ზუსტად მისდიონ დადგენილ წესთა და ჩვევათა გადმოცემას. მხატვრული ნაწარმოები, ეთნოგრაფიული ნაშრომი არ არის. ყოველივე ეს ყველაზე უკეთ თვით რობაქიძემ იცის და ასე რომ არ ფიქრობდეს, არც თვითონ გადაუხევედა, მაგრამ უსამართლობა სწორედ ამაშია: რაც თავისთვის ცოდვად არ მიაჩნია, იმას მიიჩნევს ცოდვად და ნაკლად ჯავახიშვილისათვის და თანაც, ხელოვნურად ქმნის ამ ნაკლთ. რატომ ხდება ეს?

რა დაუშავა ჯავახიშვილმა რობაქიძეს? რა მგლობა გაუნია? რომელი დეკლუი შეუჭამა? რამდენი ცარიელი სავარძელია ქართველ დიდკაცთა გალერეაში? – იმდენი, რამდენიც სხვადასხვა დარგისა და გვარის გენიის არსებობაა შესაძლებელი. განა შოთა და ვაჟა მეტოქეობენ, თუ მშვიდად, მორჩბულნი სხედან თავიანთ ტახტზე! ვინ ნაჰკიდა ბესიკი და გურამიშვილი, ან ვინ შეჰკადრა საყვედური ილიასა და აღმაშენებელს: ორნი რადა ხართ საქართველოს ღირსებაში რწმენის წყაროდო. თუ პირუკუ, მესამის მოვლინებას ნატრულობს დღენიადგ ქართველი.

ნუთუ რობაქიძის მიერ თავის წერილში გამოთქმული ჯავახიშვილისადმი მეგობრობა და სიმპათია სიყალბეა? შეუძლებელია! ეს სადავოც არ არის.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართველი კაცის ხასიათში დაბუდებულ ყველას მიერ ცნობილ თვისებასთან: მან ისტორიულადაც კი დიდი ზიანი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. ამ თვისებას მრავალი სახე აქვს: თავისთავზე წარმოდგენისათვის ზღვარის ვერდადება, ეგოცენტრიზმი, სწრაფვა სახელისაკენ, სხვისი უპირატესობის, უკეთესობის, სახელგანთქმის და სხვა ამგვართა ვერატანა. შეგნებულმა ქართველობამ ეს იცის, მაგრამ პოეტ. ფოცხიშვილის თქმისა არ იყოს, „ხალხმა თითქოს ყველაფერი იცის, მაგრამ ხალხმა თითქოს არაფერი იცის".

ამ ნაკლის ქართულ ბუნებაში ღრმად ფესვმოკიდების ცნობილი მაგალითია ილიას და აკაკის უთანხმოება. აკაკის ხალხის სიყვარული არ აკლდა, პირიქით, ილიაზე მეტად უყვარდა აკაკი ხალხს. არც სახელგანთქმა აკლდა აკაკის – ილიაზე უფრო პოპულარული იყო აკაკი. აკაკივით ხელში არ აუტატებიათ ილია, მაგრამ ილიას ჰქონდა რაღაც, რაც აკაკის არ ჰქონდა და ეს ვერ აიტანა აკაკიმ. ვერ შეურიგდა ილიას უპირატესობას იმ დარგში, რომელშიაც აკაკი ილიას ვერა და ვერ გაეტოლებოდა. აკაკის გონებაში იცოდა ეს, მაგრამ მისმა გულმა არ ისურვა ამისი ცოდნა და არც ერთ ცდას ილიასას, შერიგებისა და ერთად ყოფნისაკენ მიმართულს, აკაკი არ გამოეხმებოდა. იგი იქამდე მივიდა, რომ მანაბლისადმი მიმართულ წერილში სთქვა: „ხელიკადაც არ მიღირს ილიაო“.

ჩვენი ცხოვრებისათვის მავნებელი ეს თვისება, ქართულ ლიტერატურაშიც ხაზგასმულია: ილიას „აჩრდილის“ მეცხრე თავის ბოლოში ვკითხულობთ: „ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ, თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან“ და თავის ცნობილ ლექსში „ქართულის დედას“, დღეს გამჭრალ სიკეთეთა ჩამოთვლისას შემდეგი რიგია დაცული: „მითხარ – სადღაა მამაპაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური, სახელისათვის ამაყი თრთოლა, მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?“ თუ გავიხსენებთ – როგორი ზრუნვით ამუშავებდა ილია თავის ლექსებს, შეუძლებელია, ვიფიქროთ, რომ ამ სტრიქონებში დაცული თვისებათა რიგი შემთხვევით არის ასეთი. ილია ამბობს: მამულისათვის ბრძოლის სტიმულის მომცემი, სახელისათვის ამაყი თრთოლა იყო. ასეთი აზრი მით უფრო სარწმუნოა, რომ ბრძოლა და თრთოლა ერთი და იგივე რითმაა.

ამგვარი „თრთოლის“ განცდამ დაანერინა გ.რობაქიძეს ასეთი წერილი, რომელშიც ავტორი ისე სუსტიკა, რომ დიდი კრიტიკოსობა არ არის საჭირო სუსტ მხარეთა ცხადსაყოფად. ამიტომ ეს წერილი დავინწყებას უნდა მიეცეს, თითქო არც არსებულის. როგორც დავინწყებას მიეცა აკაკისათვის არასაკადრისი მისი გამოთქმა.

მიხეილ ჯავახიშვილს რომ მხოლოდ თავისი მოთხრობები და რომანი „თეთრი საყელო“ დაწერა, გადაჭარბება იქნებოდა, დიდი მწერალი გვენოდებინა მისთვის. „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „ჯაყოს ხიზნებისა“ და „არსენა მარაბდელის“ ავტორობამ მიანიჭა ჯავახიშვილს დიდი მწერლის სახელი. მგონია ეს უდავოა. ეს სამი რომანი, მოუხედავად მათ შორის არსებულ დიდ განსხვავებათა, მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. სამივეში არეკლილია ავტორის ფიქრები, შეხედულება, ღირებულებათა კრიტიკული განხილვა – ანალიზი და იმედი მომავლისა. ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულზე და მის მომავალზე ფიქრთა ნაყოფია. მხოლოდ ეს ფიქრი განსაკუთრებულ სიმძაფრით უნდა აღძრულიყვნენ მას შემდეგ, რაც საქართველომ ოცდაერთი წლის სამინელი მარცხი განიცადა.

გავიხსენოთ: ახალგაზრდა ჯავახიშვილმა, რამდენიმე მოთხრობის გამოქვეყნების შემდეგ, მხატვრულ ლიტერატურას თავი დაანება და პუბლიცისტობას მიჰყო ხელი. ეს იყო ამ საუკუნის პირველ წლებში. ეს ხანა მისი მოღვაწეობისა, ილიას „ივერიით“ იწყება და მთავრდება დამოუკიდებლობის დროინდელ ერ. დემოკრატიულ გაზეთით

„საქართველო“, მაგრამ დაპყრობილ საქართველოში პუბლიცისტური მოღვაწეობის გზა დაეკეტა მას, ეს რომ არ მომხდარიყო, იქნებ ჯავახიშვილი არც კი დაჰბრუნებოდა მხატვრულ ლიტერატურას და რა ფიქრები უნდა აღძვროდა მას იმ ხანებში, თუ არ კრიტიკული გადაფასება წარსულისა, ძებნა მარცხის მიზეზისა და შემდეგ თქმა იმისა, რაც მისმა გონებამ მით უფრო ნათლად დაინახა, რამდენადაც საშინელი და საბედისწერო იყო ქვეყნისათვის ის, რაც საქართველოს მოუვიდა. მაგრამ როგორ, რა ფორმით უნდა ეთქვა მას ყოველი სათქმელი იმ პირობებში და აი, მწერლის მწარე ფიქრების, მკითხველთათვის განდობის პირველი ცდა იყო, კვაჭი კვაჭანტირაძის თავგადასავლის სახით წარმოდგენილი, მჩატე ტონის გამოყენებით შენიღბული, მოთხრობათა სერია. ეტყობა მწერალი კიდევ მერყეობდა საჭირო ფორმის გამონახვაში. ამ რომანის გამოქვეყნება, ჯერ ცალკე ეპიზოდებად დაიწყო. ერთი და იმავე პირის ასე წარმოდგენლად რთული და თითქოს დაუჯერებელი თავგადასავალი, თითქმის სახუმარო, ზერულე ავანტიურულ მოთხრობათა რიგს წარმოადგენდა. მხოლოდ მოთხრობათა გამოქვეყნების პროცესში გადაუნყვეტია მ.ჯავახიშვილს ამ მოთხრობათა ერთ რომანად შეკვრა და სათანადოდ გადაუკეთებია ზოგი რამ. რომანის გამოსვლას, დიდი ხმაური და აზრთა შეჯახება არ მოჰყოლია. ასეთი რამ „ჯაყოს ხიზნების“ გამოჩენას უცდიდა. თუმცა ეს პირველი რომანიც უკვე ღირსი იყო დაფიქრებისა, მაგრამ რომანის თითქმის სახუმარო ტონმა, ბევრი რამ შეუმჩნეველად აქცია მკითხველისათვის. და აი, ნახევარ საუკუნის შემდეგ რას ამბობს ამ რომანის შესახებ რეჟისორი თეზურ ჩხეიძე: „ხშირად გარეგნულ ფორმას შეცდომაში შევყავართ. ზოგს „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მსუბუქი ჟანრის ნაწარმოები ჰგონია. ეს კი ფილოსოფიური დრამაა უმიზნოდ დახარჯული შესაძლებლობისა და ენერჯისა. ეს ტრაგიკომედიაა ადამიანურ ვნებებისა, რომელშიც „გაფლანგულ ცხოვრების“ თემა იკითხება. ბუნებრივია, რომ თაობები დაინტერესდებიან ამ მარადიულ თემით“.

ვინ არის ბოლოს და ბოლოს ეს „გაფლანგულ ცხოვრების“ გამტარებელი კვაჭი? იგი საშუალო ქართველი ინტელიგენცია. მისი ფათურაკიანი თავგადასავალი ხშირად გვაინყებს ამას, მაგრამ კვაჭიმ ხომ ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და პეტროგრადის უნივერსიტეტშიც „გაიარა“ და თუ მას ინტელიგენტად არ ჩავთვლით, მაშინ ჩვენი ინტელიგენცია ორასიოდ კაცისაგან შემდგარა და ჩვენი ქვეყნის მრავალი მოღვაწე, პოლიტიკოსთა ჩათვლით, ინტელიგენციის გარეთ დარჩება.

საინტერესო ის არის, თუ რატომ გაფლანგა ცხოვრება ამ კაცმა, რა იყო ამის მიზეზი? თუ ადამიანი მცირეწლოვანების ასაკში თვისი მშობლების შვილი და ბავშვია, იგივე ადამიანი, ყრმობის ასაკის შემდგომ, საზოგადოების შვილად იქცევა. ასე რომ, საზოგადოებრივ ასპარეზზედ გამოსული ახალგაზრდა, როგორც მოქალაქე, უკვე საზოგადოების შვილია. კვაჭები ყოველგან მოიპოვებიან. ევროპა კვაჭებით სავსეა, მაგრამ მათი მოქმედება სახელმწიფოს, ერის, მორალისა და საზოგადოების კანონთა ჩარჩოშია ჩასმული და ეს ჩარჩოები იმ სამსახურსა სწევენ, რომ მოქალაქეთა ცუდ მიდრეკილების გამლას ზღუდავენ. კვაჭი რუსეთის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ

რუსი არ იყო. მაშასადამე, რუსულ კანონთა პატივისცემა, არც სავალდებულო იყო მისთვის – მითუმეტეს, რომ მაშინდელ საზოგადოებაში, მარტო საქართველოში კი არა, თვით რუსეთშიაც რუსული კანონი უკანონოდ იყო მიჩნეული და სწორედ მის წინააღმდეგ ბრძოლა ითვლებოდა კაცობად. (თუმცა, მეფის რეჟიმი გაუსამართლებლად არავის კლავდა, არც „გაიქცა-ნაიქცას“ იცნობდა. ეს სხვათა შორის). კვაჭი ქართველი იყო, მაგრამ მაშინ ჩვენში მოდებულმა იდეოლოგიამ, ქართველობის ცხრა მეთაუდი მოუკლა მას. მისი შეგნებიდან ამოშალეს, რომ რუსის კანონთან ბრძოლა, „უკეთესი“ რუსულივე კანონისთვის კი არ უნდა ეწარმოებინა ქართველს, არამედ – ქართული კანონისათვის... მისი ბრალისა ეს? კვაჭი რუსეთში „საქმიანობდა“ და როცა იქ დარჩენა არ იქნებოდა, საქართველო მოაგონდა და შინ დაბრუნდა. მარტო იგი მოიქცა ასე? განა ტროცკი ტყუოდა, როცა ყორდანასთან პოლემიკის დროს დაწერა: თქვენ (წერეთელს და ჩხეიძეს გულისხმობდა) საქართველო მაშინ მოგაგონდათ, როცა პეტროგრადიდან გაგრეკესო? განა საქართველოში დაბრუნებულ კვაჭის თითქმის პატრიოტულად არ აუტოკდა გული? იგი იმდენად ნამუსიანი აღმოჩნდა, რომ ფრონტზეც კი წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნახულმა მას გული აუშლურია და უცნაური ფიქრები ალუძრა: „...გვარდიელები დაიშალნენ... შინისაკენ გზას ეძებენ. ეს გაკვირვებს განა?.. ზოგს ახალი ფეხსაცმელი აცვია და მაინც გაიძახის, სანამ ერთ წვეილს კიდევ არ მოგვცემთ, ომში არ წავალთო. თითო წვეილიც მიიღეს, ბაზარში გაიტანეს და გაჰყიდეს. ახლა მესამე წვეილსაც მოითხოვენ... ნუ გიკვირს, შენ უფრო მეტი თანაზიარი გყოლია, ვიდრე... გეგონა. ბრძოლის ველიდან ნამოსვლა მხოლოდ საბაბია განთილებულთათვის. იმიტომ არ იბრძვიან, რომ არა სურთო. იმიტომ არა სურთ, რომ თვითონაც ნითლები არიან... თეთრ პურს... და ნითელ სამოთხეში შესვლას ელოდებიან“ და კვაჭი მაინც წავიდა ფრონტზე, მაგრამ თავი სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა. სხვამ კი გაიმეტა?

აი, რატომ და როგორ „გაიფლანგა უაზროდ“ მისი ცხოვრება. თორემ კვაჭი მთლიანად უარყოფითი ქმნილება როდია. იგი თავისი ბუნებით არც ქურდია, არც ავაზაკი, არც სინდისზე ხელაღებული, მხდალიც არ არის, მაგრამ ცოცხალი კაცია, ნიჭით და ენერგიით სავსე. იდეალი აკლია? განა ეს მომავლიდებული ცოდვება. ნამდვილ პატრიოტულ იდეალს რომ მეტი მიმდევარი ჰყოლოდა მისი თაობის ინტელიგენციაში, არავითარი საბუთი არ არის ვამტკიცოთ, რომ კვაჭი თავის ნიჭსა და უნარს ამ იდეის სამსახურში არ ჩააყენებდა. იქნებ ცხოვრების გზაზე ზოგჯერ რამეს „გაიმასქნიდა“, მაგრამ ნამეტანსაც ნუ მოსთხოვთ, ქართველი კაცია... ზოგი იტყვის: სხვადავით პატრიოსნად ეცხოვრაო. არა, კვაჭის თვისებებით დაბადებული კაცი, სოფლის მასწავლებლობას ვერ გასწევს. იგი არც საკმაოდ სულელი და არც საკმაოდ უვიცი იყო, რომ რევოლუციისათვის თავი შეენირა. და თუ ვითომ იდეალისტობას და ამ ნიღბით პოლიტიკაში ჩაბმას მან სხვა სარბიულზე მოქმედება აიჯობინა – უნიღბოდ და თავისივე სასარგებლოდ, ამისათვის მას საყვედური ეთქმის მაშინდელ საზოგადოებისაგან? არა! კვაჭის მთავარი ნაკლი ბოლოს და ბოლოს პრინციპთა უპატივემულობა და სინდის-

თან „შინაურულად“ მორიგება და ვიდრე კვაჭის მისი თანამედროვე ქვას ესროდეს, სარკეში ჩაიხედოს. მაშინ კვაჭის ჩამქოლველთა უმეტესობამ ქვა უნდა დამალოს.

კვაჭი ქართულ სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებული ტიპია. იგი არცერთ იდეოლოგიურ ჯგუფს არ ეკუთვნის, არამედ საშუალო წრის კაცია. იგი იმ წრეს ეკუთვნის, რომელსაც სხვაზე ნაკლებად მოეთხოვება პასუხი, რადგან იდეოლოგიის გარეშე მყოფია. ისინი დახატა ჯავახიშვილმა ამ რომანში და ამიტომ, რომ თუმცა ავტორი კვაჭის პატივს არა ცემს, მაგრამ უფრო ებრალება, ვიდრე სძულს იგი. ამიტომევეა, რომ ავტორი ზოგჯერ საკუთარ აზრებსა და შეხედულებასაც კი გამოთქვამს კვაჭის პირით.

მხოლოდ ერთი რამ უნდა დაზუსტდეს: ჯვარი არავითარ შემთხვევაში საქართველოს მაშინდელ მმართველთა წრეს არ ეკუთვნის. იგი სამშობლოში რომ დაბრუნდა, საზოგადოებასთან მისი პირველი კონტაქტი პოეტების წრეა. შემდგომ ის საქველმოქმედო საზოგადოებებს ეხმარება, შემდეგ მას ფინანსისტად და ქვეყნის ეკონომიის გადამრჩენად მოაქვს თავი. იგი ქართულ კლუბშიაც დადის. გარნა მაშინდელი საქართველოს მესვეურნი არც პოეტებს მეგობრობდნენ, არც ქველმოქმედებამდე მისულან (ჯერ კიდევ ვერ გამდიდრებულიყვნენ და ჯერ კიდევ უფრო გამორთმევას ცდილობდნენ, ვიდრე გალებას). მათ ქართული კლუბის წევრობაც სათაკილოდ მიაჩნდათ. მაშასადამე კვაჭი ისეთი საშუალო ქართველია, რომელიც, უფრო ოპოზიციანში იქნებოდა, იდეალი რომ ჰქონოდა და აი, რატომ: როდესაც წითლებთან ომი დაიწყო, კვაჭის საკუთარ სინდისთან და მოვალეობასთან მოუხდა ბჭობა. აი, მისი ფიქრები: „...შენი სამშობლო? რა მოგცა სამშობლომ?... ასეთ ლუკმებს ხომ უცხოელნიც გაჩეჩებდნენ, აქ კი უზნის კომისრობაც არ შეგთავაზეს, რადგან შენ არ ეკუთვნოდი ხელისუფალთა მართლმადიდებელ ეკლესიას. შენ განჭვრიტე მომავალი, შენ გააფრთხილე ხელისუფალნი და პირნათლად მოიხადე შენი ვალი, მაგრამ არავინ დაგიჯერა. მუქარაც კი შემოგიტვალეს და კინალამ საკუთარ ბუდიდან გიფრინეს. გასწი, კვაჭი, ჩქარა!

სად არის ჯარი? სად არის ჩვენი სამოცდათხუთმეტი ათასი მხედარი? ნურც ეს გიკვირს კვაჭი!.. ქალაღღზე იყო დანერილი ხაზინიდან ათჯერ მეტი ფულის გასატანად... წითლებმა ყველა ჩვენი საიდუმლოება იციან? საიდან? როგორ? ვისგან?... მაშ გაიხსენე: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“, ან კიდევ: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, ან კიდევ: „ურემი რომ გადაბრუნდება...“ (იცის კვაჭიმ ეს ანდაზები... მაგრამ... ეს კი მეტისმეტია! ამოდენა სიყალბე, ამოდენა ტყუილი, ქვეყნის ასეთი გამასხარავება, საკუთარი ხალხის და თავის ასეთი უსირცხვილო მოტყუება! შოი, არაზადებო, სალახანებო! ფარისეველნო! ორგულნო და ორპირნო!“ აქ რომ კვაჭი და ავტორი ერთად ლაპარაკობენ, განა სადავოა? მაგრამ ფიქრი ერთია, საქმე კი სხვაა. კვაჭის აქვს ის, რაც თეიმურაზს აკლია (ამას შემდეგში დავინახავთ) ე.ი. ენერგია და უნარი, მაგრამ არა აქვს ის, რაც თეიმურაზს ჰქონდა — ესე იგი, იდეალი.

მკითხველს ახსოვს რეჟისორ ჩხეიძის შეხედულება, როდესაც იგი გაფლანგულ ცხოვრებას ახსენებს. მაგრამ ეს რომანი მართო გაფლანგულ ცხოვრების თემას როდი შეიცავს. იგი უპირველესად პოლიტიკურ-სოციალური სატირაა. ამასთანავე, რომანი

რეალურ-ისტორიულ ფონზეა გაშლილი და სატირა ხედება ორ სხვადასხვა საზოგადოებას. ავტორი განსაკუთრებით დაუნდობელია რუსეთის სამეფო ტახტის გარშემო მყოფ საზოგადოების მიმართ. ამასთანავე აშკარაა, რომ ავტორი შემთხვევით სარგებლობს და დეტალურად გვაცნობს იმ ხალხსა და პიროვნებებს, ვისაც რომანოვთა ტახტი ეყრდნობოდა და გვაჩვენებს ამ საზოგადოების გულთამრევე ამორალობას. ყოველივე ამის აღწერას არც მოითხოვდა კვაჭის კომბინაციების მკითხველთათვის გაცნობა, მაგრამ, როგორც ითქვა, ავტორი შემთხვევას იყენებს, რომ ვიდრე ქართულ საზოგადოებას გაჰკანარავდეს, თავისი სატირით, რუსებსაც მწვევე მათრახი გადაუჭიროს და აუწითლოს ველიკოროსული მედიდურობა.

ამ რომანის შემდეგ, 1924 წელს, გამოქვეყნდა „ჯაყოს ხიზნები“. ამ რომანის გამოსვლამ მთელი საქართველო, დიდი და პატარა, შეძრა. ცხადია, ათასგვარ სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ. მგონია, ჯავახიშვილის ყოველმხრივ დამცველი არავინ იყო (მე ასე მახსოვს). მხოლოდ ერთ რამეში თანხმდებოდა ყველა: ჯაყო კომუნიზმი იყო. გასაგებიცაა, რომ იმდროინდელ ქართველობას, ეს გულის მოსაფხან საგნად მოეწონა. ხოლო ასეთი მარტივი გაგება რომ დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა, ამას არავინ ფიქრობდა. რაც თეიმურაზსა და მარგოს შეეხება, აქ სრული დაბნეულობა სუფევდა. იგრძნობოდა, რომ თეიმურაზი სატირაა და ინტელიგენციას უნდა წარმოადგენდეს – კომუნიზმის მიერ დაბეჩავებულს, მაგრამ ყველას გზას ურევდა მარგოს პერსონაჟი და მკითხველთა უმრავლესობა, ბოლოს და ბოლოს მარგოსა და თეიმურაზში ფსიქოლოგიურ რომანის გმირების დანახვას ცდილობდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯავახიშვილზე იეროში მიჰქონდათ – ქართველი ქალისა და მამაკაცის ასეთი „უსამართლო დამცირებისათვის“. საკვირველი კი არის: მკითხველებმა, რომელნიც ჯაყოში კომუნიზმის ალეგორიულ სახეს ხედავდნენ, თავი არ შეინუხეს, რომ თეიმურაზსა და მარგოში სხვა რამეც დაენახათ, გარდა ერთმანეთისათვის შეუფერებელ ცოლ-ქმრისა.

მგონი ზედმეტი არ იქნება ამასთან დაკავშირებით ერთი სცენა აღვწერო, რომლის მონმეც მე ვიყავი. ამ ამბის მოთხრობა კიდევ იმდროინდელ მიმართა საჭიროდ, რომ როგორც მკითხველი დანახავს, აქ აღწერილი იქნება ქართული კულტურული ცხოვრების ერთი სურათთაგანი და არა მგონია, ვინმეს თავი შეეწუხებინოს ამგვარ, თითქო ბანალურ კრება-მოსხენების დეტალურად გადმოსაცემად... ხოლო ეს ნაამბობი ღირსია, რომ აღბეჭდილი დარჩეს.

ეს იყო 1926 წელს, თვე არ მახსოვს. ბიცოლაჩემმა, ლორთქიფანიძის ქალმა სოფიომ, მარტო რომ არ წასულიყო, საისტორიო საზოგადოების დარბაზში გამართულ ივანე ჯავახიშვილის მოხსენებაზე წამიყვანა. იგი მხოლოდ ი.ჯავახიშვილის მოსასმენად არ მიდიოდა. გაზეთში მოთავსებულ განცხადებიდან ჩანდა, რომ მოხსენებასთან აკაკი შანიძესაც ჰქონდა კავშირი. ბიცოლაჩემი კი შანიძის დიდი მოთაყვანე იყო, რადგან ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებელში ყოფნის დროს, ჩემი ბიცოლა და მამინი გიმნაზიელი შანიძე ერთმანეთის სატროფონი ყოფილან.

მოსხენება ეწყობოდა აწინდელ მუზეუმის შენობის უკან, მგონი ლორის მელიქის ქუჩიდან შევედით. ბევრი მსმენელი არ დასწრებია, 50-60 ქალი და კაცი იქნებოდა. საინტერესოა, რომ ქალები მეოთხედს მაინც შეადგენდნენ. დამსწრეთაგან შემძლია დავასახელო. ვინც მახსოვს. იყვნენ: თედო სახოკია, ვექილი და მწერალი პეტრე ქავთარაძე მეუღლით — ლორთქიფანიძის ასულ ანიკოთი, და ვექილი იოსებ მაჭავარიანი. ყველა ამათთან ჩვენ ოჯახური ნაცნობობა გექონდა. იყო აგრეთვე გერონტი ქიქოძე მეუღლით. ქიქოძის მეუღლეს, შალვა ამირეჯიბის დას, მე ვიცნობდი პირადად, რადგან იგი ჩემი კლასის დამრიგებელი და ხატვის მასწავლებელი იყო — როცა დამოუკიდებლობის წლებში, პირველ გიმნაზიაში ვსწავლობდი. ცხადია, ზოგიერთ სხვა პიროვნების ვინაობაც ვიცოდი მაშინ, მაგრამ ახლა აღარ მაგონდება.

ეტყობა, ივანე ჯავახიშვილის მოხსენება იმდენად ვინრო სპეციალური იყო, რომ საგანს ჩემი გულისყური ვერ გაუღვიძებია — სრულებით არაფერი მახსოვს, რის შესახებ ილაპარაკა. და თუ ახლა შემძლია ვთქვა, რომ საქმე ენათმეცნიერებას შეეხებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს მეხსიერებაში დარჩა ივანე ჯავახიშვილის ის ნათქვამი, რომლითაც მან თავისი მოხსენება დააბოლოვა.

როდესაც ბატონმა ივანემ მოხსენება დაასრულა, ორივე ხელი წაკითხულ ფურცლების დასტაზე დადო და სთქვა: ბატონებო, ეს საკითხი მე რამდენიმე წლის წინათ დავამუშავე, რადგან საკუთრივ ჩემი ისტორიული კვლევისათვის მჭირდებოდა. თორემ, მოგეხსენებათ, ეს ჩემი სპეციალობა არ გახლავთ. ეს ჩემი უკანასკნელი მოხსენება იქნება ასეთ თემაზე. ამ საკითხზე ახლა ჩემზე უკეთ მუშაობენ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები. ეს რომ სთქვა, მკლავები გაშალა და მისი მაგიდიდან ოდნავ მოშორებით, მარჯვნივ და მარცხნივ მსხდომ შანიძესა და ახვლედიანზე მიუთითა მსმენელებს. ი.ჯავახიშვილის ამ სიტყვებმა საპროტესტო ბუტბუტი გამოიწვია დამსწრეთა და შანიძემ და ახვლედიანმაც ხელების მოშველიებით, პროტესტი გამოაცხადეს. ბატონმა ივანემ გაიღიმა, ეტყობოდა რომ ხალხის ასეთი რეაქცია ეამა, მაგრამ ტკბილი დამაჯერებელი ხმით სთქვა: არა, ბატონებო! საბედნიეროდ, ისეთ მდგომარეობას მივალწივთ, რომ ახლა თანდათან შესაძლებელი ხდება ყოველმა ერთი რომელიმე საქმე აკეთოს. მალე ის დროც დადგება, როდესაც ეს ახალგაზრდა მეცნიერებიც თავიანთი მუშაობის სფეროდან ზოგ რამეს გამოპყოფენ და მათზე უფრო ახალგაზრდა მკვლევართ დაუთმობენო. ამ სიტყვების შემდეგ ი.ჯავახიშვილმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა, რომ მობრძანდითო და წამოდგომას რომ აპირებდა, ვილაც წამოდგა მსმენელთაგან: ბატონო ივანე, მადლობის თქმა ჩვენა გემართებსო და ამ კაცის მიერ წამოწყებულ ტაშს დარბაზიც აპყვა.

ჩემთვის ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა ივანე ჯავახიშვილის მოსმენისა და მისი ხანგრძლივად ცქერისა. მახსოვს, ბედნიერი ვიყავი ამით. ახლა ჩვენ ივანე ჯავახიშვილს ვაფასებთ და პატივისცემით ვიგონებთ, ვითარცა ქართული კულტურის დიდ ამავდარს. მაშინ კი ბატონი ივანე სულ სხვა და ბევრად მეტი იყო. მაშინ ხალხისათვის მის პიროვნებაში თავსდებოდა სინძინდე, სიკეთე, ღირებულება, სიდიდე,

უცდომლობაც კი და ეს ერთი კაცი თავისი გავლენით, რელიგიურ ელფერით მოსავედა-ახალგაზრდობის პატრიოტიზმს.

როცა დარბაზი აიშალა და გასასვლელისაკენ მივდიოდით, ყველას ყურადღება მიიპყრო კარების ახლოს მდგარმა ჯგუფმა და იმ ჯგუფიდან მონვედნილმა ქალის ხმამალაღმა ლაპარაკმა. სხვათა მსგავსად ჩვენც მიუახლოვდით ცნობისმოყვარეებს. ჯგუფის შუაში, კრების ერთ დამსწრეთაგანი, მიხეილ ჯავახიშვილი იდგა და ვილაც ქალი, რომლის ვინაობა მაშინ ვიცოდი, რადგან ჩვენსავით შეჩერებულთაგან ვილაცამ სთქვა, ესა და ეს არისო, მაგრამ ახლა აღარ მახსოვს. დიდად ცნობილი ვინმე არც იყო, თორემ, არ დამავინყდებოდა. ქალი საშინლად გაანჩხლებული უტყვედა ჯავახიშვილს და ძლიერ კაპასობდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქალის სიტყვების აღდგენა, ცხადია, არ შემძლია. ის კი მახსოვს, რომ იგი მ.ჯავახიშვილს ქართველი ქალის ტიპის ყალბად დახატვას და ამით მის შეურაცხყოფას უსაყვედურებდა. ისიც მახსოვს, რომ ქალმა ჯავახიშვილს მოაგონა: თქვენ მეუღლე და ქალიშვილი გყავთ, ასეთი რამ როგორ დასწერეთო.

მ.ჯავახიშვილი ძლიერ შეწუხებული და უხერხულ მდგომარეობაში მყოფი ჩანდა. მას მარცხენა ხელში ქუდი ეკავა, ხოლო მარჯვენით წამდაუნუმ სათვალეს მოიხსნიდა და კვლავ გაიკეთებდა. ქალის სიტყვები ყველას გვესმოდა, მაგრამ დაბალი ხმით ნათქვამი ჯავახიშვილისა უფრო ძნელად იყო გასაგონი. მაგრამ როცა ქალმა ჯაყო ახსენა და სთქვა: ჩვენ ყველას გვესმის, ვის გულისხმობთ ჯაყოს პერსონაჟშიო, მაშინ ჯავახიშვილმა უფრო მაღალი ხმით, ენერგიულად გაანყვეტინა. მან ყველას გასაგონად უთხრა ქალს – ძლიერ ცდებით, ქალბატონო, ჯაყოს პერსონაჟში მე იმას არ ვგულისხმობ, რასაც თქვენ ფიქრობთ, ხოლო თეიმურაზის და ჯაყოს პერსონაჟებში იმას ვგულისხმობ, რასაც თქვენ ვერ მიხვდითო. ეს სასიყვარულო რომანი-დრამა არ არის, არამედ ალეგორიული ნაწარმოებია, ამაზე მეტს მე თქვენ ვერ გეტყვითო. თითქო ამ სიტყვებს უცდიდაო, ვილაც შუა ასაკის კაცი ჯავახიშვილს მიუახლოვდა. იგი მასთან ძლიერ დაახლოებული ვინმე უნდა ყოფილიყო, რადგან უთხრა: მიშა, ამდენი და ამდენი საათია დაგვაგვიანდებო. ჯავახიშვილმა ამ კაცის ჩარევით ისარგებლა და ორივენი ერთად ნავიდნენ. მე და ბიკოლაჩემიც დარბაზიდან გავედით. კარებში გასვლისას კიდევ გვესმოდა ქალის ქაქანი: კარგი ამბავია, თქვენი ჭირიმე, ჩვენ კი თავი მოგვჭრა და ახლა იძახის, ალეგორია არისო.

დარბაზიდან იოსებ მაჭავარიანთან ერთად გამოვედით. იგი იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით (რუსთაველის 36, მაშინ 30). ეს სახლი ჯერ კიდევ ჩვენს ოჯახს ეკუთვნოდა. გზაში მაჭავარიანი და ბიკოლაჩემი სულ მომხდარ ინციდენტის გარშემო ლაპარაკობდნენ. მე მაშინ ოცი წლის ბიჭი, მათ საუბარში ვერ ჩავერეოდი. ახლა ყურადღებას ვაქცევ ფაქტს, რომ მაჭავარიანს, ამ საუბრის დროს, არც უცდია აეხსნა, თუ რა იმალეობდა „ჯაყოს ხიზნების“ ალეგორიაში. ეს იმიტომ არის საინტერესო, რომ ჯავახიშვილი და მაჭავარიანი არა მარტო იდეურად დაახლოებული პირები იყვნენ, როგორც ერ. დემოკრატები, არამედ სულ ახლო წარსულში,

ერთად თანამშრომლობდნენ გაზეთ „საქართველოში“ და აი, ამ განათლებულ კაცს და მონინავე ქართველ ინტელიგენტს არაფერი უთქვამს იმისაგან განსხვავებული, რაც მაშინ ქართულ საზოგადოების დაბალ თუ მაღალ კულტურულ დონეზე მყოფ პირთაგან გამეგონა. ამ დეტალს კიდევ მიუბრუნდები. აქ მხოლოდ ერთი შენიშვნა: დამოუკიდებლობის დროინდელ ხელისუფალთა კრიტიკა და უმძაფრესიც კი, იმ ხანაში საკმაოდ გაისმოდა ქართულ ნაციონალისტურ ყველა დონეზე, მაგრამ არაეისგან მსმენია: ჩვენი ბრალიც არისო. გარნა „ჯაყოს ხიზნები“, ქართველი ნაციონალისტის მიერ გამოთქმული და მისივე წრისადმი მიმართული დაუნდობელი ავტოკრიტიკაა უპირველესად ყოვლისა.

მთელ გაუგებრობას და აზრთა შეხლა-შემოხლას იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ მკითხველები ფსიქოლოგიურად მზად არ იყვნენ ასეთი აზრების გასაგებად და მითუმეტეს – მისაღებად. თან იფიქრებდნენ, ან საკმარისად ანგარიშს არ უწევდენ იმ ფაქტს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი რომანი მხატვრული ლიტერატურისა, არამედ იყო პოლიტიკურ-სოციალური სატირა, რომლის ავტორია ნორმალურად წერის უფლებანართმეული ყოფილი პუბლიცისტი, ვინც ჩვიდმეტი წლის პუბლიცისტურ კარიერის შემდეგ, იძულებისა გამო, დაუბრუნდა ლიტერატურას. ამიტომაც, რომ მის სამ პირველ რომანში ის უნდა ნავიკითხოთ, რასაც იგი სულ სხვა ხერხით დანერდა, ამისი ნება და საშუალება რომ ჰქონოდა.

ვის გულისხმობს ჯავახიშვილი თეიმურაზში? დღეს ყველას მიერ მიღებულია, რომ ქართული ინტელიგენცია იგულისხმება, მაგრამ საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. თქმა იმისა, რომ „თეიმურაზებს საქართველოში მრავლად დაეინახავთო“, საკმაო როდია. ჯერ ერთი, ზუსტად ასეთი ტიპი მრავლად კი არა, ერთი კაციც ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ ეს, ცხადია, სატირაა. მთავარი ისაა, რომ ქართული ინტელიგენცია ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებულ ბანაკს წარმოადგენდა, რომ ამ ორივე ბანაკის წარმომადგენლის ერთ პერსონაჟში მოთავსება ყოვლად შეუძლებელია და ეს არც გაუკეთებია მიხეილ ჯავახიშვილს.

ჩვენი ინტელიგენცია მარქსისტებად და არამარქსისტებად იყო დაყოფილი. უმრავლესობა მარქსისტულ ბანაკში იყო, ხოლო დარჩენილი უმცირესობა, თავის მხრივ კიდევ ორად იყოფოდა: ნაციონალისტებად და ნეიტრალურ „მიუმხრობლებად“. ეს დაყოფა სწორედ ინტელიგენციაში შეიმჩნეოდა განსაკუთრებული სიმახვილით. და თეიმურაზი რომ მარქსისტულ, ანტიეროვნულ ბანაკში ვერ ჩათვლება, განა სადავოა?

თეიმურაზი კულტურული მოღვაწე იყო – ქართული კულტურის ისტორიის სამტომეულის წერით გართული, იგი საქველმოქმედო საქმეს ეწეოდა, მდიდარ კაცად ჩათვლება. იგი ბავშვით მინდობილი, პატროსანი კაცი იყო. ასეთები სად იყვნენ მარქსისტთა შორის? თეიმურაზის მოტყუება და მისი ქონების მიტაცება რევოლუციისთანავე დაიწყო ჯაყომ და მაშინაც განაგრძო, როცა „გაგიმარჯოს ყორდანას – სანყალი ხალხი მინა მიგეცის“ გაიძახოდა, მაგრამ არის ერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ თეიმურაზი მარქსისტთა ბანაკში ვერა და ვერ მოთავსდება: თეიმურაზის

მთავარი ნაკლი და მთელი მისი უბედურების მიზეზი ხომ ბოლოს და ბოლოს მისი უმოქმედობა და უილაჯობა იყო და როგორ შეიძლება, ეს თვისებები თავს მოვახვეოთ ქართულ მარქსისტულ ინტელიგენციას! ეს ნაკლი მათ სრულად არ ახასიათებს. ეს დაუღწევი პროპაგანდისტები და ორგანიზაციათა მომწყობნი, ხალხი, ვინც ციხესა და სახრჩობელას არ უშინდებოდა; ხალხი, რომელიც რუსეთში დემოკრატიის დასამყარებლად, ყოველგვარ მსხვერპლისთვის მზად იყო და ამ მსხვერპლს იღებდა კიდევაც. არა, მათში ვერ მოვათავსებთ თეიმურაზს. ან პირველხარისხოვან მწერალსა და რომანისტს, როგორც ჯავახიშვილი იყო, როგორ შეეძლო თეიმურაზის პერსონაჟში მოეთავსებინა ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელიც უქნარობით კი არა, სწორედ დიდი ენერგიულობით გამოირჩეოდა. კვაჭი და თეიმურაზი ისინი არიან, ვინც ავტორმა დახატა და კარგადაც დახატა. კვაჭი არის იდეალს მოკლებული ქართველი ინტელიგენტი, მაგრამ მოქმედი და ძლიერაც ნიჭიერი, ხოლო თეიმურაზი იმავე იდეოლოგიის კაცია, როგორისაც – ავტორი, მას არც პატრიოტობა აკლია, არც ჭკუა, არც ნამუსი, მაგრამ უქნარაა, მისი მოქმედება ფუჭია, უნაყოფოა, უშედეგოა ქვეყნის მთავარი სატკივარის მოსაველელად.

და როდესაც ჯავახიშვილი ქართული საზოგადოების იმ ნაწილის სიგლახეს ამხელს, რომელსაც თვითონვე ეკუთვნოდა, ამაშია მისი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა და პირდაპირობა, სიმართლის აღიარებისაგან არ გაქცევა – თუნდაც მათრახი მასაც ხედებოდა და ახლა შემდეგნაირად აიხსნება ზემოდნახსენები სიჩუმე ი.მაჭავარიანისა: მაშინ მის ძალას აღმატებოდა, თეიმურაზის დასის ნევრად რომ ეცნო თავი.

ვინლაა ჯაყო? როგორც ითქვა, ჯაყოში მთელი საქართველო და ემიგრაცია კომუნიზმს ხედავდა. ეს შეხედულებაც, ჩემი აზრით, მთლად სწორი არ არის. მე მინდა ვთქვა, რომ ჯაყო მარტო კომუნიზმი არ არის და მას არც ახასიათებს კომუნიზმის მთავარი თვისება. კომუნისტები თავისთვის მიმტაცებლები არ იყვნენ. კომუნიზმი დოქტრინაა. კომუნისტები იდეალისტებიც იყვნენ და იმ ქვეყნებში, სადაც ამ დოქტრინის ცხოვრებაში გატარება არ უგემნიათ, ახლაც სჯერათ მისი სიკეთისა. ჯაყო კი უხეში მიმტაცებელია და სხვა არაფერი, ხოლო მის იდეალზე განა ლაპარაკი შეიძლება? და საერთოდ, როგორ შეიძლებოდა საბჭოეთში, მწერალს კომუნიზმის დასახატად ჯაყო გამოეყვანა. ეს ხომ აშკარა გამოწვევა იქნებოდა უმისოდაც მკაცრ და განუკითხველ რეჟიმისა. ჯაყო წარმოადგენს საერთო სიავეს, უბედურობას, მტერს და ამიტომ მთლად მცდარნი არ არიან ისინი, ვინც ჯაყოში კომუნიზმსაც ხედავს.

ერთ გარემოებასაც დაუვიკრიდეთ: ჯაყომ ხომ რევოლუციისთანავე დაიწყო თეიმურაზის ქონების მიტაცება, ეს განაგრძო მან დამოუკიდებლობის დროსაც, ხოლო გასაბჭოების შემდგომ მან ქონების დანარჩენი და მარგოც მიითვისა. თუ ჯაყო მარტო კომუნიზმი, როგორ ავხსნათ ეს? კიდევ არის ერთი საგულისხმო დეტალი: დამოუკიდებლობის ხანა თითქმის იგნორირებულია რომანში. ეს ხანა მხოლოდ ჯაყოს ნამოძახილებით არის აღნიშნული: „გაგიმარჯოს ჟორდანისა...“ და „ძირს ჟორდანია! აღარ გინდა ჯაყოს ბურჯუაძის მთავრობა“. ამასთანავე, რევოლუციის დღიდან მოყოლებუ-

ლი, თეიმურაზის თანდათანობით დაქვეითება მის საბოლოო დაცემამდე უწყვეტად მიმდინარეობს, თითქო დამოუკიდებლობის ხანა არც არსებულებოდა. ესეც აუხსნელია, თუ ჯაყო მარტო კომუნიზმი და არა საერთოდ სიკვდილი – ყველა იმათი ჩათვლით, ვინც ავროპაში ქვეყანას.

ეს არის ის, რისი დანახვაც ბევრს ეძნელება.

დაუბრუნდეთ ისევ თეიმურაზს. ჩვენ ვიცით, რომ იგი პატრიოტი, ეროვნული მოღვაწეა. იგი ეკუთვნის იმ წრესა და საზოგადოებას, რომელსაც რომანის ავტორი თვითონვე ეკუთვნოდა და მთავარი, რასაც ავტორი თეიმურაზს უსაყვედურებს, ის არის, რომ იგი უმოქმედო და უქნარ-უილაჯოა, რის გამოც ჯაყომ მას სძლია და ყველაფერი წაართვა. ქართული ეროვნული არამარქსისტული ინტელიგენცია, მარქსისტებმა დაამარცხეს და ამ საქმეში ორივე ჯურის მარქსისტები ხელიხელჩაკიდებულნი ერთად იბრძოდნენ. მათ ერთად დაამარცხეს ქართული ეროვნულობა. რომანის ავტორისათვის ჯაყოა სიკვდილი ყველა სახისა იმათი ჩათვლით, ვინც ქართველ პატრიოტ ჯავახიშვილს საქართველოს სიკვდილს მიანიჭა. ამ თეზის დასაბუთებას კიდევ მივუბრუნდებით.

დარჩა ყველაზე უფრო ორჭოფული პერსონაჟი რომანისა: მარგარიტა ყაფლანიშვილი, ანუ მარგო. ამ პერსონაჟის ეს ორჭოფული სახე არის რომანის ალგორითმის საუკეთესო საბუთი. გასაგებია, რომ უმთავრესად, სწორედ მარგოს გამო გაისმოდა პროტესტი, როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთაგან. ქალნი თავიანთი სქესის შეურაცხყოფას ჩიოდნენ, მამაკაცი კი – რანდობდნენ და თავიანთ სატრფიალო არსების კდემას იცავდნენ. მართლაც, ამ შემთხვევაში, გროტესკი ძალიან შორს მიდის. ფსიქოლოგიური სიმართლევ მოიკოჭლებს. მარგო, სამონასტრო სკოლაში გაზრდილი, სოფლელი სანყალი აზნაურის ობოლი გოგო ხომ არ არის? იგი უმადლესი არისტოკრატის წარმომადგენელია. განათლებული, ემანსიპირებული და საზოგადოებაში გამოსული, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩაბმული ქალია და რაც მთავარია, ავტორი მას სრულიადაც არ გვაცნობს, როგორც სანყალსა და უნებისყოფი ადამიანს, როგორც მისი ქმარია. მამ, როგორ უნდა აიხსნას მისი საქციელი. ასეთ ქალს სკანდალისა შეეძინებოდა? ან უფრო მეტი სკანდალი არ არის ჯაყოს ცოლობა? რატომ არ გასცილდა ჯაყოს და თეიმურაზს? ამ უხერხულობიდან თავის დასაღწევად, ავტორი მიმართავს ხერხს – მხოლოდ გულუბრყვილობითა დაბაჯერებულს: ავტორი მკითხველს შესაძლებლობას უტოვებს, რომ მან იფიქროს, მარგოს სქესობრივი „ციკოზა“ (ფრი-ჟიდიტი) ჰქონდა და ჯაყომ „მოარჩინაო“, მაგრამ თუ ავტორს მართლა დაჯერება სურდა მკითხველისა, მაშინ ადრეც და სხვაგვარად უნდა ეთქვა ეს და არა საჭოჭმანო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა დეტოვებინა მხოლოდ. რატომ ჩააყენა ავტორმა თავისი თავი ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც მას თავის დაღწევა და არადამარწმუნებელ ხერხის გამოყენება სჭირდება. იმიტომ, რომ მარგოს ჯაყო უნდა დაეუფლოს. იმიტომ, რომ მარგო რეალისტურ რომანის პერსონაჟი კი არ არის, არამედ ალგორითმული სახეა, რომელიც ქალს კი არ წარმოადგენს, არამედ იგია: განძი, სიკეთე, დასაცავი საგანი, რომელსაც თეიმურაზმა ვერ მოუღარა და ჯაყოს ჩაუგდო ხელთ.

მარგო მხოლოდ სიმბოლოა აბსტრაქტულად წარმოდგენილი საგნისა. ამ შემთხვევაში – სამშობლოსი და ამიტომაც, რომ მარგოს პასიური როლი აქვს მთელ რომანში. მარგო საქართველოა, რომელსაც ქართველმა პატრიოტულმა ინტელიგენციამ ვერ მოუარა და ჯაყობმა წაართვეს იგი მას.

ახლა მოვუსმინოთ მწერალ ოთარ ჩხეიძეს, რომელიც თეიმურაზის, მარგოს და ჯაყოს ალეგორიულ სახეთა ქარაგმის გასახსნელად „ვეფხისტყაოსანს“ იშველიებს.

„ძირეული სქემა ჯაყოს ხიზნებისა ძველია. კლასიკურია: სიკეთე – მშვენიერება – სიღვე. ამ სქემას ეყრდნობა „ვეფხისტყაოსანიცა“ და ბევრი სხვა ქმნილებაცა მოკიდებული „ილიადადან“... სათვალწინოდ კმარა, ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“, სიკეთე – მშვენიერება – სიღვე. სადაც რო სიკეთე, ანუ გმირი ტარიელია, მშვენიერება ნესტანია, რალა თქმა უნდა, ხოლო სიღვე ქაჯეთი გახლავთ; ამისდა კვალად „ჯაყოს ხიზნებში“ სიკეთე ანუ გმირი, ანთუ აქ უფრო ანტიგმირი (ანუ ის, რაც უნდა იყოს და არ არის) თეიმურაზია, მშვენიერება მარგოა, ცხადია, სიღვე ჯაყოა. აქ რო მხოლოდ სახე რო არ არის, ტიპიც რო არ არის, ტიპი არ არის, ერთი არ არის და პიროვნებაც არ არის, ქაჯეთია მთელი ქაჯეთი. ასე რო სქემა ეს ძირითადი, ქარგა ძირეული, ერთიდაიგივეა. ოლონდ მოვლენაა სულ სხვადასხვაგვარი და უნდა ყოფილიყო ასედაცა“.

მარგოს არ შეუძლია ჯაყოს გაექცეს, როგორც საკუთარ შვილთა მიერ ვერ დაცულ და გაუბედურებულ საქართველოს ჯერჯერობით არ ძალუძს მის თავს დატეხილ სიავიდან თავის დღღწევა. ეს საქმე სხვა თაობამ უნდა შეასრულოს და აქვე ვთქვათ: ამის ამსრულებელნი იქმნებიან მომავალი ოძელაშვილები: მომავალი მარაბდელები. ეს არის ჯავახიშვილის სამი რომანის ფილოსოფია. ამ რომანთა ავტორობით არის მიხეილ ჯავახიშვილი დიდი მწერალი. ვიეთნი, შესაძლოა, ჯავახიშვილს არ ეთანხმებიან. ამათთვის იგი დიდი მწერალი არც არის. ყველას ნება აქვს საკუთარ ნაჭუჭში შეხიზნულმა უცქიროს სამყაროს. სიმართლე კი თავისთავად იარსებებს.

აქ ერთი შენიშვნა: რომანები, კვაჭი და ჯაყო აგვისტოს აჯანყებამდე გამოქვეყნდა. დასაშეებია ვიფიქროთ, რომ აგვისტოს ტრაგედიის შემდეგ, ავტორი უფრო ლმობიერი იქნებოდა მიმართ კვაჭისა, თეიმურაზისა და თვით ჯაყოსი და ეს იმიტომ, რომ მრავალმა კვაჭიმ, თეიმურაზმა და ჯაყოს ბიძაშვილმა სიკვდილით გამოისყიდა და ნაშაული. ეს ჩემი პირადი აზრია და, ცხადია, საბუთი არა მაქვს ამის დამტკიცებისა. მაგრამ ეს გარემოება და შესაძლებლობა ყურადღების და კვლევის ღირსია, რადგან საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამგვარ რომანთა დაწერის თარიღს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხოლომე ყველა ქვეყნის ლიტერატურაში.

„არსენა მარაბდელზე“ საკმაოდ დაინერა და თანაც, ვინაიდან ეს წერილი ლიტერატურული განხილვა არც არის, ეს რომანიც მხოლოდ საზოგადოებრივი რომანის სახით იქნება განხილული. გრიგოლ რობაქიძე ადრე ნახსენებ წერილში ამბობს, რომ არსენა მარაბდელში აღმოჩენილი ხორცმეტეების ჩამოთვლით ავაკეო თამარ პაპავას მიმართ დაწერილი წერილი და მართლაც, ალბათ, მრავალმა მკითხველმა იფიქრა, რომ რომანი არც იმდენად აუცილებელ პერსონაჟებით და ეპიზოდებით არის დატვირთული.

მ.ჯავახიშვილს საჯარო დისკუსიაზე განუცხადებია: ამ რომანის წერა 1925 წელს და-
ვინწყე და 1932 წელს დავასრულე და ვინაიდან ამ ხანის განმავლობაში სხვა მოთხრო-
ბებსაც ვწერდი, უნდა ვიანგარიშოთ, რომ ამ რომანს ხუთი წელი მოვანდომეო. ეს
იმით აუხსნია, რომ ისტორიულ მასალებს ვაგროვებდიო. სწორია ვითომ ასეთი ახსნა,
თუ დიდი ხნის დახარჯვის ნამდვილ მიზეზს ვერ ამბობს ავტორი? ისეთი რომანის და-
საწერად, რომელშიაც ისტორიული სინამდვილე მხოლოდ იმდენად არის დაცული, რა-
მდენადაც მოთხრობილ ამბავთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მხოლოდ შეიძლებოდა რომ
მომხდარიყო, ხოლო ცნობილია, რომ არ მომხდარა, მასალის ხუთი წლის განმავლობა-
ში ძებნა-შეკრებას მოითხოვდა? გავიხსენოთ, თუ რომელ პერიოდს ემთხვევა რომანის
წერაზე დახარჯული ხუთი წელიწადი? ეს ხომ ის პერიოდი, როცა უმონყალოდ თავს
ესმოდნენ მწერალ ჯავახიშვილს – რაპელები და სხვანიც. მაშინ მწერლის წინაშე
საშიშროება წამოიჭრა, რომ მას, პუბლიცისტურ მოღვაწეობის მსგავსად, ლიტერა-
ტურული გზაც დაეკეტებოდა, იქნებ უარესიც მოსვლოდა და აკი მოუვიდა კიდევაც.
ამ ხანებშივე დაწერა მან მოთხრობა „დამპატიყე“, რის გამოც მას ხელმეორედ დაესხ-
ნენ თავს. ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო და აუცილებელიც. მას არ შეეძლო უზადო
პატრიოტულ ნაწარმოების გამოქვეყნება; მას არ შეეძლო ქვეყნის იმედის სიმბოლო
იმგვარად დაეხატა, როგორცა სურდა. ამით უნდა აიხსნას ის მოვლენა, რომ „არსენა
მარაბდელი“ ჯავახიშვილისებურად არ არის „გამართული“ და „ხორცმეტებზე“ ლაპა-
რაკი გახდა შესაძლებელი. ეს „ხორცმეტები“ აუცილებელ ხარკის გადახდაა მხოლოდ,
თორემ არსენა მარაბდელი ისეთი წარმტაცი თემია, რომლის ხელისშემოქმედე მისე-
ბრ მწერალს, მოთმინებაც არ ეყოფოდა, რომ რომანის წერისათვის ხუთი წელიწადი
მოენდომებინა – გარემოებით გამოწვეული იძულება რომ არ ყოფილიყო.

ბუნებაშიაც ხდება, რომ ხილის ნაყოფი ზოგიერთ წელს ჭიან-ობიანია, მაგრამ ეს
ხის ჯიშის გადაგვარებას როდი მოასწავებს. ეს მხოლოდ გარეშე პირობების ბრალია.
იმ წელს ხე სხვადასხვა მიზეზთა გამო, სუსტი აღმოჩნდა პარაზიტთაგან თავის და-
ცვაში. ერის ცხოვრებაშიც ასეა. მხოლოდ იმას, რაც მცენარისათვის წლიური ციკლია,
ერის ცხოვრებაში მთელი თაობის პერიოდი შეესატყვისება. მეოცე საუკუნის პირველ
მეოთხედში ასეთი პერიოდი განვლო ჩვენმა ერმა. ამ თაობის ავადმყოფურ ნაკლოვა-
ნებას გვიხატავს ჯავახიშვილი ორ რომანში – „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირა-
ძე“, მაგრამ აქ ყველაფერი შავია და აქ გაჩერება საშინელ პესიმიზმის გამოჩენა იქნე-
ბოდა. არც მომდევნო თაობის, უფრო ოპტიმისტურად აღწერა იქნებოდა მართებულნი,
რადგან მწერალმა არ შეიძლება იცოდეს, თუ როგორი სპეციფიკური თვისებები ექნე-
ბა ამ თაობას. მაშ, მისი აღწერა რეალობას მოკლებული იქნებოდა. მაგრამ არსებობს
უფრო სარწმუნო რეალობა. ეს არის ხის ჯიში, მისი ნორმალური ნაყოფი, რომელსაც
იგი ჯანმრთელ წელს იხსამს. ერის ცხოვრებაშიც ამგვარი მაგალითი და ჯანსაღი
თაობის წარმომადგენელი ტიპი წარსულიდან უნდა ავიღოთ. ასეთი ტიპია არსენა ოძე-
ლაშვილი. იგი უშუალოდ ერის ფესვებიდან მოდის და მას ორმაგი ხარისხითა აქვს ამ
ფესვებთან კავშირი: ჯერ როგორც გლეხს და მერმე როგორ ქართლელს. არსენას

გლუხობის სიმბოლურ-ლოგიკური მნიშვნელობა თუ უდავოა, არც მისი ქართლელობა არის ნაკლებად სიმბოლური. როგორც სიმბოლურია თეიმურაზის ქართლელობა, თავადობა და განათლება და კვაჭის ისეთი იმერლობა, რომ კარგად არა ჩანს, იმერელია თუ მეგრელი (მისი მშობლები და ნათესავები მეგრულ ზედსახელებს ატარებენ) და ეს რომანი იმავე იდეური მნიშვნელობით, ვთქვათ, მეგრულს რომ დაენერა, მასაც ჩვენი ქვეყნის იმედის წყარო არა მხოლოდ გლუხთა ფენიდან, ქართლის სხეულიდანაც უნდა გამოეყვანა. ასეთია ჩვენი ქვეყნის ისტორიის სიმბოლიკა.

„არსენა მარაბდელში“ მიხილ ჯავახიშვილმა დახატა დიდი და მომხიბლავი ტილო, სადაც ნაჩვენებია ქართველი ვაჟკაცი, ქართული ჯიშის ძლიერი წარმომადგენელი, ამ ჯიშის შემართება და შეუპოვრობა – ესე იგი, ჯანსაღი საქართველო, ურომლისოდაც კეთილი არ იქნება.

რომანი ბოლოვდება სურათით არსენას ჩამომავალთა ძილისა:

„...ოცდარვა სულმა მშვიდი ფშვინვა ამოუშვა: ოთხბუხრიან დარბაზში ისევ ცალთვალა დევისა და არსენას სული ტრიალებდა. პაპა ციმბირის ციე მინაში ინვა, შვილი — მცხეთაში, ხოლო მათი ჩამომავალი მარაბდის ბებერ მინაზე ეყარა“.

ძილი ამ სურათში უბრალო, უმოქმედო ძილი კი არ არის, არამედ ეს არის ძილი მზარდი თაობისა, ქვეყნის მომავლის დამნიფებაა. ეს ქართლის ღრმად ნახნავ მინაზე მზარდი ჯეჯილის იდუმალი ხმის ბიბინია მთვარიან ღამეში. და ყოველ ქართველს შეუძლია, შეუძლია კი არა, ვალდებულია, ლოცვით წარმოთქვას: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი გახდი ყანაო“.

მიხილ ჯავახიშვილის, როგორც მწერლის, სათანადოდ და ღირსეულად დაფასება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მე აქ მხოლოდ ქადაგზე ვლაპარაკობ და ამ „ხევისბერის“ სიტყვებით თავად მოჯადოებული, ვცდილობ მკითხველს გადაეცე, თუ როგორ გავიგე აზრი „ხატთა ენისა“. ის რაც მე გავიგე, მძიმეა და არა საამოდ მოსასმენია. მეც ვინატრებდი და ვამჯობინებდი, რომ უფრო საამო რამ მომესმინა...

* * *

ამ წერილის დასაწყისში ნათქვამია, რომ საქართველოში მ.ჯავახიშვილის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებში ყველაფერი თქმულია მხოლოდ შენიღბულად. ჩვენ აც მოვიყვანთ სხვადასხვა წერილებიდან ამოღებულ ციტატებს, საიდანაც მკითხველი დაინახავს, რომ იქ გამოთქმული აზრები, თითქმის ყოველ საკითხში ემთხვევა ჩვენი ჟურნალისას, გარდა ერთისა: იქ ლაპარაკია მთელი ერის მხილებაზე და ინტელიგენციას არ ახსენებენ. თუმცა ეს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ნიუანსია და მხილება, ცხადია, ერისადრმა მიმართული.

ციტატები და ცნობები ამოღებულია „ლიტერატურული საქართველოს“ 1981 წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომრებიდან: ქეთევან ჯავახიშვილი — ილია და მიხილ ჯავახიშვილი; თედო ბექიშვილი — მცირედი ნაფიქრი დიდ მწერალზე; ოთარ ჩხეიძე — ისევ „ჯავაყოს ხიზნები“; თემურ ჩხეიძე — ინტერვიუ; საქინფორმის კორესპონდენტი;

მხატვრული სიტყვის ძალა და უკედავება; ნოდარ დუმბაძე — უკედავების დაბადება; ირაკლი აბაშიძე — პირველი წლები.

ოთარ ჩხეიძე წერილში „ისევ ჯაყოს ხიზნები“ ამბობს, ეს რომანი 1925 წელს გამოქვეყნდა (ეს წიგნად გამოცემის თარიღია. ბეჭდვა კი 1924 წლის იანვარში დაიწყო, „მნათობში“) ხოლო სატელევიზიო დადგმა კი 1979 წელს განხორციელდაო და განაგრძობს: „რამდენი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, გადაფასდა რამდენი რამა, ოღონდ ის აზრი არ შეიცვალა... ის რეაქცია არ შეიცვალა. არ შეიცვალა, განმეორდა სწორედ ისევე ამ ბოლო წლებშიცა. განმეორდა ბრალდება იგივე და იმავე მლელვარებითა, როგორც რო მაშინა, იმა პირველ გამოქვეყნების დღეებშია. ეტყობა, ზოგმა თუ ბევრმა არა, ჯერ კიდევ ბევრი ვერაფერი გაიგო. ეტყობა, ჯერ კიდევ მის აზროვნებაზე ბევრი ვერაფერი კვალი დაამჩნია, მრავალმა ცვლილებამა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ძვრებმა მრავალმა. წინააღმდეგობამა მრავალმა. რაც რო გადაიტანა ჩვენმა ხალხმა, ამ ხნის განმავლობაში რო გადაიტანა. განმეორება იგივესი და იმავე სახითა ამას უნდა გვიდასტურებდეს... აზრია მაინც წარმმართველი საზოგადოებრივ ცხოვრებაში – ასეა, რას იზამ! თორემ რა იქნებოდა რო ჩაექოლათ „ფუნთუშაში“ ფრანგებსა, რო შეეჩვენებიათ ავტორი „ფუნთუშასი“, ასე რო დასცინა იმათ პატრიოტულ განცდებსა. ეროვნული თავმოყვარეობა რო შეულახა ისე, პრუსიასთან ომში დამარცხებისაგან ისედაც შელახული თავმოყვარეობა ისე რო შეულახა. მსუბუქ ყოფაქცევის ქალი რო დაუხატა, ნამდვილ ჭეშმარიტ ზნეობის ნიმუშად რო დაუხატა... მაშინ ამას გაგება უნდოდა და გაიგეს ფრანგებმა რო მოველინათ დიდი მწერალი... რო მოველინათ მამხილებელი სატირიკოსი — დიდი გულის ადამიანი, დიდი ტკივილის ადამიანი, დიდი განცდის ადამიანი. მათთან ერთად თუ ყველაზე მეტად რო შენუხებულოყო დამარცხებისა გამო, პრუსიასთან ომში დამარცხებისა გამო. და ეძიებდა მარცხის მიზეზსა, უფრო თავისი ხალხის ზნეობრივი პრინციპების მერყეობაში, ვიდრე სხვა რამეში. ვთქვათ, თუნდა რო უნიჭობაში თავიანთი მხედართმთავრებისა, ანუ ძლიერებაში მონინალმდევისა... უპირისპირდებოდა პატრიოტობის შაბლონსა, ყალბ თვალთმაქცურ პატრიოტობასა – სულ სხვა რამ იყო და თავგანწირვაც იყო მანამდე უცნობი თუ უჩინარი ავტორის მხრივაც. ერი ერია, მაგრამ უფრო დინჯად განსჯიდა დიდი ერი, ძლიერი ერი. ამ შემთხვევაში პატარა უფრო მლელვარედ განსჯიდა და კიდევაც განსაჯა მლელვარედ... ოღონდ მას მერე ჰო გავიდა კარგა ხანი?"

ამ ციტატაში დასახელებული ნაწარმოები მოპასანის ცნობილი მოთხრობაა: „ბულდე სუიფ“ „ფუნთუშად“ უთარგმნიათ ეს სათაური საქართველოში. რა შორი გზით უფლის საკითხს ქართველი მწერალი, რომ თავისი სათქმელი თქვას. ვამბობ შორი გზით, რადგან „ფუნთუშასა“ და „ჯაყოს ხიზნებს“ შორის არა არის რა საერთო და არავითარ პარალელის გაკლება არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ მოპასანის მოთხრობა პრუსიელთა მიერ ფრანგების დამარცხების ფონზე იშლება, ხოლო „ჯაყოს ხიზნების“ ავტორს კი რომანი დაანერჩნა რუსეთის მიერ საქართველოს დამარცხებით გამოწვეულმა სიმწარემ და გულამღვრეულობამ. და ყოველივე, რასაც ავტორი ციტატის კომენტარში,

მოპასანისა და საფრანგეთის შესახებ ამბობს, საქართველოზე ნათქვამად უნდა მივი-
ლოთ, ცხადია. ესე იგი, ჩვენც თვალი არ უნდა დავხუჭოთ და გაბედულება უნდა გვე-
ყოს იმის აღიარებისა, რომ ჯავახიშვილი საქართველოს პატრიოტულ ინტელიგენციას
ამათრახებს „განძის“ ვერ მოვლისათვის. კონკრეტულად – ომის ნაგებისათვის. ხოლო
ქვემოთ დავინახავთ, რომ თვით ომში დამარცხება ჯავახიშვილისათვის მხოლოდ უკა-
ნასკნელი აქტია საქართველოს უახლეს ისტორიის სცენაზე გათამამებულ დრამისა და
რომ მისი წინანდელი აქტები ბევრად უფრო ადრე გათამამდა.

შემდეგ ოთარ ჩხეიძე, პირდაპირ, საქართველოს ეხება და ამბობს: „...იმასვე ვკი-
თხულობ და იგივე მიკვირს, ნუთუ აღარ უნდა გაფრთხილება მშვენიერებას (იგულისხ-
მება მარგო – საქართველო მ.ქ.) ნუთუ ისიც წარმავალია, ნუთუ ისიც იცვლება, ნუთუ
შეიძლება უგულვებელყოფა იმისაცა. ნუთუ შეიძლება? არ ვიცი, არ ვიცი! მშვენიე-
რება უმალესი იდეალი. ასე გაგვიგია... აქ დაეა არ შეიძლება და თუ მაინც სადაოს
გახდიან, ეს შეიძლება იმისი ბრალიც იყოს, თავისებური რაა მხატვრული სტილი...
მიხეილ ჯავახიშვილისა... ცხოვრებაშივე რო მოაქცია იდეალი მშვენიერებისა... მაგრამ
ეს ხო სტილია, ეს ხო ხერხია... იდეალი ხო იგივე იდეალია... და რო არ უნდა დასთმო,
არ უნდა გასწირო, ეს მოწოდება ვითომ ისეთი რა აღმაშფოთებელია, რო ვერ გამორ-
კვეულა აგერ აქამდისა ბევრი თუ მცირედი!“

მკითხველი, ცხადია, მიხვდა, რომ მთელი ეს პასაჟი გამონეუულია იმით, რომ „ჯა-
ყოს ხიზნების“ ახლად გამოჩეუერებას, ამჯერად ტელევიზორის საშუალებით, მაყუ-
რებელთა შორის გამოუწეევირა რეაქცია მსგავსი იმისა, როგორსაც ადგილი ჰქონდა
რომანის პირველად გამოქეეეენებისას. უნდა ითქვას და არც გასაკვირია, თუ ტელე-
ფილმით ნაჩეენებმა „ჯაყოს ხიზნებმა“ გაუგებრობა და პროტესტიც გამოიწეეია. ამ
რომანში ჩაქსოვილი ალეგორია ტელეფილმით ვერ გადაიცემა. ფილმი ხომ უმთა-
ერესად, მოქმედებასა და მოძრაობაზე შენდება და რა დარჩება „ჯაყოს ხიზნებიდან“,
გარდა შემზარავი სცენებისა, თუ დიალოგები თეიმურაზსა და ნახუცარს შორის შე-
კვეცილია, რაც ფილმში გადატანისას აუცილებლად ხდება.

აი, რას ამბობს ამ საკითხზე რეჟისორი თემურ ჩხეიძე: „აღსანიშნავია, რომ ჯავახიშ-
ვილისადმი ინტერესი რუსეთშიც გაჩნდა. ასე მაგალითად, რეჟისორმა ო.ფერემოვმა,
შემომთავაზა „ჯაყოს ხიზნების“ დადგმა სამხატვრო თეატრში. ბევრი გარემოების
გამო ვყოყმანობ. ამ ნაწარმოებში დიდი ადგილი უჭირავს ალეგორიულ კოლორიტს.
რამდენად გასაგები იქნება იგი რუსი მაყურებლისათვის? ვფიქრობ ამ მხრივ უფრო
მომგებიანი იქნება „ქალის ტვირთი“... დიდი ხანია ვუტრიალებ „არსენა მარაბდელის“
დადგმის იდეას... ამ ნაწარმოებშიც ორმხრივი ეფექტის მონმენი ვართ. ერთი მხრივ,
აქ მოცემულია სახალხო გმირის თავგადასავალი და მეორე მხრივ — ღრმა სოციალუ-
რი პროტესტი, გადაზრდილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში“.

ტელეფილმის დამდგმელებს, მხედველობაში არ მიუღიათ ყოველი ეს. „ჯაყოს
ხიზნებში“ ნაგულისხმევე იდეას მხოლოდ რჩეულ მკითხველთა გონების თვალი თუ
განჭვრეტს, ხოლო ტელევიზორის მაყურებელთა ფართო მასისათვის მისი მიწოდება,

უაზროა. და ეს განსაკუთრებით მართალია, ასე შეზღუდულად ინფორმირებულ საზოგადოების მიმართ, როგორიც საბჭოთა საზოგადოებაა. ჩვენი მხოლოდ ინტელიგენციის ელიტა იცნობს, ისიც მალულად გაგების გზით, „ჯაყოს ხიზნების“ დანერის ხანას. და როგორღა უნდა გაიგოს ამგვარმა, ხელოვნურად დაბრმავებულმა საზოგადოებამ, ისეთი ხასიათის ნაწარმოები, რომლის გაგებას საერთოდ ეურჩება ადამიანის ბუნება, რადგან იგი საკუთარ ნაკლთა მხილებას წარმოადგენს. რა უნდა ამცნოს ტელევიზორმა ასეთ კაცს, როცა საგაზეთო წერილის ავტორიც იძულებულია, ქარაგმით დანერილი რომანი, ქარაგმითვე გამოთქმულ საბუთებით დაიცვას. რას იზამ? ასე იყო, როცა ჯავახიშვილი წერდა და ასევეა დღეს, როცა ახალი თაობის მწერალი იძულებულია, ამგვარ ხერხს მიმართოს თავისი აზრის გამოსათქვამად, ხოლო დაცინვა ის არის, რომ მწერალს სურს აგვიხსნას იმ მწერლის ნათქვამი, რომლის იუბილეც იმართება დიდი ზემოთ. მკითხველმა, ალბათ, შეამჩნია: ოთარ ჩხეიძის მიერ ხმარებული თითქო ფსევდოტეტიური სტილი, რომელსაც ეს გონიერი მწერალი საერთოდ იყენებს, უკვე თავისთავად თითქმის ქარაგმა და შენიღბვაა.

საბჭოურად, ერთის ფიქრისა და მეორეს თქმის ანეკდოტური მაგალითია მწერალ პროფესორ გ.ციციშვილის გამოსვლა. მას უთქვამს: სამწუხაროა, რომ ჯავახიშვილის პუბლიცისტური ნაწერების თუნდა ნაწილიც არ არის გამოქვეყნებული და აქვე დაუმატებია, „ჯავახიშვილის მსოფლმხედველობა განსაზღვრა... ილია ჭავჭავაძის კონცეფციამ ერის კონსოლიდაციის თაობაზე და მარქსისტულმა თეორიამ... მწერალი... დაინტერესდა ლენინის ნაშრომებით და... ეცნობოდა მათო“. თუ მწერალი ლენინს ეცნობოდა და მანც ილიას გაჰყვა, მაშ, მას შეგნებულად ცუდი გზა აუღია, მაგრამ საბჭოეთში მიღებულია შავის თეთრად გასაღება და ამიტომ ასეთი უცნაური არგუმენტის გამოყენებაც არავის აკვირებს. ისიცა ვთქვათ, რომ ეს მწერალი-ტაქტიკოსი ამგვარი ფანდებისა და ილეთების დიდი ოსტატია.

ზემოთ ნათქვამია, რომ ომში დამარცხება დრამის უკანასკნელი აქტიაო. სადღაა დანარჩენი, ადრე გათამაშებული აქტები? ამ აქტთა წინ ჩამოშვებული ფარდაა. ისინი მხოლოდ იგულისხმებიან – თუ რატომ, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. ჯერ კი ისევ ოთარ ჩხეიძის მოუხსინოთ: „არც ისე ადვილად შექმნილა „ჯაყოს ხიზნები“. არც ისე ადვილად და უბრალოდ... მართალია, რო სწრაფადა სწერდა მიხეილ ჯავახიშვილი. სწრაფადა და თითქოს ადვილად – ეს, მერე მეორედ რო მიუბრუნდა სალიტერატურო ასპარეზსა, – მაგრამ ამ რომანს მანც კარგა ხანი მოანდომა, ოცი წელიწადი მოანდომა თითქმისა. ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული მოანდომა თითქმისა. საოცრად ძლიერი და წინააღმდეგობრივი ორი ათეული. ავტორიც რო შიგ ჩაეთრია სახიფათოდა; ამიტომდა აქ ბევრი რამ განცდილი, განცდილი და განზოგადებული – ცოდნაცა და გამოცდილებაცა, სიხარულიცა და მარცხის სიმწარეცა, იმედიცა და უიმედობაცა, უარყოფა უარსაყოფელისა და მომავლის რწმენაცა, რწმენაცა იმისა, რო ბოლოსდაბოლოს გაგიგებს შენი ხალხი...“

რას უნდა ნიშნავდეს ეს ორი ათეულის მონდომება ისეთი რომანის დასაწერად,

რომელშიაც სწორედ ამ „ორი ათეულის“ შემდგომი ამბებია მოთხრობილი? აქ, ცხადა, იგულისხმება „წერა“ ე.ი. დაძინება ამ რომანში გამოთქმული აზრებისა. წერა ავტორის გონებაში – მისი გამოცდილების სახით, იმ ხანაში როცა ჯავახიშვილი პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, როცა პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩაბმული და ამ ფრონტზე იბრძოდა – ვის წინააღმდეგ? ეს ცნობილია. ამიტომ არის ნახმარი გამოთქმა „ავტორიც ჩათარია“, „განზოგადებული“, „მარცხის სიმწარე“, „წინააღმდეგობრივი“ და „ბოლოს გაგიგებს შენი ხალხი“ — აი, როგორ ესმის ჯავახიშვილი ახალი თაობის ინტელიგენციის ელიტას.

შსგავსი აზრებია გამოთქმული წერილში თედო ბექიშვილისა, რომლისა მოკლე ციტატაც კმარა: „ჯაყოს ხიზნები დიდ მწერლურ გამარჯვებასთან ერთად საკმარისზე მეტ უსიამოვნებასაც მოუტანს მწერალს, მაგრამ ეგ არაფერი! მთავარი იყო მშობელი ხალხისათვის სიმართლე პირში მიეხალა, მოღწეებული აზრი აემოძრავებინა, საგანგაშო სიმპტომები დღის სინათლეზე გამოეტანა... (მრავალწერტილი ტექსტშია). ნამალი მერე უნდა მონახულიყო. მას მხოლოდ ამგვარი მკურნალობა შეეძლო. მას მხოლოდ ჭრილობათა გაშიშვლება შეეძლო და ამ ჭრილობებიდან მერე გამოირწყებოდა შიგ ჩაგუბებული შხამი და სენი... (მრავალწერტილი ტექსტშია). ერის სიჯანსაღესა და მომავალში რომ იგი არასოდეს დაეჭვებულა, მარტო იმ წერილიდანაც მშვენიერად მოჩანს, „მასალები ლექციისათვის“ რომ ჰქვია“.

ამ წერილს შემდეგ მოუბრუნდებით. ახლა კი სხვა რამ აღვნიშნოთ.

მიხეილ ჯავახიშვილი რომ ილიას მიმდევარი იყო, ხომ ცნობილია, მაგრამ ცნობილი არ იყო ზოგი დეტალი მისი ცხოვრებისა – ზოგი რამ მის მიერ გამოვლილი და არც მისი დღიურები და უბის წიგნაკის ჩანაწერები იყო ცნობილი. ახლა კი, ჯავახიშვილის ასული ქეთევანის მიერ გამოქვეყნებულმა ცნობებმა საკვირველ სურათს აჰხადა ფარდა. ამ ცნობებზე დაყრდნობით ბექიშვილი მოგვითხრობს: „1907 წლის იმ საბედისწერო დღეს, როცა წინამურის ტრაგედია დატრიალდა, მიხეილ ჯავახიშვილი მამინევე საგურამოში ასულა. თავისი თვალით უნახავს ეს თავზარდამცემი უბედურება. ის ღამე იქ გაუთევია მწერლის ეზოში და სხვა რომ აწაფერი მონახულა, ილიას სისხლით მოთხერილი ბალიში სდებია... გატანჯულსა და განანამებს მხოლოდ გათენებისასლა ჩამეძინაო, იგონებს შემდგომ. იმ ღამეს ილიას ნამებული და წმინდა სისხლის ნეთები მიხეილ ჯავახიშვილის სხეულსაც მოეცხო... გარდუვალი ბედისწერის პირველი ნასკვიც იქნება იქვე გამოიკვანძა და თან გაჰყვა მწერლის დარჩენილი სიცოცხლის სამ ათეულ წელს. ვინ იცის, ვინ რას გაუგებს ბედისწერის უცნაურობას?! ოღონდ ეს კი ნათელი და საცნაურია, რომ თუ ილიას ახალ ქართულ ლიტერატურაში მემკვიდრე დარჩა, ეს მიხეილ ჯავახიშვილი იყო“.

ნოდარ დუმბაძე კი ამბობს: „ახლა ჯავახიშვილის წიგნები ყველა ოჯახში აწყვია, როგორც განძი, როგორც გაფრთხილება, სიმართლე, ალიარება, სიყვარული, თავდავინწყება, ინტერნაციონალიზმიც და პატრიოტიზმიც, ყველაფერი ის, რითიც სუნთქავს ქართველი ხალხი... როგორც ოთარ ჩხეიძის მშვენიერ წერილში წერია, ყველაფერი

გაცილებით ადრე იყო, ვიდრე ჩვენ გვეგონია ახლა... მიხეილ ჯავახიშვილის ასულის — ქალბატონ ქეთევანის საოცარი წერილი წავიკითხე... აი, თურმე რატომ მეგულება იგი მამადავითზე ილიას ახლოს. აი, რატომ მელანდება თურმე მისი აჩრდილი წინამურის გზაზე. იგი ილიას პირდაპირი მემკვიდრე იყო. ამოღებული ხმალივით შიშველი და სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკად მიტანილი”.

ქეთევან ჯავახიშვილის წერილებიდან ვიგებთ, რომ მ.ჯავახიშვილი ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა საგურამოში მდებარე, ილიას მამულის ნაქრძალად გამოცხადებისა და ილიას სახლ-მუზეუმის დაარსებისა. მას გადაუცია გ.ლეონიძისათვის ილიას მკერდიდან ამოღებული ტყვიები, რომელნიც ახლა ამ მუზეუმში ინახება. ამ ტყვიებს, რომელნიც ჯავახიშვილმა დუშელ მასწავლებელ დ.კობიაშვილისაგან მიიღო საჩუქრად, თავის მაგიდის უჯრაში ინახავდა თურმე. იგი მათ დროდადრო კოლოფიდან ამოიღებდა, ხელისგულზე დაიდებდა და ხანგრძლივად დასცქეროდაო. კობიაშვილს ეს ტყვიები იმიტომ ჰქონია, რომ იგი გამოძიებლის თარჯიმანი ყოფილა დუშეთში და მას ჯავახიშვილისთვის ყოველივე უამბია, რაც კი იცოდა მკვლელობის შესახებ. მიხეილ ჯავახიშვილის პირად გრძობებზე ილიას მიმართ ბევრი რამ შეიძლება ითქვას. ეს საკითხი ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენსო, წერს მწერლის ასული. იგი აგრეთვე მოგვითხრობს, რომ მ.ჯავახიშვილს ჩვეულება ჰქონია, წაკითხულ წიგნების არშიები შენიშვნებით აეჭრელებინა და იგი ამბობს, რომ მაშინ, როდესაც მრავალ მწერლის მიმართ, ეს შენიშვნები კრიტიკას და ზოგჯერ მძაფრ კრიტიკას შეიცავს, არც ერთი შენიშვნა არ არის ილიას მიმართ ისეთი, რომ მონონებას და ხშირად აღფრთოვანებასაც არ შეიცავდეს. ხოლო ილიას წერილს „ნუთუ“ შემდეგი შენიშვნა ჰქონია: რა საბრალო ხალხი ვართ და რა საზიზღარი დრო იყო! ილია ჭაფჭავაძე ვიღაც ქვემძრომს ამოღენა პასუხს აკადრებს. ამ წერილს „ივერიას“ რედაქტორმა გოგიჩაიშვილმა მიაწერა ქვემოთ: ავტორს ყველაფერში არ ვეთანხმებითო. ე.ი. ილია სადაც მანც სტყუისო. სანაყალი საცოდავი ილია!” კიდევ მრავალი მანიშნებელი ცნობის მოტანა შეიძლებოდა საჩვენებლად იმისა, თუ რაოდენ ახლო დგას ჯავახიშვილი ყოველივე ილიასეულთან, იდეა იქნება ეს, წერის სტილი, თუ მისგან აღიარება ილიას კულტისა.

დაუზრუნდეთ ჯავახიშვილის ჩანაფიქრს, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა, მისი რომანების წერისას და დავსვათ კითხვა: რატომ გააშვა ასე დაუნდობლად ავტორმა მისივე იდეოლოგიის მიმდევარი ქართული ინტელიგენცია? რა ჩაიძინა მან ისეთი, რომ ამგვარი მოპყრობა დაემსახურებინოს? პასუხი მარტივია: ინტელიგენციას არაფერი ჩაუდენია! მან მხოლოდ თავისი მოვალეობის ვერასრულება ჩაიძინა. მან ვერ გამოიჩინა გაბედულება, უნარი, ძარღვი და ამ სიტყვით აღნიშვნის ღირსი ცდაც ვერ მოახერხა, რომ მარგო, ჯაყოს ხელში არ ჩავარდნილიყო და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მას ესმოდა, თუ მარგოს ჯაყოს ხელში რა მოუვიდოდა (უკვე ილიამ გაგვაფრთხილა), და მანც თითქმის პასიურ მყოფობლად დარჩა, ჯავახიშვილის მიერ გამოტანილი განაჩენი არცთუ იმზომად მკაცრია.

ილიას რომ თავისი სიცოცხლის დროს ღირსეული „სპასალარები“ არ ჰყოლია, და სიკვდილის შემდეგაც მემკვიდრე არ აღმოაჩნდა, ხომ ცნობილია. მაგრამ არც ილიას მიმდევარ ინტელიგენციას გაუჩნდა ნამატი. იაკობ გოგებაშვილის ლეანლის წყალობით, ქართველთა შორის ინტელიგენტთა და ნახევარინტელიგენტთა მომრავლებით, უმთავრესად მესამე დასმა ისარგებლა. „დედაენით“ ნერა-კითხვა ნასწავლ ხალხს, ქართული საქმისათვის დაწერილ წიგნების ნაცვლად, ერფურტის პროგრამა, კომუნისტური მანისფეტი და „ისტორიული მატერიალიზმი“ შეაჩერეს ხელში.

როგორ მიმდინარეობდა ტვინის გამოლაყების ეს პროცესი, რა ზომები იყო მიღებული ამ მოვლენასთან საბრძოლველად, ყოველივე ამის გაცნობა უცხოეთში მყოფ პუბლიცისტიკისათვის შეუძლებელია. თუმცა უცხოეთშიც შესაძლო იყო ასეთი მასალების შექმნა – უფროსი თაობის მოღვაწეებს რომ ამაზე ეზრუნათ. აქ კანტიკუნტად დაიწერა მემუარები, მაგრამ არავის ფართო ხასიათი არ მოუცია თავისი მემუარებისათვის. ერთადერთი ნაშრომი ამ საკითხს რომ მოიცავს, ალ.ასათიანის „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“, მაგრამ იგი საბრძოლო პოზიციიდან დაწერილი წიგნია. მოვლენათა სურათის მთლიანად დასანახად კი სხვაგვარი წყაროა საჭირო. არადა, განა აქ არ იყვნენ ისეთი მოღვაწენი, რომელნიც პირადად ჩაბმულნი იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცეს დასაწყისის საზოგადოებრივ საქმეებში? გიგო დიასამიძე, ივანე ზურაბიშვილი, გიორგი ჟურული, მიხეილ წერეთელი, სამსონ ფირცხალავა და სხვანიც. მარტო ამ ხუთს რომ ვრცელი მემუარები დაეტოვებინა, ისეთი ფასდაუდებელი მასალა იქნებოდა, რომლის დარი ქართულ არქივებიდანაც ველარ შეიქმნება. ამიტომ ამ წერილში მხოლოდ ზოგიერთ დამახასიათებელ და მნიშვნელოვან მოვლენაზე იქნება მიქცეული მკითხველის ყურადღება.

ჯერ იყო და, ნაცვლად ეროვნული პარტიისა, ქართულმა ინტელიგენციამ მეორე სოციალისტური პარტია დააარსა – ცხრა მეთედად მინათმოქმედთა ქვეყანაში და ამან რო სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, პროვინციის სხვადასხვა ცენტრებში, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაარსებულმა ნაციონალისტურმა ჯგუფებმა, ზოგჯერ კი ცალკე პიროვნებათა მიერ გამოცემულმა. გაზეთებმა სცადეს ეროვნულ განგრენასთან ბრძოლა. ყოველივე ეს, ცხადია, თავიდანვე განწირული იყო. ეს მხოლოდ რამდენიმე ფრაზით დახატული სურათია, რა თქმა უნდა.

საქმე რომ ცუდად მიდიოდა, ამის მაჩვენებელი ის მოვლენაც არის, რომ როგორც ჩანს, ილიას პოზიციის მტკიცედ და ურყევად დაცვა თვით ილიას მიმდევართა შორისაც ვერ ყოფილა ერთსულოვანი. ქეთევან ჯავახიშვილს თავის წერილში მოჰყავს ადგილი მამამისის წერილიდან, რომელიც ილიას ხსოვნას მოუძღვნა ავტორმა. წერილის ეს ადგილი დაბეჭდვის დროს ამოულიათ და ახლა გამოქვეყნდა პირველად.

„1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია ნინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ჭაჭაჯაძემც შემოვიდა. ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შემპყობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშეილვევი იყო. იგი რამდენიმე ათეულ წელწინადს ზიდა, მერე თავის ერთგულ ა.სარაჯიშვილს

გადასცა, მან ილიას გზით მიმავალ ყოფიშვიტს ჩააბარა, ამან კი – ამ ახალგაზრდას გადაულოცაო – თქვა ილიამ ჩემზე და შემდეგ — გოგირაიშვილსაო. ეს კიდევ არაფერი. ერთმა გაზეთმა ილია ფეოდალად და გლეხების მტანჯველად გამოაცხადა.

– გესმის ილიავ, თურმე ხალხის მტერი ვყოფილვარ! შფოთავდა ჭავჭავაძე – ფეოდალი ვყოფილვარ, ბატონყმობის აღდგენა მსურვებია!

მე და ილია წინამძღვრიშვილი ვლამობდით ილია დაგვეწყნარებინა, მაგრამ ის ვეღარ ისვენებდა. ახალმა თაობამ ჩემდამი უმადურობა გამოიჩინაო. ვილაც ვიგინდარამ ილიას სახელს ნუშპე შეასხა. სიყალბით სავსე კორესპონდენცია შეითთხნა. „ივერიამ“ იგი „მოგზაურიდან“ გადმობეჭდა და შემდეგ უარესიც ჩაიდინა: ილიას პასუხს „ნუთუს“ შენიშვნა დაურთო, ზოგ რამეს არ ვიზიარებთო, ესე იგი, ილიამ თავი სავსებით ვერ იმართლაო. იმ დროს მეც „ივერიაში“ ვმუშაობდი.

– ყმანვილო, ნუთუ ამ შენიშვნამ არ გაგანითლათ? – მომიბრუნდა ჭავჭავაძე.

მე თავი ვიმართლე: წერილისა და შენიშვნისა წინასწარ არაფერიც არ ვიცოდითმეთქი.

– იმ უსინდისომ (კორესპონდენციის ავტორმა მ.ჯ.) ალბათ, კარგად იცის – განაგრძო ილიამ, – რომ მე ვცაღე საგურამოში ეკუბეკუცია არ გაეგზავნათ. ჩემ მოურავსაც კი მივწერე: ყოველი ზომა ილონე, რომ ხალხი არ დაანოკონ-მეთქი“.

როგორი ამძვრელი სურათია! ათეულ წელთა განმავლობაში სამშობლოზე ზრუნვით და ქვეყნის ტყვიელებით, საქართველოზე ფიქრით და გონების უარეს დაძაბვით დაღლილი და ჯანმელახული, უდროოდ მოხუცებულ ილიას სიტყვები: „ახალთაობამ ჩემდამი უმადურობა გამოიჩინა – ყმანვილო, ნუთუ ამ შენიშვნამ არ გაგანითლათ“.

მართლაც, როგორ გადმობეჭდა გოგირაიშვილმა სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „მოგზაურიდან“ „ივერიაში“ ეს საზიზღარი ცილისწამება? ან ილიას პასუხს როგორ დაურთო, ილიას სიმართლეში ეჭვის აღმძვრელი შენიშვნა? აქ ხომ მარტო ილიასი კი არა, საქართველოს დაცვის ფრონტია გაბზარული. „წინასწარ არაფერი ვიცოდით!“ როცა გაიგო, მაშინ რად არ ასტეხა განგაში?! რატომ უმაღლე არ მივიდა ილიასთან ბოდიშის მოსახდელად, ან ილიასთან ერთად რატომ სხებებამ არ გასცეს პასუხი ილიას სახელისათვის ნუშპის შემსხმელებს?

მიხეილ ჯავახიშვილის მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა სწორედ ის არის, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლად მოგვითხრობს ამბავს. მან ხომ, მწერლობის ოსტატმა, მშვენიერად იცის, რომ მკითხველს საშუალებას უტოვებს, ინციდენტის მრავალგვარად ინტერპრეტაციისა. ამით არის, რომ ჯავახიშვილი თავისთავსაც არ გამორიცხავს თვითმურაზთა დასიდან და თავადაც კისრულობს პასუხისმგებლობას. „ჯაყოს ხიზნები“ ერთგვარი „შაჰსეი ვახსეია“ (ასე უწოდებდნენ ტფილისში სპარსელთა რელიგიურ ნესს, რომლის დროსაც მორწმუნენი თავიანთ თავსა სცემენ – ზოგჯერ სისხლის დენამდე).

ალექსანდრე ასათიანი თავის წიგნში: „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ მოგვითხრობს, რომ 1905 წელს ილიას მეთაურობით, გადაუწყვეტიათ ერ.დემ.პარტიის

დაარსება. რადგან, როგორც ავტორი ამბობს: „ძველი მდგომარეობა დარღვეული იყო. ახლა მესამოციანეთა წინააღმდეგ ორგანიზაციულად დარაზმული ძალები იბრძოდნენ და მათგან ეროვნულ საქმის დასაცავად, ასევე ორგანიზებულად დაწყობილ ძალების დაპირისპირება იყო საჭირო“. შეუდგენიან და დაუბეჭდავთ პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცდაო. ეს ცნობა დადასტურებული და დაზუსტებულია ივანე ზურაბიშვილის ბიოგრაფიაში („ქარგ ქართველთა ხსოვნისათვის“ პარიზი 1962), საიდანაც ვიტყვობთ, რომ ილიას ამ საქმის მოგვარება და მისი გაძლიერება ახალგაზრდობისათვის დაუვალებია და გადაუცია. პარტია დაარსებულა და თავმჯდომარედ ივანე ზურაბიშვილი ყოფილა ერთხმად არჩეული. ა.ასათიანი ამბობს, რომ სამოციანელთა გაჭაღარავებული თაობა ქუჩაში გატანილი ბრძოლისათვის ვერ გამოდგებოდა, ამისათვის მათ შემდეგი თაობა უყავდათო აღზრდილი, მაგრამ ამ თაობის ნაწილი უკვე დაშორებული იყო მათ რიგებს და ფედერალისტთა დროშის ქვეშ იბრძოდაო. ხოლო ვინც დარჩა, ისინიც სხვაგვარ მუშაობაში იყვნენო აღზრდილი და მასთან ერთად ვერც მიატოვებდნენ ეროვნულ დანსებულებებსო, რომელნიც რევოლუციურ ტალღების მუდმივ იერიშებს განიცდიდნენო. ახალგაზრდობა კიდევ, უკვე ჩართული იყო რევოლუციურ წრეების მიერო. ახდელ ბრძოლაში ჩაბმა ასეთ პირობებში ვერ გამოიღებდა სასურველ ნაყოფს, ის მხოლოდ გააღიზიანებდა რევოლუციურ ფსიქოლოგიით შეპყრობლ წრეებს. ამის გამო სამოციანელთა წრე, თავის დანსებულებებს უბრუნდება და იქ განაგრძობს ეროვნულ საქმის დაცვას და პატრონობასო. ასე გვიხსენის მთელ ამ საქმეს ა.ასათიანი. მამასადაამე: „რევოლუციურ ფსიქოლოგიით შეპყრობილი წრეები“ რომ არ გაეღიზიანებინათ, ქართული ნაციონალისტური ინტელიგენცია თავის კულტურულ საქმიანობას დაბრუნებია და ამით დაკმაყოფილებულა.

ამასთან დაკავშირებით, ზედმეტი არ არის შემდეგი ცნობის მოყვანაც: ბატონმა გიორგი ყურულმა – ეს იყო გრენობლში 1927 წელს – კერძო საუბრის დროს თქვა, რომ ცხრაასხუთიან ხანებში ქართული ნაციონალისტური წრეები მარქსისტ-რევოლუციონერთა ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენო. ზოგი მათგანი გარეგნულად, თითქმის მათთანაც კი იყოო. საერთოდ, გაურკვევე მიტომარეობა სუფევდა, რადგან ამ ნაციონალისტთა უმეტესობა სამსახურში მონყობილი, ან სხვაგვარად ნივთიერად უზრუნველყოფილი ხალხი იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა – რასაც რევოლუციური წრეები კიდევ უფრო აღვივებდნენ – თითქო ეს ნივთიერად უზრუნველყოფილი ქართველობა რევოლუციის წინააღმდეგი და მეფის ტახტის ერთგული ყოფილიყო, რაც, ცხადია, სინამდვილეს არ შეეფერებოდაო.

და მოხდა წინამურის ტრაგედია! მოკლეს ილია! საქართველოს მოკვლის გზაც გახსნილი იყო. ეს აზრი მე არ მეკუთვნის. მიხეილ ჯავახიშვილს ილიას წერილის „ნუთუს“ სათაურთან მიუხერხია: „საქართველოს აგონია წინამურში დაიწყო 1907 წელს აგვისტოში“.

ილიას მოკვლამ მთელი საქართველო შეძრა. ახლა მანც დრო იყო გამოფხიზლები, მოქმედებისა. და მართლაც, თითქო რაღაც შეიცვალაო. ნარმოითქვა ცნობილი

სიტყვა მიხილ ნერეთლისა. ამ სიტყვას „საპროგრამო“ შეარქვეს და ასე უწოდებენ დღესაც.

...იტყვიან... საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაკარგა კაცთა სახე – აი, ამ ერმა თვით მოკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავის ცხოვრების წინამძღოლებადო... რას უნდა მოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სიღაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის – ...ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებათ... მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს – ილიას ხსოვნას „შურისძიება არ ეკადრებაო!“ კი ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურისძიებით გაეიქარწყლებო. შურისძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთადერთი საშუალება მთელი ერის გასამართლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისების და დიდსულოვნების დამამტკიცებელი კი არ იქნება, არამედ – ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა“. მაგრამ მართო შურისძიებით არ უნდა დაგვკამაყოფილდეთო, თქვა ნერეთელმა. „ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ... გვიანდერძა... სიყვარული ჩვენი მინა-წყლისა, სიყვარული საქართველოსი — იმ განყენებულ „საქართველოსი“ და მისი შენახვა, რაიც, ილიას აზრით, უმთავრესი საშუალებაა ჩვენი ერის სიცოცხლისა... რომლის უფლება არვის არ უნდა შევალახინოთ, ისე, როგორც ილია არვის აძლევდა ამის ნებას. აი, რა არის ილიას ნაანდერძევი. შეექმნათ ჩვენც ისეთი საზოგადოებრივი წრე – სალი და ზნეობრივად ამაღლებული, რომელშიც შესაძლებელი აღარ იქნება ასეთი დანაშაული... მხოლოდ ეს დაგვკამაყოფილებს, ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს...“

რა მოჰყვა ამ სიტყვის მოსმენას?

მრავალთ უწოდეს წინასწარმეტყველი ილიას. გარნა ამაში იგულისხმებოდა მასწავლებელი, მოციქული და სხვა ამგვარი ცნება. ხოლო არის ილიას წმინდად მხატვრულ ნაწარმოებებშიც ზოგჯერ საოცარი წინასწარმეტყველება საკუთარ თავის მიმართ:

იმ ხალხს, ვინც ნერეთლის სიტყვა მოისმინა, „კაკო ყაჩაღიდან“ ამოღებულ ფრაზებით რომ მიმართოს ვინმემ: „შენ იქ იდექი, ამბობ იმ დროსა და იქამდინა მიუშვი მტერი, რო აცემინე მამა ბებერი? მითხარ, დედალო, რას აკეთებდი, რას გეუბნოდა გული იმ დროსა?.. ფუ, შენს ნაშუსსა, მამამვილობას... მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას... შენ, ძმავე, ყაჩაღად არ ვარგებულხარ, შენ დედაკაცად დაბადებულხარ“.

შეუძლია თუ არა ამაზე უპასუხოხ: „აგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს... მინამ ბატონი ხელითა სცემდა – როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი. „მოჰკალ“, რაღაცა ხმა მაძალებდა, მაგრამ როგორცა თავს ვიმაგრებდი. მაგრამ კი როცა წამომიქციეს და მოხუცებულს როზგი დამიკრეს... მივეარდი თოფსა გამწარებული... და რო ჰყვიროდა, „დაჰკარ, დაჰკარი“, მაშინ – ჩემ თოფმაც

გამოიჭექა და შეუნგრია გულის ფიცარი... თავის თავის და სხვის წამწყმედელსა?"

არა! სიტყვებად დარჩნენ ეს სიტყვები, რადგან ისინი მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ – ვის? თეიმურაზთა საზოგადოებას! არც ეს არის მხოლოდ ჩემი აზრი: არათუ დაკრძალვის დროს წარმოთქმულ სიტყვებში, წერეთლის გარდა ყველა, შერიგებისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა, არამედ ილიას ქერივს ოღლა გურამიშვილს მასთან დაახლოებულმა პირებმა, თხოვნა დაანერინეს გენერალ-გუბერნატორის მიმართ – ილიას მკვლელებს სიკვდილით ნუ დასჯითო. აქ არათუ მკვლელობის მორალურ პასუხისმგებელთა მიმართ შურისძიებაა გამორიცხული, არამედ თვით მკვლელობის ამსრულებელნიც კი მფარველობაშია აყვანილი. და აი, რასა წერს მ.ჯავახიშვილი ამ ამბისა გამო თავის ჩანაწერებში: „ეს წერილი თეიმურაზ ხევისთავეებმა დაანერინესო“. და თუ აქამდე ვინმეს კიდევ ეჭვი ჰქონდა და „ჯაყოს ხიზნების“ ქარაგმის გახსნაში ყოყმანობდა, მარტო ეს მინანერი საკმარისია ჯავახიშვილის მთელი ჩანაწერის ამოსაცნობად და ოთარ ჩხეიძესაც კარგად ამოუცვნია, როცა ამბობს: ორი ათეული წელი მოანდომო ავტორმა ჯაყოს ხიზნების წერასა. აქედან ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ საიდან მოდის ჯავახიშვილისათვის „თეიმურაზობის“ სათავე, ან – ავტორი ვისა გულისხმობს თეიმურაზებში. მარქსისტებს ხომ არავითარი კავშირი არა ჰქონიათ ილიას მეუღლესთან, მაშ, ვერც რამეს ურჩევდნენ მას, ხოლო ამ მინანერიდან ისიცა ჩანს, რომ ჯაყო მხოლოდ კომუნიზმი არ არის. თუ ილიას სიცოცხლეში და მის დაკრძალვის ხანაში თეიმურაზები არსებობდნენ, მაშ, ჯაყოებიც არსებულან და ვინლა უნდა იყვნენ ისინი, თუ არ მაშინდელ თეიმურაზთა დამჯაბნელები და ასპარეზიდან განმდევნი? ხოლო მარგოს რაც შეეხება, მარგო, ესე იგი, განძი, მშვენიერება, იდეალი, სამშობლო, მოკლედ – საქართველო, ცხადია, მაშინაც იყო, ადრეც იყო და მუდამ იქნება. მხოლოდ მისი მომეღეღნი და დამცველნი, უღირსნი და შურთაცხმყოფელნი სხვადასხვა დროში სხვადასხვაგვარნი და სხვადასხვანი არიან.

მგონია, ყოველი ზემოთქმული და გადმოშლილი საკმარა ცხადსაყოფად იმისა, თუ რისა თქმა სურდა ჯავახიშვილს და რა გვითხრა მან, მაგრამ მან მრავალი რამ უთქმელად დატოვა. ავტორმა, რომელმაც ასე სასტიკად დატუქსა უმოქმედონი (თეიმურაზები) და უიდეალონი (კვაჭები). რატო. ცალკე ნაწარმოები არ შექმნა, იმათ სამხილებლად და კიდევ უფრო მეტად გასაშავებლად, ვინც, ჯავახიშვილის აზრით, ეს ხომ უდავოა, აქტიურნი, ესე იგი, მთავარნი პასუხისმგებელნი არიან ჩვენ თავს დატეხილ უბედურობისა? თუ ავტორი ასე სასტიკად ეპყრობა მწყემსებს, რომელთაც კარგი მწყემსობა ვერ გასწიეს, რატომ მგლებზედაც არა სთქვა სათქმელი? იტყვიან, მგელი მგელიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში მართლა მგლებთან ხომ არა გვაქვს საქმე, არამედ ადამიანებთან, რომელთაც მგლობა გასწიეს („თვარა იგიცა კაცნია, ჩვენებრვე ხორციელანი“, ეუბნება ფატმან ავთანდილს ქაჯთა შესახებ).

ერთი შეხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამისი გაკეთება ადვილი უნდა ყოფილიყო. ამისათვის ხომ კმარადა, რომ ავტორს განეეითარებინა და დაეხატა ის სურათი, რომელმაც ჯავახიშვილისავე კარნახით კვაჭის საშუალება მისცა გამანადგურებელი

სიტყვები ეთქვა საქართველოს ხანმოკლე მმართველებზე: „არ იბრძვიან, რადგან თითონაც წითლები არიან“ და საშინელი წამოძახილი: ...პოი, არაზადებო, სალახანებო, ფარისეველნო, ორგულნო და ორაპირნო!”

მაგრამ ერთია, როცა ავტორი კვაჭის პირით ამბობს, ხოლო სულ სხვა იქნებოდა, თვითონ რომ ეთქვა. ასეთი რამ არც ივარგებდა მრავალი მიზეზისა გამო. მაშინ ამის თქმა მოსახლეობის დიდ ნაწილს დააბნევედა და ერთსულოვნება გაიზარებოდა. იმიტომ რომ, თუმცა დამარცხებამ მთელი ქვეყანა გამოაფხიზლა, დაკარგულ თავისუფლებას ახლა კი ფასი დაედო, მაგრამ მარცხის ნამდვილ მიზეზს ცოტანილა ხედავდნენ. გონებაში ჩანვეთებული შხამი ჯერ არ გამქრალიყო. მართლაც, ძნელი ყოფილა ამგვარად მიღებულ შხამის გაქარწყლება. და აკი, ამ მხრივ თვალაუხილავად გაშორდა წუთისოფელს გამობიზნულთა უმრავლესობა და ამგვარადვე წავლენ, ალბათ, უკანასკნელი მოპიკანებიც. არც გახიზნული მთავრობის ოფიციალურ უფლების ძირის გამოთხრა იყო მისაღები და ასე ფიქრობდა თვით ჯავახიშვილის წრის საკმაო ნაწილი.

სხვა გარემოებაც არის მხედველობაში მისაღები: ნაშრომი, რომელიც ჯავახიშვილს არ დაუნერია, მხოლოდ სამწლიან პერიოდს რომ შეეხებოდა. ეს იქნებოდა ჯერ ხელოვნურად მოკვეთა სამწლიან პერიოდისა ოცდაათწლიან პერიოდიდან მარქსისტთა საქმიანობისა და მერმე უსამართლობაც იქნებოდა, სწორედ იმ ხანის ნაკლოვანებანი ემბილებინა, რომლის დროსაც ცოდვილებმა გამოსწორებაც კი სცადეს, მაგრამ როგორი...

სინამდვილეში ხომ მთავარი ცოდვის ჩადენა ბევრად უადრეს, წარსულ საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო, მაგრამ მთლიანად ამ პერიოდის მათი ნამოქმედარის უარყოფითად დახასიათება არ შეიძლებოდა, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში რუს სოციალ-დემოკრატთა პარტიაში მყოფმა ქართველმა ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა ერთად და ხელიხელგადაჭობილად „ილვანეს“ ქართულ ეროვნულ სულის დასაცემად და გასანადგურებლად. და რომ მათი ამგვარი საქმიანობის შედეგად მომხდარი, კვლავ რუსთა ხელში ჩაეკარდნა, საქართველოს უბედურებაა, ამისი თქმა ხომ არ შეიძლებოდა. საინტერესოა, რომ ქართველ ისტორიკოსებს მოუხერხებიათ და ამ პერიოდის შესახებ თითქმის დამაკმაყოფილებელი ცნობა შეუტანიათ 1958 წელს გამოცემულ ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში. ავტორებია: ბერძენიშვილი, დონდუა, დუმბაძე, მელიქიშვილი, მესხია და რატიანი. წიგნი დესტალინიზაციის არეულ დროს გამოიცა. ახლა იგი ხმარებიდან ამოღებულია.

მოგვყავს ამონაწერი: „გაზეთ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილი ხალხოსნებისა და გვიანდელი „თერგდალეულების“ პოლიტიკური შეხედულებანი, როგორც უკვე ითქვა, იმ დროს უკვე დრომოჭმული გახდა და დაგმობის, უუფედების ღირსი იყო. მაგრამ ნინანდელ მოღვაწეთა შეცდომებს რომ აკრიტიკებდნენ, „მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები ვერ ხედავდნენ მათი მოღვაწეობის დადებით მხარეებს. კერძოდ: ნოე ჟორდანიამ და მისმა ჯგუფმა ვერ გაიგო დიდი ქართველი მწერლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვა-

ნელის — ი.ჭავჭავაძის მოღვაწეობის მნიშვნელობა და მის მცდარ პოლიტიკურ კონცეფციასთან (კლასთა შერიგების ქადაგება) ერთად ხელალებით უარყო მთელი მისი შემოქმედება, აგრეთვე მისი და მისი თანამოაზრეების თავდადებული ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად. მესამე დასში იმთავითვე შედიოდნენ... ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე... ისინი ყორდანას ჯგუფს კი არ ებრძოდნენ, არამედ მასთან შემარიგებლობის ხაზს ატარებდნენ. ფ.მახარაძე თავის წერილებში თვითონაც სერიოზულ შეცდომებს უშვებდა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას იმავე ვულგარული მარქსიზმის პოზიციიდან აკრიტიკებდა”.

წიგნში ამ აზრების გამოთქმა, ცხადია, შემდეგი ხასიათის დასკვნის ხარჯზე ხდება: „ი.სტალინი „მესამე დასის“ შემადგენლობაში შევიდა 1898 წელს. მის გარდა ამ დასის რევოლუციურ ბირთვში შედიოდნენ: ლ.კეცხოველი, ანულუკიძე, მ.ცხაკაია, პ.ჯაფარიძე და სხვები. ...ი.სტალინმა, ნულუკიძემ, კეცხოველმა და სხვებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ნ.ყორდანას ჯგუფის ოპორტუნიზმს... ბირთვმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას”.

ამ ორ ციტატათა შორის, მხოლოდ პირველზე დაყრდნობით, თითქოს კიდევაც შეიძლებოდა მარქსისტთა დამლუკველ მუშაობის გადმოშლა, მაგრამ ციტატის მეორე ნახევარში გამოთქმულის გამოვრებაც ხომ აუცილებელია ასეთ საკითხზე წერისას საბჭოეთში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველაფრის დაწუნება შეიძლება, რაც გასაბჭოებამდე ხდებოდა, თუ განვაცხადებთ რომ ყოველივე გამოსწორდა, ახლა ქვეყანა ბედნიერია. გარნა ეს „ჯაყოს ხიზნებში“ ნათქვამის გამლა კი არ იქნებოდა, არამედ — სულ სხვა, მწერლის შეხედულების საწინააღმდეგო რამ.

ან, მწერალს კიდევ უფრო შორს მიმავალ ალეგორიისათვის უნდა მიემართა და მოქმედ პირებად: მგლები, ტურები, აფთარი, მელა, ცხვარი, შველი, მტრედი და მისთანანი უნდა გამოეყვანა. ამასაც არ აპატიებდნენ — მკითხველზე უადრეს პარტია მიხვდებოდა დაფარულ აზრს რომანისა.

ზემოთ თედო ბექიშვილი ლაპარაკობს ჯავახიშვილის წერილის შესახებ, რომელსაც ძლიერ „ნეიტრალური“ სათაური აქვს, თითქო განყენებულ საკითხს შეეხებოდეს: „მასალები ლექციისათვის“ მოგვყავს ადგილი: „მრავლად შეუშხაუნეთ ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ მტკიცე რწმენა თავისი თავის არარაობისა... ეს ადამიანი სულიერად მოიშლება და დაავადდება... ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟაკი და ელოდება სიკვდილს... რა დემართა ამ ადამიანს? თავისი თავის რწმენა დაკარგა. ფსიქოპათოლოგი კარგად იცნობს ამ სენს — ზოგჯერ მასიურს და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც, ან მისი რომელიმე ნაწილი. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ მისი არც წინაპრები ვარგებულან... არც მისი შთამომავლობა შექმნის რასმეს თვალსაჩინოს, თუ გამოაცალეთ თავისივე თავის რწმენა და მოუშალეთ იმედი, ასეთი ხალხი წასულია”.

აი, ეს აზრი უნდა განვივითარებინა ავტორს და ეჩვენებინა, თუ ვინ როდის და როგორ, ან რაგვარი ბაქტერიები შეუშაპუნა ქართველ ხალხს და რამაც გამოაჩინა, რომ „ასეთი ხალხი ნასულა“.

ეს ბოლო ნაწილი წერილისა, სადაც ლაპარაკია საგანზე, რომელიც მხოლოდ ვარაუდის სფეროს ეკუთვნის, მგონი გამართლებულია იმიტომ, რომ ჯვავახიშვილი ამ თემას უეჭველად დაამუშავებდა, ამისი საშუალება რომ ჰქონოდა. და ძლიერი მწერალი, როგორიც იგი იყო, რომანის ფარგლებში შესაძლებელ ნაშრომს შექმნიდა. მაგრამ როგორი სიძლიერის რომანისტიც არ უნდა იყოს ავტორი, რომანის ჩარჩო ვერასოდეს დაიტევს და არც შეეფერება იმ უდიდეს ტრაგედიას, რომელიც ამ საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველომ განიცადა. ასეთი ზომის ტრაგედიას ვერ მოერეოდა ვერც სოფოკლესი და ვერც კორნელის ნიჭიერება. მხოლოდ შექსპირი თუ დაძლევა ამ თემას და ამიტომ, მე მგონია, რომ ეს პერიოდი ჩვენი ისტორიისა ლიტერატურულ გზით, არც არასოდეს დაიძლევა ღირსეულად. რატომ? იმიტომ რომ, ეს ჩემი პირადი აზრია, საქართველომ შეიძლება დაბადოს მეორე რუსთაველი, ვაჟა. ნარმოშვას დანტე, გოეთეც კი, მაგრამ შექსპირი ჩვენში ვერ დაიბადება. ამ ხასიათის და ბუნების არ არის ქართული გენია, მაგრამ თუ ლიტერატურულ ხერხით ასახვა ამ ტრაგედიას არ უნერია, ქართველი ისტორიკოსები, რა თქმა უნდა, ამ პერიოდს მეცნიერულ-კრიტიკულად შეისწავლიან და შავსა თუ თეთრს კუთვნილს მიუგებენ.

საკვირველ მოვლენათა შემცველია ჩვენი ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცის დასაწყისის ისტორია. როგორი ცვალებადობა ბედისა და უბედობისა, გონიერებისა და უგონობისა, თავდადებისა და გულცივობისა, სწორი გზით სვლისა და უკუღმართი გზის აღებისა, სიმადლისა და სიმდაბლისა, ვაჟკაცობისა და ლაჩრობისა, ერთგულებისა და ღალატისა და ყოველივე ამასთან, როგორი ამტანობა და მანც გამძლეობა ქართველი ხალხისა.

ყოველი ამ მოვლენათაგანი საკვირველი სიმახვილით არის აღბეჭდილი და საკვირველ ურთიერთდაპირისპირებით ხასიათდება. პარადოქსებით სავსეა ჩვენი ახლო წარსულის ეს პერიოდი.

ხოლო ყოველივე გულშემზარავ სურათით ბოლოვდება: ჩამოემვა შავი ფარდა და მის უკან დარჩა ხანა შესაძლებელის ვერ შეძლებისა, ან არშეძლებისა. ჰგავს თითქოს: შეილება თავიანთ მამას ყელი გამოსჭრეს და საყვარელი ტურფა დედა, მათი აღმზრდელი, მათი მშობელი, მოძალადე მტარვალს ხასად მიჰგვარეს.

გასაგებია, რომ ასეთი ქვეყნის შვილმა პოეტმა თქვა:

თუ საქართველოს, წმინდა გიორგი არის იღბალი,

კენის ხელიც საქართველოს არის იღბალიო.

ჭაბუა ამირაჯიბი

ივერია, 27.1984

დათა თუთაშხია

სალამი! შენდა სმენამდე მოვა თუ არა ჩემი ხმა!
აქედგანა და თქვენამდე რამდენი ფიქრი შემიხმა!
შალვა ამირეჯიბი

ქართველური მოდგმის მბორგავი სულის რომანი

რომანი „დათა თუთაშხია“ პირველად მაშინ წაეკითხე, როცა ჟურნალში ქვეყნდებოდა, მაგრამ წაეკითხე არა სრულად და არა თანმიმდევრობით. წაკითხულს ზომაზე მეტი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ახლა რომ თავს ვეკითხები, შემდეგნაირად ვხსნი ამას: ავტორი უცნობი იყო, ხოლო ამგვართა წაკითხვამ რამდენიმეჯერ დრო დამაკარგინა და გულიც ამიძღვრია. ნაწარმოები უზომოდ გაჭიმულ, საფათერაკო რომანად მივიღე – თუმცა აბრაგის ცხოვრების ცალკე ეპიზოდები ოსტატურად და ინტერესის გამოწვევად იყო მოთხრობილი; შიგადაშიგ ჩართული დიალოგები შეუფერებლად და მეტისმეტ „ბრძნულად“ მეჩვენა საფათერაკო რომანისათვის; რაც შეეხება რომანის ოთხივე კარის წინ მოთავსებულ ძველ ქართულად სტილიზებულ ეპიგრაფიებს, უნდა გამოვტყდე, პრეტენზიულად ჩათვალე ასეთი რომანისათვის და გულდასმით არც ნამიკითხავს ისინი. ასე გავშორდით ერთმანეთს.

მაგრამ რომანის გარშემო აღძრულმა ხმაურმა რამდენჯერმე კვლავ მომაგონა იგი. მე ისევ ურწმუნოდ ვრჩებოდი და ვფიქრობდი: ქართველებს გაზვიადება გვიყვარს, კინოფილმს იღებენ, მერე რა მოხდა – საინტერესო მასალაა-მეთქი. მაგრამ უფრო გვიან წაეანწყდი სერიოზულ წერილებს, რომელნიც თუმცა სპეციალურად ამ რომანის კრიტიკას არ წარმოადგენდნენ, მაგრამ ეს რომანიც იყო ნახსენები და ლაპარაკობდნენ არა საფათერაკო რომანზე, არამედ იხმარებოდა გამოთქმები: ფილოსოფია, ზნე-

ობა, სიკეთის პრობლემა, მითოლოგია და სხვა. ყოველივე ეს ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი იყო, მაგრამ მე თვითონ ეს რომანი არა მქონდა, არც იმ ნაცნობთა ხელში მეგულებოდა, ვისაც ვხვდებოდი ხოლმე და სპეციალურად არც მიძენია, რადგან საერთოდ უფრო სხვაგვარი ნივნები მიზიდავს, ვიდრე რომანი. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ნაცნობმა მკითხა: „დათა თუთაშხია“ თუ გაქვს ნაკითხულიო. ისეთ პირობებში ნავიკითხე და – არა სრულად, რომ ეს ნაკითხვად ვერ ჩათვლება-მეთქი. თუ გინდა გათხოვებ, ასეთი რომანი „მთვარის მოტაცების“ შემდეგ არ დანერილაო. ამ უცნაურ ფრაზაზე პასუხის გაუცემლად მივუგე, მათხოვე, სიამოვნებით ნავიკითხავ-მეთქი.

რომანი წინ დავიდე და გულდასმით ნავიკითხე. გავოცდი. ჩემი მეგობრის სიტყვები მომეგონდა და გამეცინა. მისი სიტყვები არც იმდენად უცნაურად მეჩვენა. მზად ვიყავ იგივე გამემორებინა. „მთვარის მოტაცება“ რა შუაშია, მაგრამ ვიფიქრე, ასეთი რომანი მართლა არ დანერილა-მეთქი.

შემდეგ უფრო ნელა და უფრო დაკვირვებით ხელმეორედ ნავიკითხე. ჩემი შეხედულება არათუ უფრო გამომტკიცდა, არამედ ამ ნაწარმოებზე ისეთი აზრი შემექმნა, რომლის გამჟღავნებას ვერა ვებედავდი. გულში იმასაც კი ვამბობდი, ამ რომანმა მომხიბლა, როგორც მეგრული-მეთქი, მაგრამ უფრო გვიან ნავიკითხე ინტერვიუ ვენეციაში მომუშავე ქართველოლოგისა — ლუიჯი მაგაროტისა, რომელიც მას ქართველ უზრუნავსტათის მიუცია. როცა მისთვის უთხოვიათ, აზრი გამოეთქვა თანამედროვე ქართულ პროზის შესახებ, მას თავისი პასუხი ასე დაუწყია: „თანამედროვე ქართულ ლიტერატურის შედევრად ვთვლი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“, რომელსაც რუსული თარგმანით ვიცნობო“. შემდეგ კი სხვები დაუსახელებია – ვით საინტერესონი. ქართულის მცოდნე, ქართულ ლიტერატურას გაცნობილ და მთარგმნელ ევროპელ ფილოლოგ-სპეციალისტის ამ ნათქვამს რომ განსაკუთრებული ფასი აქვს, ხომ ცხადია. ამიტომ ვებედავ გამოეთქვა, როგორც მკითხველი დაინახავს, ასე შორს მიმავალი შეხედულება.

მწერლობაში ქართველების უეჭველ უწარს თუ მხედველობაში მივიღებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენში რომანის დარგი მოისუსტებს როგორც რიცხობრივი ოდენობით, ასევე — ხარისხით. თუ ევროპის ქვეყნებში რომანი ბევრად უფრო ხვავიანია, ვიდრე პოეზია, საქართველოში პირიქით ხდება, ჩვენში ამ დარგის ყველაზედ უფრო ცნობილი ნაწარმოებები ისტორიული რომანებია. ხოლო ისტორიული რომანი მწერლისათვის, რომელიც ამ სახელის ღირსია, ადვილად დასაწერია. უმეტეს შემთხვევაში ავტორს თვით თემა შევლის. ამას ზედ ერთვის პერსონაჟთა მიმართ უკვე არსებული სიმპათიით ან ანტიპათიით გამოწვეული იმპულსი ან წერის ხალისი. იგივე მიზეზები მკითხველსაც განაწყობენ. ეს თქმული, ცხადია, არ უარყოფს ისტორიულ რომანთა უდიდეს ეროვნულ-აღმზრდელიობით როლს და მათ უადრეს საჭიროებას დღევანდელ საქართველოში, მაგრამ აქ ლაპარაკია რომანზე, ვით ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ხოლო ისტორიულ რომანებს უსაფუძვლოდ როდი უწოდებენ რომანიზებულ ისტორიას.

ქართული „კარგი“ რომანები ხშირად დანერვილია ისეთი მხატვრული დახვეწილი და რჩეული ენით, როგორც ევროპულ რომანში საერთოდ არ გამოიყენება. ეს გარემოებაც ერთგვარ ხრიკის როლს ასრულებს ავტორის სასარგებლოდ: ესე იგი, როცა ისეთ ნაწარმოებში, როგორც რომანია, ამგვარ ნაწარმოებთათვის საკადლებულო და მთავარ საგანთა გვერდით, ისეთივე სიძლიერით განვითარებულია და სხვა საგნის მიერ არის განაწილებული. ასეთ დროს ენის სიღამაზე და პოეზია თრიაქივით მოქმედებს მკითხველზე და თუნდაც რომანი მოისუსტებდეს, დახვეწილი ენის მათრობელობას „გააქვს“ იგი. ასევე შედარებით ადვილია მწერლისათვის ბიოგრაფიული, სოციალური, აღმზრდელითი ან პოლიტიკურ იდეოლოგიის გამტარებელი რომანები. ასეთ შემთხვევაში თემა არსებობს, ასე ვთქვათ, იმ გარემოში, რომელშიაც მწერალი ცხოვრობს და უკვე არსებობს მოთხოვნილება ამ თემათა დამუშავებისა.

სულ სხვაგვარი რომანია „დათა თუთაშხია“. ეს რომანი მთლიანად ავტორის ინტელექტუალობის წარმოსახვის უნარის, მისი სულისათვის საწუხარ საკითხებზე ფიქრის და ყოველივე ამის მკითხველისადმი ოსტატურად მიწოდების შეძლების ნაყოფია, მაგრამ მიწოდება ხდება არა პირდაპირი გზით, არამედ ყოველ ცალკე მკითხველისათვის მისი გონებრივი დონის შესაფერად. ესე იგი, უბრალო რიგით მკითხველს ფართო მასიდან ხელთა აქვს საინტერესო ამბავთა შემცველი საფათერაკო გრძელი მოთხრობა, რომელიც პოლიციურ რომანთა მსგავსად, დაძინების წინ შეგვიძლია ნაწილ-ნაწილ ვიკითხოთ. უფრო მეტის მომთხოვნ მკითხველისათვის კი ეს საფათერაკო ამბავთა ჩონჩხი უაღრესად რთულ და სერიოზულ პრობლემებით არის დატვირთული.

რომანი ისეა აგებული, რომ ავტორი თვითონ არაფერს ამბობს. მთელი რომანი შემდგარია: სხვადასხვა პირთა ნაამბობიდან; გრაფის ჩანაწერების გადარჩენილ ფურცლებიდან; რამდენიმე ოქმიდან და თუთაშხიასა და ნანო თავყელიშვილ-შირერისას მიწერ-მოწერიდან. ასეთი ხერხი რომანის აგების ერთი შეხედვით, შეიძლება საქმის გამაადვილებლად გვეჩვენოს, მაგრამ ასე არ არის. პირიქით, ამ ხერხის გამოყენებით სწორედ რომ ძნელი გზა არის არჩეული, რადგან ეს სხვადასხვა მოთხრობელები, რომელთა რიცხვიც ოცზე მეტია, საქართველოს სულ სხვადასხვა მხრიდან არიან და წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალურ ფენის, განათლების თუ პროფესიის ხალხს – ქურდებიდან დაწყებული უმაღლესი განათლების მქონე და თავადის წოდების მატარებელ ვეჟილამდე. და ყოველ მათგანის მონათხრობი შესატყვისი ენით არის გადმოცემული. გაოცებას იწვევს, როგორი მიგნებით და ნიჭით ახერხებს ავტორი ამდენ სხვადასხვა დიალექტზე თუ ფარგონზე ალაპარაკოს თავისი პერსონაჟები. იმის თქმა არ მინდა, თითქოს აქ ამეცყველებული ყოველი დიალექტი ან ფარგონი უსათუოდ ნამდვილი იყოს. როგორც არ შეიძლება, მაგალითად, მთლიანად ნამდვილი იყოს ილიას მოხეური ან ჯავახიშვილის, გამსახურდიას და რობაქიძის ხევსურული მათ ნაწარმოებებში. საქმე ის არის, რომ მკითხველს ასე ეგონოს და სრული ილუზია შეექმნას, რომ იგი შენაცვლებით ისმენს ქურდების ფარგონს, სხვადასხვა დიალექტს და სხვადასხვა პროფესიის და განათლების ხალხის ენას. და ამ მხრივ, მგონი, იშვიათია ერთ

ნანარმოებში ასეთი ნაირნაირობა ვიპოვოთ. ნაირნაირობა არა რამდენიმე ფრაზით ან პასაჟით წარმოდგენილი, არამედ მთელი მოთხრობების სახით მოცემული. თითქმის ყოველი ამ ოციოდე ნაამბობიდან დასრულებული მოთხრობაა, რომელშიაც საოცრად გამომეტყველი ენით მოცემულია არაჩვეულებრივ სიცხადით დახატული ტიპები და ხასიათები და თუ ამას დავუმატებთ, რომ ასევე საკვირვლად ცოცხალია ის უამრავი ტრაგიკული თუ კომიკური სცენები და ეპიზოდები, რითაც საესეა ეს რეაასგვერდიანი რომანი. სხვა რომ არც ყოფილიყო, მარტო ეს აღნიშნული კმაროდა რომანის სიმდიდრისა და სირთულის საცნობად.

ყოველივე ეს, ნანარმოების მხოლოდ იმ იდეურ-ფილოსოფიურ ჩანაფიქრით როდი ძლიერდება, რომელსაც შემდეგ შევხებით. ამ რომანში ოთხი სასიყვარულო „რომანიცა“ ჩართული. ისინი, ცხადია, სრულად გაშლილი არ არის, მაგრამ მათი, როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სოუჟეტური ქარგა საამისოდ განწყობილ და წარმოსახვის მქონე მკითხველს ძლიერ საინტერესო სურათებს აწვდის. აქ მხედველობაშია ბერუნი პერტიას, თიკო ორბელიანის, მონასტრის მოძღვარ ეფემიას და ნანო თავყელიშვილის, ესოდენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპები, ხასიათები და ასევე განსხვავებული დამოკიდებულება დათა თუთაშხიასა და ყოველ მათგანს შორის.

ამ რომანის ღირსებას ამდიდრებს ზოგი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც: რომელ ქართულ ნანარმოებში არ არის ნახსენები სუფრა-ნადიმი-ღვინის სმა? რამდენჯერ აღნიშნულა სუფრის დიდი ადგილი და მნიშვნელობა ქართულ ყოფაში, მაგრამ ეს ერთადერთი ინსტიტუტი, რომლის ორგანიზებაშიც ჩვენ, საერთოდ ორგანიზების ნიჭს მოკლებულმა ხალხმა, თითქმის სრულქმნილებას მივალნიეთ, არსად, არცერთ ნანარმოებში არ მახსოვს ისეთი ლაზათით, გონიერებით, ზომიერებით და შინაარსიანობით წარმოდგენილი, როგორც ამ რომანშია. და ეს მით უფრო საჭირო იყო, რამდენად დღეს გადაგვარების გზაზეა ეგ ჩვენი არა მხოლოდ ულამაზესი ჩვევა, არამედ აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქართველს ისეთ სახიფათო გამოცდის დროსაც კი ძალუძს თავისი თავის დაუფლება, როგორი გამოცდაც ღვინის გავლენის ქვეშ ყოფნა (იხ. მეორე კარის მეხუთე თავი „ცისფერი რეუელი“). ამ მოვლენას თავისი ლოგიკა აქვს. ამაზე აქ ვერ შეჩერდები, მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს ლოგიკა ემყარება ქართული ცხოვრებითი ფილოსოფიის იმ პრინციპის თავისებურებას, რომელსაც რობაქიძემ მშვენიერი ფორმულა მოუძებნა: „გაიხარე, გამახარე“.

რამდენადმე შევჩერდეთ რომანში უხვად წარმოდგენილ დიალოგებზე. ქართველი მწერალი, როცა მას აფორიზმის გამოყენება სურს, თუ უცხო ნყაროს არ მიმართავს, თითქმის იძულებულია ან ანდაზებში გამოთქმული ხალხური სიბრძნე გამოიყენოს, ან ისევ რუსთველი მოიძველოს. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი მწერლობის განვითარება ზენიტზე ასვლისთანავე შეწყდა. ოქროს ხანის შემდგომი ჩვენი ქრონიკა სისხლით და ცრემლით იწერებოდა და ფილოსოფიისათვის ვისლა ეცალა. ჩვენ არ მოგვეპოვება ევროპის მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის მწერლობის პარალელური მწერლობა. ჩვენი მწერლობა ცოტა გადაჭარბებით შეიძლება ითქვას, რუსთველის ხანიდან პირდა-

პირ მეცხრამეტე საუკუნეში გადახტა. რუსთველსა და ბარათაშვილს შორის ხარვეზის ამოვსება, ცხადია, უკვე აღარ შეიძლება. ის ფილოსოფიური ხასიათის საკითხები, მაშინდელ ევროპულ მწერალთა გონებას რომ აყრობდნენ, დღეს საუნივერსიტეტო საგნებად არიან ქვეული, მაგრამ რომანში ყოველთვის იყო და იქნება ადგილი ფილოსოფიისათვის. აქ მხედველობაში არა ფილოსოფიურ იდეის არსებობა რომანში, არამედ დიალოგებში საუბარი ზოგად ფილოსოფიურ საკითხებზე. სწორედ ასეთი დიალოგებით სავსეა ეს რომანი და თუმცა იქ წამოყენებულ საკითხთა უმრავლესობა ზოგადეკავობრიულია, ისინი ისეა შერჩეული და გამოთქმული, რომ უაღრესად აქტუალურია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სათვის. ამის მისაღწევად ერთგვარ ანაქრონიზმსაც არ მორიდებია ავტორი, რადგან რევოლუციამდელ ქართულ ინტელიგენციამ ასეთ დონეზე მსჯელობა ორ-სამ კაცს თუ შეეძლო და ისინიც არ გამოიყენებდნენ იმ ფორმულებს, რომელთაც ამირეჯობის პერსონაჟები იყენებენ, მაგრამ ეგ არაფერი. საქმე ის არის, ქართველი მკითხველი მიეჩვიოს ისეთ ლიტერატურის კითხვას, რომელიც მარტო თვალთ და გულთ კი არ იკითხება, არამედ რომლის გასაგებად გონების დაძაბულად მოშველიებაც აუცილებელია. ასეთ ლიტერატურას მიეკუთვნება რომანი „დათა თუთაშხიაც“. საჭირო და აუცილებელია ასეთი რომანების მომრავლება. ამ საჭიროებას პასუხობს ეს რომანი და საუცხოოდაც.

რაც შეეხება რომანის პერსონაჟთა მიერ გამოთქმულ აზრებს და იდეებს, ისინი იმგვარად არიან მკითხველისათვის მიწოდებული, რომ ავტორი მათ არავის არ ახვევს თავსა. ჯერ ერთი, ავტორი ერთ სიტყვასაც არ ამბობს საკუთარი სახელით. ცხადია, ასეთ შემთხვევაშიც დიდწილად ავტორის იდეებია გამოთქმული, მაგრამ იმ ფორმით, როგორც ეს რომანშია მოწოდებული, ჩვენ საქმე გვაქვს ამა თუ იმ პრობლემის ან საკითხის გადანყვების ერთ-ერთ ვარიანტთან და ამგვარად მოხმობილია თვით მკითხველის ჩარევა – რამდენადაც მას ამის უნარი შესწევს.

დათა თუთაშხიას გააბრაგებას სოციალური საფუძველი არ ჰქონია. იგი მეჯოგე იყო და მის მიერ იჯარით აღებულ საძოვრებზე თუთაშხიას ნებართვით ამენებულ ქოხში ცხოვრობდა რუსი მხატვარი, რომელიც სამსახურიდან გადამდგარი ოფიცერი იყო – მეჯოგესთან დამეგობრებული. ეს მხატვარი უნებურად სასიკვდილოდ დაჭრა თუთაშხიამ. იგი მას თავისი დის პატივისა და სახელის დასაცავად შეებრძოლა. რუსი ჭრილობას გადაჰყვა და ეს იყო მომავალი აბრავის მიერ ჩადენილი პირველი და უკანასკნელი მკვლელობაც. ამგვარად, არც სოციალური ყოფა, არც კლასთა ბრძოლა რომანის საგანს არ წარმოადგენს, მაგრამ დიალოგებში, რომელთა მონაწილენი თითქმის მხოლოდ ინტელიგენტები არიან, დახატულია სურათი რევოლუციურ განწყობილების ისე ფართოდ მოდებისა, რომ ლამის უანდარმერიის შეფი — გრაფი სეგედიც რევოლუციონერად ჩაითვალოს და ვინაიდან ცხრაას ხუთის რევოლუციის პერიოდი რომანის მსვლელობის შუა ხანაზე მოდის, ტფილისის ქუჩებში მომხდარ ამბავთა ეპიზოდებიც არის ნაჩვენები. განსაკუთრებულ დეტალებით კი საგუბერნიო ციხის პატიმართა ამბოხება არის აღწერილი. აქ ავტორს უხვად მოუხმია მდიდარი ფანტაზია და

სცენების გამოგონების უნარი. ამ ამბის აღწერისას გაპაპმულებულია მეფის ადმინისტრაცია, მაგრამ არც რევოლუციონერები არიან გამოყვანილი ისეთ ხალხად, რომელმაც იცის, თუ რა სურს, ან – რას რისათვის სჩადის. საერთოდ, ისეთი სურათია, რომ მთელი ქართული საზოგადოების აზრით, მთავარია მეფის რეჟიმის დამხობა, რაც „თავისთავად“ ყოველთვის გამოასწორებს. ამ ამბებს თან ახლავს საგულისხმო დეტალი, რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. რომანში გამოყვანილია ერთი უგანათლებულესი ქართველი ინტელიგენტი სანდრო კარიძე. იგი სოციალისტი არ არის, მაგრამ რევოლუციის მომხრე და მსურველია. ამასთანავე მხურვალე და შეგნებული პატრიოტია – საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაზე საინტერესო აზრთა გამომთქმელი. ეს კარიძე რევოლუციის დროს შიომღვიმის მონასტერშია ბერად შემდგარი და იქ განაგრძობს თავის თხზულებათა წერას. რევოლუციის გამარჯვება რომ გაიგო, ძეგვში ჩამოვიდა და ეს სერიოზული, დიხჯი კაცი, რომელიც საერთოდ არ სვამდა, საშინლად დათვრა. არავისთვის ხმა არ გაუცია. ხან ტიროდა, ხან ხარხარებდა. „მერე დაცხრა, თვალები მილულა და ასე მჯდომარე დუქანშივე გარდაიცვალა“. რისი თქმა სურს ავტორს, როცა ამ სცენას გვიხატავს – რომანში, რომელიც ათიოდე წლით ადრინდელ ამბებით სრულდება? რომ კარიძეების ეპოქა რევოლუციისთანავე დასრულდა? შეიძლება!

ზემოთ ნათქვამია სოციალური ყოფა და ჩაგვრა არ არისო რომანში ნაჩვენები. როგორ არ არის, მაგრამ ისე თავისებურად, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია. ეს რომანის მეთორმეტე კარია, სათაურით „მოსე ზამთარაძე“. ეს თავი მისი არარეალურობით ძლიერ განსხვავდება სხვა რეალისტურად დანერილ თავებისაგან. ამბავი მოკლედ ასეთია: თუთაშხია და ზამთარაძე შეეხიზნებიან ვინმე სეთურს, რომელსაც პატარა სამთო საწარმო აქვს საირმის მთებში. სეთურს ოცდაათამდე მუშა ჰყავს, რომელნიც იქვე ცხოვრობენ მინურებში. მუშები უთენია დგებიან ზარის რეკვაზე და მხედრული წესით ეწყობიან სეთურის „მარჯვენა ხელს“ — გვარად თაბაგარის წინაშე, რომელიც კუნძზე შემდგარი „ღირიჟირობს“ და ისმენს საველდებულო ყოველდღიურ სახოცბო სიმღერას სეთურის სადიდებლად. სიმღერა სეთურის სახელის წამოძახებით და ბერძნულად თქმულ მრავალაჟამიერით, ესე იგი, „პოლიქრონიონის“ თქმით თავდება. შემდეგ „რას, დვა-ტრის“ ძახილით თაბაგარს სამუშაოზე მიჰყავს ისინი. ეს ცერემონია დღეში სამჯერ მეორდება. უმცროსები უფროსებს სამხედრო სალამს აძლევენ. თაბაგარის გარდა სეთურის სამსახურშია წელკავით მოკუზული უკბილო დედაბერი ტოფანა. იგი ინფორმატორის, პროპაგანდისტის, პროვოკატორის და ჩუმი მეთვალყურის როლს ასრულებს და თან მუშების ერთიმეორეზე გადაკიდება აქვს დავალებული. ამის საჭიროებას ასე ხსნის სეთური: „ადამიანი სანამდე მარტოა და არავის ენდობა, იქამდე ვარგა სხვისთვისაც და თავისთვისაც. პირის შეკვრას რომ ისწავლიან... არაფერი გამოვა მათი ხელიდან. მერეა უბედურ საქმეს რო ბედავს კაცი. არაა ღვთისნიერი საქმე, ტოფანა რო გავგზავნე ენის მიმტანად, მარა სწორად ღვთისნიერ საქმეს ვაკეთებ მათთვის. ნდობა არ ექნებათ ერთმანეთის. ყველა მოერიდება პირის შეკვრას

ცუდ საქმეს და გაუბედურებას, კარგი საქმის გაკეთება ძნელია, თითონ თუ არ დაიტანჯეო”.

სეთურმა სტუმარ აბრაგებს საწარმო დათვალიერებინა და უხსნის: „ალმართში თხრიან და ზურგიტ გამოაქეთ. აქ სულ მასეთი მინაა, მარა ხალხს სარჩო ადვილად თუ ამოვიე გაფუჭდება, ძნელი რაა, შეგიყვარდება საქმე. მარა ბედნიერებისათვის სხვაც არი საჭირო – სიმშლილი. მთლად სიმშლილი კი არაა, მარა მთლად სიმძლრეც არ ვარგა... მერე შიში! სიყვარული იცის შიშმა. ქება-დიდება და ლოცვაც სიყვარულისთვისაა საჭირო. მერე ჯანმრთელობა. ჯანმრთელი მამინ იქნება ხალხი, თუ არ მოადუნე. კიდევ მთავარი – იმედი. შენ უნდა მოიგონო ხალხის იმედი... იმედი მოვიგონე მე. იმედი თუ აქვს ხალხს, ზედმეტს არ გაივლებს გულში. აგერ გაჩვენებთ”.

სეთურმა სტუმრები ერთ ჭასთან მიიყვანა. შიგ კაცი იჯდა, ყრუ-მუნჯიყო სეთურმა, ხელში კაცს ბანარი ეჭირა, რომელიც ჭის თავზე დაკიდულ ზარზე იყო მიბმული. ეს კაცი იმედს აკეთებდო, ახსნა სეთურმა. გეტყვიტ და გაიგებტ როგორაო. ხალხი რო გამოქვებულს თხრის, აქ მოვა, ჭაში და იმის იმედზე არიანო. გვირაბი აღმართში მიდის, ამ ჭაში როგორ გამოვაო, კითხა ზამთარაძებ. არც გამოვა, სულ მთაში იტრიალებდო. ხალხმა იცის, რავა არა! ადვილი საცოდნელი რაა, ფიქრობს, ჩვენ რო ასე ადვილად ვნებებტ მავ საქმეს, სხვანაირად არის ალბათო. ასეთ ტყუილს როგორ გეტყვის სეთურიო. ას საყენზე რო მოაღწევს ხერელი, მუნჯი გაიგებს და ზარს შემოკრავსო. რანაირად ელიან ზარის დარეკვას, თუ იციტო.

ამის შემდეგ სეთურთან ასეთი სურათია: თაბაგარი რალაც წიგნიდან სხვადასხვა სახელებს უკითხავს სეთურს. ჯერ მკითხველმა იცოდეს, რომ სეთურს აბელი ჰქვია, მაგრამ არქიო დაირქვა. აბელი შენუხებულ კაცს ნიშნავსო, არქიო კი თავლის უფროსსო. ხალხმა იცის ეს, აჰა, რავა გგონია შენე, ამბობს სეთური, მაგრამ ხალხს თუ უთხარი, ადამიანი ხარო, მამინ გეტყვის, მეც შემიძლია შენი მაგიერობაო. დაჯდება შენი მაგიერად და გაუბედურდება კაცი. ცხენი და სახედარი უნდა უთხრა, ადვილად იჯერებენ ამას. თითონაც იციან. წესიერად და ბედნიერად არიან, მარა პირდაპირ კი არაა, შეპარვით უნდა უთხრაო.

და აი, ახლა სხვა დამატებით სახელებს ეძებენ სეთურისათვის. ექვთიმე გულკეთილს ნიშნავს, გამოდგება, მელენტი მზრუნველი ყოფილა, ვუკოლ ხარების მწყემსია, თავლის უფროსი ქე ხარ და ხარების არ გინდა, ამბობს თაბაგარი, მერე პოლიექტი, დომენტი, აბესალომი, ტიხონ და აგერ ერთი ნამეტანი კაია — კალენიკე ბრწყინვალედ გამარჯვებულია. შეიღია ხომ. მასე დარჩეს. სეთური სტუმრებს უხსნის: „არც ძილი, არც მოსვენება უნდა იცოდეს ხალხმა, ცულლუტობა შევაძრნიე ზოგიერთს. შენი კაცის გონებას საქმე შენ უნდა გოუჩინო... თვარა თითონ გოუჩენს კაცი საქმეს თავისთავს. რა უბედურებას გამოიგონებს, ვინ იცის... შენ რო გჭირია, ის საფიქრელი უნდა მიცე. ანი ერთი სახელიტ — არქიოთი ვერ მახსენებენ. აჰა რავა!

მეორე დღეს თაბაგარმა ხალხი შეჰყარა და ახალი სახელების შესწავლა ბრძანა. იყო ერთი ჩოჩქოლი და თავის მტკრევა. ამას რომ თუთაშხია შეესწრო, ვერ მოითმინა: „რას

შერებით, ხალხო, რას გავხარო, თუ ხედავთ ამას... რა ჯიშის ხარო, რა გიყოთ... მამა-ძალმა აბელა სეთურმა და ამ მოსასპობმა თაბაგარმა... ვერ ხედავთ ამას?

რაო, რას ამბობს მაგ კაცი? მარჩენალზე მამაძალლიო და თაბაგარზე მოსასპობიო. გაგვაუბედუროს უნდა ხომ...

მისცვიდნენ ორ აბრაგს კეტებით და ისე უმონყალოდ ცემეს, რომ ათი დღე ფეხზე ვერ დგებოდნენ. ასეთია მოკლედ ზამთარადის ნაამბობი, რასაც ნიგნში ოცდაექვსი გვერდი უკავია.

ამ ზღაპარ-იგაეში ჩაქსოვილი ალეგორიის ამოხსნა მგონი ზედმეტია. თუმცა საბჭოეთში შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა მონაფეებს „აუხსნას“ აი, როგორი ჩაგვრა იყო გასაბჭოებამდეო. მაგრამ რაც წლოვან მკითხველს შეეხება, არა გვეგონია, რომ გონებაშეზღუდულობით ბედნიერთა გარდა, სხვა ვინმე მოტყუვდეს თვით საბჭოეთშიც. ეს რომ ავტორს ჩვეულებრივი ენით გამოეთქვა, მას ეტყოდნენ, შენ კარგად ვერ გისწავლია წერაო და დღეს სათქმელი ექნებოდა: მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში და შორსა გზასა მე გამამგზავერესო.

როგორ ხდება, რომ საბჭოეთში ხუმრობითა და ალეგორიით ისეთი რამე ითქმის, რის მეთედის თქმაც კი აკრძალულია სხვაგვარად? ნუ გვეგონია, გალიბერალეზასთან გვექონდეს საქმე. ადამიანის ბუნება ათასეულ წელთა განმავლობაშიც არ შეცვლილა. გარნა ხუმრობით მხილების ნება მუდამა ჰქონდათ მეფეთა და ტირანთა კარზე მყოფ ხუმარებს. მათ იმის თქმა შეეძლოთ, რისა თქმას პირველი ვეზირიც ვერ გაუბედავდა მეფეს. რომანის ამ თავს შეეფერებოდა, რომ ეპიგრაფიად ჰქონოდა ფრაზა თამარ ცბიერიდან: ამას ისე მოგახსენებ, მე მასხარა ენა მწარეო.

ამბობენ სტალინის ძლიერ ართობდა უცხოეთში მის შესახებ გამოქვეყნებული კარიკატურებით, ხოლო როცა ერთი ევროპელი მწერალი შეეკითხა, თუ როგორ უყურებდა იგი მის გამადიდებელ ეპითეტებს, სტალინს უპასუხია: ეს მე კი არ მჭირდება, არამედ, ალბათ, ხალხსა აქვს ამის მოთხოვნილებაო. გერმანიაში კი მუშათა ბანაკებში მოსული საესტრადო არტისტები ისეთ პილილიან სკეტჩს ასრულებდნენ, ცხადია, ჰიტლერის დაუსახელებლად, რომ მაყურებელი მუშები შიშით ტანის დაკვრას ვერ ბედავდნენ.

რომანის გაცნობის მიზნით აქამდე თქმული ნაწარმოების მთავარ იდეურ მხარეს არ შეხებია. რომანის მთავარი ლერძი კი მისი იდეურ-ფილოსოფიური შინაარსია. ავტორის ჩანაფიქრი უკვე ჩაქსოვილია ოთხივე კარის დასაწყისში მოთავსებულ ეპიგრაფებში. ისინი დანერილია მხატვრულად სტილიზებულ ძველი ქართულით, რაც საუცხოოდ უხდება შინაარსს. ავტორის იდეის ეპიგრაფით გამოთქმა, ცხადია, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ამას ავტორი პირდაპირ გვეუბნებოდეს. ავტორს დახატული აქვს სურათი, რომლის წარმოსახვაც მის იმ ფიქრთა ნაყოფია, საიდანაც უნდა დაბადებულიყო სურვილი ამ ჩანაფიქრის რომანის მეშვეობით გამოთქმისა. მაშასადამე, მკითხველმაც უნდა სცადოს ეს ფიქრები თავისად გაიხადოს, რომ მასაც ავტორისებრი ის აზრები დაეხადოს, რომელნიც რომანში არიან გამოთქმულნი. უნდა

გამოეცხვადე, რომ მხოლოდ ემიგრაციის ნაკითხვით ავტორთან ასეთი დაახლოება ვერ მოვახერხებ, მაგრამ როდესაც რომანის ნაკითხვის შემდეგ კვლავ ემიგრაციის მიუბრუნდები, მაშინ კი, ასე მგონია, გავიგე და „ჩემად“ გავიხადე. თუ რამდენად გავიგე, ამის მსაჯული მხოლოდ თვით ავტორი შეიძლება იყოს.

ემიგრაცია იწყება ველურ ადამიანთა კაცად ქცევის დროიდან და კაცად ქცეულ ადამიანთაგან ქართული მოდემის გამოსაყოფად გამოყვანილია ხალხის მეთაური ჭაბუკი, სახელად თუთაშხა. ზოგიერთი მწერალი მას მითად მიიჩნევს, რაც, ჩემი აზრით, ნაძალადეგია. თუთაშხა უფრო ავტორის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის შექმნილი სიმბოლოა და იგი ხალხის ერთი ნაწილის სულიერ განწყობილებას გამოხატავს. თუთაშხას თვით ავტორი ართმევს მითის თვისებას, რადგან ამბობს: „არა იყო იგი სულდგმული ერთი და ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა ნიალთა შინაო“. ამასვე ამბობს ავტორი შესახებ ურჩხულისა, ხოლო როცა თუთაშხა მთვარედ „იქცევა“, აქაც ლაპარაკია პირველყოფილ კაცთა მათებურ ფილოსოფიაზე. ხალხმა მთვარე ღმერთად დაისახა და კეთილი თვისებებიც მას მიაკუთვნა. გარდა ამისა, აქ პარალელია წმინდა გიორგის მთვარედ ქცევასთან, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამით ჩვენ ავტორს იმდროინდელ სამყაროში შევყავართ მხოლოდ. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ძველ ქართულ რწმენასთან ასეთი პარალელი დაცულია კეთილ თუთაშხას და ავ ზარანდიას გენეალოგიაშიც.

ნიგნში ხუთ ნაწილად მოთავსებულ ამ ემიგრაციას, ერთად შეკრებილი სახით ვაწვდით მკითხველს – რაკი უფრნალი ოფსეტის წესით იბეჭდება და ნიგნიდან ფოტოასლების გადმოღება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ხოლო მკითხველისათვის კი საინტერესო უნდა იყოს.

“...და იქმნა კაცთათვის:

სინდისი – ნიჭად მხილებისათვის თვისთა მანკიერებათა, ძალა – ილაჯად თვისისავე სულის ხარვეზთა დაძლევისათვის, სიკეთე – უნარად რგებისათვის თავისა, გარნა მოყვასთათვის რგებისა შედეგად; დედაკაცი – არსად მრავლებისა და პირობად კაცთა მოდემის მარადობისა; მეგობარი – საზომად სულგრძელობისა და სამუდამებლად თავდადებისა თვისისა; ერი – ასპარეზად პირუთენელი მსახურებისა და მსხვერპლად მისვლისა; ვენახი და მიწდორი – ადგილად დაღვრისათვის ოფლისა, არედ განგების ნების აღსრულებისა; პური და საქონელი ყოველი – საზრდელად თავისა და მისაძღვენელად სხვათათვის; სოფელი – სივრცედ მიგებისათვის სიყვარულისა, რომელი იყო ღმერთი.

იქმნა ყოველი მარტოოდენ, ვითარცა ზემორე ითქვა. რწმენა და ზნე ესევეთარი იყო განმჯდარ სიყვარულად ყოველსა ასოსა შიგან და სიღრმეთა სულისასა კაცთა. ჰყავდა ერსა განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ჭაბუკი პირმშენიერი და რაინდი კეთილანაგი – თუთაშხა. არა იყო იგი სულდგმული ერთი და ძე ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა ნიალთა შინა, ვითა ნახნავთგანი მათი უპირველესი.

შეა ამა ვითარებამან ერსა შიგან სიბრძნე გონებისა, რომელმან: ჰპოვა მარცვალი ველური, ქმნა ყანად და დაუდვა კაცთა პურად არსობისა, შეიპყრა ხარი ტრამალსა ზედა, შინაურ ჰყო და განაწესა გამწვევად ტვირთისა; ალაგო ბორბალი და გასჭრა გზა სანათესაოდ ტომთა შორის; ისწავა ვარსკვლავითი და მინიჭა კაცთ უნარი ამინდთმეტყველებისა; მოიხელოვნა რუკა სვლად წყალთა და ხმელთა ზედა და მიკვლევად უცნობთა ერთა; შეთხზა ანბანი გამოცდილებისა და ცოდნათა აღწესხვად შთამომავალთათვის და გაახარა ვაზი მადლისა აღსავლენად ამა სიბრძნეთა მომნიჭებელისად.

ხედედა ერი მას თუთაშხას განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თვისსა ტაძარსა დიდებულსა შინა უფლად სიყვარულისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, ვითარცა წესსა ერთნებაობითა რჩეულისა ხორციელისა მამისა...

...გარნა იყო უწვართთა კაცებისა სულსა შინა ზნე რამ მიმალული და ვერსაჩინარი და არსი მისი – მონება მამონისა. რა არღა აპყრია ერმან გონებისა თვალი ზნესა მას კნინსა – განღვივდა იგი და შთავარდა თესლად ცოტუნებისა. იმძლავრა ფესვმან უკეთურმან ნიადაგსა შინა ლბილსა, შთასწვდა გეენიასა შესრუტვად ცოდვისა შხამითა. აღმოცენდა ყვაილი კეკლუცი – გარნა დამალპობელი ხორცისა, სურნელოვანი – გარდა დამთრგუნველი სულისა. იხილა და იყნოსა ყვაილი იგი ერმან და უხაროდის, რამეთუ იყო უბრყვილ მიმართ არსისა და უმეცარ მიმართ შედეგისა.

კაცთა გონებისა კარი განილო ერთი, დახშული მოაქეჟამამდე შვიდითა საკლიტულითა უმტიციცესითა, განიხვნა გზა სლვად მორიელისა და იმძლავრა წყურვილმან ხვეჭისა ილეკროთა. აღაშფოთნა თვალნი უკეთესობითა ყოფამან სხვისმან, მოიცვა გული შხამმან სიხარბისამან და დააბნელა გონება შურმან. განიმახვენენ კაცნი ლახვრად და განიბრტყენენ ფარად მიმართ ერთურთისა. გათითოკაცდა ერი მოგებად საქონელისა და განიბნა წვენევად უმეტესის ფუფუნებისა.

შეება თუთაშხა სატიკვართა ქვეყნიერთა. მეოხ ექმნა შეჭირვებასა შინა მყოფსა მრავალსა და განუცრუენა სხვისისა ოფლითა მოპოვებული ქონება ვითთა; მიაგო სამართალი მანქანებითა აღზევებულთა რომელთამე და იღვანა სახსნელად მიმძლავრებით დამდაბლებულთა; შთაუდო გულსა შინა მშვიდობა მტრად ქმნილთა და გაუცუდა ბოროტთა საქმეთა განზრახვა სხვათა, გარნა იმატა უფრორე:

გამცემლობამან ძმათა და მრუშებამან მეუღლეთა; უმაღურებამან მადლფენილთა და ამპარტავენებამან ხელისუფალთა; ლიქნმან ხელგეჭითთა და მზაკვრობამან მეცნიერთა; სიმდიდრისა წყურვილმან მცონარეთა, აღზევებისა სურვილმან უმეცართა და სიცრუემან მერჯულეთა.

ურკვეველ დარჩა თუთაშხა ვითარებასა შიგან, რამეთუ არა უწყიდა, რომლითა ძალით მიეზლო ვალი ქვეყნისათვის თვისისა. მოეკვეთა უნარი მიზეზთა განჭვრეტისა, უქმ ექმნენ ძალნი აღსრულებისათვის საქმეთა საგმიროთა, და ჰრქვა:

– არღა მაქვს ცნობა, კეთილსა ვიქმ ანუ ავსა, უმჯობეს არს დავიკრიფო მკლავნი მკერდსა ზედა და ვიპყრა ძალი ჩემი უმოქმედობად.

განდგა თუთაშხა ქვეყანისაგან თვისისა, დაინთქა ჭერეჭად და არღა გულისხმა ჰყო სადარდებელი ერისა, რამეთუ ლმერთი არა იყო თუთაშხა.

...ოდეს კნი იქმნა ზნეობა და მიიტაცა სულმოკლებამან უფლება განსჯა-განგებისა საქმეთა, სულგრძელობისა მიერ განსაგებელთა - ჰრქვეს კაცთა:

- ვიეთთაგან მოვილო ჩემდა რგება ნიეთიერი, იგინი იყენენ მოყვასნი ჩემნი!

ვინათგან შემოადგა მოალყე დიდი მეციხოვნეთა რიცხვით მცირეთა - მათ, რომელნი იდგეს ზნეობასა ძველსა ზედა, ეყთ ზიანი ძნელი და დარჩა ნიაღსა შინა კაცთასა სიყვარული იგი, ვითა ბოლქვი უმნეო ნიადაგსა ზედა მწირსა და მოუსავალსა და იქმნა:

სინდისი - ცნებად გარდასულთა ჟამთა და სიტყვათა სათრევედ ძვირის მეტყველთაგან; ძალა - იარაღად დათრგუნვისათვის სათნოებისა სულსა თვისსა შინა და მიმძღავერებისათვის მოყვასისა; სიკეთე - ნილბად ავისა განზრახვისა და ქმნისა; დედაკაცი - განმართლებად მეძავობისა და ბერნობისა; მეგობარი - მალამოდ შიშისათვის წუთისოფლისა და საგნად სხვათა ფარულთა ანგარებთა; ერი - ასპარეზად ნიეთთა მოხვეჭისა და ხნულად მიმოთესვისათვის სიცრუეთა; ვენახი და მინდორი - ადვილად მოყვასისა ნაღვანის მითვისებისა; პური და საქონელი ყოველი - თავნად ალებისა სარგებელთა და ვახშთა; სოფელი - სივრცედ შურისა მიგებისა და სიძულვილისა, რაიცა იქმნა ლმერთად.

იქმნა ყოველი მარტოოდენ, ვითარცა ზემორე ითქვა და დაიხშო ბრწყინვალეობა მზისა ჭყრტილისაგან ოქროისა. რწმენა და ზნე ესევითარი განჯღა სიძულვილად ყოველსა ასოსა შიგან და სიღრმეთა სულისასა კაცთა. აღიარა ერმან განმგებლად და მორიგედ ქვეყნიერთა საქმეთა თვისთა ურჩხული იგი საშინელი. საზრდელი მისი - სული და ხორცი კაცთა. მუცელი მისი - ალუესებელი მარად. არა იყო იგი არსება ერთი და ნადირი ხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი მყოფი კაცთა ნიაღსა შინა, ვითა ნახნაგათაგანი ერთი მისი, განძლიერებული ან.

შვა ამა ვითარებამან სობრჯეგუე გონებისა, რომელმან: დაიდვა პური არსობისა მონობითა საპყრობად კაცთა; არა კმასაყოფელ ექნა ხარი და დაადგა უღელი შვილსა თვისსა; ააგორა ბორბალი იავარქმნად სხვათა ტომთა; მოიმარჯვა ცა-ვარსკვლავეთისა ცოდნად მორჩილებისათვის ხალხთა; დალახნა ნყალნი და ხმელნი მოზიდვად დაელოსა და ილეკროთა; განსნაველნა ერნი მომსპოლველისა რწმენისა განსავრცელეზლად და ახარა ვაზი სამებრუვეოდ მოდგმათა.

ხედვიდა ერი მას ურჩხულსა განსხეულებულს, ხორცქმნილს და მსახლობელს თვისთა სრა-სასახლეთა შინა გუშაგად მამონისა და ჰმორჩილებდა წესსა დადებულსა მისგან, რამეთუ უჩნდა იგი სანადელ, თუცა საზრდელი მისი - ხორცი და სული ერისავე. მაშინ ჰრქევა თუთაშხამან:

- შეიმუსრა სიყვარული, რამეთუ არა აქენდა მას სატევეარი მძლეველი. აღზევდა ურჩხული, რამეთუ ძალთა მორყევნითა ნარსტაცა მხნეობა მამრთა და ქმნა გული მათი დედალ!

აღიღო შუბი თუთაშხამან, აღმხედრდა ჰუნესა თეთრსა ზედა და განიზრახა დათრ-
გუნვა ბოროტისა – ძალითა თვისითა, რამეთუ ღმერთი არა იყო თუთაშხა...

...მოხვდა თუთაშხა მას ურჩხულსა პირიდან ცეცხლგადმომდინარეს, შთასცა შუბი
ხახასა შინა, განართხო მინასა ზედა და მოჰკვეთა თავი იგი. უხაროდის მათ ცოტა
კაცთა, რომელნი იყვნენ ფარულად თაყვანისმცემელნი ნესისა თუთაშხასი და ჰგონე-
ბდნენ მას მხსნელად ერისა.

გარნა ფენიქსებრ აღსდგა ურჩხული და მოიბა ერთისა მოკვეთილისა თავისა წილ
თავი შვიდი. აღიძრა თუთაშხა კვალად და შემუსრნა შვიდივე თავი ურჩხულისა. მოვიდა
სისხლისა ღვარი და მდინარე მისი ადიდებული გარდავიდა ნაპირთაგან ნალექვად ქვე-
ყნისა. ნარილო და დანთქა სისხლმან მონაგარი მამა-პაპათა, არლა დარჩა მხენელი და
არლა შეიქმნა მოცალედა თესვისათვის. კაცთა იწყეს კლვა და მუსრვა, რამეთუ ედოთ
გულსა შიგან: რომელთამე განზრახვა ესერიგი მიმართ სხვათა; ვიეთნი კლვიდნენ გა-
ნურჩეულად და სცემდნენ ნადგურსა, რამეთუ განმდგარ და განყრილ იყვნენ ჭეშმარიტის
დანიშნულებისაგან კაცისა სოფელსა შინა; სძულდათ ყოველი, თუცა არა უწყიდნენ, რაი
სურდათ, გარდაი კლვისა და მუსრვისა და ჰქონდათ განმართლებად ბოროტებისა თვი-
სისა მაგალითი თუთაშხასი, რომელმან ძალითა დათრგუნვა იზრახა ურჩხულისა.

ხოლო ურჩხულმან ყოველისა მოკვეთილისა თავისა წილ ამოიყარა შვიდი და
ამდენჯერვე განმრავლდა ბოროტება ერსა შორის.

დაეცა ზარი თუთაშხას ნახულისა გამო და მოიცვა იგი რწმენამ, რამეთუ ვერცა
ვინ არგოს მოდგმასა კაცთა, თუ არ კაცმავე.

განიზრახა თუთაშხამან, სულმა კრებითმა მან, გარდაქცევა ძედ ხორციელად და
იქმნა თუთაშხა განზრახვასა თვისსა შინა ღმერთად!

...მაშინ აღავლინა ღალადისი თუთაშხამ მიმართ ცათა:

– ჰე, უზენაესო! არა სართველად თავისა ეზიარე ფიქრთა; არა კვართისათვის
ჩემ ვებჭევე ქსელნი; არა ძიებად შურისა ვეც მახვილნი და არა ათინათისგან მოჯადო-
ებით გარდვიქმენ ძედ ხორციელად, არამედ სნებათაგან განკურნებისთვის მოდგმისა
კაცთა. გარნა უქმ მექმნენ ხმევანი გონთა და ძალთა, ვერა მოილო ნაყოფი კეთილი
თესლმან, რომელი ვზნიე მე, რამეთუ არა მომეც ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ
ბოროტებისა. ან, მოველ და მომავე ხვედრი ჩემი და მივაგო ნაგრამსა შენსა.

და განისმა ხმა:

– არა იყავ ძე ხორციელი და მით ვერა ეზიარე სიღრმეთ კაცთა ბუნებისა. ნარვედ
და ჰპოვებ მენახეთა, რომელნი: იზრახვიდნენ ძღვნისა მირთმევას მავანისათვის, გარ-
ნა მიჰქონდეთ უბითა მახვილი და ფლასთაგან ძრცივიდნენ მას; ეკრძალოდნენ აუგის
თქმასა მიმართ მოყვასისა, გარნა ამოხოროვილ ჰქონდეთ პალული ხორციითა მისითა
და ენადოთ მეტ; ჰლაღადებდნენ თაყვანს ღმრთისასა, გარნა სასოებდნენ სატანასა და
მძლავრებას მისას ღმერთსა ზედა. ხოლო შენ სდექ მკვიდრად და ურყეულად რწმე-
ნასა, ვითარმედ სრულქმნისათვის ღვანლი არს ჭეშმარიტი დანიშნულება კაცისა და
დაგესხმის ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა!

მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა ნამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა, რომელნი იყვნენ ერისკაცნი უნამებულენი. შემდგომ მარტილობისა განმოფენინა შუბლისა ირგვლივ ნათელი სხივითა, უკუმოიქცა სოფელსა და პრქვა:

- ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულსა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულსა!

მოიკვეთა თუთაშხამ თავისითავე დაშინთა მკლავი მარცხენა, მოუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მოუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქა მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მოუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მოუგდეს მათცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გადმოდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და რომელთამე აგრეთვე აჭმიეს ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, აღმოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანთქა მან, არამედ პრქვა მეტყველებითა კაცებრითა:

- არლა ვარ მწყურვალი სისხლთა, არლა მიძს სურვილი ჭამად კაცთა.

და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი.

- არა ჰკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ, გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა.

დაუტყვეა სულმან თუთაშხასამან ხორცი მიწასა ზედა, აღველინა ცად, დაჯდა მთოვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად".

როგორც მკითხველი ხედავს, აქ სქემატურად და სიმბოლიურად დახატულია მოდგმის მიერ განვლილი ძნელი გზა - კაცობრიობის ჩასახვიდან, ასე ვთქვათ, თანამედროვე ხანამდე. ეს სურათი საერთო კაცობრიული იქნებოდა, რომ „გაქართულებული“ არ იყოს ქართული მითოლოგიისა და ლეგენდების მოხმობით. ქართულია უკვე ჭაბუკის სახელი თუთაშხა, რაც მეგრულად მთვარის დღეს ნიშნავს, მაგრამ ჭაბუკს ეს სახელი იმისათვის ჰქვია, რომ იგი ქართული მოდგმის ხალხთა ძველ ღვთაებას მთვარეს დაუკავშიროს და მთვარედაც იქცევა იგი ამბის დასასრულს. ასევე ქართულ სამყაროს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ფამილიარულია, კაცთა მნთქავი ურჩხული, ანუ ვეშაპი და მთელ ამ ამბავში ქართველს აგონდება, როგორც ამირანი, ასევე წმინდა გიორგი თავისი თეთრი ჰუნეთი. ხოლო ამბის დასასრული, ცხადია, ქრისტიანობას გვაგონებს.

საერთო სქემა ასეთია: ხალხში დაბუდებულმა სიკეთემ დაკნინება დაიწყო, რადგან გაძლიერდა ბოროტისაყენ მიდრეკილება, რომელიც აქამდე სუსტად, მაგრამ მაინც არსებობდა ხალხისავე წიაღში. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოროტება მართავდა ხალხს. ხალხის კეთილად დარჩენილმა ნაწილმა (თუთაშხამ) ძალის მეოხებით მოინდომა დათრგუნვა ბოროტისა. „აღილო შუბი, ამხედრდა და განიზრახა და-

თრგუნვა ბოროტისა ძალითა თვისითა". ესე იგი, კეთილთ ძალა გამოუყენებიათ ბოროტების ამოსაფხვრელად. „მიუხდა თუთაშხა ურჩხულსა და მოჰკლა იგი“, მაგრამ ბოროტებამ კიდევ უფრო იმძლავრა „მოიბა თავისა ერთისა ნილ შვიდი“ და ხალხმა იწყო ურთიერთ კელა, რადგან „ჰქონდათ განმართლებად ბოროტებისა თვისისა მაგალითი თუთაშხასი, რომელმან ძალით დათრგუნვა იზრახა ურჩხულისა. „მაშინ დაეცა ზარი თუთაშხას“ და იფიქრა მან, რომ ვერაეინ არგებს კაცთა მოდგმას, თუ არა თვით კაციო, ხოლო არ იცოდა, რა უნდა მოემოქმედა და „ალვლინა ღალადისი თუთაშხამ მიმართ ცათა“. ციდან მიღებულ ჩაგონების შედეგად „მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა ნამებასა უმძიმესსა“. რის შემდეგაც კვლავ ხალხს მიმართა „მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვისო“ და თუთაშხამ ურჩხულს მისცა საჭმელად ჯერ თვისი ხელი, მერე ფეხი. მცირე რიცხვმა ხალხისა იგივე მოიმოქმედა და როცა დაინახეს, რომ ამის შედეგად დაცხრა ურჩხული, დაუმოკლდა ბრჭყალები და პირიდან ამოძავალი ალიც შეუნელდა, მრავალთ მიჰბაძეს მსხვერპლის გამლებლებს. დაკარგა ურჩხულმა წინანდელი იერი და კაცური გარეგნობა მიიღო. ესე იგი, ხალხს ნებაყოფლობით დაუთმია მოძალადეთათვის, რაც კი ებადა, ხოლო როდესაც თუთაშხამ თავის გულის მიწოდებაც დააპირა, უკვე კაცად ქცეულმა ურჩხულმა აღარ ისურვა „აღარა მიძს სურვილი კაცთა ჭამისაო“. თუთაშხამ კი ხალხს მიმართა: „არა ჰკლათ კაცი ესე (ე.ი. ყოფილი ურჩხული) და აჰა, ნიჭი თქვენ გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტისაო“. თვით თუთაშხა კი ქართული მოდგმის ღმერთად, მთვარედ გადაიქცა.

ამ მხატვრულ-ფილოსოფიურ არაკის მრავალგვარად ინტერპრეტაცია შეიძლება. ჩვენ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რითაც იგი რომანთან არის დაკავშირებული. დავიხსოვოთ, რომ პირველი: ადამიანთა მოდგმა, ამ შემთხვევაში კი ქართული, კეთილისა და ბოროტის შეუღლებით გაგრძელებულა. მეორე: ბოროტის დაძლევა ბოროტითვე არ შეიძლება, უფრო ზუსტად, კაცის სიხარბე დათმობით უნდა გააძლო.

თვით რომანის მიმდინარეობის ხანა წარმოგვიდგება ვით ერთი განსაზღვრული დროის უმოკლესი მონაკვეთი ქართული მოდგმის თვალუწვდენელ არსებობისა. როგორც მაგალითად – ერთი კადრი, ანუ წამის მეასედში ხილული სურათი გრძელმეტრაჟიან კინოფილმისა. და ეს ხანა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა ბოლოსა და დასაწყისის ორი ათეული წელია. რომანის მთავარი გმირი — დათა თუთაშხია ეპიგრაფიაში მოქმედ თუთაშხას დღევანდელი ჰომოლოგია – არა მხოლოდ მით, რომ იგი დღეს არსებულ გვარს — თუთაშხიას ატარებს, არამედ პარალელებია თუთაშხასა და თუთაშხიას იდეებსა და მოქმედებაშიც.

თუთაშხია ძალიან თავისებური აბრაგია. უპირველეს ყოვლისა პატიოსანია. მას საკუთრად გამოუმუშავებული ფილოსოფია აქვს. ძლიერ ჭკვიანია, სამართლიანია და ებრძვის არა რეჟიმის უსამართლობას ან სოციალურ ჩაგვრას, არამედ საერთოდ ავკაცობას და უადრესად რაინდული ბუნებისაა.

დასაწყისში მან სცადა თავისი შეხედულების მიხედვით ემოქმედნა – სუსტებს მიშველებოდა, ავკაცობა აელაგმა, მაგრამ მხოლოდ განბილება იგემა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სხვისა საქმეში ჩარევა არ ღირსო. ამ ჩაურევლობამ კი ის შედეგი მოიტანა, რომ სინამდვილეში, პასიურ მდგომარეობაში მყოფ დევნილ კაცის სახით დაილუპა.

საერთოდ, თუთაშხია როგორც ტიპი, პირობითად უნდა მივიჩნიოთ. მისი მოქმედება ყოველთვის გასაგები არ არის მკითხველისათვის. უნდა დავუშვათ, რომ ავტორსა სურს ასეთი იყოს მისი გმირი. ამ საკითხზე უფრო დეტალური ლაპარაკი მხოლოდ საამისო დისკუსიაზე შეიძლება. აქ მხოლოდ ერთს საგულისხმო მხარესლა აღვნიშნავთ მისი ხასიათისა. რალაც ნათესაობა ჩანს თუთაშხიასა და მინდიას შორის. ეს ნათესაობა მხოლოდ ზოგადი ხასიათისა კი არ არის, არამედ ზოგჯერ თუთაშხია თითქმის მინდიას ენით ლაპარაკობს. აი, სურათი ტყეში ხის ტრის დროს (თიყვა ძიგუას ნაამბობიდან).

დაიყვანეს როგორც იქნა მჭრელებმა უშველებელი ნიფელი. დაიტკაცუნა ხემ. გაიგონა დათამ ტკაცუნი. მიაშტერდა ნიფელს. დაიძრა ხე, დაენარცხა მინაზე. შევხედე დათას... კაცის ფერი არ ადევს, ოფლი ნამივით აყრია სახეზე. დიდ ხანს იყო ასე, მერე მკლავით მოინმინდა ოფლი და მოკიდა ისევ ბირდაბირს ხელი. მეგონა შეეჩვია-მეთქი, მაგრამ დაჩემდა, აგერ-აგერ უნდა ნაიქცეს ხე, გადგებოდა განზე და უყურებდა, როგორ დანეებოდა დევივით ნიფელი... რამდენჯერ უთქვამს, ძმაო, ხეს ადამიანივით და კიდევ უკეთესად გაეგება ყველაფერი — ადამიანზე ლამაზად და უკეთესად სიკვდილიც შეუძლია და სიცოცხლე ხომ იცის და იცის უკეთესი. ასეთების თქმა უყვარდა და რომ იტყოდა, სჯეროდა თავის ნათქვამის მერე.

მეორე პერსონაჟი რომანისა მუშნი ზარანდია გახლავთ. მას მეორე მხოლოდ იმიტომ დაერქმის, რომ რომანს „დათა თუთაშხია“ ეწოდება, თორემ, სინამდვილეში, სწორედ ზარანდია არის ყველაზე რთული და ძნელად გამოსაცნობი გმირი რომანისა. თუთაშხია და ზარანდია მამიდაშვილ-ბიძიშვილები არიან. თუთაშხიას მამა და ზარანდიას დედა ტყუპი და-ძმანი ყოფილან და ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს ესენიც. ამასთანავე ადრე დაობლებული თუთაშხია ზარანდიას ოჯახშია, თავის მამიდაშვილთან ერთად ძმასავით ტოლად აღზრდილი და ძმებივითაც უყვართ მათ ერთმანეთი. ასე რომ, ეს ორი ადამიანი, რომელთაგან ერთი ბოროტის განსახიერებაა, ხოლო მეორე – სიკეთისა, უნდა სიმბოლიურად წარმოვიდგინოთ, როგორც ორად გაყოფა ერთი პიროვნებისა – რაკი ისინი ერთი ნაყოფის, ესე იგი, ტყუპი და-ძმის ჩამომავალნი არიან. ხოლო შემთხვევითი და უმნიშვნელო არ არის, რომ სიკეთის მატარებელი თუთაშხია, ტყუპ და-ძმათაგან ვაჟის შეილია, ხოლო ბოროტის განსახიერება ზარანდია – ქალისა. ეს იმიტომ, რომ ძველ ქართულ რწმენის მიხედვით ქალები დემონების ჩამომავლები არიან: როცა დედამინაზე ადამიანებსა და დემონებს ომი ჰქონდათ, ციდან ღმერთები ჩამოვიდნენ კაცთა საშველად და დემონები ქვესქელში ჩარეკეს, მაგრამ დემონებმა თავიანთ ნაცვლად ქალები დატოვეს მინაზე და ამ ქალთა და კაცთა შეუღლებიდან წარმოიშვა კაცობრიობაო (იხ. გ.შარაძის ნარკვევი: პრომეთე და ამირანი). როგორც

ვხედავთ, აქ დაცულია პარალელი ემიგრაციისთანაც – იქაც ხომ ურჩხულისა და კაცისაგან გაგრძელდა ქართული მოდემის არსებობაც.

ამგვარად, რომანი კეთილისა და ბოროტის ბრძოლაზეა აგებული, სადაც კეთილი თუთაშხიაა, ბოროტი კი — ზარანდია. მაგრამ რომანში პიროვნების გაორებასაც ვხედავთ და ამ მოვლენაზეა განსაკუთრებით გამახვილებული ავტორის ყურადღება. საქმე ისაა, რომ თუ თუთაშხია ამკარად და მხოლოდ სიკეთეა, ზარანდია მარტო ბოროტება არ არის. თუთაშხიას მხოლოდ ადამიანური მემკვიდრეობა გამოჰყოლია ზარანდიას კი – სუსტად ადამიანური, ხოლო ძლიერად დემონური.

ამ ორ პიროვნებას შორის ბრძოლის ასპარეზს ის ქმნის, რომ ერთი აბრაგია, მეორე კი ამიერკავკასიის ჟანდარმერიის შეფის — გრაფ სეგედის მარჯვენა ხელია – როგორც მისი უახლოესი თანამშენი. მაგრამ საქმე უფრო რთულია: ზარანდიას თუთაშხიას დევნის საქმე არ აბარია. იგი ასე ვთქვათ კულისებიდან მოქმედებს. კიდევ მეტი. რომანის მიმდინარეობის მეორე ნახევარში ზარანდიას საერთოდ არ ეხება ყაჩაღთა დევნის საქმე – რაკი იგი კონტრდაზვერვის ხელმძღვანელია. რომანის ბოლოს კი, ესე იგი, იმ ხანაში, რომელიც აბრაგის დაღუპვას უძღვის წინ, ზარანდია პეტროგრაღშია გადაყვანილი. ასე რომ, - კავკასიასთანაც არა აქვს საქმე.

ზარანდია ფულთი დაინტერესებული კაცი არ ჩანს. იგი არც კი ცდილობს უფრო მაღალჯამაგირიანი ადგილის დაკავებას. ის არავის პროტექციით არ სარგებლობს, არამედ მხოლოდ საკუთარი ნიჭით და ჭკუით მოპოვებულ გამარჯვებებით მიიწევს წინ და მეფის კარამდე მიაღწევს – საიმპერიო ჟანდარმერიის შეფის საიდუმლო მოადგილეა და მეფესთან პირადი აუდიენციის მიღების უფლება აქვს.

ზარანდიას არასოდეს ქრთამი არ აუღია, შემთხვევა კი, ცხადია, მრავლად ჰქონდა. მხოლოდ ასეთი შემთხვევები მან ნოტარიუსის მეშვეობით დაადგენინა, შეინახა და როცა დასჭირდა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა, მაგრამ – ისე, რომ ქრთამის მიმწოდებელნი არ დასჯილან. ზარანდია ნათესავებზე და ოჯახზე ზრუნავს და თვით უმაღლეს პოსტზე მიღწეულსაც ძველი მეგობრები არ მიუტოვებია.

აი, როგორ ახასიათებს მას გრაფი სეგედი: „ზარანდიას თავდადებითი სიყვარულით უყვარდა დათა თუთაშხია. ალალ ძმად თვლიდა და ტრაგიკულად განიცდიდა მის ახირებულ ცხოვრებას... ეს ის გამოვლინება იყო, რითაც ზარანდიას არსებაში ჩვეულებრივი ადამიანი ხორციელდებოდა, მაგრამ იქვე განცალკევებულად ცოცხლობდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა, საკუთარ რწმენიდან გამომდინარე ვალდებულების, პასუხისმგებლობის გრძნობა, მავანი ადამიანის მიმართ დაგუბებული სიძულვილი და ღვარძლი კი არა – როგორიღაც კონკრეტული დემონი, რომელსაც „სხვაგვარად არ ძალუძდა“. იგი გასაოცარი დაჟინებით აზარტითა და სამკედროდ ებრძოდა დათა თუთაშხიას, არა ფენომენს, რომელიც თუთაშხიას სახით არსებობდა. ადამიანური და დემონური ეს ორი სანაყისი პარალელურად მოქმედებდა და სულის გაორებას კი არ ქმნიდა, არამედ მუშნი ზარანდიას ერთობ თავისებური ნატურის მთლიანობის შედეგი იყო...

ვიცი, ჩემს ნაწერებში ხშირად იგრძნობა ზარანდიას პიროვნებით აღტაცება... ზარანდია ბუნებით გულწრფელ და კეთილისმსურველ ადამიანად მიმაჩნდა, კაცის სიკეთეს სამუდამოდ იხსომებდა და თუ ვინმე მოეწონებოდა, თავის კეთილგანწყობილებას გულუბრყვილოდ ამჟღავნებდა”.

მაგრამ პეტერბურგში მოკალათებულ ზარანდიას შესახებ ამბობს: „მეჩვენა, რომ მამამისის – მაგალი ზარანდიას წინასწარმეტყველება – უმაღლეს თანამდებობაზე კეთილი განზრახვებით გასული ბევრია და სიკეთემწიფარუნებელი არავინო – მუშნი ზარანდიას შემთხვევაში გამართლდა. იგი უკვე მკაფიოდ გამოხატული კარისკაცი იყო”. ხოლო, როცა გრაფი ეკითხება ზარანდიას: – გამოდის რომ ტახტი და სახელმწიფო აქ არაფერ შუაშია და თქვენ საკუთარ თავს ემსახურებითო, – მე ტახტისა და სახელმწიფოს ინტერესებს ვემსახურები, მაგრამ ისე კი, რომ საკუთარ თავს არასოდეს, არც ერთი გოჯით არ ვშორდები და არაფერს არ ვართმევ. ეს თავისთავად ხდება. ჩემი ზნეობა, ალბათ, მოსალოდნელ კატასტროფის წინაშეც კი ვერ ნავა კომპრომისზე, თავის უმცირეს ნაწილსაც ვერ გაიღებს მსხვერპლად და ამას საფუძვლად უდევს... ქვეცნობიერება – ეს მოდგმის და აღზრდის ბრალაა, ჩვენს ოჯახში ყველა ასეთია. – თქვენი ბიძაშვილი დათა თუთაშხია? – დაიხ და მას ყველაფერთან ერთად დიდი ნებისყოფაც აქვს, ჩემზე მეტი... და კიდევ ერთი ზარანდიას ნათქვამი თუთაშხიას შესახებ: „ვიცი რომ სრულქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ თუთაშხია იმ კაცთაგანია, რომელნიც სრულქმნილებასთან ყველაზე ახლო არიან”.

ასეთმა კაცმა — ზარანდიამ თავისი ცხოვრების იღუმელ მიზნად გაიხადა მასთან შეზრდილი თუთაშხიას დაღუპვა. მიზანი ფარული იმიტომ იყო, რომ თუთაშხიამ მხოლოდ თავისი დაღუპვის წინა ხანებში გაიგო, თუ ვინ იყო ის „ერთი ჭკვიანი” რომელიც ჩაერია საქმეში... ეს ერთი ვიღაცა მართლა კაცია და ჩემი გააფუჭება მისი ხელით იქნება ვიცი მე ეს... თუ გავიგე... ძღვენი უნდა მივართვა... კარგი ცხენიო, ამბობს თუთაშხია.

რა ამოძრავებს ზარანდიას? როცა გრაფი სეგედი ამბობს, ზარანდიამ ადამიანი და დემონი პარალელურად მოქმედებდაო, სწორია, მაგრამ როცა პასუხისმგებლობის გრძნობაზე ლაპარაკობს, ეს იქნებ შეეხებოდეს მის სხვა მოქმედებას, ხოლო როცა მისივე სიტყვით, ზარანდია „გასაოცარი დაჟინებით, აზარტით და სამკვდროდ ებრძოდა თუთაშხიას”, ხოლო ეს მის სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა, მაშ, ზარანდიას სხვა რამ ამოძრავებს და ეს სხვა რამ შურია. და უცხოელი სეგედი რომ ამაში კარგად ვერ ერკვევა, ესეც ბუნებრივია – იგი ქართველებს ასე ღრმად ვერ გაიცნობდა.

ზარანდია ებრძვის თავის ორიულს — თუთაშხიას, რადგან მას თუთაშხია თავისთავზე უფრო ჭკვიანად მიაჩნია, ხოლო ამ ბრძოლაში იგი თავს იკავებს მოტყუებით სძლიოს მეტოქეს. თუთაშხია იმდენად ენდობოდა ზარანდიას, რომ მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მათი ერთმანეთისადმი ნდობა გამოეყენებინა და აბრაგი დაეტუსალეზინა. მაგრამ სწორედ „ჭკუით და ხერხით” სურს მეტოქის ძღვევა. მას სურს, თავისთავს დაუმტკიცოს, რომ თუთაშხიას აჯობა. მხოლოდ თანაბარ იარაღით მსურს მე შენი ძღვევაო – ეუბნება აფრანისკს ორბელიძე „თორნიკე ერისთავში”, მაგრამ იქ

კეთილშობილება მეტყველებდა. ამასვე ფიქრობს და ცდილობს ზარანდია, მაგრამ აქ რაინდობასთან არა გვაქვს საქმე. თუმცა გარეგნულად რაინდობის ფორმა შენარჩუნებულია, მაგრამ ჩვენს თვალწინა რაღაც სატანურ-სადისტური კმაყოფილება ამ ვითომ რაინდობის გამოყენებისა. საგულისხმოა, რომ სეგედთან საუბარში თვით ზარანდია ახსენებს სადიზმს, როცა ამბობს: „თუთაშხიას წინააღმდეგ ჩემი რაიმე მოქმედება არც თავმოყვარეობასა და პატივმოყვარეობას შეუძლია გამოიწვიოს, რჩება სადისტური მიდრეკილება, რაც ვიმედოვნებ, ჩემს ხასიათში არასოდეს შეგინიშნავთ“. სეგედი ასეთ მიდრეკილებას მართლაც ვერ შენიშნავდა, რადგან ასეთი რამ ზარანდიას არც გამოუჩენია სხვა შემთხვევაში. ახლა კი თავისი ბიძაშვილის მიმართ იგი ისეთ უსაზიზღურეს გეგმას იყენებს, რომ ისევ ისა სჯობდა, ლალატით ჩაეგდო ხელში აბრაგი.

ზარანდიას გეგმა ასეთია: თუთაშხიას მიერ ვითომ ჩადენილ ქორების გავრცელებით პოლიცია იმას მიაღწევს, რომ თუთაშხიას გარშემო თანდათან მცირდება ის არე, სადაც აბრაგს თავის შეფარება შეუძლია. მას რამდენიმეჯა კაცი შერჩა და ისინი თუთაშხიას საყვარლის – ბეჩუნია პერტიას ახლომახლო ცხოვრობენ თითქმის ყველანი, თუთაშხიასაგან ბეჩუნია უკანონო შვილი ჰყავს – თოთხმეტი წლის გუდუნია. გუდუნია არ იცის, რომ თუთაშხია მისი მამაა. აი, ამ ბიჭს ჩაუნვეთებს მიჩენილი კაცი, სოფლის და გუდუნიათა მასწავლებელი სიძულვილს აბრაგისადმი. ბავშვს დაარწმუნებენ, რომ მისი დედა აბრაგის მიერ არის დაშინებული და ამიტომ ვერ ეუბნება უარს მასპინძლობაზე – თანაც აბრაგის მომკვლელს ხუთი ათასი მანეთი მიეცემა.

ერთ დღეს თუთაშხია ბეჩუნიათა სახლში მიდის. დიასახლისი შინ არ არის. მხოლოდ მამა და შვილი არიან. ცეცხლის გასაღვივებლად ბუხრისკენ თავდახრილ მამას კეფაში ტყვიას დაახლის შვილი. „რა ქენი, ბიჭო, ეს! – დაიკვნესა თუთაშხიამ... არ შეიძლება ჩემი სიკვდილი აქ, – ჩაილაპარაკა მან... რამ მოაფიქრებია ეს, მაჯობა მაინც, – ჩაილაპარაკა მან... და დასძინა – გუდუნა, დედაშენს არ უთხრა, რომ ვიყავი და მესროლე ტყვია. ცოდვა! და თუთაშხიას კიდევ ძალა ყოფნის, რომ ზღვის კიდემდე მივიდეს, საიდანაც მისი ცხედარი ზღვაში ჩაეარდება.“

რომანი მთავრდება გრაფი სეგედის სიტყვებით. „...მუშნი ზარანდიას ავადმყოფობა მელანქოლიის მძიმე ფორმებით დაენყო და სამიოდ წლის მერე რაღაც სხვა მძიმე სენით და სიკვდილით დამთავრდა... მელანქოლია მას საქართველოდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ დაენყო... ამ უდავოდ დიდი ტალანტის ადამიანს თავისი შესაძლებლობების საზომად დათა თუთაშხია ჰყავდა. თუ დაეუშვებთ, რომ ადამიანს არსებობისა და მოღვაწეობისათვის ცოცხალი მაგალითი სჭირდება და მუშნი ზარანდიასათვის კი ასეთი ეტალონი დათა თუთაშხია იყო, მაშინ ისიც კანონზომიერად უნდა ჩავთვალოთ, რომ დათა თუთაშხიას სიკვდილის შემდეგ მუშნი ზარანდიაც უნდა ნასულიყო ამ ქვეყნიდან, მით უმეტეს, რომ მან თავისი სულიერი ცხოვრების მოდელი საკუთარი ხელით მოსპო“.

აქ საჭიროდ ვთვლი, დროებით რომანზე საუბარი შევწყვიტო და მკითხველს სხვა

რამ ვუამბო, რაც ჩემი აზრით, ზედმეტი არ არის თვით რომანის გასაგებად. ორმოცდაათიოდე წლის წინათ ან განსვენებულმა კოკი დადიანმა, რომელიც მამაჩემის ოჯახის მეგობარი იყო და ვისგანაც უცხოეთში მარტოდ მყოფ ახალგაზრდას იმდენი მამობრივი დარიგება მიმიღია, რომ ჩემი ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის მისგან დიდად დავალებული ვარ, ერთხელ ასეთი რამ მითხრა: კარგია, რომ ქართველებზე ასეთი იდეალისტური წარმოდგენა გაქვს, მაგრამ როცა ხანში შეხვალ, საკითხს უფრო კრიტიკული თვალით შეხედავ, ახლა კი მხოლოდ ამას გეტყვი – არ არსებობს სისაძაგლე, რომლის ჩადენაც ქართველს არ შეეძლოსო. ბატონმა კოკიმ ჩემი საპროტესტო პასუხი მოისმინა, დამამშვიდა და დააზუსტა: მე არ ვამბობ, თითქოს ქართველები საერთოდ სისაძაგლის მქნელები იყვნენ. მე მსურს მხოლოდ გითხრა, რომ ზოგჯერ ისეთი ქართველები ჩადიან სისაძაგლეს, რომელთაგანაც ასეთი რამ მოულოდნელიაო. ჩვენი საუბარი აქ შეწყდა – სტუმრები მოვიდნენ. ეს საუბარი არასოდეს განახლებულა, მაგრამ ბატონი კოკის ნათქვამიდან უეჭველად ჩანს, რომ იგი სწორედ პიროვნების გაორების საკითხს შეეხო.

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ და სრულიად მოულოდნელმა რამემ გააცოცხლა ჩემს მეხსიერებაში ეს თითქმის მივიწყებული ამბავი. პროფესორ გიორგი შარაშიძის წიგნის – „ქართული ფეოდალიზმის შესწავლის შესავალის“ თარგმნის დროს, წიგნის პირველ თავში, სადაც მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა ადრეულ ხანის შესახებ არის საუბარი, სქოლიოში მოთავსებულ შემდეგი შინაარსის შენიშვნას ნაწავწყდი.

„ამ ბრძოლებმა მოულოდნელი გამოძახილი ჰპოვეს მარკიზ დე სადის თხზულებებში. როგორც ცნობილია, „ღვთიური მარკიზი“ თავის მსჯელობებში ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ბოროტი“ სრულქმნილობის განსახიერებაა. ამისთვის იგი სხვა არგუმენტთა შორის, შემდეგსაც იყენებს: ქართველები და მეგრელები, ამბობს იგი, უღამაზესი ხალხიაო დედამიწაზე, მაგრამ მათი სილამაზის სრულყოფასავით ძლიერი და მრავალფერია მათი გარყვნილებაო. ისინი თავიანთი ცხოვრების დღეებს იმაში ხარჯავენ, რომ რაც შეიძლება უფრო საშინელი ბოროტება ჩაიდინონ. ხოლო როცა ამას არა შერებიან, სხვა ახალ საშინელებათა ჩადენაზე ფიქრით არიან გართულნი, ან უკვე ჩადენილით ამაყოფენო. მაშასადამეო, ასკენის მარკიზი, ღმერთს მოუსურვებია მათ პიროვნებაში ბოროტისა და სრულქმნილობის შედუღებაო. ამ დანაშაულებათა სია ჩვენს თვალწინაა გადაშლილი. შიგ მოიპოვება ქურდობა, მკვლელობა, ხანძრის ანთება, დასახიჩრება, გაუპატიურება, სისხლის აღრევა, მამის კვლა, სოდომია, ღმრთის გმობა — მკრეხელობა, ბავშვთა კვლა და სხვა... საკვირველი ის არის, რომ ყოველივე სინამდვილეა. აქ ჩამოთვლილ საშინელებებს თუ მეჩვიდმეტე საუკუნის ქრონიკებში მოთხრობილთან შევადარებთ, ვნახავთ, რომ ყოველივე დამონებულია – ვით ჩადენილი ამა თუ იმ თავადის მიერ. სადის მიერ მოტანილ სიას ცხედარის გაუპატიურებაც კი შეგვიძლია დავუმატოთ. (1660-1670 წ. დაახლოებით) „ხანჯლით მოკლულ ვინმე დარეჯანის ცხედარი მეფე ბაგრატს მიჰგვარეს სანოლში,

რომ მას ჟინი მოეკლა" (ბროსე გვ. 97). უეჭველია, მარკიზს გულდასმით წაუკითხავს თხზულებანი შარდენისა, რომელიც მონდომებულ სიზუსტით მოგვითხრობს ამბებს, რომელთა მონმედ საქართველოში და განსაკუთრებით სამეგრელოში ყოფილა. შარდენის ცნობათა სიზუსტე დამონმებულისა ქართული ქრონიკების მიერ. ეს ორი მნიგნობრული წყარო კი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელია. (შარდენი. მოგზაურობა სპარსეთში. სამეგრელოს ისტორიის დამატება).

ამ სქოლიოს წაკითხვისას მოულოდნელი და უცნობი თვით მოყვანილი ცნობები კი არ იყო, არამედ ჩემთვის უცნობი იყო მარკიზ დე სადის მიერ თავისი თეორიების დასასაბუთებლად გამოყენება ამ ამბებისა. ამან კი, აზრთა ასოციაციის გზით, გრიგოლ რობაქიძის ორი რომანი მომაგონა. ეს რომანებია, მხოლოდ გერმანულად გამოცემული „ქალღმერთის ძახილი" და „მეტი ქართველი ასული". მათ შინაარსს აქ მკითხველს ვერ გავაცნობ. საკმარისია ვთქვათ მხოლოდ შემდეგი: ორთავე რომანის ამბავი სამეგრელოში ხდება ისევე, როგორც „დათა თუთაშხიაში" და მარკიზიც ხომ სამეგრელოს ახსენებს. ორივე რომანში რობაქიძისეულ ჯადოსნურ ენით დახატულ, მშვენიერებით შემკულ ქალებსა ვხედავთ, მაგრამ ეს ლეითური სიტუაფით დაჯილდოებული ქალები, ისე იქცევიან, რომ ყოველი მამა იტყვიან – ლმერთო, ამარიდე ასეთი ქალღმვილების ყოლასაო და ყოველ ძმას შეუძლია ღმერთს მადლობა უთხრას, რომ მათგვარი და არა ჰყავს.

ამ რომანთა მოგონებისას ვინანე, რომ მარკიზ დე სადის ამ პასაჟს ადრე არ ვიცნობდი. გრიგოლ რობაქიძესთან რამდენჯერმე მხვდა ნილად რომ მესაუბრა, მაგრამ ამ რომანების შინაარსს არ შეეხებოვარ. უნდა გამოვტყდე, გულნატკენი ვიყავი, რომ რომანის ქალი პერსონაჟები მეგრელები იყვნენ. კიდევ მეტი – რომანი „მეგის" ბოლო ნაწილი სწორედ ჩემს სოფელში — სენაკში და მის გარეუბან შხეფში მიმდინარეობს და თუ ამ რომანების შესახებ ხმას დავძრავდი, უთუოდ საყვედური წამომცდებოდა. ეს კი მას ვერ ვკადრე, მაგრამ სადის აზრი რომ მცნობოდა, უსათუოდ ვკითხავდი: არსებობდა თუ არა რაიმე კავშირი მისი რომანების პერსონაჟებში მშვენიერებისა და სიმახინჯის თანაარსებობასა და სადის შეხედულებას შორის? მე მას სხვა კითხვათა შორის შემდეგი კითხვა დაეუსვი (შემთხვევით ვსარგებლობ და ეს ცნობა მომყავს, რადგან, ვინ იცის, რობაქიძის არქივს რა მოუვა): რომელ ლიტერატურას – გერმანულს თუ ქართულს – ეკუთვნის რომანები, რომელნიც ვერ გერმანულად ქვეყნდებიან და მერე ქართულად უნდა გადაითარგმნონ-მეთქი. თარგმნა საჭირო არ არის გერმანულად გამოქვეყნებულ ყოველ ჩემი წიგნის ქართული დედანი არსებობსო, მიპასუხა. და მართლაც, ჩემი მეუღლის წიგნებში ახლახან ვიპოვე ვიქტორ ნოზაძის მიერ, ალბათ, გერმანიაში ნაჩუქარი 1932 წელს გამოცემული რომანი „მეგი". წიგნის უკანასკნელი გვერდის ქვემო კიდებზე ასეთი შენიშვნაა: „გერმანულად თარგმნილია რეინჰოლდ ჩაკერტის და ავტორის მიერ – თანამშრომლობით: პროფესორ დოქტორ რიჰარდ მეკელაინის, მარგარეტე გარდეჰაინის და ელიზაბეთ ვიტცელისა.

ეს შენიშვნა რომ რომანის ნაკითხვისას შემემჩნია, ზემონახსენებ კითხვის დას-
მის საფუძველიც არ მექნებოდა, მაგრამ რომანები მათხოვა ჩემ გვერდით მხოლომ
დაჭრილმა გერმანელმა – საავადმყოფოში, სადაც მე რუსეთში მიღებულ ჭრილობებს
მკურნალობდნენ და ძნელად შესამჩნევ შენიშვნის ნაკითხვის თავი ალბათ, არ მქონ-
და.

ყოველივე ეს იმიტომ ვთქვი, რომ ვფიქრობ, ძალიან ძნელია უბრალო შემთხვევას
მიენეროს ის ფაქტი, რომ ბატონი კოკი დადიანის ნათქვამი, რობაქიძის რომანთა
პერსონაჟები, მუშნი ზარანდიას პიროვნება და სადის შეხედულება — ყველაფერი პი-
როვნების გაორებასთან ან სიმახინჯისა და მშვენიერების თანაარსებობასთან არის კა-
ვშირში. არც ყოველგან სამეგრელოს ხსენება ჩანს შემთხვევითად. აქედან შესაძლოა,
კაცმა იფიქროს – მამ, ეს მეგრული სპეციფიკური მოვლენა ყოფილაო. ეს ნაჩქარევიც
იქნება და საკითხის გამარტივებაც – მგონი მოვლენა ზოგადქართულია, მაგრამ და-
მახსიათებელ მაგალითებს უფრო სამეგრელო გვანჯდის. რატომ სწორედ სამეგრე-
ლო? შეიძლება ამის ლოგიკურ ახსნას წარმოაგენდეს შემდეგი მსჯელობა: მეგრელები
ხომ კოლხთა ყველაზე უახლოესი ჩამომავლები არიან. ძველი კოლხეთი კი ხომ ის ქვე-
ყანაა, რომლის მცხოვრებლებმა სხვა ქართულ ტომთა უწინარეს და პირველებმა შე-
ქმნეს ქართული ორგანიზებული ერთობა და კულტურა. რომანის ემიგრაციაში გამო-
ყვანილი ჭაბუკი თუთაშხაც ხომ კოლხთა უძველეს, პრეისტორიულ ხანის წინაპართა
მეთაურია. ეს იმდროინდელი „მთვარე-ჭაბუკი“ ხომ რამდენიმე ათასი წლით უფროსი
პაპაა მესხურ მზეჭაბუკისა. სამეგრელოში ცხოვრობს ის ხალხი, რომელსაც ყველა
სხვა ქართველებზე უფრო გრძელი წარსული აქვს ცივილიზებული ცხოვრებისა. მა-
შასადამე, ამ ხალხის სისხლიც უფრო „დალილია“ და პერვერზიისაკენ გადახრილი
რაფინირებაც უფრო შესამჩნევი უნდა იყოს მათ შორის.

ამ მსჯელობის საფუძვლიანობას თითქოს არღვევს სვანეთის მაგალითი. ისინიც
ხომ უძველესი ბინადრებია კოლხეთისა. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი რამ.
პირველი – ის, რომ ბარში მცხოვრები სვანური მოსახლეობა ჩვენს ნელთალრიცხვანზე
უადრეს უკვე გათქვეფილი იყო სწორედ მეგრელებში, ხოლო რაც მთა სვანეთს შე-
ეხება, ამ მხარეში ცხოვრების ისე მძიმე პირობები იყო, რომ უმოწყალო ბუნებრივი
შერჩევა ხდებოდა. ესე იგი, სუსტები ბავშვობაშივე იხოცებოდნენ, ხოლო ფიზიკურად
ძლიერნი და გამძლენი იზრდებოდნენ, ხალხი არც მრავლდებოდა. ისეთ საზოგადო-
ებაში კი, რომელიც ამგვარი შერჩევის გამო, მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ ინდივიდუ-
ლებისაგან შედგება, ყოველნაირი რაფინირება, პერვერზული იქნება თუ სხვა, გამო-
რიცხული თუ არა, ძლიერ შენელებულია.

ქართულ ბუნებაში კეთილისა და ბოროტის თანაარსებობა და ამ ორ მიდრეკი-
ლებათაგან ხშირად ბოროტის მიერ კეთილის ძლევა უთუოდ ფაქტია. ეს თემა ჩვენი
კლასიკოსების ნაწარმოებებშიც არის ხელშეხებული და საინტერესო ის არის, რომ ამ
ნაწარმოებებშიაც ისე, როგორც ამირეჯიბის რომანში, ბოროტების ჩამდენი ძლიერ
ახლოებელ პირის მიმართ სჩადის ბოროტებას. სწორედ თანააღზრდილი ადამიანის მი-

მართ ჩადენილი სისაძაგლე არის აღწერილი აკაკის „გამზრდელში“ და ილიას „გლახის ნაამბობშიც“. „გამზრდელში“ ძიძიშვილის მიმართ არის ჩადენილი სიყვე, რაც სამეგრელოში ძმის მიმართ ჩადენილად ითვლება. „გლახის ნაამბობშიც“ ყმა გაბრიელი და მისი ბატონი დათიკო ხომ აგრეთვე ძმურად იყვნენ ერთმანეთთან – რამდენადაც ასეთი რამ შეიძლებოდა ყმასა და ბატონს შორის, მაგრამ ამ ნაწარმოებებში აღწერილი ბოროტება უფრო მარტივი საწყისიდან მომდინარეობს და ისეთ რთულ გარემოებასთან არა გვაქვს საქმე, როგორც ამირჯიბის რომანში.

ეს მოტანილი მაგალითები მხოლოდ ვინროდ შემოფარგულულ ანალოგიას გვანვდიან რომან „დათა თუთაშხიასთან“, მაგრამ შეუძლებელია, არ დავინახოთ რეალურად მომხდარ ამბავთან არსებული ანალოგია. ეს ანალოგია ეხება თვით ბოროტმოქმედების ასასრულებლად ნახმარ ხერხს და დამოკიდებულებას ბოროტმოქმედების ფიზიკურად ამსრულებელსა და მსხვერპლს შორის. ზარანდიას მიერ გამოყენებული ხერხი ხომ იმაში გამოიხატებოდა, რომ მან ჭორებისა და ცილისწამების გავრცელების საშუალებით ხალხს შეაძულა დათა თუთაშხია და ასევე შეაძულა მან იგი საკუთარ შვილსაც, რომელმაც არ იცოდა, რომ თუთაშხია მისი დედის მტერი კი არ იყო, არამედ – მისი მოსიყვარულე მამა და კეთილის მსურველი.

ასევე ცილისწამებით არ გააბრიყვეს ქართველი ხალხის უეცივი ნაწილი ბოროტმოქმედებმა და ასევე მისავე „შეილებს“ არ მოაკვლევინეს მათზევე მზრუნველი და მათი ნამდვილი მოყვარე ილია? – ძნელი სათქმელია, იფიქრა თუ არა ამ ანალოგიაზე თვით ავტორმა, მაგრამ ბოროტმოქმედების ჩადენის ფორმის ასეთ არჩევანს იმ ტრაგედიასთან, რომ, ქვეცნობიერების გზით მაინც, კავშირი აქვს, ეს უეჭველია. ვიცი, რომ ზოგი თვალს დახუჭავს და ამ აზრს უარყოფს. მათ ქართველობის ერთი ნაწილი აკლიათ, მაგრამ ვიდრე ქართველი ქართველობს, იგი ამ ფიქრიდან თავს ვერ დააღწევს. არც უნდა დააღწიოს.

თუ ამ რომანიდან მორალურ დასკვნის გამოტანას მოვიხდომებთ, მგონია, ძლიერ საჭოჭმანო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. თუთაშხია დამარცხდა – ჯერ იმით, რომ სიკეთით ვერა გაანყო რა, არც სხვის საქმეში ჩაურევლობამ მოუტანა მას სასურველი შედეგი. მამ, განსხვავებით ეპიგრაფიაში დახატულ მხოლოდ წარმოსახულ სურათისა, რეალურ ყოფაში სიკეთით ძლევა ბოროტისა შეუძლებელი ყოფილა. რაც შეეხება ბოროტის გამარჯვების სურათს, რომელსაც რომანში ვხედავთ, აქ თითქოს ის უნდა მივიჩნიოთ საწუგემოდ, რომ „გამარჯვებული“ ზარანდია „დამარცხებულ“ თუთაშხიას გადაჰყავა.

წერილში ზემოთ ნათქვამია, ეს რომანი მწერლისათვის საწუხარ საგნებზე ფიქრის შედეგად არის დაწერილი. დღეს ქართველ მწერალს საწუხარი არ დაეღვევა – თუ მას გული აქვს, მაგრამ ყველაფრის ერთად გადმოფრქვევაც ხომ არ შეიძლება. ეს რომანი აშენებულია ქართული ხასიათის ერთი თვისების ჩვენებაზე, რომლის ერთი სახეობაც დიდი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური ჩანვდომით და მოუდგომლობით გაძლიერა რომანში.

გარდა ამისა, მრავალი სხვა საჭირობოროტო საკითხიცაა ნაწარმოებში აღძრული დიალოგების სახით. ამ საკითხებზე მსჯელობა ძლიერ მაღალ დონეზე წარმოებს, რაც მკითხველსაც აიძულებს ამ საკითხებს დაუკვირდეს და მათზე იფიქროს.

ხოლო, რაც ბატონ ლუიჯი მაგაროტის მიერ გამოთქმულ აზრს შეეხება, იგი მით უფრო სარწმუნოა, რამდენადაც ამ შეხედულების გამომთქმელი მიუდგომელი უცხოელია, რომელმაც ქართული იცის და ქართულ მწერლობასაც იცნობს, მაგრამ შეუძლებელია, თვით ქართველ ხალხსაც იცნობდეს ღრმად და საფუძვლიანად – განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში. მაშ, რომანის ხარისხის იმ მხარესაც ვერ დაინახავდა, რომელიც მხოლოდ ქართველმა შეიძლება რომ დაინახოს. ამიტომ მას უნდა დავეთანხმოთ, როცა ამბობს: რომანი „დათა თუთაშხია“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის შედეგია.

წმინდანები ჯოჯოხეთში

ივრია, 28.1985

მწერალ ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების გამო

ნოდარ დუმბაძემ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ყურადღება. მაშინვე ჩანდა, რომ ძლიერ ნიჭიერ მწერალთან გვექონდა საქმე. მისი პირველი გახმაურებული ნაწარმოებები იყო „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მგონია, მის ნაწარმებში მკითხველს ხიბლავდა მწერლის ბუნებრივობა, პირდაპირობა და გულწრფელობა, რასაც ზედ ერთვოდა მახვილი იუმორი, ასე დამახასიათებელი მისი მშობლიური კუთხის გურიისა, რომლის მკვიდრნიც იყვნენ მისი პერსონაჟებიც. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ იგი საგანსაც იცნობდა, ვით თავის მშობლიურ გარემოს. მარტო ეს არ იყო მისი სიძლიერე. მას ახასიათებდა ლაკონიური სტილი, ზომიერებაც და იგი არ განიცდიდა გაჭიანურების „სენს“, რომელსაც, საუბედუროდ, ზოგი ქართველი კარგი მწერალიც ვერ ასცდენია. მარტო ჩამოთვლილი იკმარებდა მწერალში ოსტატის დასაანახად... ვინც ძებნას დაიწყებს, მისი ყაიდის მონათესავე მწერლებს იპოვის უცხოურ მწერალთა შორისაც – რუს მწერალთა ჩათვლით. ქართველ მწერალთაგან კი, ცხადია, მხოლოდ ზოგიერთ შეხების წერტილებით, მე იგი უფრო კლდიაშვილს მაგონებს, ვიდრე ვინმე სხვას...

არ ვიცი რამდენად გაიზიარებს მკითხველი ჩემს შეხედულებას, მაგრამ ვიტყვოდი, რომ როგორც მწერლობის ოსტატს, პირველ ადგილს მივაკუთვნებდი ქართველ რომანისტებში მას თანამედროვეთა შორის – იმ რეზერვით, რომ ამ მწერლობას მხოლოდ ნაწილობრივად ვიცნობ.

ნოდარ დუმბაძე კომუნისტი იყო. იგი ძლიერ დანინაურდა და სხვა პატივთა გარდა, მას მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაც ხვდა წილად. მისი კომუნისტობის უფრო ადრე აღნიშვნა, ვიდრე მის დანინაურებას ვახსენებდი, იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი ამ დანინაურების ღირსად არ მიმანდეს. არა! იგი ღირსი იყო ამ ადგილისა, მაგრამ

მისებრ მცირე ხარკის გამღები მწერალი ასეთ პატივს ვერ მიაღწევდა, თუ კომუნისტი არ იქნებოდა.

ამ მოკლე წინათქმის შემდეგ წინამდებარე წერილი, ნოდარ დუმბაძის მხოლოდ ერთ რომანს შეეხება, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა სათაურით: „მარადისობის კანონი“.

ეს რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რაც თავისთავად იშვიათობას წარმოადგენს ქართულ მხატვრულ მწერლობაში — ყოველ შემთხვევაში, მე პირადად სხვა ამგვარი ხასიათის ქართულ რომანს არ ვიცნობ. ავტობიოგრაფიული ხასიათის რომანები დასავლურ მწერლობაში საკმაოდ ხშირია, მაგრამ ავტობიოგრაფიული რომანიც არის და — რომანიც. მაგალითად, ფრანსუა მორიაკმა ერთი თავისი რომანის შესახებ თქვა: რომანში ავტობიოგრაფიული არის მხოლოდ ის სახლ-კარი, რომლის დეტალური აღწერაც არის მოცემული. მე იმ სახლში გვატარე ჩემი ბავშვობაო. ეს, ცხადია, უკიდურესი შემთხვევაა, მაგრამ ის სწორი აზრიც ცნობილია, რომ ყოველი რომანი ასე თუ ისე, უსათუოდ შეიცავს ავტობიოგრაფიულ ელემენტებს, რადგან მწერალი თავის ნაწარმოებში თვისივე პიროვნების ამა თუ იმ ნაწილს ათავსებსო.

ნ.დუმბაძის ამ რომანის ავტობიოგრაფიულობა კი ძლიერ შორს მიდის. რომანის მთავარი გმირის ბიოგრაფიას უზომოდ მრავალი დამთხვევები აქვს ავტორის ბიოგრაფიასთან — იმდენად მრავალი, რომ ის რაც არ ემთხვევა, უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ნასესხებ მასალად, რომელიც ავტორს დასჭირდა რომანის ქსოვილის ზოგიერთ ადგილის მოსაქსოვად. ხოლო რაც შეეხება გმირის იდეებსა და საერთოდ სულიერ თვისებებს, ეს ხომ ლოგიკურად ცხადია, ისინი ან მთლიანად ავტორის იმავე თვისებათა ასლები არიან, ან არიან ისეთნი, რომელნიც სასურველნი არიან როგორც ავტორისათვის, ასევე მისი გმირისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი გმირი გაუმჯობესებული ასლია თვით ავტორისა (ამ ოპერაციაში იქნებ „თავის მართლებასთან“ თუ არა, ავტორის მიერ განვლილ გზის „ახსნასთან“ გვექონდეს საქმე, მაგრამ ამას შემდეგ მოუებრუნდებით).

ამ რომანის კრიტიკული გარჩევა არ ნამიკითხავს, მაგრამ ვფიქრობ, კრიტიკოსებს რომ ის გადმოეშალათ, რასაც ავტორი ამ ნაწარმოებით ამბობს, 1978 წელს დაბეჭდილ რომანის დამწერის ბიოგრაფია იმ დღიდან მოყოლებული, სულ სხვანაირი იქნებოდა.

თუმცა აქ საკვირველი არცა არის რა! საგნისა თუ მოვლენის, როგორც მოესურვებათ იმფერად შეღებვის ხელობა, არნახულად განვითარებულია „სოციალისტურ რეალიზმის“ სამყაროში და ასევე წარმატებით ათვისებულა ქამელეონის უნარიც (ხელისუფლების მიერ მ.ჯავახიშვილზე მიშვებულ რაპელ ნაგაზების მთავარი მარეკი და გამყივარი ბესო ულენტი, როცა ნაივმა პირი იბრუნა, იმავე ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გამომცემელ კოლეგიაში არ აღმოჩნდა?)

მაგრამ მე წინ ვაკრიბივარ და დასასრულს სათქმელი ახლავე წამომცდა. დავინყოთ თავიდან.

რომანი იწყება მთავარი გმირის საავადმყოფოში მოთავსებით და მთავრდება საავადმყოფოდან გამოსვლით. მაგრამ სამკურნალოში ყოფნის დროს მომხდარ ამბავთა თხრობაში, შიგდაშიგ ცალკე ჩასმულ პარაგრაფებში მოთხრობილია ადრე მომხდარი ამბები. თხრობის ასეთ ხერხს ჩვენ ვერ გამოვიყენებთ, რადგან მკითხველი, რომელიც რომანს არ იცნობს, დაიბნეოდა. ნიგნის ხელში აღებისთანავე მისი გარეგნული გაფორმება იპყრობს ყურადღებას. ყდაზე ავტორის პორტრეტიკა. სახე ოთხად – ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად არის გაკვეთილი. მიღებული ოთხი ნაკვეთი ერთმანეთს დაშორებულია და თავისუფლად დარჩენილი ადგილი უკავია ჯვარს, რომლის ვერტიკალური ნაწილი რომანის სათაურის შემადგენელ ასოებისაგან შედგება, ხოლო ჰორიზონტალური კი – ავტორისავე სახელისა და გვარისაგან. ყოველივე ეს თეთრ ფონზე შავი ფერით არის მოცემული, მაგრამ მარჯვენა ქვევითა კუთხეში უფორმო ნითელი ლაქაა.

არსებობს ყდის „ნეიტრალური“ გაფორმება – გრაფიკული და სხვა. მაგრამ აქ რაღაც იდეის გამომსახველ რთულ კომპოზიციასთან გვაქვს საქმე, რომლის იდეის ავტორობა, ძნელია, მარტო მხატვარს, მალაზონიას, მივაკუთვნოთ და კუროიზულა, რომ თვით რომანში მოიპოვება პასაჟი, რომელიც თითქო გასაღებს გვანვდის. ეს გახლავთ მეჩვიდმეტე პარაგრაფის 196-ე გვერდი, სადაც მხატვრული გაფორმების შემკვეთი ხუტა შელია ლაპარაკობს მხატვარ როლანდის შესახებ: როგორც უნდა ისე დახატოს, მაგრამ მე რომ მინდა, ის დახატოსო. აქ თითქოს ანალოგია უნდა დავინახოთ იმ საუბართან, რომელიც ნოდარ დუმბაძეს მხატვარ ნ. მალაზონიასთან იქნებ ჰქონდა. ასეა თუ ისე, მკითხველი დამეთანხმება, რომ კომუნისტ მწერლის მიერ რელიგიურ-მარტილოგიურ სიმბოლოს გამოყენება ისეთი რომანისათვის, რომელშიც მისივე ორეულის სულიერი და ხორციელი ცხოვრებაა აღწერილი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურია.

არის მეორე უცნაურობაც. ეს გახლავთ რომანის გმირის სახელი და გვარი: ბაჩანა რამიშვილი. ხდება ხოლმე, როდესაც ავტორი თავის გმირს უფერულ, ბანალურ გვარსა და სახელს მისცემს, ვთქვათ, პავლე დათიაშვილი. მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ არის. ამ სახელისა და გვარის წამკითხველის წინაშე მყის ორი აჩრდილი გაიღვებს: სახელისა გამო – ვაჟასი, ხოლო გვარისა გამო – ნოე რამიშვილისა. ვთქვათ, სახელის არჩევა ავტორის ესთეტიურ სიმპათიებს მივანეროთ, მაგრამ ისეთი გვარის არჩევა, რომლის შესახებ რომანის ერთი პერსონაჟი (საძაგელი ტიპი) ამბობს „ტყვილა კი არ გაუჟუჟიათ მაგის გვარი ოცდაჩვიდმეტშიო“, ნუთუ ესეც შემთხვევაა?

რომანი იწყება ბაჩანას ბავშვობის დროიდან. როცა ის ცხრა წლისაა, ესე იგი, 1937 წლის საშინელი ხანა. აქ აღწერილია გულგამგმირავი სურათი: პარტიის მიერ მოგზავნილ კაცს მიჰყავს ბაჩანას დედა, ხოლო მისი მამა უკვე წაყვანილია. ამ სცენის წერილში გადმოცემა ძნელია. მხოლოდ ერთ ნაწილს მოვიყვან დიალოგიდან: ბაჩანას დედა სთხოვს წასაყვანად მოსულ კაცს, რომ ნება მისცეს ბავშვს ერთხელ კიდევ გამოეთხოვოს. კაცი უარზეა. ცოლ-შვილი არა გყავს, შე უღმერთო, ჰკითხა იმედდაკარ-

გული ხმით ქალმა. არც მყავს და არც მეყოლება, — ცალკეად ჩაიცინა კაცმა, — თავისუფალი კაცი ვარ. და ქალის პასუხი: თავისუფალი კი არა, მონა ხარ, შე უბედურო, ცვედანი, ტაკიმასხარა, კომედიანტი და ნაძირალა, — იფეთქა ქალმა.

განცდილის შედეგად ბავშვი ავად გახდა. თქვენს ბავშვს გულის მანკი აქვს და მწვავე ნევროზიც, — უთხრა ბაჩანას დეიდას ექიმმა... შეძენილი მანკია, რაიმე მძიმე ტრამვა ხომ არ გადაუტანია. არა, ბატონო. რა ხნისაა? ცხრის. გასაკვირია პირდაპირ.

შემდეგ ბაჩანას ვეხდავთ თხუთმეტი წლისას. ეს უკვე ომის ხანაა. ბაჩანა ბაბუასთან იმყოფება გურიამში, ლომკაცა რამიშვილთან. ექიმმა აღმოაჩინა, რომ ბიჭს ქლექის ნიშნები აქვს. რაა მაგის ნამალი? — ეკითხება ბაჩანა. პენიცილინი და სულფიდიანი. იშოვება? ათი ათასი მანეთი ღირს მაგი ნამალი ტფილისში... მერე სადაა ამდენი ფული... კიდევ რაა ამის ნამალი? კარაქი, რძე, ხორცი, თევზის ქონი, ხიზილალა კევრცხი, შაქარი, თაფლი, სითბო და ბახმარო...

„ოცდასამი სული ძროხა, ორი მოზვერი, ოცდაშვიდი თხა, სამი ცხენი და ერთი ტახი ჰყავდა 1943 წლის ზაფხულში მთაში გარეკილი ქვენობანის კოლმეურნეობას. ორი ძაღლი და სამი კაცი დარაჯობდა ას ოცი კომლის ამ საცოდავ აელადიდებას“.

ამ ფერმის გამგე გლახუნა ქერქაძეს შეავედრა თავი ბაჩანამ. ქერქაძემ ბავშვი შვილივით მიიღო და ჯანზე მოიყვანეს. შეენიშნოთ, რომ აქ ხელისუფლება არაფერ შუაშია.

აქ ავტორს რომანში შემოჰყავს ახალი პერსონაჟი, ომის დეზერტირი — ვინმე მანუჩარ კიკვიძე, რომელიც კლავს გლახუნა ქერქაძეს. კომუნისტ ავტორს მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა დაეხატა კონფლიქტი ფაშისზმის მხარეზე გადასულ ანტიკომუნისტსა და საბჭოთა „ალმშენებლობის“ ერთგულ, თუნდაც არაკომუნისტ ქერქაძეს შორის. არაფერი ამისი მსგავსი! დეზერტირი, ვითომ ანტიკომუნისტი, რომელიც „ბურჟუაზიულ გადმონაშთს“ უნდა ეკუთვნოდეს და „საეჭვო“ ძველ დროს დანიანურებულ გვარისა უნდა იყოს, ვიღაც კიკვაძეა, მხოლოდ კაცის მკვლელი, ბავშვების გამაუპატიურებელი, ბოროტი და ხელისხილიანი პირუტყვი და უფრო საკვირველი ის არის, რომ არც ქერქაძე ელაპარაკება მას ხელისუფლების დამცველის და ფაშისტთა მოძულის ენით.

კიკვაძემ ქერქაძე მარტო მოიხელთა. ნანართმევი ყველით სავსე კალათი აჰკიდა და თან წაიყვანა. მომკალი, შე აჯილღას გაგდებულო, არ ვარ მე აქედან ფეხის გამდგმელი, — ამბობს ქერქაძე. ტყუილა ფიქრობ მაგას, გლახუნა ბატონო, სანამ ადგილზე არ მიგატანიებ, არ გაღირსებ სიკვდილს, — გაანბილა მანუჩარამ. ვის ებრძვი, მანუჩარა უბედურო, თუ იცი? — გააფრთხილა გლახუნამ. თქვენ გებრძვით, ბატონო გლახუნა, ბოლშევიკებს. ოცდაორი წელია დაბოგინობთ მამაჩემის ნასახლარზე და მამულში. გეყოთ, ან ჩვენი დრო მოვიდა, — დაცინვით უპასუხა მანუჩარამ. ვინ ხართ, ბიჭო თქვენ? მე და გერმანია. სადაა მერე გერმანია? მოვა გლახუნა მოვა... ეს არის მთელი „იდეოლოგიური“ შინაარსი მათი დიალოგისა. ხოლო ეს „სადაა მერე გერ-

მანია", ისეა თქმული, რომ კაცი ვერ გაიგებს, გლახუნას სწყენია თუ უხარია, რომ გერმანია ვერ ახლოვდება. ამას ისიც დაუმატოთ, რომ გერმანია მოვა თუ არ მოვა, კიკვაძე მაინც განწირულია, ამ ნადირს სასჯელი მაინც არ ასცდება. ასე რომ, მას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკურ მონინააღმდეგესთან, ან კლასობრივ მტერთან. ახლა უნახოთ, როგორ იქცევა ქერქაძე სიკვდილის წინ. ვიდრე მოკლავდა, კიკვაძემ გლახუნას ლოცვის ნება მისცა და ეს კოლმურნეობის ფერმის გამგე ღმერთს ვეუბრება: ღმერთო, ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის და შენვე წაილე, გული გამიხეთქე, ამ ბინძური თესლის ნაყოფის ხელით ნუ მომკლავო... ჩხაკოურას ტყეში სამი ტყვია გავარდა.

გლახუნას მკვლელს კლავს თხუთმეტი წლის ბაჩანა. კლავს არა დეზერტირისა და ანტიკომუნისტს, არამედ მისი კეთილისმყოფელისა და მამობის გამწევის მკვლელს.

ამის შემდეგ ქრონოლოგიურად რომ მივყევით, ბაჩანას ვხედავთ, ვით სკოლის დამთავრებას მიღწეულ ჭაბუკს და ვეცნობით ყრმა ბაჩანას პირველ სიყვარულს, რაზედაც უფრო დანვრილებით შემდეგ ვილაპარაკებთ. არის აგრეთვე სტუდენტობის დროის შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდი.

ახლა პარტიაში ბაჩანას მიღების ამბავს გავეცნოთ. რაიკომის ბიუროს წინაშე წარდგომამდე ბაჩანას „ფორმალური გასაუბრება“ აქვს სამ ძველ ბოლშევიკთან. ამხანაგო რამიშვილო, მინისტრებს ამდენ ხანს რატომ არ შემოდით პარტიაში?— იყო პირველი კითხვა. ავტორი ამბობს, რომ ბაჩანას უკვე მზად ჰქონდა შაბლონური პასუხი, რომ ადრე თავს ღირსად არ თვლიდა ასეთი საპატიო მისია ეკისრა... ახლა, როდესაც ძირფესვიანად დაეუფლა... და ასე შემდეგ, მაგრამ ენა არ მოუტრიალდაო.

ადრე არ მღებულობდენ, ბატონო. რატომ? მშობლები მყავდა რეპრესირებული. კომკავშირში როგორღა მიგიღეს? დავმალე, რომ მშობლები... კი მაგრამ, არვინ იცოდა, ვინ იყავით? იცოდა სკოლის კომკავშირის მდივანმა... მეგობარი იყო ჩემი... ომის წლები იყო, ძალიან მძიმე წლები. მაშინ ტყუილად და მოსაჩვენებლად არავინ შედიოდა კომკავშირში.

აქ ნ. დუმბაძე ორ რამეს ათქმევინებს თავის გმირს: რომ თურმე კომკავშირში ტყუილად და მოსაჩვენებლად არ შედიოდა ახალგაზრდობა, ხოლო ომის წლების სულსკვეთება ისე შეცვლილა, რომ ასეთი რამ შეწყვეტილა. ეს უნდა აღიაროს კომუნისტმა მწერალმა? მამ „სამამულო ომი“ რაღაა? დაკითხვა გრძელდება. მშობლების გამო წყნა ხომ არა გაქვთ პარტიის მიმართ? მქონდა... გამიარა... დიდი ხნის შემდეგ ისევ გამიჩნდა... რეაბილიტაციის შემდეგ... თურმე ტყუილებრალოდ გადავიტანეთ... სიღუბჭირე, დამცირება, უბედურება. ახლა სად არიან თქვენი მშობლები? აღარ არიან! და თქვენ ახლა ასეთი გრძნობით შედიხართ პარტიაში?

...ადამიანები ხშირად ცდებიან... შეცდომების გასწორება მომავალ თაობებს მოუწევთ... ახლა... მმართველობაში ჩემი თაობის ხალხი მოდის. მე ვალდებული ვარ, მხარში ამოვიუდგე მათ თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი შეცდომა არ განმეორდეს და რაც მთავარია, თუ მწერალი ობიექტური არ არის, კაპიკია მისი მწერლობის ფასი.

ეს ციტატა ოდნავ შემოკლებულია, მაგრამ შიგ სიტყვაც არ არის „დიად მიზნებზე“ ან „სოციალიზმის შენებაზე“ და დააკვირდით გამოთქმას – „თუნდაც იმიტომ“, ხოლო „დიდი ლენინის ანდერძი“ რომ ბაჩანასათვის აღარაფერს ნარმოადგენს, ახლა დავინახავთ.

ცნობილია თუ არა თქვენთვის ვ. ილიას ძე ლენინის ნერილი კავკასიის რესპუბლიკების კომუნისტებისადმი? ბაჩანამ დიდხანს იფიქრა, ბოლოს კითხვა შეუბრუნა. ამა. ლენინის ეს ნერილი და კიდევ სხვა რომელიმე რომ არ ვიცოდე, მიმიღებთ თუ არა პარტიაში? დამკითხველი შეწუხდა და პასუხი დაუგვიანა. ბაჩანამ ისევ შეუბრუნა კითხვა. თქვენ მხოლოდ იმას მეკითხებით, რაც იცით, თუ იმას, რაც სავალდებულოა? რისი ცოდნაც სასურველია, ამა. რამიძეილო. ამ ნერილის ადრესატები მე და ჩემი მეგობრები ვიყავით. ბაჩანამ თავი უხერხულად იგრძნო... ნამოდგა და რალაცის თქმა დააპირა, მაგრამ იორდანიშივილიმა არ აცალა. ნახვამდის, ამხანაგო რამიძეილო! ბაჩანას ურუანტელმა დაუარა. ყველაფერი გათავდა, — გაიფიქრა მან და გული გაუჩერდა... დაჯდა, მარცხენა ძუძუზე დაიდო ხელი. რა მოგივიდათ, — ჰკითხა მანაგაძემ შეწუხებულმა... არაფერი, ბატონო დავით... გამიარა უკვე. ბაჩანამ კელავ გაიგონა საკუთარი გულის დაგადუგი და გაელიმა! ხეალ პირველ საათზე თქვენი საკითხი გავა რაიკომის ბიუროზე. მე მგონი, ყველაფერი კარგად იქნება. იმ ნერილს მაინც გადაავლეთ თვალი, დროს თუ გამონახავთ.

ბატონო ალექსანდრე, — ალექსანდრე ხმით დაიწყო ბაჩანამ. ის ნერილი ამხანაგმა ლენინმა ოცდაერთი წლის თოთხმეტ აპრილს დაწერა, ხოლო რვა მაისს იგი „პრავდა გრუზიის“ ორმოცდამეხუთმეტე ნომერში გამოქვეყნდა. უცნაური კაცი ხართ, რამიძეილო, — უპასუხა იორდანიშივილიმა.

უცნაური აქ ის კომუნისტი მწერალია, რომელიც თავის გმირს — იდეალურ კომუნისტს — ასე აბუჩად აადგებიანებს ლენინის ხსოვნას. მართლაც, ეს ხომ იმის ტოლფასია, მღვდლობის კანდიდატმა რომ გამოცდაზე საჭიროდ არ ჩათვალოს პასუხის გაცემა კითხვაზე: იესომ რა უთხრა მონათევებს საიდუმლო სერობაზეო. რადგან, როგორც ვხედავთ, ბაჩანა მშვენიერად იცნობდა ნერილს, მაგრამ რალაც მიზეზით საჭიროდ არ ჩათვალა წესიერად უპასუხა. და კიდევ მეტიად უცნაური ის გარემოებაა, რომ აქ ავტორი არარეალურ სურათსა ხატავს, ხელოვნურად ქმნის სცენას, რომელსაც შეუძლებელია, ადგილი ჰქონოდა. მაშასადამე, ავტორსა სურს, რომ ეს ამგვარად მომხდარიყო.

მეორე დღეს, პირველ საათზე რაიკომის კრებაზე დაუძახეს. მე მგონი, ბევრი ახსნა-განმარტება არ არის საჭირო, ჩვენ ყველანი ვიცნობთ ბაჩანა რამიძეილს. იგი დღეს ჩვენი დიდი ოჯახის წევრი უნდა გახდეს, — ამბობს რაიკომის მდივანი. შეკითხვები ხომ არა გაქვთ? მე მაქვს, — თქვა მოულოდნელად ერთმა ბიუროს წევრმა... ამხანაგო რამიძეილო, რატომ შემოდინხართ პარტიაში? ბაჩანა ძლივს ნამოდგა... დუმილი დიდხანს გაგრძელდა... ბაჩანამ იცოდა, რა უნდა ეპასუხა... რომ იგი მთლიანად იზიარებს... რომ მზად არის უყოყმანოდ შეასრულოს ყველა დავალება... სურს გახდეს კომუნის-

მის აქტიური მშენებელი... ალილუიასავით ზეპირად იცოდა... მაგრამ სასაცილოდ და უადგილოდ მოეჩვენა ამისი თქმა, რადგან რასაც ფიქრობდა, ამისთვის სრულიად არ იყო სავალდებულო კომუნისტობა... ბაჩანამ ღრმად ჩაისუნთქა. მინდა, რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში, – თქვა მან და დაჯდა... ასე შეიყვანა პარტიაში დუმბაძემ ბაჩანა რამიშვილი.

ამ რომანის ავტორი კი არ დაისაჯა, არამედ დანინაურდა. ხოლო მისი რომანი ახალ-ახალ უცხო ენებზე ითარგმნება. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით, ალბათ, მომავალში ბევრი რამ დაინერება. როგორც დღემდე ინერება სააკაძის შესახებ. მე კი, ჩემი მხრივ, წერილის მეორე ნაწილში ვცდი, კითხვაზე ისეთი პასუხი გავცე, როგორ-საც შეეძლება.

შემდეგ ბაჩანას ვხედავთ, როგორც გაზეთის რედაქტორს. იგი ცეკას წევრია და მას მთელი საქართველო იცნობს ტელევიზორის მეოხებით. ერთ დღეს თავის კაბინეტში ზის და ათვალთვლებს ხვალ გამოსაქვეყნებელ ფელეტონს. საქმე შეეხება ბენვეულის კომბინატის გამგის, ვინმე სანდრო მალაფერიძის თვითნებობას, თაღლითობას და გარყვნილებას. ეს მალაფერიძე შემოდის და ურცხვი თავხედობით მოითხოვს, რომ ფელეტონი არ დაიბეჭდოს... გაუფრთხილდით თქვენს ახალგაზრდა ავტორიტეტს, სკამი რომელზედაც ზიხართ, არც ისე მძიმეა... მოსინჯული მაქვს მე მისი სიმძიმე... – მოხსნას ხომ არ მიპირებთ? – როგორ გეკადრებათ, უბრალოდ მინდოდა გამეფრთხილებინეთ, რომ იმ კაცს, რომელიც ზემდგომ ორგანოებში კურირებას (მფარველობას მ.ქ.) უწევს ჩემს წარმოებას, ვაითუ, არ ესიამოვნოს... ნაკითხვა... – სულ ტყუილად კარგავთ დროს, ბატონო სანდრო... ფელეტონი უნდა ამოიღოთ... – არ გამოვა... – ისეთი კაცი დაგირეკავთ, რომ გამოვა! – მამალმერთმა რომ დამირეკოს, არ გამოვა... – სახელმწიფო, ბატონო ბაჩანა, ჩემისთანა და თქვენისთანა ადამიანებისაგან შედგება და ერთმანეთს თუ არ ამოუვლეკით მხარში, დაინგრევა სახელმწიფო... ბაჩანას აგოებდა ამ კაცის თავდაჯერებული ღიმილი... – თუ თქვენ მხარში ამოდგომა თაღლითობა და ფულის აღებმცემობა გგონიათ, ცდებით... ყველაფერი ფულზე არ იყიდება... არსებობს ერთი — მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც ყველა დანარჩენის ფასი კაპიკია. – მაინც რა არის ეს მეექვსე გრძნობა? ფული, ბატონო ბაჩანა, ფული, — შემზარავი, დამცინავი ღიმილით უპასუხა მალაფერიძემ. – მიუხედავად ამისა, ეს ფელეტონი ხვალ გაზეთში იქნება და რეაგირებისათვის სათანადო ორგანოებს გაეგზავნება. – და პასუხსაც დაელოდებით არა? დიახ! – როგორ მეცოდებით, ბატონო ბაჩანა... ბაჩანას უნდოდა ეყვირა, გაეთრიეო, მაგრამ ვერ მოასწრო. მალაფერიძემ კარი გაიხურა. ასეთია დიალოგი კომბინატის მმართველსა და გაზეთის რედაქტორს შორის. ორივე კომუნისტი.

კარგა ხნის შემდეგ ბაჩანა ისევ ხვდება ამ კაცს. იგი უტიფარი ირონიით მადლობას ეუბნება ბაჩანას – თქვენმა ფელეტონმა სახელი გამითქვაო. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითაა. ფელეტონს შედეგი მოჰყოლია: კომბინატის შენობა „დამწვარა“ (ცხადია, კვალის გაქრობის მიზნით), მალაფერიძის მფარველი პენსიაზე გასულა და ახალი

„საქმე“ წამოუნყიათ, ისევე იმ მფარველის მონაწილეობით. ახლა რესტორნების ქსელი დაუარსებიათ. ბაჩანას მეორედ შეხვედრა ამ კაცთან ცხარე კონფლიქტით დასრულდა და მალაფერიძე უკვე საზიზღარ პირად შურისძიებას მიმართავს. ბაჩანას მოსდის ანონიმური წერილი და დახელოვნებულ ფოტოგრაფის მიერ დამზადებული, მაგრამ ყალბი პორნოგრაფიული ფოტოები. ისინი შეეხება ბაჩანას ინტიმურ ცხოვრებაში გაჩენილ ქალს, რომელთანაც ბაჩანას უღრმესი გრძნობები აკავშირებს. აქ, რომანში, რთული ფსიქოლოგიური პასაჟია... ეს ამბავი ღრმად შეძრავს უაღრესად მგრძნობიარე და ნაზი სულის პატრონ ბაჩანას.

ამის შემდეგ მოთხრობილია, რამ შეამთხვია ინფარქტი მას. ბაჩანას მივლინებაში ყოფნის დროს მისმა თანამშრომელმა, რომელიც მისი სტუდენტობის ამხანაგი და მეგობარი იყო, ქრთამი აიღო. სკანდალის გამო მოწვეულ პარტკომის კრებაზე ინფორმაციას იძლევა საქმის გამხსნელი პოლიციელი. ბაჩანას მიერ დასმულ დაჟინებითი შეკითხვებიდან ირკვევა, რომ პოლიციას ქრთამის აღებაზე უადრეს სცნობა ქრთამის მიმცემის დანაშაული, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავე დაეჭირა, პოლიციასვე მიუგზავნია გაზეთის თანამშრომელთან მის საცდუნებლად. ეს ცდა სამჯერ გამეორებულია და ბოლოს თანამშრომელი ცდუნებას დაუძლევა.

ორი თვის წინათ მიიღეთ სიგნალი და ახლა მეუბნებით ამას, ამხანაგო ხელაია? – ჩვენ სიგნალის სისწორეს ვამონწმებდით... შეიძლება არასწორი ყოფილიყო და უხერხულ მდგომარეობაში ჩავყარდებოდით. – აბა, ის ჯობია, ახლა ციხეში რომ ზის კაცი... თქვენ რა გაინტერესებთ, ამხანაგო ხელაია? კაცმა ქრთამი რომ არ აიღოს, თუ როგორმე დაიჭიროთ ეს კაცი? შემდეგ აღწერილია საზიზღარი სცენა, რომელიც საბჭოეთში გამეფებულ დაბალ ზნეობას ახასიათებს. სიტყვას იღებს ბაჩანას მოადგილე, ბაჩანასი და დატუსაღებულის სტუდენტობის მეგობარი. იგი ამბობს, რომ მექრთამე წულაძე რამიშვილმა მოიყვანა რედაქციაში ყოველგვარი დამსახურების გარეშე. იგი მას მფარველობდა და რაც მოხდა, ამაში თვით რამიშვილს აკისრია პასუხისმგებლობა და სხვა. ბაჩანას გაახსენდა, როგორ მეგობრობდნენ ის, მისი მოადგილე და წულაძე, სტუდენტობისას როგორ იყოფდნენ საქმელს, პაპიროსს, როგორ უყვარდათ სამივეს ერთი გოგო... ბაჩანას ტირილი მოუნდა... ბოლო სიტყვა ბაჩანამ აიღო. მან განაცხადა, რომ მთელ პასუხისმგებლობას თვითონვე კისრულობს, რომ მართალია მისი მოადგილე. ბაჩანას ბრალია, თუ მან კეთილისმყოფელი გავლენა ვერ მოახდინა წულაძეზე. ბაჩანა დაჯდა და მდივანს წყალი სთხოვა. ტკივილი მარჯვენა მხარიდან დაეწყო. მარცხენა ძუძუს ქვეშ გაჩერდა... გული გაჩერდა.

ბაჩანა საავადმყოფოშია. მასთან პალატაში წევან მასავით ინფრაკით დაევადებული მღვდელი მამა იორამ კანდელაკი და ვერელი მეჯღანე მეტსახელად ბულიკა. ეს, ჩვენი დროის „მიხაილოვსკაია ბალნიცა“ – რომანში „რესპუბლიკური საავადმყოფო“. ავტორი ამბობს: პალატა სამსანოლიანი იყო შიგ... ახლადმორეცხილი იატაკის და... შარდის სუნი იდგა. სული რომ არ შეხუთოვდა, ბაჩანამ ძალიან ფრთხილად საბანი ცხვირზე წაიფარაო.

მარდის სუნზე რომ არაფერი ვთქვათ, ნესტიანი ახლადმორეცხილი იატაკი იმას ნიშნავს, რომ იგი ჯერ კიდევ შიშველი ფიცრისა ყოფილა და კიდევ ერთი სურათი: ბულიკას სანროლის ქვემიდან ვირთხა გამოძვრა. ცხვირი მაღლა ასწია, ჰაერი დაყნოსა და უღვავები ააცმაცუნა. — გამობრძანდა, — თქვა მამა იორამმა, — მარტოა თუ შემადგენლობით? — იკითხა ბულიკამ. — ჯერ მარტოა, — უპასუხა მღვდელმა.

აქ ერთი შეუსაბამობა და გაუგებრობაა: ცუკას ნევრსა და გაზეთის რედაქტორ ბაჩანას ასეთ სამკუნალოში როგორ მოათავსებდნენ — ისიც მღვდლისა და მეჯღანეს გვერდით. ცხადია, ეს ხელოვნური სცენა ავტორმა შექმნა, რომ პროპაგანდის მიერ გალამაზებულ ფასადისათვის ფარდა აეხადა და კულისები გამოეჩინა. ხოლო რაც მამა იორამსა და ბულიკას შეეხება, ვინმე წესიერს და არა გაიძვერას ხომ უნდა შეხვედროდა მისი ცხოვრების გზაზე ბაჩანა. და მართლაც, ესენი არიან, ვისთანაც ბაჩანას აღმოაჩნდა საკვირველი მორალური, სულიერი, უბრალოდ ადამიანური ერთობა და ცხოვრებითი პრობლემებისადმი შეთანხმებული მიდგომა. რომანში, რომელიც მონინავე ინტელიგენტ კომუნისტის ცხოვრებას გვაცნობს, მასთან ყველაზე უფრო დაახლოებული პიროვნება მამა იორამია და შემდეგ ბულიკა — რამდენადაც მასთან ინტელექტუალური განსხვავება ამის საშუალებას იძლეოდა.

როგორ მოხდა ორთაჭალის სამწყსოს მოძღვარი — იორამ კანდელაკი სამკურნალოში? ეს ინფარქტი რიგით მეორე იყო. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პირველი მას „დეკამერონის“, ხოლო მეორე ბალთაზარ კოსას ბიოგრაფიის კითხვის დროს დაემართაო, ამბობს ავტორი.

1970 წელს საფრანგეთში ოთხმოცდაათი წლის ჰასაკში გარდაცვლილმა ემიგრანტმა — საურმაგ ამირეჯიბმა ანდერძით ორთაჭალის ეკლესიას შესწირა ვახტანგ გორგასლის მიერ თავისი დისათვის ნაჩუქარი ჯვარი, რომელიც პარიზელ ექსპერტს ორას ორმოცდაათი ათას დოლარად შეუფასებია. ამირეჯიბის შთამომავალმა — ქეთევან ანდრონიკაშვილმა პაპის ცხედარი საქართველოში ჩამოასვენა და ორთაჭალის ეკლესიის სასაფლაოს მიაბარა, ხოლო ჯვარი მამა იორამს გადასცა. ჯვარმა ეკლესიას სახელი გაუთქვა და მამა იორამს სეიფში დაცული რელიკვია ყოველ წლის მარიამობას გამოჰქონდა, რომ მლოცველები მთხვეოდნენ მას. ერთ დღეს დიაკვანი — აბელ არჯევანიძე, არყით გამოღეშილი ეწვია იორამს სენაკში. პრივეტ, იორამშიკ, — მიმართა მღვდელს, მერე თავისი ჩაჩი და სტიქარი დაანარცხა იატაკზე, გულზე დაკიდებული ჯვარი მოიხსნა, მღვდელს კალთაში ჩაუგდო და გადაიხარხარა. — განვედ ჩემგან, სატანავ, — ნაიჩურჩულა იორამმა. ახლავე, — დაჰპირდა არჯევანიძე და მთელი საქრისტიანო ანათემას გადასცა... სცენა, კარებისკენ მიმავალ მოლიღინე დიაკვნის სიმღერით სრულდება: „ანშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია, ვისაც რომა ლვინო მაუგონია“.

ამჯერად მამა იორამი მხოლოდ გულმუნუხებული იპოვეს თავის სენაკში. ინფარქტი უფრო გვიან, 1973 წლის მარიამობის წინა საღამოს მოუვიდა, „როდესაც სასოებით გახსნა სეიფი და ჯვრის ნაცვლად წითელი ბოლოკი დახვდა“. არჯევანიძე დაატუსაღეს, მაგრამ მოუხდავად მისი უეცარი გამდიდრების ფაქტისა, მას ვერაფერი დაუმტკიცეს.

„მეორე ინფარქტი, რომლის გამოც იგი ახლა ბაჩანას გვერდით იწვა... ზუსტად ორი თვის წინ დაემართა, ერთი დიდად სახელგანთქმული კაცის ოჯახში, როდესაც იგი ამ კაცის გარდაცვლილი სიმამრის წესის ასაგებად მიიწვიეს ღამის პირველ საათზე არალეგალურად... მას გული სწორედ მაშინ გაუჩერდა, როდესაც კარი გაუღეს და ჭიბამდე დეკორირებული დიასახლისის ყელზე გორგასლის დაის... ზურმუხტით განყობილი ოქროს ჯვარი დაინახა“.

ერთ დღეს მამა იორამთან ვილაც მნახველი მოვიდა. ავტორი ამბობს: ბაჩანა მის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ იორამის გამომეტყველებების მიხედვით ხედებოდა, რომ მღვდელს თავზე მკვლეელი და ავაზაკი ადგა. მნახველი იორამს ეუბნება: თქვენს მეგობრებს, რომლებმაც იმ ღამეს სიყვილს გადაგარჩინეს, ძალიან ეამებათ, თუ მათ გეარსა და სახელს დაიუიწყებთო. ჯვარი? — ჰკითხა იორამმა. — მისამართიც, მამაო, — უპასუხა მოსულმა... ჩვენი ხელმეორედ შეხვედრა არ იუარვებს, მამაო! — უთხრა მნახველმა.

ბაჩანამ ყველაფერი გაიგონა. იგი მამა იორამის თავგადასავალს ჯერ არ იცნობდა, მაგრამ მინც მოისურვა კაცის სახე დაემახსოვრებინა. ახალგაზრდაც, ერთი აქეთ გამოიხედეთ, — სთხოვა მან. — ბატონო? — იკითხა ნაშვლელმა. ბაჩანა განცვიფრებული მიაშტერდა ნაშვლელს. მას სახე არ გააჩნდა... უსახო იყო აბსოლუტურად უსახო... ბაჩანამ თვალები დახუჭა და ასე სცადა სახის დამახსოვრება... არაფერი გამოუვიდა. კვლავ გაახილა თვალი, მაგრამ უსახო კაცი პალატაში აღარ იყო... ერთი რამ კი მოხდა, სასწაულისმაგვარი. მამა იორამს მართლა დაეიწყა... სახელიცა და გვარიც. რა ღონე არ იხმარა ბაჩანამ... მაგრამ... დაეიწყა და მორჩა.

ძალიან ძნელია, მწერალმა უფრო დიდი ოსტატობით შეძლოს თქმა სათქმელისა. ესე იგი, მკითხველს აგრძნობინოს და თვალნათლივ დაანახოს ის კომმარული ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობს საბჭოელი მოქალაქე — ის შიშით მოცული სამყარო, სადაც ხელისუფლების დიდი ბობოლა ხელუხლებელია, რაგინდ დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. ისიც შევნიშნოთ, რომ ამ საქმეში ერთ მხარეზე არიან: დიდი ბობოლა, მისი მეუღლე, გაათვისტებული ლოთი დიაკვანი და იმ დიდი ბობოლას მოციქული „უსახო“ კაცი, ხოლო მეორე მხარეზე — მათი მსხვერპლი მამა იორამი, ემიგრანტი ამირეჯიბი და მისი შვილიშვილი ქეთევან ანდრონიკაშვილი, ხოლო ვის მხარეზეა მორალი?

რომანში, ცხადია, ბაჩანასთან მოსულ მნახველებსაც ვხედავთ. აქ მხოლოდ ერთი გავიცნოთ. ეს გახლავთ აფხაზეთის თამბაქოს დამზადების უფროსი — ნუგზარ დარახველიძე. ამ კაცს თურმე რევიზია სწევია (რაც ოცი წლის მანძილზე პირველად მომხდარა) და დიდი თანხების გადამაღვა აღმოუჩენია. ამ ბოროტმოქმედების მიჩქმალვაში დახმარებას სთხოვს ბაჩანას. სულ რამდენი მილიონია? — ეკითხება ბაჩანა. გაფლანგვა თუ გასაღება? — ორივე. ბევრი მილიონია. — მაინც? — რომ გითხრათ, შეგეშინდებათ, — არ გაამხილა დარახველიძემ შემოსავალი... დარახველიძემ ორი კონვერტი ამოუღო ბაჩანას ბალიშის ქვეშ. ეს ერთი კონვერტი თქვენია და მეორე, ვინც თქვენ გაგებარდებათ... რამდენია აქ, — ჰკითხა უცებ. დარახველიძეს თვალებში მზე ჩაესვენა. — მილიონ-ნახევარი, — თქვა ხმის კანკალით. ბაჩანა დიდხანს ფიქრობდა... ბატონო

ნუგზარ, ჩემი სანოლის ქვეშ ღამის ქოთანია, ძალიან გამიჭირდა, თუ არ შენუხდებოდა, მომანოდებოდა. დარახველიძე შეეყოყმანდა. – ნუ გეშინიათ სუფთაა, უთხრა ბაჩანამ... მონრდებულ ქოთანს მოღერებულ ყელში მოკიდა ხელი... და დარახველიძეს თავზე დაამსხვრია. ცარიელი იყო? – იკითხა ბულიკამ. ცარიელი იყო, — უპასუხა ბაჩანამ. აფსუს! — თქვა მამა იორამმა.

მსგავსი ამბები მრავლადაა რომანში – ზოგი გრძელი, ზოგი მოკლე. მათი მეოხებით ვიცით, თუ რომელი პოსტი რამდენად ფასობს, რადგან პოსტები იყიდება. ყველაფრის აქ მოთხრობა შეუძლებელია. გავეცნოთ საინტერესო და მნიშვნელოვან მხარეს რომანისა. ეს არის ბაჩანასა და მამა იორამის ურთიერთდამოკიდებულება. კომუნისტი ბაჩანა და ანტიკომუნისტი მღვდელი, ცხადია, კამათობენ, მაგრამ ავტორს მათი კამათი ნახევრად სახუმარო ტონით აქვს მოცემული (ამგვარ ტონს, ზოგჯერ ვირემმაკული, ვითომ გულუბრყვილო ხერხის გამოყენებას, დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოურ მწერლობაში – პირდაპირ თქმის შეუძლებლობისა გამო). ამ კამათში არცერთმა არ უნდა დაჯაბნოს მოპირდაპირე, მაგრამ ამ ვითომ ხუმრობით, თუ დაუეკვირდებით, უმწეო მდგომარეობაში აგდებს ბაჩანას ავტორი. ...მე კომუნისტის სამოთხე უნდა ვნახო რა არის, უპარტიო ვარ, მაგრამ თქვენი პროტექციით ხომ მიმიღებენ, — ამბობს მეგლანე ბულიკა. – მიბრძანდით, ჩვენ ისეთი კეთილი ხალხი ვართ, მამა იორამსაც მივიღებთ. – მაგ სამოთხის იმიტაციაში თქვენ მიბრძანდით, მე ჩემი სულის აღსრულებას დაველოდებთ, თქვენი ზენიტი ძალიან მიწიერია. რომ მიაღწევთ, იქით რაღა გექნებათ ნეტავ. – რომ მივალთ, გამოჩნდება. – რომ არ გამოჩნდეს? – იორამ ბატონო, რამდენი წლისაა თქვენი რელიგია? – ორი ათასის! — ამაყად უპასუხა მღვდელმა. – ჩემი რელიგია ჯერ ასე წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს, თქვენ რელიგიას არც კი დასიზმრებია. ჩვენც რომ ორი ათასი წლისა გავხდებით, მერე გადმოგვხედეთ თქვენი ზენიტიდან, — მამა იორამი კედლისკენ მიბრუნდა. – რას აძლევს თქვენი რელიგია ხალხს, არ მოეშვა ბაჩანა. – სულიერ საზრდოს, — თქვა ზურგმუქცევით მოძღვარმა. – თქვენი? შეუბრუნა უცებ კითხვა. – ჩვენ ორივეს, ოღონდ ჯერ მატერიალურს, მერე სულიერს. ზენიტისაკენ მიმავალ კაცს საგზლად პური და ყველი, კარაქი, კარტოფილი, პამიდორი და ხორცი სჭირდება. – მერე სად არის ხორცი? – ეგ ხომ კამათი არ არის, მამაო! ხორცი დღეს არ არის, ხვალ იქნება. – ჩემი რელიგია ჭამას და ხორცის წარმოებას არ უკრძალავს ხალხს, მე ცოტა უხერხულადაც მიმანია, რომ ნიკოლოზის დროს ხალხს მეტი ხორცი ჰქონდა, ვიდრე დღეს, — თქვა მღვდელმა. – ნიკოლოზის დროს მსოფლიო ნახევარი მილიარდი იყო, მამაო, ახლა კი ოთხი მილიარდია, — უპასუხა ბაჩანამ. – აფსუს, რა ტყუილუბრალოდ დავანებეთ თავი ადამიანებმა ერთმანეთის ჭამას. ახლა ხორციც ბლომად გვექნებოდა და ხალხიც ნაკლები იქნებოდა, — თქვა ბულიკამ. – აი, ასეთ ცინიკოსებად აქცია ხალხი თქვენმა რელიგიამ, — თქვა მამა იორამმა და ბულიკასკენ გაიშვირა ხელი... ბულიკამ პირი გააღო რალაცის სათქმელად, მაგრამ სასწრაფოდ დახურა, მისი სანოლის ქვეშიდან ვირთხა გამობრძანდა თავისი ჯალაბით და შუა პალატაში დაეკუცქდა.

როგორ! ნოდარ დუმბაძემ როცა ეს საუბარი შეთხზა, არ იცოდა, რა ფიქრებს აღუძრავდა მკითხველს? დედამიწის მოსახლეობის გამრავლების აბსურდულ არგუმენტზე რომ მეჯღანეს გააცემინა პასუხი, არ იცოდა ვის აპამულებდა? და განა საბჭოთა მკითხველებმა არ იციან, რომ რელიგიას სანოვავის ნარმოებასთან საერთო არაფერი აქვს და რომ იგი უმთავრესად ადამიანის ცუდ მიდრეკილებათა შეპოჭვაზე და კეთილთა განვითარებაზე ზრუნავს? და რომ, თუ ამ სარბიელზე რელიგიას ორი ათასი წლის შემდეგ კიდევ პირველი როლი ენიჭება, ეს რელიგიის ტრიუმფია? ხოლო მატერიალისტურ დოქტრინის დამცველი ბაჩანა რომ ორი ათას წელიწადს მოითხოვს შედეგების საჩვენებლად ეს გაკოტრება არ არის? და ეს ვირთხა, რომლის გამოძრომითაც ბოლოვდება რომანის ეს პარაგრაფი, თითქოს იმიტომ გამოაძვრინა ავტორმა, რომ ეთქვა: სამოცი წლის განმავლობაში თუ ვირთხები ვერ მოვაშორეთ საყაფემყოფოს, კომუნისტურ სამოთხის ასაშენებლად ორიათასი წელიწადი არც ისე ბევრიაო.

კომუნისტურ იდეოლოგიასთან ბაჩანას დამოკიდებულებაზე არა ნაკლებ ნიშანდობლივია მისი დამოკიდებულება რელიგიასთან და ღმერთთან. რომანში მრავალი ადგილია, ამ საკითხს რომ ეხება და ავტორი არსად ათეისტად არ გვევლინება, პირიქით ამკარად რელიგიურობას უჭერს მხარს. მაგალითად, შეენაბადას ეკლესიასთან შეხვედრილ გლეხს ავტორი ათქმევინებს: კაცი რომ სხვის სალოცავს დაანგრევს, თავისი სალოცავი იმაზე მაღალი, იმაზე მედგარი და იმაზე ლამაზი უნდა ააგოსო. იმავე ეკლესიაში მუხლებზე მდგარ და ღვთისმშობლის წინაშე მლოცველ მარიამის უკან ბაჩანა დგას და როცა მარიამმა ვედრება დაასრულა, ბაჩანამ მარიამის მიერ ანთებული სამი სანთლის ქვეშ და გლეხის მიერ დადებული სამმანეთიანის გვერდით ათი მანეთი დადო, ამბობს ავტორი. ასევე ათეისტობიდან გამიჯენის სურათია, როცა ბაჩანა ეკლესიის კედელზე აღმოაჩინეს „კომკავშირელ ათეისტის“ ხელმოწერილ ლექსს: „უცხოვირპირო და უთვალო, როგორ გინამო, უფალო“, რომელსაც მიწერილი აქვს „იესოს“ მიერ ხელმოწერილი პასუხი: „კომკავშირელო თუ არ გნამს, სახარება და ღმერთიო, ამ სიმალლეზე მეორედ, გთხოვ, აღარ ამოეთრიო“. ამაზე ავტორი შენიშნავს, ბაჩანას ხმამაღლა გაეცინა, უფალი ამკარად ჩაგრავდა შირობაში ათეისტსო.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე სიზმრები, რომლებსაც ბაჩანა ხედავს. ეს სიზმრები ისეთნი არიან, რომელთა დასიზმრება ყოველ ღრმა მორწმუნეს მოეწატრება. პირველ სიზმარს ოთხი გვერდი აქვს დათმობილი. ბაჩანა იესოს ელაპარაკება. საუბარი თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა. აი, მისი დაბოლოება: ბაჩანა ეუბნება იესოს: „გიხილე და გინამე“ და პასუხი: „და რქვა მას იესომ: რამეთუ მიხილე და გრწამ. ნეტარ არიან, რომელთა არა უხილაე და ეპრწმუნე“. მეორე სიზმარი, რომელსაც სამი გვერდი უკავია, „ქრისტიანული“ არ არის. იგი „წარმართულია“. ბაჩანას მზე ესიზმრება და იმასთან საუბრობს, მაგრამ მარტო არ არის, ბულიკა და იორამიც არიან. აი, ერთი ადგილი: ბულიკა ეუბნება მზეს, წამიყვანე შენთან, არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლეო. და შეძრწუნებულმა ბაჩანამ და იორამმა დაინახეს, როგორ გალღვა ბულიკა და როგორ შეცურდა მზესთან ერთად ცისარტყელის შვიდფეოვან შარავანდელშიო. ეს სიზ-

მრები ბაჩანამ, ცხადია, იორამს უამბო. პირველმა სიზმარმა იორამი დაარწმუნა, რომ ბაჩანა ღვთის კაცია. როცა ბაჩანამ უამბო, მკვდრეთით აღმადგინა, უდაბნოში წვიმად მომიყვანა, უდაბნო ოაზისად აქცია, მე — მძლავრ მუხად იმ ოაზისში და სიცოცხლის საგალობელი მამლერაო, ღმერთი ჩემი, უფალი ჩემიო, აღმოხდა მამა იორამს. ურწმუნო თომას ეს სიტყვები მეც აღმომხდა, მამაო, ყველაფერი რომ ჩემი თვალით ვიხილე, — გაელიმა ბაჩანას. და არ ინამე? სიზმარში კი ჩაუფვარდი მუხლებში, მაგრამ თვალი რომ გავახილე და ისევ თქვენ და ბულიკა დაგინახეთ, — რალაც ეჭვმა შემიპყრო. ნუთუ ვერ გრძნობ ამაღლებას, — გაფითრდა იორამი... მეორე სიზმარს როცა უამბობდა, მთელი საათი უგდებდა ყურს მამა იორამი... ღვთიური სიზმარი გინახავთ, ბატონო ბაჩანა. — ეს უკვე მეორედ, თავი დაუქნია ბაჩანამ... მამა იორამი ისევ სდუმდა. უცებ ნამოიჭრა ლოგინიდან და ბულიკას სანოლს მიუახლოვდა... სიზმარი აგინდათ, ბატონო ბაჩანა... მზე გარდაიცვალა. ბულიკა მკვდარი იყო. ბაჩანამ თავზე საბანი გადაიფარა, პირქვე დაემხო და რომ არ ებღაუღა, ბალიშის ყური ჩაიჩარა პირში.

ნეტა როგორ ახსნეს ქართველმა კრიტიკოსებმა, ღუმბაძემ რომ ასეთი სიზმრები დაასიზმრა ბაჩანას.

იორამი და ბაჩანა მომჯობინდნენ. მათი განერის დროც დადგა. პირველად იორამი განერეს — ორშაბათს, მაგრამ მან კიდევ ერთი დღე დარჩენა ისურვა. ეს ღამე სამუდამოდ სამახსოვროდ დარჩა ბაჩანასათვის. შუალამისას იორამი ფეხაკრეფით მიუახლოვდა ბაჩანას ლოგინს. ბაჩანას არ ეძინა, მაგრამ თავი მოიძძინარა. იორამი ჯერ დარწმუნდა, რომ მის მეგობარს ეძინა. მერე მის ახლოს დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო: მამაო ღმერთო... აჰა, მონა თქვენი ბაჩანა რამიშვილი წევს თქვენ წინაშე... თავად არ უწყის, რომ არს ძე თქვენი... ნუ უწყენთ, თუ ქმნის საქმესა თქვენსას სხვისა სახელით... რომ ღმერთი, რომელიც მან ინამა, თქვენს წიაღშია. ღმერთო ძლიერო, გადააფარე მფარველი კალთა... რამეთუ რაც უფრო მეტს დაჰყოფს იგი ქვეყანაზე, მით უფრო მეტ სათნოებას და სიკეთეს დასთესს... ძლიერი არს უფალი და ჭაბუკი ღმერთი, რომელსაც იგი ემსახურება, რამეთუ შეუძლებელია, რწმენა იმ საქმისა, რომელსაც შესდგომია იგი ღვთიური ძალის გარეშე. და თუ მაინც განწირული გაყავს... მიიღე სული ჩემი და ხორცი ჩემი მისი სულისა და ხორცის სანაცვლოდ, რამეთუ ვერ შევძელ დათრგუნვა მასში სხვა ღმერთისა და შემოქცევად შენდა. იორამი წამოდგა და პატარა ჯვარი ამოუდო ბაჩანას სასთუმალქვეშ... დილით რომ ბაჩანამ გაიღვიძა, იორამი წასულიყო.

რომანის ამ ადგილს რომ გავცილდი, ვხედავდი — ოთხიოდე გვერდილა რჩებოდა წასაკითხავი და მომაგონდა, რომ ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარევიყავ, რატომ ერქვა რომანს „მარადისობის კანონი“. ამის ახსნა მხოლოდ ბოლოშია.

ბაჩანა იორამის შემდეგ ერთი კვირის თავზე განერეს. წასვლის წინ თავის გადამრჩენელ პროფესორ ნოდარ ანთელავასთან მივიდა გამოსამშვიდობებლად და მადლობის სათქმელად. აქ ერთი ეპიზოდია, ბაჩანას ჭარბი გრძნობიერების მაჩვენებელი. პროფესორს ხელოვნური გულის მოდელეები ეწყო მაგიდაზე და ათვალეირებდა. ბაჩანამ რომ

ეს დაინახა, ცუდად შეიქმნა და ვალერიანის წვეთებით მოასულიერა პროფესორმა. ბაჩანამ გრძელ საუბარში, მადლობა გადაუხადა პროფესორის მისდამი გამოჩენილ გულსხიერებისათვის. მიიწვინა დაგილოცოთ ოქროს ხელებით და საუბრის ბოლოს უთხრა: ეს ორი თვე ჩემთვის განსაცვიფრებელ აღმოჩენების დრო იყო. ისეთი რა აღმოაჩინეთო, ჰკითხა ანთელავამ. მარადისობის კანონიო. პროფესორის გაეცინა და უთხრა: ალბათ, ამ კანონს ფორმულაცა აქვს, გამანდეთ, ავტორობაში არ შეგეცილებითო, გაეხუმრა პროფესორი. ბაჩანამ აუხსნა – ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, – იმდენად, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ... ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკედაყოთ ერთმანეთის სული, თქვენ ჩემი, მე – სხვისი... და ასე დაუსაბამოდ. რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობდეთ – მარტონი არ დაერჩეთო. ძალიან რთული კანონი აღმოგიჩენიათ, ბატონო ბაჩანა, – შენიშნა პროფესორმა. ამიტომ დაურქმევია ნოდარ დუმბაძეს თავის რომანისათვის „მარადისობის კანონი“.

ამ აღმოჩენამ კმაყოფილების ნაცულად ძლიერ დამაღონა – მშვენიერი რომანის ნაკითხვის დასასრულს საკმაოდ მნიშვნელოვან სუსტ ადგილს რომ ნაფანყვი. გარნა სათაურის არჩევის ახსნა არადამაკმაყოფილებელია. და ამის გამო სათაური არც მხვედრია, არც ლაზათიანი. ღმერთო, შეგცოდე – როგორც იტყვიან – და მე ეს მოვლენა იმას მივანერე, რომ ვიფიქრე, ნოდარ დუმბაძეს არც ფილოლოგიური, არც ფილოსოფიური განათლება არა აქვს და სათაურის არჩევის პრობლემა ვერ დასძლია-მეთქი. რა უნდა მეღონა, კითხვა განვაგრძე. ერთი გვერდი-ღა იყო დარჩენილი...

„ბაჩანამ მის ნასაყვანად მოსული მანქანა გაუშვა და ფეხით გააყვა პლენანოვის პროსპექტს. ...პლენანოვიდან მარჯანიშვილის ქუჩაზე შეუხვია... მარჯანიშვილის თეატრთან შეჩერდა, აფიშა ნაიკითხა. თეატრი... სეზონს იწყებდა ახალი სპექტაკლის პრემიერით „წმინდანები ჯოჯოხეთში“ პიესა მისი მეგობრისა იყო. ბაჩანას რაღაც გაუღელვებდა მკერდში და სხეულში მაცოცხლებელმა სითბომ დაუარა – წმინდანები ჯოჯოხეთში – გაიმეორა მან თავისთვის და გაელიმა. ვერის ხიდან დალილობა იგრძნო, მაგრამ ავადმყოფური და შემანუხებელი კი არა, რაღაც უცნაური, საამო დალილობა. ბაჩანამ ტაქსი გააჩერა. – საით? – ჰკითხა მძღოლმა. – მარიამთან, – თქვა ბაჩანამ. ვისთან? – ჰკითხა გაკვირებულმა მძღოლმა. – მარიამთან!

ასე ბოლოვდება რომანი.

ეს უცნაური მოკლე, ცალკე გამოყოფილი პარაგრაფი, რომლითაც ბოლოვდება რომანი, მაგრამ უშუალოდ მოსდევს იმ თავს, რომლის ბოლოშიც მოცემულია ნოდარ დუმბაძესავით ოსტატ მწერლისათვის აშკარად შეუფერებელი ახსნა რომანის სათაურის მნიშვნელობისა – ეს არაფრისმთქმელი თავი რაღაცას ხომ უნდა ამბობდეს? რატომ „გაუღელვა რაღაც მკერდში ბაჩანას? რად გაელიმა, როცა თავისთვის გაიმეორა სიტყვები: „წმინდანები ჯოჯოხეთში“? რატომ იგრძნო „რაღაც უცნაური საამო დალილობა“? რისა თქმა სურდა ნოდარ დუმბაძეს, როცა ამ პარაგრაფს თხზავდა და მით აბოლოვებდა თავისი ცხოვრების რომანს? იქნებ ზოგი მკითხველი უკვე მიხვდა, მაგრამ

არა ყველა. ავტორი ამით ამბობს, რომ მის რომანს „წმინდანები ჯოჯოხეთში“ უნდა რქმეოდა და არა „მარადისობის კანონი“. ამიტომაც რომ ამ სათაურის ახსნას დამაჯერებლობა აკლია. აქ დუმბაძის ნიჭი კი არ მოიკოჭლებს, არამედ საქმე გვაქვს ბუნებრივ მოვლენასთან: გენიოს მწერალსაც არ შეუძლია დაგვაჯეროს ის, რაც თვითონ არ სჯერა. მართლაც, ისეთი ფაქიზი პატიოსანი, ნაზი და სპეტაკი სულის პატრონის მიერ გავლას ცხოვრების გზისა, როგორც ბაჩანამ გაიარა, ზედმინეწით არ შეჭყერის სახელად „წმინდანები ჯოჯოხეთში? ამას რომ ვამბობ, იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ეს მრავალთ დაინახეს, მაგრამ... ისიც კი არის შესაძლებელი, რომ ამის დამამტკიცებელი საბუთიც არსებობდეს – ან მწერლის არქივში ან პირადად ვინმესთან გამოთქმულ აღიარების სახით. და ბოლოს, სწორედ ასეთ სათაურს შეეფერება ნერილის დასაწყისში აღწერილი გაფორმება რომანის გარეკანისა.

აქამდე ჩვენ არ შევხებხვართ „რომანულ“ მხარეს ბაჩანას ცხოვრებისა. ქალს — სახელად მარიამს, რომელსაც ბაჩანას ცხოვრებაში ვხედავთ, იგი შემთხვევით შეხვდა. მარიამი ორმოციოდე წლის ქალია. ქმართან აღარ ცხოვრობს და ჰყავს ჩვიდმეტი წლის გოგონა მათა. მის წარსულს მკითხველი ბაჩანასთან ერთდროულად ეცნობა, რომანის დასასრულ ნაწილში – მარიამის წერილის შინაარსიდან. აი, მარიამის მოკლე აღსარება: პირველად მე გარდავიცვალე შიშით და აღვსდექი სიმარტოვეში. მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვით და აღვსდექი თვალთმაქცობაში. მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობით და აღვსდექი უდარდულობაში. მეოთხედ მე გარდავიცვალე უდარდულობით და აღვსდექი სიძულვილში. მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილში და აღვსდექი სიყვარულში. და ადგილი წერილიდან: ამ ოციოდე წლის წინ უღამაზესი და უნიჭიერესი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ცუდად გაზრდილი. ჩემს მშობლებს მილიონი ჰქონდათ და სულ იმაში დახარჯეს, რომ გავუბედურებინე. არავინ არასდროს მცველად არ მყოლია. არსად, არც სკოლაში, არც ქუჩაში და იმ ერთხელ, როდესაც ჩაუყუჩეკი იმ ჩემ „გამცილებლებს“ მანქანაში... მაშინ ნაიშალა ჩემი ცხოვრება და არარაობად იქცა სიცოცხლე ჩემი. მერე რაც მოხდა, ამის შესახებ არც ლაპარაკი შემიძლია დალაგებულად, არც — ნერა... დღეს პირველად ვყვები ღმერთისა და შენ წინაშე ამ ამბავს... ციგომბორის პირმოქცეულ ტყეში ჯვარზე გამაქრეს და ახლაც იქ ჰქიდა გადარუჯულ ხეზე ჩემი ჩამომხრჩვალი ყმანვილქალობა... მერე მე ძალიან ბევრი ვიცინე. ხელგამოღობილი როკით მოვყევი აქამდე გზას და უცებ შევდექი, ღმერთი გამახსენდა და პირჯვარი გადავიწერე. შენ წინა ვდგავარ ახლა ორთავე მუხლზე... ახლა ვხვდები, რომ შენკენ მოილტვოდა ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული და მე ვლოცავ იმ ჯოჯოხეთს, რადგან გზა შენკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო თურმე.

შეუძლებელია, რომ ბაჩანასი და დუმბაძის ბიოგრაფია ამ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდეს. თუ ნოდარ დუმბაძის ინტიმურ ცხოვრებაში ქალი არსებობდა, შეუძლებელია, იგი მარიამს ჰგვანებოდა. რადგან ინტიმურის გამომწვეურება და ისიც ამგვარის, „ქართული“ არ არის. ცოლის ქება აუგიაო, ამბობს ქართველი. დუმბაძე კი უაღრესად „ქართველი“ მწერალია. არსებობს, ცხადია, გამონაკლისებიც. მაგალითი-

სათვის: გუდიაშვილსა აქვს თავისი მეუღლის პორტრეტი, რომელიც წარმოგვიდგენს მნიფე ჰასაკის ქალს ხაზგასმულ სენსუალობით დახატულ, შიშველ მარცხენა ტუტით, მაგრამ ეს პორტრეტი „ქართელი“ მხატვრის დახატული არ არის, არამედ – პარიზის მხატვრული სკოლის მხატვრისა. უამისოდ გუდიაშვილი ამის დახატვას „ვერ გაბედავდა“. ნოდარ დუმბაძე კი არათუ პარიზულთან, რუსულ კულტურასთან კონტაქტის ჩვენებასაც კი გაურბის. მამასადამე, მარიამი ხელოვნურად შექმნილი პერსონაჟია.

და აქ ისმება კითხვა: ასეთ ნაზ, ფაქიზ, პატიოსან და ბავშვივით გულჩვილ კაცს (ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვხედავთ მას მტირალს), რატომ შურჩია ავტორმა ასეთი მონახევრე მისი ინტიმური ცხოვრებისა. ვისაც რომანი ნაკითხული აქვს, დამეთანხმება, რომ რომანის განვითარება ამას სრულებითაც არ მოითხოვდა. ეს რაღაც გარკვეული მიზეზით და მნიშვნელობით უნდა იყოს გაკეთებული. როგორც ერთ-ერთ შესაძლებელ ახსნას, შემდეგნაირად წარმოვიდგენდი: ნოდარ დუმბაძემ გვაჩვენა, თუ როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში გაიარა პატიოსანმა კაცმა — ბაჩანამ თავისი ცხოვრების გზა და ამასთანავე ვხედავთ, რომ მარტო ბაჩანასათვის კი არ არის გარემო ჯოჯოხეთური, არამედ ყველა პატიოსანი კაცისათვისაც იგივეა. მამასადამე, მის მეგობარ მარიამსაც უნდა გაეგო ამ ჯოჯოხეთში და აკი კიდევაც ამბობდა მარიამი: „შენკენ მოილტვოდა ჯოჯოხეთში გამოვლილი ჩემი სული“ და სხვაგან: „გზა შენკენ იმ ჯოჯოხეთზე იდო“. ხოლო იგი ქალია და ქალთა სქესის წარმომადგენელს სხვაგვარი ჯოჯოხეთის გავლა ხვდა წილად. მამასადამე, რაც ხდება, კანონზომიერია. ავტორის მიერ დახატულ სამყაროში ყველაფერი შელახულია, სინმინდე, მშვენება, თვით სისპეტაკეც!

თუ საგანს ამგვარად განვიხილავთ, იმასაც ვიგაძნობთ, რამდენად ძლიერი მწერალია ნ. დუმბაძე, რადგან აქ ძლიერი მხატვრული ხერხია გამოყენებული. ხოლო ვინც ამ მოსაზრებას გაიზიარებს და განავითარებს, მისი თვალთახედვის არეში სხვა სახეებიც გამოვლენ, ვით ბურუსიდან. მხედველობაში მაქვს „ჯაყოს ხიზნების“ ქალი პერსონაჟი — მარგო. ისიც ხომ იმიტომ გახდა მსხვერპლი მოძალადისა, რომ მას „პატრონმა“ ე.ი. ქმარმა ვერ მოუარა, ან ვერ დაიცვა. ხომ ისევე ცუდად მოუარეს მშობლებმა მარიამს. ასე რომ, საქართველოს უბედურების გარემოში, ბოლოს და ბოლოს მარიამი თანამედროვე მარგოა და შესაძლოა, ბაჩანას უკანასკნელი მოქმედება და პასუხი კითხვაზე „საითო“, „მარიამთან“. . . ესე იგი, მარიამთან დაბრუნება, მხოლოდ მარიამთან დაბრუნებას კი არა – საავადმყოფოს გარიყულობიდან ცხოვრებაში, იმ ჯოჯოხეთურ გარემოში დაბრუნებასაც გულისხმობს.

ამ თემის უფრო გაღრმავებას და შორს მიყოლას არ ვაპირობ. ამ წერილის მთავარი მიზანი ბაჩანას და მისი ორეულის — ნოდარ დუმბაძის კომუნიზტობის თავისებურების გამოვლენაა, მაგრამ მაინც საჭიროა, რამდენიმე სიტყვა ითქვას რომანის ლიტერატურული მხარის თაობაზე.

ნოდარ დუმბაძე სპეციალურად არ ეძებს მხატვრულ ვეექტებს, არც კაზმულსიტყვაობას. მგონი, თანამედროვე ქართველ რომანისტებში იგია ყველაზე ბუნებრივი ენის მხმარებელი, მაგრამ როცა სურს, მხატვრული ოსტატობის დიდ სიმაღლეს აღწე-

ეს. უპირველესად უნდა აღვნიშნო რომანის ის პასაჟი, ბაჩანას ახლგაზრდობის პატარა რომანს რომ წარმოადგენს. მხედველობაში მატებს სასადილოში მომუშავე თამარას ამბავი. ეს მოკლე, თხუთმეტ გვერდზე მოთავსებული მოთხრობა, რომანში რომ არ ითქვიფებოდეს, არამედ ცალკე ნოველის სახით იყოს წარმოდგენილი და დამუშავებული, ისეთი პატარა შედეგია, რომლის ავტორობას არ გაერიდებოდნენ, „ვერტერისა“ და „ბავშვობა ყრმობა და ჭაბუკობის“ ავტორები. (არ ვიცი, თუ ქართულად ასეთი სათაური აქვს ტოლსტოის ამ ნაწარმოებს). მეორე შენიშვნა ავტორის მწერლურ ოსტატობას შეეხება.

224-ე გვერდზე მეცხრამეტე თავისა, ავტორი მოწმედ გვხდის ძლიერ გაბედული ეროტიული სცენისა: ბაჩანა და მარიამი გაუკვალავ სპეტაკი თოვლით დაფარულ სამადლოს მინდორზე არიან... დიდხანს გორაობდნენ თოვლში... დაიქანცნენ... და... გულაღმა გადაცვივდნენ. მარიამს... მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, მკერდი გაღლოდა, ყორანივით შავი თმა გაშლოდა, თოვლზე გადაფენოდა... იგი ნადირისაგან დევნილ, ველზე გავარდნილ და დაცემულ შველს ჰგავდა. ბაჩანამ ვერ გაუძლო ცქერას. ნიჟარებივით პატარა, სიცვიისაგან გათოშილ ყურებზე ხელისგულები დააფარა და გავარვარებულ ტურბზე დააკვდა. ახლა ისინი... ყურს უგდებდნენ გადარეული გულების ბაგაბუგს. – ადექი, – თქვა უცებ მარიამმა და ბაჩანა ორივე ხელით მოიცილა მკერდიდან. – შებრუნდი, – უთხრა მარიამმა... როდესაც ბაჩანა კვლავ შემოტრიალდა... მარიამი დედიშობილა იდგა მის წინაშე... ანგელოზივით ღვთიური და დაუჯერებელი. ბაჩანამ თვალებზე აიფარა ხელი და როდესაც მოიშორა, მკლავებგაშლილი და თვალებდახუჭული მარიამი გულაღმა იწვა თოვლზე. ბაჩანა დაიროქა... ათრთოლებული ხელები ბეჭებქვეშ ამოუდო, მკერდი დაუკოცნა. – რას შერები, მარიამ, გაცივდები. – ორი წელია, ამ დღეს ველოდები... ახლა მზესთან ვწევარ, რა გამაცივებს, – თქვა მარიამმა და ბაჩანას ყელზე მოხვია ხელი... მერე მზე ამოვიდა ფხვად დედამინაზე...

ეს რომ რომელსაგან დასავლურ ენაზე წამეკითხა, დიდი არაფერი, მაგრამ საქართველოდან მოსულ, ჩემთვის უცნობ ნაწარმოებს ისეთი გრძნობით ვკითხულობ ხოლმე, თითქოს კიდევ ის ოცი წლის ბიჭი ვიყო, ორმოცდათვრამეტი წლის წინად საქართველო რომ დატოვა. ამიტომ შევიშმუშნე, რადგან მეჩოთირა. ამ ეროტიული სურათის აღწერით ბოლოვდება პირველი პარაგრაფი მეცხრამეტე თავისა და მოსდევს პანანინა ხუთსტრიქონიანი პარაგრაფი. აი, იგი მთლიანად: „ერთი საათის შემდეგ კოჯრის ინტერნატიდან მომავალი, ზურგზე ჩანთებგადაკიდებული გოგო და ბიჭი განცვიფრებულები შედგნენ სამადლოს თოვლიან მინდორთან. – შეხედე, ნათია, – თქვა ბიჭმა და მინდვრისაკენ ხელი გაიშვირა. სამადლოს ველზე თოვლი იწვოდა ლურჯი და გამჭვირვალე ალით“.

ამ პარაგრაფის დანიშნულებაზე დაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რადგან მყის მიმხვედრა იმ ზემოქმედებამ, რომელიც წაკითხულმა მოახდინა: ვიგრძენ, რომ ეროტიული სცენა გასპეტაკდა ჩემს შეგნებაში და აღარ მეჩოთირებოდა.

აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, ჯვრის ამბავში, ავტორი დიდი ხელოვნებით და გონიერებით იყენებს მეტაფიზიკას, სასურველი ეფექტის მოხდენის მიზნით.

დამაინყდა თავის ადგილას აღმენიშნა, რომ იმ ჯვრის ამბავში, ეროვნული საკითხიცაა თითქოს ხელშეხებული: „ჭიპამდე დეკოლტორებულ“ დასახლის ფიგურამ არ შეიძლება ქართველ მკითხველს მჟავანაძის რუსი მეუღლე არ მოაგონოს, ვისი სახელიც დაკავშირებული იყო რაღაც ძვირფასი სამკაულის ფარული გზით შექმნასთან, მაგრამ ეს თემა ავტორის მიერ განზრახვით აქცენტრებულია ვახტანგ გორგასლის დისეულ ჯვრის ვითომ არსებობის დამატებით.

* * *

წერილის წინა ნაწილში, მგონია, მკითხველმა დაინახა, თუ რამდენად არაკომუნისტურია კომუნისტ მწერლის ეს რომანი. როგორ უნდა აიხსნას, რომ ავტორის მდგომარეობას ამან არ ავნო, პირიქით, რომანის ავტორმა მწერლისათვის მისანდომ უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია. ამის ასახსნელად უპირველესად კომუნისტური იდეოლოგიის დღევანდელი მდგომარეობა უნდა გავარკვიოთ. – იქ მის ბუდეში და მის სათავეში — ესე იგი — მოსკოვში.

კომუნისტურ იდეოლოგიის რწმენა, როგორც ადამიანისათვის ბედნიერების მომტან საშუალებისა იმათთან ერთად მოკვდა, ვისაც ეს სწამდა. სასაცილოა, ვიფიქროთ, თითქოს დღევანდელი კადრი რუსეთის კომ. პარტიისა ვერ ხედავდეს იმას, რასაც ჩვენ ვხედავთ: კომუნისტურ იდეოლოგიის გაკოტრებას ეკონომიკურ სფეროში. მით უმეტეს, რომ ისინი თვითონ განიცდიან ამის მძიმე შედეგებს.

მაგრამ ეს იდეოლოგია არ მომკვდარა, რადგან მისი ცოცხლად შენახვა საჭიროა მმართველი კლასისათვის და... რუსული პატრიოტული ინტელიგენციისათვის. რატომ? იმიტომ რომ „საბჭოთა კავშირს დღეს განაგებს კოლექტიური ტირანია. ამ კოლექტიურობის მადლით ეს ტირანია უფრო მძლავრი, თეორიულად უვადო, მეთოდით და ფკუით მოწყობილი მმართველობაა, ვიდრე ოდესმე სხვა არსებულა სადმე. კომუნისტური იდეოლოგიის უკუგდებით ეს იერარქია უჭველად დაიმსხვრევა. და ყოველი მისი წევრი დაკარგავს მის მიერ დაკავებულ ადგილს და მოპოვებულ პრივილეგიებს. და თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ტირანთა რიცხვს, რომელიც რამდენსამე მილიონს უდრის, და იმასაც, თუ როგორ გამოანგარიშებულად უკავიათ მათ ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგის სამართი საქმეები, მივხდებით, რომ ისინი ამ იდეოლოგიას ვერ უარყოფენ.

ახლა რაც რუს ინტელიგენციას და საერთოდ, რუსი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეეხება: მათთვის თვით იდეოლოგია, ცხადია, სრულიადაც საჭირო არ არის. მაგრამ რადგანაც ამ იდეოლოგიის უკუგდებას მოჰყვება რეჟიმის შეცვლა, დემოკრატიის შემოღება და ყველაფერი ერთა თვითგამორკვევით და იმპერიის დაშლით დასრულდება, ძლიერ მცირე რიცხვი იმ პირთა, რომელნიც მზად არიან რუსი ხალხის თავისუფლებაში და დემოკრატიის შემოღებაში გაცვალონ „დიდი რუსეთის“ მთლიანობა. ამის

დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა დისიდენტებს შორის საკუთრივ რუსები უმცირესობას წარმოადგენენ და იმათ შორისაც უმეტესობა ებრაელია.

დაეუბრუნდეთ საკუთრივ ქართულ პრობლემებს. ქართველები თავიანთი ბუნებით, ღრმა იდეოლოგიები არასოდეს ყოფილან და არც დღეს არიან. ამის აქ გადმოშლა-ჩვენება შორს წაგვიყვანდა... ყოველ შემთხვევაში, აბსურდული იქნება ვიფიქროთ, თითქოს რუსეთში გარდაცვლილი იდეოლოგია ჩვენში კიდევ ცოცხლობდეს. იმის მტკიცება და ახსნაც ზედმეტია, რომ ჩვენში იმ თაობას, რომელიც დღეს აქტიურ მოსახლეობას შეადგენს, ბევრ რამეზე აქვს ახელილი თვალები. ამ თვალთა ახელას თვით რუსულ-სოციალისტური პატრიოტიზმის მოურიდებელმა გამოვლენამაც შეუწყო ხელი. და ესეც რომ არ ყოფილიყო, მასობრივად საშუალო სასწავლებელდამთავრებული ხალხი, რომელთა შორის დღეს იმდენი უმაღლეს სკოლადამთავრებულია, რამდენიც დამოუკიდებლობის დროს საერთოდ ოთხკლასიან სწავლაგამოვლილი ხალხი იყო. ეს ხალხი, ესე იგი, ქვეყნის მთელი აქტიური მოსახლეობა მთლიანად გათვითცნობიერებულია (მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა ფაქტიც: ქართული სახელმწიფოს აღდგენის საკითხი დღეს აღარ დგას. სახელმწიფო არსებობს. საკითხი შეეხება მხოლოდ მის ნამდვილ უფლებათა განადგებას). ხოლო ამ გათვითცნობიერების დონე დღეს შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ ახალგაზრდობაში შეიმჩნეოდა. ამის მიზეზი სწავლების ხარისხის ამაღლებამაც უნდა ვეძიოთ.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა მთავარ საკითხში ანალოგიურია მეცხრამეტე საუკუნის მდგომარეობისა. თუმცა თითქმის ორმა საუკუნემ მრავალი რამ შეცვალა, მაგრამ ანალოგიური დარჩა თავისუფლების მოპოვების მთლიანად დამოკიდებულება გარეშე პირობებისაგან, მაგრამ ის პირობები, რომელშიაც სამოციანელები მოღვაწეობდნენ, ძლიერ განსხვავდება პირობებისაგან, რომელშიც დღევანდელმა „სამოციანელებმა“ უნდა იღვანონ (უცნაური დამთხვევაა: ორივე შემთხვევაში, აჯანყების, ომების და მღელვარების, დაახლოებით სამოცნლიან ხანას მოჰყვა ხანა, მოფიქრებული ეროვნული აღორძინებისა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაა, მისი იდეები კი არა, ცოცხალი ილია ამოქმედდებდეს ქართულ მონინავე ინტელიგენციას). მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში აღარ არსებობდა ქართული სახელმწიფო დაწესებულებები და „მესამოციანები“ შეუდგნენ ამ დაწესებულებათა დაარსებას, რომ როდესაც ქართული სახელმწიფოს აღდგენის დღე დადგებოდა, ქვეყანა მომზადებული ყოფილიყო შესაძლებლობის ფარგლებში. ამ მოღვაწეობას თან ახლდა ინტენსიური მუშაობა ხალხის გათვითცნობიერებისათვის. – იყო ეს წერა-კითხვის გავრცელება თუ პატრიოტიზმის დანერგვა და გაღვივება. სულ სხვაა დღევანდელ „სამოციანელთა“ პრობლემები. სახელმწიფო არსებობს ყველა მისი დაწესებულებით, ხალხის განათლებაც დამკამყოფილებელია. არც სანარმოო საშუალებათა ნაკლებობაზე შეგვიძლია ჩვილი. მაგრამ ყოველივე ამას თვით საქართველო არ ხელმძღვანელობს, არამედ – პარტია რომელიც ფაქტობრივად რუსულ კომ. პარტიის ფილიალია. და თუ მხედველობაში

მივიღებთ იმას, რომ საბჭოთა სისტემაში, ყოველ დარგში, ყოველ კუნჭულში, არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ თვით კერძო ცხოვრებისა, პარტიის თვალი და ხელი მოქმედებს, ცხადია, ცხოვრებაზე არაეითარი გავლენის მოხდენა არ შეიძლება გარეშე პარტიის გზით მოქმედებისა. მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთათვის, ვისაც საარსებო სახსარი ჰქონდა, სავალდებულო არ იყო სახელმწიფო სამსახურში შესვლა. ახლა კი, არა მხოლოდ საზოგადო საქმეში ჩარევისათვის არის სავალდებულო პარტიის გზით შესვლა სამსახურში, არამედ თვით საარსებო ლუკმის მოპოვებაც სახელმწიფო სამსახურის გზით ხდება. ასეთ პირობებში ერთადერთი გზა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ნაწილობრივად მინც განხორციელებისა, ისევე პარტიული გზით მოქმედებაა. არსებობს სხვა გზებიც, ასეთებია, მაგალითად, მწერლობა და მეცნიერული მუშაობა, მაგრამ ჯერ ერთი, ამ გზით მუშაობაც არ არის მთლიანად თავისუფალი და რაც მთავარია, ასეთ ხალხს არცერთ საზოგადოებრივ მნიშვნელობის გადაწყვეტილებაში, არც ერთ დონეზე არ შეუძლია მონაწილეობის მიღება. არადა, ხომ დაუშვებელია, რომ ქვეყნის მოვლა მარტო კარიერისტებს და პირადი გამორჩენით დაინტერესებულ პირებს დაეთმოს, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნის განმავლობაში. და ასე მოხდება, თუ ყველა პატიოსანი პატრიოტი ქართველი უარს იტყვის პარტიაში შესვლაზე.

ეს უნდა იყოს, მე ვფიქრობ, ის „თავის მართლება“, ან ავტორის მიერ განვლილი გზის „ახსნა“, რომელზეც წერილის დასაწყისშია ლაპარაკი. და ამასვე უნდა ნიშნავდეს, ჯერ ავტორის სიტყვები: „ბაჩანაბ იცოდა, რა ეპასუხა... რომ მას სურს გახდეს კომუნისტის აქტიური მშენებელი... მაგრამ სასაცილოდ მოეჩვენა თქმა, რადგან რასაც ფიქრობდა, ამისთვის სრულებით სავალდებულო არ იყო კომუნისტობა“ და ბაჩანას პასუხი კითხვაზე – რატომ შემოდიხარ პარტიაში: „მინდა რაც შეიძლება მეტი პატიოსანი კაცი იყოს პარტიაში“. ავტორის ასეთ პოზიციას თავისმართლებად მივიღებთ თუ მოწოდებად, რომანში ეს საკითხი აშკარად დასმულია. და ვფიქრობ, რომ ღუბაძე ამ პოზიციის უფრო მაჩვენებელია, ვიდრე მისი გამომგონი. იმიტომ, რომ არის მრავალი იმაზე მიმთითებელი ნიშანი, რომ დღევანდელ საქართველოში საერთოდ და კერძოდ, პარტიაში პატრიოტულობისკენ მიმართულ დიდ ჯერებსა აქვს ადგილი. მოუხედავად „კავებებს“ ყოვლადუფლებამოსილებისა, მოუს. ჯავაზ გიგინეიშვილისა და კარბელაშვილის მსგავსთა სამწუხარო სიმრავლისა, ახალი თაობა მინც ახერხებს ქვეყნისათვის ნამდვილ სამსახურის განევას, რამდენადაც შეუძლია. ეს პრესაშიც შეიმჩნევა. მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ ის აღარ არის, რაც იყო. მართალია, იგი ჯერ კიდევ აუცილებელზე მეტ ადგილს უთმობს ლოკვას, პირფერობას, კვებნას და რახარუხს, მაგრამ რაც დრო გადის, მეტად და მეტად ვხვდებით მის ფურცლებზე ისეთ წერილებს, რომლებიც იქ რომ არ იბეჭდებოდეს, აქ უნდა დაგვებეჭდა, ხოლო რამდენიმე წლის წინ ეს წარმოუდგენელი იყო. არის სხვა ღონისძიებანი, რომელნიც, ჯერ ერთი, უთუოდ პატრიოტულია და ამავდროს უარყოფა და გამოსწორებაა ახლანდელი თაობის მამათა მიერ ჩადენილ ანტიეროვნულ საქციელისა. მხედველობაშია: სვანეთის „გადარჩენა“, ხევსურების მთაში დაბრუნება, მესხეთის კოლონიზაციის ღონისძიებანი,

ძველი ტფილისის და ისტორიულ ძეგლთა რესტავრაცია, მრავალშვილიანობისათვის პროპაგანდა და კიდევ მრავალი სხვა.

ამ ახალი სულისკვეთების ფონზე უნდა დაეინახოთ ხელისუფლების მიერ რომანის „შენწარებაც“, მაგრამ როგორ იძლევა ამის ნებას „უფროსი ძმა“? ამის ახსნა შედარებით ადვილია. რუსებმა პატრიოტული ხაზი ქართველებზე უწინარეს აიღეს და შოვინისტობამდეც მივიდნენ. მამ, ქართველებსაც ვერ აუტოვებდნენ იმავე მიმართულებით, ბევრად უფრო ზომიერ და თავშეკავებულ მოქმედებას (ამას წინათ ერთი კრიტიკოსის ნერილი ნაიკითხე. პოეტის პატრიოტულ ლექსებს აქებდა, ხოლო თავისი უშიშროების დასაზღვევად, რუსი პოეტის უფრო „მაგარი“ პატრიოტული ლექსი მოჰყავდა). ქართველების ლაქუცობის უნარსაც ნუ დავივიწყებთ. აქ ჩვენ ეს გვაღელვებს. იქნებ ამის მოქმედაც არ მოსწონთ – ყოველ შემთხვევაში, არა ყველას, მაგრამ ჯერ საწინააღმდეგო მოქმედების რისკი ავნონოთ და სარკემოც ჩავიხედოთ. ჩვენს ემიგრაციაში ლაქუცის სასწავლად იქაური სკოლა არ გვჭირდება.

მკითხველმა იქნებ იკითხო: მამ წინააღმდეგობა უნდა შეწყვიტოთ, ეს ხომ მტერთან შერიგება იქნებაო. საკითხის ასე გამარტივება არ შეიძლება. წინააღმდეგობას თავისი ფორმა აქვს, შინაარსიც უნდა ჰქონდეს, გამოზომილი უნდა იყოს და დამოკიდებულია, ვინ როგორი წინააღმდეგობა უნდა გასწიოს. საბჭოთა რეჟიმის დასამხოებად ბრძოლა ჩვენი საქმე არ არის. და მაშინაც არ იქნება, თვითონ რუსებმა რომ ინდომონ. ამის სურვილს კი ისინი ჯერჯერობით სრულებით არ აჩვენენ. ეს დღესაც ისე უშიშრო და უაზრო მსხვერპლის გაღება იქნება, როგორც იყო რევოლუციამდელი მოქმედება, როცა ქართველი ხალხი სხვისა რევოლუციისათვის ჩააბეს ბრძოლაში და თავიანთი ნამდვილი საქმე და მოვალეობაც დაავიწყეს. არასაკუთარი საქმისათვის დაგეშვამ დაუკარგა ქართველებს საკუთარი საქმის მოვლის უნარი და რაც დავთესეთ, ის მოვიძკეთ. წერეთელი და ჩხვიძე საქართველოს კარგს არას უქადდნენ, ლენინს რომ არ ამოეკრა არამკითხეთათვის პანლური და არ გაეხსენებინა, რომ მათ ნების ნაპირას კი არა, მტკვრის ნაპირზე ელოდა საქმე. არც სტალინ-ორჯონიკიძე-ბერიას „დამსახურებისათვის“ უთქვამთ რუსებს მადლობა – ჯერ იმათთვის და მერე საქართველოსთვის.

აგვისტოს შემდეგ, პირველი მასობრივი გამოსვლა იყო დესტალინიზაციით გულნატკენ ახალგაზრდათა დემონსტრაცია ტფილისში. ამ მოძრაობას ქვეცნობიერად პატრიოტული სარჩული ედო. ახალგაზრდები მსჯელობდნენ: რუსებო, თქვენ პატივს არა სცემთ ჩვენს სტალინს, მამ, არც ჩვენ გვსურს თქვენი არაფერიო. ათას ახალგაზრდა მოსწავლე-სტუდენტზე მეტი იმსხვერპლა ამ გულუბრყვილო იდეალიზმმა. ამ ამაო მსხვერპლმა მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ რუსთა მიმართ სიძულვილი გააძლიერა. რუსთა სიძულვილი კი ქართველებს უამისოდაც საკმარისი ჰქონდათ – როგორც რუსებსა აქვთ ჩვენი. ზარალი კი ქვეყანას არანაკლები მოუვიდა, ვიდრე აგვისტოში. იმიტომ, რომ თუ აგვისტოში მსხვერპლი უფრო მრავალი იყო, მაშინ დახვერტილთა დიდ ნაწილს ხანშიშესული სოფლის თავკაცები წარმოადგენდა. ახლა კი სტუდენტობა,

ქვეყნის მომავალი, დაილუპა. და ისიც უნდა აენოხოთ, რომ სწორედ ამგვარ გულუბრყვილო იდეალისტებიდან ვითარდებიან დადინჯებისას თავდადებული, შეგნებული იდეალისტები.

სულ სხვა იყო ქართული ენის დასაცავად მომხდარი დემონსტრაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ მიზანს, ანგარიშს, თავდადებას და მიღწეულ შედეგსაც.

არის კიდევ სხვაგვარი არამასობრივი მოქმედებაც. მის პირველ არსებობა-გამოვლენას ჩვენ ქართველ დისიდენტთა, ან გამსახურდია-კოსტაეას ჯგუფის სახელით ვიცნობთ. რამდენიმე პირისაგან შემდგარ ამ ჯგუფიდან გამოიყოფა ნამეხული გმირი მერაბ კოსტაეა. იგი თავისი მოქმედებით ჩვენი ისტორიის იმ უდიდეს პიროვნებებს გაუტოლდა, რომელთა სახელებია: დავით და კონსტანტინე, ცოტნე დადიანი, მეფე დიმიტრი, თეოდორე მღვდელი, დიმიტრი ყიფიანი და ამბროსი ხელაია — კათალიკოსი. მერაბ კოსტაეას მისი საქციელისა გამო შეშენის სიტყვები, რომელთაც ამირეჯიბი, ჭაბუკ თუთაშვას ათქმევით: „ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადისობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა“ და „გაიპო მკერდი. ამოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანქა მან“. გარნა ურჩხულზე უაყესი აღმოჩნდა ჩრდილოელი ნადირი, ვინაიდან „დანთქა მან“.

კოსტაეა, ცხადია, რიგგარეშე პიროვნებაა, როგორთაც იშვიათად წარმოშობს ერი. იგი მისაბაძი მაგალითია, როგორც თანამედროვეთა, ასევე შთამომავალთათვის. მხოლოდ მისაბაძი არ უნდა გავიგოთ, ვით სცენარის გამოვრება. მის პიროვნებაში მისაბაძია სულიერი სიმტკიცე, სიმაღლე და თავდადება მამულისათვის. ასეთი მონოდება არგუნა მას განგებამ თუ შეგნებამ, უფრო კი — ორთავემ. მისი მოქმედება იქნებ, დროთა განმავლობაში მეტი ნაყოფის გამოშვები იყოს. ვიდრე დაუყოვნებლივ და აქ ჩვენ მივდივართ მისი თანამებრძოლის — ზვიად გამსახურდიას საკითხთან. მისი სახე გააუფერულა, განსაკუთრებით კოსტაეას საქციელის გვერდით, მისმა შედრკომამ და ჩვენც — ზოგს სიმწარე, ზოგს ნალეული გვასვა, მაგრამ დრო გავიდა და თუ კოსტაეა თვისი მარტივობით კვლავ სიმტკიცისა და თავდადებისაკენ მოგვიხმობს, არც გამსახურდიას უარუყვია თავისი მოვალეობა: და მისი ხმაც კვლავ გაისმის ქვეყნის დასაცავად. ცხადია, არ შეიძლება თანასწორ სიმაღლეზე დეაყენოთ ამ ორი ადამიანის მიერ გაღებული არც მსხვერპლი, ან მათი დამსახურება, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს. მაშ, ორივე საჭირო ყოფილა.

რა უნდა ითქვას იმ ეგზალტირებულ პატრიოტ მებრძოლზე, რომელიც ყუმბარების აფეთქების გამო სიკვდილით დაისაჯა: ვლადიმერ ჟვანია. ასეთ შემთხვევაში, შორს მყოფმა და საქმეში არ ჩარეულმა კაცმა მსჯავრის გამოტანისაგან თავი უნდა შეიკავოს. ამიტომ, მხოლოდ ჩემსავე თავს წარმოვიდგენ მის ადგილზე. მიუხედავად მისადმი დიდი სიმპათიისა, უნდა ვთქვა, რომ მე მისებრ არ მოვიქცეოდი. — არა იმ აბსურდულ მოტივით, რომელიც ზოგმა აქაურმა შორით „მებრძოლმა“ ნამოაყენა ტერორიზმის ვითომ პრინციპულად უარყოფისა გამო. ასეთი მოტივი ღმრთის-

მსახურთა, ფილოსოფოსთა და მორალისტთა შესაფერია, რომელთაც არც ოფლის, არც სისხლის ღვრასთან საქმე არა აქვთ. ტერორისტულ აქტს თუ გავებდავდი, კიდევაც ჩაივინდი – ვთქვათ, ვინმე აშკარად ქვეყნის მოლაღატე თუ იქნებოდა მოსამორებელი (თოფის გაუსროლად არსენალის „ალების“ მკვებარებს რომ ნაძალადევის კლუბში სტალინი მოეკლათ, რამდენ უბედურებას გადაურჩებოდა საქართველო და მსოფლიოც), მაგრამ ყვანიას ასეთი რამ არ ჩაუდენია. მისი მოქმედება მიბაძვა იყო დასავლეთში გავრცელებულ მეთოდისა, რომელიც დაშინებას ან პროტესტს წარმოადგენს. ასეთი რამ კი ჩვენში არ გამოდგება. ამ ჯურის ხალხზე პროტესტი საერთოდ არ მოქმედებს, ხოლო შიში, იმ ხალხს, ვიზედაც ამ აფეთქებებს უნდა ემოქმედა, თავიანთი ბატონებისა უფრო დიდი აქვთ, ვიდრე ნაგვის ყუთებში აფეთქებულ ბომბებისა. მთავარი გამოუსადეგობა კი ასეთი მეთოდისა ის არის, რომ ეს ქართველი კაცის ბუნებას არ იზიდავს. ქართველი ფეთქებადი ტემპერამენტის კაცია. იგი თვითონ არის ყუმბარა და მას აჯანყების უფრო მეტი სიმპათია აქვს, ვიდრე ამ რთულ ფსიქოლოგიურ მოქმედებისა, რომლის ხანგრძლივობის ვადა არავინ უწყის. თანაც საქართველო პატარა ქვეყანაა. აქ რომ რომელსაღმე ქალაქში ბომბი აფეთქდება, რაც ყოველდღიური მოვლენაა, ეს სინამდვილეში მხოლოდ იმთა ალღევებს, ვისი შუშებიც იმსხვრევა. საქართველოში კი, რუსთავეში რომ ახალგაზრდა მუშამ ფეხი მოიტეხოს, მეორე დღეს ოჩამჩირედან ჩამოსული მისი ბებია დაადგება ფუთაში გამოკრულ სულგუნით და მანდარინებით. ასეთ მსჯელობას გულცივობად ნუ მიიღებთ, მწუხარებამ და თანაგრძნობამ მათქმევინა.

როგორც ჩანს, საქართველოში არსებობენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მომუშავე ჯგუფებიც. მათი მოქმედება განსაკუთრებით და საყოველთაოდ ცნობილი გახდა გეორგიევსკის ტრაქტატის საზიგმო აღნიშვნის პერიოდში. ეს საჭიროც იყო, მაგრამ ისეთი ჯგუფებიც არსებულა, რომელთაც ნამდვილი ორგანიზაციის დაარსება განუზრახავთ და თავიანთი მუშაობისათვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაურქმევიათ. ეს მოვლენა, ცხადია, მაჩვენებელია იმისა, თუ როგორი ძლიერი დულილია ქართული პატრიოტული ახალგაზრდობის გულეში, მაგრამ ვითომ დროა ასეთი ორგანიზაციების დაარსებისა? უფრო ფრთხილი და დროის შესაფერი არ იქნებოდა, სხვა ნაკლებად სახიფათო სახელი აერჩიათ და ასეთი სახელით ეკეთებინათ იგივე საქმე, რომელიც ჯერჯერობით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მინც ვერ იქნება. ხოლო „კაბეებს“ კი ფორმალური საბაბი ეძლევა ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებაში დასდოს მათ ბრალე? ყოველივე ეს გვაგონებს აქ, ემიგრაციაში, ამ სამოციწლის განმავლობაში დაარსებულ უამრავ „ორგანიზაციას“ ასევე უამრავ და ნაირნაირ სახელწოდებით, მაგრამ აქ ამ ფუსფუსმა თამაშად ჩაიარა. იქ კი, ვაი, რომ სასიკვდილოდ სახიფათოა. და რაც ბევრად უფრო სერიოზულია – სახიფათოა თვით ქვეყნისათვის.

საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მიაღწევს გარეშე საბჭოთა კავშირის დაშლისა, ნაქცევისა, რეჟიმის დამხობისა. ამის მოხდენა კი ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ჩვენი სა-

ქმე არ არის. უნდა მოვლენებს ვუცადოთ. საქართველოს მდგომარეობა ძლიერ სახიფათოა. იგი იმპერიის საზღვარზე მდებარე ქვეყანაა და იმპერიის უშიშროებისათვის, როგორი რეჟიმიც არ უნდა იყოს, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ასეთ ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდეს. ეს სპარსეთის დროსაც ასე იყო. ამიტომ გადაიკარგა კახთა ასიათასები ფერეიდანში. მეფის რუსეთმა პირველ ომის დროს აჭარის აყრა დააპირა. სტალინ-ბერიას რუსეთმა მესხები აპყარა და ალბათ, არასდროს დაბრუნდებოან. ამ საქმეებში იქნებ ჩვენი მეზობლების ხელიც ერიოს. აფხაზთა პრობლემაც დგას. ასეთ პირობებში გიჟობა იქნება ჩვენი კომუნისტური მთავრობა ისეთ დღეში ჩაყაყნოთ, რომ რუსებს შეძლება მიეცეს, მათ უთხრან: თქვენ ქვეყანა ხელში ვერ გიპყრათო და თითონ მოჰკიდონ ხელი საქმის გამოსწორებას. ხოლო თუ როგორი სახე შეიძლება მიიღოს ამ „გამოსწორებამ“, უმჯობესია, ნუ წარმოვიდგენთ. ამასთან დაკავშირებით, არ შემიძლია გაკვირვებით და მწუხარებით არ აღვნიშნო, ჟურნალ „გუშაგის“, მეტი თუ არა, არასაკმაოდ მოფიქრებული მიდგომა ამ საკითხისადმი. მეოთხე ნომრის მეხუთე გვერდზე წერია: „მაგრამ ფიქრი არაა... ერთი დაჭერილის ადგილს ხვალ ათი დაიჭერს, ბრძოლაში თანდათან მეტი და მეტი ჩაებმებაო“. ღმერთო დაგვიფარე!

საჭიროა, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ სამხიელ ტრაგედიის შესახებ, თვითმფრინავის გატაცების ცდას რომ მოჰყვა. ამ საქმეში საბჭოთა რეჟიმის არაადამიანურ მოქმედებას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ეს არასაკმაოდ მოფიქრებული ცდა მხოლოდ ცეცხლთან მოთამაშე და საბედისწერო საფათერაკო იდეით შეპყრობილ, რომანტიკულად განწყობილ ახალგაზრდათა აჩქარებული ნაბიჯი იყო. ამ ნაბიჯის მოუფიქრებლობა მხოლოდ თვითმფრინავის გატაცების შესაძლებლობის გამოანგარიშებას არ ეხება. ამ ახალგაზრდებს არაფერი აიძულებდათ, თვით მათ სიცოცხლეზე რომ არაფერი ვთქვათ, თავიანთი მშობლები ასეთ მდგომარეობაში ჩაეგდოთ. ამგვარი რისკის განევა გამართლებული იქნებოდა, საქმე რომ გვექონოდა უაღრესად საჭირო, დიდი მნიშვნელობის მოქმედებასთან, როდესაც ქვეყნის საქმე მოითხოვს ამას. არაფერი ამისი მსგავსიც იმ უბედურთა საქციელს თან არ ახლდა. ხოლო ამგვარი საქციელით, თუნდ უსისხლოდაც რომ მიეღნათ მიზნისათვის, მათი მშობლები ხომ მაინც პასუხისმგებელ მძევლებად რჩებოდნენ.

ასეთია ფიქრები, რომელნიც ყოველ ცივად განმსჯელ ადამიანს აღეძვრება. ეს მოვლენები შეგვიძლია შევედაროთ იმ მხეფებს, რომელთაც მადლური მასა დროდადრო ამოისვრის ხოლმე და საერთო მდგომარეობაზე მათი ზემოქმედებაც ანალოგიურია, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ბუნებრივია. ბუნებრივია ქართველთათვის ამ მოქმედებათა სპეციფიკური ხასიათიც. ამათში ქართველები გამოიცნობა, მაგრამ ეს ნუგეშია? ამაზე სიტყვას აღარ გაავარძელებ.

ჩვენი თავისუფლების საკითხი გადაბმულია მსოფლიო ნონასწორობის არა მხოლოდ შეცვლაზე, არამედ შესაძლებელია, უფრო ფართო და ღრმა მნიშვნელობის საკითხზეც: დაპყრობილი და არათავისუფალი ერები თუ ეთნიური ერთეულები საბჭოთა კავშირის გარეთ ბევრად მეტია. ეს პრობლემა თვით ევროპაშიც არ არის მთლად

მოგვარებული. ამ გარემოებას იყენებს რუსეთი და ერთა თავისუფლების ლოზუნ- გით გამოდის. და ვინაიდან ეს პრობლემა მართლაც არსებობს და გადაუწყვეტელია, ეს ხელს უშლის საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგი, შეთანხმებული ბლოკის შექმნასაც. იგივე ითქმის ეგრეთწოდებულ განვითარებად ქვეყნების პრობლემაზეც. მათი განვი- თარება კუს ნაბიჯით მიდის. კომუნისტები კი სწრაფად დაძვრის რეალურ საშუალებას აწვდიან მათ. ის გარემოება კი, რომ მათ ბოლოს მონობა მოელოთ, გაუგებარია ამ ჩამორჩენილ ხალხთათვის, რომელთაც არაფერი იცინან არც პიროვნების თავისუფლე- ბისა, არც დემოკრატიისა, არც ლიბერალურ ეკონომიკისა.

ასე მოკლედ თქმულიდანაც ცხადი უნდა იყოს, თუ როგორ ძნელია მომავლის გათვალისწინება. და მაშასადამე, რაიმე ვადის დადება და მასზე ანგარიშით მოქმე- დება. და ასეც რომ არ იყოს, ყოველ მდგომარეობაში ხომ ის უნდა ვაკეთოთ, რისი კეთებაც შეიძლება და შეგვიძლია. საქართველოს დღევანდელ ვითარებაში კი არის პრობლემა და არის სამუშაო, რომლის კეთებაც შესაძლებელია და რომელიც ადრე უნდა გაკეთდეს, ვიდრე თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობას მოგვიტანდეს ჩვენგან დამოუკიდებელი მდგომარეობის დამყარება. ეს პრობლემა მორალური ხასია- თისა გახლავთ.

წარმოების გასავითარებლად გამოყენებულ ზომებს, რომელთაც კომუნისტები მი- მართავენ, თუმცა მოჩვენებითი, მაგრამ მაინც ერთგვარი უპირატესობა აქვთ ლიბერა- ლურ ეკონომიკაზე. მათ შეუძლიათ დიქტატურის, ზევიდან ბრძანების, დაგეგმვის და ყაზარმული დისციპლინის მეოხებით აჩქარებული ტემპით განავითარონ მრეწველობა, მაგრამ ამ „უპირატესობას“ თავისი გადაულახავი სისუსტეც თან ახლავს. ეს იმაში გამოიხატება, რომ კომუნისტები თავიანთი არჩევით უგულვებელყოფენ ადამიანის ბუნების ძირითად თვისებას: ინდივიდუალობას. აქედან კი ვითარდებიან ისეთი მი- დრეკილებანი, როგორიცაა: შეძენის სურვილი, რომლის რაოდენობაც მას არასოდეს აკმაყოფილებს. მისი მოთხოვნილება შეძენასთან ერთად იზრდება. ეს ისეთი თვისებაა, რომლის ნეიტრალიზება შეუძლებელია, თუ არა, ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულად წარმოსადგენ, ქიმიურ ჩარევით ადამიანის ჩასახვის თვით პროცესში და ამგვარად ადამიანის ბუნების გამოცვლით. ყოველივე ეს ცნობილია. ამის თაობაზე დაწერი- ლიც მრავლადაა, მაგრამ დღეს თეორიულ მსჯელობისათვის არავის სცალაია, რადგან „ბუნებრივია“ თუ არა, საბჭოთა გიგანტის ძლიერება მსოფლიოს წინაშე აღმართული რეალობაა და პერშინგის რაკეტების შესახებ მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე თეორიულ- ფილოსოფიურ საკითხებზე. ხოლო აქ ამის შესხენება საჭიროა ზემოთნახსენებ ქარ- თულ პრობლემასთან მისასვლელად.

ბოლშევიკებმა რომ მესაკუთრეებს კერძო საკუთრება და სანარმოო საშუალებები ჩამოართვეს, ეს მოვლენა მთლად ახალი და უპრეცედენტო არ იყო. ასეთი რამ ცი- ვილიზაციის ისტორიაში ხდებოდა – დაპყრობითი ომების, ახალ რელიგიის მიღების, ერთი ტომის ან გვარის თუ დინასტიის მიერ ხელისუფლების ხელში აღების და სხვა მსგავს მოვლენათა დროს, მაგრამ ყოველ ასეთ ხელიდან ხელში გადასვლას მოსდევდა

ახალი ციკლი ხელახლად შეძენის მცდელობისა. ბოლშევიკებმა კი ქონების შეძენის აკრძალვა დააკანონეს და ეს სიახლე იყო და არის ანტიბუნებრივი. ამით კომუნისტებმა უკუაგდეს არა მხოლოდ კერძო ინიციატივის პრინციპი, რომელმაც კაცობრიობა დღევანდელ განვითარებამდე მიიყვანა, არამედ ასევე უარპყვეს მატერიალური დაინტერესება და ცხადია, გამდიდრების ყოველი სახეც. მათ ადამიანს აუკრძალეს თვითონვე ეზრუნა საკუთარი ყოფის გაუმჯობესებისათვის. ეს საზრუნავი მათ სახელმწიფოს, ფაქტობრივად პარტიას, დაუმკვიდრეს, ვით უფლებაც და მოვალეობაც. ამგვარად, პარტია წყვეტს, ვინ რა უნდა აკეთოს და პარტიავე არის მსაჯული, თუ ვის რამდენი უნდა ერგოს შემოსავლიდან. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ხალხი თავლაში დაბმულ ცხენებს დაამსგავსეს. უნდა გასწიონ ის ურემი ან გუთანი, რომელშიც გააბეს და იმდენი თივა უნდა ჭამონ, ისიც სხვის მიერ შერჩეული ხარისხისა, რამდენსაც დაუყრიან.

მაგრამ ცხოვრების წესის ამგვარმა შეცვლამ ადამიანები არ შეცვალა. ისინი ფუტკრებად არ გადაიქცნენ და საშუალების ძებნა დაიწყეს, რომ გამოუმუშავებული თავისი დაწესებული რაოდენობა არ დაეტოვებინათ სკამში. ამის მაგალითი ხალხს თვით კომუნისტებმა მისცეს. მხოლოდ ხელმძღვანელები კი არ მიითლიდნენ თავისთვის საუკეთესო ნაჭრებს, არამედ უზომოდ მომრავლებული ბიუროკრატიაც ამასვე სჩადიოდა. დასაწყისში ამას უსისტემო სახე ჰქონდა და ადვილად დასასჯელ გაფლანგვაში, ან შედარებით უმნიშვნელო ხალტურაში გამოიხატებოდა. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ სიღარიბე სუფევდა და მოსახვეჭიც ღიდი არა იყო რა, მაგრამ როცა ცხოვრების დონე ამაღლდა და მოსახვეჭიც გაჩნდა (პარადოქსად ნურვინ მიიჩნევს: სიღუფეშიც კი არა, „ლხენამ“ შეასხა ფრთები მომხეჭქელობას). ბუნებას ხომ თავისი უნდა გაეტანა და გაიტანა კიდევაც. გამოუმუშავდა და დაიხვეწა „თავისთავზე ზრუნვის“ ახალი სისტემა, რომელსაც, ესეც ბუნებრივია, სახელი არცა აქვს. ამ სისტემის დამახასიათებელია „მრავალსართულიანობა“, ე.ი. როცა ქვევით მდგომნი მალა მდგომის მფარველობით „მუშაობენ“ და მფარველს ღალას უხდიან. სახელი როგორ არა აქვს, მისი სახელია კომუნისტური რეჟიმი. იგი მშვენივრად აწყობილია და შესანიშნავად მოქმედებს: იყიდება სხვადასხვა შემოსავლიანი პოსტები, რომელთაც „დანესებულნი“ ფასები ადევს – ზოგჯერ გასაკვირად მაღალი. ერთი ქუთათური რესტორნის გამგის ადგილი ნახევარ მილიონად გაყიდულა. იყიდება სხვადასხვა მომსახურების ხარისხიც: საავადმყოფოში უკეთესი მოვლა, უკეთესი საგზურის მიღება დასასვენებლად, იმავე საგზურის ერთსა და იმავე ადგილისკენ მიღება ცოლ-ქმარისათვის, შვილების მოთავსება სასწავლებელში და სხვა წარმოსადგენი თუ წარმოუდგენელი კომბინაციები.

ამას ის მოჰყვება, რომ გაჩნდა მდიდართა ახალი ფენა. გარეგნული ნიშანი მათი სიმდიდრისა არის: მაღალი სტანდარტის საკუთარი სახლები, ან ძვირფასი ავეჯით და სხვა სამინაო საგნებით მორთული ბინა ქალაქში, ძვირფასიანი ავტომანქანა, ხელგამლილი ცხოვრება და მათი ცოლებისა თუ საყვარლების ქურქები და სამკაულები. ეს ხალხი აინუნშიაც არ აგდებს იმას, რომ მათი გამდიდრების წყარო უპატიოსნო წარმოშობისაა. პირიქით, საკვირველ თავხედობით და ყოყონი ამაყობით ხასიათდებიან. რა

უნდა მოსვლოდა ზნეობას ქვეყანაში, სადაც პატიოსნებს ქურდების ბედი ენატრებათ? სადაც შვილს, თუ იგი პატიოსანია, მამის საქციელის რცხვენია, რადგან იცის, რომ თუ მას მის ამხანაგებთან შედარებით უზრუნველი ცხოვრება აქვს, ეს არანესიერი გზით ნაშოვარის წყალობაა.

ამგვარმა მდგომარეობამ უკუღმა შეატრიალა გაგება კეთილისა და ბოროტისა, კარგისა და ავისა. ერთმა ემიგრანტმა ჩამოსულს ამბავი ჰკითხა ძმისშვილებისა. ჩამოსულმა უთხრა: უფროსი თხლეა, უმცროსი კი უნარიანი კაციოა. შემკითხველს გაუკვირდა, რადგან უფროსი ნიჭიერ და ბეჯით ბევშვად ახსოვდა, უმცროსი კი – მშობლების გამანარებლად. გამოირკვა რომ „თხლეს“ ფილოლოგიური დაუმთავრებია და კლუბსამკითხველს გამგე ყოფილა, „უნარიანი კაცი“ კი – მამაძალლობით გამდიდრებული კომბინატორი. მეორე ამბავი: საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნებულმა ქალმა თქვა: ჩემი ორი შვილიდან, რომელიც დინჯი და პატიოსანი იყო უნიფხვოდ დადის, იმას კი, რომელიც უკულმართი და გაიძვერა იყო, ყელამდე აქვს ყველაფერიო. მესამე ამბავი: ჩასულმა ძმას უსაყვედურა: რა მოგივიდათ, კიდევ ატალახებულ შუკებში იფლობითო. ძმამ უპასუხა, რა უნდა გვექნა, ჩემზე ადრე მყოფმა ორმა თავმჯდომარემ თავიანთი სახლები აიშენაო. ახლა ხომ შენ ხარ თავმჯდომარეო, ჰკითხა პარიზელმა. ახლა ჯერ ჩემს სახლს ვაშენებ და თუ არ გადამაყენეს, მერე გზებსაც მივხედავო. ზოგიერთმა აქაურმა ჩამოსულ ნათესავეებსაც შეატყო ბრუნდობა, მაგრამ...

ამ დაცემული ზნეობის ამალგება, ამ მომაკვიდინებელ სენისგან ხალხის განკურნვა არის დღევანდელი უპირველესი ამოცანა. დღეს საქართველო არც კი საჭიროებს ეროვნულ შეგნების პროპაგანდას. დამოუკიდებლობის სურვილის გაძლიერებაზედაც ზედმეტია მუშაობა. ყველაფერი ეს არსებობს. იგი ნორმალურად დაიბადა და ცოცხლობს გულში და გონებაში ქართველთა. საკვირველიც იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო კულტურულად დანინაურებულ ხალხში, როცა კაციჭამიობიდან ძლივს გამოსული აფრიკული ტომები დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აარსებენ და ეს იცის ყოველმა მწყემსმაც. ხოლო ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური შესაძლებლობა ამხანად არ არსებობს, ახლა და მანამდე რეალისტური და აუცილებელი იმის კეთება არის, რის გარეშე ვერც ნამდვილ ბრძოლას შევძლებთ, როცა ამისი დრო დადგება. ჩვენ მძიმე გამოცდა მოგველის. ჩვენი მდგომარეობა ძალიან განსხვავდება აფრიკის ზანგთა მდგომარეობისაგან. დაგვეჭირდება დიდი სულიერი სიმტკიცე, რომელიც არ არსებობს გარეშე მორალისა. და თუ მოსალოდნელ მოვლენებს უანსალი მორალით არ დავხვდით, „თავისით“ მოსულ დამოუკიდებლობასაც ვერ მოუვუვლით და შევიწარმუნებთ, როგორც ერთხელ მოგვივიდა – მაშინ სხვა მიზეზით.

საბჭოთა წყობილების ვერც დამხობაში, ვერც გარდაქმნაში საქართველო როლს ვერ ითამაშებს (არც რევოლუციის მოხდენაში უთამაშნია). პირველისათვის რიცხოზრივად ვართ უმნიშვნელონი, მეორესთან კი ე.ი. გარდაქმნასთან ჩვენ აღარ მიგვესვლება. სტალინ-ბერიას შემდეგ რუსები ქართველებს ცეცხლივით ერიდებიან და ასეთ საქმესთან არ მოუშვებენ.

ზემოდგამოთქმულ შეხედულებების და სამოქმედო ტაქტიკის მიმდევარი იყო ილია. როცა იგი ქართველ ნაციონალისტურ წრის მიერ შედგენილ „ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის“ პროგრამის პროექტს ასწორებდა, მან უცვლელად დატოვა ტექსტის დასაწყისი, სადაც საქართველოს ბედის რუსეთის ბედთან, ქართველების მიერ ნებაყოფლობით გადაბმზაზა ლაპარაკი. როგორ? ქართული ეროვნული აღორძინების სულისჩამდგმელი მართლა რუსების მონობაში აპირებდა ქვეყნის დატოვებას? მაშ, რად შეაღია თვისი სიცოცხლე და ძალ-ღონე რუსეთიდან განთავისუფლებისათვის ქვეყნის მზადებას? ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ ეს იყო ერთადერთი რეალისტური გზა და საშუალება, ჯერ რუსთა ნდობის დამსახურებისა და შემდეგ საქართველოსთვის თვითმმართველობის მოპოვებისა, რის მოთხოვნასაც ის აპირებდა, ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნასთან ერთად – ამ „რუსეთის ერთგულ“ პარტიის, სათავადაზნაურო საკრებულოს და ქართულ სამღვდელთა სახელით. ამისათვის ილიას რომ მიეღნია, ეს იქნებოდა ყველა ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებათა გადაქცევა შესაბამის დარგის ავტონომიურ უწყებებად, რომელთაც მხოლოდ სახელის შეცვლა, ესე იგი, სამინისტროებად მონათვალა დასჭირდებოდა, რომ საქართველო უკვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციით აღჭურვილი დახვედროდა რევოლუციას. და არც უორდანიას დასჭირდებოდა ნასროლი ბადით თვეზებივით დაჭერა შემთხვევითი პირებისა და მათი „ძალით შემოთრევა“ მთავრობაში, მაგრამ ეს მხოლოდ სევედით გამოწვეული კენესაა, თორემ ნამზდარსა საქმეს...

ამგვარი გეზის აღებას გულისხმობს ღუმბაძის რომანის ფილოსოფიაც. მართალია, ერთმა იქაურმა სკეპტიკურად შეხედა ღუმბაძის „წმინდანობას“ – თვითონ ხელისუფლების ფავორიტია და სასახლე აქვს თავის განკარგულებაში. შეიძლება! ეს ნაწილობრივად მართალიც იყო, მაგრამ ზოგი სისუსტე ყოველ ადამიანსა აქვს. ღუმბაძე ნაზი კაცი იყო. იგი გმირობამდე ვერ მივიდოდა. ჩვენ ის კი არ უნდა ავწონოთ, თუ რამდენად მართლა ემთხვევა მისი ბიოგრაფია ბაჩანასას, არამედ იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რა მიმართულებით ცვლის იგი განსხვავებას, არსებულს, მასა და მის გმირს შორის. საბედნიეროდ, ღუმბაძე გამოწაკლის არ წარმოადგენს. მორალისა და ზნეობის ამაღლებისათვის იღწიან თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენელნიც. მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ უმჯობესია, გარდაცვლილთა ნაწერი მოვიწინოთ, ვიდრე ცოცხლებისა.

აუცილებელია ამ მიმართულებით გაძლიერება მუშაობისა. მართალია, პირველი სიტყვა მაინც მწერლობას ეკუთვნის, მაგრამ საზოგადოებაც უნდა ჩაებას საქმეში. ეს საყოველთაო პრობლემაა, იგი ყველა ღონეზე და ყველა წრეში დგას – ყველა სფეროში. ამ სფეროში ბრძოლა იარაღით ბრძოლის ტოლფასია ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში. ცხადია, აქედან არ შეიძლება აზრი გამოითქვას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ამ მუშაობის კონკრეტული სახე, მაგრამ ამ მუშაობისკენ მონოდება ყველა ქართველის მარტო უფლება კი არა, მოვალეობაა. ამიტომ ვაძლევთ ჩვენს თავს ამის ნებას.

პატიოსნებისათვის ბრძოლა ისეთ პირობებში, როდესაც პატიოსნებისაგან გადახრა იმით არის გამოწვეული, რომ საკუთარ თავზე დამოუკიდებლად ზრუნვა პატიოსანი ადამიანისათვის ბუნებრივი გზით აკრძალულია, უკვე დაბრკოლების შემქმნელია. ასევე ძნელია ასეთი მუშაობა იმ საზოგადოებაში, რომლის საგრძნობი ნაწილისათვის პატიოსნების კრიტერიუმი ძალიან თავისებურია. აქ მხედველობაშია „კავებს“ ჯაშუშურ ქსელის არნახულად დიდი მასშტაბით განვრცობა. არსებობს საქართველოსათვის სპეციფიკური დაბრკოლება: ქართველი ხომ ის კაცია, ვისაც სხვა ერის შვილზე მეტად ახასიათებს ბედნიერებისაკენ სწრაფვა, რომელსაც სხვებზე მეტად იზიდავს „ცხოვრების გემო“ და ყველა ამქვეყნიური სიამენი, მაგრამ მაინც არსებობს გარემოება, რომელიც ამ ცდის სასარგებლოდ უნდა მოქმედებდეს. საქმე ის არის, რომ საბჭოეთში მოდებულ მომხვეჭელობით მთავარი და ნამდვილი მოსარგებლენი მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ. მცდარია მათი აზრი, ვინც ამბობს, ქურდობა გაჭირვებამ გამოიწვიაო. ლურსმნის ქარხანაში მომუშავე მუშა არცერთ ქვეყანაში ლურსმანს მალაზიაში არ ყიდულობს. კომბინაციებს აკეთებს უმთავრესად მაღალი ადგილის მჭერი ხალხი: გამგეები, ინჟინრები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და, რა თქმა უნდა, მათი ბულალტურები. ზოგჯერ ეს კომბინაციები საზიზღარ სახეს იღებენ: მაგალითად, ცნობილია ორი შემთხვევა (ალბათ, უცნობი სხვაც არის), რომელშიც სიძველეთა რესტავრაციამო მომუშავე არქიტექტორები გამოდიან სამარცხვინო როლში. ერთმა ისტორიულ ტაძრის შემკეთებელმა მდარე ხარისხის კრამიტი გამოიყენა, რასაც ის მოჰყვა, რომ ვიდრე საამისო უწყებები ახალ თანხას გამოჰყოფდნენ, ტაძარი წვიმამ დააზიანა. მეორე შემთხვევა სვანურ კოშკს შეეხება. აქაც წუნდებული მასალა გამოიყენეს გადასახურად და შედეგიც მსგავსი იყო, ხოლო სავალალო ისიც არის, რომ ამ წუნების გვარები არ გამოქვეყნებულა. კიდევ ერთი ამბავი უნდა მოვიყვანო სხვა ხასიათისა, მაგრამ სულ ახალი. გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის ექვსი მარტის ნომერში ვკითხულობთ, რომ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, პურის სანარმოს მთავარ ინჟინერს და კომუნისტს გვარად კუკულაძეს, თავისი ასულის ქორწილზე ხუთასი კაცი ჰყოლია სტუმრად. როგორც ხედავთ, მთავარ ინჟინერს უნარიანად უმუშავია თავისი „ბედნიერებისათვის“ და გურიელებისათვისაც უჯობნია. მერე რა! გურიელები მხოლოდ მთავრები იყვნენ, კუკულაძე კი მთავარიც არის და ინჟინერიც. რა მოჰყვა ამას? პარტიული ხაზით საყვედური გამოუცხადეს კუკულაძეს, სანარმოს დირექტორს — ჯაყელს, ლესას ორგანიზაციის მდივანს — ტულუშს, აღმასკომის თავმჯდომარეს — გოგირაშვილს და მდივანს — ტყეუბუჩავას, აბა რა ექნათ, ამოდენა ხალხს ხომ ვერ მისცემდნენ სამართალში (გაზეთი ამბობს: სოფელი და მეზობლები სად იყვნენო), მაგრამ ამ ამბავს, სხვა, პიკანტური, მხარეც ჰქონია. თამადას პირველად „ნეფე-დე-დოფალი“ უდღეგრძელებია, ხოლო მეორე სასმისით კი... აგვისტოში დაბადებულ მათი პირმშოსათვის უსურვებია, რასაც ასეთ შემთხვევაში უსურვებენ ხოლმე. როგორც ხედავთ, გურიის ამ პატარა სოფელში შორს ნასულა ზნეობის მოდერნიზაცია. და ეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვი ადრევე გაუჩენიათ, არამედ უფრო იმიტომ, რომ

მიუხედავად უხერხულად მისაჩნევ გარემოებისა, ხუთასი სტუმრის წინაშეც არ მორიდებიან ამის საქვეყნოდ გამოფენას. რა დიდი მანძილია გავლილი იმ არც ისე შორეულ დროიდან, როცა ქორნილის დროს კი არა, მეორე დღეს სულ სხვა რაშეს გამოაფენდნენ ხოლმე, საჩვენებლად იმისა, რომ სასძლო უმანკო იყო.

იტყვიან, მორალური დაცემა მხოლოდ შედეგია კომუნისტური რეჟიმისა და როგორ შეიძლება შედეგთან ბრძოლა, თუ მის მიზეზსაც არ ეებრძოლებო. ეს თეორიულად სწორია, მაგრამ თეორია და პრაქტიკა ყოველთვის როდი ემთხვევიან ერთმანეთს. მაგალითად, სტიქიურ მოვლენების დროს როგორნიც არიან: მინისძვრა, დიდი თოვლი, ყინვები, გვალვა და სხვა, მიზეზს ხომ ვერ შეებრძობებიან, არამედ შედეგს ეებრძვიან, რომ ზარალი შეანელონ. ხშირ შემთხვევაში მედიცინაშიც ასე ხდება. კომუნისტს კი ჩვენისთანა პატარა ერისათვის, რომელსაც ასეთი დიდი მასშტაბის მოვლენასთან ბრძოლა არ შეუძლია, სწორედ ისეთი სახე და მნიშვნელობა აქვს, როგორიც სტიქიურ მოვლენას. ამასთანავე. არც ის იქნება გონივრული, რომ ყველა ქართველი კომუნისტი მეთაური მოლაღატედ მივიჩნიოთ. ისინი, ვინც ლალატი ჩაიდინა, დღეს ცოცხლებში აღარ არიან. საქართველოს დღევანდელი მოსახლეობა სამოცდაოთხი წლის ასაკამდე, ესე იგი, მთელი აქტიური მოსახლეობა, საბჭოურ რეჟიმის ხანაში დაბადებულთაგან შედგება (ასე არ იყო უკანასკნელ ომის დროს საფრანგეთში, მაგრამ ჰყავდათ პეტენი და ლავალი, სხვა რომ არ ვახსენოთ, მოლაღატეები იყვნენ ისინი? ცხადია, არა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ომი იყო, რომლის დასასრულიც, ყველამ იცოდა, შორეული არ იქნებოდა).

შეუძლებელია დავუშვათ და წარმოვიდგინოთ, რომ ქართველ კომუნისტებს, მცირე გამოწკლისის გარდა, საქართველო არ უყვარდეთ. ერთხელ ილიამ თავადების გამო დაახლოებით შემდეგი თქვა: ზოგი თავადი თუ ავია, იმიტომ კი არა, რომ თავადია, არამედ იმიტომ, რომ ავი კაციაო. იგივე ითქმის ჩვენს კომუნისტებზეც. ავები და ცუდები ყველა ერშია. თვით ავებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან.

მაგრამ მარტო მორალური სიმბალეც არ კმარა. დღეს გასაკეთებელის შესასრულებლად აგრეთვე საჭიროა შინაგანი სიმტკიცე, ალტრუიზმი ეროვნულ ინტერესთა სასარგებლოდ, ჯიუტი მიდევნა ქვეყნის სამსახურისა და ისეთი მდგომარეობის დამყარება, რომ ქართველი ქართველს ენდობოდეს, რადგან ბედოვლათობა იქნება, თუ მაქსიმალურად არ გამოვიყენებთ იმ ვადას – იმ დროს, რომელიც გარემოებამ დაპყრობილად ყოფნაში გავვიგრძელა. ისტორია უფრო გვაპატიებს, თუ აქ, ემიგრაციაში, ზოგი ხან თარზე მაჟორით, ხან ჩონგურზე მინორით უკრავს საკუთარ კომპოზიციებს, ზოგი დროგასულ, თანაც ვაბზარულ ალასტინებს გრამაფონზე ატრიალებს, ზოგს კი სქოლასტიკაში შეუტოპია და არადსახმარ ბუნდოვან ფორმულების გამოგონებით ერთობა, მაგრამ იქ, ადგილზე, სხვა რეალისტური საქმეა გასაკეთებელი. იქ სახვალის ნერგები ირგვება და ცუდად დარგვა ძვირად დაუჯდება შთამომავლობას.

მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს დიდი პროგრესი ჰქონდა კულტურის სფეროში, მაგრამ იგივე ვერ მოახერხა ეკონომიურ განვითარებაში. არასაკმაოდ განვი-

თარდა წარმოება და რაც არსებობდა, ისიც უცხოელთა ხელში იყო. დღეს ყოველ დარგში დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. თავისთავის მტრობა იქნება, რომ რასაც ვაკეთებთ, კარგად არ ვაკეთოთ – აქაოდა არასასურველი რეჟიმი გვაკეთებინებსო, ან – რუსებისათვის კეთდებო. ყოველმა ქართველმა სხვა ქართველს უნდა უშველოს, რომ ქვეყანას სიკეთე შესძინოს – მატერიალური დოვლათი იქნება ეს, თუ სულიერი. მუდამ გვახსოვდეს, რომ ქართველებს კავკასიაში კონკურენტები გვყავს, მარტონი არა ვართ. ნუ დავგათრობს და მოგვატყუებს ის, რომ ჩვენი ცეკვებითა და თეატრით სახელი გავითქვით. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ თუ ამას წონასწორობის შემქმნელი სხვა რამაც არ ახლავს, მაგნე უფრო აღმოჩნდება, ვიდრე სასარგებლო. ზოგი ჩვენი მეზობელი კულტურითაც არ ჩამოგვრჩება, ხოლო მინისათვის ხელის ჩაჭიდებაში, ესე იგი, სოფლის არ მიტოვებაში, თავისი ვინაობის არ დავინყებამი და შემცველი თაობის შექმნაში (ეულგარულად, ბავშვების კეთებაში) ყველანი გვჯობნიან.

მართალია, ჩვენი ისტორიის კლასიკური სურათია: დროზე და საჭიროებისას თავის ვერ მინებება ნითელი ღვინით სავსე ქვევრებისა და შემდეგ ამ ღვინოზე ბევრად მეტი სისხლის დაღვრა წახდენილის ნახევრად გამოსასწორებლად, მაგრამ დღევანდელ რაციონალიზმის ხანაში ოდნავ ხომ მაინც უნდა შევეგუოთ ეპოქას. ისიც მართალია, რომ რუსთაველმა გვასწავლა, სჯობს სახელისა მოხვეჭაო და ილიაც სახელისათვის ამაყი თრთოლვის გაქრობას ნანობდა, მაგრამ ისინი, ქურდულად შეძენილის მეოხებით, ჩუხურ ბროლით მორთულ ბინებით თვალის მოჭრას კი არ გულისხმობდნენ, არამედ გმირულ საქციელს, რომელიც პატიოსნების გარეშე არ იქნების. ყოველი სახელი, რომლისაკენაც სწრაფვის მოტივი ახდილად არ ითქმის, დაუმსახურებელია.

ამ წერილს არც დარიგების, არც ქადაგების დანიშნულება არ ეძლევა. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ საქართველო ამას საჭიროებდეს – აქედან დარიგების მიცემისათვის კომპეტენტური ხალხიც რომ გვყავდეს. ეს მხოლოდ აზრის გამოთქმა არის და სხვა არაფერი. ჩვენი ემიგრანტული პრესა ბოლოს და ბოლოს იმას აკეთებს, რაც მის მუშაკებს შეუძლიათ, მაგრამ უფრო მაღალი დონისაც რომ იყოს, ქართულ ენაზე დაბეჭდილის ეფექტურობა ძლიერ შეზღუდულია. მაგალითისათვის: მგონია არ ვაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ერთად აღებულ ქართულად დაბეჭდილ მასალაზე უფრო ეფექტურია „ლე მონდში“ გამოქვეყნებული წერილი პროფ. გიორგი შარაშიძისა გეორგიევსკის ტრაქტატის ზეიმის შესახებ. საუბედუროდ, ამ ნაკლის გამოსწორება ვერ ხერხდება მრავალ მიზეზთა გამო.

წერილის დასასრულს მსურს ოპტიმისტური რამ მივანოდო მკითხველს. ეს გახლავთ ეპილოგი ან განსვენებულ უნიჭიერესი მწერლის გურამ ასათიანის წიგნის პირველი ნაწილისა, რომლის სათაურია „სათავეებთან“. მწერალი გვაჩვენებს მთავარ ხაზებს ქართული ხასიათისა, რისთვისაც იგი ეყრდნობა მხოლოდ ქართულ მწერლობას და ზეპირსიტყვიერებას. წიგნს დიდი გამოხმაურება ხვდა წილად. „ლიტ. საქართველოს“ პირველი მარტის ნომერში დაბეჭდილ ჯუმბერ თითმერიას წერილიდან ვგებულობთ, რომ მხოლოდ აღმანახ „კრიტიკაში“ მის შესახებ გამოქვეყნდა წერილები: აკ. ბაქრა-

ძისა, აპ. ჟორდანიასი, თ. ნატროშვილისა და ლ. სანიკიძისა. ამ დისკუსიის წინათქმაში აღმანახის რედაქტორი ამბობს: „გურამ ასათიანის მეცნიერული, კრიტიკული და ესეისტური შრომები, სადაც ქართული ეროვნული კულტურის ერთიანი და მთლიანი მოდელი წარმოიჩინება, თანამედროვე ლიტერატურული აზროვნების (და არა მარტო ქართული) ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია და „მისი მემკვიდრეობა არ არის გარდასულის კუთვნილება, იგი ცოცხალია, ფეთქავს და კიდევ დიდხანს იქნება ჩვენი აზრის დუღილისა და ჭეშმარიტებათა დაუცხრომელი ძიების მკვებავი, მასტიმულირებელი წყარო“. ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ ქართულ მწერლობის მიერ ზნეობის ასამალღებლად განუღლ შრომაზე. ეს მოღვანეობა მარტო მორალურ საკითხებს არ შეხებია. ქართული ისტორიის სწავლების შეკვეცასაც უპასუხა მწერლობამ – ეს გახლავთ ისტორიულ რომანთა სერია, გამსახურდიადან მოყოლებული ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებამდე“. მთელი ეს გამოცემები მკითხველთა ფართო წრისათვის იყო გამიზნული. უფრო ვინაო წრისათვის არის დანერილი ასათიანის წიგნი, თუმცა თხუთმეტათასიანი ტირაჟით გამოიცა. დისკუსია კი, რომელიც ამ წიგნის გარშემო გაიმართა, სრულებით არ არის „ლიტერატურული“. ეს არის საქართველოს ისტორიის ანალიზი და ლაპარაკია აქედან მისაღებ გაკვეთილზე მომავლისათვის. ოფიციალური შეხედულებით კი საქართველოს მომავალი ისტორია არც უნდა ჰქონდეს. ჩვენი მომავალი ხომ გადაწყვეტილია. მაშ, წარსულის გაკვეთილი რალა შუაშია?! ამგვარად, მთელი ეს მსჯელობა უკვე ერეტიკულია. მოყვანილი ეპილოგი წიგნიდან გამომდინარე დასკვნაა. მასში მრავალი რამ სტრიქონებშუა და მათ მიღმა უნდა წავიკითხოთ და ამის გარეშეც ეს პატარა ნაწერი მთელი სახელმძღვანელო პროგრამაა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ოპტიმიზმის დამბადებელია ასეთი წიგნის გამოსვლა და მის გამო ატეხილი ხმაური და გამართული დისკუსიები. რუსები თავისას ცდილობენ, ქართველები თავისას ფიქრობენ და აკეთებენ. ისტორია გვაქვს, მაშ, კიდევაც გვექნება!

შალვა კალანდაძის დაკრძალვა

„გუმბაგი“, 14.1984

შალვა კალანდაძე დაიკრძალა პარასკევს, 24 თებერვალს ლევილის სასაფლაოზე. სასულიერო და საერო პანაშვიდი ჩატარდა ლევილის ფრანგულ ეკლესიაში. სანამ ნესის აგებას შეუდგებოდა, მამა ილიამ ვრცლად დაახასიათა მიცვალებულის ეროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებანი. ნესის აგების შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს: სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. თამაზ ნასყიდაშვილმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით მიხეილ ქაეთარაძემ, რომლის ტექსტიც აქვე იბეჭდება, ქ. მიუნხენის მეგობრების სახელით ალექსანდრე პერუანსკიმ, ედუარდ ოგანესიანმა რადიო „თავისუფლების“ სომხური რედაქციის სახელით, ლევან ფალავამ საქ. სოც. დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროს სახელით.

გამოსათხოვარი სიტყვა

აღბათ ბევრს შეუნიშნია, რომ ჩვენში არიან გვარები, რომლებიც, აუხსნელი მიზეზით, უფრო მრავლად წარმოშობენ ხოლმე ისეთ პიროვნებებს, რომელნიც განსაკუთრებულ ნიჭს იჩენენ კულტურულ სფეროში. ერთ ასეთ გვარს ეკუთვნოდა ჩვენი შალვა, რომელიც კალანდაძეთა გვარს ატარებდა. იგი უთუოდ დაბადებული იყო იმისთვის, რომ კულტურულ ასპარეზზე ემოღვანა. მაგრამ, ამ კულტურულ სფეროში მას ისეთი განსხვავებული და ყოველდღიურ ცხოვრებიდან ისე დაშორებული დარგი ერგო მისი ინტერესისა და უნარის მიმზიდველად, რომ ყოველ ჩვენთაგანზე უფრო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საგანი, რაც მას იზიდავდა და მის ინტერესს აცხოველებდა იყო კლასიკური ფილოსოფია. მოგეხსენებათ, რომ ასეთი საგნით გატარებული ადამიანი კიდევ უფრო მეტად არის დაშორებული ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე რელიგიის მსახური.

ამიტომ, რომ თუ ყოველ ჩვენთაგანს შეუძლია თქვას, რომ ჩვენი ცხოვრება ისე ვერ მიმდინარეობდა, როგორც ამას უნდა ედინა, რადგან ჩვენ ქვეყანას

მონყვეტილები ვართ, შალვას არა მარტო იგივე სატიკივარი ჰქონდა, არამედ მისთვის პირადად დამახასიათებელი სატიკივარიც ზედ ერთვოდა. სად ფილოსოფია და სად პოლიტიკა, რაშიაც ჩვენ მეტნაკლებად ყველანი ჩაცმულნი ვართ. ყოველივე ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ გითხრათ: თუმცა მან თავისი ვალი მოიხადა, მაგრამ მისი ნიჭისა და ერუდიციის პატრონი კიდევ მეტს გააკეთებდა ზემოდ ნახსენები გარემოება რომ არ ყოფილიყო. როცა მე იგი რამდენიმე ხნის წინათ საავადმყოფოში ვინახულე, ხელში ავიღე წიგნი, რომელსაც ეს უკვე სასიკვდილოდ განწირული კაცი კითხულობდა. ეს იყო ბერგსონის ფილოსოფიურ თხზულებათა ტომი.

შალვას პოლიტიკა არ იზიდავდა, არც ამ დარგში წერა ეხალისებოდა, მაგრამ მოვალეობის შეგნებით, ათეულ წელთა განმავლობაში იგი ჩვენი ემიგრანტული პრესის არა-ერთი მუშაკის როლს ასრულებდა და ასევე ნაყოფიერად ჩაატარა მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ათიოდე წლის მოღვაწეობა რადიო „თავისუფლების“, რედაქციაში, სადაც მან თავისი გადაცემების საგნად ყველაზე საჭირო-როტო საკითხი, ნაციონალური პრობლემა აირჩია.

შალვას სამშობლოს სიყვარულთან ერთად, ცალკე, გულის ინტიმურ კუნჭულში შენახული ჰქონდა ნაზი სიყვარული თავისი მშობელი კუთხის, კეკლუცი გურიისა. ხოლო ვითარცა ინტელექტუალურ სფეროსკენ მიმართულ კაცს, განსაკუთრებულ გამორჩევით უყვარდა თავისი კუთხის ის შვილები, რომელნიც ამ კულტურულ სფეროში მოღვაწეობით არიან განთქმულნი მთელ საქართველოში. ასეთებად იგი ასახელებდა ხოლმე: მამია გურიელს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ექვთიმე თაყაიშვილს, პავლე ინგოროყვას, აკაკი შანიძეს, გერონტი ქიქოძეს. ხოლო მისი ტრფიალი იყო თანამედროვე ქართული პოეზიის, მისივე სიტყვით, ყველაზედ ლირიკული და რომანტიკული პოეტი ანა კალანდაძე. ამის გამო მან ერთხელ თქვა: დიდი სურვილი მაქვს, რომ წერილი ეუძღვნა ანა კალანდაძეს, მაგრამ მეუხერხულება, მოგვარის ქებად ჩამითვლიანო.

გაგვშორდა ერთი წვერი ჩვენი ემიგრანტული ოჯახისა. ნავიდა ისე, რომ ვალი არ წაუღია. საერთოდ სამძიმარს ჭირისუფალს ეუბნებიან და ცხადია ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ ნციერერიცხოვან ქართულ ოჯახში, რომელსაც ჩვენი სათვისტომო წარმოადგენს, ჩვენ ყველანი ერთმანეთის ჭირისუფლები ვართ და ასე უნდა გამოვეთხოვოთ შალვას, რომელმაც დაკაცების ხანიდან მთელი თავისი სიცოცხლე ჩვენს გვერდით გაატარა. მშვიდი განსვენება მინიჭებოდეს მის სულს და საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ელისე პატარიძის მოსაზრებანი

„ივერია“, 28.1985

ათმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც გავეშორდა ელისე პატარიძე. იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელი მეთაური, მაგრამ ამ სიტყვებში არ თავსდება მისი პიროვნება. ელისე იყო დიდი იდეალისტი, მზურვალე პატრიოტი, ურყევი რწმენით აღჭურვილი მებრძოლი, უშრეტეი ენერჯის მჩენი, ოჯახის სამაგალითო მამა და საზოგადოების ღირსეული წევრი. ყველა ეს თვისება იდეალურ წონასწორობით ბუდობდა მის პიროვნებაში და ყოველი ამ თვისებათაგანი მასში იმ რაოდენობით და ძალით მოქმედებდა, რამდენიც საჭირო იყო. მხოლოდ ერთ რამეში ირღვეოდა წონასწორობა და ზომიერება: ეს იყო სამშობლოსათვის უზომო თავდადება და ასევე ზღვარუღებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა. ამიტომ იყო, რომ მან არ იცოდა არც აჩქარება, არც დაგვიანება, მაგრამ სულ მოქმედებდა. ხოლო მისი მოქმედების მასტიმულებელი, ვით საზოგადოებრივ, ასევე ოჯახურ საქმეში მუდამ სიყვარული იყო. ამიტომ შეძლო მან, არც სიმდიდრის, არც ხელობის მქონე კაცმა, ასეთი თავდადებული მუშაობა საზოგადო საქმეში და ამავე დროს – იდეალური გაძლოლა საკუთარი ოჯახისა.

ელისეს ჰქონდა აგრეთვე ხასიათის ისეთი თვისებები, რომელთა იშვიათობაც დიდი ნაკლია საერთოდ ქართული ხასიათისა. იგი იყო პრინციპთა ერთგული კაცი, იღვწოდა არა სახელისა და გამორჩენისათვის, არამედ საქმისათვის, იყო საკუთარ შეცდომათა მალიარებელი – როცა ასეთი რამ შეემთხვეოდა, არ იყო გულღვარდლიანი. არც შური იცოდა და ამას ისიც ერთვოდა, რომ მას არ ახასიათებდა ქართული დაუდევრობა, არამედ, რამდენადაც შეეძლო, წინდახედულად მოქმედებდა და ნაბიჯის სისწორეს ადრევე ზომავდა, რის გამოც იგი დაზღვეული იყო ცეცხურ, აჩქარებულ გამოსვლებისაგან.

ლოგიკურია, რომ ასეთი ბუნების კაცი არასოდეს უკიდურესობამდე არ მისულა იმ კინკლაობაში, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ემიგრანტული „პოლიტიკური“ წარსულისათვის, როგორც პარტიათა შორის არსებულ დამოკი-

დებულებით, ასევე თვით პარტიათა ნიაღში გამეფებულ ქიშპობა-უთანხმოებით. მგონია, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ ელისე იყო ყველა აქტიურად მოქმედ მოღვაწეთაგან ყველაზე უფრო შემწყნარებულ და ზომიერ ხაზის მიმდევარი და ამ მიმართულებითვე ყველაზე უფრო აქტიური მცდელი როგორმე ერთობის და შეთანხმების მიღწევისა. ხოლო ამას იგი სჩადიოდა არა იმიტომ, რომ ნაკლებად იყო დარწმუნებული მოწინააღმდეგეთა მცდარობაში, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნისთვის მომუშავე ალტკინებულ მებრძოლს ერთი კაცის გამოკლებაც ეძნელებოდა და ვერ იმეტებდა იმ უძნელეს ჭიდილიდან გამოსარიცხად, რომელშიც იგი თავგანწირვით იყო ჩაბმული.

ნუ ვიტყვით, რომ ყოველივემ ფუჭად ჩაიარა. რაკი მან მიზანს ვერ მიაღწია, მაშინ ემიგრაციის არსებობაც ფუჭად ჩაითვლებოდა. არა! ელისეს თარგის ადამიანები ქმნიან ქვეყნის სიკეთეს. ზოგს ბედი გაუღიმებს და მოეწონება ბედნიერ შედეგს, ზოგი საქვეყნო ტვირთის ზიდვისას დაეცემა – ან მტრისა ხელით, ან ღონემიხდილობით, ან ხანდაზმულობით. ხოლო მათ მიერ დაღვრილი სისხლით და ოფლით გრძელდება ერის სიცოცხლე. ყოველ შეგნებულ ქართველს მართებს მადლიერებით თავი დახაროს იმათი ხსოვნის საპატივცემულოდ, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე საქვეყნო საქმის კეთებაში დალიეს – თუნდაც ეს უშედეგო ცდა ყოფილიყო. ხოლო ჭეშმარიტად კეთილშობილმა და კაცურმა კაცმა – ელისემაც სცადა და ამ ცდაში დალია სული.

ვიმედოვნებ, მკითხველი გამიგებს და აუგად არ ჩამითვლის, თუ პირადი მოტივის შეტანით ვაბოლოვებ ამ მოსაგონარს. მე მაქვს მიზეზი ელისეს მიმართ პირადი მადლიერებისა. მისი დაჟინებული რჩევის, ჩაგონების, თვით მოთხოვნის შედეგია, თუ მე ჟურნალისტიკაში ჩავები. ერთ დღეს ელისემ ენერგიულად დამავალა შეკვეთილ თემაზე დამენერა წერილი. მაშინ უკვე სამოც წელს ვიყავ მიღწეული და არასდროს აზრადაც არ მომსვლია ჟურნალისტობა. შემთხვევა კი საკმაოზე მეტი მქონია წარსულში. უფრო გვიან ისევე იმავე ხერხით, სხვა წერილი დამანერინა და ნელ-ნელა შეუმჩნევლად „გამაბა მახეში“. საუბედუროდ, მალე თვითონ დასნეულდა და ვინაიდან მეორე რედაქტორი — ჭირაქაძე პროვინციაში ცხოვრობდა, სამუშაო ფაქტობრივად მე დამეკისრა. მოკლე ხანში ელისე დაეკარგეთ, ხოლო ერთი ნომრის გამოცემის შემდეგ ს.ჭირაქაძეც გარდაიცვალა. ამის მოთხრობით არ ვამბობ, თითქოს ელისეს ჩემი მონადირებით ძვირფასი რამ შეეძინოს ჟურნალისათვის, სხვა ვერავინ იპოვა, შ. კალანდაძეც შორს იყო.

მადლიერება კი იმიტომ მმართვეს რომ ამ საქმის გარეშე ძლიერ უფერული იქნებოდა ჩემი მოხუცობა, როცა ჩემი ქალიშვილი სხვა კონტინენტზე ცხოვრობს, მე კი დაქვრივებული მარტოხელი ვარ. ამ საქმემ ელისესთან და მის ოჯახთანაც ისე დამაახლოვა, რომ მის შვილებთან ჩემი დამოკიდებულება დიდად არც განსხვავდება ჩემ საკუთარ შვილთან დამოკიდებულებისაგან... რაკ ჩემთვის დიდი ბედნიერებაა.

ბიჭიკო ახვლედიანის გამოსათხოვარი

„გუშაგი“, 4.1985

დაგვმორდა ქართული ემიგრანტული ოჯახის ყველაზე უფრო კოლორიტული წევრი – ბიჭიკო ახვლედიანი. კაცს, რომელსაც ჩვენ დღეს ვემშვიდობებით, ორი ძლიერ თვალშისაცემი თავისებურება ახასიათებდა: ეს იყო მისი იუმორი და დაჟინებით გამოყენება იმერული დიალექტისა. ეს თავისებები, თვით მისდა უნებურად, ერთგვარი ბუნებრივი ნილაბის როლს ასრულებდნენ და მხოლოდ მასთან ძლიერ დაახლოებულ პირთათვის იყო შესაძლებელი ამ კაცის სხვა თავისებების, ხასიათის და მათი ღირებულებების საფუძვლიანად გაცნობა.

ამიტომ, მცდარნი ვიქნებით თუ ვიფიქრებთ, რომ მას ყველაფერი სახუმროდ მიაჩნდა, ან თითქოს მას სხვაგვარად საუბარი არ შეძლებოდა, თუ არ იმერულ კილოზე.

არადა სხვაც რომ არა იყოს რა, მას ქუთაისის ქართული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული – თანაც პირველი ხარისხით – და ჯერ კიდევ იმ დროში, როცა სწავლების ხარისხი თავის სიმაღლეზე იდგა.

მაგრამ ეს ჭკვიანი, დაკვირვებული და შეგნებული კაცი, თავისი კულტურის და ინტელექტის გამომზეურებას რატომღაც ერიდებოდა, და თუ ასეთი რამ მე მას შევამჩნიე, მხოლოდ ისეთ შემთხვევისას, როდესაც მასთან სხვა მსმენელთა დაუსწრებლად მქონია საუბარი. ხოლო სულ სხვაგვარად იქცეოდა იგი, როცა მრავალრიცხოვან წრეში მოხვდებოდა. აქ მისი საუბარი საკმაოდ ზერელე თემებს ეხებოდა. როგორც მაგალითად ჩაცმა-დახურვა, ცხენოსნობა, ან სხვადასხვა ანექლოტური შემთხვევები და ამბები. მე მგონია, რომ ამის მიზეზი არ იყო არც მორცხვობა და არც თავისთავში დაუნრმუნებლობა, არამედ მხოლოდ ის, რომ მას საშინლად ეჯავრებოდა ყოველგვარი მეტიჩრობა, რასაც ის ხშირად გამოხატავდა თუ იმ პიროვნების საქციელში.

ამ იმერულად მოლაპარაკე კაცს, იმერული ზრდილობაც ახასიათებდა. ზოგჯერ გამწვავებულ გარემოში და ცხარე კამათში, საკვირველად დინჯად რეაგირებდა.

ამიტომაც იყო, რომ მან შეძლო ყველასთან კარგი დამოკიდებულება შეენარჩუნებია ჩვენს სათვისტომოში და თუ ვინმეს მწარე სიტყვასაც ეტყოდა, ამას ისეთი ფორმით გამოთქვამდა, რომ მსმენელი შეურაცხყოფილი არ დარჩენილიყო.

მე არ მინდა აქ ხაზი გაეუსვა იმას, რომ ბიჭიკო ეროვნულ-დემოკრატი იყო, არამედ ვლადპარაკობ ქართველზე, რომელიც თავის მოქალაქეობრივი ვალის მოხდას არ გაქცევია, როგორც საქართველოს მიერ გადახდილ ომების დროს, ასევე აგვისტოს აჯანყებისას, რომელშიაც მან ჭიათურაში მიიღო მონაწილეობა.

ბიჭიკომ ერთგული მეგობრობა იცოდა, ხოლო რაც ზოგად დახმარებას შეეხება, იგი მუდამ მზად იყო ყველასთვის დახმარების ხელი გაეწოდებია. საქართველოში მყოფი ნათესავებისათვის კი მას არაფერი დაუშურებია და არა მგონია, რომელიმე ლტოლვილ ქართველს იმდენი გაელოს, რამდენიც ბიჭიკომ მისიანებისათვის.

ჯერ ცოლის ხანგრძლივმა სნეულებამ, რომელსაც იგი დიდი მზრუნველობით უელიდა, შემდეგ მისმა საკუთარმა მტანჯველმა ავადმყოფობამ, დაქანცა და მოტეხა იგი, მაგრამ სტოიკურად აიტანა ყველაფერი და სიკვდილსაც ვაჟკაცურად შეხვდა.

სიყვარულით მოვიგონებდეთ მას, ვისაც ჩვენ ყველანი ვუყვარდით. ნახვამდის, ძმავ ბიჭიკო, ვიცი, როცა ხელახლა შეგხვდები, მხოლოდ შენი კეთილად ხსენების ამბავს მოგიტან, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ შენ რა სახუმარო პასუხს გამცემ.

საუკუნო იყოს ხსენება შენი!

ბენერალ გიორგი კვინიტაძის წიგნის გამო

„ივერია“, 30.1987

ჩვენი უახლესი ისტორიის შესასწავლ მასალებში არსებობდა ფრიად მნიშვნელოვანი ხარვეზი. მას აკლდა ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომლის გარეშე ამ საგნის შესწავლის ძირითად უბანს გამაშუქებელი ელემენტი მოაკლდებოდა. ეს ხარვეზი დღეს შევსებულია გენერალ კვინიტაძის წიგნით: „მოი ვოსპომინანია“... გამომცემლობა „იმკა პრეს“ პარიზი 1985.

დადგენა იმისა, თუ რა მოხდა ოცდაერთ წელს, ძნელი არ არის. ამისთვის საკმარისი მასალა არსებობს. არც იმის დადგენა არის ძნელი, რა სახე ჰქონდა ამ მოვლენას, კერძოდ, როგორი იყო ოცდაერთი წლის ომის პერიპეტიები. არც იმის დადგენა გაჭირდება, რომ ომის დაწყების ჟამს, მისი მოგების შანსი – თუ სასწაულებრივ მოულოდნელ ფაქტორის მოვლინებას არ მივიღებთ მხედველობაში – წულს უდრიდა. იმაზედაც საკმაოდ დაწერილა, რომ მაშინდელ მეთაურობისათვის ქართული სახელმწიფო, მათდაუნებურად, ნაშვილევი გერი იყო და მაშასადამე, ისინი გულთ ვერ მოუვლიდნენ მას, მაგრამ არ იყო ზუსტად ცნობილი ის პირობები, ის ფაქტები, რომელნიც დაადგენდნენ, თუ ვინ და როგორ ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა თავდაცვის საქმის წესიერად მოგვარებას.

ამ საკითხის თავიდან ბოლომდე მცოდნე მხოლოდ გენერალი კვინიტაძე იყო და ამ წიგნის მთავარი ფასი სწორედ ის არის, რომ იგი უპირველესი წყაროა ჩვენი ახლო წარსულის ამ საბედისწერო უკუღმართი მოქმედების რაობისა და პასუხისმგებელთა დასადგენად.

წიგნში მრავალი ამბავია მოთხრობლი, რომელთაც თანაბარი მნიშვნელობა არა აქვთ. სამხედრო აკადემიადამთავრებული ოფიცერი, რომელსაც სამხედრო ხელოვნების გარდა, ის სხვა საგნებზეც ჰქონდა ღრმად და ფართოდ შეთვისებული, რომლებსაც იქ ასწავლიან – რაც ყოველ, გენ.შტაბის ოფიცერზე როდი ითქმის – ცხადია, ფრიად საყურადღებო აზრებსაც გამოთქვამს წიგნში, მაგრამ მსჯელობას მუდამ შეიძლება კონტრმსჯელობა მოეძებნოს. ასეთია აზრიც, რომლის

სანიანალმდეგოდ განსხვავებული აზრი წამოიჭრება, მაგრამ სულ სხვაა ფაქტების მოტანა – ამ ფაქტთა მონმის მიერ. აქ შეიძლება მხოლოდ არდაჯერება მონმის ჩვენებისა. ხოლო გენერალ კვინიტადის მიმართ თუ რაიმე შეუძლებელია, ეს არის სწორედ იჭვის შეტანა მის პატიოსნებაში. მაშასადამე, მისი ნაამბობი სრული სიმართლეა. ამიტომ, რომ ამ წიგნში მოტანილ ფაქტებს იგივე ძალა და მნიშვნელობა აქვთ, როგორც – სასამართლოში წარმოდგენილ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელთაც ფრანგები უწოდებენ: *PIECES A CONVICTION*. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის „წაკითხვას“, რასაც ეს ფაქტები მოგვითხრობენ. ესეც ნაწილობრივ უკვე დანერვილია, მაგრამ ყოველივე ეს მსჯელობა იყო, რომლის ურყეობა-საფუძვლიანობასაც აკლდა ის, რაც ამ წიგნშია მოცემული. ეს არის, რის თქმაც აუცილებელი იყო ამ წიგნის მოკლე რეცენზიაში.

ახლა გვსურს ზოგი „არააუცილებელი“ რამ დაუშვათ. ჩვენი ახლო წარსულის მკვლევართათვის უთუოდ დაისმება კითხვა: შეიძლება თუ არა დაძლევა თავდაცვის მონესრიგების ხელისშემშლელებისა? ამ საკითხზე მსჯელობა ბუნებრივად მიგვიყვანს მმართველობის შეცვლის, ანუ გადატრიალების საკითხთან. ასეთი იდეა არსებულა კიდევაც. ამის შესახებ ჟორდანიაც ლაპარაკობს „ჩემ წარსულში“. გ. კვინიტადის წიგნი კი დღეს ამაზე.

წიგნში თითქმის იგნორირებულია ვ.ჯუღელი¹ და არც მისი წიგნი „მძიმე ჯვარი“ არის ნახსენები. წიგნის მოუხსენებლობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ კვინიტადის წიგნს „მოგონებანი“ ჰქვია და ფორმალურად ჯუღელის წიგნის მოხსენიება სწორი არ იქნებოდა, მაგრამ იმ პარაგრაფებში სადაც გ. კვინიტადის ზოგადი მსჯელობაა გვარდიელთა არალოიალურ საქციელზე, მაგალითად, ფოცხოვის მიმართულებით ნაწარმოებ სამხედრო ოპერაციების დროს, ან კიდევ – ადერბაიჯანის მხრიდან წითელი ჯარის შემოტევისას, ყველა ეს მოვლენები ასახულია ჯუღელის წიგნშიაც. და თუ ახლა ორივე ავტორის პოზიციას ერთმანეთს შევადარებთ, აშკარად ჩანს, რომ მაშინ როდესაც გ. კვინიტადე სახელმწიფოს ინტერესებს იცავდა, ჯუღელი ანტისახელმწიფოებრივი აზრებით და იდეებით იყო გატაცებული. როცა გ. კვინიტადე ამტკიცებდა სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, არდაგანისა და მისი მიდამოების დაკავების აუცილებლობას, ჯუღელი – ამას იმპერიალისტურ განზრახვას უწოდებდა და ამის წინააღმდეგი იყო.

მეორე მაგალითი: როდესაც რუსებთან და წითელ ადერბაიჯანთან ომი გვექონდა და გამარჯვებულმა ქართულმა ძალებმა მტრის დევნა დაიწყო, რასაც ადერბაიჯანის გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა, როგორც ვიცით, ჩვენმა მთავრობამ მტერთან ზავი დადო – მოსკოვთან ხელშეკრულების დადების გამო. ამ დღეებს რომ შეეხებიან, იმ წიგნში ჯუღელის წიგნისა, ლაპარაკია იმაზე, რომ გვარდიელ

¹ ვალიკო ჯუღელი ასევე იგნორირებულია ჟორდანიას „ჩემ წარსულში“, ხოლო ჯუღელის წიგნში ხსენებაც არ არის შესაქმნა მინისტრის რამიშვილისა. უცნაური ხალხი ვართ ქართველები, არა?

და წითელ მეთაურებს შორის გამართულ იდეოლოგიურ დისკუსიებში, წითლები უმწეონი ჩანდნენ გვარდიელებთან კამათშიო. აქ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს გვარდიელები იდეოლოგიურ მონინაალმდეგეს ებრძოდნენ თურმე და არა – ხელახლად ჩვენი დაპყრობის მოსურნე რუსებს. იდეოლოგიამ კი არ გაიმარჯვა მაშინ, არამედ ქართველების უპირატესობამ უკუაქცია მტერი. წითლებს თხუთმეტვიმე ათასი რუსი მეომარი ჰყავდათ, გ. კვინიტაძეს კი — ორმოცი ათასი მეომარი. 21 წელს კი არა, მაშინ წავაგეთ ჩვენი ქვეყანაო, ამბობს კვინიტაძე „ჩემს პასუხში“ (1954 წელს). ჯუღელის წიგნში კი ეს ომი სამოქალაქო ომად არის წარმოდგენილი, სადაც მენშევიკები იდეოლოგიურად უფრო ძლიერებად არიან დასახული, ვიდრე ბოლშევიკები. სხვა მრავალი ადგილის მოტანაც შეიძლება, მაგრამ მოტანილიც კმარა იმის საჩვენებლად, რომ გ. კვინიტაძე რალაც მიზეზით გაურბის, თავისი შეხედულების გასამაგრებლად, მოყვანას ჯუღელის მცდარი აზრებისა – მცდარი აზრებისა, დღევანდელი შეფასებით, თორემ მაშინ, ჯუღელის მცდარობის მტკიცებას ვინ გაბედავდა.

რამდენიმე სიტყვა წიგნის რუსულად გამოცემის გამო. რუსულად გამოცემულ თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ზ. ავალიშვილი ამბობს დაახლოებით შემდეგს: ეს არსებითად ქართული წიგნი რუსულად იმიტომ გამოიცა, რომ მის პოტენციურ მკითხველთა უმრავლესობისათვის რუსული ენა არის საერთო ენაო. ამ მართალი მოსაზრების თანახმად, კვინიტაძის წიგნის რუსულად გამოცემაც გამართლებულია, მაგრამ ამის მონინაალმდეგეთა პასუხია: „ჩვენი სიგლაზე რეიზა უნდა მოვდვით ქვეყანასო“. ძნელია ამორჩევა – სიბეცეა ეს, თუ მიკერძოება! ის კი აშკარაა, სწორედ ამ წიგნიდან ჩანს, თუ რამდენად არ არის ეს „ჩვენი სიგლაზე“ – რაც მოგვივიდა, არამედ არის სიგლაზე პიროვნებათა იმ მცირე რიცხვისა, ვიზედაც ზედგამოჭრილია ნათქვამი: რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო. კეთილმოაზროვნე ქართველობამ ეს უკვე იცოდა, მაგრამ ჩვენი უკეთესი სახელისათვის სწორედ ის არის საჭირო, რომ უცხოელებმაც იცოდნენ ეს.

ციურიხელი ქართველოლოგების ღირსაული საქმე

ივერია, 31.1987

ჩვენი ძვირფასი მეგობრები – სამი ციურიხელი მანდილოსანი, კვლავ განაგრძობენ ფასდაუდებელ მოღვაწეობას საქართველოსთვის, – მისი სახელისათვის, მისი კულტურის სინათლეზე გამოტანისათვის. „ივერიის“ რედაქციას, სამწუხაროდ, ინფორმაცია არა აქვს მათი მუშაობის პროგრამაზე და ამიტომ მხოლოდ კანტიკუნტად ჩვენამდე მოღწეულ მასალას შეგვიძლია გამოვეხმაუროთ. ასეთი მასალა ილიას შესახებ გამოქვეყნებული წერილი „ნოიე ციურხერ ცაიტუნგის“ 278-ე ნომერში, 1986 წლის 29-30 ნომბრისა.

წერილი, რომელსაც გაზეთის ორი მთელი გვერდი უკავია, გამოქვეყნებულია რუთ ნოიკომპის და იოლანდა მარშეის სახელით და უკვე სათაური: „ილია ჭავჭავაძე — საქართველოს დიდი მენტორი“ გვანიშნებს, რომ ჩვენთ მეგობართ ზუსტად გაუგიათ და შეუცვნიათ ილია და მისი ადგილი საქართველოს ისტორიაში. ეს მითოლოგიიდან მომავალი სახელწოდება (მენტორი ერქვა ალკიმოსის შვილს და ულისის მეგობარს), რომელიც მეთვრამეტე საუკუნიდან არის დამონებული ფრანგულ ლიტერატურაში, დღეს გამოიყენება ვით სინონიმი – ბრძენის, მრჩეველის და მეგზურ-წინამძღოლისა. მგონი, ჯერ არავის გამოუყენებია ილიას მიმართ ეს ეპითეტი ქართულ ლიტერატურაში, არადა, სწორედ ამ სიტყვის სხვადასხვა ნიუანსია ერთად შერწყმული ილიას პიროვნებაში და არც სხვა რომელიმე ქართველი დიდი პიროვნების თვისებები პასუხობს ასე ზედმიწევნით ამ სახელს.

გაზეთისათვის საკმაოდ ვრცელ, მაგრამ საკითხისათვის მოკლე ამ წერილში, ხელოვნებით არის შეკუმშულად ნათქვამი თითქმის ყოველი, რისა თქმაც აუცილებელი იყო. ცხადია, ავტორები, ვით თვითონვე ამბობენ, ქართულ წყაროებს ეყრდნობიან, მაგრამ მათი უტყუარი ალლოს ნიშანია, რომ მათ მთავარზე და უმნიშვნელოვანესზე გაუმახვილებიათ ყურადღება.

გარდა თვით წერილისა, აქვე მოტანილია ნიმუშები ილიას პოეტური ნაწარმოებებიდან. ურიტმოდ თარგმნილია სტრიქონები ლექსებისა: „ელეგია“, „ხმა

გულისა", „ქართლის დედას" და „განდეგილიდან" ამოღებული ადგილები, რომელნიც სიუჟეტის ამხსნელ, ფრჩხილებში ჩასმულ განმარტებებით არიან ერთიმეორეზე გადაბმული. ამათი მთარგმნელთა ვინაობა ალუნიშნავია, მაგრამ კიდევ ერთი ლექსი „პოეტი", რომელიც ნახევრად გართიმულ ლექსად არის თარგმნილი, ქვეყნდება ვით თარგმანი რუთ ნოიკომმის და იოლანდა მარშევისა. გარდა ამისა, თვით წერილში, იქ, სადაც ილიას მოკვლა არის მოთხრობილი, ტექსტის საილუსტრაციოდ და განწყობილების შესაქმნელად, ჩართულია ლექსი „ლოცვა" და მეხუთე თავი „აჩრდილიდან", აგრეთვე „ჩემო არაგვო".

წერილში სხვა რამაც იპყრობს ყურადღებას: სადაც კი მოსახერხებელია, ავტორები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ, ჯერ ერთი, რუსების კოლონიალური პოლიტიკა ამხილონ და ამასთანავე ერთიმეორისაგან გამიჯნონ ქართული და რუსული კულტურა. ასე მაგალითად, როცა ავტორები გვაცნობებენ, რომ დანყებითი განათლება ილიას მისმა დედამ მიაღებინაო, და ასევე იქცეოდნენ სხვა ქართველი დედებო, აქვე დასძენენ: რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რუსებმა ქართული სკოლები დახურეს და სკოლებიდან განდევნეს ქართული ენა, რომელსაც რუსულთან არაფერი საერთო არა აქვსო. აქედან უცხოელი მკითხველი დაასკვნის, რომ თუ დედების ამგვარი მოქმედება არა, ქართველი ბავშვები ვერ ეზიარებოდნენ მშობლიურ კულტურას.

ეს შეეიცარიელი სამეული მხოლოდ ქართველოლოგები არ არიან, არამედ – ნამდვილი თავგამოდებული მებრძოლები არიან ქართული საქმისა. შეუძლებელია, ამათ მაცქერალს არ მოაგონდეს დაუვინყარი მარჯორი უორდროპი, რომელმაც წარუშლელი ხსოვნა, პატივისცემა და სიყვარული დატოვა ქართველთა გულში. ჩვენი ქვეყანა რომ მაშინდელზე უფრო უმონყალოდ არ იყოს თავისუფალ სამყაროს მოკვეთილი, მადლიერი საქართველო ამათაც სულ სხვაგვარად გამოეხმაურებოდა...

მკითხველსა ვთხოვ, უადგილო შედარებად არ მიიღოს შემდეგი სიტყვები: „თუმც არცერთ მათთაგანს თავს არ აადგია ძღვეის გვირგვინი", არც „წმინდა მონამის", არც რომელიმეს „უპყრია ჯვარი ვაზისა", საქართველოსთვის უანგარო მოღვაწის გვირგვინი კი უცილობლად დაიმსახურა ამ სამმა მანდილოსანმა.

„მტარი მტარსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს“...

ივერია. 34.1990

ჩვენმა დაულალავმა მწერალმა ალექსანდრე მანველიშვილმა, რომელსაც ამერიკაში გადასახლებაში უკვე ცხრა სხვადასხვა სისქის, ყველა ღირსების მქონე წიგნი თუ წიგნაკი ჰქონდა გამოცემული 1956 წლიდან 1984 წლამდე თითქოს დაისვენა, მაგრამ 1984 წლიდან უკვე მხოლოდ მწერლის კალამი კვლავ ამოქმედდა და გაკვირვებულმა მკითხველმა ზედიზედ ოთხი სქელტანიანი წიგნი მიიღო. ეს წიგნებია: „რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა“, „ძველი ქართული მწერლობა“, „ოქროს ხანა ქართველი ერის ისტორიაში“ და 1990 წელს გამოცემული „ნარკვევები და წერილები“.

ამათგან პირველს ორ ჩვენი ჟურნალი უკვე გამოეხმაურა. წიგნი „ოქროს ხანა“, ჩემი აზრით, შესანიშნავად შედგენილი ნაწარმოებია – ნამდვილი ოსტატის ნახელავი და მიუხედავად საქართველოში ამ თემაზე მრავლად დაწერილისა, ეს წიგნი, კონკურსი რომ შემდგარიყო, მგონი, მარტო ჩემს ხმას როდი მიიღებდა პირველი პრიზისათვის.

ხოლო მისი უკანასკნელი, მეცამეტე წიგნი ძლიერ განსხვავდება ადრინდელი თორმეტისაგან. განსხვავება ჯერ იმაშია, რომ წიგნში 23 სათაურით წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის მასალაა დაბეჭდილი, სულ სხვადასხვა ღირსებისა. ეს გასაგებიცაა, რადგან შიგ ავტორის არქივიდან ამოკრეფილი მასალაც ურევია. მხოლოდ მკითხველისათვის ძნელია გარკვევა, რომელი წერილი ქვეყნდება პირველად და რომელი წარმოდგენს უკვე გამოქვეყნებულის გამეორებას. ყოველ შემთხვევაში, ეს წიგნი სხვა მის წიგნთა გვერდით ძლიერ პიროვნულია – რადგან დიდი ადგილი ეთმობა ავტორის ურთიერთობას სხვადასხვა ემიგრანტ პოლიტიკურ მოღვაწესთან და მის პირად მოწინააღმდეგეებს ე.წ. პოლიტიკურ საქმიანობაში.

და მე მაგონდება ავტორის ერთი განცხადება, რომელიც მან „ძველი ქართული მწერლობის“ შესავალში გააკეთა – „ივერიის“ ოცდამეათერთმეტე ნომერში მოთავსებულ პროფ. ლანგისადმი მიძღვნილი წერილის დასაწყისში: „მე ისტორიკოსი არა ვარ, ამასზე არც ოდესმე მიფიქრია. თუ ისტორიულ საკითხებზე წერა მომიხდებოდა, ეს იყო ჩემი პუბლიცისტური და პოლიტიკური მიზნებით“.

ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ბ-ნ. მანველიშვილი მთელ თავის, მწერალ-ისტორიკოსის მოღვაწეობას, რაც სინამდვილეში საფუძველია ამ ავტორის დაფასებისა და პატივისცემისაც, თვლის მხოლოდ გამოსაყენებელ მასალად, ანუ იარაღად პოლიტიკური მუშაობისათვის (რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, დღეს აღარავის აინტერესებს). და ამ პოლიტიკური მუშაობის საერთო სურათი თუ არა, მისი ეპიზოდები უნდა დავინახოთ მის მეცამეტე ნიგში. აქ ვერ ვილაპარაკებ იმ წერილებზე, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა შემთხვევები მისი ურთიერთობისა ყოველთვის ძველი თაობის ლიდერებთან. არც იმ წერილებზე, რომლებშიც იგი თეორიულ და იდეოლოგიურ საფუძვლების შექმნას ცდილობს „თეთრი გიორგის“ სამოქმედო პროგრამის გასამართლებლად. ყველა ეს წერილი ომამდეა დაწერილი, მაგრამ რაკი მათ არავითარი შენიშვნები არ ახლავს, ალბათ, ავტორის პოლიტიკურ შემცენებაში დღემდისაც არაფერი შეცვლილა.

აქ მე მხოლოდ და ისიც იძულებით, უნდა შევეხო მის ერთ წერილს, რომლის სათაურია „რამდენიმე შენიშვნა“ (გვ. 17-29). ეს შენიშვნები ეხება ვინმე ლომაშვილის ნიგნს „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“, რომელშიაც საბჭოური მიდგომით გაკიცხულია ქართული ემიგრაციის მონაწილეობა მსოფლიო ომში გერმანელთა მხარეზე. მანველიშვილი წერილმანებში და უმნიშვნელო შეცდომებში ედავება ლომაშვილს, ხოლო ნამდვილ თავდასხმას ანარმობებს სწორედ იმ ხალხზე, ვინც ამ მონაწილეობას ხელმძღვანელობდა, რითაც ფაქტობრივად ლომაშვილის მხარეზე დგება.

იგი წერს: „მოუხედავად იმისა, რომ ომის წინ ჩვენ გერმანიაზე დიდ იმედებს ვამყარებდით, ომის დროს ეს განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. ჰიტლერის ხალხს ისე არ ესმოდა ქართული საკითხები, როგორც ეს იყო ვილჰელმის დროს. არც აინტერესებდათ. ამით აიხსნება, რომ მათ ქართულ სერიოზულ ძალების თანამშრომლობაზე უარი თქვეს და უპრინციპო და სრულიად უპასუხისმგებლო ხალხს მიმართავენ და მეთაურად მოუჩინეს ასევე უპრინციპო, მაგრამ მათი დაზვერვის სამსახურში მყოფი მის. კედია. ასეთი ხალხის მოქმედების ისტორია ლომაშვილმა ემიგრაციის ისტორიად გამოაცხადა“.

ეს პასაჟი თავიდან ბოლომდე ყალბია.

1. გერმანელებზე იმედის დამყარება არ შეცვლილა. სხვა ვისი იმედი უნდა გექნოდა, მაგრამ ადგილი ჰქონდა განზილებას პოლიტიკური საკითხის დასმაზე უარის გამო გერმანელების მხრივ. ხოლო მარტო ეს გარემოება არც მორალური, არც ანგარიშის მიხედვით ქართველებს ნებას აღარ აძლევდა გერმანულ მხედრობასთან თანამშრომლობაზე უარის თქმისა. 50 ათასზე მეტ ქართველ ტყვეზე ზრუნვა იყო საჭირო და თუ გერმანელები კავკასიას დაიკავებდნენ, უმჯობესი იყო, რომ ეს ჩვენი მონაწილეობით მომხდარიყო. ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა და ანგარიში.

2. ჰიტლერის ხალხს და გერმანიის მხედრობას ქართული საკითხი ვილჰელმის ხალხზე უკეთ ესმოდა. ვილჰელმისდროინდელზე ბევრად მეტი ექსპერტი ჰყავდა მეორე ომის დროს გერმანიას ქართული საკითხისა. ესენი იყვნენ ჯერ პირველი ომის მონაწილე ოფიცრები, შემდეგ გერმანელი მეცნიერები თუ სხვადასხვა დარგის

სპეციალისტები და ბოლოს, ძალიან ცნობილი და მაღალი პოსტის მჭერი გერმანელის ქვეშემდრომი თუ არა ქვეშემდრომი ქართველები. როგორც ნიკურაძეები და ახმეტელი (არა ყოფილი ელჩი, არამედ სხვა, უფრო ახალგაზრდა), ნერეთელი, რობაქიძე და კიდევ სხვები.

3. ქართულ სერიოზულ ძალებთან თანამშრომლობაზე გერმანელებს, რასაკვირველია, უარი არ უთქვამთ. მათ უარი თქვეს პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, რადგან პოლიტიკური მოლაპარაკებები ომის მოგების შემდგომი დროისათვის ჰქონდათ გადადებული. და ეს იმიტომ, რომ ჰიტლერმა თავისად გაიხადა და სიტყვა-სიტყვით ერთგულობდა ომის უდიდეს თეორეტიკოსს — გენერალ კლაუზერვიცის (1780-1831) ფორმულას: ომი პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებით. ამიტომ იყო, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს თითქმის მხოლოდ საკონსულ უწყებალა შერჩა მოსავლელად და ისიც დაზერვის ქვეშ მუშაობდა. ხოლო რადგანაც ომსა და პოლიტიკასაც თვითონ ჰიტლერი ხელმძღვანელობდა, პოლიტიკური საკითხები, გარდა აუცილებლად დაუყოვნებლივ გადანყვებისა, გვერდზედ იყო ყველა გადადებული.

ხოლო რატომ და რით იყო უპრინციპო და უპასუხისმგებლო ხალხი: მიხ. კედია, გივი გაბლიანი, გიორგი მაღალაშვილი, მიხ. ალშიბაია, ალ. ცომაია, ვ. ნოზაძე, ალ. ასათიანი; ოფიცრები: გენ. ჭავჭავაძე, მიხ. დადიანი, შალიკაშვილი, ბაქრაძე, ლალიძე, კობიაშვილი, ინჯია, ნ. ვაჩნაძე, არჩ. დადიანი და კიდევ სხვები?

ხალხს როდესაც უპრინციპობას და უპასუხისმგებლობას დასწამებ, სამშობლოსათვის იარაღით ხელში ან სხვაგვარად მებრძოლისათვის უდიდესი შეურაცხყოფაა, ვალდებული ხარ, საბუთიც მოიტანო ამ საშინელი ბრალდებისა. არადა, ფრანგული ანდაზა ამბობს: ძაგება ამაღლებს პიროვნებას, როცა ძაგების ავტორნი სტყუიანო.

სინამდვილეში მანველიშვილი პირადად მიხეილ კედიაზეა აფოფრილი და ასევე, პირადად მანველიშვილის მიმართ თითქოს ჩადენილი მტრობით არის გამოწვეული ეს მისთვის არასაკადრისი გამოსვლა. აქ საქვეყნო დიდი საქმე დაყვანილია ამ საქმეში მანველიშვილის მონაწილეობა-არმონაწილეობის დონეზე და რადგან იგი ამის გამოჩენას ერიდება, წერილი სავსეა ულოგიკობით. მანველიშვილს რომ ბერლინიში „პოსტი“ არ ერგო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ საქმეში ემიგრაცია არ იყო ჩარეული. ერთადერთი ჯგუფი, რომელმაც თავისი მხდლობა „იდეოლოგიით“ შენიღბა და განზე დარჩა, ე.წ. ნერეთელისტთა რამდენიმე ქალაჩუნა იყო. სხვა ყველა შიგ იყო. მრავალი ამას შეეწირა და მანველიშვილიც რომ იმ დალუპულებში ყოფილიყო, რაც მე შემეხება, ჩემ თვალში იგი უფრო ამაღლებული იქნებოდა, ვიდრე დღეს არის — განსაკუთრებით მისი ამ უღირსი წერილის შემდეგ.

ლომაშვილი იმაში კი არ ტყუის, რომ თავის ნიგნს სათაურად დაანერა „ემიგრაციის ისტორიიდან“, არამედ — და ეს არის მთავარი — იმაში, რომ იგი ჩვენს თავდადებას მოლაღატობას უწოდებს. სხვა ყველაფერი მხოლოდ წერილმანია და მით უმეტეს წერილმანია, თუ ერთი მანველიშვილი რას ცდილობდა, რას ვერ მიაღწია, ან მას ვინ მეგობრობდა, ან ვინა მტრობდა.

მანველიშვილი ამბობს, „თეთრგორგელებს“ დადგენილი ჰქონდათ, ვით ორგანიზაციას, გერმანელებთან არ ეთანამშრომლათო. ამ წერილში მოყვანილი დოკუმენტი კი ამტკიცებს, რომ სწორედ „ვით ორგანიზაცია“, ისინი ერთმანეთს ქიშპობდნენ შტაბში მონაწილეობისათვის. ხოლო რაც ორგანიზაციის სახით თანამშრომლობას შეეხება, არც ერთი პარტია ამ სახით არ თანამშრომლობდა. იმიტომ, რომ როგორც ზემოთ ითქვა, პიტლერს პოლიტიკური საკითხი ომის შემდეგი დროისათვის ჰქონდა გადადებული. და მასადაამე, მანველიშვილი, რომელიც თავის თავს ლიდერთა შორის თვლიდა (მეც კომიტეტის წევრად ვიგულისხმებოდი), სხვა ლიდერთა მსგავსად უნდა მოქცეულიყო – თავი შეეკავებინა და კულისებში დარჩენილიყო. მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. კულისებში დარჩენა მას ხელს არ აძლევდა. დრო მიდიოდა. ლიდერის როლში გამოსვლის შესაძლებლობაც მკრთალდებოდა. ხოლო მისთვის შესაფერად ჩასათვლელი პოსტი მან ვერ მიიღო. ამაშია მთელი უბედურება.

ახლა დავიწყით თავიდან. რუსეთთან ომის დაწყებამდე, ბევრად უფრო ადრე, აღმირალ კანარისის დავალებით პარიზში ჩავიდნენ დოქტორი, პროფესორი ჰანს რაუპახი და დოქტორი ვერნერ მარკეტი. მათ დავალებული ჰქონდათ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელ პირებს გასცნობოდნენ. შეხვდნენ ჟორდანიას, გეგეჭკორს, სპ. კედიას და უფრო დაბალი რანგის ხალხსაც. (რაუპახის მოხსენებაში დასახელებულია „პატარებს“ შორის ცომაია და სალია). იგივე პირები გერმანიაში ხვდებოდნენ ნიკურაძეს.

ამ შეხვედრების შემდეგ დაიჭირა გერმანულმა დაზვერვამ უკვე ოპერატიული კავშირი მის.კედიასთან. პირველი საიდუმლო აქცია იყო „თამარა პირველის“ ჯგუფის შედგენა. ამ საქმის ორგანიზაციას არავითარი პოლიტიკური დაპირებები არ უძღოდა ნინ. ამის ნება ადმ. კანარისს არ ჰქონდა, მაგრამ დამყარებული იყო ურთიერთნდობა ყველა ქართულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა და ვერმახტის უზენაეს ინსტანციებს შორის (ობერქომანდო დერ ვერმახტ). ცხადია, არც მის.კედიასათვის, არც სხვებისათვის გერმანელებს არ გაუნდიათ, რომ რუსეთთან ომს აპირებდნენ.

როცა რუსეთთან ომი დაიწყო, ქართველ მოხალისეთა რაზმის ორგანიზებაც ბუნებრივად მის.კედიას დაეკისრა. თუ „თამარა პირველის“ წევრები საჰაერო-სადესანტო ნაწილების მეკვლეები უნდა ყოფილიყვნენ. „თამარა მეორე“ ფეხოსან სამთო ჯარებს უნდა შეჰყოლოდა, როცა კავკასიონს გადალახავდნენ (ბერგმანის ბატალიონი აღჭურვილი იყო მთამსვლელთა სრული ინვენტარით).

გერმანელების ტაქტიკა ემყარებოდა ე.წ. „ბლიც-კრიგს“ (ელვა-ომი). რუსების ნინააღმდეგობა ზამთრის დაწყებამდე უნდა გატეხილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა და ზამთარიც, რომელშიც გერმანელებმა ძალაუწებურად შეტოპეს, განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა იმ წელს. ამ მოულოდნელმა დაბრკოლებებმა გადაწყვიტა სინამდვილეში რუსეთთან ომის ბედიც.

როცა კავკასიისაკენ გამგზავრების ნაცვლად „თამარა მეორე“ სამხედრო წვრთნას შეუდგა, რუმინეთში, იქ შემოდგომაზე გვეწვია კამ. ნანუაშვილი. მან მოხსენება წაგვიკითხა მიმდინარე ომის შესახებ და, ახლაც მიკვირს მისი გაბედულება. აზრი გამოთქვა,

რომ „ბლიც-კრიგის“ ჩაფუშვის გამო შეიძლება ომმა საპოზიციო ბრძოლის სახე მიიღოს და რადგან გერმანიის რესურსები: ნავთი, რკინა, სანოვავე, ძლიერ განსაზღვრულია, ომის გახანგრძლივება უკვე საჭოჭმანოდ ხდის მდგომარეობასო. ეს მას არ დაუფუქურთ და მის შეხედულებას იმით ეხსნიდით, რომ იგი პოლონური გენერალური შტაბის ოფიცერი იყო და სხვა.

ამ ამბავს ერთი ეპიზოდით მინდა დაეუმატო: რუსეთთან ომის დაწყებისას მე ბერლინში, ქარხანაში ვმუშაობდი. იქ არც „თამარა პირველის“ და არც „თამარა მეორის“ ამბავი არ ვიცოდით. მე ერთადერთი ქართველი ვიყავი იქაურთ შორის, რომელიც მოხალისედ ჩავენერე. ოფიცერმა მითხრა: თქვენი მიზნებისათვის მოხალისედ ჩანერა არ გამოგადგებათ, რადგან ექვსი თვე მინც დაჭირდებით სამხედრო ნერთნისათვის და ღმერთმა დაგვიფაროს, ექვს თვეში რუსების დამარცხება მოთავებული არ იყოს. მე თქვენ გაგაგზავნით სპეციალურ კომანდოში, რომელიც ახლავე დაიძრება ფრონტი-საკენ. ამგვარად თქვენს თანამემამულე ტყვეებსაც ნახავთ, რაც ასე გეჩქარებათ და დარწმუნებული ვარ – თქვენს ქვეყანასაცო. ამგვარად შევხვდი პირდაპირ გაოცებული „თამარა მეორის“ ხალხს ენაში. ოფიცრის მიერ დადებული ექვსი თვის ვადა მაშინ ნახევარსუბრობად მივიღე. ნანუაშვილის მოსმენისას მომაგონდა და მგონი ერთადერთი ვიყავ, ვინც ნანუაშვილის აზრმა, თუმცა არ დამაჯერა, მაგრამ ძლიერ დამაფიქრა.

„ბლიც-კრიგის“ ჩაფუშვის და ჯარის ჩქარი წინსვლის შეფერხების შემდეგ თანადროულად დაიწყო გერმანულმა დაზვერვამ ორგანიზება ტყვეთაგან შემდგარი ნაწილებისა. ეს იყო ადმ. კანარისის პირადი ინიციატივა. მისი მთავარი ორგანიზატორი იყო კლაუს ფონ შტაუფენბერგ (გენ. შტაბის მაიორი. ჩამოახრჩვეს ბომბის აფეთქებით ჰიტლერის მოკვლის ცდისათვის). შტაუფენბერგის თანაშემწე ლეგიონების შედგენის საქმეში იყო კაპიტანი ჰანს ფონ შერვართ – ქართველების დიდი მეგობარი. იგი თანამშრომლობდა აგრეთვე ფონ შულენბურგთან (ესეც ჩამოახრჩვეს). ხოლო ომის შემდეგ იყო ელჩი რომსა და ლონდონში და უფრო გვიან — ნეერი აღენაუერის კაბინეტისა. ეს შერვართი ერთხანს შენაერთ „ბერგმანში“ იმყოფებოდა და ძლიერ დაუახლოვდა გაბლიანს. ამ დაახლოვების გამო, მათი კარგად გაცნობის შედეგი იყო ნაწილობრივ, რომ გაბლიანი მოხვდა ქართველ სამხედრო თანაშ.რომლების სათავეში.

მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონების შედგენა გამოწვეული იყო გერმანელთა წინაშე აღმართულ სამხედრო სიძინელებით, რასაც ლოგიკურად პოლიტიკური საკითხების დასმაც უნდა მოჰყოლოდა, რაც ბუნებრივია, ლეგიონერებს მეტ ბრძოლის ხალისს მინიჭებდა. ჰიტლერმა თავისი პოზიცია ამ სფეროში ოდნავადაც არ შეცვალა. მას არ სურდა ომის მსვლელობის დროს პოლიტიკურ მოლაპარაკების ნება დაერთო. ასეთ პირობებში მოხდა, სტალინგრადის კატასტროფისა და კავკასიიდან დახევის შემდეგ, დაარსება ქართული „საკავშირო შტაბისა“ (ფერბილუნგსშტაბი).

შტაბის გამგეობაში შედიოდნენ: მიხ. კედია, გივი გაბლიანი, მიხ. ალშიბაია და გიორგი მაღალაშვილი. მიხ.კედია უპარტო იყო, მაგრამ მას ზურგს უმაგრებდნენ ყორდანია და გეგეჭკორი. გაბლიანი ეროვნ.დემოკრატი იყო, მაგრამ იგი შტაბში შემოვიდა არა

თუ როგორც ყოფილ ტყვეთა საუკეთესო წარმომადგენელი, არამედ ყველა ქართველს შორის ამ საქმისათვის საუკეთესო და შესაფერი პიროვნება: გიორგი მაღალაშვილი „თეთრი გოორგის“ წარმომადგენელი იყო (მას „თ.გიორგის“ მოურავის ხარისხი ჰქონდა). იგი, პროფესიით ექიმი, ამავე დროს გერმანიაში დიდი მემამულე იყო, რომელსაც ფართო ნაცნობობა ჰქონდა მაღალ გერმანულ წრეებში: მის. ალშიბაია გერმანულად განათლებული პიროვნება იყო, რომელსაც ფართო ნაცნობობა და კავშირები ჰქონდა გერმანულ ოფიცრობაში – იგი ერ.დემოკრატი იყო.

შტაბში თანამშრომლობდნენ ემიგრანტი ოფიცრები: შალიკაშვილი, ინჯია, ქვეთარაძე და ოფიცრები ტყვეთაგან – ბოკერია, ალიმბარაშვილი და ოქროპირიძე. იყო რამდენიმე უნტეროფიცერი და ჯარისკაცი – შიკრიკები და კარისკაცები.

შტაბის მთავარი ფუნქცია სამხედრო ხასიათისა იყო. იგი წარმოადგენდა შემავრთებელ (პარალელურ) რგოლს დამოკიდებულებისა – უზენაეს სარდლობასა და ქართული ნაწილების გერმანულ კადრს შორის. შტაბს ჰქონდა სამოქალაქო განყოფილებაც. მის ფუნქციაში შედიოდა გერმანიასა და ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ ქართველ ემიგრანტთა და ყოფილ ტყვეთა, თუ ჯერ კიდევ ბანაკებში მყოფთა (ქარხნის მუშების და სხვა) პატრონობა და მათზე ზრუნვა. შტაბს პოლიტიკური საკითხები არ ეკისრებოდა, მაგრამ შტაბის საიდუმლო განყოფილება, ცომიას მეთაურობით, ზოგჯერ ისეთ საქმესაც აკეთებდა, რომელიც არც ისე შორს იყო პოლიტიკური აქციისაგან. ასეთი იყო, მაგალითად, საქართველოსთან კავშირის გაბმა, რაც ალ. ცომიამ და ალ. ასათიანმა მოახერხეს ნალჩიკის მიდამოებში მცხოვრებ რაჭველ კოლმეურნეთა მეობებით. მაშინ ნალჩიკიდან თითქმის დაუბრკოლებლად შეიძლებოდა რაჭაში გადასვლა (ალ.ასათიანი, როგორც პოლიტიკური ლიდერი, შტაბთან არ მუშაობდა, მაგრამ ამ საქმეში უსათუოდ საჭირო იყო სწორედ ცნობილი ლიდერის მონაწილეობის ჩვენება. საქართველოში ჩასულმა კაცმა ნახა ასათიანი და ამგვარად მის მიერ ჩატანილი ცნობები და რჩევები ნამდვილად ქართული ემიგრაციის მიერ გაგზავნილად მიიღებოდა).

გერმანელებთან მუშაობა ძნელი იყო... მაგრამ ქართველებს გულს უმაგრებდა გერმანელ ოფიცერთა საგრძნობი ნაწილის ჩვენდამი სულ სხვა განწყობილება, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა შიტლერის ფანატიკოსების ან ბრძანების ხეპრე ამსრულებლების ხაზს. საქმე იმაშია, რომ გერმანიის დაზვერვა, რომელიც „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ წარმოადგენდა, აღმირალ კანარისის მეთაურობით საიდუმლო ანტი-შიტლერულ ორგანიზაციასაც შეიცავდა. ომის შემდეგ გამოქვეყნებული სპეციალური ხასიათის ნაშრომებიდან ჩანს, რომ თუ არა კანარისის მიერ გადაჭრით უარის თქმა, შიტლერი რუსეთთან ომის ნაგებამდე ბევრად უფრო ადრე იქნებოდა მოკლული, მაგრამ კანარისი მოკვლის წინააღმდეგი ყოფილა – იგი შიტლერის დატუსაღებას და გადაყენებას აპირებდა. ამიტომ მოხდა კანარისისთვის გაუნდობლად შტაუფენბერგის უშუდევო ცდა, რასაც რამდენიმე ათასი კაცი შეენირა – დიდი ნაწილი დაზვერვის ოფიცერთაგან. ხოლო კანარისი და მისი მომხრენი გადაარჩნენ (მხოლოდ ომის დასრულების წინ დახვრიტეს იგი).

კანარისის ინიციატივით შედგენილი ყველა ეროვნების ნაწილთა შორის განსაკუთრებით (სხვა ქართულ ნაწილთაგანაც) გამოირჩეოდა „განსაკუთრებული კავკასიური შენაერთი ბერგმანი“. „ბერგმანი“ ერთადერთი უცხო შენაერთი იყო, რომელიც არა მხოლოდ აბსოლუტურად ვერმანტის რეგულარულ პირობებში იმყოფებოდა. არამედ თვით გერმანულ ჯარის ნაწილშიც პრივილეგირებულ ნაწილს წარმოადგენდა – რაკი ცნობილი სამთო დივიზიის — „ედელვაისის“ ძირითად სამყოფ-სანერთნელ ადგილებში ედო ბინა. მხოლოდ ერთი რამ იყო „ბერგმანში“ ანორმალური: ამ ბატალიონს, რომელიც კავკასიაში ჩასვლის შემდეგ სამ ბატალიონად და ორ ცხენოსან ესკადრონად გადაიქცა და სამი ათასამდე მეომარს ითვლიდა, მხოლოდ კაპიტნის, და ისიც რეზერვის, ჩინის მქონე ოფიცერი მეთაურობდა. ეს ოფიცერი იყო დოქტ. ობერლენდერი (კაპ. ობერლენდერი. იგი კავკასიის დატოვებისა და ყირიმში განლაგების დროს მეთაურობიდან გადააყენეს და ვერმანტიდანაც გარიცხეს, რადგან რამდენიმე მოხსენება წარუდგინა პიტლერს და უზენაეს სარდლობას, რომლებშიც აკრიტიკებდა გერმანულ პოლიტიკას. სახელდობრ, იგი ამბობდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები საკოლონიზაციო რეგიონს არ წარმოადგენენ. იქ კულტურულად და ისტორიულად განვითარებული ერები ცხოვრობენო). ობერლენდერს ბერგმანში თან ახლდა მთელი ჯგუფი სპეციალისტებისა (სოციოლოგები და სხვა), რომელნიც უბრალო ჯარისკაცის ჩინით ცხოვრობდნენ ბატალიონთან ყოველგვარი სამხედრო ფუნქციის გარეშე (მრავალმა მათგანმა ძლიერ საინტერესო წიგნი გამოაქვეყნა ომის შემდეგ გერმანულ და ინგლისურ ენებზე). ყოველივე ეს დამაიმედებელ ატმოსფეროს ქმნიდა ნაწილში. შენაერთში ადერბაიჯანული და ჩრდ. კავკასიური ასეულებიც შედიოდნენ. ერთი სომხური ასეულიც იყო.

მაგრამ მოწინავე როლს ქართველები თამაშობდნენ. მას კავკასიური შენაერთი ერქვა. სინამდვილეში კი ქართულ შენაერთს წარმოადგენდა.

ახლა „ფერბიდერუნგმტაბის“ დაარსებას დაუბრუნდეთ. რუსებთან ომის დაწყების ხანაში „თეთრი გიორგის“ ბერლინური სექტორი დიდ აქტივობას იჩენდა. მათ უკვე გამოთქმა „ნაციონალ-სოციალისტური“ დამტკიცებული ჰქონდათ თავიანთ სახელწოდებისათვის და პრეტენზიას აცხადებდნენ, გერმანელებთან ქართველთა დამოკიდებულება მათი მეშვეობით ყოფილიყო განხორციელებული. საამისო კავშირებიც გააჩნდათ: ნიკურაძე, ახმეტელი, გიორგი მალალაშვილი, ნურეთელი და სხვა (ამ ტიპის დეტალებს მე არ ვიცნობ, რადგან ჩემი შტაბში მუშაობა ბევრად უფრო გვიან დაიწყო, როცა ყირიმში მიღებული ჭრილობები მოვირჩინე. ხოლო „ბერგმანი“ საბერძნეთში იყო). ამ შტაბის დაარსების ეს წინა პერიოდი მანველიშვილის წერილის მთავარი სატყვიარი. მაშინ ნაცისტებმა ვერ უშველეს თავის იდეოლოგიურ ძმებს — ქართველ ნაც. სოციალისტებს, რადგან საქმეს ობერკომანდო წყვეტდა და არა პარტია (ყოველივე ეს შეიცვალა პიტლერზე თავდასხმის შემდეგ. ყველაფერი პიტლერს და ესესის უწყებას დაუმორჩილეს. თვით დაზვერვაც). „თეთრი გიორგი“ იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო. შტაბში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი მოხვდა. ეს იყო გიორგი მალალაშვილი. ხოლო მანველიშვილს თავის მიერ შესაფერად მიჩნეული ადგილი არ ერგო.

მაგრამ „თეთრგვირგვლებს“ კავშირები მაინც შერჩათ. ეს იყო „ოსტმინისტერიუმ“ (აღმოსავლეთის სამინისტრო), რომლის უფროსი იყო ცნობილი ძველი ნაციისტი როზენბერგი. მასთან ძველი დიდი მეგობრობა ჰქონდა ნიკურაძეს და აგრეთვე ახლო ნაცნობობა – ახმეტელს და მალალაშვილსაც. ოსტმინისტერიუმში დაარსებული იყო აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიების „მოსაწყობად“, მაგრამ, რადგან ბლაცკრიგმა მთლიანად ვერ გაამართლა, ომი გაგრძელდა და ეს ტერიტორიები სამხედრო უწყების მოქმედების ფარგლებში რჩებოდა. სამინისტროც თავის ფუნქციაში ვერ შედიოდა. ამგვარად, ბერლინელი „თეთრგვირგვლები“, რომელთაც როზენბერგი კავკასიისათვის გამიზნულ, გერმანიის მოხელეებად განიხილავდა, ბერლინში იხდნენ. არც ერთ მათგანს იარაღისათვის ხელი არ მოუკიდნია, მაშინ, როდესაც საფრანგეთიდან ისინი მასიურად ჩაენერნენ და ბევრი მათგანი კიდევაც დაიღუპა. პარიზში კი ლიდერობის ორი კანდიდატი მოვლენებს უცდიდა: სალია და მანველიშვილი. ბერლინში დარჩენილები „ოსტმინისტერიუმის“ საზით დადიოდნენ ტყვეთა ბანაკებში და გამოჰყავდათ შერჩეული ხალხი, რომელთაც „თეთრგვირგულ“ პროპაგანდას უწევდნენ და თანაც ზოგს საშუაოზე აწყობდნენ. ზოგისთვის კი შექმნეს საეციალური ბანაკი (უსტრიუმში), სადაც შედგა მომღერალთა გუნდი კავსადის ხელმძღვანელობით. ამ ბანაკში დედოფლობდა „თეთრი გიორგის“ მეთაურის მშვენიერი ასული — მარიამ კერესელიძე.

„თეთრგვირგვლებმა“ ომში „ავტონომიური“ მონაწილეობაც სცადეს. ეს იყო ქართველ ესესთა „პოლკის“ შედგენა ფრიდონ ნულუკიძის მეთაურობით. ეს საქმეც, ცხადია, პარტიულ საზით გააკეთეს, რამიც ალბათ, მალალაშვილი და ნიკურაძე დაეხმარნენ. ამ „პოლკის“ მოღვაწეობაზე, რომელიც ესესის უწყებას ემორჩილებოდა და შტაბთან საერთო არაფერი ჰქონდა, ბევრი არაფრის თქმა შემიძლია. ომის დამთავრებისას „პოლკი“, ნახევრად ფორმამში ჩაცმული, ნახევრად კი ისევ ფარაჯებში, ჩრდილო დასავლეთ იტალიაში პალუტოს მიდამოებში იდგა. მათთან იყო კავსადის გუნდი და მარიამიც. როცა ამერიკელები მოახლოვდნენ, მარიამმა პოლკის დიდი ნაწილი ტყეში გაიყვანა იტალიელ პარტიზანებთან შესაერთებლად, რომელთაც „გარიბალდისტები“ ერქვათ და პარტიზანთა კომუნისტურ ფრთას ეკუთვნოდნენ. სოფელში დაბრუნებული მარიამი ნულუკიძემ გერმანელებს დააჭერინა. მარიამი თამამი ქალი იყო. დაკითხვაზე ნულუკიძეს ქართულად უთხრა: ახლავე თუ არ გამათავისუფლებ, ის ბიჭები ჩამოვლენ (მთიდან) და შენს გერმანელებთან ერთად თან ნაციყვანერო. ფრიდონ ნულუკიძე მიხვდა, რომ ასეც მოხდებოდა და მარიამი გაათავისუფლებინა.

უფრო გვიან „გარიბალდისტებმა“ ქართველ ესესთა ერთ ნაწილთან ერთად მარიამის თანხლებით, რომის პარტიზანთა მიერ დაკავებულ ერთ უზარმაზარ შენობაში მოიკალათეს. ეს ის დრო იყო, რომში რომ ძალლი პატრონს ვერ ცნობდა. პარტიზანები ხელისუფლების მიტაცებას ფიქრობდნენ და იმ დროს იქ მყოფ კაპ.ნანუაშვილი (უკვე პოლონელი ოფიცრის ფორმამში) პარტიზანების განზრახვაში მარიამის როლმა ისე დააფიქრანა და დააიჭვიანა, რომ ამბობდა: მარიამი უნდა მოვკლათ, თორემ პირველად ჩვენ დაგვხოცავენო. ეს სხვისი ნაამბობი არ არის, ჩემი ყურით გავიგონე.

ასეთი იყო ბოლო, შტაბის „უპრინციპო და უპასუხისმგებლო“ თანამშრომელთაგან გამიჯნულად ნაწარმოები „თეთრგოროგელთა“ სამხედრო საქმიანობა.

აქედან იმის წარმოდგენაც ადვილია – „პრინციპული და პასუხისმგებელი“ „თეთრგოროგელები“ რომ ქართულ საქმეს დაპატრონებოდნენ, რა ამბები იქნებოდა მოთხრობილი ლომაშვილის „ქართულ ემიგრაციის ისტორიაში“.

ასლა დაეუბრუნდეთ მანველაშვილის მიერ გადმოსროლილ მთავარ ბრალდებას: „უპრინციპობა და უპასუხისმგებლობა“ მიხ. კედიასი და მისი თანამშრომლებისა.

მიხ. კედიასი ჰქონდა პრინციპები და მათ გასაკვირი შეუპოვრობით და გამბედაობით იცავდა. ამ პრინციპთა შორის პირველი იყო საქართველოს სამსახური და მისი ინტერესების დაცვა. რაშიც იგი იმასაც გულისხმობდა, რომ ქართველს ქართველი არ უნდა გაეფუჭებინა და ეს დებულება მისთვის ისე შორს მიდიოდა, რომ, როდესაც ქართული რადიოს თანამშრომელი, ვინმე გაბუნია საბჭოთა აგენტი აღმოჩნდა, რისთვისაც მას უეჭველი დახვერტა მოელოდა, მიხ. კედიამ იგი, ვიდრე გააპრვას მოახერხებდა, იმ ბინაში დამალა, რომელიც მის განკარგულებაში იყო რეკვიზირებული სამხედრო უწყების მიერ და რომელშიც ცხოვრობდნენ ვ. ნოზაძე და ალ. ცომაია. ეს საქციელი მან ასე დაასაბუთა: ამ ომს საკმაოდ ქართველი ენირება და კიდევ შეენირება. სადაც შეგვიძლია, ყველა უნდა გადავარჩინოთ. გაბუნია თუ საქართველოში ცოცხალი დაბრუნდა, შვილებს გააჩენს და ისინი ქართველები იქნებიან. ჩვენ რომ იგი არ გადაგვერჩინა, იმ ქართველების მკვლელები ვიქნებოდით, რომელთაც ის ვერ გააჩენდაო. ეს ამბავი კი გერმანელებს რომ გაეგოთ, კედიას ვერავინ იხსნიდა.

ერთ დღეს მას დაურეკეს: ამა და ამ კაფეში ქართველები სხედან და თქვენი მოკვლის გეგმას აწყობენო. სხვა მის ადგილზე სხვაგვარად მოიქცეოდა. იგი კი მარტო მივიდა კაფეში და შეკრებილთ თავზე დაადგა. ბატონო მიშა, დაბრძანდით რამე მიირთვიეთო. იგი დაჯდა და მათ ასე მიმართა: მე თქვენთვის და ყველა ქართველისათვის ვმუშაობ. თქვენ ჩემი მუშაობა არ მოგწონთ და წითლები გირჩევენიათ, არა? მე მოგინწყობთ, პოლონეთში გაგაგზავნით და რუსების მხარეზე გადასვლაშიც მოგეხმარებით. არადა, მე რას მერჩით, ვინც გერმანიაში რჩება, იმათ პატრონობა არ უნდაო? შეთქმულების შეგორდები გაშრნენ. ასე დასრულდა ეს საქმე. ეს არ არის დიდსულოვნება? თუ უპრინციპობაა? (ეს „შეთქმულები“ „ოსტმინისტერიუმის“ მიერ გამოყვანილი ხალხი იყო – უმეტესად მონიტელიგენტო პირები).

მიხეილ კედიას მეოხებით, ცდით და მოხერხებით გახდა შესაძლო პარიზელ ქართველ ებრაელთა გადარჩენა. ამისათვის მან მთელი თეორია შეთხზა (ნაწილობრივად ადრეც არსებული), საქართველოს ებრაელთა ვითომ ეთნიკურ ქართველობაზე. ამაზე გერმანელები მიაბიჭურად როდი წამოეგნენ. გერმანელ მოხელეთა შორისაც იყვნენ იმ უაღამიანო ყლუტით შეძრწუნებულნი და თვალი დახუჭეს. მ. კედიას მხრივ ეს იქნებ დიდ გმირობად არ ჩაითვლება, მაგრამ ჰუმანურ და სამართლებრივ გრძნობათა გარდა, მას არაფერი აიძულებდა, უკვანტო საქმე საკვანტოდ გაეხადა. ესეც დიდსულოვნება გახლავთ და არცა მცირე.

იყო დრო, როცა მ. კედია შეყოყმანდა, განეგრძო თუ არა გერმანელებთან თანამშრომლობა. შტაბში მართალია, პოლიტიკის კეთების ადგილი არ იყო, მაგრამ იმდენად რამდენადაც ვერმასხტის „ობერკომანდოს“, რომელსაც შტაბი უშუალოდ ექვემდებარებოდა, პოლიტიკასთან მანაც რაღაც კონტაქტი, თუნდაც დაზვერვის საზიო, მანაც ჰქონდა. მიხ.კედია კი ყოველ შესაძლებლობას იყენებდა, რომ პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ჩანასახი მანაც შეექმნა. ამგვარად, 1943 წლის გაზაფხულზე მიხ.კედიას თხოვნის შედეგად შულენბურგმა კედიასთან ერთად შეადგინა „კავკასიური საქმე“, რომელიც შულენბურგის მცდელობით რიბენტროპმა ჰიტლერს წარუდგინა. ჰიტლერს მხოლოდ თვალი გადაუვლია და როგორც კი გაიგო, რა იყო, უკანვე გადმოუგდია. სიტყვებით: „არ მანტერესებს“. ეს ამბავი რომ შულენბურგმა მიხ.კედიას უამბო, ჰიტლერის საქციელმა კედია ისე ააღელვა, რომ გერმანელებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა დააპირა. შტაბში ყველა ქართული პოლიტიკური მიმართულება იყო წარმოდგენილი პიროვნებათა სახით. ვარდა სოც.დემოკრატებისა, რომელთა მანდატიც თვითონ კედიასა ჰქონდა, ამიტომ მან თავისი გადანყვეტილება უპირველესად ჟორდანიას და გეგეჭკორს შეატყობინა შოთა ბერეჟიანის ხელით გაგზავნილი წერილით. პარიზიდან მან ჟორდანიას და გეგეჭკორის პასუხი მიიღო. არავითარ შემთხვევაში საქმის მიტოვება არ შეიძლებაო. გეგეჭკორი წერდა: „ეს არ იყო ჩემთვის მოულოდნელი... მაშ ასე, ბრძოლის ბედი უნდა გადანყვეტოს მხოლოდ იარაღმა. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი პოზიცია იგივე რჩება. ჩვენ ვთანამშრომლობთ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვმოქმედობთ იმ დარგში, სადაც მოქმედების საშუალება არისო“ და ვინაიდან ბერლინში მყოფმა სხვა მიმართულების წარმომადგენლებმაც იგივე აზრი გამოთქვეს, კედია დარჩა და ეს უძნელესი საქმე ბოლომდე იტვირთა. პასუხისმგებლობის შეგნებაც ამას ჰქვია.

მაგრამ კიდევ უარესი პრობლემა წამოიჭრა. ჰიტლერის შტაბმა თუ თვით ჰიტლერმა, რომელიც ცხადია, ხედავდა, რომ გერმანიის დამარცხება მხოლოდ სასწაულს უნდა აეცდინა. უკანასკნელ ზომებს მიმართა, უნდოდათ ახლა პოლიტიკური ხერხი გამოეყენებინათ, რაც ირიბულად იმაში გამოიხატებოდა, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოსული ყველა ეროვნების ლეგიონები ვლასოვის არმიისთვის შეეერთებინათ. ეს კი გულისხმობდა არსებობას პირობებისა, რომ რუსეთის იმპერია ხელუხლებელი რჩებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე განიხილებოდა. ვლასოვი ამაზე დათანხმდა. ჩვენთვის კი ეს ყოველად მიუღებელი იყო. კედიასაც უკვე აღარ შეეძლო საქმის მიტოვება, უკვე გვიან იყო. მან გადანყვიტა, ბრძანებას არ დამორჩილებოდა, მაგრამ ჯერ ყველა თანამშრომლის გამოკითხვას და გაფრთხილებას შეუდგა. ამ გასაფრთხილებელ ხალხის ერთ ჯგუფს, რომელიც შედგებოდა: ვიქტორ ნოზაძის, ალ.ცომაიას, დიმიტრი სინჯიკაშვილის და მიხ.ქავთარაძისაგან, მან ასე მიმართა: ხომ იცით, რა მდგომარეობაა. მე პირადად, გადანყვეტილი მაქვს არ დავთანხმდე, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, მოსალოდნელია, რომ ყველანი ლაგერში ჩავყვარონ და თქვენ არჩევანი გაქვთ, თუ როგორ გადანყვეტოთ. ჩვენ, ცხადია,

ერთხმად მხარი დაუჭირეთ. არ ვიცი, სხვებს რა უთხრა, ან ვის ეთათბირა. მანვერი კი ასეთი გააკეთა: იგი ვლასოვთან მოსალაპარაკებლად მისვლაზე დათანხმდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ მიხ. კედია მხოლოდ ქართველების სახელით კი არა, ყველა კავკასიელის სახელით მიდიოდა, რადგან იგი იყო კავკასიელთა თანამშრომლობის თავმჯდომარე და მათი პორტპაროლიც გერმანელების წინაშე. მიხ.კედიამ ვლასოვს ისე შეუთია და მასთან დამოკიდებულება ისე გაამწვავა, რომ მთელი გეგმა იქვე ჩაიფუშა. ეს იმიტომ მოახერხა, რომ მას გერმანელებისთვის არ გაუმხელია, რასაც აპირებდა. თორემ ადრევე შეეცდებოდნენ საქმის სხვაგვარად მოგვარებას. ახლა კი დაინახეს, რომ გათავისუფლებული ტყვეების ვლასოვის ტყვეობაში მოქცევით ვერაფერს მოიგებდნენ. ეს მისი საქციელი ნამდვილი თავგანწირვის ტოლია და იქნებ დაესაჯათ კიდევაც, რომ ვერმახტის უზენაეს სარდლობაში სულ სხვაგვარად განწყობილი ხალხიც არ ყოფილიყო.

ამ ამბავს წინ უსწრებდა შტაბის მუშაობაში არმონაწილე ზოგიერთ ქართველთა ფაქციუფუცი. გათავისუფლებულ პოსტის დაკავების ცდუნებამ ბევრს თავბრუ დაახვია. პირველი როლის თამაშის პერსპექტივამ ბევრი აათრთოლა. ერთი მათგანი მაღლაკელიძე იყო. სხვათა დასახელება არ შემიძლია, რადგან საკმაო საბუთი არა მაქვს.

მესამე და უკანასკნელი აქცია, რომელიც აგრეთვე ფიქსირების ღირსია (ყველა წერილ ამბავს ვერ ჩამოეთვლი და მეც ხომ ყველაფრის მცოდნე არ ვიყავი). ის უკანასკნელ დღეებით თარიღდება. დოკუმენტს გაცემის თარიღად 1945 წლის აპრილი აზის. ეს გახლავთ მიხ.კედიას მიერ ამერიკელებისათვის შენევაში გადაცემული Aidc-Mcnoirc (მემორანდუმი), რომლის მთლიანად ჟურნალში გადმობეჭდვა მისი სივრცელისა გამო ძნელია. მემორანდუმში მ. კედია ამერიკელებს აფრთხილებს, გერმანიას მოუფრთხილდით, დიდად ნუ დაამცირებთ, თორემ შესაძლებელია, სასოწარკვეთამ ეს ქვეყანა რუსეთის მხარეს გადახაროსო და ამბობს, გერმანიაში ფართო წრეებია, რომელნიც ნაცისტურ ძალადობას ეწინააღმდეგებოდნენ და მათზე დაყრდნობა გამოგადგებათ. აუცილებელიც იქნება, როცა რუსეთთან უთუოდ მოგივთ უთანხმოებაო. იგი აგრეთვე ეხება ტყვეთა და დეპორტირებულთა საკითხს და ამბობს, მათი რიცხვი ასი ათასებია და ცხადია, დიდი ნაწილი საბჭოეთში დაბრუნდება, მაგრამ ვინც დაჟინებით დარჩენას მოითხოვს, უნდა დატოვოთ – განსაკუთრებით ელიტა – ისინიც საჭირო იქნებიანო. და ასე ამთავრებს: გერმანელებს ნუ ნაბაძავთ. ცოტა იმათაც დაუფერეთ, ვინც კომუნისტებს და სტალინს თქვენზე უკეთ იცნობს. ფრთხილად იყავით. მთელი ევროპა სტალინს ხელში არ ჩაუგდოთო.

კურიოზულია! ამერიკელები ნაწილობრივად ისე მოიქცნენ, როგორც მიხ. კედია ურჩევდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მას დაუფერეს, არამედ იმიტომ, რომ თვით რუსების საქციელმა აუხილა თვალი ამერიკელებს. ოღონდ ბევრი რამის გამოსწორება უკვე გვიან იყო.

არც ამ ნაბიჯის გადადგმა წარმოადგენდა კედიასათვის აუცილებლობას – იგი რომ ბოლომდე თავისი ვალის ერთგული არ დარჩენილიყო, მაგრამ პასუხისმგებლობამ და

მოვალეობამ მას ამ ძლიერ სახიფათო ნაბიჯის გადადგმა გააბედინა. სახიფათო იყო მითუმეტეს, რომ იგი უკვე მრავალჯერ დააბეზლეს ოდიშარამ და კიდევ ვიღაცებმა, მაგრამ საბედნიეროდ, ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ყოველივე ამის შემდეგ, აქ მოვიყვან გერმანულიდან თარგმნილ სრულ ტექსტს მიხეილ კედიას დახასიათებისა, რომლის ავტორია პროფ. ჰანს რაუპახი – საფრანგეთში ქართულ ემიგრაციასთან კონტაქტის დასამყარებლად აღმ. კანარისის მიერ მივლინებული ემისარი.

აუგსბურგ 1.10.49.
პროფესორ ჰანს რაუპახ

განცხადება

მიხეილ კედიასთან ჩემი ნაცნობობა თარიღდება 1940 წლის შემოდგომიდან. გერმანული საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით მევალებოდა ზრუნვა რუსეთიდან გამოსულ ემიგრანტთა სოციალურ ინტერესებისათვის პარიზში, რამდენადაც ეს შედიოდა ვერმახტის კომპეტენციაში. ამ საქმესთან დაკავშირებით ბატონი კედია აღმოჩნდა ვით ქართული კოლონიის ნდობით აღჭურვილი კაცი. როგორც ყველა ემიგრანტი, ქართველებიც ერთიმეორის მონინალმდევე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. მიხ.კედია კი გამორჩეული უპარტიოობით, განურჩევლად რომელიმე ჯგუფის წევრობისა, ყველა გასაჭირში მყოფათათვის თანაბრად ზრუნავდა. ამგვარად იგი წარმატებით დაეხმარა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობისათვის გერმანულ უშიშროების უწყების მიერ დაპატიმრებულ თანამემამულეებს.

ვერმახტთან თანამშრომლობით მიხ.კედია იმედოვნებდა თავისი სამშობლოს გათავისუფლებასაც, რომლის ქრისტიანული დასავლეთისადმი კუთვნილებას იგი ღალადებდა. ამისათვის მას მორალურად დამუშავებული და მოფიქრებული პროგრამა ჰქონდა, რომლის თავდებიც ვერმახტი უნდა ყოფილიყო. დიდი მუყაითობით და თავისი აზრის თავისუფლად გამჟღავნებით მან უფრო გვიან, აღმოსავლეთის დაკავებულ მხარეებში გერმანულ ნაციონალ-სოციალისტების სამოქალაქო ადმინისტრაციის კოლონიალური პოლიტიკის დევნა-კრიტიკა დაიწყო. ის ცხადი გულწრფელობა, რომელსაც ბატონი კედია, პარტიის მაღალ მოხელეთა წინაშეც ააშკარავებდა, იმ დროში სრულიად უჩვეულო რამ იყო. ეს მის პიროვნული პასუხისმგებლობის შეგნებიდან და ჰუმანიტარული მიდრეკილება-განწყობილებიდან მომდინარეობდა. ასეთ პოზიციას ინარჩუნებდა ბ-ნ. კედია განსაკუთრებით მისი მასპინძელი ერის – საფრანგეთის – მიმართ. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა სხვაგვარ საქციელს, პირადად მისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო.

დრ.რაუპახ (Dr. Raupach).

მარტო ეს განცხადება იკმარებდა მანველიშვილის მიერ ნასროლი ტალახის მოსარეცხად.

გივი გაბლიანი — იგი იყო შტაბის უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი მუშაობის ხელმძღვანელი. ობერკომანდოსთან მას ჰქონდა კონტაქტი. ასე რომ, სამხედრო ნაწილებში, ლაზარეთებსა თუ დასასვენებელ სახლებში ანორმალურ პირობების, რაც ხშირი იყო, გამოსწორებისათვის მას უნდა ებრძოლა. მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა აგრეთვე ქართველ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მდგომარეობის სრული გათანასწოებისათვის გერმანულ შემადგენლობასთან. მისსავე კომპეტენციაში შედიოდა ამა თუ იმ ქართული ნაწილის მისთვის შეუფერებელ ადგილებში განლაგების შემთხვევაში რომ ჩარეულიყო. მის აზრს ანგარიში ეწეოდა ამა თუ იმ ოფიცრის, ან საერთოდ „კადრის“ დანიშნისას. მოხსნის, ან სკოლაში გაგზავნის შემთხვევაში ყველაფერი ეს მოითხოვდა ერთი მხრივ ტაქტს და მოქნილობას, ხოლო ამავე დროს – შეუპოვრობას და წინააღმდეგობის დაძლევის უნარსაც და ამ, მართლაც, ბერგ მანს (მთის კაცს) ორივე ეს უნარი აღმოაჩნდა. მრავალი „ბერგმანელ“ ოფიცრისაგან გამიგონია გაბლიანის შესახებ ისეთი სიტყვები, რომელნიც არა მარტო მხედარი კაცის ქებას, არამედ ზოგჯერ თითქმის ალტაცებას, ხოლო ზოგჯერ შურსაც ამჟღავნებდნენ. ეს უკანასკნელი ფრაზა შეეხება იმ დროს, როდესაც მე მასთან ერთად „ბერგმანში“ ვირიცხებოდი. თორემ როცა შტაბში დავინეე მუშაობა, კონტაქტი აღარ მქონდა იმ მაღალი რანგის ოფიცრებთან, რომლებთანაც გაბლიანს ახლა ჰქონდა დამოკიდებულება. „ბერგმანში“ გაბლიანი შენაერთის მეთაურის მრჩეველი იყო და ძლიერ ძნელი წარმოსადგენია, რომ კაცი, რომლის თაედაჭერაში ამდენი სიამაყე და სილაღე ჩანდა, ყოფილი ტყვე იყო. ეს იყო მიზეზი ზოგთა ალტაცებისა, ხოლო ზოგთა შურისა. თუმცა ამ გარეგნული ასპექტის გარდა, შურს ისიც იწვევდა, რომ ეს ყოფილი ტყვე, მეთაურის შემდეგ, ბევრ რამეში მეორე პიროვნება იყო შენაერთში, რომელშიც სამი ათასამდე მეომარი ითვლებოდა და რჩეული ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. ამიტომ, მე მგონია, რომ შტაბში მისი ამ თანამდებობით შემოსვლას ბერგმანის მეთაურის დოქტ. ობერლენდერის და კაპ. ჰერვართის რეკომენდაციას დიდი როლი უნდა ეთამაშა, რადგან მისკედია იმ დროს ჯერ კიდევ საკმარისად არ იცნობდა გაბლიანს.

მიხეილ კედიას მეთოდი იყო, ასეთი ხასიათის გადწყვეტილების მიღებამდე მრავალი მისი თანამშრომლის აზრიც სცოდნოდა. მასსოფს, ყირიმიდან შეეხებულაბაში ყოფნის დროს კედიას შეეხვდა ბერლინიში. მან მიაბზო შტაბის დაარსების სამზადისის შესახებ და მითხრა: მე ვფიქრობ გაბლიანზე, სამხედრო სექტორის უფროსობისათვის სხვა კანდიდატებიც არიანო და ორი დამისახელა. შენი აზრი მაინტერესებსო. მე მოკლედ ვუპასუხე: მიზა, ხომ იცნობ ფრანგულ გამოთქმას, „რომ არ არსებულები, მისი გამოგონება იქნებოდა საჭიროო“. სწორედ ასეთი ვითარებაა ამ საკითხის გამო. სწორედ გაბლიანის მსგავსი კაცი უნდა გვეძებნა. საქმენელი არაფერი გვაქვს და აქ სარჩევი და საყოყმანო რა უნდა იყოს-მეთქი. თან ერთი კანდიდატის შესახებ დავუმატე: იგი თავის ალაგას საჭირო და გამოსადეგია. თავის საქმეს მშვენიერად ართმევს თავს, მაგრამ

მრავალ მოსაზრებათა გამო, რომელთაც შენ მიხვდები, ვიმეორებ, შტაბში სამუშაოდ გაბლიანის შესადარ კაცს მე ვერ ვხედავ-მეთქი. მეორე კანდიდატზე ლაპარაკი არ ღირდა და არც ხმა ამომილია.

აქ მომყავს გივი გაბლიანის დახასიათების თარგმანი ინგლისურიდან:

(Hans von Hervart' Staatsckrcrtar)

18.1.1988

ამას ვაცხადებ, როგორც ფიცის ქვეშ. მე ვიცნობ დოქტორ გივი გაბლიანს 1942 წლიდან. მე მაშინ ვმსახურობდი ვით ოფიცერი (კაპიტანი) პოლკოვნიკ ფონ შტაუფენბერგის განკარგულებაში, რომელმაც ჰიტლერის მოკვლა სცადა 1944 წლის იელისში. აგრეთვე ვმსახურობდი ბრძანების ქვეშ გრაფ ფონ დერ შულენბურგისა, რომელიც, აგრეთვე, სიკვდილით დაისაჯა 1944 წელს. მე ვეკუთვნოდი გერმანულ წინააღმდეგობას („შეთქმული მოწინააღმდეგენი“) 1938 წლიდან. იხილეთ: Carlcs Bohlen „Whitness to Histoty“.

მედიცინის დოქტორი გივი გაბლიანი ქართველი პატრიოტია. მისი მამა და მრავალი მის პროფესორთა და მეგობართაგან მოიკლა სტალინის მიერ. საქართველო დაპყრობილ იქნა მეფის რუსეთის მიერ მეცხრამეტე საუკუნეში და თავისი დამოუკიდებლობა დაიბრუნა 1917 წლიდან 1921 წლამდე. იმ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობას მფარველობა გაუწია გერმანულმა მხედრობამ. გრაფი ფონ შულენბურგი წარმომადგენელი იყო გერმ. გარეშე საქმეთა სამინისტროსი საქართველოში (ტფილისი). 1921 წელს საბჭოელებმა ძალით დაიკავეს საქართველო.

გივი გაბლიანი ბუნებრივად ეწინააღმდეგებოდა საბჭოურ იმპერიალიზმს და კრიმინალურ ხელისუფლებას. გერმანულ წინააღმდეგობას სურდა, ჰიტლერის გადაყენების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ერები გაეთავისუფლებინა საბჭოთა დიქტატურისაგან. ამის გამო, გივი გაბლიანმა, 1941 წლიდან სამხედრო ტყვემ, გერმანულ წინააღმდეგობასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა. 1942 წელს კი იგი ჩაირიცხა კავკასიელ მოხალისეთა ერთეულში, რომელიც შედგენილი იყო ადმ. კანარისის მიერ. იგი იყო ხელმძღვანელი მეთაური გერმანულ წინააღმდეგობისა. დახვედტილ იქნა 1945 წელს.

1943 წლიდან გივი გაბლიანი ხდება წევრი „ქართულ საკავშირო მისიისა“, რომელშიც წარმოდგენილი იყო აგრეთვე პარიზში მყოფი ქართული ლტოლვილი მთავრობა. ქართული საკავშირო მისია ვინრო ურთიერთობაში მუშაობდა გერმანულ წინააღმდეგობასთან ერთად. განსაკუთრებით – პოლკოვნიკ გრაფ შტაუფენბერგთან და ელჩ ფონ დერ შულენბურგთან, რომელნიც ორივენი იყვნენ შემქმნელნი საბჭოელ მოხალისეთა ნაწილებისა გერმანულ ჯარში.

1945 წლის იანვარში გივი გაბლიანმა ბავარიაში შეერთო ქართველი ემიგრანტი ქალიშვილი.

საბჭოთა კავშირში ძალით უკან დაბრუნების თავიდან ასაცილებლად, მან თავისი ვინაობა შეიცვალა და არა ტყვედ, არამედ ემიგრანტად გამოაცხადა თავი. მე მაშინ

ღირექტორი ვიყავი ბავარიის სახელმწიფო სამდივნოსი მოუხეხეში და გაბლიანს დავეხმარე გერმანიაში დარჩენილიყო.

1949 წლის შემდეგ ვმუშაობდი ფედერალურ პრეზიდენტ ჰოისთან (Heuss) და კანცლერ ადენაუერთან. უფრო გვიან ვიყავი ელჩი ლონდონსა და რომში (კვირინალში) და სახელმწიფო მდივნად გარეშე საქმეთა სამინისტროსი.

ჰანს ფონ ჰერვართ

(Hans Vin Herwarth)

ზემოთმოყვანილი დოკუმენტი არ ასახავს გაბლიანის თავგადასავალს ტყვეობის დღიდან „ბერგმანში“ მოსვლამდე. ეს დრო კი მას მხოლოდ ტყვეთა ბანაკში არ გაუტარებია. იგი ტყვედ კი არ ჩავარდა, არამედ შეგნებულად გადავიდა მეორე მხარეზე და თვითონ გამოცხადდა. ასეთებს კი პირდაპირ ბანაკში არ გზავნიდნენ. იგი საფუძვლიანად დაკითხეს და ამის შემდეგ, ერთ სპეციალურ პატარა კომანდოში მოათავსეს, სადაც რამდენიმე კავკასიელიც იყო. რამდენიმე დღის შემდეგ, მან ემიგრანტ ქართველებთან დაკავშირება მოისურვა და თან განაცხადა – მე თქვენკენ ჩემი ნებით იმიტომ გადმოვედი, რომ სხვა ქართველებთან ერთად და შეთანხმებით ვიბრძოლო და ვიმუშაო ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ და ვერ გამოვიცა, რატომ არ მადქვეთ საშუალებას, მათ დაუფუკავშირდო. ეს მას არ შეუხარულეს. უფრო გვიან, მასთან მყოფ კავკასიელებსაც ვაუზიარა თავისი აზრი. ეს მას გაუგეს, არ მოეწონათ და გადანყვიტეს, ეს კაცი არ გამოგვადგებაო და ტყვეთა ბანაკში მოათავსეს – მაგრამ ისეთში, საიდანაც ტყვეები, იქვე ახლოს მდებარე ქარხანაში მუშაობდნენ. ამ ბანაკიდან გამოაყვანილა დოქტორ ობერლენდერმა გაბლიანი და სანდო კაცად გაიხადა.

ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთი დოკუმენტის გამოქვეყნება. მანველიშვილი ამტკიცებს: „თეთრიგორგელები“, როგორც ორგანიზაცია, გერმანელებთან არ თანამშრომლობდაო. ეს დოკუმენტი კი ცხადყოფს, რომ სწორედ „თეთრი გიორგი“ იყო ერთადერთი მიმართულება, რომელიც მისი მეთაურით იყო წარმოდგენილი, ხოლო ის, რომ „თეთრი გიორგი“ არა თუ სათაკლოდ თვლიდა თანამშრომლობას „უპრინციპო კედასთან“, არამედ მათი მეთაურები ამისათვის ერთმანეთს ექიმუბოდნენ, ეს კი ნათლად ჩანს ამ დოკუმენტიდან:

საქართველოს ეროვნული მთლიანობის მოძრაობა „თეთრი გიორგი“

21 ოქტომბერი 1921 წ.

ქართულ საკავშირო შტაბს ბერლინში.

გვაქვს პატივი ამით გაცნობოთ ქართულ საკავშირო შტაბს, რომ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციას, მასში მომხდარი ცვლილებების გამო, დღეს ქართულ საკავშირო შტაბში წარმომადგენელი არ ჰყავს.

მოურავის თანამდებობა, რომელსაც ასრულებდა ბ-ნ გ. მაღალაშვილი, გაუქმებულია და მის ნაცვლად დანესებულია „თეთრი გიორგის“ ღირექტორია.

უკეთუ, შტაბი მოისურვებს „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წარმომადგენელს,

„თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელობა მზად არის მისი წარმომადგენელი გაგზავნოს ქართულ საკავშირო შტაბთან სათანამშრომლოდ.

ვთხოვთ შტაბს ამასთანავე ყოველი კონტაქტისათვის, რომელიც მისთვის სასურველი იქნება, მიმართოს „თეთრი გიორგის“ დირექტორიას.

ს.ე.მ.მ. „თეთრი გიორგის“ მეთაური: მიხეილ წერეთელი

ბოლოს და ბოლოს, ამ ამბის არსი შემდეგია: მანველიშვილმა ბერლინში „მცირე“ საქმისთვის ხელის მოკიდება არ იკადრა. დიდს კი ვერ მისწვდა. ეს „დიდი“, ჩანს, შტაბის გამგეობის წევრობა მაინც უნდა ყოფილიყო. შტაბის გამგეობაში შესვლა კი არც ისე ადვილი საქმე იყო, რომ მანველიშვილის წარუმატებლობა მკედიას დაბრალდეს. ოთხთაგან ერთი წევრი უკვე „თეთრგიორგიელი“ მაღალაშვილი იყო. მისი გათავისუფლების შემთხვევაშიაც მანველიშვილზე უადრეს სალიასა და ტოგონიძეს ექნებოდათ შანსი – ძველი „თეთრგიორგიელობისა“ და გერმანულის ცოდნის გამო. გარდა ამისა, მანველიშვილი იმ დროს მხოლოდ ჟურნალისტი იყო, „თეთრი გიორგის“ იდეოლოგიაზე მომუშავე და არც იერი და „კლასი“ ჰქონდა გერმანულ გენერლებთან და მაღალ სახელმწიფო მოხელეებთან ბარი-ბარში მოსაუბრე კაცისა (ეს „კლასი“ არც სალიასა და ტოგონიძეს ჰქონდათ, მაგრამ მათ გარეგნული მსახიობობა და ბლექის თამაში მაინც შეეძლოთ). ეს საკითხი რაგინდ მტკივნეულიც იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება. რეალობა მუდამ მკაცრია. ზოგჯერ უსამართლოც არის. აქ კიდევ ერთი საკითხი ისმის: ლეგიონის გაზეთის საქმეს მაღალაშვილი განაგებდა. რატომ არ დანიშნა მან გაზეთის რედაქტორად მანველიშვილი? ამასაც ხომ ვეტოს ვერ დაადებდა მიხეილ კეღია?

ამ წერილის დასაწყისში ითქვა, რომ მანველიშვილს თავისი თავი პოლიტიკურ ლიდერად ეზმანებოდა და ასეთად ვერ გამოჩენა არის მისი სატიკვარი, რასაც იგი მ. კეღიას აბრალეებს. არის რაღაც პარალელი და საერთო ვ.ნოზაძესა და ალ.მანველიშვილს შორის: ორივე პოლიტიკაში ხელს „აფათურება“, მაგრამ ორივეს მხოლოდ მწერლობა რჩება, ვით ნაამგარი. ვ. ნოზაძის გარდაცვალების გამო ერთხელ დავეწერე: მისმა სამწერლო მოღვაწეობამ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაჩრდილა-მეთქი და ამას იმით ვხსნიდი, რომ იგი მწერლად (თუ მკვლევარად-მეთქი, არ მახსოვს) იყო დაბადებული და არა პოლიტიკოსად-მეთქი. ამის თქმა იმიტომ გავბედე, რომ თვითონ ვიქტორმა ერთხელ საუბარში მითხრა, ჩემი პოლიტიკურობის ხანა ცდისა და ძიების ხანა იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ვიქტორი თავის თავს იცნობდა. ამაში დიდი განსხვავებაა მანველიშვილისა და ნოზაძეს შორის. მანველიშვილი რომ საკუთარ თავს სწორად იცნობდეს და თავის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ცოდნაც გამოეყენებინა, შოთას დაუფერებდა, „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდესო“. მანველიშვილის ნიგნების ავტორი რომ ვყოფილიყავ, ვიამაყებდი და სანუგეშოდაც მექნებოდა, რომ ცხოვრება მხოლოდ პოლიტიკანობის ამაო ჩხაკუნში არ გამიტარებია, მაგრამ კაცია და გუნებაო. თავისი ნამდვილი ნაღვანის აბუჩად ადგებამ და ცდამ იმისა, რომ გვაფიქრებინოს, „ვაი, რა დიდი კაცი არ მიუშვით დიდ საქმესთანაო“, აარჩევინა მას ასეთი ხერხი

- სხვათა დამცირებით თავის ამაღლებისა. ამ მისმა უსათუოდ დასაგმობმა ცდამ დამანერინა ეს წერილი, რომელშიც მოთხრობილი ფაქტები, ალბათ, არასოდეს გამოქვეყნდებოდა, რადგან სხვაც არავინა ჩანს მოწმე ამ ამბებისა, გარდა თვით გაბლიანისა. მანველიშვილმა კი ამ წერილის დანერა რომ მაიძულა, მგონი მისი მიზნის სანინააღმდეგოს მიაღწია - თავი დაიმცირა და ისინი კი აამაღლა, ვისიცა დამცირება სურდა.

ძლიერ ენანობ, რომ იძულებული გაეხდი მანველიშვილის წერილზე მეპასუხა. მართალია, ამ წერილის ნამკითხველი, თუ დაკვირვებელი კაცია, თვითვე მიხედება მრავალ ულოგიკობას ამ წერილისა, მაგრამ მანველიშვილი, ვინმე ყბედი, პასუხის არ მოსათხოვი პიროვნება ხომ არ არის. მისი წიგნების ავტორს სერიოზული კაცის რეპუტაციაც ახლავს თან. ასე რომ, მის მიერ გადმოსროლილი ბრალდება მკითხველს დააფიქრებს - მამ, მას გაბათილება სჭირდება. ხოლო ამ გაბათილებას მე მაკისრებს ჯერ იმ წმინდა საქმის დაცვა, რომლის კეთებითაც ემიგრაციამ ვალი მოიხადა და მერმე ახლო მეგობრობა ცომაიასთან, გაბლიანთან, ვიქტორ ნოზაძესთან და დიდი პატივისცემა მიხიელ კედიასი, რომელთანაც მე ახლო მეგობრობა არა მქონია, მაგრამ თვალმხილველი მოწმე ვარ მისი თავდადებული, დინჯი და საზრიანი მუშაობისა, რამაც მე, თუ ჩემ მიერ შეფასებას დაეჯერება, მიხიელ კედიას პიროვნებაში დიდი კაცის თვისებები აღმომაჩენინა, რომელთანაც, ცხადია, არაფერი ჰქონდათ საერთო უპრინციპობასა და უპასუხისმგებლობას.

მანველიშვილთან თითქმის სამოცი წლის ნაცნობობა მაქვს. ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენს წარსულს ჩვეულებრივი მეგობრობა მაინც დაერქმის. ხოლო ჩვენ ერთმანეთთან უფრო დაგვაახლოვა ამერიკაში ჩემი ორი უკანასკნელი მგზავრობის დროს მასთან ორჯერვე შეხვედრამ კოლორადოში. იქ მან სახლში მიგვიწვია მე და ჩემი ქალიშვილი თავისი ქმარ-შვილით. გაცივანი მისი ოჯახი - მეუღლე და ორი ვაჟკაცი ვაჟი. გულით და ხელგამლილად გვიმასპინძლა. ბევრი ვისაუბრეთ და ახალგაზრდული წარსულის მოგონებამ, ახლა ბებრები, უფრო დაგვაახლოვა. მე მას შევთავაზე ჟურნალის რედაქციაში შემოსულიყო. იგი დათანხმდა და რამდენიმე ნომერი მისი თანამშრომლობით გამოვიდა. რამდენიმე თვის წინათ წერილი მივიღე. საყვედურს მწერდა, რომ მისი წერილების დაბეჭდვა უადგილობისა გამო დაგვიანდა. თან მეუბნებოდა, კოლეგიის სიიდან ამომშალე, ეს მაინც ფიქცია იყო, იმ წერილსაც ნულა დაბეჭდავ, ჩემს წიგნში მოვათავსებო. და - იმედი მაქვს, ეს ჩვენს ხანგრძლივ მეგობრობას არაფერს ავნებსო. გამიკვირდა, დავლონდი. ვაპირებდი ბოდიშისა და კოლეგიაში დარჩენის თხოვნის წერილი მიმეწერა. და აი, ოცი ვგზემპლარი გამომიგზავნა იმ თავისი წიგნისა, რომელშიც ჩემს მეგობრებს ლანძლავს (მეც ხომ მათთან ვმუშაობდი). ეს წიგნები, ცხადია, გასაერცლებლად გამომიგზავნა. მე ამას აუუსრულებ, მაგრამ ამ წერილისთვისაც ნუ გამიჯავრდება. მორიელისა და კუს არაკი მოიგონოს. თუ მისი ბუნება ხალხის დაგესლავს მოთხოვის, ჩემი ბუნება ამ გესლის მორეცხვას მიკარნახებს - განსაკუთრებით, როცა ქვეყნისთვის თავდადებით ნაშრომ ხალხსა გესლავენ.

ჯანრი კაშია „გველის მჭამელი“ გაგების ცდა

ივერია, 35.1990

ბიბლიოგრაფია

ქართულ-ევროპული ინსტიტუტის გამოცემა პარიზი (1989-1990)

ვაჟა-ფშაველას კრიტიკულად შესწავლის თემად არჩევა უფრო რთული და ძნელი წამოწყებაა, ვიდრე ვთქვათ – გოეთესი. და ეს იმიტომ, რომ ამ ორი გენიის მოღვაწეობის ხანა, ერთის მეორისაგან თუმცა არც იმდენად დაშორებულია, სამაგიეროდ, მათი შთაგონების მკვებავი წყარო შეუდარებლად განსხვავებულ მანძილზე მდებარე სათავეებიდან მომდინარეობს. გოეთე მეცხრამეტე საუკუნის შვილია. ვაჟა კი, თუმცა იმავე საუკუნეში დაბადებული და ამ საუკუნის კულტურის მატარებელიც. იმ ფშავ-ხევსურეთის შვილია, სადაც მისსავე სიცოცხლის ხანაში ორიათასი წლის წინანდელი კულტურა ჯერ კიდევ აქტიურად ცოცხლობდა. ვაჟამ ისეთ სამყაროს გარემოცვაში გაატარა ბავშვობა, რომლისთვისაც ქართული ეთნოსის წარსულის ცოცხალი მუზეუმი შეგვეძლო გვეწოდებინა. ამიტომაც, რომ ვაჟას არა მხოლოდ არქაული ქართული კულტურის ნიაღვრულ სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული, არამედ მის ნაწარმოებებს მითოსური დროის „ყლორტებიც“ ასხია. ამიტომ სრულებით არ ჩაითვლება თავმდაბლობად, რომ ბატონი კაშია თავის წიგნს ასათაურებს: „გველის მჭამელი“ – გაგების ცდა. და ახლავე უნდა ვთქვა – „ცდა“ ბრწყინვალე გამარჯვებით არის დაგვირგვინებული.

ამ წინამდებარე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას ხსენებულ შესანიშნავ ნაწარმოების რეცენზიის პრეტენზია არა აქვს. ჩემი მიზანია მხოლოდ წიგნის გაცნობა უზრუნველ მკითხველისათვის. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ეს წიგნი ადვილად საკითხავ-გასაგები არ არის. რადგან კითხვისას მონმე ვართ ჩვენი ერის მიერ წარმოშობილ ერთადერთი ფილოსოფოს-პოეტის და უდავო გენიოსის ვაჟა-ფშაველას გენიაში გზის გაკვალვის ცდისა – ხოლო ამ ცდის ავტორი თვითონაც პოეტი და ფილოსოფოსია (ამ წიგნში მაინც). თუმცა მას ისტორიულ მეცნიერებაში აქვს მიღებული განათლება. ნაშრომში მრავალწახნაგოვანი კონცეფციაცაა წამოყენებუ-

ლი მრავალ პრობლემაზე. საილუსტრაციოდ ნიგნის თავების სათაურებიც კმარა: მინდია პიროვნება; მინდია და მკვიდრნი სოფლისანი; პიროვნება და მკედარი კაცი; პიროვნება – ეროვნული პირი; ეპოქის კრიტიკა; მინდია – მკედარი კაცი; თვითმკვლევლობა; გამოსავლის ძიებაში; ცოდვითა მონანიება; თვითმკვლევლობა.

ამ ძირითად ტექსტს წინ უძღვის მირქმა და კარიბჭე. ხოლო ბოლოში მოსდევს განსასვლელი და ფრიად ვრცელი (92 გვერდი) ძლიერ საინტერესო შენიშვნები, რომლებიც დიდწილად ტექსტის გაგებაში დახმარებისთვის არის მოტანილი. ყველა ამას აბოლოებს ნაწარმოების მოკლე ისტორია-თავგადასავალი. იგი 25 წლის წინათ დაწერილა, მაგრამ მისი გამოცემა ვერ მოხერხებულა. ახლა კი ავტორს უახლოეს მომავლისათვის მეორე ნიგნის გამოცემის იმედი აქვს (გეპირდება კიდევაც). ამ მეორე ნიგნის თემაც „გველის მჭამელია“, ხოლო სათაურია „ინტეგრალური მითოლოგია“.

ამ, უკვე დაბეჭდილ ნიგნში დასმულ უამრავ კითხვაზე გაცემულ პასუხებს შეუძლებელია, ყველას უყოყმანოდ დაეთანხმოს მკითხველი. თუნდ მარტო იმ მიზეზითაც, რომ უალრესად რთულ თემასთან გვაქვს საქმე. და თუმცა ვაჟას გენიის ქმშარიტიებაში დღეს აღარავის იჭვი არ შეაქვს, ასეთი დიდი შემოქმედის გარშემო კიდევ მრავალ ათეულ წელთა განმავლობაში იქნება ახალი და, მაშასადამე, დღევანდელზე დასამატებელი ან შემასწორებელი სათქმელი. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე საუბრის ადგილი არც არის ნიგნის მხოლოდ წარმოდგენილ ამ წერილში. მაგრამ აღნიშვნის ღირსია ავტორის მდიდარი დახვეწილი და ახალი გამოთქმებით სავსე ენა, რაც ქართული ენის განვითარების ერთი მაგალითთაგანია.

ტექსტის ზოგად სტილზე წარმოდგენის შესაქმნელად მკითხველს ვთავაზობ მოკლე ამონაწერს „მირქმიდან“:

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ქართულმა ენამ გაგვიხსნა ყოფიერების არსებობის მითოსური შესაქმის საიდუმლო და ყოფიერების პირველსახე დაგვანახა. ამ პირველსახის ხილვით გამოწვეული ჭაბუკური აღფრთოვანება დაედო საფუძვლად წინამდებარე შრომას, რომლის პირველი „თვითგამოცემით“ პირი 1964-66 წლებში იხილა მეგობართა უფინროესმა წრემ.

ნიგნს ახლდა პატარა კრებული ვაჟას შესახებ გამოთქმული აზრებისა, რადგან კრიტიკოსთა კრიტიკა ჩემს მიზანს არ წარმოადგენდა. მკითხველს ეძლეოდა საშუალება თავად ეფიქრა იმაზე, რაც თქმულა ვაჟაზე ან, საკუთრივ, „გველის-მჭამელზე“ და შეედარებინა იმასთან, რასაც ვთავაზობდი. ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავდა უპატივცემულობას იმ ქართველ მოაზროვნეთადმი, რომელთაგან ზოგი თავგანწირვით იცავდა ვაჟას მაშინაც კი, როდესაც ვაჟას სახელის ხსენება საკუთარ სასიკვდილო განაჩენზე ხელისმონერა იყო (მაგალითად, გრიგოლ კიკნაძე...). ამის დავინყება და დაუფასებლობა არ შეიძლებოდა და არ შეიძლება („ჯერ ისწავლეთ მადლობის თქმა და შემდეგ შეძლებთ ფიქრს“ – როგორც ამბობს ერთ-ერთ თავის ლექსში მარტინ ჰაიდგერი), მაგრამ მაშინ (და ახლაც!) მერჩივნა

უშუალოდ ვაჟასთან და მის შემოქმედებასთან პირისპირ დგომა, იმ გრანდიოზული სამყაროს ხედვა და მასში ბორიალი, რომელსაც ჩემ წინაშე წამოჭრილ კითხვებზე ერთადერთს შეეძლო პასუხის გაცემა. ამ თვალსაზრისით ვაჟას შემოქმედება და, საკუთრივ, „გველის-მჭამელი“ იყო ის გზა, რომელ გზაზედაც, ჩემი ღრმა რწმენით, შესაძლებელი იქნებოდა პირველკითხვებისათვის გამეცა პასუხი. – ვინ ვარ? რატომ ვარ? საიდან მოვდივარ და საით მივდივარ? წინამდებარე წიგნი სწორედ იმ გზამდე მისასვლელ ბილიკად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც ამ ოცდახუთი წლის წინათ გაიკვალა თავისთვის ახალგაზრდა მოგზაურმა.

მიაღწია თუ არა ბილიკმა ვაჟა-ფშაველად (ქართულ კულტურად) წოდებულ დიდ გზას, ეს მკითხველმა განსაჯოს“.

შოთა მარგველაშვილის ხსოვნისათვის

იერია, 36.1991

ამერიკიდან ცნობა მოვიდა, რომ ლოს-ანჯელესში 84 წლის ჰასაკუმი გარდაიცვალა შოთა მარგველაშვილი. განსვენებული დაიბადა კახეთში 1907 წლის 22 სექტემბერს. მისი მშობლები იყვნენ გაბრიელ და დარია მარგველაშვილები. შოთა პროფესიით აგრონომი იყო და ომის დროს ტყვედ ჩაეარდნის გამო აღმოჩნდა უცხოეთში. მას ორი ვაჟიშვილი დარჩა. ერთი თადარიგში გადარიცხული ოფიცერია და ინდუსტრიაში მუშაობს; მეორე პედაგოგია და პაპამისის სახელი ჰქვია.

მე მას ჯერ სამთო შენაერთ „ბერგმანში“ შევხვდი. უფრო გვიან კი ბერლინში ერთად ვმუშაობდით ქართულ-გერმანულ საკავშირო შტაბში. ჩვენ ერთმანეთთან განსაკუთრებული დაახლოვება და მეგობრობა არ გვქონია – გაზიარებული სიმპათია და პატივისცემა გვქონდა მხოლოდ. ომის დამთავრების შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთისაგან სრულიად მონყვეტილად ვიცხოვრეთ. მიმონერაც კი არა გვქონია. მაგრამ როგორც კი მისი გარდაცვალება შევიტყვე, წამსვე ვიგრძენი, რომ ვალდებული ვიყავ – ეს სამწუხარო ამბავი უბრალო განცხადებით არ შემომეფარგლა. ეს იმიტომ, რომ შოთა მარგველაშვილი, ჩემი აზრით, განსაკუთრებული პიროვნება იყო. თუ მე ამ ჩემს აზრს საჯაროდ და პრესის საშუალებით გამოვთქვამ, ამის ნებას შემდეგი გარემოების გამო ვაძლევ ჩემს თავს:

რუსეთთან ომის დაწყებიდან ბოლომდე „ვერმახტში“ ვირიცხებოდი. როგორც თარჯიმანსა და მრჩეველს ხშირ შემთხვევაში ბანაკებიდან გამოსაყვან ხალხის არჩევა მევალებოდა. ამგვარად, ასობით კი არა, ათასობით ტყვესთან მომიხდა კონტაქტის დაჭერა, რომლის დროსაც უნდა ვცდილიყავ მორალურად დადებითი და პოლიტიკურად სანდო ხალხი ამერჩია. ეს კონტაქტები მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი იყო. ერთ შემთხვევაში ორი თვე ვიცხოვრე ბანაკში, რომელშიც ოციათას ტყვეთა შორის 750 ქართველი იყო.

ომის ბოლო წლებში, როცა ქართული ბატალიონები უკვე შემდგარი იყო და ბერლინში საკავშირო შტაბში დავინყე მუშაობა. ჩემი სამუშაო იმავე ხასიათისა იყო:

მე ვიყავი ქართულ საბრძოლო ბატალიონთა მდგომარეობის (უმთავრესად მორალურის) შემსწავლელი და მომხსენებელი ოფიცერი. ეს ნაამბობი ცხადჰყოფს, ამა თუ იმ ერის ხასიათის შესწავლისათვის გამოსადეგ იმ იშვიათ მდიდარ მასალას, რომელსაც მე ჩემდაუნებურად გავეცანი. მაგრამ შოთა მარგველაშვილი რა შუაშია? მახსოვს შოთა მარგველაშვილმა გაცნობისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება. მაკვირვებდა უჩვეულო წონასწორობა მისი პიროვნებისა. მაშინ მე ამ მოვლენის ახსნას არ ვცდილვარ. ამგვარი ფსიქოლოგიური ძიების თავი მაშინ ვის ჰქონდა. მხოლოდ ბერლინში ზოგჯერ მიფიქრია – შოთასვით ღირსეული პიროვნება ტყვეთა შორის არ შემხვედრია.

ომი დასრულდა. მე ოფიცრის ფორმის ნაცვლად ისევ მუშის ტანისამოსი ჩავიცვი და ლუკმაპურის მოპოვება-ლა იყო ჩემი საქმე. ასეთ ყოფაში კი, როცა მხოლოდ ხელი მუშაობს, გონება კი უსაქმოდ დარჩენილა, ფიქრები მოდიან, და რაზედ უნდა მეფიქრა თუ არ ჩემი ქვეყნის ბედზე და მიზეზზე მისი უბედურებისა? და აი, ათეულ წელთა განმავლობაში ამაზე ფიქრმა, საქართველოს ისტორიის ცივმა ანალიზმა, ემიგრანტ ქართველთა ხასიათზე დაკვირვებამ და ბანაკებში თუ ბატალიონებში გაცნობილ ქართველთა ხასიათის გაცნობამ ჩამომიყალიბა შეხედულება, რომ ყოველი სიავე, რაცა გვჭირს, ჩვენივე ხასიათის ბრალია. ბრალია ჩვენს ხასიათში არსებულ მანევ თვისებებისა, რომელნიც, ზოგჯერ ჭკვიან და ნიჭიერ ქართველსაც კი უკუღმართ ან უგუნურ ნაბიჯისაკენ უბიძგებს. აქ უადგილოა ჩამოთვლა ამ თვისებათა. მათ ყოველი ჭკუაგახსნილი ქართველი ჩამოგივლით. თუმცა, გამოტოვებით იმ არასასურველ თვისებებისა, რომელნიც თვით მას ახასიათებენ. მხოლოდ ვიტყვი, რომ ამ თვისებათა ჩემს გონებაში გამონვლილვისა და სისტემაში მოყვანისას მახსენდებოდა ერთი პიროვნება, რომელიც ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილი იყო ვით სრულიად სპეტაკი და იჭემიუტანლად უცხო ყველა ამ საბედისწერო თვისებათაგან. ამიტომ იგი მესახებოდა იმ იდეალურ ქართველად, რომლის მსგავსთა ქართველთა შორის მომრავლებაც დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის. ეს რწმენა თანამედროვე მოვლენებმაც გამიძლიერა.

შოთას პიროვნებაში ბუნებრივად არსებულ დადებით თვისებათა ჩამოთვლა არ გამიძნელებოდა. მაგრამ ვფიქრობ ამგვარი ქებათა შესხმა ზედმეტია რაიმეს მისამატებლად ისეთი პიროვნების ღირსებისათვის, როგორც შოთა იყო. რაც ვთქვი საკმარისია, რადგან მე სხვას არავის შევხვედრილვარ ვისზედაც იგივეს თქმა შემძლოდა. როცა ვამბობ არ შევხვედრილვარო, იქნებ ვერ გამოვიცანი. ასეთი ბუნების ადამიანები თავიანთ საუნჯეს ჩუმად ატარებენ გარეშე ყოველ ხმაურისა. ესეც ხომ ერთი უძვირფასესი თვისებაა კაცის ღირსებისათვის.

ასეთი კაცის ხსოვნის არდაკარგვისათვის დაეწერე ეს რამდენიმე სტრიქონი – ვით მის საფლავის ქვაზე ამოჭრილი ეპიტაფია. ვინძლო მისმა წაკითხვამ ქართველი მკითხველიც დააფიქროს.

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ცვლილება ჟურნალ „ივერიასში“

ივერია 36.1991

ჟურნალ „ივერიას“ გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. „ივერიას“ შემდეგი რვეული ქართულ-ევროპული ინსტიტუტის სახელით გამოვა. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ სიტყვათა რიგი წარწერისა: „პუბლიცისტიკა, ხელოვნება, მეცნიერება“ იქნებ შებრუნებული სახით უფრო შეეფერებოდეს განახლებულ ჟურნალს. რაკი იგი არა რომელიმე პოლიტიკური მიმართულების, არამედ კულტურული დანიშნულების ინსტიტუტის სახელით გამოიცემა. ეს კი, ცხადია, ჟურნალის ახალი ხელმძღვანელის ბ-ნ ჯანრი კაშიას არჩევანზეა დამოკიდებული.

ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზი შემდეგია: გასული წლების ნოემბრის ბოლოს ჟურნალის რედაქტორმა — ოთარ პატარაძემ მიიღო შემდეგი განცხადება: „ძვირფასო ოთარ, შენ, ცხადია, გახსოვს ჩემ მიერ ამ ერთი წლის წინათ შენთვის, გულიკოსათვის და გივი ზალდასტანისათვის გაანდობილი გადაწყვეტილება — ჟურნალის პასუხისმგებელ ხელმძღვანელობისათვის თავის დანებებაზე.“

ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დღემდე იმიტომ გადავდე, რომ ეს საქმე არა მხოლოდ მოვალეობად მიმაჩნდა, არამედ იმიტომაც, რომ მართლა მიყვარდა, მაგრამ სიყვარული და მოვალეობის შეგნება არ კმარა იმის გაკეთების შესაძლებლად, რისი გაკეთებაც უკვე აღარ შეგიძლია.

ახლა მე ვხედავ ჩემი ფიზიკური და გონებრივი უნარის იმ ზომით მოდუნებას, რომ დროა ხელი ავიღო ჟურნალის ხელმძღვანელობაზე. ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა. ჟურნალის 35-ე ნომერი უკანასკნელია, რომელიც ჩემი პასუხისმგებლობით გამოდის.

დეკემბერში გივი ზალდასტანი და გულიკოც პარიზში ჩამოდიან. ასე რომ, შენ მშვენიერი შემთხვევა გექნება მთელი კოლეგიის შეკრებისა (გაბლიანის გარდა), რომ საქმე ისე მოვაგვაროთ, როგორც გადაწყვეტით.

შენდამი, როგორც ჟურნალის ოფიციალური-უფლებრივი პატრონის და დირექტორისადმი მიმართულ ამ განცხადების ასლს ვუგზავნი: გივი გაბლიანს, გივი ზალდასტანს, გულიკოს და ჯანრი კაშიას.

მამობრივი სიყვარულით, მიხეილ ქავთარაძე”.

დეკემბრის შუა რიცხვებში შედგა ზემოთ ნაწარაუდები კრება. კრებამ გადაწყვეტილება მიიღო, ჟურნალი ბატონ ჯანრი კამიასათვის გადაეცა, რომელიც ამ წინანდადებაზე დათანხმდა პირობით, რომ გამოცემა ქართულ-ევროპული ინსტიტუტის სახელზე ყოფილიყო. დირექტორმა ოთარ პატარიძემ თანხმობა გამოაცხადა და ბ-ნ კამიას აღუთქვა, რომ სათანადო ფორმალობას ჩაატარებდა. აგრეთვე გადაწყდა, რომ ჟურნალის ნივთიერი ქონება, ბანკის ანგარიში ჟურნალისავე განკარგულებაში გადავიდოდა. კოლეგიამ აგრეთვე საჭიროდ ცნო ამ ცვლილების მაუწყებელი კიდევ ერთი ნომერი გამოსულიყო. ასეთია მიზეზი და გარემოება ამ მოვლენისა, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივ კანონს ემორჩილება: როდესაც უფლის გამწევი დაიღლება, იგი სხვამ უნდა შეცვალოს. მე პირადად ძლიერ კმაყოფილი ვარ, რომ საქმე ამგვარად მოგვარდა: ჟურნალი სიკვდილს გადაურჩა, განსხვავებით, ვთქვათ „კავკასიონისა“, ხოლო, რაც მთავარია, ასეთი ჟურნალის აქ. უცხოეთში გამოცემა დღეს ბევრად უფრო საჭირო და გამართლებულია, ვიდრე ორი თუ სამი წლის წინათ იყო.

ახლა მცირე რამ ჟურნალის წარსულის შესახებ. „ივერიის“ პირველი ნომერი 1949 წლის მაისში გამოუშვა ელისე პატარიძემ. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანელთა მხარეზე ომში მონაწილეობა, თუმცა ლიბერაციის პირველ წლებთან შედარებით შენელებულად, მაგრამ ჯერ კიდევ მძიმე დანაშაულად ეთვლებოდა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობას. ქართველ ეროვნულ-დემოკრატი ლიდერთაგან იმ დროს მხოლოდ და მხოლოდ სამი კაციღა იყო ცოცხალი: ალექსანდრე ასათიანი, დავით ვაჩნაძე და რევაზ გაბაშვილი. ამათგან მხოლოდ რ. გაბაშვილი იყო პარიზში დაბრუნებული. ა. ასათიანი ესპანეთში ცხოვრობდა და პარიზში დაბრუნების შესაძლებლობას უცდიდა. დავით ვაჩნაძე კი გერმანიაში ცხოვრობდა იქ შერთულ გერმანელ მეუღლესთან.

„ივერიის“ გამოცემის გადაწყვეტილება ე. პატარიძისა და ა. ასათიანის შეთანხმებით მოხდა. ამ საქმის გაკეთება კი ფრიად საჭირო იყო, რადგან ემიგრაციის საგრძნობი ნაწილი მერყეობას შეეპყრო. იყო აშკარა გადახრაც საბჭოებთან შერიგებისაკენ. ამიტომ უნდა აღინიშნოს ღვანლი ელისე პატარიძისა, რომელმაც გაბედულება, ენერგია და სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა. ელისეს დიდი პასუხისმგებლობა ედო თავს, რადგან ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ომამდე ფრაქციებად დაყოფილი ეროვნულ-დემოკრატებს ერთი ჟურნალი აერთებდა. ამ პასუხისმგებლობას მშვენივრად გაართვა თავი ელისე პატარიძემ ჟურნალის თანამშრომლებთან ერთად – ჯერ მკითხველისათვის ჟურნალის წარმდგენ დეკლარაციით და მერე შიგ გამოქვეყნებულ წერილებით საკმაოდ მაღალი დონისა.

დეკლარაციაში რედაქცია ამბობდა: ჩვენ, ილიას აზრსა და იდეებზედ აღზრდილნი, „ივერიის“ პირველი ნომრის გამოცემიდან სამოცდამეთორმეტე წლისთავზედ კვადნიერდებით და იმავე სახელწოდებით ვცემთ ჩვენს ამ ქართული პოლიტიკის

ორგანოსო. „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს მოველინა ქართულ საზოგადოებას. მისი სულისჩამდგმელი და მამამთავარი დიდი ილია იყო. მან სამოციან წლების სახელოვან მოღვაწეთა თანამშრომლობით, სიცოცხლის წყლით გააცოცხლა გარეშე მტრის მიერ დათრგუნვილი და სამარის პირზე მიმდგარი ქართული ეროვნულობა. იმავე ილიამ ჩაუყარა იდეური საფუძველი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებას, რომლის უდავო მამამთავრადაც ის ითვლება. იესო ქრისტეს ჯვარცმამ ვერ ჩაპკლა მის მიერ შთანერგული ქრისტიანული იდეები. პირიქით, ხელი შეუწყო მათ გავრცელებასა და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის სარწმუნოებადაც აქცია. ბოროტმა ძალამ ფიზიკური სიცოცხლე მოუსპო ილიას, მაგრამ ამით სიცოცხლე და მარადობა მიანიჭა მის აზრსა და იდეებს.

ჩვენი მიმართულების მეთაურები ილიას კურთხეულ მკლავებზედ განათლულნი, ყოველ ქართულ საკითხსა თუ მოვლენას ილიას წყლიანი და შორსმჭყრეტელი თვალით უყურებდნენ. მისი ღვთიურის აზრითა და გონებით აფასებდნენ. მისი იმედის წყაროდ ქვეული გულით ეკიდებოდნენ, მისი ქართული ადლით ზომავდნენ. „ხშირად მკვდართა სულები განაგებენ და ხელმძღვანელობენ ცოცხალთა“, თქვა ფრანგმა სოციოლოგმა ლებონმა. ეს ბრძნული თქმა ზედმიწევნით უდგება ილიას მაგალითს.

ჩვენ მეტიად საზიანოდ და დრომოჭმულად მიგვაჩნია ვინრო პარტიულ ჩარჩოებში ჩაკეტვა, აზროვნება და მოქმედება. საჭიროა ფართო ეროვნულ ასპარეზზე ქართულ მოაზროვნე და მოქმედი ძალების ერთობა. ქართული ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება არასოდეს ყოფილა ვინრო პარტიული დარაზმულობა. იგი იყო ზეკლასური და სახელმწიფოებრივი. ამ ჟურნალის გამოცემით ჩვენ ამ ტრადიციულ ქართულ პოზიციას ვადასტურებთ. „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო“, თქვა ილიამ. ეს არის ჩვენი ჟურნალის დედააზრიო.

დეკლარაციიდან ამოღებულ ამ ციტატების დედააზრისათვის არასოდეს უღალატია „ივერიის“ პარიზულ გამოცემას 1949 წლიდან დღევანდლამდე. ჟურნალის თანამშრომელთა ქრონოლოგიურად დალაგებული სია შემდეგია: ა. ასათიანი; ე. პატარიძე; სეფ. ჭირაქაძე; ვიქტორ შუბლაძე; შ. კალანდაძე; რ. გაბაშვილი; ვანო ნანუაშვილი; დ. ყურულაშვილი; რაფ. ინგილო; დ. ქიმერიძე; ევტიხი აბულაძე; პ.ფარცხაშვილი; ლ. ნ. დ. პ. დიმიტრიკაშვილი; დონ-ჩინი; დავით ვაჩნაძე; გ. მაღალაშვილი; იოსებ ხანანაშვილი; სერგო კობრიძე (იანეთელი); მ.ქავთარაძე; გულნარა ურატაძე-პატარიძისა; ალექსი აბაშიძე; გივი გაბლიანი; გივი ზალდას-ტანიშვილი; ალ. ბადურაშვილი; ალ. მანველიშვილი; ჯ. კაშია; დავით ოდიშარი (აჯიაშვილი); ირ. ოთხმეზური; ნიკოლოზ მათიაკაშვილი; იროდ. ბეგიაშვილი; პ. იბერი; ს. ქართველი.

ელისე პატარიძემ 1949 წლიდან 1971 წლამდე უხელმძღვანელა „ივერიას“. მის მიერ გამოცემული უკანასკნელი ნომერი იყო 1971 წლის მაისისა. იმავე წლის ბოლოსათვის კი მას სენი იმდენად მოერიო, რომ არავითარი აქტივობა აღარ შეეძლო.

ასე რომ, მეთხუთმეტე ნომრიდან მთელი სამუშაო მე დამანვა, რადგან ჟურნალის მეორე ხელმძღვანელი, ჭირაქაძე პროვინციაში ცხოვრობდა. 1975 წლის 10 თებერვალს ელისე გარდაიცვალა. ხოლო იმავე წლის 24 ოქტომბერს ს. ჭირაქაძემაც დატოვა ნუთისფელი.

ამ მოვლენებს ზედ დაერთო კიდევ სხვა გარემოება, რომელმაც ჩემი ტვირთი და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მეტად დაამძიმა: 1975-76 წელთა მიჯნაზე მე, როგორც ხშირად ადრეც, ამერიკაში ჩავედი ჩემს ქალიშვილთან და შვილიშვილებთან შობა-ახალწლის გასატარებლად. იქ ყოფნისას შეეხვედი ამერიკაში გამომავალ გაზეთ „ქართული აზრის“ გამოცემელთ. გაბლიანთან ილინოისის შტატში ჩამოვიდნენ გივი ზალდასტანი ბოსტონიდან და დიმიტრი სინჯიკაშვილი ნიუ-იორკიდან. ესენი ჩემი მეგობრები იყვნენ და ეროვნულ-დემოკრატები, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ მეგობრების შეხვედრა. მათ მაცნობეს, რომ დიმიტრი სინჯიკაშვილის ავადმყოფობის გამო, გაზეთ „ქართული აზრის“ გამოცემა წყდება და ჩვენი სურვილია „ივერიის“ გარშემო შემოვიკრიბოთო.

ამ მცირე „კონფერენციაზე“ ჩვენ შევადგინეთ „ივერიის“ გადახალისებული სარედაქციო კოლეგია. პარიზში დაბრუნებულმა, მოვიწვიე პარიზელ ეროვნულ-დემოკრატთა საერთო კრება და მომხდარი ამბავი უუამბე. თანაც გავაცანი მათ დაუკითხავად შედგენილი, მამასადაძე, პროექტის სახით „ივერიის“ ახალი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის სია. კრებამ ყოველივე დაადასტურა. ამგვარად, 1977 წლის ბოლოს, დეკემბერში, გამოვიდა „ივერიის“ მეთრვაამეტე ნომერი, რომლის დირექტორად დასახელებულია ოთარ პატარიძე, ხოლო სარედაქციო კოლეგიაში არიან: გივი გაბლიანი; გივი ზალდასტანიშვილი; შალვა კალანდაძე; გულნარა ურატაძე და მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).

ასეთია მოკლე ისტორია იმ ჟურნალისა, რომლის გამოცემასაც ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლები შეევჩირე. ჩემი „გაჟურნალისტების“ ამბავს უკვე შევეხე „ივერიის“ ოცდამერვე ნომერში მოთავსებულ „ელისე პატარიძის მოსაგონარში“. იქ ვამბობდი, ჟურნალისტობაზე არასოდეს მიფიქრია-მეთქი. ახლა დავუმატებ: არც პოლიტიკოსობაზე მიფიქრია, მაგრამ თუ ჟურნალისტობა ავად თუ კარგად მანინცა შევძელ, ყოვლად გამორიცხებულია, რომ პოლიტიკოსობაში იოტის ოდენი უნარი გამომეჩინა. ამით იმისი თქმაცა მსურს, რომ არასოდეს მქონია ილუზიები. თითქოს მე პოლიტიკას ვაკეთებდი. მე მხოლოდ ვიპუბლიცისტე და თანაც მუდმივ უკმაყოფილო ვიყავ ჩემი ნახელავით.

თანჯგმანეპი



ლუი არაგონე ფიროსმანის შესახებ

კავკასიონი 14.1970

საქართველოში ბევრს ნერდნენ ნიკო ფიროსმანიშვილის გამოფენაზე პარიზში. ნერდნენ გადაჭარბებულადაც; ნერდნენ სიცრუესაც, – თითქოს ცნობილი კომუნისტი მწერალი, ფიროსმანზე მზრუნველი, ლუი არაგონი გამოფენის გახსნასაც დაესწრო... მკითხველი თვითონ მიხვდება: რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრსა და განთქმულ რომანისტს ამ გამოფენის გახსნაზე დასწრება არ შეეძლო და იცით, რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ცნობილმა ლუი არაგონმა მოსკოვის რისხვა დაიმსახურა. ჯერ ერთი: მან უარი თქვა შოთა რუსთაველის იუბილეს დასწრებოდა, იმის მიუხედავად, რომ ეს ფრანგი კომუნისტი მწერალი ქართველ მწერლებთან მეგობრობდა. თავისი საუარო პასუხი მან მოკლედ გამოთქვა და იგი მიმართული იყო მოსკოვისადმი: თქვენ ცოცხალ მწერლებს ციხეში და საკონცენტრაციო ლაგერებში აგ ზავენით, ხოლო გარდაცვალებულ მწერლებს იუბილეს უხდითო...

შემდეგ, როდესაც მოსკოვში რუსი მწერლები გაასამართლეს და ციხეში და-მწყვდევეთ დასაჯეს, არაგონმა ამის გამო პრი ტესტი განაცხადა და მწერლობის თავისუფლება მოითხოვა. შემდეგ ჩეხოსლავაკიაში რუსული ტანკების შესვლით აღშფოთებული არაგონი თავის პროტესტს აძლიერებს, მოსკოვის ამ მზაკვრულ მოქმედებას სასტიკად გმობს და ერთა თავისუფლებას იცავს...

როგორ უპასუხა მოსკოვმა. მან აკრძალა საბჭოთა კავშირში ჟურნალის „ლეეტრ ფრანსეზ“-ის შეტანა, სადაც იგი სამი ათასი ეგზემპლარი იგზავნებოდა. და ისიც აღსანიშნავია, რომ ლუი არაგონის მფლობელობაში მყოფი ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენის ნება არ დართეს...

დანარჩენს მკითხველი მისი წერილიდან გაიგებს. ლუი არაგონის ეს წერილი თარგმნა მიხეილ ქავთარაძემ.

ახალი ამბავი ის არის, რომ ნელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე, როდესაც მისი ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ლუი

არაგონი, საბჭოურმა დელეგაციამ ამას წინააღმდეგობა გაუწია, – რასაკვირველია, კულისებში, გარნა სავსებით უშედეგოდ; თუმცა ფრანგ კომუნისტებს დიდი დავა დასჭირდათ, რათა საბჭოელები დაერწმუნებინათ, რომ ეს ყრილობისათვის საჭირო და აუცილებელი არისო... დანარჩენს მკითხველი თვით ლუი არაგონის წერილიდან გაიკავებს...

„მხატვრობა, ხელოვნების სხვა დარგთა შორის ყველაზე მეტად, მოულოდნელობით სავსე საგანია. ყოველთვის, როდესაც გვგონია, რომ მან განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომლის შემდეგ, მას საკუთარ მიღწევათა განმეორება-ლა დარჩენია, ხდება ამბები, როგორც ზღაპარში: იღება კარი იქ, სადაც აქამდე არავითარი კარი არ იყო; ალაღინის ფარანი ინთება; და მფრინავი ხალიჩა ადამიანთა გონებას უცნობ მხარეთაკენ იტაცებს.

წარმოიშობება ფრანგ მხატვართა განცვიფრება, როდესაც ფრანსუა პირველმა, თავის ტაძრულთან ერთად, დე ვინჩიო ჩამოიყვანა. ან სანინააღმდეგო მიმართულებით რომში ჩასულმა პუსენმა იქაურ მხატვრობაში გამეფებული სინათლე რომ აღმოაჩინა, რომელიც მან საფრანგეთში ამეფა ვიდრე კორო-მდე; დელაკრუამ ლონდონში რომ ბორინგტონი იპოვნა. ან კიდევ ყერიკო ბოგარტთან მისული. მაგრამ იქნებ უდიდეს განცვიფრების ერთ-ერთ მომენტთაგანი ის წამი იყოს, როდესაც ჰოკუსაი უტამარო და სხვანი მათგვარნი ამ მეოცე საუკუნეში აკადემიურ სკოლას წინააღმდეგენ – სკოლას, რომელიც მას შემდეგ, ჩვენს მხატვართა მიერ, (კურბე-დან ვიდრე ნიკოლა დე სტალამდე) სადავო საგნად არის ქცეული.

და აი, ვინმე ახალმოსული, ჩვენს შორის გაჩნდა და მხატვრობაში შესაძლებელ – შეუძლებელზე პაექრობას ხელახლა იწყებს; ყოველგვარი მაუნყებელი ხმაურის გარეშე მოსული – იქედან, საიდანაც ჩვენ სრულებით არაფერს ველოდით.

რომ ჩვენს დროში ეს გაკვეთილი საქართველოდან მოდის, ეს იმდენადვე საკვირველია, რამდენად საკვირველი იყო მისი იაპონიიდან მოსვლა მატისის დაბადების ხანაში. იმ დროში, როდესაც 1863 წელს დაბადებული მხატვარი, რომლის შესახებაც აქ ვლაპარაკობთ, ჯერ ბავშვი იყო და ყოველგვარ ცოდნას მოკლებული ეს ბავშვი, თავის სოფელში, კახეთში, უეცრად ხატვის გიჟური სურვილით აღივსო და დღეს, როდესაც ეს ბავშვი, რომლის დიდებაც დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ქუჩის საღაზღანდარო საგანი იყო, რაღაც სასწაულით ლუერის მუზეუმში შედის, მე უნდა მოგიტხროთ ნიკო ფიროსმანიშვილის ისტორია. მას ჩვენ სიადვილისათვის ფიროსმანად მოვიხსენიებთ, ამ უცნობ ქართველს, რომელზე ლაპარაკიც ჩვენში მხოლოდ იწყება.

კახელი, მირზაანელი მებალის შვილი... აქ ყოველ სიტყვას განმარტება დასჭირდება, მაგრამ თქვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომ ალექსანდრე პირველმა, ბაგრატიონმა, 1424 წელს, საქართველო თავის სამ ვაჟს გაუნაწილა, რომელთაგან ერთს კახეთი ერგო... ეს ის წელია, ოდეს შარლ მეშვიდე, რომელიც მაშინ მხო-

ლოდ ბურჟუაზიის მეფე-ლა იყო, ამბობდნენ დღეს ციხე-ქალაქი შარიტე სიურ ლუარ დაჰკარგა. ფიროსმანის ისტორია მხოლოდ 1863 წელს იწყება, როცა კურბემ (ვით რაფაელმა – როგორც თვითონ ამბობს) „კონფერენციიდან დაბრუნება“ დახატა და მანემ თავისი „საუზმე მდელიოზე“ და „უკუვადებულთა სალონი“ გამოაქვინა.

მამის სიკვდილის შემდეგ ნიკო, ახლა თბილისად წოდებულ, მაშინდელ ტიფლისში გაუგზავნიათ. ეს უნდა მომხდარიყო 1870 წელს და იქ თავის მასპინძელ ნათესავთან, რომელიც სამხედრო პირი ყოფილა და სახელად კალანთარი რქმევი, ნიკოს აღედგინა ხატვის სურვილი და აკვარელს ჰკიდებს ხელს. მაშინ მისთვის ნამდვილ მხატვრად გახდომას რა პირი უნდა სჩენოდა? 1891-იან წლებში 28 წლის ნიკო საბარგო მატარებლის კონდუქტორად მოაწყვეს. ამ ხელობაზე მან სამი წელი დაჰყო (1894 წ. იანვარი), ვიდრე ავადმყოფობამ მას ამ ხელობის მიტოვება არ აიძულა. რის შემდეგაც მან თბილისში რძის ნაწარმოთა სავაჭრო გახსნა და, უნდა ვიფიქროთ, ამ დროს უნდა მისცემოდა მას პირველად კედელზე დახატვის შესაძლებლობა: მან დუქნის კედლები თავისი ნახელავი ძროხების სურათებით მოხატა და თუმცა მისი მხატვრული შემოქმედების თარიღად 1888 წელს მიიჩნევენ, ე.ი. როცა იგი 25 წლისა იყო, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დუქნის გახსნის შემდეგ უნდა დაენყო მას სერიოზული მუშაობა თავის სურათებზე. მისმა „ძროხებმა“ (1894 წ.) ყოველ შემთხვევაში ჩვენ დრომდე ვერ მოაღწია. უნდა დავუშვათ, რომ 1896 წელზე ადრე მხატვარ ფიროსმანს არ იცნობდნენ. ხოლო რაც მას პირადად შეეხება, ამბობენ, რომ იგი იმ დროს საამო თანამესუფრე ყოფილა: თავაზიანი და ხელგაშლილი; თანაც საკმაოდ ფიცხი, მაგრამ არა გულღვარძლიანი.

ცხადია არავის, ვისაც მისი პირველი სურათები ხელთ ჩაუვარდა, ისე დიდად არ დაუფასებია, ვერ თუნდ იმიტომ, მხატვარს არც კი უფიქრია ამაში გასამრჯელო მიეღო, ხოლო, გარდა ამისა, უხარისხო მასალისაგან შექმნილი სურათები მალე ფუჭდებოდა; მათი ნაწილი დანიშნული იყო სარდაფების დასამშვენებლად, რომელთაგან ზოგი დაანგრის, ზოგი ხელახლა შეღებეს, ბევრ სხვას ბნელ სარდაფთა სინესტემ და მოუვლელობამ მოუღო ბოლო.

კირილე ზდანევიჩს თუ დავუჯერებთ, რომელიც თუმცა გვიანდელი მონმეა (მან ფიროსმანი მხოლოდ 1912 წელს ნახა), მაგრამ თავისი ძმა ილიას გვერდით (პოეტის ილია დიდი ხნიდან პარიზში მცხოვრები, პიკასოს მეგობარი და პოეტური მიმართულების „ზაუმ“-ის წევრი), ფიროსმანის დღის სინათლეზე გამოყვანის ავტორია. აი, ამ ზდანევიჩს თუ დავუჯერებთ, ფიროსმანის პირველი პალიტრა (1895-1906) შეიცავდა ბაც მწვანეს, ბაც ყვითელს და ნაცრისფერს, რასაც იშვიათად შეიძლება შავი და ლურჯი მიმატებოდა, რის ნიმუშებსაც წარმოადგენს დიდი სურათი „ნადირობა შავი ზღვის პირას“, რომლის პარიზში არ ხილვას ძლიერ ვნანობ (1 მეტრი 05 სიმაღლე, 3 მეტ. 58 სიგანე). 1895 წლიდან 1903 წლამდე ჩვენში იმპრესიონისტთა ტრიუმფის ხანაა, მაგრამ ამავე დროს ხანა, როდესაც იწყება არჩევანის გადატანა ეგრეთ წოდებულ „პრიმიტივებზე“, რომელთა სახელებია: სეზან, ვან გოგ და გოგენ,

რომელთა მაგალითიც ჩვენმა მხატვართა ახალმა თაობამ გაკვეთილად მიიღო, რის შემდეგ მოროს ატელიიდან გაქცეულნი დერენ, რუოლტ და მატის, თავიანთი ოსტატის სწავლის უარყოფელნი, „ფოვიზმ“-ს გამოიგონებენ.

მე აქ ვთქვი სიტყვა „პრიმიტივი“, რომელიც მაიძულებს... ფიროსმანს მიეუბრუნდე. შემიძლია ნაძლევი დავდო, რომ მას აქ შეხედავენ, როგორც „ნაივს“ და ეს სწორედ ის არის, რაც შეიძლება ითქვას კურბეს ზოგი სურათის, სეზანის და გოგენის შესახებ, რადგან ეს მხატვრები სკოლის მიდევნით არ ხატავდნენ. პენრი რუსსო ლე დუანისეს პრეცედენტმა, მისი სახელის განთქმამ, ის გამოიწვია, რომ აჩქარებულმა ხელოვნებისმკოდნებმა წარამარა აღმოაჩინეს, თითქოს ანალოგიური ფენომენები „შაბათ-კვირის“ მხატვართა შორის, ბოლოს ბავშვთა შორისაც. ამგვარად შეიქმნა „ნაივობის“ მოდა.

ფიროსმანში ის არის საკვირველი და შეუდარებელი, რომ მისთვის ეს ეპიდემიური ეტიკეტის ტარება სრულებით საშიში არ არის. დამიჯერეთ: ფიროსმანი მთელი თავისი არსებით იმას წარმოადგენს, რაც სწორედ წინააღმდეგია ცნებისა „ნაივ“ (=გულუბრყვილო). იგი მხატვარი არის, რომელმაც თავისი მხატვრობისათვის თვით გამოიგონა ყოველი. დაახლოებით ორმოცი წლის მანძილზე თვით განავითარა იგი; მან თვითვე შექმნა თავისი ტექნიკა. ისევე, როგორც თავიანთი ტექნიკა შექმნეს „პრიმიტივებმა“, იმათ, რომელნი მოსწყდნენ სკოლას, ზემოთ რომ ვახსენე, ან რომელთ სკოლა არასოდეს გაუვლიათ; ვით მხატვრები, რომელთათვის გამოგონებულ იქნა სიტყვა „პრიმიტივი“. [იგულისხმებიან რენესანსის წინამორბედი მხატვრები. მთარგმნელი]

ლექსიკონი გვიხსნის: ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი პრიმიტიულ რამდენიმე ფერსა ხმარობდნენ და ამათაგან სხვა ფერებს შეზავებით ლებულობდნენო. თუ დავეუკვირდებით, იტალიური მაგალითი, სხვა მიზეზთა გამო, კიდევ უფრო ახლოს არის იმასთან, რაც წარსული საუკუნის დამლევის საქართველოში ფიროსმანს შემოქმედის, მე მინდა ვთქვა, გენიის სახეს ანიჭებს და რაც არც შეიძლება დავიყვანოთ, ჩვენში, ინსტიტუტსა და „დამოუკიდებელთა“ შორის მომხდარ ცდებამდე. [ინსტიტუტი და „დამოუკიდებლები“ აქ მოყვანილი არიან, როგორც კონსერვატიზმისა და აკადემიზმის სიმბოლოები. მთარგმნელი]

ფიროსმანისათვის სკოლა და აკადემიური სწავლა უცნობი იყო, თუმცა მას თვალწინ ჰქონდა ის, რაც მთელ ქართულ ხელოვნებას საფუძვლად უდევს: ასურული ბარელიეფები, ბიზანტიური ფრესკები და სპარსული დეკორატიული ხელოვნება. თითქმის ყველა ავტორმა, ვინც კი ფიროსმანზე დანერა რამე, ეს ჩემზე ადრე თქვა და ამაში ახალი არაფერია. მაგრამ მე დავუმატებდი, რომ თუ ფიროსმანის ხელოვნებას, ამ ხელოვნების წარმოშობის კვალი ემჩნევა, უმთავრესად ყურადღებას იპყრობს სწორედ ის ყაიდა, რომლითაც იგი ამ წარმოშობისაგან იმიჯნება. აი სწორედ ამ გზით მე ვახლოვებ მას, – ნუ აყვირდებით, – ჯოტოსთან, ღვთიურ ყრმასთან, რომელიც ვესპასიანოს გამოქვაბულში, ხან ცარციო,

ხან ნახშირით, სურათებს ხატავდა და სადაც იგი შემთხვევით სიმაბუემ აღმოაჩინა, ალტაცებულ-განცვიფრებულმა. დიდი ოსტატები ისინი არიან, ვისაც ვერაინ იმეორებს. და ეს ტოსკანელი პატარა მწყემსი, იმიტომ შეიქმნა, რაც იგი გახდა, რომ მან პირველმა განწყვიტა კავშირი მაშინდელ ტრადიციულ სწავლასთან, ბიზანტიურ დამაბრმავებელ ბრწყინვასთან, მის უძრავბასთან, მის მოოქრულ ფონთან, სიმაბუესებრ სილამაზესთან (რასაც მისმა ოსტატმა სიმაბუემ ვერასდროს თავი ვერ დააღწია) და იმ თავისუფალი გზით წავიდა, რომელსაც „პრიმიტივის“ უწოდებენ. ამ გზაზე მავალს, მას ხშირად მოუქნელობა – უხეშობას უსაყვედურებდნენ. ასევე როგორც ჩვენს ხანაში – მატისს ან პიკასოს. და უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა „პრიმიტივი“ არის ძირი სიტყვისა „პირველი“. დიდი მხატვარი ყოველთვის პრიმიტივია, ახალი მხატვრობისა, პირველი გამტეხი ახალი გზისა. ასეთივე არის ფიროსმანი.

მე ეს დავწერე იმ გამოფენისათვის, რომელიც ამ დღეებში ლუერში, მარსანის პავილიონში უნდა გაიხსნას. და მარტო [საფრანგეთის კულტურის სამინისტროს მინისტრი იმ დროს. მთარგმნელი] ვერ უარყოფს, რომ თუ ფიროსმანისათვის დღეს ლუერის სასახლის მარჯვენა ფრთის კარი იღება, ამაში მთავარი პასუხისმგებლობა მე მენიჭება. ვინ ფიქრობდა, ვის მიაჩნდა შესაძლებლად, ან სასურველად, ვიდრე მე ამის შესახებ, მგონი ოთხიოდე წლის წინათ, ჯერ მოსკოვში სუსლოვს და შემდეგ, პარიზს დაბრუნებისას, ანდრე მარლოს ველაპარაკებოდი? როდესაც ჩემი თხოვნის შედეგად ეს საკითხი მთავრობათა შორის მოლაპარაკების საგნად გადაიქცა, მოსკოვში შეამჩნიეს, რომ ფიროსმანზე აქამდე გამოცემულ ოთხ წიგნთაგან, სამი თბილისში გამოსულა 1927 წლიდან 1965 წლამდე, ხოლო მეოთხე – მოსკოვში 1964 წელს; ნაკლებად აკადემიური პირის კ.ზდანევიჩის ავტორობით (რომელმაც ადრინდელი გამოცემის ისარგებლა). მაშინ გადაუწყვეტიათ, ამბობენ: მაღალ წრეებშიო, ნამდვილი ლამაზი, დასავლეთში გაგზავნის ღირსი წიგნი შეეკვეთათ, რომელიც ფერების ხმარებაში ცნობილ ერთადერთ საბჭოთა სტამბაში უნდა დაებეჭდათ (საფოსტო მარკებს რომ ამზადებენ იმ სტამბაში), ქართული ავტორის წინასიტყვაობით, რადგან არ შეიძლებოდა ამის დავალება მოსკოველთათვის, ვინაიდან ამ ხალხისათვის ფიროსმანი წარმოადგენდა სწორედ იმას, რასაც ისინი ებრძოდნენ. წიგნის ილუსტრაციები უნდა განმარტებულიყო რუსულ-ინგლისურ- ფრანგულად, უცხოეთში განზრახული გამოფენისათვის. წიგნი გამოიცა 1967 წ.

წლიდან წლამდე პარიზის გამოფენა გადაიდო. თუ რატომ – ჩემს თავს ნებას არ ვაძლევ ნარმოვადგინო ამის მიზეზი, ვინაიდან იგი ცხადია.

თითქმის ოცი წელიწადი ვცდილობ დავარწმუნო ისინი, ვისთანაც კი მოსკოვში ლაპარაკი შემიძლია, რომ ფიროსმანი დასავლეთში დავიწყებას მისცემს საბჭოთა მხატვრების ცუდ რეპუტაციას და მათგან შემდგარ ამქარის მიერ გამოტანილ განკიცხვებს ყველაფრის მიმართ, რაც იმათ დოქტრინას არ ეკუთვნის. ბოლოს,

რთულმა და დიდმა მოლაპარაკებამ ჩვენთვის მხოლოდ სიხარულის მომგვრელი შედეგი გამოიღო, რომლის წყალობით ფრანგულ – საბჭოთა კომისიამ, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ავტომანქანების, ნედლი მასალის, სასოფლო ნაწარმის, თეატრისა და ხელოვნების საქმეებიც ეკითხება, მილიარდები დასძრა. ფიროსმანის გამოფენის საკითხიც დაისვა და ხელისმონერათა ცერემონიის აღფრთოვანებაში, გამოფენის მოწყობაც გადაწყდა. (ჯერ ამ გამოფენის, თავს ნებას ვაძლევ ვთქვა, შინაურულად პრაგასა და ვარშავაში მოწყობა უცდიათ) გამოფენის ადგილად ლუვრი და დროდ გაზაფხულის დამდეგი აირჩიეს.

საფრანგეთში ბუნებრივად მიაჩნდათ, საამისო წინასიტყვაობა ჩემთვის დევალეზინათ, რის დანერასაც მე ხელი მივყავ. და რომლის დასაწყისსაც თქვენ აქ გაეცანით. მაგრამ გამოფენის მომწყობებს ოფიციალური დიპლომატიური გზით აცნობეს, რომ საბჭოთა მთავრობას სურდა, გამოფენის კატალოგში მხოლოდ ამ მთავრობის მიერ მონოდებული ტექსტები გამოქვეყნებულიყო: ერთი მოსკოველი აკადემიკოსისა და საქართველოს ერთი მინისტრისა; ერაფერს ვიტყვი; ეს მათი საქმეა. მაგრამ მე გულუბრყვილობა ჩავიდინე და „არს ლეკორატივს“ ვათხოვე, უკვე დიდი ხნიდან ჩემს მფლობელობაში მყოფი (ფიროსმანის) ერთი სურათი, რომელიც დაახლოებით ხუთი წლის წინათ ჩამოვიტანე პარიზში, კულტურის მინისტრის ნებართვის წყალობით, რომელმაც თავაზიანობა გამოიჩინა და ამ სურათის ჩასადები ყუთიც გააკეთებინა. მე უბრალო ზრდილობის მოვალეობად მიმაჩნდა, ეს სურათი განზრახული გამოფენისათვის მუზეუმის განკარგულებაში გადამეცა. აქ ეს ამბავი ბუნებრივად ჩანდა და მადლობაც მითხრეს. მაგრამ ისე, ვით არა ვინმე მავანის, არამედ სწორედ ჩემი წინასიტყვაობა არ ისურვოს. არ ვიცი კი, რომელ ინსტანციაში (ეს არც იმდენად მნიშვნელოვანია, რადგან ცნობილი ცენტრალიზმის წყალობით ბოლო ანგარიშში ამ ინსტანციების ერთმანეთში არევა ფრიად ადვილია). ამ შემთხვევაშიც პარიზში სიტყვიერად განმარტებულ იქმნა, რომ მოსკოვს „არაგონის სურათი“ არა სურდა. როგორც თვითონ მიხვებით, მე სრულიადაც არ მინდა დაბრკოლებად აღვიმართო იმ ორი ქვეყნის კეთილგანწყობილებაში, რომელთაგან ერთი ჩემი სამშობლოა, ხოლო მეორე იმ ხალხისა, რომლის მიერ განუთლი მსხვერპლი მე არ დამეწყინია; არც ის გრძნობები, რომელიც მე მისთვის განმიცდია, გრძნობები, რომელთაც ვერ ჩააქრობს მხატვრობის გარშემო ატეხილი ისტორია.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს თუ დავუშვებთ, რომ პეიზაჟი, რომელიც მე შინა მამქვს და რომლის რეპროდუქციაც თბილისში რამდენჯერმე გამოქვეყნდა, („არსენალის მთის“ ან „თბილისის სინათლეების“ სახელით) არასასურველად იქცა, რადგან მე თვით გავხდი არასასურველი, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ამისი პოლიტიკური გამართლებაც ახალია. რადგან სად, ვის გაუგონია, რომ სახელმწიფოს, თუნდაც სოციალისტურს, უარი ეთქვას, მაგალითად, დე ვინჩის ან რემბრანტის სურათის გამოფენაზე, იმ საბაბით, რომ ამ სურათის პატრონი კაპიტალისტი არი-

სო?! ამ საკითხს მხოლოდ იმიტომ ვაყენებ, რომ მე საინტერესოდ მიმაჩნია ინტერნაციონალური მორალის ამ ერთი ადგილის გაშუქება.

იქნებ ვინმემ უტიფრობად ჩათვალოს ამ ჩემს პირად შემთხვევაზე საჯარო ლაპარაკი. ასეთებს ვთხოვ გაიხსენონ, რომ მე დიდი ხანია მუშათა მოძრაობის იმ ღრმა მიმდინარეობას ვეკუთენი, რომელიც თავის მთავარ მოთხოვნილებათა შორის, საიდუმლო დიპლომატიის გაუქმებას მუდამ ასახელებდა.

მე ამ ამბის დამალვის საჭიროებას ვერა ვხედავ, სწორედ იმ მომენტში, როდესაც პარიზში ფიროსმანის გამოფენას ტრიუმფს ვუსურვებ. რადგან ეს ტრიუმფი იქნება ერთდროულად მხატვრობისა და ნამდვილ ინტერნაციონალიზმისაც, რომელიც სრულიად არ მოდის სამხედრო მიღწევებით. ოკუპაციებით ან დიქტატებით. გვსურს თუ არა გვსურს, მსოფლიოს თვალში მხატვარი დიდ მხატვრად მხოლოდ პარიზში იქცევა. ეს ასე არის, თუნდაც ამის თქმისათვის ბურჟუაზიულ ნაციონალისტთად მომნათლონ, ჩვენში თუ სხვაგან.

ხოლო მე ფიროსმანის თანამემამულეებს ვაპყრობ თვალს; ვინც საქართველოს დიდება შექმნა – რუსთაველიდან ბარათაშვილამდე. წერეთლიდან ტიცვიან ტაბიძემდე, მეთორმეტედან – მეოცე საუკუნემდე; აგრეთვე იმ მეგობრებისაკენ (ვიცქირები), მე რომ იქ მყავს და რომელთა დასახელებას უმჯობესია მოვერიოდო. იქაური ჩვეულებისამებრ ვიღებ მე სასმისს და ფიროსმანის მოსაგონარის დასალევად მოვუნოდებ მათ, რომელთაც ვუთმობ საამისო სიტყვა წარმოსთქვან იმ ხელოვნებით, რასაც ისინი ასე შეუდარებლად ფლობენ, რისი მეტოქეობა არ ძალმიძს და უცნობი ქართველი ფიროსმანისათვის ვცლი მე ჩემს სასმისს“.

მთარგმნელი მ.ქავთარაძე

Les Lettres francaises. Directeur: Aragon. N1273 du 5 mars au 11 mars 1969.

შარლ ბოდლერი

კავკასიონი 21.1986

პროზით თქმული „პატარა პოემებიდან“

მითხარი, უცნაურო ადამიანო, ვინ უფრო გიყვარს: მამა, დედა, და თუ ძმა შენი. – მე არც მამა მყავს, არც დედა, არც და, არცა ძმა.

- მეგობრები?
- თქვენ ამბობთ სიტყვას, რომლის შინაარსიც ჩემთვის უცნობია დღემდე.
- სამშობლო?
- არ ვიცი, რომელ განედზე მდებარეობს იგი.
- მშვენიერება?
- დიახაც, მეყვარებოდა – ქალღმერთი და უკედავი.
- ოქრო?
- მე იგი მძაგს, როგორც თქვენ – ღმერთი.
- მაშ, რაღა გიყვარს, საკვირველო უცხოელო?
- მე მიყვარს ღრუბლები – ცაზე მცურავი ღრუბლები – აი, იქ – აი, იქ – საოცარი ღრუბლები.

სარკე

შემოდის უშნო, უსახური კაცი და სარკეში იხედება.

– რატომ იხედებით სარკეში, ხომ მხოლოდ უსიამოვნებას მოგგვრით თქვენი თავის დანახვა?

უშნო კაცი მიპასუხებს: „პატონო! 1889 წლის უკედავ პრინციპთა მიხედვით ყოველი ადამიანი თანასწორუფლებიანია, მაშასადამე, მე მაქვს უფლება ჩემს თავს

ვუცქირო; მეამება, თუ არ მეამება, ეს მხოლოდ ჩემს შეგნებას ეკითხება”.

გონიერი აზრის ძალით, უთუოდ მე ვიყავი მართალი, მაგრამ კანონის მიხედვით, იგი არ ტყუოდა.

მთვარის სიკეთე

როცა შენ აკვანში გეძინა, სარკმელში შემოიხედა მთვარემ, რომელიც ახირებულეება თვითონ და თავისთვის თქვა: „მომწონს ეს ბავშვი”.

იგი ღლილად ჩამოვიდა ღრუბელთა კიბით და უჩუმრად გაიარა სარკმლის მიწები. შემდეგ ის დედობრივი მოქნილი სინაზით გადაგეფარა და თავისი ფერები დასდვა შენ სახეს. შენი თვალები გამწვანდნენ და უჩვეულოდ გაფითდნენ შენი ლოყანი. ამ სტუმრის ცქერამ გააფართოვა ასე უცნაურად შენი თვალები და მან ისე ფაქიზად წავიჭირა ყელში, რომ სამუდამოდ შემოგრჩა ტირილის გუნება.

გარნა თავის სიხარულის მიმოფრქვევით, მთვარემ ოთახი აავსო, ვით ფოსფორულმა ატმოსფერომ, ვით სინათლის მფენმა სანამალავმა და ეს მთელი ცხოველი სინათლე ფიქრობდა და ამბობდა: მარადის დარჩები განმცდელი ჩემი კოცნისა. შენ გექნება სიტურფე ჩემებრი. შენ გეყვარება, რაც მიყვარს მე და რასაც ვუყვარვარ მე: წყალი, ღრუბლები, სიჩუმე და ღამე; უსაზღვრო და მწვანე ზღვა; წყალი უფორმო და მრავალფორმიანი; ყვავილები საზარელნი; სურნელნი ბოდვის მომგვრელნი; პიანოზე გარინდულ მწოლი კატები, რომელნიც ყელისმიერ ტკბილი ხმით კვნესენ, როგორც ქალები.

და შენ ეყვარები საყვარლებს ჩემსას, ჩემნი აშოკნი გააშოკებენ. შენ იქნები დედოფალი იმ მწვანეთვალემა მამაკაცთა, რომელთ მე ღამის ალერსის დროს ყელში წავუჭირე, იმათი, რომელთ უყვართ ზღვა, უსაზღვრო, ბობოქარი და მწვანე, წყალი უფორმო და ფორმამრავალი, ადგილი, სად ისინი არ იქნებიან; ქალი, რომელსაც ისინი არ იცნობენ; შავბედი ყვავილები, რომელნი ჰგვანან სანესო საგნებს უცნობ რელიგიისა; სურნელნი, შემრყევჯღნი ნებისყოფისა და ცხოველნი, ველურნი და აუხორცნი, რომელნი ემბლემად ქცეულან მათი სიგიჟისა”.

ამიტომამა, წყულო, ძვირფასო და განებივრებულო ბავშვო, რომ ახლა მე შენ ფერხთა წინაშე ვწევარ და ვეძებ მთელ შენს პიროვნებაში ანარეკლს საშინელი ღვთაებისას, საბედისწერო ნათლისა, მომწამვლელ ძიძას ყოველთა მთვარეულთა.

ნაცსადგური

დღიური ბრძოლით დაქანცული სულისათვის მხიბლავია ნაცსადგურში გატარებული დღეები. გაშლილი სიფართე ცისა, ღრუბელთა მოძრავი ხუროთმოძღვრება, ცვალებადი ფერები ზღვისა, შუქურას ელვარე ნათება, საოცარ პრიზმასა ქმნიან –

თვალთა გამართობს და აროდეს დამღლელს. გემთა გრძლივ გატყორცნილი ფორ-
მა რთულ მოკაზმულობით, რომელთ ჰარმონიულად არხევს ზღვის ნელი ფრთონა,
რიტმისა და მშვენიერებისაკენ განანყობენ ადამიანის სულს და რაც მთავარია,
მისთვის, ვისაც უკვე აღარა აქვს ცნობისმოყვარეობა და ამბიციები, არის რალა-
ცგვარი იდუმალი და არისტოკრატიული სიამე – საჭერეტად ბანზე ნამონოლილმა,
ან ჯებირზე იდაყვდაყრდნობილმა უცქიროს მათ მიმოსვლა-მოძრაობას, რომელნი
მიდიან და რომელნი ბრუნდებიან, რომელთ კიდევ შესწევთ ძალა ნდომისა, სურ-
ვილი მოგზაურობისა, ან გამდიდრებისა.

გიორგი შარაშიძის ახალი ნიგნები

ივრია, 31.1987

პროფესორი გიორგი შარაშიძე, ემიგრაციაში დაბადებული ერთადერთი ქართველია, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერების სარბიელს გაჰყვა და თუმცა იგი დღეს ფრანგი მეცნიერია, უმთავრესად ქართულ, ხოლო ენათმეცნიერულ ხაზზე, კავკასიურ საკითხების მკვლევარია. იქნებ დაბადებით ამისთვის მოწოდებული, იგი მაინც ამ გზას დასდგომოდა, მაგრამ უჭკველია, რომ მისი ნინსელა და მეცნიერებაში განსაზღვრულ განხრის არჩევაც იმან განაპირობა, რომ იგი დიდი მეცნიერის — ჟორჟ დიუმეზილის, ჯერ მონაწილე, მერმე თანამშრომელი და მგონი მეცნიერებაში „ნაშვილებიც“ გახდა. ამას ამოწმებს თუნდაც ის, რაც დიუმეზილმა ჟურნალ „კავკასიონს“ უპასუხა აკადემიაში მისი არჩევის გამო გაგზავნილ მილოცვაზე „თქვენი (მილოცვის წერილი) მაგონებს, რომ მე ვოცნებობდი ვყოფილიყავ მექართულე (GEO R GI ANI S ANT) და იქნებ კიდევაც გავმხდარიყავ, ჩემი კვლევათა გზები რომ ნაკლებად გამეფანტა. მაგრამ თქვენ გყავთ შარაშიძე“.

წინამდებარე წერილი მოკრძალებული რეცენზიაა შარაშიძის ორი უკანასკნელი ნიგნის გამო. პირველის სათაურია „პრომეოე თუ კავკასია“, გამომცემლობა „ფლამარიონ“, „სამეცნიერო ბიბლიოთეკა“, 1986 წელი, 350 გვერდი. მეორე ნიგნი, რომლის სათაურია: „ინდოევროპული ხსოვნა კავკასიაში“, (LA MEMOIR INDO-EUROPEENE DU CAUCASE), გამოცემულია ჰამეტის მიერ 1987 წელს, „მეოცე საუკუნის ტექსტების“ სერიაში და შეიცავს მცირე ფორმატის 150 გვერდს.

ამ ნიგნში ავტორი ასეა წარდგენილი: „ანთროპოლოგი და ლინგვისტი გიორგი შარაშიძე ასწავლის აღმოსავლეთის ენათა და ცივილიზაციათა ინსტიტუტში და აგრეთვე „ეკოლ პრატიკ დეზ ჰოტ ეტიუდის“ მეოთხე სექციაში. მთავარი ნაშრომები: „წარმართულ საქართველოს რელიგიური სისტემა“, გიორგი დიუმეზილის წინასიტყვაობით, პარიზი, მასპერო, 1968; „შესავალი ქართული ფეოდალიზმის შესწავლისათვის“. პარიზი – ჟენევა, DROZ 1971; „ავარული ენის გრამატიკა“ (ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიური ენა), პარიზი, ჟან ფავარ, 1981. დაჯილდოებუ-

ლია „აკადემი დეზ ენსკრიპსიონ ე ბელლ ლეტრის“ მიერ. „პრომეთე თუ კავკასია“. წინასიტყვაობა ჟორჟ დიუმეზილისა. პარიზი, ფლამარიონ, 1986. გამოსაცემად მზადდება: ჟორჟ დიუმეზილთან თანამშრომლობით, „უბიხური ენის ლექსიკონი“.

წიგნში „პრომეთე თუ კავკასია“ მთავარ საკითხად დასმულია იმის გარკვევა, თუ სად არის სამშობლო და ვინ არის შემქმნელი პრომეთეს მითის და ამირანის თქმულებისა. ეს კითხვა მის შემდეგ არის დასმული, როცა ფრიად რთული შედარების შემდეგ, უეჭველადაა მიჩნეული მათი საერთო წარმოშობა. წიგნის ავტორი სხვადასხვა არგუმენტზე დაყრდნობით სამ შესაძლებლობათაგან ერთისკენ იხრება. ეს შესაძლებლობანია: თქმულება კავკასიიდან წაიღეს ბერძნებმა; თქმულება საბერძნეთიდან შემოვიდა კავკასიაში. ეს ორი ვარიანტი უარყოფილია ავტორის მიერ და იგი ფიქრობს, რომ ეს თქმულება წარმოიშვა იმ დროში და იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ქართველთა და დღევანდელ ინდოევროპელთა წინაპრები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ და ეს მეზობლობა იმდენად ხანგრძლივი იყო, რომ მათ ბევრი რამ ერთად შეუქმნიათ, ან ერთმანეთისათვის გადაუციათ. ავტორის აზრით, ეს მრავალ ათას წელთა უადრეს უნდა მომხდარიყო – სადაც ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპის შუა. ამასთანავე ავტორი გვეუბნება, რომ ეს წიგნი უკვე დასრულებული ჰქონდა, როცა გამოიცა პროფ. გამყრელიძის ნაშრომთა ორი ტომი ინდოევროპელებზე, სადაც პროფ. გამყრელიძე, ენათმეცნიერულ გზით მისულ დასკვნაზე დაყრდნობით ადასტურებს ქართველთა და ინდოევროპელთა მეზობლად ცხოვრების პიპოთეზას.

ამ წერილის ავტორი თავს ნებას აძლევს ნეოფიტის რამდენიმე შენიშვნის დართვისა: თუ ამირანის თქმულება და პრომეთეს მითი, ქართველთა და ბერძენთა წინაპრების მეზობლად ცხოვრების ხანაში წარმოიშვა, როგორ მოხდა რომ ამირანის თქმულების ვარიანტები მთელ კავკასიონის გარშემო მიმოთესილი, სწორედ ისე, ვით ადგილობრივ მცენარეს მოუვიდოდა – მაშინ როცა, მთელ ბალკანეთზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით საბერძნეთშიაც მხოლოდ ლიტერატურული წყაროს მეშვეობით არსებობს პრომეთე, ხალხში კი მისი კვალიც არ მოიპოვება.

რა მიზეზით დაუკავშირეს კავკასიის რომელსამე მწვერვალს ამ ორი თქმულების სამოქმედო ადგილი ხალხებმა, რომელნიც კავკასიას ჯერ არ იცნობდნენ, ხოლო სავარაუდოა, რომ აზიის მწვერვალთა შესახებ მეტი უნდა სცოდნოდათ. და თუნდაც ეს „ლოკალიზება“ უფრო გვიან იყოს ნაწარმოები, რატომ გახიზნეს უკვე ელინებად ქცეულმა ჩვენი ყოფილი მეზობლების შთამომავლებმა დასასაჯელი პრომეთე ასე შორს, ოლიმპიიდან კავკასიაში, სადაც პრომეთესათვის მისჯილის ასრულებას ისინი – ზევსის მსახურნი – ვერ უთვალთვალდნენ. მათთვის უფრო ცნობილი არ იყო მაგალითად: აპენინები, ალპები, კარპატები ან პირინეები?

კიდევ ერთი საკითხი, თუ პირველადი ვერსია იმ უხსოვარი დროისაა, როცა ინდოევროპელთა წინაპრები ახლანდელზე გაცილებით მცირერიცხოვან მასას წარმოადგენდნენ და ბერძენთა გარდა, ეს თქმულება არცერთ სხვა ტომში არ

გავრცელდა, მაშინ ქართველებს მხოლოდ ბერძენთა წინაპრებთან ჰქონიათ ურთიერთობა. მაშასადამე, ქართულ ენაში დღეს არსებული ინდოევროპული ენობრივი ელემენტები ბერძნულს უნდა უკავშირდებოდეს. ასე რომ არ არის? პროფ. გამყრელიძის ნაშრომს, სამწუხაროდ, არ ვიცნობ და იქნებ იგი ასეთ კავშირს ადასტურებდეს, მაგრამ „ისტორიის ნარკვევებში“ გამოთქმულია შეხედულება, რომ ქართული „ინდოევროპიზმები“ არ უკავშირდებიან არც ირანულს, არც ბერძნულს, არამედ ანალოგიას ჰქონდათ სრულიად მოულოდნელ ადგილებში – ბალტიის ზღვის მიდამოებში მცხოვრებ ხალხთა ენაშიო.

ეს საკითხები, რომელნიც, ცხადია, მე არ აღმომიჩენია, არამედ თავისთავად არსებობენ, აღძრული არ არიან შარაშიძის მიერ.

ხოლო რაც შეეხება ბერძენთა მიერ ლეგენდის კავკასიიდან წაღების არასავარაუდოდ მიჩნევას, ეს შეიძლება მართლაც ნაკლებად სავარაუდო იყოს – ვით თქმულების ხალხიდან ხალხზე გადაცემა, მაგრამ არა ჩანს, რა ეწინააღმდეგება შესაძლებლობას, რომ კავკასიაში არსებული თქმულება განათლებულ ბერძენ პოეტს მოსწონებოდა და ზევსის მრავალრიცხოვან კარისათვის ერთი ნევრიც მიემატებინოს – თქმულების იმგვარად გადაკეთებით, როგორც ეს ზევსის გარემოს შემევენოდა.

ეს ფიქრები მაშინ აღმედრა, როცა საკმაოდ გამოვფხიზლდი ამ შესანიშნავი წიგნის ნაკითხვით გამონეულ სიმთვრალისაგან.

მეორე წიგნი, რომლის შესახებ ცნობები წერილის დასაწყისშია მოცემული, ასე იწყება: „თუმცა მას ასეთი ფორმა არა აქვს; მაგრამ ეს წიგნი დიალოგია, არა ადამიანთან, რომელიც ჩვენ შორის აღარ არის, არამედ მის აზრებთან და მის შემოქმედებასთან“... ცოტა უფრო შორს ავტორი ამბობს: „...მაშასადამე, საჭირო იყო ახლად დანყება, გაშლა და გამრავლება არგუმენტებისად და რაც მთავარია – შეცვლა პერსპექტივისა, ჭვრეტა ფაქტთა და კონცეპტთა კავკასიის ობსერვატორიიდან. დიუმეზილს დრო არა ჰქონდა ამგვარი ხელახალი „ლაშქრობისათვის“. მე ვიკისრე და ორი წელი იგი სიამით წონიდა და სინჯავდა ვით ექსპერტი ჩემგან მიწოდებულ მასალებსო“.

საქმე ის არის, რომ დიუმეზილის ინტერპრეტატორებს, ზოგჯერ ტენდენციით, ზოგჯერ კი ჭარბი მუყაითობით, ცუდად გაუგიათ ან აუხსნიათ დიუმეზილის აზრი და სიტყვები შესახებ ერთი ოსური წარმართული ლოცვისა. მეცნიერს ხსენებულ ლოცვაში აღმოუჩენია მისივე ცნობილი თეორიის — „სამი ფუნქციის“ ელემენტთა არსებობა და გაკვირვება გამოუთქვამს, რომ ოსების მეზობლებს (ჩერქეზებს, ინგუშებს და ქართველ მთიელებს) ოსური ეპოსის (წართების) მრავალი რამ თავისად გაუზღიათ, მაგრამ „სამი ფუნქციის“ მოქმედება სრულად არ გადაულიათო. მეცნიერის მიერ დასმულ ამ კითხვით ნიშანზე სხვებს უპასუხიათ, რომ ოსებმა, როგორც ინდო-ევროპელებმა და „სამი ფუნქციის“ მისაღებად სულიერად და გონებრივად აღჭურვილებმა, ეს წესი შეითვისეს და შეინახეს, ხოლო არაინდოევრო-

პელი სხვა კავკასიელები ამის უნარს მოკლებულნი აღმოჩნდნენ. ამ დებულებას ავტორები აყენებდნენ ვით დიუმეზილის მსჯელობიდან გამომდინარეს. მისი სიტყვების ამ არასწორ ინტერპრეტაციაზე პასუხის გასაცემად დაიწყო დიუმეზილმა მუშაობა, რისთვისაც მასალებს შარაშიძე აწვდიდა. ხანდაზმული მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, შარაშიძემ თვითონ იკისრა დანერა. ეს შედარებით პატარა ნიგნი ახალი ცნობების მომტანია ინდოევროპულ რელიგიათა შესწავლაში. ნიგნი, ვით თვითონ ავტორი ამბობს, აესებს იმ ხარვეზებს, რომელიც არსებობდა ინდოეთის და ირანის სფეროთა გარეთ მყოფ ინდოევროპულ რელიგიათა შესწავლაში. ეს ახალი ცნობები მომდინარეობს ალანთა პირდაპირი მემკვიდრეების — ოსების უძველეს რწმენათა შესწავლიდან.

პროფ. გ. შარაშიძის კვლევამ ნათელყო, რომ ოსების მეზობლებს, სადაც სჭირდებოდათ, მშენიერად გაუგიათ და მიუღიათ „სამი ფუნქცია“, ხოლო სადაც არ სჭირდებოდათ, მისთვის ნაწილობრივ გვერდი აუღლიათ. ამ კვლევამ ავტორს სრულიად მოულოდნელი რამეც აღმოაჩინა: სახელდობრ – რომ თურმე ინდოევროპული იდეოლოგია ვითარდებოდა და მდიდრდებოდა არაარჩიელ ხალხების მონაწილეობითაც – ამ შემთხვევაში ქართველთა და სვანთა მონაწილეობით.

მკითხველს ვაწვდით აბზაცს ნიგნის დასასრულისა. „ეს იქნებ ახალი გზა იყო, რომელიც ისახება ჩვენი კვლევისათვის: როცა მკვლევარი თეოლოგიას ამუშავებს როგორც ისტორიულ ფაქტს, რომელი სხვა გაანალიზებული ფაქტების გვერდით ააგებს იმას, რისთვისაც მე მსურდა სიტყვათაშორის „მიკრო-ისტორია“ შენობდებინა. მაგრამ დიუმეზილმა – ფორმულათა დიდოსტატმა – ამ სოფლიდან განშორების დამდეგს შემდეგი ნაშობახილით მონათლა ჩემი მუშაობა: „რასაც თქვენ ქმნით, ეს არის ლაზერით დანერილი რელიგიათა ისტორია“.

მოკლე შენიშვნა: ნიგნის შესახებ მოთხრობილი „ამბავი“ მარტო ოსთა და ქართველთა საკითხით არ განისაზღვრება. არიული რასის განსაკუთრებულობის ქადაგება ძველი ამბავია. ამ მოვლენის წინააღმდეგ გაილაშქრა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჯავახიშვილმა, პეტროგრადში ნაკითხულ თავის პირველ ლექციაში. ილია კი თავისთავს ინდოევროპულად მოაზრედ თვლიდა, მაგრამ იგი ევროპულობას გულისხმობდა აზიურობის საპირისპიროდ. ჰიტლერის მიერ ამ საკითხის პოლიტიკურად გამოყენებამ იგი მეცნიერულ ფარგლებს გარეთ გაიტანა. მეორე ომის შემდეგ ამ საკითხზე კარგა ხნით ტაბუ იყო დადებული. განსვენებული დიუმეზილიც, ვით ინდოევროპელთა (იგივე არიელთა) მკვლევარი, „ლიბერაციის“ პირველ ხანებში არასასიამოვნო პირობებში აღმოჩნდა.

აი ამ, ამჟამად უკვე შორეულ ამბის ხსოვნასაც უნდა გამოეწვია დიუმეზილის გადწყვეტილება – თავისი აზრების ცუდად ან ავად გამგებთათვის მთელი ნიგნის დანერით ეპასუხა.

კოდექსი და პოლიტიკა გიორგი ბრწყინვალისი

კაკეასიონი 20. 1986

შენიშვნა:

„შესავალი ქართული ფეოდალობის შესწავლისა. გიორგი ბრწყინვალის კოდექსი“. ასეთია სათაური 1971 წელს გამოცემულ, პროფ. გიორგი შარაშიძის წიგნისა, რომლის მეცხრე, დასკვნითი თავის თარგმანს ვაწვდით მკითხველს. ვინძლო ამგვარად მიაღწიოს საქართველომდე ერთმა ნაწილმა მაინც ამ შესანიშნავი წიგნისა, რომლის ვრცელი რეცენზია იმავე წელს გამოქვეყნდა „კაკეასიონში“ ვ.ნოზაძის ხელისმონურით. სავარაუდო იყო, რომ წიგნი, საქართველოში გადაითარგმნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. და სავალალო ის არის, რომ ამის მიზეზი ქართულ მეცნიერულ წრეებში ეგოისტურ-ვინროპიროვნულ ინტერესების წინდაყენების ფეხისმოკიდებაა. არადა, მკითხველთა ფართო წრეს რომ თავი დაეანებოთ, ქართველ სტუდენტებისათვის მაინც ხომ ძვირფასი შენაძენი იქნებოდა ეს წიგნი, რომელშიც გიორგი ბრწყინვალის პიროვნების სიდიდე ქებითა და ხობით კი არა, დოკუმენტალურად არის გამოვლენილი – ევროპულ დონეზე და მეთოდით წარმოებულ კვლევ-ანალიზის მეშვეობით.

პირველი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ადვილი იყოს გამოცნობა მოტივებისა, რომელთაც გიორგი მეფეს სურვილი აღუძრეს სწორედ არაგველთათვის შეედგინა ეს კოდექსი – ვინაიდან თვითვე ასახელებს მათ დოკუმენტის პროლოგში: არაგვის საერისთავოს მონახულებისას რომ იქ დიდი უწესრიგობა სუფევდა. ასეთი მდგომარეობის მიზეზად მას ორი, ერთიმეორედან გამომდინარე, რამ მიაჩნია –

1) რომ სისხლის ღერა არ ისჯება (გვ. 6) 2) რომ არსებობენ კანონები, რომელნიც დანაშაულობათა და ბოროტმოქმედებათა დასჯას ითვალისწინებენ (გვ. 3). ამ უკანასკნელ პუნქტის შესახებ მესამე პარაგრაფში იგი ჩვენ გვანჯდის დაზუსტებას, რომელიც დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

1) რომ მის წინაპართ მეფეთ ამ პროვინციისათვის არ მიუციათ განკუთვნილი კანონები.

2) რომ, თუ ეს მათ არ ქმნეს, იმიტომ რომ მათ ერთი მხრივ ხელს აძლევდათ არეულობის არსებობა, ხოლო მეორე მხრივ არც საამისო ხანა იყო.

ჩანს მხოლოდ პირველ პუნქტს მიუპყრია კომენტატორთა ყურადღება, რომელთაც უბრალო მონაცემებზე უფრო შორს მიმავალი დასკვნები გამოუტანიათ. ურბნელისა და ბაქრამის მიხედვით, გიორგი მეხუთეს ყველა ქართულ პროვინციათათვის გამოუცია კანონები და მხოლოდ მთიულეთი ყოფილა თავიანთ კანონების მოკლებულად დარჩენილი, მაგრამ როგორც ჯავახიშვილმა აღნიშნა, ამ მსჯელობას არავითარი მყარი საფუძველი არ გააჩნია. თვით ჯავახიშვილი პროლოგის სხვაგვარ ინტერპრეტაციას გვანდის. (სამართ. ისტორია 1. გვ. 94). მაშასადამეო, ამბობს ჯავახიშვილი, საქართველოში მხოლოდ მთიულნი იყვნენ, რომელთაც დაწერილი კანონები არა ჰქონდათო გიორგი მეხუთეზე ადრე, სამეფოს სხვა მხარეებში კი მოქმედებდნენ გიორგი მეხუთის წინაპართა მიერ გამოცემული კანონებით.

ამგვარი დასკვნა ჩვენ გადაჭარბებულად გვეჩვენება და დიდი ისტორიკოსის ტექსტის ამ ნაწილს, ძალით ათქმევინებს იმას, რასაც ტექსტი არ ამბობს. მეფე ამბობს: ჩემს წინამორბედ მეფეებს მთიულთათვის კანონები არ მიუციათო. კიდევ მეტი, ტექსტის ეს ადგილი მთიულებს სახელდებით არც ახსენებს, მხოლოდ შინაარსი გვეუბნება ამას. მართალია ჯავახიშვილი გეთავაზობს რომ გავასწოროთ სიტყვა „ამად“ სიტყვით „ამათ“ ე.ი. მეფეებს ამათთვის არ გამოუციათო კანონები, მაგრამ ორთავე გამოცემაში დოლოძეს დატოვებული აქვს „ამად“ და სწორადაც მოიქცა, რადგან პირველი ტექსტი სავსებით გასაგებია, არსად არ არის თქმული ან ნაგულისხმევი რომ არსებობდა იურიდიული კოდექსები ყოველ ცალკეულ პროვინციისათვის. ცხადია, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ქართველ მეფეებს დაწერილი ჰქონდათ როგორც მთელ სამეფოსათვის სავალდებულო კანონები, აგრეთვე ცალკე მხარეთათვის სახმარი ბრძანებანი, რომელნიც მეთოთხმეტე საუკუნეში კიდევ ძალაში იყვნენ და რომელთაც ჩვენამდე არ მოაღწიეს, მაგრამ არაფერი ნებას არ გვაძლევს ვამტკიცოთ და თუნდ ვიფიქროთ, რომ ამ კანონთა კრებული იურიდიულ კორპუსს წარმოადგენდა და რომ იგი საქართველოს ყველა მხარეს ფარავდა გარდა მთიულეთისა.

ჩვენი პრობლემა მხოლოდ ისტორიის ამ ერთ დეტალს არ ეხება, მაგრამ ეს საკითხი სადავოდ ხდის თვით ჩვენი ახლანდელი მსჯელობის საფუძვლიანობას. მართლაც და თუ ყოველ მხარეს ჰქონდა თავისი კანონები – გარდა არაგვის საერისთავოსი, მაშინ მართო ეს დანაკლისი კმარიყო, რომ გიორგი მეფეს ამის შესავსებად ეზრუნა და მსჯელობა რომელსაც ჩვენ მიემართავთ, ზედმეტია. სანაინალმდეგო ჰიპოტეზის შემთხვევაში, თუ არც სხვა მხარეთ გააჩნდათ კანონები, თავისთავად დაისმება საკითხი; რატომ აირჩია კანონმდებელმა მეფემ სწორედ ეს პროვინცია და არა რომელიმე სხვა?

კოდექსის ტექსტი მოგვცემს საშუალებას ამის ახსნისა. დავუბრუნდეთ პარაგრაფ მესამეს, პროლოგის იმ ნაწილს, რომელიც უყურადღებოდ დატოვეს კომენტატორებმა და სადაც მეფე გვეუბნება, რომ მისთა წინაპართ სურდათ შემო-

ნახვა უნესრიგობისა „ჰპრიანებოდათ აღევით ყოფა“. ი.ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ გიორგი მეფის საყვედური მისი წინაპრების მიმართ გაუმართლებელია; „გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებს, რომ მეფეთათვის სასარგებლო იყო, მთიულებს უნესრიგოდ ეცხოვრათ და ერთმანეთი ეუღლიათო. საბუთები კი არ გვიჩვენებენ რომ ეს ბრალდება სამართლიანი ყოფილიყო“ (სამართ. ისტ. გვ. 95).

ამ ერთ შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსი გამჭრიახობას არ იჩენს. მეფის განცხადება კი უმნიშვნელო არ არის და უნდა ვეძებნოთ; რომელ მოვლენას, რომელ მომხდარ ამბავს, ან რომელ საქციელს გულისხმობს იგი; თუნდაც ამის პასუხი „საბუთებში“ არ მოიპოვებოდეს. გიორგი ბრწყინვალეს მოქმედება აშკარად დაპირისპირებულია მისი წინაპრების მოქმედებასთან. მართლაც – და რისა თქმა სურს მას, თუ არა შემდეგისა: ჩემზე ადრინდელ მეფეებს ჰქონდათ მიზეზი „საქმისა რომლისათვის“ სასურველად მიეჩნიათ არეულობის შენარჩუნება მთიელთა შორის. მაშასადამე მათ არ შეეძლოთ ამ ხალხისათვის კანონის მიცემა, რაც ამ არეულობას მოსპობდა.

აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ და დაეუშვათ არსებობა შემდეგი მსჯელობისა: მე გიორგი მეხუთე ვნერ მთიულთათვის განკუთვნილ სამართალს და ეს იმიტომ, რომ ბოლო მოვუღო მთაში არსებულ ანარქიას. მე მსურს რომ გამეფდეს ნესიერება და ამ საკითხში მე ვენიანალმდეგები ჩემზე ადრე მყოფთ.

მაშასადამე, არსებობს აშკარა გამიჯვნა გიორგი მეხუთის პოლიტიკასა და მის წინაპართ პოლიტიკას შორის. ამ კონტრასტზე ნათლად უფიქრია კოდექსის ავტორს, რადგან მას საჭიროდ მიუჩნევია ამაზე ლაპარაკი – საბუთის პროლოგში გარნა ოპოზიცია მჟღავნდება ერთი (დაზუსტებული საკითხისა გამო). მოტივი რომლისა გამო მეფის წინაპრები არეულობის შემონახვას ამჯობინებდენ. აქ არის რაღაც იდეალური, რომლის გამოცნობაც უნდა შეგვადლებინოს ისტორიულ მოვლენათა ანალიზმა – რაკი ამაზე დუმს თვით დოკუმენტი.

როდესაც მე-14 საუკუნის ოციან წლებში ტახტზე ადის გიორგი ბრწყინვალე, საქართველოს თითქმის მონღოლთა ასწლოვანი ბატონობა ჰქონდა გადატანილი. მრავალგზის მოოხრებულ ქვეყანაში, მეფობას ყოველი ავტორიტეტი და საყრდენი დაჰკარგოდა. ყოველივე ეს კარგად ცნობილია (ყმათალმწერელი და ჯავახიშვილი). მაგრამ საჭიროა ხაზი გავუსვათ შემდეგ ფაქტს: თუმცა მონღოლთა ბატონობის შედეგებმა მთლიანად შეარყიეს პოლიტიკური სტრუქტურა, მაგრამ ეს პრაქტიკულად არ შეხებია ქვეყნის სოციალურ ორგანიზაციას. მე-13 საუკუნეში საქართველოში აღარ მეფობდენ მეფენი, რომელსაც ასეთი სახელი დაერქმის, ხელისუფლება დამპყრობთა ხელშია, მაგრამ ქვეყნის საერისთავოებად დანაწილება კვლავ არსებობს. ერისთავნი კვლავ სუვერენნი არიან თავიანთ ვასალებისა და თავიანთ მიწებზე მიმაგრებული გლეხობა კვლავ პატრონთა მორჩილებაშია. ფეოდალურ რეჟიმს არაფერი ემუქრება და ვასალური დამოკიდებულებანი არ შეწყვეტილან – ნომინალურად მაინც ამაში დასარწმუნებლად, მაშინდელ სიგელთა კრებულის გადასინჯვაც კმარა.

მე-13 საუკუნეში – „სრულ მონგოლურ ხანაში“ – სუზენერები საკარგავს გასცემენ და ანიჭებენ შეუალობას იმავე ფორმით და იმავე ტერმინებით, როგორც წარსულში. (იხილე დოლიძე, ტომი – 4. საბურთი – 17 – 30) მაგრამ ნამდვილი ბატონობა მონგოლთა წარსულში (იხილე დოლიძე, ტომი 4. საბურთი 17-19-23) ხელსაყრელია. ისინი თავისუფლებიან იმ მორჩილებითგან, რომელიც მათ მეფისადმი ემართათ, სამაგიეროდ, ეს ახალი მდგომარეობა ჩაგრავს გლეხობას. ეს გამოიხატა შემდეგში: მათ ჩვეულებრივ ვალდებულებებს ემატება სპეციალური „სამონგოლო“ ხარკი. მე-13 საუკუნის ბოლოსათვის ოთხი – მართალია არათანაბარი ძალა თანაარსებობს; დამპყრობნი, ფეოდალნი, მეფის ხელისუფლება და გლეხობა.

ყოველ ცალკე სამთავროს ბედსა სწევებს ის დამოკიდებულება, რომელიც პროვინციის მეთაურს დამპყრობელ ხელისუფლებასთან ჰქონდა, ხოლო მეფე კი თავისი ავტორიტეტის – თუნდაც ნომინალურის შენარჩუნებას იმით ცდილობდა, რომ ხან მონგოლებს ემხრობოდა, ხან კი მათი ნების გარეშე მოქმედებას არჩევდა. დამპყრობელთაგან ბრძოლის დროს მეფე თავის ერისთავთ ვერ დაეყრდნობოდა, რომელთა ერთგულებაც არასდროს არ იყო ხანგრძლივი. ნორმალური იქნებოდა რომ მეფე გლეხთა მასას დაყრდნობოდა, მაგრამ ესენი უშუალოდ თავიანთ ბატონებს – ადგილობრივ ფეოდალთ ექვემდებარებოდნენ. ერთადერთი თავისუფალი მოსახელობა, რომელსაც თავისი თავი თვითონვე ეკუთვნოდა და რომელსაც შეეძლო მეფისათვის მხარი დაეჭირა, იყო ქვეყნის ის ნაწილი, რომელშიც ფეოდალური რეჟიმი ღრმად არ იყო გამჯდარი: ე.ი. ქართველი მთიელები, კერძოდ კი არაგვის საერისთავო. ეს გარემოება გამოიყენა გიორგი მეხუთის უფროსმა ძმამ დავით მერვემ, რომელიც მონგოლებმა მე-13 საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფეს (დასავლეთში კონსტანტინე მეფობდა).

დავით მერვის მეფობის ხანაში თითქმის უცვლელი სცენარით მეორდება: მეფეს იბარებენ წინაშე მონგოლთა ყაენისა, მაგრამ მეფე არ მიდის, ამის შედეგად მონგოლნი შეესევინან და მოაოხრებენ ქვეყანას, განსაკუთრებით ქართლსა და ტფილისს. მეფე მთაში ე.ი. არაგვის საერისთავოში შეიხიზნება და მთიულები იბრძვიან მეფის თავისუფლების შესანარჩუნებლად (ქ.ჯ. გვ. 289-323). შემატინან მოგვითხრობს, რომ მეფე დავითს, მონგოლთა ნდობა არა ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ზამთარს ატარებდა ქართლში, ხოლო ზაფხულს მთიულეთს ადიოდა. იმ არეულ წელთა განმავლობაში გიორგის ეფექტურ გამეფებას რომ წინ უსწრებდა, ე.ი. 1292 წ.-დან 1314 წ.-მდე საქართველოში სამი მეფე იყო: მონგოლებმა მათ მიერ გადაყენებული დავითი, ჯერ კიდევ მცირეწლოვან მომავალ გიორგი ბრწყინვალეთი შეცვალეს; რადგან გიორგი ჯერ ბავშვი იყო, მონგოლებმა ვახტანგ მესამე დასვეს ტფილისში, მაგრამ მეფე დავითი, მთიულთა შემწეობით, კვლავ მეფობას ინარჩუნებს და ფაქტობრივად აღ. საქართველოს მთელი მთიანეთის მეფეა.

დიდებულთა განსაზღვრული ნაწილი დავით მეფეს მხარეზე იყო მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მათი ცდები ამაო რჩებოდა, როცა ბრძოლა ქვეყ-

ნის დაბლობში მიმდინარეობდა, სადაც მონგოლთა ცხენოსნებს გაშლის საშუალება ჰქონდათ. ამიტომ მეფე მუდამ ცდილობდა, მტერთან ბრძოლა მთიან ადგილებში გაემართა, სადაც მონგოლთა ცხენოსნებს გაშლა უჭირდათ და გამარჯვება ბოლოსდაბოლოს მთიულებს რჩებოდა ხოლმე. მართლაც მონგოლებმა ვერასოდეს შეძლეს მთებში დავითის ძლევა. ასეთ პირობებში მთიელთა ერთგულება გადამწყვეტ ელემენტს წარმოადგენდა მეფის გადასარჩენად, მაგრამ მეფეს არავითარი ავტორიტეტი არა ჰქონდა ერისთავებზე. რაკი მეფესთან შეწყვეტილიყო ვასალური დამოკიდებულება, მეფეს აღარ შეეძლო სასურველი გავლენა მოეხდინა მათ საქციელზე. როგორც ვიცით, ქართლის მთიანეთის დასავლეთ ნაწილს ქსნის საერისთავო შეადგენდა, განა ქსნის ერისთავი ქვენიფნეველი დიდად ორგული იყო მეფისა და მუდამ მონგოლთა მხარეს იჭერდა. მისი ჯარები მრავალჯერ შეუერთდნენ მონგოლთა ჯარებს და მათთან ერთად თავს დაესხნენ არაგვის მხარეს. ე.ი. იქ სადაც ფეოდალური წესი ძალაში იყო, მოსახლეობის მეფისადმი ლოიალობა მთავრის განწყობილებაზე ეკიდა. პირუკუ იქ სადაც „არეულობა“ სუფევდა ანუ სადაც ვასალური დამოკიდებულება არაფერს ნიშნავდა, მეფეს შეეძლო მოსახლეობას უშუალოდ დაყრდნობოდა. აქ მეფესა და ერს შორის ჩარევა ვასალებს აღარ შეეძლოთ.

თუ იმ ოციოდე წლის განმავლობაში, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს გამეფებას წინ უსწრებდა, საქართველოში მეფობა შემორჩა, ეს მხოლოდ მთიელთა წყალობით მოხდა, რომელთა ერთგულება თავიანთ მეფისადმი არასდროს გაყალბებულა.

შეუძლებელი იყო – და მეფეებმა ეს კარგად იცოდნენ – რომ მთიულები მონგოლთა ცდას მათი გადმოპირებისა წამოჰგებოდნენ, რაც განუწყვეტლივ ხდებოდა ფეოდალთა მიერ მართულ მხარეებში. მართლაც მონგოლები ვერაფერს შესთავაზებდნენ თავისუფალ და ამაყ მთიელებს, რომელნიც თავიანთ თავს ბატონ-პატრონად თვლიდნენ – მათ მიერ დასახლებულ მხარისა. იმ უძვირფასეს წყაროს მეშვეობით, როგორც „ძეგლი ერისთავთა“ არის, ჩვენ კარგად ვიცით, თუ ეს მხარე რა მდგომარეობაში იმყოფებოდა მე-14 საუკუნის დასაწყისში; მოსახლეობა მხოლოდ გვარის უხუცესი და წარმართულ კულტის მსახურთ ემორჩილებოდა. ერისთავს ქვეყნის საქმის მართვაში არ ეკითხებოდა რა. მთიულთათვის დამპყრობელი მტრად მიიჩნეოდა და ეს პოზიცია მათ არასოდეს შეუცვლიათ. ისინი სრულიად ბუნებრივად მეფე დავითის ბრძანების ქვეშ დაირაზმნენ და მას გაჰყვნენ ბრძოლაში, რომელიც მათი საკუთარი ბრძოლაც იყო. სამეფო პოლიტიკა იმ ხანებისა, რომელიც გიორგი მეხუთის გამეფებას წინ უსწრებდა შეგვიძლია შემდეგნაირად განვსაზღვროთ: მეფობის გადარჩენისათვის მთავარი პირობა იყო, ფეოდალურ სისტემის გარეთ დატოვება მთის მოსახლეობისა. ამიტომ მთლიანად მართალი იყო გიორგი მეხუთე, როდესაც განაცხადა, რომ მის წინაპრებს „სსურდათ შენარჩუნება არეულობისა“ არაგვის ხეობის მცხოვრებთა შორის.

მას კი სამაგიეროდ, მიზნად დაუსახავს მდგომარეობის სრულიად შეცვლა და

ამ მხარეში წესრიგის დამყარება, და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად მას მთიელთათვის „წესების“ მიცემა მიაჩნია. მის წინამორბედთა პოლიტიკა შეიცავდა „უმოქმედობას ვასალური სისტემისა“. ოპერაცია კი რომელსაც ახდენს გიორგი მეხუთე, ამას იგი თვითონვე გვეუბნება – ამის სანაღამდეგოს: მაშასადამე იგი უნდა მდგომარეობდეს ვასალური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების მონაცემში, არაგვის საერისთავოსათვის. გარნა სწორედ ამ გზით მიაღწია გიორგი მეხუთემ, მისი გვირგვინის ქვეშ გაერთიანებას მთელი საქართველოსი. მხოლოდ აქვე უნდა დადგინდეს ჩვენი მსჯელობისათვის დიდად მნიშვნელოვანი განსხვავება: მეფის მოქმედება არაგვის საერისთავოს მიმართ სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა მხარეთა მიმართ. 1) ჩვენ ვიცით, როგორ იქცეოდა გიორგი მეხუთე ამ სხვა მხარეებში. ტიპურად „ფეოდალურ“ ხასიათის მქონე აქტთა მთელი სერიის მეოხებით, მან თავისი გვირგვინის ქვეშ თითო-თითოდ, საქართველოს ყველა სამთავროს თავი მოუყარა. ცნობილია, რომ ეს შეკრება ოთხ ეტაპად მოხდა. პირველი ეტაპი ქართლის ტახტზე ასედა იყო: ერთგულების სამაგიეროდ ყაენმა მას აღმოსავლეთ საქართველო და ტფილისი უბოძა. შემდეგ ამას მოჰყვა დამორჩილება კახეთისა, რომელიც ირანის მონგოლებს ემხრობოდა. მეფემ ცივ-გომბორზე მოიწვია კახეთ-ჰერეთის დიდებულნი, სადაც მან მონგოლთა მომხრენი ამოწყვიტა და მათ ნაცვლად თავისი მომხრენი დაადგინა. 1329 წელს იმერეთი უმეფოდ იყო მეფე მიხეილის სიკვდილისა გამო, რომელსაც მცირეწლოვანი მემკვიდრე, უფლისწული ბაგრატი დარჩა. გიორგიმ აიღო ქუთაისი, სადაც ბაგრატი დასვა და იმერეთი უბოძა მას. 1334 წელს გიორგი მესხეთის მიმართაც ასევე მოიქცა. ახლად გარდაცვლილ სარგისის სამფლობელო, მის კანონიერ მემკვიდრეს ყვარყვარეს უბოძა. ათიოდე წლის განმავლობაში გიორგი მეხუთე გაერთიანებულ ფეოდალურ სამეფოს სუზენერად იქცა.

ეს ყოველი მან შეძლო პიროვნულ კავშირთა დამყარებით, ქვეშევრდომთა გაიხადა მთელი ქვეყნის ცალკეული დიდნი მფლობელნი, ხოლო ამ ქვეშევრდომობის მათგან ცნობის სანაცვლოდ ტახტის სახელით უბოძა და დაუდასტურა მათივე სამფლობელოები. ეს მშვენივრად შეუფხვიათ თანამედროვეთ და არ შემცდარან, როცა გიორგი ბრწყინვალეს პატრონი უწოდეს.

მე-13 საუკუნის განმავლობაში ფეოდალურმა სისტემამ თუმცა არსებობა განაგრძო, მაგრამ ამ სისტემის იერარქიული ჯაჭვი განყვეტილი იყო მეფესა და ერისთავთ შორის. გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკა ამ ჯაჭვის გამრთელებაში გამოიხატებოდა: მაშასადამე ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდა აღდგენას და უზრუნველყოფას მეფის ავტორიტეტისა ფეოდალებზე.

2) სულ სხვანაირი მდგომარეობაა არაგვის ხეობაში, აქ ვასალური დამოკიდებულება ადგილობრივ სენიორთა და გლეხობას შორის იყო განყვეტილი. აქ საკითხი არ იდგა მეფის ავტორიტეტის აღდგენისა ერისთავთა ზედა. ასეთი რამ არც რაიმე დაბრკოლებას წაანყდებოდა და არც კანონთა გამოცემას საჭიროებდა – მეფე ხომ უკვე მთელ საქართველოს პატრონად იყო აღიარებული (გავისხნოთ რომ

1334 წლის ე.ი. საქართველოს გაერთიანების შემდეგ დაიწერა ეს კანონები). პირუკუ სწორედ გიორგი მეხუთის პრესტიჟის წყალობით მოხდა, მოსახლეობის მიერ განდევნილ ფეოდალთა დაბრუნება არაგვის მხარეში. გავისხენოთ, რომ გიორგის მეფობის დასაწყისში მოხდა ოსების შემოსევა. ამ ბრძოლების დროს, ქსნის და არაგვის ხეობის მცხოვრებთა მიერ განუღმმა სასტიკმა წინააღმდეგობამ რამდენიმეჯერ გადაარჩინა სამეფო. ამ ბრძოლებში ქსნის საერისთავოს მცხოვრებნი თავიანთ ერისთავს მიჰყევბოდნენ, ხოლო არაგველები კი მხოლოდ ადგილობრივ მეთაურთა წინამძღოლობით იბრძოდნენ. ოსთა დამარცხებისა და უკუგდების შემდეგ, ქსნის ხეობისა და არაგვის ხეობის მცხოვრებთა შორის გაჩაღდა ბრძოლა. ე.ი. ბრძოლა, არაგვის თავისუფალ თემებსა და ქსნის ერისთავს შორის. საჭირო შეიქმნა გიორგის შვილის – უფლისწულ დავითის ჩარევა, რომ ბრძოლას ბოლო მოღებოდა.

ამ მომხდარი ამბიდან მეფეს შეეძლო ორი დასკვნა გამოეტანა 1) არაგვის საერისთავო და ციხე-სიმაგრეები, უპირველეს მნიშვნელობისანი იყვნენ სახელმწიფოს დაცვისათვის და ამ მხარის მოსახლეობა სწორუკოვარ საომარ ძალას წარმოადგენდა.

2) ეს ძალა ძნელად გამოსაყენებელი იქნებოდა – ვიდრე, ეს მხარე სახელმწიფოს საერთო წესებს დაუქვემდებარებელი დარჩებოდა. აქედან გამომდინარეობდა აუცილებლობა, ისეთი სტატუსის გამოშუშავებისა, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებათა აღდგენას უზრუნველყოფდა და ამგვარად საერისთავოს წესებს შეათანხმებდა იმ პოლიტიკურ სტრუქტურასთან, რომელზედაც გიორგი მეფე თავის ხელისუფლების დაყრდნობას აპირებდა. მხოლოდ ეს უნდა მომხდარიყო ისე, რომ ადგილობრივ გვაროვნულ ხელისუფლებას ყველა უფლება არ წართმეოდა, რადგან მათი თანამშრომლობა აუცილებელი რჩებოდა ამ მხარის სამხედრო ძალების ომში გამოსაყვანად.

მაშასადამე მე-14 საუკუნის პირველი წლების პოლიტიკური ისტორია შესაძლოს ხდის, წარმოვიდგინოთ ის მოტივები, რომლებმაც მეფეს ამ კანონთა დაწერა უკარნახა, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ამ კანონის ზოგიერთ მუხლთა უკეთ ინტერპრეტაციისა, მაგრამ სანინაღმდეგო მიმართულებითაც, უნდა მოველოდეთ რომ ძეგლის შინაარსი, განსაზღვრულ ზომით ჩვენ ცნობებს მოგვანვდის – თუ როგორ წარმოედგინა გიორგი მეფეს ეს ფეოდალური მონარქია, რომლის მთელ სამეფოზე გავრცელება მას განზრახული ჰქონდა. ამიტომაც რომ ძეგლის ნაკითხვისას საჭიროა ანგარიში გაენიოს, სამ ელემენტს რომელთა მიხედვითაც ძეგლი უნდა შევაფასოთ. 1) მისი ნაწილობრივი დანიშნულებაა არაგვის საერისთავოზე გაავრცელოს, ქვეყნის დანარჩენ მხარეებში ძალაში მყოფი წესები – რომ ნორმალურად იმოქმედოს ფეოდალურ-სავალურმა სისტემამ. 2) ეს სისტემა შეკვეცილ-შესუსტებულია იმ მიზნით, რომ პატივი სცეს ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ უფლებას. 3) ფეოდალურ-ვასალური სისტემა შესწორებულია იმგვარად, რომ იგი ეთანხმებოდეს კანონმდებელ მეფისათვის საყვარელ კონცეპციას.

მთავარ პრობლემებად მაინც რჩება კავშირ-დამოკიდებულების გაძლიერება მთავარსა და მოსახლეობის შორის. ეს საზრუნავი კოდექსის პირველსავე მუხლი-

დან მჟღავნდება, სადაც მთავრის მოკვდინება უდიდეს ბოროტებად არის წარმოდგენილი, კიდევ უფრო საძაგელ-საშინლად ვიდრე მამის მკვლელობა. მამის მოკვლა ითვლება ვით „უნესო“ (15.1), მაშინ როდესაც მოკვლა მთავრისა უმსგავსოა და განუზომელი (1.2. იგი არავის ჩაუდენია (რაც არა სწორია) და სასჯელი რომელიც დამნაშავეს ეკუთვნის, თვით მეფემ უნდა დაადგინოს. მაგრამ კოდექსი განსაკუთრებული დაჟინებით ხაზს უსვამს ხევისბერის მორჩილებას მთავრისადმი. ჩვენ ვიცით, რომ ეფექტური ხელისუფლება ხევისბერის ხელთ არის ყოველ საფეხურზე; ეს იქნება სოფლის, გვარი, თემი თუ მთელი მხარე. მაშასადამე მთიელთა დამორჩილების წინასწარი პირობა, ხევისბერის დამორჩილება იყო. თუ რომელიმე მათგანი ბოროტმოქმედებას ჩაიდენს (გამგებლის მოკვლა)), დამნაშავის სახლ-კარის ჩამორთმევი და სხვისათვის გადამცემი ერისთავია (5.1) ასევე ერისთავი მისცემს, მეფის თანხმობის შემდეგ (დაუბრუნებს) ხევისბერს ჩამორთმეულ ქონებას (5.2. ცხადია, დამნაშავე ხევისბერს თანამდებობა ნაერთმევა და გადაეცემა ერთ-ერთ წევრს მისი გვარისა (5.3.), მაგრამ თუ ამგვარი გადაცემა შეუძლებელი ხდება, მაშინ ერისთავი და გამგებელი აირჩევენ ახალ კანდიდატს და იგი ხევისბერად დაინიშნება სასახლის მიერ (5.4.) და ბოლოს ერისთავისა და გამგებლის დაძახებაზე გამოდის ხევისბერი თავისი სამხედრო მოვალეობის ასასრულებლად. (19. 1. 3)

მაშასადამე, ადგილობრივი მეთაურები, განსაზღვრული ზომით, ერისთავს ემორჩილებიან. მაგრამ, მისთვის ჩვეული ხერხით, მეფე საზღვრავს მინიჭებულ უფლებებს მით, რომ აწესებს განრიგებათა მთელ რიგს, რომელნიც მნიშვნელოვნად ცვლიან ხასიათს თანადროულ ფეოდალურ კანონმდებლობისა. ერისთავის ავტორიტეტი ასე ვთქვათ, ნახევრად შეკეცილია, რადგან მან გამგებელთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს. ყოველ მუხლში დაზუსტებით მითითებულია ხელისუფლების ეს განაწილება ერისთავსა და მეფის მოხელეს შორის. მაგრამ ერისთავი მარტოა დასახლებული, როცა საქმე შეეხება ხევისბერის სახლ-კარის ჩამორთმევას და მის გასხვისებას, აქ გამგებელი ნახსენები არ არის. ეს გამორიცხვა დაინიშნება როდია, პირიქით იგი აჩვენებს, როგორი გულმოდგინებით ეპყრობა კანონმდებელი მეფე – დეტალებს. ეს აგრეთვე ამტკიცებს, რომ მეფე მშვენივრად იცნობდა ფეოდალურ სამართალს და მისი პატივისცემაც იცოდა, როცა ეს მის პოლიტიკას არ ეწინააღმდეგებოდა. მართლაც და სამთავროს მთელი მინა-წყალი ლეგალურად ხომ სუზერენს ე.ი. ერისთავს ეკუთვნოდა. ჩვენ ვიცით, რომ მე-13 საუკუნის ქართულ წესთა მიხედვით ვასალს არ შეეძლო თავისი მიწების თუნდაც ნაწილობრივი გასხვისება – უნებართვით მისი სუზერენისა. ამიტომაც რომ ხევისბერის ქონების საქმეში მხოლოდ ერისთავია უფლებამოსილი, მხოლოდ სხვა მხრივ ხევისბერი გამორიცხულია ერისთავის ავტორიტეტისაგან, იმ ზომით რამდენადაც მას მეფისაგან ებოძება, როგორც ქონება ასევე მისი სახელი. აი პროცესუსი: ხევისბერი თხოვნით მიმართავს ერისთავს და გამგებელს, ესენი მიმართავენ ვეზირებს, ვეზირები მიმართავენ მეფეს და ბოლოს მეფე ხევისბერს დომენს. (5. 2, 6. 2, 7. 2, 9. 2). ახალი ხევისბერის დანიშვნაც ასეთივე წესით წარმოებს; ერისთავი და გამგებელი აირჩევენ კანდიდატს

და მას დანიშნავენ მეფის სახელით. ჩვენ ვხედავთ თუ ასეთი მოქმედება რამდენად წინააღმდეგია ფეოდალურ-ვასალურ რჩევებისა: ნორმალურად, მინის ბოძება, როგორც არ უნდა იყოს იგი, ხდება ერისთავის მიერ და არა ამ ერისთავის სუზერენ მეფისაგან. მხოლოდ ერთ გარემოებაში ინარჩუნებს სუზერენი თავის ფეოდალურ პრეროგატივს. თუ „კაცი ვინმე ღირსი არ არის სასახლის მიერ ცნობისა“ მაშინ ერისთავი და გამგებელი... „მისციემნ“ მას მამულს (11. 3). დაუკვირდეთ აქ გამოყენებულ ტერმინს: „მციემა“ რომელსაც იურიდიული ღირებულება არა აქვს, მაშინ როდესაც მინა მეფისაგან არის მიცემული, ტექსტი მუდამ იყენებს სპეციალურად საამისო სიტყვას „ბოძება“, რომელიც ფეოდალურ სამართლის ტერმინოლოგიის კუთვნილებაა. მაგრამ ამ „მციემის“ შემთხვევაშიც სენიორის უფლება შეკვეცილია გამგებლის ჩარევით. ეს ორპიროვნულობა გიორგი მეხუთეს მიერ შემოღებული სიახლეა, რომელსაც როგორც ეტყობა იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: ერისთავის მიერ შესრულებულ ყოველ ლეგალურ აქტს თან ახლავს ჩარევა გამგებლისა.

ეს წესი მარტო ქონების ბოძებას და სახელის მიცემას არ შეეხება. იგი ვრცელდება მართლმსაჯულების წარმოებასა და სამხედრო ფუნქციებზეც. ზოგჯერ, იშვიათად ესა თუ ის საქმე ჩათვლილია არა ღირსად, რომ მეფეს მოახსენონ. მაგალითად მოკლული კაცის ახლო ნათესავებმა (ქერივი ან ძმა) უნდა მიიღონ ნაწილი სისხლის ფასისა. თუ ისინი არა ღირსნი არიან სასახლის მიერ ცნობისა, ერისთავი და გამგებელი სწვევტენ მათ საქმეს. ე.ი. განსაზღვრავენ ოდენობას მისაღები ნაწილისა. თვით ასეთ პატარა საქმეშიც ერისთავის უფლებები განაწილებულია გამგებელთან. ხდება ხოლმე როცა ერისთავი მარტო ერევა საქმეში, მაგრამ – მხოლოდ როგორც მონმე და არავითარ გადაწყვეტილებას იგი არ იღებს. ასეთია შემთხვევა როცა იგი მოუწოდებს რომელისაზე გააფიქტებულს, ვალდებულების ასრულების ან ვალის გადახდისაკენ, თუ ეს კაცი მაინც უარზეა, გათვალისწინებული არ არის ერისთავის უფლება ამ კაცის იძულებისათვის; მხოლოდ ერისთავი ამონმებს – რაც მოხდა და ამით მომჩივანი უდანაშაულოდ ჩაითვლება. თუ მოთმინება დაკარგული მომჩივანი ვალის არ გადახდელს თავს დაესხა (28. 2. 3. 4.) მსგავსივე როლი მიეკუთვნება ერისთავს კიდევ ერთ ანალოგიურ შემთხვევაში: ქურდი უარს ამბობს ნაჭურდალის დაბრუნებაზე. თუ დაზარალებული თვითონ შეეცდება თავისი კუთვნილის დაბრუნებას და ამის გამო კაცი მოკვდება, თავდამსხმელი გამართლებულია, რადგან ერისთავი დაამონმებს რომ ქურდმა ნაპარავის დაბრუნება არ ინდობა.

როგორც ვხედავთ, შორს ვართ შეუვალობის სიგელიდან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სიგელები სხვაგან უხვად რიგდებოდა მე-11 და მე-17 საუკუნეებში და მრავალი ჩვენამდე მოღწეული გიორგი ბრწყინვალის დროინდელია. ერისთავის სასამართლოებრივ უფლების ასე მკაცრად შეზღუდვისას მეფე ცდილობდა ებრძოლა წინააღმდეგ მისი დროის ტენდენციებისა და ეს მისთვის გაადვილებული იყო არაგვის ხეობის შემთხვევაში მით, რომ მის მოქმედებას არავითარი ადრინდელი ტექსტი ხელს არ უშლიდა.

მეფემ ეს გარემოება გამოიყენა ასევე შემზღულად მნიშვნელობით, სამხედრო ვალდებულების ასრულების კონტროლში სახელმწიფოს მოხელეთა ჩარევის დანესებით. მე-19 მუხლი მოკლეა, მაგრამ იგი ზუსტად მიანიშნებს თუ ვინ იძლევა მობილიზაციის ბრძანებას: ერისთავი და გამგებელი (9. 1). ასეთი ნესი ნინააღმდეგა ფეოდალურ-ვასალურ ყველა ჩვევისა. ურაცხვნი საბუთნი ყველა ეპოქისა ერთგვარად იმეორებენ, რომ სამხედრო ბეგარა მართებთ:

გლეხებს აზნაურთა მიმართ, აზნაურთ თავადთა მიმართ, და ყველას – მიმართ მეფისა. არსად ნათქვამი არაა, რომ საჭიროა ან შესაძლებელი, ჩარევა სამეფო მოხელისა. არაგვის მხარეში კი 1334 წლიდან მოლაშქრენი ერისთავისა და გამგებლის ერთობლივი მონოდებით გამოდიან.

გიორგი მეხუთის სურვილი იყო გარკვევით დაედგინა, თუ რა ხასიათის დამოკიდებულებაში სურდა მას არაგვის ხეობის მოსახლეობის დაქვემდებარება ერისთავისათვის. ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი ზომის მიღება აუცილებელი გახადა იმ უნეროგო მდგომარეობამ, რომელიც მხარეში სუფევდა. მაგრამ ამავე დროს მეფემ იზრუნა იმისთვის, რომ ვასალურ იერარქიას გვერდით შეექმნა თანამდებობანი სახელმწიფო მოხელეთა, რომელნიც სახელმწიფოს სიკეთის ერთგულნი იქნებოდნენ და არა ერისთავის პიროვნებისა. მართლაც, გამგებელთათვის მინიჭებული დიდი როლი, მეფეს საშუალებას აძლევდა, მათი მეოხებით კონტროლი გაენია ვასალურ სისტემის ფუნქციონებისათვის იერარქიის ყველა საფეხურზე, იდეა ახალი როდი იყო. ცნობილია, რომ თამარ მეფემ ორი საუკუნით ადრე დააპირა დიდ ფეოდალთა ხელისუფლებისათვის საზღვრის დადება, ვაზირთა და გამგებელთა უფლების გადიდებით. სამეფოს დიდებულებმა ეს რეფორმა არ მიიღეს და ნინაღუდგნენ თამარს, რომელიც იძულებული იყო აჯანყებულთათვის დაეთმო და რეფორმის გატარებაზე უარი ეთქვა.

ჩანს იგივე პოლიტიკის გატარება განიზრახა გიორგი მეხუთემ და განახორციელა იქ, სადაც ეს შესაძლო იყო. ე.ი. არაგვის საერისთავოში. ჩვენ ვხედავთ, რომ იგი დიდი მოქნილობით და მოხერხებით მოქმედებდა; მან გამოიყენა და ერთმანეთს შეათანხმა ადათ-ჩვევანი, ინსტიტუციები და უკვე არსებული თანამდებობანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან სამი ერთიმეორისაგან განსხვავებული წყაროდან ისესხა თავის ნაგებობის შესაქმნელი მასალა; ვასალური სისტემა, ადგილობრივი პოლიტიკური სტრუქტურა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია. ამ სამივე სფეროდან გამოტანილი ელემენტები ფრთხილად შეაზავა და შეაერთა მან, რომ მიეღწია ნონასწირობისათვის, რომელშიც თავიდან აცილებული იქნებოდა ის საფრთხე, რომელსაც ყოველი ამ ელემენტთაგანი შეიცავდა და რომელნიც უთუოდ თავს ამოჰყოფდნენ, თუ თავისუფალ მდგომარეობაში იქნებოდნენ დატოვებულნი. გიორგი მეფის ამგვარი მოქმედების მშვენიერ მაგალითს გვანჯდის ის „დოსტაქრული“ ოპერაცია, რომელიც მან ხევისბერს მოუხდინა. მაგრამ ღრმა ცვლილებები, რომელნიც მეფემ ამ თანამდებობას მოუტანა, მხოლოდ სავალდებულო სამაგიერო იყო, სხვა მოვლენისა: რთული გარდაქმნა აზნაურებისა და ყმის მდგომარეობისა.

ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად დიდი რეალური მნიშვნელობისა, რომელნიც მათი რიცხვისა და მდგომარეობისა გამო აზნაურებსა ჰქონდათ, კოდექსში აზნაურს ყოველად მცირე ადგილი ეთმობა, მაშინ როდესაც ერისთავი და გამგებელი ყოველ საფეხურზე, უმდაბლესზედაც კი ჩარეულნი არიან, აზნაურს არავითარი ხელისუფლება არ ენიჭება – ავტორიტეტის ნატამალიც კი. კიდევ მეტი: თვით მის საკუთარ ფუნქციებსაც კი არა სცნობს კოდექსი – ყოველ შემთხვევაში მათზე არაფერს ამბობს. ქართლში ხომ აზნაურისა ემართა გლეხებს სამსახური და შრომითი ბეგარა. ერისთავს ხომ აზნაურის მეშვეობით მისდიოდა ყოველი შემოსავალი, ხოლო ერისთავის მეოხებით აღწევდა იგი მეფემდე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყოველი შუამავალი ერთგვარ ცხრილს ანუ შემაფერხებელ ეკრანსაც წარმოადგენდა (ეს ის პრობლემაა, რომლის მთლიანად გადანყვება ევროპიულმა ფეოდალიზმმა ვერასოდეს შეძლო). თვით თავისი ფუნქციის გამო, აზნაური შუამავლის სახით იყო ჩარეული, ერისთავსა და იმათ შორის, ვისაც სამხედრო ბეგარა მართებდა. მეორე მხრივ აზნაურის ერთგულება თავის სუზერენ ერისთავის მიმართ, რომელთანაც იგი პიროვნულად იყო დაკავშირებული, იმ საფრთხეს შეიცავდა, რომ შესაძლებელს ხდიდა აზნაური სრულებით გათავისუფლებულიყო მეფის ავტორიტეტისაგან. ქართველ აზნაურებს, გარდა სამეფო აზნაურებისა – თავიანთ პატრონის პატრონისაგან, ე.ი. მეფისაგან რაიმე ნყალობის მიღების იმედი ვერ ექნებოდათ. ეს მდგომარეობა, რომელიც ყოველ ფეოდალური სისტემის საკუთრებაა, საქართველოში კიდევ უფრო იგრძნობოდა, ქართველ აზნაურთა მჭიდროდ დამოკიდებულებისა გამო თავიანთ თავადებზე.

გარნა ჩვენ ვიცით, როგორი იყო გიორგი ბრწყინვალის მთავარი მიზანი, ან მისი დღის წესრიგში მდგომი პრაქტიკული მიზანი: მას სურდა გაეძლიერებია არაგვის ხეობის ერის მორჩილება ერისთავისადმი – იმგვარად, რომ მეფეს შეენარჩუნებია, კონტროლის საშუალება მოსახლეობაზე, რომელშიაც იგი უპირველესად მეომრებს ხედავდა. იმისათვის, რომ აზნაურთა დამბრკოლებელთა სახით ჩარევა არ შეძლებოდათ, ერისთავსა და მთიელებს შორის, საჭირო იყო საქმის ისე მოგვარება, რომ ერისთავის ხელისუფლება, აზნაურთათვის გვერდის ახვევით მისწვდომოდა მოსახლეობას, ყოველ იერარქიულ საფეხურზე. სწორედ ასეთია ერთ-ერთი შედეგი რომელსაც აღწევს კოდექსი: ერისთავს დაკისრებული აქვს ფუნქცია, რომელსაც ნორმალურად აზნაური ასრულებს, გარდა ამისა მეფეს არ შეეძლებოდა უშუალოდ კონტროლი გაენია ერისთავის ვასალებისთვის – როგორც იგი ერისთავის მოქმედებას გამგებლის მეშვეობით უწევდა კონტროლს. ამისთვის საჭირო იქნებოდა, სამეფო მოხელეთა დანიშვნა ერისთავის ქვეშევრდომ ყველა საფეხურზე და ესენი ამ უკანასკნელს იქნებოდნენ დამორჩილებულნი. ეს იქნებოდა ფეოდალური რეჟიმის დასასრული და არა ჩანს გიორგი ბრწყინვალეს ასეთი რეკოლუციის შესაძლებლობა აზრად ჰქონოდა. გარდა ამისა მის ინტერესებში ეს არც შედიოდა, რაკი მისი ძალაუფლება პიროვნულ მორჩილების პრინციპზე ეყრდნობოდა.

ამიტომ იყო, რომ მეფე შეეცადა რამდენადაც შეეძლო, შეეკეცა აზნაურთა როლი არაგვის საერისთავოში. სამაგიეროდ მეფემ გონიერი მოხერხებით შეძლო ბიძგი მიეცა თავისი პოლიტიკისათვის ხელსაყრელი ინსტიტუტის განვითარებისათვის. საქმე შეეხება აზნაურებს, რომელთაც ეწოდებოდათ „აზნაურნი, ტაძრუღნი“ ისინი ტოლფარდნი არიან ფრანგული „სამეფო ვასალებისა“ (ვასალი დომინიჩი). თუმცა ამ აზნაურთა მიწები მთავართა სამფლობელოში მდებარეობდა, მაგრამ მეფის მიერ იყო ბოძებული და მფლობელნიც პირდაპირ მეფეზე იყვნენ დამოკიდებულნი. ამიტომ არის კოდექსში მუხლი 27, რომლის მიხედვითაც უპატრონოდ დარჩენილი დომენი „სასახლის მიერ უნდა ებოძოს“ სხვას, რომელიც ამისათვის თავზედ იღებს სამსახურსა და სამხედრო ვალდებულებას. ცხადია, რომ ამგვარი ხელშეკრულება მის დამდებს პირდაპირ მეფესთან აკავშირებს გარეშე ყოველი შუამავლისა.

ამ რეფორმათა შედეგად აზნაური, ასე ვთქვათ, გარიყულია (გარდა ტაძრუღისა). ამგვარივე მოსაზრებით უხელმძღვანელნია მეფეს, როდესაც მან სრული სახეცვალება მოუხდინა ყმას. ცნობილია, რომ ტერმინი ყმა განუწყვეტლად გვხვდება იმ ხანის დოკუმენტებში და კერძოდ ათაბაგის სამართალში, რომლის პირველი ნაწილიც მეფე გიორგის კოდექსის უმთავრესი სახელმძღვანელო წყაროა. გარნა ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება მეფე გიორგის კოდექსში და ამ ტერმინის აზრ-შინაარსი სრულიად გადასხვაფერებულია: აქ ყმა „მოყმეს“, „მეომარს“, „მხედარს“ აღნიშნავს. თუმცა ისიც მართალია, რომ ბარში არსებულ ცნების „ყმას“ დანერგვა მთიელთა შორის, სადაც გვაროვნული წესები მეფობდა ძალიან ძნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეფე გიორგის რომ ნდომოდა იგი აქაც უკან არ დაიხევდა, როგორც სხვა შემთხვევაში არ უყოყმანია მთიელთა შორის, მათთვის უცხო წესები რომ შემოეღო. ფაქტიურად მეფე გიორგის პოლიტიკა მთიელთა მიმართ, თუ არა ყმობის მთლიანად გაუქმებას, გადასხვაფერებას მაინც გულისხმობდა. გარნა ყმები ხომ მხოლოდ თავიანთ უშუალო უფროსს ე.ი. აზნაურს ემორჩილებოდნენ და ამგვარად სამხედრო სამსახურიც აზნაურისა ჰქმნებოდათ. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ გიორგი მეფემ არც ცნო ყმათა ასეთი დამოკიდებულება, როცა ჯარის შეკრების უფლება პირადად მეფეზე დამოკიდებულ ორ პირს ერისთავსა და მეფის წარმომადგენელ გამგებელს მიანიჭა.

მაგრამ ცხადია, ამგვარი ცვლილებანი სიცარიელეს ქმნიდნენ ვასალურ სისტემის განსაზღვრულ საფეხურზე: არავინ იყო ერისთავსა და მშრომელ მოსახლეობას შორის – რაც ნაწილობრივად კანონმდებლის მიზანს შეადგენდა, მაგრამ მძიმე მდგომარეობასაც ქმნიდა. აზნაურის გამორიცხვა და ყმის, ასე ვთქვათ გაქრობა, ფეოდალურ-ვასალურ სისტემას ართმევდა იმ უმნიშვნელოვანეს ხრახნილს, ურომლისოდაც ეს სისტემა ვერ იმოქმედებდა, ან მთლიანად უნდა გარდაქმნილიყო. საზოგადოების ნიაღში შექმნილ ამ სიცარიელის ამოსავსებად მეფემ გამოიყენა უკვე ადრევე არსებული საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელსაც სრულიად შეუცვალა ადრინდელი ხასიათი და მნიშვნელობა.

ჩვენ ვიცით, რომ არაგვის მხარეში რეალური ხელისუფლების მქონე იყო ხევისბე-

რი, და რომ ეს თანამდებობა არსებობდა ყველა საფეხურზე, სოფლის ხევისბერიდან დაწყებული მთელი მხარის ხევისბერამდე. აი ამ ადგილობრივ იერარქიას, რომლის გამოსადგეგობაც დროთა მიერ იყო დამონმებული, მიმართა გიორგი მეხუთემ – შექმნილი სიტყვიერების ამოსავსებად. აქედან მომდინარეობს ხევისბერობის რეფორმა, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სახსლეს წარმოადგენს, რომელიც კოდექსმა შემოიღო და იგივე მთავარი ღერძი გიორგი მეფის პოლიტიკისა საერისთავოში.

რელიგიურ და სამხედრო ფუნქციის მქონე წარმართულ მეთაურიდან, გიორგი მეფემ მოახერხა შექმნა მრავალ ასპექტის მქონე პერსონაჟი: ერთსადაიმთავრედ დროს – სახელმწიფოს აგენტი, ვასალი და მხედართმთავარი. თუ რა ადგილს ანიჭებდა რეფორმატორი მეფე ხევისბერს, ამას ჩვენ გვეუბნება ის საფეხური, რომელიც ხევისბერს მისი სისხლის ფასის დადგენისას მიეკუთვნა: იგი ამ დარგში ერისთავთან და გამგებელთან არის გათანაბრებული. (აი იმ სამ კატეგორიის ნევრთა სისხლის ფასი 6 ათასი თეთრია). მაშასადამე ცხადია, რომ მეფეს სურდა ხევისბერი აზნაურისათვის გაეთანასწორებინა, რაც მრავალის მოქმელია – მეფის შინაგან ღრმა განზრახვაზე. მართლაც ყურადღება მივაქციოთ, რომ ეს ამალღება ზომას სცილდება, რადგან იგი ყველა რანგის ხევისბერზე ვრცელდება: სოფლის გვარის თუ მთელი ხევისა. ამ დისპროპორციის შედეგად მეტყველია: აზნაური რომელსაც ზოგჯერ რამდენიმე სოფელი ეკუთვნის, გათანაბრებულია ისეთ კაცთან, რომელსაც ვასალური იერარქია ნორმალურად დაბალ სტატუსს ანიჭებს ხოლმე. ხევისბერისთვის მინიჭებული პატივი, ფაქტიურად აზნაურის დადაბლების ტოლფარდია. და ეს კარგად ეთანხმება კანონმდებლის პოლიტიკას.

მაგრამ ადგილობრივ მეთაურთა აღზევებას, მათთვის მეურვეობის დადგენაც თან უნდა ხლებოდა, თორემ იგი სასურველ მიზანს გადასცილდებოდა, რასაც პირველ მდგომარეობაშივე დაბრუნება მოჰყვებოდა, რომლის სწორედ შეცვლა იყო კოდექსის დანიშნულება. ამიტომ მოხდა, რომ ხევისბერი დაუქვემდებარეს ერისთავს, გამგებელს და მეფეს – ერთდროულად ეს დაქვემდებარება ვრცელდება როგორც პიროვნებაზე ასევე ქონებაზედაც და ამგვარად მას ფეოდალურ-ვასალური ხასიათი ეძლევა. გარდა ამისა, იგი მოხვევთა ადათებსაც არღვევს, რადგან ადგილობრივი წესის თანახმად, ხევისბერი ხატის მიერ არის არჩეული და ამ ხატის სურვილი ქადაგის სიტყვით არის ცნობილი, დღეიდან კი ხევისბერი არჩეულია ერთობლივ ერისთავისა და გამგებლის მიერ, მაგრამ „დაყენებულა“ მეფის კარისაგან. (გამოთქმა „დაყენება“ განუწყვეტელივ მუორდება კოდექსში). ამგვარად ხევისბერი ორმაგად არის მეფეს დამორჩილებული: იერარქიულად ერისთავისა და გამგებლის მეშვეობით უშუალოდაც – მით, რომ იგი გარდაქმნილია ერთგვარ ვასალად მეფისა.

სამხედრო მონოდება, რომელიც ხევისბერსა ჰქონდა დავიწყებული არ არის კანონმდებლისაგან. ეს მონოდება მისი ახალი ფუნქციის საფუძველია მით იგი სამხედრო საქმის სპეციალისტად არის დანიშნული. ამ დარგშიაც იგი ერისთავსა და გამგებელს არის დამორჩილებული, რომელსაც, როგორც ვიცით, ლაშქართა

შეყრის ბრძანება ევალებათ, კოდექსი ნათლად აზუსტებს თუ როგორია მთავარი როლი ხევისბერისა: ხევისბერს ებოძა მეფისაგან ლაშქართ თავადობა“.

ამიტომ არის რომ ხევისბერის ნათესავის სისხლი (თუ ეს ნათესავი მისი ოჯახიდან გამოყოფილი არ არის) ორჯერ მეტად ფასობს ვიდრე სისხლი, სხვა მისი მოგვარე ნათესავისა, რომელიც ხევისბერის ოჯახიდან გამოყოფილია და ეს ასეა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს „გამოყოფილი“ ნათესავი უფრო ახლო ნათესაობაშია ხევისბერთან ვიდრე პირველი. ამ მუხლის ახსნას ქვევით ვპოულობთ; საქმე იმაშია, რომ სამხედრო სამსახურის შესახები წესები გვიხსნიან, რომ თუ ხევისბერს რაიმე მიზეზით არ შეუძლია თავისი სამხედრო მოვალეობა აასრულოს, მაშინ მასა სცვლის მისი უახლოესი გამოუყოფელი მოგვარე ნათესავი. ჩვენ ვხედავთ, რომ სამხედრო საქმის საკითხი ჩრდილავს ყველა დანარჩენს და თვით სისხლის ფასიც ამის მიხედვით არის დადგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფემ ადგილობრივი საზოგადოებისა და მისი სტრუქტურისათვის ანგარიშის განეცად მშვენივრად იცის: ხევისბერის როლი ასე ვთქვათ „გვაროვნულად“ არის ჩამოყალიბებული. ამასვე დაუმატოთ, რომ კანონმდებელმა სიფრთხილის ნაკარნახევი ყველა ზომა მიიღო: ხევისბერს თავადობა მეფისაგან ეძლევა, მაგრამ მისი სალაშქროდ დაძახება – გამოყვანა ერისთავისა და გამგებლის ბრძანებით ხდება. აქაც ხევისბერი ორმაგად ექვემდებარება მეფის ავტორიტეტს.

გიორგი ბრწყინვალის პოლიტიკური კონცეპციები, როგორადაც ისინი მეფის მიერ შედგენილი კოდექსიდან გამოსჭვივან, მოგვაგონებენ მეათე საუკუნის საქსონურ დინასტიის ხანას – ოტტონ პირველისა და მისი მემკვიდრეებისა. იმათ გამიზნული ჰქონდათ, რომ მეფის ძლიერება დაეყრდნოთ ერთი მხრივ პიროვნულ კავშირებზე, ხოლო მეორე მხრივ იერარქიაზე, რომელიც სახელმწიფოს ხელქვეითი იქნებოდა. უეჭველია, რომ ეს ორი ფორმა მმართველობისა შეუთვისებელნი არიან – თვით მათი ბუნებისა გამო. ამიტომ არის, რომ სიცოცხლისუნარიან ერთ სისტემაში მათი შერიგება ძნელია, მაგრამ თუ გიორგი ბრწყინვალემ მონინაალმდეგეთა შეუღლება მოახერხა, ეს იმიტომ რომ, მან საუცხოოდ გამოიყვანა სხვა, მესამე ფორმის ძალაუფლება, რომელიც ორ პირველთაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო და მასასადამე შუამავალ მედიატორად გამოდგებოდა: ეს ძალაუფლება მთიელთა გვაროვნული საზოგადოება იყო. გიორგი მეფემ იშვიათი მოხერხებულობით ერთმანეთს შერთო სამი სხვადასხვა სისტემიდან გამოტანილი ელემენტი, რომელთაგან მან შეძლო შეექმნა ერთ მთელად შეკრული ნაგებობა – მიუხედავად ამ ნაწილთა ერთიმეორისაგან განსხვავებულ ნარმოშობისა. ვასალურ კავშირებიდან გამომდინარე მაძულებელი ძალა, სახელმწიფოს აბსტრაქტული ძალაუფლება და გვაროვნულ-ნათესაურ დამოკიდებულებათა ურყევი მოქმედება გაერთიანებულნი აღმოჩნდნენ და შექმნეს ის ორიგინალური მთლიანობა, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ კოდექსის სახით მისცა არაგვის მხარეს. ამიტომ, მიუხედავად დოკუმენტის ოფრიდული ხასიათისა, ამ კოდექსის მოქმედების სფერო და მნიშვნელობა, ჩვენი აზრით, პოლიტიკურ-იდეოლოგიურია.

პროვითე და ამირანი

ბერძნულ და ქართულ მითოლოგიაში

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს
თაემჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ხსოვნას,
ვისაც სიცოცხლეში თხოვნა ვერ შეეუარულე,
აღნიშნულ საკითხზე ნარკვევი დამენერა.
გიორგი შარაშიძე.

აქტში ჩაქსოვილ ფიქრის, ფიქრის დრამატიზებული, მითოლოგიის, (ქმნა და თქმა მითებისა ან მათგან გამომდინარე საგანთა) აღქმა, წარმოსადგენია მხოლოდ მოქმედების დროს მათი დაჭერის შემთხვევაში. მითოგრაფთა ინტერესი, რომელიც გადაძვლებულ-გადაძწერლები არიან, – მიიმართებიან ან, უნდა მიიმართონ იმ განსაკუთრებულ უცნაურ აქტივობისაკენ, რომლის ავტორებიც, მითების მქმნელნი და გარდამქმნელნი არიან. მაგრამ თვით მასალის ბუნებისა გამო, ან აგრეთვე იმ მიდრეკილებისა გამო, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი სკოლისა და ფორმაციის მნიგნობრულ ხასიათიდან, ჩვენ იძულებული ვართ ან ცდუნება გვიპყრობს მხოლოდ მზა მასალაზე ვიშუაოთ ე.ი. განვიხილოთ ლამაზი მოთხრობა, რომელიც ჩვენთვის ერთდროულად სიტკბოებისა და ნუხილის მომგვრელია.

უეჭველია, ამგვარი ანალიზები, უნდა ტარდებოდეს, საითაც არ უნდა მიიმართოს ჩვენი ცნობისმოყვარეობა და როგორც გზა არ უნდა იყოს არჩეული, მაგრამ ამგვარად შემოფარგლულნი შესაძლოა, ისინი დასრულდნენ როგორც აუტოპსიიდან გამომდინარე კონსტატირება: ამგვარად გაანალიზებული საგანი განხილვისაგან დაფარულად ინახავს იმ ცოცხალ კავშირებს, რომლითაც იგი ადამიანთა შორის არის ფესვგადგმული და რომლითაც სხვა მითები მას გარს ერტყმინან. უკვე ისედაც მრავალ შემთხვევაში მითიურ მოთხრობას ჩვენ ვეცნობით გაძრცივლს მისი ფესტარულ (ზეიმურ) სამოსიდან; ჩვენამდე არ აღწევენ მოძრაობანი და ხმანი, რომელნიც ამ მითთა წარმოშობას თან ახლდენ.

ჩვენ მხოლოდ ერთი საშუალება გვაქვს მას შეუენარჩუნოთ ან, აღუდგინოთ სიცოცხლის ნაწილი; დღის სინათლეზე გამოვიტანოთ და გავაცოცხოთ ის დრამატული დამოკიდებულებანი, რომელნიც მითს აკავშირებენ ამავე ბუნების სხვა საგნებთან. იქნებია ეს, ვარიანტები თუ მასზე არ დაქვემდებარებული უცხო მითები, მაგრამ რომელთა გარეშე, იგი ის არ იქნებოდა, რაც არის.

უფრო კონკრეტულად: ერთ უმთავრეს სამსახურთაგანს, რომელსაც სწევს მითოგრაფია, შეადგენს ის, რომ მან შუქი მოჰფინოს ჩასახვის გზებს და ლიტერატურულ საშუალებებს, რომელთა მეოხებითაც მოქმედებენ მითთა გამკეთებელნი და შემკეთებელნი უკვე არსებულ საგნის დამუშავებისას. ერთი ასეთი ხერხთაგანის ჩვენება არის ნაცადი აქ. მე წინადადებას ვიძლევი, მას დავარქვათ: „ინვერსიზ-შემნახველი“ (ინვერსიონ კონსერვანტი) ერთსა და იმავე საზოგადოების შიგნით, ან ერთი ცივილიზაციიდან მეორეში გადასვლის დროს, მითიური მოთხრობა, იქნება იგი ლეგენდური თუ ეპიკური, სახეცვალებას განიცდის ისე რომ, თავის პიროვნებას, „იდანტიტეს“ ინარჩუნებს, ხოლო ეს მიღწეულია საფეხურთა ანუ ღირებულებათა მთლიანი, ან ნაწილობრივად შებრუნების (რანვერსემან) ხარჯზე.

* * *

მე მგონია ვაჩვენე ან, ყოველშემთხვევაში შესაძლებლად გავხადე ვიფიქროთ, რომ პრომეთეს ბერძნული მითი და კავკასიური, განსაკუთრებით ქართული ამირანის თქმულება (ყესტ), უნდა მიჩნეულ იქმნან ერთი მეორის ვარიანტებად. (იგულისხმება ავტორის ნაშრომი: „პრომეთე და კავკასია“).

როცა ერთსა და მეორე „საქმეს“ გაეცნობით, შეუძლებელი თუ არა, ძლიერ ძნელი მაინც ხდება მათი ცალ-ცალკე გარჩევა, – თუმცა ამასთანავე, კაცი ვერ მიმხვდარა, საიდან მომდინარეობს ეს კავშირი; ორივე მითიური ჯგუფი აჩენს ურთიერთ კავშირსა და დამოკიდებულებას, – როგორც არ უნდა ყოფილიყო მათი ისტორიული ურთიერთობა.

ურთიერთშესატყვისობა, (ჰომოლოგია) ძლიერ შორს მიდის, რაც უმთავრეს მუხლებს შეეხება, – სახელდობრ იმას, რამაც ამ ორ დიდ ფიგურას სწორუპოვარი სახელი შეუქმნა: მათი ამბოხება ღმრთის წინააღმდეგ და მათი მარტილობა. პარალელიზმი არ ისაზღვრება მიმდინარეობის სქემათა და ეტაპთა რიცხვით მსგავსი თანმიმდევრობისა და შინაარსისა; იგი აგრეთვე ვრცელდება იმ ვარიანტებზე, რომელნიც ბერძენმა და კავკასიელმა მითოლოგებმა პირველადი თემიდან გამოიტანეს და განავითარეს.

პრომეთეს მითში ჰესიოდეს (ჰესიოდ. თეოგონია) მიხედვით: „პრომეთე, კრონოსის ბობოქარ (ბუიანტი) შვილის განზრახვებთან შებრძოლებისათვის, მიჯაჭვულია პალოზე თუ სვეტზე. ზევსმა გაუხსნელ შესაკრავით შებოჭა იგი, – მტკივნეული ხლართები მოჰხვია სვეტის შუასიმაღლემდე“.

ესქილეს მიხედვით, ზევსი პრომეთეს თვით კლდეზე მიბამს საბელთა საშუალებით, რომელნიც მჭედელთა ღმერთის ჰიფაესტოსის მიერ არიან მიჭედდენი. მარტილობის

მეორე ფაზაში, ზევსი ახდენს კოსმიურ განზომილებას, აფეთქებას; იგი ნამსხვრევებად აქცევს მთას, რომელნიც დატყვევებულს ზედ დაეყრებიან და ქვების ბორცვი დაჰფარავს მას. ბოლოს კი, „მრავალ დღეთა გრძელი ხანის შემდეგ“, – სულ კიდევ მიჯაჭვული მარტილი მინის ზედაპირზეა ამოყვანილი კავკასიონის ერთ მწვერვალზე, რომ აქ იგი ანამოს არწივმა, რომელსაც ესქილე „ზევსის ფრთოსან ძალს“ უწოდებს.

ამირანის ლეგენდაში, მონადირესა და წყლის ქალის თუ ქალღმერთის ტრფობის ნაყოფია ამირანი, ბერძნულ ტიტანის გრანდიოზულ პროპორციას ვერ აღწევს; დღეს არსებული კავკასიური ეპოპეა უფრო უბრალო ჩარჩოში მიმდინარეობს ვიდრე ანტიკური თეოგონია პესოდისა, მაგრამ კავკასიური გმირი ამაყ დიდებულებაში სრულებითაც ტოლს არ უდებს ბერძენთა ლეთაებას: „მიჯაჭვულ პრომეთეს“ ამაყ-კადნიერი, გამომწვევი სიტყვები არც ამირანისათვის იქნებოდა შეუფერებელი.

1. და მართლაც, ფაქტიურად ყველაფერი ღმრთის გამომწვევით იწყება, რისთვისაც პასუხმაც არ დააყოვნა. ღმერთმა მისი ურჩი და აჯანყებული, თვითონ თუ მჭედელთა ხელით, რკინისა თუ ხის პალოზე, თუ კედელზე მიაჯაჭვა.

2. შემდეგ მას ღმერთი მინის ნიაღში მარხავს. იგი ამსხვრევს და მას გადააქვს მთათა მასივები (იალბუზი და მყინვარი), რომელთა მთად დადებული მოცულობა დატყვევებულს თავს ედგმის ვით მუზარადი: – „აქცადა საშინელი ქარიშხალი, ელვა – ჭექა – ქუხილი, შეიძრნენ მთანი და ჩაიკეტა ამირანთან მისასვლელი გზები“.

„მთამ ზევიდგან დაჰფარა იგი ვით მუზარადმა“.

ქვესკნელში ტყვედქმნილ ამირანთან იმყოფება „ფრთოსანი ძალი“ – არწივთა შვილი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ღრღნის თუ ლოკავს მარტილის ჯაჭვებს; მხოლოდ იმ წუთს კი როს ჯაჭვი უნდა განყდეს, ყველა მჭედელი ქვეყნისა იწყებს გრდემლზე ჩაქუჩის რტყმევას და ჯაჭვი ისევ მრთელდება.

3. ყოველ წელს, სულ მუდამ მიჯაჭვული ამირანი ამოყვანილია ჰაერზე კავკასიონის ერთ-ერთ მყინვარის წვერზე. ადამიანის დახმარებით (მონადირე ან გზაბნეული მწყემსი) იგი ამაოდ ცდილობს გაათავისუფლდეს: ქალის ლაყბობის ან ცბიერობის გამო (დახმარების მსურველ ადამიანის ცოლი), მისი კლდოვანი ციხის კედლები ისევ ჩაკეტავენ ხოლმე მას. ამიტომაც, რომ თუ ერთ დღეს მან თავის ბორკილებიდან თავი გაითავისუფლა, იგი ამონყვეტს ქალთა და მჭედელთა მოდგმას – ვისი ბრალიც არის მისი ტყვეობაში დარჩენა.

ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ლოკალიზაციის სპასიალი). თვალნათლივ ვხედავთ, რომ როგორც პრომეთეს, აგრეთვე ამირანის შემთხვევაში, სასჯელის სამი ფაზა ერთსადამიანე პროგრესიის პრინციპს შეესაბამება და ერთიდაიგივე განაწილებაა სამყაროს სართულებს შორის: ჯერ დედამიწის რომელსაც ადგილზე (ესქილეს მიხედვით სკვითთა ქვეყნის უდაბნოში). შემდეგ მინის ზედაპირის ქვეშ; და ბოლოს კავკასიონის მწვერვალზე.

ღროის განსაზღვრა, როგორც პრომეთეს მითი, აგრეთვე ამირანის ლეგენდა თუ ერთსა და იმავე ხანგრძლივობას არა, ერთსა და იმავე პროპორციებს მინც

იცავენ. მინის ზედაპირზე მიჯაჭვას მოკლე ხანში მოსდევს მინის ქვეშ ტყვეობა: კავკასიაში ეს ხდება დაუყოვნებლივ, ხოლო საბერძნეთში დაყოვნება გრძელდება. „მიჯაჭვული პრომეთეს“ მითის ჩატარებისათვის საჭირო ხანს, მინისქვეშა ფაზა, ესქილეს მიხედვით: „დღეთა გრძელ დროს მოიცავს“, ხოლო ქართული ლეგენდის მიხედვით; ერთს, ორს ან შვიდ წელიწადს. საბოლოო სასჯელი პრომეთეს მითის მიხედვით საუკუნოა: „თუ გაქვს იმედი ამ სასჯელის დასრულებისა“ იმუქრება პერმესი (ესქილე). ბერძნულ მითში არსებულ უკუნისობის აბსტრაქტულ ცნებას შეესატყვისება ამირანის ლეგენდაში არსებული უსაზღვრო ხანგრძლივობა, გამო-სახული რითმულად განმეორებულ მარტივობის ციკლით. ბოლოს და ბოლოს, როგორც პრომეთეს, ასევე ამირანის სასჯელს ბოლო არა აქვს.

ეს შეხვედრანი პრომეთეს მითში და ამირანის ლეგენდაში სტრუქტურასა და შინაარსს ეხებიან უმთავრესად და გვაჩვენებენ თხრობის განვითარებისა და და-ცულ პროპორციათა მსგავსებას, მაგრამ პარალელი აქ არ მთავრდება: იგი შე-ეხება აგრეთვე მოქმედების ფორმასა და სახეს, ისევე როგორც ფორმა-ყაიდას (მოდალიტი) დრამის დადგმისა.

1. ნამების იარაღი (aparei diu siuplis)

პრომეთეს მითის მიხედვით მას შეიძლება სამი განსხვავებული ფორმა ჰქონ-დეს, რომელთაგან პირველს ორი ვარიანტი აქვს.

პირველი ვარიანტი. ბერძნულ სურათთა მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში პრო-მეთე მიჯაჭვულია ადამიანურ განზომილების მცირე პალოზე.

მეორე ვარიანტი. პესიოდეს თუ დაუჯერებთ, ტიტანი სვეტზეა (კოლონ) მიჯაჭვული. ვაზებზე გამოსახულ სურათებში ეს მონაცემია გამოყენებული და ეს სვეტი წარმოდგე-ნილია, როგორც ცისა და მინის დამაკავშირებელი ბურჯი. არსებობს ტრადიცია, იქნება პესიოდეზე უფრო ადრეული, რომელიც ამ სვეტში (კონ) ცის საყრდენსა ხედავს.

ვარიანტი ბ. ესქილე დეტალურად აღწერს პრომეთეს მიჯაჭვას პირდაპირ კლ-დეზე: „დაადე მას ეს ბორკილი მკლავზე და მერე რაც ღონე შეგნევს დაჰკარი ურო და დააჭედე კლდეს“.

ვარიანტი გ. არსებობს აგრეთვე „მცენარეული წარმოდგენა“ ნამებისა, რომელიც ჩვეულებრივ ჯაჭვის სიმბოლურად შეცვლას უნდა წარმოადგენდეს. ტრადიციის მიხედვით, რომელსაც უკვე ესქილე იცნობდა, ზეგსმა პრომეთეს აშვება აღუთქვა (დელივირანს) იმ პირობით თუ იგი დათანხმდებოდა, ჯაჭვის ნაცვლად (ლიენ მეტალიკ) ტირიფის გვირგვინი ეტარებია. ათენე, რომელიც ამ შეცვლას გვატყობინებს, გაკვირ-ვებულია და ამას აკავშირებს სამოსზე დამონმებულ სანესო ჩვევასთან (რიტუელ) რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხის ქანდაკებას ტირიფის ბუჩქში ხლართავენ.

კავკასიელმა მითოლოგებმაც გამოიყენეს იგივე შესაძლებლობა და იმათაც გა-მოიმუშავეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მსგავსი ვარიანტი.

ამირანის ლეგენდა. ტრადიცია ა, 1. ვარიანტთა უმეტესობაში ამირანი მი-ჯაჭვულია რკინის ან ხის პალოზე:

„ღმერთმა იგი დასაჯა, მან იგი დიდი რკინის ჯაჭვით შებორკა და დიდს, რკინის პალოზე მიაბა“.

ტრადიცია ა. 2. ბევრი მთხრობელი ასურათებს ამ მისაბამ საგანს, როგორც უზარმაზარ სვეტს (კოლონ), სამყაროს ბურჯის მსგავს, „რომლის ფესვები მთელს დედამიწას ერტყმინან, ხოლო სიმაღლე ცაას სწვდება“.

ტრადიცია ბ. სხვა ნაკლებად გავრცელებულ ვარიანტთა მიხედვით, ამირანი უშუალოდ კლდეზეა მიჯაჭვული. „მამინ ღმერთმა ბრძანა ამირანის იმავე კლდეზე მიჯაჭვა“.

ტრადიცია გ. ამირანის ლეგენდა იცნობს აგრეთვე მცენარეულ ინტერპრეტაციასაც, რომელიც ბერძნულ შეხედულებას შეეტყვისება. როგორც ბერძნულ შემთხვევაში ისევე აქაც ეს ხერხი მოხსენებულია არა როგორც კონკრეტული ტექნიკური საშუალება, არამედ როგორც სიმბოლო – მაგალითად აფხაზეებში ჯაჭვი ზოგჯერ ვაზის ლერწმით, ხოლო რკინის პალო მაყვალის ბუჩქით არის შეცვლილი. რაც შეეხება სვანებსა და სხვა ქართველ მთიელებს, იმათში მცენარეულ ხლართებს აშკარა რიტუალური როლი აქვთ დაკისრებული ამირანის სიმბოლურად გამომსახველი.

კავკასიაში ისევე როგორც საბერძნეთში მცენარეული ხლართები გამოყენებულია როგორც შემცველი და რიტუალური მასალა.

დამარხვა (ანსეველისმან)

როგორც პრომეთეს აგრეთვე ამირანის შემთხვევაში, ეს ამბავი გეოლოგიურ და მეტეოროლოგიურ კატაკლიზმის თანხლებით ხდება. ჭეჭა, ელეა – ქუხილით მოცული ცა და მთათა ურთიერთ შეხლა რომელნიც „ნამსხერვეებად გაცამტეერდებიან“. კატასტროფის შედეგიც ერთნაირია: ტყვე დაფარულ-დამარხული თაღისებრ ქვის ქვეშ (პიერ კურბ) პრომეთეს მითში, ხოლო მუზარადის მაგვარ ქვათა ხროვის ქვეშ – ამირანის ლეგენდის მიხედვით.

ეს ზუსტი ერთნაირობა, რომელიც მხოლოდ თვით თხრობაში ვნახეთ, არ ამონურავს პარალელობას, იგი ახასიათებს აგრეთვე ორივე მითის იდეოლოგიურ გაგრძელებასაც; ორივე გმირის ნეგატიური დამოკიდებულება ქალისა და ქორწინებისადმი, ორჭოფი პოზიცია მჭედლის მიმართ, ორთავეს „ცხოვრების“ მოთავსება ისეთ ხანში, რომელშიც შრომა და წარმოება გამორიცხულია. და სხვა.

ასეთი შეხედვრები, რომელნიც იზოლირებული და ლოკალური კი არ არიან, არამედ სისტემას ქმნიან, უფრო ძლიერ გვაგრძნობინებენ ხარვეზებსა და გადახვევებს, რომელთაც ბერძნული მითიდან ქართულ ლეგენდაზე გადასვლის შემთხვევაში ვაწყდებით. ქართულ ლეგენდას აკლია ის, რამაც სახელი გაუთქვა ბერძნულ პრომეთეს – არწივის ჩარევა გმირის ნამებაში და გმირის დანაშაული, ცეცხლის მოტაცება.

მართალია, ფრთოსანი ძაღლი, რომელიც ჩარეულია ამირანის მარტივობის მეორე და უკანასკნელ ფაზას შორის, თავისუფლად შეცვლიდა პრომეთეში არსებულ მტაცებელ ფრინველს, როგორც მისი „ბუში“. განსაკუთრებით თუ სიტყვასიტყვით გავიგებთ ესქილეს მიერ დახატულ სურათს; „პტეროს კონი“ – ფრთოსანი

ძალი; ეს აქ არ წარმოადგენს სტილის საგანს (ფიგურა და სტილი) ან რაიმე სტერეოტიპს: თესაერუსს თუ დაუფუჯერებთ, იგი მხოლოდ ორჯერ ჩნდება მთელ ბერძნულ ლიტერატურაში – მიჯაჭვულ პრომეთეში და აგამემნონში. ამირანის ფრთოსანი ძალიც ღმრთის სამსახურში მყოფი არსებაა მაღალ საქმეთა აღმსრულებელი და ამასთანავე მიუხედავად მისი უცნაური ანატომიისა, სრულყოფილებიანი (ა პარ ანტიერ) არნივია, მაგრამ არნივი ცუდად გაფორმებული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პრომეთეს არნივიც ერთგვარად ურჩხულია (მონსტრ) ტიფონისა და ეხიდნას შვილი; აპოლონ როდესელის სიტყვებით: „იგი არ არის ჰაერში მფრენთა ბუნების მქონე“.

მაგრამ კავკასიური ფრთოსანი ძალის ფუნქცია ბერძნული არნივის ფუნქციასთან სანინალმდეგო მიმართულებაშია; იგი ტყვექმნილის დამხმარეა და არა მისი მტანჯველი. ღირებულების ამგვარი გადაბრუნება (ranverseman de valor), დღემდე გამოცანად რჩება.

რაც შეეხება ცეცხლის როლს ამირანის ლეგენდში, შეგვიძლია გავხედოთ თქმა, იგი თავს იჩენს იმით რომ არა ჩანს და მართლაც, „ამირანში“ ცეცხლი არათუ „რა ჩანს“, „უარყოფილია“ სისტემატურად. ყველა ვარიანტი თითქო ცდილობს ცეცხლი არ ახსენოს, ხოლო თუ მისი აცდენა შეუძლებელია, ჩააქროს და მოსპოს იგი: მატერიალურად ჩააქროს ან სიმბოლიურად უარყოს.

ამირანი და მისი ორი კაცთაგანი მეგობარი ცხოვრობენ არა თუ გარეშე ყოველგვარი კერისა არამედ მათ ხეტიალსა და გარეთ ლამის თევაშიც ცეცხლი არსადა ჩანს – თუნდაც ნანადირევის შესანავად გამოყენებული. მხოლოდ ერთხელ შეემთხვა ამირანს ცეცხლთან მიახლოება: ამირანის ძმობილებს, ნასვამ ქაჯთა სადგომისა და შიგ მოგიზგიზე ცეცხლისა, ადამიანურ უფრო საამო ცხოვრების არსებობა მოაგონა და მათი თხოვნით ამირანმა ქაჯების სახლი ბრძოლით დაიკავა, მაგრამ რისთვის? ქაჯთა ამონყვეტის შემდეგ, მან ყველაფერი დაანგრია, ხოლო ცეცხლის კერა... დაახშო.

გარდა ამისა, მიჯაჭვულ ამირანის საქციელი მისი მარტივობის უკანასკნელ ფაზაში, ცეცხლის კერის სიმბოლიურად მოსპობის ტოლფარდია და ეს ხდება რამდენიმეჯერ. მაგალითად იგი სთხოვს და დააჯერებს ერთ გლეხს, რომ მან თავის სახლში ჩამოხსნას და ამირანს მიუტანოს შუაცეცხლის ჯაჭვი: ხოლო ამგვარი საქციელი კერის დანგრევას უდრის და რეალურად, ამის ჩამდენის დაუყოვნებლივ სიკვდილით დასჯა უნდა გამოიწვიოს.

დაბოლოს, დღევანდლამდე შემორჩენილ სანესო მსახურებაში მიღებულია, რომ ამირანის მიჯაჭვის რიტუალის აღსრულება (როცა მისი კლდოვანი სატუსალო ზედ დაეხურება) ცეცხლის ჩაქრობის ან მისი დაცვის გაძლიერებასთან დამთხვევით ხდებოდა, ხოლო ეს ნუთი ამავე დროს ემთხვევა იმ მომენტს, როდესაც მოსალოდნელია ამირანის მცდელობა თავის განთავისუფლებისა. რომელი ცდის აღკვეცაც იძლევა საშუალებას ცეცხლის კვლავ ანთებისა და შენარჩუნებისა.

აქ ჩვენ თვალწინ არის ახალი ურთიერთშესატყვისობა (ჰომოლოგია) მხოლოდ მისი ნიშანი შებრუნებულია (რანვერსე) პრომეთესა და ამირანს შორის; პრომეთეს

საპატიო ადგილი აქვს ჩირალდანიანი მსვლელობის მონაწილეთა შორის, როცა ხდება ახლად გაღვივება ცეცხლისა. ამირანიც ჩარეულია იმ „ნესებში“ რომელთაც იგივე დანიშნულება აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება ამირანის მიჯაჭვულად დარჩენა და ეს ცერემონია სინამდვილეში ამირანის სანააღმდეგოდ ხდება.

* * *

ამგვარი დაჟინებით უკუგდება ცეცხლის ელემენტისა და ცდა მისი ხმარების მარცხისა და ამაოების ჩვენებისა ან ცეცხლისა და ამირანის ერთმანეთის წინააღმდეგ დაპირისპირება, ისეთი რეგულარობით ვლინდება, რომ ძნელად დასაშვებია – ეს არ პასუხობდეს განსაზღვრულ ნება-გადაწყვეტილებას ქართველ მითოლოგებისა. მასადაამე „უარყოფილი ცეცხლი“ რალაც ეფექტურ ფუნქციას ასრულებს ამირანის ლეგენდაში. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მთლიანად ცვლის დამოკიდებულებას ორ მითიურ ოჯახს შორის – ცეცხლის საკითხში მაინც: მაშინ, ცეცხლის მონაწილეობა პრომეთეს მითში, ხოლო ამირანის ლეგენდაში მისი უარყოფა, უკვე აღარ გვეჩვენებია როგორც მხოლოდ ორი თვისება, რომელნიც ერთმანეთს გამორიცხავენ, არამედ ჩვენ წინაშე აღიმართებიან როგორც ერთმანეთზე დაკავშირებული საგნები, რომელთა კავშირი შებრუნებითი ხასიათისაა (ინვერსიონ).

მაგრამ ამგვარი ოპერაცია შეკონინებისა (ოპერასიონ ინვოლუტივ) (რომლის რეპროდუქცია ინიციალურ მდგომარეობაში დაგვაბრუნებს, რომელი ნერტილიდანაც არ უნდა დავიძრათ, პრომეთეს მითი თუ ამირანის ლეგენდა) ნმინდა გონებრივ თვალსაზრისად დარჩება და მითოგრაფთა ერთგვარ სოფიზმად ჩაითვლება თუ არ დავრწმუნდებით, რომ ცეცხლის უარყოფა ანაზღაურებულია (კომპანსე) სხვა პოზიტიურ თანაფარდით (კორელატ) ქართულ ლეგენდაში. ამის დასამონმებლად საჭიროა აღმოჩნდეს: რომელიმე ნარატიული ეპიზოდი, არსებული რწმენა ან სიმბოლიური საქციელი, რომელიც ბერძნული მითის გადაბრუნებისას (ინვერსან) ერთი რამისაგან თუ აცარიელებს, სხვა რამით ავსებს გადაბრუნებულ „ჭურჭელს“.

გარნა ასეთი საბუთი არსებობს და მას ჩვენ გვანდის ერთი იმ „სასწაულმბრევად“ აღმოჩენილი ვერსიათაგანი, რომელნიც ზოგჯერ მითოგრაფებს აღავსებენ ხოლმე: მთხრობელს, თითქოს საამებლადო, დაუხვავებია სხვა მთხრობელთან იმჟათი ან ბუნდოვანი თემები – ისეთები, რომელთაც სხვა ვარიანტები მხოლოდ გაკვრით ნაგულისხმევად (პარ ალუზიონ) ეხებიან ისე რომ თვითონაც ნათქვამი ვერ გაუგვიათ. ამგვარი ვერსიების კუთვნილი ტექსტები ახლად აღმოჩენილია (1936 და 1953 შორის), მაგრამ მოუხედავად ასეთი გვიანი თარიღისა, ისინი არქაულობის ხასიათს ატეავენ და თავიანთი სტილის გამო, ღრმა კავშირს ავლენენ ქართულ კოსმოლოგიასთან. სახელდობრ უკანასკნელი ვარიანტი (იგულისხმება ჩიქოვანის ნიგნიდან) უხვად ხმარობს სანესო ფორმულებს და შეიცავს მრავალ გალექსილ საგალობელ ადგილებს, რომელიც ამირანთან დაკავშირებულ რიტუალურ ციკლს ახლავს თან: ფაქტიურად ესენი არიან ნამდვილი ლიტერატურული ტექსტები, რომელნიც სანესო მსახურების დროს გამოიყენებიან.

„უარყოფილ ცეცხლის“ სამაგიერო პოზიტიური შემცველი (ლა კონტრაპარტი) წარმოდგენილია „წართმეულ მიწის წიაღისეულ წყალის დაბრუნებით“. ეს ხდება სამყაროს ისტორიის კაპიტალურ მოვლენის უამს, რადგან მისი საშუალებით დადგენილია (ფიქსირებულია) კოსმოსის ერთი უმნიშვნელოვანესი ნორმათაგანი.

ამირანი შეებრძოლება უზარმაზარ შავ გველეშაპს, რომელიც ქვესკნელში მყოფი, ყოველ საღამოს შთანთქავს ხოლმე გადახრილ მზეს. და აი მზის ნაცვლად ამირანს ყლაპავს ურჩხული და მის ბუნებრივ სამყოფელში მიწის სიღრმეში (ან შავ ზღვაში) ბრუნდება. ამირანი გაკვეთს ვეშაპის ფერდს და ურჩხულის მუცლიდან გამოვა, ხოლო გაფლეთილ ფერდს ვეშაპისას ფიცრით დახურავს – და არა ლითონით, როგორც შეთანხმება ჰქონდა ვეშაპთან. ამ ხრიკის წყალობით ყოველ საღამოს, ჩაყლაპული მზე დილით გამოდის, რადგანაც ამირანის მიერ ჩადგმულ ფიცრის დაწვა შეუძლია. ამგვარად დღისა და ღამის ცვლა მორიგეობით უკუნითი უკუნისამდე უზრუნველყოფილია. მხოლოდ, ვეშაპის მუცლიდან გამოსული ამირანი მაინც ქვესკნელში ჩაკეტილი რჩება. ამოსასვლელი გზის ძებნისას იგი ერთ დედაბერს ნააწყდება, რომელიც პურისთვის ცომს ზელს, ამირანი ხედავს რომ დედაბერი წყლის ნაცვლად ცომში შარდს ასხამს. „ჩვენს ქვეყანას ვეშაპი ბრძანებლობს და იგი არავის აძლევს წყალს“ ჩივის დედაბერი. ამირანი წყლისაკენ მიდის, ვეშაპსა კლავს და დედაბერს წყალს მოუტანს.

ეს უკანასკნელი ამირანს ქვესკნელიდან მიწის ზედაპირზე ამოსვლის საშუალებას ასწავლის. ამირანის მიერ მოკლული ვეშაპი თურმე უზარმაზარი არწივის შვილებს ჭამდა. არწივს შეუძლია ამირანს დახმარება გაუწიოს; მართლაც, მადლიერების გამო არწივი ამირანს ზურგზე შეისვამს და ქვემოდან მალა ამოიყვანს.

ამირანის ფათერაკიანი თავგადასავლის ეს ეპიზოდი, საკმარისი სიზუსტით, შებრუნებული ხასიათისაა, პრომეთეს მიერ ცეცხლის მოტაცების ამბავთან.

ამირანის ლეგენდა: არამიწიერ მითიურ კაცობრიობას წართმეული აქვს წყლით თავისუფლად სარგებლობის საშუალება, ზებუნებრივ ქვესკნელურ არსების, გველეშაპის მიერ. ქართულ კოსმოლოგიის მიხედვით – ამას ქვემოდ დავინახავთ – წყალთან მისვლის ამკრძალავი გველეშაპი, მიწის წიაღისეულ წყალთა ბატონია, (ლე მეტრ). ამირანი ადამიანებს დაუბრუნებს წყლით სარგებლობის საშუალებას, რომელიც მათ წართმეული ჰქონდათ. ამ სიკეთის ჩადენის შედეგად მას დახმარებას უწევს ქვესკნელის არწივი (ეგლ ჰიპოხტონიენ).

პრომეთეს მითი: ჯერ კიდევ მითიურ კაცობრიობას (ეს იყო იმ დროს, ოდეს კაცთა და ღმერთთა შორის დავა სუფევდა. თეოგონია). უზენაეს ბატონის ზევსის მიერ, ციური წარმოშობის ცეცხლი წაერთვა. პრომეთემ ადამიანებს დაუბრუნა ზევსის მიერ წართმეული ცეცხლი. ამ საქციელისა გამო, რომელიც ღმერთთა თვალში დანაშაულად მიიჩნევა, პრომეთეს ტანჯავს ციური არწივი. სქემა შემდეგნაირია: ამირანი, ქვესკნელის არწივი მადლობის ნიშნად ეშველება მას.

პრომეთე: ციურ არწივის მიერ წამებულია დასასჯელად.

ამირანი: ჩადენილი სიკეთე, – ქვესკნელის წყალთა დაბრუნებაა, რომელიც წართმეული ჰქონდა მითიურ კაცობრიობას.

პრომეთე: ჩადენილი დანაშაული – ციური ცეცხლის დაბრუნება კაცობრიობისათვის, რომელიც მას წართმეული ჰქონდა.

ამირანის: წყალის წამრთმეგია ზებუნებრივი ქვესკნელური არსება, ქვეშეთის წყალთა ბატონი.

პრომეთე: ცეცხლის წამრთმეგია ციური, ზებუნებრივი არსებაა ცეცხლის ბატონი.

* * *

ბერძნული მითი და კავკასიური ლეგენდა თავიანთ უმთავრეს ნიშნებს კი ინარჩუნებენ, მაგრამ ერთი ლეგენდიდან მეორეში გადასვლისას, ერთიმეორისადმი შებრუნებულ სახეს იღებენ. რომელ ფაქტორს შეეძლო ღირებულებათა ამგვარი შემოტრიალება და მითიურ სამყაროს გადაყირავება ერთიმეორისადმი ისე დაპირისპირებულ ბუნების ელემენტთა მეოხებით, როგორც „ციური ცეცხლი“ და მიწის წიაღისეული წყალნი არიან?

ამგვარი შეტრიალების აუცილებლობა მითოლოგებს თავს მოახვია იმ გარემოებამ, თუ რა ადგილს აკუთვნებს არნივს, ერთი მხრივ ბერძნული და მეორე მხრივ ქართული, ხალხური ორნითოლოგია (ფრინველთა მცოდნეობა).

ბერძენთათვის არნივი სიმბოლურად და თითქმის თავისი ბუნებითაც ციურ ცეცხლთან არის დაკავშირებული. იგი არის „პურფოროს“ ე.ი. „ცეცხლის მატერებელი“ (არისტოფანე, ფრინველები). მხოლოდ მას ძალუძს პირდაპირ შეხედოს მზეს, ხოლო თავის შეილებს რომელნიც ამ გამოცდას ვერ გაუძლებენ თვითონვე კლავს. არნივის დამოკიდებულება მზესთან ონთოლოგიური ხასიათისაა, რაც გამოთქმულია იმ რწმენაში, რომლის მიხედვით თავისი უცნაური ფიზიოლოგია მას აიძულებს პერიოდულად განახლება განიცადოს. როდესაც ხანში შესულობის გამო, დამძიმებულს მას აღარ ძალუძს მალლა აფრენა, რის შედეგათაც იგი მინიერ მხოხავად გადაიქცეოდა, უკანასკნელ ძალთა მოკრეფით მალლა აფრენას ახერხებს და იმდენად უახლოვდება მზეს, რომ მზის სიმბურვალე სწვავს მისი ბუმბულის სამოსს. ამგვარად გაცოცხლებული იგი კვლავ იბრუნებს თავის ძალღონეს და მფლობელობას ციურ სივრცისა.

ქართველთა მითიურ ორნითოლოგიას, ბერძნულის მიმართ შებრუნებით, მტაცებელ ფრინველის ბუნება მჭიდროდ და ფიზიოლოგიურად დაკავშირებული აქვს ამ ქვეყნიერ „მინიერ წყალთან“ – პოზიტიურად იქნება ეს თუ ნეგატიურად. სანინალმდეგოდ ბერძნული არნივისა, რომელიც ციურ ცეცხლთან კონტაქტისაგან ახლად იბადება, ქართველთა სვავი დეგენერაციას განიცდის მინიერ წყლის დალევის შედეგად. „მასალები საქართველოს ფაუნისათვის“ ამ საკითხზე შემდეგს გვატყობინებს:

მწყემსები მოგვითხრობენ, რომ სვავი ზოგჯერ კრავსა სტაცებს მათ, რაც სრულებითაც შეუძლებელი არ არის. ამიტომ მწყემსები – ყოველ შემთხვევაში

ასე ამბობენ – მარილს დააყრიან ხოლმე მძორს, რომელსაც სვაეები ჭამენ. რის შედეგადაც მონყურებული მტაცებლები იმდენ წყალს სვამენ, რომ დამძიმებულე-ბს აღარ შეუძლიათ აფრენა და კეტებითაც ადვილად ხოცავენ მწყემსები მათ”.

გარნა ქართული არნივი ერთსადაიმავე დროს წინააღმდეგობაშია ჯერ ბერძ-ნულ არნივთან ცეცხლთან დამოკიდებულებაში და შემდეგ სვაეთანაც, რადგან არნივს პოზიტიური დამოკიდებულება აქვს წყალთან. და აი როგორ.

„არნივი ამისასა იტყვიან მეხუთასესა წელსა გაჭაბუკებასა. სიმაღლით აერთი ჩამოჭრასა და წყალთა შთავარდნით განახლებასა“ (საბა)

გარდა ამისა იგივე ავტორი აღნიშნავს არნივის სხვაგვარ სიახლოვესაც წყალ-თან, რადგან იგი არნივს თეთრკუდიან პიგარკთან აიგივებს, რომელიც ევროპის ერთ უდიდეს ფრინველთაგანია. „ფსოვი ესე არს რომელსა ან მსოფლიონი არნივს უწოდენ: რომელსა ბოლოს წერჯალო შავი აქვს და უკანა კერძო – თეთრი...“

ეს მტაცებელი, პალიმეტუს ალბიცილა, ორმაგად დაკავშირებულია წყალის ელემენტთან. ჯერ მისი საცხოვრისითა და ჩვევებით: იგი ცხოვრობს მდინარის, ზღვის ან ტბის სიახლოვეს და თევზით საზრდოობს (ამიტომ ჰქვია თევზისმჭერი არნივი „პალი – აეტე“). წყალთან კავშირშია იგი აგრეთვე თავისი სახელით: ფსოვი ქართული არ არის, ეს სიტყვა შემოსულია ან ჩერქეზულიდან „პსი“ რაც წყალს ნიშნავს ან უბიხურიდან „პსა“ – თევზი. ამ მეორე სიტყვასაც პირველთან „წყალი“ მიეყავართ, ძირი მაინც რჩება.

ზოგი სხვა ხალხური რწმენაც იძლევა საშუალებას არნივის და წყლის ურთიერთ-დამოკიდებულების ბუნების გასარკვევად. მაგალითად სვანები გარეულ ცხოველებს ოთხ ჯგუფად ჰყოფენ და ყოველ მათგანს საკუთარი ნადირთა „ბატონი“ (მამრობით ან მდედრობით სქესისა) ჰყავს. ამგვარად, ქალღმერთი დალი, ამირანის დედა, „მთის რქოსან ნადირზე“ მეფობს, ხოლო ტყის ანგელოზი – ხორციის მჭამელებზე (გარდა მგლისა). მგლის ბატონია „ჯგრაგ“. ხოლო აჰსატ (აეფსატ, – ოსებში მფარველობს კალმახს და მალა მფრენ ფრინველებს – განსაკუთრებით არნივს).

მაშასადამე არნივის წყალთან „სიახლოვე“ ყოველგვარ იჭვს გარეშეა, მაგრამ ქართულ ხალხურ რწმენათა უმეტეს შემთხვევაში მინის ზედაპირის წყალი იგულისხმება და არა მინის სიღრმისა, ხოლო სწორედ ეს უკანასკნელი თამაშობს უმთავრეს როლს ციური ცეცხლის მოტაცების ეპიზოდში მდგომარეობის შებრუნებისას – ამირანის ლეგენდაში ქვესკნელის წყალთან გვაქვს საქმე. საქმე იმაშია რომ ფაქტიურად, „ნატურისისტემ“ (სამყაროს აგებულობა) როგორც მას ქართული ხალხური რწმენა წარმოიდგენს, ჰიდროსფეროს, ქვესკნელის წყლებთან აიგივებს და ჰიდროსფერო მიაჩნია მინის ქვეშა წყლის ამოსავლად მინის ზედაპირზე.

ცეცხლი და წყალი, კონკრეტულად და სიმბოლოურად, დაზუსტებულ სავალ-დებულო კლასიფიკაციას ეუთვნინან, რომელიც მოთავსებულია სამყაროს სამად განაწილების სისტემაში და ამ განაწილების კანონები ვრცელდებიან ყველაფერზე – გრანდიოზულიდან ყოველად მცირემდე.

სამყარო შედგება სართულებად ერთიმეორეზე დალაგებულ სამი სივრცისაგან:

1) ზესკნელი „მაღლა მყოფი სივრცე“, ანუ ციური სამყარო.

2) გარესკნელი „ზედა სივრცე“, ანუ მიწიერი სამყარო.

3) ქვესკნელი „ქვეითა სივრცე“ ანუ მიწის ქვეშა სამყარო.

მაღალ დონეზე ღმერთებია; საშუალოზე კაცობრიობა და ნადირები; ქვემოთ დემონები და ურჩხულები.

ონთოლოგიური სტატუსი, მხოლოდ ორი კატეგორიის არსებებს გააჩნია – როგორი სახის არსებობა არ უნდა ჰქონდეთ მათ (ღმერთები, დემონნი, ბუნების ელემენტები): კატეგორია ციურთა და კატეგორია მიწის სიღრმისეულთა. ამ ორ უკიდურესობათ შორისი კაცთათვის ახლობელი სივრცე, მხოლოდ ადგილია გასასვლელი, შესასვენებელი ან შეხვედრისა. ხოლო რაც შეეხება ცოცხალ არსებათ, რომელნიც აქ ცხოვრობენ, ან ბუნების ელემენტებს, ისინი ან ციურ, ან მიწის ქვეშა სამყაროდან წარმოდგებიან, ეს ეხება კაცობრიობასაც.

პირველ დროში ღმერთები და დემონებიც მიწის ზედაპირზე (მეორე სივრცე) ცხოვრობდნენ. ღმერთებს დემონებთან განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ, მაგრამ ერთ დღეს ღმერთები საბოლოოდ გაიქცნენ ცაში და თავიანთ ადგილას კაცნი დატოვეს. ამათ, მარტო დარჩენილებმა, ვერ შეძლეს დემონებს გამკლავებოდნენ. მაშინ ღმერთები ჩაერივნენ საქმეში, დევნეს დემონები და მიწის სიღრმეში ჩარეკეს, სადაც ისინი მას შემდეგ ცხოვრობენ. დამარცხებულმა დემონებმა თავიანთ მხრივ მიწაზე დატოვეს ქალი, ამის შედეგია დღევანდელი მდგომარეობა.

მაშასადამე კაცნი და ქალნი მიწაზე მცხოვრებნი, ერთნი ციურ ღმერთთაგან ხოლო მეორენი ქვესკნელის დემონთაგან მოდიან და ისინი ღმერთთა და დემონთა შემცველთ (სუბსტიტუე) წარმოადგენენ ორთაშუა ქვეყანაზე. ადამიანთა ჯიშის არსებობა და ქორწინების მეოხებით ამ ჯიშის განგრძობა ციურისა და ქვესკნელის შეუღლების შედეგია.

იგივე მდგომარეობაა ცეცხლის მიმართ, რომელიც ორ ერთიმეორეს დაპირისპირებულ შემადგენლობისაა: ციური ცეცხლი, რომელიც ადამიანებს ელვა-მეხის სახით ევლინება და ცეცხლი ქვესკნელისეული, რომელიც მაგალითად ვულკანის სახით მოქმედებს.

მიწიერი ცეცხლი ორმაგი, ღვთიური და დემონური, წარმოშვებით არის გაპირობებული და ისიც სიცოცხლეს განაგრძობს კერის საშუალებით, რომელსაც იგივე პოზიცია უკავია და ფუნქცია აქვს როგორც – ქორწინებას.

ამრიგად, წყალთა სისტემა პარალელურია ცეცხლის სისტემისა და გასაგებია წარმოვიდგინოთ, რომ ამ სტრუქტურულ ერთნაირობას შეეძლო ხელი შეეწყოს, ბერძნულ და ქართულ მითიურ ჯგუფთა შორის არსებულ შეცვლა-ინვერსიისათვის. არსებობს წყალთა შემცველი ორი მასა, ერთი ციური, რომელსაც დაგროვილი თოვლიც ეკუთვნის, მეორე მიწისნიაღისეული. რაც შეეხება წყალს, რომლითაც ცოცხლობენ ადამიანნი, მხეცნი და მცენარენი, იგი მიწის ზედაპირ-

ზე ე.ი. ორთაშუა სივრცეში ამოდის, ხოლო ეკუთვნის არა ამ სივრცეს არამედ – მასას მინისქვეშა წყალისას. წყალი მინისპირეული, ან ციდან ჩამოდის წვიმიდან და თოვლის სახით. ან ამოდის მინის ქვეშიდან. ეს ამოსულა წყლისა მონესრიგებულია სწორედ ქვესკნელში მყოფ იმ გველუშაპის მიერ, რომელსაც შეებრძოლა ამრანნი. ეს ამოსულა ინვეეს ზოგჯერ წყალდიდობას, რომლის მიმართაც იხმარება გამოთქმა „მცირედი წარღვნა“. (და ამ შემთხვევაში წარღვნა აღიქმება ვით მინის ქვეშიდან მოვლნილი. იხილე შამანაძე, „მცირე წარღვნის ლეგენდები“).

მინიერი ცხოველებიც ნაწილდებიან ანთოლოგიკურად, იმავე პრინციპის მიხედვით: ამგვარად მგელი ციური წარმოშობის არსებაა, რომელიც მფარველობს და კვებავს მზეს; აგრეთვე გველი მიუხედავად მისი მხოხავობისა, მზიურად მიიჩნევა (ქართველთა რწმენით მზე გველზე შემეჯდარი მოძრაობს; ჩერქეზებისათვის კი მეხი ზის გველზე).

არსებობს შესამჩნევი პარალელიზმი, მხოლოდ შებრუნებული დინამიკით, მზისა და არნივის მიმოსვლათა შორის; ვით მტაცებელი ფრთოსანი, ისევე მნათობიც, ზესკნელისა და ქვესკნელის წყალთა შორის ასრულებს ციკლს თავისი მოძრაობისას; ღამე გვევლინება ქვესკნელის წყალში მზის ჩაძირვის გამო. და თუ იგი დილაზე გრძელდება – იმიტომ რომ მას ყლაპავს გველუშაპი ქვესკნელის წყალთა ბატონი, რომლისაგანც მზე თავს იხსნის ვეშაპის ფერდის გამოწვის მეოხებით.

არნივის ციკლიც ამდაგვარია, მაგრამ მისი ახლობლობა (აფინიტე) წყალთან სხვანაირად არის მიმართული: მზის ამოსვლა წყლის „უნებურად“ ხდება, მაშინ როდესაც არნივის აფრენა წყლის „მადლით“ არის შესაძლებელი – რაკი ქვესკნელის წყალში ჩაყურყუმალების წყალობით „განჭაბუკდება“ იგი და ამ გვარად ძალუძს მას კვლავ აფრენა.

კოსმოლოგიურ შეხედულებებიდან გამომდინარე იძულებანი, რომელთა ძალითაც ყველაფერი რაც კი არსებობს, ცოცხალი არსებანი და ბუნების ელემენტები, ურთიერთიხლართებიან, ნაწილდებიან და ერთი მეორის მიერ ან მიიზიდებიან, ან განიდევენებიან, თავიანთი მოქმედებით გავლენას ახდენენ ადამიანთა მთელ აქტივობაზე, ხოლო ყველაზე დიდი სიცხადით – მითოლოგიაზე. ეს დინამიკა იმორჩილებს და მიმართულებას აძლევს, ათასეულ წელთა გამაველობაში იმ მექანიზმს, რომელთა მეოხებით მითები ვითარდებიან და გადასხვაფერდებიან, რომლის დროსაც სახეს იცვლიან და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამ შეუწყვეტელ და ღრმა მოქმედებით აიხსნება, რომ შესაძლებელია ერთიდაიგივე მითიური სქემა, თავის უმთავრესში შენარჩუნებული, ნაწილობრივ ინვერსიის განმცდელი.

გავამარტივოთ და დავეშვათ, რომ კოლხეთის ან სვანეთის ანტიკურმა მითოლოგებმა, ბერძნული მოდელის შთაგონებით, ხელი მიჰყვეს გადამუშავებას მოტაცებული ცეცხლის თემისა, ადაპტაციამ, რარიგ თავისუფალი და მოქნილიც არ იყოს იგი, უნდა შეინარჩუნოს მინიმუმი მაინც ორიგინალის ელემენტებისა – ისეთთა, რომელთა კავშირიც პირველად მითთან იმდენად მნიშვნელოვანია, რომ

მისი განწყევლა და დასუსტებაც კი შეუძლებელია. ასეთია არნივის ადგილი მითში. ჩვენ ვიცით, თუ რა ძლიერი დამოკიდებულება აკავშირებს მას ჯერ პრომეთეს აქტთან და ამ აქტის შედეგებთან და პრომეთეს მთავარ ობიექტ – ცეცხლთან. მაგრამ ქართველებს არ ძალუბთ აღქმა და წარმოდგენა არნივისა ისე, რომ იგი ქვესენელის წყალს არ დაუკავშირონ, რომელზედაც დამოკიდებულია თვით მისი არსება: მოთხრობაში არნივის ყოფნა და დარჩენა ავტომატურად ინვეეს ტრანსფორმაციას და კვანძის გასაღების როლში წყალი გამოდის.

* * *

იქნებ სახიფათოდ ან მჩატედ მიიჩნიონ ამგვარად მნიშვნელოვან დასკვნების გამოტანა, როცა საქმე მთელ მითოლოგიებს შეეხება – დასკვნის გამოტანა დაყრდნობით, რამდენიმე ათასწლოვან ბერძნულ მოთხრობასა და თანამედროვე ქართველ მოთხრობელთაგან ნაამბობი ერთი უპიზოდის ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. მით უმეტეს, რომ ხსენებული უპიზოდი ვარიანტთა მხოლოდ მცირე რიცხვში მოწმდება. სასურველი იქნებოდა პოვნა თუნდაც ერთი საბუთისა, რომელიც დაგვიდასტურებდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე შესაძლო იყო ცეცხლის მოტაცება წყლის მოტაცებით შეცვლილიყო. გარნა ასეთი საბუთი არსებობს, მხოლოდ მის საპოვნელად ორი ათასი წლით უკან უნდა გადავბარგდეთ. ამ საბუთს ჩვენ გვანვდის აპოლონ როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიოები. (სიმღერა, II, ლექსი 1246-1259).

პოეტი ამბობს: არგონავტები დასანახ მანძილზე მოვიდნენო კავკასიის მწვერვალებთან, სადაც მიჯაჭვულია პრომეთე, თავისი ღვიძლით არნივის მასაზრდოებელიო. აქ სქოლიასტს მოყავს რამდენიმე ადგილობრივი ტრადიცია მითის წარმოშობის შესახებ.

ვარიანტი პირველი: მდინარეს, რომელიც ადიდებისას პრომეთეს ქვეყნის საუკეთესო ადგილებს ანადგურებდა, სახელად ერქვა არნივი (აიეტოს); ხოლო რაც ღვიძლს შეეხება, ამაში ბევრი ხედავს სიმბოლოს მინის ნაყოფიერებისას, როდესაც ჰერაკლესმა საირიგაციო სამუშაოთა მეოხეპით მდინარეს კალაპოტი შეუცვალა, ქვეყნის მცხოვრებლებმა იფიქრეს, არნივი ქოისპო და პრომეთემ ჯაჭვებიდან თავი გაითავისუფლაო.

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ვარიანტი: ჰეროდორ ჰერაკლელის მიხედვით, პრომეთე სკვითთა მეფე იყო. მას საზრდო არ ყოფნიდა თავის ქვეშევრდომთათვის, რადგან მდინარე სახელად არნივი (აიეტოს) ადიდებისას ჭირნახულს ანადგურებდა; და სკვითებმა თავიანთ მეფეს ბორკილი დაადეს. ჰერაკლესმა მოახერხა, რომ მდინარე ზღვაში გადაეშვა. ამიტომ გავრცელდა ხალხში რწმენა, რომ ჰერაკლესმა მოჰკლა არნივი და პრომეთეს ბორკილი მოხსნაო.

ცალკე თავისთავად განხილულს ამ „სკვითურ ინტერპრეტაციას“ სიტყვათა უფასო თამაშად მიიღებს კაცი და იგი ევკემერისოვის ჩვეულ მიდგომითაც დატვირთულია; ვოლტერიანელ სწავლულის მიერ მოგონილ-წარმოდგენილი, ერთ-

გვარი შუასაუკუნოვანი ალეგორია თანაც სწორედ იმ მიდგომით გამოთქმული, რომელიც „იონიურ რაციონალიზმის“ სახელით არის ცნობილი.

მაგრამ ამირანის ლეგენდაში კავკასიური კოსმოლოგიის და მისი პრინციპების გამოყენებას, სქოლიასტის ახსნასთან თუ შევადარებთ მაშინ, პირიქით აღმოჩნდება, რომ იგი ძლიერ ადგილობრივ ტრადიციაზეა დაყრდნობილი, რომელიც დღესაც მოქმედებს და ძალაშია. სქოლიასტის ნაამბობში რამდენიმე „ამირანისებური“ ნიშანი შეიმჩნევა: სამეურნეო შრომის ამაოების ან, შეუძლებლობის ხანა; ბორკილის დადება მისივე ხალხის მიერ, რასაც ასევე ვხვდებით ჩერქეზულ ვარიანტებში.

მაგრამ ჩვენი, ამ ანტიკურ ვერსიისადმი უმთავრესი ინტერესი იმაშია, რომ იგი ყოველგვარ იჭვის გარეშე, წარმოადგენს და ადასტურებს ინვერსიის პროცესს, ცეცხლის მითის წყლის მითად გადაქცევისა.

ამ შემთხვევაში ტრანსპოზიციის მექანიზმი ამირანის ლეგენდისაგან განსხვავებულად მოქმედებს. იგი შორსაა ყველა ღირებულებათა გადაყირავებისაგან, რადგან მხოლოდ ციურ ცეცხლს შეეხება, რომელიც მინიურ წყლად იქცევა და იგი შეეხება აგრეთვე ბუნებრივ თვისებებს არნივისა, რომელიც წყლის ელემენტთან არის გაიგივებული.

ამ უკანასკნელ ვერსიაში შემჩნეულია მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომელნიც გადაადგილება-ტრანსლაციას შეიცავენ და ინვერსიის ფენომენისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მას ემატებიან და რომელნიც პყოფენ „სკვითურ“ ვერსიას, როგორც პრომეთეს მითისაგან ასევე ამირანის ლეგენდისაგან, – ეს ცვლილებები აქ არ იქნება განხილულნი. მე მხოლოდ იმის ჩვენებით მოვიფარგლები, რაც თვით ინვერსიის „მექანიზმს“ შეეხება.

ერთი ასეთ საკითხთაგანია საწყისის მდგომარეობაში შემჩნეული ანომალია, რომელსაც სწორედ მის მიერვე გამოწვეული მოვლენები გამოასწორებენ. პრომეთეს მითის მიხედვით საქმე ეხება (ხალხის მიერ) ციური ცეცხლის უქონლობას. (ამირანში – მინის ქვეშა წყლისა), რასაც სქოლიასტის მიერ მოყვანილი ტრადიცია „მინის ზედაპირულ წყლის სიჭარბეთი“ ცვლის. ყველა შემთხვევაში მოქმედება წარმოადგენს ადამიანთათვის დაბრუნებას ბუნებრივ ელემენტისა. ამ მოქმედებას ქართულ და ბერძნულ ფაბულაში ხელახლა შექმნის (რეკუპერასიონ) სახე აქვს. „სკვითურ“ ვერსიაში დამორჩილებასთანა გვაქვს საქმე.

გარდა ამისა, ჩვენ აქ ვხვდავთ არნივისა და მინიერ წყლის სრულ იგივეობას. ფრინველი და მდინარე ერთნი არიან. არსება და სახელწოდება ერთმანეთში არეულია, არნივი მდინარეა. ამ გარემოებას სამმაგი შედეგი მოსდევს: არნივი თავის ნეგატიურ ნიშანს ინარჩუნებს (რაც სამაგიეროდ ამირანის ლეგენდაში შებრუნებულია); წყალი მავნედ იქცევა, მაშინ როდესაც ამირანში იგი კეთილისმყოფელი და სასიცოცხლოც კი არის; და ბოლოს გმირის პოზიცია უცვლელი რჩება: იგი იმყოფება არნივის მონინალმდეგე ბანაკში მაშინ, როდესაც ქართულ ლეგენდაში არნივი (ძალი) ამირანის მშველელია.

ეს პრობლემები და კიდევ სხვანი – სახელდობრ ჰერაკლეს ჩარევაა წინააღმდეგ არნივისა, რაშიც ბერძნული და „სკეითური“ ვერსიები ერთად არიან – ლირსა უფრო ღრმა რკვევისა, რაც სხვაგან იქნება ნაწარმოები, აქ კი ამგვარი არ იყო ჩენი მიზანი: საჭირო იყო მხოლოდ ჩვენება, რომ წყალი როგორც შემცვლელი საგანი, როგორც „პრობლემის გასაღები“ იზოლირებული მოვლენა კი არ არის ნაყოფი ქართულ მთხრობელის ფანტაზიისა, რომელიც „ზღაპრის მოტივებით“ სარგებლობს, არამედ – რომ ეს ძველი ტრადიციიდან მომდინარეობს და კავკასიის საკუთრებაა.

* * *

შემდგომ ყოველივე ამისა ჩვენ უნდა დაეუბრუნდეთ ქართულ ლეგენდას რომ აღვნიშნოთ ერთი სიძნელე რომელიც იჭვის ქვეშ აყენებს არა თვით ფენომენს ინვერსიისას, არამედ – მის ძალასა და განვრცობას. მართლაც ისე ჩანს, რომ ეს მექანიზმი არ მოქმედებს ამირანისა და პრომეთეს კავშირ-დამოკიდებულებაზე წყლისა და ცეცხლის მიმართ.

ჩვენ ვიცით, რომ ბერძნული მითის გმირი მჭიდრო კავშირშია ცეცხლთან: იგი დახასიათებულია ვით „პურფოროს“ „ცეცხლის მზიდველი“ (ასეთია სახელწოდება ესქილეს ტრაგედიის მესამე დაკარგულ ნაწილისა). ამ ხარისხის ძალით იდიდებოდა იგი ცეცხლის განახლების არქაულ რიტუალებში. იმის მიხედვით თუ ბერძნული მითის ცეცხლი როგორ შეცვლილია ქართულში წყალით, მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ლეგენდის გმირი წარმოგვიდგებოდა თუ არა როგორც „პიდროფაროს“, დაკავშირებული მაინც იქნებოდა, ასე თუ ისე, წყლის ელემენტთან. უდავოა, ჩვენ ვიცნობთ რამდენიმე შემთხვევას, რომლებშიც ამირანი წარმოგვიდგება ვით გადაწყვეტილების მქონე „ანტიცეცხლი“ – ზუსტად წინააღმდეგი პრომეთესი. მაგრამ ამ განსაზღვრას, რომელიც მხოლოდ უარისყოფას გამოხატავს; სამაგიერო პოზიტიური შემცვლელი აკლია. ქართულ ლეგენდაში არაფერი არ მიგვითითებს ამირანსა და არაციურ წყალს შორის არსებულ კავშირ-დამოკიდებულებაზე. და მაინც ინვერსიის პროსესუსი აქაც მოქმედებს, მაგრამ მისი ეფექტურობის დანახვა მხოლოდ არა პირდაპირი ძიებით არის შესაძლებელი. და აი როგორ:

ჯერ საჭიროა ერთი წინასწარი შეზღუდვა მივიღოთ: თუ ამირანს დამოკიდებულება ექნება წყალთან, იგი შეიძლება მხოლოდ ციური წყალი იყოს. ზუსტი და მკაცრი კონსმოლოგია, რომელიც ყოველ არსებას თავის ადგილს აკუთვნებს სამყაროს ამა თუ იმ სართულზე, არ დაუშვებდა, რომ ციური წარმოშობის არსება მინისქვეშა წყლის მასასთან გაერთებულყოფი. გარნა ამირანი, ყოველი დავის გარეშე, ციურ სივრცეს ეკუთვნის – თავისი დაბადებით და მემკვიდრეობით მაინც (ეს უკანასკნელი კავკასიაში სოციალური საგანია და არა ბიოლოგიური). ამირანის დედა, ქალმერთი დალი „ციური არსებაა“, მოუხედავად იმისა, რომ მისი ფუნქცია – ნადირთა მფარველობა, მას მინაზე ყოფნას და აქ სამალავის ქონებას აიძულებს. გარდა ამისა, ამირანის სოციოლოგიური მამა – ადგილობრივთა ტერმინით მისი „ნათლია“, ვისგანაც მას აქვს

მისი სახელი, მისი გენეტიკური მემკვიდრეობა და მისი ბედისწერაც – სხვა არვინ არის თუ არ თვით ღმერთი. ალჭურვილი ამ ორმაგ ზეციურ ვალდებულებით, რომლისაგან ზუსტად დადგენილ-განსაზღვრულია მისი არსება და მისი საქმე, იგი მხოლოდ ციურ წყალთან შეიძლება იყოს დამოკიდებულებაში. ჰიდროსფერო მისთვის, ერთ-გვარად, აკრძალულია, მაშასადამე, თუ ცეცხლის ინერსიის მექანიზმი ვლინდება, ეს აუცილებლად უნდა ხდებოდეს არა ქვესენელის წყლის მონაწილეობით, როგორც მითის დანარჩენ შემთხვევაში ხდება, არამედ საქმე ციურ წყალს უნდა ეხებოდეს.

გარნა ციურ წყალთან ამირანის დამოკიდებულება სამგზის დამონმებულია, მხოლოდ ამის საპონელად საჭიროა განვიხილოთ კავკასიური კორპუსი მის მთლიანობაში, – განვიხილოთ რწმენათა და ჩვევათა (რიტ) არსენალი, საიდანაც მომდინარეობს, ნაწილობრივ, ამირანის თვით შინაარს-შემადგენლობა (სუბსტანს).

1. ამირანი ნაშობია ღმერთქალისა, რომელსაც ორგვარი სამსახური აქისრია. გარდა რქოსანთა მფარველობის, დალის ფუნქციას შეადგენს ადამიანთ, ზოგჯერ მოუტანოს – ზოგჯერ კი თავს დაატეხოს თოვლი და წვიმა. სწორედ ამ ხარისხის გამო, მიმართავენ ხოლმე მას, რომ მიიღონ ან თავიდან აიცილონ, პირობისდა მხედვეთ, საჭირო ან, ზედმეტი წვიმა თუ თოვლი.

საქმე გვაქვს ნამდვილ თეოლოგებთან; საწესო ჩვეულება ეხება ნადირობას, ხოლო მის ციურ გამგებელთ მეტეოროლოგიური დანიშნულება ენიჭებათ. კერძოდ, წვიმიან-თოვლიან ცუდი ამინდის მოსვლა, მონადირესა და ნადირის მფარველ ღვთაებას შორის არსებულ დამოკიდებულებაზე ჰკიდია. ამ რწმენის არსებობა, თითქმის, მთელ კავკასიაში დასტურდება. მეგრელების რწმენით მესუპის გამოჩენა, რომელიც გარეულთა პატრონია, ამინდის შეცვლის მომასწავებელია. ვაჟ მესიპის კარგი დარი მოჰყავს, ქალს კი – თოვლი და წვიმა. რაჭაში ნადირთა მფარველი ღვთაება ქალი შავი ღრუბლის სახით ცხადდება, ხოლო აკრძალულის ჩამდენ მონადირისათვის დამსჯელ წვიმად გადაიქცევა უმაღლ.

მრავალი რელიგიური ჰიმნი და მითიური თხრობა გვიჩვენებს ღვთაება დალის გამოჩენას წვიმისა და თოვლის სახით. სცენარი უცვლელია: მონადირე არღვევს წესს (კლავს ნებადართულზე მეტს ან, ისეთს რომლის მოკვლაც აკრძალულია), ღმერთქალს მოჰყავს კოკისპირული წვიმა ან უზომო თოვლი.

მონადირემ თავისი ძალის დახმარებით ნიშნიანი ჯიხვი დაიჭირა, მაგრამ დალი იქვე ტყეში ყოფილა. დალიმ დათოვა და მთელი სოფელი ჩახერგა“.

მონადირის ყოველი შეცდომა დალის ჩარევის გამომწვევია, მხოლოდ დალის ყოველ ამგვარ გამოჩენას, უსათუოდ, თან ახლავს წვიმა და თოვლი. ტექსტი ამბობს: „დალიმ ითოვა“.

მაშასადამე, ამირანის დედა არა მხოლოდ დაკავშირებულია წვიმისა და თოვლის მოსვლასთან, არამედ იგი თვითონ ყოფილა „წვიმა“ ან „თოვლი“.

გარდა ამისა, სხვადასხვა ვარიანტებში ხშირია შემთხვევა, როდესაც ამირანი თვითონაც წარმოდგენილია ვით წვიმის მომყვანი. მაგალითად სვანურ ვერსიათა

მნიშვნელოვანი ჯგუფისათვის ამირანის დასჯის მიზეზია „სინეგეტიკური ჰიბრიდი“ (სამონადირო წესის აღრევა), რის პასუხისმგებლობასაც ინანილებს მასთან ტყვეობაში თანხმლები ფრთოსანი ძალის ყურმაც, – იგივე მიზეზმდეგიანობა ჩანს ხევსურულ ტრადიციაში: ამირანი, თუ მამამისი (ისიც განთქმული მონადირე), მისდევს „დანიშნულ“ ე.ი. ნმიდა რქოსან ნადირს, ინვევს დალის გამოჩენას, რასაც თავის მხრივ, როგორც ვიცით, ავტომატურად მოსდევს ნვიმა და თოვლი.

მაშასადამე, ქართული ლეგენდის გმირი, როგორც არ უნდა შევხედოთ, მეტეოროლოგიურ მოვლენათა გამოწვევის ფუნქციით არის აღჭურვილი. მისი საქციელი ციურ წყალთა მასის შემძვრელია.

და ბოლოს ამირანი, ვით დედამისი, პირდაპირ გაიგივებულია ნვიმასთან, ხალხური წარმოდგენის მიერ. არქაულ ოსტატის მიერ გამართული, ლეგენდის გალექსილი ადგილები, რომელნიც დიდ მითოლოგიურ ეპოპეას უკანასკნელ ფრაგმენტებს წარმოადგენენ, ამირანისა და მის ძმობილთა დახასიათებას გვანვლიან – სადაც ამირანის ძმობილნი ადამის მოდგმისანი არიან: ერთი ჰგავს „ქალსა გასათხოვს მორთულსა“ ხოლო მეორე – ბროლის ციხესა“. (ორიგინალურ ტექსტის უქონლობის გამო, ეს ეპითეტები თარგმანია. – მთარგმნელი).

„ამირანი ჰგავს დიდსა შავსა ღრუბელსა საწვიმრად გამზადებულსა“

2) ამირანის ეს უნარი ნვიმის მოყვანისა და – „ნვიმად მოსვლისა“, არაპირდაპირი გზით დასტურდება, იმ საფათერაკო ამბით, რომელიც სამონადირო საქმეში მის ტოლფარდს „თავდაღმა დაკიდებულ“ მონადირეს შეემთხვა. ამ ლამაზსა და საამნუხარო ამბავს მოგვითხრობენ დღესაც ცოცხალი ჰიმნები და მითური თქმანი. ქართველი ენოლოგები, სახელდობრ ე.ვირსალაძე, ამ მონადირის პერსონაჟში სწორად ხედავენ ორეულს ამირანისას. ჯერ გამოუცემელ შრომაში („პრომეთე თუ კავკასია“, გამომცემლობა „პერმან“) მეც ჩემი მხრივ, ამ საკითხზე უფრო შორს წასული კვლევა ვანარმოე.

ეს მოთხრობა – ჩვეულებრივად გალობისა და ცეკვის სახით გამოთქმული მითის ახსნას ემსახურება (sert de mithe etiologi). დღესაც არსებულ საწესო ჩვევის ასრულებისას, მოთხრობა დაახლოებით ამბობს:

ერთი ვინმე, ხელობით მონადირე, თავისი ფრთოსანი ძალის ყურმას თანხლებით (ეს იგივე ამირანის „მეგობარი“ ძალღია) დევნის თუ კლავს რქოსან ნადირს ერთი მთის თხემზე. ამ დროს გამოჩნდება ქალღმერთი დალი, რომელიც მონადირეს სჯის – ან იმიტომ, რომ მონადირე აკრძალულ ნადირს გაეკიდა, ან – იმიტომ, რომ მონადირემ დალის ტრფობას უბრალო მოკვდავთან, მისსავე ცოლთან დანოლით უღალატა, ეს ორი თემა უმეტეს შემთხვევაში ერთად არეულია, როგორც ამას მოითხოვს კავკასიაში ძალაში მყოფი სინეგეტიკური (სამონადირო) დოქტრინა.

წესის დამრღვევი მონადირე – თუ ქალღმერთისადმი სატრფიალო ერთგულების გამტეხი მეტრფე – თავისი ქალამნის თასმებით კლდის ფერდზე თავდაღმა დაკიდებული აღმოჩნდება. მალე მას მოშივდება, მისი ერთგული ფრთოსანი ძალ-

ლი გასწევს მსხვერპლობას. მონადირე ცრემლმორეული მას კლავს. გაატყავებს და თავისი მშვილდისრებისაგან დანთებულ ცეცხლზე წვავს, მაგრამ მის შესაჭმელად გული არ მიუდის.

ამ ამბის გამგები მისი ოჯახი და მთელი სოფელი საშველად მოდიან. ისინი მალლიდან ბანარს უშვებენ, ქვემოდან კიბის აღმართვას ცდილობენ – ამაოდ: მთა თანდათან მალლდება. ბოლოს მონადირე მოწყდება და უფსკრულში იღუპება. ამ შემთხვევისათვის გაცოცხლებული ყურშაც მას გადაჰყვება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მონშენი ვართ ნამდვილ „გადაყირავებულ“ ნადირობისა: ყველაფერი ნორმალურის სანინაალმდეგოდ ხდება. არსებანი, ნივთი და საქციელნი მათი დანიშნულების სანინაალმდეგოდ მოქმედებენ. მშვილდი და ისარი იარაღის დანიშნულებას კარგავენ და სანავა მასალად იქცევიან; ხოლო ეს საგნები რომელთა დანიშნულება ნადირის მოკვლა არის, სწორედ ნადირის მდედარს (ძალს) წვავენ. ამ შემწვარ „საჭმელს“ მონადირე ეპყრობა როგორც „არა საჭმელს“ – რადგან მას არ შეჭამს. თვითონ იგი თავდაღმა ჰკიდია და თანაც მისივე ქალამნით, რომლის დანიშნულებაც ფეხსა და მიწის შუა ყოფნა არის.

ეს ინვერსიის პროცესუსი ორი მხრით არის ყურადღების ღირსი. პირველი ის, რომ მონადირე – ისე როგორც სხვაგან ამირანი – აქ გვევლინება „ანტი-ცეცხლის“ პოზიციაში; იგი ცეცხლს ანთებს თავდაყირა მყოფი ე.ი. – უკულმა. ცეცხლი წვავს ანტი-საზრდოს, რომელსაც მონადირე არ შეჭამს. მეორე მხრივ: ხშირად, პროცესუსთა შეტრიალების დანიშნულება, წვიმის მოყვანა და ამიდის შეტრიალება არის. ასეა კავკასიაში და სხვაგანაც. მაგალითად როლი რომელიც კაბილთა ქვეყანაში (ალჟირი) მიეკუთვნება სარკეს. აქ ამ საგანს ამინდის შესაცვლელ-მოსაბრუნებლად იყენებენ.

და ფაქტიურად, რიტუალს რომლის მითი, ერთსა და იმავე დროს, ეტიოლოგიურ ვალდებულებას (კოსიონ) და მუსიკალურ აკომპანიმენტსაც წარმოადგენს მხოლოდ ის დანიშნულება აქვს, რომ წვიმას მოუხმოს და მოიყვანოს.

მაშასადამე ეს სამონადირო საქმეში ამირანის პომოლოგიც წვიმის მომყვანია და ციურ წყალთან დამოკიდებულებაში მყოფია.

3) ჩვენ ვიცით, რომ საკუთარ ძლიერ კოსმოლოგიის მორჩილებაში მყოფ ქართველებს გონება უკრძალავს, რომ ნახევარ ღმერთი ამირანი მიწიურ წყალს დაუკავშირონ და რომ წარმოებული ინვერსია ეხება არა მთლიან სივრცეს, არამედ – მხოლოდ სუბსტანციას ბუნებრივ ელემენტისა, რომელიც აუცილებლად ციურია, „შეტრიალება“ ისაზღვრება იმით, რომ ციური ცეცხლი, ციურ წყლად არის გარდაქმნილი. მაგრამ ქართველთა მეზობელი ოსები, რომელნიც სკეითთა და ალანთა უკანასკნელი შთამომავლები არიან, იგივე იძულებით არ არიან შებოჭილნი. ამიტომაც მათი ამირანის, წყალთან დამოკიდებულება სულ სხვაგვარია. ამ მოწმობას ფასი იმიტომ აქვს, რომ ჯერ ერთი ცხადია, რომ ოსური ამირანის ლეგენდა – ნართების შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებული – ქართულ თემაზეა შემდგარი. და

ისიც ცხადია, რომ ნასესხები და გადამუშავებულია ქართული ლეგენდის არქაული ტექსტი, რომელთანაც ჩვენ დღეს არავითარი პირდაპირ მისასვლელი საშუალება აღარა გვაქვს. მაშასადამე ამ ორი (ქართული და ოსური) ტექსტის ერთმანეთთან შედარება, ჩვენ საშუალებას გვანვძის, უფრო მეტი შუქი მოვფინოთ დამარხულ ან მიჩქმალულ მხარეს მითისა და აღმოვაჩინოთ ისეთი რამ, რომელიც უკვე აღარ ჩანს დღეს საქართველოში ხელმისაწვდომ ვერსიებში. მაგალითად, მაშინ როდესაც ამირანისათვის ბორკილის დადებას ქართველები მჭედელ ქაჯებს მიანერენ, ოსების ამირანის მიმჯაჭველი ციური მჭედელია, სახელად კურდალაგონ. ეს ვარიაცია ორ ერთდამიხვე თემაში, ძლიერ საგულისხმიეროა, თუ გავიხსენებთ, რომ პრომეთეც ცეცხლისა და ლითონის ღმერთის ჰეფაესტოს მიერ არის მიჯაჭვული. ეტყობა ქართველებს ეს ვარიანტი არ დაუმუშავებიათ ან დაკარგულა.

ოსური ეპოპეა ამირანს მჭიდროდ აკავშირებს მინიერ წყალთან. ღმრთის დისწული თუ შვილისშვილი, იგი დაბადებიდანვე აღსაზრდელად გაბარებულა. მისი აღმზრდელია დონ ბეტირ – წყალში მცხოვრები მითიური არსება, ეს მამობილი ზრდის ამირანს შავი ზღვის სიღრმეში, სადაც იგი ჭაბუკობამდე რჩება.

ახალგაზრდა ამირანს ხშირად ხედავენ ახალგაზრდა მებადურები – წყლიდან ამოსულს, ბუღას ზურგზე ან ზღვის ძროხაზე მჯდომს. უფრო გვიან, ამირანი ტოვებს მის ზღვაურ სამყაროს და შეუდგება, იმ ფათერაკებით სავსე ცხოვრებას, რომელიც მას ბორკილებამდე მიიყვანს. მაგრამ მისი ცხოვრების პირველი ხანა, აღზრდა და ბავშვობა მისგან წყლის არსებას – მთლიანად მინიერ წყლის კუთვნილს ქმნის.

ამგვარად ნაჩვენები, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ერთი მიმართულების მქონი ფაქტები, რომელნიც ამირანის, ატმოსფერულ წყალთან (ჰიდროსფერულთან ოსურ პარალელში) ნათესაურ დამოკიდებულებას (აფინიტე) გვაჩვენებენ, კონტრასტებში იმყოფებიან, ციურ ცეცხლთან პრომეთეს დამოკიდებულებასთან. ამ მოსალოდნელ „შებრუნებას“ ინვერსიის მექანიზმისათვის მოაქვს ის „ხრახნი“, რომელიც თითქოს მას აკლდა.

* * *

თუ ჩატარებულმა ანალიზმა მკითხველი დაარწმუნა და თუ მას დასაშვებად მიაჩნია, რომ პრომეთეს მიერ ციური ცეცხლის დაბრუნება და წართმეულ მინიერ წყლის ხელახლა დაბრუნება ამირანის მიერ, ერთმანეთის მიმართ ინვერსიული არიან, მას ბუნებრივად შემდეგი კითხვა დაებადება: რომელი მიმართულებით მოხდა ტრანსფორმაცია? ამ კანონიერ კითხვის პასუხი არ არსებობს.

პირველი შეხედვით, უფრო მარტივი ჩანს, რომ ქართული ლეგენდა ბერძნული მითის ტრანსპოზიციად ჩავთვალოთ. ამავეს მხარს უჭერს რამდენიმე მოსაზრება, აი სამი მათგანი: მაშინ როდესაც ჰელადასა და კოლხიდას შორის მუდმივი ურთიერთობა დამყარდა, პესიოდს უკვე დაწერილი ჰქონდა აჯანყებულ ტიტანის ამბავი. მეორე საბუთია, ცეცხლის უპირველესი როლი პრომეთეს მითში, სადაც

იგი ყველაფერს ედება – მაშინ როდესაც ამირანის ლეგენდაში წყალს მეორე ხარისხოვანი ადგილი უკავია.

დაბოლოს, შავი ზღვის ნაპირებზე თანაარსებობა ორმაგი ტრადიციისა, რომელსაც ანტიკური ავტორები ამონმებენ: ფილოსტრატი, ჩვენი ხანის მეორე საუკუნისა გვანდის დასავლეთ კავკასიის ხალხებს შორის გავრცელებულ რწმენის შესახებ ცნობებს, რომელთა მიხედვით, კავკასიის ერთ-ერთ მთაზე მიჯაჭვულ პრომეთეს არნივი კორტინდა პერაკლესმა გაათავისუფლაო. ამიტომ ანადგურებენ ადგილობრივი არნივთა ბუდეს ცეცხლმოდებულ ისრების საშუალებით, მათი დანვითო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტრანსპოზიცია ცეცხლიდან წყლისაკენ კოლხიდაში მომხდარა ბერძნების მიერ მოტანილ ცეცხლის მითიდან.

მაგრამ ამ დოკუმენტების თვით არსებობის სხვა ინტერპრეტაციაც შეიძლება: მრავალი ავტორის მიერ დამონმებული ბერძნული ტრადიცია გვაცნობს, რომ კოლხეთში ცოცხლობდა თუ არა პრომეთეს მითი, რამდენიმე მისი ვერსია მაინცაა და რომ ისინი ადგილობრივად მიიჩნეოდენ. ამ ავტორთა შორის შეგვიძლია აღვნიშნოთ სტრაბონი, ფლავიურ არიანე, და უკვე ნახსენები ფილოსტრატი. ამ ავტორთათვის და კიდევ სხვათათვის, პრომეთეს მითის ძირების კავკასიურობა ყოველგვარ იჭვის გარეშეა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ფილოსტრატეს მიერ დამონმებული პრაქტიკა, ცეცხლმოკიდებულ ისართა საშუალებით არნივების ბუდეთა განადგურებისა უკვე თავისთავად აყენებს არნივს „ანტი-ცეცხლის“ კოზიციაში. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ წყალთან დანათესავებული ქართული არნივი ცეცხლის საშუალებით განადგურდეს, მაგრამ ამგვარი ტექნიკა ვერ გამოიყენება ბერძნული არნივის მიმართ, რომელიც პირიქით და სწორედ ცეცხლში ჰპოვებს წყაროს თავის განახლებისას.

ამ პრობლემებთა წინაშე, რომელთა ახსნაც ერთი წერილის ფარგლებში შეუძლებელია, იძულებული ვართ, უარი ვთქვათ გაკვალვაზე ისტორიის ჩახრეგილი გზებისა. განვისაზღვროთ უფრო მცირე კადნიერება – გაბედულების, მაგრამ უფრო სარწმუნო საგნის დადგენით: ერთსადაიმავე მითიურ ჯგუფში, სადაც საქმე შეეხება კაცობრიობისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტის კვლავ დაპყრობა-დაუფლებას (რეკონექტ) ბერძენთა წარმოდგენით ეს არის ცეცხლი, კავკასიელთათვის კი – წყალი.

გიორგი შარაშიძე
პარიზი 1980 წელი

საქსტატი



უტევი ეპიტაფია

ყავრით დახურულ ოდაში
დაიბადა ერთ დღეს იგი,
წამოჩიტულს, ლამაზ ყდაში
ჩაკერილი მისცეს წიგნი.
იმ წიგნს ერქვა „დედა ენა“,
მით ისწავლა ანა-ბანა,
ძილის წინ კი მისსა სმენას
დაატეობდა დედის ნანა.
მაგრამ როცა გაეზარდა
ფრთები და შეიძლო ფრენა,
მოისურვა „ნანას“ გარდა
სხვაეც ესწავლა ჰანგი, ენა.
და გაფრინდა უცხო მხარეს
ბევრი ნახა, ბევრი სცადა
განცდა ტეპილი, განცდა მწარე,
დრო კი მიდიოდა გზადა.
და როს წლები გარდავიდნენ,
დაუძლურდა მისი ფრთები,
მოენატრა ერთხელ კიდევ
ხილვა მშობლიური მთების.
მაგრამ იყო უკვე გვიან,
მიუვალიც ის ქვეყანა,
ჩაპყვა მწუხარს და სევდიანს
დედა ენა, დედის ნანა.
ხოლო ლოდზე ამოჭრილი
მისი სახელი და გვარი
როდი ამბობს, რა ტკივილით
მოკვდა მდგმური ამ სამარის.

პარიზიდან ტფილისამდე

პარიზიდან ტფილისამდე
როგორ მივა ქარი?
მაგრამ დახშულია სადმე
განა ყველა კარი?!

ვინც დამბადა, გამაჩინა,
ვიზეც მწვავდა ფიქრები,
როგორც იქ ვიყავი წინათ,

სხვაგან არც დღეს ვითვლები.
გთხოვთ, მეგობრებო, ნუ ფიქრობთ
ჩემს აქაურ სამარხზე.
გემუდარებით, მომწეროთ
ტფილისურ მისამართზე.
გული იმ მიწის ერთგულად
ხომ იქავე დარჩა.
როგორც იტყვიან მეგრულად:
„ჩქიმი ღურაშ დღაშა“.

მთვარევი!

მთვარევი! შენ ხომ ჩემსა მხარეს
დასცქეროდი წუხელ მაღლით!
არაფერი დაგაბარეს?
მითხარ, გიზღო გულით, მაღლით.
ნუთუ შენთვის უთქვამს არვის,
იქ ნახეო ჩემი შვილი,
უთხარ, ყველა კარგად არის,
არ მოიკლო, შვილო, ძილი.
შენი ქვეყნის ისევ პყვავის
წალკოტი და ველებიო,
ვერა გვავნო ხელმა ავის,
ვერა გვკბენენ გველებიო.
თუ არ უთქვამთ, მაინც მითხარ,
გაიმეტე ეს სიკეთე;
— თუ იმედის მომცემი ხარ,
თორემ მაჯა გადვიკვეთე.

ასინეთის ალბომში

მე მსურდა, რომ ყოფილიყავ ვაჟი
და სახელად დამერქმია ოტია.
რომ გქონოდა გული, როგორც კაჟი
ეს სურვილი სინამდვილე როდია.
შორს ვიყავი, როს შენ დაიბადე
და ნათლიამ ასინეთი გარქვა;
განგება პქსოვს ცხოვრებისა ბადეს,
არვის ძალუძს მომავლისა ქარგვა.
შვილო ჩემო, ქართველი გყავს მამა,

მაგრამ გაჩნდი, როგორც გერმანელი,
ბრანდენბურგის ნისლიანმა ცამა
შეგიცვალა ქართული მზე ცხელი.
ომში მყოფი შენკენ მოვილტვოდი,
ჩემთვის იყავ ნუგეში და ხატი,
ვიცოდი, რომ „მამას“ არ მეტყოდი,
შენ მეძახდი „მაინ ლიბერ ატი“.
დღეს ფრანგული არის შენი ენა,
და არ იცნობ შენ მშობლიურ ქართულს,
რა მწარეა მამის გულის ტკენა,
გიცქერ ფრანგულ ლექსის წერით გართულს.

ქცეულნი რუსთა ველად

დიდსა, მცირეს ისლა სურდა, ქცეულიყო რუსთაველად,
ხოლო სულ სხვა აგვისრულდა, ქართლი იქცა რუსთა ველად;
ახლა ვყვირით, ვცან, რაცა ხარ, ვერ დამახვევ აწ თავებრუსო,
არ გენდობი პირის გამტეხს, მატყუარას, ცბიერს, ცრუსო.
წადი, ნულა გვიბინძურებ ჩვენს მდინარეს ნურცა, რუსო,
წასულს ისე მოგიგონებ, ვით საბაგელ მურვან-ყრუსო.
რომ შემეძლოს, ვისურვებდი, შენი მხარე გადავტრუსო,
ვერ იხილო დარიალი, მყინვარი და ვერცა თრუსო,
კავკასს იქეთ ამოვთხრიდი ისეთ უფსკრულს, ისეთ ღრუსო,
რომ ვერასდროს გადმოხვიდე ჩვენდა წასაბილწად, რუსო!
წამხდარსა საქმეს რასა რგებს ბოლოს ნეკზედა კბენანი;
ქვეყანას ვერ ააშენებს შაირთა მთქმელი ენანი,
როკვა, სიმღერა, ღრეობა, განცხრომა აღმაფრენანი,
ხამს ოფლი, სისხლი, ღვიძილი, სოფლის საქმენი ქვენანი.

განწყობილება

უკვე ნახეხი
ფიქრის ნატეხი
მოვა და მეტყვის:
თოვის და სეტყვის
არ გმართებს შიში.
მოხრილი ჭირში,
მოჭრილიც ძირში —
კვლავ ხარობს ჯიში.
მინდვრისა და ტყის

ვერ ვხედავთ საწყისს.
რაც ვჭედავთ სახის
ჩვენისა ნაკეთებს,
რაც მზე ანათებს,
თვალთ აგვხელია,
ძვალი ძველია, საქვლეთ რომ ავსებს.
ისევე ახლები იბადებიან,
ძველთა ასლები კვალად ჩნდებიან,
ძველებერ სცოდავენ, ძველებერ ბოდავენ,
და ადრინდულად ერკინებიან
დროთა სიავეს.
და ძველებურად, თუ კი მიაგნეს, —
სვამენ სიამეს.
დამისხი, დამალევიწე,
ჩვენია ფილოსოფია,
ულვინოდ, გამაგებინე,
სოფელი რა სამყოფია.
ჩვენც თავზე გვახურავს ჭერი,
თუ ვერ ავაგეთ სოფია,
ზარბოშნი ლალად ვიმღერით,
სიკვდილს სიცოცხლე ჯობია.
შოთამ სხვაგვარად გვასწავლა,
სიკვდილი სჯობსო, — დაწერა;
ნეტავი რად გაგვაწავლა,
თითონ დაბერდა თეთრწვერა.
ვიდექ წყალის პირს,
ზვირთებს ნაფოტი
მოაქვს, ხისაგან ჩამონათალი,
ჩემთვის ვამბობდი:
ღირს, თუ არა ღირს?
ნაფოტსა ვკითხო, მითხრას მართალი.
რა უნდა მითხრას
ნაფოტმა ხისამ,
ვით აასრულოს ჩემი სურვილი,
რაც მე გულს მიხრავს,
სიტყვამა სხვისამ
როგორ დაშრიტოს იგი სურვილი?
წყალმა ნაფოტი შორს გააცურა,
რომ არრა ვკითხე, გვიან ვინანე.
დამიცხრა შფოთი,
ავავეს სურა,
ხოლო ფიქრები წყალს გავატანე.

ჩემი მიკროსამყარო

ციხევ შხეფის, ციხევ გოჯის,
წყარონო ბავშვის ოცნების,
ჩემი ფიქრი თქვენკენ მოდის
ხსოვნა თქვენით გაცუბის.
უნაგირზე ნაძოვო
ოქროსფერო ცხენთა რემავე,
შავ ფურთა ძუძუნაწოვო,
მოზვრებო, იცით რქენა.
ზოგჯერ მეურმის ჩივილო,
სევდებიანო ჩელა,
ხან შეცხადების კივილო,
ხან მაცერიონის დელა.
ეკის მიდამო მთიანო, ტეხურის ფართო ჭალავ,
გერქვა სალიპარტიანო
ჩემო ლამაზო ქალავ!
ლამით ტეხურის შხუილო,
მაშვრალთა ნანის მღერავ;
დრო და დრო მამლის ყივილო,
რიყრაჟს მზევე, ცეცხლის ფერავ!
ვინა თქვა შენით მოწყენა,
ხშირო ყუყუნა წვიმავ,
მთვარის ლბილ სხივთა მოფენავ,
როცა სოფელსა სძინავ.
ჩემო მშობელო და ძიძა,
ჩემ წინაპართა ბინავ,
შენს ბალახებში ჩამძირა,
ულვიძრად დამაძინავ!

პიენი ქართულ ენას

ჩვენო ამებავ და თან წამებავ,
ალმაფრენავ და გულისა ლხენავ,
ჩვენი უნარის და ნიჭის ჩენავ,
ტკბილმოუბარო ქართულო ენავ!
შენით ქართველი ჰვედრიდა მთვარეს,
შენი ერთგული იცავდა მხარეს,
შენ უმღეროდი დარწეულ აკვანს,
დედას თან ახლდი, ყრმის ხელში ამყვანს.
სახელს იცვლიდი და რთულდებოდი,
სრულდებოდი და თან მდიდრდებოდი...
წარმოშობილო, ვინ იცის, როდის...
მაინც ქართულად მუდამ რჩებოდი.
ვიდრე ვართ მჭერი საუნჯის, შენის,
ძალავ, იმედო, საბრძოლო ფარო!
ვერ გვავენებს მტერი, ვერც გადამშენი,
საძირკველო და საყრდენო მყარო.
რთულად ნაგებო, ტურფად ქარგულო,
ლექსად საქებო, დინჯად მთხრობელო,
სიბრძნის სართულო, ენავ ქართულო,
ყველა ქართველის დედავ, მშობელო!